

# ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

შტეფან ტრექსელი

სარა ჯ. სამერსის დახმარებით



საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლო

თბილისი  
2009

სარედაქციო კოლეგია: კონსტანტინე ვარძელაშვილი,  
ლალი ფაფიაშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი,  
ნანა მჭედლიძე, გიორგი მელაძე.

მთარგმნელები: ვანო გოგელია, ეკა ლომთათიძე, ეკა ქარცივაძე,  
თამთა ივანიშვილი, მალხაზ ნარინდოშვილი

გარეკანის დიზაინერი: ბესიკ დანელია

დამკაბადონებელი: ალექსი კახნიაშვილი

წიგნი მომზადებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ფონდი ALPE-ს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფლების ინსტიტუტის მიერ.



თავისუფლების  
ინსტიტუტი



წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, შედეგის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატაყდე მათ შეხედულებებს.

© Oxford University Press

ქართული გამოცემის საავტორო უფლებას განკარგავს  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ISBN 978-9941-9085-9-0



# წინასიტყვაობა

## ქართული გამოცემისათვის

2008 წლის ივლისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქ. ბათუმში უმასპინძლა პირველ საზაფხულო სკოლას, რომლის მონაწილენი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. საგანგებოდ შეირჩა თემა – კონსტიტუციური უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

სისხლის სამართალი რეპრესიული კანონმდებლობაა, რომლის მიზანი დანაშაულის თავიდან აცილება, მართლწესრიგის დაცვა, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის ინტერესების უზრუნველყოფაა.

შესაბამისად, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტი სისხლის სამართლებრივი დევნის ძლიერი და მოქნილი აპარატია. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის საპროცესო უფლებებს. საზოგადოების ინტერესებშია, რომ მისი თითოეული წევრი აღჭურვილი იყოს უფლებებით, რომლებიც მას სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისგან დაიცავს.

სწორედ ამიტომ, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განმტკიცებული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელ ეფექტიან მექანიზმებს შეიცავდეს.

სიამაყით მსურს აღვნიშნო, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა პოზიტიური როლი შეასრულა ამ უფლებების განტკიცებისა და უზრუნველყოფის საქმეში.

სამწუხაროდ, საქართველოს იურიდიული საზოგადოება თანამედროვე ქართულენოვანი სპეციალური ლიტერატურის დეფიციტს განიცდის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოცემა სამაგიდე წიგნად იქცევა მათთვის, ვინც დაინტერესებულია, ღრმად შეისწავლოს სამართალი, ასევე, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ადამიანის უფლებების პრაქტიკულ რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

წინამდებარე წიგნი ერთნაირად საინტერესო და სასარგებლოა როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ასევე პრაქტიკოსებისა და მეცნიერთათვის. მისი გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშორისო სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების სისტემატიზაციისა და ანალიზის საქმეში. ავტორი შტეფან ტრექსელი სისხლის საპროცესო სამართლის აღიარებული ექსპერტი და პრაქტიკოსი იურისტი. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის თავმჯდომარე და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლე იყო, ამდენად, შეუძლია ფასდაუდებელი გამოცდილების გაზიარება მკითხველისთვის. წიგნი ძი-

რითადად მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 (პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მუხლების საფუძველზე დამყარებულ პრეცედენტულ სამართალს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა 1999 წელს. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. კონსტიტუციის ეს დებულება ნათლად მეტყველებს საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობის აუცილებლობაზე. ამ თვალსაზრისით, შტეფან ტრეესელის ნაშრომი დაეხმარება მოსა მართლებს, პროკურორებს, ადვოკატებსა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში.

ნიგნის „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს სისხლის საპროცესო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა. ვიმედოვნებ, რომ ეს გამოცემა თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხორციელებაში და ხელს შეუწყობს ამ საკითხზე ინფორმირებული საზოგადოებრივი დისკუსიის გამართვას.

მსურს მადლობა გადავუხადო ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს, გაეროს განვითარების პროგრამას, ფონდ ALPE-ს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თავისუფლების ინსტიტუტსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებსა და ექსპერტებს წინამდებარე ნიგნის – „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ – ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის.

**გიორგი პაპუაშვილი**

საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს თავმჯდომარე

# შინაარსი

## ნაწილი პირველი

### შესავალი

#### თავი 1

წიგნის შესახებ	24
I. საგანი	24
ა. განსაზღვრებები	24
1. „ადამიანის უფლებები“	24
2. სისხლის სამართლის პროცესი	25
3. შეზღუდვები, გამონაკლისები	26
ა. ადამიანის უფლებების იმპლემენტაციის წესი	26
ბ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო	26
გ. სისხლისსამართლებრივი დენა ბაეშეებისა და არასრულწლოვნების წინააღმდეგ	27
დ. შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართალი	27
ბ. საკითხის მნიშვნელობა	27
II. თვალთახედვები	29
ა. გეოგრაფიული თვალთახედვა	29
ბ. სამართლებრივი თვალთახედვა	30
გ. „პოლიტიკური“ თვალთახედვა	30
დ. „მეცნიერული“ თვალთახედვა	32
III. წიგნის სტრუქტურა	32

#### თავი 2

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოქმედების სფერო სისხლის სამართლის საქმეებში	33
I. შესავალი	33
ა. დებულებები	33
ბ. დებულების მოქმედების სფეროსთან დაკავშირებული სამი ასპექტი	33
II. „სისხლისსამართლებრივის“ ცნება	34
ა. ზოგადი მიმოხილვა	34
ბ. „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ავტონომიური ცნება	34
გ. ენგელის (Engel) საქმეში ჩამოყალიბებული სამი კრიტერიუმი	36
დ. სამი კრიტერიუმის შინაარსი	39
1. დანაშაულის კლასიფიკაცია შიდასახელმწიფოებრივი	

კანონმდებლობის მიხედვით	39
2. დანაშაულის ხასიათი	39
ა. სამართალწარმოების ხასიათი	40
ბ. ზოგადი მიმოხილვა	40
გ. დისციპლინური ბრალდების ხასიათი	40
დ. „შერეული ხასიათის“ სამართალდარღვევები	42
3. დაკისრებული სანქციის ხასიათი და სიმძიმე	42
ა. თავისუფლების აღკვეთა	43
ბ. ფინანსური სანქცია	44
გ. სხვა სანქციები	46
დ. სანქციის ფაქტობრივი თუ შესაძლო სიმძიმე?	47
4. სანქციის მოქმედების სფერო	48
5. ურთიერთკავშირი სხვადასხვა კრიტერიუმებს შორის	49
ე. დისციპლინური საკითხები როგორც „სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“	50
ვ. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კრიტიკული შეფასება	51
<b>III. „ბრალდების“ ცნება</b>	<b>53</b>
ა. ზოგადი მიმოხილვა	53
ბ. „ბრალდების“ ავტონომიური ცნება	54
გ. საპროცესო მოქმედებები, რომლებზეც ვრცელდება მე-6 მუხლი	54
დ. საპროცესო მოქმედებები, რომლებზეც არ ვრცელდება მე-6 მუხლი	55
1. <i>Habeas corpus</i> პროცედურა	55
2. ქონების ჩამორთმევის ბრძანება	56
3. მართვის მონაბობის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა	57
4. საქმის გადასინჯვა	58
5. ექსტრადიცია	58
6. მოსამართლის მიუკერძოებლობის გასაჩივრება	58
<b>IV. მსხვერპლის უფლებები</b>	<b>58</b>
ა. ამოსავალი წერტილი	58
ბ. შეუსაბამობები	59
გ. პრეცედენტული სამართალი <i>პერეზის (Perez)</i> საქმემდე	61
დ. საქმე <i>პერეზი (Perez)</i> საფრანგეთის წინააღმდეგ	62
ე. კრიტიკული მიმოხილვა	63

## ნ ა ნ ი ლ ი მ ე ო რ ა

### ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს ზ ო გ ა დ ი გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ი

#### თ ა ვ ი 3

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება	66
<b>I. შესავალი</b>	<b>66</b>
ა. დებულებები	66
ბ. გარანტიის წარმოშობა	66
გ. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების მნიშვნელობა	67
დ. „სასამართლოს“ განსაზღვრება	68
ე. ევროპულ კონვენციაში მოცემული მითითება მოსამართლეზე, ტრიბუნალზე ან სასამართლოზე	69
ვ. ურთიერთკავშირი „დამოუკიდებლობის“, „მიუკერძოებლობისა“ და „კანონის	

საფუძველზე შექმნის” მოთხოვნებს შორის .....	70
<b>II. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო</b> .....	<b>71</b>
<b>III. დამოუკიდებლობა</b> .....	<b>74</b>
ა. მოსამართლის დანიშვნის წესი .....	75
ბ. მოსამართლედ დანიშვნის ვადა .....	76
გ. გარე ზენოლის სანიხაალმდეგო გარანტიები .....	77
დ. დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება .....	77
ე. დამოუკიდებლობის დამატებითი ასპექტები .....	78
1. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა .....	78
2. სასამართლოს ავტონომია .....	79
3. საჯარო მოხელეები, როგორც სასამართლოს წევრები .....	80
4. სამხედრო მოსამართლეები, როგორც საერთო სასამართლოების წევრები .....	81
<b>IV. მიუკერძოებლობა</b> .....	<b>83</b>
ა. განსაზღვრება .....	83
ბ. „ობიექტური“ და „სუბიექტური“ მიდგომა .....	83
გ. მიუკერძოებლობის არარსებობა პირადი მიკერძოების გამო .....	85
დ. მიუკერძოებლობის არარსებობა ობიექტური ტენციის საფუძველზე .....	88
1. მიუკერძოებლობის არარსებობა სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე მოსამართლის მონაწილეობის გამო .....	89
ა. როგორც პროკურორი .....	89
ბ. როგორც პოლიციის თანამშრომელი .....	91
გ. როგორც გამოძიებელი .....	91
დ. როგორც საბრალდებო დასკვნის მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანოს წევრი .....	95
ე. როგორც ბრალდებულის პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები .....	97
ვ. როგორც საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე .....	98
ზ. როგორც Conseil d'Etat-ის წევრი, რომელსაც გამოცემული აქვს მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით .....	99
თ. როგორც შეთავსებით სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებელი .....	100
ი. დასკვნა .....	101
2. მიუკერძოებლობის არარსებობა ერთ-ერთ მხარესთან სიახლოვის გამო .....	101
3. საპროცესო საკითხები .....	103
<b>V. დასკვნა</b> .....	<b>103</b>

## თავი 4

<b>სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი უფლება</b> .....	<b>104</b>
<b>I. შესავალი</b> .....	<b>104</b>
ა. დებულებები .....	104
ბ. გარანტიის წარმოშობა .....	105
გ. უფლების მნიშვნელობა და დანიშნულება .....	106
დ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოქმედების სფერო .....	108
ე. ურთიერთკავშირი ზოგად წესსა და სპეციალურ უფლებებს შორის: სამართალწარმოების „მთლიანობაში“ შეფასება .....	110
<b>II. შეჯიბრებითი პროცესის უფლება</b> .....	<b>114</b>
ა. პრინციპი და მისი მნიშვნელობა .....	114
ბ. განსაზღვრება .....	115
გ. გარანტიის დამახასიათებელი ნიშნები .....	115
დ. პრეცედენტული სამართალი .....	116
1. გენერალური პროკურორის წარდგინებები უმაღლეს ინსტანციაში .....	116

2. მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულება	117
ა. ბრალდების მიერ გასაიდუმლოებული მასალები	117
ბ. სასამართლოს მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება	119
<b>III. მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი</b>	120
ა. პრინციპი	120
ბ. განსაზღვრება	122
გ. თანასწორობის ასპექტები	123
1. თანასწორობის ფარდობითობა	123
2. სასამართლო მოსმენაზე ბრალდების დასწრების მნიშვნელობა	124
3. თანასწორობის აბსტრაქტული ღირებულება	124
დ. პრეცედენტული სამართალი	125
1. პროკურორის დასწრება სასამართლოს თათბირზე	125
2. ბრალდების პრივილეგირებული ინფორმაცია	127
ა. მომჩივნის ინფორმირება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში საქმის მოსმენის თარიღის შესახებ	127
ბ. მომხსენებელი მოსამართლის მიერ მომზადებული გადანყვეტილების პროექტის გადაცემა ბრალდებისთვის	128
<b>IV. სასამართლოს მოტივირებული გადანყვეტილების უფლება</b>	129
ა. სასამართლოს მოტივირებული გადანყვეტილების უფლების მნიშვნელობა და დანიშნულება	129
1. ფუნქციური ორიენტაცია	129
2. სამართლის თეორია	130
3. გადანყვეტილების მისაღებობა	130
4. გამჭვირვალობა	131
5. მოტივირებული გადანყვეტილების უფლება, როგორც მოსმენის უფლების ასპექტი	131
ბ. დასაბუთების სტანდარტები	133
გ. მოტივირებული გადანყვეტილების გამოტანის ვალდებულების ფარგლები	134
1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	134
2. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებები	135
დ. პრეცედენტული სამართალი	135
<b>V. სამართლიანობის სხვა ასპექტები</b>	137
ა. „Nullum iudicium sine lege“	137
ბ. დანაშაულის პროვოცირება	139
გ. „მორიგების“ იძულება	141
დ. ჩარევა არასასამართლო ხელისუფლების მხრიდან	142
ე. უსამართლობის სხვადასხვა ელემენტები	142
1. სამართლებრივი სიცხადე	142
2. სასამართლო განაჩენის პატივისცემა	143
3. Pro memoria	144

## თავი 5

<b>საჯარო სასამართლო განხილვის უფლება</b>	145
<b>I. შესავალი</b>	145
ა. დებულებები	145
ბ. გარანტიის წარმოშობა	147
გ. საჯარო სასამართლო განხილვის გარანტიის მიზანი	148
1. პრეცედენტული სამართალი	148
2. სასამართლოს თვალსაზრისის სისუსტე	150
3. ინდივიდუალური უფლება თუ ინსტიტუციური გარანტია?	150
4. სასამართლო გადანყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ვალდებულება	153

დ. საჯარო სასამართლო განხილვის უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა . . .	153
ე. დახურული სასამართლო განხილვის უფლება . . . . .	154
II. საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შემადგენლობა . . . . .	156
ა. უშუალო საჯაროობა . . . . .	156
ბ. მედიის როლი . . . . .	157
გ. საჯარო სასამართლო განხილვის შემადგენლობა . . . . .	158
III. შეზღუდვები და გამონაკლისები . . . . .	159
ა. ნაგულისხმები შეზღუდვები . . . . .	159
ბ. დებულებებში მოცემული შეზღუდვები . . . . .	160
გ. სააპელაციო სამართალწარმოება . . . . .	161
დ. საქმეები, რომლებშიც კონვენციის დარღვევა იქნა დადგენილი . . . . .	161
IV. სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება . . . . .	162

## თავი 6

გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება . . . . .	164
I. შესავალი . . . . .	164
ა. დებულებები . . . . .	164
ბ. გარანტიის წარმოშობა . . . . .	165
გ. გარანტიის დანიშნულება . . . . .	165
დ. სამართალწარმოებისა და წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა . . . . .	166
ე. განსახილველი საკითხები . . . . .	167
II. შესაბამისი ვადის ათვლის წერტილი . . . . .	168
ა. „ბრალდების წარდგენის“ ცნების „ავტონომიური“ ინტერპრეტაცია . . . . .	168
ბ. ზოგადი წესი . . . . .	168
გ. კონვენციის ძალაში შესვლამდე დაწყებული სამართალწარმოება . . . . .	170
III. შესაბამისი ვადის დასასრული . . . . .	171
IV. განვლილი ვადის შეფასება . . . . .	172
ა. ზოგადი წესი . . . . .	172
ბ. განმცხადებლის (და/ან დამცველის) ქმედება . . . . .	173
გ. საქმის მნიშვნელობა ბრალდებულისთვის . . . . .	175
დ. საქმის სირთულე . . . . .	176
ე. ხელისუფლების ორგანოების ქმედებები . . . . .	177
1. პრინციპი . . . . .	177
2. უსაფუძვლო მიზეზები . . . . .	179
3. საფუძვლიანი მიზეზები . . . . .	180
V. კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებისთვის . . . . .	180

## ნაწილი მესამე

### დაცვის სპეციალური უფლებები

## თავი 7

უდანაშაულობის პრეზუმფცია . . . . .	184
I. შესავალი . . . . .	184

ა. დებულებები	184
ბ. გარანტიის წარმოშობა	184
გ. გარანტიის ზოგადი მახასიათებლები და რამდენიმე ძირითადი განსაზღვრება	185
1. „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“	186
2. „ითვლება“	187
3. „უდანაშაულო“	187
ა. „Nullum crimen sine culpa“?	188
ბ. „უდანაშაულო“ თუ „არ ექვემდებარება სასჯელს“?	190
4. ბრალეულობის „დამტკიცება“	192
5. ბრალეულობის დამტკიცება „კანონის შესაბამისად“	193
დ. უდანაშაულობის პრეზუმფციის ორი განსხვავებული ასპექტი	194
ე. კავშირი უდანაშაულობის პრეზუმფციასა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სხვა ასპექტებს შორის	196
1. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მოსამართლის მიუკერძოებლობა	196
2. უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება	196
3. უდანაშაულობის პრეზუმფცია და ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება	197
4. უდანაშაულობის პრეზუმფცია და თვითინკრინინაციისგან დაცვის პრივილეგია	197
5. უდანაშაულობის პრეზუმფცია სამოქალაქო საქმეებში	198
ვ. გარანტიასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემები	198
<b>II. გარანტიის „შედგზე ორიენტირებული“ ასპექტები</b>	<b>198</b>
ა. მტკიცების ტვირთი	198
1. მტკიცების ტვირთი სამართალწარმოების დროს	199
2. მტკიცების ტვირთის შეტრუნება კანონმდებლობის საფუძველზე	200
ა. ბრალდებულის საზიანო იურიდიული პრეზუმფციები	200
ბ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვისი ქმედების გამო	203
გ. იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა	203
1. სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული პრობლემები	204
2. პირობითი მსჯავრის გაუქმება	205
ბ. მტკიცებულებების შეფასება	206
1. ზოგადი მიმოხილვა: „მოთხე ინსტანციის“ საკითხი	206
2. მიუკერძოებლობის საკითხი	206
ა. სასამართლოს მიუკერძოებლობა	206
ბ. სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა მიუკერძოებლობა	207
გ. მედია	209
3. უდანაშაულობის დასამტკიცებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არარსებობა	210
<b>III. გარანტიის „რეპუტაციასთან დაკავშირებული“ ასპექტები</b>	<b>210</b>
ა. შესავალი	210
ბ. წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული განცხადებები	210
გ. იძულების ღონისძიებები, წინასწარი პატიმრობა	211
1. პრინციპი	211
2. შეზღუდვები	211
ა. ზოგადი ასპექტები	211
ბ. წინასწარი პატიმრობის ბუნება	213
დ. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იმ საქმეებში, რომლებშიც სამართალწარმოება არ დასრულდა მსჯავრდებით და სასჯელის დანიშნით	214
1. გამართლების ეფექტი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე	214
2. სისხლისსამართლებრივი დევნის საპროცესო საფუძველით შეწყვეტის ეფექტი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე	218
ა. ხარჯების ანაზღაურებისა და მოსარჩელისთვის კომპენსაციის მიცემის ბრძანება	218



ბ. უარი კომპენსაციაზე .....	219
გ. ეჭვის არსებობის დადასტურება .....	221
3. განცხადებები, რომლებიც არ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეს .....	221
ე. შეფასება .....	222

## თავი 8

<b>ბრალდვის შესახებ ინფორმირების უფლება</b> .....	<b>225</b>
<b>I. შესავალი</b> .....	<b>225</b>
ა. დებულებები .....	225
ბ. გარანტიის წარმოშობა .....	225
გ. გარანტიის მიზანი .....	226
1. ფუნქციური მიდგომა .....	226
2. აბსოლუტისტური მიდგომა .....	226
3. პრეცედენტული სამართალი .....	227
4. შეფასება .....	227
დ. გარანტიის ორი ასპექტი .....	228
ე. გარანტიის სტრუქტურა .....	229
<b>II. არსებითი ელემენტები</b> .....	<b>229</b>
ა. ტერმინი „ბრალი“/„ბრალდება“ .....	229
1. პრეცედენტული სამართალი .....	230
2. სამართლის მეცნიერების მოსაზრებები .....	231
3. შეფასება .....	233
ბ. „არსი და საფუძველი“, „დანვრილებით“ .....	234
1. ფაქტები .....	234
2. სამართლებრივი კვალიფიკაცია .....	235
გ. უფლება, რომ „ეცნობოს“ .....	237
<b>III. ფორმასთან დაკავშირებული ელემენტები</b> .....	<b>239</b>
ა. ინფორმაციის მიწოდება წერილობით უნდა მოხდეს თუ არა? .....	239
ბ. ენა .....	240
გ. „დაუყოვნებლივ“ .....	241

## თავი 9

<b>საკმარისი დრო და შესაძლებლობები</b> .....	<b>242</b>
<b>I. შესავალი</b> .....	<b>242</b>
ა. დებულებები .....	242
ბ. გარანტიის წარმოშობა .....	242
გ. გარანტიის მიზანი და მნიშვნელობა .....	243
დ. გარანტიის ფარდობითი ხასიათი .....	245
1. ზოგადი ფარდობითობა .....	245
2. სპეციალური ფარდობითობა .....	247
3. გულმოდგინება, რომელიც დაცვის მოეთხოვება .....	248
<b>II. საკმარისი დროის არსებობის უფლება</b> .....	<b>250</b>
ა. გარანტიის მიზანი .....	250
ბ. გარანტიის ურთიერთკავშირი დაცვის სხვა უფლებებთან .....	250
1. „გონივრულ ვადაში“ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება .....	250
2. „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპი .....	251
3. ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება .....	251
4. პირადად ან არჩეული დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლება .....	252
გ. რას ნიშნავს „საკმარისი დრო“? .....	253

1. დროის რელევანტური პერიოდი	253
2. ტერმინ „საკმარისის“ შეფასება	254
3. წინადადებები	255
4. დაჩქარებული სამართალწარმოება	256
<b>III. საკმარისი შესაძლებლობების არსებობის უფლება</b>	<b>257</b>
ა. საქმის მასალების ხელმისაწვდომობა	257
1. ზოგადი მიმოხილვა	257
2. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის ოთხი ასპექტი	258
ა. საქმის მასალების ხელმისაწვდომობა კონტინენტურ სისტემაში	258
ბ. მტკიცებულებების წარდგენა საერთო სამართლის სისტემაში	259
გ. „აღფარული მასალების“ გამოღწევა	259
დ. დაცვის მიერ გამოძიების ჩატარება	261
3. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის მოდალობები	262
ა. ობიექტი	262
ბ. ვის მიუწვდება ხელი საქმის მასალებზე?	264
გ. როდის წარმოიქმნება ხელმისაწვდომობის უფლება?	266
დ. სხვადასხვა საკითხები	270
ბ. სხვა შესაძლებლობები	270
1. იურიდიული მასალების ხელმისაწვდომობა	270
2. მოტივირებული გადაწყვეტილება	271
3. კონსულსთვის შეტყობინების უფლება	271
4. სამედიცინო შემონაშების ხელმისაწვდომობა	272
5. მოსმენის გამართვის უფლება	273
გ. გამონაკლისები	273

## თავი 10

### პირადად და დამცველის დახმარებით თავის დაცვის უფლება

276

I. შესავალი	276
ა. დებულებები	276
ბ. გარანტიის წარმოშობა	277
გ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის სტრუქტურა	278
1. დაცვის უფლების მიზანი	279
ა. ტექნიკური ასპექტი	279
ბ. ფსიქოლოგიური ასპექტი	280
გ. ჰუმანიტარული ასპექტი	280
დ. დაცვის უფლების სტრუქტურული ასპექტი	281
2. დაცვის უფლების აბსოლუტური ხასიათი	281
ა. უფლება შეზღუდვების გარეშე?	282
ბ. დაუშვებელია ომის დროს უფლების დაცვისგან გადახვევა?	282
გ. გარანტია ირღვევა ზიანის არარსებობისას?	282
დ. შეიძლება თუ არა დარღვევას ჰქონდეს ადგილი, როდესაც ბრალდებული საბოლოოდ გამართლდა?	283
1. დაცვის უფლების მოქმედების სფერო	283
ა. იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს გარეთ	283
ბ. იურიდიული დახმარების უფლება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე	284
II. პირადად თავის დაცვის უფლება	286
ა. ბრალდებულის უფლება, იმოქმედოს თავის დასაცავად	286

1. ზოგადი წესი	286
2. სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება	287
ა. ზოგადი პრინციპი	287
ბ. დისციპლინურ მიზეზებთან დაკავშირებული გამონაკლისები	288
გ. დაუსწრებლად პირის გასამართლება	288
დ. ზემდგომი ინსტანციით საქმის განხილვაზე დასწრების უფლება	291
3. დაცვის კანონიერ ქმედებებთან დაკავშირებული შეზღუდვა	296
4. ფორმალობების დაცვა	297
ბ. ბრალდებულის უფლება, „თავი დაიცვას პირადად“	298
<b>III. არჩეული დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება</b>	<b>302</b>
ა. „პრაქტიკულად აბსოლუტური“ უფლება	302
ბ. დამცველებზე დანესებული შეზღუდვები	303
გ. დამცველთა რაოდენობაზე დანესებული შეზღუდვები	304
დ. ქონების კონფისკაცია და ბრალდებულის მიერ დამცველის არჩევის უფლება	304
<b>IV. იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება</b>	<b>306</b>
ა. ეკონომიკური წინაპირობა	307
ბ. მართლმსაჯულების ინტერესები	308
1. დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმე	310
2. საქმის სირთულე	311
3. სამართალწარმოების თავისებურებები	312
4. ბრალდებულის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები	312
გ. დამცველის არჩევა	313
დ. „უსასყიდლო“	314
<b>V. დამცველთან ურთიერთობის უფლება</b>	<b>315</b>
ა. პრინციპი	315
ბ. გამონაკლისები	318
გ. გამოძიების პროცესში დამცველთან ურთიერთობის უფლება	319
<b>VI. დამცველის ეფექტიანი დახმარების უფლება</b>	<b>323</b>
ბ. ეფექტიანი დახმარება წინასასამართლო სამართალწარმოებისას	326

## თავი 11

<b>მონათა ჩვენებების შემონების უფლება</b>	<b>329</b>
<b>I. შესავალი</b>	<b>329</b>
ა. დებულებები	329
ბ. გარანტიის წარმოშობა	330
გ. გარანტიის მიზანი	330
დ. გარანტიის ხასიათი	331
1. გარანტიის კავშირი ფაქტის დადგენასთან	332
2. გარანტიის ფარდობითი ბუნება	332
ა. <i>In abstracto</i>	332
ბ. სასამართლოს იურისპრუდენცია	333
გ. ჩვენების, როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა	335
დ. შეფასება	336
ე. უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა: გულმოდგინებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	337
ე. გარანტიის სრული დაცვის მოდელი	338
ვ. გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები	339
<b>II. „მონის“ ცნების განსაზღვრა</b>	<b>340</b>

ა. „მონმის“ ავტონომიური ცნება	341
ბ. მონმის კლასიკური ცნება	341
გ. მხარეები, როგორც მონმეები	341
დ. ინფორმატორები, როგორც მონმეები	342
ე. ექსპერტები	342
ვ. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის გამოყენება სხვა მტკიცებულებების მიმართ	344
<b>III. მონმის დაკითხვის უფლება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე</b>	<b>344</b>
ა. სასამართლო განხილვის დროს	344
ბ. წინასასამართლო სამართალწარმოების დროს	346
1. მონმე დაიკითხება მხოლოდ გამოძიების დროს	347
2. მონმის დაკითხვის უფლება წინასასამართლო ეტაპზე	348
გ. ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს	349
<b>IV. უფლების განხორციელება</b>	<b>349</b>
ა. ვის აქვს მონმის დაკითხვის უფლება?	349
1. დამცველი და ბრალდებული	349
2. მხოლოდ ბრალდებული	350
3. მხოლოდ დამცველი	350
ბ. როგორ უნდა განხორციელდეს მონმის დაკითხვის უფლება?	351
<b>V. მონმის ჩვენების შემონმების უფლების შეზღუდვები</b>	<b>352</b>
ა. ზოგადი მიმოხილვა	352
ბ. გამონაკლისების გამამართლებელი ვითარება	354
1. სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებელი მონმე	354
2. „ძვირფასი“ მონმე	356
3. დაშინებული მონმე	356
ა. ანონიმურობის გამართლება	357
ბ. ანონიმურობის დაბალანსების მეთოდები	359
4. ტრავმირებული მონმეები	361
გ. მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენება	363
<b>VI. მონმეთა გამოძახების უფლება</b>	<b>363</b>
ა. უფლების დამახასიათებელი ნიშნები	364
ბ. სასამართლოს თავმჯდომარის დისკრეტია	365
გ. სტრასბურგის სასამართლოს თავშეკავება	365
დ. პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარება	367
<b>VII. მხარეთა თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული ასპექტი</b>	<b>367</b>

## თავი 12

### თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება 368

<b>I. შესავალი</b>	<b>368</b>
ა. დებულებები	368
ბ. გარანტიის წარმოშობა	368
გ. გარანტიის მიზანი	369
1. თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლების ხასიათი და დანიშნულება	369
2. თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლების მნიშვნელობა და მიზანი	372
დ. გარანტიის „ფარდობითი“ და „აბსოლუტური“ ხასიათი	373
ე. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის კავშირი დაცვის სხვა უფლებებთან	374
1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი	374
2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი	374

3. მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი	375
<b>II. თარგმნის საჭიროება</b>	<b>375</b>
ა. ენის არასაკმარისი ცოდნა	375
ბ. დაქვეითებული სმენითი შესაძლებლობები	377
<b>III. თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლების მოდალობები</b>	<b>378</b>
ა. გარანტიის გამოყენება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე	378
ბ. „ <i>Ratione materiae</i> “: თარგმნის ობიექტები	378
1. თარგმნა სასამართლო განხილვის დროს	378
2. თარგმნა წინასასამართლო სამართალწარმოების დროს	379
3. დოკუმენტების თარგმნა	380
4. დამცველთან ურთიერთობა	381
გ. თარჯიმნის კვალიფიკაცია	381

## თავი 13

### თვითინაკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია 383

<b>I. შესავალი</b>	<b>383</b>
ა. დებულებები	383
ბ. ტერმინოლოგია	384
გ. პრივილეგიის წარმოშობა	384
დ. გარანტიის ხასიათი	385
1. დუმილის უფლება და თვითინაკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია	385
2. დუმილის უფლება და გამობატვის თავისუფლება	385
3. აბსოლუტური თუ ფარდობითი უფლება?	387
4. გარანტიის პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები	390
5. გარანტიის არსი	390
ა. ამოსავალი წერტილი	390
ბ. კავშირი შედეგზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებასთან	391
გ. უდანაშაულობის პრეზუმფცია	391
დ. ბრალდებულის ნების პატივისცემა	391
1. გარანტიის ფარგლები	392
ა. „ <i>Ratione materiae</i> “	392
ბ. „ <i>Ratione personae</i> “	392
<b>II. პრივილეგიის პირდაპირი შედეგი</b>	<b>393</b>
ა. დუმილის უფლება	393
1. დაცვა უშუალო ფიზიკური ზეწოლისგან	393
2. დაცვა მოტყუების წინააღმდეგ	393
3. გაფრთხილების უფლება	395
ბ. დოკუმენტების წარდგენაზე უარის უფლება	396
1. საქმე <i>ფუნკე (Funke) საჯრანგეთის წინააღმდეგ</i>	396
გ. გამონაკლისები	397
1. წვლილის შეტანა, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენებას	397
2. ვინაობის გამხელა	398
<b>III. პრივილეგიის არაპირდაპირი შედეგი</b>	<b>399</b>
ა. შესავალი	399
ბ. დუმილის საფუძველზე უარყოფითი დასკვნების გაკეთება	399
1. <i>ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ</i>	399
2. პრეცედენტული სამართალი <i>ჯონ მიურეის (John Murray) საქმის შემდეგ</i>	402
3. შეფასება	403

## თავი 14

<b>გასაჩივრების უფლება</b>	<b>404</b>
<b>I. შესავალი</b>	<b>404</b>
ა. დებულებები	404
ბ. გარანტიის წარმოშობა	404
გ. გასაჩივრების უფლების მიზანი	406
<b>II. გასაჩივრების უფლების წინაპირობები</b>	<b>408</b>
ა. „სისხლის სამართლის დანაშაული“	408
ბ. „მსჯავრდება“	408
გ. მსჯავრდება „სასამართლოს მიერ“	409
<b>III. პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა</b>	<b>410</b>
ა. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დისკრეცია	410
ბ. „ზემდგომი სასამართლო“	413
<b>IV. გამონაკლისები</b>	<b>413</b>
ა. წერილმანი დანაშაულები	414
ბ. უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით საქმის განხილვა	416
გ. პირის მსჯავრდება გასაჩივრების ეტაპზე	416

## თავი 15

<b>მცდარი მსჯავრდებისთვის კომპენსაციის უფლება</b>	<b>418</b>
<b>I. დებულებები</b>	<b>418</b>
<b>II. გარანტიის წარმოშობა</b>	<b>419</b>
<b>III. გარანტიის მიზანი და მნიშვნელობა</b>	<b>420</b>
<b>IV. მცდარი მსჯავრდებისთვის კომპენსაციის უფლების წინაპირობები</b>	<b>421</b>
ა. მსჯავრდება სისხლის სამართლის დანაშაულისთვის	421
ბ. მსჯავრდება	421
გ. მსჯავრდება უნდა იყოს საბოლოო	422
დ. სასჯელი	423
ე. სასჯელის აღსრულება	423
ვ. მსჯავრდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება	423
ზ. მსჯავრდების გაუქმება უნდა ემყარებოდეს ახალ გარემოებებს	424
თ. გარემოების დაფარვაში განმცხადებლის პასუხისმგებლობის არარსებობა	424
1. უდანაშაულობის დადგენა	425
<b>V. კომპენსაციის უფლება</b>	<b>425</b>
ა. კომპენსაციის არსი	425
ბ. კომპენსაციის უფლების ბენეფიციარი	426
გ. შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის (ან დამკვიდრებული პრაქტიკის) შესაბამისად	426

## თავი 16

<b>ერთი და იმავე დანაშაულისთვის ხელგეორად მსჯავრდების აკრძალვა</b>	<b>427</b>
<b>I. შესავალი</b>	<b>427</b>

ა. დებულებები	427
ბ. გარანტიის წარმოშობა	428
II. გარანტიის მიზანი და დანიშნულება	429
III. პრინციპი „ne bis in idem“ როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელი ელემენტი?	430
IV. გარანტიის მოქმედების სფერო	431
ა. ტერიტორიულობის პრინციპი	431
ბ. „Ratione materiae“	433
V. პირველი სასამართლო განხილვა	433
ა. გამართლება ან მსჯავრდება	434
ბ. გადაწყვეტილების „აბოლოო ხასიათი“	435
გ. „სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად“	436
VI. მეორე სასამართლო განხილვა	436
VII. იდენტური დანაშაულები	437
ა. იდენტური მიზანი	437
ბ. ერთი და იგივე პირი	438
გ. ერთი და იგივე ქმედება	438
1. ქმედების „სამართლებრივი“ და „ბუნებრივი“ მთლიანობა	439
2. ქმედება თუ შედეგი?	439
დ. ერთი და იგივე დანაშაული	440
ე. არის თუ არა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თანმიმდევრული?	440
1. გრადინგერის (Gradinger) და ოლივეირას (Oliveira) საქმეები	440
2. პრეცედენტული სამართლის კონსოლიდაცია	442
3. სისხლის სამართლის გააზრება	442
4. შეფასება	443
5. შეთავაზება	444
VIII. „ხელმეორედ დასჯა“	445
IX. გამონაკლისები	446
ა. ახალი გარემოებები	447
ბ. საპროცესო ხარვეზები	448
X. აბსოლუტური ხასიათი	448

## ნაწილი მეოთხე

### იძულების ღონისძიებები

#### თავი 17

#### აღამიანის თავისუფლება და ხელშეუხებლობა: თავისუფლების აღკვეთის წესები

450

I. შესავალი	450
ა. ზოგადი მიმოხილვა	450
1. დებულებები	450
2. პირადი თავისუფლების მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოების დროს	452
3. ამ თავის ფარგლები	453
4. გარანტიის სტრუქტურა	453

ბ. გარანტირებული უფლება	454
1. პირადი თავისუფლების ცნება	454
2. პირადი ხელშეუხებლობის ცნება	454
გ. ჩარევა: დაკავება და დაპატიმრება	458
1. განსაზღვრება	458
2. სივრცე	459
3. იძულება და უფლებაზე უარის თქმა	460
4. დრო	462
5. თავისუფლების აღკვეთის ცნების ფარდობითობა	464
<b>II. გამონაკლისები ადამიანის პირადი თავისუფლებიდან</b>	<b>465</b>
ა. ზოგადი ასპექტები	465
1. 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების სტრუქტურა	465
2. კანონიერების მოთხოვნები	466
ა. „კანონის“ მნიშვნელობა კონვენციაში	466
ბ. „კანონიერების“ სხვადასხვა ელემენტები მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში	467
გ. ევროპული სასამართლოს მიერ კანონის განხილვის ხარისხი	468
ბ. წინასწარი პატიმრობა: მე-5 მუხლი, 1(გ) პუნქტი	470
1. საფუძვლიანი ეჭვი	470
ა. ეჭვის ობიექტი	472
ბ. დანაშაულის ჩადენის ეჭვი	473
გ. როდესაც „საფუძვლიანად არის მიჩნეული [პირის მიერ] დანაშაულის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობა“	474
დ. როდესაც საფუძვლიანად არის მიჩნეული დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის მიმართ აღკვეთის აუცილებლობა.	475
2. „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე [პირის] წარდგენის“ მიზანი	475
3. წინასწარი პატიმრობის კანონიერების სპეციალური ასპექტები	476
ა. კანონის არასაკმარისი სიზუსტე	477
ბ. „Male captus bene indicatus“?	479
გ. დაგვიანებული გათავისუფლება	481
4. აუცილებლობა	483
გ. დაპატიმრება მსჯავრდების შემდეგ: მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტი	484
1. ზოგადი მახასიათებლები	484
2. მსჯავრდება	484
ა. განმარტება	484
ბ. ბრალულობა	485
გ. საბოლოო განაჩენი	486
დ. მატერიალური დასაბუთება	486
ე. მე-6 მუხლთან შესაბამისობა	487
3. უფლებამოსილი სასამართლო	488
4. კავშირი მსჯავრდებასა და დაპატიმრებას შორის სიტყვით „შემდეგ“	489
5. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა	492
დ. დაპატიმრება სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობისთვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად	492
1. დაპატიმრება „კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობისთვის“	493
2. დაპატიმრება „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“	493
ე. არასრულწლოვანის დაპატიმრება	495
1. „არასრულწლოვანი“	495
2. აღმზრდელობითი მიზანი	495
3. არასრულწლოვანის წინასწარი პატიმრობა	496
4. არასრულწლოვანისთვის თავისუფლების აღკვეთა	496
ვ. დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და სოციალურად არადადაპირებული პირების დაპატიმრება	496



1. დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად	497
2. სულით ავადმყოფები	498
ა. ზოგადი მიმოხილვა	498
ბ. სამი წინაპირობა	498
გ. ფსიქიკური დაავადების მტკიცებულება	498
დ. საფრთხის ელემენტი	499
ე. გაგრძელების ელემენტი	500
3. დაპატიმრების ადგილი	500
4. ალკოჰოლიკები და ნარკომანები	501
5. მანანნალები	501
ზ. დაპატიმრება ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, დემორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.	501
1. დაპატიმრება ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად	501
2. დაკავება ან დაპატიმრება დემორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.	502
ა. გამოწვევის ფორმალური ხასიათი	502
ბ. პატიმრობის ხანგრძლივობის შეზღუდვა ე) ქვეპუნქტის საფუძველზე	503

## თავი 18

### იმ პირთა უფლებები, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი

I. დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლება	505
ა. შესავალი	505
1. დებულებები	505
2. გარანტიის მიზანი	505
3. უფლების დახასიათება ევროპული სასამართლოს მიერ	506
ბ. ინფორმირების უფლების ელემენტები	507
1. დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლების მოქმედების ფარგლები	507
2. ინფორმაციის ხასიათი	508
3. ინფორმაციის ადრესატი	509
4. დროის ელემენტი	510
5. ინფორმირების ფორმა	511
II. <i>Habeas corpus</i> პროცედურით სარგებლობის უფლება	512
ა. შესავალი	512
1. დებულებები	512
2. უფლების წარმოშობა და მიზანი	513
ა. <i>Habeas corpus</i> პროცედურით სარგებლობის უფლების წარმოშობა	513
ბ. გარანტიის მიზანი	514
3. განსახილველი საკითხები	515
ბ. <i>Habeas corpus</i> პროცედურით სარგებლობის უფლების მოქმედების ფარგლები	516
1. გარანტიის ავტონომიური ხასიათი	516
2. ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა	517
3. გარანტიის მოქმედება დროში	517
ა. დაუყოვნებლივი მოქმედება	517
ბ. ვათავისუფლება <i>habeas corpus</i> პროცედურის მოლოდინში	518
4. <i>Habeas corpus</i> პროცედურა, როდესაც დაპატიმრება სასამართლოს ბრძანებით განხორციელდა	520
ა. „ინკორპორირების დოქტრინა“	520
ბ. შემდგომი განვითარება	522
5. გამოწვევის ფორმალური ხასიათი	522
ა. „სულით ავადმყოფობასთან“ დაკავშირებული პატიმრობა	522

ბ. სახიფათო მსჯავრდებულების პატიმრობა	523
გ. არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის განკუთვნილი სასჯელი	526
დ. დაკავება ჯარიმის გადაუხდელობისთვის	527
გ. სასამართლო კონტროლის ფარგლები მე-4 პუნქტის საფუძველზე	527
1. ზოგადი მიმოხილვა	527
2. უფლების დაცვის არაეფექტიანი საშუალებები	529
3. ეროვნული უშიშროების საკითხები	531
დ. საპროცესო მოთხოვნები	531
1. შესავალი	531
2. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება	532
ა. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	532
ბ. გათავისუფლების უფლებამოსილება	535
3. საპროცესო უფლებები	536
ა. ზეპირი განხილვის უფლება	536
ბ. მხარეთა თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითი პროცესი	538
გ. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლება	539
დ. იურიდიული დახმარების უფლება	541
ე. „Pro libertate“ პრეზუმფცია?	543
ვ. გასაჩივრების უფლება	544
ზ. რამდენიმე განცხადების წარდგენის უფლება	544
4. სისწრაფის მოთხოვნა	546
ა. დროის ელემენტთან დაკავშირებული საკითხები	546
ბ. პრეცედენტული სამართალიდან მოყვანილი მაგალითები	548
გ. სამართლებრივი დაცვის საშუალებების სიმრავლე	551
III. კომპენსაციის უფლება	552
ა. შესავალი	552
1. დებულებები	552
2. უფლების დახასიათება	552
ბ. კომპენსაციის წინაპირობები	553
1. დაპატიმრება, რომელიც „არაკანონიერია“, ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის დებულებებს	553
ა. ზოგადი მიმოხილვა	553
ბ. როდესაც კონვენცია არ არის ძალაში შესული	554
გ. საპროცესო პრობლემები	555
2. ზიანი	556
გ. კომპენსაციის ოდენობა	557

## თავი 19

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების საქციალური უფლებები	559
I. შესავალი	559
ა. დებულებები	559
ბ. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის განკუთვნილი სპეციალური გარანტიების დასაბუთება	560
გ. სხვა გარანტიები	561
II. მოსამართლის წინაშე წარდგენის უფლება	562
ა. უფლების მიზანი და ხასიათი	562
ბ. მოსამართლე ან „სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელე“	565
1. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	565
2. გათავისუფლების ბრძანების გაცემის უფლებამოსილება	568

ბ. „დაუყოვნებლივ“	569
1. განსახილველი დროის პერიოდი	570
2. დროში შეზღუდვა	570
დ. სამართალწარმოება მოსამართლის წინაშე	572
1. ზეპირი განხილვის საჭიროება	572
2. ინფორმაციის მიღების აუცილებლობა	572
3. დამცველის დახმარების უფლება	573
4. მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება	573
ე. საგანგებო მდგომარეობის რელევანტურობა	573
<b>III. წინასწარი პატიმრობის ვადის შეზღუდვა</b>	<b>574</b>
ა. ზოგადი მიმოხილვა	574
ბ. განსახილველი ვადა	577
1. ვადის დასაწყისი	577
2. ვადის დასასრული	577
3. ვადის დენის შეწყვეტა	579
გ. გონიერულობის კრიტერიუმი	580
1. პატიმრობის გაგრძელების „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძვლები	582
ა. მიმალვის საფრთხე	583
ბ. მტკიცებულებების განადგურებისა და მონეების მოსყიდვის საფრთხე	584
გ. საიდუმლო გარიგების საფრთხე	585
დ. დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე	585
ე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა	586
ვ. განმცხადებლის დაცვის საჭიროება	586
2. საფუძვლები, რომლებიც არ არის რელევანტური ან საკმარისი პატიმრობის გაგრძელების გამართლებისთვის	587
ა. დანაშაულის სიმძიმე	587
ბ. გამოძიების ინტერესები	587
3. „განსაკუთრებული გულმოდგინება“ და სამართალწარმოების მიმდინარეობა	587
<b>IV. გათავისუფლება გირაოს სანაცვლოდ</b>	<b>592</b>
<b>V. ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა</b>	<b>594</b>

## თავი 20

<b>სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული სხვა ძირითადი უფლებები</b>	<b>595</b>
<b>I. შესავალი</b>	<b>595</b>
ა. ამ თავში განხილული საკითხები	595
ბ. ზოგადი მიდგომა	595
<b>II. ჩარევა პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში</b>	<b>596</b>
ა. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ძირითადი სტრუქტურა	596
1. დებულებები	596
2. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ელემენტები	597
ბ. პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების დაცვის საერთო ელემენტები	597
1. კანონიერების მოთხოვნა	598
2. ლეგიტიმური მიზანი	601
3. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში	601
<b>III. თვალთვალი და კომუნიკაციებში ჩარევა</b>	<b>602</b>
ა. შესავალი	602
ბ. წერილობითი კორესპონდენცია	604
1. პრეცედენტული სამართალი	604
2. პატიმართა მიმოწერასთან დაკავშირებული პრინციპები	604

IV. თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით	607
ა. პირადი ცხოვრების ფარგლები ამ კონტექსტში	607
ბ. ჩარევა	607
გ. სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები	610
დ. ჩარევის ფარგლები	613
ე. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში	613
ვ. შემდგომი შეტყობინება	614
V. ინფორმაციის შენახვა	615
ა. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მოქმედება	616
ბ. ჩარევა	616
გ. ჩარევის გამართლება	617
1. სამართლებრივი საფუძველი	617
2. ჩარევის მიზანი	618
3. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში	618
VI. საიდუმლო აგენტები	618
VII. ჩხრეკა და ამოღება	619
ა. ჩარევა „საცხოვრებლის“ პატივისცემის უფლებაში	620
ბ. სამართლებრივი საფუძველი	621
გ. ჩარევის მიზანი	621
დ. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში	621
VIII. საკუთრების დაცვა	623
ა. დებულებები	623
ბ. შესავალი	623
გ. კონფისკაცია	624
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>625</b>

ნაწილი პირველი

შესავალი

# თავი 1

## წიგნის შესახებ

In tutte le parti del mondo, là dove si comincia col negare le libertà fondamentali dell'Uomo, e l'uguaglianza fra gli uomini, si va verso il sistema concentrazionario, ed è questa una strada su cui è difficile fermarsi.

პრიმო ლევი<sup>1</sup>

### I. საგანი

წინამდებარე წიგნი შეეხება ადამიანის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ, საერთაშორისო და რეგიონალური სამართლის საფუძველზე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემზღვეველ სახელმწიფოთა ძალაუფლების შეზღუდვის გზებს, რომლებიც განსაზღვრავენ კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ სადამსჯელო სანქციების გამოყენების წინაპირობებს.

#### ა. განსაზღვრებები

წიგნის საგანი მოიცავს ორ განსხვავებულ ელემენტს და კარგი იქნება, თუ თავდაპირველად განვსაზღვრავთ მათ მნიშვნელობას. ამის მიზანია არა სამეცნიერო ამბიციის დაკმაყოფილება „ადამიანის უფლებებისა“ და „სისხლის სამართლის პროცესის“ ცნებების ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრით, არამედ წიგნის შინაარსის განმარტება.

##### 1. „ადამიანის უფლებები“

წიგნში ტერმინი „ადამიანის უფლებები“ გამოყენებულია პოზიტივისტური გაგებით იმ უფლებების აღსანიშნავად, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (მისი საყოველთაო გამოყენების მისწრაფებით), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (ძირითადად მოიხსენიება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით (ასევე ცნობილი როგორც სან ხოსეს პაქტი).

ცხადია, რომ ეს არის საკმაოდ ვიწრო მიდგომა. არსებობს უამრავი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება<sup>2</sup>. ისინი უკავშირდება ცალკეულ პრობლემებს, როგორცაა დისკრიმინაცია, ან განსაკუთრებით დაუცველ პირთა სპეციალურ ჯგუფებს. ასეთები არიან ბავშვები და თავისუფლებაალკვეთილი პირები. უენევის კონვენციებით კოდირებული

<sup>1</sup> *Se questo è un uomo, La tregua* (1989) 338 („მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც იწყება კაცობრიობის თავისუფლებათა საფუძვლებისა და ადამიანებს შორის თანასწორობის უარყოფა, მიედღივართ საკონცენტრაციო ბანაკების სისტემისკენ და ეს არის გზა, რომელზე გაჩერებაც რთულია“).

<sup>2</sup> ტრევესელი (2000).

ომის წარმოების სამართალი იცავს ადამიანის უფლებებს, როგორც მინიმუმ, მე-3 მუხლის საფუძველზე, რომელიც საერთოა ოთხივე კონვენციისთვის.

1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან მოყოლებული, საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა, შემუშავდა უამრავი დეკლარაცია, რეზოლუცია და რეკომენდაცია (ეს თარიღი მთელ მსოფლიოში აღინიშნება, როგორც ადამიანის უფლებათა დღე). გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული მრავალი დოკუმენტი, რომელთაგან არაერთი, მათ შორის *Amnesty International* და ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თვით სამართლის ცალკეულ დარგებზე მომუშავე ასოციაციების საქმიანობა, როგორცია სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია, ცნობილი როგორც *Association Internationale de Droit Pénal (AIDP)*, მოიცავს ადამიანის უფლებებს. იგივეს თქმა შეიძლება პროფესიულ ორგანიზაციებზე. გამოცემა სახელწოდებით „მნიშვნელოვანი ტექსტები ადამიანის უფლებების შესახებ პოლიციისთვის: საერთაშორისო აქტების კრებული“<sup>3</sup> ჩამოთვლის არანაკლებ 39 დოკუმენტს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან დაწყებული და პროკურორთა როლის შესახებ სახელმძღვანელოთი დამთავრებული, რომელიც მიღებულ იქნა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის თაობაზე გამართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მერვე კონგრესის მიერ ჰავანაში 1990 წლის 27 აგვისტო-7 სექტემბერს.

ყველა ეს დოკუმენტი უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა წინამდებარე წიგნის საგანია *სამართალი*. მისი სახელწოდება შეიძლებაოდა ყოფილიყო *სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების სამართალი*, რაც უფრო ზუსტი იქნებოდა, მაგრამ, ამავედროულად, მძიმე და უღამაზო. სამართალში იგულისხმება ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ვითარდება სასამართლოების მიერ მათი გამოყენების შედეგად. წიგნის კონტექსტში „ადამიანის უფლებები“ ნიშნავს იმ სწრაფად მზარდ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც უკავშირდება აქ განხილული სამი ინსტრუმენტის რამდენიმე ძირითად მუხლს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ ნორმატიული ტექსტი, ჩვეულებრივ, ვერ ახდენს რაიმე არსებით გავლენას ფაქტობრივად არსებულ ვითარებაზე. კომუნისტური ქვეყნების უმრავლესობას ჰქონდა საკმაოდ კარგი გამოცდილება ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტების რატიფიცირების თვალსაზრისით. თუმცა ამ ქვეყნებში არსებული რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული იყო. წინამდებარე წიგნი შეეხება ადამიანის უფლებებს, რომლებიც ფაქტობრივად გამოიყენება სასამართლო ან კვანისასამართლო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ. ეს აგრეთვე უკავშირდება ჩემს, როგორც ადამიანის უფლებათა სპეციალისტის, თვალთახედვას, რომელზეც შემდგომში გვაკეთებ კომენტარს.

## 2. სისხლის სამართლის პროცესი

ტერმინი „სისხლის სამართლის პროცესი“ მოიცავს სახელმწიფო ორგანოთა ქმედებებს, დაწყებული პოლიციით და დამთავრებული საკონსტიტუციო სასამართლოთი, რომელთა ამოსავალი წერტილია დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობა. ეს ქმედებები სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდება, მაგალითად, მოკვლევა, გამოძიება, ბრალდება, განაჩენი ან გასაჩივრება. სისხლის სამართლის პროცესის არსი კარგად არის განსაზღვრული, თუმცა არსებობს მისი იმპლემენტაციის უამრავი გზა და საშუალება, მათ შორის სახელმწიფო ორგანოთა მონყობა და

<sup>3</sup> კროშო და პოლსტრომი (2001).

სხვადასხვა უწყებებს შორის ფუნქციების განაწილება, სასამართლო განხილვის ორგანიზაცია და გასაჩივრების მრავალი კუმულატიური ან ალტერნატიული შესაძლებლობა. ხშირად ამბობენ, რომ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის ორი მოდელი. პირველი, ანგლოსაქსური, რომელიც გულისხმობს ორი მხარისა და ნეიტრალური არბიტრის სახით მოსამართლის არსებობას. მეორე, კონტინენტური სისტემა, რომელიც მოწყობილია ინკვიზიციური პროცესის საფუძველზე და რომლის მოსამართლე უფრო აქტიურ, ერთგვარ პატერნალისტურ ფუნქციას ასრულებს. თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალი უფრო ორი მოდელის დაახლოების მიმართულებით ვითარდება, სადაც შეჯიბრებითობის პრინციპი ნამყვან როლს ასრულებს. ახლად შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის მსოფლიო მასშტაბით მისაღებ მოდელზე კომპრომისის მიღწევის მცდელობის შედეგი.

### 3. შეზღუდვები, გამონაკლისები

შეუძლებელია წიგნის საგნის განსაზღვრა მხოლოდ პოზიტიური აღწერილობით. მნიშვნელოვანია ასევე იმ საკითხების ხსენება, რომლებსაც წიგნი არ მოიცავს. ასეთი საკითხი უამრავია, თუმცა მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. უნდა ვაღიაროთ, რომ არის თემები, რომელთა განხილვა შესაძლებელი იყო, თუმცა გამოტოვებულია პრაქტიკული მიზეზების, მათ შორის, დროში არსებული შეზღუდვებისა და გარკვეულ ეტაპზე გაჩერების აუცილებლობის გამო. პერფექციონიზმს საზღვრები არ აქვს.

#### ა. ადამიანის უფლებების იმპლემენტაციის წესი

ადამიანის უფლებების მიმართ ისეთი მიდგომა, რომელიც კონცენტრირებულია სასამართლო წესით განმარტებულ და ეროვნული იურისდიქციების მიერ იმპლემენტირებულ უფლებებზე, რომლებიც შეიძლება ინკორპორირებულიც იყოს ეროვნულ სამართალში, უნდა უკავშირდებოდეს შესაბამისი ინსტრუმენტის შესრულების მექანიზმებს. შესაბამისად, მკითხველი შეიძლება მოელოდეს წინამდებარე წიგნში მათ აღწერასა და განხილვას. თუმცა ელემენტარული შესავალი ამ საკითხზე მოითხოვდა დამატებით ორმოცდაათ ან ას გვერდს. ასევე საჭირო გახდებოდა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვისა და ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების სამართლის სტატუსის საკითხების განხილვა. შესაბამისად, გადაწყვეტილება იქნა მიღებული ამ სფეროს გამოტოვების შესახებ. მკითხველს შეუძლია ისარგებლოს უკვე არსებული მდიდარი ლიტერატურით, რომლის წყაროებიც იქნება მოცემული.

#### ბ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

წინამდებარე წიგნი არ შეეხება საერთაშორისო სისხლის სამართალს. ამიტომ აქ ვერ იხილავთ რომის წესდების საფუძველზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის წესის მიმოხილვას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წესი შემუშავდა ადამიანის უფლებების სამართლის პატივისცემის განზრახვით, მის წყაროდ მაინც ვერ ჩაითვლება. რუანდისა და იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალების პრეცედენტული სამართალი მკვლევარების დიდი ინტერესის საგანია. მე მოველი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ანალოგიურად მონადინებული იქნება დაიცვას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და ამ თვალსაზრისით წინამდებარე წიგნი შეიძლება მცირე დახმარებად ჩაითვალოს.



გ. სისხლისსამართლებრივი დევნა ბავშვებისა და არასრულწლოვნების წინააღმდეგ

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში მოცემული ნესების პარალელურ დებულებებს, რომლებიც არეგულირებს სამართალწარმოებას დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ბავშვების მიმართ. მრავალ ქვეყანაში ასევე ეხედებით ამ საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ ნესებს ან თვით სპეციალურ კანონმდებლობას. ეს თემა მნიშვნელოვანი და თანაბრად საინტერესოა. მასვე უკავშირდება სრულწლოვანთა მიმართ ადამიანის უფლებების „ლიბერალური“, ხოლო ახალგაზრდების მიმართ „სოციალური“, კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების კოორდინირების კომპლექსური საკითხი.

ნიგნში განხილული იქნება პრეცედენტული სამართლის რამდენიმე ასპექტი, მაგალითად, მოსამართლის თანამდებობა<sup>4</sup>. თუმცა ამ საკითხს არ ეძღვნება სპეციალური თავი. მის განხილვას სპეციალისტებს მივანდობ.

დ. შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართალი

სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების სრულფასოვანი ანალიზი უნდა მოიცავდეს შიდასახელმწიფოებრივ პრეცედენტულ სამართალსაც.<sup>5</sup> მას ეროვნული სასამართლოები ავითარებენ და სწორედ მათი მოვალეობაა საერთაშორისო კონვენციების გამოყენება. ამ შემთხვევაშიც, სრულფასოვანი შედარებითი კვლევა შეუძლებელი იქნებოდა მასალის სიდიდის გათვალისწინებით.

ბ. საკითხის მნიშვნელობა

პირველ რიგში, უნდა გავეთვალისწინოთ რაოდენობრივი არგუმენტი. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ძალზე დიდი ნაწილი უკავშირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას. სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის შემთხვევაში სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დიდი ნწეხის ქვეშაა. ხშირ შემთხვევაში შესაბამისი ორგანოები გადატვირთული არიან სამუშაოს დიდი მოცულობით. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, რომ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ან არარელევანტური საკითხია.

ადამიანის უფლებების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში არ საჭიროებს ზედმეტ კომენტარს ან განმარტებას. სისხლის სამართლის პროცესი არის სფერო, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოებისა და ეჭვმიტანილი ინდივიდის სასიცოცხლო ინტერესები. რისკის ქვეშ დგება ადამიანის რეპუტაცია, ფინანსური მდგომარეობა, პირადი თავისუფლება და თვით სიცოცხლე (არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, არამედ იქ, სადაც უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება სასჯელად). საზოგადოებას, მეორე მხრივ, გააჩნია მნიშვნელოვანი ინტერესი წესრიგის, მშვიდობიანი თანაცხოვრების, ეროვნული უშიშროების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და პოტენციურ მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ. ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, როდესაც მსხვერპლი ითხოვს სამართალწარმოებაში მონაწილეობას.

აღნიშნული ინტერესების დაბალანსების პრობლემის გადაჭრისას ბევრი რამ დამოკიდებულია იმ სურათზე, რომელიც ამოსავალი წერტილის სახით

<sup>4</sup> ნორტიერი (Nortier) ნიდერლანდების წინააღმდეგ.

<sup>5</sup> ეროვნულ სამართალზე ევროპული კონვენციის გავლენის დეტალური მიმოხილვისთვის იხ. დუემჩესკი (1983).

გვაქვს წარმოდგენილი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს გულქვა კრიმინალების, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების სურათი, რომლებიც ყველაფერზე არიან ნამსვლელი, მათ შორის მოწმეთა მკვლელობაზე, მსჯავრდების თავიდან აცილების მიზნით; ან ეს შეიძლება იყოს ღამით ბარიდან სახლში მიმავალი პირის სურათი, რომელიც ქუჩაში მწოლიარე ადამიანის ახლოს გაივლის, ხელს შეახებს მას და იგრძნობს სისხლს, მიხედვით, რომ სისხლის გუბეში შეაბიჯა, პანიკაში ჩავარდება და გაიქცევა სახლში, თუმცა გამლელები შეამჩნევენ და იცნობენ, რაც მას დანაშაულში ეჭვმიტანილად აქცევს. დაბალანსების პროცესი ორივე შემთხვევაში, უნდა დასრულდეს სასარგებლო შედეგით.

კონფლიქტის ორი მხარე – ინდივიდი და საზოგადოება – აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბრალდებულის მოწინააღმდეგე არა მხოლოდ კარგად ორგანიზებული და აღჭურვილია, არამედ დიდ მორალურ უპირატესობას ფლობს. ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყევტილებით. ამას გვეუბნება ადამიანის უფლებების სამართალი. თუმცა პოლიცია, გამოძიებელი, რაც მთავარია, მედია და „ხალხი“ ეჭვმიტანილს დამნაშავედ მიიჩნევენ. დანაშაული კი მოითხოვს შურისძიებას, იმის მიუხედავად, რომ საქმეში ჩახედული და კეთილი განზრახვების მქონე ადამიანები უარყოფენ ამას და სისხლის სამართლის გამოყენებას ამართლებენ კრიმინალის გარდაქმნის მიზნით.

სახელმწიფოს მცდელობა, გამოიყენოს დანაშაულის კონტროლის მექანიზმები და შეამციროს სისხლის სამართალწარმოების ფინანსური ხარჯები, სრულიად ლეგიტიმურია. დანაშაულის შიში აბსოლუტურად გასაგებია. ამ რეალობის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებებს ხშირად დინების წინააღმდეგ უბდებათ მოძრაობა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან და უბრალო ადამიანებთან საუბრის დროს, ჩვენ გვიხდება ბრალდებულის უფლებების დაცვის გამართლება. ჩვენი მცდელობა უშედეგოდ დასრულდება ზედმეტი ენთუზიაზმის გამოჩენის, მსხვერპლის ტკივილისა და საზოგადოების დამოკიდებულების დაინყების შემთხვევაში. იგივე შედეგს მივიღებთ, თუ არ ვიქნებით თანმიმდევრულები.

სწორედ ამის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების ადგილი სისხლის სამართლის პროცესში სწორად განისაზღვროს და მათი გამოყენება მოხდეს თანმიმდევრულად, პრაგმატულად და თავშეკავებულად. ამ ამოცანისთვის წარმატებით თავის გათმევის შემთხვევაში, შეგვიძლია ვისაუბროთ ინტერესთა ერთგვარ დამთხვევაზე. კანონის უზენაესობაზე დამყარებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ორიენტირებულია არა მხოლოდ მსჯავრდებათა მაქსიმალური რაოდენობის მიღწევაზე ან მძიმე სასჯელების გამოყენებაზე, მისი დანიშნულებაა ასევე სამართლიანობის აღდგენა. ამ თვალსაზრისით, საპროცესო მართლმსაჯულება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულება<sup>6</sup>.

არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც აძლიერებს სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების საკითხის მნიშვნელობას, ეგრეთ წოდებული „ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ“. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თანამედროვე პერიოდი ხასიათდება ძალადობის ახალი ტალღით, რომელიც აშკარად უფრო მასშტაბურია, ვიდრე 1970-იან წლებში ევროპაში, კერძოდ, გერმანიასა და საფრანგეთში („*anni di piono*“), ნითელი არმიის დაჯგუფებებისა („*Rote Armee Fraktion*“) და ნითელი ბრიგადების („*brigade rosse*“) მიერ ჩადენილი ქმედებები. შეინიშნება ისეთ თავდასხმებზე გადამეტებული რეაგირების ტენდენცია, რომელიც

<sup>6</sup> ტრექსელი (1997).

განხორციელდა მსოფლიო საეაჭრო ცენტრზე ნიუ-იორკში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სამნუხარო მაგალითი მოგვცა არა მხოლოდ ერაყში ომის დანაშაულებით, არამედ გუანტანამოში ასობით ადამიანის გამოკეტვითა და მათთვის ადამიანის ელემენტარული უფლებების ჩამორთმევით. ნამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა იქნა გამოყენებული იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც წარსულში ამყობდა თავისი ლიდერობით დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროებში.

ამ კატასტროფული გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების როგორც მორალური უპირატესობის, ისე ფუნქციური ასპექტის დაცვა. შეუძლებელია არსებობდეს პატივისცემის მოლოდინი იმ პირების ან პირთა ჯგუფების მხრიდან, რომლებსაც ჩამორთმევენ ადამიანის უფლებებს. საბოლოო ჯამში, რელიგიურ ჯგუფებზე თუ ერებზე დომინირება შეუძლებელია მხოლოდ ძალის მეშვეობით, თვით ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც.

რასაკვირველია, ეს საკითხები სცილდება სისხლის სამართლის პროცესს. თუმცა სისხლის სამართლის პროცესი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისეთი სფეროა, რომელშიც ინდივიდის უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები უშუალო შეხებაში მოდის ერთმანეთთან. სწორედ აქ უნდა აჩვენოს სახელმწიფომ მაღალი იდეალების მიმართ ერთგულება და ძალის თავშეკავებული გამოყენების მზადყოფნა. ეს ნიგნი ამგვარი შეზღუდვების დეტალებს შეეხება.

## II. თვალთახედვები

ჩვენი საკითხისადმი მიდგომის მრავალი მეთოდი არსებობს. შესაბამისად, გამართლებულია და ხელს შეუწყობს ნიგნის უკეთ გააზრებას, თუ ავტორი ისაუბრებს საკუთარ წარმოდგენებზე, რომელთა გამიჯვნა შეუძლებელია მისი წარსულისგან. ეს არ ნიშნავს, რომ ნიგნი დანერგულია მკაცრად პირადი თვალთახედვის საფუძველზე. ავტორი მისიწრაფვის ისეთი გამოსავლების ძიებისკენ, რომლებიც ობიექტურად მართებული ან, როგორც მინიმუმ, დასაბუთებულია. თუმცა გულუბრყვილო იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ შესაძლებელია ასეთი ობიექტურობის სრულად მიღწევა. იმისათვის, რომ მოსაზრებები არ ტოვებდეს ძალზე პიროვნული ხასიათის შთაბეჭდილებას, მომავალში ავტორი მესამე პირში იქნება მოხსენიებული.

### ა. გეოგრაფიული თვალთახედვა

თავდაპირველი ჩანაფიქრი იყო ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის წარმოდგენა სამი „იურისდიქციიდან“, უნივერსალური (საერთაშორისო პაქტის საფუძველზე), ამერიკული და ევროპული, რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპული თვალთახედვა აშკარად სჭარბობს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

უპირველესად, ავტორი ევროპელია, უფრო კონკრეტულად, შვეიცარელი. გარდა ამისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ავტორი თითქმის საუკუნის მეოთხედის მანძილზე მუშაობდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში. ევროპული პრეცედენტული სამართლის ცოდნამ აშკარად დატოვა თავისი კვალი. თუმცა ძირითადი აქცენტი კეთდება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის გადაწყვეტილებების დიდ ნაწილზე გავლენა მოახდინა კომისიამ, თუმცა დღეს სასამართლო უკვე მარტო აგრძელებს მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ

სასამართლო ჯერ კიდევ ეყრდნობა კომისიის გადაწყვეტილებებს განაცხადების დასაშვებობის შესახებ, ძველი პრეცედენტული სამართალი ნელ-ნელა კარგავს თავის ღირებულებას.

თუმცა ნიგნში ევროპული სამართლისთვის მინიჭებული უპირატესობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ავტორის წარსულით. ობიექტურად, ევროპული ინსტიტუტების პრეცედენტული სამართალი გაცილებით აღემატება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ამერიკის შესაბამისი ორგანოების პრაქტიკას. დღემდე ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა 4300-ზე მეტი განჩინება და მიიღო 10000-ზე მეტი გადაწყვეტილება განაცხადების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ბევრმა განჩინებამ მიიღო მსოფლიო აღიარება და გამოიყენება ავტორიტეტულ წყაროებად ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ეს პრეცედენტული სამართალი იოლად ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

მიუხედავად იმისა, რომ ნიგნში მრავალი მითითება კეთდება საერთაშორისო და ამერიკულ პრეცედენტულ სამართალზე, ავტორს არ შეუძლია დამალოს და არც მალავს მის ევროპულ წარმომავლობას.

## ბ. სამართლებრივი თვალთახედვა

ავტორი მიიჩნევს, რომ ასევე მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი გამოცდილების მხედველობაში მიღება ორი კონკრეტული მიზეზის გამო.

პირველი, ავტორი განაფულის სისხლის მატერიალურ სამართალსა და სისხლის საპროცესო სამართალში. ეს არის საკითხები, რომლებსაც ის ასწავლიდა მთელი თავისი პროფესიული ცხოვრების მანძილზე და იყენებდა სახელმწიფო ბრალმდებლის, ხოლო პერიოდულად დაცვის ადვოკატის რანგში. ეს იმის ფონზე, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი ძირითადად განიხილება საერთაშორისო და საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტების სფეროდ. ავტორი არ გამოდგება ამ მოსაზრების დამადასტურებლად.

მეორე, ავტორი განაფულის „კონტინენტურ“ იურიდიულ ტრადიციაში, სისხლის საპროცესო სამართალში, რომელიც ახლოსაა ინკვიზიციურ მოდელთან. ეიმედოვნებ, რომ ნიგნი არ არის მიკერძოებული მიუხედავად ამისა. ავტორს გაუშარტლა, რადგან მოძებნა დამხმარე შოტლანდიიდან, სარა სამერსი, სამართლის ბაკალავრი, რომლის წვლილი ფასდაუდებელი აღმოჩნდა ავტორის მიერ საერთო სამართლის ცოდნაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში.

## გ. „პოლიტიკური“ თვალთახედვა

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რა უდევს საფუძვლად „პოლიტიკურ“ პერსპექტივაზე საუბარს იურიდიული პუბლიკაციის კონტექსტში. ავტორის მტკიცე რწმენით, შეუძლებელია სამართლისა და პოლიტიკის მკაფიოდ გამიჯვნა ერთმანეთისგან. ყველა იურიდიულ გადაწყვეტილებას აქვს თავისი პოლიტიკური ელემენტი, იმის მიუხედავად, აღიარებულია ეს თუ არა. სამართლის მეცნიერებამ განავითარა განმარტების მეთოდები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ, როგორც მინიმუმ გარკვეულ ფარგლებში, საყოველთაო აღიარების პრეტენზია, თუმცა შეიძლება რთული აღმოჩნდეს მათი გადატანა პრეცედენტული სამართლის სისტემაში. ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესების მკაცრად დაცვის შემთხვევაშიც, იურისტი საბოლოოდ მიდის იმ ზღვრამდე, როცა უნდა მოახდინოს შეფასება. შეიძლება მიზეზების მოყვანა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის, თუმცა ბოლომდე მისი განმარტება შეუძლებელია მხოლოდ

ლოგიკური დედუქციის გზით. ნებისმიერი შეფასება წარმოადგენს იმ ადამიანის გაგრძელებას, რომელიც მას აკეთებს. ამ ადამიანს გაკეთებული აქვს ძირითადი არჩევანი, იქნება ეს „პროგრესული“, „კონსერვატიული“, „ლიბერალური“ თუ „სოციალისტური“, კომბინაციების უსასრულო ვარიანტებით. ეს არჩევანი თავის წვლილს შეიტანს გადაწყვეტილებაში, რომელსაც ის მიიღებს.

ადამიანის უფლებების სფეროში შეიძლება გამოვეყოთ რამდენიმე ძირითადი მიდგომა.

არსებობს ადამიანის უფლებათა აქტივისტის მიდგომა. ეს არის მიდგომა, რომელსაც ხშირად იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და რომელიც მრავალი ფორმით არსებობს. ერთ უკიდურესობაში, აქტივისტები განიხილავენ ადამიანის უფლებებს თანდაყოლილ სიკეთედ, თაფლის თუ ფულის მსგავსად – რაც უფრო მეტი, მით უფრო კარგი. ასეთი დამოკიდებულება ხასიათდება ენთუზიაზმით, რომლის წვლილიც აღნიშვნის ღირსია მრავალი მნიშვნელოვანი განვითარების ხელშეწყობაში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ინსტრუმენტების მხარდაჭერაში. თუმცა ეს არ არის აუცილებლად ის მიდგომა, რომელსაც საჭიროებს ადამიანის უფლებათა მოქმედი სამართლის განმარტება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის პროცესის სფეროში და იურისპრუდენციის კონტექსტში, ვინაიდან ის ძალზე აზვიადებს ინდივიდის ინტერესების მნიშვნელობას საზოგადოების ინტერესების საპირისპიროდ.

მეორე უკიდურესობაში, „სახელმწიფოს იურისტი“ შეეცდება სტატუს კვოს, ტრადიციის, საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების და სხვა მსგავსი კონსერვატიული ფასეულობების დაცვას. ის გამოიჩენს დამოკიდებულებას, რომელიც გამიზნულია ეროვნული სამართლებრივი წესრიგის თავისებურებების, სამართლის ევოლუციის ნელი ტემპის და საერთაშორისო კონტროლის სუბსიდიარულობის შენარჩუნებისკენ.

ავტორი ადამიანის უფლებათა სამართალს პრაქტიკაში ძირითადად სასამართლო გარემოში იყენებდა, მიუხედავად იმისა, რომ კომისია კვაზი-სასამართლო ორგანოდ უნდა ჩაითვალოს თავისი მრავალმხრივი ფუნქციების გათვალისწინებით, როგორებიცაა განაცხადის დასამეგობობის განსაზღვრა (მხოლოდ ნეგატიური გადაწყვეტილებები იყო საბოლოო), ზოგჯერ ხანგრძლივი და კომპლექსური სამართალწარმოების გზით ფაქტების დადასტურება, განსაკუთრებით სახელმწიფოთაშორისი საქმეების დროს, კერძოდ *ირლანდია გვერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, ანგარიშის შედეგადა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსი იყო, თუმცა არასდროს ითვლებოდა საბოლოო გადაწყვეტილებად და *amicus curie*-ს სახით სასამართლოს წინაშე გამოსვლა. შედეგად, ავტორის მიდგომა ზემოთ აღწერილ მიდგომებს შორის მდებარეობს.

ამ ნიგნში შემოთავაზებული მოსაზრებები გამიზნულია პრაქტიკული გამოსავლების პოვნისთვის ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველსაყოფად. იმ მკითხველისთვის, რომელიც ადამიანის უფლებათა აქტივისტის დამოკიდებულებას იზიარებს, ასეთი მიდგომა იქნება იმედგაცრუების ტოლფასი – ავტორი ყოველთვის არ უჭერს მხარს დაცვისთვის მაქსიმალური უფლებების მინიჭებას. თუმცა „სახელმწიფოს იურისტი“ ასევე დარჩება იმედგაცრუებული, ვინაიდან ავტორს სჯერა რეფორმების და ძლიერ აქცენტს აკეთებს საპროცესო მართლმსაჯულებაზე მაშინ, როცა უსაფრთხოების ფასეულობა, რომელსაც მისდევენ სახელმწიფოები და უფრთხილდება ფართო საზოგადოება, უპირატესობას ანიჭებს შედეგზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებას და დამნაშავეობის კონტროლის ეფექტიანობას.

## დ. „მეცნიერული“ თვალთახედვა

ავტორს, როგორც პროფესორს, ასევე აქვს მეცნიერული ნაშრომის წარმოდგენის ამბიცია, თუმცა ეს ამბიცია მოკრძალებულია. მეცნიერული პერსპექტივიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა ორჯერ მეტი რაოდენობის გვერდების შემცველი ნიგნის დანერა. სასურველი იქნებოდა ამ საკითხზე ოდესმე გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაციის მხედველობაში მიღება, სხვა მეცნიერების ყველა მოსაზრების განხილვა. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო.

უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი, უდავოდ ძალზე ღირებული ნიგნი და სტატია არ არის ან მხოლოდ არასათანადოდ არის განხილული ნიგნში – ავტორი წინასწარ უხდის ბოდიშს თავის კოლეგებს. სხვა სიტყვებით, ეს ნიგნი არის კომპრომისი სრულფასოვან იურიდიულ ანალიზსა და პრაქტიკოსების სახელმძღვანელოს შორის. მაგალითად, ინფორმაცია გარანტიების წარმოშობის შესახებ ძირითადად აღებულია დევიდ ვეისბროტის ყურადსაღები ნიგნიდან, რომელიც შეესებოდა მანფრედ ნოაკის თანაბრად ანგარიშგასაწევ კომენტარებში ნაპოვნი მაგალითებით. ავტორი არ ამტკიცებს, რომ ამ მოკლე პარაგრაფებში საკუთარი კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

რასაკვირველია, ავტორის სათქმელი არ არის, დამახასიათებელია თუ არა ამ ნიგნისთვის რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, თუმცა ის იმედოვნებს, რომ მკითხველი აღმოაჩენს ზოგიერთ მათგანს. მათზე საუბრისას, პირველი, რაც თვალშისაცემია არის შემდეგი: საქმე გვაქვს კონტინენტურ ევროპულ იურისტთან, რომელიც მკითხველს ინგლისურ ენაზე მიმართავს. შეიძლება აქ იყოს, როგორც იტყვიან, ლამაზის სრუტესა და ოკეანეზე ხიდის გადების მსგავსი ინტერესი. ინგლისურენოვანი კოლეგების ნაშრომების განხილვისას, განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ავტორის მიერ სისტემური ნესრიგის გაზრდაზე გაკეთებული აქცენტი, მიდგომა, რომელზეც უდავოდ იქონია გავლენა გერმანულმა სამართლის მეცნიერებამ, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში.<sup>7</sup>

## III. ნიგნის სტრუქტურა

ნიგნის სტრუქტურა მარტივია და მიჰყვება ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებს, რომლებიც სტრუქტურულად ძალიან მსგავსნი არიან. ნიგნი იწყება ზოგადი საკითხების, კერძოდ, საპროცესო გარანტიების მოქმედების ფარგლებისა და კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების (რომლის რელევანტურობა სცილდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კონტექსტს) მიმოხილვით. ამას მოსდევს სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიის, მათ შორის ზოგადი გარანტიებისა და დაცვის სპეციალური უფლებების ანალიზი. ნიგნის მეოთხე ნაწილი კი შეეხება იძულების ღონისძიებებთან (მაგალითად, წინასწარი პატიმრობა, სატელეფონო მოსმენა) დაკავშირებულ ფუნდამენტურ უფლებებს.

<sup>7</sup> ამერიკელი მკითხველისთვის გერმანული დოქტრინის სტრუქტურული აზროვნების წარმოჩენის ბრწყინვალე მცდელობისთვის იხ. ფლეტჩერი (2000).

# თავი 2

## სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოქმედების სფერო სისხლის სამართლის საქმეებში

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

... მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის... განსაზღვრისას... ყველას...

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(1) მუხლი.*

... მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას...

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი.*

ყველა პირს... მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდების განხილვისას...

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(1) მუხლი.*

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები სრულიად იდენტურია. ამერიკული კონვენციის ავტორებმა, როგორც ყოველთვის, გადაწყვიტეს ამ ორი ინსტრუმენტისგან განსხვავებული ფორმულირების გამოყენება. მიუხედავად ამისა, არ არსებობს პრაქტიკული მნიშვნელობის სხვაობა „ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრასა“ და „ბრალდების განხილვას“ ან „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ და „სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდებას“ შორის.

#### ბ. დებულების მოქმედების სფეროსთან დაკავშირებული სამი ასპექტი

თავდაპირველად უნდა განიმარტოს ტერმინები „სისხლისსამართლებრივი“ და „ბრალდება“. რაც შეეხება „ყველას“ ან „ყველა პირს“, მათ განვიხილავთ სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის ადგილის კონტექსტში.

„სისხლისსამართლებრივსა“ და „ბრალდებას“ შორის არსებობს აშკარა სხვაობა. თუმცა სასამართლო მათ მკაფიოდ არ განასხვავებს და ხშირად „სისხლისსამართლებრივის“ კრიტერიუმს იყენებს მაშინ, როცა განიხილება, ნარდგინა თუ არა პირს ბრალდება<sup>8</sup>. გარდა ამისა, სპეციალური ნესები შემუშავდა

<sup>8</sup> შედრ. ფილოპსი (Phillips) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 30.

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებასთან მიმართებაში, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.<sup>9</sup>

## II. „სისხლისსამართლებრივის“ ცნება

### ა. ზოგადი მიმოხილვა

იმ პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად, სადაც კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა იქნა აღმოჩენილი, შეგვიძლია გამოვყოთ საქმეების ორი განსხვავებული კატეგორია. პირველი მოიცავს ჩვეულებრივ საქმეებს, რომლებშიც სისხლის სამართლის პროცესში არსებული სირთულეები უკავშირდებოდა კანონმდებლობის ხარვეზს, გაუფრთხილებლობას, თვითნებობას ან სხვა რაიმე მიზეზს. მეორეში კი ისეთი საქმეები შედის, რომელშიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თვალსაზრისით, ყველაფერი ნესრიგში იყო, თუმცა კონვენციის დარღვევა გამოიწვია ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით, გარკვეული საკითხები არ მიეკუთვნებოდა „სისხლის სამართლის“ საქმეთა ჯგუფს. ამ უკანასკნელ კატეგორიაში შემავალი საქმეების უმრავლესობა ჩაითვალა ადმინისტრაციულად, რადგან შეეხებოდა დისციპლინურ საკითხებს, წვრილმან დანაშაულებს ან ადმინისტრაციული ხასიათის გადაცდომებს, მათ შორის გადასახადებთან მიმართებაში. ასეთ საქმეებში კონვენციის დარღვევის დადგენა აიხსნება იმით, რომ ეროვნული სასამართლებიდან ხელისუფლების ორგანოები არც კი შეეცადნენ მე-6 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რადგან ჩათვალეს, რომ ის არ ერცელდებოდა.

შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ საკითხმა, თუ რას წარმოადგენს „სისხლის სამართლის“ საქმე, ასეთი დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის სასამართლო მექანიზმის ფარგლებში. საინტერესოა, რომ ეს საკითხი თითქმის არ განხილულა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის საფუძველზე<sup>10</sup> ანგარიშგების სისტემის ფარგლებში<sup>11</sup> და არც ადამიანის უფლებათა კომიტეტს მიუღია რაიმე გადაწყვეტილება „სისხლისსამართლებრივის“ ცნებაზე<sup>12</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, თვით „სამოქალაქო პროცესის“ სფეროში, ადამიანის უფლებათა კომიტეტი სტრასბურგის ორგანოების დიდ გავლენას განიცდის<sup>13</sup>. ამიტომ ამ თავში გაკეთებული აქცენტი ევროპულ პრეცედენტულ სამართალზე უნდა განვიხილოთ არა „ადგილობრივ შოეინიზმად“, არამედ უბრალო აუცილებლობად.

### ბ. „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ავტონომიური ცნება

არსებობს ორი შესაძლო პასუხი კითხვაზე, რა იგულისხმება „სისხლისსამართლებრივ ბრალდებაში“. პირველი ეყრდნობა საქმეში მოცემულ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ხოლო მეორე, კონვენციის გამოყენების მიზნებისთვის ცდილობს ახალი და ზოგადი განსაზღვრების ჩამოყალიბებას. თუმცა არასწორი იქნებოდა ამ ორ ვარიანტს შორის არსებული სხვაობის გადაფასება.

<sup>9</sup> იხ. თავი 7.

<sup>10</sup> ნოვაკი (1993), მე-14 მუხლი, N 13.

<sup>11</sup> იხ. მაკკოლდრიკი (1994), N 10.4. ამ ავტორის საპირისპირო შეხედულება შეეხება მხოლოდ „სამოქალაქო“ საქმეებს.

<sup>12</sup> *Ibid.*

<sup>13</sup> *Ibid.*, N 10.25.



შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი ავტონომიური ცნების შემუშავება, რომელიც არ უარყოფს ტრადიციულ კატეგორიებს ან სერიოზულად არ ერევა ეროვნული სამართლის ტრადიციებში. გადამწყვეტილებების დიდი უმრავლესობა შეეხება საქმეებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივად არის კლასიფიცირებული როგორც ეროვნულ, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში. სისხლის სამართალი, როგორც წესი, მოიცავს ქურდობას, მკვლელობას, გაუპატიურებასა და სხვა ტრადიციულ, ისევე როგორც შედარებით „თანამედროვე“ დანაშაულებს, მათ შორის ნარკოტიკების გასაღებასა და ფულის გათეთრებას. სხვა სიტყვებით, იმ დანაშაულებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ვხვდებით სისხლის სამართლის კოდექსებში<sup>14</sup>. სირთულეები წარმოიქმნება მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებიც სისხლის სამართლის საზღვარზე მდებარეობს.

რასაკვირველია, უფრო იოლია, თუ მთლიანად ეროვნული სამართლით ვიხელმძღვანელებთ. ეს მიდგომაც შეიძლება გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, ვინაიდან თვით ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეიძლება დავის საგანი იყოს, საკითხი „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათისაა თუ არა. თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემები არ არის ძალიან მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საფუძვლიანი მიზეზის გამო, სასამართლომ მეორე ალტერნატივა, ანუ ავტონომიური ცნების განსაზღვრა არჩია. სასამართლო ამ გზას თავისი იურისპრუდენციის ადრეულ ეტაპზე დაადგა. კერძოდ, *ნოიმაისტერის (Neumeister)* საქმეში, რომელშიც განხილული იქნა „ბრალდების“ ცნება<sup>15</sup>.

*ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* არის ნამყვანი საქმე „სისხლისსამართლებრივის“ დეფინიციის განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ საქმეში სასამართლომ, ისევე როგორც კომისიამ, ჩათვალა, რომ სამხედრო დისციპლინური სამართალწარმოება არ იყო „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის მე-6 მუხლის მნიშვნელობით. სასამართლომ განაცხადა, რომ

კონვენცია უდავოდ ნებას რთავს სახელმწიფოებს, როგორც საჯარო ინტერესის მეურვეებს, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, შეინარჩუნონ ან დაადგინონ სხვაობა სისხლის სამართალსა და დისციპლინურ სამართალს შორის და გააეღონ გამყოფი ზღვარი, თუმცა მხოლოდ გარკვეული პირობების საფუძველზე. კონვენცია ანიჭებს სახელმწიფოებს თავისუფლებას, სისხლის სამართლის დანაშაულად ჩათვალონ ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არ წარმოადგენს [კონვენციით] დაცული რომელიმე უფლების ჩვეულებრივ განხორციელებას... ასეთი არჩევანი, რომელიც შესაძლებელს ხდის მე-6 და მე-7 მუხლების გამოყენებას, არსებითად სასამართლო ზედამხედველობის ფარგლებს სცილდება.

საპირისპირო არჩევანი, თავის მხრივ, ექვემდებარება უფრო მაკრ წესებს. თუ ხელშემკერელ სახელმწიფოებს ექნებათ სისხლისსამართლებრივის ნაცვლად დანაშაულის დისციპლინურად კლასიფიცირების საშუალება ან „შერეული“ დანაშაულის ავტორის გასამართლების შესაძლებლობა დისციპლინურ ნიადაგზე, სისხლისსამართლებრივის მაგივრად, მე-6 და მე-7 მუხლების ფუნდამენტური პუნქტების მოქმედება დაექვემდებარება მათ სუვერენულ ნებას. ასეთ ფართო დისკრეციას შეუძლია გამოიწვიოს

<sup>14</sup> გრაბენვარტერი (1997) 90: მათ შეიძლება ეუნოდოთ „*Kernstrafrecht*“, ანუ სისხლის სამართლის ბირთვი.

<sup>15</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 18.

კონვენციის დანიშნულებისა და მიზნის საწინააღმდეგო შედეგების დადგომა. შესაბამისად, მე-6 მუხლის საფუძველზე სასამართლოს აქვს იურისდიქცია ... დარწმუნდეს, რომ დისციპლინური არაჯეროვნად არ ხელყოფს სისხლისსამართლებრივს<sup>16</sup>.

აქედან გამომდინარე, სასამართლო არ დაუშვებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლის მხრიდან რაიმე „ხრიკებს“, მე-6 მუხლის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. მისი მიზანი ხომ მთელ ევროპაში კონვენციის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაა. თუ ქვეყნები სრული თავისუფლებით ისარგებლებენ იმის განსაზღვრისას, რა საკითხები მიეკუთვნება სისხლის სამართალს, მე-6 მუხლის მოქმედების სფერო არსებითად განსხვავებული იქნება ხელშემკერული სახელმწიფოების მიხედვით. ეს კი ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას, რომელიც ევროპული კონსტიტუციის ბირთვის შექმნას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს მიდგომა მოწონებას იმსახურებს. აღსანიშნავია, რომ კონვენციის ინტერპრეტაციის პროცესში სტრასბურგის ორგანოებმა მოახერხეს შთამბეჭდავი რაოდენობის ავტონომიური ცნებების შემუშავება. სხვა მაგალითებია „ოჯახი“ და „საცხოვრებელი“<sup>17</sup>.

### გ. ენგელის (Engel) საქმეში ჩამოყალიბებული სამი კრიტერიუმი

ენგელის (Engel) საქმეში სასამართლომ მოახდინა იმ სამი კრიტერიუმის იდენტიფიცირება, რომელთა საფუძველზეც უნდა განისაზღვროს ბრალდება „სისხლის-სამართლებრივი“ ხასიათისაა თუ არა:

... პირველ რიგში უნდა გაირკვეს დებულება, რომელიც განსაზღვრავს ბრალდების სახით წაყენებულ დანაშაულს, მიეკუთვნება სისხლის სამართალს, დისციპლინურ სამართალს თუ ორივეს ერთად, მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მიხედვით. თუმცა ეს მხოლოდ ამოსავალი წერტილია. ამ გზით მიღებული მინიშნებები მხოლოდ ფორმალური და პირობითი ღირებულებისაა და უნდა შემონმდეს სხვადასხვა ხელშემკერული სახელმწიფოების შესაბამისი კანონმდებლობებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების გათვალისწინებით.

დანაშაულის ხასიათი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. როდესაც სამხედრო მოსამსახურეს ბრალად ედება ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება სამხედრო ძალების საქმიანობის მარეგულირებელ სამართლის ნორმას, სახელმწიფო არსებითად უფლებამოსილია, მის წინააღმდეგ გამოიყენოს დისციპლინური სამართალი და არა სისხლის სამართალი...

თუმცა სასამართლოს ზედამხედველობა აქ არ სრულდება. ასეთი ზედამხედველობა იქნებოდა მოჩვენებითი, რომ არ ითვალისწინებდეს

<sup>16</sup> ენგელი (Engel) და სხვები წიდერლანდების წინააღმდეგ, §81. ეს განცხადება მრავალჯერ გამოვლინდა სხვა საქმეებში. იხ. მაგალითად კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ოზლურკი (Özlürk) გერმანიის წინააღმდეგ, §49; Vastberga Taxi Aktiebolag და ვულიჩი (Vulic) შვედეთის წინააღმდეგ, §78; ეზე (Ezeh) და კონორსი (Connors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC), §83, 100; კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 16417/90; დემელი (Demel) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 30993/96; ლი (Lee) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 53429/99.

<sup>17</sup> პარისი, ობოილი და უორბრიჯი (1995) 303.

სასჯელის სიმძიმეს, რომელიც პირს ემუქრება. კანონის უზენაესობის მხარდამჭერ საზოგადოებაში „სისხლის სამართლის“ სფეროს მიეკუთვნება თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეიძლება სასჯელის სახით დაეკისროს პირს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავისი ხასიათით, ხანგრძლივობით და აღსრულების ფორმით ის არ შეიძლება იყოს არსებითად საზიანო. რისკის სერიოზულობა, ხელშემკერელ სახელმწიფოთა ტრადიციები და კონვენციის საფუძველზე ადამიანის ფიზიკური თავისუფლებისთვის მიკუთვნებული მნიშვნელობა, ყველაფერი ერთად მოითხოვს, რომ ასე იყოს...<sup>18</sup>

ოცი წლისა და აღნიშნული გადაწყვეტილების მრავალჯერ დადასტურების შემდეგ, ფორმულირება მნიშვნელოვნად გამარტივდა:

სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლის მნიშვნელობით „სისხლის-სამართლებრივი ბრალდების“ ცნება ავტონომიურია. ადრეულ პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ დაადგინა, რომ სამი კრიტერიუმი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იმის გასარკვევად, მე-6 მუხლის მიზნებისთვის პირს „სისხლის სამართლის დანაშაული ედებოდა ბრალად“ თუ არა. ესენია – დანაშულის კლასიფიკაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათი და იმ სასჯელის ხასიათი და სიმძიმე, რომელიც პირს ემუქრება...<sup>19</sup>

სასამართლო თანმიმდევრულად იყენებდა ამ სამელემენტო ტესტს<sup>20</sup>. ერთადერთი გამონაკლისი იყო საქმე *ბანდანუ (Bendenoun) საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>21</sup>, რომელშიც განხილვის საგანი იყო საგადასახადო სანქციები. მთავრობა ამტკიცებდა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, სანქცია ითვლებოდა „საგადასახადო სასჯელად“ და არა „სისხლისსამართლებრივ სასჯელად“. ხოლო განმცხადებლის ქმედება დახასიათებული იყო როგორც „მოტყუებით ჩადენილი ქმედება“ (*“manoeuvres frauduleuses”*) და არა „ფარული მიტაცება“ (*“soustraction frauduleuse”*). სანქციასთან დაკავშირებით მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ის იყო მხოლოდ ფულადი ხასიათის, გადაუხდელი გადასახადების პროპორციული და არ იწვევდა „ნამდვილი“ სისხლისსამართლებრივი სასჯელის მსგავს შედეგებს, მაგალითად, ნასამართლობას.

სასამართლომ თავდაპირველად ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოებს არაფერი უშლით ხელს, ადმინისტრაციულ ორგანოებს მიანიჭონ ჯარიმების დაკისრების უფლებამოსილება გადასახადების გადაუხდელობისთვის, „თუ გადასახადების გადამხდელს შეუძლია ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც მას შეეხება, გაასაჩივროს სასამართლოში, სადაც უზრუნველყოფილია

<sup>18</sup> *ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §82; იგივე ფორმულირება გამოიყენება საქმეებში *კემპელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §68, 69; *ეზე (Ezeh) და კონორსი (Connors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, §82.

<sup>19</sup> *AP, MP და TP შვეიცარიის წინააღმდეგ*, §39; *EL, RL და JO-L შვეიცარიის წინააღმდეგ*, §44; იხ. აგრეთვე *კულპაკო (Kulpakko) ფინეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 25761/94.

<sup>20</sup> კუიერი (2004) 126. ავტორი ერთმანეთისგან განასხვავებს სასჯელის ხასიათსა და სიმძიმეს და შედეგად მუთხე კრიტერიუმს აყალიბებს; ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, შესაძლებელია, თუმცა არა სასარგებლო, რადგან სასჯელის სიმძიმესა და ხასიათს შორის ძალზე მჭიდრო კავშირია, რაც რთულს ხდის მათ გამოიჯენას. ამ საკითხის დეტალური ანალიზისთვის იხ. ფეტერისი (1993) 252.

<sup>21</sup> *ბანდანუ (Bendenoun) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §45.

[მე-ნ მუხლით გათვალისწინებული] გარანტიები". ამის შემდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ ითვალისწინებდა მთავრობის მიერ მოყვანილი რამდენიმე არგუმენტის მნიშვნელობას, თუმცა უარყოფდა მათ შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, დანაშაულის ხასიათთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ის მოიცავდა ყველა მოქალაქეს, როგორც გადასახადების გადამხდელს, და არა სპეციალური სტატუსის მქონე ჯგუფს; მეორე, სანქციის მოქმედების სფეროზე სასამართლომ განაცხადა, რომ ის დასჯასა და პრევენციას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას; მესამე, სანქციები „დაკისრებული იყო ზოგადი ნების საფუძველზე, რომლის მიზანი პრევენციული და სადამსჯელოა;“ მეოთხე, სანქციის საფუძველზე გადასახდელი თანხა იყო საკმაოდ დიდი, თითქმის ერთ მილიონ ფრანგულ ფრანკს უტოლდებოდა და გადაუხდელობის შემთხვევაში განმცხადებელს ციხეში წასვლა ემუქრებოდა. სასამართლომ შეაფასა თითოეული არგუმენტი და მივიდა დასკვნამდე, რომ თუმცა ცალ-ცალკე არც ერთი მათგანი არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, „ერთობლიობაში და კუმულატიურად ისინი აქცევენდნენ მოცემულ „ბრალდებას“ „სისხლისსამართლებრივად“ მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით“.

ასეთი გადახვევა ადრეული იურისპრუდენციიდან, დიდი მეცნიერული დავის საგანი გახდა.<sup>22</sup> თუმცა მოგვიანებით განხილულ საქმეებში მსგავს განსხვავებულ მიდგომას ვეღარ ვპოულობთ. მართალია, გრაბენვარტერი მიიჩნევს, რომ სასამართლომ განაგრძო უფრო ზოგადი მიდგომის გამოყენება, მე ვერ აღმოვაჩინე რაიმე მნიშვნელოვანი განვითარება.<sup>23</sup> მაგალითად, საქმეში *პუტი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ* სასამართლო მოკლედ შეეხო „თავის პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებულ სამ კრიტერიუმს“ და არაფერი უთქვამს *ბანდანუს (Bendenoun)* საქმეში მიღებულ გადამწყვეტილებაზე.<sup>24</sup> გარდა ამისა, საკითხის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვაობა სინამდვილეში მინიმალურია. *ბანდანუს (Bendenoun)* საქმეში სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა ერთი მხრივ, განსახილველი სანქციის და მეორე მხრივ, კანონმდებლობის ზოგადი მოქმედების სფერო. თუმცა გაუგებარია რატომ ჩათვალა სასამართლომ საჭიროდ ამის გაკეთება.

კონკრეტული საქმის მიმართ პრეცედენტული სამართლის ადაპტირების მიზნით *ენგლის (Engel)* საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ითვალისწინებდა სამხედრო კონტექსტს, ხოლო *კემპბელის (Campbell)* და *ფელისა (Fell)* და *ეზეს (Ezeh)* და *კონორის (Connor)* საქმეები – ციხის დისციპლინას. ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლო ზედაპირულ დისკუსიაშიც კი ჩართო იმის შესახებ, რა იყო აუცილებელი ციხის დისციპლინის შენარჩუნებისთვის და მივიდა დასკვნამდე, რომ ყველაზე ეფექტიანი გზა არ იყო აუცილებლად პატიმრობის დამატებითი დღეების გამოყენება<sup>25</sup>. სასამართლომ ეს საკითხი განიხილა მხარეთა მოთხოვნით, თუმცა რთულია ამ საქმეში ასეთი დისკუსიის გამართლება. წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფოს „დასჭირდეს“ ისეთი სანქციის გამოყენება, რომელიც ჩაითვლება „სისხლისსამართლებრივად“ მე-ნ მუხლის მნიშვნელობით შესაბამისი საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე.

<sup>22</sup> გრაბენვარტერი(1997) 104.

<sup>23</sup> *Ibid.*, 105.

<sup>24</sup> *პუტი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §31.

<sup>25</sup> *ეზე (Ezeh) და კონორის (Connors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, §88, 89.

## დ. სამი კრიტერიუმის შინაარსი

### 1. დანაშაულის კლასიფიკაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე დანაშაულის კლასიფიცირების კრიტერიუმი არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მოპასუხე სახელმწიფოსთვის ძალზე რთული იქნება იმის მტკიცება, რომ გარკვეული დანაშაული არ არის „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის, როდესაც ის სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული. სასამართლო თავად აღნიშნავს, რომ „ეს ფაქტორი პირობითი ღირებულებისაა და მხოლოდ ამოსავალი ნერტილია“<sup>26</sup>. სასამართლოს არასდროს მიუნიჭებია მისთვის არსებითი მნიშვნელობა. სირთულეები წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედება არ არის კლასიფიცირებული „სისხლისსამართლებრივად“. მაგალითად, როდესაც ის დეკრიმინალიზაციას დაექვემდებარა<sup>27</sup>. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა გერმანული კანონმდებლობის ცოდნის დემონსტრირება და განაცხადა, რომ „არ არსებობს აბსოლუტური დაყოფა გერმანიის სისხლის სამართალსა და „რეგულაციური სამართალდარღვევების“ სამართალს შორის“<sup>28</sup>. საგადასახადო სამართალდარღვევები, როგორცაა შემოსავლების არასწორად დეკლარირება, ასევე მიეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს<sup>29</sup>. მეორე მხრივ, *კრემცოვის (Kremzow)* საქმეში კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისგან დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს და გადამწყვეტ ფაქტად ჩათვალა ის, რომ დისციპლინური სამართალწარმოება იყო განხილვის საგანი<sup>30</sup>.

### 2. დანაშაულის ხასიათი

ტაქსოლოგიის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაული „სისხლისსამართლებრივია“, თუ მისი ხასიათია „სისხლისსამართლებრივი“. პრეცედენტული სამართალი არ გვთავაზობს ამ ცნების განსაზღვრებას. თუმცა გარკვეული მინიშნებები შესაძლოა ამოვიკითხოთ სასამართლოს მცდელობიდან, განსაზღვროს დისციპლინური სამართალდარღვევები. წინასწარ და პირობით დეფინიციას მივყავართ დასკვნამდე, რომ ბრალდება „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათისაა, თუ ის უკავშირდება ნორმას, რომელიც ვრცელდება ყველაზე და არა პირთა შეზღუდულ ჯგუფზე, ამასთან, თუ დაკისრებული სანქცია, პირველ რიგში, ემსახურება სადამსჯელო მიზნებს<sup>31</sup>. შესაბამისად, წერილმანი დანაშაულები, მათ შორის ისინი, რომელთა დეკრიმინალიზაცია განხორციელდა, კვლავაც მიეკუთვნება სისხლის სამართალს<sup>32</sup>.

<sup>26</sup> ბენამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §55; ვებერი (Weber) შვეიცარიის წინააღმდეგ, §31; კემპბელი (Campbell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §71; რავნსბორგი (Ravnsborg) შვედეთის წინააღმდეგ, §47; დემიკოლი (Demicoli) მალტის წინააღმდეგ, §33; ტაილერი (Tyler) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 21283/93.

<sup>27</sup> ოზთურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ, §47.

<sup>28</sup> *Ibid.*, §51.

<sup>29</sup> ბანდანუ (Bendeoun) საფრანგეთის წინააღმდეგ; Vastberga Taxi Aktiebolag და ვულორი (Vulic) შვედეთის წინააღმდეგ; ჰოზე (Hozee) ნიდერლანდების წინააღმდეგ; JB შვეიცარიის წინააღმდეგ; იანოშევიჩი (Janosevic) შვედეთის წინააღმდეგ; ჰენინგი (Henning) ავსტრიის წინააღმდეგ.

<sup>30</sup> კრემცოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 16417/90.

<sup>31</sup> თუმცა ეს წინადადება საკმაოდ რისკიანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მრავალი ავტორი უარყოფს დასჯას, როგორც სისხლის სამართლის ლეგიტიმურ მიზანს.

<sup>32</sup> ეს მოსაზრება იყო გამოთქმული საქმეში ოზთურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ და

### ა. სამართალწარმოების ხასიათი

მეორე კრიტერიუმი, რომელიც უკავშირდება დანაშაულის ხასიათს, აძლიერებს „სისხლისსამართლებრივი“ ბრალდების ცნების ავტონომიურობას. სამწუხაროდ, ბენამის (Benham) საქმეში, დანაშაულის ხასიათზე საუბრის ნაცვლად, სასამართლო შეეხო სამართალწარმოების ხასიათს<sup>33</sup>. ასეთი მიდგომა საკმაოდ პრობლემურია, რადგან ერთმანეთში ურევს ორ განსხვავებულ საკითხს: მეორე კრიტერიუმის საფუძველზე უნდა გაირკვეს, სამართალწარმოება მე-6 მუხლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა; ხოლო განმცხადებლების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის მიზეზია ის, რომ მათი შეხედულებით, სამართალწარმოება არ აკმაყოფილებდა ამ გარანტიის მოთხოვნებს. სასამართლო დაეყრდნო რავნსბურგის (Ravnsborg) საქმეს, როდესაც განაცხადა, რომ „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების გარემოებები იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა თუ არა ბრალდების წარდგენას მე-6 მუხლის მნიშვნელობით“<sup>34</sup>. თუმცა სასამართლოს ეს განცხადება არ შეესაბამება ენგელის (Engel) საქმეში გამოთქმულ მოსაზრებას<sup>35</sup>.

### ბ. ზოგადი მიმოხილვა

როგორ არკვევს სასამართლო კონკრეტული სამართალდარღვევის ნიშნები სისხლისსამართლებრივი ხასიათისა თუ არა? ის ეყრდნობა შედარებით სამართალს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებში მიღებულ პრაქტიკას<sup>36</sup>. „შეფასების ფარგლების“ დოქტრინის დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს არის სასამართლოს ტრადიციული და შეიძლება ითქვას, ძირითადი მეთოდიც<sup>37</sup>.

სასამართლო იმ დანაშაულს იღებს მხედველობაში, რომელიც ბრალად ედებოდა განმცხადებელს თუ სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომლებიც საფუძველად უდევს გამოყენებულ სანქციას? მეორე ვერსია უფრო მეტად შეეფერება სიმართლეს. როგორც გრაბენვარტერი აღნიშნავს, სასამართლოსთვის ძირითადი ელემენტია გამოყენებული სამართლის ნორმის ხასიათი<sup>38</sup>.

### გ. დისციპლინური ბრალდების ხასიათი

ენგელის (Engel) საქმეში სასამართლოს არ უცდია დისციპლინური სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა. სასამართლო შემდეგი განცხადებით შემოიფარგლა: „როდესაც სამხედრო მოსამსახურეს ბრალად ედება ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება სამხედრო ძალების საქმიანობის მარეგულირებელ სამართლის ნორმას, სახელმწიფო არსებითად უფლებამოსილია, მის წინააღმდეგ გამოიყენოს დისციპლინური სამართალი და არა სისხლის სამართალი...“<sup>39</sup>

---

დადასტურდა საქმეებში ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ; გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ; შმაუტცერი (Schmautzer) ავსტრიის წინააღმდეგ; შფარმაიერი (Pfarrmeier) ავსტრიის წინააღმდეგ; პრამშტალერი (Pramstaller) ავსტრიის წინააღმდეგ; ულაუფთი (Umlauff) ავსტრიის წინააღმდეგ; კადუბეცი (Kadubec) სლოვაკეთის წინააღმდეგ; ლაოკო (Laoko) სლოვაკეთის წინააღმდეგ; იხ. აგრეთვე მიქაელ ჰორსტი (Michael Horst) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 25809/94; პეტერ ჰაუზერი (Peter Hauser) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 26808/95.

<sup>33</sup> ბენამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 56.

<sup>34</sup> რავნსბურგი (Ravnsborg) შვედეთის წინააღმდეგ, § 47.

<sup>35</sup> ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 84.

<sup>36</sup> გრაბენვარტერი (1997) 91; იხ. აგრეთვე პუტცი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ, § 33.

<sup>37</sup> იუროუ (1996) 195.

<sup>38</sup> გრაბენვარტერი (1997) 91.

<sup>39</sup> ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 82.

დისციპლინური სამართალდარღვევის ტიპური მახასიათებლები მოგვიანებით იქნა განსაზღვრული უფრო ზუსტად. პირველი დეტალური ანალიზი *ვებერის (Weber)* საქმეში გვხვდება, რომელშიც კომისიამ განაცხადა შემდეგი:

...კომისიის მოსაზრებით, სადავო ნორმის [სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი, რომელიც მხარეებს უკრძალავს გამოძიების საიდუმლოს გამხელას] მიზანია სისხლის სამართლის გამოძიების ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფა. შეეცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლისგან განსხვავებით, რომელიც ვრცელდება ყველაზე, მათ შორის იმ პირებზე, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გამოძიების პროცესში, 185-ე მუხლი... ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, მათ დამცველზე, დამცველის თანამშრომლებზე, ექსპერტ მონაწილესა და მონაწილეს. შესაბამისად, ეს ნორმა ვრცელდება მხოლოდ პირთა გარკვეულ ჯგუფზე, რომელთა საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ გამოძიების პროცესში არიან ჩართულნი და ამის გამო, ექვემდებარებიან სპეციალურ დისციპლინას. ის მჭიდრო კავშირშია გამოძიების პროცესის სპეციალურ დისციპლინასთან და არ ეხება საზოგადოების ზოგად ინტერესებს<sup>40</sup>.

სასამართლომ იგივე მიდგომა გამოიყენა, თუმცა განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა: „დისციპლინური სანქციების ზოგადი დანიშნულებაა იმის უზრუნველყოფა, რომ კონკრეტული ჯგუფების წევრებმა დაიცვან მათი ქცევის მარეგულირებელი სპეციალური წესები“<sup>41</sup>. მან განაცხადა (თუმცა წყაროს მითითების გარეშე), რომ „ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის გამხელა ეწინააღმდეგება ასეთ წესებს და ისჯება სხვადასხვა ნორმების საფუძველზე“. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მხარეებმა სამართალწარმოებაში მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ როგორც სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მყოფმა პირებმა, ამიტომ ისინი არ ექცეოდნენ სასამართლო სისტემის დისციპლინურ სფეროში. ვინაიდან სადავო კანონმდებლობა პოტენციურად მთელ მოსახლეობაზე ვრცელდებოდა, მის მიერ განსაზღვრული სამართალდარღვევა, ისევე როგორც შესაბამისი სასჯელი, უნდა ჩათვლილიყო „სისხლისსამართლებრივად“.

სასამართლოს მიერ ხაზგასმული განსხვავება არ უნდა იყოს გადამწყვეტი. იმისათვის, რომ სანქცია ჩაითვალოს „დისციპლინურად“, ის უნდა ვრცელდებოდეს პირთა შეზღუდულ რაოდენობაზე (რომლებიც მიეკუთვნებიან იდენტიფიცირებად ჯგუფს) და გამოიყენებოდეს ამ ჯგუფის შიდა განაწესის შესაბამისი ქცევის უზრუნველსაყოფად. სხვა მაგალითებია საპატიმრო დაწესებულებები და სასამართლო სხდომები<sup>42</sup>. სასამართლომ თავად აღიარა ეს, თუმცა განსხვავებულ

<sup>40</sup> *ვებერი (Weber) შეეცარიის წინააღმდეგ*, § 103. იხ. აგრეთვე *ეგზი (Eggs) შეეცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10313/83, რომელშიც კომისიამ განაცხადა, რომ პირის ქმედება „არღვევს სამხედრო ძალების შიდა საქმიანობის მარეგულირებელ სამართლის ნორმას. სამხედრო ძალების ამ კონკრეტულ სექტორში ის არ შეეხება საზოგადოების ზოგად ინტერესებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაცულია სისხლის სამართლით“. *ბორელი (Borelli) შეეცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 17571/90: „[სამსახურებრივი] მოვალეობები წარმოადგენდა სამხედრო ძალების შიდა საქმიანობის ტიპურ ასპექტს“.

<sup>41</sup> *ვებერი (Weber) შეეცარიის წინააღმდეგ*, § 33; იხ. აგრეთვე *შოსტორმი (Sjostorm) შევედეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 19853/92.

<sup>42</sup> კომისიის პრეცედენტული სამართლის სხვა დეტალებისთვის იხ. ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 36, n. 105. საპატიმრო დაწესებულების მაგალითისთვის იხ. *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 80. სხვა მაგალითები

კონტექსტში: „ნესები, რომლებიც სასამართლოს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს სანქციები სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დამრღვევი ქმედების წინააღმდეგ, ხელშემკერელ სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებული სამართლებრივი სისტემების საერთო დამახასიათებელი ნიშანია... სასამართლოს მიერ ასეთი ნესების საფუძველზე გამოყენებული ზომები უფრო ახლოსაა დისციპლინური უფლებამოსილების განხორციელებასთან, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის დაკისრებასთან“<sup>43</sup>.

### დ. „შერეული ხასიათის“ სამართალდარღვევები

ხშირია ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც ერთდროულად ხასიათდება როგორც დისციპლინური, ისე სისხლისსამართლებრივი ხასიათის ასპექტებით. საკითხი იმის თაობაზე, ამ ორიდან რომელი უნდა ჩაითვალოს უფრო მნიშვნელოვნად, განხილულ იქნა *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში<sup>44</sup>. დავის საგანი იყო თავდასხმა ციხის თანამშრომელზე. სასამართლოს განცხადებით, ... მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პატიმრის მიერ ჩადენილმა სამართალდარღვევამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. გარკვეული ქმედებები უდავოდ შიდა დისციპლინის საკითხია, თუმცა სხვები არ შეიძლება იმავე ქრილში იყოს განხილული. პირველი, ზოგიერთი საკითხი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვები. სინამდვილეში თავად [საპატიმროს] ნესები ახდენენ სამართალდარღვევათა რანგირებას... მეორე, გარკვეული ქმედებების უკანონობა არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ისინი ციხეში იყო ჩადენილი: გარკვეული ქმედებები, რომლებიც დისციპლინურ სამართალდარღვევად ითვლება [საპატიმროს] ნესების საფუძველზე, შეიძლება დანაშაულს უდრიდეს სისხლის სამართლის მიხედვით...<sup>45</sup>

სასამართლოს ასეთი მიდგომა სრულიად გამართლებულია. ხშირად იმ პირების მიერ, როგორებიც არიან სამხედრო ძალების წევრები, საჯარო მოხელეები ან პატიმრები, რომლებიც გარკვეულ დისციპლინას ექვემდებარებიან, სამართალდარღვევის ჩადენა ორი ტიპის სანქციას იწვევს: სისხლისსამართლებრივს და დისციპლინურს. ასევე სწორია იმის თქმა, რომ ორივე ტიპის სანქციის დაკისრება უნდა მოხდეს განსხვავებული სამართალწარმოების საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მხოლოდ ერთ სამართალწარმოებას, ის აუცილებლად უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი. დაუშვებელია, პირმა ვერ გამოიყენოს მენ-მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები მხოლოდ იმის გამო, რომ მისი საქმე დისციპლინური ელემენტითაც ხასიათდება.

### 3. დაკისრებული სანქციის ხასიათი და სიმძიმე

გარკვეული დროის მანძილზე მესამე კრიტერიუმი გადამწყვეტად ითვლებოდა<sup>46</sup>. ეს საქმოდ ლოგიკურია იმ მიდგომის გათვალისწინებით, რომელიც სასა-

---

შეიძლება იყოს სკოლები, საავადმყოფოები ან მოხუცებულთა სახლები.

<sup>43</sup> *პუტი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 33; *რავნსბურგი (Ravnsborg) შვედეთის წინააღმდეგ*, § 34. ამ საქმეებში განმცხადებელი ამავდროულად საქმის მხარეც იყო, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ დისციპლინური სანქციები აუცილებელი იყო სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დამრღვევ ქმედებაზე რეაგირებისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა არა ღია სასამართლო სხდომაზე, არამედ წერილობით.

<sup>44</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; „შერეული სამართალდარღვევა“ ასევე განხილვის საგანი იყო საქმეში *ეზე (Ezeh)* და *კონორსი (Connors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, § 104 (თავდასხმა პრობაციის ოფიცერზე).

<sup>45</sup> *Ibid.*, § 71; იხ. აგრეთვე *ბორელი (Borelli) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 17571/90.

<sup>46</sup> იხ. მაგ. სოიერი და სალვია (1995) 225. აგრეთვე ველუ და ერგეცი (1990) N 445: ამ ავტორებს



მართლმ თავდაპირველად გამოიყენა *ენგელის (Engel)* საქმეში: კონვენცია ისე უნდა განიმარტოს, რომ გამოირიცხოს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ, ხელისუფლების ორგანოებისთვის დისციპლინური სამართალწარმოების გზით პირისთვის მძიმე სანქციების დაკისრების საშუალების მიცემა მე-6 მუხლით განსაზღვრული საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე<sup>47</sup>.

დაკისრებულ სანქციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის ბრალდება, თუ პირს არ ემუქრება მსჯავრდება და სასჯელი. განსხვავებული ვითარებაა, როდესაც ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული შეურაცხადობის გამო, პირს ბრალად არ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი ქმედება. ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება და პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს პრევენციული ღონისძიებები, როგორცაა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება<sup>48</sup>. ეს ნიშნავს, რომ იმ პირის მოთავსება საპურნალო დაწესებულებაში, რომლის მიმართაც არ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, აუცილებლად არ საჭიროებს მე-6 მუხლში მოცემული გარანტიების დაცვას, თუმცა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარანტიები აგრძელებენ მოქმედებას.

#### ა. თავისუფლების აღკვეთა

*ენგელის (Engel)* საქმეში ამოსავალი ნერტილი იყო იმ სანქციების განხილვა, რომლებიც მოიცავდნენ თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას. სასამართლოს მიხედვით, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, როგორც წესი, ნიშნავს, რომ პირის ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „თავისი ხასიათით, ხანგრძლივობით ან აღსრულების ფორმით ის არ შეიძლება იყოს არსებითად საზიანო“<sup>49</sup>. ამ საქმეში ორი დღით პირის დაკავება არ იყო საკმარისი, რათა სამართალდარღვევა „სისხლის სამართლის დანაშაულად“ ჩათვლილიყო. მეორე მხრივ, სამი ან ოთხი თვით დისციპლინურ ქვედანაყოფში გადაყვანა სასამართლოს მიერ საკმარისად ჩაითვალა<sup>50</sup>. *ეგზის (Eggs)* და *ბორელის (Borelli)* საქმეებში 5 დღით პირის დაკავება არ იყო საკმარისად მძიმე, რათა საქმეს „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათი შეეძინა<sup>51</sup>. სტავროსი თვლის, რომ „პოლიტიკამ და არა მხოლოდ სამართლებრივმა შეხედულებებმა განაპირობა ევროპული სასამართლოს მიერ *ენგელის (Engel)* საქმეში არსებული სამართალდარღვევების აღიარება სისხლისსამართლებრივად“<sup>52</sup>.

*კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში გამოყენებული სანქცია მდგომარეობდა პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებაში. ეს საკითხი კომისიის მიერ უკვე განხილული იყო *ლაცლო ქისის (Lazio Kiss)* საქმეში, როდესაც ის თავისუფლების აღკვეთად არ ჩაითვალა<sup>53</sup>. ამ საქმეში განმცხადებელს

---

მიაჩნიათ, რომ მეორე კრიტერიუმი უფრო მნიშვნელოვანია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

<sup>47</sup> იხ. აგრეთვე სტავროსი (1993) 15.

<sup>48</sup> *უილიამ სამუელ კერი (William Samuel Kerr)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 63356/00; *პიერ ჰარისონ ანტუანი (Pierre Harrison Antoine)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 62960/00.

<sup>49</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §82.

<sup>50</sup> *Ibid.*, §85.

<sup>51</sup> *ეგზი (Eggs)* შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 10313/83 (1978); *ბორელი (Borelli)* შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 17571/90.

<sup>52</sup> სტავროსი (1993) 15.

<sup>53</sup> *ლაცლო ქისი (Lazio Kiss)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 62247/3.

დამატებით დაეკისრა 80 დღის მოხდა 180 შესაძლებლიდან. *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში, სადაც შესაბამისი პერიოდი უდრიდა 570 დღეს, კომისიამ და სასამართლომ ჩათვალეს, რომ სასჯელი იყო საკმარისად მძიმე, რათა „სისხლისსამართლებრივად“ ჩათვლილიყო და მე-6 მუხლის გარანტიების გამოყენება გამხდარიყო საჭირო<sup>54</sup>. *ეზეს (Ezeh)* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ „გუბერნატორის მიერ დამატებითი დღეების დაკისრება ხელახლა თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენდა სადამსჯელო მიზნებისთვის... შე-საბამისად, თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ემუქ-რებოდათ და ფაქტობრივად დაეკისრათ მოცემულ განმცხადებლებს, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მათთვის წარდგენილი ბრალდებები იყო სისხლისსამარ-თლებრივი ხასიათის“<sup>55</sup>. ეს პრეზუმფცია არ იქნა უარყოფილი, ვინაიდან დაკის-რებული სასჯელი შეადგენდა ორმოცდაორ დღეს.

რამდენიმე მოსამართლემ განსხვავებული აზრი გამოხატა.<sup>56</sup> ისინი აცხადებ-დნენ, რომ გამოყენებული სანქცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, არ ზრდდა პატიმრის სასჯელს. თუმცა ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. მთავარია, რომ პატიმარი დამატებით დღეებს გაატარებდა ციხეში. იმედი უნდა ექონიოთ, რომ სასამართლო მომავალშიც ასეთ მიდგომას გამოიყენებს.

მეთოდი, რომლის მეშვეობითაც სასამართლო განსაზღვრავს სასჯელის რე-ლევანტურ ოდენობას, განსაკუთრებით საინტერესოა და ქვემოთ იქნება განხი-ლული. თავისუფლების აღკვეთად არ ითვლება პატიმრობის რეჟიმის ცვლილება, მაგალითად, მსჯავრდებულის გადაყვანა სამართლო საკანში<sup>57</sup>. სანქციის სისხლის-სამართლებრივად მიჩნევის შესაძლებლობა კიდევ უფრო მცირდება, თუ მისი გამოყენება ხდება უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე<sup>58</sup>.

როგორც პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, საკითხი იმის თაობაზე, თავისუფლების აღკვეთა რამდენად სანდო კრიტერიუმია სისხლისსამართლებრივი სანქციის დისციპლინურისგან განსხვავებისთვის, არ არის ერთმნიშვნელოვანი. თუმცა არსებობს ძლიერი პრეზუმფცია მისი სანდოობის სასარგებლოდ.

### ბ. ფინანსური სანქცია

ფინანსური სანქციების დაკისრებამ, როგორცაა ჯარიმა, შეიძლება ასევე გამოიწვიოს სამართალდარღვევის მიკუთვნება სისხლის სამართლის სფეროსთვის. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრეცედენტული სამართალი არ იძლევა მკაფიო განმარტებებს. საქმეში *ვებერი (Weber) შვეიცარიის წინააღმდეგ* მაქსიმალური ჯარიმა იყო 500 შვეიცარიული ფრანკი, რაც სასამართლოს მოსაზრებით, „საკმარისად მნიშვნელოვანი იყო“<sup>59</sup>. *რავნსბურგის (Ravnsborg)* საქმეში ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 1000 შვედური კრონით (დაახლოებით 250 შვეიცარიული ფრანკი), რაც თოთხმეტი დღიდან ერთ თვემდე პატიმრობის

<sup>54</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §72; იხ. აგრეთვე *დელაზარუსი (Delazarus)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 17525/90.

<sup>55</sup> *ეზე (Ezeh)* და *კონორსი (Connors)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC), § 125, 126.

<sup>56</sup> მოსამართლე პელონასა შუერთდნენ მოსამართლეები ვილდჰაბერი, პალმი და კაფლიში, აგრეთვე ზუჰანჩიჩი და მარუსტუ.

<sup>57</sup> *როლოფი (Roelofs)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 19435/92; *D გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11703/85.

<sup>58</sup> *როლოფი (Roelofs)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 19435/92.

<sup>59</sup> *ვებერი (Weber)* შვეიცარიის წინააღმდეგ, § 34.

ტოლფასი იყო<sup>60</sup>. განმცხადებელს სამჯერ დაეკისრა აღნიშნული ოდენობის ჯარიმა, თუმცა სასამართლომ არ მიიჩნია ეს საკმარისად მნიშვნელოვნად<sup>61</sup>. *პუტცის (Putz)* საქმეში, ჯარიმის სახით, პირს დაეკისრა 5000, 7500 და 10000 ავსტრიული შილინგის გადახდა (2000 შვეიცარიულ ფრანკზე მეტი). თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ფაქტი, თავისთავად, არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა პირის ქმედება ჩათვლილიყო სისხლის სამართლის დანაშაულად<sup>62</sup>. მსგავსი შედეგი დადგა *Garyfallou AEBE*-ს საქმეში, როდესაც განმცხადებელი კომპანია დაჯარიმდა 500000 დრამით (დაახლოებით 2500 ევრო) და ემუქრებოდა სამჯერ დიდი ოდენობის ჯარიმა<sup>63</sup>. *ოზთურქის (Öztürk)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ეს კრიტერიუმი მცირე მნიშვნელობის იყო: „არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ კონვენციაში ნახსენები სისხლის სამართლის დანაშაული აუცილებლად გულისხმობს გარკვეული ხარისხის სერიოზულობას“<sup>64</sup>.

ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით, სასამართლო დამატებით კიდევ ორ საკითხს შეეხო: პირველი, შეიძლება თუ არა ჯარიმა შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით (თუ შეიძლება, მაშინ რამდენი დღით); მეორე, ჯარიმის დაკისრება შეიტანება თუ არა პოლიციის ან სხვა სახის მონაცემთა ბაზაში<sup>65</sup>. *რავნსბურგის (Ravnsborg)* საქმეში ჯარიმა იცვლებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ თვემდე მხოლოდ რაიონული სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდებოდა ამ საქმეზე. *ოზთურქის (Öztürk)* საქმეში პირს დაეკისრა თავისუფლების აღკვეთა როგორც იძულების ღონისძიება, თუმცა ამ შემთხვევაში მე-6 მუხლი გამოიყენებოდა. ამავ საქმეში, სასამართლოს მიხედვით, ის ფაქტი, რომ ჯარიმის დაკისრება აისახა არა სასამართლოს კრიმინალურ მონაცემთა ბაზაში, არამედ მხოლოდ ცენტრალურ საგზაო რეესტრში, არ ნიშნავდა, რომ სანქცია არ იყო სისხლისსამართლებრივი ხასიათის<sup>66</sup>.

<sup>60</sup> *რავნსბურგი (Ravnsborg) შვედეთის წინააღმდეგ*, §24.

<sup>61</sup> *Ibid.*, §35.

<sup>62</sup> *პუტცი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §37. იხ. აგრეთვე *C* და *EF* ავსტრიის წინააღმდეგ (განაცხადი 20517/92), სადაც ჯარიმა შეადგენდა 20 000 ავსტრიულ შილინგს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა კომისიისთვის ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობისთვის. კომისიის პრეცედენტულ სამართალში სხვა მაგალითებისთვის იხ. გრაბენარტერი (1997) 97; სასამართლო კვლავაც ეყრდნობა „ხელშემკერულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებული სამართლებრივი სისტემებისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს“ წყაროს მითითების გარეშე. საქმეში *Vasiberga Taxi Aktiebolag* და *ვულჯი (Vulic) შვედეთის წინააღმდეგ* (§80) საგადასახადო ჯარიმების არსებული და პოტენციური ოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ეჭვს არ ტოვებდა მათ სიმძიმესთან დაკავშირებით.

<sup>63</sup> *Garyfallou AEBE საბურძნეთის წინააღმდეგ*, §34.

<sup>64</sup> *ოზთურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ*, §53; იხ. აგრეთვე *შმაუტერი (Schmauter) ავსტრიის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი დაჯარიმდა 200 შილინგის ოდენობით უსაფრთხოების ლედიის გამოყენებლობის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ პირის ქმედება იყო სისხლის სამართლის დანაშაული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე და ასევე მოუთითა თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობაზე; *Ibid.*, §28. სტაეროსი (1993) 26. ავტორი აკრიტიკებს *ოზთურქის (Öztürk)* გადაწყვეტილებას „განცხადების ზოგადი ხასიათის“ გამო, რაც „მართებული კრიტერიუმის იდენტიფიცირების ამოცანას, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას განასხვავებდა სისხლისსამართლებრივისგან, თითქმის შეუძლებელს ხდის“. იხ. აგრეთვე ესერი (2002) 64.

<sup>65</sup> მაგალითად, *რავნსბურგი (Ravnsborg) შვედეთის წინააღმდეგ*, §35; *პუტცი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §37.

<sup>66</sup> *ოზთურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ*, §52.

გრაბენვარტერი ცდილობს იმის ახსნას, რატომ არის არაპრაქტიკული ზუსტი ზღვრის გავლება, რომლის მიღმა ჯარიმა დაკარგავს დისციპლინურ ხასიათს<sup>67</sup>. მისი არგუმენტები მყარია, მაგრამ არა იმდენად დამაჯერებელი, რომ სასამართლომ უარი თქვას რელევანტური კრიტერიუმის შესახებ ზოგადი მითითების გაკეთებაზე. საკმარისი არ არის იმის თქმა, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეში გადანყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იმ „რისკის“ გათვალისწინებით, რომლის წინაშეც დგას განმცხადებელი<sup>68</sup>. ჯარიმის ოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს, მაგალითად, პირის ყოველთვიურ ან ფაქტობრივ შემოსავალზე.

*პიერ ბლოშის (Pierre-Bloch)* საქმეში სასჯელის ერთი ნაწილი შედგებოდა ხაზინისთვის საარჩევნო კამპანიაზე უკანონოდ დახარჯული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებისგან. სასამართლოს მოსაზრებით, „იმ ფაქტის გარდა, რომ გადასახდელი თანხის ოდენობა არ განისაზღვრება არც დადგენილი სისტემის მიხედვით და არც წინასწარ, გადახდის ეს ვალდებულება რამდენიმე ნიშნით განსხვავდება სისხლისსამართლებრივი ჯარიმებისგან...“ არ იწვევს ნასამართლობას, არ გამოიყენება დანაშაულთა ერთობლიობის დროს უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრის შთანთქმის წესი და გადაუხდელობამ არ შეიძლება გამოიწვიოს თავისუფლების აღკვეთა. თავისი ხასიათის გათვალისწინებით, ხაზინისთვის [საარჩევნო ხარჯების] გადაჭარბების თანაბარი ოდენობის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს ჯარიმად<sup>69</sup>. სასამართლოს მიერ მოყვანილი ყველა არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. მაგალითად, ჯარიმის ოდენობა არც სამშემოსავლო გადასახადების სფეროში არის წინასწარ განსაზღვრული და შეიძლება არ გამოიწვიოს ნასამართლობა.

### გ. სხვა სანქციები

სანქციები, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის დანაშაულისთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმებით. ალტერნატიული სანქციები მოიცავს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას და გარკვეული უფლებების ჩამორთმევას, როგორცაა მანქანის მართვის უფლება. შესაბამისად, გასარკვევია აღნიშნული სანქციების სიმძიმის საკითხი.

სასამართლომ ეს საკითხი განიხილა საქმეში *მალიგე (Malige) საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელიც შეეხებოდა არა უშუალოდ მართვის მოწმობის ჩამორთმევას, არამედ ქულების ჩამოჭრას, რასაც, საბოლოო ჯამში, შეეძლო ამ შედეგის გამოწვევა. ეს იყო მსჯავრდების ავტომატური შედეგი და საკმაოდ მკაცრი სასჯელი: „უდავოა, რომ ავტომანქანის მართვის უფლება ძალზე სასარგებლოა ყოველდღიურ ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში“. სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მე-6 მუხლი ვრცელდებოდა ამ საქმეზე<sup>70</sup>.

უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული განსხვავებული სანქცია გახდა დავის საგანი ზემოთ ხსენებულ *პიერ ბლოშის (Pierre-Bloch)* საქმეში. ხაზინისთვის შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით, განმცხადებელს ჩამოერთვა აქტიური საარჩევნო უფლება მომდევნო ერთი წლის მანძილზე.

სასჯელის მიზანია კანდიდატების იძულება, პატივი სცენ მაქსიმალურ ზღვარს. შესაბამისად, ეს სასჯელი ერთ-ერთია იმ ზომებს შორის, რომელთა

<sup>67</sup> გრაბენვარტერი (1997) 97.

<sup>68</sup> იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 415.

<sup>69</sup> *პიერ ბლოში (Pierre-Bloch) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 58.

<sup>70</sup> *მალიგე (Malige) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 37-8.

მიზანია საპარლამენტო არჩევნების ჯეროვანი ჩატარება, ამიტომ, თავისი დანიშნულების გათვალისწინებით, ის „სისხლისსამართლებრივი“ სფეროს გარეთ იმყოფება. უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, როგორც განმცხადებელმა განაცხადა, ამავედროულად, სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც საფრანგეთის სისხლის სამართალი ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში სასჯელი „დამხმარე“ ან „დამატებითი“ ხასიათისაა იმ სასჯელებთან მიმართებაში, რომლებსაც სისხლის სამართლის სასამართლოები აწესებენ... მისი სისხლისსამართლებრივი ხასიათი გამომდინარეობს „ძირითადი“ სასჯელიდან, რომელსაც ის ებმის<sup>71</sup>.

სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სანქცია იყო ერთნაირი. სასამართლოს გადაწყვეტილება მოსანონია შედეგის თვალსაზრისით, თუმცა მის მიერ გამოყენებული არგუმენტაცია არაადამაჯერებელია. არსებობს სხვა ნებსებიც, რომელთა მიზანია არჩევნების ჯეროვანად ჩატარების უზრუნველყოფა, მათ შორის ქრთამის მიცემის აკრძალვა. თუმცა არავინ უარყოფს მათ სისხლისსამართლებრივ ხასიათს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ სანქცია მიმართულია საარჩევნო კანდიდატებისკენ, ადამიანთა შუზღუდული წრისკენ და ასევე პირდაპირ კავშირშია აღნიშნულ თვისებასთან. ის მართლაც ძალზე ახლოს დგას დისციპლინურ სანქციასთან<sup>72</sup>. იგივეს თქმა შეიძლება ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის ლიცენზიის ჩამორთმევაზე დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამო<sup>73</sup>.

#### დ. სანქციის ფაქტობრივი თუ შესაძლო სიმძიმე?

სასამართლოსთვის გადამწყვეტია ფაქტობრივად დაკისრებული სასჯელი თუ კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი? *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში სასამართლომ მკაფიო პასუხი გასცა ამ კითხვას: „გასაჩივრების საბოლოო შედეგით არ შეიძლება დაკინდეს იმის მნიშვნელობა, რაც თავდაპირველად ემუქრებოდა განმცხადებელს“<sup>74</sup>. სასჯელის სიმძიმე „განისაზღვრება შესაძლებელი სასჯელის მაქსიმუმით, რომელსაც შესაბამისი კანონი ითვალისწინებს“<sup>75</sup>. ის მოსაზრება, რომ ფაქტობრივად დაკისრებული სასჯელი არ უნდა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი საესებით მართებულია. არ იქნებოდა გონიერული, რომ სამართალწარმოებაში გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფის აუცილებლობა დამოკიდებული ყოფილიყო მის შედეგზე<sup>76</sup>. შესაბამისად, გაურკვეველია *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში სასამართლომ მაინც რატომ გაუსვა ხაზი მაქსიმალური სასჯელის დაკისრების ფაქტს<sup>77</sup>.

<sup>71</sup> *პიერ ბლოში (Pierre-Bloch) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §56.

<sup>72</sup> კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო მცირე უმრავლესობით, ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ, ხოლო სასამართლომ შეიდი ხმით ორის წინააღმდეგ.

<sup>73</sup> *Tre Traktorer Aktiebolag შედეგის წინააღმდეგ*, §46.

<sup>74</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §72.

<sup>75</sup> *ეზე (Ezeh)* და *კონორსი (Connors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, §120, მითითება კეთდება შემდეგ საქმეებზე: *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §72; *ვებერი (Weber) შეიქცარიის წინააღმდეგ*, §34; *დემიკოლი (Demicoli) მალტის წინააღმდეგ*, §34; *ბენამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §56; *Garyfallou AEBE საბერძნეთის წინააღმდეგ*, §33, 34.

<sup>76</sup> სასამართლომ ასეთი შეცდომა დაუშვა საქმეში *შისერი (Schiesser) შეიქცარიის წინააღმდეგ*.

<sup>77</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §38.

იგივე გზას ირჩევს სასამართლო, როდესაც განიხილავს საკითხს, მართლმ-საჯულების ინტერესები, სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით, საჭიროებს თუ არა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას<sup>78</sup>. ასეთი ტიპის საქმეებში ალბათ რელევანტური საკითხია არა თეორიულად შესაძლებელი, არამედ გონივრულად მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გარკვევა. ამგვარი მიდგომა გამართლებულია განსაკუთრებით იმ სამართლებრივი სისტემების მიმართ, რომლებშიც მიღებულია დიდი სხვაობის არსებობა სასჯელის მაქსიმალურ და მინიმალურ ზღვარს შორის<sup>79</sup>. თუმცა კიდევ ერთი საკითხი საჭიროებს განმარტებას. საქმე იმაშია, რომ იურიდიული დახმარების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეულ საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე. მაშინ, როცა იმის განსაზღვრა, სანქცია დისციპლინური ხასიათისაა თუ არა, დამოკიდებულია სამართლის იმ ნორმების ერთობლიობაზე, რომელიც მას ითვალისწინებს. შესაბამისად, სწორია, როცა სანქციის დისციპლინურად ან სისხლისსამართლებრივად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტისას რელევანტური ელემენტია მაქსიმალური სასჯელი, რომელიც პირს ემუქრება.

#### 4. სანქციის მოქმედების სფერო

სასამართლო მხედველობაში იღებს არა მარტო სასჯელის სიდიდეს, არამედ მისი მოქმედების სფეროს. საქმეებში, რომლებშიც სასამართლომ მე-ნ მუხლის გამოყენება მიიჩნია აუცილებელად, ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სანქცია ემსახურებოდა სადამსჯელო და პრევენციულ მიზნებს<sup>80</sup>. საინტერესოა, რომ ეს ელემენტი, ჩვეულებრივ, გამოიყენება არა როგორც სანქციის სიმძიმის განსაზღვრის, არამედ თვით სამართალდარღვევის ხასიათის კვალიფიცირების კრიტერიუმში. რავნსბურგის (Ravnsborg) საქმეში, სამართალდარღვევის ხასიათთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

ნესები, რომლებიც სასამართლოს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს სანქციები სასამართლო განხილვის დროს ნესრიგის დამრღვევი ქმედების წინააღმდეგ, ხელშემკერელ სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებული სამართლებრივი სისტემების საერთო დამახასიათებელი ნიშანია. ასეთი ნესები და სანქციები გამომდინარეობს სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებიდან, უზრუნველყოს სამართალწარმოების ჯეროვანი და დისციპლინირებული მსვლელობა. სასამართლოს მიერ ასეთი ნესების საფუძველზე მიღებული ზომები უფრო ახლოსაა დისციპლინური უფლებამოსილების განხორციელებასთან, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის დაკისრებასთან. ქვეყნებს, რასაკვირველია, შეუძლიათ ნესრიგის დამრღვევი ქმედების შედარებით სერიოზული მაგალითების მიკუთვნება სისხლის სამართლის სფეროსთვის, თუმცა ამგვარი ვითარების არსებობა არ იყო ნაჩვენები მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელზე დაკისრებული ჯარიმების მიმართ<sup>81</sup>.

მიუხედავად ამისა, სანქციის სადამსჯელო და პრევენციული ხასიათის კრიტერიუმში მცირე მნიშვნელობისაა. სასჯელის მოქმედების სფერო ფილო-

<sup>78</sup> კარანტა (Quaranta) შეეცარიის წინააღმდეგ.

<sup>79</sup> კარგი მაგალითია შეეცარიის კანონმდებლობა, რომელიც ქურდობისთვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამი დღიდან 5 წლამდე.

<sup>80</sup> ოზტურკი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ, §53; ბანდენუ (Bendenoun) საფრანგეთის წინააღმდეგ, §67.

<sup>81</sup> რავნსბურგი (Ravnsborg) შეეცარიის წინააღმდეგ, §34; იხ. აგრეთვე JM შეეცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 21083/92.

სოფოების, იურისტებისა და სხვების დისკუსიის საგანია, სულ მცირე, მას შემდეგ, რაც ჩვენს ნელთალრიცხვამდე მე-4 საუკუნეში პლატონმა პროთაგორას მიანერა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხედულება ამ საკითხზე. სტავროსისთვის, როგორც მინიმუმ, დარღვეული ნორმის მოქმედების სფერო მისი „განმასხვავებელი ნიშანია“, თუმცა ის „თავისთავად ვერ გაამართლებს დაცვის საშუალებების ნაკლებობას დისციპლინურ სამართალწარმოებაში“<sup>82</sup>. სისხლისსამართლებრივ სანქციებს, როგორც წესი, ამავდროულად, უკავშირებენ საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო ფუნქციას. დისციპლინური სანქციები კი შეიძლება ასევე იყოს სადამსჯელო ხასიათის და გამოიყენებოდეს პრევენციისთვის<sup>83</sup>. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღიარა ამ კრიტერიუმის სისუსტე: „სასამართლო არ მიიჩნევს დამაჯერებლად მთავრობის არგუმენტს, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს მოცემული სამართალდარღვევის სადამსჯელო და პრევენციულ მიზნებს, რადგან ეს მიზნები არ არის ურთიერთგამომრიცხავი ხასიათის და სისხლისსამართლებრივი სასჯელების დამახასიათებელ ნიშნებად არის აღიარებული“<sup>84</sup>.

### 5. ურთიერთკავშირი სხვადასხვა კრიტერიუმებს შორის

ცალკეული კრიტერიუმების განხილვის შემდეგ, რომლებსაც სასამართლო იყენებს იმის გასარკვევად, კონკრეტული სანქცია „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათისაა თუ არა, ისმის კითხვა მათი ურთიერთკავშირის შესახებ: კრიტერიუმების დაკმაყოფილება კუმულაციურად უნდა მოხდეს თუ საკმარისია ერთის დაკმაყოფილება? სასამართლოს განცხადებით, ეს კრიტერიუმები ერთმანეთის ალტერნატივებია, რაც ნიშნავს, რომ მე-ნ მუხლი გამოიყენება თუ ერთ-ერთი მინც დაკმაყოფილდა<sup>85</sup>. თუმცა ამ მხრივ სასამართლო ყოველთვის არ ყოფილა თანმიმდევრული. *კემპბელის (Campbell) და ფელის (Fell)* საქმეში<sup>86</sup> მან საკმაოდ მერყევი პოზიცია გამოხატა მას შემდეგ, რაც მეორე კრიტერიუმი განიხილა და გადავიდა მესამეზე ზოგადი შეფასების გაკეთებისთვის: „სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ორი ფაქტორი არ არის თავისთავად საკმარისი იმ დასკვნის გამოტანისთვის, რომ განმცხადებლისთვის ბრალდების სახით ნაყენებული სამართალდარღვევები ჩაითვალოს „სისხლისსამართლებრივად“ კონვენციის მიზნებისთვის, თუმცა გარკვეულ შეფერილობას აძლევს მათ, რაც არ არის ბოლომდე დამახასიათებელი დისციპლინური საკითხისთვის“. მოგვიანებით, *ეზეს (Ezeh)* საქმეში სასამართლომ მხოლოდ მეორე და მესამე კრიტერიუმები მოიხსენია ალტერნატივებად<sup>87</sup>.

<sup>82</sup> სტავროსი (1993) 24.

<sup>83</sup> თუმცა სადამსჯელო ხასიათი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, „სასჯელების“ განსხვავების მიზნით, წმინდა პრევენციული ან იძულების ღონისძიებებისგან. მე-7 მუხლთან კავშირში „სასჯელის“ ავტონომიურ ცნებაზე იხ. *უელში (Welch) გურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, სადაც კონფისკაციის ბრძანება იყო განხილვის საგანი. გადაუხდელობის შემთხვევაში, განმცხადებელს ემუქრებოდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა.

<sup>84</sup> *ეზე (Ezeh) და კონორსი (Connors) გურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, 105, მითითება კეთდება საქმეზე *ოზთურქი (Öztürk) გურმანიის წინააღმდეგ*, §53, 102.

<sup>85</sup> მაგალითად, *რავსბორგი (Ravnborg) შვედეთის წინააღმდეგ*, §30: „[სასამართლოს] პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული სამი ალტერნატიული კრიტერიუმი“; *ოზთურქი (Öztürk) გურმანიის წინააღმდეგ*, §54; *ლუტცი (Lutz) გურმანიის წინააღმდეგ*, §54; *ბანდნოუ (Bendenoun) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §61; თუმცა საქმეში *ეებერი (Weber) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §33, სასამართლო აცხადებდა, რომ სამართალდარღვევა „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის იყო, მაგრამ მინც განიხილა მესამე კრიტერიუმი.

<sup>86</sup> *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §71.

<sup>87</sup> *ეზე (Ezeh) და კონორსი (Connors) გურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, §86.

ბანდანუს (*Bendenoun*) საქმეში სასამართლომ „ანონ-დანონა საქმის სხვა-დასხვა ასპექტები“ ანუ კრიტიკიუმები განიხილა ერთობლიობაში და არა ცალ-ცალკე. მიუხედავად ამისა, სასამართლო მაინც აცხადებდა *expressis verbis*, რომ „ეს კრიტიკიუმები არის არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული“<sup>88</sup>. სასამართლოს ასეთი მიდგომა სრულიად გამართლებულია, რადგან, თუ ერთი კრიტიკიუმის საფუძველზე საკითხი „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათისაა, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ამის „შებრუნება“ სხვა ნებისმიერი ელემენტით.

## ე. დისციპლინური საკითხები როგორც „სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“

მსჯელობის დამთავრებამდე აუცილებელია სასამართლოს მეთოდის მიმოხილვა, რომელიც გამოიყენება არა „სისხლისსამართლებრივი“, არამედ ისეთი დისციპლინური ხასიათის სამართალწარმოებაზე კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების გავრცელებისთვის, რომელიც დიდი მნიშვნელობის გამო, საჭიროებს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დაცვის უზრუნველყოფას. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებს რამდენიმე სახის დისციპლინურ სამართალდარღვევას. ზოგიერთი მათგანი განხილული იქნა სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში, კერძოდ, სამხედრო ძალების<sup>89</sup>, საჯარო სამსახურის<sup>90</sup>, საპატიმრო დანესებულებებისა<sup>91</sup> და სასამართლო პროცესის მონაწილე პირის<sup>92</sup> კონტექსტში. სკოლის დისციპლინის საკითხი ასევე სასამართლოს განხილვის საგნად იქცა, თუმცა სრულიად განსხვავებულ კონტექსტში.<sup>93</sup> დისციპლინური სამართალდარღვევის სხვა სახეები შეეხება თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებს, მათ შორის ექიმებს<sup>94</sup>, ბულალტრებს, არქიტექტორებსა და ადვოკატებს<sup>95</sup>. ისინი ჩვეულებრივ ექვემდებარებიან პროფესიული ეთიკის კოდექსებს, რომელთა საფუძველზე სანქციები შეიძლება მოიცავდეს შენიშვნებს, ჯარიმებს, პროფესიით მუშაობის უფლების შეჩერებას ან თვით საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევას. მსგავსი ტიპის დავების განხილვის

<sup>88</sup> ბანდანუ (*Bendenoun*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §61.

<sup>89</sup> ენგელი (*Engel*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ; იხ. აგრეთვე ეგზი (*Eggs*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 10313/83; ბორელი (*Borelli*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 17571/90; ზუტერი (*Sutter*) შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>90</sup> C გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11882/85; კრემკოვი (*Kremzow*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 16417/90; შატმაირი (*Schatzmayr*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 32051/96; იხ. აგრეთვე განაცხადი 26601/95; იმამი (*Imam*) და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 29764/96; აგკო (*Agko*) საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 31117/96; დიმიტრიადისი (*Dimitriadis*) საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 13877/88; ლაინინგენ-ვესტერბურგი (*Leiningen-Westerburg*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 26601/95; იაკობსონი (*Jakobsson*) შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10878/84.

<sup>91</sup> კემპბელი (*Campbell*) და ფელი (*Fell*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>92</sup> რავსბურგი (*Ravsborg*) შვედეთის წინააღმდეგ; პუტცი (*Putz*) ავსტრიის წინააღმდეგ; ვებერი (*Weber*) შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>93</sup> კერძოდ, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, მშობლების მიერ საკუთარი ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად, შვილების განათლების უზრუნველყოფის უფლებასთან და მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე ფიზიკურ დასჯასთან კავშირში. იხ. კემპბელი (*Campbell*) და კოზანსი (*Cosans*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ; კოსტელიო-რობერტსი (*Costello-Roberts*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>94</sup> მაგალითად, ვიკრამსინგი (*Wickramsinghe*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 31503/96; დემერი (*Demmer*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 19130/91.

<sup>95</sup> შოსტორმი (*Sjostorm*) შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 19853/92.



მიზნით. როგორც წესი, არსებობს საბჭოები, რომლებშიც წარმოდგენილი არიან შესაბამისი პროფესიების წარმომადგენლები და იურისტები. ცხადია, ეს საკითხები არ არის სისხლისსამართლებრივი ხასიათის. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებზე სასამართლომ მაინც გამოძებნა, მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების გავრცელების გზა. *კიონიგის (König)*<sup>96</sup> საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ექიმის მიერ ქცევის კოდექსის დარღვევისა და მისთვის პროფესიით მუშაობის უფლების შეჩერების საკითხი წარმომადგენდა დავას მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ამის მიზეზად სასამართლომ დაასახელა ერთ-ერთი სანქციად კერძო სფეროში სამედიცინო მომსახურების განევის უფლების (სავარაუდოდ, მცირე ხნით) ჩამორთმევის შესაძლებლობა. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს, მაგალითად, ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლებასთან, ეს არ უკავშირდება მის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, არც სისხლისსამართლებრივ საკითხებს, და შესაბამისად, მე-ნ მუხლი არ გამოიყენება<sup>97</sup>.

უნდა ვალიარო, რომ მე პირადად მსგავსი მიდგომა არ მაქმყოფილებს. ადგილი აქვს აშკარა უთანასწორობას თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს შორის, რაც შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ ორივე კატეგორიის ერთ დონეზე დაყენებით. თუმცა ეს არ იქნება შესაბამისობაში პრეცედენტულ სამართალთან, რომელიც საჯარო მოხელეების შრომით დავებს არ განიხილავს სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებად, ისევე, როგორც მათ დათხოვნას სამსახურიდან არ თვლის სისხლისსამართლებრივ სანქციად. გრაბენვარტერი, მეორე მხრივ, სამსახურიდან გათავისუფლებას ფინანსურ სანქციად ჩათვლიდა, რადგან ის ხელფასის დაკარგვას იწვევს.<sup>98</sup> მისი შეხედულებებიც ჩემთვის მიუღებელია, რადგან დისციპლინური სანქციების კონცეფციის სრულ უარყოფამდე მივყავართ. თუმცა გრაბენვარტერი მართებულად აკრიტიკებს კომისიას იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ფაქტობრივად დაკისრებულ სანქციას მიიჩნევს გადამწყვეტად და არა იმას, რაც შეიძლება პირს დაკისრებოდა.<sup>99</sup>

## ვ. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კრიტიკული შეფასება

„სისხლისსამართლებრივი“ ბრალდების დამახასიათებელ ნიშნებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის განხილვამ გვიჩვენა, რომ სტრასბურგის იურისპრუდენცია არ გამოირჩევა სიცხადით და სიმარტივით.<sup>100</sup> არსებობს მრავალი

<sup>96</sup> *კიონიგი (König) გერმანიის წინააღმდეგ*. იხ. აგრეთვე *გოტრენი (Gautrin)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*; *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის წინააღმდეგ; *ალბერი (Albert)* ბელგიის წინააღმდეგ.

<sup>97</sup> *ოტელო სარაივა დე კარვალიო (Otelo Saraiva de Carvalho)* პორტუგალიის წინააღმდეგ. განაცხადი 9208/90 (1981). საქმე შეეხებოდა არმიის ოფიცრის რეზერვში გადაყვანას.

<sup>98</sup> გრაბენვარტერი (1997) 101.

<sup>99</sup> *დემერი (Demmer)* ავსტრიის წინააღმდეგ. განაცხადი 19130/91; *ბანდანუ (Bendenoun)* საფრანგეთის წინააღმდეგ; *K* ავსტრიის წინააღმდეგ.

<sup>100</sup> სასამართლოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს კრიტიკულად უყურებენ სხვა ავტორებიც. იხ. მაგალითად, ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-ნ მუხლი, N 50; სტავროსი (1993) 35. ამ უკანასკნელის მოსაზრებით, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ჩვეულებრივ პოლიტიკა და არა სამართლებრივი შეხედულებები წყვეტს, რას წარმოადგენს „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“. ვარდა ამისა, სტავროსი მიიჩნევს, რომ „უზრუნველყოფილი დაცვა არის ფრაგმენტული, ხშირად შეუსაბამო და

კრიტიკრიუმი და ქვეკრიტიკრიუმი, ხოლო მათ შორის ურთიერთკავშირი არ არის ნათელი და ადგილი აქვს მთელ რიგ წინააღმდეგობებს. სასამართლო ზოგადად სამ კრიტერიუმს იყენებს, თუმცა მათ შორის პირველი მხოლოდ „ამოსავალ ნერტილს“ უზრუნველყოფს. მეორე კრიტიკრიუმი, სამართალდარღვევის ხასიათი, ცენტრალური საკითხია. სამართალდარღვევის ხასიათი ელინდება არა მხოლოდ ჩადენილი ქმედებისა და დარღვეული სამართლის ნორმის ხასიათში, არამედ დაკისრებული სანქციის სახეობაში. ამ ელემენტების შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს ხელშემკერელ სახელმწიფოებში მიღებული პრაქტიკით. მესამე კრიტიკრიუმი, სანქციის სიმძიმე, სასამართლოს მიერ განიხილება მაშინ, თუ პირველი ორი არ იძლევა ჯეროვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

პრეცედენტული სამართლის გამარტივება მართლაც ძალზე სასარგებლო იქნებოდა. სასურველია პირველ კრიტიკრიუმზე მთლიანად უარის თქმა. უკიდურეს შემთხვევაში მასზე მითითება შეიძლება გაკეთდეს იმის განსაზღვრის დროს, არსებობს თუ არა სერიოზული ეჭვები „სისხლისსამართლებრივი“ ბრალდების არსებობასთან დაკავშირებით. მეორე კრიტიკრიუმი უნდა იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის. უმჯობესი იქნება „სისხლისსამართლებრივი“ ბრალდების, როგორც წესის, უფრო მკაფიოდ დადგენა და გამონაკლისების განსაზღვრა. ასეთ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს სამართლის ნორმის დარღვევა, რომელიც პირთა შეზღუდულ რაოდენობაზე ვრცელდება, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ექვემდებარებიან მათი ქცევის განსაკუთრებით მკაცრ რეგულირებას. მაგალითად, სამხედრო ძალების წევრები და საჯარო მოხელეები, პატიმრები, სასამართლო პროცესის მონაწილენი, საჯარო სკოლების მოსწავლეები და თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები. გარდა ამისა, სანქციას უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება კონკრეტულ პროფესიაზე ან სპეციალურ ვითარებაზე. თავისუფლების აღკვეთა ან შედარებით მკაცრი შეზღუდვა ტიპურ დისციპლინურ სანქციად მხოლოდ ისეთ ვითარებაში უნდა ჩაითვალოს, როდესაც თავისუფლება თავიდანვე შეზღუდული იყო, მათ შორის საპატიმროებში ან სხვა მსგავს დანესებულებებში და სამხედრო ძალებში.

უარი უნდა ითქვას ასევე სანქციის სიმძიმის კრიტიკრიუმზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნათელია, რომ დისციპლინური „იარლიყის“ მიზანია სისხლისსამართლებრივი სანქციის დაფარვა. სახელმწიფოებს აქვთ ცალკეულ ქმედებებზე რეაგირების გარკვეული დისკრეტია დისციპლინური, სისხლისსამართლებრივი ან ორივე წესით. თუ სამართალდარღვევა დისციპლინური გადაცდომაა, სანქციის სიმძიმემ მისი ხასიათი უნდა შეცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარად თვითნებურია. ასეთი შემთხვევის მაგალითია *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმე, რომელშიც გადაწყვეტილება გაუქმდა პირობით ვადამდე, დაახლოებით, 600 დღით ადრე, გათავისუფლების შესახებ ციხის თანამშრომელზე განხორციელებული თავდასხმის გამო. სახელმწიფოსთვის შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს ასეთი სამართალდარღვევის გარჩევა დისციპლინური სამართალწარმოების წესით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება თვითნებობას და უნდა მოხდეს „სისხლისსამართლებრივის“ ავტონომიური ცნების გამოყენება.

---

შეიძლება ითქვას, არასრული“. ის უფრო მოქნილი მიდგომის გამოყენებას ემხრობა, რომელიც მოიცავს ყველა „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, სადაც სასჯელების ან კვაზისასჯელების დაკისრება ხდება“.

### III. „ბრალდების“ ცნება

#### ა. ზოგადი მიმოხილვა

ტერმინი „სისხლისსამართლებრივი“ მიუთითებს ისეთი ტიპის დავაზე, რომელზეც ვრცელდება ევროპული კონვენციის მე-6, საერთაშორისო პაქტის მე-14 და ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლები. თუმცა სისხლის სამართლის პროცესში მრავალი გადაწყვეტილება მიიღება და არ არის აუცილებელი, რომ ყველა მათგანი აკმაყოფილებდეს ამ გარანტიის მოთხოვნებს. მეორე მხრივ, მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო განხილვით. ამ თვალსაზრისით, ორი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იქნეს განხილული: პირველი, როდის იწყება და სრულდება კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება; მეორე, სამართალწარმოების რომელ სტადიებზე ვრცელდება მე-6 მუხლი.

კონვენციის გამოყენების საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა დისკუსიას იმის თაობაზე, მე-6 მუხლი ვრცელდებოდა თუ არა წინასასამართლო სამართალწარმოებაზე<sup>101</sup>. თუმცა საკითხის ასე დასმა არასწორია. შეუძლებელია ამ კითხვაზე „დიახ“ ან „არა“ პასუხის გაცემა. საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლსა და დანარჩენი ორი ინსტრუმენტის შესაბამის დებულებებში ათზე მეტი განსხვავებული უფლების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. ცხადია, საჯარო განხილვის უფლება მხოლოდ სასამართლო პროცესზე ვრცელდება. ასევე ნათელია, რომ ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება წარმოიქმნება სასამართლო განხილვამდე, ხოლო გასაჩივრების უფლება მოგვიანებით. გარდა ამისა, სასამართლო ხშირად იმეორებს, რომ სამართალწარმოების სამართლიანობის განსაზღვრისას მისი შეფასება მთლიანობაში უნდა მოხდეს.

სამწუხაროდ, სასამართლო ვერ აცნობიერებს, რომ არსებობს დიდი სხვაობა პირისთვის ბრალდების წარდგენასა და სამართალწარმოების „სისხლისსამართლებრივად“ კვალიფიცირების საკითხებს შორის. ის მუდმივად იყენებს *ენგლის (Engel)* საქმეში ჩამოყალიბებულ სამელემენტო ტესტს. თუმცა, როდესაც ისმის კითხვა, გარკვეული გადაწყვეტილება (სისხლისსამართლებრივი) ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრას წარმოადგენს თუ არა, ეს თავისთავად გულისმობს იმას, რომ საქმე გვაქვს „სისხლის სამართლის სფეროსთან“. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით თვალსაჩინოა *ფილიპის (Phillips)* საქმეში, როცა განმცხადებელი ნარკოტიკული დანაშაულებისთვის იყო მსჯავრდებული. მსჯავრდების შემდეგ საბაჟო და სააქციზო განყოფილების მიერ დანიშნულმა ფინანსური გამოძიების ოფიცერმა შეისწავლა განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა, რათა გაერკვია მისი ქონების რა ნაწილი ექვემდებარებოდა კონფისკაციას. კანონი ითვალისწინებდა პრეზუმფციას, რომლის მიხედვით, ივარაუდებოდა, რომ მსჯავრდებულის მიერ უკანასკნელი 6 წლის მანძილზე შექმნილი ქონება ნარკოტიკების გასაღების შედეგად მიღებული შემოსავლებით მოხდა, თუ ის ვერ შეძლებდა საპირისპიროს დამტკიცებას. განმცხადებელმა უარი თქვა ამ პროცესში მონაწილეობაზე და საბოლოოდ 91,400 ფუნტი სტერლინგის ღირებულების ქონება ჩამოერთვა.

სასამართლომ თავდაპირველად განიხილა, ვრცელდებოდა თუ არა მოცემულ შემთხვევაზე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება და უარყოფით

<sup>101</sup> ამ კითხვაზე დადებითად უპასუხეს შემდეგმა ავტორებმა: პონსე (1970) 418, 426, 434, 440; პონსე (1977) 31, 34, 132; შუბარტი (1973) 263; შუბარტი (1975). საპირისპირო შეხედულებისთვის იხ. შულცი (1975) 438; შულცი (1978) 452.

დასკვნამდე მივიდა<sup>102</sup>. ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტი გამოიყენებოდა,<sup>103</sup> თუმცა მისი დარღვევა ვერ აღმოაჩინა<sup>104</sup>. ეს მაგალითი გვიჩვენებს განსახილველი საკითხის სირთულეს. „ბრალდების“ ცნების ინტერპრტირებასთან დაკავშირებული საკითხების უმრავლესობა განხილვას საჭიროებს მე-ნ მუხლის სპეციალური გარანტიების კონტექსტში და შესაბამისად, არ არის ამ თავში მოცემული.

## ბ. „ბრალდების“ ავტონომიური ცნება

მნიშვნელოვანია, რომ „სისხლისსამართლებრივის“ ცნების მსგავსად შემუშავდეს „ბრალდების“ ავტონომიური განსაზღვრება. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია წინასასამართლო სამართალწარმოების საკითხის მხედველობაში მიღება. სახელმწიფოებს აქვთ დამცველის, საქმის მასალების ან თვით თარჯიმნის ხელმისაწვდომობის გაჭიანურების შესაძლებლობა იმის უზრუნველყოფით, რომ ფორმალური „ბრალდების“ წარდგენა მოხდეს დაგვიანებით, მაგალითად, გამოძიების დასრულებისას. ეს კი რეალურ საფრთხეს უქმნის გარანტიის ეფექტიანობას. სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სწორედ ავტონომიური ცნება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც თავის ადრეულ გადაწყვეტილებებში მიუთითებდა „ბრალდებაზე“, როგორც ეს სიტყვა არის გაგებული კონვენციის მნიშვნელობით<sup>105</sup>. დევერის (Deweer) საქმეში მან ასევე ისაუბრა ბრალდების ცნებაზე, რომლის „მოქმედების სფერო ძალზე ფართოა“<sup>106</sup>.

## გ. საპროცესო მოქმედებები, რომლებზეც ვრცელდება მე-ნ მუხლი

მე-ნ მუხლი ვრცელდება ყველა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც პირდაპირ რელევანტურია პირის ბრალეულობის გადაწყვეტისთვის. ეს მოქმედებები იწყება პოლიციის მოკვლევით<sup>107</sup> და გრძელდება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების ამონურვამდე<sup>108</sup>. საქმის არსებითად განხილვისას ასეთი პროცედურები შემოიფარგლება სასჯელის განსაზღვრის საკითხით<sup>109</sup>.

არსებობს ერთი გამონაკლისი იმ წესიდან, რომ მე-ნ მუხლის მოქმედება წყდება სასამართლოს საბოლოო განაჩენის ძალაში შესვლის მომენტიდან. ის უკავშირდება განაჩენის აღსრულებას. აღნიშნული საკითხი გახდა განხილვის საგანი საქმაოდ არაორდინალურ საქმეში ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>102</sup> ფილპსი (Phillips) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §28-35.

<sup>103</sup> Ibid., §37-9.

<sup>104</sup> Ibid., §40-7.

<sup>105</sup> ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, §18; იხ. აგრეთვე ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ, §19; რინგეისენი (Reingeisen) ავსტრიის წინააღმდეგ, §110; ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §81; დევერი (Deweer) ბელგიის წინააღმდეგ, §42; სერვე (Serves) საფრანგეთის წინააღმდეგ, §42; ჰამმერი (Hammern) ნორვეგიის წინააღმდეგ, §41.

<sup>106</sup> დევერი (Deweer) ბელგიის წინააღმდეგ, §42.

<sup>107</sup> იხ. თავი 1, ქვეთავი II.

<sup>108</sup> ვასტი (Gast) და პოპი (Popp) გერმანიის წინააღმდეგ, §64; კრცმარი (Krcmar) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, §36; ზუსმანი (Sussmann) გერმანიის წინააღმდეგ, §39.

<sup>109</sup> ფილპსი (Phillips) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §34, 39; მალიგე (Malige) საფრანგეთის წინააღმდეგ.

განმცხადებელი პატიმრობაში რჩებოდა სასამართლოს მიერ მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლის შემდეგ. სასამართლომ სამართლიანად შენიშნა, რომ „თუ ქვეყნის ადმინისტრაციულ ორგანოებს ექნებათ ბრალდებულის გამამართლებელი განაჩენის შესრულებაზე უარის თქმის, მისი შეუსრულებლობის ან შესრულების გაჭიანურების საშუალება, მე-ნ მუხლით განსაზღვრული გარანტიები, რომლებითაც ბრალდებული ნარსულში სარგებლობდა სასამართლო განხილვის ეტაპზე, იქცეოდა ნაწილობრივ მოჩვენებითად“<sup>110</sup>.

## დ. საპროცესო მოქმედებები, რომლებზეც არ ვრცელდება მე-ნ მუხლი

### 1. *Habeas corpus* პროცედურა

არსებობს რამდენიმე საპროცესო მოქმედება, რომელზეც არ ვრცელდება მე-ნ მუხლის მოქმედება. საქმეში *ნოიმაისტერი (Neumeister)* ავსტრიის წინააღმდეგ სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ის არ გამოიყენებოდა სასამართლოს მიერ დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრისას. ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია და სასამართლოს მიერ აღნიშნული მიდგომის შეცვლის არავითარი ნიშანი არ არსებობს. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ არგუმენტაცია საკმაოდ მოძველებულია. კომისიის რამდენიმე წევრმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მე-ნ მუხლის გამოყენება, რადგან განიხილებოდა „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ საკითხი. ამაზე სასამართლომ სწორად უპასუხა, რომ „წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, უდავოდ, სისხლის სამართლის სფეროს მიეკუთვნება და რომ ნახსენები ნორმის ტექსტი მკაფიოდ ზღუდავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას... ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრით, რომელსაც მოცემული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ცხადია, არ უკავშირდება“. ეს განცხადება ადასტურებს, რომ საპროცესო მოქმედებების კავშირი პირის ბრალეულობის გარკვევასთან არის გადამწყვეტი ელემენტი. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ სხვა მოსაზრებებიც გამოთქვა: „გარდა ამისა, მე-ნ მუხლი მოითხოვს არა მხოლოდ იმას, რომ [სასამართლო] მოსმენა იყოს სამართლიანი, არამედ იმასაც, რომ ის იყოს საჯარო. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ პირველი პირობა ვრცელდება [პატიმრობიდან] გათავისუფლების შესახებ მოთხოვნების განხილვაზე, მეორე პირობაზე იგივეს აღიარების გარეშე. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საჯაროობა ასეთ საკითხებში არ შედის ბრალდებულის ინტერესებში“. ეს განცხადება „ყველაფრის ან არაფრის“ მიდგომის მანიშნებელია. თუმცა, სანამ სასამართლო ხელმძღვანელობს იმ დოქტრინით, რომ სამართალწარმოება „მთლიანობაში“ უნდა იყოს განხილული, საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნა შეზღუდული გამოყენებისაა. *ქანის (Can)* საქმეში სასამართლომ მე-ნ მუხლის მე-3(გ) პუნქტი გამოიყენა წინასასამართლო სამართალწარმოების მიმართ და განმარტა, რომ ის მოიცავდა კერძო ვითარებაში დამცველსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაციის უფლებას<sup>111</sup>. მოსაზრება, რომ ასეთი კომუნიკაცია უნდა იყოს „საჯარო“, უბრალოდ სასაცილოა. მეორე მხრივ, თავისთავად, არ არის ნათელი, *habeas corpus* პროცედურის განხორციელება რატომ არ უნდა მოხდეს საჯაროდ. თუ ჩავთვლით, რომ საჯაროობა არასასურველია, სრულებით არ არის „შეუძლებელი“, სასამართლოს მტკიცების საპირისპიროდ, მე-ნ მუხლში მოცემული

<sup>110</sup> *ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ*, § 183.

<sup>111</sup> იხ. მაგალითად, *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*.

სამართლიანობის ძირითადი გარანტიების გამოყენება საჯაროობის გამოკლებით. პრაქტიკაში სწორედ ასე ხდება<sup>112</sup>.

## 2. ქონების ჩამორთმევის ბრძანება

ზემოთ ხსენებული ერთ-ერთი საქმე შეეხებოდა სასამართლოს მიერ ქონების ჩამორთმევის ბრძანების გაცემას. არსებობდა საკანონმდებლო პრეზუმფცია, რომლის მიხედვით, „იმის განსაზღვრისას, მიიღო თუ არა ან რა საარგებელი მიიღო მსჯავრდებულმა ნარკოტიკების გასაღებიდან, 1994 წლის [ნარკოტიკების გასაღების] აქტის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სასამართლომ უნდა ივარაუდოს, რომ ნებისმიერი ქონება, რომელსაც მსჯავრდებული ფლობდა მსჯავრდებიდან ნებისმიერ დროს ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე ექვსწლიანი ვადის მანძილზე, მიღებული იქნა როგორც გადასახადი ან გასამრჯელო ნარკოტიკების გასაღებასთან დაკავშირებით და იმავე ვადაში მის მიერ განეული ნებისმიერი ხარჯი დაიფარა ნარკოტიკების გასაღებიდან მიღებული შემოსავლით“<sup>113</sup>.

ეს საქმე თითქმის არ წამოჭრიდა ახალ საკითხებს. რელიგანტური პრეცედენტია რაიმონდო (*Raimondo*) იტალიის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა ორგანიზებულ დანაშაულში ბრალდებული პირის ქონების ამოღებასა და კონფისკაციას. იტალიის კანონმდებლობაც მსგავს პრეზუმფციას ითვალისწინებდა<sup>114</sup>. თუმცა ფილიპსის (*Phillips*) საქმეში სასამართლო შეეცადა იმის განსაზღვრას, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი გამოიყენებოდა თუ არა. სასამართლო უარყოფით დასკვნამდე მივიდა, რადგან ჩათვალა, რომ ადგილი არ ჰქონდა „ახალ ბრალდებას“<sup>115</sup>. მან აღიარა სანქციის სიმძიმე, თუმცა იქვე დასძინა: „ამ პროცედურის მიზანი არ იყო განმცხადებლის მსჯავრდება ან გამართლება ნებისმიერი სხვა ნარკოტიკული დანაშაულისთვის“<sup>116</sup>. ამის შემდეგ სასამართლომ დაადასტურა, რომ კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების ღირებულების განსაზღვრის სამართალწარმოება იყო „სასამართლოს მიერ ჯეროვნად მსჯავრდებული პირისთვის ჯარიმის ოდენობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადის განსაზღვრის ანალოგიური“<sup>117</sup>.

ასეთ დროს მკითხველი, რომლისთვისაც ცნობილია იმ უდავო ფაქტის შესახებ, რომ მე-6 მუხლი აგრეთვე ვრცელდება სასჯელის შეფარდების პროცესზე, სასამართლოსგან, როგორც წესი, მოელის ამ ნორმის მოქმედების დადასტურებას. თუმცა სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა: „მას შემდეგ, რაც ჩადენილ დანაშაულში პირის ბრალი ჯეროვნად დამტკიცდება, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი აღარ გამოიყენება სასჯელის შეფარდების პროცესში ბრალდებულის პიროვნებისა და ყოფაქცევის შესახებ გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებაში, თუ ისინი არ არის ისეთი ხასიათის ან ხარისხის, რომ კონვენციის ავტონომიური მნიშვნელობით ახალი „ბრალდების“ წარდგენის ტოლფასი იყოს“<sup>118</sup>.

სასამართლოს ასეთი დასკვნა ორი თვალსაზრისით არის მიუღებელი. პირველი, თეორიული თვალსაზრისით, პრეცედენტული სამართლის შთამბეჭდავი განვითარების გათვალისწინებით, გაუმართლებელია სასამართლოს მიერ ენგელის (*Engel*) გადაწყვეტილების გამოყენება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ავტორიტეტული

<sup>112</sup> იხ. თავი 18.

<sup>113</sup> ფილიპსი (*Phillips*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §21.

<sup>114</sup> რაიმონდო (*Raimondo*) იტალიის წინააღმდეგ, § 18.

<sup>115</sup> ფილიპსი (*Phillips*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §32.

<sup>116</sup> *Ibid.*, §34.

<sup>117</sup> *Ibid.*

<sup>118</sup> *Ibid.*, §35, მითითება კეთდება საქმეზე ენგელი (*Engel*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §90.

ინტერპრეტირების სახით. ამ პუნქტში მოცემული გარანტია იმაზე ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული, ვიდრე თვით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. დღეს შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია საერთოდ არ გამოიყენება სასჯელის შეფარდების კონტექსტში, მაშინ როცა ის ვრცელდება კომპენსაციასა და სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე.

მეორე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არა მხოლოდ ვრცელდებოდა ამ საქმეზე, არამედ დაირღვა კიდევ. უნდა აღინიშნოს, რომ სადავო კანონი მოიცავს მსჯავრდებული პირის მთლიან ფინანსურ მდგომარეობას უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში. მოცემულ საქმეში ეს ვადა მოიცავდა რამდენიმეწლიან პერიოდს განმცხადებლის მიერ იმ ქმედების ჩადენამდე, რომლისთვისაც იყო მსჯავრდებული. ის წარსულში არასდროს ყოფილა მსჯავრდებული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში. სასამართლო კი ვარაუდობდა, კანონის საფუძველზე, რომ მას ადრეც უნდა ჰქონოდა ჩადენილი სხვა ნარკოტიკული დანაშაულები, რომლებიც არ იყო გამხდარი სისხლისსამართლებრივი დევნის საგანი. ეს შეიძლება მივიჩნიოთ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად.

სხვა განაცხადი, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი, გვიჩვენებს სასამართლოს საკმაოდ ვიწრო მიდგომას უდანაშაულობის პრეზუმფციის მიმართ. განმცხადებელი ბრალდებული იყო მართვის მონომობის გარეშე ავტომანქანის მართვაში. ამ დანაშაულისთვის ის ადრეც იყო მსჯავრდებული. სასამართლოს მიერ დაკისრებული სანქცია, სანამ განაჩენი ძალაში შევიდოდა, მოიცავდა, *inter alia*, განმცხადებლის მანქანის კონფისკაციასა და გაყიდვას. იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა თუ არა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეროვნული სასამართლოს არგუმენტაცია, რომლის მიხედვით, „განმცხადებლის მიმართ არსებული ეჭვი არ იქნა გაქარწყლებული სასამართლო პროცესზე“<sup>119</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადანყვეტილება საკამათოა, მოსაწონია, რომ გარანტია გამოყენებული იქნა ყოველგვარი დისკუსიის გარეშე.

### 3. მართვის მონომობის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ხშირად ითვალისწინებს მართვის მონომობის დაუყოვნებლივ ჩამორთმევას სერიოზული საგზაო შემთხვევის დროს, რომელიც მსხვერპლით სრულდება ან გამოწვეულია მძღოლის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნით. სწორედ ასეთ შემთხვევას უკავშირდებოდა *ესკუბეს* (*Escoubet*) საქმე. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონდა სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენას, ვინაიდან კონფისკაციის ბრძანება გაიცა მანამ, სანამ რაიმე სახის სამართალწარმოება დაიწყებოდა<sup>120</sup>. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე მართვის მონომობის ჩამორთმევის მიზანი იყო, „გარკვეული დროის მანძილზე საშიში მძღოლის გზებიდან ჩამოშორება“<sup>121</sup>. ეს იყო მხოლოდ პრევენციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც არ უკავშირდებოდა ბრალის დადგენას<sup>122</sup>. დაბოლოს, ის დროში იყო შეზღუდული, კერძოდ, გულისხმობდა მართვის მონომობის ჩამორთმევას თხუთმეტი დღის ვადით. შესაბამისად, მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა.

<sup>119</sup> *შმელცერი* (*Schmelzer*) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 45176/99.

<sup>120</sup> *ესკუბე* (*Escoubet*) ბელგიის წინააღმდეგ, § 35.

<sup>121</sup> *Ibid.*, § 33.

<sup>122</sup> *Ibid.*, § 37.

#### 4. საქმის გადასინჯვა

სისხლის სამართალწარმოების მიზანია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა. ეს შედეგი დგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება იქნება ამოწურული, უარყოფილი ან როცა გასაჩივრებისთვის განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა იქნება გაშვებული. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან მე-6 მუხლი ნყვეტს მოქმედებას<sup>123</sup>. მაგალითად, ამ მომენტიდან აღარ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. თუმცა საქმის გადასინჯვის უფლების მინიჭების შემთხვევაში, მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა გარანტია ხელახლა იწყებს მოქმედებას.

#### 5. ექსტრადიცია

როდესაც ერთი სახელმწიფო ითხოვს პირის ექსტრადიციას მეორე სახელმწიფოდან, ეს ნიშნავს, რომ მას ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული. მიუხედავად ამისა, მე-6 მუხლი არ ვრცელდება ექსტრადიციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე, ვინაიდან პირს არ ნარდგენია ბრალდება ექსტრადიციის ინიციატორი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ<sup>124</sup>.

#### 6. მოსამართლის მიუკერძოებლობის გასაჩივრება

მე-6 მუხლი არ ვრცელდება საქმის წინასწარ განხილვზე, რომელიც უკავშირდება მოსამართლის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საკითხს, ვინაიდან ის არ მოიცავს საქმის არსებითი გარემოებების განხილვას<sup>125</sup>.

### IV. მსხვერპლის უფლებები

#### ა. ამოსავალი წერტილი

ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების შესაბამისი დებულებები საქმოდ მკაფიოდ მიუთითებს იმ პირზე, რომელიც სარგებლობს საპროცესო გარანტიებით სისხლის სამართლის პროცესში: „მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის... განსაზღვრისას“ (საერთაშორისო პაქტი, მე-14(1, 3) მუხლი; ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი); „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ (საერთაშორისო პაქტი, მე-14(2) მუხლი; ევროპული კონვენცია, მე-6(2, 3) მუხლი); ყველა პირს... მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდების განხილვისას... (ამერიკული კონვენცია, მე-8(1) მუხლი); „ყველა პირს, ვინც ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულში“ (ამერიკული კონვენცია, მე-8(2)); „ბრალდებული“ (ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლის მე-2(ა, ბ, დ, ე) პუნქტი); „დაცვა“ (ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლის მე-3(ვ) პუნქტი). როგორც ვხედავთ, ზემოთ მოცემული დებულებების ავტორებს ეჭვი არ შეპარვიათ უფლებების ბენეფიციარის ვინაობაში: სამართალწარმოებაში მონაწილე მხოლოდ

<sup>123</sup> X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 864/60 (1962) 9 CD 17, 21; X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 1237/6 (1962) 5 Yb 96, 102; X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 7761/77 (1978) 14 ლ 171, 173; AB გერმანიის წინააღმდეგ, 11863/85; ფიშერი (Fischer) ავსტრიის წინააღმდეგ, 27569/02; ვერლე (Werthe) და ლაუბერი (Lauber) გერმანიის წინააღმდეგ, 11360/03.

<sup>124</sup> იხ. მაგალითად, მამატკულოვი (Mamatkulov) და აბდურასულოვი (Abdurasulovic) თურქეთის წინააღმდეგ, § 80.

<sup>125</sup> შრაიბერი (Schreiber) და ბოტჩი (Boetsch) საფრანგეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება განაცხადის დასაშვებობის შესახებ, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოებას უკავშირდებოდა.



ის პირები სარგებლობენ დაცვით, რომლებსაც ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, დიდი ხნის მანძილზე მსხვერპლთა მიერ წარდგენილი განაცხადები *ratione personae* დაუშვებლად იყო ცნობილი<sup>128</sup>. ეს პრინციპი არაერთხელ დადასტურდა ევროპულ პრეცედენტულ სამართალში: კონვენცია არ „ანიჭებს რაიმე უფლებებს... „პირადი შურისძიებისთვის““<sup>127</sup>.

## ბ. შეუსაბამობები

ზემოთ ხსენებული მიდგომა ბოლომდე არ შეესაბამება პრეცედენტული სამართლის გარკვეულ ასპექტებს და სამეცნიერო ლიტერატურაში მსხვერპლთან დაკავშირებით არსებულ ზოგად ტენდენციას. პირველი, სასამართლომ აღიარა, რომ კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, არა მარტო თავი შეიკავონ ფუნდამენტური უფლებების დარღვევისგან, არამედ გადადგან პოზიტიური ნაბიჯები მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მოსაზრებას ამყარებს კონვენციის 1-ლი მუხლის ტექსტი, რომლის მიხედვით, ხელშემკერელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასთვის „უზრუნველყოფენ“ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს<sup>128</sup>. ამ სფეროში ერთ-ერთი წამყვანი საქმე შეეხებოდა გონებრივად უნარშეზღუდულ გოგონას, რომელზეც განხორციელდა სექსუალური ძალადობა. ბოროტმოქმედი არ მიეკუთვნებოდა იმ დანესებულების თანამშრომელთა რიცხს, რომელთაც მასზე ზრუნვა ევალებოდათ<sup>129</sup>. როგორც აღმოჩნდა, ნიდერლანდების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო, დამნაშავეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიიყვამ შეუძლებელი იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის საფუძველზე ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის ადგილთან დაკავშირებით ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კონვენციის საფუძველზე მას აქვს უფლება, დამნაშავე მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და დაისაჯოს ბრალის დადასტურების შემთხვევაში. თუმცა, ამავე დროს, მსხვერპლს არ გააჩნია რაიმე სახის საპროცესო უფლება. ეს წამოჭრის საკითხს მე-13 მუხლის, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების საფუძველზე, რომლითაც სარგებლობს ყველა, ვისაც აქვს დასაბუთებული საჩივარი, რომ კონვენციით განსაზღვრული უფლების დარღვევის მსხვერპლია.

მეორე, განაცხადი დასაშვებია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის შემდეგ<sup>130</sup>. აღნიშნული დაცვის საშუალებები უნდა იყოს ეფექტიანი; ისინი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი<sup>131</sup>. შედეგად ვიღებთ ისეთ ვითარებას,

<sup>128</sup> იხ. ფოგლერი (1986) მე-6 მუხლი, N 240.

<sup>127</sup> *პერეზი (Perez) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §70; იხ. აგრეთვე *ჰელმერსი (Helmers) შვედეთის წინააღმდეგ*, §27; *ტოლსტოი მილოსლავსკი (Tolstoy Miloslavsky) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §58; *უნდსორი (Windsor) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 13081/87; *ხერმან ბუტრაგო მონტესი (German Buitrago Montes) და ხორხე პერეს ლოპესი (Jorje Perez Lopez) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 18077/91. ამ უკანასკნელ საქმეში საკითხი განხილული იქნა მე-13 მუხლის საფუძველზე.

<sup>128</sup> *ირლანდა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §239; იხ. აგრეთვე ალკემა (1988); ფილიპერი (1991); ფლაინერ-გერსტერი (1983).

<sup>129</sup> X და Y *ნიდერლანდების წინააღმდეგ*.

<sup>130</sup> 34(1) მუხლი.

<sup>131</sup> ეტიენ პიკარდი (1985) 591; ფროვანი და პოიკერტი (1996) 26-ე მუხლი, N 23; პარისი, ობოილი და უორბრიქი (1995) 608-9; ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 140.

როდესაც კონვენციის საფუძველზე პირს შეიძლება მოეთხოვებოდეს სისხლის სამართალწარმოების ეტაპის გავლა საპროცესო უფლებებით სარგებლობის გარეშე.

მესამე, თავის პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ აღიარა სისხლის-სამართლებრივი დენის მნიშვნელობა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისთვის. სასამართლოს განმარტებით, კონვენციის საფუძველზე, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სისხლისსამართლებრივ დევნას საეჭვო გარემოებებში პირის გარდაცვალების ან იმ პირთა ხელში მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას, რომლებიც ხელისუფლების სახელით მოქმედებდნენ<sup>132</sup>. თუმცა მე-6 მუხლი არ იძლევა საფუძველს დამნაშავეის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნაში ამ გარანტიის გამოყენებისთვის.

მეოთხე, სისხლის სამართლის პოლიტიკაში არსებული ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ყურადღების ცენტრმა, გარკვეულწილად, დამნაშავეიდან მსხვერპლზე გადაინაცვლა. ეს ცვლილება შეგვიძლია დავინახოთ კრიმინოლოგიაში, რომელიც მისი დაარსებიდან, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, მოყოლებული სწავლობდა კრიმინალებს და დამნაშავეობის განვითარებაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ვიქტიმოლოგიის სახელით, მისი ინტერესისა და კვლევის საგნად იქცა მსხვერპლი<sup>133</sup>. ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური კანონმდებლობა იქნა მიღებული, რომელიც მსხვერპლთა დაცვას ისახავს მიზნად<sup>134</sup>.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებმა ყოველგვარი უფლებების გარეშე უნდა დატოვონ მსხვერპლი, შესაძლო ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში არაადამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. პოლიტიკური ორგანოები უკვე აცნობიერებენ ამ პრობლემას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რამდენიმე რეკომენდაცია მიიღო აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, დანაშაულის მსხვერპლთა იურიდიული დახმარების, სასამართლო მოსმენის გამართვის ადგილისა და დროის, ასევე სამართალწარმოების შედეგების შესახებ მათი ინფორმირებისა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის გასაჩივრების უფლების მინიჭების შესახებ<sup>135</sup>.

უდავოა, რომ დაცვის სპეციალური უფლებები არაფრის მომცემია მსხვერპლისთვის. შესაბამისად, ისმის კითხვა, რა დოზით შეუძლია მას საპროცესო გარანტიების გამოყენება „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ განსაზღვრის, „სამოქალაქო პროცესის“ ან „სამოქალაქო, შრომითი, ფინანსური ან სხვა სახის უფლებებისა და მოვალეობების“ კონტექსტში<sup>136</sup>. აღნიშნული ამონარიდები ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ინსტრუმენტებიდან ცხადყოფს, რომ პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ევროპული კონვენციისთვის.

<sup>122</sup> იხ. მაგ: სუდრი (2003) 232; რიდი და მერდოკი (2001) 4.27, 4.28; გრაბენვარტერი (2003) §20 N 14, 15; შტრაშერი (1999) N 5.28/29.

<sup>133</sup> კაიზერი (1996) §47 N 3; კილიასი (2002); კუნცი (2001) §26 N 24.

<sup>134</sup> მაგალითად, გერმანია: *Opferschutzgesetz*, 1991 წლის 4 ოქტომბერი; იტალია: *Norme a favore delle vittime del terrorismo e della criminalita organizzata*, Legge 20 ottobre 1990, n. 302.

<sup>135</sup> იხ. პერეზი (Perez) *საფრანგეთის წინააღმდეგ*, §26-9.

<sup>136</sup> ამონარიდები ევროპული კონვენციის მე-6(1), საერთაშორისო პაქტის მე-14(1) და ამერიკული კონვენციის მე-8(1) მუხლებიდან.

## გ. პრეცედენტული სამართალი *პერეზის (Perez)* საქმემდე

საქმეთა ჯაჭვი, რომელიც მოცემულ პრობლემას უკავშირდება, იწყება *მორეირა დე აზევადოს (Moreira de Azevedo)* საქმიდან. განმცხადებელმა მონანილეობა მიიღო სისხლის სამართალწარმოებაში „დამხმარედ“ („assistente“). ენაიდან მას არ წარმოუდგენია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონდა „დავას“ („contestation“) სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების შესახებ<sup>137</sup>. თუმცა სასამართლომ გაიხსენა, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას იმდენად წამყვანი ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ გაუმართლებელია კონვენციის მე-6(1) მუხლის გარანტიების შეზღუდული ინტერპრეტირება“. სასამართლომ ასევე მიუთითა პორტუგალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, „სამოქალაქო პროცესში [დამხმარის სახით] მონანილეობა კომპენსაციის მოთხოვნის ტოლფასია“. გარდა ამისა, სისხლის სამართალწარმოების დროს სამოქალაქო საქმის აღძვრა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როცა ექვსი თვის მანძილზე სისხლის სამართალწარმოებაში არ იყო გატარებული რაიმე ღონისძიება“<sup>138</sup>.

მსგავსი თავისებურებით ხასიათდება საფრანგეთის კანონმდებლობაც. ის, ჩვეულებრივ, გამოიხატება გამონათქვამით „*le pénal tient le civil état*“ (სამოქალაქო სარჩელმა უნდა დაუცადოს სისხლის სამართალწარმოების შედეგს)<sup>139</sup>. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის მონანილე კერძო მხარეს, რომელიც მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, შეუძლია დაეყრდნოს მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს<sup>140</sup>.

აღსანიშნავია, რომ *ჰამერის (Hamer)* საქმეში სასამართლომ მოულოდნელად გადაუხვია იმ პრეცედენტებს, რომლებიც მსხვერპლს აძლევდა მე-6 მუხლით სარგებლობის საშუალებას. ამ საქმეში განმცხადებელს არ დაუყენებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სისხლის სამართალწარმოებაში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა დაეცადა მის დასრულებამდე, სანამ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის წარდგენას შეძლებდა. სასამართლოს მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ სისხლის სამართალწარმოების შედეგი მოცემულ საქმეში არ იყო გადამწყვეტი სამოქალაქო სარჩელისთვის<sup>141</sup>.

სხვა საქმეში, *აიტ-მუჰუბი (Ait-Mouhoub)* საფრანგეთის წინააღმდეგ, სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი გამოიყენებოდა. განმცხადებელმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა დათვლილი ზიანის ოდენობა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სისხლის სამართალწარმოების შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მიღებისთვის<sup>142</sup>. ეს უკანასკნელი მოსაზრება ძალზე არადამაჯერებელია, რადგან სასამართლომ მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითა, რომ ბრალდებულის მსჯავრდება საშუალებას მისცემდა განმცხადებელს, მიეღო კომპენსაცია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუმცა იგივეს თქმა შეიძლებოდა განმცხადებელზე *ჰამერის (Hamer)* საქმეშიც.

<sup>137</sup> *მორეირა დე აზევადო (Moreira de Azevedo)* პორტუგალიის წინააღმდეგ, §66, 67.

<sup>138</sup> პორტუგალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი.

<sup>139</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4(2) მუხლი. იხ. *პერეზი (Perez)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §60.

<sup>140</sup> *ტომასი (Tomasi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §212; საქმეში *აკუავივა (Acquaviva)* საფრანგეთის წინააღმდეგ (§46, 47) სასამართლო იგივე დასკვნამდე მივიდა უფრო ტრადიციული არგუმენტაციის გამოყენებით.

<sup>141</sup> *ჰამერი (Hamer)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §77, 78.

<sup>142</sup> *აიტ-მუჰუბი (Ait-Mouhoub)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §44, 45.

დაბოლოს, მაინის (*Main*) საქმე აიტ-მუჰუბის (*Ait-Mouhoub*) მსგავსია ერთი გამოწვევის გარდა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა ბრალდებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რამაც ხაზი გადაუსვა მსხვერპლის წარმატების შანსს სამოქალაქო სამართალწარმოებაში<sup>143</sup>.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-ნ მუხლით სარგებლობისთვის მსხვერპლმა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ, უნდა დაამყაროს ორი პირობა. პირველი, მან უნდა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ზუსტი ოდენობის მითითება არ არის აუცილებელი. მეორე, სისხლის სამართალწარმოების შედეგი უნდა იყოს გადამწყვეტი განმცხადებლისთვის ზიანის ასანაზღაურებლად<sup>144</sup>. თუმცა ჰამერის (*Hamer*) გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მეორე პირობა შეიძლება, გარკვეულწილად, ბუნდოვნად ჩაითვალოს.

## დ. საქმე პერეზი (*Perez*) საფრანგეთის წინააღმდეგ

პერეზის (*Perez*) საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ მისი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ იყო ძალზე გართულებული და „ბუნდოვანებისთვის ბოლოს მოღების“ პირობაც დადო<sup>145</sup>. თავდაპირველად სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც უნდა იყოს მიღებული მხედველობაში და გაანალიზა საფრანგეთის კანონი, რომელიც მსხვერპლს სთავაზობს არჩევანს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებს შორის<sup>146</sup>. მსხვერპლი, როგორც სამოქალაქო მხარე, რომელიც მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას სისხლის სამართლის პროცესში, ავტომატურად იქცევა მოსარჩელედ მე-ნ მუხლის მნიშვნელობით. სხვა სიტყვებით, წარსული პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებით, აღარ არის აუცილებელი დამატებით იმის დადგენა, არის თუ არა სისხლის სამართალწარმოება „გადამწყვეტი“ სამოქალაქო სარჩელის წარმატებისთვის.

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტატუსით „*partie civile*“, (სამოქალაქო მხარე) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშეც. სასამართლომ ეს ფაქტი არ მიიჩნია პრობლემად, რადგან ყველა მსხვერპლს, რომელიც სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს, უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია თვით სამართალწარმოების ბოლო ეტაპებზე. სასამართლოს მოსაზრებით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, „ფრანგული სამართალი ერთმანეთისგან აუცილებლად არ მიჯნავდა „სამოქალაქო მხარის სამართალწარმოებას“ და „სამოქალაქო სარჩელს.“ სინამდვილეში, პირველი ამ უკანასკნელის ერთ-ერთი სახეობაა“<sup>147</sup>.

სასამართლომ ასევე უარი თქვა ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ მოთხოვნაზე, როგორც სამოქალაქო „დავის“ (*contestation*) არსებობის წინაპირობაზე. „სამოქალაქო მხარის სტატუსის მოპოვებით, მსხვერპლი ახდენს იმ მნიშვნელობის დემონსტრირებას, რომელსაც ის ანიჭებს არა მხოლოდ დამნაშავეს სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, არამედ ასევე განცდილი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას“<sup>148</sup>. სასამართლოს მიხედვით, იმ შემთხვევაშიც, როცა „სისხლის სამართლის პროცესი არის მხოლოდ სისხლისსამართლებრივი

<sup>143</sup> მაინი (*Main*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 27-30.

<sup>144</sup> იხ. აგრეთვე პერეზი (*Perez*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 54.

<sup>145</sup> პერეზი (*Perez*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 55, 56.

<sup>146</sup> *Ibid.*, § 58.

<sup>147</sup> *Ibid.*, § 63.

<sup>148</sup> *Ibid.*, § 64.

ბრალის განმსაზღვრელი“, ის შეიძლება მაინც ჩაითვალოს სამოქალაქო სამართალწარმოებად მსხვერპლისთვის. ამისათვის სამოქალაქო კომპონენტი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სისხლისსამართლებრივთან.

ამავე დროს, სასამართლომ განაცხადა, რომ მე-ნ მუხლი არ გამოიყენება, თუ მსხვერპლი „მინდა სადამსჯელო მიზნებს“ ემსახურება. მისი ქმედება, როგორც მინიმუმ, „განუყოფელი [უნდა იყოს] მსხვერპლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყების უფლების განხორციელებისგან, თვით მხოლოდ სიმბოლური ანაზღაურების მიღების ან რომელიმე სამოქალაქო უფლების დასაცავად, როგორცაა „რეპუტაციის“ უფლება“. ამის შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ „ამ უფლებაზე უარის თქმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს ერთმნიშვნელოვნად“<sup>149</sup>.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად გაითვალისწინა მსხვერპლის ინტერესები. მან გაიხსენა, რომ კონვენცია ფართო უფლებებს ანიჭებს დაცვას, თუმცა ეს „არ ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია მსხვერპლთა მდგომარეობის უგულებელყოფა და მათი უფლებების დაკნინება“<sup>150</sup>.

## ე. კრიტიკული მიმოხილვა

სასამართლოს მცდელობა, გააძლიეროს მსხვერპლის პოზიცია სისხლის სამართლის პროცესში, ნამდვილად იმსახურებს მონონებას. მიუხედავად ამისა, *პერეზის (Perez)* გადაწყვეტილება მაინც უპასუხოდ ტოვებს რამდენიმე კითხვას და ვერ გეთავაზობს პრობლემის რეალური გადაჭრის გზას.

პირველი კითხვა უკავშირდება იმ ვინაობა კავშირს, რომელსაც სასამართლო თავის ახალ დოქტრინასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას შორის ავლებს. თავისივე მიდგომის მიხედვით, სასამართლოს მიერ *პერეზის (Perez)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საფრანგეთზე ვრცელდება. შესრულდა თუ არა პრეცედენტული სამართლის გამარტივების პირობა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ ხელახლა უნდა განიხილოს აღნიშნული საკითხი ორმოცზე მეტ სამართლებრივ სისტემასთან კავშირში, რომლებზეც კონვენცია ვრცელდება? იყო თუ არა შესაძლებელი და უფრო მისაღები ერთგვაროვანი ავტონომიური წესების განსაზღვრა მთელი ევროპის საბჭოს მასშტაბით? მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებიც, რომლებსაც სასამართლო ეყრდნობა, ხომ სწორედ ამისკენ მიისწრაფვის.

მეორე, საინტერესოა, რას ნიშნავს ზემოთ მოცემული სასამართლოს განცხადება უფლებაზე უარის თქმის შესახებ. მოიცავს თუ არა ის რაიმე სახის პრეზუმფციას? გულისხმობს თუ არა ის, რომ მე-ნ მუხლი გამოიყენება, თუ მსხვერპლმა, რომელიც მონანილეობას იღებს სისხლის სამართლის პროცესში, ერთმნიშვნელოვნად, უარი არ განაცხადა ფულადი კომპენსაციის უფლებაზე? ასეთი მიდგომა უდავოდ ძალიან შორს იქნებოდა იმისგან, რაც პრაქტიკაში ხდება სასამართლოებში.

სასამართლო ასევე აცხადებდა, რომ კონვენცია არ უზრუნველყოფს საზოგადოების სახელით სარჩელის შეტანის უფლებას (*actio popularis*). თუმცა რა კავშირია ამ უფლებასა და მსხვერპლის უფლებებს შორის? ვერსად ვპოულობთ მინიშნებას იმის შესახებ, რომ პირებს, რომლებსაც ინდივიდუალურად არ შეეხოთ დანაშაული, მხარის სახით უნდა მიეცეთ სისხლის სამართლის პროცესში მონანილეობის უფლება.

<sup>149</sup> *Ibid.*, §70.

<sup>150</sup> *Ibid.*, §72.

დაბოლოს, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს ადამიანების ეკონომიკური ინტერესების გადაფასებას. როგორც ჩანს, ის ვარაუდობს, რომ მსხვერპლი არ მიიღებდა მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში ფულადი კომპენსაციის მოლოდინის გარეშე. ასეთი მიდგომა ორმაგად გასაკვირია 41-ე მუხლის საფუძველზე კომპენსაციის უფლებაზე სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში სასამართლო, ჩვეულებრივ, მიდის დასკვნამდე, რომ კონვენციის დარღვევის დადგენა, თავისთავად, საკმარისი დაკმაყოფილებაა. ანალოგიის სახით, ბრალდებულის მსჯავრდება ასევე ხშირად წარმოადგენს მნიშვნელოვან დაკმაყოფილებას მსხვერპლისთვის. გარდა ამისა, სასამართლო უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მსხვერპლისთვის მინიჭებული ანაზღაურება, როგორც წესი, სიმბოლური ხასიათისაა, ვინაიდან მსჯავრდებულს არ გააჩნია რაიმე არსებითი ფინანსური სახსრები. უნდა იქონიოს თუ არა რაიმე გავლენა ამ ცარიელმა, ვირტუალურმა და არარეალურმა მოთხოვნამ?

სასამართლოს მიდგომა ძალზე ფორმალისტურია. დანაშაულის მსხვერპლს აქვს ბრალდებულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნაში მონაწილეობის კანონიერი ინტერესი. არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, ასეთი მონაწილეობა ფინანსური მოტივებით არის განპირობებული თუ მორალურით. არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი იმისათვის, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მსჯავრდების ინტერესი არ ჩაითვალოს „სამოქალაქო უფლებად“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით. თუმცა ეს მოსაზრება ერცელდება მსჯავრდებულზე და შეგნებულად გამორიცხავს სასჯელის შეფარდებას. სასჯელის შეფარდების საკითხი სახელმწიფოების ექსკლუზიურ კომპეტენციას მიეკუთვნება. მათ უფლება აქვთ, გადაწყვიტონ, უნდა მოხდეს თუ არა მსხვერპლის სადამსჯელო მისწრაფებების მოსმენა ან მხედველობაში მიღება<sup>151</sup>.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საუბარია მხოლოდ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ უფლებებზე და არა მე-2 და მე-3 პუნქტში მოცემულ სპეციალურ უფლებებზე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ბრალდებულისთვის არის განკუთვნილი, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს „სამართლიანობის“ ცნების განმარტებისთვის<sup>152</sup>. კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფცია სარგებელს ვერ მოუტანს ორივე მხარეს. მსხვერპლს თავიდანვე მოუწევს იმასთან შეგუება, რომ ნებისმიერი ეჭვი, ფაქტების დადგენისას, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს<sup>153</sup>. თუმცა თარჯიმნისა და დამცველის დახმარების უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

საუბარი არ არის „სასამართლოსთვის მიმართვის უფლების“ ერთ-ერთ ფორმად მსხვერპლისთვის სისხლის სამართალწარმოების ინიცირების აბსოლუტური უფლების მიკუთვნების აუცილებლობაზე. როდესაც არსებობს, ზიანის ანაზღაურების მიზნით, სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრის შესაძლებლობა, მსხვერპლს არა აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის გასაჩივრების უფლება იმის გათვალისწინებით, რომ მისი მიზანი ფინანსური კომპენსაციის მიღებაა. შესაბამისად, უნდა დავეთანხმოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას *ასენოვის (Assenov)* საქმეში<sup>154</sup>.

<sup>151</sup> კომისიამ დაუშვებლად ცნო იმ პირის განაცხადი, რომელიც მოითხოვდა სასჯელის შეფარდების პროცესში მონაწილეობის უფლებას: *მაკურტი (McCurti) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 20433/92 (1993) 15. განაცხადის განხილვა მე-8 მუხლის საფუძველზე მოხდა.

<sup>152</sup> *ალბერი (Albert) და ლე კონტი (Le Compte) ბელგიის წინააღმდეგ*, §39; *დამბო ბერი (Dambro Beher) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §32.

<sup>153</sup> იხ. თავი 8.

<sup>154</sup> *ასენოვი (Assenov) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 108-12.

## ნაწილი მეორე

სამართლიანი სასამართლო  
განხილვის ზოგადი გარანტიები

# თავი 3

## დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

... ყველას აქვს მისი საქმის ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი უფლებამოსილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(1) მუხლი.*

... ყველას აქვს ... მისი საქმის ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი.*

ყველა პირს აქვს მისი საქმის განხილვის უფლება ... კანონის საფუძველზე წინასწარ შექმნილი უფლებამოსილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(1) მუხლი.*

ძირითადი ელემენტები საერთოა ზემოთ მოცემული სამივე დებულებისთვის და გამოხატულია იდენტურ ცნებებში: „სასამართლო“, „დამოუკიდებელი“, „მიუკერძოებელი“ და „კანონის საფუძველზე შექმნილი“. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია დამატებით მოითხოვს, რომ სასამართლო იყოს „უფლებამოსილი“. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე ამ მოთხოვნას მოიცავს ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

სიტყვები „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალი“ გამოყენებული იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ პროექტში, რომელიც მოამზადა რენე კასინმა.<sup>155</sup> გარკვეულ ეტაპზე გაერთიანებულმა სამეფომ წინადადების სახით წარმოადგინა ტექსტი, რომელშიც ამოღებული იყო სიტყვა „დამოუკიდებელი“. თუმცა ბატონმა კასინმა, რომელსაც ევალებოდა ცვლილებების ინკორპორირება, სიტყვა მაინც დააბრუნა ტექსტში – როგორც ჩანს, ყოველგვარი დისკუსიის გარეშე.<sup>156</sup> გვიანდელ პროექტში, რომელიც ასევე მომზადდა კასინის

<sup>155</sup> ვაისბროდტი (2001) 13.

<sup>156</sup> *Ibid.*, 14, 15.



მიერ, „ტრიბუნალი“ შეცვალა „სასამართლომ“, თუმცა საბოლოო ვერსიაში კვლავ სიტყვა „ტრიბუნალი“ გაჩნდა.<sup>157</sup>

1947 წელს, საერთაშორისო პაქტის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილ ვერსიაში მოცემული იყო „უფლებამოსილი და მიუკერძოებელი სასამართლო“, თუმცა სამუშაო ჯგუფის პროექტში სიტყვა „დამოუკიდებელი“ ისევ გაჩნდა და საბოლოოდ დარჩა ტექსტში.<sup>158</sup>

სიტყვები „კანონის საფუძველზე შექმნილი“ გვხვდება ჯერ კიდევ ჩილეს დელეგატის ბატონი საგის მიერ წამოყენებულ წინადადებაში. მისი მოსაზრებით, ტრიბუნალი ასევე უნდა ყოფილიყო „რეგულარული“ ანუ „წინასწარ შექმნილი“. მისი წინადადება არ იქნა გაზიარებული,<sup>159</sup> თუმცა კომისიის მეხუთე სესიის ბოლოს სიტყვები „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მაინც დაემატა „ტრიბუნალს“.<sup>160</sup>

დაბოლოს, მეორე სესიის მიმდინარეობისას, ბატონმა ივერემოვიჩმა იუგოსლავიიდან წამოაყენა წინადადება სიტყვის „უფლებამოსილი“ დამატების თაობაზე. ბატონი კასინი ამის წინააღმდეგი იყო, თუმცა კომისიამ მაინც გადაწყვიტა ამ წინადადების გაზიარება.<sup>161</sup>

## გ. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების მნიშვნელობა

საქმის განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ერთი მხრივ, ის წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდების მონაწილეობით დავების გადაწყვეტას ნეიტრალური ხელისუფლების მიერ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ასპექტით ხასიათდება და საფუძველს უყრის მესამე, სასამართლო ხელისუფლებას. მაშინ, როცა თავისუფალი არჩევნების უფლება, ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე, იცავს დემოკრატიის საფუძველებს, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტია საფუძვლად უდევს კანონის უზენაესობის არსებობას.<sup>162</sup>

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დამოუკიდებელი სასამართლოების გარეშე კანონის უზენაესობა ეჭვქვეშ დადგებოდა. შეიძლება ასევე დაფიქრდეთ, რეალურად იარსებებდა თუ არა თვით სამართალი სასამართლოს გარეშე. მართლაც, რომაული სამართლის განვითარება გვიჩვენებს, რომ მოსამართლეებმა (განსაკუთრებით პრეტორებმა) იმაზე დიდი როლი ითამაშეს ამ პროცესში, ვიდრე თვით კანონმდებლებმა. პრეცედენტული სამართალი ანგლო-საქსურ ქვეყნებში კვლავაც სამართლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და არც კონტინენტურ სამართალში თამაშობს უმნიშვნელო როლს.<sup>163</sup>

<sup>157</sup> *Ibid.*, 17, 33.

<sup>158</sup> *Ibid.*, 45, 46.

<sup>159</sup> *Ibid.*, 51, 52.

<sup>160</sup> *Ibid.*, 54.

<sup>161</sup> *Ibid.*, 64.

<sup>162</sup> კუიერი (2004) 452. ავტორისთვის აღნიშნული გარანტია მიეკუთვნება საჯარო წესრიგს.

<sup>163</sup> კრუსლინი (*Kruslin*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29; ჰუვიგი (*Huvig*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §28.

ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ძირითადი ელემენტია, არის არა მხოლოდ თეორიული კონცეფცია, არამედ ასახულია პრეცედენტულ სამართალშიც. კერძოდ, ის არის პირველი ელემენტი, რომელსაც სასამართლო ამონმებს მე-6 მუხლის საფუძველზე შემოსული განაცხადების განხილვისას. საქმის განხილვა წყდება თუ აღმოჩნდება, რომ ეროვნული სასამართლო არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლის მოთხოვნებს. იმ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს შეუძლებელია იყოს სამართლიანი. შესაბამისად, აზრი ეკარგება იმის გარკვევას, სასამართლომ განიხილა თუ არა საქმე საჯაროდ ან გონიერულ ვადაში.<sup>164</sup>

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტია თავდაპირველად გამიზნული იყო პოლიტიკური ქვეტექსტების მქონე საქმეების განხილვის მიზნით შექმნილი სპეციალური ტრიბუნალების წინააღმდეგ. ამის შესახებ აღნიშნულია ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში: „კომიტეტი აღნიშნავს, რომ მრავალ ქვეყანაში არსებობს სამხედრო თუ სპეციალური სასამართლოები, რომლებიც სამოქალაქო პირთა საქმეებს განიხილავენ. ამან შეიძლება შეუქმნას სერიოზული პრობლემები მართლმსაჯულების სამართლიან, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ განხორციელებას. ძალზე ხშირად მსგავსი სასამართლოების შექმნის მიზანია სპეციალური სამართალწარმოების განხორციელება, რომელიც მართლმსაჯულების ჩვეულებრივ სტანდარტებს არ შეესაბამება“<sup>165</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ ეს უფლება აბსოლუტური ხასიათისაა და შეზღუდვას არ ექვემდებარება.<sup>166</sup>

## დ. „სასამართლოს“ განსაზღვრება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რამდენჯერმე შეეცადა, განესაზღვრა ტერმინი „სასამართლო“. თუმცა მის მიერ შემუშავებული დეფინიციები არასდროს ქცეულა მნიშვნელოვან ფაქტორად პრეცედენტულ სამართალში. მაგალითად, ბელილოსის (*Belilos*) საქმეში<sup>167</sup> ეკითხულობთ: „სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „სასამართლოს“ დამახასიათებელი ნიშანია ... მისი სასამართლო ფუნქცია, რომელიც გულისხმობს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტას სამართლის ნორმების საფუძველზე და დადგენილი წესის მიხედვით საქმის განხილვის შემდეგ ... ის აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს – დამოუკიდებლობა,

<sup>164</sup> იხ. დემიკოლი (*Demicoli*) მალტის წინააღმდეგ, §43; ფინდლი (*Findlay*) გავრთიანებულ საქმეებს წინააღმდეგ, §80; ინკალი (*Incal*) თურქეთის წინააღმდეგ, §74; ოზერტიკოგლუ (*Özertikoglu*) თურქეთის წინააღმდეგ, §25; ჩირაკლარი (*Çiraklar*) თურქეთის წინააღმდეგ, §44, 45. თუმცა არსებობს გამოწვევებიც. მაგალითად, საქმეში ქომე (*Combe*) ბელგიის წინააღმდეგ ასევე განხილულ იქნა სამართალწარმოების გაჭიანურების საკითხი. საქმეში ოჯალანი (*Ocalan*) თურქეთის წინააღმდეგ მრავალი სხვა საკითხი იქნა დამატებით განხილული. აღსანიშნავია, რომ არსებობს სამართალწარმოების გაჭიანურების საკითხის დამატებით განხილვის ძლიერი არგუმენტი 41-ე მუხლის საფუძველზე კომპენსაციის უფლების კონტექსტში.

<sup>165</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-13 და მე-14 მუხლების ზოგადი კომენტარი (1984).

<sup>166</sup> გონსალეს დელ რიო (*Gonzalez del Rio*) პურუს წინააღმდეგ.

<sup>167</sup> ბელილოსი (*Belilos*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §64. იხ. აგრეთვე რინგაიზენი (*Ringelsen*) ავსტრიის წინააღმდეგ, §95; სმარეკი (*Sramek*) ავსტრიის წინააღმდეგ, §36; ბენტემი (*Bentham*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §40; ლე კონტი (*Le Compte*), ვან ლოუენი (*Van Leuven*) და დე მეიერი (*De Meyere*) ბელგიის წინააღმდეგ, §55; H ბელიოსის წინააღმდეგ, §50; ბომარტინი (*Beaumartin*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §38.

განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისგან; მიუკერძოებლობა; წევრების თანამდებობაზე დანიშვნის ვადა; საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული გარანტიები – რომელთაგან რამდენიმე მოცემულია მე-6(1) მუხლის ტექსტში... „სასამართლოს“ განმარტება, როგორც ვხედავთ, გარკვეულწილად ზედმეტია, ვინაიდან მე-6 მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა ელემენტები აქ „სასამართლოს“ განსაზღვრების ნაწილად არის მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ დანესებულების სახელწოდებას, რომელიც სასამართლო ფუნქციებს ასრულებს.<sup>168</sup> მე-6 მუხლის მიზნებისთვის სასამართლოდ შეიძლება ასევე ჩაითვალოს ორგანო, რომელიც სხვა, არასასამართლო მიზნებს ემსახურება.<sup>169</sup>

## ე. ევროპულ კონვენციაში მოცემული მითითება მოსამართლეზე, ტრიბუნალზე ან სასამართლოზე

ეს თავი შემოიფარგლება კონვენციის მე-6 მუხლში გამოყენებული ტრიბუნალის ცნებით, თუმცა მსგავს მითითებებს ასევე ვხვდებით კონვენციის სხვა მუხლებშიც.<sup>170</sup> მე-2 მუხლის მიხედვით, ადამიანის „სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად“. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებში ნახსენებია „უფლებამოსილი სასამართლო“ და „კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლო ბრძანება“; გ) ქვეპუნქტი კი საუბრობს პირის დაკავებასა და დაპატიმრებაზე „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს ნინაშე მის წარსადგენად“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაკავებული ან დაპატიმრებული უნდა წარედგინოს „მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს“; ხოლო მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას, მისი დაკავების კანონიერება განხილული იქნეს სასამართლოს მიერ. მე-7 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, „სასამართლოს“ მიერ მსჯავრდებულ ყველა პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი „უფრო მაღალ ინსტანციაში“.

ერთი შესაძლო გამონაკლისის გარდა, მე-6 მუხლით განსაზღვრული სასამართლოს აუცილებელი ნიშნები თანაბრად ვრცელდება ზემოთ მოცემულ მუხლებსა და პუნქტებზე.<sup>171</sup> აღნიშნული გამონაკლისი შეეხება მე-5 მუხლის

<sup>168</sup> მაგ: საქმეში *რინგაიზენი (Ringelsen) ავსტრიის წინააღმდეგ* (§95) „რეგიონული კომისია“ ჩაითვალა „სასამართლოდ“; იხ. აგრეთვე *H ბელგის წინააღმდეგ*, §50 („ბარისტრთა საბჭო“); *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ*, §76 („ვიზიტორთა საბჭო“); *Sramek ავსტრიის წინააღმდეგ*, §36 („რეგიონული ადმინისტრაცია“); *დემიკოლი (Demicoli) მალტის წინააღმდეგ*, §40 („წარმომადგენელთა პალატა“); თუმცა საქმეში *ბელილოსი (Bellilos) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §65, სასამართლომ განაცხადა, რომ ზოგიერთი ტერმინი (ამ საქმეში „რეგიონული ადმინისტრაცია“) წარმოადგენს მნიშვნელოვან მინიშნებას მოცემული ორგანოს ხასიათზე“.

<sup>169</sup> *H ბელგის წინააღმდეგ*, §50.

<sup>170</sup> საერთაშორისო პაქტისა და ამერიკული კონვენციის მაგალითებს აქ არ მოიყვანა.

<sup>171</sup> *დე ვილდე (De Wilde), ოში (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგის წინააღმდეგ*, §78: „ყველა ამ განსხვავებულ საქმეში [სასამართლო] გულისხმობს ისეთ ორგანოებს, რომლებიც არა მარტო საერთო ძირითადი ნიშნებით ხასიათდება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისგან ... არამედ აგრეთვე სასამართლო სამართალწარმოების გარანტიებით“. ევროპული სასამართლოს განცხადებით, არ არის აუცილებელი სასამართლოში საქმის განხილვის წესი ყოველთვის ერთი და იგივე იყოს. საქმეში *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ* (§24) პირველად განიმარტა ცნება „სასამართლო“ მე-5(4) მუხლის საფუძველზე: „ეს ცნება გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო უნდა იყოს სასამართლო ხასიათის მქონე ანუ

მე-3 პუნქტს. შისერის (Schiesser) საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „სხვა მოხელე“ შეიძლება იყოს ყოფილი მაგისტრალი, რომელიც დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შედარებით დაბალი ხარისხით ხასიათდება.<sup>172</sup> ამ საქმეში მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში უარყოფილი იქნა სასამართლოს მიერ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თვით „სხვა მოხელე“ უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

მეორე მხრივ, კონვენციაში ასევე ვხვდებით მითითებებს იმ სახელმწიფო ორგანოების შესახებ, რომლებსაც ნამდვილად არ მოეთხოვებათ იმავე მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც სასამართლოს მიმართ არსებობს. მაგალითად, მე-13 მუხლის საფუძველზე „ეროვნული ხელისუფლების“ ნინაშე უნდა არსებობდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, ხოლო მე-7 ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, „ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო“ ზედამხედველობს უცხოელთა გაძევების პროცესს.

### ვ. ურთიერთკავშირი „დამოუკიდებლობის“, „მიუკერძოებლობის“ და „კანონის საფუძველზე შექმნის“ მოთხოვნებს შორის

სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კანონის საფუძველზე შექმნის მოთხოვნებს შორის არსებული ურთიერთკავშირი სამეცნიერო ლიტერატურაში დავის საგანია. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამივე ელემენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ძალზე რთულია მათ შორის ნათელი ზღვრის გაკლება.<sup>173</sup> სხვები კი თვლიან, რომ ისინი განსხვავებული ცნებებია და საჭიროებს მკაფიო გამოჯენას.<sup>174</sup>

კონვენციის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგადი მიდგომა გულისხმობს, რომ პირველ საკითხად განიხილული იქნეს, არის თუ არა სასამართლო შექმნილი კანონის საფუძველზე. თუ ეს მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, აზრს კარგავს სხვა ელემენტების შემოწმება.<sup>175</sup> თუმცა ეს წესი ყოველთვის არ იყო დაცული სასამართლოს მიერ, განსაკუთრებით მე-8 მუხლის კონტექსტში. მაგალითად, *ობერშლიკის (Oberschlick)* საქმეში სასამართლო არ შეუდგა იმის გარკვევას ვენის სააპელაციო სასამართლო კანონის საფუძველზე იყო თუ არა შექმნილი, არამედ დაუკავშირა ეს საკითხი სასამართლოს მიუკერძოებლობას და ერთობლივად განიხილა ორივე ასპექტი.<sup>176</sup>

რაც შეეხება დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რასაკვირველია შეიძლება ამ ორი ცნების ცალ-ცალკე განმარტება. „დამოუკიდებლობა“ ნიშნავს სუბორდინაციის არარსებობას რომელიმე სახელმწიფო, განსაკუთრებით

---

დამოუკიდებელი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მხარეებისგან ... „დე ვილდეს (De Wilde), ომის (Ooms) და ვერსიპისა (Versyp) და ნოიმაისტერის (Neumeister) საქმეები ციტირებულია სასამართლოს მრავალ გადაწყვეტილებაში, სადაც განხილულია „სასამართლოს“ ცნება მე-1(1) მუხლის კონტექსტში (იხ. მაგ. *ლე კომპტი (Le Compte)*, *ვან ლეუენი (Van Leuven)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის წინააღმდეგ, §55; *რინგაიზენი (Ringelsen)* ავსტრიის წინააღმდეგ, §95).

<sup>172</sup> შისერი (Schiesser) შვეიცარიის წინააღმდეგ, §29.

<sup>173</sup> იხ. მაგ. დანელიუსი (1997) 151.

<sup>174</sup> ფან დაიკი და ფან-ჰოფი (1998) 451; თუმცა იხ. ფელდტი (1997) 60. ავტორი აღიარებს, რომ აღნიშნული განსხვავება ხშირად რთულად შესამჩნევია და აკრიტიკებს სასამართლოს არათანმიმდევრული ტერმინოლოგიისთვის.

<sup>175</sup> შედრ. *როტარუ (Rotaru)* რუმინეთის წინააღმდეგ, §62; *პფაიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, კომისიის ანგარიში, გვ. 25, §62.

<sup>176</sup> *ობერშლიკი (Oberschlick)* ავსტრიის წინააღმდეგ, §49.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსადმი. დამოუკიდებლობის არსებობა აუცილებელია ზემდგომ სასამართლო ორგანოებთან მიმართებაშიც. სირთულეს არ წარმოადგენს, როდესაც სასამართლოს ევალება ზემდგომი სასამართლოების პრეცედენტების პატივისცემა. თუმცა დამოუკიდებლობის პრინციპთან შეუსაბამოა, თუ ზემდგომ სასამართლოს უფლება აქვს, გაცეს ბრძანება ქვემდგომი სასამართლოების მისამართით კონკრეტული საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

„მიუკერძოებლობა“ უკავშირდება კონკრეტულ განსახილველ საქმეს და არსებითად გარანტიის ის ნაწილია, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს: ანუ მოსამართლე არ უნდა იყოს მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ. მას უნდა შეეძლოს მხარეთა პოზიციებისა და შეხედულებების თავისუფალი განხილვა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სამართლის ნორმების სწორი გამოყენების საფუძველზე, წარმოადგენს საქმის სამართლიან გადაწყვეტას. შესაბამისად, ინდივიდისთვის მოსამართლის ძირითადი დამასახიათებელი ნიშანი არა მისი დამოუკიდებლობა, არამედ მიუკერძოებლობაა. როდესაც მოსამართლე არ არის დამოუკიდებელი ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ ვერც მიუკერძოებელი იქნება. თუმცა სინამდვილეში სხვაზე დამოკიდებულება შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. მაშინ, როცა მიკერძოებული მოსამართლე ყოველთვის შეუფერებელია თანამდებობისათვის, იმის მიუხედავად დამოუკიდებელია თუ არა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს აღნიშნულ სხვაობას. საქმეში *ფინდლი (Findlay) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>177</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ „დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის ცნებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მოცემულ საქმეში სასამართლო მათ განიხილავს ერთობლივად“.<sup>178</sup>

## II. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო

რატომ უნდა შეიქმნას სასამართლო კანონის საფუძველზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დაეუბრუნდეთ სასამართლო ხელისუფლების ძირითად დანიშნულებას. ის შეიძლება ემსახუროს კანონის უზენაესობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავად გამომდინარეობს კანონიდან.<sup>179</sup> როგორც კომისიამ განაცხადა საქმეში *ცანდი (Zand) ავსტრიის წინააღმდეგ*, „სასამართლო ხელისუფლების მოწყობა დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ

<sup>177</sup> *ფინდლი (Findlay) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §75. სასამართლო ამ ფორმულარებას რეგულარულად იყენებდა მოგვიანებით განხილულ საქმეებში. იხ. აგრეთვე *მაკგონელი (McGonnell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §48; *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ*, §65; *ჩირაკლარი (Çiraklar) თურქეთის წინააღმდეგ*, §38 (ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „მოცემულ საქმეში შეუძლებელია მიუკერძოებლობის გამოყოფა დამოუკიდებლობისგან“).

<sup>178</sup> სხვაობა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის თითქმის არ გვხვდება არც ერთ მოგვიანებით განხილულ საქმეში, სადაც სამხედრო მოხელე იყო სასამართლოს წევრი: *სენერი (Sener) თურქეთის წინააღმდეგ*, §56; *გერგერი (Gerger) თურქეთის წინააღმდეგ*, §60; *ოკუოგლუ (Okcuoglu) თურქეთის წინააღმდეგ*, §57; *კარატასი (Karatas) თურქეთის წინააღმდეგ*, §61; *სიურეკი (Sürek) და ოზდემირი (Özdemir) თურქეთის წინააღმდეგ*, §77; *სიურეკი (Sürek) თურქეთის წინააღმდეგ*, §74; *ბასკაია (Baskaya) და ოკუოგლუ (Okcuoglu) თურქეთის წინააღმდეგ*, §78.

<sup>179</sup> „კანონის“ განმარტებისთვის იხ. თავები 9 და 17.

უნდა მოწესრიგდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით<sup>180</sup>. როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში „კანონი“ უნდა განიმარტოს უფრო მკაცრად, ვიდრე კონვენციის სხვა დებულებებში. კანონში, როგორც წესი, იგულისხმება ზოგადი გამოყენების სამართლის ნორმა. სასამართლო ჩვეულებრივ არ ამოწმებს კანონი პარლამენტის მიერ არის მიღებული თუ მთავრობის ან ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ. მაგალითად, *ამანის (Amman)* საქმეში სასამართლომ „კანონად“ აღიარა „1981 წლის 16 მარტის ფედერალური საბჭოს განკარგულების 414-ე პუნქტი ფედერალურ ადმინისტრაციის პირადი ინფორმაციის გადაცემის შესახებ და 1992 წლის 9 ოქტომბრის ფედერალური დადგენილების მე-7 მუხლი ფედერალური პროკურატურის დოკუმენტების გაცნობის შესახებ“<sup>181</sup>.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, *ცანდის (Zand)* საქმეში პირველად გვხვდება მითითება მთელს პრეცედენტულ სამართალში კანონმდებლობის შექმნის მარეგულირებელი ფორმალური პროცედურების შესახებ. ოცი წლის შემდეგ საკითხი ხელმეორედ განიხილა სასამართლომ *ქიომეს (Coëme)* საქმეში: ამ წესის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ „სასამართლო ხელისუფლების მოწყობა არ იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ წესრიგდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით.“<sup>182</sup>

ამავე დროს, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი შეიძლება მოწესრიგდეს არა კანონის ანუ პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის, არამედ „დელეგირებული კანონმდებლობის“ საფუძველზე. მაგალითად, შრომითი დავების განმხილველი სასამართლოების რაოდენობა და საზღვრები შეიძლება განისაზღვროს მინისტრის განკარგულებით.<sup>183</sup> თუმცა „დელეგირებული კანონმდებლობაც“ უნდა აკმაყოფილებდეს სიზუსტისა და განჭვრეტადობის ზოგად მოთხოვნებს.<sup>184</sup>

რა საკითხები უნდა მოწესრიგდეს სამართლის იმ ნორმებით, რომელთა საფუძველზეც იქმნება სასამართლო? *ცანდის (Zand)* საქმეში კომისიამ განაცხადა, რომ „... მე-6(1) მუხლში მოცემული ცნება „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ გულისხმობს სასამართლოების სრულ ორგანიზაციულ მოწყობას, მათ შორის, არა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის სასამართლოების იურისდიქციაში შემავალ საკითხებს, არამედ ცალკეული სასამართლოების შექმნასა და მათი იურისდიქციის განსაზღვრას“<sup>185</sup>. ამავე ცნებაში, სავარაუდოდ, შედის სასამართლოს კომპეტენციის<sup>186</sup>, არა მხოლოდ *ratione loci*<sup>187</sup>, არამედ აგრეთვე

<sup>180</sup> *ცანდი (Zandi) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7360/76.

<sup>181</sup> *ამანი (Amann) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 78.

<sup>182</sup> *ქიომე (Coëme) ბელგიის წინააღმდეგ*, § 98.

<sup>183</sup> *ცანდი (Zand) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7360/76.

<sup>184</sup> *როტარუ (Rotaru) რუმინეთის წინააღმდეგ*, § 55 (საქმე შეეხებოდა საიდუმლო თვალთვალს); *ამანი (Amann) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 56.

<sup>185</sup> *ცანდი (Zand) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7360/76.

<sup>186</sup> იხ. აგრეთვე ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-6 მუხლი N 122; ველუ და ერგეცი (1990) N 537.

<sup>187</sup> თუმცა კომისიამ უარი განაცხადა იმის განხილვაზე, სასამართლოს ჰქონდა თუ არა კომპეტენცია საკასაციო სასამართლოსგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ: „ზემოთ მოყვანილი დებულება არ ... ანიჭებს კომისიას უფლებას, შეამოწმოს კონკრეტულ საქმეში სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონის დებულებები, ვინაიდან, პირველ რიგში, ეროვნული ორგანოების, განსაკუთრებით სასამართლოების, ფუნქციაა ამ კანონის ინტერპრეტირება და გამოყენება ... ამ საქმეში კომისია აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც გადაეცა

*ratione materiae*, შემადგელობისა და საქმისნარმოების წესის განსაზღვრა.<sup>188</sup> თუმცა აღნიშნულ საკითხებზე პრეცედენტული სამართალი არ იძლევა მკაფიო პასუხებს. ამის გათვალისწინებით, სტეფანოს სტავროსი მიდის დასკვნამდე, „... რომ [სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის მიხედვით] მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტური და შეუზღუდავი დისკრეტია სასამართლოების იურისდიქციაზე უქმნის სერიოზულ საფრთხეს სასამართლოს დამოუკიდებლობას.<sup>189</sup>

შემდეგი საკითხი, რომელსაც განვიხილავთ შეეხება სასამართლო პალატების შემადგენლობასა და მათ შორის საქმეების განაწილებას, რამაც გაცხოველებული კამათი გამოიწვია გერმანიაში<sup>190</sup>. მიუღებელია მცირედი ეჭვის არსებობაც კი, რომ მოსამართლეებს შორის საქმეების განაწილება მოსალოდნელი გადანყევტილებების მიხედვით მოხდა. ასეთი შემთხვევის მაგალითია საქმე *დაკტარასი (Dsktaras) ლიტვის წინააღმდეგ*, რომელიც მიუკერძოებლობის ჭრილში იქნა განხილული, თუმცა სამართლებრივი რეგულირების არარსებობის საკითხსაც უკავშირდება. განმცხადებელს ბრალად ედებოდა გამოძალვა და მსჯავრდებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, თუმცა გამართლდა გასაჩივრების შედეგად. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ პირის გამართლება შეცდომა იყო, მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და ფორმალურად მოსთხოვა სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილების გაუქმება. თავმჯდომარემ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და საქმე განსახილველად გადასცა პალატას, რომლის შემადგენლობა თავად განსაზღვრა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსმა, ფაქტობრივად, პროკურორის ფუნქციები იტვირთა და განმცხადებელს არ შეიძლებოდა ჰქონოდა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის მოლოდინი.<sup>191</sup>

კანონიერების განსხვავებული ელემენტი იქნა განხილული საქმეში *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*. სხვა მრავალ ბრალდებასთან ერთად, განმცხადებელი სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ჩრდილოეთში მცხოვრებ ბერძნულ მოსახლეობას ხელი არ მიუწვდებოდა კანონის საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ უარყვეს ეს ამკარად პოლიტიკური ქვეტექსტის მქონე განცხადება. ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ პრაგმატული განცხადება გააკეთა:

კომისიის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით ... სასამართლო მიიჩნევს, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში“ არსებობს „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით“ გან-

---

პრობლემური საკითხი, პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა სწორად გამოიყენეს იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმები ... გარდა ამისა, საქმის მასალებში არაფერი მიუთითებდა საპირისპიროზე“. *TS* და *FS იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი 13274/87. საქმეში *WK შვეიცარიის წინააღმდეგ* (განაცხადი 15668/89) განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ციურხის პოლიციამ უკანონოდ გააჩერა და აულო სისხლის ანალიზი, თუმცა კომისიამ მისაღებად ჩათვალა ფედერალური ტრიბუნალის შეხედულება, რომ პოლიციას უკანონოდ არ უმოქმედია.

<sup>188</sup> იხ. მოსამართლე რისდალის თანმხვედრი აზრი საქმეში *H ბელგიის წინააღმდეგ*, ცანდი (*Zand*) ავსტრიის წინააღმდეგ, §41.

<sup>189</sup> სტავროსი (1993) 134.

<sup>190</sup> შედრ. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი (GVG) §21 (გ).

<sup>191</sup> *დაკტარასი (Dsktaras) ლიტვის წინააღმდეგ*, §33-38.

საზღვრულ სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის ქმედითი სასამართლო სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ბერძნული მოსახლეობისთვის. როგორც კომისიამ აღნიშნა, სასამართლო სისტემის ფუნქციონირება და სამართალწარმოება ასახავს კვიპროსის სასამართლო და საერთო სამართლის ტრადიციას ... მისი მოსაზრებით, ვინაიდან „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა“ მთლიანი მოსახლეობის სასარგებლოდ განსაზღვრავს აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების შინაარსს, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ „კანონმდებლობის“ საფუძველზე შექმნილი სასამართლოები წარმოადგენს მათი აღსრულების ფორუმს. სასამართლოსთვის და „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ განსაზღვრის მიზნებისთვის ეროვნული სასამართლოები შეიძლება ჩაითვალოს „კანონის საფუძველზე შექმნილად“ იმ „კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლის“ გათვალისწინებით, რომელზე დაყრდნობითაც ისინი ფუნქციონირებს.<sup>192</sup>

### III. დამოუკიდებლობა

„დამოუკიდებლობა“ ნიშნავს, რომ სასამართლო არ უნდა ექვემდებარებოდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს. ეს არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის არარსებობა არასახელმწიფო სუბიექტებისგან, როგორცაა საველე მეთაური ავღანეთში ან კოკა-კოლას მსგავსი გულუხვი სპონსორი, შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. თუმცა სწორედ სახელმწიფოს ექნებოდა ასეთ ვითარებაში შესაბამისი ზომების მიღების ვალდებულება. დღემდე არც ერთ საერთაშორისო ორგანოს არ ჰქონია შეხება მსგავსი ტიპის საქმესთან.<sup>193</sup> პირველ რიგში, სასამართლოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოთხოვება დამოუკიდებლობა.<sup>194</sup> თუმცა დამოუკიდებლობა საკანონმდებლო ორგანოსგან შეიძლება თანაბრად მნიშვნელოვანი იყოს. ცხადია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ანუხრავს სასამართლო ხელისუფლების მოწყობას და უზრუნველყოფს მას საკანონმდებლო ბაზით, ვერ იტვირთებს ერთდროულად სასამართლო ფუნქციების განხორციელებასაც. ამის შესახებ კომისიამ აღნიშნა საქმეში *კროჩიანი (Crociani)* და *სხვები იტალიის წინააღმდეგ*, რომელიც შეეხებოდა სისხლის სამართალწარმოებას მოქმედი მინისტრების წინააღმდეგ. კომისიის განცხადებით, მე-6 მუხლის დარღვევას არ ჰქონია ადგილი, ვინაიდან პარლამენტმა განახორციელა მხოლოდ გამოძიებისა და ბრალდების ფუნქციები.<sup>195</sup>

საქმეში *დემიკოლი (Demicoli) მალტის წინააღმდეგ* პარლამენტმა იტვირთა სასამართლოს ფუნქცია იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა ცილისმამბეღური განცხადებების გაერცვლება იმავე პარლამენტის წევრის შესახებ. მოცემულ საქმეში ნათელი იყო, რომ პარლამენტი ვერ ჩაითვლებოდა *მიუკერძოებელ* სასამართლოდ.<sup>196</sup>

<sup>192</sup> *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, § 237.

<sup>193</sup> თვით კინერის ყოვლისმომცველი კვლევა არაფერს ამბობს ასეთი შესაძლებლობის შესახებ: კინერი (2001).

<sup>194</sup> *ოლი ბაჰამონდე (Olé Bahamonde) ეკვატორული გვინეას წინააღმდეგ*, § 9.4.

<sup>195</sup> *კროჩიანი (Crociani)* და *სხვები იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადები 8603/79, 8722/79, 8723/79, 8729/79.

<sup>196</sup> *დემიკოლი (Demicoli) მალტის წინააღმდეგ*, § 40. სასამართლო შემოიფარგლა იმის



სასამართლომ აგრეთვე განიხილა საკითხი, შეეძლო თუ არა პარლამენტის წევრს ერთდროულად ყოფილიყო მოსამართლედ, სასამართლომ თავი შეიკავა ზოგადი წესის განსაზღვრისგან და საქმეში არსებული გარემოებების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ არ არსებობდა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ლოგიკურად იგულისხმება, რომ პარლამენტის წევრობა არ გამორიცხავს იმედგეროულად მოსამართლის ფუნქციების შესრულებას.<sup>197</sup> რასაკვირველია, სრულიად სხვა ვითარებასთან გვექნებოდა საქმე საკონსტიტუციო სასამართლო რომ ყოფილიყო განხილვის საგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთულია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ერთმანეთისგან განსხვავება, სასამართლომ შეიმუშავა რამდენიმე მოთხოვნა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ეროვნული სასამართლოები პირველი თვისების უზრუნველსაყოფად. თავდაპირველად ეს მოთხოვნები საქმეში *ლე კონტი (Le Compte)*, *ვან ლოუენი (Van Leuven)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის *წინააღმდეგ* თვით „სასამართლოს“ განსაზღვრების კრიტერიუმებად ჩამოყალიბდა.<sup>198</sup> წლების მანძილზე კი შემდეგი ფორმულირების სახე მიიღო: „სასამართლო იმეორებს, რომ იმის გადასაწყვეტად, სასამართლო „დამოუკიდებელია“ თუ არა მე-6(1) მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, *inter alia*, მისი წევრების დანიშვნის წესი და ვადა, ვარე ზენოლის საწინააღმდეგო გარანტიების არსებობა და საკითხი იმის შესახებ, ტოვებს თუ არა დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას.<sup>199</sup> როგორც ვხედავთ, „დამოუკიდებლობის“ განსაზღვრის მიზნით სასამართლო ეყრდნობა ოთხ ძირითად კრიტერიუმს,<sup>200</sup> რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

## ა. მოსამართლის დანიშვნის წესი

ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით არსებობს მოსამართლეთა დანიშვნის მრავალი განსხვავებული სისტემა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ევროპული სასამართლო ცდილობს თავი შეიკავოს მოცემულ სფეროში ქვეყნების კრიტიკისგან. როგორც პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, მოსამართლეთა დანიშვნის წესი არასდროს ქცეულა პრობლემურ საკითხად მე-6

---

აღიარებით, რომ მოცემულ საქმეში საკანონმდებლო ორგანომ სასამართლოს ფუნქცია განახორციელა, ხოლო კომისიამ უფრო მკაფიოდ განაცხადა, რომ ის ვერ ჩაითვლებოდა სასამართლოდ.

<sup>197</sup> *პაბლა კაი (Pabla Ky) ფინეთის წინააღმდეგ*, §31.

<sup>198</sup> *ლე კონტი (Le Compte)*, *ვან ლოუენი (Van Leuven)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის *წინააღმდეგ*, §55.

<sup>199</sup> *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ*, §65. ეს კრიტერიუმი ასევე ნახსენებია (ზოგჯერ იდენტური ფორმულირების გამოყენებით) შემდეგ საქმეებში: *მაკონელი (McGonnell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §48; *ლაუკო (Lauko) სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §63; *ფინდლი (Findlay) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §73; *ბრაიანი (Bryan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §37; *ლანგბორგერი (Langborger) შვედეთის წინააღმდეგ*, §32. საქმეში *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§78) მოსამართლე ევანსი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა არ განუმარტავს, რატომ ჩათვალა ვიზიტორთა საბჭო დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

<sup>200</sup> ანალოგიურ მიდგომას იყენებს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია. იხ. მაგ: *გარსია (Garcia) პერუს წინააღმდეგ*, საქმე 11.006 (1995).

მუხლის საფუძველზე. საქმეებში ლითგოუ (*Lithgow*)<sup>201</sup> და სმარეკი (*Smarek*)<sup>202</sup> სასამართლომ არ მიიჩნია დარღვევად ის ფაქტი, რომ სასამართლოს ნევრების დანიშვნა მთავრობის მიერ განხორციელდა.

სასამართლოს ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. არსებობს ცნობილი გერმანული გამოთქმა: „*Wes Brot ich ess, des Lied ich sing*“ (მის სიმღერას ვმღერი, ვის პურსაც ვჭამ). როდესაც მთავრობას აქვს შედარებით ხანმოკლე ვადით მოსამართლეთა დანიშვნის (და ხელმეორედ დანიშვნის) შეუზღუდავი უფლებამოსილება, რთულია საუბარი მათ დამოუკიდებლობაზე.<sup>203</sup> ასეთ დროს ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ თანამდებობის შენარჩუნების მიზნით, მოსამართლე შეეცდება მთავრობისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებას. ეჭვები არ ქრება მაშინაც, როცა კონტროლის დამატებითი მექანიზმებია ხელმისაწვდომი. თუმცა, მეორე მხრივ, არარეალურია იმის მოლოდინი, რომ მოსამართლეები და სასამართლოები შეიძლება სრულიად იზოლირებულნი იყვნენ პოლიტიკური ცხოვრებისგან. ზომიერების ფარგლებში მისაღებია და შეიძლება სასურველიც იყოს, რომ მოსამართლეები იზიარებდნენ იმავე ფასეულობებს, რომლებიც მთლიანად საზოგადოებაშია გაბატონებული. თუმცა, უნდა არსებობდეს გარკვეული ზღვარი: მოსამართლე ვალდებულია, კანონის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები.

## ბ. მოსამართლედ დანიშვნის ვადა

ცალკეულ ქვეყნებში მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ. ევროპულ სასამართლოს არასდროს დაუყენებია მსგავსი მოთხოვნა. მან მისაღებად ჩათვალა ხუთი<sup>204</sup> და თვით სამი<sup>205</sup> წლის ვადით მოსამართლეების დანიშვნა. სამწუხაროდ, სასამართლოს არ წარმოუდგენია სამწლიანი ვადის (რაც ძალზე ხანმოკლეა) დაშვების არგუმენტები. თვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა ექვსი წლის ვადით იქნა გაკრიტიკებული.<sup>206</sup> თუმცა მხოლოდ მოსამართლეობის ვადასთან დაკავშირებული გარანტიები არ არის საკმარისი. სხვა საკითხები, როგორცაა მოსამართლის ხელფასი, თანაბრად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ მოსამართლე სრულად დამოუკიდებელი იყოს, უნდა ჰქონდეს ისეთი ანაზღაურება, რაც მის გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში განეწიანებისთვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების საკითხზე

<sup>201</sup> ლითგოუ (*Lithgow*) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 202.

<sup>202</sup> სმარეკი (*Smarek*) აესტრიის წინააღმდეგ, § 38.

<sup>203</sup> მსგავსი პრობლემა უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც, რომლის ზოგიერთი ნევრის ხელფასი ასჯერ აღემატება სამშობლოში კოლეგა მოსამართლეების ანაზღაურებას. მე-14 ოქმის ძალაში შესული გადაწყვეტა სასამართლოს ნევრობის ვადის გაზრდა 9 წლამდე და ერთი და იგივე პირის ხელმეორედ მოსამართლედ დანიშვნის აკრძალვა. თანამდებობაზე დანიშვნის ვადის შეზღუდვამ მნიშვნელოვანი სირთულეები გამოიწვია შოტლანდიაში, როდესაც საქმეში სტარსი (*Starrs*) რუქსტონის (*Ruxton*) წინააღმდეგ ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული მიზეზის გამო დროებითი შერიფები ვერ ჩაითვლებოდნენ მოსამართლეებად მე-9 მუხლის საფუძველზე. იხ. ო'ნილი (2000); ტიერნი (2000).

<sup>204</sup> ეტლი (*Ettle*) და სხვები აესტრიის წინააღმდეგ, § 41; რინგაიზენი (*Ringelsen*) აესტრიის წინააღმდეგ, § 95; ექვსი წელი იყო განხილვის საგანი საქმეში ლე კონტი (*Le Compte*), ვან ლოვენის (*Van Leuven*) და დე მეთერი (*De Meyere*) ბელგიის წინააღმდეგ, § 57.

<sup>205</sup> სმარეკი (*Smarek*) აესტრიის წინააღმდეგ, § 37.

<sup>206</sup> იხ. მაგ. კრუგერი (1997) 399.

ანგარიშის მომზადებისას, ეგრეთ წოდებული „სწავლული იურისტებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მოსამართლეების მიერ ქრთამის აღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აღნიშნული ბრალდების პასუხად პრეზიდენტმა შევარდნაძემ საჯაროდ აღიარა, რომ საქართველოში მხოლოდ ორი ან სამი არაკორუმპირებული მოსამართლე იყო. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მათი ხელფასი თვეში ოც ამერიკულ დოლარს შეადგენდა, რაც სრულებით არ იყო საქმარისი ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.<sup>207</sup>

## გ. გარე ზეწოლის სანინაალმდეგო გარანტიები

მესამე კრიტერიუმში, რომელიც გარე ზეწოლის სანინაალმდეგო გარანტიების არსებობას გულისხმობს, საკმაოდ ბუნდოვანია. ის მჭიდრო კავშირშია მოსამართლედ დანიშვნის ვადასთან, რადგან მოიცავს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შეზღუდვებს.<sup>208</sup> ერთ-ერთი ასეთი გარანტია შეიძლება იყოს მოსამართლეების კარგი სამართლებრივი მომზადება. ამ ფაქტორის შესახებ განსაკუთრებით იქნა ხაზგასმული იმ საქმეებში, სადაც სასამართლო განხილვა ქუჩის დემონსტრაციების ფონზე მიმდინარეობდა. მედიის ზეგავლენა რეალურ საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ასეთ დროს შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ უფლებებსა და მე-10 მუხლით გარანტირებულ გამონაკლის თავისუფლებას შორის. ცხადია, რომ მე-6 მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება უდანაშაულობის პრეზუმეციის უფლება.<sup>209</sup> მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ხელისუფლებამ მოახდინოს მკაცრი რეაგირება ნებისმიერ მსგავს შემთხვევაზე, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის უფლებების უშუალო დარღვევას წარმოადგენს, არამედ ხელყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.<sup>210</sup>

## დ. დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება

როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღნიშნული კრიტერიუმის მნიშვნელობა სასამართლოს მიერ ხაზგასმულია მიუკერძოებლობის პრინციპთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა გასაგებია, ვინაიდან შეუძლებელია მოსამართლის გონების ნაკითხვა იმის გასარკვევად, მართლა მიუკერძოებელია თუ არა. თუმცა იგივე კრიტერიუმის გამოყენება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის მიმართ აზრს მოკლებულია. სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, რომ ყოველთვის, როდესაც სასამართლო მიუთითებს „შთაბეჭდილებაზე“ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან კავშირში, სინამდვილეში განსახილველი საკითხი მიუკერძოებლობას შეეხება.<sup>211</sup> ამის მაგალითია ბელილოსის (*Belilos*)

<sup>207</sup> ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა. „ანგარიში ევროპის საბჭოს სტანდარტებთან საქართველოს მართლწესრიგის შესაბამისობის შესახებ“ (1997) 1, § 115.

<sup>208</sup> სმარეკი (*Sramek*) ავსტრიის წინააღმდეგ, § 38.

<sup>209</sup> იხ. მაგ: ალენე დე რიბემო (*Allenet de Ribermont*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 38; პეტრა კრაუზე (*Petra Krause*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7986/77.

<sup>210</sup> იხ. მაგ: ნილსენი (*Nielsen*) დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 343/57; X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 1476/62; X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 6062/73; ენსლინი (*Ensslin*), ბადერი (*Baader*) და რასპე (*Raspe*) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადები 572/76, 7586/76, 7587/76.

<sup>211</sup> სმარეკი (*Sramek*) ავსტრიის წინააღმდეგ, § 42; კემპელი (*Campbell*) გაერთიანებული

საქმე, სადაც განმცხადებელი ასაჩივრებდა პოლიციის საბჭოს მიერ მისთვის ჯარიმის დაკისრებას.<sup>212</sup> პოლიციის საბჭოს მოსამართლე იყო პოლიციის იურისტი, რომელიც ნამდვილად დამოუკიდებელი იყო თანამდებობაზე მისი დანიშვნის ვადის გათვალისწინებით (4 წელი). თუმცა ამ ვადის ამონურვის შემდეგ მას შეეძლო პოლიციაში დაბრუნება. მოცემულ საქმეში სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „ჩვეულებრივი მოქალაქის წარმოდგენაში ის არის პოლიციის წარმომადგენელი, რომელიც ექვემდებარება უფროსებს და ერთგულია თავისი კოლეგების. მსგავსმა ვითარებამ შეიძლება შელახოს ნდობა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრავდნენ სასამართლოები“<sup>213</sup>. ცხადია, რომ ასეთ დროს ევროპული სასამართლო მიუკერძოებლობას უფრო გულისხმობს ვიდრე დამოუკიდებლობას.<sup>214</sup> საქმეში *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ* აღნიშნულია სასამართლოების მიმართ ნდობის აუცილებლობაზე ორი განსხვავებული ჯგუფის მხრიდან: „საფრთხის ქვეშ არის ნდობა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოები უნდა აღძრავდნენ საზოგადოებაში და ყველაზე მეტად ... ბრალდებულში“<sup>215</sup>. თუმცა ამ შემთხვევაში, ისევე როგორც შემდგომში განხილულ ყველა სხვა საქმეში, ბრალდებულის წარმოდგენა არის არა გადამწყვეტი, არამედ ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი.<sup>216</sup>

დამოუკიდებლობის ოთხ კრიტერიუმს, რომლებსაც მუდმივად იყენებს სასამართლო, უნდა დაემატოს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი: სასამართლოს ავტონომია და მისი გადაწყვეტილების ძალა. გარდა ამისა, სასამართლოს წევრების, როგორც საჯარო მოხელეების საკითხი საჭიროებს დამატებით განმარტებას.

## ე. დამოუკიდებლობის დამატებითი ასპექტები

### 1. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა

სასამართლო დამოუკიდებლად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საეალდებულოა შესასრულებლად სხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის. საქმეში *ბენტემი (Bentham) ნიდერლანდების წინააღმდეგ* განმცხადებელს სურდა ნებართვის მიღება თხევადი გაზის სადგურის დამონტაჟებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო უფლებამოსილი იყო, გამოეთქვა თავისი აზრი ნებართვის გაცემის საკითხზე, საბოლოო გადაწყვეტილებას „უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება“ იღებდა. ვინაიდან ეს უკანასკნელი ვერ ჩაითვლებოდა სასამართლოდ, ადგილი ჰქონდა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლების დარღვევას.<sup>217</sup> საქმეში *ბრუმარესკუ (Brumarescu) რუმინეთის წინააღმდეგ* უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურორის თხოვნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. თუმცა ევროპული სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ დაადგინა

---

*საშეფოს წინააღმდეგ*, §78; *პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ*, §30.

<sup>212</sup> *ბელილოსი (Bellilos) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §66.

<sup>213</sup> *Ibid.*, §67

<sup>214</sup> იხ. ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 452.

<sup>215</sup> *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ*, §71.

<sup>216</sup> *Ibid.*, §72; იხ. აგრეთვე ჩირაკლარი (*Çiraklar*) *თურქეთის წინააღმდეგ* (§38), სადაც ევროპული სასამართლო თავდაპირველად სასამართლოების დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას განიხილავდა და მომდევნო წინადადებაში მიუკერძოებლობაზე განავრძო საუბარი.

<sup>217</sup> *ბენტემი (Bentham) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §37.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევა მე-6 მუხლის საფუძველზე.<sup>218</sup>

სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლოს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება ნაწილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს მიენდოს. მაგალითად, ჯარიმის ეტაპობრივი გადახდა ან სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება.<sup>219</sup> საქმეში *ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის შეუსრულებლობის გამო (განმცხადებელს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი გამამართლებელი განაჩენის გამოტანიდან 3 წლის განმავლობაში).<sup>220</sup> ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „თუ ქვეყნის ადმინისტრაციულ ორგანოებს ექნებათ სასამართლოს განაჩენის შესრულებაზე უარის თქმის, მისი შეუსრულებლობის ან შესრულების გაჭიანურების საშუალება, მე-6 მუხლით განსაზღვრული გარანტიები, რომლებითაც ბრალდებული წარსულში სარგებლობდა სასამართლო განხილვის ეტაპზე იქცეოდა ნაწილობრივ მოჩვენებითად“.

ძალზე დელიკატურია შეწყალების ინსტიტუტთან დაკავშირებული სირთულეები. მსჯავრდებულის შეწყალება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული პრივილეგიაა. მეფეს, პრეზიდენტს ან პარლამენტს, როგორც წესი, შეუძლია სასჯელის მოხდისგან მსჯავრდებულის ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლება. თუმცა მათ არ შეუძლიათ სასამართლო განაჩენის გაუქმება. შეწყალების ინსტიტუტი ეგრეთ წოდებულ სამართლის ნაცრისფერ ზონაში ხვდება, ვინაიდან შეწყალების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო ჩვეულებრივ შეუზღუდავი დისკრეციით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, შეწყალების უფლებამოსილების თვითნებური ან დისკრიმინაციული განხორციელება გავლენას ახდენს სასამართლოს ძალაუფლებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია, შეწყალება მოტივირებული იყოს განაჩენის მართებულობასთან დაკავშირებული ეჭვებით. ის არ უნდა განვიხილოთ გასაჩივრების ალტერნატივად. შეწყალების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ყველაზე სახიფათო მაგალითია, როდესაც პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები თავისუფლდებიან სასჯელის მოხდისგან იმის გამო, რომ მათი ქმედებები შეესაბამება ქვეყნის მიმართველის ან მიმართველი ძალის მიზნებს. თუმცა, სამწუხაროდ კონვენცია უძლურია ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ.

## 2. სასამართლოს ავტონომია

დამოუკიდებელი სასამართლო უფლება გულისხმობს, რომ სასამართლო სრულად აკონტროლებს საკუთარ გადაწყვეტილებებს და არ არის შეზღუდული სხვა სახელმწიფო ორგანოთა სავალდებულო მოსაზრებებით. სასამართლოს უნდა ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებული ფაქტებისა და კანონების სრულფასოვნად განხილვის უფლებამოსილება.<sup>221</sup> საქმეში *ობერმეიერი (Obermeier) ავსტრიის*

<sup>218</sup> *ბრუმარესკუ (Brumarescu) რუმინეთის წინააღმდეგ*, §65.

<sup>219</sup> იხ. მაგ: *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2428/65; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 4984/71; *X შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7648/76.

<sup>220</sup> *ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ*, §182-84. ეს საქმე განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინაიდან პირველად თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე სასამართლო არ დაკმაყოფილდა კონვენციის დარღვევის დადგენითა და კომპენსაციის განსაზღვრით, არამედ განმცხადებლის გათავისუფლება ვასცა (§202-3).

<sup>221</sup> სასამართლოსათვის მიმართვის უფლება რასაკვირველია გულისხმობს, რომ სასამართლოს თავისუფლად უნდა შეეძლოს საქმესთან დაკავშირებული ფაქტებისა და კანონების განხილვა. იხ. *ალბერტი (Albert) და ლე კომპლე (Le Compté) ბელგიის წინააღმდეგ*, §29; *ბელილოსი (Bellilos) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §70; *Terra Woning BV ნიდერლანდების*

წინააღმდეგ, რომელიც სამოქალაქო სარჩელს შეეხებოდა, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, რამდენად კანონიერად მოხდა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნა.<sup>222</sup> ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს წყვეტდა სპეციალური საბჭო, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა სასამართლოდ, ხოლო მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო სასამართლოებისთვის. ადგილი ჰქონდა მე-ნ მუხლის დარღვევას.

საქმეში *ბომარტინი (Beaumartin) საფრანგეთის წინააღმდეგ* სასამართლო შეზღუდული იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებით, რაც აგრეთვე წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას.<sup>223</sup> *დელკურის (Delcourt)*, *ბორგერისა (Borgers)* და *ვერმულენის (Vermeulen)* საქმეებში ბელგიის საკასაციო სასამართლოს ავტონომიის საკითხი იქნა განხილული<sup>224</sup>. ბელგიის მთავრობის მტკიცებით, საკასაციო სასამართლოს თათბირში გენერალური ადვოკატის (გენერალური პროკურორის თანაშემწე) მონაწილეობა აუცილებელი იყო პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად. თუმცა, „სასამართლო“, მე-ნ მუხლის მნიშვნელობით, არა მარტო არ საქტიროებს, არამედ მხარს არ უჭერს მსგავსი „მზრუნველის“ არსებობას. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯიბრებითი განხილვის საფუძველზე.

### 3. საჯარო მოხელეები, როგორც სასამართლოს წევრები

ცხადია, რომ ადმინისტრაციული ორგანოები არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებლად. ასეთ დასკვნამდე მივიდა სასამართლო საქმეებში, რომლებიც სლოვაკეთსა<sup>225</sup> და ჩეხეთის რესპუბლიკაში<sup>226</sup> არსებულ მინის საოლქო სამსახურებს შეეხებოდა. საქმაოდ დელიკატური ვითარება იქმნება, როდესაც სასამართლოს წევრები, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მოსამართლეები, ამავდროულად წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. საქმეში *სმარეკი (Sramek) ავსტრიის წინააღმდეგ* სასამართლო დაეთანხმა კომისიას და განაცხადა, რომ ტიროლის რეგიონული ადმინისტრაცია ვერ ჩაითვლებოდა დამოუკიდებლად. ის შედგებოდა, *inter alia*, სამხარეო მთავრობის სამი მოხელისგან. ამ საქმეში სამხარეო მთავრობამ „შეიძინა საქმეში მონაწილე მხარის სტატუსი, როდესაც რეგიონულ ადმინისტრაციაში გაასაჩივრა პირველ ინსტანციაში [განმცხადებლის]

წინააღმდეგ §52.

<sup>222</sup> *ობერმეიერი (Obermeier)* ავსტრიის წინააღმდეგ, §69.

<sup>223</sup> *ბომარტინი (Beaumartin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34. საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებული პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში *Conseil d'Etat* (ადმინისტრაციული საქმეების სააპელაციო და საკასაციო ინსტანცია) ვალდებული იყო, კონსულტაცია გაეკეთებინა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომლის მოსაზრების გათვალისწინება სავალდებულო იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხოლოდ ის დაწესებულება, რომელსაც გააჩნდა სრული იურისდიქცია და აკმაყოფილებდა რამდენიმე მოთხოვნას, მათ შორის დამოუკიდებლობას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მხარეებისგან, იმსახურებს „სასამართლოს“ წოდებას მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით“ (§38).

<sup>224</sup> *დელკური (Delcourt)* ბელგიის წინააღმდეგ, §31; *ბორგერსი (Borgers)* ბელგიის წინააღმდეგ, §26; *ვერმულენი (Vermeulen)* ბელგიის წინააღმდეგ. იხ. აგრეთვე ანდერსენი (2000) 1. ეს საქმეებში აგრეთვე განხილულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის კონტექსტში. *დელკურის (Delcourt)* საქმეში კონვენციის დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი, თუმცა სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა *ბორგერის (Borgers)* საქმეში.

<sup>225</sup> *ლაუკო (Lauko)* სლოვაკეთის წინააღმდეგ; *კადუბეცი (Kadubec)* სლოვაკეთის წინააღმდეგ.

<sup>226</sup> *მალჰაუსი (Malhaus)* ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება<sup>227</sup>. საჯარო მოხელე, რომელიც წარმოადგენდა სამხარეო მთავრობას, იყო რეგიონული ადმინისტრაციის ერთ-ერთ წევრზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი თანამდებობის პირი. სასამართლოს განცხადებით, არ არსებობდა მტკიცებულება ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ საბჭოს წევრისთვის რაიმე ინსტრუქციის მიცემის შესახებ, თუმცა მინც დაადგინა კონვენციის დარღვევა დამოუკიდებლობის შთაბეჭდილების შელახვის მოტივით: „როდესაც სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, მისი მოვალეობებისა და სამსახურის ორგანიზაციის თვალსაზრისით, იმყოფება დაქვემდებარებულ მდგომარეობაში საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, მხარეებს შეიძლება გაუჩნდეთ ლეგიტიმური ეჭვი აღნიშნული პირის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მსგავსი ვითარება სერიოზულ ზიანს აყენებს ნდობას, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრავდნენ სასამართლოები“<sup>228</sup>.

განსხვავებული ვითარება იყო საქმეში *რინგაიზენი (Ringelsen)* ავსტრიის წინააღმდეგ. ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „შერეული შემადგენლობის საბჭოსთან [დაკავშირებით], რომელიც, მოსამართლის თავმჯდომარეობის ქვეშ, შედგებოდა საჯარო მოხელეებისა და დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლებისგან, ერთადერთი პრეტენზია [საბჭოს] წევრის მიმართ, რომ ის ნომინირებული იყო ავსტრიის სოფლის მეურნეობის ზედა პალატის მიერ, ვერ ადასტურებდა მიკერძოებულობის შესახებ გამოთქმულ ბრალდებას“<sup>229</sup>. საქმეში *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ უარყო განმცხადებლის არგუმენტი, რომ ვიზიტორთა საბჭოს წევრების ხშირი კონტაქტი ციხის თანამშრომლებთან ეჭვქვეშ აყენებდა მათ მიუკერძოებლობას.<sup>230</sup> საქმეში *ეტლი (Ettle)* ავსტრიის წინააღმდეგ სასამართლომ, კომისიისგან განსხვავებით, ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა, ვინაიდან ადგილი არ ჰქონდა ისეთივე ინტენსიურ კავშირს „საჯარო მოხელე მოსამართლეებსა“ და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს შორის როგორც *სმარეკის (Smarek)* საქმეში.<sup>231</sup> სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ არის დამაჯერებელი. დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან არ არის უზრუნველყოფილი, როდესაც საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩვეულებრივ ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესებით ხელმძღვანელობენ, უეცრად მიუკერძოებელი მოსამართლის რანგში აღმოჩნდებიან ისეთ საქმეში, სადაც იგივე ადმინისტრაციული ორგანო ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მსგავსი ეჭვი თავიდან იქნეს აცილებული.

#### 4. სამხედრო მოსამართლეები, როგორც საერთო სასამართლოების წევრები

მრავალ სახელმწიფოში არსებობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პარალელური სისტემა შეიარაღებული ძალებისთვის. სამხედრო მართლმსაჯულება არ არის პრობლემური თუ მისი კომპეტენცია შემოიფარგლება სამხედრო მოსამსახურეების მიერ, მათი თანამონაწილეობით ან მათ წინააღმდეგ, აგრეთვე სამხედრო დაწესებულებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებით. სამხედრო მართლმსაჯულების სისტემა სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებების

<sup>227</sup> *სმარეკი (Smarek)* ავსტრიის წინააღმდეგ, §41.

<sup>228</sup> *Ibid.*, §42.

<sup>229</sup> *რინგაიზენი (Ringelsen)* ავსტრიის წინააღმდეგ, §97.

<sup>230</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §81.

<sup>231</sup> *ეტლი (Ettle)* და *სხვები ავსტრიის წინააღმდეგ*, §38.

საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როდესაც არსებობს მისი კომპეტენციის განმსაზღვრელი მკაფიო კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები ასევე უნდა იყოს დამაჯერებელი, რადგან სპეციალურ დასაბუთებას საჭიროებს სამხედრო სასამართლოების მიერ სამოქალაქო პირთა საქმეების განიხილვა.<sup>232</sup>

სხვა საკითხია, როდესაც სამხედრო პირები არიან საერთო სასამართლოების წევრები. ასეთი ვითარება იყო შექმნილი თურქეთის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მათი სტრუქტურა ენიშნაღმდეგობადა კონვენციის მე-6 მუხლს.<sup>233</sup> მან აღიარა, რომ სამხედრო მოსამართლეები სარგებლობდნენ გარკვეული დამოუკიდებლობით და არ ექვემდებარებოდნენ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას. თუმცა, მეორე მხრივ, ისინი სამხედრო მოსამსახურებად რჩებოდნენ და *inter alia*, „მათზე ვრცელდებოდა სამხედრო დისციპლინა და დგებოდა საქმიანობის ანგარიშები“<sup>234</sup>. იგივე ვრცელდებოდა თურქეთში არსებულ სხვა ტიპის სასამართლოებზეც.<sup>235</sup>

*ინჯალის (Incal)* საქმეში სამხედრო პირთა წევრობას სამოქალაქო სასამართლოში თურქეთის მთავრობა ამართლებდა არმიის გამოცდილებით ტერორისტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულის პასუხად სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი ბრალდებული იყო სეპარატისტული ლიფლეტების გავრცელებაში, რომლებიც არ აქეზებდნენ ძალადობას.<sup>236</sup> თუმცა სასამართლოს ეს არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, რადგან ძალზე ვიწროდ ფოკუსირებულია საქმეში არსებულ გარემოებებზე. *ჩირაკლარის (Çiraklar)* საქმეში სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „ცხადია, რომ სამოქალაქო პირს ... რომელიც ბრალდებულია ... ტერიტორიული მთლიანობის, დემოკრატიული წესრიგისა და ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ... უნდა ჰქონდეს უნდობლობის განცდა, როდესაც მისი საქმე უნდა განსაჯოს სამი მოსამართლისგან შემდგარმა სასამართლომ, რომლის ერთ-ერთი წევრი რეგულარული არმიის ოფიცერი და სამხედრო იურიდიული სამსახურის წევრია“<sup>237</sup>.

*ოჯალანის (Öcalan)* საქმეში სამხედრო მოსამართლე შეიცვალა სასამართლო განხილვის ბოლო ეტაპზე კონსტიტუციაში შესული ცვლილებების გამო. მიუხედავად ამისა, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბოლო მომენტში განხორციელებული ცვლილება არ იყო „საკმარისი სასამართლოს შემადგენლობაში არსებული ნაკლოვანების გამოსასწორებლად“<sup>238</sup>.

<sup>232</sup> იხ. მაგ: ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება: *საფარმო კურბანოვა ვაჟის სახელით (Safarimo Kurbanova on behalf of her son)*, აბდუალი ისმატოვიჩ კურბანოვი (*Abduali Ismatovich Kurbanov*) ტაჯიკეთის წინააღმდეგ, § 7.6.

<sup>233</sup> *ინჯალი (Incal)* თურქეთის წინააღმდეგ; *ჩირაკლარი (Çiraklar)* თურქეთის წინააღმდეგ, § 38; *სენერი (Sener)* თურქეთის წინააღმდეგ, § 56; *გერგერი (Gerger)* თურქეთის წინააღმდეგ, § 60; *ოკუოგლუ (Okcuoglu)* თურქეთის წინააღმდეგ, § 57; *კარატასი (Karatas)* თურქეთის წინააღმდეგ, § 61; *სიურეკი (Sürek)* და *ოზდემირი (Özdemir)* თურქეთის წინააღმდეგ, § 77; *სიურეკი (Sürek)* თურქეთის წინააღმდეგ (ნომ. 1-4), § 74; *ნასკაია (Baskaya)* და *ოკუოგლუ (Okcuoglu)* თურქეთის წინააღმდეგ, § 78; *აკსაჯი (Aksac)* თურქეთის წინააღმდეგ.

<sup>234</sup> *ინჯალი (Incal)* თურქეთის წინააღმდეგ, § 68.

<sup>235</sup> იხ. კომისიის ანგარიში საქმეში *მიტაპი (Miltap)* და *მუფთუოგლუ (Müftüoğlu)* თურქეთის წინააღმდეგ და სასამართლოს გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებში: *საჰინერი (Sahiner)* თურქეთის წინააღმდეგ, § 33; *ალფათლი (Alfalli)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, § 46; *კოჯი (Koc)* თურქეთის წინააღმდეგ, § 31.

<sup>236</sup> *ინჯალი (Incal)* თურქეთის წინააღმდეგ, § 72.

<sup>237</sup> *ჩირაკლარი (Çiraklar)* თურქეთის წინააღმდეგ, § 39.

<sup>238</sup> *ოჯალანი (Öcalan)* თურქეთის წინააღმდეგ, § 118.



## IV. მიუკერძოებლობა

### ა. განსაზღვრება

ტერმინი „მიუკერძოებლობა“ აღწერს გონების ისეთ მდგომარეობას, რომელიც განსახილველი საკითხის მიმართ მხარეთა შორის სრული ნონასწორობით ხასიათდება. ზოგადად მიუკერძოებლობა განიმარტება, საკმაოდ ლოგიკურადაც, ნეგატიური აზრით, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული აზრის ან მიკერძოების არქონა.<sup>239</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუკერძოებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი: „სასამართლოს „მიუკერძოებლობა“ გულისმობს, რომ მოსამართლეებს არ უნდა გააჩნდეთ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი განსახილველ საკითხზე და არ უნდა მოქმედებდნენ ერთ-ერთი მხარის ინტერესების სასარგებლოდ“<sup>240</sup>. მხარეებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოს ნევრების მიმართ სრული ნდობის საფუძველი, რომ ისინი გადაწყვეტილებას მიიღებენ ექსკლუზიურად მტკიცებულებათა სამართლიანი შეფასებისა და კანონის გამოყენების შედეგად.<sup>241</sup> არარეალურია იმის მოლოდინი, რომ სასამართლოები სრულიად უშეცდომოდ იმოქმედებენ, თუმცა დაშვებული შეცდომების მიზეზი არ უნდა იყოს მიკერძოებული პოზიცია რომელიმე მხარის ან განსახილველი საკითხისადმი.

### ბ. „ობიექტური“ და „სუბიექტური“ მიდგომა

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების შესახებ გამოტანილი პირველივე გადაწყვეტილებებიდან<sup>242</sup> სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებდა მიუკერძოებლობის „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ ასპექტებს. ინჯალის (*Incal*) საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გამოიყენება ორი ტესტი: „პირველი მოიცავს კონკრეტულ საქმეში მოსამართლის პირადი შეხედულების განსაზღვრას, ხოლო მეორე გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად უზრუნველყო მოსამართლემ საკმარისი გარანტიების არსებობა, რომლებიც ამ თვალსაზრისით ნებისმიერ ლეგიტიმურ ეჭვს გამორიცხავდა“<sup>243</sup>.

ორი ტესტის ან როგორც სასამართლო უნოდებს რამდენიმე გადაწყვეტილებაში, „მიდგომის“<sup>244</sup> ასეთი გამოიჯენა საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა არა მათთვის მიკუთვნებული იარლიყები. უმჯობესი იქნებოდა ერთმანეთისგან განგვესხვავებინა „ობიექტური“ ტესტი – არის თუ არა მოსამართლე ობიექტურად მიკერძოებული? –

<sup>239</sup> *პიერსაკი (Piercask) ბელგიის წინააღმდეგ*, § 30.

<sup>240</sup> *კარტუნენი (Karttunen) ფინეთის წინააღმდეგ*, § 7.2. ამ საქმეში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევას, ვინაიდან ერთ-ერთ მოსამართლეს ეკრძალებოდა საქმის განხილვაში მონაწილეობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით.

<sup>241</sup> იხ. ებერჰარდ შმიდტი (1967) 39: მხარეებს უნდა ჰქონდეთ „*das Gefühle einer unbedingten Geborgenheit im Recht*“ (ნდობა, რომ ისინი კანონის საფუძველზე სრული დაცვით ისარგებლებენ).

<sup>242</sup> *პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ*, § 30; *დე კუბერი (De Cubber) ბელგიის წინააღმდეგ*, § 24.

<sup>243</sup> *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ*, § 65. ამ საქმეში სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეზე *გოტრენი (Gautrin)* და *სხეები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 58; იხ. აგრეთვე *ჰაუსილდტი (Hauschildt)* დანიის წინააღმდეგ, § 46; *თორგირ თორგირსონი (Thorgerir Thorgerirson)* ისლანდიის წინააღმდეგ, § 49.

<sup>244</sup> *პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ* და *დე კუბერი (De Cubber) ბელგიის წინააღმდეგ*.

და „სუბიექტური“ ტესტი – ტოვებს თუ არა ბრალდებულის თვალში მოსამართლე მიკერძოებულის შთაბეჭდილებას?<sup>245</sup>

რასაკვირველია, გადამწყვეტი ელემენტია ის, რასაც სასამართლო „სუბიექტურ“ ასპექტს უწოდებს: მოთხოვნა, რომ მოსამართლის გონებრივი მდგომარეობა იყო მიუკერძოებელი. თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა, სრულდება თუ არა აღნიშნული მოთხოვნა. საეჭვოა ისიც, რამდენად შესაძლებელია ეს თეორიაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ფსიქოლოგიის ფსიქოანალიტიკურ სკოლას. უდავოა, რომ ადამიანი ვერ იქნება აბსოლუტურად თავისუფალი მიკერძოებისგან. როგორც წესი, ჩვენ ვერც კი ვაცნობიერებთ ჩვენს გონებაში არსებულ ფარულ მიდრეკილებებს. მაგალითად, იურისტებს განსაკუთრებულად ახასიათებთ სწრაფვა საკუთარი ობიექტურობის გადაფასებისკენ. პრაქტიკაში მოსამართლე, რომელსაც ვაცნობიერებული აქვს საკუთარი მიდრეკილება მიკერძოებისკენ და ხელენიფება საკმარისი თვითკრიტიკა და თვითკონტროლი, უფრო ნეიტრალური იქნება, ვიდრე მოსამართლე, რომლისთვისაც უცნობია საკუთარი მიდრეკილებების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული სირთულის გათვალისწინებით, ეგრეთ წოდებული „ობიექტური“ ტესტი გვეკითხება, შეიძლება თუ არა მოსამართლე ჩაითვალოს მიუკერძოებლად გონიერი ადამიანის ან „ჩვეულებრივი მოქალაქის“ თვალში.<sup>246</sup> საკმარისი არ არის, რომ განმცხადებელს მხოლოდ ეჭვი შეჰქონდეს სასამართლოს მიუკერძოებლობაში: მისი ინდივიდუალური გრძნობები არ შეიძლება იქცეს იმაზე გადამწყვეტ ფაქტორად ვიდრე თავად მოსამართლის ფაქტობრივი მიკერძოება, ვინაიდან ორივეს დამტკიცება შეუძლებელია. განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს მიზეზები საკუთარი ეჭვების გასამართლებლად. ეს არის პრობლემის გადაჭრის პრაქტიკული და სწორი გზა, ვინაიდან ჯეროვან მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ მდგომარეობას, რომელშიც ის იმყოფება.

ერთ-ერთი ავტორი მართებულად უსვამს ხაზს მართლმსაჯულების განხორციელებისას შთაბეჭდილების ელემენტს სახელმწიფოს მიმართ საყოველთაო ნდობის შენარჩუნებისთვის.<sup>247</sup> მისი მნიშვნელობა სცილდება სასამართლოს მიერ *დეკურის* (*Delcourt*) საქმეში<sup>248</sup> ციტირებულ პრინციპს, რომელიც ჩამოყალიბდა ლორდ პოვარდის მიერ საქმეში *R. სასექსის მოსამართლეების წინააღმდეგ, ex parte მაკკარტი (McCarthy)*: „არა მხოლოდ გარკვეული, არამედ ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ის, რომ სამართლიანობა არა მხოლოდ უნდა აღდგეს, არამედ თვალნათლივ და უსათუოდ უნდა ჩანდეს, რომ აღდგა“<sup>249</sup>.

<sup>245</sup> შედრ. ტრექსელი (1984) 385; კინერი (2001) 60. ავტორი აკრიტიკებს სასამართლოს იმის გამო, რომ ის ყოველთვის არ გამოირჩევა სიცხადითა და თანმიმდევრულობით.

<sup>246</sup> *ბელიოსი* (*Belilos*) *შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 67. საქმეში *პულარი* (*Pullar*) *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* სასამართლომ გამოიყენა ტერმინი „ობიექტური დამკვირვებელი“. იხ. ფელდტი (1997) 59. ავტორი არ არის მართალი, როდესაც ამბობს, რომ უარი იქნა თქმული აღნიშნული მიდგომის გამოყენებაზე. ავტორი აკრიტიკებს მას როგორც ძალზე ზოგად მიდგომას. თუმცა მისი არგუმენტები არ არის დამაჯერებელი. თვით ძველი რომაელები იყრდნობოდნენ ცნებას *bonus pater familias* (ოჯახის კეთილი თავი). როდესაც მოსამართლე იყენებს გონიერი ადამიანის, „ქუჩაში მყოფი ადამიანის“, ან „ჩვეულებრივი მოქალაქის“ ცნებას, ის ჩვეულებრივ გულისხმობს, თავად როგორი მოსაზრება ან რეაქცია ექნებოდა.

<sup>247</sup> ლუმანი (1975). იხ. აგრეთვე ტრექსელი (1997).

<sup>248</sup> *დეკური* (*Delcourt*) *ბელგიის წინააღმდეგ*, § 31, 35.

<sup>249</sup> *R. სასექსის მოსამართლეების წინააღმდეგ, ex parte მაკკარტი (McCarthy)* (1924) 259.

სასამართლო ხშირად ამბობს, რომ „შთაბეჭდილებები შეიძლება გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი იყოს“<sup>250</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობის შეფასებისას შთაბეჭდილება არ არის მხოლოდ ფასადი, არამედ რეალური პრობლემაა. მოსამართლე, რომელიც სრულიად მიუკერძოებელია, მაგრამ არ ტოვებს ასეთის შთაბეჭდილებას, არ არის მიუკერძოებელი მე-ნ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, თუ მოსამართლე ტოვებს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილებას, მაგრამ სინამდვილეში მიკერძოებულია, ის ჩაითვლება მიუკერძოებლად სამართალწარმოების მიზნებისთვის, სანამ მისი მიკერძოების შესახებ არ გახდება ცნობილი.

შესაბამისად, რთულია დაეთანხმო ველტს, რომელიც თვლის, რომ *დელეკურის (Delcourt)* საქმეში სასამართლომ შეზღუდა „ობიექტური“ ტესტის მოქმედების სფერო მისი მნიშვნელობის გაზვიადების წინააღმდეგ გაკეთებული გაფრთხილებით.<sup>251</sup> სინამდვილეში სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „... ეს მოსაზრებები ინვეს ეჭვებს სადავო სისტემის [კერძოდ, საკასაციო სასამართლოს თათბირში გენერალური პროკურორის მონაწილეობის] დამაკმაყოფილებელ ხასიათთან დაკავშირებით. თუმცა ისინი არ არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის დადასტურების ტოლფასი“<sup>252</sup>. სასამართლოს ასეთი მიდგომა მიუღებელია. შემდგომმა პრეცედენტულმა სამართალმა მთლიანად უარი თქვა მოსაზრებაზე, რომ შთაბეჭდილება „ადასტურებს“ სასამართლოს მიუკერძოებლობის არარსებობას. პირიქით, მისი გამოყენება ხდება ასეთი მტკიცებულების ნაცვლად. აქვე შეგვიძლია გავისხენოთ *ბორგერის (Borgers)* საქმე, სადაც სასამართლომ საბოლოოდ უარყო ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება, თუმცა ფაქტების განსხვავების გზით შეეცადა ძველი პრეცედენტული სამართლის უწყვეტობის შთაბეჭდილების შენარჩუნებას.<sup>253</sup>

## გ. მიუკერძოებლობის არარსებობა პირადი მიკერძოების გამო

სასამართლომ შეიძლება მხოლოდ ძალზე გამოწვევის შემთხვევებში განიხილოს სერიოზულად მოსამართლის პირადი მიკერძოების საკითხი. ის ზოგადად ცდილობს, თავიდან აიცილოს კონკრეტული ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.<sup>254</sup> სასამართლო ხელმძღვანელობს პრეზუმფციით, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია და მოითხოვს ძალზე ძლიერი მტკიცებულების წარმოდგენას საპირისპიროს მტკიცებისთვის.<sup>255</sup>

<sup>250</sup> იხ. მაგ: *ჰაუშილდტი (Hauschilde)* დანიის წინააღმდეგ, §48; *თორგერ თორგერსონი (Thorgerir Thorgerirson)* ისლანდიის წინააღმდეგ, §51; *ინჯალი (Incal)* თურქეთის წინააღმდეგ, §71; *პულარი (Pullar)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §38.

<sup>251</sup> ფელდტი (1997) 58.

<sup>252</sup> *დელეკური (Delcourt)* ბელგიის წინააღმდეგ, §31.

<sup>253</sup> *ბორგერსი (Borgers)* ბელგიის წინააღმდეგ, §24.

<sup>254</sup> სასამართლოს, როგორც ჩანს, გარკვეული სოლიდარობის გრძნობა გააჩნია ეროვნული მოსამართლეების მიმართ. ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას საქმეში *ბარფოდი (Barfod)* დანიის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება. ეს საქმე შეეხებოდა უზრუნავისტის დასჯას მოსამართლის კრიტიკისთვის, რომელიც ამავედროულად საჯარო მოხელე იყო. ეპისიამ ათი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლომ კი ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

<sup>255</sup> *პიერსაკი (Piersack)* ბელგიის წინააღმდეგ, §30; *დე კუბერი (De Cubber)* ბელგიის წინააღმდეგ, §25; *ლე კონტი (Le Compte)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის წინააღმდეგ, §58; *ჰაუშილდტი (Hauschildt)* დანიის წინააღმდეგ, §47; *თორგერ თორგერსონი (Thorgerir Thorgerirson)*

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასამართლოს უარი სუბიექტური ტესტის საფუძველზე მოსამართლის მიკერძოების აღიარებაზე რემლის (Remli) საქმეში.<sup>256</sup> განმცხადებელი, ალჟირული წარმოშობის მამაკაცი, გასამართლებული იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა, როგორც ჩანს, შესვენებაზე განაცხადა: „გარდა ამისა, მე რასისტი ვარ“. ეს მოისმინა მესამე პირმა, რომლის წერილობითი მიმართვა წარედგინა მოსამართლეს განმცხადებლის დამცველის მიერ. მოსამართლემ უარი განაცხადა ფორმალურად ინციდენტის მხედველობაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ ის არ მომხდარა სასამართლოს თანდასწრებით. მოსამართლის მიკერძოების ასეთი ძლიერი ნიშნების არსებობის დროს სასამართლოს ალბათ ასეთი დასკვნა უნდა გამოეტანა: „უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკერძოებული მოსამართლის ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა განაცხადა, რომ რასისტული შეხედულებები აქვს, ხოლო ბრალდებული განსხვავებული რასის წარმომადგენელია. მისი სიტყვების მნიშვნელობა უნდა განიმარტოს ისე, რომ ის მიკერძოებულია ბრალდებულის მიმართ“. მიუხედავად ამისა, სასამართლო არც კი შეეხო სუბიექტურ ტესტს. სანაცვლოდ, კომისიის მსგავსად, დაადგინა მე-ნ მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ სასამართლომ უარი განაცხადა, ჯეროვნად შეესწავლა ნაფიცი მსაჯულის მიმართ გამოთქმული ბრალდებები: „კონვენციის მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტი ყველა ეროვნულ სასამართლოს ავალდებულებს, შეამოწმოს თავად წარმოადგენს თუ არა „მიუკერძოებელ სასამართლოს“ ... როდესაც ეს დაეის საგანი ხდება იმ მოტივით, რომელიც თავიდანვე არ ტოვებს აშკარად უსაფუძვლო შთაბეჭდილებას“<sup>257</sup>.

მსგავსი ვითარება იყო შექმნილი საქმეში გრეგორი (Gregory) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. ას ნუთზე მეტი ხნის თათბირის შემდეგ მოსამართლეს გადაეცა წერილი ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულისგან, სადაც ეწერა: „ნაფიცი მსაჯულები ავლენენ რასობრივ ქვეტექსტებს...“ ამის შემდეგ მოსამართლემ მოიწვია ორივე მხარის წარმომადგენლები. დაცვის მხარეს დაჟინებით არ მოუთხოვია ნაფიცი მსაჯულების აცილება. შესაბამისად, მოსამართლე ნაფიცი მსაჯულებისადმი მკაცრი გაფრთხილებით შემოიფარგლა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლემ ყველაფერი გააკეთა იმ მოლოდინის ფარგლებში, რაც მის მიმართ არსებობდა და დაცვის უმნიშვნელო რეაქციასაც გაუსვა ხაზი. სასამართლომ გადანყვიტა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას.<sup>258</sup>

საქმეში სენდერი (Sander) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ აზიური წარმომავლობის განმცხადებელს ბრალად ედებოდა თაღლითობა. ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა შემდეგი წერილით მიმართა მოსამართლეს:

გადაწყვიტე, აღარ გაეჩუმდე. გარკვეული დროის მანძილზე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, შენუხებული ვიყავი, რომ ჩემი კოლეგა ნაფიცი მსაჯულები სერიოზულად არ ეკიდებოდნენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას. სულ მცირე ორი მათგანი ღიად აკეთებდა რასისტულ განცხადებებს და ემიშობ, რომ ბრალდებულებს დამნაშავედ ცნობენ არა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არამედ იმიტომ, რომ აზიელები არიან. შესაბამისად, ისინი ვერ მიიღებენ სამართლიან ვერდიქტს. გთხოვთ, მიჩიოთ რა შემძლია გავაკეთო ასეთ ვითარებაში.

*Thorgerison* ისლანდიის წინააღმდეგ, §50; კასტილო ალგარი (*Castillo Algar*) ესპანეთის წინააღმდეგ, §44.

<sup>256</sup> რემლი (*Remli*) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>257</sup> *Ibid.*, §48.

<sup>258</sup> გრეგორი (*Gregory*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46.

წერილის გაცნობის შემდეგ მოსამართლემ გააფრთხილა ნაფიცი მსაჯულები, ხოლო მეორე დღეს კიდევ ერთი წერილი მიიღო, რომელსაც ამჯერად ყველა ნაფიცი მსაჯული აწერდა ხელს:

ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერ ნაფიც მსაჯულებს, გვსურს, სასამართლო ოქმში შევიდეს ჩვენი პასუხი ერთ-ერთი მსაჯულის გუშინდელ წერილზე, რომელიც შესაძლო რასობრივ მიკერძოებაზე საუბრობდა:

1. კატეგორიულად ეუარყოფთ აღნიშნულ ბრალდებას.
2. ღრმად შეურაცხყოფილები ვართ ასეთი ბრალდებით.
3. გვინდა დავარწმუნოთ სასამართლო, რომ ვგეგმავთ ვერდიქტის გამოტანას მხოლოდ მტკიცებულებების საფუძველზე და რასობრივი მიკერძოების გარეშე.

გარდა ამისა, მოსამართლემ მიიღო წერილი, სადაც ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯული აღიარებდა, რომ რამდენჯერმე იხუმრა, რაც შეიძლებოდა არასწორად ყოფილიყო გაგებული რასისტული მიკერძოების გამოვლინებად. თავად ამას მკაცრად უარყოფდა. მოსამართლემ განაგრძო საქმის განხილვა და განმცხადებელი ცნობილი იქნა დამნაშავედ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს საქმე განასხვავა *გრეგორის (Gregory)* საქმისგან. ის დიდი ნდობით არ მოეკიდა წერილს, სადაც უარყოფილი იყო რასობრივი მიკერძოების არსებობა და დაადგინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ეჭვი შეეტანა ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობაში. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას.

მოსამართლე ლუკაიდისმა, თავის თანმხვედრ აზრში, განაცხადა, რომ სასამართლოს სუბიექტური მიუკერძოებლობის არარსებობა უნდა დაედგინა. ეს მოსაზრება იმსახურებს სიმპათიას. არ არის გასაკვირი, რომ კონვენციის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა მცირე უმრავლესობით, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სასამართლოს წევრთა უმრავლესობის მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებელია. ამავე დროს, სასამართლოს პერსპექტივიდან გამომდინარე, არგუმენტი იმის შესახებ, რომ გარკვეული ეჭვების ბოლომდე გაქარწყლება შეუძლებელია ასევე იმსახურებს მხარდაჭერას. უმრავლესობის დასკვნით, „ბუნდოვანი დაპირებების ძიების სანაცვლოდ, რომ ნაფიცი მსაჯულები გვერდზე გადადებდნენ თავიანთ ცრურწმენებს, მოსამართლეს უფრო მკაცრი რეაგირება უნდა მოეხდინა და გადაეწყვიტა საქმე მხოლოდ მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>259</sup> თუმცა ეს განცხადებაც თავის მხრივ ბუნდოვანია და წარმოადგენს სასამართლოს მერყევი პოზიციის გამოვლინებას.

მოსამართლის პირადი მიკერძოების ძლიერ ნიშნებს ვხვდებით საქმეში *ფერანტელი (Ferrantelli)* და *სანტანჯელო (Santangelo)* იტალიის წინააღმდეგ.<sup>260</sup> განმცხადებლები წარდგინეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელსაც წარსულში სასამართლებული ჰყავდა ერთ-ერთი ბრალდებული. განაჩენი შეიტყვედა რამდენიმე მითითებას ადრე ჩადენილ დანაშაულში განმცხადებლების მონაწილეობის შესახებ. ისინი დახასიათებულნი იყვნენ, როგორც „დანაშაულის თანამონაწილენი“. ერთ-ერთი განმცხადებლის შესახებ ასევე აღნიშნული იყო, რომ ის პასუხისმგებელი

<sup>259</sup> *სენდერი (Sander) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 34.

<sup>260</sup> *ფერანტელი (Ferrantelli)* და *სანტანჯელო (Santangelo)* იტალიის წინააღმდეგ, § 57.

იყო მკვლევარების ჩადენისთვის.<sup>261</sup> განმცხადებლებს არ გაუსაჩივრებიათ მოსამართლის პირადი მიკერძოება. ამიტომ სასამართლომ ობიექტური ტესტის საფუძველზე დაადგინა კონვენციის დარღვევა.

საქმე *კინგსლი (Kingsley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* სამოქალაქო სამართალწარმოების კარგი მაგალითია, რომელიც უკავშირდება მოსამართლის პერსონალურ მიკერძოებას. განმცხადებელი იყო კაზინოს დირექტორი. ჩატარებული შემოწმების შედეგად კაზინოს საბჭომ გადაწყვიტა მისი გათავისუფლება იმ მოტივით, რომ ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის ფუნქციას. განმცხადებელს სურდა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, თუმცა იძულებული იყო დაქვემდებარებოდა იმ კომისიის იურისდიქციას, რომელიც კაზინოს საბჭოს წევრებისგან შედგებოდა.<sup>262</sup>

საქმეში *კიპრიანუ (Kyprianou) კვიპროსის წინააღმდეგ* სასამართლომ პირველად აღიარა სუბიექტური მიუკერძოებლობის არარსებობა. განმცხადებელი იყო ადვოკატი რომელსაც სიტყვა შეაწყვეტინეს მონმის ჯვარედინი დაკითხვის დროს. ამას მისი აღშფოთება და მოსამართლეებთან კამათი მოჰყვა. მოსამართლეებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და განმცხადებელს მიუსაჯეს ხუთდღიანი პატიმრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ობიექტური მიუკერძოებლობის არარსებობა მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მოსამართლეებმა დასაჯეს ადამიანი მათი შეურაცხყოფისთვის.<sup>263</sup> სასამართლომ აგრეთვე აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ პიროვნულ მიკერძოებასაც. ეს ცხადი გახდა „განმცხადებლის ქცევაზე მოსამართლეთა თავშეუკავებელი რეაქციიდან, იმ სიჩქარიდან, რომლითაც [განმცხადებელი] გასამართლეს სასამართლოს შეურაცხყოფის დანაშაულისთვის სხვა ალტერნატიული, ნაკლებად მკაცრი, ზომების გამოყენების გარეშე, როგორცაა გაფრთხილება, განმცხადებლის პროფესიული ორგანიზაციისთვის მიმართვა, მის მოსმენაზე უარის თქმა სანამ საკუთარ სიტყვებს უკან არ წაიღებდა ან სასამართლო დარბაზის დატოვების მოთხოვნა“ და გამოყენებული ფორმულირებიდან.<sup>264</sup>

## დ. მიუკერძოებლობის არარსებობა ობიექტური ტესტის საფუძველზე

სასამართლომ რამდენჯერმე განმარტა „ობიექტური ტესტის“ მნიშვნელობა. მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს არის, „რამდენად უზრუნველყო მოსამართლემ საკმარისი გარანტიების არსებობა, რომლებიც ... ნებისმიერ ლეგიტიმურ ეჭვს გამოორიცხავდა [მის მიუკერძოებლობაში]“<sup>265</sup>. სასამართლოს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ

<sup>261</sup> *Ibid.*, § 59.

<sup>262</sup> *კინგსლი (Kingsley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. საქმე დიდი პალატის იურისდიქციას გადაეცა, თუმცა მხოლოდ კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხის გადასინჯვისთვის.

<sup>263</sup> *კიპრიანუ (Kyprianou) კვიპროსის წინააღმდეგ*, § 34. სასამართლომ ახსენა ლათინური გამონათქვამი *„nemo iudex in causa sua“* და მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ციტირება საქმეში *ოფუტი (Offutt) აშშ-ს წინააღმდეგ* (348 US 11. 75 S.Ct. § 35). ძალზე რთულ საქმეში *კორელიის (Korellis) კვიპროსის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული მის საქმესთან დაკავშირებული სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის გამო, კონვენციის დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი.

<sup>264</sup> *კიპრიანუ (Kyprianou) კვიპროსის წინააღმდეგ*, § 35.

<sup>265</sup> *ინჯალი (Incal) თურქეთის წინააღმდეგ*, § 65.

საქმეებში, სადაც ადგილი აქვს მოსამართლის მონაწილეობას სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე. სასამართლო ძალზე იშვიათად მიუთითებს მოსამართლის ახლო კავშირზე ერთ-ერთ მხარესთან ან საპროცესო თავისებურებებზე, რომლებმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

## 1. მიუკერძოებლობის არარსებობა სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე მოსამართლის მონაწილეობის გამო

### ა. როგორც პროკურორი

პირველი საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევა იყო *პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ*. განმცხადებელი მკვლელობისთვის იყო მსჯავრდებული, ხოლო მისი საქმის განმხილველ სასამართლოს თავმჯდომარეობდა პირი, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნურებამდე იყო სახელმწიფო პროკურორის უფროსი მოადგილე. სასამართლომ აღნიშნა, რომ უსამართლო იქნებოდა პროკურატურის თანამშრომლებისთვის ცხოვრების ბოლომდე მოსამართლის ფუნქციის შესრულების აკრძალვა. თუმცა, მოცემულ საქმეში მოსამართლე იმ პროკურორების ზემდგომი იყო, რომლებიც სასამართლოში გამოდიოდნენ და არსებობდა ნიშნები, რომ თავადაც ჰქონდა უშუალო მონაწილეობა მიღებული სამართალწარმოებაში. შესაბამისად, ეროვნული სასამართლო არ ტოვებდა მიუკერძოებელი ორგანოს შთაბეჭდილებას.<sup>266</sup>

სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არ არის გასაკვირი. ისტორიულად სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განვითარება ბრალდებისა და სასამართლო განხილვის ფუნქციების გამიჯვნას უკავშირდება, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს პროკურატურის როგორც ცალკე სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. აბსოლუტურად მართებულია აღნიშნულ კონტექსტში ფრანსუა ტულკენსის მიერ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გახსენება.<sup>267</sup> პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ბრალდებულის გადმოსახედიდან საბრალდებო ორგანო არის მეტოქე, მტრული დანესებულება. ობიექტურად გამართლებულია ასევე იმის ვარაუდი, რომ ბრალდებულის ფუნქციის შემსრულებელ პიროვნებას ჩამოყალიბებული ექნება კრიტიკული და შეიძლება ნეგატიური დამოკიდებულებაც კი ბრალდებულის მიმართ და ვერ შეძლებს იმავე სამართალწარმოების მომდევნო ეტაპებზე ამგვარი განცდებისგან გათავისუფლებასა და სრული ნეიტრალიობის შენარჩუნებას.<sup>268</sup>

საქმე *ფინდლი (Findlay) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* უკავშირდებოდა სამხედრო მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი ფუნქციების აკუმულირებას ერთი ადამიანის ხელში. კერძოდ, „მომწვევი ოფიცერი“ ერთდროულად წყვეტდა ბრალდების წარდგენის საკითხს და განსაზღვრავდა საქმის განმხილველ სამხედრო სასამართლოს. მის ფუნქციებში აგრეთვე შედიოდა სამხედრო სასამართლოს მოწვევა, მისი წევრების, დაცვისა და ბრალდების წარმომადგენლების დანიშვნა. გარდა ამისა, სამხედრო სასამართლოს ყველა წევრი თანამდებობრივად მას ექვემდებარებოდა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას თავადვე ამტკიცებდა. ცხადი იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს

<sup>266</sup> *პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ*, §30, 31

<sup>267</sup> ტულკენსი (1992) 41; იხ. აგრეთვე ფელდტი (1997) 140.

<sup>268</sup> ეს იყო გადამწყვეტი არგუმენტი საქმეში *ბორგერსი (Borgers) ბელგიის წინააღმდეგ*, §26.

შეიძლება ჰქონოდა სრულიად საფუძვლიანი უნდობლობა სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი.<sup>269</sup>

სასამართლომ განიხილა რამდენიმე მსგავსი საქმე, რომლებიც სამხედრო ძალების სხვა სახეობებს შეეხებოდა.<sup>270</sup> 1996 წელს ბრიტანეთში შეიცვალა კანონმდებლობა და *მორისის (Morris)* საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ იმ პრობლემების უმრავლესობა, რომლებმაც *ფინდლის (Findlay)* საქმეში გამოიწვიეს კონვენციის დარღვევა, მათ შორის „მომწვევი ოფიცრის“ განსაკუთრებული უფლებამოსილება, გამოსწორდა. თუმცა მოსამართლეებს კვლავ შეჰქონდათ ეჭვი სამხედრო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში: „არ არსებობდა გარე ზენოლის სანინააღმდეგო საკმარისი გარანტიები იმ ორ მოსამართლესთან მიმართებაში, რომლებიც, მუდმივ თავმჯდომარესთან ერთად, შეადგენდნენ სამხედრო სასამართლოს. ამ ორ ოფიცერს, ორივე კაპიტანს, არ ჰქონდათ გავლილი იურიდიული მომზადება, მათზე ვრცელდებოდა სამხედრო დისციპლინა და დგებოდა საქმიანობის ანგარიშები, ისინი არ იყვნენ დაცულნი სამხედრო ზენოლისგან არც ერთი სამართლებრივი აქტით“<sup>271</sup>. სხვა სირთულე უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ზემდგომ არასასამართლო ორგანოს, „ზედამხედველ ინსტანციას“ შეეძლო განაჩენის გაუქმება. სასამართლომ ერთხმად დადგინა კონვენციის დარღვევა.<sup>272</sup> თუმცა საქმეში *კუპერი (Cooper)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც იმავე საკითხს შეეხებოდა, დიდმა პალატამ ასევე ერთხმად მიიღო საპირისპირო გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ ფუნქციები მკაფიოდ იყო გამოიჯნული. უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა საქმეს გადასცემდა პროკურატურის ორგანოს, რომელიც ერთპიროვნულად წყვეტდა ბრალდებულის სამხედრო სასამართლოს წინაშე წარდგენის საკითხს.<sup>273</sup> სასამართლომ არ ჩათვალა გადამწყვეტად ის ფაქტი, რომ სამხედრო მოსამართლეებს არ ჰქონდათ გავლილი იურიდიული მომზადება, რადგან ისინი სარგებლობდნენ „მოსამართლე ადვოკატის“ ინსტრუქციებითა და რჩევებით, იღებდნენ ინსტრუქტაჟს სამხედრო სასამართლოს ადმინისტრაციული განყოფილებიდან და მათ მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებაზე არ დგებოდა ანგარიში.<sup>274</sup> „ზედამხედველ ინსტანციასთან“ დაკავშირებით დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სამხედრო სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა.<sup>275</sup>

დიდმა პალატამ აგრეთვე განიხილა საკითხი, შეიძლებოდა თუ არა საზღვაო ძალების სამხედრო სასამართლო ჩათვლილიყო დამოუკიდებლად

<sup>269</sup> *ფინდლი (Findlay)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §74-80. აღნიშნული პრეცედენტი სასამართლომ დადასტურა შემდეგ საქმეებში: *უილკინსონი (Wilkinson)* და *ალენი (Allen)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; *კოინი (Coyne)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; *მილსი (Mills)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; *ტომფსონი (Thompson)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>270</sup> მაგ: *კეიბლი (Cable)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* უკავშირდებოდა საჰაერო ძალებს..

<sup>271</sup> *კუპერი (Cooper)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. მოსამართლე კოსტას მიერ გაკეთებული შეჯამება თავის განსხვავებულ აზრში

<sup>272</sup> *მორისი (Morris)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §59-77.

<sup>273</sup> *კუპერი (Cooper)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC), §112.

<sup>274</sup> *Ibid.*, §123-25. დიდმა პალატამ სწორად შენიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არ იყო უჩვეულო ისეთი მოსამართლეების ყოლა, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი იურიდიული მომზადება.

<sup>275</sup> *Ibid.*, §131.



და მიუკერძოებლად.<sup>276</sup> მისი პასუხი იყო უარყოფითი, ვინაიდან „მოსამართლე ადვოკატი“ არ იყო სამოქალაქო პირი და სამხედრო ხელმძღვანელობისადმი ანგარიშგების სისტემის გათვალისწინებით არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სრულიად დამოუკიდებლად.<sup>277</sup>

საქმე *ვერნერი (Werner) პოლონეთის წინააღმდეგ* სამოქალაქო სამართალწარმოებასთან შესაძლო პარალელის ილუსტრირებაა. ამ საქმეში მოსამართლემ თავისივე სასამართლოს მიმართა განმცხადებლისთვის გაკოტრების საქმისწარმოებაში ლიკვიდატორის უფლებამოსილების ჩამორთმევის შუამდგომლობით. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, არსებობდა ამ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლოს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის ობიექტური საფუძვლები,<sup>278</sup> თუმცა იგივე დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა სუბიექტური ასპექტის საფუძველზე.<sup>279</sup>

### ბ. როგორც პოლიციის თანამშრომელი

საქმეში *ჯონ კრისტინსონი (John Kristinson) ისლანდიის წინააღმდეგ* განხილვის საგანი იყო გამარტივებული სამართალწარმოების ისლანდიური სისტემა. პოლიციის უფროსის მოადგილის კომპეტენციაში შედიოდა წერილმან დაწესებულებთან დაკავშირებული საკითხები. ის აგრეთვე ასრულებდა სისხლის სამართლის მოსამართლის ფუნქციას. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ პოლიციის ხსენებული წევრი ვერ უზრუნველყოფდა მიუკერძოებლობის საქმარის გარანტიებს სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას.<sup>280</sup> ისლანდიის მთავრობამ გაიზიარა კომისიის არგუმენტები და სასამართლოს წინაშე საქმის განხილვა შეწყდა მხარეებს შორის მორიგებით.<sup>281</sup>

### გ. როგორც გამომძიებელი

საქმე *დე კუბერი (De Cubber) ბელგიის წინააღმდეგ* შეეხებოდა პირს, რომელმაც ერთსა და იმავე საქმეში შეასრულა გამომძიებელი მოსამართლისა და საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის ფუნქციები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა მიუკერძოებლობის ობიექტურ მოთხოვნას. სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ არგუმენტებს ემყარებოდა:

- ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, გამომძიებელი მოსამართლე მიუკუთვნებოდა „კრიმინალურ საგამომძიებო პოლიციას“ და მოქმედებდა გენერალური პროკურორის ზოგადი ზედამხედველობის ქვეშ.
- წინასწარი გამომძიების საიდუმლო, ინკვიზიციური ხასიათი.
- მოსამართლემ გასცა განმცხადებლის დაკავების ბრძანება და მრავალჯერ დაკითხა ის გამომძიების მსვლელობისას.

<sup>276</sup> *გრიესი (Grieves) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*; იხ. აგრეთვე *სმიტი (Smith) და ფორდი (Ford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §25; *მური (Moore) და გორდონი (Gordon) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §24; *GK გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *ლე პეტი (Le Petit) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>277</sup> *გრიესი (Grieves) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GC)*, §87-90.

<sup>278</sup> *ვერნერი (Werner) პოლონეთის წინააღმდეგ*, §44.

<sup>279</sup> *Ibid.*, §41.

<sup>280</sup> *ჯონ კრისტინსონი (John Kristinson) ისლანდიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12170/86, §57.

<sup>281</sup> მორიგებით დასრულდა სხვა მსგავსი საქმეც: *სვერისონი (Sverrisson) ისლანდიის წინააღმდეგ*, განაცხადი 13291/87.

- მოსამართლე კარგად იცნობდა საქმის მასალებს, რაც მას უპირატესობას ანიჭებდა სხვა მოსამართლეებთან შედარებით და აძლევდა მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას სასამართლო განხილვის შედეგზე.
- მოსამართლეს შესაძლოა უკვე წინასწარ ჰქონდა ჩამოყალიბებული მოსაზრება განმცხადებლის ბრალეულობაზე.
- ის ფაქტი, რომ სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო „გამომძიებელი მოსამართლის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და გაცემული ბრძანებების კანონიერება“.
- წესი, რომლის მიხედვით მოსამართლეს ეკრძალებოდა სასამართლოს თავმჯდომარეობა იმ საქმეში, სადაც ის აგრეთვე გამომძიებელი მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა, რაც მიუკერძოებლობის (როგორც მინიმუმ მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების) საკითხზე ბელგიელი კანონმდებლების ზრუნვის მანიშნებელი იყო.<sup>282</sup>

სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა მისი არგუმენტაცია არ არის დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, კრიტიკას იმსახურებს გამოყენებული არგუმენტების სიმრავლე. მოცემულ საქმეში გამომძიებელი მოსამართლის როლზე საუბრისას შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დეტექტივი. მისი მიზანია სიმართლის დადგენა, რომლის დამალვასაც ბრალდებული ცდილობს. ბრალდებული გრძნობს, რომ გამომძიებელი მოსამართლე კვალში უდგას და მისგან თავის დაღწევას ცდილობს. მან შეიძლება აგრეთვე აღმოაჩინოს, რომ რბოლა არც ისე სამართლიანია. სინამდვილეში გამომძიებელი მოსამართლე უფლებამოსილია, გამოიყენოს მრავალი იძულების ღონისძიება, რომელთაგან ყველაზე მძლავრი ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვაა. ასეთ ვითარებაში რთული წარმოსადგენია, რომ ბრალდებულის მიერ გამომძიებელი მოსამართლე არ იყოს აღქმული მონინალმდევად. ასეთი წარმოდგენა უბრალოდ არ ქრება, როდესაც ბრალდებული იმავე პირის, ამჯერად როგორც მოსამართლის, წინაშე აღმოჩნდება სასამართლო პროცესზე. შესაძლებელია, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, გამომძიებელი მოსამართლე მიუკერძოებელ მოხელედ ითვლებოდეს და კანონის საფუძველზე დაცვის მხარის სასარგებლო გარემოებების გამოძიების ვალდებულებაც ეკისრებოდეს.<sup>283</sup> თუმცა შეუძლებელია მსგავსი აბსტრაქტული დებულებებით ფსიქოლოგიური რეალობის უარყოფა, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს მოცემულ კონტექსტში. შესაბამისად, სამართლიანია იმის თქმა, რომ მოსამართლესთან მიმართებაში გამოძიების უფლებამოსილება ყოველთვის ინვეს მიკერძოების შთაბეჭდილებას. ეს დასკვნა არსებითად დადასტურდა საქმეში *ტიერსი (Tierce)* და *სხვები სან მარინოს წინააღმდეგ*.<sup>284</sup>

ეს მოსაზრება არა მხოლოდ ბელგიის საკასაციო სასამართლომ აღიარა სწორად საკუთარ პრეცედენტულ სამართალში შესაბამისი ცვლილებების შეტანით,<sup>285</sup> არამედ შევიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმაც, რომელიც ადრე კანონიერად თვლიდა კუმულატიური ფუნქციების არსებობას.<sup>286</sup> ამ უკანასკნელმა

<sup>282</sup> *დე კუბერი (De Cubber)* ბელგიის წინააღმდეგ, § 29.

<sup>283</sup> ამის მაგალითია შევიცარიის სისხლის სამართლის პროცესი, რამაც ერთ-ერთი ფედერალური მოსამართლის მხრიდან სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკა გამოიწვია. იხ. შპიულერი (1990) 328.

<sup>284</sup> *ტიერსი (Tierce)* და *სხვები სან მარინოს წინააღმდეგ*, § 78.

<sup>285</sup> ფელდტი (1997) 81.

<sup>286</sup> BGE 104 Ia 271 ff., 275.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას მინიჭა უპირატესობა *დე კუბერის (De Cubber)* გადაწყვეტილების შემდეგ.<sup>287</sup>

საქმეში *პფაიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ დადასტურდა *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა პირველი საქმე ორი ელემენტით განსხვავდებოდა მეორისგან. პირველი, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კრძალავდა ყოფილი გამომძიებელი მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის ფუნქციის შესრულებას. შესაბამისად, სასამართლოს არ დასჭირდა შესაბამისი პირების მიერ წინასასამართლო ეტაპზე განხორციელებული ქმედებების შემოწმება, ვინაიდან თვით კანონს შეჰქონდა ეჭვი მათ მიუკერძოებლობაში. ამ საქმეში „საჩივრები „მიუკერძოებელი“ სასამართლოს არარსებობისა და „კანონის საფუძველზე“ შექმნილი სასამართლოს არარსებობის შესახებ არსებითად ემთხვეოდა ერთმანეთს“<sup>288</sup>.

ანალოგიური პრობლემის წინაშე დადგა სასამართლო საქმეში *ბულუტი (Bulut)* ავსტრიის წინააღმდეგ, სადაც დაცვამ ნათლად განაცხადა უარი მოსამართლის მიკერძოებულობის გასაჩივრებაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც განიხილა მიუკერძოებლობის საკითხი. ვინაიდან გამომძიების პროცესში მოსამართლის როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ორი მონმის დაკითხვით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ, ობიექტური ტესტის საფუძველზე, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის დარღვევას.<sup>289</sup>

საქმეში *ფეი (Fey)* ავსტრიის წინააღმდეგ განმცხადებელი გასამართლებულ იქნა რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. ამავე მოსამართლის მიერ განხორციელდა რამდენიმე საგამომძიებო მოქმედება, მათ შორის ინფორმაციის ტელეფონით შეგროვება და მსხვერპლის დაკითხვა. თექვსმეტი ხმით სამის წინააღმდეგ, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას. თუმცა, შეიძინა ხმით ორის წინააღმდეგ, სასამართლომ საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო.<sup>290</sup> სასამართლოს არგუმენტაცია *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში გამოყენებული მიდგომის მსგავსია. ის მოიცავს სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპზე მოსამართლის ფუნქციის დეტალურ ანალიზს: „მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მიერ განხორციელებული წინასასამართლო მოქმედებების მოცულობასა და ხასიათს“<sup>291</sup>. კერძოდ, ამ საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:

- წინასწარი გამოძიება ფორმალურად უკვე დასრულებული იყო.<sup>292</sup>
- მოსამართლემ მართლა დაკითხა მსხვერპლი, თუმცა მხოლოდ გამომძიებელი მოსამართლისგან მიღებული თხოვნისა და მის მიერვე მითითებული კითხვების საფუძველზე.

<sup>287</sup> BGE 112 Ia 297.

<sup>288</sup> *პფაიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, §36. ამ საქმეში მთავარი კითხვა იყო, რამდენად კანონიერად განაცხადა განმცხადებელმა უარი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებაზე. სასამართლოს პასუხი იყო უარყოფითი, ვინაიდან მან ეს გააკეთა ციხის საკანში მოსამართლის ვიზიტის დროს, სადაც მისი დამცველი არ იმყოფებოდა.

<sup>289</sup> *ბულუტი (Bulut)* ავსტრიის წინააღმდეგ, §29.

<sup>290</sup> *ფეი (Fey)* ავსტრიის წინააღმდეგ, §23.

<sup>291</sup> *Ibid.*, §30.

<sup>292</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში მოსამართლის მიერ ჩატარებული გამოძიება სპეციალური სამართალწარმოება იყო, რომელსაც არ ახორციელებს გამომძიებელი მოსამართლე. შესაბამისად, არ განიხილებოდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევის საკითხი, როგორც ეს მოხდა *პფაიფერის (Pfeifer)* და *პლანკლის (Plankl)* საქმეში.

- მოსამართლის ფუნქცია არ იყო საქმის არსებითი გარემოებების გამოძიება.
- საქმის მასალებიდან არ ჩანდა მის მიერ ამ ფუნქციის შესრულება.
- მსხვერპლის დაკითხვის დროს არ იგეგმებოდა მის მიერ საქმის განხილვა სასამართლოში.
- „გარკვეული წინასასამართლო მოქმედებების“ განხორციელების მიუხედავად ისინი „მოსამზადებელი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა საქმის მასალების შევსებას სასამართლო განხილვამდე“.
- სასამართლოსთვის საქმის მასალების შეგროვებით მას არ გამოუვლენია განმცხადებლის შესაძლო ბრალეულობის რწმენა – ეს ქმედება არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს „სასამართლოსთვის ბრალდებულის საქმის გადაცემის ფორმალურ გადაწყვეტილებასთან“.
- მოსამართლემ განმცხადებელი პირველად სასამართლო პროცესზე იხილა და შესაბამისად, „მხოლოდ ამ ეტაპზე ჰქონდა მის ბრალეულობაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა“.
- მოსამართლემ გაამართლა განმცხადებელი ბრალდების ორი ეპიზოდიდან ერთ-ერთში.<sup>293</sup>

ამის შემდეგ სასამართლომ შეაჯამა ზემოთ მოყვანილი არგუმენტები: „შესაბამისად, რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული წინასასამართლო მოქმედებების მოცულობა და ხასიათი აშკარად განსხვავდება იმათგან, რომლებსაც ეხედებით ზემოთ მოყვანილ *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში“<sup>294</sup>.

*ფეის (Fey)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ბევრის მიერ განიმარტა, როგორც პრეცედენტული სამართლის მოდიფიცირება და იმ საქმეებში მიუკერძოებლობისადმი ნაკლებად მკაცრი მიდგომის გამოყენება, სადაც სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე მოსამართლე განსხვავებულ როლში გვევლინება.<sup>295</sup> სინამდვილეში სასამართლოს არ შეუცვლია თავისი იურისპრუდენცია, არამედ *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში გამოყენებულ მიდგომას მისდია. კრიტიკას იმსახურებს არა მხოლოდ შედეგი, არამედ სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტაცია. მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრის ნაცვლად, რომლებიც სახელმძღვანელო ფუნქციას შეასრულებდა და პრეცედენტულ სამართალს უფრო პროგნოზირებადს გახდიდა, სასამართლოს გადაწყვეტილება ჩამოთვლის სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ძალიან ბევრ დეტალს. გარდა ამისა, ზოგიერთი დეტალი სულაც არ გამოდგება დამაჯერებელ არგუმენტად, მაგალითად ის ფაქტი, რომ მოსამართლემ გაამართლა განმცხადებელი ბრალდების ორი ეპიზოდიდან ერთ-ერთში. სასამართლოს მიერ აქცენტის გაკეთება კონკრეტულ საქმეში არსებულ გარემოებებზე წარმოადგენს მის მიერ ნებისმიერი ზოგადი პრინციპის თითქმის ფობიურ უარყოფას. ეს კი განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ისეთ სფეროში როგორცაა სისხლის სამართლის პროცესი, სადაც ნათელი წესები თავისთავად ასრულებს გარანტიების ფუნქციას.

დაბოლოს, ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს *ნორტიერის (Nortier)* საქმის შესახებ, სადაც არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლემ განახორციელა გამოძიებელი მოსამართლის ფუნქციები შიდასახელმწიფოებრივი კანონ-

<sup>293</sup> *ფეი (Fey) ავსტრიის წინააღმდეგ*, §31-4.

<sup>294</sup> *Ibid.*, §35.

<sup>295</sup> *ფელდტი (1997) 87*; იხ. აგრეთვე მოსამართლე შილმანის განსხვავებული აზრი.

მდებლობის შესაბამისად.<sup>296</sup> სასამართლომ შეისწავლა საქმის დეტალები და დაადგინა, რომ მოსამართლემ მიიღო წინასასამართლო გადაწყვეტილებები „წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით“ და დააკმაყოფილა „ბრალდების მოთხოვნა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმების შესახებ, რომელიც არ იქნა გაპროტესტებული ამ უკანასკნელის მიერ. მას არ განუხორციელებია გამოძიებელი მოსამართლის სხვა არც ერთი უფლებამოსილება“. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.<sup>297</sup>

**დ. როგორც საბრალდებო დასკვნის მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანოს წევრი**

საქმეში ბენ იაკუბი (*Ben Yaacoub*) ბელგიის წინააღმდეგ განმცხადებელი ქურდობისთვის იქნა მსჯავრდებული. საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარე გარკვეული დროით ადრე სათათბირო პალატაში (*Chambre du conseil*) ასრულებდა მოსამართლის ფუნქციებს. მას არა მხოლოდ განმცხადებლის დაკავების ბრძანება ჰქონდა გაცემული, არამედ მისი გადაწყვეტილებით გახანგრძლივდა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა და საქმე გადაეცა სასამართლოს განსახილველად. კომისიამ გადაწვინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ეჭვი შეეტანა აღნიშნული მოსამართლის მიუკერძოებლობაში. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა გათავისუფლებაზე, ვინაიდან მისი „ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება არსებობდა“<sup>298</sup>. გარდა ამისა, საქმის სასამართლოსთვის გადაცემისას მას უნდა გადაეწყვიტა არსებობდა თუ არა განმცხადებლის ბრალის დამადასტურებელი „არსებითი მტკიცებულებები“, რაც არ იყო შორს იმის თქმისგან, რომ მისი ბრალი დამტკიცებული იყო.<sup>299</sup> როგორც ჩანს, კომისიის არგუმენტები დამაჯერებელი აღმოჩნდა საფრანგეთის საკანონმდებლო სასამართლოსთვის, რომელმაც შესაბამისი ცვლილებები შეიტანა თავის პრაქტიკაში და სასამართლოს წინაშე საქმის განხილვა შეწყდა მხარეებს შორის მორიგებით.<sup>300</sup>

ანალოგიურ საქმეში სარაივა დი კარვალიო (*Saraivo de Carvalho*) პორტუგალიის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ იქნა განხილული, სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა ვერ აღმოაჩინა. მოსამართლე სალუადომ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოსთვის საქმის გადაცემის შესახებ (*despacho de pronuncia*). პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს გადაწყვეტილება „ემსახურებოდა მხოლოდ შესაძლო ბრალეულობის

<sup>296</sup> ამ საქმეში სასამართლომ თავი აარიდა ძალზე რთული საკითხის გადაწყვეტას: მე-6 მუხლის გამოყენება არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. წესი, რომლის მიხედვით ერთი და იგივე პირი ასრულებს გამოძიებელი მაგისტრატისა და საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის ფუნქციებს მიზნად ისახავს ახალგაზრდა დამნაშავეების მიმართ ზედმეტად ფორმალიზებული და ინსტიტუციური მიდგომის გამოყენების თავიდან აცილებას. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ხასიათის ელემენტები კომბინირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოთხოვნებთან. კელაე ლიად რჩება კითხვა, რამდენად მისაღებია ასეთი განსხვავება. საქმეში T და V *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* მე-6 მუხლის გამოყენება არ იყო დაეის საგანი. ამ საქმეში ბავშვების მიმართ გამოიყენეს ზრდასრულთათვის დადგენილი წესები, რაც წარმოადგენდა მე-6 მუხლის დარღვევას.

<sup>297</sup> *ნორტიერი (Nortier) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 34, 37.

<sup>298</sup> *ბენ იაკუბი (Ben Yaacoub) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 9976/82.

<sup>299</sup> *Ibid.*, § 109.

<sup>300</sup> *იხ. ბენ იაკუბი (Ben Yaacoub) ბელგიის წინააღმდეგ*, § 15; ფელდტი (1997) 115.

დადასტურებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სასამართლო განხილვა *prima facie* მტკიცებულებების არარსებობისას. შესაბამისად, ეს იყო გადაწყვეტილება საბრალდებო დასკვნის მიზანშეწონილობის შესახებ და არ ინევედა მოსამართლის მიერ მოხებას საქმის არსებითად განხილვისას<sup>301</sup>.

სასამართლომ თავის ჩვეულ მეთოდს მიმართა და დეტალურად განიხილა მოსამართლის ქმედებები წინასასამართლო ეტაპზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ:

- მოსამართლემ ვერ აღმოაჩინა რაიმე ხარვეზი წინასწარ გამოძიებაში ან „სხვა ნებისმიერი დაბრკოლება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვისთვის“.
- იმავე საქმეში ოთხ სხვა ბრალდებულთან დაკავშირებით მოსამართლემ გადაწყვეტა, რომ „არ არსებობდა მათი შესაძლო ბრალეულობის სარწმუნო შეფასებისთვის საკმარისი მტკიცებულებები“.
- მან აღიარა განმცხადებლისა და იმავე საქმეში სხვა ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალდების სამართლიანობა.
- მან გასცა ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელების ბრძანება.<sup>302</sup>

სასამართლომ აგრეთვე მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:

- საკითხები, რომლებიც მოსამართლემ განიხილა წინასასამართლო ეტაპზე არ გამხდარა „გადამწყვეტი მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას“.
- იმავე საქმეში რამდენიმე ბრალდებული იქნა გამართლებული.
- განმცხადებელმა არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება საქმის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ.
- „ხელმისაწვდომი მტკიცებულებების წინასწარი შეფასება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ბრალის ფორმალურ აღიარებად“<sup>303</sup>.

ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ მოყვანილი არგუმენტებიდან ყველა ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად. პირველ არგუმენტზე შეიძლება ითქვას, რომ სხვა მოსამართლეს, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა წინასასამართლო გამოძიებაში, შეეძლო ხარვეზების აღმოჩენა. ბოლოს ხსენებული გარემოება კი ალბათ ყველაზე საკამათოა. არც ერთ საქმეში, სადაც სასამართლომ საფუძვლიანად ცნო განმცხადებლის ეჭვები სასამართლოს მიუკერძოებლობაში, არ მომხდარა ბრალის ფორმალური აღიარება. აღნიშნულ საქმეებში არც წინასასამართლო ეტაპზე განუხილავთ მოსამართლეებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის გადაწყვეტი საკითხები.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაკრიტიკებული იქნა ლორან სერმეს მიერ.<sup>304</sup> ის რთულად თავსებადია *ბენ იაკობის (Ben Yaacoub)* საქმესთან. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ უკანასკნელში მხოლოდ კომისიის ანგარიშთან გვაქვს საქმე და სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს. *ბულუტის (Bulut)* საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოსამართლე არ იყო „პასუხისმგებელი ... საქმის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე“<sup>305</sup>.

<sup>301</sup> *სარაივა დი კარვალიო (Saraiva de Carvalho) პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 20.

<sup>302</sup> *Ibid.*, § 36.

<sup>303</sup> *Ibid.*, § 37.

<sup>304</sup> სერმე (1994) 262: „un nivellement par le bas“.

<sup>305</sup> *ბულუტი (Bulut) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 34.

სარაივა დი კარვალიოს (*Saraivo de Carvalho*) საქმეში კი ეს გადაწყვეტილება მოსამართლის მიერ იქნა მიღებული. ამკარაა, რომ სასამართლოს იურისპრუდენცია წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია, რომელიც ფოკუსირებულია სამართალწარმოების დეტალებზე მკაფიო პრინციპების განსაზღვრის ნაცვლად. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა *კასტილო ალგარის (Castillo Algar)* საქმეში, სადაც მოსამართლეებს მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული საქმის სასამართლოსთვის გადაცემის წინააღმდეგ განმცხადებლის საჩივრის განხილვაში.<sup>306</sup>

*ე. როგორც ბრალდებულის პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები*

სასამართლოს მიერ განხილული რამდენიმე საქმე უკავშირდება მოსამართლეებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილებები ბრალდებულის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით. რასაკვირველია ყველა ეს გადაწყვეტილება ეხებოდა დაპატიმრების ბრძანების გაცემას ან პატიმრობის ვადის გაგრძელებას. პირველი ასეთი საქმე იყო *ჰაუშილდტი (Hauschildt)* დანიის წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ, რომელმაც გაასამართლა განმცხადებელი, ასევე რამდენჯერმე უარყო მისი თხოვნა წინასწარი პატიმრობის ნაცვლად გირაოს ან სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ. კომისიამ განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტს გავლენა არ მოუხდენია სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, თუმცა ევროპული სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა. ამის მიზეზი იყო საქმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. კერძოდ, გადამწყვეტ ფაქტორად იქცა დანიის კანონმდებლობის ერთი დეტალი. მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ აქტის 762(2) მუხლის მიხედვით, მოსამართლე უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებობდა „ინდივიდუალურად დადასტურებული ეჭვი“, რაც უდრიდა „ძალზე მაღალი ხარისხის სიცხადეს ბრალის საკითხთან დაკავშირებით ... შესაბამისად, სხვაობა იმ საკითხებს შორის, რომლებიც მოსამართლეს [ერთი მხრივ] ამ მუხლის გამოყენებისას, ხოლო [მეორე მხრივ] განაჩენის გამოტანის დროს უნდა გადაეწყვიტა ხდებოდა უმნიშვნელო“<sup>307</sup>.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა ის არ სცემს პასუხს შემდეგ კითხვას: არსებობს თუ არა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, როდესაც მას წარსულში მიღებული აქვს გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების ან მისი ვადის გახანგრძლივების შესახებ. სინამდვილეში საკმაოდ ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს, სწორედ ის ხდება პასუხისმგებელი ბრალდებულის მდგომარეობაზე და ენიჭება მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობების განხილვის უფლებამოსილება. მსგავსი შუამდგომლობების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველს, როგორც წესი, წარმოადგენს არა ბრალდებულის მიმართ არსებული ეჭვის ხარისხი (თუმცა, რასაკვირველია გარკვეული ეჭვის არსებობა აუცილებელია), არამედ ბრალდებულის მიმალვის ან მის მიერ მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლის ან მათი განადგურების საფრთხე.<sup>308</sup> ამ საკითხების

<sup>306</sup> *კასტილო ალგარი (Castillo Algar) ესპანეთის წინააღმდეგ*, §46.  
<sup>307</sup> *ჰაუშილდტი (Hauschildt) დანიის წინააღმდეგ*, §52.  
<sup>308</sup> იხ. თავი 5, ქვეთავი I.

გამაჯუნა განმცხადებლის ბრალისგან სრულიად შესაძლებელია.<sup>309</sup>

სანქტ-მარე (*Sainte-Marie*) საფრანგეთის წინააღმდეგ ზემოთ თქმულის დასაბუთება. თუმცა გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის ორი მოსამართლე წარსულში საბრალდებო პალატის (*chambre d'accusation*) წევრები იყვნენ და უარყვეს განმცხადებლის თხოვნა პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული თხოვნა სხვა საქმეს უკავშირდებოდა, რომლის გამოძიება პარალელურად მიდინარეობდა და შესაბამისად, *ბენ იაკობის (Ben Yaacoub)* საქმეში დადგენილი პრინციპის გამოყენება შეუძლებელი იყო. თუმცა სასამართლომ თითქმის არ მიიღო მხედველობაში ეს განსხვავება. მისი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ საბრალდებო პალატა გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო თავად განმცხადებლის განცხადებებს დადასტურებულს ნიეთიერი მტკიცებულებებით, რომლებიც არ გამხდარა დავის საგანი. სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც გადამწყვეტ ფაქტორად იქცა *ჰაუსილდტის (Hauschiltt)* საქმეში არ ყოფილა განხილვის საგანი.<sup>310</sup>

### ვ. როგორც საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე

რამდენიმე საქმე შეეხებოდა ვითარებას, როდესაც განაჩენის გაუქმების შემდეგ საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. საქმეში *დიენე (Diennet)* საფრანგეთის წინააღმდეგ განხილვის საგანი იყო დისციპლინური ორგანო, ექიმთა გაერთიანების (*ordre des médecins*) ეროვნული საბჭო. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა, რადგან მეორე გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არსებითად იმავე ფაქტებს, რომლებსაც პირველი, რომელიც, თავის მხრივ, საპროცესო მიზეზების გამო გაუქმდა, ხოლო ახალ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია.<sup>311</sup>

საქმეში *თომანი (Thomann)* შვეიცარიის წინააღმდეგ განმცხადებელი თავდაპირველად გაასამართლეს დაუსწრებლად, თუმცა მოგვიანებით მას მიენიჭა იმავე სასამართლოს წინაშე მსჯავრდების გადასინჯვის უფლება. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ფაქტი არ წარმოქმნიდა მოსამართლეთა მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს: „ისინი თავიდან განიხილავენ მთლიან საქმეს; საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი ღიად რჩება და ამჯერად მათი განხილვა მოხდება შეჯიბრებითი სამართალწარმოების პირობებში, რაც გულისხმობს, რომ უფრო სრული ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების შედეგად.“<sup>312</sup> გარდა ამისა, სასამართლო უფრო პრაგმატული ხასიათის არგუმენტსაც დაეთანხმა: უსამართლო იქნებოდა, რომ იმ პირს, რომელიც დაუსწრებლად გაასამართლეს, ჰქონოდა ახალი სასამართლოს წინაშე მისი საქმის გადასინჯვის უფლება, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ძალზე მძიმე ტვირთად დაანებებოდა სხვა სასამართლოებს, რომ ხელახლა განეხილათ მსგავსი საქმეები.<sup>313</sup>

<sup>309</sup> ამ საკითხს უკავშირდებოდა საქმე *მულდერსი (Mulders)* ნიდერლანდების წინააღმდეგ (განაცხადი 23231/94), სადაც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი კომისიის მიერ. იხ. აგრეთვე *კალენსი (Callens)* ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 1314/87.

<sup>310</sup> *სანქტ-მარე (Sainte-Marie)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §32; იხ. აგრეთვე *როსი (Rossi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 11879/75.

<sup>311</sup> *დიენე (Diennet)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §38.

<sup>312</sup> *თომანი (Thomann)* შვეიცარიის წინააღმდეგ, §35.

<sup>313</sup> *Ibid.*, §36.



სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა საქმეში *დე ჰანი (De Haan)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, სადაც მოსამართლე, რომელმაც გამოსცა „დასჯის ბრძანება“<sup>314</sup> ბრალდებულის წინააღმდეგ, თავადვე თავმჯდომარეობდა ამ ბრძანების შესახებ საჩივრის განხილვას. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს საქმე უფრო ახლოს იდგა *ობერშლიკთან (Oberschlick)* ვიდრე *თომანის (Thomann)* საქმესთან. *ობერშლიკი (Oberschlick)* პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მოსამართლეს, რომელიც თავმჯდომარეობდა პროცესს ვენის სააპელაციო სასამართლოში, წარსულში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული პირველი ინსტანციით იმავე საქმის განხილვაში.<sup>315</sup> სხვა ორი მოსამართლეც იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა და სამივე მათგანს ეკრძალებოდა ხელმეორედ საქმის განხილვაში მონაწილეობა ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით.<sup>316</sup> აღნიშნული სამი საქმის ერთმანეთისგან განსხვავება არ არის გამართლებული და სამართლიანად გახდა კრიტიკის საგანი.<sup>317</sup> საოცარია, რომ *თომანის (Thomann)* საქმეში სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გასაჩივრების საფუძველზე შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას,<sup>318</sup> რადგან ეს არგუმენტი მკაფიოდ და მართებულად იქნა უარყოფილი *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში.<sup>319</sup>

*დე ჰანის (De Haan)*, ისევე როგორც *თომანის (Thomann)*, საქმეში მოსამართლეს, როგორც ჩანს, წინასწარ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია განმცხადებლის ბრალეულობასთან დაკავშირებით, რადგან იცოდა რომ შესაძლოა მომავალში მონაწილეობა მიეღო მისი საქმის განხილვაში. „დასჯის ბრძანება“ რეგულარულად გამოიყენება და მისი მიზანია სასამართლო ხელისუფლების მწირი რესურსების დაზოგვა.<sup>320</sup>

## ბ. როგორც Conseil d'Etat-ის ნეერი, რომელსაც გამოცემული აქვს მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლუქსემბურგის სახელმწიფო საბჭოსთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა „სტრუქტურული მიუკერძოებლობის“ პრობლემა. საქმეში *პროკოლა (Procola)* *ლუქსემბურგის წინააღმდეგ* მას უნდა გადაეწყვიტა ნორმის კანონიერების საკითხი.<sup>321</sup> თუმცა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც კანონმდებლობის კონსტიტუციურობაზე ზედამხედველ ორგანოს, უკვე ჰქონდა გამოცემული მოსაზრება იმავე საკითხზე. მისი ხუთი ნეერიდან ოთხს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მოსაზრების გამოცემის შესახებ

<sup>314</sup> განაჩენი, რომელიც გერმანიაში გამოაქვს ადგილობრივ სასამართლოს ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის, გამარტივებული სამართალწარმოების გზით. რედაქტორი.

<sup>315</sup> *ობერშლიკი (Oberschlick)* ავსტრიის წინააღმდეგ, §48-51.

<sup>316</sup> აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-11 ოქმის 27(3) მუხლის მიხედვით, პალატის თავმჯდომარე და მოპასუხე ქვეყნის წარმომადგენელი მოსამართლე საქმის განხილვაში შეიძლება იღებენ მონაწილეობას თუ ის გადაეცა დიდი პალატას.

<sup>317</sup> ფელდტი (1997) 131.

<sup>318</sup> გადაწყვეტილება მიუთითებს შემდეგ საქმეებზე: *ალბერი (Albert)* და *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის წინააღმდეგ, §29; *British-American Tobacco Company Ltd* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §78.

<sup>319</sup> *დე კუბერი (De Cubber)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §200-2.

<sup>320</sup> რაც სრულებით შესაბამეა კონვენციას. იხ. *დევერი (Deweert)* ბელგიის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალი მოელოდა *დე ჰანის (De Haan)* გადაწყვეტილებას და მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვეულებრივი სამართალწარმოება არ უნდა გამართულიყო იმ მოსამართლის წინაშე, რომელმაც გამოსცა „დასჯის ბრძანება.“ BGE 114 Ia 143. იხ. აგრეთვე ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 173.

<sup>321</sup> *პროკოლა (Procola)* *ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, §44.

გადანყვეტილების მიღებაში. ცხადია, სასამართლოს ამ წევრებთან მიმართებაში არსებობდა იმის ვარაუდის საფუძვლიანი მიზეზები, რომ მათ ჰქონდათ წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება განსახილველ საკითხზე.

მსგავსი საკითხი წამოიჭრა ნიდერლანდებში სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის პალატასთან დაკავშირებით. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველი საკითხი ვერ ჩაითვლებოდა როგორც „იგივე საქმე“ ან „იგივე გადანყვეტილება“. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის დარღვევას.<sup>322</sup>

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე *მაკგონელის (McGonnel)* საქმე, რომელიც უკავშირდებოდა გაერთიანებულ სამეფოში შემავალი წმინდა მარტინის კარიბის კუნძულის სასამართლო აღმასრულებლის ფუნქციას. მის მიერ განხილული იქნა დავა მშენებლობის დაგეგმარებასთან დაკავშირებით. თუმცა ვინაიდან თავად იყო დაკავშირებული მშენებლობის გეგმის მიღებასთან, ვერ ჩაითვლებოდა მიუკერძოებლად.<sup>323</sup>

*თ. როგორც შეთავსებით სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებელი*

საქმეში *პადოვანი (Padovani)* იტალიის წინააღმდეგ დავის საგანი იყო სამართალწარმოების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა პროცესის დაჩქარებას. განმცხადებლის მფლობელობაში აღმოაჩინეს მოპარული საგნები, რის გამოც ის დააკავა პოლიციამ. განმცხადებელი წარედგინა მაგისტრატს, რომელმაც თავდაპირველად განახორციელა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია. კერძოდ, დაკავებულის მოსმენის შემდეგ, დაადასტურა მისი დაკავების კანონიერება. მანვე, როგორც გამომძიებელმა მოსამართლემ, დაკითხა ორი მოწმე. ამის შემდეგ დანიშნა საქმის არსებითი განხილვა საკუთარი თავის წინაშე და შესაბამისად, განახორციელა საბრალდებო ორგანოს უფლებამოსილება. განხილვის შემდეგ, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროკურატურის წარმომადგენელმა, მან დამნაშავედ ცნო განმცხადებელი და მიუსაჯა ერთი წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა.<sup>324</sup>

კომისიამ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა 16 ხმით ორის წინააღმდეგ, ხოლო სასამართლომ ერთხმად მიიღო საპირისპირო გადაწყვეტილება. სასამართლოს განცხადებით, არ არსებობდა მოსამართლის „სუბიექტური მიკერძოების“ მტკიცებულება. რაც შეეხება მიუკერძოებლობის ობიექტურ მხარეს, სასამართლომ აღიარა, რომ „საქმის არსებითად განხილვამდე [მოსამართლის მიერ] განმცხადებლის დაკითხვას, მისი თავისუფლების შეზღუდვასა და საკუთარი თავის წინაშე დაბარებას ... შესაძლოა გამოეწვიო განმცხადებელში უნდობლობის განცდა“. თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი განცდა არ იყო საფუძვლიანი. მომრიგებელი მოსამართლის მიერ ჩატარებული გამოძიება შედეგობდა მხოლოდ სამი ექვმიტანილის დაკითხვისგან, თუმცა შეეძლო სხვა მოქმედებების განხორციელებაც. დაკავების ბრძანება გაიცა *inter alia* განმცხადებლის განცხადებებზე დაყრდნობით. მოსამართლემ „*giudizio direttissimo*“ სამართალწარმოებას მიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ექვმიტანილთა დაჩქარებული წესით გასამართლებას, რომლებიც დანაშაულის ფაქტზე დააკავეს.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე მისი არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი. სავსებით გასაგებია, რომ სასამართლო პატივისცემით მოეპყრო

<sup>322</sup> *კლეინი (Kleyn)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §200-2.

<sup>323</sup> *მაკგონელი (McGonnel)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52-57.

<sup>324</sup> *პადოვანი (Padovani)* იტალიის წინააღმდეგ, § 18, 28.

იტალიელი კანონმდებლების მცდელობას, დაეჭარებინათ სამართალწარმოება. თუმცა ასევე აშკარაა წინააღმდეგობა პრედეცენტულ სამართალთან, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებასთან *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში. სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ეყრდნობა ვარაუდს, რომ ნებისმიერი სასამართლო ცნობდა განმცხადებელს დამნაშავედ, რადგან მან ვერ შეძლო იმ ზიანის ჩვენება, რომელიც მიადგა მოსამართლის მიერ ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის შესრულების შედეგად. თუმცა სასამართლო აგრეთვე ვალდებული იყო მხედველობაში მიეღო *არტიკოს (Artico)* საქმეში სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი პრინციპი.<sup>325</sup> ამ საქმეში სახელმწიფოს მტკიცების პასუხად, რომ არ არსებობდა დაცვის მხარის ადვოკატის არყოფნით გამოწვეული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლომ განაცხადა: უფლების მსგავსი ინტერპრეტაცია მისთვის „ძირითადი შინაარსის გამოცლის ტოლფასი იქნებოდა“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამართალწარმოების აღნიშნული სისტემა.

### ი. დასკვნა

სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპზე მოსამართლეთა მონაწილეობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა კითხვები ჩნდება სასამართლოს არგუმენტაციასთან დაკავშირებით. არსებობს ზოგადი ტენდენცია, რომლის მიხედვით სასამართლო ცდილობს, შეინაწკილოს თითოეული საქმის სპეციფიკური დეტალები სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის ნაცვლად. ეს კი ართულებს ყოველ მომდევნო საქმეში შესაძლო გადაწყვეტილების პროგნოზირებას. სასურველია, რომ სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინოს ყველა იმ საქმეში, სადაც მოსამართლე თანმიმდევრობით ახორციელებს რამდენიმე ფუნქციას, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე განსხვავებულ ორგანოებს მიეკუთვნება.

ამავე დროს, კონვენციის ინტერპრეტირება შეუძლებელია მთლიანად შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას დაეყრდნოს. ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონმდებლობა მოსამართლის უფლებამოსილებას მიაკუთვნებს სხვადასხვა ფუნქციებს სრულებით არ გამორიცხავს, რომ ეს წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონვენციასთან. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შეიძლება ნებას რთავდეს ერთ პირს, შეასრულოს კუმულატიური ფუნქციები, რომლებიც გამიჯნულია სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში. ასეთ დროს სასამართლო თავიდან ვერ აიცილებს ამ განსხვავებული ფუნქციების დეტალურ განხილვას. თუმცა, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მტკიცე და მკაფიო პრინციპების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივ სიცხადეს და უფრო პროგნოზირებადს გახდის პრეცედენტული სამართლის განვითარებას.

### 2. მიუკერძოებლობის არარსებობა ერთ-ერთ

#### მხარესთან სიახლოვის გამო

სასამართლოს მიუკერძოებლობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს თუ მისი შემადგენლობა ვერ ჩაითვლება ნეიტრალურად ერთ-ერთი მხარის თვალში. საქმეში *ლენგბორგერი (Langborger)* შევდეთის წინააღმდეგ განმცხადებელი

<sup>325</sup> *არტიკო (Artico)* იტალიის წინააღმდეგ, §35. იხ. აგრეთვე კომისიის პასუხი მთავრობის განცხადებაზე საქმეში *ჯონ კრისტინსონი (John Kristinsson)* ისლანდიის წინააღმდეგ, განაცხადი 12170/86, §33-9.

მეზღუდული იყო მის ქირავნობის ხელშეკრულებაში არსებული მოლაპარაკების პუნქტით. ის უარს აცხადებდა ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც შეთანხმებული იყო გამქირავეებელთა და დამქირავეებელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მიერ. სასამართლო ორგანო, რომელსაც განმცხადებლის სარჩელი უნდა განეხილა, შედგებოდა *inter alia* ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლებოდა მიუკერძოებლად, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ ამ ორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთობლივად შეენიხაღმდეგებოდნენ განმცხადებლის მოთხოვნებს.<sup>328</sup>

საქმეში *ჰოლმი (Holm) შეედეთის წინააღმდეგ* განმცხადებელი იყო კონსერვატიული პოლიტიკური ორიენტაციის პირი,<sup>327</sup> რომლის შესახებაც განაცხადეს, რომ ახლო კავშირი ჰქონდა ნაციისტურ წრეებთან. განმცხადებელმა ცილისწამების ნიადაგზე მიმართა სასამართლოს, რომელიც ძირითადად შედგებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი არაიურისტი მოსამართლეებისგან. ასეთ ვითარებაში საფუძვლიანი იყო განმცხადებლის მიერ სასამართლოს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანა.<sup>328</sup>

საქმე *პულარი (Pullar) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* აღნიშნული პრინციპის გამოყენების მაგალითია სისხლის სამართლის პროცესში.<sup>329</sup> განმცხადებელს, რომელიც რეგიონული საბჭოს წევრი იყო, ბრალად ედებოდა ქრთამის სანაცვლოდ ინჟინერისთვის მისი ინტერესების მხარდაჭერის შეთავაზება, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. დაიწყო გამოძიება, სადაც ინჟინერი მთავარ მოწმეს წარმოადგენდა. სასამართლოში გაირკვა, რომ ინჟინერი ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის დამქირაველი იყო. განმცხადებელი შიშობდა, რომ ეს ნაფიცი მსაჯული თავიდანვე მიდრეკილი იქნებოდა, ერწმუნა თავისი დამქირაველის განცხადებების. კომისიის მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევას, თუმცა ევროპული სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა. სასამართლოს არგუმენტაცია საკმაოდ მოულოდნელია, ვინაიდან მითითება კეთდება იმაზე, რომ აღნიშნული ნაფიცი მსაჯული იყო მხოლოდ ერთი ნაფიც მსაჯულთა ყიურის თხუთმეტი წევრიდან. როდესაც ბრალდებული წარდგება კოლექტიური სასამართლოს წინაშე, მიუკერძოებლობის პრინციპი დაცული უნდა იყოს სასამართლოს ყველა წევრთან მიმართებაში. სტრასბურგის სასამართლოს არც ერთი მოსამართლე არ მიიღებს მონაწილეობას იმ საქმეში, სადაც ის შეიძლება მიკერძოებული იყოს და შემდეგ არ განაცხადებს, რომ მხოლოდ ერთ-ერთი იყო შეიდი თუ ცხრამეტი მოსამართლიდან.

შვეიცარიის პატარა ზომა, სადაც სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კანტონებზე და არა კონფედერაციაზე, ნიშნავს, რომ იურისტებს ხშირად ერთდროულად რამდენიმე თანამდებობა უკავიათ. მაგალითად, პრაქტიკოსი ადვოკატი შეიძლება აგრეთვე ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლედ იყოს. საქმეში *ვეტშტაინი (Weltstein) შვეიცარიის წინააღმდეგ* განმცხადებელი აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ მოსამართლე, რომელმაც მისი საქმე განიხილა, სხვა საქმეში მონაწილეობდა მხარეს წარმოადგენდა. სასამართლომ განაცხადა, რომ ეს შეიძლებოდა ობიექტურად გამხდარიყო მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი განმცხადებლის უნდობლობის საფუძველი.<sup>330</sup>

<sup>328</sup> *ლანგბორგერი (Langborger) შეედეთის წინააღმდეგ*, § 35.

<sup>327</sup> იხ. აგრეთვე *გოტრინი (Gautrin)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>328</sup> *ჰოლმი (Holm) შეედეთის წინააღმდეგ*, § 31, 33.

<sup>329</sup> *პულარი (Pullar) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 34.

<sup>330</sup> *ვეტშტაინი (Weltstein) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 45-49.

### 3. საპროცესო საკითხები

საკმაოდ საინტერესო საკითხი იქნა განხილული საქმეში *თორგირსონი (Thorgeirson) ისლანდიის წინააღმდეგ*.<sup>331</sup> განმცხადებელი იყო ჟურნალისტი, რომელმაც სერიოზული ბრალდებები გამოთქვა პოლიციის მისამართით. ის ამტკიცებდა, მისი საქმის განხილვისას პროკურორი რამდენჯერმე არ დაესწრო სასამართლო სხდომას. ამის გამო, მოსამართლეს თავად მოუწია ბრალდების არგუმენტების ფორმულირება. სასამართლომ, ისევე როგორც კომისიამ, ვერ აღმოაჩინა მე-ნ მუხლის დარღვევა, თუმცა მკაფიოდ განაცხადა, რომ ეთანხმებოდა განმცხადებლის მსჯელობის არსს. ეს არის დასკვნა, რომელიც განპირობებულია სასამართლოს მიერ არჩეული მიდგომით. სასამართლომ დეტალურად შეისწავლა ის თუ რა ხდებოდა სხდომებზე, სადაც პროკურორი არ იყო წარმოდგენილი. დაადგინა, რომ ეს სხდომები არ იყო მნიშვნელოვანი ხასიათის და სასამართლოს არ შეიძლებოდა ისეთი ქმედების განხორციელება დაკისრებოდა, რაც სხვა შემთხვევაში პროკურორის ფუნქცია იყო. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების უზრუნველსაყოფად, სასამართლომ ორივე მხარეს უნდა მოუსმინოს, ხოლო პროკურორმა უნდა წარმოადგინოს ბრალდების პოზიცია საქმის არსებითად განხილვისას, რათა სამართალწარმოება შეჯიბრებითი ხასიათის იყოს.

### V. დასკვნა

შეიძლება ვინმეს მიაჩნდეს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემოწმება საკმაოდ იოლია და არ უკავშირდება მნიშვნელოვან სირთულეებს. ამ თავში განხილული საქმეები ადასტურებს, რომ ეს მოსაზრება მცდარია. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ძირითადი პრინციპები საყოველთაოდ არის აღიარებული. თუმცა სირთულეები წარმოიქმნება, როდესაც ერთსა და იმავე პირს უხდება განსხვავებული ფუნქციების შესრულება<sup>332</sup> ან სამართალწარმოების დაჩქარების მცდელობას აქვს ადგილი.<sup>333</sup> აღნიშნული სირთულეების უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად გადაიჭრა სასამართლოს მიერ, თუმცა მისი რამდენიმე გადაწყვეტილება კრიტიკას იმსახურებს. კერძოდ, დასაწინაა, რომ სასამართლო უარს ამბობს მკაფიო და იმპერატიული წესების განსაზღვრაზე.<sup>334</sup>

<sup>331</sup> *თორგირ თორგირსონი (Thorgeir Thorgeirson) ისლანდიის წინააღმდეგ*, §52.

<sup>332</sup> *კრისტინსონი (Kristinsson) ისლანდიის წინააღმდეგ*.

<sup>333</sup> *პადოვანი (Padovani) იტალიის წინააღმდეგ*.

<sup>334</sup> ამ თემაზე უფრო დანერვილებითი დისკუსიისთვის იხ. *inter alia* დურნო-ოზეტი (2003); გონსალესი (2004); კოსტა (2002); ფან დაიკი (2000); კოსტა (2001); პაპიერი (2001) პამი (2001); სენდლერი (2001); დიუმო (2000); პონსე (2000); ვან კომპერლონი (2000a); ვან კომპერლონი (2000b); კორინ ჟულანი (1998); ადო (1998); ბონიმო (1998); მარტენსი (1996); შპილმანი (1996); დანელიუსი (1992); სენესი (1992).

# თავი 4

## სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

... ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ...

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(1) მუხლი.*

... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ...

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი.*

ყველა პირს აქვს მისი საქმის განხილვის უფლება ჯეროვანი გარანტიების  
საფუძველზე ...

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(1) მუხლი.*

პაქტისა და კონვენციის დებულებებს შორის მინიმალური განსხვავებებია და არც ერთი მათგანი არ არის მნიშვნელოვანი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონვენცია უფრო პირდაპირია – ალბათ უფრო ავტორიტეტულიც – მაგრამ სხვაობა ძირითადად სტილისტურია. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ კონვენციაში არ გვხვდება ტერმინი „სამართლიანი“. არ არის გამორიცხული, რომ ამის მიზეზი იყოს მოსაზრება საერთო სამართალთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მისი კავშირის შესახებ. თუმცა ამავდროულად, არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ ამერიკული კონვენციის ავტორებს განზრახული ჰქონდათ, აღნიშნული დებულების მნიშვნელობა არსებითად განსხვავებული ყოფილიყო ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებში მოცემული ანალოგიური ნორმებისგან.

ტერმინი „სამართლიანი“ აგრეთვე გვხვდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 67(1), სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ უნევის კონვენციის 130-ე, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე და ისლამში ადამიანის უფლებების შესახებ ქაიროს დეკლარაციის მე-19(ე) მუხლებში. ტერმინი არ ფიგურირებს ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ ქარტიაში, თუმცა აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შესახებ<sup>335</sup>.

<sup>335</sup> მაიერი, პენკოკი და ქაუდერი (2003) 75.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოცემული იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი პროექტის მე-10 მუხლში. ეს ტერმინი არ იყო გამოყენებული მე-11 მუხლში, სადაც სისხლის სამართლის პროცესში დაცვის სპეციალური გარანტიებია ჩამოყალიბებული. მისი დამატება მოხდა პანამის წარმომადგენლის ბატონი ამადოს წინადადების საფუძველზე, რომელსაც დაეთანხმა ბატონი კასინი.<sup>336</sup> თუმცა ეს დამატება გარკვეულწილად ზედმეტი იყო, რადგან მე-10 მუხლი გამოკვეთილად მიუთითებდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალწარმოებაზე.

თითქმის არ ჰქონია ადგილი დავას ტერმინის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა ეს არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს დებულებები მთლიანად ერთმნიშვნელოვანი იყო. ერთ-ერთ ეტაპზე ეგვიპტის წარმომადგენელმა ბატონმა რამადამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ტერმინი „სამართლიანი“ ასევე მოიცავდა სასამართლოს მიუკერძოებლობას.<sup>337</sup>

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ტერმინი მომდინარეობს საერთო სამართლიდან. მას არ გააჩნია ზუსტი შესატყვისი სხვა ენებში – უკეთესი ტერმინის არარსებობის გამო, ფრანგებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ სიტყვით „*équitablement*“<sup>338</sup>. გერმანულად სიტყვა „*fair*“ მარტივად იქნა გამოყენებული ევროპის საბჭოს მიერ და შეეცარული<sup>339</sup> და ავსტრიული<sup>340</sup> თარგმანებისთვის. გერმანიაში ამჯობინა „*in billiger Weise*“, თუმცა ფოგლერი აღიარებს, რომ ის არ არის ტერმინის „სამართლიანი“ ზუსტი თარგმანი.<sup>341</sup> „*Billig*“ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაზე ნიშნავს „არაძვირადღირებულს“, ხოლო როგორც იურიდიული ტერმინი ის უფრო შეესატყვისება ინგლისურ სიტყვას „*equitable*“. ეს, თავის მხრივ, გამომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „*aequitas*“, რაც ნიშნავს სამართლიანობას ინდივიდუალურ საქმეში, იმის საპირისპიროდ, რასაც სამართლიანობა გულისხმობს საიმედოობის განცდის და სამართლებრივი სიცხადის თვალსაზრისით. ნიდერლანდებში გამოიყენება „*eerlijk*“, რაც უკავშირდება „პატიოსანს“, ხოლო იტალიაში „*equamente*“, რაც შეესაბამება ფრანგულ ვერსიას.

„სამართლიანობა“ ხშირად ასოცირებულია სპორტულ შეჯიბრებებთან და ემყარება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა მონიწილადეგისა და თამაშის წესების პატივისცემა, პატიოსნება, თავშეკავება, გამარჯვებისთვის, ბრძოლისთვის მზადყოფნა, თუმცა არა ყველაფრის ფასად.

როგორც ჯეროვანი სამართალწარმოების იდეა, ისე თავად სიტყვები მომდინარეობს ანგლო-საქსური ტრადიციიდან და დასაბამს იღებს 1215 წლის „მაგნა კარტიდან“<sup>342</sup>. ეს განსაკუთრებით ცხადია „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ კონტექსტში, რომელიც ასახულია საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(ე) პუნქტსა და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტში – თუმცა არა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-3(ვ) პუნქტში – და განვითარებულია

<sup>336</sup> ვაისბროდტი (2001) 18.

<sup>337</sup> *Ibid.*, 55.

<sup>338</sup> ბატონმა ორდონეუმ აღიარა თარგმანთან დაკავშირებული სირთულეები. *Ibid.*, 55.

<sup>339</sup> SR 0.101

<sup>340</sup> BGBl. Nr. 210/1958.

<sup>341</sup> ფოგლერი (1986) მე-6 მუხლი N 341.

<sup>342</sup> ნოვაკი (1993) მუხლი 14 N 1.

პრეცედენტულ სამართალში. ეს გარემოება ზოგჯერ კრიტიკულად აღიქმება როგორც უცხო ზეგავლენა ევროპის კონტინენტზე.<sup>343</sup>

### გ. უფლების მნიშვნელობა და დანიშნულება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად იყენებს სტანდარტულ ფრაზას სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მნიშვნელობის ხაზგასასმელად: „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას იმდენად წამყვანი ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ გაუმართლებელია კონვენციის მე-6(1) მუხლის გარანტიების შეზღუდული ინტერპრეტირება“<sup>344</sup>. ეს ფრაზა გამოიყენება ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის<sup>345</sup>, იმ საქმეებში, რომლებშიც სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა<sup>346</sup>. თუმცა საკამათოა, რამდენად ცდება აღნიშნული ფრაზა უბრალო რიტორიკის ფარგლებს. *ზუტერის (Sutter)* საქმეში გამოთქმულ განსხვავებულ აზრში მოსამართლე განმოფ ვან დერ მერში აცხადებდა, რომ ზოგადად დაუშვებელია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ვინრო ინტერპრეტირება, ხოლო მოსამართლე ბერნარდმა, რომლის აზრსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ბინსედლერ-რობერტსი და მატშერი, განაცხადა, რომ „მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიძლება და უნდა იყოს შეზღუდულად განმარტებული“<sup>347</sup>.

არც ერთი ზემოთ ხსენებული პოზიცია არ მიმაჩნია განსაკუთრებულად დამაჯერებლად და ვერ ვიტყვი, რომ ხელს უწყობს კონვენციის ინტერპრეტირებას. თითოეული აღნიშნული პოზიციის გაზიარება შეუძლებელი იქნება გარკვეული დათქმის გარეშე<sup>348</sup>. საქმეში *ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ* სასამართლომ უარყო სახელმწიფოს სასარგებლოდ პრეზუმფციის არსებობა: „მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი ინტერპრეტაციის მოძებნა, რომელიც ყველაზე შესაფერისია კონვენციის დანიშნულების განხორციელებისა და მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, არა ისეთის, რომელიც უკიდურესად შეზღუდავს [ხელშემკერელ] მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს“<sup>349</sup>. სასამართლოს ეს განცხადებაც კარგად შეეფერება იმ საქმეებს, რომლებშიც კონვენციის ფართო ინტერპრეტირებას მიენიჭა უპირატესობა და იგივე კრიტიკას იმსახურებს. ვითარება გაცილებით

<sup>343</sup> მაგ: ლევი (1989) 228. მხარეთა თანასწორუფლებიანობის შედარებითი კვლევისთვის ინგლისის, გერმანიისა და პოლონეთის სისხლის საპროცესო სამართალში იხ. მალგორცატა ვასეკე-ვიადერეკი (2000) 43.

<sup>344</sup> *AB სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §54; იხ. აგრეთვე *მორეირა დე აზევედო (Moreira de Azevedo) პორტუგალიის წინააღმდეგ*, §66; *ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §37; *პერეზი (Perez) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §64; *ადოლფი (Adolf) ავსტრიის წინააღმდეგ*, §30; *არიცო იტალიის წინააღმდეგ*, §33; *დე კუბერი (De Cubber) ბელგიის წინააღმდეგ*, §30. *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*, §25. როდესაც სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა საქმეში ვერ აღმოაჩენს კონვენციის დარღვევას, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებს უყვართ ამ გამონათქვამის ციტირება. იხ. მაგ: *დე მეიერი საქმეში კრასკა (Kraska) შვეიცარიის წინააღმდეგ* ან ლუკაიდესი საქმეში *CG გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. იგივე ფორმულირება ასევე გამოიყენება სხვა უფლებებთან, მაგალითად, გაერთიანების თავისუფლებასთან, კავშირში. იხ. *Djavis An თურქეთის წინააღმდეგ*, §56.

<sup>345</sup> მაგ: *ადოლფი (Adolf) ავსტრიის წინააღმდეგ*.

<sup>346</sup> იხ. ოლივე და შუტერი (1992).

<sup>347</sup> *ზუტერი (Sutter) შვეიცარიის წინააღმდეგ*.

<sup>348</sup> ტრექსელი (1974) 143.

<sup>349</sup> *ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, §8. იხ. აგრეთვე *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*, §25.



უფრო რთულია, ვინაიდან ფუნდამენტური უფლებები შეიძლება ზოგჯერ კონფლიქტში მოვიდეს ერთმანეთთან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც გამოხატვის თავისუფლებაზე დაყრდნობით ხდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვის გამართლება<sup>350</sup>. თუმცა მსგავს კონფლიქტს ადგილი აქვს აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში, რომელიც შეიძლება მსხვერპლის უფლებების დაცვის ამოცანასაც ემსახურებოდეს<sup>351</sup>.

სასამართლო მართებულად უსვამს ხაზს ამ პრინციპის მნიშვნელობას. თუმცა, ჩემი აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა მისი დაკავშირება კანონის უზენაესობასთან, ვიდრე დემოკრატიის განყენებულ ცნებასთან.

სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტია „მხოლოდ“ საპროცესო ხასიათისაა. ის მიზნად ისახავს „საპროცესო მართლმსაჯულების“ და არა „შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულების“, ანუ ისეთი გადაწყვეტილების თუ განაჩენის დადგომის უზრუნველყოფას, რომელიც უტყუარ ფაქტებსა და კანონის სწორ გამოყენებას ეფუძნება<sup>352</sup>. თვით სტრასბურგის ორგანოებმა ასობით, თუ არა ათასობით გადაწყვეტილებაში აღნიშნეს, რომ მათ არ გააჩნიათ მეოთხე ინსტანციის სასამართლოს მსგავსად მოქმედების მანდატი; მათი ამოცანა არ არის იმის განსაზღვრა, რამდენად მართებულად იქნა გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივი მატერიალური ან თუნდაც საპროცესო კანონმდებლობა, ან რამდენად სწორად მოხდა ფაქტების დადგენა<sup>353</sup>. ასეთი მიდგომის მხარდამჭერი მრავალი არგუმენტი არსებობს. მათგან ორი განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს. პირველი, იმის მიუხედავად, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, *inter alia*, სისხლის საპროცესო სამართლის განვითარებაზე, მისი როლი „სუბსიდიარული“ ფუნქციის შესრულებით შემოიფარგლება. კონვენციის იმპლემენტაციის ვალდებულება, პირველ რიგში, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება<sup>354</sup>. მეორე, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელია, რომ სასამართლომ მსგავსი ფუნქციის შესრულება შეძლოს. სასამართლო არ არის მზად მასზე დაკისრებული ამოცანების გადასაჭრელადაც კი. ის კრიზისში იმყოფება და არსებული ფუნქციების სერიოზული შეკვეცის საფრთხის წინაშე დგას. სრულიად წარმოუდგენელია, რომ სასამართლომ იტვირთოს „ევროპის სუპერსააპელაციო სასამართლოს“ ფუნქცია.

ასეთი შეზღუდვების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება როგორც დაცვის უფლებათა, ისე კანონის უზენაესობის გარანტიის ცენტრში იმყოფება<sup>355</sup>. ესერი<sup>356</sup> სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს უფლება შეჭრილია პირადი თავისუფლების გარანტიაში, განსაკუთრებით, *habeas corpus* პროცედურის კონტექსტში და თვით ისეთ ფუნდამენტურ თავისუფლებებში, როგორცაა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება<sup>357</sup>

<sup>350</sup> ფონ ჰანოვერი (Von Hannover) გერმანიის წინააღმდეგ, § 56.

<sup>351</sup> იხ. მაგ: X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ.

<sup>352</sup> ტრეუსელი (1997) 94; ტრეუსელი (2000); საპირისპირო მოსაზრებისთვის იხ. ლუკაიდესი (2003) 27, 30.

<sup>353</sup> იხ. მაგ: ანდერსონი (Anderson) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 44958/98; ჯონსონი (Johnson) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 42246/98. იგივე მიდგომას ირჩევს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. იხ. მაკგოლდრიქი (1994/2001) 417.

<sup>354</sup> იხ. მაგ: რიდი და მერდოკი (2001) N 3.80.

<sup>355</sup> გოლდერი (Golder) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 34; სუდრი (2003) 299.

<sup>356</sup> ესერი (2002) 401.

<sup>357</sup> მაილე (Mialhe) საფრანგეთის წინააღმდეგ.

და სიცოხლის უფლება, რომელიც მოიცავს საეჭვო გარემოებებში უეცარი გარდაცვალების ფაქტის ქმედითი გამოძიების უფლებას<sup>359</sup>.

აღნიშნულ საკითხზე არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და ნაშრომები ნიგნის ფარგლებში შეუძლებელი იქნება იმ ავტორთა უმრავლესობის ჯეროვანი წარმოჩენა, რომლებმაც საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ცნებასა და მნიშვნელობაზე. აღნიშნას იმსახურებს, სულ მცირე, პაკერის თეორია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორი ძირითადი მოდელის, დანაშაულის კონტროლისა და ჯეროვანი სამართალწარმოების შესახებ. ეს თეორია ჯერ კიდევ 1968 წელს იქნა ჩამოყალიბებული, თუმცა დღესაც აქტუალურია<sup>359</sup>. დანაშაულის კონტროლი ძირითად აქცენტს აკეთებს მართლმსაჯულების შედეგზე, ეფექტიანობასა და სისწრაფეზე. ჯეროვანი სამართალწარმოება კი ყურადღებას ამახვილებს ინდივიდისა და დაცვის უფლებებზე, სხვა სიტყვებით, საპროცესო მართლმსაჯულების კონცეფციაზე. სისხლის საპროცესო სამართლის კანონთა უმრავლესობა, რეალურად, ცდილობს ამ ორ მოდელს შორის ნონანსორობის დაცვას. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო ახლოს დგას ჯეროვანი სამართალწარმოების მოდელთან. მიუხედავად ამისა, ის შეეცდება თავიდან აიცილოს, ერთი მხრივ, ზედმეტი ჩარევა შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და პრაქტიკაში ("სუბსიდიარობის" პრინციპი) და მეორე მხრივ, გამოძიების ეფექტიანობისთვის ხელის შეშლა, რაც ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების კონტექსტში, განსაკუთრებით მსხვერპლის უფლებებთან კავშირში.

#### დ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოქმედების სფერო

„სამართლიანი სასამართლო განხილვისა“ და „სამართლიანი სასამართლო მოსმენის“ ცნებები ძალზე ბუნდოვანი ხასიათით გამოირჩევა<sup>360</sup>. ჰარისი, ოზოილი და უორბრიჯი აღნიშნავენ, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვა“ „დაუსრულებელი, წარჩენი ხასიათის მქონეა“<sup>361</sup>. კონვენციის ძალაში შესვლის დროს აღნიშნული ცნებები იმდენად დაუზუსტებელი იყო, რომ ეროვნული სასამართლოები ფაქტობრივად ვერ იყენებდნენ<sup>362</sup>. თუმცა მსგავსი ბუნდოვანებით ასევე ხასიათდება სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ცნებები, როგორცაა „ჯეროვანი სამართალწარმოება“ ან თუნდაც პროპორციულობის პრინციპი. თვალსაჩინო მახასიათებლებით მათთვის ჯეროვანი ფორმის მიცემის მოვალეობა ეკისრება სასამართლოს, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით.

სამუშაოს ნაწილი, გარკვეულწილად, უკვე შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავების პროცესში. ადამიანის უფლებათა სამივე ინსტრუმენტში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ორი ნაწილისგან

<sup>359</sup> შედარებით ახალი მაგალითისთვის იხ. ტაჰსინი (*Tahsin*) *თურქეთის წინააღმდეგ*, §220.

<sup>359</sup> პაკერი (1968).

<sup>360</sup> გომინი, ჰარისი და ზეაიკი (1997) გვ. 187. ეს ავტორები სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას „გაურკვეველს“ უწოდებენ. პეტერსი (2003) 127. ამ ავტორს მიაჩნია, რომ შედეგად ვიღებთ ფართო დისკრეციას, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება სიმართლეს. სამწუხაროდ, პრეცედენტული სამართალიც ასევე ხასიათდება „სიცხადის ნაკლებობით“. იხ. რიდი და მერდოკი (2001) N 5,54.

<sup>361</sup> ჰარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 202.

<sup>362</sup> ტრექსელი (1974) გვ. 151.

შედგება: ზოგადი, რომელიც გამოიყენება ყველა შესაბამის (სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ) სამართალწარმოებაში და სპეციალური, რომელიც მოიცავს დაცვის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში. სხვა სიტყვებით, შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ფართო და ვიწრო გაგებით. წინამდებარე თავი ყურადღებას ამახვილებს ვიწრო გაგებით სამართლიან სასამართლო განხილვაზე. ფაქტობრივად, შეგვიძლია ადვილად გამოვყოთ სამი კატეგორია, რომელსაც ეს ტერმინი მოიცავს. ეს თავი შემოიფარგლება პირველ პუნქტში მოცემული ზოგადი გარანტიებით. „შუალედური ზონა“ მოიცავს იმავე მუხლით განსაზღვრულ დაცვის უფლებებს<sup>363</sup>. დაბოლოს, შეიძლება გამოიყოს საპროცესო, მათ შორის, დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებული გარანტიების მთელი სპექტრი<sup>364</sup>.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სტანდარტულ განსაზღვრებაში სასამართლო ორ ძირითად ელემენტს გამოყოფს: მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და შეჯიბრებითი პროცესის უფლებას<sup>365</sup>. ეს ორი პრინციპი თანაბრად ვრცელდება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო პროცესზე. თუმცა *დომბო ბერის (Dombo Beheer)* საქმეში სასამართლომ მიუთითა ერთ მცირეოდენ განსხვავებაზე, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ არსებობს დაცვის სპეციალური უფლებები, რომლებსაც გააჩნიათ „გარკვეული რელევანტურობა სისხლის სამართლის მკაცრად დადგენილი საზღვრების მიღმა“. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „ხელშემკერდ სახელმწიფოებს აქვთ უფრო ფართო დისკრეტია სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში“<sup>366</sup>.

ზემოთ ხსენებული ორი პრინციპი ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისგან. კერძოდ, სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება მხარეთა თანასწორუფლებიანობას ემყარება, თუმცა სინამდვილეში სწორედ პროცესის შეჯიბრებითობა არის მთავარი განსახილველი საკითხი. როგორც ტერმინი „მხარეთა თანასწორუფლებიანობა“ მიუთითებს, ეს კრიტერიუმი შედარებითი ხასიათისაა. მონიშნავს მხარეების მიმართ მოპყრობის შედარება მიზნად ისახავს იმის გარკვევას, იყო თუ არა განმცხადებელი არახელსაყრელ მდგომარეობაში. „შეჯიბრებითი პროცესის“ ცნება უფრო კონკრეტულია. ის მოითხოვს, რომ ბრალდებულს ეცნობოს ნაყენებული ბრალდების შესახებ ისე, რომ მისთვის ცნობილი გახდეს ყველა ის მტკიცებულება თუ არგუმენტი, რომელიც შეიძლება სასამართლომ გაითვალისწინოს მისი ბრალეულობის განსაზღვრისას და მას უნდა ჰქონდეს აღნიშნული მტკიცებულებების გასაჩივრებისა და არგუმენტების გაბათილების შესაძლებლობა.

პრეცედენტული სამართლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნება სხვა ელემენტებსაც მოიცავს, როგორცაა სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება. ადამიანის უფლებათა კომიტეტს შედარებით უფრო ფართო წარმოდგენა აქვს სამართლიანი სასამართლო

<sup>363</sup> პრადელი (2002) N 338. ავტორი ერთმანეთისგან განასხვავებს ამ ორ ასპექტს.

<sup>364</sup> პოლონელი ავტორების მიერ გამოყენებული მიდგომებისთვის იხ. აგრეთვე ვასეკ-ვაიდერეიკი (2000) 16.

<sup>365</sup> იხ. მაგ: ბელზიუკი (*Belziuk*) პოლონეთის წინააღმდეგ, §37; ბრანდშტეტერი (*Brandstetter*) ავსტრიის წინააღმდეგ, §66; ჯასპერი (*Jasper*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §51; როუი (*Rowe*) და დევისი (*Davis*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §60; *IJL*, *GMR* და *AKP* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §112; *PG* და *JH* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §59; *GB* საფრანგეთის წინააღმდეგ, §56.

<sup>366</sup> *დომბო ბერი (Dombo Beheer)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §32.

განხილვის უფლებაზე, ვიდრე სტრასბურგის ორგანოებს. საქმეში *მორელი (Morael)* საფრანგეთის წინააღმდეგ მან განაცხადა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს „მხარეთა თანასწორუფლებიანობას, შეჯიბრებითი პროცესის პრინციპის პატივისცემას, *ex officio reformatio in pejus*-ის აკრძალვასა და სწრაფ სამართალწარმოებას“<sup>367</sup>.

სანამ აღნიშნულ საკითხებს უფრო დეტალურად შევეხებით, აუცილებელია სამართლიანობის ზოგად მოთხოვნასა და დაცვის სპეციალურ უფლებებს შორის ურთიერთკავშირის განხილვა.

## ე. ურთიერთკავშირი ზოგად ნებსა და სპეციალურ უფლებებს შორის: სამართალწარმოების „მთლიანობაში“ შეფასება

შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების ცნებები საკმაოდ ნათელია. პირველ რიგში, ზოგადი ნესი ჩამოყალიბებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლების პირველ პუნქტებში. შემდეგ მოცემულია დაცვის სპეციალური უფლებები როგორც „მინიმალური გარანტიები“ (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(3) მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8(2) მუხლი) ან „მინიმალური უფლებები“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(3) მუხლი)<sup>368</sup>. ეს ნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების საკმაოდ ამორფული დებულების ფარგლებში არსებობს რამდენიმე კონკრეტული, მკაფიო გარანტია<sup>369</sup>. თუ რომელიმე გარანტია არ არის დაცული, სასამართლო განხილვა ვერ ჩაითვლება სამართლიანად და ყოველგვარი შემდგომი მსჯელობა ზედმეტია. თუმცა, მეორე მხრივ, ამ უფლებების პატივისცემა, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ სასამართლო განხილვა სამართლიანი იყო. შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც განსხვავებული შედეგის დადგომას განაპირობებენ<sup>370</sup>.

მეორე მიდგომის შთაბეჭედავი და ჩემი აზრით, დამაჯერებელი მაგალითია სასამართლოს გადაწყვეტილება *ბარბერას (Barbera)* საქმეში<sup>371</sup>. სასამართლომ მხედველობაში მიიღო „განმცხადებელთა დაგვიანებული გადაყვანა ბარსელონადან მადრიდში, სასამართლოს შემადგენლობის მოულოდნელი ცვლილება უშუალოდ მოსმენის დაწყებამდე, ხანმოკლე სასამართლო განხილვა და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ არსებითი მტკიცებულებები არ იყო ჯეროვნად წარმოდგენილი და განხილული სასამართლო პროცესზე განმცხადებელთა თანდასწრებით და

<sup>367</sup> იე *მორელი (Yves Morael)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §210.

<sup>368</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ფრანგულენოვანი ტექსტების თანახმად, „*droit ... au moins aux garanties suivantes*“; თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ნახსენებია „*droit notamment à*“. მცირე განსხვავებას აქვს ადგილი: ევროპული კონვენციის ტექსტის ნაკლებად მკაცრია და შეესაბამება „*inter alia*“-ს. ექვსის არსებობისას უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

<sup>369</sup> კომისიამ ამის შესახებ უკვე განაცხადა საქმეში *ნილსენი (Nielsen)* დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 343/57. იხ. აგრეთვე ვასეკუაიდერეკი (2000) 20.

<sup>370</sup> *ნილსენი (Nielsen)* დანიის წინააღმდეგ (განაცხადი 343/57) და მოგვიანებით მიღებული სხვა მრავალი გადაწყვეტილება. იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 13(5).

<sup>371</sup> კომისიას უკვე გაზიარებული ჰქონდა ეს მიდგომა; იხ. მაგ. X *შეითარისის წინააღმდეგ*, განაცხადი 9000/80; H *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 10000/82.

საზოგადოების ფხიზელი მეთვალყურეობის ქეშ", ამიტომაც გადანყვიტა, რომ მთლიანობაში სასამართლო განხილვა არ იყო სამართლიანი<sup>372</sup>.

იმ საქმეებში, რომლებშიც მსჯავრდება ნანილობრივ<sup>373</sup> ან მთლიანად<sup>374</sup> უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს ეფუძნებოდა, საკუთარი შეზღუდული კომპეტენციისა და ზემოაღნიშნული ერთიანი მიდგომის კომბინაციის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის დარღვევას: „სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ საკუთარი მოსაზრებით ჩაანაცვლოს ეროვნული სასამართლოების მოსაზრება, რომლებიც პირველ რიგში არიან კომპეტენტურნი, განსაზღვრონ მტკიცებულებების დასაშვებობა. მიუხედავად ამისა, ის უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი, იმ შესაძლო დარღვევების მხედველობაში მიღებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოსთვის საქმის გადაცემამდე და იმის გაკონტროლებით, რომ ამ სასამართლოებს ჰქონდათ, დარღვევების არსებობის შემთხვევაში, მათი გამოსწორების შესაძლებლობა“<sup>375</sup>. რასაკვირველია, შეიძლება ამგვარი ვინაობა მიდგომის გაკრიტიკება, განსაკუთრებით, შემდეგი ლათინური პრინციპის გათვალისწინებით: „*ex iniuria ius non oritur*“ (უკანონო ქმედებიდან არ შეიძლება აღმოცენდეს უფლება)<sup>376</sup>. მეორე მხრივ, სასამართლო უდავოდ მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ გასაჩივრება უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. თუმცა, ამის აღიარებისთვის სამართალწარმოების „მთლიანობაში“ შემონმების არგუმენტის მოყვანა არც აუცილებელი და არც სარგებლის მომტანია.

სამუნებაროდ, რამდენიმე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ცალკეული მინიმალური გარანტიების დარღვევის მიუხედავად, სამართალწარმოების მთლიანობაში შემონმებამ ცხადყო, რომ სასამართლო განხილვა მთლიანობაში სამართლიანი იყო<sup>377</sup>. მაგალითად, *აშის (Asch)* საქმეში ბრალდებულს არ მიეცა მთავარი მონმის დაკითხვის შესაძლებლობა, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ მთლიანობაში სასამართლო განხილვა ვერ ჩაითვლებოდა უსამართლოდ<sup>378</sup>. ანალოგიური გადანყვიტელება იქნა მიღებული *სტენფორდის (Stanford)* საქმეში,

<sup>372</sup> *ბარბერა (Barbera)*, *მესაგე (Messague)* და *ხაბარდო (Jabardo)* ესპანეთის ნინაალმდეგ, §89; იხ. აგრეთვე *მაილე (Mialhe)* საფრანგეთის ნინაალმდეგ (No. 2), §43.

<sup>373</sup> *შენკო (Schenk)* შვეიცარიის ნინაალმდეგ; *მაილე (Mialhe)* საფრანგეთის ნინაალმდეგ.

<sup>374</sup> *ხანი (Khan)* გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ.

<sup>375</sup> *მაილე (Mialhe)* საფრანგეთის ნინაალმდეგ (No. 2), §43; იხ. აგრეთვე *შენკო (Schenk)* შვეიცარიის ნინაალმდეგ, §46; *ვან მეხელენი (van Mechelen)* ნიდერლანდების ნინაალმდეგ, §50; *დორსონი (Doorson)* ნიდერლანდების ნინაალმდეგ, §67; *ტიშურა დო კასტრო (Teixeira de Castro)* პორტუგალიის ნინაალმდეგ, §34; *ხანი (Khan)* გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §34; *ვიდალი (Vidal)* ბელგიის ნინაალმდეგ, §34; *პიზანი (Pisano)* იტალიის ნინაალმდეგ, §21; *ატიანი (Allan)* გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §39; *საფრანგეთის ნინაალმდეგ*, §61; *დელტა (Della)* საფრანგეთის ნინაალმდეგ, §35; *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის ნინაალმდეგ, §46; *APBP საფრანგეთის ნინაალმდეგ*.

<sup>376</sup> *შედრ. მოსამართლე პეტიტის, შპილმანის, დე მუიერისა და კარილოსალსელდოს განსხვავებული აზრები შენკოს (Schenk) საქმეში; ტრეკსელის და ვანდერბერგის განსხვავებული აზრები კომისიის ანგარიშში შენკოს (Schenk) საქმეში; მოსამართლე ლუკაიდისი საქმეში ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ.*

<sup>377</sup> ასეთი მიდგომა აირჩია კომისიამც. იხ. *მაგ. ჩუდარი (Choudhary)* გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, განაცხადი 12509/86.

<sup>378</sup> *აში (Asch)* ავსტრიის ნინაალმდეგ; *დორსონი (Doorson)* ნიდერლანდების ნინაალმდეგ. იხ. თავი 11.

როდესაც აქუსტიკური სირთულეების გამო განმცხადებელმა, რომელსაც სმენასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, ფაქტობრივად ვერ მოუსმინა სასამართლო პროცესს<sup>379</sup>.

აღნიშნული გადანყვებილებები ცალსახად არადაამაკმაყოფილებელია. სასამართლოს პრობლემა, ჩემი აზრით, მდგომარეობს სურვილის არქონაში, ზუსტად განსაზღვროს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული სპეციალური უფლებების მნიშვნელობა. სპეციალური გარანტიების განმარტებისა და ზუსტი განსაზღვრებების ჩამოყალიბების ნაცვლად, სასამართლო, როგორც ჩანს, ამჯობინებს მე-6 მუხლის დატოვებას გაურკვეველ მდგომარეობაში. ეს ალბათ ყველაზე შესამჩნევია სასამართლოს ტენდენციის კონტექსტში, თავი აარიდოს იმის განსაზღვრას, რამდენად დაცული იყო სპეციალური მინიმალური გარანტიები და სანაცვლოდ, დასაწყისშივე განიხილოს ისინი ერთობლიობაში სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგად უფლებასთან, ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნის გარეშე<sup>380</sup>. არსებობს ისეთი საქმეებიც, რომლებშიც სასამართლო აცხადებს, რომ განიხილავს ფაქტებს მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, თუმცა არ მიუთითებს მე-3 პუნქტის რომელ ქვეპუნქტს გულისხმობს<sup>381</sup>.

შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ სასამართლო გახდა მრავალი ავტორის კრიტიკის ობიექტი. მაგალითად, რუეკა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიდგომა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მე-6 მუხლის ტექსტს, არამედ მის არსს<sup>382</sup>. ეს მიდგომა ასევე ნიშნავს, რომ სასამართლო უგულვებელყოფს თავის ფუნქციას, მკაფიო და ნათელი გზით განავითაროს კონვენციის იურისპრუდენცია<sup>383</sup>.

აღნიშნული კრიტიკა, ძირითადად, გამართლებულია, თუმცა სასამართლოს უარი მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვაზე, როგორც უკვე ვთქვე, არ არის ბოლომდე უსაფუძვლო. ეს საკითხი არა მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე რთულია სისხლის საპროცესო სამართალში, არამედ განსხვავებულად არის მოწესრიგებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში<sup>384</sup>. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, აუცილებელია სასამართლოს მიერ მკაფიო ზღვრის გაყვლა, რომლის მიღმა მტკიცებულებების მოპოვება კონვენციის დარღვევად უნდა ჩაითვალოს<sup>385</sup>. გარდა ამისა, სრულიად გაუმართლებელია სასამართლოს პოლიტიკა, რომელიც ბუნდოვანს ხდის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3

<sup>379</sup> საქმეში *სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* განმცხადებელს არ ჰქონდა სასამართლო პროცესის მოსმენის შესაძლებლობა სმენითი პრობლემების გამო. ევროპულმა სასამართლომ თავად განმცხადებელი დაადანაშაულა, რომ ამის შესახებ არ აცნობა სასამართლოს. თუმცა გადანყვებილების მიღებისას აგრეთვე მიუთითა სასამართლო განხილვის მთლიანობაში აღქმაზე.

<sup>380</sup> გამოწვევისა და საქმეები, სადაც კონკრეტულად და ექსკლუზიურად მოხდა მინიმალური გარანტიების განხილვა. საქმეში *ლოდეკე (Luedicke), ბელკაცემი (Belkacem) და კოჩი (Koc) გერმანიის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის დარღვევა. საქმეში *კანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადი 9300/81) კომისიამ აღმოაჩინა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის დარღვევა. თუმცა საქმეში *გოდი (Goddie) იტალიის წინააღმდეგ* (§28) სასამართლომ განაცხადა, რომ „მთლიანობაში შეფასა“ საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა დამცველის დახმარების უფლების ამქარა დარღვევას.

<sup>381</sup> *ჰაჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §31.

<sup>382</sup> რუეკა (2000) გვ. 104. კრიტიკისთვის იხ. აგრეთვე ესერი (2002) 404; რიდი და მერდოკი (2001) N 5.54.

<sup>383</sup> ესერი (2002) 404; რუეკა (2000) 103; შროდერი (2003) 293, 295, 297.

<sup>384</sup> პრადელი (2002) N 342; ფორნიტო (2000); ვან დერ ვაინხაერტი (1991) II, 775..

<sup>385</sup> *ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; იხ. თავი 20.

პუნქტების მოქმედებას. წინამდებარე წიგნის მიზნებისთვის საკითხებს, რომლებსაც სასამართლო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული სპეციალური გარანტიის ქვეშ განიხილავს, შეეხებით აღნიშნულ სპეციალურ გარანტიაზე საუბრისას. მკითხველს საშუალება ეძლევა, ცალკეულ საკითხებს გაეცნოს ორივე სათაურის ქვეშ. განსაკუთრებით რთულია განსხვავება „ინფორმაციის გაცემაზე უარის გამო სამართლიანობის არარსებობასა“ და „დაცვის მოსამზადებლად საკმარისი შესაძლებლობების“ არქონას შორის.

ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული უფლებები ექსკლუზიურად დაცვას მიეკუთვნება. ეს ნიშნავს, რომ პრინციპში, ისინი არ ვრცელდება სამოქალაქო პროცესზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტებამ შესაძლებელი გახადა რამდენიმე სპეციალური უფლების გამოყენება სამოქალაქო პროცესშიც. მაგალითად, *ეარის (Airey)* საქმეში უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სასამართლომ გააერთიანა იმ სამოქალაქო საქმეებზე, რომლებშიც სასიცოცხლო ინტერესები იყო საფრთხის ქვეშ<sup>386</sup>. უფლებები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებში შეიძლება განხილული იქნეს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო საქმეებში განიხილება სახელწოდებით „ინფორმაციის გაცემის უფლება“<sup>387</sup>.

სასამართლოს ორაზროვანი მიდგომის მაგალითია შემდეგი ამონარიდი საქმიდან *ჰელე (Helle) ფინეთის წინააღმდეგ*: „სასამართლოს ამოცანაა იმის განსაზღვრა, იყო თუ არა, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, სასამართლო განხილვა მთლიანობაში სამართლიანი ყველა რელევანტური გარემოების მხედველობაში მიღებით, როგორცაა დაცვის ბუნება და სამართალწარმოების ხასიათი, მტკიცებულებების განკარგვის წესი და განმცხადებლის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებსაც ის არ ჩაუყენებია არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მონიწილებად მხარესთან შედარებით“<sup>388</sup>. აღნიშნული მიდგომა მთლიანად უგულვებელყოფს სამართლებრივ სიცხადეს თანასწორობის სასარგებლოდ. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ორი ასპექტით ხასიათდება. პირველი, უკავშირდება სამართლიანობის უზრუნველყოფას კონკრეტულ განმცხადებელთან მიმართებაში, ხოლო მეორე შეეხება კონვენციის იურისპრუდენციის განვითარებას. ეს უკანასკნელი მთლიანად უგულვებელყოფილია ზემოთ მოცემულ ამონარიდში, რაც სასამართლოს მეთოდოლოგიას სამართლიანად აქცევს კრიტიკის ობიექტად.

ადამიანის უფლებათა კომიტეტს მოუწია რამდენიმე ისეთი საქმის განხილვა, რომელშიც სამართალწარმოება იმდენად უსამართლო იყო, რომ საქმის დეტალური განხილვა აღარ გახდა საჭირო<sup>389</sup>.

<sup>386</sup> *ეარი (Airey) ირლანდიის წინააღმდეგ*. საქმე შეეხებოდა განქორწინების საკითხს, რომელიც არ იყო დაშვებული ირლანდიაში.

<sup>387</sup> *მაკმიჩელი (McMichael) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>388</sup> *ჰელე (Helle) ფინეთის წინააღმდეგ*, §53.

<sup>389</sup> იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 20, 21.

## II. შეჯიბრებითი პროცესის უფლება

### ა. პრინციპი და მისი მნიშვნელობა

სასამართლო განხილვის დროს სამართლიანობის ყველაზე ფუნდამენტური ასპექტია მოსმენის უფლება ("Right to be heard"; „droit d'être entendu“; „rechtliches Gehör“). ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის მთლიანად და უპირობოდ პირის სასარგებლოდ არის გამოტანილი, თუ პირს მანამდე არ მიეცა განსახილველ საკითხზე საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა. ეს გარანტია ასევე მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მხედველობაში მიიღოს დაცვის წარდგინებები, რაც შეჯიბრებითი პროცესის ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. *კუადრელის (Quadrelli)* საქმეში იტალიის საკასაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო დაცვის მიერ წარმოდგენილი მემორანდუმი, რაც მე-ნ მუხლის დარღვევას წარმოადგენდა<sup>390</sup>. კონვენციის დარღვევა იქნა აღმოჩენილი *დიულორანის (Dulaurans)* საქმეშიც, როდესაც სასამართლოს ეყო გამბედაობა ეთქვა, რომ არგუმენტი, რომლის საფუძველზეც საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ უარყო განმცხადებლის საჩივარი, იყო აშკარად მცდარი<sup>391</sup>.

მოსმენის უფლება რამდენიმე ასპექტით ხასიათდება. უტილიტარული თვალთახედვით, ის აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს. პირი, რომლის საქმეც განიხილება, როგორც წესი, ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი მოსაზრებები შეიძლება იყოს საინტერესო და გავლენის მომხდენი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. გარდა ამისა, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება, აუცილებელია, რომ პირი, რომელსაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილება, ჩართული იყოს მისი მიღების პროცესში. ეს ხელს უწყობს მიღებული შედეგის აღიარებას. დაბოლოს, ფილოსოფიური პერსპექტივით, მოსმენის უფლება ავითარებს კონცეფციას იმის შესახებ, რომ პირი არის არა პროცესის ობიექტი, არამედ სუბიექტი. რასაკვირველია, გავრცელებული და საკმაოდ არარეალისტურია საუბარი თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში. თუმცა არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ სამართლიანობა პირის მიერ მსჯავრდებისა და სასჯელის აღიარების ძირითადი ფაქტორია<sup>392</sup>.

პრეცედენტულ სამართალში შეჯიბრებითი პროცესის უფლება ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამიჯნული მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისგან<sup>393</sup>.

<sup>390</sup> *კუადრელი (Quadrelli)* იტალიის ნინაალდდეგ, §54. იხ. ფრაიბერგი (2001) 192. ამ ავტორის მოსაზრება, რომ *კუადრელი (Quadrelli)* საქმეში მოცემული საკითხი სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებას უკავშირდებოდა, არ არის ბოლომდე სწორი, თუმცა ამ ორ ასპექტს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. იხ. ქვეთავი IV.

<sup>391</sup> *დიულორანი (Dulaurans)* საფრანგეთის ნინაალდდეგ. ამ საქმეში საკასაციო სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი იქნა ახალი საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ მისი წარდგენა ქვემდგომ ინსტანციაშიც მოხდა. იხ. რენუჩი (2002) N 142. ავტორი აკრიტიკებს სასამართლოს მიდგომას, რადგან მან არსებითად განიხილა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა თავადვე აღიარებს, რომ სასამართლოს მხრიდან კონვენციის ეფექტიანი განმარტების სურვილმა მოვლენათა ასეთი განვითარება გარდაუვალი გახადა.

<sup>392</sup> ტაილერი (1990); ჰაინცი (1985) 13; კასპარი (1978) 237; ტიბოლი და უოქერი (1975); კასპარი, ტაილერი და ფიშერი (1988) 483; ლანდისი და გოდშტაინი (1986) 675.

<sup>393</sup> იხ. მაგ: *ბორგერსი (Borgers)* ბელგიის ნინაალდდეგ, §27; *ფუშერი (Foucher)* საფრანგეთის



თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ამ შესაბამობას რაიმე გავლენა მოეხდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

## ბ. განსაზღვრება

სასამართლოს განცხადებით, „სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებითი პროცესის უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდებას, ისე დაცვას უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობის და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“<sup>394</sup>. ეს პრინციპი მოქმედებს იმის მიუხედავად, მეორე მხარის მიერ წარდგენილი მასალები შეეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს საქმის არსებით გარემოებებზე, თუ წარდგინებებს საპროცესო საკითხებზე<sup>395</sup>.

ზემოთ მოცემული განსაზღვრების ერთი ნაწილი ძალზე საინტერესოა. სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს უფლება ერცელებდა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეზე. უნდა ითქვას, რომ თუ თეორიულად, ეს შეიძლება სიმართლეს შეეფერებოდეს, კონვენციის კონტექსტში სრულებით გაუგებარია. მხოლოდ ინდივიდებმა შეიძლება ისარგებლონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების დაცვით და ბრალდების მხარე ცალსახად გამოირიცხება ამ სფეროდან. გარდა ამისა, ბრალდებას ყოველთვის არ ექნება დაცვის მხარის არგუმენტებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, ვინაიდან სასამართლო პროცესზე ბოლო სიტყვა, როგორც წესი, ბრალდებულს ეკუთვნის.

## გ. გარანტიის დამახასიათებელი ნიშნები

მოსმენის უფლება შეიძლება დახასიათდეს როგორც აბსოლუტური გარანტია. ეს მოსაზრება სასამართლოს მიერ არა მხოლოდ გაზიარებულია, არამედ ნათლად გამოთქმულიც. ამრიგად, სასამართლომ მიუღებლად ჩათვალა „მთავრობის განმარტება, რომ გენერალური პროკურორი, ყოველგვარი მიზეზების დასახელების გარეშე, უბრალოდ ითხოვდა, საქმის განხილვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის დ) პუნქტის საფუძველზე“. სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ „დაცვის გადასაწყვეტია, რამდენად საჭიროებს ეს წარდგინება რეაგირებას“<sup>396</sup>. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს სასამართლოს მიერ

---

ნინალმდე, §36; რეინჰარდტი (Reinhardt) და შლიმან-კაიდი (Slimane-Kaid) საფრანგეთის ნინალმდე, §106; კუპილა (Kuopila) ფინეთის ნინალმდე, §38; ლანცი (Lanz) ავსტრიის ნინალმდე, §57-63; PG და JH გაერთიანებული სამეფოს ნინალმდე, §73.

<sup>394</sup> ლოპანენი (Laukhanen) და მანინენი (Manninen) ფინეთის ნინალმდე, §34; იხ. აგრეთვე კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის ნინალმდე, §102; ბრანდსტეტერი (Brandsteiter) ავსტრიის ნინალმდე, §67; როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს ნინალმდე, §60; ფიტი (Fitt) გაერთიანებული სამეფოს ნინალმდე, §44; J.L. GMR და AKP გაერთიანებული სამეფოს ნინალმდე, §112; გოჩი (Göç) თურქეთის ნინალმდე, §34; მეფტა (Meftah) საფრანგეთის ნინალმდე, §51; PG და JH გაერთიანებული სამეფოს ნინალმდე, §67; JJ ნიდერლანდების ნინალმდე, §43; ერნსტი (Ernst) და სხვები ბელგიის ნინალმდე, §60; დურიც-კოსტი (Duric-Costes) საფრანგეთის ნინალმდე, §32; სკონდრიანოსი (Skondrianos) საბერძნეთის ნინალმდე, §29; სამოქალაქო საქმეებისთვის იხ. მაგ: კრემარი (Kremar) ჩეხეთის რესპუბლიკის ნინალმდე, §40; ნიდეროსტ-ჰუბერი (Niderost-Huber) შვეიცარიის ნინალმდე, §24.

<sup>395</sup> იხ. მაგ: კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის ნინალმდე, §102.

<sup>396</sup> ბულუტი (Bulut) ავსტრიის ნინალმდე, §49; იხ. აგრეთვე ლობო მაჩადო (Lobo Machado) პორტუგალიის ნინალმდე, §31; ნიდეროსტ-ჰუბერი (Niderost-Huber) შვეიცარიის ნინალმდე, §29.

ამ დოკუმენტისთვის მიცემულ მნიშვნელობას<sup>397</sup>.

ალსანიშნავია, რომ სხვა გადანყევტილებებში სასამართლომ ხაზი გაუსვა კონკრეტულ საქმეში წარმოდგენილი მასალის მნიშვნელობას დაცვის მხარისთვის<sup>398</sup>. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ როგორც შეჯიბრებითი პროცესის უფლების დაქინება. სასამართლო განხილვის სამართლიანობა წარმოუდგენელია ამ პრინციპის დაცვის გარეშე. საქმეში გოჩი (Göç) თურქეთის წინააღმდეგ სასამართლომ ისიც კი აღიარა, რომ მთავრობას ეკისრება ვალდებულება, დაეხმაროს ბრალდებულს საქმის მასალების გაცნობაში:

იმ არგუმენტის საპასუხოდ, რომ განმცხადებელს შეეძლო საქმის მასალების გაცნობა საკასაციო სასამართლოში და მთავარი პროკურორის მოსაზრების ასლის გამოთხოვა, სასამართლო აცხადებს, რომ ეს არ არის საკმარისი გარანტია განმცხადებლის შეჯიბრებითი პროცესის უფლების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს აზრით, სამართლიანობის მისაღწევად საკასაციო სასამართლოს სამდივნოს ეკისრებოდა განმცხადებლის ინფორმირების ვალდებულება, რომ პროკურორის მოსაზრება იქნა წარდგენილი და სურვილის შემთხვევაში, შეეძლო მასზე თავისი აზრის წერილობით გამოთქმა. როგორც სასამართლოსთვის არის ცნობილი, ამ ვალდებულებას არ ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლის დამცველს უნდა სცოდნოდა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო საქმის მასალების გაცნობა. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის დამცველისთვის მოთხოვნის წაყენება, გამოიჩინოს ინიციატივა და პერიოდულად მოახდინოს საკუთარი თავის ინფორმირება საქმის მასალებში ახალი ელემენტების დამატების თაობაზე, იქნებოდა მასზე არაპროპორციული ტვირთის დაკისრების ტოლფასი და ვერც პროკურორის მოსაზრებაზე აზრის გამოთქმის რეალურ შესაძლებლობას უზრუნველყოფდა, ვინაიდან მისთვის არასდროს უცნობებიათ საჩივრის განხილვის ვადების შესახებ<sup>399</sup>.

## დ. პრეცედენტული სამართალი

პრეცედენტული სამართალი შეჯიბრებითი პროცესის უფლებაზე არ არის მრავალფეროვანი და ძირითადად ორი ტიპის საქმეებს მოიცავს. საქმეების პირველ ჯგუფში დაცვა მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჯეროვანი პასუხი გაეცა პროკურატურის წარდგინებებზე. მეორე კი შეეხება ბრალდების მიერ მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულებას.

1. გენერალური პროკურორის წარდგინებები უმაღლეს ინსტანციაში „სამართლიანობაზე“ მსჯელობა სტრასბურგის ორგანოების მიერ დაიწყო ავსტრიის წინააღმდეგ განხილულ საქმეთა სერიაში. ამ საქმეებში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გენერალური პროკურორის მიერ უზენაესი სასამართლოსთვის „*croquis*“-ის, განაჩენის პროექტის წარდგენა, რომელზეც დაცვის მხარეს პასუხის

<sup>397</sup> *კუპილა (Kuopila) ფინეთის წინააღმდეგ*, § 35.

<sup>398</sup> *მაგ: ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 49; იგივე ეხება სასამართლოს ფრანკს, „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რისკი, რომლის წინაშეც დგას განმცხადებელი.“ იხ. *მაგ: JJ ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 43; *ლობო მაჩადო (Lobo Machado) პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 31.

<sup>399</sup> *გოჩი (Göç) თურქეთის წინააღმდეგ (GC)*, § 57.

გაცემა არ შეეძლო, წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას<sup>400</sup>. ანალოგიური პრობლემები უკავშირდება რამდენიმე სხვა სახელმწიფოს, მათ შორის საფრანგეთს<sup>401</sup>, ნიდერლანდებს<sup>402</sup>, თურქეთსა<sup>403</sup> და პორტუგალიას<sup>404</sup>. მსგავსი საკითხი წამოიჭრა შვეიცარიამიც, სადაც ფედერალური სასამართლო იღებდა მოსაზრებებს ქვემდგომი სასამართლოსგან და განმცხადებელს არ შეეძლო მათ შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა<sup>405</sup>. ავსტრიაში უზუნაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ქვემდგომი სასამართლოს თავმჯდომარისგან გამოითხოვა თარჯიმნის მომსახურების შესახებ ინფორმაცია. მან გამოიყენა ეს ინფორმაცია ისე, რომ დაცვას არ მიეცა მასზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, რომ საჩივარი სწორედ ამ თავმჯდომარეს შეეხებოდა<sup>406</sup>.

## 2. მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულება

შეჯიბრებითი პროცესის უფლების სპეციალური ასპექტი შეეხება ხელისუფლების ორგანოების მიერ მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულებას. ეს საკითხი განსაკუთრებით რელევანტური იყო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში, რომლებშიც განმცხადებლის მტკიცებით, ბრალდება არ გასცემდა მტკიცებულებებს. გარდა ამისა, სასამართლოსაც შეიძლება გარკვეულწილად ჰქონდეს საქმის მასალების „გამჟღავნების ვალდებულება“.

### ა. ბრალდების მიერ გასაიდუმლოებული მასალები

შეჯიბრებითი პროცესის უფლება, სასამართლოს განმარტებით, მოითხოვს იმ სასამართლოსთვის წარდგენილი ყველა მასალის გამჟღავნებას, რომელსაც ბრალდებულის მსჯავრდებისა და მისთვის სასჯელის შეფარდების უფლებამოსილება აქვს. ამ თვალსაზრისით, პრობლემური საკითხია ბრალდების ორგანოთა ტენდენცია, არ გაამჟღავნონ საქმესთან დაკავშირებული გარკვეული მასალები, მაგალითად, ანგარიშები, ჩანაწერები, განცხადებები და ინფორმაცია მონმეთა შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის სასამართლომ განსაზღვრა ძირითადი წესი: „სასამართლო თვლის, რომ მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანობის მოთხოვნის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ინგლისურ სამართალში, ბრალდების ორგანოებმა უნდა გაუმხილონ დაცვას ყველა ნივთიერი

<sup>400</sup> *ოფერი (Ofner) და ჰოპფინგერი (Hopfinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 524/59; *პატაკი (Palacki) და დუნშიმი (Dunshim) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 596/59. იხ. აგრეთვე *ბრანდშტეტერი (Brandstetter) ავსტრიის წინააღმდეგ*, §67; *ბულუტი (Bulut) ავსტრიის წინააღმდეგ*, §44-50; ვასეკ-ვაიდერეკი (2000) 24.

<sup>401</sup> *ვუაზინი (Voisine) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §31; *რეინჰარტი (Reinhardt) და შლიმან-კაიდი (Slimane-Kaid) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §107; *რიშენი (Richen) და გოშერი (Gaucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §39; *მელტა (Meftah) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §51; *მენერი (Menher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §12; *დურიე-კოსტი (Duriez-Costes) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §32; *გოშერი (Gaucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §15; *აბუდი (Aboud) და ბოზონი (Bosoni) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §20-21. რენუნი (2002) N 144. ავტორი საკმაოდ მკაცრს და უსამართლოს უნოდებს ამ საქმეებში სასამართლოს მიდგომას გენერალური ადოკატის მიმართ, თუმცა აღიარებს, რომ ის გამართლებული იყო შთაბეჭდილების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

<sup>402</sup> *ჰი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §43.

<sup>403</sup> *გოჩი (Göç) თურქეთის წინააღმდეგ (GC)*, §55-8.

<sup>404</sup> *ლობო მაჩადო (Lobo Machado) პორტუგალიის წინააღმდეგ*, §31 (სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული დავა).

<sup>405</sup> *ნიდეროსტ-ჰუბერი (Nideröst-Huber) შვეიცარიის წინააღმდეგ*.

<sup>406</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, §102.

მტკიცებულება ბრალდებულის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ და მოცემულ საქმეში აღნიშნულის შეუსრულებლობამ გამოიწვია ხარვეზი სასამართლო განხილვაში<sup>407</sup>.

თუმცა ეს ვალდებულება არ არის შეუზღუდავი. საქმის მასალების გაუმჟღავნებლობა დასაშვებია გარკვეული გარემოებების არსებობისას: „ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საპირისპირო ინტერესებს, როგორცაა ეროვნული უშიშროება, შურისძიების საფრთხისგან მონმეთა დაცვის აუცილებლობა ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მეთოდების გასაიდუმლოება, რომლებიც უნდა დაბალანსდეს ბრალდებულის უფლებებთან“. თუმცა „დაცვის უფლებების შემზღუდველი მხოლოდ მკაცრად აუცილებელი ზომებია დასაშვები“. გარდა ამისა, სათანადო ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნული შეზღუდვების განონანსწორებისთვის, თუ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია<sup>408</sup>. ეს არის ზოგადი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს რამდენიმე განსხვავებულ კონტექსტში<sup>409</sup>. თუმცა სასამართლო ჩვეულებრივ არ ამონმებს, საქმის მასალების გაუმჟღავნებლობა უკიდურესი აუცილებლობით იყო გამოწვეული თუ არა. ის მხოლოდ განიხილავს მთავრობის მტკიცებას, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოთხოვნები დაცული იყო „შესაძლებლობის ფარგლებში“<sup>410</sup>.

ეს არ არის მტკიცე განაცხადება. კერძოდ, სიტყვები „შესაძლებლობის ფარგლებში“ ბუნდოვანია, განსაკუთრებით, უკიდურესი აუცილებლობის“ სტანდარტის გამოყენებაზე სასამართლოს უარის გათვალისწინებით. თუმცა სასამართლოს ასეთი თავშეკავებული მიდგომა რეალისტურია და მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საქმეები ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი მოიცავს საქმეებს, რომლებშიც კონვენციის დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი, ვინაიდან ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა ძალზე ფრთხილად განიხილეს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. მაგალითად, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც დაცვის მხარეს მიეცა, გარკვეულ ფარგლებში, განსახილველ საკითხზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა; დაცვისთვის გაუმჟღავნებელი მასალა ასევე არ წარედგინა ნაფიც მსაჯულებს; და საქმის განმხილველი მოსამართლე ყოველთვის ამონმებდა მასალების გადაცემის აუცილებლობას<sup>411</sup>. სხვა საქმეში მასალების გადაცემა მოხდა სააპელაციო სამართალწარმოების დაწყებამდე. დაცვას მიეცა მათი გაცნობის სრული

<sup>407</sup> ედვარდსი (Edwards) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §26; იხ. აგრეთვე ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52; როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §60; ფიტი (Fitt) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44; დოუსელი (Dowsett) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; J.L. GMR და AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §112; PG და JH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67.

<sup>408</sup> ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52.

<sup>409</sup> კერძოდ, „დაცვის მომზადების შესაძლებლობების“ (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი), ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კავშირის კონტროლის (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი) და მონმეთა დაკითხვის უფლების (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი) კონტექსტში. იხ. თავები IX, X და XI. ოუენი (2001) 132.

<sup>410</sup> ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §53.

<sup>411</sup> Ibid., §55-6; იხ. აგრეთვე ფიტი (Fitt) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §47-9; PG და JH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §70-3.

შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ იმდენად ინტენსიურად განიხილა საკითხი, რომ ამით გამოსწორდა ადრე არსებული ხარვეზები<sup>412</sup>.

საქმეთა მეორე კატეგორიაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ბრალდებამ გადაწყვიტა, რომ არ გაემხილა მტკიცებულება მოსამართლისთვის. ბრალდების მიერ ასეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღება აშკარად ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს. ის ფაქტი, რომ დაცვა ეცნობა ამის შესახებ სააპელაციო სამართალწარმოების დასაწყისში, არ იყო საკმარისი ხარვეზის გამოსწორებისთვის, რადგან სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივად არ განუხილავს ეს მტკიცებულება<sup>413</sup>. ატლანის (*Allan*) საქმეში არსებობდა ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის პროვოცირებას. ამ საქმეშიც სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო ვითარების გამოსწორება. ბრალდების მიერ გაუმჟღავნებელი მტკიცებულებების შესახებ პირველი ინსტანციის მოსამართლის ინფორმირება აუცილებელი იყო<sup>414</sup>. ოუენი შემდეგ კომენტარს აკეთებს ამ საქმეზე: „უდავოა, რომ მსჯავრდების შემდეგ საჯარო ინტერესის იმუნიტეტის მქონე მასალის გამოაშკარავებისას მსჯავრდების გაუქმებისა და საქმის გადასინჯვის ბრძანების გაცემის გარდა, სხვა გზის არქონის პერსპექტივა უსიამოვნოა როგორც ბრალდების ორგანოების, ისე სასამართლოებისთვის. თუმცა ეს არის იმ პროცედურის გარდაუვალი შედეგი, რომლის მყიფე ქმედითობა არსებითად დამოკიდებულია პირველი ინსტანციის მოსამართლის როლზე ინფორმაციის გამჟღავნების საკითხის სრულფასოვან და განგრძობად განხილვაში“<sup>415</sup>.

#### ბ. სასამართლოს მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება

გამონაკლის შემთხვევაში სასამართლოსაც შეიძლება დაეკისროს ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი *სკონდრიანოსის* (*Skondrianos*) საქმეში, როდესაც განმცხადებელმა საჩივრით მიმართა საბერძნეთის საკასაციო სასამართლოს. ბრალდება ეწინააღმდეგებოდა საჩივარს ერთადერთი მიზეზით. შესაბამისად, ბრალდებულმა თავისი არგუმენტების კონცენტრირება სწორედ აღნიშნულ მიზეზზე მოახდინა. სასამართლომ უარყო საჩივარი, თუმცა სრულიად განსხვავებული საფუძვლით. განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ მას არ მიეცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი არგუმენტების გაბათილების შესაძლებლობა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი ინფორმირებული იყო მხოლოდ პროკურორის წარდგინებების შესახებ და მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო სასამართლოს დასაბუთება. გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სტრასბურგის სასამართლო არ იყო კმაყოფილი ეროვნული სასამართლოს არგუმენტებით. თუმცა, რასაკვირველია, მას არ გააჩნია ასეთ საკითხებზე მოსაზრების გამოთქმის უფლებამოსილება. სასამართლომ საკმაოდ

<sup>412</sup> *JL, GMR* და *AKP* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 114-18. მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეში *ედვარდსი* (*Edwards*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. კრიტიკისთვის იხ. ესერი (2002) 405. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ სასამართლო უფრო დეტალურად იხილავს პირად თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

<sup>413</sup> *როუი* (*Rowe*) და *დევისი* (*Davis*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 63-66; *დოუსეტი* (*Dowsett*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 44-51.

<sup>414</sup> ატლანი (*Allan*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 42-46; *ედვარდსი* (*Edwards*) და *ლუისი* (*Lewis*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 50-59.

<sup>415</sup> ოუენი (2001) 150-1.

მოულოდნელად განაცხადა, რომ შეჯიბრებითი პროცესის უფლება არ იყო დაცული და კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>416</sup>.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია ხელისუფლების ორგანოებზე, მათ შორის სასამართლოებზე, დაცვის დახმარებისა და იმ მიზეზების შესახებ მისი ინფორმირების მოვალეობის დაკისრებისკენ, რომელთა საფუძველზეც სასამართლო აპირებს საჩივრის უარყოფას. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების გამოყენების ეფექტიანობას. სამწუხაროდ, სასამართლომ თავი შეიკავა, თავისი გადაწყვეტილების ევოლუციური და შეიძლება ითქვას, ფეთქებადი პოტენციალის მკაფიოდ ჩვენებისგან.

### III. მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი

#### ა. პრინციპი

მხარეთა თანასწორუფლებიანობის შესახებ არ არის მკაფიოდ მითითებული არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლში და არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(1) მუხლში<sup>417</sup>. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს პრინციპი სამართლიანი სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველი წინადადება ადგენს სასამართლოს წინაშე თანასწორობის ზოგად წესს, ხოლო ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი დაცვის უფლებები წარმოდგენილია სიტყვებით „სრული თანასწორობის საფუძველზე“. ზოგიერთი ავტორი მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს უკავშირებს დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად გარანტიას, რაც არ არის მართებული<sup>418</sup>.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი რამდენიმე ქვეყანა წლების მანძილზე კოლონიური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას გაეროს განსაკუთრებული აქცენტი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. საერთაშორისო პაქტსა<sup>419</sup> და ამერიკულ კონვენციაში არსებული მითითება „თანასწორობაზე“, მის ზოგად ასპექტს უფრო გულისხმობს, ვიდრე სამართლიანობის ელემენტს. ამ შემთხვევაში საუბარია თანასწორობაზე საქმის მხარეებს და არა განსხვავებული სქესის, რელიგიური კუთვნილების ან ეროვნული წარმომავლობის პირებს შორის.

დისკრიმინაციის აკრძალვა მოითხოვს თანასწორ მოპყრობას არსებითად თანაბარ პირობებში მყოფი პირების მიმართ<sup>420</sup>. მაგალითად, დისკრიმინაციას ექნება ადგილი თუ ებრაელებისთვის ნებადართულია საჩივრის წარდგენა, ხოლო მუსლიმანებს არ ეძლევათ ამის შესაძლებლობა. სწორედ ამ ტიპის თანასწორობას

<sup>416</sup> სკონდრიანოსი (*Skondrianos*) საბერძნეთის წინააღმდეგ, § 31.

<sup>417</sup> თუმცა საკმაოდ მკაფიო მინიშნებას შეიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(ე) პუნქტები (რასაც ვერ ვხვდებით ამერიკულ კონვენციაში).

<sup>418</sup> მაგ: ფროვანი და პოიერტი (1996) მე-6 მუხლი, N 83; გრაბენვარტერი (1997) 596.

<sup>419</sup> ანპერმანი, კარონი და კალინი (1997) 184.

<sup>420</sup> იხ. ფრედინი (*Fredin*) შვედეთის წინააღმდეგ (*No. 1*), § 60: „დისკრიმინაცია არის იმ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა, ობიექტური და გონივრული გამართლებების გარეშე, რომლებიც არსებითად მსგავს ვითარებაში იმყოფებიან“.

გულისხმობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები<sup>421</sup>. მხარეთა თანასწორუფლებიანობა კი შეეხება არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე პირებს.

მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი კომისიამ პირველად განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეში. განმცხადებელს, რომელიც პოლონეთის მოქალაქე იყო, უარი ეთქვა შეედეთში გამგზავრებაზე, სადაც მას სურდა ოჯახურ დავასთან დაკავშირებით სასამართლოში ჩვენების მიცემა<sup>422</sup>. შემდგომში ეს პრინციპი გვხვდება სისხლის სამართლის კონტექსტში განხილულ საქმეთა სერიაში, რომელიც საკასაციო სამართალწარმოებას შეეხება<sup>423</sup>. მოგვიანებით, ის აღიარებულ იქნა სასამართლოს მიერ<sup>424</sup> და ასევე ფიგურირებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრეცედენტულ სამართალში<sup>425</sup>.

მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რასაკვირველია, შეიძლება გამოყენებული იქნეს სამოქალაქო პროცესში, სადაც ორი კერძო პირი უპირისპირდება ერთმანეთს ნეიტრალური სასამართლოს წინაშე. თუმცა ამ შემთხვევაშიც სრული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია. ბუნებრივია, მხოლოდ ერთი მხარე შეძლებს ბოლო სიტყვით გამოსვლას<sup>426</sup>. გარდა ამისა, არსებობს წესები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელ მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი. როგორც წესი, ეს მოსარჩელეა. თუმცა მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობის სურათი სამოქალაქო პროცესში დიდწილად ასახავს რეალობას. ამის მაგალითია დომბო ბერის (*Dombo Behher*) საქმე, რომელშიც ერთ-ერთმა მხარემ მოწმედ გამოიძახა პირი, რომელსაც მონანილეობა ჰქონდა მიღებული სადავო მოლაპარაკებებში, ხოლო მეორეს არ მიეცა ამის გაკეთების შესაძლებლობა<sup>427</sup>.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესს, აქ მხარეთა თანასწორუფლებიანობა სრულებით არ არის ადეკვატური რეალობა. სამართალწარმოების დასაწყისიდანვე ბრალდება და დაცვა სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

<sup>421</sup> იხ. მაგ: ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 5.

<sup>422</sup> *შვაბოვიცი (Szwabowicz) შეედეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 434/58. ძირითადი განსახილველი საკითხი იყო სასამართლო პროცესზე დასრულების უფლება. იხ. აგრეთვე *გიუნტერ შტრუპალი (Gunther Struppel) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2804/66; *J და R კაუფმანი (Kaufman) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10938/84.

<sup>423</sup> *ოფერი (Oflner) და ჰოპფინგერი (Hopfinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 524/59; *პატაკი (Patacki) და დუნშირი (Dunshim) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 596/59. მხარეთა თანასწორუფლებიანობის შესახებ ადრეული პუბლიკაციების წყაროებისთვის იხ. ტრექსელი (1979) 376-7, n. 161.

<sup>424</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 22. ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არ ვრცელდებოდა დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრის პროცესზე. ეს დასკვნა მოგვიანებით უარყოფილ იქნა. იხ. თავი 18.

<sup>425</sup> *ფრენკ რობინსონი (Frank Robinson) იამაიკის წინააღმდეგ*, § 10.4. განმცხადებელს ბრალად ედებოდა მკვლელობის ჩადენა. სასამართლო განხილვა გადაიდო შეიღჯერ, ვინაიდან ბრალდებამ ვერ შეძლო მთავარი მოწმის წარმოდგენა. დაცვას კი უარი ეთქვა პროცესის გადადებაზე, როდესაც ადვოკატმა ბრალდებულის დაცვაზე განაცხადა უარი.

<sup>426</sup> ეს საკითხი იქნა განხილული საქმეში *J და R კაუფმანი (Kaufman) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10938/84.

<sup>427</sup> *დომბო ბერი (Dombo Behher) ნიდერლანდების წინააღმდეგ*. საქმეში აკლინი (*Acklin*) შევე-ცარიის წინააღმდეგ ანალოგიური განსხვავება განიხილებოდა, თუმცა სასამართლომ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა, რადგან მტკიცებულებების შეფასებაში მოსამართლის თავისუფლების გათვალისწინებით, სხვაობა მოწმის სახით ჩვენების მიმცემ პირსა და ფაქტების მომყვან მხარეს შორის იყო მხოლოდ ფორმალური ხასიათის.

ბრალდება მოქმედებს (სულ მცირე თეორიულად) ყოველგვარი „პირადი“ ინტერესის გარეშე. მისი ერთადერთი მიზანია, ემსახუროს მართლმსაჯულებას, ანუ უზრუნველყოს ქვეყნის მართლმსაჯულების დადგენა და კანონის სწორად გამოყენება. ბრალდებული, თავის მხრივ, მოქმედებს საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და არ ევალდება მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინება. ბრალდებას შეუძლია იძულების ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა დაპატიმრება, სატელეფონო მოსმენა, ჩხრეკა და ამოღება. მას აგრეთვე ხელი მიუწვდება მაღალტექნოლოგიურ საშუალებებზე. ბრალდებულს არ გააჩნია მსგავსი შესაძლებლობები, სამაგიეროდ, ფლობს ზუსტ ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე, თუ, რასაკვირველია, დამნაშავეა. მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება. ბრალდებულს კი შეუძლია, იყოს პასიური და შეინარჩუნოს დუმილი მთელი სამართალწარმოების მანძილზე. თანასწორობა ასეთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ერთგვარი პარიტეტი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება გავიხსენოთ გლადიატორთა ორთაბრძოლა ძველ რომში, სადაც ერთი იყო ჯავშნიანი და შეიარაღებული ხმლით, ხოლო მეორე ჯავშნის გარეშე, სამაგიეროდ, შეიარაღებული ბადითა და სამკაპით<sup>428</sup>.

## ბ. განსაზღვრება

პრინციპის ყველაზე ადრეული განსაზღვრება გვხვდება საქმეში *დომბო ბერის (Dombo Behher)*, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „ურთიერთსანიშნაობა მდგომარეობაში ინტერესებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში „მხარეთა თანასწორუფლებიანობა“ გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მონიშნულ მდგომარეობასთან შედარებით“<sup>429</sup>. იგივე ფორმულირება, თითქმის სიტყვასიტყვით, მეორდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით: „თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომელიც მას არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში მონიშნულ მდგომარეობასთან შედარებით“<sup>430</sup>. არის მხოლოდ ორი განსხვავება. პირველი, მითითება არ არის გაკეთებული მტკიცებულებებზე. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სისხლის სამართლის საქმეში დაცვას, როგორც წესი, არ უნევს მტკიცებულებების წარმოდგენა. მეორე, ზედსართავი „არსებითი,“ რომელიც თან ახლდა „არახელსაყრელ მდგომარეობას“ ასევე გამოტოვებულია.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ სისხლის სამართლის საქმეში აკრძალულია პირის ჩაყენება ნებისმიერი სახის არახელსაყრელ მდგომარეობაში, ხოლო სამოქალაქო პროცესში მხოლოდ ნაწილობრივ თანასწორობაა საეაღდებულო? პრეცედენტული სამართლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს შემზღუდველი ელემენტი მოცემულია სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საქმეში<sup>431</sup>. ის

<sup>428</sup> ტრექსელი (1976) 558. იხ. აგრეთვე რეიმონდი (1970) 103. ველუ და ერგეცი (1990) 470. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით იხ. გრაბენვარტერი (1997) გვ. 597.

<sup>429</sup> *დომბო ბერი (Dombo Beheer)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 33.

<sup>430</sup> *ბულუტი (Bulut)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 47.

<sup>431</sup> *ჰენტრიჩი (Hentrich)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 56; *ნიდროსტ-ჰუბერი (Niederöst-Huber)* შვეიცარიის წინააღმდეგ, § 23; *ანკერლი (Ankerl)* შვეიცარიის წინააღმდეგ, § 38; *დე ჰაესი (De Haes)* და *გაიზელსი (Gijssels)* ბელგიის წინააღმდეგ, § 53; *კრცმარი (Krcmar)*



არ გვხვდება სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაში, თუმცა სასამართლო არ განმარტავს სხვაობას და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის უმნიშვნელოა<sup>432</sup>. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ მიუთითა სხვა გადაწყვეტილებაზე, რომელიც სიტყვა „არსებითად“ არის გამოყენებული, თუმცა შემდეგ ის გამოტოვა საკუთარ ფორმულირებაში<sup>433</sup>.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტთან დაკავშირებით სასამართლომ მოითხოვა „მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობა“<sup>434</sup>, „*complète 'égalité d'arms*“<sup>435</sup>. თუმცა ასეთი სპეციფიკური ფორმულირება არ არის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე.

## გ. თანასწორობის ასპექტები

### 1. თანასწორობის ფარდობითობა

თანასწორობას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ადამიანის უფლებების სფეროში. მისი კომპლექსური ხასიათის ღრმა ანალიზი შეუძლებელია მოცემულ კონტექსტში<sup>436</sup>. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის გარანტია უსარგებლოა ისეთ ვითარებაში, როდესაც ადამიანს ჩამორთმეული აქვს უფლება, რომლითაც ვერც სხვები სარგებლობენ. სწორედ ეს არის ის ელემენტი, რომელიც „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპს განასხვავებს „შეჯიბრებითი პროცესის“ უფლებისგან: პრინციპი (სასამართლოს არასდროს უხსენებია მხარეთა თანასწორუფლებიანობის „უფლება“, თუმცა ხშირად იყენებს ისეთ ტერმინებს როგორებიცაა „პრინციპი“<sup>437</sup>, „მოთხოვნა“<sup>438</sup>, „კონცეფცია“<sup>439</sup> ან უბრალოდ აცხადებს, რომ „აუცილებელია მხარეთა თანასწორუფლებიანობის არსებობა“<sup>440</sup>) არ ირღვევა, როდესაც ორივე მხარეს ეთქვა უარი სასარგებლო ქმედების განხორციელებაზე. მაგალითად, *ჯასპერის (Jasper)* საქმეში განმცხადებელი

---

*ჩხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §39; *ვერნერი (Werner)* ავსტრიის წინააღმდეგ, §63; *მორელი (Morel)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §27; *პლატაკო (Platakou)* საბერძნეთის წინააღმდეგ, §47; *ბერი (Beer)* ავსტრიის წინააღმდეგ, §17; *FR შვეიცარიის წინააღმდეგ*, §34; *ბუხბერგერი (Buchberger)* ავსტრიის წინააღმდეგ, §50; *ფრეტი (Frette)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §47; *კომანიციკი (Komanicki)* სლოვაკეთის წინააღმდეგ, §45; *ვიერზიკი (Wierzbicki)* პოლონეთის წინააღმდეგ, §39; *AB სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §55; *ივო (Yvon)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §31. ერთი გამონაკლისია საქმე *Apeh Uldozoiteinek Szovetsege უნგრეთის წინააღმდეგ* (§39); ეს ნესი იმავე ფორმულირებით გვხვდება ადმინისტრაციულ საქმეებშიც: *Immeubles Groupe Kossier* საფრანგეთის წინააღმდეგ, §22; *კრესი (Kress)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §72.

<sup>432</sup> *ფუშერი (Foucher)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §23; *კუპილა (Kuopila)* ფინეთის წინააღმდეგ, §37; *ლანცი (Lanz)* ავსტრიის წინააღმდეგ, §57; *ოჯალანი (Ocalan)* თურქეთის წინააღმდეგ, §159; *ჯოზეფ ფიშერი (Josef Fischer)* ავსტრიის წინააღმდეგ, §18; გამონაკლისებია *ქიომე (Coëme)* ბელგიის წინააღმდეგ, §162; *GB საფრანგეთის წინააღმდეგ*, §58; *ერნსტი (Ernst)* და *სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, §50.

<sup>433</sup> იხ. მაგ: *ლანცი (Lanz)* ავსტრიის წინააღმდეგ, §57.

<sup>434</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §49; *ბიონიში (Bönisch)* ავსტრიის წინააღმდეგ, §32.

<sup>435</sup> *პიზანო (Pisano)* იტალიის წინააღმდეგ, §21.

<sup>436</sup> უფრო დეტალური ანალიზისთვის იხ. მაგ: ტრექელი (2003) 119.

<sup>437</sup> მაგ: *ნოიმაისტერი (Neumeister)* ავსტრიის წინააღმდეგ, §22.

<sup>438</sup> *დომბო ბერი (Dombo Beheer)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §33.

<sup>439</sup> *სოლაკოვი (Solakov)* მაკედონიის წინააღმდეგ, §57.

<sup>440</sup> *ედვარდსი (Edwards)* და *ლუისი (Lewis)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52. იხ. აგრეთვე *ნიდეროსტ-ჰუბერი (Niederöst-Huber)* შვეიცარიის წინააღმდეგ, §23.

გამოთქვამდა უქმყოფილებას იმ ფაქტის გამო, რომ სატელეფონო მოსმენის შედეგების შესახებ დაცვას არ ეცნობა. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან „როგორც დაცვას, ისე ბრალდებას აკრძალული ჰქონდათ ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომლებიც მიანიშნებდნენ სახელმწიფო ორგანოების მიერ სატელეფონო ზარების მოსმენაზე, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი დაცული იყო“<sup>441</sup>. იგივე არგუმენტაცია იქნა გამოყენებული გაერთიანებულ სამეფოში საჩივრის დასაშვებობის პროცესზე დასწრების უფლებასთან დაკავშირებით. კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან არც ბრალდებას და არც დაცვას არ მიეცათ დასწრების ნებართვა<sup>442</sup>.

## 2. სასამართლო მოსმენაზე ბრალდების დასწრების მნიშვნელობა

ერთი შეხედვით, შეიძლება პრობლემად არ ჩაითვალოს ბრალდების უარი იმ პრივილეგიებზე, რომლებსაც დაცვა იყენებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს სიმართლეს შეეფერება, თუმცა არა ყოველთვის. მაგალითად, როდესაც დაცვა ესწრება საქმის ზეპირ მოსმენას, ხოლო ბრალდება არ არის წარმოდგენილი, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს მიუკერძოებლობა. პროკურორის სიტყვაზე დაყრდნობის ნაცვლად, მოსამართლე იძულებული იქნება თავად მოახდინოს მსჯავრდების ან/და სასჯელის სასარგებლო არგუმენტების ფორმულირება. მსგავსი ვითარება იყო შექმნილი საქმეში *თორგირ თორგირსონი (Thorgeir Thorgeirson) ისლანდიის წინააღმდეგ*, რომელიც უფრო დეტალურად არის განხილული სასამართლოს დამოუკიდებლობის კონტექსტში<sup>443</sup>. ასეთი პრობლემა, რასაკვირველია, არ წარმოიქმნება, თუ სასამართლო პროცესს არც ერთი მხარე არ ესწრება<sup>444</sup>.

## 3. თანასწორობის აბსტრაქტული ღირებულება

მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიძლება ჰქონდეს ერთი აბსოლუტური ასპექტი, რომლის მიხედვით, დაცვის მიმართ ნებისმიერი უთანასწორობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას, მის მიერ განცდილი ზიანის ჩვენების მიუხედავად. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამას გულისხმობდა სასამართლო *ლანცის (Lanz)* საქმეში: „მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არ არის დამოკიდებული საპროცესო უთანასწორობიდან გამომდინარე, შემდგომ რაოდენობრივად განსაზღვრულ უსამართლობაზე“<sup>445</sup>.

თუმცა სასამართლოს მიერ მოგვიანებით გაკეთებული განცხადებები ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს. მაგალითად, *კრემზოვის (Kremzow)* საქმეში მან აღნიშნა,

<sup>441</sup> *ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §57; იხ. აგრეთვე *ეკბატანი (Ekbatani) შვედეთის წინააღმდეგ*, §30; *ნიდეროსტ-ჰუბერი (Nideröst-Huber) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §23; *მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §62; *APBP საფრანგეთის წინააღმდეგ*, §24; *კრომარი (Kromar) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §39.

<sup>442</sup> *მაგ: X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5871/72; *X გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 7413/76; *EM ნორვეგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2008/792. იხ. პონსე (1977) 54; ველუ და ერგეცი (1990) N 471; ავტორები აკრიტიკებენ ასეთ „დაბალ თანასწორობას.“ ეს კრიტიკა არ არის გამართლებული, ვინაიდან უკავშირდება არა ძირითად უფლებებს, არამედ მხოლოდ „თანასწორობის“ ელემენტს.

<sup>443</sup> თავი 3, ქვეთავი IV.დ. საქმეში *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ* (§34) სასამართლომ ახსენა ბრალდების არყოფნა, თუმცა მხოლოდ იმის სათქმელად, რომ ეს არ გამოიციხავდა სხვა სახის უსამართლოდ არახელსაყრელ პირობებს.

<sup>444</sup> *კრემარი (Kremar) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §39.

<sup>445</sup> *ლანცი (Lanz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §58. იხ. აგრეთვე *ბულუტი (Bulut) ავსტრიის წინააღმდეგ*, §49.

რომ „დაცვის არ განუცდია ზიანი არსებული განსხვავების გამო“ და შესაბამისად, კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია<sup>446</sup>. სხვა საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა და დეტალურად განმარტა, თუ როგორ მოახდინა გავლენა სასამართლო განხილვის შედეგზე იმ ფაქტმა, რომ ბრალდებამ ძალზე გვიან წარმოადგინა მნიშვნელოვანი დოკუმენტი<sup>447</sup>.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა გადახვევა ბრალდებისა და დაცვის თანასწორობის მკაცრი პრინციპიდან, ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლო განხილვის უსამართლობას. აუცილებელია დაცვის მხრისთვის მიყენებული გარკვეული ზიანის ჩვენება. თუმცა ეს არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან თვით პრინციპის განსაზღვრება მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დაცვა გარკვეულ „არახელსაყრელ“ პირობებში უნდა მოექცეს.

## დ. პრეცედენტული სამართალი

პოპულარობის მიუხედავად, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე საქმეთა შედარებით მოკრძალებული რაოდენობა იქნა გადაწყვეტილი. მონმის ჩვენებასთან დაკავშირებული საქმეები ქვემოთ იქნება განხილული მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის საფუძველზე<sup>448</sup>. სხვა საქმეები, რომლებიც შეეხება პირველი ინსტანციით საქმის განხილვას, მოიცავს შეჯიბრებითი პროცესის, პირადად ან დამცველის დახმარებით თავის დაცვისა და დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების უფლებებს. გასაჩივრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საქმეებს აქ არ განვიხილავთ. გასაჩივრების კონტექსტში რჩება მხოლოდ ორი საკითხი: ბრალდების დასწრება სასამართლოს თათბირზე და სისტემა, რომლის მიხედვით, ბრალდება წარუდგენს ანგარიშს ან თვით გადაწყვეტილების პროექტს სასამართლოს, მაგრამ არა დაცვას.

### 1. პროკურორის დასწრება სასამართლოს თათბირზე

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა, შეეხებოდა სამართალწარმოებას ბელგიის საკასაციო სასამართლოს წინაშე. განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სასამართლოს თათბირში<sup>449</sup>. მთავრობის მტკიცებით, ეს მაღალი რანგის სასამართლო მოხელე წარმოადგენდა ინსტიტუტს, რომლის მიზანი იყო პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, და სასამართლოს მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა. შესაბამისად, მოცემულ საქმეში ის ვერ ჩაითვლებოდა განმცხადებლის „მონაწილედ“. სასამართლომ აღიარა, რომ ეს პროცედურა საკმაოდ საეჭვო შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა აუცილებლად ჩათვალა შთაბეჭდილებების მიღმა საქმის

<sup>446</sup> *კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*, §75. ეს გადაწყვეტილება არ იმსახურებს კრიტიკას, ვინაიდან ინფორმაცია მხოლოდ მომხსენებელი მოსამართლის ვინაობას შეეხებოდა, რასაც, როგორც მინიმუმ, თეორიაში, არ აქვს რაიმე მნიშვნელობა სასამართლო განხილვის პროცესში.

<sup>447</sup> *GB საფრანგეთის წინააღმდეგ*, §64-70. სასამართლო დაეყრდნო მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, თუმცა სინამდვილეში განსახილველი საკითხი პროცესის შეჯიბრებითობას, კერძოდ, დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების არსებობას უკავშირდებოდა. იხ. აგრეთვე *სოლაკოვი (Solakov) მაკედონიის წინააღმდეგ*, §62; *კუპილა (Kuopila) ფინეთის წინააღმდეგ*, §35; *ერნსტი (Ernst) და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, §61.

<sup>448</sup> იხ. თავი 11.

<sup>449</sup> *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*.

არსში კარგად გარკვევა და კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია იმ ფაქტმაც, რომ ამ პროცედურას დიდი ხნის ისტორია აქონდა<sup>450</sup>.

20 წლის შემდეგ იგივე საკითხი კვლავ გახდა სასამართლოს განხილვის საგანი. კომისიამ, რომელიც ამ დროისთვის განსხვავებული შემადგენლობის იყო, განაცხადი დასაშვებად მიიჩნია და მივიდა დასკვნამდე, რომ გენერალური პროკურატურის წევრი იყო სახელმწიფოს ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც საკასაციო სასამართლოს წინაშე გამოდიოდა და ის ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის საჩივარს. სასამართლო, რომლის შემადგენლობაც ასევე შეცვლილი იყო, დაეყრდნო პრეცედენტულ სამართალში მომხდარ ცვლილებებს და ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა<sup>451</sup>. ამჯერად, სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტები:

გარდა ამისა, და რაც ყველაზე მთავარია, უთანასწორობა კიდევ უფრო გაიზარდა საკონსულტაციო უფლებამოსილებით აღჭურვილი გენერალური ადვოკატის მონაწილეობით სასამართლოს თათბირში. სრული ობიექტურობის საფუძველზე განეული ამგვარი დახმარება შეიძლება ერთგვარად სასარგებლო აღმოჩნდეს გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, თუმცა ეს ამოცანა, პირველ რიგში, საკასაციო სასამართლოს ეკისრება. მიუხედავად ამისა, რთულია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება მსგავსი დახმარება მხოლოდ სტილისტური რჩევებით შემოიფარგლებოდეს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში, ხშირად განუყოფელია არსებითი საკითხებისგან, თუ ის დამატებით მიზნად ისახავს, როგორც მთავრობამ დაადასტურა, პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების ხელშეწყობას. იმ შემთხვევაშიც, თუ ამ საქმეში ასეთი დახმარება ძალზე შეზღუდული იყო, არსებობდა გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ გენერალურ ადვოკატს ექნებოდა, განმცხადებლის შეწინააღმდეგების შიშის გარეშე, საკუთარი არგუმენტების მხარდაჭერის დამატებითი შესაძლებლობა [სასამართლოს მიერ] საჩივრის უარყოფის მიზნით<sup>452</sup>.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად დამაკმაყოფილებელია. სასამართლო, რომელიც თათბირობს ბრალდების ორგანოს წარმომადგენელთან ერთად, არ შეიძლება ჩაითვალოს მიუყერძოებლად, განსაკუთრებით ბრალდებულის თვალში<sup>453</sup>. შესაბამისად, არ არის გასაკვირი სასამართლოს მითითება, „შთაბეჭდილების“ მნიშვნელობაზე მოცემულ კონტექსტში, მხარეთა თანასწორუფლებიანობის აღწერისას<sup>454</sup>. ისევე, როგორც მიუყერძოებლობის

<sup>450</sup> *Ibid.*, §31. შთაბეჭდილების მნიშვნელობა ხშირად არის ხაზგასმული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კონტექსტში. იხ. მაგ: ლანცი (*Lanz*) ავსტრიის წინააღმდეგ, §57; შლიმან-კაიდი (*Slimane-Kaid*) (No. 2) საფრანგეთის წინააღმდეგ, §20; სტაეროსი მიჩნევს, რომ ეს არის „პრეცედენტულ სამართალში სიმწიფის ახალი ფაზის მანიშნებელი, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტის უკეთ გააზრებიდან, რომ მართლმსაჯულების განხორციელება ფუჭი საქმიანობაა, თუ ის ვერ აღძრავს ნდობას საზოგადოების წევრებს შორის“. სტაეროსი (1993) 243.

<sup>451</sup> ბორგერსი (*Borgers*) ბელგიის წინააღმდეგ, §24-8.

<sup>452</sup> *Ibid.*, §28.

<sup>453</sup> თავი 3. ქვეთავი IV.

<sup>454</sup> ბორგერსი (*Borgers*) ბელგიის წინააღმდეგ, §24, 29. იხ. აგრეთვე ვერმულენი (*Vermeulen*) ბელგიის წინააღმდეგ, §34; ბულუტი (*Bulut*) ავსტრიის წინააღმდეგ, §47; ლანცი (*Lanz*)

შემთხვევაში, აქაც გადამწყვეტი ელემენტია ის, თუ რამდენად „ობიექტურად გამართლებულია შთაბეჭდილებით გამოწვეული ეჭვები“<sup>455</sup>. სასამართლომ მოგვიანებით დაადასტურა აღნიშნული მიდგომა სხვა საქმეებში, რომლებიც უკავშირდებოდა ბელგიას, საფრანგეთს, პორტუგალიასა და ნიდერლანდებს<sup>456</sup>.

## 2. ბრალდების პრივილეგირებული ინფორმაცია

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სამი გზა, რომლითაც დაცვა შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით. პირველი, სასამართლო განხილვის პროცესში საქმეზე დამატებული მასალის ან სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ხელმისაწვდომობა; მეორე, ბრალდების ან დაცვის მოწინააღმდეგე სხვა მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტის ხელმისაწვდომობა, ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით; და მესამე, სასამართლოს მომხსენებელი წევრის მიერ მომზადებული განაჩენის პროექტის გადაცემა ექსკლუზიურად ბრალდებისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან პირველს თითქმის სრულად მოიცავს მე-1 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების შესახებ. მეორე საკითხი უნდა იქნეს განხილული „შეჯიბრებითი პროცესის უფლებს“ სათაურის ქვეშ. ბოლო საკითხი კი უკავშირდება „მხარეთა თანასწორუფლებიანობას.“ შესაბამისად, აქ მხოლოდ მესამე საკითხს შეეხებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ყოველთვის არ იყენებს მკაფიო და თანმიმდევრულ მიდგომას და ხშირად ერთობლიობაში განიხილავს შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

### ა. მომჩივნის ინფორმირება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში საქმის მოსმენის თარიღის შესახებ

მხოლოდ სპეციალურად უფლებამოსილ იურისტებს აქვთ ნებადართული, რომ გამოვიდნენ საფრანგეთის საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების წინაშე. მიუხედავად ამისა, ინდივიდებს შეუძლიათ გასაჩივრება როგორც დამცველის დახმარების გარეშე, ისე იმ იურისტის დახმარებით, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გამოვიდეს უმადლესი სასამართლო ორგანოების წინაშე. თუმცა ასეთ შემთხვევაში არ ხდება პირის ინფორმირება სასამართლო პროცესის თარიღისა თუ საბუთების წარდგენის ვადების შესახებ.

ეს საკითხი სტრასბურგის ორგანოებმა პირველად განიხილეს *მელინის (Melin)* საქმეში, რომელშიც განმცხადებელი ყოფილი ადვოკატი იყო. განმცხადებლის საჩივარი წარდგენიდან ოთხი თვის შემდეგ იქნა უარყოფილი იმ მოტივით, რომ არ მიუთითებდა გასაჩივრების საფუძვლებს. განმცხადებლის განმარტებით, მას არ შეეძლო აღნიშნული საფუძვლების მითითება, ვინაიდან არ გადაეცა სასამართლოს

ავსტრიის წინააღმდეგ, §57; შლიმან-კაიდი (*Slimane-Kaid*) (No. 2) საფრანგეთის წინააღმდეგ, §20; ოჯალანი (*Öcalan*) თურქეთის წინააღმდეგ, §159; კრესი (*Kress*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §81, 82 (სამთავრობო კომისიარის ფუნქციასთან დაკავშირებით).

<sup>455</sup> ბრანდშტეტერი (*Brandstretter*) ავსტრიის წინააღმდეგ, §44 (ექსპერტ მონმის მიუყვარებლობის კონტექსტში).

<sup>456</sup> ვერმელენი (*Vermeulen*) ბელგიის წინააღმდეგ, §34; ფონტენი (*Fontaine*) და ბერტინი (*Bertin*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §64-6; შლიმან-კაიდი (*Slimane-Kaid*) (No. 2) საფრანგეთის წინააღმდეგ, §20; კრესი (*Kress*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §77; APBP საფრანგეთის წინააღმდეგ, §28, 29; ლობო მაჩადო (*Lobo Machado*) პორტუგალიის წინააღმდეგ, §32, 34; იხ. აგრეთვე *ქი ნიდერლანდების წინააღმდეგ*.

ის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაც სურდა. კომისიამ ერთხმად დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, თუმცა სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა. მან მისაღებად ჩათვალა მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებელს შეეძლო შესაბამისი ზომების მიღება გადაწყვეტილებისა და საკასაციო სასამართლოს სამდივნოსგან სასამართლო მოსმენის თარიღის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ვინაიდან განმცხადებელმა ნებაყოფლობით განაცხადა უარი კვალიფიციური იურისტის დახმარებაზე, თავად უნდა გამოეჩინა ჯეროვანი გულმოდგინება<sup>457</sup>.

სხვა საქმეში, რომელიც იმავე საკითხს ეხებოდა, სასამართლომ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო. ეს საქმე ორი ასპექტით განსხვავებულა *მელინის (Melin)* საქმისგან. პირველი, განმცხადებელმა გონივრულ ვადაში წარადგინა გასაჩივრების საფუძვლები (თუმცა მაინც დაგვიანებით, რადგან საკასაციო სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება); და მეორე, განმცხადებელი არ იყო იურისტი<sup>458</sup>. სასამართლოს განცხადებით, „... სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ყველა პირის მიერ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა. გამოყოფილი ვადის ათელის დაწყებისა და დასრულების დროის გაგების ტვირთის დაკისრება მსჯავრდებულებზე არ შეესაბამება „გულმოდგინებას“, რომელიც ხელშემკერელმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად“<sup>459</sup>. მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული მოგვიანებით განხილულ საქმეებშიც<sup>460</sup>.

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების ერთობლივ გამოყენებას. თუმცა, ვინაიდან ბრალდების ორგანო უთუოდ ინფორმირებული იყო სასამართლო განხილვის პროგრესისა და ზეპირი მოსმენის თარიღის შესახებ, ადგილი ჰქონდა ასევე მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევას.

### **ბ. მომხსენებელი მოსამართლის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტის გადაცემა ბრალდებისთვის**

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს განაჩენის მომზადების საკმაოდ სპეციფიკური მეთოდი ჰქონდა. სასამართლოს ერთ-ერთ წევრს ევალებოდა სასამართლოს თათბირისა და განაჩენის მომზადება<sup>461</sup>. კერძოდ, მისი ფუნქცია იყო წინასწარი ანგარიშის შედგენა, რომელიც საფუძვლად ედებოდა სასამართლოს თათბირს. ამ პროცესში ყველაზე უჩვეული ის იყო, რომ ანგარიში გადაეცემოდა ბრალდებას, მაგრამ არა დაცვას. ანგარიშის არსის შესახებ დაცვის ადვოკატების ინფორმირება ხდებოდა მოგვიანებით, თუმცა მათ არ ეძლეოდათ დეტალური ახსნა-განმარტების ხილვის საშუალება. სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ ეს ნუსი ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. თუმცა ამ საქმეში სწორედ მხარეთა თანასწორუფლებიანობა იყო მთავარი განსახილველი საკითხი<sup>462</sup>.

<sup>457</sup> *მელინი (Melin)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 24, 25.

<sup>458</sup> *ვაშერი (Vacher)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 26.

<sup>459</sup> *Ibid.*, § 28.

<sup>460</sup> *ფრეტი (Frette)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 49.

<sup>461</sup> ეს მეთოდი გამოიყენებოდა ადამიანის უფლებათა ყოფილი კომისიის მიერ და დღესაც გამოიყენება სასამართლოს მიერ.

<sup>462</sup> *რეინჰარტი (Reinhardt)* და *სლიმან-კაიდი (Slimane-Kaid)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 105; იხ. აგრეთვე *მაკჯი (McGee)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 15; *ბერგერი (Berger)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 42, 43; *ფონტენი (Fontaine)* და *ბერტინი (Berlin)* საფრანგეთის წინააღმდეგ.

## IV. სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება

### ა. სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლების მნიშვნელობა და დანიშნულება

ადამიანის უფლებათა არც ერთ საერთაშორისო ინსტრუმენტში არ არის მითითებული სასამართლოს ვალდებულების შესახებ, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები. შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს ამ უფლებაზე საუბარი სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიის კონტექსტში, რადგან გადაწყვეტილების არგუმენტირება რელევანტურობას იძენს მხოლოდ სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ, თუმცა ეს მოსაზრება თავის ძალას კარგავს, თუ სამართლიანობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო განხილვაზე, არამედ სამართალწარმოების მთლიან პროცესზე. სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობის მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა უდევს მას საფუძვლად. თუმცა ეს არგუმენტიც კარგავს დამაჯერებლობას, როდესაც ბოლო ინსტანციის სასამართლოსაც ევალება გადაწყვეტილებების დასაბუთება. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მე-6 მუხლის გამოყენება და მისი შედეგები არ შემოიფარგლება სასამართლოს გადაწყვეტილებით<sup>463</sup>. ის ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, რომელთა უზრუნველყოფა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, შეუძლებელია, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სრულად მოტივირებული.

დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, *ბრიკმონის (Bricmont)* საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას, ვინაიდან მიზეზების მოყვანის გარეშე იქნა უარყოფილი განმცხადებლის შუამდგომლობა მონმის ჩვენების მოსმენის შესახებ<sup>464</sup>.

#### 1. ფუნქციური ორიენტაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების სასარგებლო ერთ-ერთი არგუმენტი გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა<sup>465</sup>. გასაჩივრების უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის<sup>466</sup> პირს უნდა ჰქონდეს იმ მიზეზების შესწავლის საშუალება, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებას. როგორც სასამართლომ განაცხადა *პაჯიანანსტასიუს*

§61-63; *ლილი (Lilly)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §24; *სლიმან-კაიდი (Slimane-Kaid)* (No. 2) საფრანგეთის წინააღმდეგ, §17; *კროშარი (Crochard)* და *ვეილი სხვა საფრანგეთის წინააღმდეგ*, §13; *ვეილი (Weil)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §26, 27; *პასკოლინი (Pascolini)* იტალიის წინააღმდეგ, §23.

<sup>463</sup> *ასანიძე (Assanidze)* საქართველოს წინააღმდეგ, §181.

<sup>464</sup> *ბრიკმონი (Brickmont)* ბელგიის წინააღმდეგ, §151-3.

<sup>465</sup> იხ. ესერი (2002) 745. ეს არის მთავარი მიზეზი ამ ავტორისთვის. იხ. აგრეთვე გოლევიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 73. საქმეში *PK ფინეთის წინააღმდეგ* რაიონული სასამართლოს არასაკმარისი არგუმენტიცაა ძირითადი საკითხი იყო თვით შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში.

<sup>466</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14(5) მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლის მე-2(ე) პუნქტი.

(*Hadjianastassiou*) საქმეში, „ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ... მიუთითონ საქმარისი სიცხადით ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღეს გადაწყვეტილება. სწორედ ეს ხდის, *inter alia*, შესაძლებელს, რომ ბრალდებულმა ჯეროვნად განახორციელოს მისთვის ხელმისაწვდომი გასაჩივრების უფლებები“<sup>467</sup>. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების საჭიროება არ არსებობს, როდესაც საქმეს ბოლო ინსტანციის სასამართლო იხილავს. ეს მოსაზრება, რომელიც გამოითქვა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს<sup>468</sup> და რამდენიმე ავტორის<sup>469</sup> მხრიდან, სამართლიანად იქნა უარყოფილი ჰეფლიგერისა და შურმანის მიერ<sup>470</sup>.

## 2. სამართლის თეორია

სამართლებრივი გადაწყვეტილების მიზეზების მოყვანის აუცილებლობა მჭიდრო კავშირშია სამართლის, როგორც მეცნიერების ბუნებასთან. სამართალი უფრო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მიეკუთვნება, ვიდრე საბუნებისმეტყველოს. სამართალში ამა თუ იმ მტკიცების სისწორის გარკვევა შეუძლებელია მეცნიერული ექსპერიმენტის მსგავსი მეთოდის გამოყენებით. აქ ჰიპოთეზის შემონგება შესაძლებელია მხოლოდ მოყვანილი მიზეზების საფუძველზე, რომლებიც უნდა იყოს ამომწურავი და ლოგიკური. მიზეზების გარეშე გადაწყვეტილებას ვერ ექნება პრეტენზია არა მარტო სიზუსტეზე, არამედ სამართლებრივი ხასიათის ქონაზე. შესაბამისად, არგუმენტირების გარეშე შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების განსხვავება თვითნებურისგან. სხვა სიტყვებით, გადაწყვეტილება, რომელშიც არ არის მოყვანილი მისი მიზეზების საფუძვლები, შეიძლება არ იყოს თვითნებური, თუმცა ნამდვილად ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას<sup>471</sup>. აღსანიშნავია, რომ იტალიაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ან მასში ლოგიკის არარსებობა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია<sup>472</sup>.

## 3. გადაწყვეტილების მისაღებობა

სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, უარყოფითია ერთ-ერთი მხარისთვის. იმისათვის, რათა ასეთი შედეგი მისაღები გახდეს ორივე მხარისთვის, აუცილებელია სასამართლოს მიერ დამაჯერებელი მიზეზების მოყვანა. ეს საკითხი გახდა განხილვის საგანი საქმეში, რომელშიც განმცხადებელი ასაჩივრებდა მისთვის საადეოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, ჩამორთმეული უფლების აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ „განსაკუთრებულ გარემოებებში“. სასამართლომ ხაზი გაუსვა „განსაკუთრებული გარემოებების“ კანონისმიერი ცნების ბუნდოვან ხასიათს<sup>473</sup> და განაცხადა, რომ „სწორედ ეს სიცხადის ნაკლებობა, უფრო მეტად ხდიდა აუცილებელს სასამართლოს მიერ საქმარისი მიზეზების მოყვანას ...“<sup>473</sup>

<sup>467</sup> *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბრძანებლის წინააღმდეგ*, §33.

<sup>468</sup> BGE 103 Ia 206.

<sup>469</sup> პოიკერტი (1980) 267; ვილდჰაბერი (1979).

<sup>470</sup> ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 189.

<sup>471</sup> რენუჩი (2002) 143.

<sup>472</sup> ICCP 606-ე მუხლის 1(ე) „*manca o manifesta illogicità della motivazione.*“

<sup>473</sup> *H ბელგიის წინააღმდეგ*, §53. სიცხადის ნაკლებობა მოითხოვდა უფრო დეტალურ არგუმენტაციას საქმეში *გეორგიადის (Georgiades) საბრძანებლის წინააღმდეგ* (§43), რომელშიც უკანონო პატიმრობისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციაზე უარის თქმის მოტივად სასამართლომ მოუთითა განმცხადებლის „უხეში დაუდევრობა,“ თუმცა არ



#### 4. გამჭვირვალობა

გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულება შეიძლება ასევე დაუეკავშიროთ საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას. არა მხოლოდ მხარეები უნდა დარწმუნდნენ, რომ სასამართლომ სწორად, როგორც მინიმუმ, მისაღებად, გადაჭრა მათი პრობლემა, არამედ თანაბრად მნიშვნელოვანია, საზოგადოებაც დარწმუნდეს, რომ სასამართლო განხილვა იყო სამართლიანი, სათანადო გულდასმით მოხდა განსახილველი საკითხის შესწავლა და მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს მოსამართლეთა არაჯეროვანი მოტივები.

#### 5. მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება, როგორც მოსმენის უფლების ასპექტი

სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება შეიძლება განვიხილოთ მოსმენის უფლების ერთ-ერთ ასპექტად<sup>474</sup>. საერთაშორისო ორგანოს პერსპექტივიდან გამომდინარე, ეს არის საკმაოდ რთული ასპექტი, რადგან მჭიდრო კავშირშია საქმის გადაწყვეტასთან. მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, ისევე როგორც შეჯიბრებითი პროცესის უფლება, ემსახურება მხარის უზრუნველყოფას, საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებსა და კანონებზე საკუთარი აზრის გამოთქმისა და სასამართლოსათვის იმ არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობით, რომლებიც გავლენას იქონიებენ მის გადაწყვეტილებაზე. თუმცა მხოლოდ ეს მოთხოვნა ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ჯეროვან ყურადღებას. ამავე დროს, შეუძლებელია იმის პირდაპირ შემონეშება, მოსამართლემ მართლა მოუსმინა თუ არა მხარის არგუმენტებს ან გაიგო თუ არა მათი მნიშვნელობა. ზოგჯერ იმის ცოდნაც კი არ არის იოლი, ეძინა თუ არა მოსამართლეს, როდესაც თვალები ჰქონდა დახუჭული<sup>475</sup>.

სასამართლომ პირდაპირ მხოლოდ ერთხელ განიხილა ეს საკითხი. *კრასკას (Kraska)* საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რადგან ფედერალური სასამართლოს პალატის ნევრმა, რომელმაც განიხილა მისი საჩივარი, აღიარა, რომ სრულად არ ჰქონდა შესწავლილი საქმის მასალები, მათ შორის არ წაუკითხავს მომჩივნის ყველა წარდგინება. სასამართლოს განცხადებით, „მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზანია, *inter alia*, მხარეთა წარდგინებების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების ჯეროვანი განხილვის ვალდებულების დაკისრება „სასამართლოზე,“ გადაწყვეტილებისადმი მათი რელევანტურობის მიმართ მიკერძოების გარეშე“<sup>476</sup>. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საქმის განხილვაში და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „... არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ სასამართლოს ნევრებმა ჯეროვანი გულდასმით არ შეისწავლეს საჩივარი, სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ“<sup>477</sup>. სასამართლოს მიხედვით, ამ მოსაზრებას ასევე ადასტურებდა ის ფაქტი, რომ არც ერთ მოსამართლეს არ მოუთხოვია საქმის განხილვის გადაღება.

---

განუმარტავს რას მოიცავდა ეს უკანასკნელი. საქმეში *კრასკისი (Karakasis)* საბერძნეთის *ნინაალმდეგ* (§27) „სასამართლომ საერთოდ არ მიუთითა კომპენსაციაზე უარის თქმის მიზეზები“.

<sup>474</sup> იხ. აგრეთვე ტრექსელი (2001) 165.

<sup>475</sup> ეს მაგალითი არ არის ჰიპოთეტური, არამედ ემყარება საქმეში *სენი (Senn)* *შვეიცარიის ნინაალმდეგ* (განაცხადი 17601/91) არსებულ ფაქტებს.

<sup>476</sup> *კრასკა (Kraska)* *შვეიცარიის ნინაალმდეგ*, §30. *ვან დერ ჰურკი (Van der Hurk)* *ნიდერლანდების ნინაალმდეგ*, §59.

<sup>477</sup> *კრასკა (Kraska)* *შვეიცარიის ნინაალმდეგ*, §32

აღნიშნული გადანყვეტილება წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მიერ პატივისცემის დემონსტრირებას შევიცარიელი კოლეგების მიმართ. ერთი მხრივ, ეს სრულებით გასაგებია, თუმცა, მეორე მხრივ, შევიცარიელი მოსამართლის აღიარების გათვალისწინებით, რომ არ ჰქონდა საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი ყველა მასალის ნაკითხვის დრო, საკმაოდ მოულოდნელი. შეიძლება მცდარი არ იყოს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოსამართლეთა უმრავლესობას ერთხელ მაინც მიუღია მონანილეობა გადანყვეტილების მიღებაში საქმის მასალებში მოცემული ყველა წინადადების ნაკითხვის გარეშე. მოსამართლეებმა ასევე იციან, რომ საქმის მასალების დიდი ნაწილი გამეორებებს შეიცავს და შესაბამისად, მათი გაცნობა ხელს ვერ შეუწყობს მართებული გადანყვეტილების მიღებას. თუმცა ეს არის რეალობა, რომელიც უნდა დარჩეს „უთქმელად“.

გარკვეული ირონია შეიძლება ამოვიკითხოთ იმ ფაქტში, რომ სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა შთაბეჭდილების მნიშვნელობაზე: „სასამართლოს მრავალჯერ გაუსვამს ხაზი მართლმსაჯულების განხორციელებაში შთაბეჭდილებების მნიშვნელობაზე, თუმცა ამავე დროს განუმარტავს, რომ [საქმეში მონაწილე] პირთა შეხედულებები არ არის თავისთავად გადამწყვეტი. დამატებით, აუცილებელია, რომ პირთა უნდობლობა სასამართლოსადმი, მათ შორის სასამართლო განხილვის სამართლიანობასთან მიმართებაში, ობიექტურად იყოს დასაბუთებული“<sup>478</sup>. სასამართლოს არ განუმარტავს, რატომ იყო უსაფუძვლო განმცხადებლის ეჭვები, თუმცა ღიად გააკრიტიკა შევიცარიელი მოსამართლე<sup>479</sup>.

შესაბამისი მიზეზების მოყვანა, რომლებიც საფუძვლად უდევს გადანყვეტილების მიღებას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის დემონსტრირებაში, რომ მხარის არგუმენტები მართლა იქნა მოსმენილი და გაგებული. არგუმენტების უარყოფა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ნიშნავს, რომ, ან სასამართლომ კარგად არ მოუსმინა მხარეს ან თვითნებური გადანყვეტილება მიიღო. შესაბამისად, მოტივირებული გადანყვეტილების უფლება ახლოს დგას სასამართლოს მიერ სწორი გადანყვეტილების მიღების უფლებასთან, რომელიც ვერ ჩაითვლება „ადამიანის უფლებად“<sup>480</sup>. საქმეებში ჰირო ბალანი (*Hiro Balani*) ესპანეთის წინააღმდეგ და რუის ტორიხა (*Ruiz Torija*) ესპანეთის წინააღმდეგ მიღებული გადანყვეტილებებიდან შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ არსებითად მცდარად მიიჩნია ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება. მსგავსი ვითარება შეიქმნა დელორანის (*Delaurans*) საქმეში, როდესაც მან გააკრიტიკა საფრანგეთის საკასაციო სასამართლო საჩივრის არასწორად უარყოფისთვის. ზოგიერთ ავტორს ეს გადანყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვან განვითარებად მიაჩნია პრეცედენტულ სამართალში, ვინაიდან ის მიანიშნებს სტრასბურგის სასამართლოს მზადყოფნაზე, შეამოწმოს, რამდენად სწორად იქნა გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა<sup>481</sup>. თუმცა მეოთხე ინსტანციად ქცევის შედეგად გამოწვეული სამუშაოს მოცულობა სასამართლოს აიძულებს,

<sup>478</sup> *Ibid.*,

<sup>479</sup> *Ibid.*, § 33: „მოსამართლის კომენტარი ღია კრიტიკისთვის!“ სასამართლომ გააკრიტიკა არა გადანყვეტილების მიღებაში მოსამართლის მონანილეობის ფაქტი, არამედ მის მიერ იმის აღიარება, რომ ბოლომდე არ იცნობდა საქმის მასალებს. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს ფარისევლობის ელემენტს.

<sup>480</sup> თუმცა იხ. ლუკაიდესი (2003) 30.

<sup>481</sup> რენუჩი (2002) 142; ლუკაიდესი (2003) 30; ბარეტო (1999) 137. ეს უკანასკნელი ავტორი ძალზე შორს მიდის, როდესაც აცხადებს, რომ არასწორი არგუმენტაცია დასაბუთების არარსებობის ტოლფასია. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, სწორია თუ არა დასაბუთება, რაც მას მეოთხე ინსტანციის სასამართლოდ აქცევს.

ნებისმიერ შემთხვევაში, უარი თქვას ამ ფუნქციის შესრულებაზე. სინამდვილეში, დელორანის (*Delaurans*) საქმეში ევროპულ სასამართლოს არ შეუფასებია ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, არამედ განიხილა მისი თვითნებურობის საკითხი. ეს არის სხვაობა, რომელიც კარგად არის ნაცნობი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია და შვეიცარია. გადაწყვეტილება თვითნებურია, თუ ის არ ემყარება სალ აზრს და შესაბამისად, წარმოადგენს მართლმსაჯულების პრინციპების ხელოვანს<sup>482</sup>. ეს მოსაზრება დადასტურებულია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებში<sup>483</sup>.

## ბ. დასაბუთების სტანდარტები

რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქმარისად დასაბუთებულია თუ არა? ამ შემთხვევაშიც სასამართლო საქმოდ ბუნდოვანია:

დასაბუთების ვალდებულების ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს [სასამართლოს] გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე ... მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, *inter alia*, წარდგინებების მრავალფეროვნება, რომლებითაც მომჩივანმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს და ხელშემკერელ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებები საკანონმდებლო ნორმების, ჩვეულებითი წესების, სამართლებრივი მოსაზრების და გადაწყვეტილებების ფორმულირების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, სასამართლოს მიერ [თავისი გადაწყვეტილების] დასაბუთების ვალდებულების შესრულების საკითხი, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით<sup>484</sup>.

სასამართლოს ეს განმარტება მცირე სარგებლობის მომტანია ეროვნული სასამართლოს მოსამართლის ან იმ პირისთვის, რომელსაც სურს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ადეკვატურობის გასაჩივრება.

მოცემულ საკითხში გარკვეული სიცხადე შეაქვს საქმეებს, რომლებშიც კონვენციის დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი. მაგალითად, *ვან დერ ჰურკის (Van der Hurk)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ეს გარანტია „არ შეიძლება გავიგოთ როგორც თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნა“<sup>485</sup>.

<sup>482</sup> იხ. მაგ. შეფერი (2001) 507.

<sup>483</sup> იხ. მაგ. *ანონი დი გისოლა (Annoni di Gussola)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ; მორტიერი (Mortier) საფრანგეთის წინააღმდეგ*. ბოლო საქმეში საკასაციო სასამართლომ არ განიხილა საჩივარი, ვინაიდან განმცხადებელი არ დემონსტრირებდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. მსგავს გადაწყვეტილებებს ვხვდებით სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. მაგ. *პერეს დე რადა კავანილესი (Perez de Rada Cavanilles)* ესპანეთის წინააღმდეგ; *მირაგალ ესკოლანო (Miragal Escolano)* ესპანეთის წინააღმდეგ; *იაგცილარი (Yagtzilar)* და *სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*.

<sup>484</sup> *ჰირო ბალანი (Hiro Balani)* ესპანეთის წინააღმდეგ, §27; *რუის ტორისა (Ruiz Torja)* ესპანეთის წინააღმდეგ, §29; *ჰელე (Helle)* ფინეთის წინააღმდეგ, §55. უფრო გამარტივებული ფორმულირებისთვის იხ. მაგ. *ჰიგინსი (Higgins)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §42; *გარსია რუისი (Garcia Ruiz)* ესპანეთის წინააღმდეგ, §26; ადრეული გადაწყვეტილებებისთვის იხ. მაგ. *Firestone Tire* და *Rubber Co, Firestone Tyre* და *Rubber Co Ltd*, და *International Synthetic Rubber Co Ltd* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5460/72.

<sup>485</sup> *ვან დერ ჰურკი (Van der Hurk)* *ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §61; *გარსია რუისი (Garcia*

ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სასამართლომ უნდა მოიყვანოს მიზეზები მხარის მიერ წარდგენილ ყველა იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს გადაწყვეტილების მიღებისთვის ან სხვა სიტყვებით, რომელიც „გაზიარების შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება საქმის შედეგისთვის“<sup>486</sup>. სასამართლო ხშირად იმეორებს, რომ ის არ არის უფლებამოსილი, გამოხატოს თავისი პოზიცია მოცემულ საკითხზე. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ, სულ მცირე, განსაზღვროს, არგუმენტი აშკარად უსაფუძვლოა თუ არა<sup>487</sup>.

სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მტკიცებულებების შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები<sup>488</sup>. დასაბუთება შეიძლება გადმოიცეს შემოკლებული ფორმით, მაგალითად, იმ მუხლზე მითითებით, რომელიც საფუძვლად უდევს საჩივრის უარყოფას, თუ ეს საკმარისია სასამართლოს მოტივაციის გასაგებად<sup>489</sup>. თუმცა ფაქტების დადგენასთან მიმართებაში უფრო რთულია მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბება<sup>490</sup>.

## გ. მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების ფარგლები

### 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა მნიშვნელოვან შეზღუდვებს უნესებს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებას. ასეთ დროს, მოტივირებული გადაწყვეტილების ნაცვლად, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი, რომელიც წარმოებულია ლათინური სიტყვებიდან „*vere dictum*“ (სიმართლის თქმა). ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ არ არის მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება საერთო სამართლის ტრადიციის ნაწილი<sup>491</sup>. შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა ეს სისტემა ცნო ფედერალურ კანონთან შეუსაბამოდ, ვინაიდან არ იძლეოდა იმის განსაზღვრის საშუალებას, რამდენად სწორად იქნა გამოყენებული კანონი. აუცილებელი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების, სულ მცირე, მოკლე დასაბუთების არსებობა<sup>492</sup>. ასეთმა დასაბუთებამ შეიძლება მიიღოს მოსამართლის მიერ ფორმულირებული კითხვების ფორმა, რომლებსაც პასუხს გასცემენ ნაფიც მსაჯულები. ეს კითხვები ასევე იგულისხმება ვერდიქტის გამოსატანად ნაფიც მსაჯულთა განმარტობამდე, მოსამართლის მიერ წარმოთქმულ შემაჯამებელ სიტყვაში<sup>493</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დღემდე არ ჰქონია ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა<sup>494</sup>.

---

*Ruiz* ესპანეთის წინააღმდეგ, §26; *ჰელე (Helle)* ფინეთის წინააღმდეგ, §55. იხ. ველუ და ერგეცი (1990) N 478.

<sup>486</sup> პარისი, ოზილი და უორბრიქი (1995) 215.

<sup>487</sup> ამის შესახებ საზგასმულა საქმეებში *ჰირო ბალანი (Hiro Balani)* ესპანეთის წინააღმდეგ (§38) და *რუის ტორიხა (Ruiz Torija)* ესპანეთის წინააღმდეგ (§30).

<sup>488</sup> *ჰიგინსი (Higgins)* და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>489</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8769/79.

<sup>490</sup> საკმაოდ რთულია იმის ახსნა, რატომ უჯერებს სასამართლო ერთ მოწმეს და არა მეორეს. თუმცა ევროპული სასამართლო ვერ გათავისუფლდება ამ ამოცანისგან: ფროვანი (2001) 215.

<sup>491</sup> სპენსერი (2001) 173 at 75.

<sup>492</sup> BGE 78 IV 143 (1952). ჰაუზერი და შერი (2002) §20 N 9.

<sup>493</sup> სტავროსი (1993) 258.

<sup>494</sup> სპენსერი (2001) 180. იხ. აგრეთვე კიავარიო (2001) 198.

## 2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

გასაჩივრების პროცესი დამოკიდებულია კონკრეტული საპროცესო სისტემის სტრუქტურაზე და წიგნის ამ ნაწილის მიზნებისთვის მოითხოვს გარკვეულ განმარტებებს. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ორი ტიპის გასაჩივრება: პირველი, „ჩვეულებრივი გასაჩივრება“, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ხელახლა უნდა განიხილოს როგორც საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, ისე კანონის გამოყენება (*"appel," „Berufung"*); მეორე, გასაჩივრება „საკასაციო ინსტანციაში“ ან კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე (*"recours en cassation," „Nichtig-keitsbeschwerde“* ავსტრიაში და შვეიცარიაში; *„Revision“* გერმანიაში). გასაჩივრების ეს უკანასკნელი სახეობა ნებას რთავს მომჩივანს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ კონკრეტული ხარვეზები და ძირითადად უკავშირდება საპროცესო ან კანონის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს<sup>495</sup>.

„საკასაციო ინსტანციაში“ გასაჩივრების საფუძველზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს დასაბუთება. სასამართლომ უნდა განმარტოს, რატომ არის გამართლებული ან გაუმართლებელი წინა გადაწყვეტილების კრიტიკა მისი გაუქმების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. „ჩვეულებრივი გასაჩივრების“ შემთხვევაში კი სასამართლომ შეიძლება ახალი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც წინა გადაწყვეტილების იდენტურია. ასეთ დროს, მეორე ინსტანციის სასამართლოსთვის ნებადართულია, უბრალოდ მიუთითოს წინა გადაწყვეტილებაზე, მასში მოყვანილი დასაბუთების გამორების ნაცვლად<sup>496</sup>. სამწუხაროდ, ამ საკითხზე სასამართლო ბუნდოვანი განმარტებით შემოიფარგლა: „სამართლიანი სამართალწარმოების ცნება მოითხოვს იმის უზრუნველყოფას, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც მწირი მიზეზები მოიყვანა თავისი გადაწყვეტილებებისთვის, ქვემდგომი სასამართლოს არგუმენტების ინკორპორირების გზით ან სხვაგვარად, მართლა განიხილა მის იურისდიქციაში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხები და უბრალოდ არ დაადასტურა ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც მხარეს არ მიეცა შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში ზეპირი ფორმით საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა“<sup>497</sup>. სასამართლოს ეს განცხადება შეიძლება ნიშნავდეს, რომ, თუმცა ქვემდგომი სასამართლოს დასაბუთებაზე დაყრდნობა მისაღებია, სააპელაციო სასამართლომ, როგორც მინიმუმ, უნდა განიხილოს მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ახალი არგუმენტები.

## დ. პრეცედენტული სამართალი

ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართალი სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებაზე მრავალფეროვანი არ არის და ძირითადად სამოქალაქო საქმეებს უკავშირდება. საქმეში *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ* განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იძულებული იყო მსჯავრდების მიზეზების გაცნობამდე გაესაჩივრებინა

<sup>495</sup> საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების საკითხის საინტერესო ისტორიული მიმოხილვისთვის იხ. მერიმენი (1985) 39, 120, 121.

<sup>496</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1035/61; *Firestone Tire და Rubber Co, Firestone Tyre და Rubber Co Ltd*, და *International Synthetic Rubber Co Ltd გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5460/72.

<sup>497</sup> *ჰელე (Helle) ფინეთის წინააღმდეგ*, § 60.

გადანყვეტილება, რათა არ გაეშვა კანონით გათვალისწინებული ვადა<sup>498</sup>. ეს ამკარად ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას. კონვენციის ერთ-ერთი დარღვევა უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დროულად ვერ წარმოადგინა მოტივირებული გადაწყვეტილება.

საქმეში *ვან დერ ჰურკი (Van de Hurk)* ნიდერლანდების წინააღმდეგ განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არ განიხილა კომპენსაციის გამოთვლის მის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული მეთოდი. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო „არასაკმარისად დასაბუთებული“ და შესაბამისად, კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ აგრეთვე განიხილა ორი საქმე ესპანეთის წინააღმდეგ, *ჰირო ბალანი (Hiro Balani)* და *რუის ტორიხა (Ruiz Torija)*, რომლებიც უზენაესი სასამართლო წინაშე სამოქალაქო სამართალწარმოებას შეეხებოდა და ერთსა და იმავე დღეს იქნა გადაწყვეტილი. უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლების ისეთი არგუმენტები უგულვებელყო, რომლებიც თვით ევროპული სასამართლოს „უხალისო“ შეფასების საფუძველზე, შეიძლება გადამწყვეტი გამხდარიყო საქმის შედეგისთვის. ეს კი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ორ საქმეში სასამართლო ძალზე ახლოს იდგა „მეოთხე ინსტანციის“ სასამართლოს ფუნქციების შესრულებასთან<sup>499</sup>.

საქმეში *ჰიგინსი (Higgins)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* საკასაციო სასამართლოს, როგორც ჩანს, დაავიწყდა ერთ-ერთი განმცხადებლის საჩივრის განხილვა. ორ საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ პაპეეტეს სააპელაციო სასამართლო ვერ ჩაითვლებოდა მიუკერძოებლად და გადასცა ისინი განსახილველად პარიზის სასამართლოს. თუმცა მესამე საქმესთან მიმართებაში, რომელიც წინა ორის იდენტური იყო, სხვაგვარად მოიქცა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, „შეუძლებელი იყო იმის ცოდნა, საკასაციო სასამართლომ დაუდევრობა გამოიჩინა მესამე საქმესთან დაკავშირებით ბრძანების გაუცემლობისას, თუ გადაწყვიტა, რომ არ გაეცა ბრძანება საქმის გადაცემის შესახებ და თუ ასეა, რატომ“<sup>500</sup>.

საქმეში *პიზანო (Pisano)* იტალიის წინააღმდეგ განაცხადი შეეხებოდა სასამართლოს მიერ მონმის მოსმენაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების არასაკმარის მოტივირებას. სასამართლომ ხაზი გაუსვა მოცემულ სფეროში თავისი კომპეტენციის საზღვრებს და საკმაოდ სარწმუნოდ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასების საფუძველზე, იძლეოდა სათანადო განმარტებას იმის თაობაზე, თუ რატომ არ მოხდა მონმის გამოძახება<sup>501</sup>.

<sup>498</sup> შემდეგ საქმეებში კომისიას უკვე დადგენილი ჰქონდა, რომ მე-6 მუხლი მოითხოვს საკუთარ გადაწყვეტილებების დასაბუთებას *Firestone Tyre* და *Rubber Co* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5460/72; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1035/61; *ბრიკმონი (Bricmont)* ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 10857/84; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8769/79; *WR ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15957/90. განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომლებშიც არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა. იხ. *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1035/61.

<sup>499</sup> ტრექსელი (2001) 165.

<sup>500</sup> *ჰიგინსი (Higgins)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 43.

<sup>501</sup> *პიზანო (Pisano)* იტალიის წინააღმდეგ, § 24.

გარსია რუისის (*Garcia Ruiz*) საქმეში განმცხადებელი იყო პროფესიით იურისტი, რომელიც მედდად მუშაობდა. ის ამტკიცებდა, რომ შეასრულა იურიდიული ხასიათის სამუშაო და მოითხოვდა შესაბამის ანაზღაურებას. განმცხადებელმა წააგო საქმე, ვინაიდან ვერ შეძლო იურიდიული მომსახურების განევის ფაქტის დადასტურება. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა: „პირველი ინსტანციის [სასამართლოს] გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებითაც უარყოფილი იქნა სარჩელი, ვრცლად იყო ჩამოყალიბებული. სააპელაციო ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებაში პროვინციის სასამართლომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის [სასამართლოს] გადაწყვეტილებაში მოცემული ფაქტები და სამართლებრივი არგუმენტაცია, ვინაიდან ისინი არ ეწინააღმდეგებოდა თავისივე დასკვნებს. შესაბამისად, განმცხადებელს არ შეუძლია მართლზომიერად ამტკიცოს, რომ გადაწყვეტილებას აკლდა დასაბუთება, თუმცა მოცემულ საქმეში სასურველი იქნებოდა, სასამართლოს უფრო ვრცელი არგუმენტაცია მოეყვანა“<sup>502</sup>.

საქმე *ჰელე (Helle) ფინეთის წინააღმდეგ* შეეხებოდა კომპლექსურ შრომით დავას ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ხარვეზი სადავო გადაწყვეტილების არგუმენტაციაში<sup>503</sup>.

## V. სამართლიანობის სხვა ასპექტები

### ა. „*Nullum iudicium sine lege*“

საკმაოდ უჩვეულო ვითარება იყო შექმნილი საქმეში *ჟიომე (Coëme) ბელგიის წინააღმდეგ*, რომელიც მინისტრის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა. მისი საქმე უნდა განეხილა საკასაციო სასამართლოს, რომელიც კონსტიტუციის 103-ე მუხლის საფუძველზე იყო ერთადერთი ორგანო, რომელსაც ჰქონდა საკონსტიტუციო უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირების გასამართლების კომპეტენცია. ასეთი საქმეების განხილვის ზოგადი წესი განისაზღვრებოდა კონსტიტუციით, ხოლო მისი იმპლემენტაციისთვის განკუთვნილი კანონების მიღება ხდებოდა კონკრეტული საქმეების განხილვის, მაგრამ არა ზოგადი წესის განსაზღვრის მიზნით. სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ ჩვეულებრივ გამოყენებულმა პროცედურამ მოდიფიცირება განიცადა განმცხადებლის საქმეში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან თავად საკასაციო სასამართლომ დაადგინა საპროცესო წესები, ამით მან უგულებლყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

სასამართლომ დაადასტურა, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ჩვეულებრივი ნორმები გამოიყენებოდა მანამ, სანამ ისინი შესაბამისობაში იყო „საკასაციო სასამართლოს მიერ სრული შემადგენლობით საქმის განხილვის მარეგულირებელ წესებთან“<sup>504</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული წესების განსაზღვრის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ იქნა გამოყენებული, მაინც შეიქმნა გაურკვეველობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი წესები მოქმედებდა. ამ საქმემ სასამართლო წააქეზა თავისი პრეცედენტული სამართლის საზღვრების გაფართოებისა და სისხლის სამართლის პროცესში კანონიერების ახალი ელემენტის აღიარებისკენ:

<sup>502</sup> გარსია რუისის (*Garcia Ruiz*) ესპანეთის წინააღმდეგ, § 29.

<sup>503</sup> *ჰელე (Helle) ფინეთის წინააღმდეგ*, § 56.

<sup>504</sup> *ჟიომე (Coëme) ბელგიის წინააღმდეგ*, § 101.

სასამართლო იმეორებს, რომ პრინციპი, რომლის მიხედვით სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები უნდა დადგინდეს კანონის საფუძველზე, წარმოადგენს სამართლის ზოგად პრინციპს. ის გვერდიგვერდ დგას მოთხოვნასთან, რომ მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები ასევე კანონის საფუძველზე უნდა განისაზღვროს და გამოხატულია პრინციპში „*nullum iudicium sine lege*.” ის აწესებს გარკვეულ სპეციალურ მოთხოვნებს სამართალწარმოების წარმართვასთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად, რომელიც მხარეთა თანასწორუფლებიანობის პატივისცემას გულისხმობს ... სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საპროცესო ნორმების ძირითადი მიზანია ბრალდებულის დაცვა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი მცდელობისგან და შესაბამისად, ყველაზე მაღალია ალბათობა, რომ სწორედ დაცვას მიაღვეს ზიანი აღნიშნულ ნორმებში ხარვეზების არსებობის ან სიცხადის ნაკლებობის შედეგად<sup>505</sup>.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სამართლიანობის პრინციპი არ იყო დაცული, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელი გადამწყვეტილებაა. თუმცა ნაკლებად დამაჯერებელი იყო სასამართლოს არჩევანი, თავისი დასკვნა დაემყარებინა „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპის პატივისცემის საჭიროებაზე. სასამართლომ განაცხადა, რომ „წინასწარ განსაზღვრული საპროცესო ნორმების არარსებობით გამოწვეული გაურკვეველობა განმცხადებელს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ბრალდებასთან შედარებით“<sup>506</sup>. თუმცა არ განუმარტავს, რატომ. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაურკვეველობა თანაბრად ზემოქმედებდა ორივე მხარეზე.

განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ ზემოთ მოყვანილ ამონარიდში სასამართლო ცდილობს, პარალელი გააელოს ფუნდამენტურ წესთან, რომლის მიხედვით, დანაშაული არ არსებობს კანონის გარეშე (“*nullum crimen sine lege*”). ეს წესი ფოიერბახის მიერ იქნა ჩამოყალიბებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, თუმცა სათავეს იღებს 1215 წლის მაგნა კარტადან. ადრეული ამერიკული კონსტიტუციებიდან და 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან მოყოლებული, ის ასახულია ადამიანის უფლებათა ყველა ინსტრუმენტში და მისი შესრულებისგან გადახვევა დაუშვებელია თვით საგანგებო მდგომარეობის დროს<sup>507</sup>.

აღსანიშნავია, რომ „*nullum iudicium sine lege*“ არ შეიძლება მივაკუთნოთ იმავე კატეგორიას, რასაც „*nullum crimen sine lege*“. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მატერიალური სისხლის სამართალი გამოიყენება მხოლოდ იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ახალი კანონი არის ნაკლებად მკაცრი, „*lex mitior*“<sup>508</sup>). თუმცა, როდესაც საპროცესო კანონმდებლობა იცვლება, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ახალი კანონი უკეთესია და გამოიყენება ძალაში შესვლისთანავე. ადამიანი შეუსაბამებს

<sup>505</sup> *Ibid.*, § 102.

<sup>506</sup> *Ibid.*, § 103.

<sup>507</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-4(2) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-15(2) მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 27(2) მუხლი.

<sup>508</sup> ეს წესი ინკორპორირებული ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-9 მუხლის მესამე წინადადებაში.



თავის ქცევას მატერიალურ კანონმდებლობას (მაგალითად, დარეგულირებს მანქანის სიჩქარეს ავტომაგისტრალზე), თუმცა საპროცესო კანონს არ გააჩნია თანაზომადი ფუნქცია.

მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გამოყენების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს ეთქვა, რომ სამართლიანობის ცნება მოითხოვს სასამართლო განხილვის მარეგულირებელი სამართლის ნორმების არსებობას. გარდა ამისა, სასამართლოს შეეძლო საკითხის განხილვა კანონის საფუძველზე სასამართლოს შექმნის გარანტიის კონტექსტში. 1970 წელს იორგ პოლ მიულერი წერდა, რომ სასამართლოს ცნებამ უნდა მოიცავს მის მიერ საქმის წარმოების წესი<sup>509</sup>. სასამართლოს მხრიდან უფრო სარწმუნო იქნებოდა იმის აღიარება, რომ კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს უფლება მოიცავდა მის მიერ საქმიანობის წარმართვის წესს, რომელიც ასევე საკანონმდებლო აქტით უნდა განისაზღვროს.

## ბ. დანაშაულის პროვოცირება

დიდი ოდენობის თანხებთან დაკავშირებული დანაშაულების ჩადენა, მათ შორის ნარკოტიკებით ვაჭრობა, ყალბი ფულადი ბანკნოტების დამზადება და გასაღება, მასშტაბური თაღლითობა, კონტრაბანდა, ტრეფიკინგი, ბაეშეთა პორნოგრაფია და ტერორისტული დანაშაულები, როგორც წესი, ორგანიზებული ქსელის ფარგლებში ხდება, რომელიც ყველაფერს აკეთებს კვალის დაფარვისა და გამოძიებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სახელმწიფოები უფრო მეტად დარწმუნდნენ, რომ მსგავს დანაშაულებრივ საქმიანობასთან ბრძოლისათვის აუცილებელია, *inter alia*, ისეთი ფარული მეთოდების გამოყენება, როგორიცაა საიდუმლო აგენტების შეგზავნა დანაშაულებრივ ორგანიზაციებში ან არალეგალურ ბაზარზე მომხმარებლად თავის წარმოჩენა.

ასეთი ტიპის რამდენიმე საქმე გახდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების განხილვის საგანი. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პოლიციის აგენტი ჩვეულებრივ არ არის ხელმისაწვდომი მონმის სახით. მისი ვინაობა უნდა დარჩეს საიდუმლოდ მისივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მომავალშიც იმავე საქმიანობის გაგრძელების მიზნით. ამ პრობლემას განვიხილავთ მოწინეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლების კონტექსტში<sup>510</sup>. კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება იმას, თუ რამდენად წარმოადგენს საიდუმლო აგენტის მიერ პირისთვის თვალ-ყურის დევნება ჩარევას მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებებში<sup>511</sup>. სამართლიანი სასამართლო განხილვის კონტექსტში რელევანტური მესამე ასპექტი კი ისეთ საქმეებს შეეხება, რომლებშიც საიდუმლო აგენტებმა ფაქტობრივად ნააქტუხს დანაშაულის ჩადენა პირის დაპატიმრების მიზნით.

ერთ-ერთი ასეთი საქმეა *ტივიშერა დი კასტრო (Teixeira de Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ*, რომელიც ორი პორტუგალიელი პოლიციელის გადაჭარბებული „გულმოდგინების“ შედეგი იყო. ერთ დღეს მათ გადაწყვიტეს ნარკოტიკებით მოვაჭრის მოძებნა, რომელმაც ნარკოტიკები მიჰყიდა ერთ-ერთ წერილ ნარკომოვაჭრეს. უშედეგო ძებნის შემდეგ, პოლიციელებმა მიმართეს სხვა პირს და სთხოვეს მათთვის ნარკოტიკების მოძიება. საბოლოოდ, ამ უკანასკნელის

<sup>509</sup> მიულერი (1970).

<sup>510</sup> იხ. თავი 11.

<sup>511</sup> *ლუდი (Ludi) შვეიცარიის წინააღმდეგ*.

მეშვეობით, იპოვეს განმცხადებელი და მივიდნენ მასთან. განმცხადებელს თავად არ ჰქონდა ნარკოტიკები, თუმცა სხვების მეშვეობით შეძლო გარკვეული რაოდენობის ჰეროინის მოძიება. პოლიციელებმა ის დააპატიმრეს და სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოცემულ საქმეში სასამართლომ განსაზღვრა ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები საიდუმლო აგენტების გამოყენებასთან დაკავშირებით: „საიდუმლო აგენტების გამოყენება უნდა იყოს შეზღუდული ხასიათის და აუცილებელია დაცვის გარანტიების არსებობა თვით ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საქმეებში. ორგანიზებული დამნაშავეობის ზრდა უდავოდ საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას, თუმცა მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების უფლებას იმდენად წამყვანი ადგილი უკავია, რომ ... ის არ შეიძლება შეენიროს მიზანშეწონილობას“<sup>512</sup>. სასამართლოს არ განუხილავს, ზოგადად გამართლებულია თუ არა მსგავსი მეთოდების გამოყენება. მათი კანონიერების ან თვით პროპორციულობის შემოწმება არ არის მოსალოდნელი მანამ, სანამ სასამართლო არ გადახედავს თავის მოსაზრებას, რომ საიდუმლო თვალთვალი არ წარმოადგენს ჩარევას ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

უშუალოდ ამ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა რაიმე ეჭვი განმცხადებელის მიერ ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. მას არც კრიმინალური ნარსული ჰქონდა და არც ნარკოტიკები ჰქონია მფლობელობაში. პოლიციელთა ქმედებები „გაცდა საიდუმლო აგენტების საქმიანობას, ვინაიდან მათ ნააქვებს დანაშაული და არ არსებობდა იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მათი ჩარევის გარეშე დანაშაულის ჩადენა მოხდებოდა“<sup>513</sup>.

აღნიშნული საქმე დიდი უსამართლობით ხასიათდება: სახელმწიფოს წარმომადგენელმა ნააქვება დანაშაული და შემდეგ თავადვე დასაჯა მისი ავტორი, რაც დიქტატორულ რეჟიმებში აგენტ-პროვოკატორების მოქმედების კლასიკური მაგალითია<sup>514</sup>. თუმცა არ არის ნათელი აღნიშნული უსამართლობა რამდენად უკავშირდება სასამართლო განხილვას. სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის დადგენა განაპირობა საქმესთან დაკავშირებული ფაქტების განხილვამ „ერთობლიობაში“. კრიტიკას იმსახურებდა არა იმდენად შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოება, არამედ მთლიანი ოპერაცია, რომელიც დაიწყო მანამ, სანამ განმცხადებელი შეიძლებოდა ჩათვლილიყო „ბრალდებულად“ დანაშაულის ჩადენაში.

დანაშაულის პროვოცირება ასევე ცენტრალური საკითხი იყო საქმეში *ედვარდის (Edwards) და ლუისის (Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში. დაცვა ამტკიცებდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაზე ნააქვებს პოლიციის საიდუმლო აგენტებმა და მოითხოვდა ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების გამჟღავნებას, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ინგლისური სამართლის მიხედვით, დანაშაულის პროვოცირება არ იყო საქმის არსებით ნაწილში დაცვის საფუძველი, თუმცა ასეთ დროს მოსამართლეს უნდა შეენეციტა საქმის განხილვა ან მტკიცებულებები

<sup>512</sup> *ტიოშრა და კასტრო (Teixeira de Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 36.

<sup>513</sup> *Ibid.*, § 39.

<sup>514</sup> ევროპული სასამართლოს ერთადერთი წევრი, რომელმაც განსხვავებული აზრი გამოთქვა იყო უკრაინიდან. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ კომუნისტურ ქვეყნებში ჩვეულებრივ ფუნქციონალურ მოსაზრებებს ენიჭებოდა უპირატესობა კანონიერებასთან შედარებით. იხ. ბერნარდტი, ტრექსელი, ვაიტცელი და ერმაკორა (1994) 249.

გამოცხადებინა დაუშვებლად<sup>515</sup>. მასალა, რომელსაც მოსამართლე გაეცნო, როგორც ჩანს, შეიცავდა ბრალდებულის საზიანო ელემენტებს (მათ შორის, ნარსულში მის მონაწილეობას ნარკოტიკულ დანაშაულებში), რომელთა გაბათილების შესაძლებლობა დაცვას არ მიეცა. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის უფლება იყო დარღვეული<sup>516</sup>.

დანაშაულის პროვოცირების განსხვავებული სახეობა იყო განხილვის საგანი ხანის (Khan) საქმეში. კერძოდ, ევროპულ სასამართლოს უნდა გაერკვია, შეიძლებოდა თუ არა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაურღვეველად სასამართლოს მიერ იმ მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე დაყენებული მოსასმენი საშუალებით იქნა მოპოვებული. სასამართლომ განაცხადა, რომ ეს შესაძლებელი იყო, ვინაიდან „ბ-სთან საუბრის დროს განმცხადებლის მიერ ნებაყოფლობით გაკეთდა აღიარება, ადგილი არ ჰქონია [დანაშაულის] პროვოცირებას და განმცხადებელი არავის წაუხალისებია მსგავსი აღიარებისკენ“<sup>517</sup>. აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საიდუმლო აგენტის მიერ ბრალდებულის წახალისება ან სხვა რაიმე „ოინის“ გამოყენებით მისგან აღიარების მიღება იქნებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის ტოლფასი. თუმცა სასამართლოს განცხადება, რომ ადგილი არ ჰქონია დანაშაულის პროვოცირებას, მაინც არ არის საწინააღმდეგო. საუბრის ჩანერა, რომელსაც მისი მონაწილეები კონფიდენციალურად თვლიან, არის „მახის დაგების“ ტოლფასი. ეს მეთოდი შეიძლება ასევე შეუსაბამო იყოს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების აკრძალვასთან.

## გ. „მორიგების“ იძულება

სისხლის სამართლის პროცესის ორგანიზება და წარმართვა საკმაოდ მძიმე ამოცანაა. გამოძიების სტადიის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ეჭმიტანილისთვის ბრალდების წარდგენის შესახებ. ამას მოჰყვება სასამართლოს მიერ საქმის საჯაროდ განხილვა, განაჩენის გამოტანა, შესაძლოა მისი გასაჩივრება ერთ ან ორ ზემდგომ ინსტანციაში და ბოლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა. ასეთი გრძელი გზის გაყავა გამართლებულია მხოლოდ მნიშვნელოვან ან ისეთ საქმეებში, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე საკითხი არის არსებითი დავის საგანი. თუმცა საქმეთა უმრავლესობა არც განსაკუთრებით მძიმეა და არც მნიშვნელოვანი დავის საგანია. მსგავსი საქმეების გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა არის სპეციალური, გამარტივებული სამართალწარმოების გამოყენება. შერეულ შტატებში გამოიყენება საპროცესო გარიგება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის თავიდან ასაცილებლად. ევროპაში კი ფართოდ არის გავრცელებული განაჩენის გამოტანა საქმის არსებითად განხილვის გარეშე და „განკარგულება სანქციის დაკისრების შესახებ“. მსგავსი ალტერნატიული ტიპის სამართალწარმოება რეკომენდებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ<sup>518</sup>.

სასამართლო მიიჩნევს, რომ შემოკლებული სამართალწარმოება კონვენციასთან შესაბამისობაშია, რადგან ასეთ მორიგებაზე დათანხმება უფლებაზე უარის

<sup>515</sup> ედვარდსი (Edwards) და ლუისი (Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §28, 50.

<sup>516</sup> *Ibid.*, §58.

<sup>517</sup> ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §36.

<sup>518</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ (1987).

თქმის ტოლფასია. მსგავსი პროცედურები ხშირია წერილმან დანაშაულებთან მიმართებაში და მათ ბრალდებულისთვის სარგებლის მოტანაც შეუძლიათ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უფლებაზე უარის თქმა ნებაყოფლობით განხორციელდეს, რაც გულისხმობს ბრალდებულზე არაჯეროვანი ზენოლის დაუშვებლობას ალტერნატიულ სამართალწარმოებაზე მისი დათანხმების მიზნით<sup>519</sup>.

დევერის (*Deweer*) საქმეში ფინანსური რევიზორი დარწმუნებული იყო, რომ გამყიდველი გადამეტებულ ფასად ყიდდა ხორცს. განმცხადებელს დააკისრეს ჯარიმა და ბიზნესის დახურვით დაემუქრნენ, თუ ჩვეულებრივი სისხლის სამართალწარმოების გზით არჩევდა საქმის განხილვას. მალაზიის დახურვა დაანგრევდა განმცხადებელის ბიზნესს და ამიტომ ჯარიმის გადახდა არჩია. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დარღვეული იყო სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

## დ. ჩარევა არასასამართლო ხელისუფლების მხრიდან

სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით საქმეებს, რომლებშიც კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, სახელმწიფო შეეცადა არასასურველი გადაწყვეტილების თავიდან აცილებას<sup>520</sup>. ცხადია, რომ ეს წარმოადგენს უფლებამოსილების უკიდურესად ბოროტად გამოყენებას, ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობას და იმდენად უსამართლოა, რომ აღარ საჭიროებს დამატებით განხილვას.

## ე. უსამართლობის სხვადასხვა ელემენტები

### 1. სამართლებრივი სიცხადე

რუმინეთში გენერალურ პროკურორს ჰქონდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლება, რომელიც არ იყო დროში შეზღუდული. სასამართლოს განცხადებით, „ამ უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე შეტანილი განაცხადის მიღებით, მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლო უგულვებელყოფდა მთლიან სასამართლო წარმოებას, რომელიც დასრულდა – მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს სიტყვებით რომ ვთქვათ – „შეუქცევადი“ და შესაბამისად, *res judicata* სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც ყველაფერთან ერთად, უკვე აღსრულებული იყო“<sup>521</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას დაუმატა სამართლებრივი სიცხადის ასპექტი.

და კვლავაც, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად მართებულია ამ საკითხის განხილვა „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ უფლების კონტექსტში. მე უფრო ფიქრობ, რომ ის დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებას უკავშირდება, ვინაიდან შეუძლებელია სასამართლო ჩაითვალოს დამოუკიდებლად, თუ მისი საბოლოო გადაწყვეტილებები არ არის საველდებულო ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოსთვის<sup>522</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პრინციპი, რომელიც

<sup>519</sup> დევერი (*Deweer*) ბელგიის წინააღმდეგ, §49.

<sup>520</sup> *Stran Greek Refineries* და *სტრატის ანდრეადისი (Stratis Andreades) საბურძნეთის წინააღმდეგ*, *პაპაგეორგიუ (Papageorgiu) საბურძნეთის წინააღმდეგ*. იხ. აგრეთვე *ზელინსკი (Zielinski)* და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>521</sup> *ბრუმარესკუ (Brumarescu) რუმინეთის წინააღმდეგ*, §62. იხ. აგრეთვე *პოტოპი (Potop) რუმინეთის წინააღმდეგ*; *პოპესკუ (Popescu) რუმინეთის წინააღმდეგ*.

<sup>522</sup> *ბენტემი (Bentham) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §37.

სამოქალაქო სამართალწარმოებასთან კავშირში განვითარდა და თანაბრად მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესში<sup>523</sup>, წარმოადგენს კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან ელემენტს<sup>524</sup>.

თუმცა სამართლებრივ სიციხადეს უფრო ფართო ასპექტიც ახასიათებს. რენუჩიმ ის აღმოაჩინა „კანონის“ ზოგად დეფინიციაში<sup>525</sup>, რომელიც სასამართლომ *სანდი თაიმსის (Sunday Times)* საქმეში ჩამოაყალიბა: „პირველ რიგში, კანონი ადეკვატურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს: მოქალაქეს უნდა შეეძლოს ისეთი მინიშნების მიღება, რომელიც იმ სამართლის ნორმების ადეკვატურია, რომლებიც მოცემულ შემთხვევაზე ვრცელდება. მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ ის არ არის საკმარისად ცხადად ფორმულირებული, რათა მოქალაქემ შეძლოს თავისი ქცევის რეგულირება: მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რჩევის საფუძველზე, თავისი ქმედების შესაძლო შედეგების განჭვრეტა იმ ხარისხით, რაც არსებულ გარემოებებში გონიერულად ჩაითვლება“<sup>526</sup>.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სიციხადე ორი ასპექტით ხასიათდება: საპროცესო (სასამართლო განაჩენი კანონის ძალას იძენს და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა ვინაობა განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, როგორცაა, მაგალითად, ახალი გარემოებების გამოვლენა) და მატერიალური (რომელიც მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-9 მუხლებში.)

## 2. სასამართლო განაჩენის პატივისცემა

მსგავსი მიდგომა გვხვდება სასამართლო განაჩენის აღსრულების უფლებასთან დაკავშირებით. საქართველოს წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სკანდალური და პოლიტიკური უნესრიგობის შედეგი, რაც მოგვიანებით იქნა დაძლეული, პირი სამ წელზე მეტი ხნის მანძილზე რჩებოდა პატიმრობაში მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მიერ მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა და გათავისუფლების ბრძანების გაცემისა.

სასამართლომ ეს საქმე მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განიხილა. გადაწყვეტილებაში ვერ ვპოულობთ რაიმე უფრო დეტალურ მითითებას. სასამართლოს მსჯელობა წმინდა კეთილგონიერებას ემყარება:

კონვენციის მე-6 მუხლში მოცემული გარანტია იქნებოდა მოჩვენებითი, თუ ხელშემკერელი სახელმწიფოების შიდა სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სისტემა დაუშვებდა სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გამამართლებელი გადაწყვეტილების შეუსრულებლობას გამართლებული პირის საზიანოდ. წარმოდგენილი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-3 პუნქტთან ერთად, ავალდებულებდეს ხელშემკერელ სახელმწიფოებს, მიიღონ პოზიტიური ზომები დანაშაულში ბრალდებული ნებისმიერი პირის მიმართ ... და დეტალურად აღწერდეს მხარეთა საპროცესო გარანტიებს – სამართლიანი, საჯარო და სწრაფი სამართალწარმოების – ისე, რომ იმავდროულად, არ უზრუნველყოფდეს

<sup>523</sup> ესერი (2002) 422.

<sup>524</sup> სუდრი (2003) 332; ველუ და ერგეცი (1990) N 466; ჯენინგსი (2001) 152.

<sup>525</sup> რენუჩი (2002) N 142, N 311.

<sup>526</sup> *სანდი თაიმსი (Sunday Times) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §49.

სასამართლო განხილვის ბოლოს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის აღსრულებას<sup>527</sup>.

სასამართლოს მსჯელობის ლოგიკა უნაკლოა, თუმცა აღნიშნული ზოგადი მიდგომა მაინც არ მიმარტნია დამაკმაყოფილებლად. აქაც, სასამართლოს დამოუკიდებლობა არის მთავარი საკითხი და რასაკვირველია, სამართლებრივი სიცხადის ინტერესებში იქნებოდა, რომ სასამართლოს ამ მიმართულებით განემარტა კონვენცია.

### 3. *Pro memoria*

ბოლოს უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესში „სამართლიანობას“ განასახიერებს დაცვის სპეციალური უფლებები, რომლებიც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 (2-7), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(2-3) და მე-7 ოქმის მე-2 და მე-4 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8(2-5) მუხლებში<sup>528</sup>.

---

<sup>527</sup> ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ, § 181.

<sup>528</sup> სამართლიანობასთან დაკავშირებით, კომისიის გადაწყვეტილებების მიმოხილვისთვის იხ. ფროვანი და პოიერტი (1996) მე-6 მუხლი, N 113.

# თავი 5

## საჯარო სასამართლო განხილვის უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

... მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის ან სამოქალაქო საქმეში მისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ყველას აქვს მისი საქმის ... საჯარო განხილვის უფლება ... მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს მხარეთა პირადი ცხოვრების ინტერესები ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს; თუმცა სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეში ... უნდა იყოს საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვს ან სამართალწარმოება ეხება საქორწინო დავას ან ბავშვებზე მეურვეობას.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(1) მუხლი.*

... მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს ... მისი საქმის ... საჯარო განხილვის უფლება ... სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-8(1) მუხლი.*

სისხლის სამართალწარმოება არის საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(5) მუხლი.*

მოცემული ნორმების შედარებისას ხუთ მნიშვნელოვან განსხვავებას აღმოვაჩინეთ. პირველი, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია საჯარო სასამართლო განხილვის გარანტიას მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებას უკავშირებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კი მკაფიოდ მოითხოვენ, რომ ყველა დავა, რომელზეც ვრცელდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, გაირჩეს საჯაროდ.

მეორე, როგორც საერთაშორისო პაქტი, ისე ევროპული კონვენცია ერთმანეთისგან განასხვავებენ საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნასა და სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებას. ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში საჯარო სასამართლო განხილვის უფლება ცალკე პუნქტშია მოცემული და კატეგორიულად მოითხოვს, რომ „სისხლის სამართალწარმოება“ იყოს საჯარო. თუმცა აღნიშნული დებულება არ შეიძლება განიმარტოს სიტყვასიტყვით, რადგან ის ვრცელდება მხოლოდ სასამართლო განხილვაზე და არ მოიცავს სისხლის სამართალწარმოების მთლიან პროცესს<sup>529</sup>. ამ შემთხვევაშიც წარმოუდგენელია, რომ არ არსებობდეს გარკვეული გამონაკლისები, მაგალითად, იმ საქმეებში, რომლებიც ბავშვებს (განსაკუთრებით სექსუალურ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებში) ან სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება.

მესამე, საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებს სამ გამონაკლისს სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობის წესიდან. ევროპულ კონვენციაში კი იგივე წესი აბსოლუტური ხასიათისაა, რაც პრობლემად იქცა პრეცედენტულ სამართალში და სტრასბურგის ორგანოებს ამ ნორმის *contra legem* განმარტებისკენ უბიძგა.

მეოთხე, საერთაშორისო პაქტი მოითხოვს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეში „იყოს საჯარო“, ხოლო ევროპული კონვენციის მიხედვით, გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. აქაც ნორმის აბსოლუტური ხასიათი გახდა პრობლემა და მისი *contra legem* განმარტება გამოიწვია.

მეხუთე და ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, სულ მცირე, თეორიული თვალსაზრისით, არის ფუნდამენტური სხვაობა ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისა და დანარჩენი ორი ინსტრუმენტის ნორმებს შორის. საერთაშორისო პაქტში და ევროპულ კონვენციაში საჯარო სასამართლო განხილვის გარანტია აღწერილია როგორც ბრალდებულის ინდივიდუალური უფლება სისხლის სამართალწარმოებაში (ან მხარის უფლება სხვა სახის სამართალწარმოებაში, რომელზეც ვრცელდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება). ამერიკული კონვენციის მე-8(5) მუხლი უფრო ფართო ხასიათისაა, რადგან ინდივიდუალური უფლების ნაცვლად აყალიბებს ზოგად პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ გარანტია შეიძლება პოტენციურად გამოყენებულ იქნეს როგორც ბრალდებულის, ისე სხვა პირის მიერ, როგორცაა დაზარალებული ან პრესის წარმომადგენელი<sup>530</sup>. თუმცა ამერიკულ სასამართლოს დღემდე არ ჰქონია ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა. მის მიერ განხილული საქმეები ძირითადად დახურული სასამართლო პროცესების ამკარა შემთხვევებს უკავშირდებოდა<sup>531</sup>.

<sup>529</sup> ევროპული სისტემისთვის იხ. *ერნსტი (Ernst)* და *სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, §67.

<sup>530</sup> იხ. ამ თავში, ქვეთავი II.3.

<sup>531</sup> *დურანი (Duran)* და *უგარტი (Ugarte)* *პერუს წინააღმდეგ*, 2000 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება, §141; *კასტილო პეტრუჯი (Castillo Petruzzi)* და *სხვები პერუს წინააღმდეგ*, 1999 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, §172. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია ხშირად ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციას. იხ. მაგ: *რეინალდო ფიგერედო პლანკარი (Reinaldo*



სხვა განსხვავებები ნაკლებად მნიშვნელოვანია. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს გამონაკლისს საჯარო პროცესი მართლმსაჯულების ინტერესებში შედის. ეს ნესი არა მხოლოდ ძალზე ფართო, არამედ საკმაოდ უცნაურიც არის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრულ გამონაკლისებთან შედარებისას, რომლებიც სასამართლო პროცესის დახურვის შესაძლებლობას უშვებენ ძირითადად ინდივიდის ინტერესებიდან გამომდინარე.

დაბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მკაფიოდ მიუთითებს არასრულწლოვანთა ინტერესებს სასამართლო განხილვის საჯაროობის შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად. თუმცა არასრულწლოვანთა ინტერესებს, ჩვეულებრივ, მოიცავს „მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის“ გამონაკლისი. გარდა ამისა, ხშირად არასრულწლოვანთა ინტერესები იოლად თავსდება სხვა დანარჩენ კატეგორიებში, მათ შორის, განსაკუთრებით, „მორალის“ დაცვის გამონაკლისში. ამიტომ მკაფიო მითითება არასრულწლოვნებზე შეიძლება გაემიჯნოს. დაბალი სტანდარტის გამოყენების ნებართვად, ზრდასრულებთან გაევიგოთ უფრო საქმეებთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით, საჯაროობის შეზღუდვა უფრო იოლად ჩაითვლება „მკაცრად აუცილებლად“.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

საჯარო სასამართლო განხილვის უფლება იყო სასამართლო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე პირველი გარანტია, რომელიც განიხილებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტის მომზადების პროცესში. ის გაცხოველებული დისკუსიის საგანი იყო და ერთ-ერთ ეტაპზე, პროექტზე მუშაობის პროცესის ბოლოსკენ, არგენტინულმა დელეგაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ასეთი პრინციპის განსაზღვრის აუცილებლობა თვით სისხლის სამართლის საქმეებში.<sup>532</sup> საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნა სამოქალაქო საქმეებში დიდი დავის საგანი გახდა, თუმცა, არგენტინის ვიზიონით, მხოლოდ ამერიკულ კონვენციაში შემოიფარგლა ამ გარანტიის მოქმედება სისხლის სამართალწარმოებით.

სამწუხაროდ, აღნიშნული დისკუსიების ოქმები არ იძლევა მყარი დასკვნების გამოტანის საშუალებას იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდნენ ავტორები, როდესაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილში შეიტანეს უფლება სისხლის სამართლის საქმეებში საჯარო სასამართლოს განხილვის შესახებ. დისკუსიები ძირითადად შეეხებოდა პრინციპის გამონაკლისებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან დაკავშირებული განხილვები ცხადყოფს, რომ საჭიროდ ჩაითვალა, პრინციპიდან დაშვებული გამონაკლისები მოეცვა 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებულ ზოგად ნებს,

*Figueredo Planchart* ენესუელას წინააღმდეგ, 2000 წლის 13 აპრილის ანგარიში, § 132-6. რომელშიც მითითებული იყო საქმეზე *აქსენი (Axen)* გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>532</sup> ვაისბროდტი (2001) 69; ნოვაკი (1993) მუხლი 14 N 23; ეს მოხდა მე-16 სესიის მიმდინარეობისას – მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ლათინურ ამერიკაში მიღებული იყო წერილობითი სამართალწარმოება. ეს ნაწილობრივ მოულოდნელია, რადგან ცოტა ხნით ადრე ინტერ-ამერიკულმა იურიდიულმა კომიტეტმა წინადადების სახით წარმოადგინა ტექსტი, რომელიც შეიცავდა საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას; ვაისბროდტი (2001) 16.

რომელიც ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლების მე-2 პუნქტების მსგავსა.<sup>551</sup> საერთაშორისო პაქტის შემთხვევაში ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ის არ შეიცავს ასეთ ზოგად წესს, რომელიც განსაზღვრავს გამონაკლისებს.

გამონაკლისები იყო შემოთავაზებული „ამორალური შემთხვევების“ დროს და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით.<sup>554</sup> გაერთიანებული სამეფოს წინადადების მიხედვით, „*in camera*“ სასამართლო განხილვა უნდა გამართულიყო „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მორალის, წესიერების და არასრულწლოვანი დამნაშავეების“ ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>555</sup> მსგავსი წინადადებები წამოაყენეს ფილიპინებისა და აშშ-ს დელეგაციებმა. ევკიპტელი დელეგატი ბატონი ლაუფტი იყო პირველი, ვინც გამოთქვა მოსაზრება, რომ, როგორც მინიმუმ, „განაჩენი უნდა ყოფილიყო საჯარო“.<sup>556</sup> ეს წინადადება მოგვიანებით იქნა მხარდაჭერილი ბელგიის წარმომადგენლის ბატონი კისელეტის მიერ. ისრაელი მოითხოვდა მის ამოღებას, თუმცა წარუმატებლად.<sup>557</sup>

## გ. საჯარო სასამართლო განხილვის გარანტიის მიზანი

### 1. პრეცედენტული სამართალი

ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეეხო საჯარო სასამართლო განხილვის უფლების მიზანს თავის მე-13(6) ზოგად კომენტარში. კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ის წარმოადგენს ინდივიდისა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესში შემავალ მნიშვნელოვან გარანტიას“. ეს განცხადება არ არის ძალზე ზუსტი, თუმცა მართებულად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საჯარო სასამართლო განხილვის გარანტია გავლენას ახდენს ორ განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფზე, საქმის მხარეებსა და საზოგადოებაზე.

თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს ამ გარანტიის მიზანს სტანდარტული ფრაზების გამოყენებით. მისი მიდგომა ნაკლებად კონკრეტულია სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ვალდებულებასთან მიმართებაში.

სასამართლო ჩვეულებრივ იწყებს იმის გახსენებით, რომ „სასამართლო განხილვების საჯაროდ გამართვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული ფუნდამენტური პრინციპია“<sup>558</sup>. ეს განცხადება საკმაოდ ბანალურია და არ შეიცავს

<sup>553</sup> ვაისბროდტი (2001) 16.

<sup>554</sup> მაგ: რენე კასინის მიერ: ვაისბროდტი (2001) 18; და ბატონი პავლოვის (სსრკ) მიერ: ვაისბროდტი (2001) 21.

<sup>555</sup> ვაისბროდტი (2001) 47.

<sup>556</sup> *Ibid.*, 52.

<sup>557</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 22, 29.

<sup>558</sup> პრეტო (Pretto) იტალიის წინააღმდეგ, §21; ზუტერი (Sutter) შვეიცარიის წინააღმდეგ, §26; დიენე (Diennel) საფრანგეთის წინააღმდეგ, §33; შუცი (Szücz) აესტრიის წინააღმდეგ, §42; ვისე (Guisset) საფრანგეთის წინააღმდეგ, §72; ვერერი (Werner) აესტრიის წინააღმდეგ, §55; ლამანა (Lamanna) აესტრიის წინააღმდეგ, §30; ერნსტი (Ernst) და სხვები ბელგიის წინააღმდეგ, §65; რიპანი (Riepan) აესტრიის წინააღმდეგ, §27; სტეფანელი (Stefanelly) სან მარინოს წინააღმდეგ, §19. მომდევნო ციტატებიც ამ პარაგრაფებშია მოცემული. კომისიის არგუმენტაცია საქმეში ეკბატანი (Ekbatani) შეედოსის წინააღმდეგ (§28), რომელიც შედარებით უფრო მყარია, შემდგომში შეაჯამა სასამართლომ: „კომისიამ აღნიშნა, რომ ბრალდებულის საჯარო სასამართლო განხილვის უფლება იყო არა მხოლოდ დამატებითი გარანტია, რომ ქვემარტების დადგენის ძალისხმევას ექნებოდა ადგილი, არამედ, აგრეთვე ხელს უწყობდა [ბრალდებულის] დარწმუნებას, რომ მისი საქმე გადაწყვიტა სასამართლომ, რომლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გადამოწმება თავად შეეძლო. გარდა ამისა, კომისიამ ჩათვალა, რომ ეს უფლება გამომდინარეობდა მთლიანობაში აღებული მე-6

მითითებას გარანტიის მნიშვნელობასა და მიზანზე. სასამართლო განაგრძობს, რომ „ეს საჯარო ხასიათი იცავს მხარეებს საზოგადოების მეთვალყურეობის გარეშე მართლმსაჯულების საიდუმლო განხორციელებისგან“. ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მოსაზრებები უსარგებლოა, რადგან ისედაც ნათელია, რომ საქმის საჯაროდ განხილვა იცავს ადამიანს სასამართლო პროცესის საიდუმლოდ გამართვისგან. თუმცა „საზოგადოების მეთვალყურეობა“ გარკვეულ მინიშნებას იძლევა გარანტიის მიზანზე.

ამის შემდეგ სასამართლო განმარტავს, რომ „ის სასამართლოების მიმართ ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა“. სხვა სიტყვებით, სასამართლოების საქმიანობაზე თვალყურის დევნების შესაძლებლობა მოსახლეობას უნერგავს რწმენას, რომ სასამართლო ხელისუფლება ფუნქციონირებს მისი მოლოდინის შესაბამისად. როგორც ძველისძველი გამოხატულებაში გვეუბნება: სამართლიანობა არა მხოლოდ უნდა აღდგეს, არამედ, უნდა ჩანდეს რომ აღდგა.

დაბოლოს, სასამართლო ხშირად აცხადებს შემდეგს: „მართლმსაჯულების განხორციელების გამჭვირვალობის უზრუნველყოფით, საჯაროობა ხელს უწყობს მე-6(1) მუხლის მიზნის, კერძოდ, კონვენციის მნიშვნელობით სამართლიანი სასამართლო განხილვის მიღწევას, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში“. თუმცა არ არის ნათელი, როგორ ეხმარება საჯაროობა სამართლიანობის მიღწევას. სასამართლოს სიტყვებიდან ჩანს, რომ საჯაროობა არ არის სამართლიანობის შემადგენელი ნაწილი, არამედ მხოლოდ „ხელს უწყობს“ მას. მიუხედავად ამისა, სასამართლო არ განმარტავს, ეს როგორ ხდება. სავარაუდოდ, სასამართლო გულისხმობს, რომ საზოგადოების მეთვალყურეობა წახალისებს სასამართლოებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოექიდონ სამართლიანობის წესების დაცვას. ნებისმიერ შემთხვევაში, საჯაროობა და სამართლიანობა ორი განსხვავებული ფასეულობაა. თუმცა უდავოდ შესაძლებელია, რომ სასამართლომ დაადგინოს ერთდროულად საჯარო სასამართლო განხილვისა და შეჯიბრებითი პროცესის მოთხოვნების დარღვევა<sup>539</sup>.

*ენგელის (Engel) საქმეში* სასამართლომ შესაშური გულწრფელობით აღიარა საჯარო სასამართლო განხილვის შედარებით დაბალი ღირებულება და განაცხადა, რომ „განმცხადებლებს ამ თვალსაზრისით არ განუცდიათ ზიანი“<sup>540</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოსაზრება ხშირად სიმართლეს შეეფერება, ამ პრინციპის მნიშვნელობა სცილდება პერსონალურ ინტერესებს.

---

მუხლის მიზნიდან და დანიშნულებიდან, კერძოდ, მე-3 პუნქტის გ) და დ) ქვეპუნქტებში მოცემული უფლებებიდან“. იხ. იან-აკე ანდერსონი (Jan-Ake andersson) *შვედეთის წინააღმდეგ*, §24; *ფეიდე (Fejde) შვედეთის წინააღმდეგ*, §28. მცირედ განსხვავებული ფორმულირებისთვის იხ. *ჰელმერსი (Helmers) შვედეთის წინააღმდეგ*, §33; *ტიერსი (Tierce) და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ*, §92; *აქსენი (Axel) გერმანიის წინააღმდეგ*, §25; *ზუტერი (Sutter) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §26.

<sup>539</sup> *გოჩი (Goc) თურქეთის წინააღმდეგ (GC)*, §46.

<sup>540</sup> *ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §89. სასამართლომ მიუთითა ერთ-ერთი მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემცირების ფაქტზე, რაც არავითარ კავშირში არ არის საჯარო სასამართლო განხილვის უფლებასთან. სასამართლოს მიუეკრძოებლობის კონტროლის ელემენტს ევროპული სასამართლო დაუბრუნდა შემდეგ საქმეებში: *ტიერსი (Tierce) სან მარინოს წინააღმდეგ*, §92; *ფორცელინი (Forcellini) სან მარინოს წინააღმდეგ*, §34; *დე ბიაჯი (De Biagi) სან მარინოს წინააღმდეგ*, §22.

## 2. სასამართლოს თვალსაზრისის სისუსტე

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მიერ საჯაროობის პრინციპის დასაბუთებისთვის გამოყენებული არგუმენტები არ არის დამაჯერებელი და განიცდის არსებითი შინაარსის ნაკლებობას<sup>541</sup>. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პრაქტიკაში სასამართლო პროცესების უმრავლესობას საზოგადოება არ ესწრება – დამსწრეთა ყოფნა გამონაკლისია და არა წესი<sup>542</sup>. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, რომ სასამართლო პროცესზე საზოგადოების წარმომადგენელთა დასწრების შესაძლებლობამ სასარგებლო გავლენა იქონიოს ბრალდებასა და სასამართლოზე და ადეკვატური ქმედებისკენ ნაახალისოს ისინი. თუმცა საზოგადოების დასწრების შემთხვევაშიც, გულუბრყვილოა იმის ვარაუდი, რომ ეს ხელს შეუწყობს სასამართლო განხილვის სამართლიანობას. მაღალია იმის ალბათობა, რომ პირებს, რომლებიც არ არიან იურისტები, არ ეცოდინებათ სამართლიანი სასამართლო განხილვის წესები. მათ შეიძლება არც კი სურდეთ სასამართლო პროცესის სამართლიანად ჩატარება. წარმოვიდგინოთ, რომ პირი ბრალდებულია საზარელი ტერორისტული აქტის ჩადენაში ან ავიაკატასტროფის გაუფრთხილებლობით გამოწვევაში<sup>543</sup>. გასაკვირი არ იქნება, რომ საზოგადოება მტრულად იყოს მის მიმართ განწყობილი და უარყოფითად რეაგირებდეს, როდესაც სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე დაცვა შედარებით ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდება ან ბრალდებულს გაამართლებენ ეგრეთ წოდებული „ტექნიკური მიზეზების“ გამო. ასეთ დროს არსებობს რეალური საფრთხე, რომ ზენოლა განხორციელდეს მოსამართლეზე. შედეგად, შეიძლება საჭირო გახდეს სასამართლო პროცესის დახურვა მისი სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

## 3. ინდივიდუალური უფლება თუ ინსტიტუციური გარანტია?

საკამათოა ისიც, რამდენად სწორია სასამართლო განხილვის საჯაროდ გამართვის წესის დახასიათება ინდივიდუალურ უფლებად. ზოგიერთი ავტორი მის ფუნქციას ექსკლუზიურად დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ფასეულობებთან კავშირში ხედავს<sup>544</sup>. მართლა ემსახურება თუ არა საჯარო სასამართლო განხილვა ბრალდებულის ინტერესებს? სამართლიანი იქნება თუ ვიტყვი, რომ ხშირ შემთხვევაში პასუხი უარყოფითია<sup>545</sup>. ბრალდებულთა უმრავლესობისთვის საჯარო სასამართლო პროცესი ნეგატიური გამოცდილებაა. მედიის ინტერესი შეიძლება უფრო საზიანო აღმოჩნდეს მისთვის, ვიდრე ჯარიმა ან პირობით თავისუფლების აღკვეთა.

რასაკვირველია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება განაცხადები, რომლებშიც პირები ამტკიცებენ, რომ ადგილი ჰქონდა საჯარო სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. მაგრამ რამდენად მართებულია იმის თქმა, რომ განმცხადებლები მართლა დაზიანდნენ იმ გარემოებების წყალობით, რომელთა არსებობასაც ამტკიცებენ? ლეგიტიმურია მსგავსი განაცხადების ნამდვილი მიზნის ეჭვქვეშ დაყენება და არ შეიძლება, არ ვიფიქრო, რომ საჯარო სასამართლო განხილვის უფლება შესაძლოა ხშირად მოხერხებულად გამოიყენება

<sup>541</sup> იხ. ბომერი (2002). ეს დისკუსია შთაგონებულია ამ ავტორის მიერ. იხ. აგრეთვე გრაბენვარტერი (1997) 473 et seq.

<sup>542</sup> გრაბენვარტერი (1997) 472.

<sup>543</sup> ეს არ არის უბრალოდ თეორიული მაგალითი. მამაკაცი, რომელმაც მთელი ოჯახი დაკარგა ავიაკატასტროფის შედეგად, ელის შვეიცარიის სასამართლოს განაჩენს ავიახაზების იმ კონტროლიორის მკვლელობისთვის, რომელიც კატასტროფის დროს მორიგეობდა.

<sup>544</sup> პეტერსი (2003) 121.

<sup>545</sup> ჰაფლიკერი და შურმანი (1999) 194.

განმცხადებლების მიერ, რათა მიადნონ კონვენციის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას იმ იმედით, რომ შეძლებენ უფრო ხელსაყრელი შედეგის მიღების შანსების გაუმჯობესებას. აღნიშნული სტრატეგია შეუსაბამოა კონვენციის ძირითად მიზანთან, თუმცა მაინც სრულებით ლეგიტიმურია.

*ნოიმაისტერის (Neumeister)* საქმეში სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ იმ პირებს, რომლებსაც წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, არ გააჩნიათ საჯარო სასამართლო განხილვის ინტერესი<sup>546</sup>. ამ არგუმენტის გამოყენებით, სასამართლო ცდილობდა თავისი პოზიციის გამყარებას, რომლის მიხედვით, მე-6 მუხლი არ ვრცელდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ *habeas corpus* პროცედურაზე. თუმცა ასეთი პოზიციის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ *habeas corpus* პროცედურა არ უკავშირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გარკვევას<sup>547</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ ასევე ხაზგასმული იქნა, რომ საჯაროობის მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ სასამართლო განხილვაზე და არა „პროკურორების ან საჯარო მოხელეების მიერ მიღებულ წინასასამართლო გადაწყვეტილებებზე“<sup>548</sup>. იგივე წესი მოქმედებს „საბრალდებო პალატის“ („*chamber d'accusation*“, „*chamber du conseil*“, „*Anklagekammer*“, „*Raadkamer*“) მიმართ, რომელიც წარმოადგენს სასამართლო ორგანოს, წყვეტს ბრალდების წარდგენის საკითხს და განიხილავს საჩივრებს პროკურატურის ორგანოს ან გამომძიებელი მოსამართლის მიერ გამომძიების ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ<sup>549</sup>.

მეორე მხრივ, შეიძლება არსებობდეს სასამართლო განხილვისთვის თვალყურის დევნების მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი. ეს ინტერესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მხოლოდ ახლო წარსულში ეზიარნენ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც თავიანთ დამკვირვებლებს აგზავნიან სასამართლო პროცესების მონიტორინგისთვის და მიღებულ დასკვნებს იყენებენ სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა განათლების გაუმჯობესებისა და სისხლის სამართლის პროცესის რეფორმის მხარდაჭერისთვის. თუმცა, ვინაიდან მე-6 მუხლით განსაზღვრული უფლებები ინდივიდუალურ უფლებებად ითვლება, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ან ჟურნალისტს, რომელსაც არ მიეცა სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება არ შეუძლია იდავოს საჯარო სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის ნიადაგზე<sup>550</sup>.

მიუხედავად ამისა, კონვენციის ფარგლებში არსებობს მსგავსი განაცხადის აკომოდაციის საშუალება. მესამე პირებს შეუძლიათ მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების უფლების გამოყენება. რასაკვირველია, ზოგადი წესის თანახმად, ეს მუხლი მხოლოდ იმ ინფორმაციის მიღების უფლებას უზრუნველყოფს, რომლის გაცემის სურვილიც აქვს მის მფლობელს<sup>551</sup>. თუმცა, როდესაც თვით კონვენცია მოითხოვს ინფორმაციის გაცემას, როგორც საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შემთხვევას, რთულად წარმოსადგენია, რომ

<sup>546</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, §23.

<sup>547</sup> იხ. აგრეთვე ესერი (2002) 708.

<sup>548</sup> *ჯოზეფ კავანა (Joseph Kavanagh) ირლანდიის წინააღმდეგ*.

<sup>549</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 502.

<sup>550</sup> იხ. აგრეთვე გოლიტიცერი (1992) მე-6 მუხლი, N 91; ველუ და ერგეცი (1990) N 510.

<sup>551</sup> *ლანდერი (Leander) შვედეთის წინააღმდეგ*, §74; *გასკინი (Gaskin) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §20, 21.

უარი მისაღებად ჩაითვალოს. კომისიამ ეს მიდგომა გამოიყენა გერას (*Guerra*) საქმეში, რომელშიც განმცხადებლები უქმყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ მთავრობამ არ მოახდინა მათი ინფორმირება იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც „მაღალი რისკის“ ქარხანა უქმნიდა საზოგადოებას<sup>552</sup>. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, მთავრობას ეკისრებოდა საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება, ამიტომ განმცხადებლებს ჰქონდათ ინფორმაციის მიღების უფლება.

საქმეში, სადაც ჟურნალისტს არ მისცეს სასჯელის შეფარდების პროცესზე დასწრების ნებართვა, კომისიამ არსებითად იგივე მიდგომა გამოიყენა. თუმცა განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან ეროვნულ სასამართლოს შეეძლო მე-6 მუხლით განსაზღვრული გამოწვევების გამოყენება<sup>553</sup>.

ანალოგიურად განმარტა აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ პრესას ჰქონდა სასამართლო პროცესზე დასწრების ავტონომიური უფლება, თუ უფრო მნიშვნელოვანი ინტერესით არ იყო გამართლებული პროცესის დახურვა<sup>554</sup>.

ალსანიშნავია, რომ საჯარო სასამართლო განხილვის გარანტია ორი დამოუკიდებელი ასპექტისგან შედგება. ერთი მხრივ, ის ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლში როგორც ბრალდებულის ინდივიდუალური უფლება. საჯარო სასამართლო პროცესზე საქმის განხილვა შეიძლება ბრალდებულის ინტერესებში შედიოდეს იმ თვალსაზრისით, რომ ყველას, განსაკუთრებით მის მეგობრებსა და ნათესაებს, ჰქონდეთ სასამართლო განხილვისთვის თვალყურის დევნებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან ნებისმიერი უზუსტობის გასაჩივრების შესაძლებლობა. თუმცა, ამავე დროს, საჯაროობამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ბრალდებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

მეორე მხრივ, ის წარმოადგენს ინსტიტუციურ გარანტიას, კერძოდ, მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოების მეთვალყურეობის უზრუნველყოფის საშუალებას და ხელს უწყობს პატივისცემას კანონისა და არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ მოწმეების, ექსპერტებისა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა მიმართ. თუმცა ეს უკანასკნელი ასპექტი არ არის საკმარისად დაცული მე-6 მუხლის საფუძველზე და მხოლოდ ნაწილობრივ, არაპირდაპირ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის მიღების უფლებით<sup>555</sup>.

საჯარო სასამართლო განხილვის გარანტიის ძალზე საკამათო ხასიათმა უდავოდ დიდი გავლენა იქონია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე. მასზე უარის თქმის ნამდვილობის მოთხოვნები აშკარად უფრო დაბალია და რამდენჯერმე ამ გარანტიის *contra legem* უარყოფა მოხდა მიზანშეწონილობის ინტერესიდან გამომდინარე<sup>556</sup>.

<sup>552</sup> გერა (*Guerra*) და სხვები იტალიის წინააღმდეგ, §41. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ოცდაერთი ხმით რვის წინააღმდეგ. სასამართლომ არჩია, რომ საკითხი განეხილა მე-8 მუხლის საფუძველზე, ისევე როგორც სხვა „ეკოლოგიურ“ საქმეში: *ლოპეს ოსტა* (*Lopez Ostra*) ესპანეთის წინააღმდეგ.

<sup>553</sup> ატკინსონი (*Atkinson*), კროკი (*Crook*) და *the Independent* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 13356/87.

<sup>554</sup> *Richmond Newspapers, Inc.* კორჯინის წინააღმდეგ, 448 U.S. 555 (1980).

<sup>555</sup> იხ. ბომერი (2002).

<sup>556</sup> მაგ: შულერ ჯგრაგენი (*Schuler-Zgraggen*) შვეიცარიის წინააღმდეგ, § 58.

#### 4. სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ვალდებულება

სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლო ხშირად ახსენებს საჯარო სასამართლო განხილვის მიზანს<sup>557</sup>. თუმცა მას არასდროს განუმარტავს რატომ არის გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ასეთი მნიშვნელოვანი ბრალდებულისთვის. სინამდვილეში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. ცხადია, რომ არსებობს გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი. გადაწყვეტილებათა დიდი უმრავლესობა, როგორც წესი, საინტერესოა მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც ისინი უშუალოდ ეხება. თუმცა საზოგადოებას მაინც უნდა შეეძლოს არა მხოლოდ სასამართლოს საქმიანობისთვის თვალყურის დევნება, არამედ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაგება. რაც შეეხება ბრალდებულს, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება არ არის მისთვის რეალური ღირებულების მქონე. ცხადია, რომ მას უნდა ეცნობოს გამოტანილი გადაწყვეტილებისა და მისი საფუძვლების შესახებ<sup>558</sup>. თუმცა საკამათოა, საჯარო ცერემონია რამდენად შედის ბრალდებულის ინტერესებში. ასევე სასურველია, რომ საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს გადაწყვეტილებაზე, ხოლო გახდება თუ არა ის საყოველთაოდ ცნობილი, დამოკიდებულია სასამართლო განხილვის მიმართ არსებული ინტერესის ხარისხზე. ბრალდებულის პოზიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ნამდვილად არ არის მნიშვნელოვანი. მას გააჩნია გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მრავალი საშუალება.

#### დ. საჯარო სასამართლო განხილვის უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა

ზოგადი წესის მიხედვით, დაცვას უფლება აქვს, უარი თქვას თავის უფლებებზე, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც<sup>559</sup>. კომისიის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოთხოვნის წარუდგენლობა ვერ ჩაითვლება ბრალდებულის მიერ უფლებაზე უარის თქმად<sup>560</sup>.

საჯარო სასამართლო განხილვის გარანტია, მასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ხასიათისაა. ვინაიდან საქმე არ გვაქვს ერთმნიშვნელოვნად ინდივიდუალურ უფლებასთან, მასზე უარის თქმა არ შეიძლება თავისთავად ჩაითვალოს ნამდვილად, თუ არ არსებობს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისები<sup>561</sup>. სასამართლო, ჩვეულებრივ, მოითხოვს გარკვეული პირობების დაკმაყოფილებას უფლებაზე უარის თქმის ნამდვილობისთვის: „კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა, რამდენადაც ეს დაშვებულია, უნდა დადგინდეს ერთმნიშვნელოვნად ... გარდა ამისა, სასამართლო ეთანხმება კომისიას, რომ იმისათვის, რათა საპროცესო

<sup>557</sup> იხ. მაგ: პრეტო (*Pretto*) იტალიის წინააღმდეგ, §21; შუცი (*Szucz*) ავსტრიის წინააღმდეგ, §42; ვერნერი (*Werner*) ავსტრიის წინააღმდეგ, §55; ლამანა (*Lamanna*) ავსტრიის წინააღმდეგ, §30; რიპანი (*Riepan*) ავსტრიის წინააღმდეგ, §27.

<sup>558</sup> იხ. თავი 4, ქვეთავი IV.

<sup>559</sup> გამონაკლისისთვის იხ. დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, §65. მოსამართლე ლუკაიდესი მთლიანად უარყოფს ადამიანის უფლებებზე უარის თქმის იდეას: ლუკაიდესი (2003) 48-9.

<sup>560</sup> ადლერი (*Alder*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 9486/81.

<sup>561</sup> გრაბენვარტერი (1997) 511; ველუ და ერგეცი (1990) N 511. იხ. აგრეთვე ოუვეი და უაითი (2002) 169.

უფლებებზე უარის თქმას ჰქონდეს ძალა კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის თანაზომადი მინიმალური გარანტიების არსებობა<sup>562</sup>.

უნდა ითქვას, რომ საჯარო სასამართლო განხილვის უფლებასთან მიმართებაში სასამართლო ნაკლებად მომთხოვნია. ამ შემთხვევაში უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია „როგორც მკაფიოდ, ისე ნაგულისხმებად“<sup>563</sup>. რამდენიმე საქმეში სასამართლომ ასევე მოითხოვა, რომ უფლებაზე უარის თქმა განხორციელდეს „ერთმნიშვნელოვნად“<sup>564</sup>. თუმცა რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება უფლებაზე უარის თქმა ერთდროულად ერთმნიშვნელოვანიც იყოს და ნაგულისხმებიც.

ზოგჯერ სასამართლო უფრო შორს მიდის და *a priori* ვარაუდობს უფლებაზე „ნაგულისხმებ“ უარს. სხვა სიტყვებით, სასამართლო არა მხოლოდ აადვილებს უფლებაზე უარის თქმას, არამედ საჭიროდ მიიჩნევს, რომ დაცვამ მოითხოვოს უფლების განხორციელება. უნდა ითქვას, რომ ეს ფუნდამენტური უფლებების მიმართ მოპყრობის საკმაოდ უცნაური ხერხია. საქმეში *ჰაკანსონი (Hakansson)* და *სტურესონი (Sturesson)* შედეგით ნინაალმდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო საქმის საჯაროდ განხილვა, თუმცა ეს არ იყო მსგავსი ტიპის საქმეების გარჩევის ჩვეული პროცედურა. შესაბამისად, „შესაძლებელი იყო განმცხადებლების მიმართ ისეთი მოლოდინის არსებობა, რომ, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, თავად მოეთხოვათ ასეთი [საჯარო] განხილვა“<sup>565</sup>. სასამართლოს ეს მიდგომა კრიტიკის ობიექტი გახდა<sup>566</sup>.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ხსენებული საქმე სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას უკავშირდება. სასამართლო, როგორც ჩანს, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საჯარო სასამართლო განხილვას სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებშიც არ შეიძლება არსებობდეს უფლებაზე უარის თქმის სასარგებლო პრეზუმფცია.

## ე. დახურული სასამართლო განხილვის უფლება

საჯარო სასამართლო განხილვის უფლებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული არის კიდევ ერთი საკითხი, აქვს თუ არა ბრალდებულს უფლება, მისი საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო პროცესზე. კონვენციის ინტერპრეტირებისას სასამართლოს რამდენჯერმე მოუწია მსგავსი ნეგატიური არგუმენტების მოსმენა. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განიხილა, გაერთიანების უფლება რამდენად

<sup>562</sup> *ჰაიფერი (Pfeifer)* და *პლანკი (Plankl)* ავსტრიის ნინაალმდეგ, §37.

<sup>563</sup> *ლე კონტი (Le Compte)*, *ვან ლეუენი (Van Leuven)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის ნინაალმდეგ, §59. საქმეში *ჰაკანსონი (Hakansson)* და *სტურესონი (Sturesson)* შედეგით ნინაალმდეგ მოსამართლე უოლშმა გამოთქვა განსხვავებული აზრი. მისი შეხედულებით, უფლებაზე ნაგულისხმები უარის სისტემა ენინაალმდეგება მე-6 მუხლის ტექსტს. იხ. აგრეთვე *ჰარისი*, ობილი და *უორბრიჯი* (1995) 220.

<sup>564</sup> *ალბერი (Albert)* და *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის ნინაალმდეგ, §35; *ბელგიის ნინაალმდეგ*, §54; *ჰაკანსონი (Hakansson)* და *სტურესონი (Sturesson)* შედეგით ნინაალმდეგ, §66.

<sup>565</sup> *ჰაკანსონი (Hakansson)* და *სტურესონი (Sturesson)* შედეგით ნინაალმდეგ, §67. იხ. აგრეთვე *პაუგერი (Pauger)* ავსტრიის ნინაალმდეგ, §60; *სალომონსონი (Salomonsson)* შედეგით ნინაალმდეგ, §35; *დორი (Dory)* შედეგით ნინაალმდეგ, §38. უფლებაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია საქმეებში *ვერერი (Werner)* ავსტრიის ნინაალმდეგ (§48) და *გოჩი (Göck)* თურქეთის ნინაალმდეგ (GC) (§48). საქმეში *მალჰაუსი (Malhous)* ჩეხეთის რესპუბლიკის ნინაალმდეგ (§59) განმცხადებლის დუმისა და საჯარო სასამართლო განხილვის არარსებობას შორის არ იყო კავშირი, რადგან სასამართლომ განიხილა საქმე *ex officio*.

<sup>566</sup> *პეულიგერი* და *შურმანი* (1999) 194-5. ავტორები მიიჩნევენ, რომ სასამართლო უფლებებზე უარს ამ გარანტიასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი ინტერესის ასპექტს.



მოიცავდა გაერთიანებაში შესვლაზე უარის თქმის „ნეგატიურ“ უფლებას და ამავდროულად, საშსახურის შენარჩუნების შესაძლებლობას<sup>567</sup>. თუმცა სასამართლომ ვერ შეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. კომისია დადებით დასკვნამდე მივიდა საქმეში, რომელიც შეეხებოდა პირის უარს, მონმის სახით, ჩვენების მიცემაზე იმავე საქმეში სხვა ბრალდებულის წინააღმდეგ. კომისიამ განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება აგრეთვე მოიცავდა საკუთარი მოსაზრების გამოხატვაზე ან ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლებას. თუმცა ეს უფლება ექვემდებარებოდა ყველა იმ შესაძლო გამონაკლისს, რომელსაც მისი „პოზიტიური“ ნაწილი<sup>568</sup>.

მსგავსი მიდგომის გამოყენება საჯარო სასამართლო განხილვის უფლებასთან მიმართებაში არ უნდა იყოს სწორი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს არა თავისუფლებასთან, არამედ უფლებასთან. გარდა ამისა, ეს უფლება შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ დახასიათდეს ინდივიდუალურ უფლებად. ის წარმოადგენს ერთგვარ ჰიბრიდს და მის მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება აღემატებოდეს ბრალდებულისას<sup>569</sup>. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-1(1), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(1) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8(5) მუხლები არ უნდა განიმარტოს როგორც პირის უფლების მომცველი, რომ მისი საქმე დახურულ სასამართლო პროცესზე იქნეს განხილული<sup>570</sup>. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ემხრობა ამ მოსაზრებას, როდესაც აცხადებს, რომ უფლებაზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რომელიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს<sup>571</sup>. სხვაგვარად არის საქმე სამართალწარმოების ალტერნატიული სახეობების გამოყენების დროს. საქმის საჯაროდ განხილვა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, როდესაც სამართალწარმოება წყდება მხარეთა მორიგების გზით, მაგალითად, საპროცესო გარიგების დადების შემთხვევაში<sup>572</sup>.

განსხვავებული მიდგომის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც ბრალდებულები არასრულწლოვნები არიან. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განიხილა,

<sup>567</sup> იანგი (Young), ჯეიმსი (James) და უებსტერი (Webster) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52.

<sup>568</sup> K ავსტრიის წინააღმდეგ, § 10. მხარეები მორიგდნენ სასამართლოს წინაშე.

<sup>569</sup> ბომერი (2002) 672.

<sup>570</sup> იხ. აგრეთვე გრაბენვარტერი (1997) 505-6; ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 439. საქმეში კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§87) სასამართლომ განაცხადა, რომ „ჩვეულებრივი სისხლის სამართალწარმოება ... იმართება საჯაროდ ... ბრალდებულის სურვილების მიუხედავად“.

<sup>571</sup> პაუგერი (Pauger) ავსტრიის წინააღმდეგ, §58. იხ. აგრეთვე X, Y და Z შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7945/77; გოლეიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 100. ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 121; ეს ავტორები მიიჩნევენ, რომ საჯარო სასამართლო განხილვაზე უარის თქმის უფლება შეიძლება ემყარებოდეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, თუმცა მათ მიერ მაგალითად მოყვანილი გადაწყვეტილება (V მალტის წინააღმდეგ, განაცხადი 18280/90) მხარს არ უჭერს ამ მოსაზრებას. მიუხედავად ამისა, არ უნდა გამოვირიცხოთ, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას და არა საჯარო სასამართლო განხილვას. ამის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია სასამართლო პროცესის სატელევიზიო გადაცემის დროს. იხ. გრაბენვარტერი (1997) 481.

<sup>572</sup> მაგ: დევერი (Deweere) ბელგიის წინააღმდეგ.

## II. საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შემადგენლობა

### ა. უშუალო საჯაროობა

საჯარო სასამართლო განხილვის უფლების ყველაზე ნათელი გამოხატულება არის საქმის ზეპირი განხილვა<sup>574</sup> და სასამართლო დარბაზში საზოგადოების დაშვების უზრუნველყოფა. ერთადერთი ზოგადი შეზღუდვა განპირობებულია წესრიგის დაცვის აუცილებლობით. სრულებით ლეგიტიმურია იმ პირების გაძევება სასამართლო დარბაზიდან, რომლებიც ხელს უშლიან ზეპირ განხილვას. გარდა ამისა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასამართლოს თათბირი კერძო ვითარებაში უნდა ჩატარდეს<sup>575</sup>. კრემცოვის (*Kremzow*) საქმეში კომისიამ უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ავსტრიაში „სამართლებრივი ინსტრუქციის“ მიცემა ნაფიცი მსაჯულებისთვის საჯაროდ უნდა მომხდარიყო. კომისიის შეხედულებით, ინსტრუქციის მიცემა სასამართლოს თათბირის შემადგენელი ნაწილი იყო<sup>576</sup>.

შესაძლებელია წარმოიქმნას ტექნიკური ხასიათის სირთულეები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო განხილვა საპატიმროში ტარდება. ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს „უდავოდ უფრო მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივი სისხლის სამართალწარმოება“; საპატიმროს ფარგლებს გარეთ სასამართლო პროცესის ჩატარებისას კი დადგებოდა პატიმრის უსაფრთხო ტრანსპორტირების საკითხი<sup>577</sup>. თუმცა მოგვიანებით განხილულ საქმეში სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა. მან ხაზი გაუსვა, რომ „სასამართლო განხილვის საჯარო ხასიათი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოცემულ საქმეში, რომელშიც ბრალდებული პატიმარია, მისთვის წარდგენილი ბრალდება შეეხება საპატიმროს თანამშრომლების მიმართ გამოთქმულ მუქარებს და მონმეები იმ საპატიმროს თანამშრომლები არიან, სადაც თავად იმყოფება“<sup>578</sup>. სასამართლო განხილვის ციხეში ჩატარების ფაქტი არ გამორიცხავდა საქმის საჯარო განხილვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ უსაფრთხოების მიზნით, საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა გაეკლოთ სპეციალური შემოწმება. თუმცა სასამართლომ ხაზი გაუსვა აღნიშნული გარანტიის ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობას:

სასამართლო პროცესი აკმაყოფილებს საჯაროობის მოთხოვნას, თუ საზოგადოებას შეუძლია, მოიპოვოს ინფორმაცია მისი გამართვის თარიღისა

<sup>573</sup> *T გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §75; *V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §77.

<sup>574</sup> *ლუნდვეალი (Lundevall) შედეგის წინააღმდეგ*, §34. პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 218; სტავროსი (1993) 189. საჯარო სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას აქვს ადგილი იმ საქმეებში, რომლებშიც თვით მოსმენის უფლება იქნა უსამართლოდ შეზღუდული. საქმის ზეპირი განხილვის უფლების სრულფასოვანი განხილვისთვის იხ. გრაბენვარტერი (1997) 467.

<sup>575</sup> მაგ. გრაბენვარტერი (1997) 470. ამ ნესიდან არსებობს საკმაოდ ეგზოტიკური გამონაკლისები შვეიცარიაში. იხ. ჰაუზერი და შვერი (2002) §52 N 10.

<sup>576</sup> *კრემცოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12350/86.

<sup>577</sup> *კემპელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §87.

<sup>578</sup> *რიპანი (Riepan) ავსტრიის წინააღმდეგ*, §27.

და ადგილის შესახებ და ადგილი იოლად ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. საქმეთა უმრავლესობაში ეს პირობები დაკმაყოფილებულია იმ უბრალო ფაქტით, რომ განხილვა ტარდება ჩვეულებრივ სასამართლო დარბაზში, რომელიც საკმარისად დიდა დამსწრეთა მოსათავსებლად. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესის ჩატარება ჩვეულებრივი სასამართლო დარბაზის გარეთ, კერძოდ, ისეთ ადგილას, როგორცაა საპატიმრო, რომელზეც ფართო საზოგადოებას ხელი არ მიუწვდება, წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას მისი საჯარო ხასიათისთვის. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ადეკვატური ზომები, რათა უზრუნველყოს საზოგადოებისა და მედიის ჯეროვანი ინფორმირება სასამართლო განხილვის გამართვის ადგილის შესახებ და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი დაშვება<sup>579</sup>.

*რიპანის (Riepan)* საქმეში ეს პირობები არ იქნა დაცული. სასამართლომ განაცხადა, რომ ისეთი სპეციალური ზომების მიღება იყო აუცილებელი, როგორცაა „ცალკე განცხადების განთავსება რეგიონული სასამართლოს განცხადებათა დაფაზე, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა დართოდა ინფორმაცია გარსტენის ციხეში მისვლის გზების შესახებ, [სასამართლო პროცესზე] დაშვების პირობების მკაფიო მითითებით“<sup>580</sup>. შესაბამისად, განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა მიიღოს აქტიური ზომები საჯაროობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. როდესაც სასამართლო პროცესი გემზე ტარდება, ის ღია უნდა იყოს, მინიმუმ, ეკიპაჟის წევრებისა და გზავრებისთვის. ამის მსგავსად, თუ კონკრეტული საქმის მიმართ არსებობს განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, მისი განხილვა უნდა მოხდეს უფრო დიდ სასამართლო დარბაზში.

ეს არის ახალი და მისასალმებელი განვითარება პრეცედენტულ სამართალში. წარსულში კომისია ემხრობოდა იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება<sup>581</sup>. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ანალოგიურად იქნა ინტერპრირებული. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა მე-14(1) მუხლის დარღვევა საქმეში, სადაც სასამართლო პროცესი გაიმართა შორეულ საპატიმროში იმ მოსამართლეების წინაშე, რომლებიც სახეს იფარავდნენ უსაფრთხოების მიზნით და რომელზეც საზოგადოება არ იყო დაშვებული<sup>582</sup>.

## ბ. მედიის როლი

მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო პროცესების გაშუქებაში. პრესასთან მიმართებაში, როგორც წესი, არ წარმოიქმნება მნიშვნელოვანი სირთულეები. ზოგჯერ ისიც კი შეიძლება, რომ პრესა დაესწროს სასამართლო პროცესს, ხოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები არ იქნენ დაშვებულნი, თუ ამას მოითხოვს მორალის დაცვა<sup>583</sup>. ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია ფოტოების გადაღება სასამართლო დარბაზში. ამ წესის მიზანია წესრიგის უზრუნველყოფა და სასამართლო პროცესის მონაწილეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა,

<sup>579</sup> *Ibid.*, § 29. იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმე, რომელიც არ უკავშირდება საპატიმროს: *ვან მორესი (Van Meures) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 55. სასამართლო დარბაზი ძალიან პატარა იყო და 9 დასაჯდომი ადგილიდან 8 დაკავებული იყო საჯარო მოხელეების მიერ.

<sup>580</sup> *რიპანი (Riepan) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 30.

<sup>581</sup> *ს გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 8512/79.

<sup>582</sup> *ვიტორ ალბერტო პოლეი კამპოსი, ავტორის მეუღლე, პერუს წინააღმდეგ*.

<sup>583</sup> კიავარიო (2001) 201.

რაც სრულებით შეესაბამება საჯარო სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ უფლებას<sup>584</sup>.

მეორე მხრივ, სატელევიზიო მედიასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ პრობლემურია. იმის თქმა, რომ ტელევიზიის მეშვეობით სასამართლო პროცესის გაშუქება ყველაზე ზუსტია, რადგან „ყველას შეუძლია თავად იხილოს რაც ხდება“, საკმაოდ გულუბრყვილოა. სატელევიზიო პროგრამა, როგორც წესი, რედაქტირებული სახით გადის ეთერში და ისეთი ტექნიკური ხერხების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, ახლო ხედით გადაღება, საშუალებას მისცემს მყურებელს, იმაზე დეტალურად დააკვირდეს პროცესის მონაწილეებსა და მათ რეაქციას, ვიდრე სასამართლო დარბაზში ყოფნის დროს შეძლებდა. სიუჟეტის შინაარსით განისაზღვრება, მთლიანი სასამართლო დარბაზის ჩვენება უნდა მოხდეს თუ პირთა გარკვეული ჯგუფის ან ერთი კონკრეტული სახის და რომელი კუთხიდან. სხვა სიტყვებით, პროგრამა შეიძლება ობიექტურობის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ სინამდვილეში ავტორის კერძო მოსაზრებებს გადმოსცემდეს. სტრასბურგის სასამართლოს დღემდე არ განუხილავს ეს საკითხი. სატელევიზიო მედიის სასამართლო პროცესზე დაშვების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ეროვნული სასამართლოების დისკრეციაში უნდა შედიოდეს. ბრალდებულს არა აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ მისი საქმის განხილვა პირდაპირ ეთერში ან ჩანერილი სახით გადაიცეს მაუნყებლის მიერ. შესაბამისად, სასამართლო პროცესზე აუდიოვიზუალური მედიის დაშვების შეზღუდვა არ წარმოადგენს საჯარო სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას<sup>585</sup>. რაც შეეხება იმ საკითხს, ირღვევა თუ არა ბრალდებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ სასამართლო პროცესის ტელევიზიით გადაცემისას, ის უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე.

## გ. საჯარო სასამართლო განხილვის შემადგენლობა

რა ქმედებები უნდა განხორციელდეს საქმის საჯარო განხილვისას? როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც მტკიცებულებების განხილვას აქვს ადგილი. სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ „ყველა მტკიცებულების წარმოდგენა უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით, საჯარო განხილვაზე შეჯიბრებითი დისკუსიის [უზრუნველყოფის] მიზნით“<sup>586</sup>. შესაბამისად, ამ მოთხოვნას, რომელიც „უშუალობის პრინციპს“ განასახიერებს, ორმაგი ფუნქცია ეკისრება: ის ერთდროულად სასამართლო განხილვის სამართლიანობის ელემენტია და საჯარო სასამართლო განხილვის უფლების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობაც.

<sup>584</sup> გოლიტიცერი (1992) მე-6 მუხლი, N 88; შტრასერი (1998) 613.

<sup>585</sup> იხ. აგრეთვე გრაბენარტერი (2003) §24 N 48; გრაბენარტერი (1997) 481.

<sup>586</sup> მაგ.: ბარბერა (Barbera), მესაგე (Messague) და ხაბარდო (Jabardo) ესპანეთის წინააღმდეგ, §78; იმბრიოშა (Imbrioscia) შვეიცარიის წინააღმდეგ. იხ. თავი 4, ქვეთავი II.

### III. შეზღუდვები და გამონაკლისები

#### ა. ნაგულისხმები შეზღუდვები

კემპბელის (Campbell) და ფელის (Fell) საქმეში სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, შეიცავდა თუ არა საჯარო სასამართლო განხილვის უფლება ნაგულისხმებ შეზღუდვებს. სასამართლო უარყოფით დასკვნამდე მივიდა, ვინაიდან კონვენციაში მკაფიოდ იყო ჩამოთვლილი ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლები<sup>587</sup>. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლომ განავითარა დოქტრინა, რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული სისხლის სამართლის საქმეების კონტექსტში. ის ეჭვქვეშ აყენებს თეორიას, რომლის მიხედვით, საჯარო სასამართლო განხილვის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე<sup>588</sup>. შულერ ცგრაგენის (Schuler-Zgraggen) საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ „დავა არ ეხებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს იმისათვის, რომ [ზეპირი] განხილვის გამართვა აუცილებელი გამხდარიყო. ვინაიდან ის ძალზე ტექნიკური ხასიათის იყო, მისი განხილვა უმჯობესი იქნებოდა წერილობით და არა ზეპირი დისკუსიის გზით. გარდა ამისა, მისი კერძო, სამედიცინო ხასიათის გათვალისწინებით, განმცხადებელი უთუოდ თავს შეიკავებდა საზოგადოების დასწრების მოთხოვნისგან“<sup>589</sup>. თუმცა სასამართლოს ეს განცხადება უნდა განიმარტოს მის მიერ გამოთქმულ ვარაუდთან კავშირში, რომ ადგილი ჰქონდა უფლებაზე ნაგულისხმებ უარს.

მეორე მხრივ, ჩვენ ასევე ვხვდებით სასამართლოს საეკონომიკურ მოულოდნელ განცხადებებს, მათ შორის, რომ „მე-ნ მუხლი ყოველთვის არ მოითხოვს საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას“<sup>590</sup>. გოჩის (Göc) საქმეში სასამართლომ ვრცლად ისაუბრა იმაზე, საქმის განხილვა რაიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებოდა თუ არა<sup>591</sup>. თუმცა ასეთ მოთხოვნას კონვენცია არ ითვალისწინებს. რვა მოსამართლე არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მათი შეხედულებით, ზეპირი განხილვა არ იყო სავალდებულო, თუ საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი არ იყო. ეს პრობლემა, როგორც ჩანს, ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი.

სისხლის სამართალწარმოებაში აუცილებელია, სულ მცირე, ერთი საჯარო განხილვის გამართვა იმ სასამართლოს წინაშე, რომელიც იხილავს მტკიცებულებებს და წყვეტს სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებულ საკითხებს<sup>592</sup>.

<sup>587</sup> კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §50. ეს არგუმენტი სრულიად მცდარია გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებასთან მიმართებაში.

<sup>588</sup> ალბერი (Albert) და ლე კომპლე (Le Compté) ბელგიის წინააღმდეგ, §30.

<sup>589</sup> შულერ ცგრაგენი (Schuler-Zgraggen) შვეიცარიის წინააღმდეგ, §30. ეს მიდგომა დადასტურდა საქმეში ჯუმბელი (Zumbel) ავსტრიის წინააღმდეგ (§23). საქმეში ფიშერი (Fischer) ავსტრიის წინააღმდეგ (§44) განსახილველი საკითხები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საჭიროებდა ზეპირ განხილვას. იხ. აგრეთვე გადაწყვეტილება განაცხადის დაუშვებლად ცნობის შესახებ: ლინო კარლოს ვარელა ასალინო (Lino Carlos Varela Assalino) პორტუგალიის წინააღმდეგ, განაცხადი 64336/01. ამ პრეცედენტული სამართლის კრიტიკისთვის იხ. ესერი (2002) 711.

<sup>590</sup> ბოტენი (Botten) ნორვეგიის წინააღმდეგ, §39. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს განცხადება მხოლოდ სააპელაციო სამართალწარმოებას ეხება.

<sup>591</sup> გოჩი (Göc) თურქეთის წინააღმდეგ (GC), §51.

<sup>592</sup> იხ. ესერი (2002) 709.

## ბ. დებულებებში მოცემული შეზღუდვები

სამივე ინსტრუმენტში მოცემულია საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მიუთითებს „მართლმსაჯულების ინტერესებზე“ და შესაბამისად, ფართო დისკრეციას უტოვებს ეროვნულ ხელისუფლებას. შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს ამ დებულების სიტყვასიტყვით და სხვა ინსტრუმენტების ანალოგიურ ნორმებთან შედარებით უფრო ვიწრო განმარტების სურვილი. თუმცა არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, რომ ამერიკული კონვენციის მიხედვით, მაგალითად, მხარეთა პირადი ცხოვრების ინტერესები არ შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საჯაროობის შეზღუდვის საფუძველი. სინამდვილეში, თვით ევროპული კონვენციის შემთხვევაში, ეროვნული ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეცია საკმაოდ ფართოა<sup>593</sup>. აღსანიშნავია, რომ ეს გამონაკლისი არ მოითხოვს აუცილებელ პირობად უფლების შეზღუდვის „კანონით გათვალისწინებას“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული გამო-  
ნაკლისების განხილვას არ დათმობია დიდი დრო სტრასბურგის პრეცედენტულ  
სამართალში<sup>594</sup>. რამდენიმე საქმეში სასამართლომ უბრალოდ გაიმეორა, რომ არ  
არსებობდა შეზღუდვის საფუძვლები. საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული  
უსაფრთხოების საფუძვლები სასამართლომ მისაღებად მიიჩნია *კემპბელის*  
(*Campbell*) და *ფელის* (*Fell*) საქმეში<sup>595</sup>. საქმეში *დიენე* (*Diennet*) *საფრანგეთის*  
*წინააღმდეგ*<sup>596</sup>. რომელიც ექიმის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებას  
შეეხებოდა, ლეგიტიმურად არ ჩაითვალა გამონაკლისის დაშვება განმცხადებლის  
პაციენტების პირადი ცხოვრების ინტერესების საფუძველზე, რადგან სასამართლო  
პროცესზე მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება არ უნდა მომხდარიყო. ამ საქმეში  
სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „მკაცრად  
აუცილებელი“<sup>597</sup>. რამდენჯერმე სასამართლომ უბრალოდ განაცხადა, რომ  
„არ არსებობდა სპეციალური ნიშნები“, რომლებიც გაამართლებდა საჯარო  
სასამართლო განხილვის არარსებობას<sup>598</sup>.

ერთი შეხედვით, კონვენციის ტექსტი მოითხოვს, რომ სასამართლო განხილვის  
საზოგადოებისთვის დახურვის საჭიროება სასამართლომ ყოველ კონკრეტულ  
საქმეში გადაწყვიტოს. თუმცა სასამართლომ კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა  
საქმეში, როდესაც ზოგადი წესის მიხედვით, საოჯახო სამართალთან დაკავშირებული  
საკითხების განხილვა დახურულ სასამართლო პროცესზე უნდა მომხდარიყო<sup>599</sup>. ორი  
მოსამართლე კატეგორიულად არ დაეთანხმა აღნიშნულ მიდგომას<sup>600</sup>.

<sup>593</sup> ველუ და ერგეცი (1990) 509.

<sup>594</sup> უფრო დეტალური მიმოხილვისთვის იხ. გოლვიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 96; გრაბენარ-  
ტური (2003) § 24 N 49-54; გრაბენარტერი (1997) 481-504; პეფლიგერი და შურმანი (1999)  
196. ამ კონტექსტში „შეფასების ფარგლების“ მიმოხილვისთვის იხ. სტავროსი (1993) 193.

<sup>595</sup> *კემპბელი* (*Campbell*) და *ფელი* (*Fell*) *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 89.

<sup>596</sup> *დიენე* (*Diennet*) *საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 34.

<sup>597</sup> ეს არ შეიძლება განვიხილოთ იმაზე მაღალ სტანდარტად, ვიდრე „გადაუდებელი  
საზოგადოებრივი საჭიროება“. იხ. აგრეთვე ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995) 219.

<sup>598</sup> *ბოტენი* (*Botten*) *ნორვეგიის წინააღმდეგ*, § 53.

<sup>599</sup> *B* და *P* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; საფრანგეთშიც არსებობს კანონმდებლობა,  
რომელიც ზოგადი წესის საფუძველზე, ზღუდავს საზოგადოების დასწრებას საოჯახო  
ურთიერთობებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე. იხ. შარიერი (2002) მე-6  
მუხლი, N 54.

<sup>600</sup> მოსამართლეები ტულკენსი და ლუკაიდესი.

## გ. სააპელაციო სამართალწარმოება

საქმეთა დიდი რაოდენობა უკავშირდება საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე. ყველა ამ საქმეში განსახილველი საკითხი იყო უშუალოდ მოსმენის უფლება, მათ შორის ბრალდებულის პირადად მოსმენის უფლება. საკამათოა, რამდენად გამართლებულია ამ საკითხების დაკავშირება საჯარო სასამართლო განხილვის უფლებასთან. სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსხვავებული საკითხები წამოიჭრება<sup>601</sup> სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით. თუმცა არ არის ნათელი სასამართლო ითვალისწინებს თუ არა ამ სხვაობას<sup>602</sup>. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება აგრეთვე განხილულია პირადად თავის დაცვის უფლების კონტექსტში. რენუჩი უარყოფს საჯარო განხილვის მოთხოვნის ნებისმიერ შეზღუდვას სააპელაციო სამართალწარმოებაში<sup>603</sup>.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავდაპირველად განაცხადა, რომ საჯარო სასამართლო განხილვა არ იყო აუცილებელი სააპელაციო სამართალწარმოების დროს<sup>604</sup>. თუმცა მოგვიანებით მან შეცვალა ეს ნეისი იმ საქმეებში, სადაც გასაჩივრების საფუძველზე სასამართლოს სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობა უნდა განესაზღვრა<sup>605</sup>. ასეთი მიდგომა ძირითადად შეესაბამება სტრასბურგის ორგანოების პრეცედენტულ სამართალს.

## დ. საქმეები, რომლებშიც კონვენციის დარღვევა იქნა დადგენილი

საქმეთა მხოლოდ მცირე რაოდენობაში მივიდა სასამართლო დასკვნამდე, რომ საჯარო სასამართლო განხილვის უფლება იქნა დარღვეული. მთავარი პრობლემა, როგორც ნეისი, უკავშირდება მოძველებულ ან სპეციალურ კანონმდებლობას. ამ თვალსაზრისით, სან მარინო განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა<sup>606</sup>. სასამართლომ აგრეთვე განიხილა საქმეები, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, საერთოდ არ ექცეოდა მე-6 მუხლის ფარგლებში<sup>607</sup>. საქმეთა მესამე კატეგორიაში საჯარო სასამართლო განხილვის უფლების განხორციელებაზე განმცხადებლებს უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი სააპელაციო სამართალწარმოების დროს<sup>608</sup>.

<sup>601</sup> გრაბენარტერი (1997) 512.

<sup>602</sup> იხ. პეფლივერი და შურმანი (1999) 192-3. ავტორები სთავაზობენ სასამართლოს, რომ ბრალდებულის პირადად მოსმენის უფლება გაიმიჯნოს საჯარო სასამართლო განხილვის საკითხისგან.

<sup>603</sup> რენუჩი (2002) 276.

<sup>604</sup> *RM ფინეთის წინააღმდეგ*.

<sup>605</sup> *არვო ო კარტუნენი (Arvo O Karttunen) ფინეთის წინააღმდეგ*. იხ. აგრეთვე თავი 10, ქვეთავი II.

<sup>606</sup> იხ. *სტეფანელი (Stefanelli)*, *ტირნეცი (Tiemec)* და *სხეები სან მარინოს წინააღმდეგ*, *ფორცელინი (Forcellini)* სან მარინოს წინააღმდეგ, *დე ბიაჯი (De Biagi)* სან მარინოს წინააღმდეგ.

<sup>607</sup> *ლე კონტი (Le Compte)*, *ვან ლოენი (Van Leuven)* და *დე მეიერი (De Meyere)* ბელგიის წინააღმდეგ; *ალბერი (Alber)* და *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის წინააღმდეგ; *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; *დიენე (Diennet)* საფრანგეთის წინააღმდეგ; *გისე (Guisset)* საფრანგეთის წინააღმდეგ; *უებერი (Weber)* შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>608</sup> *ეკატანი (Ekbatani)* შვედეთის წინააღმდეგ; *ბოტენი (Botten)* ნორვეგიის წინააღმდეგ.

## IV. სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება

საჯარო სასამართლო განხილვის უფლების ფარგლებში ყველაზე სადავო საკითხი უკავშირდება მოთხოვნას, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ავტორებმა დაუშვეს შეცდომა, რომლის თავიდან აცილებაც მოხერხდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. ამ უკანასკნელში აღნიშნულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო და არა ის, რომ „გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ“. გარდა ამისა, საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებს ამ წესიდან გამონაკლისებს. ევროპული კონვენციის მიხედვით კი, სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა გამოცხადდეს საჯაროდ.

როდესაც სასამართლომ პირველად განიხილა აღნიშნული პრობლემა, მან განაცხადა, რომ რამდენიმე ქვეყანაში გამოიყენებოდა გადაწყვეტილების საჯაროობის უზრუნველყოფის სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის სასამართლოს სამდივნოსთვის მისი გადაცემა. სასამართლომ ივარაუდა, რომ შეუძლებელი იყო კონვენციის ავტორებს ეს გამოპარვოდ მხედველობიდან. თუმცა ამავე დროს მიანიშნა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები (*travaux préparatoires*) ამ ვარაუდს არ უჭერდა მხარს. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი, თუ გადაწყვეტილება მხოლოდ „იქნებოდა საჯარო“<sup>609</sup>.

კონვენციის ეს *contra legem* ინტერპრეტაცია დადასტურდა მოგვიანებით განხილულ რამდენიმე საქმეში. ორ საქმეში, რომლებიც ბავშვის მეურვეობას შეეხებოდა სასამართლომ საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძვლებიც კი გამოიყენა ანალოგიის სახით, რათა თავიდან აეცილებინა გარანტიის დარღვევა<sup>610</sup>. ეს პოტენციური საფრთხე იდენტიფიცირებული იქნა რამდენიმე ავტორის მიერ<sup>611</sup>. შეუძლებელია გადაწყვეტილების ანონიმური ვერსიის მომზადება, ვინაიდან საქმის მონაწილეები ინფორმირებული იქნებიან განსახილველი საკითხის შესახებ. მეორე მხრივ, თუ შესაძლებელია ანონიმური გადაწყვეტილების მომზადება, მისი გამოქვეყნება უინტერესო იქნება საზოგადოებისთვის<sup>612</sup>. ძირითადი მიდგომის გამოყენების მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა ავსტრიის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში, ვინაიდან გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ლეგიტიმური ინტერესის მქონე პირებისთვის და სასამართლოს დისკრეციის საფუძველზე<sup>613</sup>. ლამანას (*Lamanna*) საქმეში გადაწყვეტილება უკანონო პატიმრობისთვის კომპენსაციის მიცემის შესახებ საჯაროდ გამოცხადდა მისი მიღებიდან 6 წლის

<sup>609</sup> აქსენი (*Axen*) გერმანიის წინააღმდეგ, §31; იხ. აგრეთვე პრეტო (*Pretto*) იტალიის წინააღმდეგ, §30-2; ზუტერი (*Sutler*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §32-4.

<sup>610</sup> B და P გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §45. მოსამართლეები ლუკაიდესი და ტულკენსი არ დაეთანხმნენ უმრავლესობას. მოსამართლე ლუკაიდისმა მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილში აღიარა, რომ არც უმრავლესობის და არც უმცირესობის პოზიცია არ იყო სწორი და ამ საკითხში საჭირო იყო კონვენციის მოდიფიცირება (ლუკაიდესი, 2003).

<sup>611</sup> ჟეფლიგერი და შურმანი (1999) 198.

<sup>612</sup> მოსამართლე ბრანას განსხვავებული აზრი საქმეებში B გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და P გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>613</sup> შუცი (*Szucz*) ავსტრიის წინააღმდეგ, §44; ვერნერი (*Werner*) ავსტრიის წინააღმდეგ, §57; რუშიტი (*Rushiti*) ავსტრიის წინააღმდეგ, §22.



შემდეგ, ეს გამართლებული იყო პირის საბოლოო გამართლებისათვის საჭირო დროის გასვლის აუცილებლობით<sup>614</sup>.

ადამიანის უფლებათა კომიტეტს მოუწია ისეთი საქმის განხილვა, სადაც თვით განსასჯელს არ მიუღია გადაწყვეტილების წერილობითი ასლი. კომიტეტის გადაწყვეტილებით დარღვეული იქნა საერთაშორისო პაქტი, ვინაიდან გადაწყვეტილება არ გამხდარა საჯარო<sup>615</sup>.

მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და მოტივაციის მოკლე გადმოცემა უნდა იყოს საჯარო. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სრულად შეიძლება მხარეებს მოგვიანებით გადაეცეს წერილობით<sup>616</sup>.

---

<sup>614</sup> ლამანა (*Lamanna*) აესტრიის წინააღმდეგ, § 33.

<sup>615</sup> ლუის ტურონი (*Louis Touron*) ურუგვაის წინააღმდეგ.

<sup>616</sup> კროჩიანი (*Crociani*) და სხვები იტალიის წინააღმდეგ, განაცხადები 8608/79, 8722/79, 8723/79, 1729/79. იხ. კიევიარიო (2001) 206. ამ ავტორის მიხედვით, საკმარისია სასამართლო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის საჯაროდ გამოცხადება. იხ. აგრეთვე ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 31. ეს უკანასკნელი კი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მოკლე გადმოცემის გამოქვეყნება შეიძლება გამართლებული იყოს, როდესაც საზოგადოება არ იქნა დაშვებული სასამართლო პროცესზე.

# თავი 6

## გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე: ... გაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე ...

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(3) მუხლი.*

... მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის ... განხილვის უფლება ...

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი.*

ყველას აქვს მისი საქმის განხილვის უფლება ... გონივრულ ვადაში ...

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(1) მუხლი.*

საერთაშორისო პაქტი განსხვავდება ევროპული და ამერიკული კონვენციებისგან ორი მნიშვნელოვანი ასპექტით. პირველი, თუ საერთაშორისო პაქტს სიტყვასიტყვით განუმარტავთ დროული სასამართლო განხილვის უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სწრაფად იმოქმედა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და განაცხადა, რომ ნებისმიერი გაუმართლებელი გაჭიანურება ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას<sup>617</sup>. სინამდვილეში, თითქმის არ არსებობს სხვაობა სისხლის და სამოქალაქო პროცესებში ამ გარანტიის გამოყენების გზებს შორის<sup>618</sup>. ევროპული სასამართლო დროდადრო ეყრდნობა სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ იურისპრუდენციას, მაშინ როცა საქმე სისხლის სამართლის პროცესს შეეხება<sup>619</sup>.

მეორე, საერთაშორისო პაქტის მიხედვით, სასამართლო განხილვა უნდა ჩატარდეს „გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე“ და არა „გონივრულ ვადაში“.

<sup>617</sup> კაზანოვა (Casnovas) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>618</sup> იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 44. თუმცა არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის მოსაზრებას, რომ ისინი „სინონიმურია“.

<sup>619</sup> მაგ: ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, §80, 82; Garyfallou AEBE საბურძნეთის წინააღმდეგ, §39, 74; ჰენინგი (Henning) ავსტრიის წინააღმდეგ, §38.

მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ორივე ტერმინს იდენტური მნიშვნელობა აქვს. სასამართლო განხილვის ვადა ითვლება „გონიერულად“ მანამ, სანამ ადგილი არ ექნება „გაუმართლებელ გაჭიანურებას“.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

იმ დებულების პირველი პროექტი, რომელიც უნდა გამხდარიყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, წარმოდგენილი იქნა აშშ-ს მიერ და იყოფოდა ორ ნაწილად. მე-6 მუხლი შეეხებოდა ბრალდებული პირის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში, ხოლო 27-ე მუხლი აწესრიგებდა სამოქალაქო სამართალწარმოებას. დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ ირონიულია ის ფაქტი, რომ მითითება „გაუმართლებელ გაჭიანურებაზე“ მოცემული იყო მხოლოდ 27-ე მუხლში.<sup>620</sup> გარანტია მე-14 მუხლში იქნა შეტანილი ბატონი ბარორის წინადადების საფუძველზე, რომელიც ისრაელის დელეგაციას წარმოადგენდა.<sup>621</sup> მისი თქმით, გაუმართლებელი გაჭიანურება „ყოველთვის წარმოადგენდა უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე“.<sup>622</sup>

## გ. გარანტიის დანიშნულება

ერთ-ერთ პირველ საქმეში სასამართლომ მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა გონიერულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დანიშნულება: „... ამ დებულების ნამდვილი მიზანი სისხლის სამართლის საქმეებში არის იმის უზრუნველყოფა, რომ პირები ბრალდების ქვეშ არ იყვნენ ძალზე დიდი ხნით და რომ ბრალდების საფუძვლიანობა განისაზღვროს“<sup>623</sup>. ხანგრძლივ სამართალწარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოაქციოს ბრალდებულები და გაამძაფროს ბუნდოვან მომავლთან, მსჯავრდების შიშთან და სასჯელის გაურკვეველ სიმძიმესთან დაკავშირებული განცდები. ამით შეიძლება აიხსნას ის სიხშირე, რომლითაც ეს უფლება გამოიყენება განმცხადებლების მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გონიერულ ვადაში საქმის განხილვის უფლების საფუძველზე გადაწყვიტა 250 საქმე<sup>624</sup>. კიდევ უფრო დიდმა რაოდენობამ ვერ მიაღწია სასამართლომდე, დაუშვებლად ცნობის ან კონვენციის ძველი ვერსიის 32-ე მუხლის მიხედვით, იურისპრუდენციული თვალსაზრისით ინტერესის არარსებობის საფუძველზე, მინისტრთა კომიტეტისთვის მათი გადაცემის გამო. საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვა დასრულდა მორიგებით.

ცხადია, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გონიერულ ვადაში იქნება გამოტანილი. ამის ალტერნატივა იქნებოდა განუსაზღვრელი ვადით მისი გადადება, რაც მართლმსაჯულებაზე უარის თქმის

<sup>620</sup> ვაისბროდტი (2001) 45.

<sup>621</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 44.

<sup>622</sup> ვაისბროდტი (2001) 72.

<sup>623</sup> *ვემპოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, § 18.

<sup>624</sup> ამ სიაში არ შედის სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმეები, რომელთა რაოდენობა კიდევ უფრო დიდია. 1987 წლის შემდეგ 10000-ზე მეტი საქმე იქნა განხილული იტალიის წინააღმდეგ, გაჭიანურებული სამართალწარმოების ნიადაგზე. 2001 წლის 30 ივნისამდე გადაწყვეტილებათა 60% შეეხებოდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას. იხ. როდი და მერდოკი (2001) N 5.91. გრაბენვარტერი (2003) § 24 N 44; ამ ავტორის მიხედვით, გონიერულ ვადაში საქმის განხილვის უფლება არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი გარანტია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

ტოლფასია<sup>625</sup>. გონიერულ ვადში საქმის განხილვის უფლების მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება კანონის უზენაესობის ფუნდამენტური ელემენტია<sup>626</sup>.

თუმცა ასევე უნდა ითქვას, რომ დროული სასამართლო განხილვა ყოველთვის არ შედის ბრალდებულის ინტერესებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის პატიმრობაში არ იმყოფება. დაცვის შეუძლია ისარგებლოს, მაგალითად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადით, რამაც შეიძლება უბიძგოს მას სამართალწარმოების შეყოვნების ტაქტიკის გამოყენებისკენ. ერთ-ერთ საქმეში დროის ელემენტი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს უკავშირდებოდა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის წინაშე პირი ამტკიცებდა, რომ ტრინიდადისა და ტობაგოს გენერალური პროკურორი სრულად აკონტროლებდა სააპელაციო სამართალწარმოების სისწრაფეს. თუ ის დიდხანს გაგრძელებოდა, მაშინ გამოირიცხებოდა სიკვდილით დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა. თუმცა მის საქმეში სამართალწარმოება უჩვეულოდ სწრაფად დასრულდა. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა, იყო თუ არა დარღვეული დაცვის მოსამზადებლად საქმარისი დროის უფლება და უარყოფით დასკვნამდე მივიდა. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია საერთაშორისო პაქტის დარღვევას<sup>627</sup>.

არსებობს ასევე სასამართლო განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების თავიდან აცილების საზოგადოებრივი ინტერესი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას აქვს გაცილებით უფრო ფართო მიზნები, ვიდრე უბრალოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ხელშეწყობა. სხვა მიზნები, მათ შორის დამნაშავეის რესოციალიზაცია, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. სამართალწარმოების გაჭიანურებას შეუძლია აღნიშნული მიზნების განხორციელებაზეც მოახდინოს უარყოფითი გავლენა<sup>628</sup>. თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში მათ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ.

სტავროსი მიიჩნევს, რომ დროული სასამართლო განხილვის უფლება არის ასევე ეფექტიანი დაცვის მომზადებაში ბრალდებულის დახმარების საშუალება, ვინაიდან „დროის გასვლასთან ერთად შეიძლება დაიკარგოს გამამართლებელი მტკიცებულებები“<sup>629</sup>. თუმცა მისი არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, რადგან დროის გასვლა შეიძლება თანაბრად ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ბრალდებისთვის. გარდა ამისა, ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს პრინციპით „lex mitior“, რასაც ადგილი ჰქონდა კანგასლუომას (*Kangasluoma*) საქმეში<sup>630</sup>.

#### დ. სამართალწარმოებისა და წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა

სამართალწარმოებისა და წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ დებულებებს შორის შეიძლება აშკარა პარალელების გავლება. ცხადია, ეს უკანასკნელი უფრო მეაცრია, რადგან პატიმრობა ადამიანის პირად

<sup>625</sup> გოლიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 76.

<sup>626</sup> შარიერი (2002) მე-6 მუხლი, N 42; კოვარიო (2001) 156.

<sup>627</sup> დოლე ჩადი (*Dole Chadee*) და სხვები ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ.

<sup>628</sup> პეტერსი (2003) 123.

<sup>629</sup> სტავროსი (1993) 77.

<sup>630</sup> კანგასლუომა (*Kangasluoma*) ფინეთის წინააღმდეგ, § 34.

თავისუფლებაში არსებით ჩარევას გულისხმობს და მნიშვნელოვანი ტვირთია ბრალდებულისთვის. სწორედ ამიტომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9(3), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5(3) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7(3) მუხლები დამატებით გარანტიებს ითვალისწინებენ<sup>631</sup>. *ვემჰოფის (Wemhoff)* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობაში გატარებული დრო არ იყო ზედმეტად დიდი; შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-6(1) მუხლში მოცემული შედარებით ნაკლებად მკაცრი ვალდებულება<sup>632</sup>. თუმცა ასეთ ვითარებას ყოველთვის არ ექნება ადგილი. სამართალწარმოება შეიძლება უფრო დიდხანს გაგრძელდეს, ვიდრე წინასწარი პატიმრობა, როდესაც ბრალდებული გათავისუფლდა ან ადგილი აქვს შეფერხებას გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვისას. შეფერხების მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, დიდი დროის დახარჯვა წერილობითი გადაწყვეტილების მომზადებაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მაგრამ არა მე-5(3) მუხლი.

## ე. განსახილველი საკითხები

გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების სამართლებრივი ასპექტები შედარებით მარტივია. მთავარი სირთულე, განსაკუთრებით კონვენციის იმპლემენტაციის პირველ ეტაპზე, უკავშირდებოდა განსახილველი საქმეების ფაქტობრივ ასპექტებს. კომისიას ხშირად უწევდა რამდენიმეწლიანი საქმეების დეტალური ანალიზი იმის გასარკვევად, სამართალწარმოების გაჭიანურება გამართლებული იყო თუ არა<sup>633</sup>. თვით უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ხანგრძლივ სასამართლო განხილვას<sup>634</sup>, თუმცა ევროპულმა სასამართლომ მოახერხა ამ საკითხების გამარტივებული ფორმით გადაწყვეტა<sup>635</sup>.

სამი ძირითადი საკითხი წამოიჭრება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების კონტექსტში: როდის იწყება და მთავრდება შესაბამისი ვადა და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა გავარჩიოთ გონივრულ ვადაში ჩატარებული საქმის განხილვა გაუმართლებლად გაჭიანურებულისგან? გარდა ამისა, უნდა განვიხილოთ ეროვნული ხელისუფლების მიერ ბრალდებულისთვის არაგონივრულ ვადაში ჩატარებული სასამართლო განხილვის კომპენსირების საკითხი.

<sup>631</sup> იხ. მაგ: *სტოგმიულერი (Stögmüller)* ავსტრიის წინააღმდეგ, გვ. 40, §5; *იაბლონსკი (Jablonski)* პოლონეთის წინააღმდეგ, § 104; *პუნცელტი (Punzell)* ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, §98.

<sup>632</sup> *ვემჰოფი (Wemhoff)* გერმანიის წინააღმდეგ, § 20.

<sup>633</sup> მაგ: *ჰაზე (Haase)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 7412/76; *ბონიშო (Bonnechaux)* შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8224/78; *პანელიე (Pannelier)* შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 9299/81; *შერტენლაიბი (Schertenleib)* შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8339/78; *ჰაიტი (Hätti)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 6181/73.

<sup>634</sup> მაგ: *შელოხი (Szloch)* პოლონეთის წინააღმდეგ; *ლავენტი (Laventis)* ლატვიის წინააღმდეგ; *კალაშნიკოვი (Kalashnikov)* რუსეთის წინააღმდეგ.

<sup>635</sup> ასეთი მოკლე გადაწყვეტილებებიდან პირველი იყო *მესინა (Messina)* იტალიის წინააღმდეგ. იხ. აგრეთვე *ოლსტოვსკი (Olstowski)* პოლონეთის წინააღმდეგ; *ვიზეი (Viezies)* საფრანგეთის წინააღმდეგ; *ანდრეა კორსი (Andrea Corsi)* იტალიის წინააღმდეგ; *მელიუსი (Meilus)* ლიტვის წინააღმდეგ; *იანკოვი (Yankov)* ბულგარეთის წინააღმდეგ; *ალფატლი (Alfatle)* თურქეთის წინააღმდეგ.

## II. შესაბამისი ვადის ათვლის წერტილი

### ა. „ბრალდების წარდგენის“ ცნების „ავტონომიური“ ინტერპრეტაცია

საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის მიხედვით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება წარმოიქმნება მას შემდეგ, რაც პირს წარდგენა სისხლისსამართლებრივი ბრალდება. შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამოქმედო სამართალი, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს პროცედურას, რომელიც ბრალდების წარდგენის მანიშნებელია. ეს შეიძლება იყოს გამოძიების ფორმალური დანყება „ბრალდების“ ხსენების გარეშე. საერთაშორისო ორგანოები ვერ იქნებიან დამოკიდებული შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მოცემულ კვალიფიკაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებს ექნებოდათ სამართალწარმოების ხანგრძლივობის მანიპულირების შესაძლებლობა იმის უზრუნველყოფით, რომ ფორმალური „ბრალდების“ წარდგენა მომხდარიყო სამართალწარმოების გვიანდელ ეტაპებზე, მათ შორის გამოძიების დასრულების შემდეგ. ეს კი მნიშვნელოვნად შელახავდა გარანტიის მიზანს და შეუძლებელს გახდიდა მის ერთგვაროვან გამოყენებას. ამ ვითარებიდან ყველაზე ნათელი გამოსავალი ბრალდების წარდგენის ავტონომიური ცნების შემუშავებაა, რაც უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას ევროპული კონვენციის წევრი სახელმწიფოების მასშტაბით.

### ბ. ზოგადი წესი

პრეცედენტული სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე სასამართლომ განსაზღვრა ის დრო, როდესაც იწყება შესაბამისი ვადის ათვლა. სასამართლოს მიხედვით, „ბრალდება“ უნდა იყოს საწყისი წერტილი, ვინაიდან „სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრა“. ამის შემდეგ სასამართლო მიუთითებს „ბრალდების“ ავტონომიურ ცნებაზე: „ისე როგორც ეს სიტყვა არის გაგებული კონვენციის მნიშვნელობით“<sup>636</sup>. ეკლეს (Eckle) საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ათვლის მომენტი შეიძლება წინ უსწრებდეს სასამართლო განხილვას და იყოს „დაკავების თარიღი, დღე, როდესაც პირს ოფიციალურად ეცნობა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შესახებ ან წინასწარი გამოძიების დანყების თარიღი“<sup>637</sup>. ამ საქმეში სასამართლომ პირველად ჩამოაყალიბა „ბრალდების“ ცნება: „[ის] შეიძლება განისაზღვროს როგორც „ოფიციალური შეტყობინება, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაეცა პირს და შეიცავს მტკიცებას, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული“, ეს არის განსაზღვრება, რომელიც ასევე შეესაბამება ტესტს „არსებითი ზეგავლენა განიცადა თუ არა [უჭვმიტანილის] მდგომარეობა“<sup>638</sup>. სასამართლოს მითითება დევეერის (Deweert) საქმეზე ზაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს დეფინიცია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ „გონივრული ვადის“ ათვლის წერტილის, არამედ მთლიანად მე-ნ მუხლის მოქმედების დასაწყისის განსაზღვრას.

<sup>636</sup> ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, §18.

<sup>637</sup> ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, §73. საქმეში დე ვარგა-ჰირში (De Varga-Hirsch) საფრანგეთის წინააღმდეგ (განაცხადი 9559/81) კომისიამ არ მიიჩნია პოლიციის მიერ პირის დაპატიმრება ვადის ათვლის დანყებად, რაც შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ განწყვეტილების კრიტიკოსთა იხ. სტავროსი (1993) 80.

<sup>638</sup> ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, §73.

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ სასამართლოს იურისპრუდენცია თითქმის არ შეცვლილა:

სასამართლო იხსენებს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასებისას მხედველობაში მისაღები ვადის ათვლა იწყება უფლებამოსილი ორგანოს მიერ ინდივიდისთვის ოფიციალური შეტყობინების გადაცემიდან, რომელიც შეიცავს მტკიცებას, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ან სხვა ქმედებიდან, რომელიც ასეთი მტკიცების შედეგებს იწვევს და ანალოგიურად არსებით ზეგავლენას ახდენს ეჭვმიტანილის მდგომარეობაზე ... სასამართლოს უცვლელი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ბრალდება“ პირისთვის წარდგენილად ჩაითვლება, *inter alia*, როდესაც მის საქმეზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება და თუმცა არ არის დაკავებული, განმცხადებელს ოფიციალურად ეცნობა გამოძიების დაწყების შესახებ ან ამ ფაქტმა დაიწყო მასზე ზეგავლენის მოხდენა. მოცემულ საქმეში სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ განმცხადებელმა ოფიციალურად შეიტყო გამოძიების შესახებ პოლიციის მიერ მისი პირველად დაკითხვის დროს, 1990 წლის დეკემბერში<sup>639</sup>.

ვადის ათვლის წერტილად ჩაითვალა აგრეთვე პოლიციის მიერ პირის პირველად დაკითხვა<sup>640</sup> და ჩხრეკა<sup>641</sup>.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების ობიექტი უნდა იყოს თავად განმცხადებელი. ერთ-ერთ საქმეში გამოძიება თავდაპირველად მხოლოდ კორპორაციაზე იყო ფოკუსირებული და მხოლოდ მოგვიანებით გაერცვლა განმცხადებელზე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო იმავე დანაშაულის ჩადენაში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის წინააღმდეგ დაწყებული წინასწარი გამოძიების ეტაპზე განმცხადებელი დააკავეს და მისი სახლიც გაჩხრიკეს, სასამართლომ, ერთობ მოულოდნელად, განაცხადა, რომ დროის ამ მოწაკვეთში მისთვის არ წარუდგენიათ „ბრალდება“ კონვენციის მნიშვნელობით<sup>642</sup>.

ასევე ცოტა ბუნდოვანია, რა იგულისხმება გამოძიებაში, რომელმაც შეიძლება „არსებითი ზეგავლენა მოახდინოს“ პირზე, როდესაც სისხლის სამართალწარმოებას წინ უსწრებს ადმინისტრაციული გამოძიება. მაგალითად, საქმეში *IJL, GMR* და *AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, *მაგალითად*, საქმეში *IJL, GMR* და *AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ვაჭრობისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ ჩატარებული გასაუბრებები არ ჩაითვალა სამართალწარმოების დაწყების მომენტად<sup>643</sup>. *ბერტინ-მუროს (Bertin-Mouro)*

<sup>639</sup> *კანგასლუომა (Kangasluoma) ფინეთის წინააღმდეგ*, §26; იხ. აგრეთვე *ფოტი (Foti)* და *სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §52; *ბერტინ-მურო (Bertin-Mouro)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §52; *IJL, GMR* და *AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §131; *აბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ*, §102; *მიტაპი (Mitap)* და *მუფთუოგლუ (Müftüoğlu) თურქეთის წინააღმდეგ*, §31; *ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ*, §74; *ჰოზე (Hozee) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §43; *ბოში (Wboch) პოლონეთის წინააღმდეგ*, §144; *სარი (Sari) თურქეთის წინააღმდეგ*, §66; *მეტცერი (Metzger) გერმანიის წინააღმდეგ*, §31. *პანთუა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ*, §275.

<sup>640</sup> *მარტინსი (Martins)* და *გარსია ალვისი (Garcia Alves) პორტუგალიის წინააღმდეგ*, §20.

<sup>641</sup> *დიამანტიდისი (Diamantides) საბურძნეთის წინააღმდეგ*, §21; *ქიომე (Coëme) ბელგიის წინააღმდეგ*, §133.

<sup>642</sup> *რეინჰარტი (Reinhardt)* და *სლიმან-კაიდი (Sliimane-Kaid) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §93; *ჰოზე (Hozee) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §44.

<sup>643</sup> *IJL, GMR* და *AKP გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §131.

საქმეში კი ვადის ათვლა დაიწყო მაშინ, როდესაც ნახატის უკანონო ექსპორტზე ეჭვმიტანილი პირი დაკითხეს საბაუო მოხელეებმა<sup>644</sup>.

პრეცედენტული სამართალი სიცხადეს მოკლებულია აგრეთვე იმ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას მოსდევს. *ჰოზე (Hoze)*-ს საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „ფინანსური ჯარიმის დაკისრება სახელმწიფო გადასახადების შესახებ ზოგადი აქტის 21-ე მუხლის საფუძველზე არ იწვევს სისხლის სამართალწარმოების დაწყებას იმ ელემენტების არარსებობის პირობებში, რომლებიც გაამართლებდა ფინანსური გამოძიების დეპარტამენტის ჩარევას“<sup>645</sup>. თუმცა ჯარიმის დაკისრება ყოველთვის უნდა ჩაითვალოს ბრალდების ორგანოს მხრიდან „ომის გამოცხადებად.“ საქმეებში, რომლებშიც გამოძიების დაწყების საფუძველია ჯარიმაზე პირის „პროტესტი“, მის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აღებული დრო არ ჩაითვლება სახელმწიფოს წინააღმდეგ<sup>646</sup>. *Garyfallou AEBE*-ს საქმეში ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელიც მიზნად ისახავდა დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლების გასაჩივრებას, ყოველგვარი კამათის გარეშე, განხილული იქნა მე-6(1) მუხლის საფუძველზე და გადაწყდა, რომ ზედმეტად ხანგრძლივი იყო<sup>647</sup>.

სასამართლოს კიდევ ერთი თავისებური გადაწყვეტილება გვხვდება საქმეში *GK პოლონეთის წინააღმდეგ*, როდესაც მან არ გამოიყენა ვადის ათვლის წერტილად პირის დაკავების თარიღი. სასამართლოს განცხადებით, „ძებნის შესახებ შეტყობინების გამოცემა აუცილებელი იყო განმცხადებლის დაპატიმრებამდე, სულ მცირე, რამდენიმე დღით ადრე“<sup>648</sup>. სასამართლოს, სულ მცირე, უნდა გაერკვია, განმცხადებლისთვის ცნობილი იყო თუ არა ამ შეტყობინების შესახებ.

## გ. კონვენციის ძალაში შესვლამდე დაწყებული სამართალწარმოება

განსაკუთრებული სირთულე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ სამართალწარმოების ხანგრძლივობა, რომელიც დაიწყო იქამდე, სანამ შესაბამისი სახელმწიფო შეუერთდებოდა კონვენციას. სახელმწიფო არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სამართალწარმოებაზე ან მის ნაწილზე, თუ კონვენცია მისთვის იურიდიულად სავალდებულო არ იყო. ასეთ შემთხვევაში ვადის ათვლის წერტილად ჩაითვლება თარიღი, როდესაც კონვენცია იქცა სავალდებულო აქტად. თუმცა ამ თარიღამდე სამართალწარმოების ხანგრძლივობა არ არის ყოველთვის უმნიშვნელო და სასამართლო ჩვეულებრივ მიიღებს მას მხედველობაში. სხვა სიტყვებით, თუ სამართალწარმოების დაწყებიდან მნიშვნელოვანი დრო არის გასული, სახელმწიფოებს მოუწევთ განსაკუთრებული ზომების მიღება მისი დროული დასრულებისთვის. სასამართლოს მიერ გამოიყენება შემდეგი სტანდარტული ფორმულირება: „სასამართლოს შეუძლია განიხილოს მხოლოდ ორი წლის, ხუთი თვისა და ოცდაოთხი დღისგან შემდგარი პერიოდი, რომელმაც გაიარა 1990 წლის 22 იანვრიდან, თურქეთის მიერ სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის ცნობის დღიდან, 1992 წლის 16 ივლისამდე. მიუხედავად ამისა,

<sup>644</sup> ბერტინ მურე (Berlin-Mouret) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 53.

<sup>645</sup> ჰოზე (Hoze) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 44.

<sup>646</sup> იხ. პეტერსი (2003) 124.

<sup>647</sup> Garyfallou AEBE საბურძნეთის წინააღმდეგ, § 40.

<sup>648</sup> GK პოლონეთის წინააღმდეგ, § 98.



მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ამ გადამწყვეტ თარიღამდე სამართალწარმოება ორ ნელზე მეტ ხანს გრძელდებოდა<sup>649</sup>.

### III. შესაბამისი ვადის დასასრული

შესაბამისი ვადა სრულდება მაშინ, როდესაც სამართალწარმოება მთლიანად დასრულებულია. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8(1) მუხლები ერთგვარად შეცდომაში შემყვანია, ვინაიდან ისინი მიუთითებენ გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე<sup>650</sup>. *ვემჰოფის (Wernhoff)* საქმეში ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ შესაბამისი ვადა გრძელდება მანამ, სანამ პირის გამართლება ან მსჯავდრება არ მოხდება, მათ შორის, გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვისას<sup>651</sup>. სამართალწარმოების გაჭიანურების შესახებ საჩივარი შეიძლება აგრეთვე შემოიფარგლოს მხოლოდ გასაჩივრების ეტაპით<sup>652</sup>. ამ მიდგომას იზიარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტი<sup>653</sup>. შესაბამისი ვადა მოიცავს სასჯელის განსაზღვრის მიზნით გამართულ სასამართლო პროცესს<sup>654</sup>, მაგრამ არა პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებებით შეფარდებული სასჯელების კოორდინირებას.

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო. თუ ის გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მიერ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ ინსტანციას, ვადის დენა გრძელდება<sup>655</sup>. აქაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინოლოგია არ არის გადამწყვეტი. მაგალითად, გერმანიაში გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლება ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების მიუხედავად, რომელსაც აქვს მისი გაუქმების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოიცავს მე-6(1) მუხლით გათვალისწინებული ვადა<sup>656</sup>. გარდა ამისა, ვადის დენა არ წყდება, სანამ გადაწყვეტილება არ გადაეცემა ბრალდებულს. ნებისმიერმა გაჭიანურებამ

<sup>649</sup> სარგინი (*Sargin*) და იაგჩი (*Yağci*) თურქეთის წინააღმდეგ, §58. იხ. აგრეთვე მიტაპი (*Mitap*) და მუფთუოღლუ (*Müftüoğlu*) თურქეთის წინააღმდეგ, §31; ზანა (*Zana*) თურქეთის წინააღმდეგ, §74, 82; მაიარიჩი (*Majarić*) სლოვენის წინააღმდეგ, §31; ტრასკა (*Trzaska*) პოლონეთის წინააღმდეგ, §82; ივანჩუკი (*Ivančuk*) პოლონეთის წინააღმდეგ, §72; შელოხი (*Szeloch*) პოლონეთის წინააღმდეგ, §98; პეტლიაინენი (*Pietiläinen*) ფინეთის წინააღმდეგ, §29; კალაშნიკოვი (*Kalashnikov*) რუსეთის წინააღმდეგ, §124; პანტეა (*Pantea*) რუმინეთის წინააღმდეგ, §267, 277; პანეკი (*Panek*) პოლონეთის წინააღმდეგ, §26, 27.

<sup>650</sup> ეს პრობლემა არ წარმოიქმნება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შემთხვევაში, რომელიც საუბრობს გასამართლების გაუმართლებელი გაჭიანურების დაუმეგობლობაზე.

<sup>651</sup> *ვემჰოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, §18; იხ. აგრეთვე *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, §19; *ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ*, §77.

<sup>652</sup> *პორტინგტონი (Portington) საბრძნეთის წინააღმდეგ*, §20.

<sup>653</sup> ზოგადი კომენტარი N 13, §13; *დრეშურ კალდასი (Drescher Caldas) ურუგვაის წინააღმდეგ*, §12.2, 13.4, 14.

<sup>654</sup> *ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ*, §77.

<sup>655</sup> *IA საფრანგეთის წინააღმდეგ*, §115. საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებული მაგალითისთვის იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 44.

<sup>656</sup> *მეტცერი (Metzger) გერმანიის წინააღმდეგ*, §34; იხ. აგრეთვე *გასტი (Gast) და პოპი (Popp) გერმანიის წინააღმდეგ*, §65.

გადანყვეტილების ზეპირად გამოცხადებასა და მისი სამოტივაციო ნაწილის გადაცემას შორის შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის დარღვევა<sup>657</sup>.

სტრასბურგის ორგანოებში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ეროვნული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დასრულებამდე<sup>658</sup>. აბსურდული იქნებოდა ბრალდებულის დაეკავებულეობა, რომ განაცხადის წარდგენამდე, დაეცა იმ სამართალწარმოების დასრულებისთვის, რომელიც უკვე ძალზე დიდხანს გაგრძელდა.

## IV. განვლილი ვადის შეფასება

### ა. ზოგადი წესი

ყველაზე იოლი გზა იმის გასარკვევად სამართალწარმოება გონივრულ ვადაში დასრულდა თუ არა, იქნებოდა ზუსტი ვადის განსაზღვრა. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთ მიდგომას სასურველი შედეგი გამოეყო. ერთ შემთხვევაში დაშვებული ვადა შეიძლება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდეს, ხოლო სხვა შემთხვევაში ზედმეტად ხანგრძლივი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე<sup>659</sup>. ზოგადი სახელმძღვანელო წესების აღმოჩენა პრეცედენტულ სამართალში ძალზე რთულია<sup>660</sup>. ამიტომ არ იქნებოდა სასარგებლო სასამართლოს მიერ განხილული საქმეების სიის წარმოდგენა შესაბამისი სამართალწარმოების ხანგრძლივობის მითითებით<sup>661</sup>.

სასამართლო ზოგადად იყენებს სტანდარტულ ფორმულირებას სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასების მიმართ საკუთარი მიდგომის განსაზღვრისთვის: „სასამართლო დასაწყისშივე იმეორებს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების მიხედვით და პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების, კერძოდ, საქმის სირთულის, განმცხადებლისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ქმედებების გათვალისწინებით. აუცილებელია, სხვა საკითხებთან ერთად, იმ რისკის მნიშვნელობის მხედველობაში მიიღება, რომლის წინაშეც დგას განმცხადებელი“<sup>662</sup>.

<sup>657</sup> ფილიგერი (1999) N 453; *B ავსტრიის წინააღმდეგ*.

<sup>658</sup> *დონსიმონი (Donsimoni) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §30, 31.

<sup>659</sup> იხ. ფილიგერი (1999) N 448. სასამართლოს მიმართ გამოითქმის კრიტიკა, რომ ის ძალზე სისტემურად უდგებოდ საკითხს (მაგალითად, გაკორტებასთან დაკავშირებულ საქმეებში). კიევი (2001) 206.

<sup>660</sup> კიევი (2001) 211; ჰარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 229; რიდი და მერდოკი (2001) N 5.97. საინტერესო, თუმცა საკმაოდ მოძველებული მიდგომისთვის იხ. სტაეროსი (1993) 99.

<sup>661</sup> იგივე მოსაზრებისთვის იხ. სტაეროსი (1993); საქმეთა სიებისთვის იხ. დე სალვია (1998) 179; ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 153, 154; ფილიგერი (1999) N 463.

<sup>662</sup> *ფილისი (Phillis) საბურძნეთის წინააღმდეგ (No. 2)*, §35; იხ. აგრეთვე *ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ*, §80; *კორილიანო (Corigliano) იტალიის წინააღმდეგ*, §37; *ფოი (Foi)* და *სხეუნი იტალიის წინააღმდეგ*, §56; *კემში (Kemmache) საფრანგეთის წინააღმდეგ (ნომ. 1, 2)*, §60; *პილისიე (Pliissier)* და *სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ (GC)*, §67; *მიტაი (Mitap)* და *მუფთოვოგლუ (Müftüoğlu) თურქეთის წინააღმდეგ*, §32; *ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ*, §75; *პორტინგტონი (Portington) საბურძნეთის წინააღმდეგ*, §21; *IA საფრანგეთის წინააღმდეგ*, §119; *პეტელიანი (Pietiläinen) ფინეთის წინააღმდეგ*, §41; *კიტოვი (Kitov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, §68; *ფოკასი (Phocas) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §71; *ფრაიდლენდერი (Frydlender) საფრანგეთის წინააღმდეგ (GC)*, §43; *ჰუმენი (Humen)*

სასამართლოს მითითება თავის პრეცედენტულ სამართალზე არ არის რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე. ზემოთ მოცემული ფორმულირებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი კრიტერიუმი: განმცხადებლის ქმედება, საქმის სირთულე, განმცხადებლისთვის საქმის მნიშვნელობა და ხელისუფლების ორგანოების ქმედება. ხშირად ამბობენ, რომ ამ ფაქტორების განხილვა ხდება ცალ-ცალკე და შემდეგ ფასდება მათი კუმულატიური ეფექტი<sup>663</sup>. თუმცა სასამართლოს მიდგომა შეიძლება უფრო ზუსტად აღინეროს. კერძოდ, თავდაპირველად უნდა გადაწყდეს, შეიძლება თუ არა სამართალწარმოების არაგონიერული ხანგრძლივობა იყოს დაცვის არაჯეროვანი ქმედებების შედეგი. თუ ასეა, მაშინ ადგილი არ ექნება კონვენციის დარღვევას. საქმის სირთულის კრიტერიუმს, როგორც ქვემოთ იქნება განმარტებული, არ გააჩნია რელევანტურობა იმ აშკარა ფაქტის მიღმა, რომ შედარებით რთული საქმეების გადაწყვეტა უფრო მეტ დროს მოითხოვს. გადამწყვეტი ელემენტია ხელისუფლების ორგანოების ქმედება. ამ თვალსაზრისით, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულისთვის საქმის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ შეიძლება საჭირო გახადოს სპეციალური ზომების მიღება სამართალწარმოების დაჩქარებისთვის და შესაბამისად, გადახაროს სასწორი კონვენციის დარღვევის ან მისი არარსებობის სასარგებლოდ.

სასამართლო, როგორც ჩანს, მხედველობაში იღებს, ერთი შეხედვით, სამართალწარმოება ძალზე დიდხანს გაგრძელდა თუ არა. სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ სამართალწარმოების გაჭიანურების სასარგებლო პრეზუმფიცია. ამის შემდეგ მან განიხილა, იყო თუ არა საკმარისად დასაბუთებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის გამართლების მიზნით მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები<sup>664</sup>. თუ მთლიანი სამართალწარმოება *prima facie* არ მოჩანს ძალზე ხანგრძლივი სასამართლო განიხილავს, რამდენად შეუძლია განმცხადებელს ხელისუფლების ორგანოების ინერტულობის ჩვენება<sup>665</sup>. სხვა მექანიზმი, რომლის გამოყენებაც შეიძლება საქმის განხილვის გამარტივებისთვის, არის აშკარა შეფერხებების გამოყოფა<sup>666</sup>.

## ბ. განმცხადებლის (და/ან დამცველის) ქმედება

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართალწარმოების ორგანიზებასა და მართვაზე, დაცვის დამოკიდებულებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის ხანგრძლივობაზე. დაცვის მხრიდან თანამშრომლობას შეუძლია დააჩქაროს პროცესი, ხოლო საჩივრებით, წარდგინებებით, შუამდგომლობებითა და სხვა ტიპის ქმედებებით საპირისპირო შედეგის მიღებაა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არსებობს თანდაყოლილი წინააღმდეგობა გონიერულ ვადაში გასამართლების უფლებასა და დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროის უფლებას შორის. ნებისმიერმა

---

პოლონეთის წინააღმდეგ (GC), §60; პანეკი (Panek) პოლონეთის წინააღმდეგ, §32; ნემეტი (Nemeth) უნგრეთის წინააღმდეგ, §27; კანგასლუომა (Kangasluoma) ფინეთის წინააღმდეგ, §39; GK პოლონეთის წინააღმდეგ, §99.

<sup>663</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 223; ველუ და ერგეცი (1990) N 521.

<sup>664</sup> იხ. ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, §80-93; კანგასლუომა (Kangasluoma) ფინეთის წინააღმდეგ, §35.

<sup>665</sup> იხ. კადრი (Kadri) საფრანგეთის წინააღმდეგ; ორლანდი (Orlandi) იტალიის წინააღმდეგ; კიაცი (Ciacci) იტალიის წინააღმდეგ; მანგასკია (Mangascia) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>666</sup> სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მაგალითისთვის იხ. გრაბენვარტერი (2003) §24 N 4.

დრომ, რომელიც გონივრულად დაიხარჯა ასეთი მომზადებისთვის არ შეიძლება გამოიწვიოს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევა<sup>667</sup>.

ორი შესაძლო მიზეზი, რის გამოც, სამართალწარმოების გაჭიანურება შეიძლება დაბრალდეს ბრალდებულს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია საპროცესო გარანტიების მეტისმეტად ხშირი გამოყენება, მაგალითად, საქმის განხილვის გადადების არაერთხელ მოთხოვნა. გარდა ამისა, დაცვა შეიძლება ისე მოქმედებდეს, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდებულის ინტერესი სამართალწარმოების სწრაფად დასრულებაში. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი იქნა შუამდგომლობების დიდი რაოდენობა, რომლებიც იყო უსაფუძვლო და შესაბამისად, არ შეუფერხებია სამართალწარმოების მსვლელობა. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, „მათ ეჭვქვეშ დააყენეს განმცხადებლის განზრახვა, სამართალწარმოება სწრაფად დასრულებულიყო“<sup>668</sup>. კომისიის მსგავსი პრეცედენტული სამართლის წარმომავლობის აღწერისას სტავეროსი საუბრობს დროული სასამართლო განხილვის უფლების განხორციელებაზე „ნაგულისხმებ უარზე“ და „სუფთა ხელის“ მიდგომაზე<sup>669</sup>.

სწორად იქცევა, როდესაც ცდილობს, ბრალდებულს არ დააკისროს პასუხისმგებლობა სამართალწარმოების გაჭიანურებაზე, ვინაიდან დაცვას აქვს უფლება, გამოიყენოს საპროცესო გარანტიები. როგორც წესი, ეროვნული და საერთაშორისო ორგანოების გადასაწყვეტი არ არის, რამდენად გონივრული იყო დაცვის ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყვეს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაზრდას. გარდა ამისა, ბრალდებულს არ ევალება გამოძიების დახმარება და შესაბამისად, დაუშვებელია, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს დუმილის უფლების გამოყენების გამო<sup>670</sup>. თვით საქმის განხილვის გადადების მოთხოვნა, თუ ის დამაჯერებელ მიზეზებს ემყარება, არ შეიძლება ბრალდებულის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული<sup>671</sup>. იმ საქმეთა მაგალითები, რომლებშიც საქმის განხილვის გაჭიანურების პასუხისმგებლობა ბრალდებულს დაეკისრა, საკმაოდ იშვიათია<sup>672</sup>. სასამართლოს მიდგომის მიხედვით, განმცხადებელს არ შეიძლება დაბრალდეს ავადმყოფობა<sup>673</sup>, თუმცა არსებობს სასამართლო

<sup>667</sup> კონვენციის დარღვევას არ ექნება ადგილი, როდესაც სასამართლო პროცესის გადადება შეთანხმებული იქნება ბრალდებულთან. იხ. *კემპი (Kemnache) საფრანგეთის წინააღმდეგ* (ნომ. 1, 2), §64.

<sup>668</sup> *სალაპა (Salapa) პოლონეთის წინააღმდეგ*, §88; *IA საფრანგეთის წინააღმდეგ*, §121; [განმცხადებლის] განზრახ მცდელობა, რომ დააყოვნოს გამოძიება, ნათელია საქმის მასალებიდან. ერთ-ერთი მაგალითია ის ფაქტი, რომ მან დაიცადა, სანამ აცნობებდნენ, რომ სახელმწიფო პროკურორისთვის საქმის გადაცემა უნდა მომხდარიყო და ამის შემდეგ, 1995 წლის 19 ივლისს მოითხოვა რამდენიმე დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება\*.

<sup>669</sup> სტავეროსი (1993) 98.

<sup>670</sup> იხ. მაგ: *კორილიანო (Corigliano) იტალიის წინააღმდეგ*, §41, 42; *დობერტინი (Dobbertin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, 43; *ლედონე (Ledonne) იტალიის წინააღმდეგ*, §25; *საკომანო (Saccomanno) იტალიის წინააღმდეგ*, §24; *დომინიჩიონი (Dominicioni) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §37; *დე ბლასისი (De Blasii) იტალიის წინააღმდეგ*, §23; *ბარფუსი (Barfuss) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §83; *იაგჯი (Yagci) და სარჯინი (Sargin) თურქეთის წინააღმდეგ*, §66; *რიშე (Richel) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §75; *დებაში (Debbasch) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §41. *ნემეტი (Nemeth) უნგრეთის წინააღმდეგ*, §29.

<sup>671</sup> *პორტინგტონი (Portington) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §28, 29.

<sup>672</sup> *რინგაიზენი (Ringelisen) ავსტრიის წინააღმდეგ*, §110; *ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ*, §82; *მოცნიკი (Mölsnik) ესტონეთის წინააღმდეგ*, §42; *პუნცელტი (Punzelt) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §94.

<sup>673</sup> *ლავენსი (Lavenis) ლატვიის წინააღმდეგ*, §101.

განხილვაზე დასწრების ძირითადი ვალდებულება და თუ ბრალდებული თავს არიდებს მის შესრულებას, შედეგად მიღებული სამართალწარმოების გაჭიანურება მისი პასუხისმგებლობა იქნება<sup>674</sup>. განმცხადებლის პასუხისმგებლობაა აგრეთვე გაფიცვებითა<sup>675</sup> და დაკავების საკნის დატოვებაზე უარის თქმით<sup>676</sup> გამოწვეული შეფერხებები, თუ საამისოდ მას არ გააჩნია საფუძვლიანი მიზეზი<sup>677</sup>.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ამ ფაქტორის მნიშვნელობის გადაფასება. მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება ბრალდებულის „გაქიცხვა“ მრავალრიცხოვანი წარდგინებებისთვის, ეს არ ნიშნავს, რომ მათ განხილვაზე დახარჯული დრო სახელმწიფოს დაბრალდეს. ძირითადი საკითხია არა ბრალდებულის, არამედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსებობა. შესაბამისად, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შეფერხება არ შეიძლება მასვე დაბრალდეს, თუმცა არც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იწვევს<sup>678</sup>. საქმეში, რომელშიც ბრალდებულმა გამოიწვია სამართალწარმოების გაჭიანურება სასამართლო სხდომებზე გამოუცხადებლობით, გადამწყვეტ გარემოებად ჩაითვალა, სასამართლოზე მისი დასწრების მიზნით, სახელმწიფოს მიერ მიღებული გონივრული ზომები. აქედან გამომდინარე, სამართალწარმოების ხანგრძლივობას არ გამოუწვევია კონვენციის დარღვევა<sup>679</sup>.

## გ. საქმის მნიშვნელობა ბრალდებულისთვის

სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას სასამართლო იყენებს სუბიექტურ ელემენტს: რაც უფრო მნიშვნელოვანია საკითხი და მალაღია რისკი, რომლის წინაშეც დგას ბრალდებული, მით უფრო მეტად უნდა ეცადოს სახელმწიფო სამართალწარმოების ნებისმიერი გაჭიანურების თავიდან აცილებას.

მხრიდან განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენის აუცილებლობის საფუძველი შეიძლება იყოს სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის გამოყენება<sup>680</sup>, ბრალდებულის ასაკი ან ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა<sup>681</sup> და ის ფაქტი, რომ პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება<sup>682</sup>.

<sup>674</sup> *ჯიროლამი (Girolami) იტალიის წინააღმდეგ*, §15; *გელი (Gelli) იტალიის წინააღმდეგ*, §38; *სარი (Sari) თურქეთისა და დანიის წინააღმდეგ*, §85, 86; *ბუნკატი (Bunkate) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §21; *ვენტურა (Ventura) იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7438/76.

<sup>675</sup> *იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ*, §104.

<sup>676</sup> *ტრასკა (Trzaska) პოლონეთის წინააღმდეგ*, §89.

<sup>677</sup> საქმეში *მელორსი (Mellors) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* სასამართლომ გაიზიარა ბრალდებულის პოზიცია, ვინაიდან მას უკანონოდ ეთქვა უარის გამოცხადება ტანსაცმლის ტარებაზე.

<sup>678</sup> იხ. მაგ. *ლავენცი (Lavents) ლატვიის წინააღმდეგ*, §101.

<sup>679</sup> *გკ პოლონეთის წინააღმდეგ*, §102.

<sup>680</sup> *პორტინგტონი (Portington) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §37; მეორე მხრივ, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სიკვდილით დასჯის რისკის დროს შეიძლება გაართლებული იყოს სამართალწარმოების ნებისმიერი გაჭიანურება, ვინაიდან ის სიცოცხლის გადარჩენის ან, როგორც მინიმუმ, მისი გახანგრძლივების ცოლფასია.

<sup>681</sup> *ბელანსკი (Beljanski) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §40; *საფრანგეთის წინააღმდეგ*, §47.

<sup>682</sup> *მოცნიკი (Mötsnik) ესტონეთის წინააღმდეგ*, §40; *აბდულა (Abdoellah) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §24.

## დ. საქმის სირთულე

ცხადია, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა იზრდება საქმის სირთულის პროპორციულად. იმ საქმეების გამოკლებით, რომლებშიც თვალსაჩინო მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზები, სტრასბურგის ორგანოების მიერ განხილული საქმეები, როგორც წესი, გარკვეული სირთულით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის ეკონომიკური დანაშაულები, რომლებშიც დიდია მსხვერპლთა რაოდენობა და მათი მოტყუების მიზნით გამოყენებული იქნა რთული მექანიზმები. სირთულე ძირითადად ხაზგასმულია საქმის მასალების სიდიდის და ბრალდებულთა ან/და მონმეთა რაოდენობის კონტექსტში<sup>683</sup>. თუმცა გვხვდება აგრეთვე პოლიტიკურ დანაშაულებთან<sup>684</sup> ან შპიონაჟთან<sup>685</sup> დაკავშირებული საქმეებიც. სირთულეები, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება, როდესაც დანაშაული საერთაშორისო განზომილებისაა და მოიცავს უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვას ან ექსტრადიციას<sup>686</sup>. კომისიას ასევე მოუწია ნაციისტური რეჟიმის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების მხედველობაში მიღება<sup>687</sup>.

ზოგჯერ განმცხადებელი თავად განმარტავს, როგორ შეიძლებოდა სამართალწარმოების უფრო ეფექტიანად ჩატარება. რთულია ასეთ არგუმენტებზე სასამართლოს პასუხში თანმიმდევრული მიდგომის დანახვა. მაგალითად, *ნოიმაისტერის (Neumeister)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს არ ეკისრებოდათ განმცხადებლის საქმის გამოყოფის ვალდებულება სხვა ბრალდებულების საქმისგან და ამასთან, ევალდებოდით „მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების“ უზრუნველყოფა<sup>688</sup>. სხვა სიტყვებით, სასამართლო არ მოითხოვს სისწრაფეს ხარისხის ხარჯზე. მეორე მხრივ, *კემაშის (Kemmaché)* საქმეში სასამართლომ, კომისიის მსგავსად, ჩათვალა, რომ აუცილებელი იყო განმცხადებლის საქმის გამოყოფა სხვა ბრალდებულების საქმისგან<sup>689</sup>. *ბოდაერტის (Boddaert)* საქმეში კი გადაწყვიტა, რომ ერთ წარმოებაში საქმეთა გაერთიანება მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებით იყო განპირობებული<sup>690</sup>. *ეკლეს (Eckle)* საქმეში სასამართლომ კრიტიკის ობიექტად იქცა „საქმეთა უშეელებელი რაოდენობის“ ერთდროულად გამოძიება. მან არასაკმარის არგუმენტად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მათ

<sup>683</sup> იხ. მაგ: *ნოიმაისტერი (Neumeister)* ავსტრიის წინააღმდეგ; *ეკლე (Eckle)* გერმანიის წინააღმდეგ; *კემაში (Kemmaché)* (ნომ. 1, 2) საფრანგეთის წინააღმდეგ; *ჰოზე (Hozee)* ნიდერლანდების წინააღმდეგ; *CP* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*; *ლავენტი (Lavenis)* ლატვიის წინააღმდეგ; *კანგასლუომა (Kangasluoma)* ფინეთის წინააღმდეგ; *GK* პოლონეთის წინააღმდეგ.

<sup>684</sup> მაგ: *მიტაპი (Mitap)* და *მუფთუოგლუ (Müftüoglu)* თურქეთის წინააღმდეგ.

<sup>685</sup> მაგ: *დობერტინი (Dobbertin)* საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>686</sup> იხ. მაგ: *ნოიმაისტერი (Neumeister)* ავსტრიის წინააღმდეგ, §21; *სარი (Sari)* თურქეთისა და დანიის წინააღმდეგ.

<sup>687</sup> იხ. ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 145.

<sup>688</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister)* ავსტრიის წინააღმდეგ, §21; იხ. აგრეთვე *ქენკოკაქი (Cankocak)* თურქეთის წინააღმდეგ, §31; *ქიომე (Coërme)* ბელგიის წინააღმდეგ, §139.

<sup>689</sup> *კემაში (Kemmaché)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §70.

<sup>690</sup> *ბოდაერტი (Boddaert)* ბელგიის წინააღმდეგ, §39; იხ. აგრეთვე *PB* საფრანგეთის წინააღმდეგ, §34.

შორის, ყველა დანაშაულის საეალღებულ გამოძიების პრინციპის გამო<sup>691</sup>.

ცხადია, საქმის სირთულე მასთან დაკავშირებული გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. დობერტენის (Dobbertin) საქმეში გაჭიანურებული სამართალწარმოება იყო მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგი, რამაც სასამართლო განხილვის ჩატარების ადგილის ხშირი ცვლა გამოიწვია<sup>692</sup>. ეს გარემოება მთლიანად სახელმწიფოს პასუხისმგებლობად ჩაითვალა.

პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველადი შთაბეჭდილების საპირისპიროდ, საქმის სირთულის კრიტერიუმში არ იძლევა სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონიერულობის შეფასების შესაძლებლობას<sup>693</sup>. თუ ადრეული იურისპრუდენცია განიცდის სირთულის ფაქტორის გავლენას<sup>694</sup>, უკვე მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებები მხარს არ უჭერს ასეთ მიდგომას. კონვენციის დარღვევა ასევე დადგენილი იქნა იმ საქმეებში, რომლებიც გარკვეული ან თვით მნიშვნელოვანი სირთულით გამოირჩეოდა<sup>695</sup>.

სინამდვილეში, ერთადერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ხელისუფლების ორგანოების ქმედებები. საქმე რთული ხასიათის იყო თუ არა ძირითადად არარელევანტურია. კონვენციის დარღვევას ექნება ადგილი მაშინ, როცა სამართალწარმოების პროცესში გარკვეული დროის მანძილზე არ განხორციელებულა რაიმე ქმედება, თუმცა ამის გაკეთება შესაძლებელი და საჭირო იყო.

## ე. ხელისუფლების ორგანოების ქმედებები

### 1. პრინციპი

ორგანოების ქმედებების შეფასებისას მთავარი საკითხია იმის გარკვევა, ადგილი ჰქონდა თუ არა დაუსაბუთებელ გაჭიანურებას ან უმოქმედობის პერიოდს<sup>696</sup>.

<sup>691</sup> ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, § 84.

<sup>692</sup> დობერტენი (Dobbertin) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 10.

<sup>693</sup> საპირისპირო მოსაზრებისთვის იხ. სტაეროსი (1993) 93.

<sup>694</sup> იხ. ვერმოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ; ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ; შტოგმიულერი (Stogmuller) ავსტრიის წინააღმდეგ; მატნეტერი (Matznetter) ავსტრიის წინააღმდეგ; რინსგშტაინი (Rinsgsstein) ავსტრიის წინააღმდეგ.

<sup>695</sup> მაგ: ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ; შუმშაჩერი (Schumacher) ლუქსემბურგის წინააღმდეგ; გონსალეს დორია დურან დე სიროგა (Gonzales Doria Duran de Quiroga) ესპანეთის წინააღმდეგ; ბელადინა (Beladina) საფრანგეთის წინააღმდეგ; მუსესკა (Mouesca) საფრანგეთის წინააღმდეგ; პანეკი (Panek) პოლონეთის წინააღმდეგ; კანგასლუომა (Kangasluoma) ფინეთის წინააღმდეგ.

<sup>696</sup> იხ. მაგ: ლავენტი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ; პუღიესე (Pugliese) იტალიის წინააღმდეგ; ლისიაკი (Lisiak) პოლონეთის წინააღმდეგ; პეტელიანენი (Pietiläinen) ფინეთის წინააღმდეგ; ჯილ ლეალ პერეირა (Gil Leal Pereira) პორტუგალიის წინააღმდეგ; ოტომანი (Ottomani) საფრანგეთის წინააღმდეგ; ვიზიე (Viezies) საფრანგეთის წინააღმდეგ; კალაშნიკოვი (Kalashnikov) რუსეთის წინააღმდეგ; სპინელი (Spinello) იტალიის წინააღმდეგ; ბოლდრინი (Boldrin) იტალიის წინააღმდეგ; ანდრეა კორსი (Andrea Corsi) იტალიის წინააღმდეგ; პასკაცი (Pascazi) იტალიის წინააღმდეგ; ტუმბარელი (Tumbarello) და ტიტონე (Titone) იტალიის წინააღმდეგ; კარბონე (Carbone) იტალიის წინააღმდეგ; მუჩიაციარი (Mucciacciaro) იტალიის წინააღმდეგ; დელ ფედერიკო (Del Federico) იტალიის წინააღმდეგ; კასედი (Casadei) იტალიის წინააღმდეგ; ფალკონე (Falcone) იტალიის წინააღმდეგ; ბარატელი (Barattelli) იტალიის წინააღმდეგ; ნუვოლი (Nuvoli) იტალიის წინააღმდეგ; გეორგიადისი (Georgiadis) კვიპროსის წინააღმდეგ; დედე (Dede) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ; ბელანსკი (Beljanski) საფრანგეთის წინააღმდეგ; უიგური (Uygur) თურქეთის წინააღმდეგ; დინლეტენი (Dinleten) თურქეთის წინააღმდეგ; მეტინოგლუ (Metinoglu) თურქეთის წინააღმდეგ; სარიტაკი (Saritac) თურქეთის წინააღმდეგ; ზულალი (Zülal) თურქეთის წინააღმდეგ; ჩილენგირი (Cilengir) თურქეთის წინააღმდეგ; ბინბირი (Binbir) თურქეთის წინააღმდეგ; მაურერი (Maurer)

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით, როცა გაჭიანურებას არ გამოუწვევია სამართალწარმოების ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა, შეიძლება სასამართლომ ვერ აღმოაჩინოს კონვენციის დარღვევა. სწორედ ასეთი შემთხვევის მაგალითია *პრეტო (Pretto) იტალიის წინააღმდეგ*, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოებას შეეხებოდა<sup>697</sup>. *სლეჰევიჩიუსის (Sleževičius)* საქმეში სასამართლომ მძაფრად გააკრიტიკა ხელისუფლების ორგანოები იმის გამო, რომ „სამართალწარმოების პროცესში არ გამოიჩინეს არც გულმოდგინება და არც სიმკაცრე“<sup>698</sup>. ასეთი გაჭიანურება გამოიწვევს კონვენციის დარღვევას იმ შემთხვევაშიც, თუ ეს არ იყო სამართალწარმოების ხანგრძლივობის ერთადერთ მიზეზი<sup>699</sup>.

გაჭიანურებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. წინასწარი გამოძიების<sup>700</sup> ან გამოძიების<sup>701</sup> დროს გაჭიანურების მაგალითები მოიცავს უსარგებლო საგამოძიებო მოქმედებებს, როგორცაა ექსპერტის მოსაზრებები<sup>702</sup>, ან ჯეროვანი აუდიტის განუხორციელებლობას<sup>703</sup>. სასამართლო განხილვის არაეფექტური ორგანიზება, მათ შორის მხოლოდ დოკუმენტების ნაკითხვის მიზნით დაუსრულებელი სასამართლო პროცესების გამართვა<sup>704</sup>, დოკუმენტების გადაგზავნის<sup>705</sup>, სასამართლო სხდომების ოქმების<sup>706</sup> ან განაჩენის<sup>707</sup> მომზადების გაჭიანურება, აგრეთვე გამოიწვევს კონვენციის დარღვევას. დაბოლოს, სასამართლომ განიხილა სამართალწარმოების გაჭიანურების საკითხი გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვის სტადიაზე<sup>708</sup>, მათ შორის სააპელაციო გადაწყვეტილების მომზადების პროცესში<sup>709</sup>, საკასაციო საჩივრისა<sup>710</sup> და საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას<sup>711</sup>.

---

აესტრიის წინააღმდეგ. ამ საქმეებიდან მხოლოდ ორში არ იქნა აღმოჩენილი კონვენციის დარღვევა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ რუტინული, მათ შორის სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული განაცხადები ჩვეულებრივ დასაშვებად არის ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელია კონვენციის დარღვევის აღმოჩენა.

<sup>697</sup> *პრეტო (Pretto) იტალიის წინააღმდეგ*, §37.

<sup>698</sup> *სლეჰევიჩიუსის (Sleževičius) ლიტვის წინააღმდეგ*, §28.

<sup>699</sup> მაგ: *დაიდი (Djaid) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §32, 33; *პანეკი (Panek) პოლონეთის წინააღმდეგ*, §35.

<sup>700</sup> *კორილიანო (Congliano) იტალიის წინააღმდეგ*, §49, 50.

<sup>701</sup> *რეინჰარტი (Reinhardt) და შლიმან-კაიდი (Slimane-Kaid) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §100. *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §73.

<sup>702</sup> *შელოხი (Szeloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, §110.

<sup>703</sup> *გრაუსლისი (Grauslys) ლიტვის წინააღმდეგ*, §61; *ჯირდაუსკასი (Girdauskas) ლიტვის წინააღმდეგ*, §27.

<sup>704</sup> მაგ: *იაგჯი (Yagci) და სარგინი (Sargin) თურქეთის წინააღმდეგ*, §68, 69.

<sup>705</sup> *აბდულა (Abdoella) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §23; *ილიუკო (Ilijko) ბულგარეთის წინააღმდეგ*, §118.

<sup>706</sup> *ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმე: ლარი ჯეიმს პინკნი (Larry James Pinkney) კანადის წინააღმდეგ*, §12.

<sup>707</sup> *ბ აესტრიის წინააღმდეგ*, §52.

<sup>708</sup> *პორტინგტონი (Portington) საბურძნეთის წინააღმდეგ*, §33.

<sup>709</sup> *ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმეები: ერლ პრატი (Earl Pratt) და ივან მორგანი (Ivan Morgan) იამაიკის წინააღმდეგ*, §222; *კელი (Kelly) იამაიკის წინააღმდეგ*, §241.

<sup>710</sup> *დაიდი (Djaid) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §33; *ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ*, §80.

<sup>711</sup> *გასტი (Gast) და პოპი (Popp) გერმანიის წინააღმდეგ*, §75.



სამართალწარმოების ხანგრძლივობა აგრეთვე მიუღებლად ჩაითვალა საქმეში, რომელშიც მოსამართლე შეიცვალა და სასამართლო პროცესი 71-ჯერ ჩატარდა<sup>712</sup>.

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, როგორც წესი, ანესებს გარკვეულ ვადებს, რომელთა დარღვევა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა ეწინააღმდეგება კონვენციას. სასამართლო ყოველთვის დამოუკიდებლად შეისწავლის საქმეში არსებულ გარემოებებს. თუმცა ვადების დარღვევის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს იმის მანიშნებლად, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა არაგონივრული იყო<sup>713</sup>.

## 2. უსაფუძვლო მიზეზები

სახელმწიფოების მიერ სამართალწარმოების გაჭიანურების გამართლების მიზნით მოყვანილი მიზეზები ჩვეულებრივ ბანალური ხასიათისაა და მათ სასამართლო უარყოფს თანაბრად ბანალური არგუმენტაციის გზით. ყველაზე გავრცელებული მიზეზია პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოების გადატირთვა საქმეთა დიდი რაოდენობით. ამის პასუხად სასამართლო რეგულარულად აცხადებს, რომ „ხელშემკერელ სახელმწიფოებს კონვენცია აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ თავიანთი სამართლებრივი სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს, სასამართლოების მიერ, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასამართლო განხილვის ჩატარებას „გონივრულ ვადაში;“ მიუხედავად ამისა, დროებითი ჩამორჩენა მუშაობაში არ იწვევს ხელშემკერელ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას, თუ ისინი ჯეროვანი სისწრაფით მიიღებენ ზომებს განსაკუთრებული ვითარების დროს ხარვეზების აღმოფხვრისთვის<sup>714</sup>.

იშვიათი გამონაკლისი, როდესაც სახელმწიფომ მიიღო ეფექტიანი ზომები საქმეთა გაზრდილ რაოდენობასთან გამკვალების მიზნით, უკავშირდებოდა სამოქალაქო სამართალწარმოებას<sup>715</sup>. საბედნიეროდ, ეს საქმე უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს. გაუმართლებელი კონვენციის დარღვევის აღიარებაზე უარის თქმა განმცხადებლის უფლებების აშკარა ხელყოფის მიუხედავად, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფომ ნაბიჯები გადადგა მომავალში მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ სასამართლოს განცხადება, რომ „კონვენციის დანიშნულებაა უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც არა თეორიული და მოჩვენებითი, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანია“<sup>716</sup>. კონვენციის დარღვევა უნდა დადგინდეს ყველა იმ საქმეში, რომელშიც ბრალდებულის წინააღმდეგ საქმის განხილვა გონივრულ ვადაზე დიდხანს გაგრძელდა, იმის მიუხედავად, სახელმწიფო შეეცადა თუ არა ვითარების

<sup>712</sup> იხ. ივანჩუკი (*Ivanczuk*) პოლონეთის წინააღმდეგ, §78.

<sup>713</sup> ამის კარგი მაგალითია საქმე *B ავსტრიის წინააღმდეგ*, სადაც ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა წერილობითი განწყვეტილების გამოქვეყნებას 14 დღის მანძილზე. თუმცა მოსამართლეს 33 თვე დასჭირდა ამის გაკეთებისთვის.

<sup>714</sup> *ბაგერტა (Baggera)* იტალიის წინააღმდეგ, §23. იხ. აგრეთვე *ეკლე (Eckle)* გერმანიის წინააღმდეგ, §92; *მილაზი (Milasi)* იტალიის წინააღმდეგ, §18; *აბდოლა (Abdoella)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §24; *მანსური (Mansur)* თურქეთის წინააღმდეგ, §68; *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §74; *იკონომისტოსი (Ikonomitsios)* საბურძნეთის წინააღმდეგ, §21; *საინერი (Sahiner)* თურქეთის წინააღმდეგ, §29; *არველაკისი (Arvelakis)* საბურძნეთის წინააღმდეგ, §26; *ჰენინგი (Henning)* ავსტრიის წინააღმდეგ, §38; *ვოკატურო (Vocaturro)* იტალიის წინააღმდეგ, §32; *სპენტურისი (Spentsouris)* საბურძნეთის წინააღმდეგ, §27.

<sup>715</sup> *ბუჰჰოლცი (Buchholz)* გერმანიის წინააღმდეგ, §51, 61, 63.

<sup>716</sup> *არტიკო (Artico)* იტალიის წინააღმდეგ (§33) და სხვა მრავალი საქმე.

გამოსწორებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების მიზანია არა მთავრობების დისციპლინის უზრუნველყოფა, არამედ ინდივიდების დაცვა. თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფოების მიერ გადადგმული ნაბიჯები მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის პროცესში.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გამამართლებელი სხვა მიზეზები, როგორებიცაა მოსამართლის ავადმყოფობა<sup>717</sup> ან ხელისუფლების ორგანოთა გამოუცდელობა ახალი ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში<sup>718</sup> ასევე უარყოფილი იქნა.

### 3. საფუძვლიანი მიზეზები

სამართალწარმოების გაჭიანურების გამართლების მიზნით მოყვანილი გარკვეული მიზეზები სასამართლოს მიერ საფუძვლიანად იქნა ცნობილი. ისინი მოიცავს დამცველის გაფიცვას<sup>719</sup> ან იმ რეგიონში არსებულ საზოგადოებრივ არეულობას, სადაც საქმის განხილვა მიმდინარეობდა<sup>720</sup>.

სამართალწარმოების გაჭიანურება შეიძლება დაკავშირებული იყოს უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვასთან. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ შემთხვევები, როდესაც საგამომძიებო ორგანოები უბრალოდ ელოდებიან შედეგებს და როდესაც აქტიურ ზომებს იღებენ სამართალწარმოების დასაჩქარებლად. სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა საქმეში, რომელშიც გამომძიებელი მოსამართლე ორი წლის მანძილზე უმოქმედოდ ელოდებოდა პასუხს<sup>721</sup>. თუმცა დარღვევას არ ჰქონია ადგილი სხვა საქმეში, როდესაც „ბრალდებამ არაერთხელ მიმართა თხოვნით პოლონეთის უფლებამოსილ ორგანოებს, რომ დაერწმუნებინათ შეერთებული შტატების ხელისუფლება მტკიცებულებათა შეგროვების პროცესის დაჩქარებაში“<sup>722</sup>.

## V. კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებისთვის

ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა, თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა მე-6 მუხლის საფუძველზე, ბრალდებულისთვის სამართალწარმოების გაჭიანურების კომპენსირებით. ამის გაკეთებისთვის აუცილებელია ორი პირობის დაკმაყოფილება. პირველი, საჭიროა იმ ფაქტის აღიარება, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო არაგონივრული<sup>723</sup>. მეორე, უნდა მოხდეს სასჯელის ადეკვატური შემცირება. ასევე, ნათელი უნდა იყოს, რომ სასჯელის შემცირება გაჭიანურებული სამართალწარმოების კომპენსირებას

<sup>717</sup> პანეკი (Panek) პოლონეთის წინააღმდეგ, § 30, 35. სასამართლომ საჭიროდ არც კი ჩათვალა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება.

<sup>718</sup> ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, § 85.

<sup>719</sup> ლედონე (Ledonne) იტალიის წინააღმდეგ (No 2), § 22; ჯიანანჯელი (Giannangeli) იტალიის წინააღმდეგ, § 18; იკოლარო (Icolaro) იტალიის წინააღმდეგ, § 25; ტომასო პალუმბო (Tomasso Palumbo) იტალიის წინააღმდეგ, § 19; არველაკისი (Arvelakis) საბურძნეთის წინააღმდეგ, § 25; ტუმბარელი (Tumbarello) და ტიტონე (Titone) იტალიის წინააღმდეგ, § 27. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა სამართალწარმოების ისეთი გაჭიანურების გამო, რომლის გამართლება არ შეიძლებოდა დამცველის გაფიცვით.

<sup>720</sup> ფოტი (Foti) და სხვები იტალიის წინააღმდეგ, § 61; მილაზი (Milasi) იტალიის წინააღმდეგ, § 19. ამ საქმეებში კონვენციის დარღვევას მაინც ჰქონდა ადგილი.

<sup>721</sup> იკანგა (Ikanga) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 20.

<sup>722</sup> ელოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ, § 150.

<sup>723</sup> ეს პირობები არ იქნა დატული საქმეში პეტიაინენი (Pietiläinen) ფინეთის წინააღმდეგ, § 44.

ისახავდა მიზნად<sup>724</sup>. არ არის გამორიცხული კომპენსაციის სხვა ფორმების, მათ შორის ფულადი კომპენსაციის გამოყენება, თუმცა ამის დამადასტურებელი პრეცედენტული სამართალი არ არსებობს. თუ ზემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილდა, განმცხადებელი ვეღარ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ კონვენციით განსაზღვრული უფლების დარღვევის მსხვერპლია<sup>725</sup>.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დაადგენს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას, ჩვეულებრივ, ფინანსური კომპენსაციის მინიჭება ხდება 41-ე მუხლის საფუძველზე. მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე განმცხადებელს კომპენსაციას ანიჭებდა მინისტრთა კომიტეტი კომისიის წარდგინების საფუძველზე.

თუ დავითვლით კონვენციის წევრ სახელმწიფოებზე დაკისრებულ თანხებს, განსაკუთრებით, სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურებისთვის განსაზღვრული კომპენსაციების გათვალისწინებით, მივიღებთ მრავალი მილიონი ევროსგან შემდგარ ციფრს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემა ნამდვილად ვერ დაიკვეხნის წარმატებით სამართალწარმოების დაჩქარების საკითხში<sup>726</sup>. 2002-2003 წლებში განხილულ საქმეთა შედარება გვიჩვენებს, რომ იტალიის მიერ გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევის შემთხვევები 2002 წელს განხილულ საქმეთა მესამედზე მეტს შეადგენდა. ხოლო 2003 წლიდან უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე მოდის ამ გარანტიის დარღვევათა მესამედი. დღემდე ეს რჩება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში, სადაც კონვენციის დარღვევა იქნა დადგენილი<sup>727</sup>.

<sup>724</sup> ეკლე (Eckle) გერმანიის წინააღმდეგ, §66, 87. ეს პირობა არ იქნა დაცული შემდეგ ორ საქმეში: ბეჩი (Beck) ნორვეგიის წინააღმდეგ, §27, 28; ჰოზე (Hoze) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §54.

<sup>725</sup> პანეტიე (Pannetier) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 9299/81.

<sup>726</sup> კიავარიო (2001) 207.

<sup>727</sup> იხ. უოლში (1990); ბაუი (1998); შროთი (1990); სტიენენი (1991); როზენფელუ (1983); კუნგ-პოფერი (1984); პრიბე (1983); ნანკოცი (1983); დრენდლი (1981); ბერცი (1982).



**ნაწილი მესამე**

**დაცვის სპეციალური უფლებები**

# თავი 7

## უდანაშაულობის პრეზუმფცია

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(2) მუხლი.*

ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(2) მუხლი.*

ყველა პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მე-8(2) მუხლი.*

აღნიშნული დებულებები ორი ძირითადი ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის მნიშვნელოვანი. პირველ განსახვავებას წარმოადგენს დებულებებში გამოყენებული მცირედ სახეცვლილი ფორმულირებები. ევროპული კონვენცია, რომელიც ყველაზე ადრე იქნა მიღებული, უფრო მოკლეა. საერთაშორისო პაქტი დამატებით საუბრობს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებაზე, თუმცა ეს ალბათ ზედმეტია<sup>728</sup>. ამერიკული კონვენცია საერთაშორისო პაქტის იდენტურია, თუ არ ჩავთვლით ტერმინებს შორის უმნიშვნელო განსხვავებებს.

მეორე განსხვავება სტრუქტურულია. ამერიკული კონვენცია უდანაშაულობის პრეზუმფციას ათავსებს ბრალდებულის სხვა სპეციალურ უფლებებს შორის და არ გამოყოფს მას ცალკე უფლებად.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

უდანაშაულობის პრეზუმფცია ხასიათდება დიდი ისტორიით და წარმოადგენს ადამიანის და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის 28 აგვისტოს ცნობილი

<sup>728</sup> საქმეში *სალაბიაკუს (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ* (§5) მოსამართლე ტენეიდეტი თავის განსხვავებულ აზრში აკრიტიკებს სასამართლოს წევრების უმრავლესობას იმის გამო, რომ მათ არ ცნეს უდანაშაულობის პრეზუმფცია უფლებად. თუმცა ეს უნდა ჩაითვალოს გაუგებრობად, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ევროპული ინსტიტუტები ყოველთვის აღიარებდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას როგორც უფლებას.

დეკლარაციის ნაწილს. ის აგრეთვე შეტანილი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი პროექტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება საჯარო სასამართლო განხილვით, რომელზეც მას ჰქონდა თავის დაცვისთვის აუცილებელი ყველა გარანტია“. აქ უდანაშაულობის პრეზუმფცია მჭიდრო კავშირშია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ტექსტი ყველაზე ახლოს დგას ამ უფლების ასეთ განმარტებასთან, თუმცა გაცილებით დეტალურია „თავის დაცვისთვის აუცილებელ გარანტიებთან“ მიმართებაში.

საერთაშორისო პაქტის მომზადებისას თითქმის არ ჰქონია ადგილი დისკუსიებს ამ უფლების ტექსტის შესახებ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ორი საკითხი.

პირველი, ერთ-ერთ ადრეულ პროექტში გარანტია საკმაოდ ზოგადი ფორმით იყო ჩამოყალიბებული. იმის თქმის ნაცვლად, რომ გარანტია ვრცელდებოდა ყველაზე, „ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“, მასში გამოყენებული იყო სიტყვები „ყველა პირი“,<sup>729</sup> „ყველა“<sup>730</sup> ან როგორც ბატონმა კასინმა განაცხადა, „არავინ არ ჩაითვლება დამნაშავედ“.<sup>731</sup> ტექსტი მოგვიანებით შეიცავდა, რადგან ფრანგული ვერსია შეიცავდა სიტყვას „accuse“. ინგლისური ტექსტი ადაპტირებული იქნა ფრანგული ვერსიის შესაბამისად.<sup>732</sup> ამის მიზეზი არ არის მოცემული და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორები ვერ ხედავდნენ რაიმე განსხვავებას ორ ვერსიას შორის. ეს ეპიზოდი საკმაოდ საინტერესოა და მას მოგვიანებით დავუბრუნდებით.

მეორე საკითხი შეეხება საერთაშორისო პაქტის მოსამზადებელ სამუშაოებს. შემოთავაზებული იყო გარანტიაში სიტყვების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ შეტანა, მტკიცების აუცილებელი სტანდარტის განსაზღვრის მიზნით. თუმცა აღნიშნული წინადადება (მართებულად) იქნა უარყოფილი, რადგან ის თავისთავად იგულისხმებოდა სიტყვებში „ჩაითვალოს უდანაშაულოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა“.<sup>733</sup>

## გ. გარანტიის ზოგადი მახასიათებლები და რამდენიმე ძირითადი განსაზღვრება

მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია საკმაოდ გავრცელებული ტერმინია და სამართლის შესახებ არაიურისტი პირის ზოგადი ცოდნის ნაწილს წარმოადგენს, მისი ფორმულირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პრეზუმფცია, ზემოთ მოცემული დებულებების მიხედვით, ვრცელდება დანაშაულში ბრალდებულ პირებზე. ტერმინი „ბრალდებული“ კი გულისხმობს, რომ შესაბამისი პირის მიმართ არსებობს დანაშაულის ჩადენის ვარაუდი. შესაბამისად, ერთი მხრივ, ივარაუდება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა მეორე მხრივ, მას აქვს უფლება, ჩაითვალოს უდანაშაულოდ. სახეზეა „*contradiction adjecto*“ – ტერმინებს შორის ურთიერთწინააღმდეგობა. შესაბამისად, გარანტიის პირდაპირი მნიშვნელობა ვერ იქნება მისი ნამდვილი

<sup>729</sup> ქალბატონ რუზეელტის წინადადება. იხ. ვაისბროდტი (2001) 18.

<sup>730</sup> *Ibid.*, 20.

<sup>731</sup> *Ibid.*, 17.

<sup>732</sup> *Ibid.*

<sup>733</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 35; ვაისბროდტი (2001) 56.

აზრი. სინამდვილეში, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი ნათლად მიუთითებს, რომ პირზე დანაშაულის ჩადენის ეჭვის მიტანა არ ენააღმდეგება კონვენციას. ასეთივე ეჭვი უდევს საფუძვლად ექსტრადიციის ღონისძიებებს<sup>734</sup>.

ცხადია, რომ სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არსებობს. ეჭვი გულისხმობს, რომ პირი შეიძლება იყოს დამნაშავე და არა იმას, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა. თუმცა აუცილებელია ამ თავის დაწყება გარანტიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტექსტუალური ელემენტის განხილვით.

### 1. „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“

გამონათქვამი „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ წარმოადგენს დაცვის უფლებების შესავალს. ის გვხვდება საერთაშორისო პაქტის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში და მესამე პუნქტის შესავალ ნაწილში, ასევე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, რომლებიც ამერიკულ კონვენციაში ერთ პუნქტშია თავმოყრილი.

უნდა განვიხილოთ, რამდენად გამართლებულია პრეზუმფციის მოქმედება მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის პირების მიმართ. ზემოთ მოცემული დებულებების შემუშავების ისტორია არ არის ამ მხრივ ერთმნიშვნელოვანი. ზოგიერთი პირვანდელი ტექსტი არ მოითხოვდა პრეზუმფციის გავრცელებას მხოლოდ სისხლის სამართლის კონტექსტში. თუმცა ნათელია, რომ პრეზუმფცია დაკავშირებული უნდა იყოს დანაშაულებრივ ქმედებასთან. ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, დეპორტაციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში<sup>735</sup>.

რაც შეეხება ტერმინს „ბრალად ედება“, აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე; ამ შემთხვევაში გარანტიის გავრცელების შეზღუდვა გაუმართლებელია. უდანაშაულობის პრეზუმფცია თვისობრივად განსხვავდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებული სხვა საპროცესო გარანტიებისგან.

სრულიად ლეგიტიმურია სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციალური უფლებების მოქმედების სფეროს შეზღუდვა სისხლის სამართალწარმოებით. განსხვავებით სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის საქმეებისგან. ეს უფლებები არსობრივად ებმის სისხლის სამართლის კონტექსტს. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფციის შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა. რატომ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი უდანაშაულოდ? ის ვინც არ არის ბრალდებული უნდა მივიჩნიოთ დამნაშავედ? ასეთი მდგომარეობის არსებობა აბსურდული იქნებოდა.

შეიძლება არგუმენტის შეტრიალება და კითხვის შემდეგნაირად დასმა: ის პირი, რომელიც დამნაშავედ ჩათვალებს, ავტომატურად არის ბრალდებული სისხლის სამართლის დანაშაულში? უნდა აღინიშნოს, რომ „ბრალდებული“ ტექნიკური ხასიათის ცნებაა და გულისხმობს კომპეტენტური ორგანოების ან პირების, კერძოდ, პოლიციის, პროკურორის, გამომძიებლის, მოსამართლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ფორმალური ქმედების განხორციელებას, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე აქვს ბრალდების წარდგენის უფლებამოსილება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინი „ბრალდებული“ ჩამოყალიბებულია ავტონომიურ ცნებად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების

<sup>734</sup> P, RH და LL აქტრის წინააღმდეგ, განაცხადი 15776/89. ცოტა გადამტებულია იმის თქმა, რომ მე-2(2) მუხლი არ ვრცელდება ყველა სახის ექსტრადიციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე. X აქტრის წინააღმდეგ, განაცხადი 1918/63.

<sup>735</sup> X აქტრის წინააღმდეგ, განაცხადი 1918/63.



ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ<sup>736</sup>. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ საჯარო პირის მიერ ამა თუ იმ პიროვნების ბრალეულობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, როდესაც ის ჯერ არ არის მსჯავრდებული სასამართლოს გადაწყვეტილებით, წარმოადგენს ბრალდების ფორმას. თუმცა ასეთი მიდგომა არ არის გაზიარებული ევროპული სასამართლოს მიერ.

მიუხედავად ამისა, არანსორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პრეზუმფცია შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულებით. ამ გარანტიით უნდა ისარგებლოს „ყველამ“, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა სისხლის სამართალწარმოებაში. ბრალდებულზე ეჭვითებული მინიშნება შეიძლება აიხსნას იმით, რომ პირები, რომელთა წინააღმდეგ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ. მათ სჭირდებათ დაცვა იმ პროკურორებისგან, რომლებიც ეჭვმიტანილს ექცევიან ან წარმოაჩენენ როგორც დამნაშავეს. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე უნდა გავრცელდეს მათზე, ვინც არ არის (აღარ არის ან ჯერ არ არის) ბრალდებული. ამ პრობლემას ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

## 2. „ითვლება“

მე-6(2) მუხლში საუბარია იმაზე, რომ ადამიანი „ითვლება“ უდანაშაულოდ. ასეთ პრეზუმფციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ის მიუთითებს გონებრივ მდგომარეობაზე. ამ შემთხვევაში პრეზუმფციის დადგენა გულისმობს პირის იძულებას, გრძნობდეს ან იფიქროს გარკვეული მიმართულებით. ცხადია, რომ მოცემულ კონტექსტში ეს ვერ იქნება ტერმინის ჯეროვანი განსაზღვრება. ფიქრებისა და გრძნობების რეგულირება შეუძლებელია.

ლოგიკური თვალსაზრისით, პრეზუმფცია არის ჰიპოთეზა, ფიქციური პოზიცია, რაც ნებისმიერი ექსპერიმენტის ან მეთოდური კვლევის ამოსავალი წერტილია და რომელსაც მიეყვანართ ჰიპოთეზის დადასტურებამდე ან უარყოფამდე. თუმცა არც ეს არის დამაჯერებელი ინტერპრეტაცია. სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება არა იმ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, არამედ მისი საეარაუდო დამნაშავეობის საფუძველზე. სწორედ „ეჭვი“ უდევს საფუძველად სისხლისსამართლებრივ დევნას.

სამართლებრივ ინსტრუმენტებში მოცემული პრეზუმფცია უნდა გავიგოთ როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც არეგულირებს იმ პირთა მიმართ მოპყრობას, რომლებიც ჯერ არ არიან მსჯავრდებულნი. ასეთი მოპყრობა არ უნდა გამოირიცხავდეს მათ უდანაშაულობას. ეჭვმიტანილის მიმართ ორი ტიპის ქცევა შეიძლება გამოვყოთ: ფაქტობრივი და ვერბალური. დაუშვებელია რაიმე ღონისძიების განხორციელება ან შეზღუდვის დაკისრება, რომელიც გულისხმობს ეჭვმიტანილის ბრალეულობას. უფრო მეტიც, აკრძალულია იმის თქმა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა. გარკვეული გარემოებების არსებობისას, როგორცაა სასამართლოს მიერ პირის უდანაშაულობის დადასტურება, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის გამოთქმაც კი დაუშვებელია<sup>737</sup>.

## 3. „უდანაშაულო“

ტერმინი „უდანაშაულო“ ასევე არ არის ერთმნიშვნელოვანი. „უდანაშაულო“ არ ნიშნავს „უდანაშაულოს“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ის გულისხმობს, რომ პირი არ არის ბრალეული იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც მას ბრალად

<sup>736</sup> იხ. თავი 2.

<sup>737</sup> იხ. მაგ. ასან რუშიტი (*Asan Rushiti*) ავსტრიის წინააღმდეგ.

ედება<sup>738</sup>. თუმცა თვით ეს ფორმულირებაც ღია ინტერპრეტირებისთვის. კერძოდ, წამოიჭრება ორი კითხვა: პრეზუმფცია მიუთითებს ბრალულობაზე მისი ტექნიკური, სისხლისსამართლებრივი გაგებით ("mens rea"), თუ მხოლოდ ობიექტურ ქმედებას გულისხმობს? პრეზუმფციის მოქმედება შეზღუდულია თუ არა მხოლოდ იმ ქმედებით, რომელიც, საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ სასჯელს?

#### ა. „Nullum crimen sine culpa“?

პირველ საკითხს მივყავართ ძირითად კითხვამდე: აქვს თუ არა სახელმწიფოს გარკვეული ქმედების დასჯის უფლება დამნაშავის ბრალულობის განსაზღვრის გარეშე? არის თუ არა ადამიანის უფლება ის, რომ პირი არ დაისაჯოს ქმედებისთვის, რომელზეც არ არის პასუხისმგებელი? სასამართლოს დღემდე არ მიეცა ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა. თუმცა მისი პრეცედენტული სამართალი მიუთითებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტია არ გავრცელდება ამ საკითხზე.

პირველი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის უფრო გამონაკლისი ვიდრე იურისპრუდენციაში დამკვიდრებული მიდგომა. *სილვა როხას (Silva Rocha)* საქმეში პირს ბრალად ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენა, თუმცა გაამართლეს ბრალის გამომრიცხავი გარემოების არსებობის (შეურაცხაობის) გამო და მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების ბრძანება შეიძლებოდა ჩათვლილიყო „მსჯავრდებად“ და შესაბამისად, წარმოადგენდა პირისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთის საფუძველს, იმის მიუხედავად, მისი ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვდა თუ არა შემდგომ პატიმრობას<sup>739</sup>. სამართლიანი არ იქნება ამ გადაწყვეტილების წარმოჩენა სასამართლოს პოზიციად იმასთან დაკავშირებით, იცავს თუ არა კონვენცია პრინციპს, რომლის მიხედვით, დანაშაული არ არსებობს ბრალის გარეშე ("Nullum crimen sine culpa"), რომელსაც ეს გადაწყვეტილება აშკარად ეწინააღმდეგება. სინამდვილეში, ამ შემთხვევაში, სასამართლო უშვებს ფსიქიკურად დაავადებული პირის პატიმრობის მინიმალური ვადის განსაზღვრას სადამსჯელო მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაც მიუღებელია სისხლის სამართლის მიმართ პროგრესული მიდგომის საფუძველზე.

აღნიშნული საკითხი სასამართლომ განიხილა *სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში და მის მიერ გამოყენებული მიდგომა დადასტურდა *ვასტბერგას (Vastberga)* საქმეში: „ხელშემკერელ სახელმწიფოებს არსებითად და გარკვეული პირობების არსებობისას შეუძლიათ, რომ მარტივი და ობიექტური გარემოება გახადონ დასჯადი იმის მიუხედავად, ის სისხლისსამართლებრივი განზრახვის შედეგია თუ გაუფრთხილებლობის“<sup>740</sup>. ბრალის, პირადი პასუხისმგებლობის ("mens rea") ცნება არ არის „განზრახვის ან გაუფრთხილებლობის“ იდენტური, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასამართლო გულისხმობდა იმას, რასაც ხშირად უწოდებენ „მკაცრ პასუხისმგებლობას“ (პასუხისმგებლობას ბრალის მიუხედავად)<sup>741</sup>.

<sup>738</sup> იხ. აგრეთვე ტრეკსელი (1981) 318; იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლს მიხედვით, „ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ საბოლოოდ მსჯავრდებად“. ეს ფორმულირება არ იყენებს ტერმინს უდანაშაულო.

<sup>739</sup> *სილვა როხა (Silva Rocha)* პორტუგალიის წინააღმდეგ, §28; იხ. აგრეთვე თავი 18.

<sup>740</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §27; *Vastberga Taxi Aktiebolad და ვულჩი (Vulic)* შვედეთის წინააღმდეგ, §112; *იანოშევიჩი (Janosevic)* შვედეთის წინააღმდეგ.

<sup>741</sup> იხ. აგრეთვე *კალენდრი (Kallender)* შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 12693/87.

სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რომ არავინ არ შეიძლება დაისჯოს დანაშაულისთვის, თუ მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქმედება<sup>742</sup>, თუმცა არსებობს გარკვეული სფეროები, სადაც ხშირად ადგილი აქვს გამოწვევებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის დანაშაულებს ითვალისწინებს ხელშემკერელ სახელმწიფოთა კანონები<sup>743</sup>. სამწუხაროდ, სასამართლოს არ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები. მსგავსი კანონმდებლობა არსებობს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, კორპორაციული დანაშაულის კონტექსტში, როდესაც ბრალის განსაზღვრა შეუძლებელია ისე, როგორც ეს ხდება ფიზიკური პირების მიმართ. გარდა ამისა, თუმცა პრინციპი – დანაშაული არ არსებობს ბრალის გარეშე – საყოველთაოდ აღიარებულია სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპად, არსებობს შემთხვევები, როდესაც ის არ არის ბოლომდე დაკმაყოფილებული. მართლაც, ამ მხრივ, სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე მცენიერების ერთ-ერთი მთავარი მიზანია იდეალსა და რეალობას შორის არსებული სხვაობის შემცირება.

ადამიანის უფლებების შესახებ არსებული იდეალისტური წარმოდგენა შეიძლება ინვესტდეს სასამართლო მიდგომის კრიტიკას, თუმცა ეს მაინც საკმაოდ რთულ საკითხია. ერთი მხრივ, იმ პირთა დასჯა, რომელთა დადანიშნულება შეუძლებელია ჩადენილი ქმედებებისთვის, უნდა ჩაითვალოს თვითნებობად. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე განვიხილოთ არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელად. პრინციპი არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე, უნდა იქნეს განხილული როგორც ადამიანის ძირითადი უფლება. მისი ხელყოფა უნდა იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ტოლფასი.

თუმცა ეს სფერო, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს მნიშვნელოვან თვითშეზღუდვას ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანოების მხრიდან. სადავო საქმეები ხშირად არის მცენიერთა კამათის საგანი. სადავო კანონმდებლობა შეიძლება იყოს რთული პოლიტიკური დაბალანსების შედეგი, როგორც ნებაყოფლობითი ინტოქსიკაციის შემდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა შემთხვევაში<sup>744</sup>. სხვა მაგალითი უკავშირდება იმ საკითხს, რამდენად რელევანტურია სისხლის სამართალში კანონთან დაკავშირებული შეცდომა<sup>745</sup>. გარდა ამისა, იურიდიული პირების სასჯელთან დაკავშირებული საკითხიც ნიშანდობლივია. საერთაშორისო ორგანო არ არის ლეგიტიმური და არც საკმარისი გამოცდილება აქვს, რომ ასეთი დელიკატური საკითხები გადანყვიტოს.

<sup>742</sup> აქ გამოყენებულია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემუშავებული ბრალის განსაზღვრება; 2 BGHSt 200 (1952); სასჯელი გულისხმობს ბრალს. ბრალი გულისხმობს, რომ პირს შეუძლია პასუხი აგოს საკუთარ ქმედებაზე. თუ დადგინდება, რომ პირი ბრალეულია, ეს ნიშნავს რომ პირმა გადანყვიტა ემოქმედა კანონის სანინააღმდეგოდ, თუმცა მას შეეძლო ემოქმედა კანონის შესაბამისად“. იხ. აგრეთვე როქსინი (1998); ზაილერი (2003); შტრატენერტი (1996) 254.

<sup>743</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §27; *Vastberga Taxi Aktiebolad და ვულჩი (Vulic) შვედეთის წინააღმდეგ*, §112; *იანოშევიჩი (Janosevic) შვედეთის წინააღმდეგ*.

<sup>744</sup> იხ. მაგ: GPC §323a. შიონკე და შიონდერი (2001).

<sup>745</sup> პრადელი (2002) N 237. ავტორი განიხილავს ბეილს (*Baily*) საქმეს (Russ და Ty 1, 168 ER 651), რომელშიც მეზღვაური დაისაჯა იმ წესის დარღვევისთვის, რომელიც მიღებულ იქნა მისი ზღვაში ყოფნის დროს. შვეიცარიის კანონმდებლობით, ის არ დაისჯებოდა. ტრექსელი და ნოლი (2004) §29 A 2.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპი არ არსებობს დანაშაული ბრალს გარეშე, არ არის საყოველთაოდ აღიარებული. ამას იზიარებენ გერმანიაში, შვეიცარიაში და ავსტრიაში, მაგრამ ნაკლებად იყენებენ საფრანგეთში, ბელგიაში და კანადაში<sup>746</sup>. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის, როდესაც პრინციპი „*nullum crimen sine culpa*“ აუცილებლად უნდა დაემაყოფილებდეს, კერძოდ, იმ ქმედებისთვის პირის დასჯის დროს, რომელიც სხვა პირმა ჩაიდინა. ამ საკითხს ქვემოთ უფრო დანვრილებით შევხებით.

### ბ. „უდანაშაულო“ თუ „არ ექვემდებარება სასჯელს“?

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვა უდანაშაულო უნდა გავიგოთ არა როგორც ზოგადად ბრალის არარსებობა, არამედ, როგორც „კონკრეტული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის არარსებობა“. გარკვეული გამოწვევის მიუხედავად, ძირითადი ნების სახით, ის მოიცავს ბრალეულობის ცნებას. განცხადება, რომ პირმა გამოიწვია სხვა პირის სიკვდილი, თუმცა არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისთვის, არ უნდა ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად<sup>747</sup>. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის სრულიად არარელევანტურია ადამიანის უფლებების კონტექსტში. სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მოსამართლის მიერ ამგვარი კომენტარის გაკეთება შეიძლება ჩაითვალოს მიკერძოების მანიშნებლად.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განაცხადებს, რომ პირის ქმედება შეიძლება იყოს დანაშაული, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ საჭიროებს სისხლისსამართლებრივ სანქციას? ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეში *ადოლფი (Adolf) ავსტრიის წინააღმდეგ*. განმცხადებელმა ოთახის გასწვრივ გაისროლა კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იყო გასაღები. კონვერტი ხელზე მოხვდა ერთ-ერთ ქალბატონს და გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ბრალდებულმა უარყო კონვერტის სროლის ფაქტი. სამართალწარმოება შეწყდა ინციდენტის უმნიშვნელობის გამო. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა: „გამოძიებამ ... აჩვენა, რომ კამათის დროს ბრალდებულმა სიბრაზის ნიადაგზე ისროლა გასაღებიანი კონვერტი მსხვერპლის მიმართულებით“. განმცხადებელმა საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც განაცხადა, რომ სამოტივაციო ნაწილში გამოყენებული სიტყვების მიუხედავად, რაიონულმა სასამართლომ გამოთქვა მხოლოდ ეჭვი და არ უიღარებია პირის ბრალეულობა.

სტრასბურგის სასამართლოში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არა მარტო მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია იქნა დარღვეული რაიონული სასამართლოს განცხადებით, არამედ თავად კანონი იყო კონვენციასთან შეუსაბამო. პრეტენდენტული სამართლის შესაბამისად, სასამართლომ უარი განაცხადა ხელშეწყვეტილი სახელმწიფოს კანონმდებლობის განხილვაზე „*in abstracto*“. თუმცა სასამართლომ, ისევე როგორც კომისიამ, ჩათვალა, რომ აღნიშნული განცხადება ეწინააღმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას<sup>748</sup>. სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ, რადგან სადავო განცხადება მოცემული იყო გადაწყვეტილების არა სარეზოლუციო, არამედ მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში, უდანაშაულობის პრეზუმფცია არ იყო დარღვეული. სანაცვლოდ ის დაეთანხმა

<sup>746</sup> პრადელი (2002) N 305.

<sup>747</sup> ისევე როგორც განაცხადება, რომ პირმა იმოქმედა გაუფრთხილებლობით. *M შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11263/84.

<sup>748</sup> *ადოლფი (Adolf) ავსტრიის წინააღმდეგ*, §39. იხ. აგრეთვე *W ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12990/87.

კომისიის დელეგატის, მელქიორის მოსაზრებას, რომ „გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ქმნის ერთ მთლიანობას სარეზოლუციო ნაწილთან ერთად და შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან გამოიჯენა“<sup>749</sup>. თუმცა საბოლოოდ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას, რადგან გადანყვეტილებაში არსებული ხარვეზები გამოსწორდა უზენაესი სასამართლოს მიერ გასაჩივრების შედეგად. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადანყვეტილება, თავისი არსით და გამოყენებული ფორმულირების მიუხედავად, ვერ ჩაითვლება ბრალულობის ვერდიქტად“<sup>750</sup>.

სასამართლოს გადანყვეტილება სწორად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა სრულიად სხვა მიზეზების გამო. უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ძირითადი უფლება, უნდა უკავშირდებოდეს, თუნდაც უმნიშვნელოდ, სისხლის სამართალს. ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც ზოგადი დაცვა ცილისწამებისგან. თუ გადანყვეტილება, რომლითაც წყდება საქმის განხილვა, შეიცავს მითითებას ბრალდებულის მიერ ცოლქმრული ერთგულების დარღვევის ფაქტზე, რომელიც აღარ წარმოადგენს დანაშაულს შესაბამის სამართლებრივ სისტემაში, ადგილი არ ექნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, იმის მიუხედავად, რომ ის შეიცავს ნეგატიურ, სახელის გამტეხ მოსაზრებას პირის შესახებ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადოლფის (Adolf) საქმეში განმცხადებელს ბრალად ედებოდა მხოლოდ კონვენციის სროლა, რომელმაც გამოიწვია სხეულის მსუბუქი დაზიანება და ამავდროულად, სასამართლოს განცხადებით, ინციდენტი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არ საჭიროებდა განხილვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. არ იქნება სწორი, თუ მსგავსი ვითარება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვლება<sup>751</sup>.

სასამართლოს გადანყვეტილება გარკვეულწილად წრიულია. „რაც შეეხება არადასჯადი ქმედების ცნებას, ის შესაბამისობაშია 42-ე მუხლის ტექსტთან. მიუხედავად ამისა, არსებობს არადასჯადი ან დაუსჯელი დანაშაულებრივი ქმედებები და კონვენციის მე-6 მუხლი არ განასხვავებს მათ სხვა სისხლის-სამართლებრივი დანაშაულებისგან. ის მოქმედებს ყველა შემთხვევაში, როდესაც პირს ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“<sup>752</sup>. არადასჯადი და დაუსჯელი დანაშაულები რადიკალურად განსხვავებული კატეგორიებია. დაუსჯელი დანაშაულები მიეკუთვნება სისხლის სამართლის დანაშაულთა კატეგორიას, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით არადასჯად დანაშაულებზე. დანაშაულის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანი არის ის, რომ პირის ქმედება ექვემდებარება

<sup>749</sup> ადოლფი (Adolf) აესტრიის წინააღმდეგ, § 39. წინამდებელში ეს არ შეესაბამება სამართლებს. პირიერთ, არსებობს ფუნდამენტური სხვაობა გადანყვეტილების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილებს შორის. ხშირია შემთხვევა, როდესაც საჩივარი დასამტკიცებელია მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ ამ განცხადების გაზიარება უდანაშაულობის პრეზუმფციასთან კავშირში მითითებას იმ ფაქტზე, რომ უკვე გაცემული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ფარგლებს.

<sup>750</sup> ადოლფი (Adolf) აესტრიის წინააღმდეგ, § 40.

<sup>751</sup> ამის მსგავსად კომისიამ დაუშვებლად ცნო განაცხადი, რომელშიც პირი ამტკიცებდა, რომ მას მოუპყრნენ როგორც ინდოეთის არმიიდან გაქცეულ დეზერტირს. კომისიამ განაცხადა, რომ, რადგანაც გაცემული იქნა სერთიფიკატი, რომლის გასაჩივრებაც შეეძლო განმცხადებელს, პრეზუმფცია არ იყო დაუძღვადი. იხ. *C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 10427/83.

<sup>752</sup> ადოლფი (Adolf) აესტრიის წინააღმდეგ, § 33.

სასჯელს. სასამართლოს მოსაზრება არ არის გამყარებული საფუძვლიანი არგუმენტებით და შესაბამისად, არადამაჯერებელია.

ერთი შეხედვით, ეს საკითხი შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვნად მოგვეჩვენოს, რაც არ იქნება სწორი. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ხასიათდება დეკრიმინალიზაციის ტენდენციით. სასჯელთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტების აღიარებამ, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, გამოიწვია მრავალ სამართლებრივ სისტემაში მცირე მნიშვნელობის დანაშაულების ამოღება სისხლის სამართლის კოდექსიდან და მათი კლასიფიკაცია წერილმან სამართალდარღვევებად<sup>753</sup>. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, სამართალწარმოება შეიძლება შეწყდეს, თუ შესაბამისი ქმედება და მისი შედეგები არ არის საკმარისად სერიოზული სახელმწიფოს მხრიდან სანქციების გამოყენებისთვის. სხვა იურისდიქციებში, სისხლისსამართლებრივი დენის განხორციელება პროკურორის დისკრეტიაა. ცხადია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ ხელყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას.

#### 4. ბრალეულობის „დამტკიცება“

ზემოთ მოყვანილი დებულებების მიხედვით, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაძლეულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ერთი განმარტების გაკეთება. კერძოდ, ეს დებულებები გულისხმობს კლასიკურ სამართალწარმოებას, როდესაც მტკიცებულებები წარმოდგენილია სასამართლო განხილვაზე მოსამართლის ან ნაფიცი მსაჯულების წინაშე. თუმცა დღესდღეობით საქმეთა უმრავლესობა არ მიდის ასეთ განხილვამდე, რომელიც ითვლება სარისკო, რთულ და ძვირადღირებულ პროცესად. სამართალწარმოება ჩვეულებრივ მთავრდება საპროცესო შეთანხმებით.

საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებით გავრცელებულია ამერიკის შერტებულ შტატებში, სადაც მან დიდწილად ჩაანაცვლა ნაფის მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი. ამერიკული კონვენცია მკაფიოდ აწესრიგებს ამ პროცედურას, როდესაც აცხადებს, რომ „ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ ის არ წარმოადგენს იძულების შედეგს“<sup>754</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნორმა არ არის მოცემული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ორივე ინსტრუმენტი არაპირდაპირ უზრუნველყოფს ამ გარანტიას. საპროცესო შეთანხმება ხშირად იდება იმის გამო, რომ ბრალდებულს ეშინია მსჯავრდების და მკაცრი სასჯელის. ცხადია, რომ იძულების ხარისხი განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით. იგივე ინსტიტუტი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სხვა იურისდიქციებშიც<sup>755</sup>. ამ საკითხს ალარ შეევხებით, რადგან ის მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რაც შეუძლებელია ამ წიგნის ფარგლებში.

თუმცა რთულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებისას. აღიარება საერთო სამართალის საფუძველზე გამოიწვევს მსჯავრდების მსგავს შედეგს. იგივე არ შეიძლება ითქვას კონტინენტურ სამართალზე. დანაშაულის აღიარება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას და სასამართლო დეტალურად შეამოწმებს მის სისწორეს და თავსებადობას

<sup>753</sup> იხ. მაგ: *ოზტურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ*.

<sup>754</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(3) მუხლი.

<sup>755</sup> შედარებითი ანალიზისთვის იხ. ტროუგი (2003).

სხვა მტკიცებულებებთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღიარებითი ჩვენება არარელევანტურია უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში<sup>756</sup>.

ლუტცის (Lutz) საქმეში „განმცხადებლის მიერ მიცემულ ჩვენებებზე“ საუბრისას სასამართლოს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ მათი განმარტება შეუძლებელია სხვაგვარად, გარდა საკუთარი ბრალეულობის აღიარებისა<sup>757</sup>. მსგავსი განცხადებები იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის გაქარწყლებას<sup>758</sup>. აღიარებითი ჩვენების მიცემა და შემდეგ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოშველიება ეწინააღმდეგება პრინციპს „venire contra factum (recte: dictum) proprium“. კომისიამ ასეთი მიდგომა გამოიყენა რამდენიმე საქმის განხილვისას. ერთ-ერთ საქმეში მან დაუშვებლად ცნო განაცხადი იმის მიუხედავად, რომ განმცხადებლის პირობითი მსჯავრი გაუქმდა ახალი დანაშაულების ჩადენის გამო, რომელთა საფუძველზე ის ჯერ არ იყო მსჯავრდებული, თუმცა მიცემული ჰქონდა აღიარებითი ჩვენება<sup>759</sup>.

## 5. ბრალეულობის დამტკიცება „კანონის შესაბამისად“

მხოლოდ კანონის შესაბამისად პირის ბრალეულობის დამტკიცებამ შეიძლება დაძლიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ ფორმულირების საფუძველზე, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სამართალწარმოების დროს მტკიცებულებათა წარმოდგენისას დაშვებული ნებისმიერი უკანონო ავტომატურად გულისხმობს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას<sup>760</sup>. კომისიამ თავი შეიკავა ამ მოსაზრების გაზიარებისგან *შაიხელბაუერის (Scheichelbauer)* საქმეში<sup>761</sup>. საბოლოოდ, სასამართლომ მკაფიოდ განმარტა თავისი პოზიცია *შენკის (Schenk)* საქმეში, რომელიც ეხებოდა უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს. სასამართლომ მოკლედ განაცხადა, რომ „9-13 აგვისტოს ჩანაწერი და 1982 წლის 13 აგვისტოს სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმეს, რაც მიუთითებდა, რომ სასამართლო დამნაშავის მსგავსად მოეპყრო ბატონ შენკს, სანამ ის მსჯავრდებული იქნებოდა. მტკიცებულებათა შორის ვიდეო ჩანაწერის შეტანა არ არის საკმარისი განმცხადებლის არგუმენტის გაზიარებისთვის და შესაბამისად, ადგილი არ აქვს კონვენციის დარღვევას“<sup>762</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ არის სრულყოფილი, უნდა გაეზიაროთ მის საფუძველად არსებული დოქტრინა. საერთაშორისო ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებზე ვერ იტვირთავენ საქსაციო სასამართლოს ფუნქციას, რომელსაც აქვს შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების კანონიერების განხილვის უფლებამოსილება. საერთაშორისო ორგანოების უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის უფლებების საერთაშორისო გარანტიების კომპეტენციის უზრუნველყოფით. შედეგად, ვიღებთ დილემას, როდესაც ისეთი სიტყვებით კეთდება მითითება შიდასახელმწიფოებრივ

<sup>756</sup> ეიმერი (1968) 375.

<sup>757</sup> ლუტცი (Lutz) *გერმანიის წინააღმდეგ*, §62.

<sup>758</sup> იხ. აგრეთვე ლუტცი (Lutz) *გერმანიის წინააღმდეგ*, გვ. 38, 39; ტრექსელი (1981) 226.

<sup>759</sup> *ჰაუსვიჩკა (Houswitschka) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12380/86; *R გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12669/87; *S გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15871/89.

<sup>760</sup> ჰონსე (1977) 84.

<sup>761</sup> *შაიხელბაუერი (Scheichelbauer) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2645/65. მტკიცებულებას წარმოადგენდა ჩანაწერი, რომელიც უკანონოდ იყო მოპოვებული.

<sup>762</sup> *შენკი (Schenk) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §51.

სამართალზე, როგორებიცაა „კანონიერება“ ან „კანონის შესაბამისად“. ასეთ დროს სუბსიდიარობის პრინციპი მოითხოვს მოსამართლეთა მხრიდან თავშეკავებას. შიდასახელმწიფოებრივი კანონის სწორად გამოყენების საკითხის განსაზღვრა უპირველესად სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს ეკისრებათ. საერთაშორისო ინსტიტუტების როლი შეზღუდულია ეგრეთ ნოდებული უსაფრთხოების ბადით. ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც სახეზეა ცალსახა დარღვევა ან კანონის სრულიად თვითნებური ინტერპრეტაცია.

ბრალულობის დამტკიცების მოთხოვნა ეხება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს და არა სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ ყველა ელემენტს. *კრემცოვის (Kremzow)* საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობის მოტივების განხილვისას სასამართლომ ისაუბრა ფინანსურ დარღვევებზე და შესაბამისად, ის ბრალულად ცნო თაღლითობაში. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი, რადგან ეროვნული სასამართლოს განცხადება ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის მოტივს<sup>763</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება სრულდება, როდესაც პირი ვახდება მსჯავრდებული. პრეზუმფცია შეიძლება დაძლეულ იქნეს სამართალწარმოების განახლების გადანყვეტილებით. თუმცა ამ შემთხვევაში მე-6 მუხლი არ მოქმედებს<sup>764</sup>.

## დ. უდანაშაულობის პრეზუმფციის ორი განსხვავებული ასპექტი

უდანაშაულობის პრეზუმფციის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს მარტივი და ცალსახა პასუხი იმაზე, თუ რა მიზნებს ემსახურება ეს პრინციპი. ორი სრულიად განსხვავებული ასპექტი შეიძლება გამოვეყოთ. ამ ამოცანის შესრულებას არც ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ სასამართლომ უარი თქვა უდანაშაულობის პრეზუმფციის დუალისტური მიზნების აღიარებაზე.

პირველი მიდგომა გამოყენებული იქნა, მაგალითად, *დევერის (Deweer)* საქმეში, რომელშიც განმცხადებელი აღმოჩნდა ძლიერი ეკონომიკური წნეხის ქვეშ, რომ მიეღო მეორე მხარის წინადადება მორიგების შესახებ და გადაეხადა ჯარიმა. მისი განაცხადი უკავშირდებოდა, *inter alia*, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. გადანყვეტილების მიღებისას სასამართლომ განაცხადა, რომ „აღნიშნული ორი პუნქტი წარმოადგენდა იმავე მუხლის პირველ პუნქტში განმტკიცებულ ზოგადი პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებებს. მე-2 პუნქტით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვა უფლებები ... მესამე პუნქტში ... წარმოადგენენ სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების შემადგენელ ელემენტებს“<sup>765</sup>. კიდევ უფრო ფართო და წინიანი მიზანია მოყვანილი *სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სამართლიანი

<sup>763</sup> *კრემცოვი (Kremzow)* ავსტრიის წინააღმდეგ, §76-7.

<sup>764</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2136/64.

<sup>765</sup> *დევერი (Deweer)* ბელგიის წინააღმდეგ, §56. იგივე ფორმულირება სიტყვასიტყვით ან უმნიშვნელო ცვლილებებით, რეგულარულად გამოიყენება მოგვიანებით მიღებულ გადანყვეტილებებში, მაგ: *მინელი (Minelli)* შვეიცარიის წინააღმდეგ, §27; *ბერნარი (Bernard)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §37; *ალენე დე რიბემონი (Allenet de Ribemont)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §35; *დაქტარასი (Daktaras)* ლიტვის წინააღმდეგ, §41; *მარჯიანო (Marziano)* იტალიის წინააღმდეგ, §28; *ბიომერი (Bohmer)* გერმანიის წინააღმდეგ, §53; *გოკეჯელი (Goekceli)* თურქეთის წინააღმდეგ, §45; *კუპრიანუ (Kuprianou)* კუპაროსის წინააღმდეგ, §52. იხ. აგრეთვე ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 33.



სასამართლო განხილვის ელემენტი, „მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვას“<sup>766</sup>.

ეს განმარტება გულისხმობს უდანაშაულობის პრეზუმფციის ეგრეთ ნოდებულ „შედეგზე ორიენტირებულ ასპექტს“. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება უკავშირდება იმ ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა და გულისხმობს პროკურორისა და მოსამართლის მხრიდან პირისადმი კონკრეტულ დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი და მოსამართლე შეიძლება დარწმუნებული იყვნენ პირის ბრალეულობაში, ისინი მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა მტკიცებულებების წარმოდგენის შედეგად მოსაზრების შეცვლისთვის. მათ ეკრძალებათ ისეთი ქმედების განხორციელება ან რაიმეს თქმა სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იქნა<sup>767</sup>. საკითხი ბრალეულობა/არაბრალეულობის შესახებ უნდა დარჩეს ღიად იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები დამაჯერებელია<sup>768</sup>. ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ბრალდება უნდა დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა. გარანტიის მიზანია დაუსაბუთებელი მსჯავრდების თავიდან აცილება და სასამართლო განხილვის სამართლიანობის უზრუნველყოფა.

გარანტიის ეს ასპექტი ძირითადად მიმართულია გადანყევტილების მიმღებზე, რომელსაც აქვს ბრალდებულის დამნაშავეობის განსაზღვრის უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო საქმეს ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყევტს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის აღნიშნული ასპექტის დარღვევას.

მეორე ასპექტი, რომელსაც იცავს გარანტია უფრო მჭიდროდ უკავშირდება მე-მ მუხლს, ვიდრე მე-ნ მუხლს და შეიძლება ეწოდოს „რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტი“. ის განსხვავდება მსჯავრდება/გამართლების საკითხისგან და მიზნად ისახავს პირის, როგორც უდანაშაულოს რეპუტაციის დაცვას. მაგალითად, ეს ნიშნავს, რომ პირს, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი ბრალეულად არ შეიძლება მოექცნენ ან მიმართონ ისე, თითქოს კონკრეტულ დანაშაულში იყოს მსჯავრდებული. მრავალ გადანყევტილებაში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: „უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება ჩაითვლება დარღვეულად, თუ საჯარო პირის განცხადება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ის არის დამნაშავე მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად“<sup>769</sup>. ადრეულ გადანყევტილებებში საჯარო პირის განცხადების ნაცვლად ნახსენები იყო მოსამართლის გადანყევტილება<sup>770</sup>. ალენე დე რიბემონის (*Allenet de Ribemont*) საქმეში სასამართლომ გააფართოვა დეფინიცია, როდესაც მსგავსი განცხადება გაკეთდა ტელევიზიით მაღალჩინოსანი პოლიციელის მიერ. ამ საქმეში სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ფორმალური დასკვნის არარსებობის შემთხვევაშიც კი საქმარისია გარკვეული არგუმენტაციის

<sup>766</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §28.

<sup>767</sup> *იხ. აესტრია იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი 786/60.

<sup>768</sup> იმ გამონაკლისების გარდა, როდესაც ბრალდებულმა დადო საპროცესო შეთანხმება.

<sup>769</sup> იხ. მაგ: *დაქტარას (Daktaras) ლიტვის წინააღმდეგ*, §41; *ბიომერი (Böhmer) გერმანიის წინააღმდეგ*, §54.

<sup>770</sup> იხ. მაგ: *ალენე დე რიბემონი (Allenet de Ribemont) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §37; *მინელი (Minelli) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §37; იხ. აგრეთვე, *მარჯიანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ*, §28.

არსებობა, რომელიც მიანიშნებს, რომ სასამართლო ან საჯარო პირი ბრალდებულს დამნაშავედ თვლის<sup>771</sup>.

ცხადია, ასეთი საქმეები უფრო მეტად ეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, ვიდრე მოსამართლის დამოკიდებულებას. საჯარო განცხადების გაკეთების შემდეგ, როგორც ეს იყო ალენე დე რიბემონის (*Allenet de Ribemont*) საქმეში, არავინ დაიჯერებს, რომ პირი უდანაშაულოა. შესაბამისად, სასამართლო განხილვასთან გარანტიის კავშირი ნაწილობრივ პირობითია. იმ შემთხვევაშიც, თუ განცხადებას არ მოსდევს სასამართლო განხილვა, როგორც ეს იყო ალენე დე რიბემონის (*Allenet de Ribemont*) საქმეში, მაინც შეიძლება სახეზე იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა.

## ე. კავშირი უდანაშაულობის პრეზუმფციასა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სხვა ასპექტებს შორის

### 1. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მოსამართლის მიუკერძოებლობა

უდანაშაულობის პრეზუმფცია, რამდენადაც ის მოითხოვს მოსამართლის მხრიდან ლიაობას, მჭიდროდ არის დაკავშირებული მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებასთან. ეს ნიშნავს, *inter alia*, რომ „სასამართლოს წევრებს, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას არ უნდა ჰქონდეთ წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია; რომ ბრალდებულმა ჩაიღინა დანაშაული“<sup>772</sup>. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფცია უფრო ფართოა იმ გაგებით, რომ ვალდებულებებს აკისრებს საქმეში ჩართულ სხვა პირებსაც<sup>773</sup>.

ეს არ ნიშნავს, რომ პროკურორი უნდა იყოს მიუკერძოებელი, თუმცა გულისხმობს იმას, რომ მან არ უნდა გამოავლინოს თავისი რწმენა პირის ბრალეულობაში. ასეთი განსხვავება, გარკვეულწილად, ხელოვნურია. მოსამართლემ არც კი უნდა გაიფიქროს, რომ ბრალდებული დამნაშავეა. როგორც მინიმუმ, მან არ უნდა გამოთქვას ასეთი მოსაზრება. პროკურორის ძირითად მოვალეობაში შედის, რომ ამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში პრეზუმფცია უფრო ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული. პროკურორს უნდა შეეძლოს თავისი მოსაზრების გამოხატვა ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ. თუმცა მან ასევე უნდა იცოდეს, რომ თავისი მოსაზრების მიუხედავად, პირი შეიძლება გაამართლოს სასამართლომ და ამდენად, ის არ შეიძლება ობიექტურად ჩაითვალოს დამნაშავედ ან დაექვემდებაროს ასეთ მოპყრობას.

### 2. უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

რამდენიმე საქმეში განმცხადებლები დავობდნენ როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების, ისე უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლების დარღვევის ნიადაგზე. ამ საქმეებს სასამართლო ხშირად იწყებდა იმის განსაზღვრით, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-ნ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. მისი დადგენის შემთხვევაში სასამართლო, ჩვეულებრივ, აღარ განიხილავდა მე-ნ

<sup>771</sup> *მინელი (Minelli) შევიცარიის ნინაალმდეგ*, §37; *ალენე დე რიბემონი (Allenet de Ribemont) საფრანგეთის ნინაალმდეგ*, §35; *დაქტარასი (Daktaras) ლატეის ნინაალმდეგ*, §41; *ბიომერ (Böhmer) გერმანიის ნინაალმდეგ*, §54; *ლავენცი (Lavents) ლატეის ნინაალმდეგ*, §126.

<sup>772</sup> *ბარბერა (Barbera), მესაგე (Messague) და ხაბარდო (Jabard) ესპანეთის ნინაალმდეგ*, §77; *ლავენცი (Lavents) ლატეის ნინაალმდეგ*, §125.

<sup>773</sup> *ლავენცი (Lavents) ლატეის ნინაალმდეგ*, §125.

მუხლის მე-2 პუნქტს იმ მოტივით, რომ მას პირველი საკითხი მოიცავდა და აღარ საჭიროებდა დამატებით განხილვას<sup>774</sup>. გამონაკლის შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სასამართლოს ასევე უთქვამს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას<sup>775</sup>.

### 3. უდანაშაულობის პრეზუმფცია და ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება

შედარებით ძველ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობდა პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ ბრალდებულის ინფორმირების ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელს მისცემოდა დაცვის ჯეროვანი მომზადებისა და სასამართლოზე მისი წარმოდგენის საშუალება<sup>776</sup>. ეს განმარტება ხელოვნურად ფართოა, რაც არ არის გასაკვირი, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფციას ხშირად პანაცეად აღიქვამენ სხვა გარანტიებისთვის და ზოგიერთი ავტორი მას სამართლიანი სასამართლო განხილვის საფუძვლადაც კი მიიჩნევს<sup>777</sup>.

რთულია დაეთანხმო ამ მოსაზრებას. პრინციპი ცალსახად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, თუმცა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(3) და ევროპული კონვენციის მე-6(3) მუხლებში მოცემული სპეციალური გარანტიები, მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დამოუკიდებლად არის მნიშვნელოვანი. უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართალწარმოების გარემოს მარეგულირებელი მექანიზმი, ხოლო სპეციალური უფლებები – როგორც უშუალოდ სამართალწარმოების მარეგულირებელი ნესები.

### 4. უდანაშაულობის პრეზუმფცია და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის ან ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამის დებულებას, ის იცავს ბრალდებულის დუმილის უფლებას და პირის თავისუფლებას ისეთი მტკიცებულებების გაცემის არაჯეროვანი იძულებისგან, რომლებმაც შეიძლება მისი ბრალეულობა დაამტკიცონ. ეს გარანტია მჭიდროდ არის დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რაც სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა<sup>778</sup>. დუმილის უფლებას დანრეილებით განვიხილავთ მე-13 თავში.

<sup>774</sup> იხ. მაგ: *დევერი (Deweer)* ბელგიის წინააღმდეგ, §56; *ბონიში (Bonisch)* ავსტრიის წინააღმდეგ, §37; *დელტა (Delta)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §37; *დემიკოლი (Demicoli)* მალტის წინააღმდეგ, §34; *ფუნკე (Funke)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §45; *JL, GMR* და *AKP* გერმანიის წინააღმდეგ, §142; *კომე (Coëme)* ბელგიის წინააღმდეგ, §104; *ბიუიკდაგი (Buyukdag)* თურქეთის წინააღმდეგ, §78, 79.

<sup>775</sup> *ენტრიჩი (Hentrich)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §64. უფრო არსებითი არგუმენტებია მოყვანილი კომისიის ანგარიშში (§84).

<sup>776</sup> *ბარბერა (Barbera)*, *მესაგე (Messague)* და *ხაბარდო (Jabardo)* ესპანეთის წინააღმდეგ, §77.

<sup>777</sup> იხ. პრადელი (2002) N 300.

<sup>778</sup> *სონდერსი (Saunders)* გერმანიის წინააღმდეგ, §68; *ჰინეი (Heaney)* და *მაკგინესი (McGuinness)* ირლანდიის წინააღმდეგ, §40; *კინი (Kinn)* ირლანდიის წინააღმდეგ, §40.

## 5. უდანაშაულობის პრეზუმფცია სამოქალაქო საქმეებში

უდანაშაულობის პრეზუმფცია ჩვეულებრივ ვრცელდება ბრალდებულზე სისხლის სამართალწარმოებაში. თუმცა ის არ არის სრულიად უცნობი სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის. არსებობს გარკვეული სხვაობა მისი გამოყენების თვალსაზრისით. სამოქალაქო პროცესში მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი. მეორე მხრივ, მტკიცებულებათა მიღებისა და წარმოდგენის წესი შეიძლება განსხვავდებოდეს სისხლის სამართლის პროცესისგან<sup>779</sup>.

## ვ. გარანტიასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემები

უდანაშაულობის პრეზუმფციის სპეციფიკურ ასპექტებს ორ ნაწილად განვიხილავთ. პირველ რიგში, შევხებით გარანტიის „ფარდობით“, „შედეგზე ორიენტირებულ“ ასპექტს. ეს მოიცავს მტკიცების ტვირთის საკითხს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას როგორც სისხლის სამართლის პროცესის, ისე ზოგადად კანონმდებლობის მიმართ. მტკიცებულებათა შეფასების საკითხებსაც აქ განვიხილავთ.

პრობლემები, რომლებიც შეეხება გარანტიის რეპუტაციასთან დაკავშირებულ ასპექტს უფრო რთულია. სასამართლო იყენებს სხვადასხვა კრიტერიუმებს იმის გადასაწყვეტად, შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას ის განცხადებები თუ გადაწყვეტილებები, რომლებიც პირის ბრალეულობაზე ან მის მიმართ არსებულ ეჭვზე მიუთითებს. ამ საკითხების განხილვა შეიძლება საჭირო გახდეს სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ან, ხშირად, მისი დამთავრების შემდეგ, ასევე სისხლის სამართლის პროცესთან კავშირში საერთოდ არმყოფ განცხადებებთან დაკავშირებით.

## II. გარანტიის „შედეგზე ორიენტირებული“ ასპექტები

### ა. მტკიცების ტვირთი

უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი ჩვეულებრივ წამოიჭრება იმ საქმეებში, რომლებშიც ფაქტები დაკის საგანია. თუმცა როგორც *კიპრიანუს* (*Kyprianou*) საქმემ აჩვენა, სადავო ფაქტების არსებობა აუცილებელი არ არის. განმცხადებელს, ადვოკატს ბრალად ედებოდა სასამართლოს შეურაცხყოფა მკვლელობის საქმეში მისი კლიენტის დაცვის დროს. ეროვნული სასამართლოს განცხადებით: „ბატონ კიპრიანუს ნათქვამს და განსაკუთრებით, სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას ჩვენ განვიხილავთ როგორც სასამართლოს შეურაცხყოფას და შესაბამისად, ბატონ კიპრიანუს აქვს ორი არჩევანი: ამტკიცოს ის, რასაც ამტკიცებდა და მოიყვანოს მიზეზები, რატომ არ უნდა დაეკისროს სასჯელი ან შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს. ჩვენ ვაძლევთ მას ამის შესაძლებლობას გამონაკლისის სახით“<sup>780</sup>. განმცხადებელმა პირველი ვარიანტი ამჯობინა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს უკვე განხილული ჰქონდა ეროვნული სასამართლოს მიკერძოების საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ ის არ იყო

<sup>779</sup> იხ. მაგ: *რინგვოლდი* (*Ringvold*) *ნორვეგიის წინააღმდეგ*. ქვემოთ დანვრილებით განვიხილავთ ამ საქმეს.

<sup>780</sup> *კიპრიანუს* (*Kyprianou*) *კიპროსის წინააღმდეგ*, § 53.

მიუკერძოებელი, მან მაინც განიხილა უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი და მისი დარღვევაც დაადგინა<sup>781</sup>.

### 1. მტკიცების ტვირთი სამართალწარმოების დროს

სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ორგანოს, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ბრალდებაზე უნდა დაარწმუნოს სასამართლო პირის ბრალეულობაში. ბრალდებულს არ ევალება, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა<sup>782</sup>. სხვა სიტყვებით, როდესაც ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია ის უნდა გაამართლოს სასამართლომ.

თუმცა ეს საკითხი ზოგჯერ დავის საგანი ხდება. ზოგიერთი ავტორი აცხადებს, რომ კონტინენტური სისხლის საპროცესო სამართალი არ იცნობს მტკიცების ტვირთის პრობლემას, რადგან მოსამართლის გადასაწყვეტია ფაქტების დადგენა<sup>783</sup>. თუმცა ასეთი განსხვავება ზედმეტად თეორიულად უნდა ჩაითვალოს.

სინამდვილეში, პრაქტიკაში ეს ასპექტი არ არის მნიშვნელოვანი. არარეალისტურია სასამართლომ განაცხადოს, რომ ბრალდებულის მსჯავრდება ემყარება იმ ფაქტს, რომ მან ვერ შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება.

ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვა გამოაველენს მთელ რიგ პრობლემებს, განსაკუთრებით, გადანეციელების დასაბუთებისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების საფუძველზე პირის გამართლების სფეროებში. კანონიერი იქნება თუ არა, რომ დაცვას ევალებოდეს უდანაშაულობის დამტკიცება, თუ ბრალდებას არ შეუძლია საპირისპიროს მტკიცება გონივრულ ეჭვს მიღმა? შეესაბამება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას ბრალდებულისთვის მოვალეობის დაკისრება, წარმოადგინოს მტკიცებულება მისი შეურაცხაობის შესახებ? ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და რთული საკითხებია. თუმცა მათ შესახებ პრეცედენტული სამართალი ძალზე მწირია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სხვადასხვა იურისდიქციაში არსებობს არსებითი განსხვავებები ამ საკითხების რეგულირების თვალსაზრისით. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ფაქტის არარსებობის მტკიცების სირთულე. მისაღებია, როდესაც კანონი მოითხოვს იმ ფაქტების, როგორც მინიმუმ, *prima facie* მტკიცებულებას, რომლებსაც ეყრდნობიან დანაშაულებრივი ქმედების დამტკიცებისას<sup>784</sup>. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანომ, რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციების იმპლემენტაციას, არ შეიძლება თავს მოახვიოს სახელმწიფოებს კონკრეტული სტანდარტები ასეთ დელიკატურ სფეროში.

ამავდროულად, კომისიამ გადანეციტა, რომ დაცვის ვალდებულება, წარმოედგინა ფსიქიკური ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს<sup>785</sup>.

<sup>781</sup> *Ibid.*, § 56.

<sup>782</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 13, § 7.

<sup>783</sup> ფიგერედო დიასი (1974).

<sup>784</sup> მტრამერი (1999) N 8.43.

<sup>785</sup> *H გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. განაცხადი 15023/89.

## 2. მტკიცების ტვირთის შებრუნება კანონმდებლობის საფუძველზე

### ა. ბრალდებულის საზიანო იურიდიული პრეზუმფციები

1. *სალაბიაკუ (Salabiaku)* და *სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები*. ასეთი პრეზუმფციები რელევანტურია სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში<sup>786</sup>. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ „*praesumptiones legis*“ და „*praesumptiones legis et de lege*“. პირველი, მეორისგან განსხვავებით, დაძლევადა. აღსანიშნავია, რომ თვით კანონმდებელს შეუძლია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა<sup>787</sup>. ბრალდებულისთვის არახელსაყრელი „*praesumptiones legis et de lege*“ ენინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას<sup>788</sup>. პრეცედენტულ სამართალში არ გვხვდება ასეთი პრეზუმფციების მაგალითები. თუმცა არის საქმეები, რომლებშიც კანონმდებლობის საფუძველზე, შეიძლება, პრეზუმფციების სახით, კონკრეტული დასკვნების გამოტანა გარკვეულ გარემოებებზე დაყრდნობით.

ამ მხრივ, ნამყვან საქმეებს წარმოადგენს *სალაბიაკუს (Salabiaku)* და *ფამ ჰონგის (Pham Hong)* საქმეები. *სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში განმცხადებელი, ზაირის მოქალაქე, მივიდა აეროპორტში ამანათის ასაღებად. ის ამტკიცებდა, რომ ელოდებოდა ამანათს, რომელიც შეიცავდა აფრიკული წარმოშობის საკვებს. ზაირის ავიახაზების თანამშრომლის გაფრთხილების მიუხედავად, მან აიღო ბოქლომანი ჩანთა, რომელზეც არ იყო მითითებული სახელი და მისამართი და იმ პირებისთვის განკუთვნილი გასასვლელიდან გავიდა, რომელთაც არ ევალბოდათ რაიმეს დეკლარირება. საბაჟოს ოფიცრის მიერ მისი გაჩერებისა და ჩანთის შემოწმების შედეგად, საკვების ქვეშ აღმოჩენილი იქნა ათი კილოგრამი მარიხუანა. ორი დღის შემდეგ განმცხადებლისთვის გამოგზავნილი ამანათი მის სახელზე ჩამოვიდა ბრიუსელში. როგორც აღმოჩნდა, ბრიუსელის ნაცვლად ის შემთხვევით გააგზავნეს პარიზში.

საქმეში არსებული ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის გამო, მას მოუხსნეს ნარკოტიკების იმპორტის ბრალდება. თუმცა ის დამნაშავედ იქნა ცნობილი კონტრაბანდაში და დაეკისრა ჯარიმის გადახდა. კანონი ითვალისწინებდა პრეზუმფციას, რომლის მიხედვით, თუ პირს აღმოაჩნდებოდა არადეკლარირებული საქონელი, ის ითვლებოდა კონტრაბანდაში დამნაშავედ. ერთადერთი დაცვის მექანიზმი იყო დაუძლეველი ძალის გამოწვევით, როგორცაა ამანათის შიგთავსის შესახებ ცოდნის აბსოლუტური შეუძლებლობა<sup>789</sup>.

სასამართლომ უპირველესად განსაზღვრა ზოგადი პრინციპი: „იურიდიული და ფაქტობრივი პრეზუმფციები მოქმედებს ყველა სამართლებრივ სისტემაში. ცხადია, რომ კონვენცია ზოგადად არ კრძალავს მსგავს პრეზუმფციებს. თუმცა ის მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან, რომ დაიცვან გარკვეული ზღვარი სისხლის სამართალთან მიმართებაში“<sup>790</sup>. სასამართლომ გააკრიტიკა კომისია იმის გამო, რომ პრეზუმფცია დანაშაულის ელემენტად ჩათვალა, რომელიც ეროვნულმა სასამართლოებმა მართებულად გამოიყენეს<sup>791</sup>. სასამართლომ განაცხადა, რომ მე-

<sup>786</sup> იხ. მაგ: პრადელი (2002) N 306.

<sup>787</sup> ფან დაიკი და ფან ჰოვი (1998) 459; ადამიანის უფლებათა კომიტეტში ბატონმა ტომუსკატმა ასევე მოუთხოვა ამ შესაძლებლობაზე. მან უქმყოფილება გამოთქვა ისეთ ზოგადად განსაზღვრული დანაშაულების გამო, როგორცაა „ძირგამომხრელი ასოციაცია“. იხ. მაკგოლდრიქი (2001) 404.

<sup>788</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995).

<sup>789</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 19.

<sup>790</sup> *Ibid.*, § 28.

<sup>791</sup> კომისიის ანგარიში, *სალაბიაკუს (Salabiaku) საფრანგეთის წინააღმდეგ*, გვ. 24, § 74-75.

მუხლის ფუნდამენტური გარანტიების როლი შემცირდებოდა, თუ კანონმდებელს ექნებოდა სრული „carte blanche“. „შესაბამისად, მე-6(2) მუხლი ინდიფერენტული არ არის სისხლის სამართალში ფაქტობრივი და იურიდიული პრეზუმფციების მიმართ. ის მოითხოვს სახელმწიფოებისგან გონივრული ჩარჩოების დადგენას, რომლებიც გაითვალისწინებენ საკითხის მნიშვნელობას და უზრუნველყოფენ დაცვის უფლებებს“<sup>792</sup>.

ეს გადანყვეტილება საკმაოდ ბუნდოვანია. კერძოდ, საინტერესოა, რა იგულისხმა სასამართლომ „საკითხის მნიშვნელობაში“. დასაშვებია თუ არა პრეზუმფციების არსებობა სერიოზულ დანაშაულებთან დაკავშირებულ ან პირიქით, უმნიშვნელო საქმეებში? ალბათ ისინი უფრო მისაღებია მეორე კატეგორიის საქმეებში. ზოგიერთი ავტორი მხარს უჭერს ასეთ მიდგომას, რადგან იმ დანაშაულისთვის, რომელშიც *სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში განმცხადებელი იქნა ბრალეულად ცნობილი, გათვალისწინებული იყო მხოლოდ ჯარიმა, მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ სოლიდური იყო.

სასამართლომ, როგორც ჩანს, ასევე არსებითად ჩათვალა ის ფაქტი, რომ პრეზუმფცია არ იყო ბოლომდე დაუძლეველი. შესაბამისად, ბრალდებული არ იყო დარჩენილი დაცვის შესაძლებლობის გარეშე<sup>793</sup>. ეს აგრეთვე გულისხმობდა, რომ სასამართლოებს ჰქონდათ ამ სფეროში შეფასების სრული თავისუფლება. გარდა ამისა, არსებობდა მინიშნებები, რომ განმცხადებელი არ იყო სრულიად უდანაშაულო, რადგან მას არ გააკვირვებია ჩანთაში ნარკოტიკების აღმოჩენის ფაქტი. სასამართლომ ასევე განიხილა, იყო თუ არა წინააღმდეგობა ნარკოტიკულ დანაშაულში პირის გამართლებასა და კონტრაბანდაში მისი ბრალეულობის დადგენას შორის. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადგილი არ ჰქონდა შეუსაბამობას, თუმცა მისი არგუმენტები არ არის დამაჯერებელი. სასამართლომ გაიმეორა, რომ განმცხადებლის მიერ დაშვებული შეცდომა არ იყო გარდაუვალი. მან პირადად არ შეამონმა ჩანთის შიგთავსი<sup>794</sup>.

ანალოგიურად, ფამ ჰონგის (*Pham Hong*) საქმეში განმცხადებელი დააკავს მის ავტომანქანაში ჰეროინის მქონე ორი სხვა პირის ჩასხდომის დროს. ბრალდება დაყრდნო საფრანგეთის საბაჟო კოდექსის 373-ე მუხლს, რომლის მიხედვით: „ყველა იმ სამართალწარმოებაში, რომელიც უკავშირდება ნივთის ამოღებას, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დანაშაული არ იქნა ჩადენილი, ეკისრება პირს, რომლის ნივთიც იქნა ამოღებული“<sup>795</sup>. განმცხადებელი ცნეს დამნაშავედ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუთითებდა ამ მუხლზე. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები დეტალურად იქნა შესწავლილი და გადაწყვეტილება ავტომატურად არ დაყრდნობია რაიმე პრეზუმფციას<sup>796</sup>.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საქმეში სასამართლოს მოუწია შეედეთის საგადასახადო კოდექსის განხილვა. მან დაადასტურა *სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში გამოყენებული მიდგომა და განაცხადა, რომ სანქცია არ იყო

<sup>792</sup> იხ. აგრეთვე *Vastberga Taxi Aktiebolag* და *ვულჩი (Vulic)* შეედეთის წინააღმდეგ, § 113.

<sup>793</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 29; ესერი (2002) 743; ავტორი აკრიტიკებს პრეზუმფციის დაძლევის შეზღუდულ შესაძლებლობას. შტრაპერი (1999) 8.47; ავტორი ვარაუდობს, რომ ასეთი მკაცრი წესები არ იქნება გამოყენებული, როდესაც საქმე ეხება კონვენციის უფლებით სარგებლობას.

<sup>794</sup> *სალაბიაკუს (Salabiaku)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 30.

<sup>795</sup> ფამ ჰონგი (*Pham Hong*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 21.

<sup>796</sup> *Ibid.*, § 36.

ავტომატურად გამოყენებადი. გამონაკლის შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლების *ex officio* გამოყენება<sup>797</sup>. სასამართლომ განმარტა პრეზუმფციის საფუძვლიანობა. მან მიუთითა სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესებზე და სანქციების დაკისრებისას სტანდარტიზებული წესების გამოყენების საჭიროებაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოქმედი ნორმები და მოცემულ საქმეში მათი გამოყენება ექვეოდა გონივრულ საზღვრებში<sup>798</sup>.

კომისიას ასევე მოუწია პრეზუმფციის საკითხების განხილვა სატრანსპორტო დანაშაულთან მიმართებაში. კომისიამ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ავტომობილის მესაკუთრისთვის, რომლის მანქანა არასწორად იქნა გაჩერებული, როდესაც პირი უარს აცხადებდა წესის დამრღვევის ვინაობის დასახელებაზე ან ვერ ასახელებდა მას და იმის დადგენის გარეშე, მანქანის გამოყენება მისი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა თუ არა, არ ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლს<sup>799</sup>.

*II. შეფასება. სალაბიაკუს (Salabiaku)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შედეგი დამაკმაყოფილებელია, თუმცა არა სასამართლოს მოტივაცია. სასამართლო, როგორც ჩანს, იმის თქმას ცდილობდა, რომ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალეულობის პრეზუმფციის მიუხედავად, დაუძლეველი ძალის პრინციპის არსებობა დაცვას აძლევდა უდანაშაულობის დამტკიცების შესაძლებლობას. ეს იმის აღიარების ტოლფასია, რომ არსებობს ბრალეულობის პრეზუმფცია, თუმცა, რადგან დაძლევადა, ამიტომ ადგილი არ აქვს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

სასამართლო თავის არგუმენტაციაში არ განმარტავს პრეზუმფციის საფუძვლიანობას. ეს შეიძლება აიხსნას საქმეში არსებული გარემოებებით. საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს, რომ იმპორტირებული საქონლის მფლობელმა პირებმა უზრუნველყონ საბაჟო ფორმალობების შესრულება. სხვა სიტყვებით, მათ აქვთ ამ მხრივ შესაბამისი ყურადღების გამოჩენის სპეციალური ვალდებულება. გონივრული არ იქნება საბაჟო ორგანოებს მოვთხოვოთ იმ ნეგატიური ფაქტის დამტკიცება, რომ საკმარისი ყურადღება არ იქნა გამოჩენილი. მეორე მხრივ, ფორმალობების გავლის პროცესში რჩება კვალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად. იმპორტირებული საქონლის დაუფლება შემომწმების გარეშე შეიცავს რისკს. ასეთი რისკის შექმნა არის დანაშაული. შესაბამისად, არ იქნება უსამართლო, რომ შესაბამის პირებს მოვთხოვოთ ყველა ფორმალობის შესრულების დამტკიცება.

ეს მიდგომა ნათელს ხდის განსხვავებას ნარკოტიკების კონტრაბანდასა და გასაღებას შორის. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ადგილი არ აქვს სარისკო ქმედებას ან ყურადღების გამოჩენის ვალდებულებას. შესაბამისად, დასაწყისშივე უნდა

<sup>797</sup> *Vastberga Taxi Aktiebolag* და *ვულიჩი (Vulic) შედეგითი წინააღმდეგ*, §112; იხ. აგრეთვე მსგავსი საქმე *იანოშევიჩი (Janosevic) შედეგითი წინააღმდეგ*.

<sup>798</sup> *Vastberga Taxi Aktiebolag* და *ვულიჩი (Vulic) შედეგითი წინააღმდეგ*, §116.

<sup>799</sup> *JP, KR* და *GH* ავსტრიის წინააღმდეგ განაცხადები 15135/89, 15136/89, 15137/89. მსგავსი წესები არსებობს ასევე სხვა იურიდიულებში, მაგალითად, საფრანგეთში. იხ. შარიერი (2002) მე-6 მუხლი, N 69. საქმეში *დუხი (Duhs) შედეგითი წინააღმდეგ* (განაცხადი 12995/87) კომისიამ უარყო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. არ არსებობდა პრეზუმფციის დაძლევის შესაძლებლობა, თუმცა, როგორც ჩანს, დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათმა განაპირობა ასეთი გადაწყვეტილება. შარიერი (2002); ავტორი აკრიტიკებს ამ გადაწყვეტილებას, რადგან თვლის, რომ სასამართლო უზრუნველბა საქმეში *ოზტურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ* გამოყენებულ მიდგომას.



დადასტურდეს ბრალდებულის მიერ იმის ცოდნა, რომ მას ჰქონდა აკრძალული ნივთიერება. საბაჟო დანაშაულის შემთხვევაში კი აუცილებელია ამ ვალდებულების შესრულება და მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა საქონელი კანონსაწინააღმდეგო. მსგავსი ვითარება შეიძლება წარმოიქმნას ცილისნამების კონტექსტში. გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სისხლის სამართალი, ჩვეულებრივ, ცილისნამების ავტორს აძლევს შესაძლებლობას, ამტკიცოს გაკეთებული განცხადების სისწორე. შუბარტის (*Schubarth*) საქმეში წამოიჭრა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან ასეთი მიდგომის შესაბამისობის საკითხი<sup>800</sup>. კომისიის პასუხი იყო დადებითი<sup>801</sup>. ცხადია, რომ იმ ფაქტების დადასტურება, რომლებიც სახელს უტეხს პირს, სარიცხო ქმედებაა. თუმცა სამართლიანია, რომ მსგავსი ქმედების ავტორის მიმართ არსებობდეს თავისი განცხადებების სისწორის დამტკიცების მოლოდინი<sup>802</sup>.

### ბ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვისი ქმედების გამო

„სისხლის სამართლის ფუნდამენტური ნესია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ქმედების ჩამდენ პირს“<sup>803</sup>. ეს წინადადება არის შვეიცარიის წინააღმდეგ მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილების ნაწილი. ამ საქმეში გადასახადების გადახდისგან თავის არიდებისთვის ჯარიმა დაეკისრათ იმ პირის შემკვიდრებს, რომელმაც არ მოახდინა თავისი შემოსავლის ნაწილის დეკლარირება. კომისიის წევრების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ჯარიმა წარმოადგენდა მემკვიდრეობის ნაწილს და მემკვიდრეთა მიერ მისი გადახდის ვალდებულება არ ეწინააღმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას<sup>804</sup>. თუმცა სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა. უდანაშაულობის პრეზუმფციაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ „გარდაცვლილის ბრალეულობის მემკვიდრეობით მიღება არ შეესაბამება სისხლის სამართლის სტანდარტებს იმ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას“<sup>805</sup>.

### გ. იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა

უკანასკნელ წლებში რელიგვანტურობა დაკარგა ძველმა გამონათქვამმა „*societas delinquerre non protest!*“. არსებობს მზარდი ტენდენცია, რომ კორპორაციებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა ისეთ სფეროებში როგორცაა გარემოს დაცვა, საგადასახადო დანაშაულები, ფულის გათეთრება, არასამართლიანი კონკურენცია და მომხმარებელთა დაცვა<sup>806</sup>. იურიდიული პირების ქმედებები, რასაკვირველია, დამოკიდებულია ფიზიკურ პირებზე. შესაბამისად, ეს საკითხი ნაწილობრივ მსგავსია სხვების ნაცვლად პირის პასუხისმგებლობის საკითხისა, რომელიც ზემოთ იქნა განხილული.

<sup>800</sup> შუბარტი (1984) 173-ე მუხლი, N 63-5.

<sup>801</sup> ლინგენსი (*Lingens*) და ლაითგები (*Leitgeb*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადები 8803/79 და 1112/81.

<sup>802</sup> იხ. აგრეთვე ფიგერედო დიასი (1974) 216; ტრეკსელი (1981) 320.

<sup>803</sup> AP, MP, და TP შვეიცარიის წინააღმდეგ, §48; EL, RL, და JO-L შვეიცარიის წინააღმდეგ, §53; ეს ორი გადაწყვეტილება სრულიად იდენტურია. შესაბამისად, ქვემოთ მხოლოდ პირველის ციტირება მოხდება.

<sup>804</sup> AP, MP და TP შვეიცარიის წინააღმდეგ, გვ. 1495 და 1496, განსხვავებული აზრი, გვ. 1500, 1501, 1502 და 1504.

<sup>805</sup> AP, MP და TP შვეიცარიის წინააღმდეგ, §48.

<sup>806</sup> მაგ: პრადელი (1999); პაინი (1998); შუნემანი (1998); პრეფონტენი (1998).

დღემდე ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანოებს არ განუხილავთ ეს საკითხი. იურიდიულ პირებს შეუძლიათ ასეთ ორგანოებში განაცხადების წარდგენა<sup>807</sup>. მოსალოდნელია, რომ სტრასბურგის სასამართლო გამოიყენებს უდანაშაულობის პრეზუმფციას (ისევე როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის სხვა ელემენტებს) *mutatis mutandis* კორპორაციების მიმართ. თუმცა ამ წიგნის კონტექსტში შეუძლებელია ამ საკითხების მიმოხილვა.

## 1. სასაჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული პრობლემები

*ენხელის (Engel)* საქმეში სასამართლოს მოუწია განმცხადებლის არგუმენტის განხილვა, რომ მისი უფლება მე-6 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე დაირღვა სასაჯელის დანიშვნისას მის ადრინდელ ქმედებაზე გაკეთებული მითითებით, რომელიც არ გამხდარა სისხლისსამართლებრივი დევნის საგანი. ევროპული სასამართლოს მიხედვით, „როგორც [მე-6(2) მუხლის] ფორმულირებიდან ჩანს, ის შეეხება მხოლოდ ბრალეულობის მტკიცებულებას და არა სასაჯელის სახეს ან ზომას. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სასაჯელთან დაკავშირებით, შეუძლია მხედველობაში მიიღოს ისეთი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის პიროვნებას“<sup>808</sup>. იგივე საკითხი, თუმცა სხვა ფორმით, ასევე განხილული იქნა *ალბერ ლე კონტის (Albert Le Compte)* საქმეში. განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტით, რომ სასაჯელის განსაზღვრისას მისი ნასამართლობა იქნა მხედველობაში მიღებული. სასამართლომ უარყო მისი განაცხადი<sup>809</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით პრეცედენტული სამართალი იწყება კომისიის ადრეული გადაწყვეტილებებით<sup>810</sup>, რომლებიც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც ნაფიცი მსაჯულები და სხვა არაიურისტი მოსამართლეები მონაწილეობენ სამართალწარმოებაში. მათი მიკერძოება შეიძლება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ბრალდებულს წარსულში ჩადენილი აქვს დანაშაული ან დანაშაულები, რის გამოც ის არ ყოფილა მსჯავრდებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს დანაშაულები განსახილველი დანაშაულებრივი ქმედების მსგავსია.

სასამართლოს არგუმენტაცია *ენხელის (Engel)* საქმეში მოითხოვს დამატებითი განმარტებების გაკეთებას. პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია აგრძელებს მოქმედებას მსჯავრდების ან გამართლების შემდეგ. მაგალითად, ადრე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დამამძიმებელ გარემოებად განხილვის შემთხვევაში, რეციდივის ან ნებისმიერი სხვა სახით, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა სასამართლოს მიერ ამ წესის გამოიყენებისას, თუ აღნიშნული ქმედებისთვის პირი არ ყოფილა მსჯავრდებული. მოგვიანებით, სასამართლომ შეზღუდა ამ წესის მოქმედების ფარგლები, როდესაც განაცხადა, რომ პრობლემა არ წარმოიქმნებოდა, თუ „სასაჯელის დანიშვნის დროს ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებით გაკეთებული განაცხადები არ იყო ისეთი ბუნების ან ხარისხის, რომ ახალი ბრალდების წარდგენის ტოლფასი ყოფილიყო კონვენციის ავტონომიური მნიშვნელობით“<sup>811</sup>.

<sup>807</sup> იხ. მაგ. აბრაჰამი (2001) 578 at 585; ოუევი და უაითი (2002) 405; გრაბენვარტერი (2003) § 13 N 8; გოლსონგი (1970).

<sup>808</sup> *ენხელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 90; იხ. აგრეთვე *E შეუიკარისი წინააღმდეგ*, განაცხადი 12117/86.

<sup>809</sup> *ალბერი (Albert)* და *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის წინააღმდეგ, § 40.

<sup>810</sup> *X ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2742/66.

<sup>811</sup> *ბიომერი (Böhmer)* გერმანიის წინააღმდეგ, § 55; *ფილოპისი (Phillips)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 35.

## 2. პირობითი მსჯავრის გაუქმება

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის შემოღება წარმოადგენს მეოცე საუკუნეში სასჯელთან დაკავშირებული კანონმდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განვითარებას. ასეთ დროს პირს დაენიშნება სასჯელი (რომელიც ხშირად საპატიმრო ხასიათისაა) ბრალეულად ცნობის შემდეგ, თუმცა მოხდება მისი აღსრულების გადავადება. განისაზღვრება გამოსაცდელი ვადა და თუ ამ ვადაში პირი არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და შეასრულებს განაჩენით განსაზღვრულ სხვა პირობებს, ის გათავისუფლდება სასჯელის მოხდისგან. იმ შემთხვევაში, თუ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან არ შეასრულებს აღნიშნულ პირობებს, პირობითი მსჯავრი გაუქმდება.

გერმანიაში პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხს წყვეტს მოსამართლე, რომელმაც თავდაპირველი განაჩენი გამოიტანა. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, პირობითი მსჯავრის გაუქმებისთვის არ არის აუცილებელი გამოსაცდელი ვადის განმელოებაში ჩადენილი დანაშაულის დამტკიცება კანონის შესაბამისად. კომისიამ მიიღო განსახილველად ასეთ პრაქტიკასთან დაკავშირებული განაცხადი მე-1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თუმცა საქმე დასრულდა მხარეებს შორის მორიგებით<sup>812</sup>. სახელმწიფომ განაცხადა, რომ სასამართლო ხელისუფლების ყურადღებას მიაპყრობდა ამ მხრივ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის აუცილებლობაზე. ამით მან დაადასტურა, რომ ეთანხმებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციის არასრულფასოვანი დაცვის შესახებ განმცხადებელთა მოსაზრებას, თუმცა შესაბამისი კანონმდებლობა არ იქნა შეცვლილი.

ეს საკითხი განიხილა სასამართლომ *ბიომერის (Böhmer)* საქმეში. ამ საქმეში ჰამბურგის რაიონულმა სასამართლომ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებიც კი განიხილა არა პირის მსჯავრების, არამედ პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ გადანყევტილების მისაღებად. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. სასამართლოს თქმით, მოცემული საქმე განსხვავდებოდა ძველი საქმეებისგან, რომლებშიც კომისიამ დაუშვებლად ცნო განაცხადები. აღნიშნული საქმეები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა განმცხადებლის აღიარებითი ჩვენების მიუხედავად<sup>813</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ეს საქმე არ მიეკუთვნება უდანაშაულობის პრეზუმფციის შედეგზე ორიენტირებულ ასპექტს, რადგან სამართალწარმოების მიზანი არ იყოს ბრალდებულის მსჯავრდება ან გამართლება. გარდა ამისა, მოსამართლე, რომელიც პასუხისმგებელია პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ გადანყევტილების მიღებაზე შეიძლება არ იყოს იგივე მოსამართლე, რომელმაც თავის დროზე განსაზღვრა პირის ბრალეულობა და მისი ფუნქცია იქნება მასთან დაკავშირებული საკითხის გადანყევტა ისეთ სამართალწარმოებაში, რომელზეც მე-1 მუხლი არ ვრცელდება.

<sup>812</sup> *X გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 12748/87. სხვა საქმეებში კომისია შივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონდა დარღვევას, რადგან პირი არ იყო საბოლოოდ მსჯავრდებული; *ჰაუსვიჩკა (Hauswitschka) გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 12380/86; *R გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 12669/87.

<sup>813</sup> *ბიომერი (Böhmer) გერმანიის ნინაალმდეგ*, §65; *R გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 12669/87; და *S გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 15871/89.

## ბ. მტკიცებულებების შეფასება

### 1. ზოგადი მიმოხილვა: „მეოთხე ინსტანციის“ საკითხი

ნესი, რომლის მიხედვით პირი უნდა გაამართლოს სასამართლომ, როდესაც არსებობს ეჭვი მის ბრალულობასთან დაკავშირებით, საფუძვლად უდევს პრინციპს „*in dubio pro reo*“. გადაწყვეტილება პირის ბრალულობის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ეროვნულ დონეზე. ასეთ დროს, საერთაშორისო ორგანოს ჩარევის შემთხვევაში, ის იქცეოდა მეოთხე ინსტანციად. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ასეთი უფლებამოსილება არ წარმოიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციების საფუძველზე<sup>814</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ექნება ადგილი მაშინ, როდესაც განაჩენიდან ირკვევა, რომ პირი მსჯავრდებული იქნა მისი ბრალულობის მიმართ ეჭვების არსებობის მიუხედავად. ერთ-ერთ საქმეში პირის დამნაშავედ ცნობისას რეიკიავიკის რაიონულმა სასამართლომ განაცხადა: „შეუძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და ზემოთ აღწერილი განცხადებებიდან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ უფრო მაღალია ალბათობა განმცხადებელი იყოს უდანაშაულო, ვიდრე დამნაშავე“. ეს ეწინააღმდეგება მოთხოვნას, რომ ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყდეს. საქმე დასრულდა მორიგებით და სახელმწიფომ გადაიხადა გარკვეული კომპენსაცია<sup>815</sup>.

### 2. მიუკერძოებლობის საკითხი

#### ა. სასამართლოს მიუკერძოებლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ცენტრალური ელემენტია მოსამართლის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. მოსამართლემ არ უნდა დაიწყოს საქმის განხილვა იმ რწმენით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული<sup>816</sup>. ამ თვალსაზრისით, რთულია ერთმანეთისგან განვასხვავოთ მე-1 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები. ამ ორ გარანტიას შორის კავშირზე პირველად საქმეში აესტრია იტალიის წინააღმდეგ იქნა აღნიშნული, სადაც კომისიამ განაცხადა, რომ მსჯავრდება დასაშვები იყო მხოლოდ ისეთი პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც საკმარისად მყარია კანონის საფუძველზე პირის ბრალულობის დასამტკიცებლად<sup>817</sup>.

თუმცა იყო საქმეები, რომლებიც მთლიანად მე-1 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე იქნა განხილული. ლავენცი (*Lavents*) საქმეში მოსამართლემ განუცხადა პრესას, რომ ის არ თვლიდა ბრალდებულს უდანაშაულოდ და ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლებოდა მას ჰქონოდა, იყო ნაწილობრივი გამართლება. სხვა ინტერვიუში მან თქვა, რომ ბრალდებულს უნდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა<sup>818</sup>.

სასამართლომ არ ჩათვალა მისაღებად ის ფაქტი, რომ მოსამართლემ ეს განცხადებები კითხვის დასმის ფორმით გააკეთა. სასამართლოს მტკიცებით, უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა განიმარტოს ისე, რომ უზრუნველყოფილ

<sup>814</sup> მაგალითად, ტიპური „მეოთხე ინსტანციის“ საქმისთვის იხ. *S შევიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11497/85; *O შევიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11495/85; *ჰერსინი (Hersini) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 12528/86; *ბოდუბარა (Beaudet-Barat) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 12418/86; და *KB აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11170/84.

<sup>815</sup> *Vilborg Yrsa Sigurdardottir ისლანდიის წინააღმდეგ*, § 10.

<sup>816</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 4124/69.

<sup>817</sup> *აესტრია იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი 788/60; მერილსი და რობერტსონი (2001) 114.

<sup>818</sup> ლავენცი (*Lavents*) ლატვიის წინააღმდეგ, § 124.

იქნეს გარანტიის პრაქტიკულობა და ეფექტიანობა<sup>819</sup>. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა.

კომისიამ არადაამაყყოფილებლად გადაწყვიტა ერთ-ერთი რთული საკითხი, რომელიც ეხებოდა ადრინდელ მსჯავრდებას. განმცხადებელი გამოთქამდა უკმაყოფილებას იმ ფაქტის გამო, რომ გაუპატიურებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს ნაფიც მსაჯულებს მიენოდათ ინფორმაცია მისი ნასამართლობის შესახებ. განაცხადის დაუშვებლად ცნობისთვის კომისიის მიერ გამოყენებული არგუმენტები აშკარად პრაგმატული ხასიათის იყო. მან განაცხადა, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობდა მრავალ ქვეყანაში<sup>820</sup>. თუმცა საყოველთაოდ ცნობილია მსგავს ინფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხეები და თანამედროვე სამართლებრივი სისტემები ერთმანეთისგან მიჯნავენ სასჯელის დანიშვნის პროცესს, როდესაც შეიძლება კრიმინალური წარსულის გათვალისწინება და პირის ბრალეულობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას<sup>821</sup>. მეორე საქმეში, სასამართლო განხილვის დროს პირის ყოფნა ხელბორკილებში, რომელიც ჩატარდა სასამართლო დარბაზის გარეთ, არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას<sup>822</sup>. ასეთ დროს, გარკვეულწილად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული საშიშა და შეიძლება არაიურისტებს მიერ მოხდეს მისი ბრალეულობის შესახებ ნაადრევი დასკვნების გამოცანა.

### ბ. სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა მიუკერძოებლობა

1. *სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო*. ორგანო, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ვალდებულია პატივი სცეს უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუმცა არ ევალება სრული მიუკერძოებლობა. შესაბამისად, ადგილი ვერ ექნება უდანაშაულობის პრეზუმფციის შედეგზე ორიენტირებული ასპექტის დარღვევას. მიუკერძოებელი პროკურორი თავისთავად არ უქმნის საფრთხეს სამართალწარმოების სამართლიანობას. შეიძლება ვინმეს საპირისპირო მოსაზრება ჰქონდეს, თუმცა შეჯიბრებითი პროცესი გულისხმობს ოპონენტების, ერთი მხრივ, ბრალმდებლის, რომლის ქმედებებიც ემყარება ბრალეულობის *de facto* პრეზუმფციას და მეორე მხრივ, დაცვის არსებობას.

II. *ექსპერტი*. ექსპერტებს აქვთ განსაკუთრებული ტიპის პასუხისმგებლობა. მათი როლი ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტულ საპროცესო სისტემაზე<sup>823</sup>. შოტლანდიაში, ინგლისსა და უელსში ექსპერტები ინიშნებიან მხარეების მიერ და მკაცრად არ მოეთხოვებათ მიუკერძოებლობა.

სხვა საპროცესო სისტემებში მათი დანიშვნა ხდება სასამართლოს მიერ და უნდა ჩაითვალოს დამტკიცებად. ამ შემთხვევაში მათ მიუკერძოებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. *ბიონიშის (Bönish)* საქმეში სასამართლო არ შეენიანა აღმდეგა ავსტრიის მთავრობის განცხადებას, რომ ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, ექსპერტი იყო სასამართლოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი დამხმარე<sup>824</sup>. სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა ექსპერტის

<sup>819</sup> *Ibid.*, § 126.

<sup>820</sup> X დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 2518/65; X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 2676/65; იხ. აგრეთვე X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 5620/72.

<sup>821</sup> როქსინი (1998) § 2 A II, § 42 G II; ვოლფერსი (1999); შმიდი (2004) N 4.3.1; პაუზერი და შვერი (2002) N 17.

<sup>822</sup> X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 2291/64.

<sup>823</sup> საქსპერტო მტკიცებულების შედარებითი ანალიზისთვის იხ. ნაიბორი და შპრანგერსი (2000).

<sup>824</sup> ბიონიში (Bönish) ავსტრიის წინააღმდეგ, § 30.

მიუკერძოებლობა, რომელიც მისი ადრინდელი ფუნქციების გამო, „ბრალდებულს“ წინააღმდეგ მონმედ უფრო გამოდგებოდა<sup>825</sup>. ეს, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ ექსპერტებიც შეზღუდული არიან უდანაშაულობის პრეზუმფციით.

იგივე საკითხი ნამოიჭრა საქმეში ბერნარი (Bernard) საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელშიც განმცხადებელმა თავი არ ცნო დამნაშავედ, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებდა ერთ-ერთი ფსიქიატრიული დასკვნა. კერძოდ, ამ დასკვნის მიხედვით, „ბატონი ბერნარდი არის განგსტერი ... ოპერაციის მსვლელობა მიანიშნებს ... რომ ის კარგად იყო დაგეგმილი და იყო ექსპერტების ნამუშევარი. ბატონი ბერნარდის ყველა ძირითადი დანაშაული (როგორც ძველი, ასევე მიმდინარე) თავსდება ორგანიზებული დანაშაულის კატეგორიაში ... ბატონი ბერნარდი არ არის ჩვეულებრივი დამნაშავე, არამედ არაჩვეულებრივი პროფესიონალი“<sup>826</sup>. სააპელაციო სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა, რადგან მტკიცებულების წარმოდგენისას ექსპერტმა არაერთხელ გაიმეორა, რომ ბატონი ბერნარდი უარყოფდა დანაშაულის ჩადენას<sup>827</sup>. საკასაციო სასამართლომ უარყო საჩივარი, რადგან ექსპერტის კომენტარები არ წარმოადგენდა მის მიერ სასამართლოსთვის კეთილსინდისიერი დახმარების განწვეის შესახებ დადებული ფიცის დარღვევას<sup>828</sup>. კომისია ორად გაიყო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის საკითხზე და თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმით გადაწყდა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას და აღარ იყო აუცილებელი განაცხადის განხილვა ასევე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე<sup>829</sup>.

თუმცა სასამართლო დაეთანხმა კომისიის შემადგენლობის უმცირესობას და მივიდა დასკვნამდე, რომ არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები. სასამართლომ განაცხადა, რომ ექსპერტს ლოგიკურად უნდა დაენყო განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ჰიპოთეზით<sup>830</sup>. დასკვნა ფორმულირებული იყო საკმაოდ ფართოდ: „დასკვნაში ნაჩვენებია, რომ განმცხადებლის მსჯავრდება ემყარებოდა ... გამოძიების მსვლელობის დროს მოპოვებულ და სასამართლოს წინაშე განხილულ მტკიცებულებებს ... ამის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ჩათვლის აღნიშნულ განცხადებებს, რომლებიც წარმოადგენენ მსაჯულთათვის მინოდებულ მტკიცებულებათა მხოლოდ ნაწილს, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას“<sup>831</sup>.

აღნიშნული საქმე კარგად წარმოაჩენს უდანაშაულობის პრეზუმფციის შედეგზე ორიენტირებულ და რეპუტაციასთან დაკავშირებულ აპსექტებს შორის არსებულ სხვაობას. ამ საქმეში სასამართლომ პირველ ასპექტზე გააკეთა აქცენტი. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ უთქვამს, მან განიხილა, ექსპერტის მოსაზრებები რამდენად ქმნიდნენ დაუსაბუთებელი მსჯავრდების შესაძლებლობას და უარყოფით დასკვნამდე მივიდა. მეორე მიდგომის არჩევის შემთხვევაში, სასამართლო სხვაგვარად დასვამდა საკითხს, კერძოდ, „ასახავდა თუ არა ექსპერტის განცხადება იმ მოსაზრებას, რომ განმცხადებელი იყო დამნაშავე მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდებოდა კანონის შესაბამისად“. აღსანიშნავია, რომ ზოგადი პრინციპების შეჯამებისას, სასამართლომ გამოტოვა

<sup>825</sup> *Ibid.*, § 32.

<sup>826</sup> ბერნარი (Bernard) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 13.

<sup>827</sup> *Ibid.*, § 16.

<sup>828</sup> *Ibid.*, § 20.

<sup>829</sup> *Ibid.*, § 40.

<sup>830</sup> *Ibid.*, § 38.

<sup>831</sup> *Ibid.*, § 40.

აღნიშნული წინადადება. ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მტკიცებით, გამოყენებულ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა<sup>832</sup>.

წინანდობლოვია, რომ ექსპერტები არ არიან საჯარო პირები და შესაბამისად, მათი განცხადებებით ვერ დაირღვევა კონვენცია. თუმცა კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე, ხელშემკრერ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ თავიანთ იურისდიქციებში ძირითადი უფლებების დაცვა. ამ საქმეში ეროვნულ სასამართლოს რეაგირება უნდა მოეხდინა ექსპერტის გამონათქვამებზე, როგორც ეს კომისიამ შესთავაზა, ნაფიცი მსაჯულებისთვის ინსტრუქციის მიცემის გზით.

III. სამართალწარმოების სხვა მონაწილეები. ექსპერტებთან მიმართებით გამოთქმული მოსაზრებები ვრცელდება სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზეც, მათ შორის მონაწილესა და სამოქალაქო მოსარჩელეებზე. სახელმწიფო ვერ იქნება პირდაპირ პასუხისმგებელი მათ განცხადებებზე, თუმცა ის უნდა ჩაერიოს, როდესაც სამართალწარმოების მონაწილე აკეთებს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეუსაბამო განცხადებებს.

### გ. მედია

მედიის მიერ სამართალწარმოების გაშუქებას შეიძლება მოჰყვეს უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის საზიანო შედეგები. თუმცა საზოგადოების ინფორმირება სისხლის სამართლის საქმის შესახებ სრულიად კანონიერია, თუნდაც საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ განცხადებები, რომლებიც ბრალდებულს დამნაშავედ წარმოაჩენს, თავიდან იქნეს აცილებული. მოსამართლემ უნდა გააკეთოს განცხადება, რომ ის არ მოექცევა მედიის გავლენის ქვეშ და ამის შესახებ გააფრთხილოს ნაფიცი მსაჯულები და სამართალწარმოების სხვა არაიურისტი მონაწილეები<sup>833</sup>. რადგან კონვენცია მხოლოდ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებებს, კერძო მედია და მისი წარმომადგენლები პირდაპირ ვერ დაარღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. თუმცა კონვენციის პირველი მუხლით სახელმწიფოს ევალება, უზრუნველყოს ინდივიდუალური უფლებების დაცვა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, თუ ისინი ირღვევა კერძო პირის მიერ<sup>834</sup>.

მსგავსი საქმე განხილული იქნა ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, სადაც მედია ინტენსიურად აშუქებდა წინასასამართლო სამართალწარმოებას და ბრალდებულს წარმოაჩენდა ნარკოტიკების გამსაღებლად. სახელმწიფომ მიიღო ზომები მედიის ინტენსიური გაშუქების აღსაკვეთად და შესაბამისად, კომიტეტმა ვერ აღმოაჩინა პაქტის დარღვევა<sup>835</sup>.

სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია საზოგადოების ინფორმირება საქმის მსვლელობის შესახებ, თუმცა ცალსახად უნდა განიმარტოს, რომ ეჭვმიტანილი არ ითვლება დამნაშავედ<sup>836</sup>.

<sup>832</sup> დაკტარასი (Daktaras) ლიტვის წინააღმდეგ, § 41; ბოჰმერი (Böhmer) გერმანიის წინააღმდეგ, § 56.

<sup>833</sup> კროფი (Kropf) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 14733/89. კომისიამ დაუშვებლად ცნო განაცხადი, რადგან განმცხადებელი გაამართლა სასამართლომ.

<sup>834</sup> პეტერსი (2003) 133: „indirekte Drittwirkung“.

<sup>835</sup> დოლე ჩადი (Dole Chadee) და სხვები ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ.

<sup>836</sup> X ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 8361/78

### 3. უდანაშაულობის დასამტკიცებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არარსებობა

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება არ მოითხოვს უდანაშაულობის დასამტკიცებლად სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობას. სხვა სიტყვებით, არ არსებობს სასამართლო განხილვამდე სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება<sup>837</sup>. ეს საკვებით ლოგიკურია, რადგან თუ პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება, გაუგებარია რატომ უნდა არსებობდეს იგივე ფაქტის დადასტურების მიზნით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

## III. გარანტიის „რეპუტაციასთან დაკავშირებული“ ასპექტები

### ა. შესავალი

როგორც უკვე აღინიშნა, უდანაშაულობის პრეზუმფციის რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტი მოიცავს საჯარო პირის ისეთ ქმედებასა და განცხადებას, რომელშიც იგულისხმება, რომ პირს დამნაშავედ მიიჩნევენ მის მსჯავრდებამდე. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად იქონიეს მათ გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფცია უკვე აღარ არის საპროცესო გარანტია<sup>838</sup>.

ქვემოთ განვიხილავთ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც შეეხება სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებულ განცხადებებს, იძულების ღონისძიებების გამოყენებას, გადაწყვეტილებებს და საქმის შეწყვეტის კონტექსტში მოყვანილ მიზეზებს, აგრეთვე საჯარო პირების განცხადებებს, რომლებიც არ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეს. ბოლოს შევხებით იმ თეორიულ საფუძვლებს, რომლებსაც ემყარება ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია.

### ბ. წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული განცხადებები

ზოგადად სისხლის სამართალწარმოების დროს განხორციელებული ქმედებები და გაკეთებული განცხადებები მიეკუთვნება უდანაშაულობის პრეზუმფციის „შედეგზე ორიენტირებულ“ ასპექტებს, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან სასამართლო გადაწყვეტილების მიუკერძოებლობას. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

ამ მხრივ საინტერესო საქმეა *დაქტარასი (Daktaras) ლიტვის წინააღმდეგ*, რომელშიც განმცხადებელმა მოსთხოვა პროკურორს მის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტა, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები სისხლის-სამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად. პროკურორმა უარყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ ის იყო „უსაფუძვლო, რადგან წინასასამართლო გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებები მიუთითებდნენ, რომ განმცხადებელი დამნაშავე იყო.“<sup>839</sup> ამის შემდეგ მან განიხილა კონკრეტული მტკიცებულებები,

<sup>837</sup> *სოლტიკოვი (Solitkov) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2257/64; *X ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 8585/79. აღნიშნული საკითხი ასევე წამოიჭრა საქმეში *მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ*. იხ. აგრეთვე *L ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 12241/86; *კაიანი (Kayhan) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11585/85.

<sup>838</sup> სუდრი (2003) N 218.

<sup>839</sup> *დაქტარასი (Daktaras) ლიტვის წინააღმდეგ*, § 13.



რომლებიც „ადასტურებდნენ“ სხედასხვა ბრალდებებს.

სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ პროკურატურას შეეძლო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროკურორი ახორციელებს კვაზი-სასამართლო ფუნქციას ბრალდების მოხსნის შესახებ განმცხადებლის მოთხოვნის განხილვისას. თუმცა საჯარო პირის განცხადების შეუსაბამობა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან უნდა გადაწყდეს იმ კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, რომელშიც გაკეთდა შესაბამისი განცხადება<sup>840</sup>.

ამ საქმეში განცხადება გაკეთდა „შიგნით“, საპროცესო გადაწყვეტილებაში და არა პრესკონფერენციაზე. პროკურორმა გამოიყენა სიტყვა „ადასტურება“, რათა პასუხი გაეცა ბრალდებულის არგუმენტებზე, რომ ფაქტები არ იყო დადასტურებული. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მეორე პუნქტის დარღვევას<sup>841</sup>.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დამაჯერებელია. ბრალდება მოქმედებს პირის მსჯავრდების უზრუნველსაყოფად და ნაკლებად საეარაუდოა, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე თავისი მოსაზრების გამოთქმით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ვერდიქტზე. მეორე მხრივ, ეს საქმე მიუთითებს უდანაშაულობის პრეზუმფციის ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ასპექტზე. იმ შემთხვევაში, თუ იგივე განცხადება გაკეთდებოდა საჯაროდ, საეარაუდოდ, შედეგი განსხვავებული იქნებოდა, თუმცა არა თავად სამართალწარმოებასთან მიმართებაში. განცხადების საჯაროდ გაკეთება იქნებოდა გაუმართლებელი ჩარევა განმცხადებლის რეპუტაციის დაცვის უფლებაში<sup>842</sup>.

## გ. იძულების ღონისძიებები, წინასწარი პატიმრობა

### 1. პრინციპი

მტიკცებულებების შეკრებისა და ექვმიტანილის მიერ გამოძიებისთვის ხელის შეშლის პრევენციისთვის საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ მთელი რიგი იძულების ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავენ ექვმიტანილის უფლებებს. ისინი მოიცავს მათ შორის სატელეფონო საუბრების მოსმენას, ელექტრონულ ან სხეავარ თვალთვალს, სისხლის ანალიზების აღებას, ჩხრეკას, ამოღებას და რაც ყველაზე მთავარია, პატიმრობას. ეს ზომები შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციას<sup>843</sup>. ისინი ეფუძნება კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტში მოცემულ ეჭვს<sup>844</sup>.

### 2. შეზღუდვები

#### ა. ზოგადი ასპექტები

ზოგიერთი იძულების ღონისძიება<sup>845</sup> შეიძლება იმდენად ერეოდეს ადამიანის პირად თავისუფლებაში, რომ ჩაითვალოს სასჯელად<sup>846</sup>. ამის მაგალითი შეიძლება

<sup>840</sup> *Ibid.*, §43.

<sup>841</sup> *Ibid.*, §44-5.

<sup>842</sup> *Ibid.*, ბუტკევიჩიუსი (*Butkevicius*) ლიტვის წინააღმდეგ.

<sup>843</sup> ეს აგრეთვე მოიცავს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვაში ექვმიტანილი პირის ვალდებულებას, გაიკეთოს სისხლის ანალიზი. იხ. *X ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 8239/78.

<sup>844</sup> იხ. გიოკელი (*Gokceli*) თურქეთის წინააღმდეგ.

<sup>845</sup> *X ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 8239/78.

<sup>846</sup> *B ესპანეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 12476/86. იხ. აგრეთვე ვენტურა (*Ventura*) იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 8239/78.

იყო ამოღება, როცა ის დიდხანს გრძელდება და ამოღებული საქონელი კარგავს თავის ღირებულებას<sup>847</sup>. თუმცა ყველაზე დიდი საფრთხე დაკავშირებულია პატიმრობასთან. ამიტომ პატიმრობა ექვემდებარება მკაცრ შეზღუდვებს და არ უნდა გაგრძელდეს გონიერულ ვადაზე დიდხანს<sup>848</sup>.

ეს საკითხი ასევე განხილული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან კავშირში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ის განიხილა თავის კომენტარებში იტალიის<sup>849</sup>, ეკვადორის<sup>850</sup>, არგენტინის<sup>851</sup>, რუმინეთის<sup>852</sup> და ლუქსემბურგის<sup>853</sup> მთავრობების ანგარიშებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას ასევე მოუწია არაერთი განაცხადის განხილვა, რომლებშიც საუბარი იყო მე-5 მუხლის მესამე პუნქტისა და მე-6 მუხლის მეორე პუნქტის დარღვევაზე პატიმრობის ვადის გამო<sup>854</sup>. ამ ორ გარანტიას შორის არსებული კავშირი არ არის უმნიშვნელო. მეცნიერულმა კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოები ითვალისწინებენ პატიმრობისას მოხდელ ვადას სასჯელის დანიშვნის დროს და ცდილობენ თავიდან აიცილონ ისეთი სასჯელები, რომლებიც უფრო ხანმოკლეა, ვიდრე მოხდელი პატიმრობის ვადა<sup>855</sup>.

შესაბამისად, დროებითი იძულების ღონისძიებები შეიძლება ჩაითვალოს სანქციად, რომელიც ეკისრება პირს, სანამ მოხდება მისი გამართლება.

იმ შემთხვევაში, როცა განაცხადი მიუთითებს მე-6 მუხლის მეორე პუნქტსა და მე-5 მუხლის მესამე პუნქტზე, ამ უკანასკნელს აქვს უპირატესობა როგორც სპეციალურ ნორმას; თუ კონვენციის დარღვევას აქვს ადგილი პატიმრობის ზედმეტად ხანგრძლივი ვადის გამო, მაშინ აღარ იქნება აუცილებელი უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხის განხილვა<sup>856</sup>.

განსაკუთრებით რთული საკითხი ნამოიჭრა შვედეთის ნინაალმდეგ განხილულ საქმეში, რომელიც ეხებოდა გადასახადების გადახდისგან თავის არიდებას და რომელშიც საგადასახადო ჯარიმის დაკისრება მოხდა სასამართლოს მიერ ჯარიმის დაკისრების საფუძლიანობის განსაზღვრამდე. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია არ კრძალავდა უზრუნველყოფის ზომებს და დაამატა, რომ „ნორმები, რომლებიც ცალკეული სისხლისსამართლებრივი სასჯელების ადრეული აღსრულების ნებას რთავს, არსებობს ხელშემკერეელი სახელმწიფოების კანონმდებლობაში“ (თუმცა არც ამ შემთხვევაში დასახელდა კონკრეტული

<sup>847</sup> რაიმონდო (Raimondo) იტალიის ნინაალმდეგ.

<sup>848</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი, მე-9(3) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-5(3) მუხლი.

<sup>849</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები იტალიის შესახებ UN Doc. CCPR/C/79/Add.94 (1998).

<sup>850</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები ეკვადორის შესახებ UN Doc. CCPR/C/79/Add.92 (1998).

<sup>851</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები არგენტინის შესახებ A/40/50. § 144-65 (1965).

<sup>852</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები რუმინეთის შესახებ UN Doc. CCPR/C/79/Add.30 (1993).

<sup>853</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები ლუქსემბურგის შესახებ UN Doc. CCPR/C/79/Add.11 (1992).

<sup>854</sup> იხ. ბონეხო (Bonnehau) შეიჯარის ნინაალმდეგ, განაცხადი 8224/78; იხ. აგრეთვე ჰელეგუარში (Hellegouarch) საფრანგეთის ნინაალმდეგ, განაცხადი 11994/86.

<sup>855</sup> რობერტი (1972) 128.

<sup>856</sup> ერძემი (Erdzem) გერმანიის ნინაალმდეგ, § 49.

მაგალითები).<sup>857</sup> დამატებითი გადასახადისგან განსხვავებით, დროებითი უზრუნველყოფა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ფისკალური ინტერესების საფუძველზე. სასამართლომ საკმაოდ დეტალურად განიხილა კომპენსაციის შესაძლებლობები იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო გადაწყვეტილება პირს არ დააკისრებდა რაიმე დამატებითი გადასახადს და მივიდა დასკვნამდე, რომ შედეგის კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიები არ იყო ამ მხრივ საკმარისი<sup>858</sup>.

ამ გადაწყვეტილებებში გამოყენებული ფორმულირებები მოითხოვს განმარტებას. გადასახადის გადამხდელის ქონების ამოღება შეიძლება გამართლებული იყოს დამატებითი გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად. თუმცა რთული გასაგებია, რატომ ხდება აუცილებელი სასჯელის ნაადრევი აღსრულება და როგორ თავსდება ის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.

### ბ. წინასწარი პატიმრობის ბუნება

პატიმრობის ხასიათი და პირობები უნდა შეესაბამებოდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამ მხრივ, საერთაშორისო პაქტი იძლევა არაორაზროვან განმარტებას: „განსაკუთრებული გარემოებების არარსებობისას, ბრალდებულები უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებულებისგან განცალკევებით და დაექვემდებარონ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს“<sup>859</sup>. არამსჯავრდებულ პირის პატიმრობის დროს დაუშვებელია ისეთი შეზღუდვების გამოყენება, რომლებიც არ არის მკაცრად აუცილებელი შესაბამისი მიზნის, კერძოდ, პირის მიმალვის, რეციდივის ან მტკიცებულებების განადგურების თავიდან აცილების მისაღწევად. ეს გულისხმობს, რომ დაუშვებელია პატიმრების იძულებითი შრომა. მათ ასევე აქვთ უფლება, ატარონ საკუთარი ტანსაცმელი და შეუკვეთონ თავიანთი საჭმელი იმ ფარგლებში, რაც შეესაბამება ციხის წესრიგს.

თუმცა სასამართლომ უგულებელყო აღნიშნული პრინციპი *პირსის (Peers)* საქმეში, როდესაც განმცხადებელი გამოთქვამდა უქმყოფილებას, რომ მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მიუხედავად, ის ექვემდებარებოდა იგივე რეჟიმს, რასაც მსჯავრდებულ პირები. სასამართლომ არ გაიზიარა მისი არგუმენტები და განაცხადა, რომ „კონვენცია არ შეიცავს ნორმას, რომელიც უზრუნველყოფდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა განსხვავებულ მოპყრობას“<sup>860</sup>. სასამართლოს ასეთი მიდგომა ორი მიზეზის გამო არის არადამაკმაყოფილებელი.

პირველი, სასამართლო უნდა იცნობდეს საერთაშორისო პაქტის დებულებებს. მე-7 ოქმი მიღებული იქნა იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილიყო განსხვავებები საერთაშორისო პაქტით და ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილ გარანტიებს შორის. რამდენიმე სანყისი წინადადება უარყოფილი იქნა, რადგან შესაბამისი უფლება უკვე იგულისხმებოდა კონვენციაში<sup>861</sup>. ეს ფაქტი ქმნის პრეზუმფციას, რომ კონვენციის განმარტება უნდა მოხდეს საერთაშორისო პაქტის ტოლფასი დაცვის უზრუნველსაყოფად.

მეორე, სასამართლოს უფრო დეტალურად უნდა განეხილა საქმის გარემოებები და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ასეთი ფორმალური არგუმენტით. ვერც იმას

<sup>857</sup> *Vastberga Taxi Aktiefbolag* და *ჯულიჩი (Vulic) შედეგის წინააღმდეგ*, § 118; იხ. აგრეთვე *იანოშევიჩი (Janosevic) შედეგის წინააღმდეგ*.

<sup>858</sup> *Ibid.*, § 119-21.

<sup>859</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

<sup>860</sup> *პირსი (Peers) საბერძნეთის წინააღმდეგ*, § 78.

<sup>861</sup> ტრექსელი (1988) 195.

გამოვრიცხავთ, რომ თავად ციხის რეჟიმი უნინალმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. იგივე საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა ციხეში არსებული პირობების გამო. სხვა საჩივრებთან შედარებით, მე-6 მუხლის მეორე პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი დასაწყისშივე შეიძლება ბანალურად ჩათვლილიყო. თუმცა ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, თუ სასამართლო განაცხადებდა, რომ ცალკე საკითხი არ წამოიჭრებოდა მე-6 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

**დ. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იმ საქმეებში, რომლებშიც სამართალწარმოება არ დასრულდა მსჯავრდებით და სასჯელის დანიშვნით**

პირის მსჯავრდებით საქმის დასრულების გარდა, არსებობს სამართალწარმოების შეწყვეტის ორი ძირითადი გზა. პირველი გულისხმობს გამართლებას. მეორე მოიცავს სხვადასხვა საპროცესო გადაწყვეტილებებს, როგორცაა ბრალმდებლის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რადგან წარმატების დაბალი შანსია. სხვა მაგალითებია ბრალდებულის გარდაცვალება ან როდესაც ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამოვრიცხავს სასამართლო განხილვას ან გასაჩივრებას. ასევე შესაძლებელია, რომ ბრალდებამ დახუროს საქმე, რადგან პირის მსჯავრდების შემთხვევაში დანიშნული სასჯელი იქნება უმნიშვნელო.

ზოგჯერ თვით ბრალდებულის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებებიც შეიძლება იწვევდეს გარკვეულ პრობლემებს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით. ასეთ დროს სასამართლო წარმოადგენს გარკვეული ტიპის დასაბუთებას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბრალდებულის უდანაშაულობაზე<sup>862</sup>. ბრალდებულს შეიძლება უარი უთხრან წინასწარი პატიმრობის გამო კომპენსაციაზე ან დამცველის ხარჯების ანაზღაურებაზე<sup>863</sup>. მას შეიძლება დაეკისროს სასამართლო ხარჯების, ასევე, მეორე მხარის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება<sup>864</sup>. დაბოლოს, გამართლების მიუხედავად, ბრალდებულს შესაძლოა დაეკისროს მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდა<sup>865</sup>.

პრეტენდენტული სამართალი აღნიშნულ საკითხებზე საკმაოდ მდიდარია. მისი მიმოხილვისას საჭირო არ იქნება ყველა კატეგორიის ცალკე განხილვა, თუმცა საქმეები უნდა განვასხვაოთ იმის მიხედვით, ისინი ბრალდებულის გამართლებით დასრულდა თუ რაიმე სხვა შედეგით.

**1. გამართლების ეფექტი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე**

სასამართლოს მიერ პირის საბოლოოდ გამართლების შემდეგ, ის დატულია ახალი სამართალწარმოების დაწყებისგან საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლისა და ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნებისმიერი ოფიციალური

<sup>862</sup> მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ; ასან რუშიტი (Asan Rushiti) ავსტრიის წინააღმდეგ, § 15, 32.

<sup>863</sup> ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ; ენგლერტი (Englert) გერმანიის წინააღმდეგ; ნოლკენბოკოფი (Nolkenbockhoff) გერმანიის წინააღმდეგ; სეკანინა (Sekanina) ავსტრიის წინააღმდეგ; რუშიტი (Rushiti) ავსტრიის წინააღმდეგ; ლამანა (Lamanna) ავსტრიის წინააღმდეგ.

<sup>864</sup> მინელი (Minelli) შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>865</sup> რინგვოლდი (Ringvold) ნორვეგიის წინააღმდეგ; Y ნორვეგიის წინააღმდეგ.

განცხადებისგან, რომელიც მიუთითებს მის ბრალეულობაზე ან ეჭვქვეშ აყენებს მის უდანაშაულობას, იმის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გამოხატავს თუ არა ბრალდებულის მიმართ ასეთ ეჭვს. ეს პრინციპი დადსტურდა ევროპული სასამართლოს მიერ რამდენიმე საქმეში<sup>866</sup>.

ერთ-ერთ ასეთ საქმეში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მოითხოვდა ეჭვის გაქარწყლებას კომპენსაციის გადახდის წინაპირობად და მტკიცების ტვირთს აკისრებდა პირს, რომელიც ითხოვდა კომპენსაციას. სასამართლომ სამართლიანად აღნიშნა, რომ ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან არსებობდა სამართალწარმოების განახლების შემთხვევაში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესაბამისი პირი ისევ ხდება „ბრალდების“ ობიექტი<sup>867</sup>.

საქმეში *Y ნორვეგიის წინააღმდეგ* სასამართლოს მიერ გამართლებულ პირს დაევალა მსხვერპლისთვის კომპენსაციის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა იგივე სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მეორე დღეს. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლების დარღვევა ეროვნული სასამართლოს განცხადების გამო: „აშკარად შესაძლებელია, რომ [განმცხადებლის მიერ] ჩადენილი იქნა დანაშაულები“<sup>868</sup>. „სასამართლო ითვალისწინებს ეროვნული სასამართლოს განცხადებას, რომ განმცხადებელი გამართლებული იქნა სისხლისსამართლებრივი ბრალდებისგან. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ მსხვერპლის კანონიერი ინტერესების დაცვის დროს უმაღლესი და შემდეგ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული ფორმულირებები გასცდა სამოქალაქო საქმის საზღვრებს და ეჭვქვეშ დააყენა განმცხადებლის გამამართლებელი განაჩენის სისწორე“<sup>869</sup>.

სასამართლო მივიდა სხვა დასკვნამდე *რინგვოლდის (Ringvold)* საქმეში, რომელშიც გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა იმავე დღეს, რა დღესაც *ჰამერნის (Hammern)* და *Y ნორვეგიის წინააღმდეგ* საქმეებში. ამოსავალი წერტილი ერთი და იგივე იყო: პირი იყო ბრალდებული არასრულწლოვანზე სექსუალურ ძალადობაში, თუმცა საბოლოოდ გაამართლეს.

*რინგვოლდის (Ringvold)* საქმეში მსხვერპლმა შეიტანა სარჩელი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც უმაღლესმა სასამართლომ უარყო. შემდეგ მან საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. დამატებითი მტკიცებულებები იქნა წარმოდგენილი და სამოქალაქო საქმე გაერთიანდა სისხლის სამართლის საქმესთან. უზენაესმა სასამართლომ საქმე გადაწყვიტა მსხვერპლის სასარგებლოდ. გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლემ აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეებში მტკიცების სტანდარტი იყო ალბათობის მაღალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ გამამართლებელი განაჩენი ეფუძნებოდა ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტს, უზენაესმა სასამართლომ განიხილა უმაღლესი სასამართლოს შეხედულებები ზოგიერთ მტკიცებულებასთან დაკავშირებით. უმაღლესი სასამართლო, ნაფიცი მსაჯულებისგან განსხვავებით, არ იზიარებდა ვიდეო ჩანაწერების მტკიცებულებითი ღირებულების ნაკლოვანებას.

<sup>866</sup> *სეკანინა (Sekanina)* ავსტრიის წინააღმდეგ, §30; *რუშიტი (Rushiti)* ავსტრიის წინააღმდეგ, §31; *ლამანა (Lamanna)*, *ვაიქსელბრაუნი (Weixelbraun)*, *ვოსტიჩი (Vostic)* და *დემირი (Demir)* ავსტრიის წინააღმდეგ; *ჰამერნი (Hammern)* ნორვეგიის წინააღმდეგ, §47-8.

<sup>867</sup> *ვაიქსელბრაუნი (Weixelbraun)* ავსტრიის წინააღმდეგ, §29.

<sup>868</sup> *Y ნორვეგიის წინააღმდეგ*, §44.

<sup>869</sup> *Ibid.*, §46.

ევროპულმა სასამართლომ განასხვავა აღნიშნული საქმე სხვა საქმეებისგან და დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა დარღვევას. მან გაიზიარა მოსაზრება, რომ კომპენსაციასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვა არ ეხებოდა სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში,

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა უარყოფითად იმოქმედებდა მსხვერპლის შესაძლებლობაზე, სამოქალაქო წესით მოეთხოვა კომპენსაცია, რაც იქნებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლების თვითნებური და არაპროპორციული შეზღუდვა. შედეგად, გამართლებული პირი, რომელიც სამოქალაქო პროცესში მოქმედი მტკიცების ტვირთის საფუძველზე ჩაითვლებოდა პასუხისმგებლად, მიიღებდა არაჯეროვან უპირატესობას ჩადენილ ქმედებებზე ნებისმიერი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მხრივ. მსგავსი ფართო განმარტება ვერ იქნებოდა გამაგრებული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირებით ან კონვენციის ნეერი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემით. პირიქით, ხელშემკერელი სახელმწიფოების უმრავლესობაში გამართლება სისხლის სამართლის საქმეში ხელს არ უშლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგენას იმავე ფაქტებზე დაყრდნობით.

შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ, ერთი მხრივ, სისხლისსამართლებრივი ბრალდებისგან გამართლება უნდა შენარჩუნდეს კომპენსაციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, თუმცა მეორე მხრივ, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგენას იმავე ფაქტებზე დაყრდნობით, უფრო მსუბუქი მტკიცების ტვირთის საფუძველზე ... თუ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება კომპენსაციასთან დაკავშირებით შეიცავს განცხადებას, რომელიც დასაცავ პირს მიანერს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამით ნაშოჭრება საკითხი მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში<sup>870</sup>.

სასამართლომ მიუთითა კომისიას პრეცედენტულ სამართალზე, სადაც ხაზგასმული იყო სისხლისსამართლებრივ და სხვა ტიპის საქმეებს შორის განსხვავება, კერძოდ, ამ უკანასკნელ კატეგორიაში მტკიცების დაბალი სტანდარტის არსებობა, სადაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ წყვეტს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტს<sup>871</sup>.

განსხვავება სასამართლოსა და კომისიის მიდგომებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ კომისიის მტკიცებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ უდრიდა პირის ბრალეულობის დადგენას. სასამართლომ კი განაცხადა, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდებოდა, რადგან არ იყო საკმარისი კავშირი სისხლის სამართლის საქმესა და კომპენსაციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას შორის. „სასამართლო იმეორებს, რომ სისხლის სამართლის საქმის შედეგი არ არის გადაწყვეტი კომპენსაციის საკითხისთვის“<sup>872</sup>. შესაბამისად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მას არ შეეძლო იმ საკითხის არსებითად განხილვა, დაირღვა თუ არა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>870</sup> რინგვოლდი (Ringvold) ნორვეგიის წინააღმდეგ, § 38.

<sup>871</sup> MC გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11882/85; რეზასო (Rebasso) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 12007/86; კომისიამ დაადასტურა, რომ სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი და იგივე ფაქტიდან. თუმცა ამ საქმეში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი სიტყვები ვერ ჩაითვლებოდა უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევად. იხ. აგრეთვე X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 9295/81.

<sup>872</sup> რინგვოლდი (Ringvold) ნორვეგიის წინააღმდეგ, § 38.

მოსამართლე კოსტას განსხვავებული აზრის მიხედვით, „სამოქალაქო სამართალდარღვევა განსხვავდება სისხლის სამართლის დანაშაულისგან და ქმედებები, რომლებიც არაკანონიერი და საზიანოა სამოქალაქო სამართლის საფუძველზე, შეიძლება არ იყოს იმ ქმედებების იდენტური, რომლებიც პირს ბრალად ჰქონდა წარდგენილი სისხლის სამართალწარმოებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმფცია და გადანყევტილება, რომ პირი, რომელიც გაამართლეს, არ იყო ბრალეული, ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, თუ პირის საწინააღმდეგო განაჩენის გამოტანა მოხდებოდა სამოქალაქო საქმეში, რადგან სრულიად პარადოქსული იქნებოდა პრეზუმფციის დაცვა მანამ, სანამ ის არ იქნებოდა დაძლეული სასამართლოს გადანყევტილებით და ამავდროულად, იმ მტკიცებულების უგულებელყოფა, რომელიც ზურგს უმაგრებდა აღნიშნულ პრეზუმფციას“. მან სწორად აღნიშნა, რომ ეროვნული მოსამართლის მოსაზრებით, „მტკიცებულებებმა დააკმაყოფილა შესაბამისი სტანდარტი, დადგინდა სექსუალური ძალადობის ფაქტი და ალბათობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით ცხადი იყო, რომ განმცხადებელი იყო ბოროტმოქმედი“.

აღნიშნული მოსაზრება მისასაღებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეუძლებელია განხორციელდეს იმავე ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა საფუძველზეც პირი იქნა გამართლებული. ამავდროულად, შესაძლებელი უნდა იყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსხვავება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სასამართლოს მეთოდოლოგიას ქვემოთ ისევე დაეუბრუნდებით.

დამატებით რამდენიმე საკითხი მოითხოვს განმარტებას. განმცხადებელი უქმყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისთვის, ხელმისაწვდომი გახადა სისხლის სამართლის საქმის მასალები. ევროპული სასამართლოს განცხადებით, „ის ფაქტი, რომ ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ასევე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ელემენტებს, მიუხედავად მისი სიმძიმისა, ვერ უზრუნველყოფს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ პირი, რომელიც შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ქმედებისთვის სამოქალაქო სამართლის კონტექსტში, ჩაითვალოს ბრალდებულად სისხლის სამართლის დანაშაულში. არც ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოყენებულია სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების დასადგენად, არ იძლევა ასეთი დახასიათების გამოყენების საფუძველს“<sup>873</sup>.

ეს განცხადება ვერ პასუხობს განმცხადებლის მიერ წამოჭრილ საკითხებს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის საქმეში ფაქტების დადგენას ხელს უწყობს პროკურატურა. იძულების ღონისძიებები, რომლებიც დაშვებულია სისხლის საპროცესო სამართლის საფუძველზე, ვერ იქნება გამოყენებული სამოქალაქო საქმის მხარის მიერ. სასამართლოს არ განუხილავს საკითხი იმის შესახებ, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები ხელმისაწვდომი იქნებოდა თუ არა სამოქალაქო პროცესში. თუმცა უსამართლო იქნება, თუ პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართალდარღვევის მსხვერპლია, ისარგებლებს სპეციალური პრივილეგიით თავისი არგუმენტების გასამყარებლად. ასეთი პრივილეგია მისაღებია, როცა დასაცავი პირი იქნა მსჯავრდებული, მაგრამ არა მისი გამართლების შემთხვევაში.

<sup>873</sup> *Ibid.*, § 38.

## 2. სისხლისამართლებრივი დევნის საპროცესო საფუძვლით შეწყვეტის ეფექტი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე

უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი ძალზე არაერთგვაროვანია საპროცესო საფუძვლით საქმის შეწყვეტის საკითხზე. შესაძლებელია მთელი რიგი განსხვავებების გაკეთება სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

საქმეების დიფერენცირება შეიძლება იმ ქმედების მიხედვით, რომლითაც ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. კერძოდ, ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლის უდანაშაულობასთან დაკავშირებით ეჭვების გამოთქმა<sup>874</sup>, საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა ან წინასწარი პატიმრობა ეჭვის არსებობის გაგრძელების საფუძველზე<sup>875</sup>, საპროცესო ან მოსარჩელეთა ხარჯების ანაზღაურების დაკისრება<sup>876</sup>.

განსხვავებები შეიძლება ასევე დადგინდეს იმის მიხედვით, სადავო განცხადებამ ახსენა ეჭვი ან დაადასტურა დამნაშავეობა თუ არა<sup>877</sup> ან გადაწყვეტილება დეტალური იყო თუ შემოიფარგლებოდა ბრალულობის ალბათობის ხსენებით. შეიძლება ასევე საქმეების განსხვავება სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე დაყრდნობით: ბრალდების წარსაადგენად არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობა<sup>878</sup>, ხანდაზმულობის ვადის გაშვება<sup>879</sup>, ბრალდებულის გარდაცვალება<sup>880</sup> ან ის ფაქტი, რომ საბოლოოდ მსჯავრდების შედეგად დანიშნული სასჯელი იქნებოდა უმნიშვნელო<sup>881</sup>. დაბოლოს, განსხვავება ასევე შესაძლებელია იმის მიხედვით, სამართალწარმოება შეწყდა თუ არა მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირი ცნობილი იქნა ბრალეულად<sup>882</sup>.

### ა. ხარჯების ანაზღაურებისა და მოსარჩელისთვის კომპენსაციის მიცემის ბრძანება

პირველი საქმე, რომელშიც უდანაშაულობის პრეზუმფციის რეპუტაციასთან დაკავშირებული ასპექტი იქნა აღიარებული სასამართლოს მიერ, არის *მინელი (Minelli) შეუცარიის წინააღმდეგ*. განმცხადებელმა, ყურნალისტმა დანერა სტატია, რომელშიც დაადანაშაულა ბიზნესი მაქინაციურ საქმიანობაში. ეს გახდა მის წინააღმდეგ ცილისწამების ნიადაგზე საქმის აღძვრის საფუძველი. სამართალწარმოება შეჩერდა პარალელური პროცესის გამო სხვა ყურნალისტის წინააღმდეგ სხვა კანტონში. იმ დროისთვის, როდესაც შესაძლებელი იყო საქმის განახლება, უკვე გასული იყო ხანდაზმულობის ვადა. მიუხედავად ამისა, განმცხადებელს დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება და

<sup>874</sup> მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>875</sup> ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ, ენგლერტი (Englert) გერმანიის წინააღმდეგ; ნოლკენბოკოფი (Nolkenbockhoff) გერმანიის წინააღმდეგ, ლოიჩერი (Leutscher) ნიდერლანდების წინააღმდეგ; ბარსი (Baars) ნიდერლანდების წინააღმდეგ.

<sup>876</sup> საქმეში მინელი (Minelli) შეუცარიის წინააღმდეგ განმცხადებელს დაეკისრა ორივე.

<sup>877</sup> მაგ: ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ და მინელი (Minelli) შეუცარიის წინააღმდეგ.

<sup>878</sup> მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>879</sup> მინელი (Minelli) შეუცარიის წინააღმდეგ; ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ; ლოიჩერი (Leutscher) ნიდერლანდების წინააღმდეგ; ბარსი (Baars) ნიდერლანდების წინააღმდეგ.

<sup>880</sup> ნოლკენბოკოფი (Nolkenbockhoff) გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>881</sup> ენგლერტი (Englert) გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>882</sup> ლუტცი (Lutz) გერმანიის წინააღმდეგ; ენგლერტი (Englert) გერმანიის წინააღმდეგ.



მოსარჩელისთვის კომპენსაციის გადახდა. ამ ბრძანების საფუძველი იყო ის, რომ განმცხადებელი «ყველა შემთხვევაში იქნებოდა მსჯავრდებული, რომ არა ხანდაზმულობის ვადა». ასეთი დასკვნა იქნა გამოტანილი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ<sup>883</sup>.

ევროპულმა სასამართლომ თავდაპირველად განიხილა, საერთოდ ერცელდებოდა თუ არა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი აღნიშნულ საქმეზე. სასამართლომ გაიზიარა კომისიის მიდგომა, რომ პირისთვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება ხანდაზმულობის გამო საქმის შეჩერების შემდეგ არ იკრძალებოდა კონვენციით. პრინციპი, რომ «არც მე-6 მუხლის მეორე პუნქტი და არც კონვენციის სხვა დებულება არ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის უფლებას, მოითხოვოს მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება მისი საქმის შეწყვეტის შემთხვევაში»<sup>884</sup>, არაერთხელ იქნა გამოყენებული მოგვიანებით განხილულ საქმეებში<sup>885</sup>. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმის თქმით, რომ ბატონი მინელი დიდი ალბათობით იქნებოდა მსჯავრდებული, პალატამ დაადასტურა, რომ დანაშაულს დამტკიცებულად თვლიდა, ხოლო განმცხადებელს ბრალეულად<sup>886</sup>. შედეგად, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მეორე პუნქტის დარღვევას.

### ბ. უარი კომპენსაციაზე

სასამართლომ განასხვავა მინელის (Minelli) საქმის გარემოებები იმ საქმეებისგან, რომლებშიც ადგილი ჰქონდა მხოლოდ კომპენსაციაზე უარს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ უარი კომპენსაციის გადახდაზე არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც სასჯელის ტოლფასი<sup>887</sup>. ლუტცის (Lutz) საქმეში ანალოგიური ფორმულირებაა გამოყენებული, როგორც მინელის (Minelli) საქმეში, კერძოდ, «დასაცავი პირი დიდი ალბათობით იქნებოდა სჯავრდებული»<sup>888</sup>. თუმცა ეროვნულ სასამართლოს არ განუხილავს მტკიცებულებების დეტალები. ამის გამო სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ ეჭვი იქნა გაცხადებული და არა ის, რომ პირი (რომელმაც აღიარა დანაშაული) იყო ბრალეული.

ენგლერტის (Englert) საქმეში ეროვნულმა სასამართლომ განაცხადა, რომ აქამდე სასამართლო განხილვის მიმდინარეობის გათვალისწინებით, პრეზუმციის დამძლევი გარემოებები ... იმდენად დამაჯერებელია, რომ მსჯავრდება უფრო შესაძლებელია ვიდრე გამართლება»<sup>889</sup>. ნიოლკენბოკოფის (Nolkenbockhoff)

<sup>883</sup> მინელი (Minelli) შევიცარიის ნინააღმდეგ, §34.

<sup>884</sup> მაგ: ლუტცი (Lutz) გერმანიის ნინააღმდეგ, §59. იხ. აგრეთვე P, RH, და LL ავსტრიის ნინააღმდეგ, განაცხადი 15776/89. ნათელია, რომ ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლი, საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი და ამერიკული კონვენციის მე-10 მუხლი არ მოიცავს ამ საკითხებს.

<sup>885</sup> მაგ: ენგლერტი (Englert) გერმანიის ნინააღმდეგ, §36; ნიოლკენბოკოფი (Nolkenbockhoff) გერმანიის ნინააღმდეგ, §36; მასონი (Masson) და ვან ზონი (Van Zon) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §49; ლოიჩერი (Leutscher) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §29; ბარსი (Baars) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §27.

<sup>886</sup> მინელი (Minelli) შევიცარიის ნინააღმდეგ, §38.

<sup>887</sup> ლუტცი (Lutz) გერმანიის ნინააღმდეგ, §63; ენგლერტი (Englert) გერმანიის ნინააღმდეგ, §39; ნიოლკენბოკოფი (Nolkenbockhoff) გერმანიის ნინააღმდეგ, §40; ლოიჩერი (Leutscher) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §29; არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, რადგან ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაკისრებულია არა სასჯელის სახით, არამედ სამართლიანობის მოსაზრებიდან გამომდინარე.

<sup>888</sup> ლუტცი (Lutz) გერმანიის ნინააღმდეგ, §16.

<sup>889</sup> ენგლერტი (Englert) გერმანიის ნინააღმდეგ, §29.

საქმეში სასამართლოს არგუმენტი იყო, რომ „დასაცავი პირი თითქმის უჭქველად იქნებოდა მსჯავრდებული“.

სამივე საქმეში (*ლუტცი (Lutz)*; *ენგლერტი (Englert)*; *ნიოლენბოკოფი (Nolkenbockhoff)*) სტრასბურგის სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა. იგივე შედეგით დასრულდა *ლოიჩერის (Leutscher)* საქმე, რომელშიც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი „*in absentia*“ და კომპენსაციაზე უარი დაასაბუთა იმით, რომ „არც სისხლისსამართლებრივი გამოძიების მასალებიდან და არც წინამდებარე მოთხოვნიდან გამომდინარე, არ არ არსებობს აღნიშნული მსჯავრდების სისწორის ეჭვებზე დაყენების საფუძველი“<sup>890</sup>.

*ბარსის (Baars)* საქმეში კომპენსაციაზე განმცხადებლისთვის უარის თქმა გამართლებული იქნა „იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ განმცხადებელი – იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის ორგანო უარს არ იტყოდა ბრალდებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და ამავე მიზეზით სისხლისსამართლებრივი დევნა არ ჩაითვლებოდა დაუშვებლად უმაღლესი სასამართლოს მიერ – დიდი ალბათობით იქნებოდა მსჯავრდებული“<sup>891</sup>. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-6(2) მუხლის დარღვევა, რადგან მტკიცებულებები იქნა დეტალურად განხილული.

აღნიშნული გადაწყვეტილებები მიჰყვება ერთ ლოგიკურ ხაზს. სასამართლო ჩათვლის, რომ ადგილი აქვს კონვენციის დარღვევას, თუ ეროვნული სასამართლო არა მარტო დაასაბუთებს კომპენსაციის უარს იმით, რომ განმცხადებელი დიდი ალბათობით იყო დამნაშავე, არამედ, ასევე განიხილავს მტკიცებულებებს ამ დასკვნის გამოსატანად. კიდევ ერთი განსხვავება, რომლის შესახებ გადაწყვეტილებები არ მოუთითებენ, არის ის, რომ კონვენციის დარღვევა იქნა დადგენილი იმ შემთხვევაში, როცა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ მომხდარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. აღნიშნული ვერ ჩაითვლება კანონიერ მიზეზად და შესაბამისად, არც არის ნახსენები. სინამდვილეში, თეორიულად (როგორც მინიმუმ, ავსტრიისა და ნიდერლანდების სამართლებრივ სისტემებში) უდანაშაულობის პრეზუმფცია დაძლეულია მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული პირი წარადგენს საჩივარს. თუმცა პრაქტიკაში ხელისუფლების ორგანოებს უძნელდებათ ისე მოიქცნენ, თითქოს პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუტანია გამამტყუნებელი განაჩენი.

სასამართლო ხაზს უსვამს „საჯარო პირების მიერ სიტყვების შერჩევის მნიშვნელობას“<sup>892</sup>. დასაძინა, რომ ზემოთ ხსენებულ საქმეებში აღნიშნული წესი არ იქნა გამოყენებული<sup>893</sup>. ის არგუმენტები, რაც მოყვანილია სხვა საქმეებისგან *მინელის (Minelli)* და *ბარსის (Baars)* მსგავსი საქმეების განსხვავების მიზნით, სადაც დარღვევა იქნა დადგენილი, არ არის დამაჯერებელი. ცხადია, რომ კომპენსაციაზე უარის თქმა მისაღებია (იმ შემთხვევაშიც, თუ ხარჯების ანაზღაურება ეკისრება დასაცავ პირს) იმ საქმეებში, რომლებშიც სამართალწარმოება შეწყდა საპროცესო თუ ტექნიკური მიზეზების გამო, პირველ ინსტანციაზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ. თუმცა ეს ცხადად უნდა ჩამოყალიბდეს როგორც წესი. მაგალითად, „თუ სამართალწარმოება წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ, მაგრამ მანამ, სანამ

<sup>890</sup> *ლოიჩერი (Leutscher) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §31.

<sup>891</sup> *ბარსი (Baars) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §17.

<sup>892</sup> *დაკტარასი (Daktaras) ლიტივის წინააღმდეგ*, §41; *მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ*, §28; *ბიომერი (Böhmer) გერმანიის წინააღმდეგ*, §56.

<sup>893</sup> *მერილისი და რობერტსონი (2001) 117*. ეს ავტორიც აკრიტიკებს გადაწყვეტილებას.

გასაჩივრების საფუძველზე მოხდება გადანყეტილების გამოტანა, ხარჯები უნდა დაეკისროს მსჯავრდებულს". ეს თავიდან აგვაცილებს განცხადებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას.

### გ. ეჭვის არსებობის დადასტურება

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი, რომელსაც ბრალად ედებოდა არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა, გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ სამართალწარმოების შეწყვეტით მას წაერთვა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების საშუალება. მოსამართლემ, რომელიც პასუხისმგებელი იყო წინასწარ გამოძიებაზე, გამოიყენა ისეთი ფორმულირებები, რომლებიც ხაზს უსვამდა მის წინააღმდეგ სერიოზული ეჭვის არსებობას, რაც, თავის მხრივ, გახდა იმის მიზეზი, რომ განმცხადებლის ყოფილმა ცოლმა უარი უთხრა მას საკუთარი ბავშვის მონახულებაზე. სასამართლოს წევრების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ ადგილი არ ჰქონდა დარღვევას. სასამართლომ გაიმეორა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვების შერჩევას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ეჭვების გამოთქმას<sup>894</sup>.

საკმაოდ დამაჯერებელ განსხვავებულ აზრში, მოსამართლე როზაკისმა მიუთითა, რომ გამოყენებულმა სიტყვებმა გათქვა მოსამართლის დამოკიდებულება, რომ განმცხადებელს დამნაშავედ თვლიდა. სხვა სიტყვებით, მან განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრალდებული არის დამნაშავე, თუმცა, სამწუხაროდ, მეეჭვება, რომ შესაძლებელი იყოს მის ბრალეულობაში სასამართლოს დარწმუნება მტკიცებულებებში არსებული სუსტი ელემენტების გამო“. რთულია არ დაეთანხმო მოსამართლე როზაკისს, რომ ეს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

### 3. განცხადებები, რომლებიც არ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეს

დღემდე ორი საქმე იქნა განხილული, რომლებშიც საჯარო პირების მიერ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ გაკეთებული განცხადებები წამოჭრიდა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამის მაგალითია პრეზიდენტი ნიქსონის გამოსვლა, როდესაც მან ისაუბრა მენსონზე, როგორც მკვლელზე მანამ, სანამ ის იქნებოდა მსჯავრდებული, რაც ყველა გაზეთის პირველ გვერდზე მოხვდა<sup>895</sup>.

პირველი საქმე ეხებოდა შვეიცარიის იუსტიციის მინისტრს, რომელმაც პირის დაკავების შემდეგ (ის მსჯავრდებული იქნა ტერორისტულ ჯგუფთან კავშირის გამო) მოიხსენია ის როგორც კრიმინალი, თუმცა იქვე დაამატა, რომ მას ელოდებოდა სასამართლო განხილვა. რადგან ადგილი არ ჰქონდა ფორმალურ განცხადებას, რომ ის იყო ბრალეული, კომისიამ განაცხადა დაუმეებლად ცნო<sup>896</sup>.

მეორე საქმეში განმცხადებელი მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. პრესკონფერენციაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი, პარიზის კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტის დირექტორმა განმცხადებელი მოიხსენია „მკვლელობის ინიციატორად“<sup>897</sup>.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენციის დანიშნულებაა უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც არა თეორიული და მოჩვენებითი,

<sup>894</sup> მარციანო (Marziano) იტალიის წინააღმდეგ, §28, 30.

<sup>895</sup> მაგ: ჟურნალი თაიმსი, 17 აგვისტო, 1970.

<sup>896</sup> პეტრა კრაუზე (Pelra Krause) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7986/77.

<sup>897</sup> ალენე დე რიბემონი (Allenet Ribemont) საფრანგეთის წინააღმდეგ, §10.

არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი“ და რომ მე-ნ მუხლის მეორე პუნქტი ვრცელდებოდა, რადგან არსებობდა კავშირი სისხლის სამართლის გამოძიებასთან, რომელიც რამდენიმე დღით ადრე იყო დაწყებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ უკრძალავდა ხელისუფლებას საზოგადოების ინფორმირებას მიმდინარე გამოძიების შესახებ, თუმცა ჩათვალა, რომ ეს უნდა გაკეთებულიყო ამ პრეზუმფციის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში განცხადება განმცხადებლის ბრალეულობის შესახებ ცალსახად იქნა გაკეთებული<sup>898</sup>.

თვით პოლიციის უბრალო ანგარიშს, რომელშიც ეჭვმიტანილი მოხსენიებულია დამნაშავედ, შეუძლია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, იმის მიუხედავად, რომ საბოლოოდ ადგილი არ აქვს პირის მსჯავრდებას და მის შესახებ მონაცემები ამოშლილია პოლიციის მონაცემთა ბაზიდან<sup>899</sup>.

## ე. შეფასება

უდანაშაულობის პრეზუმფციის რეპუტაციასთან დაკავშირებულ ასპექტზე არ არის ერთგვაროვანი პოზიცია. ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ საპროცესო გარანტია ვრცელდება არასაპროცესო გარემოებებზე<sup>900</sup>. თუმცა უნდა ითქვას, რომ გარკვეული გამოწვევების გარდა, სასამართლომ მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც გაიზიარა კომისიის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა.

უმჯობესი იქნებოდა სასამართლოს მიერ ცალსახად იმის აღიარება, რომ ის მე-ნ მუხლის მეორე პუნქტის ისეთ ხედვას იზიარებს, რომელიც არ ებმის სისხლის სამართლის პროცესს, როგორც ეს არის განსაზღვრული მე-ნ მუხლის პირველი პუნქტით, კერძოდ, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრასთან“ კავშირში.

მე-ნ მუხლის მეორე პუნქტთან დაკავშირებულ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში სასამართლო უხვევს სწორი გზიდან, როდესაც ცდილობს იმის დემონსტრირებას, რომ მე-ნ მუხლი ვრცელდება განსახილველ საქმეზე. კერძოდ, „სისხლისსამართლებრივის“ ცნების შესახებ საუბრისას ის გამოყოფს *ენგელის (Engel)* საქმეში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და შემდეგ განიხილავს ვრცელდება თუ არა ისინი მოცემულ საქმეში. თუმცა *მინელის (Minelli)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საქმეების უმრავლესობა, სისხლის სამართალთან მათი კავშირის მიუხედავად, ეხება იმ პირებს, რომლებიც აღარ არიან ბრალდებულები სისხლის სამართლის დანაშაულში<sup>901</sup>.

*მინელის (Minelli)* საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვიტა განმცხადებელზე ხარჯების ორი შესამედის ანაზღაურებისა და სამოქალაქო მოსარჩელისთვის კომპენსაციის მიცემის დაკისრება, ის განმცხადებელს ჯერ კიდევ განიხილავდა როგორც

<sup>898</sup> *Ibid.*, § 35-41; იხ. აგრეთვე *W გურმანის წინააღმდეგ*, განაცხადი 11526/85.

<sup>899</sup> *ბაბაკი (Babjak)* და *სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ*, განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი იმის გამო, რომ არ იყო ამონურული ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

<sup>900</sup> გოლეიტცერი (1992) მე-ნ მუხლი, N 121.

<sup>901</sup> გამოწვევისა და *ალენ დერიბემონის (Allenet de Ribemont)* საქმე, რომელშიც განმცხადებელს შეიძლება ითქვას, რომ „ბრალდება ნარედგინა“ ბატონი დე ბროჟილის შეკვლეობის ნაქვებში. ეს არის კომისიის ადრინდელი გადაწყვეტილება, რომელშიც მან გამოიყენა ბრალდების ცნების ვინო ინტერპრეტაცია. *X გურმანის წინააღმდეგ*, განაცხადი 4483/70. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეს პრეცედენტი უარყოფილია.

ბრალდებულს სისხლის სამართლის დანაშაულში მე-ნ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე<sup>902</sup>. ეს მოსაზრება არ არის სარწმუნო განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე წინადადების შემდეგ სასამართლომ აღიარა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა განმცხადებლის წინააღმდეგ.

იმ საქმეში, რომელშიც საგადასახადო გადაცდომის გამო ჯარიმის დაკისრება მოხდა გარდაცვლილის მემკვიდრეებზე<sup>903</sup>, განმცხადებლები არასდროს ყოფილან ბრალდებულები. მართალია, სასამართლომ მიუთითა *ოზტურქის (Öztürk)* საქმეზე და განიხილა მე-ნ მუხლის მოქმედების საკითხი<sup>904</sup>, თუმცა გარდაცვლილი პირი იყო ბრალდებული და არა რომელიმე განმცხადებელი. ის ფაქტი, რომ მათ დაეკისრათ ჯარიმის გადახდა ვერ ჩაითვლება ბრალდებად. მათი ბრალეულობის საკითხი არასდროს არ განხილულა.

დამოკიდებულება შეიცვალა *სეკანინას (Sekanina)* საქმეში. სასამართლომ მიუთითა კომისიაზე, რომელიც ყოველთვის იყენებდა პირდაპირ მიდგომას, როდესაც აცხადებდა, რომ „უდანაშაულობის პრეზუმფცია იყო სავალდებულო არა მარტო სისხლის სამართლის სასამართლოებისთვის, რომლებიც არსებითად იხილავდნენ ბრალდების საკითხს, არამედ, ასევე სხვა საჯარო ორგანოებისთვისაც“<sup>905</sup>. თუმცა კომისიას არ დაუკავშირებია მე-ნ მუხლის მე-2 პუნქტის გავრცელების წინაპირობები და მისი შინაარსი, რისი მცდელობაც ჰქონდა სასამართლოს. მან აღნიშნა, რომ თვით გამართლების შემდეგ ავსტრიის კანონმდებლობა ისეთი ხარისხით უკავშირებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კომპენსაციის საკითხს, რომ გადაწყვეტილება ამ უკანაქნელთან დაკავშირებით შეიძლებოდა ჩათვლილიყო როგორც პირველ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგი და გარკვეული თვალსაზრისით, მისი თანმდევი.

მე-ნ მუხლი ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულებზე, რაც უდავოდ, ავტონომიური განმარტების ობიექტია<sup>906</sup>. თუმცა, როგორც ჩანს, მე-ნ მუხლის მეორე პუნქტის კონტექსტში, სასამართლო ანიჭებს მას მე-ნ მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებულ მნიშვნელობას. ასეთი მიდგომა მიუღებელია. რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება ტერმინი „ბრალდებული“ განიმარტოს ისე, რომ მოიცავდეს „პირს, რომელიც აღარ არის ბრალდებული“.

ბრალდების მოხსნა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი იქნა გამართლებული. ნორვეგიის წინააღმდეგ განხილულ ოთხ საქმეში სასამართლომ, როგორც იქნა, გაიზიარა მოსაზრება, რომ განმცხადებლები ვედარ ჩაითვლებოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებად. მე-ნ მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის არსებობის უარყოფა გამართლებულია მიზანშეწონილობიდან გამომდინარე: არ იქნება სამართლიანი, თუ დანაშაულის მსხვერპლს ეჭვმიტანილის გამართლების გამო წაერთმევა შესაძლებლობა, სამოქალაქო წესით მიიღოს კომპენსაცია „მტკიცების უფრო მსუბუქი ტვირთის საფუძველზე“<sup>907</sup>.

<sup>902</sup> *მინელი (Minelli) შეუიჯარის წინააღმდეგ*, §32.

<sup>903</sup> *AP, MP და TP შეუიჯარის წინააღმდეგ*; *EL, RL და JO-L შეუიჯარის წინააღმდეგ*.

<sup>904</sup> *AP, MP და TP შეუიჯარის წინააღმდეგ*, §39-43; *EL, RL და JO-L შეუიჯარის წინააღმდეგ*, §44-8.

<sup>905</sup> *სეკანინა (Sekanina) ავსტრიის წინააღმდეგ*, §21.

<sup>906</sup> იხ. თავი 2.

<sup>907</sup> *ჰამმერი (Hammern) ნორვეგიის წინააღმდეგ*, §41; *O ნორვეგიის წინააღმდეგ*, §40; *რინგვოლდი (Ringvold) ნორვეგიის წინააღმდეგ*, §40; *Y ნორვეგიის წინააღმდეგ*, §40.

კომისიის მიდგომა უფრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს. კომისიის მიხედვით, უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება „არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიაა, არამედ ყველა სახელმწიფო ორგანოსგან მოითხოვს, ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას მანამ, სანამ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა“<sup>908</sup>.

---

<sup>908</sup> P, RH, და LL ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 15776/89; ერთ-ერთ საქმეში კომისიამ თავი შეიკავა ამ საკითხზე მოსაზრების გამოთქმისგან. სასამართლო განხილვისას, რომელიც შეეხებოდა დამცველის ხარჯების ანაზღაურებისგან გათავისუფლების საკითხს იმ საქმეში, რომელშიც სამართალწარმოება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიუთითა ეჭვზე. კომისიამ განაცხადა, რომ პირი იმ დროისთვის არ იყო ბრალდებული. თუმცა განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რადგან სასამართლოს არ ჰქონდა გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილება. SM ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 11919/86.

# თავი 8

## ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება

### 1. შესავალი

#### ა. დებულებები

[3. მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:]

ა) დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(3) მუხლი.*

[3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:]

ა) მისთვის გასაგებ ენაზე, დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(3) მუხლი.*

[2... . მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:]

ბ) მიიღოს წინასწარი შეტყობინება, რომელიც დაწვრილებით აღწერს მისთვის წარდგენილ ბრალდებას.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(2) მუხლი.*

საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის დებულებები თითქმის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ სიტყვების თანმიმდევრობაშია, რაც არ ცვლის დებულების არსს. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია კი უფრო გამარტივებულ ფორმულირებას იყენებს.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

ამ გარანტიის იდეა წარმოიშვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოსამზადებელი სხდომების პროცესში. პირველად ის იქნა შემოთავაზებული ბატონი ინგლესის (ფილიპინები) მიერ. მისი ინკორპორირება მოხდა 1949 წლის ივნისში (გაეროს) ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მე-5 სესიის ბოლოს მიღებულ ტექსტში.<sup>909</sup>

<sup>909</sup> ვაისბროდტი (2001) 49; იმ დროისთვის ტექსტს აკლდა მხოლოდ ერთი სიტყვა

აღნიშნული გარანტია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული დებულების მსგავსია, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის მინოდებას პირის დაკავების მიზეზების, მათ შორის „მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდების“ შესახებ.<sup>910</sup> თუმცა არსებობს ზოგადი შეთანხმება, რომ სასამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტია უფრო დეტალურ ინფორმაციას მოითხოვს.<sup>911</sup>

### გ. გარანტიის მიზანი

ამ გარანტიას აქვს ძალიან მკაფიო მიზანი: სასამართლოში თავის დაცვის უფლება შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულისთვის ცნობილია მისთვის წარდგენილი ბრალდების შესახებ<sup>912</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაფკასებური ვითარება წარმოიქმნება.

საკმარისი დროა ასევე საჭირო დაცვის მონმეების გამოსაძახებლად, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას<sup>913</sup>.

პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზის შედეგად, შეგვიძლია გამოვყოთ სასამართლოს ორი ძირითადი მიდგომა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მიმართ: ფუნქციური და აბსოლუტისტური.

#### 1. ფუნქციური მიდგომა

ფუნქციური მიდგომა ემყარება ინფორმაციის როლს დაცვის მომზადებისას. ის მოიცავს მხოლოდ ისეთ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ან, სულ მცირე, სასარგებლოა დაცვისთვის<sup>914</sup>. ამ თვალსაზრისით, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ფაქტობრივად ზედმეტია. ცხადია, რომ ინფორმაცია არის გადამწყვეტი „შესაძლებლობა“ დაცვის მოსამზადებლად. შესაბამისად, მას სრულად მოიცავს ბ) ქვეპუნქტი. ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლების ყოფნა მე-3 პუნქტის დასაწყისში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ის არის პირველი „შესაძლებლობა“, რომელიც სჭირდება დაცვას სასამართლო განხილვის დროს. ფუნქციური მიდგომა პრაქტიკული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მისი მიხედვით შეუძლებელია ა) ქვეპუნქტის დარღვევა, თუ ბრალდებული ვერ შეძლებს იმის ჩვენებას, რომ არაზუსტი ან არასაკმარისი ინფორმაციის გამო ზიანი მიადგა მის დაცვას.

#### 2. აბსოლუტისტური მიდგომა

აბსოლუტისტური მიდგომის მიხედვით, ა) ქვეპუნქტში მოცემული გარანტია ცალკე დგას და დამოუკიდებელია სხვა გარანტიებისგან. შესაბამისად, კონვენციის დარღვევას ადგილი ექნება მაშინაც, თუ არ არსებობს მტკიცებულება, რომ

---

„დანერვილებით“.

<sup>910</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-9(2) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5(2) მუხლი. განსხვავებული ფორმულირება არის გამოყენებული ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7(4) მუხლში. იხ. თავი 18.

<sup>911</sup> კიავარიო (2001) N 7.1; პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 251; მერილსი და რობერტსონი (2001) 119; ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 38; ოუევი და უაითი (2002) 181; შტრაშერი (2001) N 7.44.

<sup>912</sup> ეს არის ძირითადი განსხვავება დაკავების დროს ინფორმაციის მიღების უფლებისგან, რომელიც დაკავებულს საშუალებას აძლევს, გაასაჩივროს დაკავების კანონიერება. იხ. პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 250.

<sup>913</sup> ეაისბროდტი (2001) 113.

<sup>914</sup> ფროუაინი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 175; გოლიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 162; სტავროსი (1993) 171; ფილიგერი (1999) N 496.



უკეთესი ინფორმაცია გაზრდიდა დაცვის წარმატების შანსებს. აბსოლუტისტურ მიდგომას შემოაქვს ჰუმანიტარული ელემენტი კონვენციის განმარტებაში. ის ითვალისწინებს სისხლისსამართლებივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებულ მღელვარებას.

### 3. პრეცედენტული სამართალი

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლებასთან დაკავშირებით, აშკარად ვლინდება ფუნქციური მიდგომა. ამის დასტურია სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტაციისთვის დამახასიათებელი ორი ნიშანი. პირველი, სასამართლო რეგულარულად განიხილავს, მიადგა თუ არა დაცვას ზიანი არასაკმარისი ინფორმაციის გამო. მაგალითად, *სიპავიჩიუსის (Sipavicius)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ გარემოებები „აშკარად აუარესებდა [ბრალდებულის] უნარს, დაეცვა თავი“<sup>915</sup>.

მეორე, ფუნქციური მიდგომა აგრეთვე ვლინდება სასამართლოს მისწრაფებაში, განიხილოს საქმეები „მთლიანობაში.“ ბრალდების შესახებ ინფორმირების საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ მისაღებად ჩათვალა არგუმენტი, რომ პირველ ინსტანციაში არსებული ხარვეზები შეიძლება გამოსწორდეს გასაჩივრების ეტაპზე. ამისათვის სააპელაციო სასამართლო უნდა იყოს უფლებამოსილი, მთლიანობაში განიხილოს საქმე, როგორც ფაქტების დადგენის, ისე კანონის გამოყენების თვალსაზრისით და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება<sup>916</sup>. შედარებისთვის, *დე კუბერის (De Cubber)* საქმეში, რომელიც მოსამართლის მიუეკრძოებლობას შეეხებოდა, სასამართლომ განაცხადა, რომ თვით სრულ სააპელაციო განხილვას არ შეეძლო პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს არსებული ხარვეზების გამოსწორება.<sup>917</sup> ასეთი სხვაობიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საქმის განხილვა იმ სასამართლოს წინაშე, რომელიც არ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, ყველა შემთხვევაში, ბათილი და ძალადაკარგულია. მეორე მხრივ, სასამართლო განხილვა, რომელზეც დაცვა არასწორად იყო ინფორმირებული წარდგენილი ბრალდების შესახებ, ინარჩუნებს გარკვეულ ღირებულებას.

### 4. შეფასება

რთულია იმის თქმა, რომ სასამართლოს მიერ კონვენციის განმარტება არასწორია, თუმცა აბსოლუტისტური მიდგომა აშკარად უფრო მისაღებია.<sup>918</sup> ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად დაცვისთვის კონკრეტული სირთულეების წარმოქმნის ჩვენების მოთხოვნა სასამართლოს რთულ მდგომარეობაში აყენებს. მას უნევს, *ex hypothesi*, დაცვის მდგომარეობაში თავის ჩაყენება და ერთმანეთისთვის განსხვავებული სტრატეგიებისა და არგუმენტების შედარება. ალტერნატივების განხილვისას სასამართლოს უყალიბდება შეხედულება მათ საიმედოობაზე. სასამართლოს

<sup>915</sup> *სიპავიჩიუსი (Sipavicius) ლიტვის წინააღმდეგ*, §29; იხ. აგრეთვე *მატოკია (Mattochia) იტალიის წინააღმდეგ* (§71): „დაცვა გადააწყდა განსაკუთრებულ სირთულეებს.“ *სადაკი (Sadak) თურქეთის წინააღმდეგ*, §55; *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ* (§60): „დაცვა სხვაგვარი იქნებოდა.“

<sup>916</sup> *დალოსი (Dallous) უნგრეთის წინააღმდეგ*, §55, 56; *ლაკატოსი (Lakatos) უნგრეთის წინააღმდეგ*; იხ. აგრეთვე *სიპავიჩიუსი (Sipavicius) ლიტვის წინააღმდეგ*, §33. საქმეში *T ავსტრიის წინააღმდეგ* (§31) ეს პირობა არ იყო დაცული.

<sup>917</sup> *დე კუბერი (De Cubber) ბელგიის წინააღმდეგ*, §33.

<sup>918</sup> იმავე მოსაზრებისთვის იხ. *სტავროსი (1993) 172*. ავტორი მიიჩნევს, რომ კონვენციის ტექსტი არ მოითხოვს ზიანის ჩვენებას.

უბრალოდ არ შეუძლია ამის გაკეთება, რადგან არ ფლობს საამისოდ აუცილებელ პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას.

უფრო ზოგადად, დაცვის უფლებების ინსტრუმენტალიზაცია ძალზე ართულებს განმცხადებლის ამოცანას. ეს ნათლად ჩანს არტიკოს (*Artico*) საქმეში, რომელშიც განმცხადებელს ჩამოერთვა დამცველის დახმარების უფლება. მთავრობა კი ამტკიცებდა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის დარღვევისთვის „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს [დამცველის] დახმარების არარსებობის შედეგად, რეალურად უნდა მისდგომოდა ზიანი.“ ამის პასუხად სასამართლომ სწორად განაცხადა, რომ „ამ შემთხვევაში მთავრობა ითხოვს შეუძლებელს ... პირველ რიგში, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტში არაფერი მიაწინებს ამგვარი მტკიცებულების აუცილებლობაზე ... [კონვენციის] დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზიანის არარსებობის შემთხვევაშიც“<sup>919</sup>. იგივე არგუმენტი უნდა იქნეს გამოყენებული ა) ქვეპუნქტის მიმართაც.

შესაბამისად, გამართლებული იქნება სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის შესახებ გადანყევტილების მიღება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების შესახებ პირის ინფორმირების ვალდებულება არ იქნა ჯეროვნად შესრულებული, იმის მიუხედავად, ამან უარყოფითი გავლენა იქონია თუ არა დაცვაზე.

## დ. გარანტიის ორი ასპექტი

ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება ორი განსხვავებული ასპექტით ხასიათდება. პირველი და უმთავრესი შეეხება ბრალდებულის უფლებას, დაუყოვნებლივ, სულ მცირე სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, ეცნობოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების შესახებ. სხვა ჭრილში დანახული ეს ასპექტი შეესაბამება ლათინურ გამოთქმას „*nemo iudex sine actore*“.

მეორე ასპექტი ლოგიკურად გამომდინარეობს პირველიდან. ინფორმაციის მიწოდების შემდეგ დაუშვებელია ბრალდების შეცვლა, თუ დაცვას არ ეცნობა ამის შესახებ და არ მიეცა საკმარისი დრო ვითარებაში გარკვევისთვის. ეს ასპექტი ასევე ცნობილია „უცვლელობის პრინციპის“ სახელწოდებით<sup>920</sup>. სავსებით შესაძლებელია, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო არ იყოს შეზღუდული პროკურორის მიერ ბრალდებულის ქმედებისთვის მიცემული სამართლებრივი კვალიფიკაციით. თუმცა ასეთ დროს ინფორმირების ტვირთი გადაინაცვლებს სასამართლოზე. ნებისმიერი მსგავსი ცვლილების შესახებ სასამართლომ უნდა აცნობოს დაცვას და გადადოს საქმის განხილვა ახალი ბრალდებებისთვის დაცვის მომზადების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად<sup>921</sup>.

ბოლო ასპექტთან დაკავშირებული მაგალითები შეიძლება იხილოს შემდეგ საქმეებში: ჩიჩლიანი (*Chichliani*) და ეკინჯიანი (*Ekindjian*) საფრანგეთის წინააღმდეგ; გი კატალანი (*Gea Catalan*) ესპანეთის წინააღმდეგ; პელისიე (*Pelissier*) და სასი (*Sassi*) საფრანგეთის წინააღმდეგ; დალოსი (*Dallos*) უნგრეთის წინააღმდეგ; სადაკი (*Sadak*) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ; სიპავიჩიუსი (*Sipavicius*) ლიტვის წინააღმდეგ.

<sup>919</sup> არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ, § 35.

<sup>920</sup> იხ. მაგ: ჰაუზერი და შვერი (2002) § 50 N 8, § 82, N 13.

<sup>921</sup> პელისიე (*Pelissier*) და სასი (*Sassi*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 50, 62.

## ე. გარანტიის სტრუქტურა

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის სტრუქტურა არ არის რთული. ის შეიცავს როგორც არსებით ისე ფორმასთან დაკავშირებულ ელემენტებს. რაც შეეხება არსებით მოთხოვნას, ინფორმაცია დანერგებით უნდა აღწერდეს „ბრალდებას“, კერძოდ, მის „არსსა“ და „საფუძველს.“ ფორმასთან მიმართებაში გარანტია მოითხოვს ისეთი ენის გამოყენებას, რომელსაც ბრალდებული იოლად გაიგებს. გარდა ამისა, დროის ელემენტი გამოხატულია სიტყვით „დაუყოვნებლივ“.

## II. არსებითი ელემენტები

### ა. ტერმინი „ბრალი“/„ბრალდება“

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ინგლისურ ტექსტებში ინფორმაციის მინოდების აუცილებლობაზე საუბრისას მითითებულია ტერმინზე ბრალი (*“charge”*), ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტში გამოყენებულია სიტყვა ბრალდება (*“accusation”*). არის თუ არა ეს სხვაობა მნიშვნელოვანი? სხვა სიტყვებით, მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი ვრცელდება საბრალდებო დასკვნაზე, თუ ასევე „ბრალდებაზე“ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით? ინგლისური ტექსტის ეს ფორმულირება უნდა შეეადაროთ იმ პირის ინფორმირების ვალდებულებას წარდგენილი ბრალდების შესახებ, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება. ამ შემთხვევაში სამივე ინსტრუმენტი იყენებს ტერმინს ბრალი (*“charge”*).<sup>922</sup> შეიძლება ლოგიკური იყოს იმის ვარაუდი, რომ სხვაობა ევროპულ კონვენციაში მოცემულ ტერმინოლოგიაში მიუთითებს განსხვავებულ მნიშვნელობაზე, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ფრანგული ვარიანტი მთელ ტექსტში იყენებს სიტყვას ბრალდება (*“accusation”*).

ჩემი აზრით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სამართალწარმოების ორი ეტაპი. ადრეულ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი გამოძიება ფორმალურად იხსნება. სისხლის სამართლის პროცესის ანგლო-საქსურ სისტემაში ეს მოვლენა გამოიხატება ტერმინით ბრალდებული (*“charged”*). ბრალდება განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებასა და მიზანს. მომდევნო ეტაპზე, როცა გამოძიება ან მოკვლევა უახლოვდება დასასრულს, ჩნდება კითხვა, საქმარისად ძლიერია თუ არა პირის წინააღმდეგ არსებული ეჭვი, რათა გამართლებრული იყოს სასამართლოში საქმის განხილვა. ამერიკის სისხლის სამართლის პროცესში ამ გადანყვეტილებას იღებს დიდი ჟიური.<sup>923</sup> დიდი ჟიური წყვეტს „საბრალდებო დასკვნის“ საკითხს. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამას სასამართლო განხილვისთვის, ეს არის „ბრალდება“ ამ ტერმინის უფრო ფორმალური გაგებით.

აღნიშნული საბრალდებო დასკვნა, ჩემი აზრით, არის ბრალდება (*“accusation”*), რომელზეც მიუთითებს გარანტია, ხოლო საერთაშორისო პაქტის მე-9(2), ევროპული კონვენციის მე-5(2) და ამერიკული კონვენციის მე-7(2) მუხლებში მოცემული ბრალი (*“charge”*) გულისხმობს „ბრალდებას“ ამ სიტყვის ტექნიკური

<sup>922</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-6 მუხლი, მე-2 პუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7 მუხლი, მე-4 პუნქტი.

<sup>923</sup> აშშ-ს შტატების უმრავლესობაში საოლქო პროკურორს შეუძლია საქმე პირდაპირ სასამართლოში წაიღოს ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომელიც სიკვდილით ისჯება; შმიდი (1993) 58; იხ. მაგ. აშშ პროცეს (*Broce*) წინააღმდეგ 488 US 563 (1989).

მნიშვნელობით, როგორც ფორმულირებულ ეჭვს, რომელიც განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებას. თუმცა კარგად არ ჩანს, რომელ გზას ირჩევს ევროპული სასამართლო.

## 1. პრეცედენტული სამართალი

ევროპული პრეცედენტული სამართალი ამ საკითხზე საკმაოდ ბუნდოვანია. პირველი საქმე, რომელშიც დადგინდა მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის დარღვევა იყო *ბროჯიკეი (Brocizek) იტალიის წინააღმდეგ*.<sup>924</sup> განმცხადებელი, გერმანიაში მცხოვრები გერმანიის მოქალაქე, დააკავეს იტალიაში პოლიტიკური პარტიის დროშის აღებისთვის. პოლიციის ჩარევის შემდეგ მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც დაიჭრა ერთ-ერთი ოფიცერი. ნახევარი წლის შემდეგ პროკურატურის ორგანომ დაიწყო გამოძიება და ამის შესახებ იტალიურ ენაზე შედგენილი წერილით აცნობა განმცხადებელს. ამ უკანასკნელმა დაწერა საპასუხო წერილი (გერმანულად), სადაც აცხადებდა, რომ არ ესმოდა იტალიური და ითხოვდა თარგმანს გერმანულად ან „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ ოფიციალურ საერთაშორისო ენაზე“. ორნახევარი წლის შემდეგ პროკურატურის ორგანომ კვლავ გაუგზავნა განმცხადებელს წერილი, კვლავ იტალიურ ენაზე. პირველის მსგავსად, მეორე წერილსაც ეწოდებოდა „*comunicazione giudiziaria*“ (სასამართლოს უწყება). განმცხადებელს თხოვნენ იტალიაში შესაბამისი მისამართის წარდგენას, სადაც გაუგზავნიდნენ დოკუმენტებს. საბოლოოდ, სასამართლო განხილვა გაიმართა განმცხადებლის დაუსწრებლად და მოხდა მისი მსჯავრდება.

ცხადია, რომ ეს არ იყო სამართლიანი სასამართლო განხილვა და ძალიან მარტივად შეიძლებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა<sup>925</sup>, შესაძლოა პირადად თავის დაცვის უფლებასთან კავშირში, მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის საფუძველზე. თუმცა როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ გადაწყვიტეს, რომ დაირღვა მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილებაც და კომისიის ანგარიშიც შეიცავს წინადადებას, რომელიც შევკვიდრია განვიხილოთ პასუხად ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი იყო ბრალდება (*“accusation”*) მე-6 მუხლის მნიშვნელობით (იხ. *კორილიანოს (Corigliano)* გადაწყვეტილება, 1982 წლის 10 დეკემბერი, სერია A, ნომერი 57, გვ. 14, § 35)<sup>926</sup>. კომისიის ანგარიშში კი ნათქვამია: „კომისია მიიჩნევს, რომ ... ბრალდება (*“accusation”*) (ან ბრალი, „*charge*“) უნდა იქნეს გაგებული კონვენციის მნიშვნელობით“<sup>927</sup>. ეს არის ავტონომიური ინტერპრეტაციის მორიგი „მაგალითი“. ის გულისხმობს, რომ შიდასახელმწიფოებრივი განსაზღვრება არ არის გადამწყვეტი, თუმცა არ მიუთითებს ბრალდების (*“accusation”*) კონკრეტულ მნიშვნელობაზე. ჩემი აზრით, მისი გაგება არ შეიძლება ისე, თითქოს ეს ორი ტერმინი ერთმანეთის სინონიმები იყოს.

ზემოთ მოყვანილი ორი წინადადების გაგებაში შეიძლება დაგვეხმაროს სასამართლოს მიერ მითითებული წყარო და იმის გახსენება, რომ *კორილიანოს (Corigliano)* საქმე უკავშირდებოდა სამართალწარმოების ხანგრძლივობის პრობლემას. სასამართლოს უნდა განესაზღვრა დროის ის მომენტი, როცა იწყებოდა

<sup>924</sup> *ბროჯიკეი (Brocizek) იტალიის წინააღმდეგ*.

<sup>925</sup> იხ. ნორგარდის განხილვებული აზრი, *Ibid.*, გვ. 36; *კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ; რუბინათი (Rubinat) იტალიის წინააღმდეგ*.

<sup>926</sup> *Ibid.*, § 38.

<sup>927</sup> *Ibid.*, § 70.

შესაბამისი ვადის ათვლა. ეს არის მომენტი, როცა განმცხადებელზე „არსებითი ზეგავლენა“ მოახდინა მის წინააღმდეგ დაწყებულმა სამართალწარმოებამ<sup>928</sup>; როგორც კორილიანოს (Corigliano), ისე ბროზიჩეკის (Brozicek) საქმეში პირი ბრალდებულად ჩაითვალა „*comunicazione giudiziaria*“-ს გადაცემის დროიდან. კორილიანოს (Corigliano) საქმეში სასამართლომ სამართლიანად უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ შესაბამისი ვადის ათვლა დაიწყო ფორმალური „ბრალდების“ წარდგენის ანუ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების მომენტიდან. წინასწარ გამოძიებაზე ჩვეულებრივ დახარჯული დროის გათვალისწინებით, „სწრაფი სასამართლო განხილვის“ უფლების არსთან შეუსაბამო იქნებოდა, ამ დროის გამორიცხვა იმ ვადიდან, რომლის მაქსიმალურად შემცირებასაც მიზნად ისახავს მე-6 მუხლი, სასამართლოს მიერ „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის უფლების განსაზღვრით.

ბროზიჩეკის (Brozicek) საქმეში განსახილველი საკითხი განსხვავდება ამ პრობლემისგან. სინამდვილეში, არ არსებობდა იმის მიზეზი, რომ მომხდარიყო ბრალდების („*accusation*“) მნიშვნელობის განსაზღვრა, რადგან განმცხადებლის ინფორმირება არ მომხდარა არც მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების და არც რაიმე საბრალდებო დასკვნის შესახებ. სტრასბურგის ორგანოებმა აღნიშნეს, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ქვეშ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. ნებისმიერ შემთხვევაში, ბროზიჩეკის (Brozicek) საქმე პასუხს არ სცემს კითხვას, ნიშნავს თუ არა ერთსა და იმავეს სიტყვები ბრალდება („*accusation*“) და ბრალი („*charge*“).

სასამართლომ, როგორც ჩანს, ამ კითხვას პასუხი გასცა *ლუტციის (lutz)* საქმეში: „სასამართლომ ... განაგრძო იმაზე დაყრდნობით, რომ ტერმინების „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ („*accusation en matière pénale*“) და „ბრალდებული სისხლის სამართლის დანაშაული“ („*accusé, accusé d'une infraction*“) გამოყენებით მე-6 მუხლის სამი პუნქტი მიუთითებდა იდენტურ ვითარებებზე“.<sup>929</sup> თუმცა კვლავაც, მთავარი საკითხია მე-6 მუხლის, როგორც ასეთის, მოქმედება. სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამორიცხავს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას ამ ორი ტერმინის მიმართ.

საბოლოო ჯამში, პრეცედენტულ სამართალს არ გაუცია მკაფიო პასუხი ამ შეკითხვაზე.

## 2. სამართლის მეცნიერების მოსაზრებები

სამართლის მეცნიერები ჩვეულებრივ „ბრალდებას“ და არა „საბრალდებო დასკვნას“ განიხილავენ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის გარანტიის ობიექტად, თუმცა ცხადია, არც ერთი მათგანი არ უარყოფს, რომ საბრალდებო დასკვნაში მოცემული ინფორმაცია აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვისთვის.

ჟან დაიკი და ჟან პოფი აცხადებენ, რომ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს „მაშინვე, როცა გადაწყდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ... თუმცა დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე იმ ეტაპზე, რომელიც წინ უსწრებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე და შეიძლება გავლენა იქონიოს ამ გადაწყვეტილებაზე, ამიტომ მე-3 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების არსიდან გამომდინარეობს, რომ თვით ფორმალური გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებული მაქსიმალურად ინფორმირებული

<sup>928</sup> კორილიანო (Corigliano) იტალიის წინააღმდეგ, § 34.

<sup>929</sup> ლუტცი (lutz) გერმანიის წინააღმდეგ, § 52; სასამართლომ მიუთითა საქმეზე ოზტურკი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ, § 50, 54. იხ. აგრეთვე სოიერი და სალივა (1995) 269.

უნდა იყოს მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის შესახებ<sup>930</sup>. ამ მოსაზრებას იზიარებენ ველუ და ერგეცი<sup>931</sup>. სტავროსის<sup>932</sup> შთაგონების წყაროა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელმაც განაცხადა, რომ ინფორმაციის მინოდება უნდა მოხდეს „მაშინვე, როცა მოხდება ბრალდების პირველად წარდგენა უფლებამოსილი ორგანოს მიერ“ ანუ „როცა გამოძიების მიმდინარეობისას, სასამართლო ან პროკურატურის ორგანო გადაწყვეტს საპროცესო მოქმედებების განხორციელებას დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის მიმართ ან საჯაროდ მოიხსენიებს მას ასეთად“<sup>933</sup>. რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო პაქტივი ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ბრალი („charge“) და ბრალდება („accusation“).

პარისი, ოზოილი და უორბრიკი საუბრობენ მჭიდრო კავშირზე მე-5 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტს შორის.<sup>934</sup> მათი შეხედულებით, ამ უკანასკნელი დებულების „მნიშვნელობა მცირეა ეჭვმიტანილისთვის, რომლისთვისაც ცნობილია მისი დაკავების მიზეზები მე-5(2) მუხლის წყალობით და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ სხვაობა სიზუსტის ხარისხში ამ ორი დებულების საფუძველზე, როგორც მათი განმარტება მოხდა, არ არის დიდი“. ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ „ასეთი ვითარება მცირე სივრცეს ტოვებს იმ სხვაობისთვის, რომელიც უნდა არსებობდეს მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტსა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს შორის და გეთავაზობენ, რომ სიზუსტის საკითხი შეიძლება უფრო ეფექტიანად გადაწყდეს მე-6 მუხლის მე-2(ბ) პუნქტის საფუძველზე.“<sup>935</sup>

ფოგლერი<sup>936</sup> დინამიურ მიდგომას ამჯობინებს. ის მოითხოვს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების ან ფორმალური ბრალდების წარდგენის გადაწყვეტილების, არამედ პოლიციის მიერ წინასწარი გამოძიების დანყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადაცემას ბრალდებულისთვის მაქსიმალურად ჩქარა. ფოგლერი, როგორც ჩანს გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის ერთჯერად მინოდებას, კერძოდ, ინფორმაციის მუდმივ გადაცემას, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს შეტობინებას ყველა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც სისხლის სამართალწარმოება ერთი ნაბიჯით წინ წავიდა. იგივე მოსაზრებას იზიარებენ სხვა გერმანულენოვანი ავტორები.<sup>937</sup>

შარიერი განსხვავებულ მიდგომას არჩევს. მისი მოსაზრებით, ინფორმაციის მინოდება ჩვეულებრივ ხდება საბრალდებო დასკვნის („acte d'accusation“) გადაცემასთან ერთად<sup>938</sup>.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლის მეცნიერები საკმაოდ ბუნდოვნად საუბრობენ ინფორმაციის შინაარსის შესახებ, თუმცა მის

<sup>930</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 345. უაკო-გილარმო (1993) 400. ავტორი „ვარაუდობს“, რომ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი „მოქმედებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე (ფრანგულად, 'instruction préparatoire)". იგივე მოსაზრებისთვის იხ. ესერი (2002) 440; გოლეიტცერი (1992) მე-6 მუხლი N 163; ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 39; შტრაბერი (2001) N 7.43.

<sup>931</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 581.

<sup>932</sup> სტავროსი (1993) 64.

<sup>933</sup> ზოგადი კომენტარი მე-14 მუხლზე, §8.

<sup>934</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიკი (1995) 251.

<sup>935</sup> *Ibid.*, 252.

<sup>936</sup> ფოგლერი (1986) მე-6 მუხლი EMRK N 477.

<sup>937</sup> ფროვაინი და პოკერტი (1996) მე-6 მუხლი N 175; გოლეიტცერი (1992) მე-6 მუხლი N 166; ზეაიფელი (1992/93) 453.

<sup>938</sup> შარიერი (2002) მე-6 მუხლი N 70.

მინოდებას მოითხოვენ რაც შეიძლება ადრე სამართალწარმოების დაწყებიდან. სრულიად ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა მაქსიმალურად ეფექტიანი უნდა იყოს და სამართალწარმოებაში დაცვის ადრეული ჩართვა, მისი ინფორმირებით გზით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მიუხედავად ამისა, მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის მნიშვნელობა უფრო ზუსტად უნდა განისაზღვროს.

### 3. შეფასება

ჩემთვის მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის განმარტების საწყისი ნერტილი არის ნეი „*effet utile*“ ანუ იმის პრეზუმფცია, რომ კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების კონკრეტული დებულების მიღების მიზანი იყო მისთვის გარკვეული ძალის მინიჭება. თუ არსებობს დებულების განმარტების ორი გზა, რომელთაგან ერთი უსარგებლოდ აქცევს მას, მაშინ მეორეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზების, მათ შორის „მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდების“ შესახებ. თუ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი მოქმედებს იმავე დროს, მაშინ ის იქცევა ზედმეტად. არ არსებობს მეორედ ინფორმირების ვალდებულების საჭიროება. მეორე მხრივ, თუ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტს განვმარტავთ ისე, რომ ანიჭებდეს ინფორმაციის მინოდების ვალდებულებას დაკავებული ეჭმიტანილებისთვის სამართალწარმოების ძალზე ადრეულ ეტაპზე, ვალდებულების გამეორება, გარდა სიტყვაზე „დანვრილებით“ გაკეთებული მითითებისა, იქნებოდა გაუგებარი. ამ შემთხვევაში, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი გახდებოდა სრულიად უსარგებლო.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის მიხედვით, ინფორმირება უნდა მოხდეს „დანვრილებით“. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია ზუსტად უნდა აყალიბებდეს ბრალდებას. გამოძიების დასაწყისში ამის გაკეთება შეუძლებელია. მოკვლევისა და გამოძიების მიზანი სწორედ ის არის, რომ მოხდეს საკმარისი ინფორმაციის შეგროვება, რათა გადანყდეს სასამართლოსთვის საქმის გადაცემის ან კონკრეტულად რომელი დანაშაულისთვის პირის ვასამართლების საკითხი. ასეთი დეტალები მხოლოდ გამოძიების დასასრულს ირკვევა, საბრალდებო დასკვნის მომზადების დროს. მხოლოდ ამ ეტაპზე არის დანვრილებით ცნობილი ბრალდების შესახებ, რაც უნდა ეცნობოს ბრალდებულს და მის დამცველს.

ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ ინფორმაციის მიღების უფლება არ არსებობს სამართალწარმოების უფრო ადრეულ ეტაპებზე. თუმცა ეს ინფორმაცია შეეხება საქმის მასალებს და არა ბრალდებას. საქმის მასალების ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი მთავარი „შესაძლებლობა“ მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის საფუძველზე – არ არსებობს დამატებითი გარანტიის საჭიროება.

აღნიშნული მიზეზები გამო, ინფორმაციის ობიექტი მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის საფუძველზე არის საბრალდებო დასკვნა.<sup>939</sup> ვეისბროტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის კომენტარებისას, ხაზს უსვამს, რომ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სასამართლო განხილვის დროსა და ადგილს.<sup>940</sup> თუმცა ეს არ არის აუცილებლად ის ინფორმაცია, რომელსაც გულისხმობს მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი. მას უნდა შეიცავდეს სასამართლოს

<sup>939</sup> საქმეში *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ* (§79, 80) სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა „საბრალდებო დასკვნაზე“. იგივე მოსაზრებითვის იხ. ლინკე (1971) 402; იხ. აგრეთვე ესერი (2002) 442; სტავროსი (1993) 174.

<sup>940</sup> ვაისბროდტი (2001) 113.

უნყება, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს საბრალდებო დასკვნის ნაწილი. ევროპის კონტინენტზე ის ნამდვილად არ არის: სასამართლო ახდენს საქმის განხილვის ორგანიზებას და თავმჯდომარე გამოსცემს უწყებას.

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტში ნახსენები ინფორმაცია არის სწორედ ის, რასაც მოიცავს საბრალდებო დასკვნა, სრულფასოვანი ინფორმაცია შეიძლება უკვე მიწოდებული იყოს სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, მაგალითად, დაკავების ბრძანებასთან ერთად.<sup>941</sup>

## ბ. „არსი და საფუძველი“, „დანვრილებით“

პირს დანვრილებით უნდა ეცნობოს ბრალდების „არსი და საფუძველი.“ არსი და საფუძველი გულისხმობს ნარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და სამართლებრივ კვალიფიკაციას<sup>942</sup>. გარდა ამისა, ცხადია, ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და გასაგები<sup>943</sup>.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლების ორი მნიშვნელოვანი შეზღუდვა. პირველი, ეს არის ინფორმაციის მიღების და არა გაფრთხილების უფლება. მაგალითად, თუ „მირანდას გაფრთხილებას“ მივიჩნევთ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ნაწილად, ის ვერ დაეყრდნობა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტს ან სხვა ინსტრუმენტების ანალოგიურ დებულებებს. მეორე, აუცილებელი არ არის, რომ მიწოდებული ინფორმაცია მიუთითებდეს იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება ბრალდება.<sup>944</sup> თუმცა ამას შეიძლება მოითხოვდეს დაცვის მოსამზადებლად საკმარისი შესაძლებლობების უფლება, რომელიც გადამწყვეტია პროცესის შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად<sup>945</sup>.

### 1. ფაქტები

ქმედება, რომლის ჩადენაშიც პირს ედება ბრალი, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. კერძოდ, რა იყო მისი ქმედება, სად, როგორ და ვისთან ერთად იქნა ის ჩადენილი. აღსანიშნავია *მატოკიას (Mattocia)* საქმე, რომელშიც სასკოლო ავტობუსის მძღოლს ბრალად ედებოდა გონიერულად უნარშეზღუდულ გოგონაზე სექსუალური ძალადობა. თავის გადანწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბრალდებაში მოცემული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი [დანაშაულის ჩადენის] დროისა და ადგილის მნიშვნელოვან ელემენტებთან დაკავშირებით, სასამართლო განხილვის პროცესში არაერთხელ უარყოფილი და შეცვლილი ... სამართლიანობა მოითხოვდა, რომ განმცხადებელს მისცემოდა უფრო მეტი საშუალება და შესაძლებლობები საკუთარი თავის პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვისთვის, მაგალითად ალიბის დასადგენად მონმეთა მონვევისთვის“. შესაბამისად, გაუგებარი იყო, „როგორც შეიძლებოდა სასამართლო განხილვაზე შეგროვებული მტკიცებულებები ყოფილიყო საკმარისი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრალდების

<sup>941</sup> როგორც ეს მოხდა საქმეში *საკრამენტი (Sacramati)* იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 23369/94.

<sup>942</sup> *ჩიჩლიანი (Chichlian)* და *ეკინჯიანი (Ekindjian)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §50.

<sup>943</sup> სტაეროსი (1993) 169.

<sup>944</sup> *საკრამენტი (Sacramenti)* იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 23369/94; X ბელგის წინააღმდეგ, განაცხადი 7628/67. პარისი, ოპოილი და უორბრიქი (1995) 251; ჯენინგსი (2001) N 14.9; ფან დაიკი და ფან ჰოი (1998) 464.

<sup>945</sup> იხ. მაგ. *ფიტი (Fitt)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44; *პაპაგეორგიუ (Papageorgiu)* საბურძნეთის წინააღმდეგ, §36.



„საფუძველი“ შეიცვალა იმ ეტაპზე ... როცა ბრალდებულს ამაზე რეაგირების მოხდენა შეეძლო მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში<sup>946</sup>. ეს ამონარიდი აჩვენებს აგრეთვე სასამართლოს მისწრაფებას, გამოიყენოს ეგრეთ წოდებული „ინტეგრირებული“ მიდგომა. კერძოდ, ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, ინფორმაციის ხარეზები კომბინირებულია ბ) და გ) ქვეპუნქტებსა და სამართლიანობის ზოგად ელემენტთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან.

მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება. დროისა და ადგილის ზუსტი მითითება, როგორც წესი, შესაძლებელია ერთჯერადი დანაშაულის შემთხვევაში. თუმცა ასეთი მოლოდინი ძალზე არარეალისტურია ისეთი დანაშაულის დროს, რომელიც გრძელდებოდა გარკვეული დროის მანძილზე. მაგალითად, პირს შეიძლება ბრალად ედებოდეს შვილზე სექსუალური ძალადობა რამდენიმე წლის მანძილზე ან ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღება თევების ან წლების განმავლობაში. მსგავს საქმეებში შეიძლება ვერ მოხდეს ყველა დეტალის აღდგენა, თუმცა, მეორე მხრივ, ბრალდების არსი სრულებით ნათელია. აუცილებელი სიზუსტის ხარისხი აგრეთვე დამოკიდებულია ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაზე.

## 2. სამართლებრივი კვალიფიკაცია

ბრალდების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაში არსებულ ხარეზებთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში გაცილებით მეტი საქმე გვხვდება ამ პრობლემის სამართლებრივ, ვიდრე ფაქტობრივ მხარეზე. კონვენცია დარღვეული იქნა იმ საქმეებში, რომლებშიც მსჯავრდება არ შეესაბამებოდა საბრალდებო დასკვნას. პირველი ასეთი საქმე სასამართლოს წინაშე დასრულდა მორიგებით მას შემდეგ, რაც კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას<sup>947</sup>. სასამართლომ სწორად დაადგინა კონვენციის დარღვევა *პელისიეს (Pelissier)* საქმეში, რომელშიც განმცხადებლებს ბრალად ედებოდათ დანაშაულებრივი გაკოტრება, თუმცა მსჯავრდებულ იქნენ დანაშაულებრივი გაკოტრების დახმარებასა და ნაქეზებაში<sup>948</sup>. გადამწყვეტ არგუმენტად იქცა ის გარემოება, რომ „დახმარება და ნაქეზება არ იყო თავდაპირველი ბრალდების არსებითი ელემენტი“<sup>949</sup>. *დალოსის (Dallos)* საქმეში „დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მითვისება“ იქცა „თალღითობად“<sup>950</sup>. *სადაკის (Sadak)* საქმეში „ლალატი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“ მოგვიანებით გახდა „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით შექმნილი შეიარაღებული ჯგუფის წევრობა“<sup>951</sup>. ხოლო *სიპავიჩიუსის (Sipavicius)* საქმეში „თანამდებობის ბოროტად გამოყენება“ შეიცვალა „სამსახურებრივი გულგრილობით“<sup>952</sup>. თუმცა ამ საქმეებში არ დარღვეულა კონვენცია, ვინაიდან გასაჩივრების ეტაპზე საქმე სრულად იქნა განხილული ხელახლა, რითაც გამოსწორდა პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვის დროს არსებული ხარეზები.

მეორე მხრივ, იმ საქმეებში, რომლებშიც საბრალდებო დასკვნა ეხებოდა დანაშაულის ჩადენას, ხოლო მსჯავრდება შემოიფარგლებოდა დანაშაულის

<sup>946</sup> *მატოკია (Mattoccia)* იტალიის წინააღმდეგ, §70, 71.

<sup>947</sup> *ჩიჩლიანი (Chichlian)* და *ეკინჯიანი (Ekindjian)* საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>948</sup> *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §55-62.

<sup>949</sup> *Ibid.*, §61.

<sup>950</sup> *დალოსი (Dallos)* უნგრეთის წინააღმდეგ, §48.

<sup>951</sup> *სადაკი (Sadak)* და *სხეები თურქეთის წინააღმდეგ*, §51, 52.

<sup>952</sup> *სიპავიჩიუსი (Sipavicius)* ლიტვის წინააღმდეგ, §29, 30.

ჩადენის მცდელობით, კონვენცია არ დარღვეულა. კომისია მართებულად მოიქცა, როდესაც დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს, რომ ეს ორი სინამდვილეში, „იყო ერთი დანაშაული ... ჩადენილი სხვადასხვა გზით“<sup>953</sup>. თუმცა ეს არგუმენტი მოქმედებს მხოლოდ ერთი მიმართულებით. თუ ადამიანს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენის მცდელობა, დანაშაულის ჩადენისთვის მისი მსჯავრდება არ იქნება მისაღები, ვინაიდან ამ შემთხვევაში საჭიროა მიზნშედეგობრივი კავშირის დადგენა, რაც დამატებით მტკიცებულებებს მოითხოვს.

შიდასახელმწიფობრივი სისხლის საპროცესო სამართალი შეიძლება იძლეოდეს ალტერნატიული ბრალდების შესაძლებლობას. მაგალითად, პირს, რომელსაც აღმოუჩინეს მოპარული საგნები, შეიძლება ნარედგინოს როგორც ქურდობის, ისე მოპარული საგნების შეძენის ბრალდება. ეს არ ენიშნავს დამატება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ვინაიდან არ ხელყოფს დაცვის შესაძლებლობებს<sup>954</sup>.

ორი განაცხადი უკავშირდებოდა პრინციპს „*nullum crimen sine lege*“. კერძოდ, განმცხადებლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დანაშაულის ბუნდოვანი ხასიათის გამო. ერთი განაცხადი შეეხებოდა „ამბოხს“<sup>955</sup>, ხოლო მეორე „მშვიდობის დარღვევას“<sup>956</sup>. პირველ საქმეში სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ განმცხადებლები მიიღებდნენ დამატებით ინფორმაციას სასამართლოში საქმის განხილვისას, ხოლო მეორეში საერთოდ არ განუხილავს ეს საკითხი. სხვა საქმეში კომისიის განცხადებით, ბრალდებულს შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რომ მისი ქცევა „შეიძლებოდა ჩათვლილიყო მედიის შესახებ აქტის საწინააღმდეგო ქმედებად“<sup>957</sup>. მსგავსი არგუმენტების ადგილი არ არის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის კონტექსტში.

დაბოლოს, ესპანეთის წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეში სასამართლოსა და კომისიას განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ორივე შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საბრალდებო დასკვნაში არ იყო ნახსენები (როგორც მინიმუმ, ნათლად არ იყო მითითებული) დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების შესახებ, რომლისთვისაც განმცხადებელი იქნა მსჯავრდებული<sup>958</sup>. ამ საქმეებში სასამართლომ ხელიდან გაუშვა მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტით დაცვისთვის მინიჭებული გარანტიის გაძლიერების შესაძლებლობა. *სალვადორ ტორესის (Salvador Torres)* საქმეში სამართლებრივი ვითარება განსაკუთრებით ბუნდოვანი იყო<sup>959</sup>. უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის ქმედებას საკუთარი ინიციატივით მიანიჭა ევალიფიკაცია. უზენაესი სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „[განმცხადებელი] არის საჯარო მოხელე და მან გამოიყენა თავისი თანამდებობა იმ დანაშაულის ჩასადენად, რომელშიც ბრალეულად იყო ცნობილი.“

<sup>953</sup> *KL გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 32715/06; *შაჰზადი (Shahzad) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 34225/96.

<sup>954</sup> *ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 220*; *სტაეროსი (1993) 170*.

<sup>955</sup> *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §96.

<sup>956</sup> *სტილი (Steel) და სხვები გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §84.

<sup>957</sup> *Nederlandse Omroepprogramma Stichting ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 15844/90.

<sup>958</sup> *გი კატალანი (Gee Catalan) ესპანეთის წინააღმდეგ*, §8-12. განმცხადებელს ნარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 529-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. თუმცა მსჯავრდებულ იქნა იმავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. კომისიისგან განსხვავებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს განსხვავება უბრალო საკანცელარო შეცდომა იყო.

<sup>959</sup> *სალვადორ ტორესი (Salvador Torres) ესპანეთის წინააღმდეგ*, §8-12.

შესაბამისად ... მე-10 მუხლის მე-10 პუნქტში მოცემული დამამძიმებელი გარემოება უნდა იქნეს გამოყენებული“. მთავარი საკითხი იყო, ბრალდებულს შეეძლო თუ არა, წინასწარ სცოდნოდა, რომ ასეთი კვალიფიკაციის გამოყენება იყო შესაძლებელი. დამამძიმებელი გარემოების შესახებ არც პირველი ინსტანციის სასამართლოს უხსენებია და არც პროკურატურის ორგანოს.

იმ შემთხვევაშიც, თუ მართლა ჰქონდა ადგილი საკანცელარიო შეცდომას საბრალდებო დასკვნის მომზადებისას, მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის გონივრული განმარტება მოითხოვს, რომ მისი გამოყენება მოხდეს მკაცრად, ხოლო განმცხადებელს არ მოეთხოვება მკითხაობა. დაუშვებელია, განმცხადებელმა პასუხი აგოს ბრალდების მიერ დაშვებული შეცდომების გამო.

### გ. უფლება, რომ „ეცნობოს“

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, რომ „ეცნობოს“. თუ ამ სიტყვას წაეკითხავთ დებულების დანარჩენი ტექსტიდან იზოლირებულად, ის შეიძლება ნიშნავდეს ორ რამეს: პირველი, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, ჰქონდეს ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან, მეორე, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ ბრალდებულს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია და ამის გაკეთება უნდა მოხდეს ავტომატურად. თუ დისპოზიციას განვიხილავთ მთლიანობაში, ნათელი გახდება, რომ ის მეორე ალტერნატივას გულისხმობს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სიტყვიდან „დაუყოვნებლივ.“ თუმცა პრეცედენტული სამართალი მხარს არ უჭერს ამ ლოგიკურ არგუმენტს და იმასაც კი მიანიშნებს, რომ გარანტიის მთავარი ელემენტი პირველ ვერსიაშია მოცემული. სასამართლო განიხილავს არა იმას, ხელისუფლების ორგანოებმა შეასრულეს თუ არა თავიანთი ვალდებულება, არამედ ბრალდებულს ჰქონდა თუ არა თავის დაცვისთვის აუცილებელი ინფორმაცია ან შეეძლო თუ არა რელევანტური ინფორმაციის მოპოვება.

*პელისიეს (Pelissier)* საქმეში სასამართლომ განიხილა საკითხი, დაზარალებული მხარის ადვოკატმა საკმარისად გარკვევით წარადგინა თუ არა დანაშაულებრივი გაკოტრების დახმარებისა და წაქეზების ალტერნატიული ბრალდება. სასამართლოს მოსაზრებით, „მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამოქალაქო მოსარჩელის დამატებითი წარდგინებები ხელმისაწვდომი იყო სააპელაციო სასამართლოს სამდივნოში, თავისთავად, არ იყო საკმარისი კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად.“<sup>800</sup> ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლო საკმარისად ჩათვლიდა კერძო მხარის ინფორმაციას, დაცვისთვის მისი გადაცემის შემთხვევაში. თუმცა ეს არგუმენტი შეიძლება მისაღები ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივი სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით, კერძო მხარეს შეეძლო საბრალდებო დასკვნაში შესწორების ან დამატების შეტანა,

სხვა საქმეებში, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა პირის დაკითხვის ფაქტი. მაგალითად, *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ „თარჯიმნების თანდასწრებით [განმცხადებელი] ვრცლად დაიკითხა იმ დანაშაულების თაობაზე, რომელთა ჩადენაშიც იყო ეჭვმიტანილი, თავდაპირველად პოლიციის, ხოლო მოგვიანებით გამომძიებელი მოსამართლეების მიერ ... მხოლოდ

<sup>800</sup> *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §55.

ამ გარემოების საფუძველზე, [განმცხადებლისთვის] საკმარისად დანვრილებით უნდა გამხდარიყო ცნობილი მისთვის ნარდგენილი ბრალდებების შესახებ<sup>961</sup>.

ბრალდებულმა, ჩვეულებრივ, უნდა მიიღოს გარკვეული ზომები მისთვის ნარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ერთ-ერთ საქმეში ბრალდებული თავად იყო პასუხისმგებელი ინფორმაციის არქონისთვის, ვინაიდან ვერ უზრუნველყო, რომ მისი არყოფნისა მომხდარიყო საფოსტო ყუთის შემოწმება<sup>962</sup>. *კემპბელის (Campbell)* საქმეში განმცხადებელმა უარი განაცხადა, დასწრებოდა ვიზიტორთა საბჭოს სხდომას, სადაც შეძლებდა შესაბამისი ინფორმაციის მიღებას<sup>963</sup>. სხვა საქმეში კომისიამ გამოთქვა სერიოზული ეჭვი, საკმარისად დეტალური იყო თუ არა საბრალდებო დასკვნა. თუმცა განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან სასამართლო განხილვისას დაცვა შეეხო იმ საკითხს, რომელიც არ იყო მკაფიოდ ნახსენები საბრალდებო დასკვნაში<sup>964</sup>.

კვლევაც, ჩვენ ვხვდებით მე-ნ მუხლის მე-3(ა) პუნქტის საკმაოდ შეზღუდულ განმარტებას. სასამართლო გარანტიას განმარტავს ფუნქციური პერსპექტივიდან გამომდინარე. ის არ მოითხოვს ხელისუფლების ორგანოთა მკაფიო მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფდა, საიმედო ფორმით, ბრალდებულის ინფორმირებას მისთვის ნარდგენილი ბრალდების შესახებ. სასამართლოს საკმარისად მიაჩნია, როდესაც ბრალდებულს აქვს, ჯეროვანი გულმოდგინების გამოჩენის შემთხვევაში, თავის დაცვისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა ან თუ დაცვის „ფხიზელი“ სტრატეგია მოიცავს იმ საკითხებსაც, რომლებიც არ იყო ნარდგენილი საბრალდებო დასკვნაში.

მიუხედავად ამისა, სასამართლო აღიარებს, რომ ბრალდებულის მიმართ არსებულ მოლოდინს აქვს თავისი ზღვარი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრალდებული საზღვარგარეთ იმყოფება, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები მისი ინფორმირებისათვის<sup>965</sup>. პრეცედენტულ სამართალში შეიძლება ასევე აღმოვაჩინოთ მკაცრი განცხადებები, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენს მოსაზრებას, რომ ინფორმირების ვალდებულება „მთლიანად ბრალდების ორგანოს ეკისრება და მისი შესრულება შეუძლებელია პასიურად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და დაცვის ყურადღების მასზე მიპყრობის გარეშე“<sup>966</sup>. ასეთი მიდგომა ყველაზე სწორია. ამასვე იზიარებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი<sup>967</sup>.

<sup>961</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 80. იხ. აგრეთვე *Y გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11777/85; *კოზლოვი (Kozlov) ფინეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 16832/90; *კუიბიშევი (Kuibishev) ბულგარეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 39271/98.

<sup>962</sup> *ჰენინგსი (Henning) გერმანიის წინააღმდეგ*, იხ. აგრეთვე *ზალინგა (Salinga) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 22534/93.

<sup>963</sup> *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 96.

<sup>964</sup> *რობენზაიფერი (Rabenseifer) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 24154/94; *სტოიჩკოვი (Stoitchkov) და შინდაროვი (Shindarov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 24571/94.

<sup>965</sup> იხ. მაგ: *T იტალიის წინააღმდეგ*, § 28, 29; აგრეთვე *კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ*, სადაც ბრალდებულის პოვნა ვერ მოხერხდა ქვეყნის შიგნით ხელისუფლების ორგანოების არასაკმარისი ყურადღების გამო.

<sup>966</sup> *მატოკია (Matoocia) იტალიის წინააღმდეგ*, § 65.

<sup>967</sup> *მბენგე (Mbenge) ზაირის წინააღმდეგ*, 134.

### III. ფორმასთან დაკავშირებული ელემენტები

მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტში მოცემულია ფორმასთან დაკავშირებული ორი მოთხოვნა: ბრალდების შესახებ პირს უნდა ეცნობოს მისთვის „გასაგებ ენაზე“ და „დაუყოვნებლივ.“ თუმცა თავდაპირველად უნდა განვიხილოთ ზოგადი საკითხი: არის თუ არა დანესებული რაიმე ფორმა საბრალდებო დასკვნისთვის? უფრო კონკრეტულად, ინფორმაციის მიწოდება წერილობით უნდა მოხდეს თუ არა?

#### ა. ინფორმაციის მიწოდება წერილობით უნდა მოხდეს თუ არა?

ბრალდებულის ინფორმირების ფორმაზე დუმს როგორც საერთაშორისო პაქტი, ისე ორივე კონვენცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, სასამართლო ბანალურად იმეორებს, რომ „მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი არ ადგენს რაიმე სპეციალურ ფორმალურ მოთხოვნას ბრალდების არსისა და საფუძელის შესახებ ბრალდებულის ინფორმირების ფორმასთან დაკავშირებით“<sup>968</sup>, მეორე მხრივ, იმავე გადანყევტილებაში, ერთი პარაგრაფით ზემოთ, ვხვდებით შემდეგ განცხადებას: „მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის დებულებები მიუთითებენ, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამორჩენა „ბრალდების“ შესახებ ბრალდებულის ინფორმირების დროს. დანაშაულის დეტალები გადანყევტი როლს თამაშობენ სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან მათი გადაცემის მომენტიდან, ეჭვმიტანილისთვის ფორმალურად, წერილობითი შეტყობინების გზით, ცნობილი ხდება მისთვის, წარდგენილი ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ“<sup>969</sup>. წერილობითი შეტყობინების შესახებ უკვე ნახსენები იყო *კამასინსკის (Kamasinski)* გადანყევტილებაში<sup>970</sup>. ამ ორ გადანყევტილებას შორის სიტყვა „წერილობითი“ გამოტოვებულ იქნა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით გადანყევტილ ყველა სხვა საქმეში<sup>971</sup>. იყო თუ არა ეს „მხოლოდ საკანცელარიო შეცდომა“? ცხადია, რომ ასეთი შეცდომის არსებობა წარმოუდგენელია ევროპული სასამართლოს გადანყევტილებაში. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლო ყოყმანობს.

რთულია *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში მოცემული ორი ამონარიდის „შერიგება“, როდესაც ერთი „წერილობით შეტყობინებაზე“ საუბრობს, ხოლო მეორეში აღნიშნულია ფორმალური მოთხოვნების არარსებობის შესახებ. სასამართლოს მიერ „წერილობით შეტყობინებაზე“ ხაზგასმა შეიძლება იყოს ფაქტობრივი მინიშნება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, რომელიც ბრალდების წარდგენას წერილობითი ფორმით ითვალისწინებს. თუმცა სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი *პელისიეს (Pelissier)* საქმეში, როდესაც სიტყვა „წერილობით“ არ იქნა გამოყენებული.

სხვა გადანყევტილებაში სასამართლო, როგორც ჩანს, მაინც მოითხოვს გარკვეული ფორმალობის დაცვას: „თუმცა მის წინააღმდეგ

<sup>968</sup> *სიპავიციუსი (Sipavicius)* ლიტვის წინააღმდეგ, §30; იხ. აგრეთვე *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §53; *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, §79. იმის შესახებ, რომ ინფორმაციის წერილობით მიწოდება არ არის აუცილებელი, აღნიშნულია შემდეგ საქმეებში: *ჰარვარდი (Harward)* ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 14170/88; *ჰეივარდი (Hayward)* შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 14106/88; *მორტენსენი (Mortensen)* დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 24867/94.

<sup>969</sup> *სიპავიციუსი (Sipavicius)* ლიტვის წინააღმდეგ, §27.

<sup>970</sup> *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, §79.

<sup>971</sup> *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §51.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ვინმეს ინფორმირება არის ისეთი მნიშვნელობის სამართლებრივი ქმედება, რომ ის უნდა შესრულდეს ბრალდებულის უფლებების ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელი საპროცესო და მატერიალური მოთხოვნების შესაბამისად, რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტიდან<sup>972</sup>.

ეს პრეცედენტული სამართალი ცალსახად არადამაკმაყოფილებელია და გარკვეული დეზორიენტაციის შთაბეჭდილებას ტოვებს<sup>973</sup>. სასამართლო გაურბის მკაფიო სახელმძღვანელო წესებისა და მოთხოვნების დადგენას. მრავალი ავტორის მოსაზრებით, დროა სასამართლომ ნათლად განაცხადოს, რომ ბრალდებულს უნდა გადაეცეს აუცილებელი ინფორმაციის შემცველი წერილობითი საბრალდებო დასკვნა<sup>974</sup>. შესაძლებელია გარკვეული გამოწვევების არსებობა. მაგალითად, თარგმნა შეიძლება ზეპირად განხორციელდეს. თუმცა ასეთი ინფორმაციის ფუნდამენტური მნიშვნელობა მოითხოვს ფორმალური დოკუმენტის არსებობას.

## ბ. ენა

ბრალდების შესახებ პირს უნდა ეცნობოს „მისთვის გასაგებ ენაზე.“ ეს სიტყვები შეიძლება ზედმეტად ჩაითვალოს (ამერიკულ კონვენციაში არ არის მსგავსი ფრაზა), რადგან თავად ტერმინი „ინფორმაცია“ გულისხმობს ისეთი ენის გამოყენებას, რომლის გაგებაც ბრალდებულს შეუძლია. მეორე მხრივ, სწორედ ამ საკითხს უკავშირდება ბრალდებულის ფუნდამენტური უფლება, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, როცა მას არ ესმის ან ვერ საუბრობს სასამართლოში სამართალწარმოების ენაზე<sup>975</sup>. პირველი საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა ამ ქვეპუნქტის დარღვევა სწორედ ასეთ შემთხვევას, უკავშირდებოდა. განმცხადებელი ინფორმირებულ იქნა ბრალდების შესახებ იტალიურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ესმოდა იტალიური და შეეცადა ამ საკითხზე ხელისუფლების ორგანოთა ყურადღების მიპყრობას, ბრალდების თარგმანი მაინც არ წარედგინა. ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის აშკარა დარღვევას, ვინაიდან განმცხადებლის მსჯავრდება მოხდა დაუსწრებლად. ის არც სასამართლოზე დაუბარებიათ ჯეროვნად და არც წარდგენილ ბრალდებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა მისცემია<sup>976</sup>. *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში არ მომხდარა ბრალდების ფორმალური თარგმნა, თუმცა საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე სასამართლო მივიდა, დასკვნამდე, რომ ბრალდებული საქმარისად კარგად იყო ინფორმირებული<sup>977</sup>.

<sup>972</sup> *ტიტლის წინააღმდეგ*, §28.

<sup>973</sup> საქმეში *ნილსენი (Nielsen)* დანიის წინააღმდეგ (განაცხადი 343/57) კომისიამ უფრო ფორმალური მიდგომა არჩია. იხ. სტაეროსი (1993) 172.

<sup>974</sup> ესერი (2002) 438; ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 220.

<sup>975</sup> იხ. თავი 12.

<sup>976</sup> სასამართლომ დაადგინა მხოლოდ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის დარღვევა: *ბროზიჩეკი (Brozicek)* იტალიის წინააღმდეგ, §41. მოგვიანებით დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს შეეძლო დაემატებინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ისევე, როგორც მე-3 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტები.

<sup>977</sup> *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, §80.

## გ. „დაუყოვნებლივ“

ბრალდების შესახებ პირის ინფორმირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. თუმცა ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია საუბრობს „ნინასნარ შეტყობინებაზე.“ რაც უფრო მისაღებად უნდა მივიჩნიოთ. სიტყვა „დაუყოვნებლივ“ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან გულისხმობს „დროის მცირე მანძილს“, რაც, თავის მხრივ, ბადებს კითხვას: რა მოვლენის შემდეგ? ეს ქვეპუნქტი უნდა განვიხილოთ უშუალოდ საბრალდებო დასკვნასთან კავშირში. შესაბამისად, ამ დოკუმენტის დაცვისთვის გადაცემა უნდა მოხდეს მისი მომზადების დასრულებისთანავე<sup>978</sup>. ამ მოსაზრებას იზიარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც<sup>979</sup>.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გარანტიის მიზანს დაუუკერძებთ, დროის მანძილი საბრალდებო დასკვნის მომზადებასა და ბრალდებულისთვის მის გადაცემას შორის ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს დაცვისთვის.<sup>980</sup> უფრო მნიშვნელოვანია ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროის არსებობა. შესაბამისად, გადამწყვეტია დროის მანძილი სწორედ საბრალდებო დასკვნის გადაცემიდან სასამართლო განხილვის დაწყებამდე ან ბრალდებულის ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის ცვლილებიდან სასამართლოში საბოლოო სიტყვით გამოსვლამდე.

ეს არ გამორიცხავს ბრალდებულის ნებისმიერ სხვა უფლებას, ინფორმირებული იყოს სამართალწარმოების მიმდინარეობის შესახებ. ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს ბ) ქვეპუნქტით გარანტირებული „შესაძლებლობების“ ნაწილს. ამ ორ გარანტიას შორის არსებულ ახლო კავშირზე ხშირად არის საუბარი პრეცედენტულ სამართალში<sup>981</sup> და სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>982</sup>. სასამართლოს პრაგმატული მიდგომა ნიშნავს, რომ ის უგულებელყოფს კონვენციის მნიშვნელობაში სიცხადის შეტანის ამოცანას კონკრეტულ საქმეში მისაღები გადაწყვეტილების ძიების პროცესში. სასამართლო უპირატესობას ანიჭებს ბუნდოვან მითითებებს, მთლიან სამართალწარმოებასა და ზოგად სამართლიანობაზე თითოეული გარანტიის დეტალური ანალიზის ნაცვლად.

<sup>978</sup> ტრექსელი (2005) 207.

<sup>979</sup> ზოგადი კომენტარი N 13, §8.

<sup>980</sup> ესერი (2002) 440. ავტორი აკრიტიკებს სასამართლოს იმისთვის, რომ მისაღებად ჩათვალა ათსაათიანი „შეფერხება“ სტილს (Steel) საქმეში.

<sup>981</sup> იხ. მაგ: ალბერი (Albert) და ლე კონტი (Le Compte) ბელგიის წინააღმდეგ, §41; მატოკია (Matoocia) იტალიის წინააღმდეგ, §71; პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ, §54, 62, 63.

<sup>982</sup> იხ. მაგ: პარისი, ოზოილი და უორბრიკი (1995) 252; რიდი და მერდოკი (2001) N 5.118; სტავროსი (1993) 186.

# თავი 9

## საკმარისი დრო და შესაძლებლობები

### 1. შესავალი

#### ა. დებულებები

[3. მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:] ...

ა) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად და შეხედეს მის მიერ არჩეულ დამცველს;

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(3) მუხლი.*

[3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები:] ...

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(3) მუხლი.*

[2... . მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:]

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(2) მუხლი.*

ზემოთ მოყვანილი დებულებები ძირითადად იდენტურია. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია იყენებს ტერმინს „საშუალებები“ „შესაძლებლობების“ ნაცვლად. თუმცა ეს არ შეიძლება განიმარტოს როგორც დებულებისთვის განსხვავებული მნიშვნელობის მიცემის მცდელობა. საერთაშორისო პაქტში დამატებულია მითითება დამცველთან შეხვედრის უფლებაზე, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი „შესაძლებლობაა“ მისი განხილვა მოხდება დამცველის დახმარების უფლების კონტექსტში.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში მოცემული საკმარისი დროისა და შესაძლებლობების უფლების ტექსტები იდენტურია, არ არის დამთხვევა. მოცემული გარანტია არ იყო საერთაშორისო პაქტის თავდაპირველი პროექტის



ნანილი, თუმცა შეტანილი იქნა გენერალური მდიენისა<sup>983</sup> და ბრიტანელების ნინადადებით, რომელიც ემყარებოდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტს.<sup>984</sup> ტექსტის დარჩენილი ნანილი დამატებული იქნა ისრაელის წარმომადგენლის ბატონი ბარორის შეთავაზების საფუძველზე.<sup>985</sup>

### გ. გარანტიის მიზანი და მნიშვნელობა

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების უფლება მოცემულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტში, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის სპეციალურ უფლებებს შორის, კერძოდ, ბრალდების შესახებ ინფორმირებისა და პირადად ან არჩეული დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლებებს შორის. თუ გაიხსენებთ რა შესაძლებლობები სჭირდება დაცვის მომზადებას, ვნახათ, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი სავსეა ამგვარი შესაძლებლობებით: ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება<sup>986</sup>, დამცველის დახმარების უფლება<sup>987</sup>, მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება<sup>988</sup>, თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება<sup>989</sup>. ყველა ეს უფლება შეიძლება განვიხილოთ როგორც „შესაძლებლობები“. დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის უფლება აგრეთვე არსებითად გარანტირებულია ა) ქვეპუნქტის საფუძველზე. გარდა ამისა, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამართლიანობის ძირითადი ელემენტია მოსმენისა და სასამართლოს წინაშე როგორც ფაქტების, ისე კანონის გამოყენების შესახებ საკუთარი არგუმენტების წარდგენის ეფექტიანი შესაძლებლობის უფლება. კელავაც, ეს შეიძლება ჩაითვალოს დაცვის მომზადებისთვის აუცილებელ „შესაძლებლობად“<sup>990</sup>. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ „ეს გარანტია მკაფიოდ არ იქნა განსაზღვრული პრეტენდენტულ სამართალში“<sup>991</sup>. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი უფლების მსგავსია.

პრაქტიკაში ამ გარანტიის როლი საკმაოდ მოკრძალებულია<sup>992</sup>. ის უნდა განვიხილოთ როგორც „სუბსიდიარული,“ ზოგადი გარანტია, რომელსაც

<sup>983</sup> ვაისბროდტი (2001) 62.

<sup>984</sup> *Ibid.*, 66.

<sup>985</sup> *Ibid.*, 72.

<sup>986</sup> ა) ქვეპუნქტი. იხ. მაგ: *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §54; *მატოკია (Mattocchia) იტალიის წინააღმდეგ*, §60; *დალოსი (Dallo) უნგრეთის წინააღმდეგ*, §47.

<sup>987</sup> გ) ქვეპუნქტი. იხ. მაგ: *მელინი (Melin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §21; საქმეში *S გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 12370/86) კომისიამ გადაწყვიტა, რომ უარს დამცველის დახმარებაზე არ მოუხდენია უარყოფითი გავლენა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტით გარანტირებულ უფლებებზე.

<sup>988</sup> დ) ქვეპუნქტი. საქმეში *მატოკია (Mattocchia) იტალიის წინააღმდეგ* (§71) სასამართლომ აღმოაჩინა მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3(ა) პუნქტების დარღვევა, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ განმცხადებელს არ მიეცა მონმეთა გამოძახების შესაძლებლობა.

<sup>989</sup> ე) ქვეპუნქტი. იხ. მაგ: *კარესანა (Caresana) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 31541/95; ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმე: *ჰარვარდი (Harward) ნორვეგიის წინააღმდეგ*.

<sup>990</sup> ეს ასპექტი განხილულია სასამართლოს მიერ შეჯიბრებითი პროცესის კონტექსტში. მაგ: *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34.

<sup>991</sup> სტავროსი (1993) 185; კორსტენსი და პრადელი (2002) N 357.

<sup>992</sup> ოუეი და უაითი (1996) 182; სუდრი (2003) 261; მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის განხილვისას

სასამართლო მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სხვა, სპეციალური გარანტიების გამოყენება შეუძლებელია. თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი. მიუხედავად იმისა, რომ დამცველის დახმარებისა და მასთან შეხვედრის უფლებას შეეხებით გ) ქვეპუნქტის კონტექსტში, სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში ის სშირად განხილულა როგორც „შესაძლებლობა“ ბ) ქვეპუნქტის მნიშვნელობით<sup>993</sup>. ეს შეიძლება აიხსნას, *inter alia*, იმ ფაქტით, რომ არჩეულ დამცველთან შეხვედრის უფლება მოცემულია საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტში, რომელიც სხვა მხრივ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესატყვისია. მრავალი ავტორი ასევე ხაზს უსვამს ახლო კავშირს ბ) და გ) ქვეპუნქტებს შორის<sup>994</sup>. თუმცა უკანასკნელ პერიოდში სასამართლო, როგორც ჩანს, უარს ამბობს აღნიშნულ მიდგომაზე. საქმეში *ბრენანი (Brennan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ეს საკითხი განხილული იქნა დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლების ნაწილად<sup>995</sup>. შემთხვევითობის ელემენტიც არსებობს იმაში, თუ რომელი ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდება საქმის განხილვა. ბევრი რამ დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ მითითებულ დებულებაზე. არსებობს კონვენციის მესამე გარანტია, რომლის გამოყენებაც ასევე არის შესაძლებელი. საქმეში *ერდემი (Erdem) გერმანიის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა დამცველთან მიმონერაში სახელმწიფოს ჩარევის გამო, სასამართლომ გადაწყვეტილება მე-8 მუხლის საფუძველზე მიიღო<sup>996</sup>.

ეს ავტორი არც კი ახსენებს მას. სასამართლომ დღემდე მხოლოდ 10 საქმეში დაადგინა ბ) ქვეპუნქტის დარღვევა (*კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბურძნეთის წინააღმდეგ*; *დომენიჩინი (Domenichini) იტალიის წინააღმდეგ*; *ვაშერი (Vacher) საფრანგეთის წინააღმდეგ*; *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*; *მატოკია (Mattochia) იტალიის წინააღმდეგ*; *ტ ავსტრიის წინააღმდეგ*; *სადაკი (Sadak) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*; *GB საფრანგეთის წინააღმდეგ*; *ლანცი (Lanz) ავსტრიის წინააღმდეგ*) და მხოლოდ ერთ საქმეში მორიგდნენ მხარეები (*ჩიჩლიანი (Chichliani) და ეკინჯიანი (Ekindjian) საფრანგეთის წინააღმდეგ*).

<sup>993</sup> ნამყვანი საქმეა *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ* (1984); იხ. აგრეთვე *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 99; საქმეში *დომენიჩინი (Domenichini) იტალიის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა ბ) ქვეპუნქტის დარღვევა. ვინაიდან განმცხადებლის მიერ გასაჩივრების თაობაზე დამცველისთვის გაგზავნილ წერილს გაეცნენ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები. კომისიამ საქმე განიხილა ბ) და გ) ქვეპუნქტების საფუძველზე და დაადგინა მე-6(3) მუხლის დარღვევა. იხ. აგრეთვე *ლანცი (Lanz) ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ ერთიანად განიხილა ბ) და გ) ქვეპუნქტებიდან გამომდინარე საკითხები. სასამართლო სშირად განიხილავს განაცხადს მე-6(1) მუხლის ზოგადი გარანტიის საფუძველზე იმის გამო, რომ „მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები წარმოადგენს 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სპეციალურ ასპექტებს“. *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბურძნეთის წინააღმდეგ*, § 31; *მელინი (Melin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 21; *ბრიკონი (Bricmont) ბელგიის წინააღმდეგ*, § 75. კელავაც, საქმეში *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ზედამხედველობის გარეშე დამცველთან შეხვედრის საკითხი განხილულ იქნა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

<sup>994</sup> ბარეტო (1999) N 9.2.2; კიავარიო (2001) მე-6 მუხლი, N 7.2; დანელიუსი (1997) მე-7 თავი; ფან დიკი და ფან ჰოფი (1998) 465; ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 183; გოლიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 175, 177; ჰელოიგერი და შურმანი (1999) 223; ჰარისი, ოზოილი და უორბრიტი (1995) 254; მერილისი და რობერტსონი (2001) 122; კოსტეტენსი და პრადელი (2002) N 357; ფოლიგერი (1999) N 503; ფოგლერი (1986) N 481 და ა.შ.

<sup>995</sup> *ბრენანი (Brennan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>996</sup> *ერდემი (Erdem) გერმანიის წინააღმდეგ*; ამ მუხლის საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღება უფრო მოსახერხებელი იყო სასამართლოსთვის, ვინაიდან მას მიეცა შესაძლებლობა, უფრო

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება წმინდა თეორიულ დისკუსიად მოგვეჩვენოს, თუმცა მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საქმე იმაშია, რომ ბ) და გ) ქვეპუნქტებში მოცემული გარანტიები ერთი მნიშვნელოვანი ელემენტით განსხვავდება ერთმანეთისგან. ბ) ქვეპუნქტი, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, შეიცავს „ფარდობით გარანტიას“. ამ გარანტიის დარღვევის დასამტკიცებლად განმცხადებელმა უნდა აჩვენოს გარკვეული ზიანის არსებობა. მეორე მხრივ, დამცველის დახმარების უფლება წარმოადგენს აბსოლუტურ გარანტიას, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს კონვენციის დარღვევის დადგენას<sup>997</sup>. აღსანიშნავია, რომ საქმეში დომენიჩინი (*Domenichini*) იტალიის წინააღმდეგ სასამართლომ განიხილა ბრალდებულსა და დამცველს შორის მიმონერის საკითხი ექსკლუზიურად ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე გ) ქვეპუნქტის ხსენების გარეშე. თუმცა სასამართლო არც იმის გარკვევას შეეცადა, სახელმწიფო ორგანოთა ჩარევამ სირთულეები შეუქმნა თუ არა დაცვას<sup>998</sup>.

## დ. გარანტიის ფარდობითი ხასიათი

### 1. ზოგადი ფარდობითობა

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ტექსტი ნათლად მიუთითებს მის „ფარდობით“ ხასიათზე. ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში, შეუძლებელია, ადგილი ჰქონდეს კონვენციის დარღვევას<sup>999</sup>. კონვენციის დარღვევის საკითხის განხილვისას სასამართლო ეცდება გაითვალისწინოს, მოხდებოდა თუ არა განმცხადებლის მსჯავრდება იმ შემთხვევაშიც, თუ მას დაცვის მოსამზადებლად უფრო მეტი დრო და შესაძლებლობები ექნებოდა. სხვა სიტყვებით, განმცხადებელმა უნდა აჩვენოს „არსებითი ზიანი“<sup>1000</sup>. ეს კი მძიმე ტვირთს აკისრებს მას. იშვიათი გამონაკლისების გარდა, განმცხადებლისთვის ძალზე რთული იქნება ასეთი პიპოთეზის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. არ არსებობს აბსოლუტური სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავდა, რა რაოდენობის დრო და შესაძლებლობები უნდა იყოს დაცვის განკარგულებაში – „მკაცრი და ურყევი წესების“<sup>1001</sup> არსებობა რთულად წარმოსადგენია<sup>1002</sup>. კონვენციის დარღვევის საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე: „ცხადია, რომ მე-6 მუხლის გამოყენება დამოკიდებულია განსახილველი საქმისთვის დამახასიათებელ სპეციალურ ნიშნებზე“<sup>1003</sup>.

იოლად გამოეყენებინა პროპორციულობის ტესტი.

<sup>997</sup> იხ. თავი 10, ქვეთავი III.

<sup>998</sup> დომენიჩინი (*Domenichioni*) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>999</sup> X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 2291/64; S გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 12370/86.

<sup>1000</sup> კარისი, ოპოილი და უორბრიჩი (1995) 253, 255. იხ. X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 4042/69; მურფი (*Murphy*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 4681/79.

<sup>1001</sup> შტრამერი (2000) N 7.72; იხ. აგრეთვე სტავროსი (1993) 178.

<sup>1002</sup> შტრამერი (1993). თუმცა ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი უნდა გაიყოს ორ ნაწილად: ბრალდების არგუმენტების წინასწარი ცოდნა და დაცვისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა ითვლება „აბსოლუტურ“ გარანტიებად. ეს მიდგომა მისაღებია „*de lege ferenda*“ და შეიძლება ითქვას, როგორც კონვენციის უფრო ევოლუციური განმარტების პოსტულატი, თუმცა არ ასახავს მოქმედ სამართალს.

<sup>1003</sup> ვაშერი (*Vacher*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §24.

გასაგებია, რომ ჰარისი, ობოილი და უორბრიქი იყენებენ საკმაოდ ბუნდოვან ფორმულირებას ზიანის დამტკიცების საკითხზე მსჯელობისას: „შესაძლოა საჭირო გახდეს ფაქტობრივი ზიანის ჩვენება“<sup>1004</sup>. სტავროსი ამ პრობლემის გადაჭრის საკმაოდ კომპლექსურ გზას გვთავაზობს: „კითხვა, რომელიც კონვენციის ორგანოებმა უნდა დაუსვან საკუთარ თავს, არის, შეიძლება თუ არა ერთი ფაქტორის მიმართ ... არსებობდეს გონივრული მოლოდინი, რომ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ის შეზღუდავს დაცვის შესაძლებლობას, [სასამართლოს] ნარუდგინოს თავისი პოზიცია. ბრალდებულს უნდა მოეთხოვოს კონკრეტული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ პასუხი უარყოფითია“<sup>1005</sup>.

ამოცანას ართულებს ისიც, რომ არსებობს აშკარა სხვაობა ნორმის ფრანგულ და ინგლისურ ვერსიებს შორის. ინგლისურ ვერსიაში საუბარია „საკმარის“ დროსა და შესაძლებლობებზე, ხოლო ფრანგულ ტექსტში მოცემულია სიტყვა „*necessaire*“ (აუცილებელი). თუ გადავხედავთ კონვენციის ოფიციალურ თარგმანებს, აღმოვაჩინებთ ისეთ ტერმინებს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ინგლისურ სიტყვას „*sufficient*“ (საკმარისი)<sup>1006</sup>; ფრანგულად „*suffisant*“.

ჩემი აზრით, არსებობს შინაარსობრივი სხვაობაც ორ ვერსიას შორის. ფრანგული ვერსია უფრო მკაცრ ტერმინს იყენებს, რაც გარანტიის მოქმედების ფარგლებს ძალზე ვიწროს ხდის: კონვენციის დარღვევას მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, თუ ბრალდებულის მიერ მოთხოვნილი დროისა და შესაძლებლობების გარეშე დაცვას არ ექნებოდა ნარმატების შანსი. ინგლისური ვერსია კი უფრო მოქნილი მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა. საკმარისია იმის ჩვენება, რომ დაცვის შანსები გაუმჯობესდებოდა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. განსხვავება მცირე, თუმცა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ინგლისურ ტექსტს მიენიჭოს უპირატესობა<sup>1007</sup>.

საქმეში *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ* სასამართლოს განხილვის საგანი გახდა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მოსაზრება, რომლის მიხედვით, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არ მოითხოვდა, რომ საქმის მასალები უშუალოდ ბრალდებულისთვის გამხდარიყო ხელმისაწვდომი...“<sup>1008</sup> საკმარისი იყო მათი გადაცემა დამცველისთვის. ამ მოსაზრებას სასამართლომ პასუხი გაცა საში მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ელემენტის ხაზგასმით: განმცხადებელს არ ჰყავდა დამცველი, ამჯობინა, რომ თავი პირადად დაეცვა; არ ჩატარებულა წინასწარი გამოძიება და შესაბამისად, არ დამდგარა გამოძიების კონფიდენციალობის საკითხი; პირის მსჯავრდება ემყარებოდა საპატიმროს ზედამხედველის ოფიციალურ ანგარიშს, რომელიც იყო „საკმარისი მტკიცებულება, თუ არ

<sup>1004</sup> ჰარისი, ობოილი და უორბრიქი (1995) 225.

<sup>1005</sup> სტავროსი (1993) 186.

<sup>1006</sup> მაგ: გერმანულად „*ausreichend*“; იტალიურად „*necessarie*“; ესპანურად „*adecuados*“; უკრაინულად „*достатньо*“, რუსულად „*достаточно*“.

<sup>1007</sup> ერთ-ერთ ადრეულ საქმეში, რომელშიც საქმის მასალები გაუზიარდა, კომისიამ საკმაოდ შეზღუდული მიდგომა გამოიყენა. მან არა მხოლოდ ივარაუდა, რომ ვითარება პროკურატურისთვისაც გართულდა, არამედ აღნიშნა, რომ „განმცხადებელმა ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ გაუზიარებული მტკიცებულებები შეიცავდა რაიმეს, რომელსაც შეეძლო სასამართლოს ძირითადი ვარაუდის უარყოფა და რაც შესაბამისად, მოითხოვდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას...“ განაცხადი 8770/79.

<sup>1008</sup> *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 32. მოგვიანებით, საკასაციო სასამართლომ უფრო ლიბერალური მიდგომა არჩია.

დადასტურდებოდა საპირისპირო". სასამართლომ, ისევე როგორც კომისიამ, ჩათვალა, რომ განმცხადებელს უნდა პქონოდა „საქმის მასალების გაცნობისა და მასში შემავალი დოკუმენტების ასლების მოპოვების შესაძლებლობა, რათა გაესაჩივრებინა მის შესახებ მომზადებული ოფიციალური ანგარიში“<sup>1009</sup>.

სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა მე-3 პუნქტთან კავშირში<sup>1010</sup>, უდავოდ სწორია. თუმცა სასამართლოს არგუმენტაცია კრიტიკას იმსახურებს. მხოლოდ დამცველისთვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის საკითხს აქ არ შეეხებოდა და ქვემოთ განვიხილავთ. წინასწარი გამოძიების ხსენებით სასამართლო გულისხმობს, რომ გამოძიების კონფიდენციალობამ შეიძლება გაამართლოს საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ზოგადი ფორმულირების სახით ამგვარი განცხადების გაკეთება აშკარად მიუღებელია. სასამართლოს არგუმენტაციის მესამე ელემენტი, თუ კარგად დავეუკვირდებით, შედეგადად საქმეში არსებული მტკიცებულების შეფასებისგან. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის მასალებში მოცემული დოკუმენტები მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის და ამდენად, ამ უქანასკნელს უნდა პქონოდა მათი გაცნობის საშუალება. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო არ წავიდა ისე შორს, რომ დეტალურად შეესწავლა საქმის მასალები და განესაზღვრა, მათი ხელმისაწვდომობა უფრო სასურველ შედეგს მოუტანდა თუ არა დაცვას. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ არ ამონურა ყველა ის შესაძლებლობა, რომლებსაც ბ) ქვეპუნქტის ვინრო ინტერპრეტირება იძლევა. სხვა საქმეში კომისიამ უფრო შეზღუდული მიდგომა გამოიყენა და უარყო განაცხადი, ვინაიდან განმცხადებელმა ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ დაცვის მოსამზადებლად არსებული დროის სიმცირე წარმოადგენდა დაბრკოლებას<sup>1011</sup>. სტაეროსის მოსაზრებით, განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ „ბრალდების ხელთ არსებულმა მტკიცებულებებმა შეიძლება გარკვეული სარგებელი მოუტანოს მის დაცვას“<sup>1012</sup>. თუმცა ასეთი მიდგომა საკმაოდ ვინროა და შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპთან<sup>1013</sup>. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ *ფუშერის (Foucher)* საქმეში გამოყენებული მიდგომა უფრო მისაღებია. ის უფრო ახლოსაა ინგლისურ ტექსტთან და საკმაოდ რეალისტურია, ვინაიდან დაცვისგან არ მოითხოვს იმ დროისა და შესაძლებლობების მნიშვნელობის დამტკიცებას, რომელთა მიღებაზეც უარი ეთქვა.

## 2. სპეციალური ფარდობითობა

ცხადია, ფარდობითობის ზოგად ცნებასთან ერთად არსებობს სპეციალური ელემენტებიც. მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი დროის რაოდენობა და შესაძლებლობების სახეობა დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეში არსებულ გარემოებებზე.

აუცილებელი სტანდარტების შესახებ მინიშნება გვხვდება სასამართლოს იურისპრუდენციაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა,

<sup>1009</sup> *Ibid.*, § 35.

<sup>1010</sup> არ არის მითითებული რომელიმე ქვეპუნქტი. სასამართლოს, როგორც ჩანს, სურდა ბ) და გ) ქვეპუნქტებს შორის არჩევანის გაკეთებისთვის თავის არიდება. სავარაუდოდ, მოსამართლეები ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხზე.

<sup>1011</sup> *X ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2370/64. ეს გადაწყვეტილება გაკრიტიკებულია შემდეგი ავტორების მიერ: ტრექსელი (1979) 356; ფროუინი და პოიერტი (1996) მე-6 მუხლი, N 180.

<sup>1012</sup> სტაეროსი (1993) 179.

<sup>1013</sup> იხ. თავი 4, ქვეთავი III.

რომ პოლიციამ ჩამოართვა დოკუმენტები, რომლებსაც დაცვისთვის ამზადებდა. განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან არ არსებობდა იმის ნიშნები, რომ აღნიშნული მასალების გამოყენება მოხდა განმცხადებლის წინააღმდეგ<sup>1014</sup>.

ფარდობითობა, როგორც ქვემოთ განვიხილავთ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა დროის ელემენტთან მიმართებაში. თითოეულ საქმეში უნდა მოხდეს დაცვის წინაშე მდგარი ამოცანების, სამუშაოს მოცულობისა და სირთულის შესწავლა<sup>1015</sup>. შეიძლება ასევე მნიშვნელობა ჰქონდეს სამართალწარმოების ეტაპს<sup>1016</sup>. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს მრავალი განსხვავებული „შესაძლებლობა“, რომელიც დაცვას დაეხმარება. ერთ-ერთი აუცილებელი „შესაძლებლობა“, როგორც წესი, არის საქმის მასალების გაცნობა. საქმეში არსებული დეტალების შესწავლა არის საჭირო როგორც „დროის“, ისე „შესაძლებლობების“ ელემენტის განხილვისას.

კონკრეტული „შესაძლებლობის“ ხელმისაწვდომობის აუცილებლობა შეიძლება უკავშირდებოდეს საქმეში დაცვის შანსებს. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება კომისიის გადაწყვეტილებიდან საქმეში, რომელშიც განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ არასაკმარისად მიუწვდებოდა ხელი საქმის მასალებზე საჩივრის მოსამზადებლად. მისი განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რაზეც, სავარაუდოდ, გავლენა იქონია განმცხადებლის დამცველის მოსაზრებამ, რომ არ არსებობდა საქმეში წარმატების მიღწევის შანსები<sup>1017</sup>.

### 3. გულმოდგინება, რომელიც დაცვას მოეთხოვება

როგორც დროსთან, ისე შესაძლებლობებთან დაკავშირებით, დაცვას მოეთხოვება გარკვეული გულმოდგინების გამოჩენა. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ამტკიცოს, რომ კონვენცია დაირღვა, თუ ყველაფერი გააკეთა, რასაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მოითხოვდა შესაბამისი დროის ან შესაძლებლობების მისაღებად<sup>1018</sup>. საქმეში *მელინი (Melin) საფრანგეთის წინააღმდეგ* სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებული იქნა ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ, განმცხადებლის ბრალი იყო ის, რომ ვერ შეძლო მემორანდუმის წარმოდგენა<sup>1019</sup>. ჯეროვანი გულმოდგინების გამოჩენის მოთხოვნის არსებობა სრულებით მისაღებია. ის სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამონაწერის პრინციპის მსგავსია და შეესაბამება კონვენციის სუბსიდიარულ ბუნებას. თუმცა *მელინის (Melin)* საქმეში მისი გამოყენება იმსახურებს კრიტიკას. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ გადაეცა გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა და არც სასამართლო განხილვის თარიღის შესახებ ყოფილა ინფორმირებული. სასამართლომ, კომისიისგან განსხვავებით, აღნიშნა, რომ განმცხადებელი ან მისი დამცველი უნდა გაცნობოდნენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მის სამდივნოში, ხელმეორედ წარედგინათ გადაწყვეტილების ასლის გადაცემის

<sup>1014</sup> *ფრანსუა (Francois) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 11058/84.

<sup>1015</sup> იხ. მაგ: *ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი*, N 180.

<sup>1016</sup> *X ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7628/76.

<sup>1017</sup> *როსი (Ross) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 11396/85.

<sup>1018</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 8386/78; *როსი (Ross) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 11396/85; რენუჩი (2002) N 123, 193. იგივე მოთხოვნა არსებობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. იხ. *სტედმენი (Steadman) იამაიკის წინააღმდეგ*; *ჰარვარდი (Harvard) ნორვეგიის წინააღმდეგ*; *ჯუნიორ ლესლი (Junior Leslie) იამაიკის წინააღმდეგ*.

<sup>1019</sup> *მელინი (Melin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §25.

მოთხოვნა ან მიემართათ საკასაციო სასამართლოს სამდიენოსთვის<sup>1020</sup>. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ გულმოდგინების ზედმეტად მძიმე ტვირთი დააქისრა განმცხადებელს. ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში ისე, რომ არ იცოდა მისი საფუძვლები და არც სასამართლო განხილვის შესახებ იყო ინფორმირებული. კერძოდ, მას არ ეცნობა სასამართლო სხდომის თარიღი და კერძო მხარის მოსაზრებები. ცხადია, რომ სისხლის სამართლის საქმეში ასეთი ინფორმაციის მინოდება უნდა მოხდეს *ex officio*.

სასამართლომ უფრო მეტი გულისხმიერება გამოიჩინა საქმეში *ვაშერი (Vacher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი არ იყო იურისტი<sup>1021</sup>. ამ საქმეში სასამართლომ ისაუბრა „გულმოდგინებაზე“, რომელიც ხელშემკერელმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ მე-ნ მუხლით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად<sup>1022</sup>. მტკიცების ტვირთმა, როგორც ჩანს, განმცხადებლიდან მთავრობაზე გადაინაცვლა, რაც მისასაღმებელია. საბრალდებო დასკვნის მსგავსად, იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ღიაა გასაჩივრებისთვის, პირს უნდა ეცნობოს წინასწარ. ეს ვითარება შეიძლება, გარკვეულწილად, მივამსგავსოთ ბრალდების დეტალების შესახებ ინფორმაციის მინოდებას, რომელიც ა) ქვეპუნქტით რეგულირდება. *ვაშერის (Vacher)* საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ „გამოყოფილი ვადის დანყებისა და დასრულების დროის გაგების ტვირთის დაქისრება მსჯავრდებულ მომჩივნებზე არ შეესაბამება „გულმოდგინებას,“ რომელიც ხელშემკერელმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ მე-ნ მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად<sup>1023</sup>.

სამწუხაროდ *ზუნის (Zoon)* გადაწყვეტილება *ვაშერის (Vacher)* საქმიდან ოთხი წლის შემდეგ იქნა მიღებული. შესაბამისად, *ვაშერის (Vacher)* საქმეში მიღებული გაუმჯობესება არ მიანიშნებს სასამართლოს მიერ ახალი მიდგომის გამოყენებაზე.

პრინციპი „*venire contra factum proprium*“ ირღვევა, როდესაც განმცხადებელი აპროტესტებს იმ შესაძლებლობის არარსებობას, რომლის გამოყენებაც თავად გახადა შეუძლებელი. ასეთი ვითარება შეიქმნა საქმეში *ბრიკმონი (Bricmont) ბელგიის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი უქმყოფილებას გამოთქვამდა აუდიტის არარსებობის გამო. სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება აუდიტის სარგებლიანობის შესახებ, თუმცა იქვე მიუთითა, რომ თავად განმცხადებლების მტკიცებით, „ოპერაციების უმრავლესობა განხორციელდა ხელმისაწვდომი საბანკო ჩანაწერების გარეშე იმ კომპანიების მეშვეობით, რომლებიც იცავდნენ კონფიდენციალობის წესებს. შესაბამისად, ბელგიის სასამართლოებს შეეძლოთ, გონივრულ ნიადაგზე ერწმუნათ, რომ ასეთი აუდიტის ჩატარება არ იქნებოდა ღირებული შედეგის მომტანი“<sup>1024</sup>.

მეორე მხრივ, განმცხადებელს მხოლოდ ისეთი გულმოდგინება მოეთხოვება, რომელიც იძლევა ნარმატების გონივრულ შანსს. *ფუშერის (Foucher)* საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს უნდა მოეთხოვა საქმის მასალები.

<sup>1020</sup> მსგავსი საკითხი წამოიჭრა საქმეში *ზუნი (Zoon) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა მოისმინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლო სხდომაზე და შეეძლო ენახა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შემოკლებული ვერსია როტერდამის რეგიონული სასამართლოს სამდიენოში.

<sup>1021</sup> *ვაშერი (Vacher) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1022</sup> *Ibid.*, §28.

<sup>1023</sup> *Ibid.*

<sup>1024</sup> *ბრიკმონი (Bricmont) ბელგიის წინააღმდეგ*, §90.

თუმცა საკასაციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას<sup>1025</sup>. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა შედეგს ვერ გამოიღებდა.

აუცილებელი „შესაძლებლობების“ მოსაპოვებლად, დაცვის მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გზის გამოყენების ვალდებულება ახლოს დგას სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამონაურვის მოვალეობასთან. საქმეში ვილუნენი (*Vilhunen*) ფინეთის წინააღმდეგ სწორედ ეს გახდა განაცხადის დაუშვებლად ცნობის მიზეზი. დაცვას არც საკმარისი „შესაძლებლობების“ არარსებობის საკითხი დაუყენებია ეროვნული სასამართლოს წინაშე და არც სასამართლო განხილვის გადავადება მოუთხოვია<sup>1026</sup>.

## II. საკმარისი დროის არსებობის უფლება

### ა. გარანტიის მიზანი

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის არსებობის უფლების მიზანია დაცვის ჯეროვანი მომზადება და „დაჩქარებული სასამართლო განხილვის“ თავიდან აცილება<sup>1027</sup>. დროის რაოდენობაზე საუბრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ძირითადად საქმე გვაქვს იურისტებთან. ამ პროფესიას კი ახასიათებს მნიშვნელოვანი მოქნილობა, განსაკუთრებით, დაცვის მომზადებისას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აუცილებელ ქმედებათა სტანდარტული მინიმუმი, როგორცაა საქმის მასალების შესწავლა, იურისტების უმრავლესობისთვის კარგად არის ნაცნობი კანონმდებლობა. დანარჩენებს მოუწევს მცირე დროის დახარჯვა ცოდნის განახლებაზე. ზოგიერთი წერილობით მოამზადებს სასამართლოზე გამოსვლის ტექსტს, ხოლო სხვები ჩანაწერებით იხელმძღვანელებენ და შესაბამისად, უფრო ნაკლები დრო დასჭირდებათ სიტყვის მოსამზადებლად. თუმცა კანონის ინდივიდუალიზება შეუძლებელია ასეთი დეტალების მხედველობაში მისაღებად. შესაბამისად, დრო საკმარისია თუ არა, უნდა შეფასდეს გაშუალებული სტანდარტის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ დაცვას იმდენი დრო უნდა მიეცეს, რამდენიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს საკმარისად საშუალო დონის იურისტისთვის. ეს გარანტია აგრეთვე იცავს იურისტს ზედმეტი წნეხისგან. სხვა სიტყვებით, უსამართლო იქნება, თუ „საკმარისი დროის“ შეფასება მოხდება მთლიანად *in abstracto*, იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ იურისტი მთელ თავის დროს დაუთმობს კონკრეტულ საქმეში დაცვის მომზადებას.

### ბ. გარანტიის ურთიერთკავშირი დაცვის სხვა უფლებებთან

#### 1. „გონივრულ ვადაში“ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება

კონვენციაზე თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმის მისახვედრად, რომ არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებას და იმავე მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტს შორის, რომლითაც გარანტირებულია

<sup>1025</sup> ფუშერი (*Foucher*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 32.

<sup>1026</sup> ვილუნენი (*Vilhunen*) ფინეთის წინააღმდეგ, განაცხადი 30509/96.

<sup>1027</sup> კროხერი (*Kröcher*) და მიოლერი (*Möller*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8463/78.



დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროის არსებობა. პირველი გარანტია მოითხოვს სისწრაფეს, ხოლო მეორე სისწრაფისგან იცავს განმცხადებელს. ეს საკითხი რამდენიმე ავტორმა განიხილა.<sup>1028</sup> ცხადია, არ არსებობს წინააღმდეგობა მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებს შორის. უპირატესობა აშკარად ენიჭება ბ) ქვეპუნქტის სპეციალურ ნორმას. სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში დაცვის მომზადების უფლების განხორციელება არასდროს განხილულა როგორც კონვენციის დარღვევის შესაძლო გამართლება.

## 2. „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპი

„მხარეთა თანასწორუფლებიანობა“ რამდენჯერმე იქნა ნახსენები დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროის უფლებასთან კავშირში<sup>1029</sup>. ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს, რომ დაცვისა და ბრალდებისთვის თანაბარი დრო უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ცხადია, მსგავსი შედარება აზრს მოკლებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე<sup>1030</sup>. თანასწორობა წარმოსადგენია მხოლოდ საჩივრის წარდგენისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებაში. თუმცა სამართალწარმოების ამ ეტაპზეც გარკვეული უთანასწორობა შეიძლება გამართლებული იყოს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროკურატურა, ჩვეულებრივ, კომპლექსური დაწესებულებაა, რომელშიც გადაწყვეტილებები სასამართლო განაჩენის გასაჩივრების შესახებ უნდა შეთანხმდეს რამდენიმე მოხელესთან. გარდა ამისა, პროკურორმა შეიძლება გადაწყვიტოს საჩივრის წარდგენა იმის მიხედვით, დაცვა გაასაჩივრებს თუ არა განაჩენს. ამ საკითხის განხილვისას კომისიამ გადაწყვეტილება საქმეში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო. ერთ-ერთ საქმეში მან განაცხადა, *inter alia*, რომ პროკურორმა გამოიყენა კანონით გათვალისწინებული დამატებითი დროის მხოლოდ ნაწილი<sup>1031</sup>. თუმცა ეს არგუმენტი სრულიად უსაფუძვლოა. ის ფაქტი, რომ ბრალდებისთვის საჩივრის წარსადგენად განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია, როგორც წესი, არ აყენებს დაცვას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში.

რაც შეეხება „შესაძლებლობებს“, კომისიამ ჩათვალა, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა დაცული იყო საქმეში, რომელშიც მტკიცებულება გაუჩინარდა პროკურატურის ოფისიდან. კომისიამ აღნიშნა, რომ დაკარგული დოკუმენტები შეიძლებოდა თანაბრად სასარგებლო ყოფილიყო ბრალდებისთვის<sup>1032</sup>.

## 3. ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება

ურთიერთკავშირი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებში მოცემულ დებულებებს შორის განსაკუთრებით ძლიერია<sup>1033</sup>. ა) ქვეპუნქტი ასევე მიუთითებს

<sup>1028</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიჯი (1995) 252; კიავარიო (2001) მე-6 მუხლი, N 7.2.

<sup>1029</sup> მაგ: *U ლუქსემბურგის წინააღმდეგ*. განაცხადი 10141/82.

<sup>1030</sup> იხ. გოლიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 183.

<sup>1031</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 441/58. საქმეში *U ლუქსემბურგის წინააღმდეგ* (განაცხადი 10142/82) კომისიამ განაცხადა, რომ კონვენციის დარღვევას ექნება ადგილი, „თუ უთანასწორობა საჩივრის წარდგენის ვადასთან დაკავშირებით იმდენად მოკისმომგვრელია, რომ თავისთავად წარმოადგენს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის ან დაცვის მომზადებისთვის იგივე შესაძლებლობების ქონის უფლების დარღვევას“.

<sup>1032</sup> განაცხადი 8770/79.

<sup>1033</sup> *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §54; *სადაკი (Sadak) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §50; იხ. აგრეთვე *მატოკია (Mattocia) იტალიის წინააღმდეგ*.

დროის ელემენტზე: რაც უფრო ადრეა პირი ინფორმირებული ბრალდების შესახებ, მით უფრო მეტი დრო აქვს დაცვის მოსამზადებლად. აღსანიშნავია, რომ დროის ფაქტორთან დაკავშირებით, ბ) ქვეპუნქტის დარღვევის დადგენა მოხდა მხოლოდ იმ საქმეებში, რომლებშიც ასევე გამოყენებული იქნა ა) ქვეპუნქტი, მაგალითად, საქმეებში *პელისიე (Pelissier)* და *სასი (Sassi)* საფრანგეთის წინააღმდეგ და *სადაკო თურქეთის წინააღმდეგ*. სასამართლოს არგუმენტაცია ორივე საქმეში იდენტურია.

*სადაკის (Sadak)* საქმეში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება შეიცვალა უკანასკნელ სასამართლო პროცესზე. თავდაპირველად მათ ბრალად ედებოდათ სეპარატიზმის მხარდაჭერა და ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შექმნა. უშუალოდ განაჩენის გამოცხადებამდე კი სასამართლომ მათ აცნობა, ახალი ბრალდების სახით, უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობის წარდგენის შესახებ<sup>1034</sup>. ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით, განმცხადებლებს, ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით, უნდა მისცემოდათ დაცვის მომზადებისთვის საჭირო დრო, რომელიც წამდვილად არ იყო თავდაპირველი ბრალდების იდენტური<sup>1035</sup>.

ძალზე ხელოვნურია ამ საქმეში ბ) ქვეპუნქტის გამოყენება, ვინაიდან განმცხადებლებს საერთოდ არ ჰქონდათ დრო და შესაძლებლობა ახალი ბრალდებისთვის დაცვის მოსამზადებლად. აშკარაა ა) ქვეპუნქტის დარღვევა, თუმცა სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში ბ) ქვეპუნქტის შესახებაც ისაუბრა. გარდა ამისა, ორივე საქმეში ადგილი ჰქონდა მოსმენის უფლების უხეშ დარღვევას, რომელიც სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია. საქმეში *ჩიჩლიანი (Chichlian)* და *ეკინჯიანი (Ekindjian)* საფრანგეთის წინააღმდეგ სასამართლომ ტექნიკურად კომისიისგან განსხვავებული მიდგომა გამოიყენა<sup>1036</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლები დავობდნენ, მათ შორის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების საფუძველზე<sup>1037</sup>, კომისია ა) ქვეპუნქტის განხილვით შემოიფარგლა და დაადგინა მისი დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ყოველთვის, როდესაც ადგილი აქვს ა) ქვეპუნქტის დარღვევას ბ) ქვეპუნქტიც აუცილებლად ირღვევა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელი გარანტიის ხელყოფამ შეიძლება არ გამოიწვიოს სირთულეები პირველთან მიმართებაში.

#### 4. პირადად ან არჩეული დამცველის

##### მეშვეობით თავის დაცვის უფლება

მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტებს შორის კავშირი<sup>1038</sup> ნაკლებად თვალსაჩინოა. სინამდვილეში ის უფრო პრაქტიკული ხასიათის მქონეა, ვიდრე იურისპრუდენციული<sup>1039</sup>. პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ბ) ქვეპუნქტში დროის ელემენტთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად წარმოიქმნებოდა იურიდიული დახმარების კონტექსტში. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ საქმეში დაცვის მომზადებისთვის არასაკმარისი დროის არსებობა გამოწვეული იყო წესით, რომლის მიხედვით,

<sup>1034</sup> *სადაკი (Sadak)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §44; რიდი და მერდოკი (2001) N 5 121; ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 464.

<sup>1035</sup> *სადაკი (Sadak)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §57.

<sup>1036</sup> *ჩიჩლიანი (Chichlian)* და *ეკინჯიანი (Ekindjian)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 14.

<sup>1037</sup> *Ibid.*, §47.

<sup>1038</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 465.

<sup>1039</sup> *ლანცი (Lanz)* ავსტრიის წინააღმდეგ,

სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე ახალი დამცველი უნდა დანიშნულიყო<sup>1040</sup>. მრავალი სხვა საქმე უკავშირდებოდა დამცველის ცვლილებას ობიექტური მიზეზების გამო<sup>1041</sup> – განმცხადებლის მიერ სასამართლო განხილვამდე ცოტა ხნით ადრე დამცველის დათხოვნას<sup>1042</sup> ან დამცველის გვიან დანიშვნას<sup>1043</sup>. თუმცა საქმეში გოდი (Goddi) იტილიის წინააღმდეგ, რომელშიც დამცველი მხოლოდ სასამართლო განხილვის დასაწყისში იქნა დანიშნული ბ) ქვეპუნქტი არც კი იყო ნახსენები.

## გ. რას ნიშნავს „საკმარისი დრო“?

### 1. დროის რელევანტური პერიოდი

იმის გასარკვევად, საკმარისია თუ არა დაცვისთვის მიცემული დრო, საჭიროა განსხვავებული კრიტერიუმების მხედველობაში მიღება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, დროის რა პერიოდი უნდა განვიხილოთ. სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან (მე-6(1) მუხლი) ან წინასწარ პატიმრობასთან (მე-5(3) მუხლი) დაკავშირებულ საქმეებში შედარებით იოლია რელევანტური პერიოდის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრა<sup>1044</sup>. დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის უფლების შემთხვევაში ეს შეუძლებელია. პარისი, ოზოილი და უორბრიქი აცხადებენ, რომ გარანტია მოქმედებას იწყებს პირისთვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენის მომენტიდან<sup>1045</sup>. ისინი მართლები არიან იმ თვალსაზრისით, რომ გარანტიის მოქმედება არ შემოიფარგლება სასამართლო განხილვით. თუმცა ამ შემთხვევაში ბრალდების წარდგენა არ წარმოადგენს ვადის ათვლის წერტილს, ისე როგორც ეს ხდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. საქმეში *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ* განმცხადებელს ჰქონდა ხუთი დღე საჩივრის წარდგენისთვის. ეს ვადა იწყებოდა სასამართლო განაჩენის გამოცხადების მომენტიდან, თუმცა მისი სამოტივაციო ნაწილი არ იყო მზად. შესაბამისად, ამ დროისთვის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროის პერიოდი არც კი იყო დაწყებული<sup>1046</sup>.

ტერმინ „საკმარისის“ ფარდობითობა განპირობებულია იმით, რომ სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. როგორც სასამართლომ განაცხადა *ჰერბერტ ჰუბერის (Herbert Huber) საქმეში*, „დაცვის მომზადებისთვის აუცილებელი დროის გამოთვლა უნდა მოხდეს განსხვავებულ საფუძველზე დაყრდნობით სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე“<sup>1047</sup>. გარდა ამისა, დაცვისთვის, როგორც წესი, საჭიროა დროის არა ერთი,

<sup>1040</sup> *კოპლინგერი (Köplinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1850/630.

<sup>1041</sup> როგორცაა დამცველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. იხ. *ჯარტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11255/84.

<sup>1042</sup> განაცხადი 6404/73; *ჯარტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8251/78. ამ საქმეში კომისია ეჭვობდა, რომ განმცხადებელი სპეკულირებდა სასამართლო პროცესის გადავადებით, მაშინ როცა სასამართლო განხილვის პირველ დღეს დანიშნულ დამცველს არ მოუთხოვია მისი გადადება.

<sup>1043</sup> *ჯ და ე ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 790977; ფროვინი და პოიერტი (1996) მე-6 მუხლი, N 180.

<sup>1044</sup> იხ. თავი 6, ქვეთავი II და თავი 19, ქვეთავი III.

<sup>1045</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 253.

<sup>1046</sup> *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ*, § 34.

<sup>1047</sup> *ჰერბერტ ჰუბერი (Herbert Huber) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 5523/72; *ჯ ბელჯიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7628/76; *ჯ და ე ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 790974; იხ.

არამედ ზედღზე რამდენიმე პერიოდი, მათ შორის გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვის დროს. ვინაიდან სამართალწარმოების მთლიან პროცესზე ვსაუბრობთ, უმჯობესია მისი განხილვა დავინყოთ პროცესის დასრულების მომენტიდან საპირისპირო თანმიმდევრობით.

სამართალწარმოებაში ბოლო პერიოდი ადრე, რომელიც აუცილებელია გასაჩივრების საფუძველზე საბოლოო სასამართლო მოსამართლის დაცვის მოსამზადებლად<sup>1048</sup>. მას წინ უსწრებს საჩივრის მომზადების პერიოდი, რომელსაც საფუძველად უდევს განაჩენის ტექსტი, რომლის გასაჩივრებაც პირს სურს. თუმცა, ამ შემთხვევაში, სწორი არ იქნება საუბარი მხოლოდ რამდენიმე დღისგან შემდგარ ერთ პერიოდზე. საჩივარი შეიძლება ნაწილობრივ მომზადდეს განაჩენის ზეპირად გამოცხადებისას და მის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ არგუმენტებზე დაყრდნობით. თუმცა, ამავე დროს, საჭირო იქნება დაცვისთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა სრულად მოტივირებულ წერილობით გადაწყვეტილებას გაეცნოს.

პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას გარკვეული დროის გამოყოფა უნდა მოხდეს სასამართლო განხილვისთვის მოსამზადებლად და ბრალდებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების წარსადგენად. საქმეში *ჰადინ გესტოსო (Padin Gestoso) ესპანეთის წინააღმდეგ* სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმის გამოძიება გრძელდებოდა რამდენიმე წლის მანძილზე, შესაბამისად, განმცხადებელს საკმარისი დრო ჰქონდა დაცვის მოსამზადებლად მას შემდეგ, რაც 1990 წლის 11 ივნისს გადაეცა გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების წარდგენის შესახებ, რაც კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის ძირითადი მიზანია“<sup>1049</sup>. არ არსებობს მოთხოვნა, რომლის მიხედვით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს „საკმარისი“ დრო *habeas corpus* პროცედურისთვის მოსამზადებლად, ვინაიდან თავად დაკავებულის გადასანეგტია, როდის სურს სასამართლოსთვის მიმართვა.

მოსამზადებელი დროის გამოყოფა უნდა მოხდეს ცალკეული შემთხვევების დროსაც. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის, როცა ვითარება იცვლება, დაცვას უნდა მიეცეს რეაგირების შესაძლებლობა და ამისთვის აუცილებელი დრო. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მაგალითია წარდგენილი ბრალდების ცვლილება<sup>1050</sup>, ასევე ახალი მტკიცებულება, მაგალითად, ახალი მონმე<sup>1051</sup> ან პირიქით, მონმის გაუჩინარება. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დაცვის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, მას უნდა მიეცეს საამისად აუცილებელი დრო.

## 2. ტერმინ „საკმარისი“ შეფასება

დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროის გამოყოფასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით საქმეებს, რომელშიც

---

აგრეთვე ფროვინი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 179; რიდი და მერდოკი (2001) N 5 121.

<sup>1048</sup> საქმეში *X აესტრისის წინააღმდეგ* (განაცხადი 441/58) კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის სასამართლოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ასევე ვრცელდება გასაჩივრების საფუძველზე ზემდომ სასამართლოში საქმის განხილვაზე.

<sup>1049</sup> *ჰადინ გესტოსო (Padin Gestoso) ესპანეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 39519/98.

<sup>1050</sup> *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ*; *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastasiou) საბერძნეთის წინააღმდეგ*; *სადაკი (Sadak) თურქეთის წინააღმდეგ*; *სიპავიჩიუსი (Sipavicius) ლიტვის წინააღმდეგ*.

<sup>1051</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5327/71; იხ. აგრეთვე *GB საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელშიც განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მონმის ჩვენების ცვლილება სასამართლო განხილვის დროს ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტს.

განსახილველი პერიოდი მერყეობს ერთი დღიდან ერთ ნელზე მეტ დრომდე<sup>1052</sup>. შესაბამისად, საკმაოდ რთულია რაიმე სასარგებლო დასკვნების გამოტანა ამ გადაწყვეტილებებიდან. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ საქმეში კონვენციის დარღვევას არ ჰქონია ადგილი, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა დაცვას არ მიეცა დრო წარდგენილ ბრალდებაზე რეაგირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხშირად მიუთითებს საქმეში არსებული მასალების რაოდენობაზე ან მათ სირთულეზე, საქმის ცოდნაზე ან მათთან დაკავშირებულ წარსულ გამოცდილებაზე, მისი გადაწყვეტილებები საკმაოდ ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებენ. აღსანიშნავია ერთი კონკრეტული საკითხი, კერძოდ, ურთიერთკავშირი დაცვისთვის გამოყოფილ დროსა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ ვადას შორის. ერთ-ერთ საქმეში კომისიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაცვას გადაეცა შეტყობინება კანონით გათვალისწინებულ 29 დღეზე ნაკლები დროით ადრე, თუმცა მინც ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა<sup>1053</sup>. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება პირდაპირ არ ენიშნავდებოდა კონვენციის 53-ე მუხლს<sup>1054</sup>, თუმცა ნამდვილად შეუსაბამოა მის სულისკვეთებასთან. თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, განმცხადებელს უნდა მიეცეს გარკვეული ვადა, მისი ნებისმიერი შემცირება სასამართლოს მიერ ბ) ქვეპუნქტის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი შეიძლება, ერთი შეხედვით, მიმზიდველი იყოს, თუმცა სასამართლოს მიერ არჩეული გზაც მისაღებია. საქმე იმაშია, რომ სასამართლოს დანიშნულება არ არის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის იმპლემენტაცია. მის მიერ გამოყენებული კრიტერიუმები უნდა იყოს არსებითი და არა ფორმალური ხასიათის. სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სწორ გამოყენებაზე ზედამხედველობა.

### 3. წინადადებები

შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება უნდა მოხდეს საკმარისი დროის საკითხის განხილვისას:

- საქმის კომპლექსურობა, როგორც ფაქტების, ისე კანონის თვალსაზრისით, ანუ, ერთი მხრივ, შესასწავლი მასალები და გამოძიების დოკუმენტები და

<sup>1052</sup> მხოლოდ რამდენიმე მაგალითია *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§98; ერთი დღე საქმის მასალების შესასწავლად და ხუთი დღე სასამართლო განხილვისთვის მოსამზადებლად); *S გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 11821/85; ოთხი დღე მონმეთა ჩვენებების შესასწავლად); განაცხადი 11255/84 (ერთი კვირა); *პერეზ მაია (Perez Mahia)* ესპანეთის წინააღმდეგ (განაცხადი 11022/84; ათი დღე); *ჰერბერტ ჰუბერი (Herbert Huber)* ავსტრიის წინააღმდეგ (განაცხადი 5523/72; ორი კვირა გასაჩივრებისთვის); *ალბერი (Albert)* და *ლე კონტი (Le Compte)* ბელგიის წინააღმდეგ (§41; თხუთმეტი დღე დისციპლინური მოსმენისთვის მოსამზადებლად); *X და Y ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადი 7909/74; ჩვიდმეტი დღე); *კრემზოვი (Kremzow)* ავსტრიის წინააღმდეგ (§45; სამი კვირა გენერალური ადვოკატის მოსაზრების შესასწავლად); *როსი (Ross)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი 11396/85; ოცდაცხრა დღე); *პილდენი (Hilden)* ფინეთის წინააღმდეგ (განაცხადი 32523/96; ოცდაათი დღე); *ერდემი (Erdem)* გერმანიის წინააღმდეგ (განაცხადი 38321/97; ერთი თვე); *სვინარენკოვი (Svinarenkov)* ესტონეთის წინააღმდეგ (განაცხადი 42551/98; ხუთი კვირა და დრო სასამართლო მოსმენებს შორის); *ჰარვარდი (Harward)* ნორვეგიის წინააღმდეგ (განაცხადი 14170/88; ერთი ნელს მეტი).

<sup>1053</sup> *როსი (Ross)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11396/85.

<sup>1054</sup> ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელუფლებას ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელთა უზრუნველყოფა შეიძლება ნებისმიერი მაღალი ხელშემკერევი მხარის კანონმდებლობით ან რომელიმე სხვა შეთანხმებით, რომლის მონაწილეც ის არის”.

მეორე მხრივ, სახელმძღვანელოები, საქმეები და სხვა სამართლებრივი მასალები<sup>1055</sup>.

- იმ ქმედების მნიშვნელობის ხარისხი, რომლისთვისაც საჭიროა დრო. მაგალითად, როდესაც დაცვას სურს წარსულ მსჯავრდებულთან დაკავშირებული მასალების გაცნობა<sup>1056</sup>.
- სამართალწარმოების იმ ეტაპის მნიშვნელობა, რომელსაც უკავშირდება მზადება<sup>1057</sup>. მაგალითად, უფრო მეტი დრო იქნება საჭირო მოსამზადებლად სასამართლო განხილვის შემთხვევაში, მონშეთა ჩვენებების მოსმენასთან შედარებით.
- დაცვის მიმართ არსებული მოლოდინის ხარისხი, რომ უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს ნაკლები დროის გამოყოფის შესაძლებლობას, რაც უფრო მეტი ხანია გასული სამართალწარმოების დაწყებიდან<sup>1058</sup>.
- იურისტის მიმართ ჩვეულებრივ არ უნდა არსებობდეს დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობის მოლოდინი, თუმცა გამონაკლისი შეიძლება გამართლებული იყოს საქმეში არსებული სპეციფიკური გარემოებებით.
- დამცველის ცვლილების შემთხვევაში, დაცვას უნდა მიეცეს საკმარისი დრო საქმის მასალების ხელახლა შესწავლისთვის, თუ არ არსებობს გამონაკლისის დაშვების საფუძველი (ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ბრალდებული ათავისუფლებს დამცველს უმნიშვნელო მიზეზის გამო, მათ შორის, როდესაც თვალსაჩინოა, რომ მიზნად ისახავს სამართალწარმოების გახანგრძლივებას).

#### 4. დაჩქარებული სამართალწარმოება

რამდენიმე ავტორი განიხილავს დაჩქარებული სამართალწარმოების შესაბამისობის საკითხს მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტთან. ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი ამ საკითხს ღიად ტოვებენ<sup>1059</sup>. შარიერი მიიჩნევს, რომ ასეთი სამართალწარმოების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის უფლებების დაცვა, თუმცა მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არ არის სარწმუნო<sup>1060</sup>. სხვები ვერ ხედავენ რაიმე პრობლემას, თუ ბრალდებულს აქვს ჩვეულებრივი სამართალწარმოების არჩევის უფლება<sup>1061</sup>. თუმცა ზოგიერთი საუბრობს დაჩქარებული სამართალწარმოების დაუშვებლობაზე, როცა საქმე კომპლექსური ხასიათისაა<sup>1062</sup>.

უდავოა, რომ შეუძლებელია მცირე და საშუალო სიმძიმის დანაშაულებთან ბრძოლა შეკვეცილი და გამარტივებული სამართალწარმოების გამოყენების გარეშე. ეს ბრალდებულის ინტერესებშიც შედის, რადგან ხარჯისა და დროის დაზოგვის საშუალებას აძლევს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს დასაბუთების

<sup>1055</sup> S *გერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 11821/85.

<sup>1056</sup> მაგ: *ზამერი (Samer) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 4319/69.

<sup>1057</sup> გოლვიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 183.

<sup>1058</sup> *ჰუბერი (Huber) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 5523/72; *დონელი (Donnelly) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 43694/98.

<sup>1059</sup> ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995) 262.

<sup>1060</sup> შარიერი (2002) მე-6 მუხლი, N 75.

<sup>1061</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 186.

<sup>1062</sup> გოლვიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 186.

გარეშე ჩვეულებრივი სამართალწარმოების მოთხოვნის უფლება. ასევე აუცილებელია საკმარისი დროის არსებობა გამარტივებული სამართალწარმოების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

### III. საკმარისი შესაძლებლობების არსებობის უფლება

#### ა. საქმის მასალების ხელმისაწვდომობა

##### 1. ზოგადი მიმოხილვა

კომისიის მიხედვით, მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მნიშვნელობით „შესაძლებლობები“ „მოიცავს [ბრალდებულის] შესაძლებლობას, გაეცნოს, დაცვის მომზადების მიზნებისთვის, სამართალწარმოების პროცესში ჩატარებული გამოძიების შედეგებს“<sup>1063</sup>. პრაქტიკაში ეს არის დაცვის „შესაძლებლობების“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ის წარმოადგენს, როგორც ზემოთ აღინიშნა, „მოსმენის უფლების“ ასპექტს<sup>1064</sup>. წარდგენილ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად დაცვამ უნდა იცოდეს არა მხოლოდ ბრალდების<sup>1065</sup>, არამედ იმ საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ეს ბრალდება ეყრდნობა.

ხშირად აღნიშნული უფლება განიხილება როგორც „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ ელემენტი. კომისიამ ეს მოსაზრება გამოთქვა საქმეში *გი იესპერსი (Guy Jaspers) ბელგიის წინააღმდეგ*:

„შესაძლებლობების“ ცნების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, კომისია, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაწყებული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი დევნის დროს, ბრალდების გასამყარებლად, ბრალდებას გააჩნია, გამოძიების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ტექნიკური რესურსებითა და იძულების საშუალებებით აღჭურვილი სასამართლო და პოლიციური სისტემების მიერ მხარდაჭერილი შესაძლებლობები ... „დაცვის უფლებების“ არსებობის მიზანია ... თანასწორობის დამყარება. კომისიას უკვე ჰქონდა იმის თქმის საშუალება<sup>1066</sup> ... რომ ეგრეთ წოდებული „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპი შეიძლება ემყარებოდეს არა მხოლოდ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, არამედ, ასევე მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს, განსაკუთრებით, ბ) ქვეპუნქტს“<sup>1067</sup>.

<sup>1063</sup> *გი იესპერსი (Guy Jaspers) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8404/78, §56. იხ. აგრეთვე *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §27; *ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §55-7; *ფიტი (Fitt) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §46-50; *როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §46-50.

<sup>1064</sup> ამის თვალსაჩინო მაგალითია საქმე *სერვე (Serves) საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელშიც გამოძიებულმა მოსამართლემ განმცხადებელს დააკისრა ჯარიმა, მონმის სახით ფიცის დადებაზე უარისთვის, ამ უკანასკნელის მოსმენის გარეშე. კომისიისგან განსხვავებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდა გასაჩივრების ეტაპზე და შესაბამისად, კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

<sup>1065</sup> ამ საკითხს მოიცავს ა) ქვეპუნქტი.

<sup>1066</sup> ივლისსმება საქმეები *ოფნერი (Ofner) და ჰოპფინგერი (Hopfinger) ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადები 524/59 და 617/59, §46); *პატაკი (Patacki) და დუნშირი (Dunshirn) ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადები 596/59 და 789/60, §36).

<sup>1067</sup> *გი იესპერსი (Guy Jaspers) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8404/78, §55. საქმეში *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ* (§33) მხარეთა თანასწორუფლებიანობა აგრეთვე ნახსენებია საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლებასთან კავშირში; *ლამი (Lamy) ბელგიის წინააღმდეგ*, §29.

ის მოსაზრება, რომ დაცვა უნდა ფლობდეს იმავე ინფორმაციას, რასაც ბრალდება, ნაწილობრივ სწორია<sup>1068</sup>, თუმცა ბ) ქვეპუნქტი არ შემოიფარგლება მხოლოდ თანასწორობის პრინციპით. მეორე მხრივ, დრო და შესაძლებლობები შეიძლება „საკმარისი“ იყო იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდება გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა.

სტრასბურგის ორგანოების მიერ თანასწორობის პრინციპი ყოველთვის არ ყოფილა მკაცრად მხარდაჭერილი. მაგალითად, საქმეში *კრემცოვი (Kremzow) ავსტრია ნინალმდეგ* განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის დარღვევის არსებობას, ვინაიდან გენერალური ადვოკატის მოხსენება მას მხოლოდ სასამართლო განხილვამდე სამი კვირით ადრე გადაეცა. ამ დროს ბრალდებისთვის, რასაკვირველია, უკვე ცნობილი იყო დოკუმენტის შინაარსის შესახებ. სასამართლომ განაცხადა, რომ „ამას შეიძლება გამოეწვია ნაწილობრივ არახელსაყრელი ვითარება განმცხადებლისთვის დაცვის მოსამზადებლად, თუმცა მას მაინც გააჩნდა „საკმარისი დრო და შესაძლებლობები“ [გენერალური ადვოკატის მოხსენებაზე] პასუხის მომზადებისთვის“<sup>1069</sup>. ცხადია, გამოძიების იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებშიც ბრალდებულის დახმარება საჭირო, ბრალდებას ყოველთვის ექნება უპირატესობა დაცვასთან შედარებით<sup>1070</sup>. ამის საპირწონედ დაცვა სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით.

*ბარბერას (Barbera), მესაგეს (Messague) და ხაბარდოს (Jabardo)* საქმეში სასამართლო შეეცადა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის დაკავშირებას უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებასთან: „მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან ასევე გამომდინარეობს, რომ ბრალდებას ევალება, ბრალდებულის ინფორმირება მისთვის წარდგინილი ბრალდების შესახებ, რათა მან შეძლოს დაცვის მომზადება და [სასამართლოზე] მისი წარმოდგენა“<sup>1071</sup>. თუმცა ეს მოსაზრება მოგვიანებით უარყოფილი იქნა.

## 2. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის ოთხი ასპექტი

განვიხილოთ ამ „შესაძლებლობის“ ოთხი ძირითადი ასპექტი: ხელმისაწვდომობის უფლება კონტინენტურ სისტემაში; მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარდგენა ანგლოსაქსური სისტემის მიხედვით; „დაფარული დოკუმენტების“ გამჟღავნება ორივე სისტემის საფუძველზე; და დაცვის მიერ გამოძიების ჩატარება.

### ა. საქმის მასალების ხელმისაწვდომობა კონტინენტურ სისტემაში

კონტინენტურ სისტემაში, მისი ინკვიზიციური წინასასამართლო სტადიით, გამოძიება ამზადებს საქმეს, რომელიც სასამართლო განხილვის ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საერთო სამართლის სისტემისგან განსხვავებით, სასამართლო ყოველთვის არ მისდევს „უშუალობის პრინციპს“, რომელიც ყველა მტკიცებულების სასამართლოზე წარმოდგენას გულისხმობს. კონტინენტურ სისტემაში ხშირად სხვაგვარი ვითარებაა. ვერდიქტის გამოტანა ხდება არა ნაფიცი მსაჯულების, არამედ პროფესიონალი მოსამართლეების მიერ, რომლებიც, ჩვეულებრივ, სწავლობენ გამოძიების დროს დიდი სიფრთხილით მომზადებულ საქმეს. საქმეში არსებული მასალები, როგორც წესი, შედგება პოლიციის, საგამოძიებო ან პროკურატურის

<sup>1068</sup> იხ. მაგ: პეფლიგერი და შურმანი (1999) 223; პარისი, ოპოილი და უორბრიქი (1995) 255; მერილსი და რობერტსონი (2001); სტავროსი (1993) 182. რიდი და მერდოკი (2001) N 5 121.

<sup>1069</sup> *კრემცოვი (Kremzow) ავსტრიის ნინალმდეგ*, § 50.

<sup>1070</sup> იხ. მაგ: მაკკონელი (1991); მასბარნეტი (1981).

<sup>1071</sup> *ბარბერა (Barbera), მესაგე (Messague) და ხაბარდო (Jabardo) ესპანეთის ნინალმდეგ*, § 77.



ორგანოს მიერ ბრალდებულისა და მონშეების დაკითხვის ოქმების, ექსპერტების მოსაზრებების, დანაშაულის ადგილის სურათების, რუკებისა და გეგმების, ჩხრეკის ოქმების, სხვა დოკუმენტებისა და მტკიცებულებებისგან, როგორცაა დანაშაულის ჩადენის იარაღი. მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნულ მასალებზე და სასამართლო განხილვის დროს შეგროვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ცხადია, ასეთ სისტემაში საქმის მასალების წინასწარ ცოდნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაცვისთვის.

### ბ. მტკიცებულებების წარდგენა საერთო სამართლის სისტემაში

განსხვავებული ვითარებაა საერთო სამართლის სისტემაში. ვერდიქტის გამოტანა, როგორც წესი, ან იდეალურ შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულების მიერ ხდება<sup>1072</sup> სასამართლოზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. არც ერთი მსაჯული ან მოსამართლე არ ეცნობა ოქმებს. ბრალდების მიერ მომზადებული საქმე არ ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ის მხოლოდ ასრულებს ერთგვარი „პროგრამის“ ფუნქციას, რომლის შესაბამისად, ბრალდება სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს.

აქედან გამომდინარე, კონტინენტური სისტემისგან განსხვავებით, ბრალდების მიერ შედგენილი საქმე არ ხდება სასამართლოს განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, დაცვას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, იცოდეს რა ელის. მისთვის წინასწარ უნდა გახდეს ცნობილი პროკურატურის მიერ მომზადებული საქმის შესახებ, რათა შეძლოს ეფექტიანი ოპონირების განევა. თუმცა, ვინაიდან პროკურატურის საქმე არ არის სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი და სასამართლო მას არ ფლობს, უმჯობესია, ვისაუბროთ მტკიცებულებების „სასამართლოსთვის წარდგენაზე“ და არა „ხელმისაწვდომობაზე“<sup>1073</sup>. ინგლისის სასამართლოებში სამართალწარმოების ძირითადი პრინციპია ის, რომ ბრალდებამ უნდა გადასცეს დაცვას ყველა მტკიცებულება, რომელსაც სასამართლოზე გამოიყენებს<sup>1074</sup>. ატლანის (Allan) საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ბრალდებისგან მოითხოვს მის ხელთ არსებული ბრალდებულის საწინააღმდეგო თუ მისი მხარდაჭერი ყველა ნივთიერი მტკიცებულების დაცვისთვის გადაცემას<sup>1075</sup>. სასამართლო ამ საქმეში შემოიფარგლა მხოლოდ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განხილვით. პრეცედენტული სამართლის ადრეულ ეტაპზე კომისიამ განაცხადა, რომ ბ) ქვეპუნქტი „არ მოითხოვს ბრალდების ორგანოსგან ბრალდებულის ინფორმირებას ყველა იმ მტკიცებულების შესახებ, რომლის წარმოდგენა შეიძლება მოხდეს სასამართლო განხილვაზე“<sup>1076</sup>. თუმცა ეს მოსაზრება დღეს უკვე აშკარად მოძველებულია.

### გ. „დაფარული მასალების“ გამჟღავნება

აქამდე ვსაუბრობდით სასამართლოს ან გამომძიებლის მიერ სასამართლო განხილვის დროს გამოყენებული მასალების (დროულ) ხელმისაწვდომობაზე.

<sup>1072</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ გაერთიანებულ სამეფოში სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ 1%-ს განიხილავს ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო. შოტლანდიაში არსებობს „სასამართლო განხილვის“ რამდენიმე მოდელი, მათ შორის გამარტივებული სამართალწარმოება, როდესაც საქმეს განიხილავს ერთი პროფესიონალი მოსამართლე ნაფიცი მსაჯულთა გარეშე.

<sup>1073</sup> იხ. მაგ. კორკერი (1996).

<sup>1074</sup> *Ibid.*, 1-18.

<sup>1075</sup> ატლანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §40. იხ. აგრეთვე როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §60.

<sup>1076</sup> მაგ. X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 5282/71; იხ. სტავროსი (1993) 182.

თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ყველა სისტემას ახასიათებს ბრალდების შერჩევითი მიდგომა იმის განსაზღვრისას, თუ რომელი მასალა უნდა შევიდეს საქმეში ან წარმოდგენილ იქნეს სასამართლოს წინაშე. საუკეთესო შემთხვევაში ბრალდება არ წარმოადგენს მხოლოდ არარელევანტურ მტკიცებულებებს. პროკურატურას შეუძლია „ლეგიტიმურად დაიტოვოს ის დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს პერსონალურ ჩანაწერებსა და შიდა მიმოწერას“<sup>1077</sup>. კომისიის ასეთი მიდგომა შეიძლება ძალზე ვიწროდ ჩაითვალოს<sup>1078</sup>. პროკურატურის ხელთ არსებული მასალები შეიძლება შეიცავდეს დოკუმენტებს, რომელთა არარელევანტურობა დადასტურდა გამოძიების პროცესში. ასეთი დოკუმენტების მაგალითებია იმ პირთა დაკითხვის ოქმები, რომლებიც თავდაპირველად პოტენციურ მონმებად განიხილებოდნენ, თუმცა ვერ შეძლეს ღირებული ცნობების მიწოდება გამოძიებისთვის ან უშედეგო ჩხრეკის ოქმები. საქმის მასალებში მსგავსი დოკუმენტების შეტანისგან თავის შეკავება შეიძლება გამომდინარეობდეს პირადი ცხოვრების პატივისცემის ინტერესებიდან და საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან<sup>1079</sup>.

თუმცა საინტერესოა, ვინ უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტების რელევანტურობის საკითხი. შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს იმის ცოდნა, რომ გარკვეულმა საგამოძიებო მოქმედებებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო. საქმეში *ედვარდსი (Edwards) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* განმცხადებელი არ იქნა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ფოტოსურათის მეშვეობით მისი იდენტიფიცირება ვერ შეძლო მონმემ, რომელიც აცხადებდა, რომ ამოიცნობდა თავმდაძსხმელს. განმცხადებელს ასევე არ ეცნობა დანაშაულის ადგილზე თითის ანაბეჭდების არარსებობის შესახებ. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ განიხილა ეს საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელი ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა მსჯავრდებული.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სასამართლოს არგუმენტაციის ორი ასპექტი. ინფორმაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტია შემდეგი წინადადება: „სასამართლოს მოსაზრებით, მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ... ბრალდების ორგანობებმა დაცვას აცნობონ ბრალდებულის საწინააღმდეგო ან მისი მხარდამჭერი ყველა ნივთიერი მტკიცებულების შესახებ და მოცემულ საქმეში ამის არგაკეთებამ გამოიწვია ხარვეზი სასამართლო სამართალწარმოებაში“<sup>1080</sup>. სამწუხაროდ, სასამართლომ არ განაცხადა, რომ ბრალდების მიერ მომზადებული საქმის სრული და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „საკმარისი შესაძლებლობების“ ნაწილს<sup>1081</sup>. თუმცა ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან შეიძლება ერთადერთი დასკვნის გამოტანა, რომ დარღვეული იყო დაცვის მოსამზადებლად საკმარისი შესაძლებლობების არსებობის მინიმალური უფლება. იმის მიუხედავად, რომ მე-ნ მუხლის დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი, არის სასამართლოს მიდგომა, სამართალწარმოება განიხილოს მთლიანობაში, ასევე, გასაჩივრების

<sup>1077</sup> გი იესპერსი (Guy Jaspers) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 8404/78.

<sup>1078</sup> კრიტიკული მოსაზრებისთვის იხ. აგრეთვე სტავროსი (1993) 179.

<sup>1079</sup> იხ. მაგ: კრაუსი (1983) 49.

<sup>1080</sup> *ედვარდსი (Edwards) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 36.

<sup>1081</sup> გამონაკლისია ის მასალები, რომლებიც სრულიად უსარგებლოა საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, განსაკუთრებით, როცა საქმესთან კავშირში არმყოფ პირთა პირად ცხოვრებას შეეხება.

ეტაზე, განმცხადებლის მიერ გამოჩენილი არაჯეროვანი გულმოდგინება და თავდაპირველი სასამართლო განხილვის ხარვეზების გამოსწორება შემდგომში სააპელაციო სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისას.<sup>1082</sup>

*ედვარდის (Edwards) საქმეში* ვერც კომისიამ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა, თუმცა უფრო სოლიდურ არგუმენტზე დაყრდნობით. განმცხადებელმა სრულად აღიარა დანაშაული<sup>1082</sup>. შეიძლება იმის თქმა, რომ აღიარება მოხდა მოტყუების საფუძველზე და შესაბამისად, იყო უკანონო კონტინენტური სამართლის მიხედვით. თუმცა ასეთი ბრალდება არ იქნა გამოთქმული.

მთავარი კითხვა კვლავაც ღიაა რჩება: ვინ უნდა გადაწყვიტოს, საქმე სწორად იქნა შედგენილი, თუ მნიშვნელოვანი ნაწილები იქნა გამოტოვებული<sup>1083</sup>? პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს რაიმე კონტროლის მექანიზმი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ბრალდების, გამოძიების ორგანოს მიერ. თუმცა მიუღებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მათ მიეძღვოდეთ, რადგან ისინი დანაშაულის ჩამდენ პირთა მსჯავრდების ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებიან და სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. დაცვა არსებობს სამართლიანი ბალანსის მისაღწევად, თუმცა ამ ფუნქციის შესრულებას ვერ შეძლებს, თუ არ იცის მისი მონინალმდებლის ქმედებების შესახებ. ასევე ცხადია, რომ არარეალისტური იქნებოდა ამ გადაწყვეტილების მიზნობა დაცვისთვის, რომელსაც ფორმალურადაც არ ევალება ობიექტურობის დაცვა. ორმხრივი პასუხისმგებლობაც შეუძლებელია, ვინაიდან იმ პირთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება დარჩებოდა სერიოზული დაცვის გარეშე, რომლებიც არ არიან დანაშაულთან დაკავშირებული.

ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია ის, რომ ბრალდების მიერ შედგენილი საქმის სრულფასოვნების შემოწმების ამოცანა დაეკისროს ნეიტრალურ ორგანოს. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ასეთი უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს საქმის განმხილველ მოსამართლეს<sup>1084</sup>. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მოსამართლის მიუკერძოებლობა. შესაძლოა საუკეთესო ვარიანტი იყოს ამ ამოცანის დაკისრება უწყებაზე, რომელსაც ევალება გამოძიებისა და ბრალდების ორგანოების ზედამხედველობა. ომბუდსმენი ან იურისტთა ასოციაცია შეიძლება ასევე იყოს ერთ-ერთი ვარიანტი. დაცვას უნდა ჰქონდეს პროკურატურის მიერ შედგენილი საქმის ნეიტრალური შემოწმების მოთხოვნის უფლება, თუ შეძლებს დასაბუთებული და კონკრეტული მიზეზების წარმოდგენას.

#### **დ. დაცვის მიერ გამოძიების ჩატარება**

დაცვას ასევე უნდა შეეძლოს, საკუთარი გამოძიების ჩატარება. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ პრინციპიდან. დაცვას უნდა ჰქონდეს პოტენციურ მონმებთან გასაუბრების, დოკუმენტებისა და სხვა ნივთიერი მტკიცებულებების მოძიების და ანგარიშის მოსამზადებლად ექსპერტების მონვევის შესაძლებლობა.

ცხადია, ამ სფეროში თანასწორობა შეიძლება მხოლოდ შეზღუდული ხასიათის იყოს. კერძოდ, დაცვის განკარგულებაში არ იქნება იძულების ღონისძიებები. მას არ მიეცემა, როგორც მინიმუმ, კონტინენტური სისტემის საფუძველზე, მონმეთა სახით, პირების ფორმალური დაკითხვის, სხვა პირთა მიმონერისა და სატელეფონო საუბრების მონიტორინგის ან ჩხრეკის ნებართვის მიღების შესაძლებლობა. თუმცა

<sup>1082</sup> *ედვარდი (Edwards) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §53.

<sup>1083</sup> იხ. ტრექსელი (2002) 999.

<sup>1084</sup> გოლეიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 181.

დაცვას უნდა ჰქონდეს ბრალდების ორგანოსთვის დამატებითი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით მიმართვის უფლება. უარის გასაჩივრება კი სასამართლოში უნდა იყოს შესაძლებელი. დაცვის ამგვარი მოთხოვნების უარყოფა დასაშვებია მხოლოდ სერიოზული მიზეზების საფუძველზე, მათ შორის, როცა მტკიცებულება არარელევანტურია, უკანონოა (ჩხრეკის ჩატარება საელჩოს ტერიტორიაზე) ან უბრალოდ ზედმეტია. ამ უკანასკნელის მაგალითია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ფაქტის დადგენა უკვე მოხდა ან ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას<sup>1085</sup>. შეიძლება რთული აღმოჩნდეს იმის განსაზღვრა, რამდენად რელევანტურია მტკიცებულება. თუმცა დაცვის მოთხოვნის უარყოფა უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, როცა მტკიცებულების არარელევანტურობა აშკარაა.

არსებობს სხვა მრავალი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის დაცვას მტკიცებულებების შეგროვებაში. ქვეყნებში, სადაც კონტინენტური სისტემის შესაბამისად, მტკიცებულებების შეგროვება ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციად ითვლება და სასამართლო განხილვის დროს ჯვარედინი დაკითხის უფლება არ არსებობს, ნებისმიერი კავშირი დაცვასა და პოტენციურ მონმეს შორის აღძრავს ეჭვებს. არსებობს მონმეებზე გავლენის მოხდენის სერიოზული შიში და ასეთი კავშირები შეიძლება მთლიანად იყოს აკრძალული. სხვა სირთულეები შეიძლება უკავშირდებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებს. მაგალითად, შვეიცარიაში დანაშაულად ითვლება უცხო ქვეყნის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებში შედის. ვინაიდან მტკიცებულებების შეგროვება ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციაა, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ადვოკატი შვეიცარიაში მონმის დაკითხვით შეიძლება დანაშაულს სჩადიოდეს.

### 3. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის მოდალობები

#### ა. ობიექტი

ჩვენ უკვე ნაწილობრივ განვიხილეთ რისგან შედგება საქმის მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის საფუძველზე. კომისია იძლევა შემდეგ რჩევას: „ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას ... ვის მიერ და როდის ტარდება გამოძიება. კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებში არსებულ სამართლებრივ სისტემათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, კომისიას არ შეუძლია შეზღუდოს „შესაძლებლობების“ ცნების მოქმედების სფერო სამართალწარმოების კონკრეტული სტადიებით, მაგალითად, წინასწარი გამოძიებით ... ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც უნდა განხორციელდეს სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და შედეგად მიღებული მიგნებები, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მნიშვნელობით, „შესაძლებლობების“ შემადგენელი ნაწილია“<sup>1086</sup>. კომისია კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც განაცხადა, რომ „კონვენცია აღიარებს ბრალდებულის უფლებას, თავის გამართლების ან სასჯელის შემცირების მიზნით, ჰქონდეს ყველა რელევანტური ელემენტი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოების მიერ იქნა მოპოვებული ან შეიძლება ყოფილიყო მოპოვებული“<sup>1087</sup>.

კომისიის ეს დასკვნა სცილდება საქმის მასალების ტრადიციულ შინაარსს და მოიცავს იმ „შესაძლებლობებს“, რომლებიც ჯერ არ არსებობს, თუმცა რომელთა

<sup>1085</sup> პაუზერი და შერი (2002) § 55 N 9.

<sup>1086</sup> გი იესპერსი (Guy Jaspers) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 8414/78, § 56.

<sup>1087</sup> *Ibid.*, § 58.

უზრუნველყოფა ევალება სახლმნიფო ორგანოებს. ამავე დროს, სიტყვები „შეიძლება ყოფილიყო“ უნდა ნავიკითხოთ „რელევანტურთან“ კავშირში. სწორი იქნება, თუ ზემოთ მოყვანილ წინადადებას განვმარტავთ, როგორც ბრალდების მოვალეობას, ჩაატაროს დაცვის ხელშემწყობი გამოძიება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინკვიზიციური მოდელის გავლენასთან<sup>1088</sup>.

თუმცა მოგვიანებით განხილული საქმეები არ ადასტურებენ აღნიშნულ მიდგომას. პირიქით, აქცენტი კეთდება გულმოდგინებაზე, რომელიც დაცვამ უნდა გამოიჩინოს. რამდენიმე საქმეში სასამართლომ უარი თქვა კონვენციის დარღვევის დადგენაზე, ვინაიდან დაცვას შეეძლო შესაბამისი ზომების მიღება სასამართლოში საკუთარი მტკიცებულებების წარსადგენად. *იესპერსის (Jespers)* ზემოთ განხილულ საქმეში კომისიამ განაცხადა, რომ სწორედ დაცვას უნდა მოენვია ის პირი მონმის სახით, რომლის განცხადებებიც ვერ მოხვდა საქმეში<sup>1089</sup>.

საკმარისია თუ არა დაცვის მიერ დოკუმენტების ასლების ხელმისაწვდომობა? როგორც წესი, საკმარისია, რადგან მხოლოდ დოკუმენტის შინაარსს აქვს მნიშვნელობა. თუმცა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს ორიგინალების ნახვა და შემოწმება. მაგალითად, როდესაც საქმე შეეხება გაყალბებას, დაცვას შეიძლება დასჭირდეს შესაბამისი საგნის წარდგენა ექსპერტიზისთვის.

დოკუმენტური მტკიცებულებების გარდა საქმის მასალები შეიძლება ასევე შეიცავდეს სხვა საგნებს. *ბრიკმონის (Brickmont)* საქმეში განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ ვერ შეძლო მისი მონინალმდგის მიერ დახატული და მისთვის მიძღვნილი გუაშის მოპოვება. სასამართლომ კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა, თუმცა არც ის უთქვამს, რომ აღნიშნულ საგანს არ მოიცავდა მე-3(ბ) პუნქტით გათვალისწინებული უფლება<sup>1090</sup>.

ზოგჯერ ერთმანეთისგან განასხვავებენ „დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებასა“ და სხვა სახის მტკიცებულებებს<sup>1091</sup>. მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლება პირველთან მიმართებაში. თუმცა ასეთი განსხვავება არ არის მართებული. მაგალითად, შეიძლება სასურველი იყოს იმ მონმის ვინაობის ცოდნა, რომლის ჩვენება უარყოფითი იქნება, თუმცა შესაძლოა მისი სანდოობის ხარისხი იყოს დაბალი. მეორე მხრივ, ექსკლუზიურად დაცვის გადასანეეცია, აქვს თუ არა ინტერესი საქმეში არსებული ამა თუ იმ მასალის მიმართ. თუმცა ისიც მართალია, რომ ხელმისაწვდომობის სრული შეზღუდვა, თავისთავად, არ ჩაითვლება კონვენციის დარღვევად, თუ არ იქნა ნაჩვენები, რომ მასალას შეუძლია გარკვეული სარგებელი მოუტანოს დაცვას. ეს არის კონვენციის ტექსტისთვის დამახასიათებელი სისუსტე. სასამართლოს შეუძლია პრეცედენტული სამართლის გაძლიერება, თუ იმავე მიდგომას გამოიყენებს, რომელსაც მოსამართლის მიუკერძოებლობის განსაზღვრის დროს იყენებდა, რომ „შთაბეჭდილებები მნიშვნელოვანია“<sup>1092</sup>. სრულიად არადაამაკმაყოფილებელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ

<sup>1088</sup> სტავროსი (1993) 178.

<sup>1089</sup> *გი იესპერსი (Guy Jespers)* ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 8401/78, §64.

<sup>1090</sup> *ბრიკმონი (Brickmont)* ბელგიის წინააღმდეგ, §92. იხ. აგრეთვე *დონელი (Donnelly)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 43694/98.

<sup>1091</sup> მაგ: სტავროსი (1993) 181; ფილიგერი (1999) N 502.

<sup>1092</sup> იხ მაგ: *ჰაუსილტი (Hauschildt)* დანიის წინააღმდეგ, §48; *თორგერ თორგერსონი (Thorgeir Thorgeirson)* ირლანდიის წინააღმდეგ, §51; *ინჯალი (Incal)* თურქეთის წინააღმდეგ, §71;

სამართალწარმოების დასრულების შემდეგ არის შესაძლებელი იმის გარკვევა, საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა თუ არა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტს.

არსებობს კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც ძალიან ვიწროა და აქცენტს აკეთებს დაცვისთვის *მნიშვნელოვან* მტკიცებულებაზე<sup>1093</sup>. თუმცა ცხადია, რომ ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს იმ მასალების ხელმისაწვდომობა, რომლებიც ვერ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად, თუმცა შეუძლია სხვა მტკიცებულებამდე მიიყვანოს დაცვა.

### ბ. ვის მიუწევდა ხელი საქმის მასალებზე?

ხელმისაწვდომობის უფლების ბენეფიციარის საკითხი რამდენიმე საქმეში იქნა განხილული. საკმარისია თუ არა მხოლოდ ბრალდებულის ან მისი დამცველის მიერ საქმის მასალების ხელმისაწვდომობა? ამ კითხვას კომისიამ პასუხი გასცა 1960 წელს, როდესაც განაცხადა, რომ „მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული უფლებები ეუთვნის როგორც ბრალდებულს, ისე ზოგადად დაცვას: ... დამცველი, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, თუ მხოლოდ მისი სახელით მოქმედი პირი, უფლებამოსილია *mutatis mutandis* ისარგებლოს მე-3 პუნქტში მოცემული უფლებებით, ვინაიდან ამ უფლებების მიზანია ბრალდებულის ჯეროვანი დაცვის უზრუნველყოფა. შედეგად ... იმის გასარკვევად, დაცული იყო თუ არა დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროსა და შესაძლებლობების არებობის უფლება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოგადი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება დაცვა და არა მხოლოდ ბრალდებული“<sup>1094</sup>.

ეს საკითხი სასამართლოს განხილვის საგანი პირველად გახდა საქმეში *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დამცველს „საკმარისად მიუწევდა ხელი სასამართლოს დოკუმენტებზე, მათ შორის შეეძლო ასლების გადაღება და ჰქონდა საკუთარ კლიენტთან კონსულტაციის საკმარისი შესაძლებლობები“<sup>1095</sup>. მხოლოდ დამცველის მიერ საქმის მასალების ხელმისაწვდომობა არ ჩაითვალა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის დარღვევად. თუმცა ამ საქმეში ძირითადი პრეტენზია მიმართული იყო თავად დამცველის და არა ხელისუფლების ორგანოების მიმართ. საქმეში *კრემოცოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ* სასამართლომ განაცხადა, რომ „სასამართლოს დოკუმენტების შემონეების უფლების მინიჭება მხოლოდ დამცველისთვის არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დაცვის უფლებებს“<sup>1096</sup>. *ფუშერის (Foucher)* საქმე სრულად შეესაბამება აღნიშნულ გადანყვეტილებას. აქ სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა იმის გამო, რომ განმცხადებელს არ მიეცა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, თუმცა წინა საქმეებისგან განსხვავებით, მას არც დამცველის მომსახურებით უსარგებლია<sup>1097</sup>.

---

პულარი (Pullar) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §38.

<sup>1093</sup> პეფლიგერი და შურმანი (1999) 225.

<sup>1094</sup> ოფერი (Ofner) და ჰოპფინგერი (Hopfinger) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 524/59

<sup>1095</sup> კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ, §52. იხ. აგრეთვე X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 4042/69; ჰარვარდი (Harward) ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 14170/88.

<sup>1096</sup> კრემოცოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, §52. ეს გადანყვეტილება დადასტურდა საქმეში კიტოვი (Kilov) დანის წინააღმდეგ, განაცხადი 29759/96.

<sup>1097</sup> ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ, §35; ეს გადანყვეტილება დადასტურდა საქმეში კიტოვი (Kilov) დანის წინააღმდეგ, განაცხადი 29759/96.

სასამართლოს ეს პრეცედენტული სამართალი მისაღებია მხოლოდ იმ პირობით, რომ დამცველს უნდა ჰქონდეს ასლების გადაღების შესაძლებლობა, რომლის გაცნობასაც შეძლებს ბრალდებული. თუმცა სასურველია, რომ საქმის მასალებზე ხელი მიუწვდებოდეს როგორც დამცველს, ისე ბრალდებულს. ეს აუცილებელია დამცველისთვის, რათა შეძლოს მასალის რელევანტურობის განსაზღვრა. მეორე მხრივ, მხოლოდ ბრალდებულმა იცის ზუსტად, რა მოხდა იმ დროს, როდესაც მას დანაშაულის ჩადენას ედავებოდა. შესაბამისად, მხოლოდ ის შეძლებს განსაზღვროს, მაგალითად, რამდენად სანდოა მონმის ჩვენება. მისთვის, როგორც წესი, საქმარისი უნდა იყოს ასლების გაცნობა, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დოკუმენტის ორიგინალის ნახვაც გახდეს საჭირო.

დანიში დამცველს არა აქვს ბრალდებულისთვის საქმის მასალების გადაცემის უფლება პოლიციის ნებართვის გარეშე. ამის მიზანია უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. თუმცა შესაძლებელია ბრალდებულის მიერ დამცველის ოფისში საქმის მასალების გაცნობა<sup>1098</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი გარკვეულ სირთულეებს უქმნის დაცვას, ის მაინც შეესაბამება მე-ნ მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მოთხოვნებს. საქმეში *კიტოვი (Kitov)* დანიის წინააღმდეგ განმცხადებელი, რომლის ერთ-ერთი დამცველი ნიდერლანდებში იმყოფებოდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ამ უკანასკნელს არ გავგზავნა საქმის მასალები. სასამართლომ განაცხადა, რომ დაცული იყო ჯეროვანი ბალანსი, „ერთი მხრივ, საქმის მასალების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზანსა და მეორე მხრივ, განმცხადებლის ჯეროვან დაცვას შორის“<sup>1099</sup>.

ერთ-ერთ ადრეულ საქმეში *კიოპლინგერი (Köplinger)* ავსტრიის წინააღმდეგ<sup>1100</sup> კომისიამ განიხილა დამცველთან შეხვედრაზე ბრალდებულის მიერ თავისი ჩანაწერებისა და მონიშნული დოკუმენტების ნალების აკრძალვის საკითხი. კომისიამ უბრალოდ განაცხადა, რომ განმცხადებელს „ხელი არ შეშლია საჩივრის მომზადებაში“. კომისიამ არასწორი შეკითხვა დასვა. მას უნდა ეკითხა არა ის, ხელი შეეშალა თუ არა განმცხადებელს, არამედ ჰქონდა თუ არა საქმარისი შესაძლებლობები საჩივრის მოსამზადებლად. არ არსებობდა ასეთი შეზღუდვის გამართლების რაიმე საფუძველი. ისიც მართალია, რომ კონვენცია ითვალისწინებს საქმარისი შესაძლებლობების ქონის უფლებას, თუმცა მკაფიოდ არ კრძალავს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც არ არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“<sup>1101</sup>. განმცხადებლისთვის ნამდვილად რთული უნდა ყოფილიყო იმის ჩვენება, რომ დაცვის მომზადებისას მართლა შეეშალა ხელი, თუმცა ასეთი მტკიცებულების წარდგენის მოთხოვნა, თავისთავად, საკმაოდ არაგონივრულია.

სტავროსი გვაფრთხილებს, რომ დამცველისა და ბრალდებულის განხილვა ერთიან სუბიექტად შეიძლება არასწორი იყოს, განსაკუთრებით, სახაზინო ადვოკატის შემთხვევაში. მისი მოსაზრებით, აუცილებელია ისეთი მექანიზმის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის ეფექტიან მოქმედებას<sup>1102</sup>.

<sup>1098</sup> დანიის მართლმსაჯულების განხორციელების აქტის 745(1) მუხლი.

<sup>1099</sup> *კიტოვი (Kitov)* დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 29759/96.

<sup>1100</sup> *კიოპლინგერი (Köplinger)* ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 1850/93.

<sup>1101</sup> თუმცა საქმეში *კანი (Can)* ავსტრიის წინააღმდეგ კომისიამ სწორედ ეს ფორმულირება გამოიყენა: „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საკუთარი დაცვის ჯეროვანად ორგანიზების საშუალება, დაცვის ყველა არგუმენტის სასამართლოს წინაშე წარდგენის და შესაბამისად, სამართალწარმოების შედეგზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მუხლადვის გარეშე.“ §53.

<sup>1102</sup> სტავროსი (1993) 185.

ეს მოსაზრება სრულიად მისაღებია, თუმცა, ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის შესახებ. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს სახაზინო ადვოკატის უმოქმედობის ან არაჯეროვანი მოქმედების გასაჩივრების საშუალება<sup>103</sup>, თუმცა მიუღებელია სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი ზედამხედველობა დამცველის საქმიანობაზე.

### გ. როდის წარმოიქმნება ხელმისაწვდომობის უფლება?

სამართალწარმოების პროცესში რა მომენტიდან უნდა მიუწვდებოდეს დაცვას ხელი საქმის მასალებზე? ბონცის (*Bonzi*) საქმეში კომისიამ დასვა კითხვა: „ერცვლდება თუ არა წინასწარ გამოძიებაზე მე-ნ მუხლის მე-3(ბ) პუნქტი, რომელიც იცავს ბრალდებულს დაჩქარებული სასამართლო განხილვისგან, როდესაც მას ბრალდებასთან თანაბარ პირობებში, ხელი არ მიუწვდება საქმეში არსებულ ყველა დოკუმენტზე“<sup>104</sup>? ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ადრეული პრეცედენტული სამართალი ამ თვალსაზრისით საკმაოდ პრაგმატული იყო. ითვლებოდა, რომ ხელმისაწვდომობის უფლების მოქმედება იწყება ყველაზე გვიან, ბრალდების წარდგენის მომენტიდან<sup>105</sup>. მოგვიანებით, ეს მიდგომა არსებითად შეიცვალა: დაცვისთვის ცნობილი უნდა გახდეს თვით ყველაზე პირველი საგამოძიებო მოქმედებების შედეგების შესახებ. საქმეში *იესპერსი (Jespers) ბელგიის წინააღმდეგ*<sup>106</sup> გაკეთებული მითითება „სამართალწარმოების [სხვადასხვა] ეტაპებზე“ ნათელს ხდის, რომ დაუშვებელია საქმის მასალების ნაწილი არ გახდეს დაცვისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად იქნა მიღებული.

საქმეში *ლამი (Lamy) ბელგიის წინააღმდეგ*, რომელიც *habeas corpus* პროცედურას უკავშირდებოდა, საკითხი ახალ ჭრილში იქნა განხილული. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა საქმეში არსებულ ყველა მასალაზე, მათ შორის ორ ანგარიშზე. ბელგიური კანონმდებლობის მიხედვით, საქმის მასალები დაცვისთვის არ იყო ხელმისაწვდომი წინასწარი პატიმრობიდან პირველი 30 დღის განმავლობაში. განმცხადებელი დააკეცა 1983 წლის 18 თებერვალს და ოთხი დღის შემდეგ წარდგა სასამართლოს წინაშე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „განმცხადებლის მიერ დოკუმენტების ხელმისაწვდომობა აუცილებელი იყო სამართალწარმოების ამ გადამწყვეტ ეტაპზე ... ეს შესაძლებლობას მისცემდა დამცველს ... მიემართა სასამართლოსთვის სხვა ბრალდებულთა ჩვენებებისა და დამოკიდებულების საკითხზე ...“ სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა. ვინაიდან სამართალწარმოება არ იყო „ჭეშმარიტად შეჯიბრებითი“<sup>107</sup>.

მომდევნო სამი გადწყვეტილებით სასამართლოს ეს მიდგომა კიდევ უფრო გაძლიერდა<sup>108</sup>. ამ საქმეებში არსებული განსხვავებული გარემოებების მიუხედავად,

<sup>103</sup> იხ. მაგ: არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ; გოდი (*Goddi*) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>104</sup> ბონცი (*Bonzi*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7854/77. იხ. აგრეთვე კროხერი (*Kröcher*) და მოილერი (*Möller*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8463/78.

<sup>105</sup> X აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 1816/63; ნოიმაისტერი (*Neumeister*) აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 6422/70; X აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 7136/75; ტრეიქსელი (*1979*) 353; ფოგლერი (*1995*) N 491.

<sup>106</sup> გი იესპერსი (*Guy Jespers*) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 8404/78; § 65.

<sup>107</sup> ლამი (*Lamy*) ბელგიის წინააღმდეგ, § 29; ეს გადწყვეტილება დადასტურდა საქმეში ნიკოლოვა (*Nikolova*) ბულგარეთის წინააღმდეგ, § 58, 63.

<sup>108</sup> გარსია ალვა (*Garcia Alva*) გერმანიის წინააღმდეგ; ლიეტკოვი (*Lietzow*) გერმანიის წინააღმდეგ; შოფსი (*Schöps*) გერმანიის წინააღმდეგ.



დაცვას მიენიჭა საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლება პირის დაკავებიდან დაუყოვნებლივ, სანამ ის ნარდგებოდა მოსამართლის წინაშე მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ლიტცოვის (*Lietzow*) საქმეში დამცველმა მოითხოვა საქმის განხილვა რაიონული სასამართლოს წინაშე და საგამოძიებო მასალების გაცნობის ნებართვა<sup>1109</sup>. მას უარი ეთქვა გამოძიებისთვის საფრთხის შექმნის მოტივით. *Habeas corpus* პროცედურასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა: „პროცესი უნდა იყოს შეჯიბრებითი და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს „თანასწორუფლებიანობას“ მხარეებს, პროკურორსა და დაპატიმრებულ პირს შორის. მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში არსებულ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის“<sup>1110</sup>. მთავრობის არგუმენტის პასუხად, რომ საქმის მასალების გადაცემას შეეძლო გამოძიებისთვის საფრთხის შექმნა, სასამართლომ განაცხადა: „სასამართლო ითვალისწინებს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტიანად ჩატარების აუცილებლობას, რაც შეიძლება გულისხმობდეს შეგროვებული ინფორმაციის ნაწილის საიდუმლოდ შენახვას, ეჭვმიტანილთა მიერ მტკიცებულებების განადგურების ან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ამ ლეგიტიმური მიზნის განხორციელება არ უნდა მოხდეს დაცვის უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პირის დაპატიმრების კანონიერების შეფასებისთვის, ჯეროვანი წესით ხელმიდსაწვდომი უნდა გახდეს ეჭვმიტანილის დამცველისთვის“<sup>1111</sup>.

სასამართლოს ეს განცხადება, ერთი შეხედვით, ძალზე სასარგებლო უნდა იყოს დაცვისთვის, თუმცა ვანყდებით გარკვეულ სირთულეებსაც. სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა დამცველი და ეჭვმიტანილი: მასალების დაფარვა ეჭვმიტანილისგან შეიძლება სწორი იყოს, თუმცა მათზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს დამცველს. საეჭვოა, რომ კეთილსინდისიერმა დამცველმა მისაღებად ჩათვალოს ასეთი კომპრომისი. ნდობა ეფექტიანი იურიდიული დახმარების განევის აუცილებელი წინაპირობაა. მას სერიოზული საფრთხე ექმნება, როდესაც დამცველი იძულებულია, თავის კლიენტს დაუბოლოს ინფორმაცია. ვარდა ამისა, სასამართლოს აზრით, როგორც ჩანს, ბრალდების გადასაწყვეტია, რომელი ინფორმაცია უნდა დარჩეს საიდუმლოდ და რომელია „აუცილებელი პირის დაპატიმრების კანონიერების შეფასებისთვის“. აღნიშნული წესი კი ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

შეგვიძლია თუ არა, ვივარაუდოთ, რომ ბრალდების ორგანომ უნდა გაამჟღავნოს საქმის მხოლოდ ის მასალები, რომელთა საფუძველზეც მას სურს, რომ სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება პატიმრობის შესახებ? ებერჰარდ კემფი, ლიტცოვის (*Lietzow*) საქმეში განმცხადებლის ადვოკატი, უარყოფითად პასუხობს ამ კითხვას<sup>1112</sup>. სინამდვილეში, ძალზე რთული იქნება ამგვარი გამოჯენის განხორციელება. თუმცა მისაღებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი გამოსავალი: პროკურორი ირჩევს მასალას, რომელიც უნდა წარედგინოს სასამართლოს – და დაცვას. ის არ გასცემს მასალას, რომლის გასაიდუმლოებასაც საჭიროდ თვლის. ამდენად, პროკურორი დგას საფრთხის წინაშე: მაგალითად, მოსამართლე

<sup>1109</sup> ლიტცოვი (*Lietzow*) გერმანიის წინააღმდეგ, §9.

<sup>1110</sup> *Ibid.*, §44.

<sup>1111</sup> *Ibid.*, §47.

<sup>1112</sup> კემფი (2001) 207.

შეიძლება ვერ დარწმუნდეს, რომ პირის მიმართ არსებობს „საფუძვლიანი ეჭვი“ და გაათავისუფლოს ის. ბრალდებას მოუწევს ამასთან შეგუება. და მაინც, უნდა არსებობდეს საქმის მასალებზე კონტროლის განხორციელების გარკვეული შესაძლებლობა, რათა დაცვისთვის ხელსაყრელი მასალის გასაიდუმლოება არ მოხდეს.

ლამი (*Lamy*) ბელგიის წინააღმდეგ და სხვა საქმეები განხილული იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის და არა მე-6 მუხლის საფუძველზე, რომელიც არ ვრცელდება *habeas corpus* პროცედურაზე. რატომ არის ეს საქმეები მნიშვნელოვანი მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის განმარტებისთვის? პრაგმატული თვალსაზრისით, სულ მცირე, ისინი საშუალებას აძლევს დაცვას, მოითხოვოს საქმის მასალების გაცნობა დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრების მოტივით. სწორედ ამას გვთავაზობენ გერმანელი ავტორები<sup>1113</sup>.

ვალჩევსკი მიიჩნევს, რომ ლამის (*Lamy*) გადაწყვეტილება თანაბრად ვრცელდება თავისუფლებაში მყოფ ბრალდებულებზეც<sup>1114</sup>. სასამართლოს გადაწყვეტილების ერთი ფრაზა მხარს უჭერს ამ მოსაზრებას: „წინასწარი პატიმრობის აუცილებლობის განსაზღვრა და ბრალის შემდგომი შეფასება ძალზე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან იმისთვის, რომ [დაცვას] უარი ეთქვას პირველ შემთხვევაში დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე, როცა მეორე შემთხვევაში ამას მოითხოვს კანონი“<sup>1115</sup>.

თუმცა ეს საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვანი. შეიძლება არსებობდეს მოსაზრება, რომ, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით სერიოზული ჩარევაა ადამიანის პირად თავისუფლებაში, ის მოითხოვს განსაკუთრებით ძლიერ დაცვას. თუ დაპატიმრება გამართლებულია პირის მიერ მტკიცებულებების მანიპულირების საფრთხით, ასეთი საფრთხე მცირდება დაპატიმრების შედეგად. შესაბამისად, უფრო ნაკლებია იმ პირის მიერ საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებული საფრთხე, რომელიც ციხეში ზის, ვიდრე იმ პირის მიერ, რომელიც თავისუფლებაში იმყოფება. შეიძლება ასევე გამოითქვას ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რამდენად არსებობს დაცვის მომზადების აუცილებლობა სამართალწარმოების ასეთ ადრეულ ეტაპზე.

ვალჩევსკის მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება გავიხსენოთ სასამართლოს ცნობილი გამონათქვამი: „კონვენციის დანიშნულებაა უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც არა თეორიული და მოჩვენებითი, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანია. ეს განსაკუთრებით სწორია დაცვის უფლებების შემთხვევაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ნამყვანი ადგილის გათვალისწინებით, რომლიდანაც ისინი გამომდინარეობს“<sup>1116</sup>. გარდა ამისა, საქმეში *Imbrioscia* (*Imbrioscia*) შეეიტარიის წინააღმდეგ სასამართლომ მისაღებად ჩათვალა არგუმენტი, რომ პირს უნდა ჰქონდეს დამცველის დახმარების უფლება პოლიციის მიერ მისი დაკითხვისას. მან თავდაპირველად ხაზი გაუსვა ასეთი დახმარების არარსებობას, ხოლო შემდგომ განაცხადა, რომ „განმცხადებელს თავიდანვე არ მიუღია აუცილებელი იურიდიული დახმარება“<sup>1117</sup>. მონმისთვის კითხვების დასმის უფლების ეფექტიანი განხორციელება ბრალდებულს შეუძლია

<sup>1113</sup> შლოტჰაუერი და ვიდერი (2001) N 422.

<sup>1114</sup> მაგ. ვალჩევსკი (1999) 93.

<sup>1115</sup> ლამი (*Lamy*) ბელგიის წინააღმდეგ, §29.

<sup>1116</sup> არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ, §33.

<sup>1117</sup> *Imbrioscia* (*Imbrioscia*) შეეიტარიის წინააღმდეგ, §41. სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის დარღვევა, ვინაიდან დამცველს არ მოუთხოვია დაკითხვაზე დასწრება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისთვის ცნობილია, რა ეტაპზე იმყოფება გამოძიება, რისი წინაპირობაც საქმის მასალების ხელმისაწვდომობაა. დაცვის მონაწილეობა მონმის ჩვენების პირველ მოსმენაში ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე დაკითხვისას, მოწმეები, ჩვეულებრივ, ცდილობენ ადრე გაკეთებული განცხადებების ზუსტად გამოვლინებას, რათა თავიდან აიცილონ მათი გულწრფელობის ეჭვქვეშ დაყენება.

ყველა ამ არგუმენტის ანონ-დანონის შედეგად მივიღებთ დასკვნამდე, რომ საქმის მასალების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართალწარმოების დასაწყისშივე, ანუ პირისთვის ბრალდების წარდგენის, დაპატიმრების ან სამართალწარმოების შედეგად მისი მდგომარეობის არსებითი ცვლილების მომენტიდან<sup>118</sup>. თუმცა საეჭვოა, რომ სასამართლომ ეს მიდგომა სრულად გაიზიაროს. რთული იქნება მისი დარწმუნება, რომ დაცვის მართლა სჭირდებოდა საქმის მასალების ხელმისაწვდომობა გამოძიების საწყის ეტაპებზე. მეორე მხრივ, ნათელია, რომ ეს უფლება ასევე ვრცელდება გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვის დროს. *მელინის (Melin)* საქმე ამის კარგი მაგალითია<sup>119</sup>.

თუმცა საქმის მასალების ხელმისაწვდომობა გამოძიების დასაწყისში უნდა იყოს კვალიფიციური ხასიათის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულებებით მანიპულირების საფრთხე. კერძოდ, დასაშვებია ბრალდების მიერ საკუთარი გეგმებისა და განზრახვების გასაიდუმლოება. იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაპატიმრება შეიძლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე გამართლებულია საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, თუ ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ფაქტი არ ხდის შესაძლებელს ინფორმაციის გაცემას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალზე მგრძობიარე საკითხთან, რომლის გადაჭრის მზა „რეცეპტები“ არ არსებობს.

ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულება ძირითადად პირველი ინსტანციით საქმის განხილვაზეა გათვლილი. თუმცა სასამართლოს მიხედვით, დაცვის მომზადებისთვის საკმარისი დროისა და შესაძლებლობების არსებობასთან დაკავშირებული ხარვეზები შეიძლება გამოსწორდეს გასაჩივრების ეტაპზე<sup>120</sup>. ამის წინაპირობაა ის, რომ ზემდგომ ინსტანციას უნდა ჰქონდეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე როგორც საქმეში მოცემული ფაქტების, ისე კანონის გამოყენების ხელახლა განხილვის უფლებამოსილება<sup>121</sup>.

სასამართლოს მიდგომა შეიძლება მისაღებად ჩათვალოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურეის წესსა და სუბსიდირარობის პრინციპს. თუმცა კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, ის ვერ ჩაითვლება ბოლომდე დამაკმაყოფილებლად. ფაქტობრივად განმცხადებელს აქვს მისი საქმის ორჯერ სამართლიანად განხილვის უფლება.

<sup>118</sup> პარისი, ობოლი და უორბრიქი (1995) 253; მერილი და რობერტსონი (2001) 121.

<sup>119</sup> *მელინი (Melin) საფრანგეთის წინააღმდეგ*. იხ. აგრეთვე *ვაშერი (Vacher) საფრანგეთის წინააღმდეგ*; *მატოკია (Mattoccia) იტალიის წინააღმდეგ*.

<sup>120</sup> *დუ ბუა (Du Bois) ნიდერლანდების წინააღმდეგ*. განაცხადი 36986/97.

<sup>121</sup> *დალოსი (Dallos) უნგრეთის წინააღმდეგ*, § 50. იხ. აგრეთვე *სერვე (Serves) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 48; საქმეში *ტვალიბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ* (§ 41) სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ მოუთხოვია მისი საქმის ხელახლა განხილვა. საქმეში *პელისიე (Pelissier) და სასი (Sassi) საფრანგეთის წინააღმდეგ* (§ 61) სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო ხარვეზების გამოსწორება. საქმეში *მატოკია (Mattoccia) იტალიის წინააღმდეგ* (§ 69) კი განმცხადებელს არ მიეცა აუცილებელი შესაძლებლობები თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ.

როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს სრულ სააპელაციო სამართალწარმოებას. თუ პირველ ინსტანციაში ადგილი ჰქონდა დაცვის უფლებების დარღვევას, მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს გასაჩივრების შედეგად, ხოლო თუ დაცვას უფლება პირველად გასაჩივრების ეტაპზე ენიჭება, მაშინ ის „კარგავს ინსტანციას.“ რაც მიუღებელია<sup>1122</sup>.

#### დ. სხვადასხვა საკითხები

საქმის მასალების ხელმისაწვდომობა შეიძლება დარეგულირდეს სხვადასხვა გზით. სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ, ლეგიტიმურად მოითხოვონ, რომ საქმის მასალები დარჩეს მათივე ტერიტორიაზე, თუ ბრალდებულს ან მის დამცველს მიეცემა მათი ნახვის, ჩანაწერების გაკეთების ან ასლების გადაღების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი ქმედება დაცვამ, როგორც წესი, საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს<sup>1123</sup>. ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც განმცხადებელს არ გააჩნია აუცილებელი ფინანსური შესაძლებლობები. ეკონომიკური სირთულეების გამო, არ შეიძლება საფრთხე დამუქროს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, იმის მიუხედავად, განმცხადებელი სარგებლობს თუ არა დამცველის მომსახურებით. ბრალდებულს, რომელსაც შეეფარდა წინასწარი პატიმრობა და არ ყავს დამცველი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეცეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, შესაბამისი მეთვალყურეობის ქვეშ.

მეცნიერული მტკიცებულება შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი იყოს სამართალწარმოებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქმეები *ბიონიში (Bönish)* ავსტრიის წინააღმდეგ და *ბრანდშტეტერი (Brandstetter)* ავსტრიის წინააღმდეგ. *ბრიკმონის (Brickmont)* საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ აუდიტის ჩატარება სასურველი იქნებოდა, თუმცა მოცემულ საქმეში „ბელგიის სასამართლოებს შეეძლოთ, გონივრულ ნიადაგზე ერწმუნათ, რომ ასეთი აუდიტის ჩატარება არ იქნებოდა ღირებული შედეგის მომტანი“<sup>1124</sup>.

### ბ. სხვა შესაძლებლობები

ცხადია, არ არსებობს დაცვის ხელშემწყობი შესაძლებლობების ამომწურავი სია. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რომელთაც პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით.

#### 1. იურიდიული მასალების ხელმისაწვდომობა

ბრალდებულს, რომელიც პირადად იცავს თავს, გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვისას, შეიძლება დასჭირდეს იურიდიული მასალების შესწავლა. როსის (*Ross*) საქმეში განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ არაერთი თხოვნის მიუხედავად, მას არ მიეცა ასეთი მასალების გაცნობის საშუალება. კომისიამ არაპირდაპირ აღიარა, რომ იურიდიული მასალების ხელმისაწვდომობას მოიცავდა „შესაძლებლობების“ ცნება, თუმცა გადაწყვიტა, რომ განმცხადებლისთვის მინოდებული მასალები (ორი სახელმძღვანელო) იყო „საკმარისი.“ კომისიამ ასევე განაცხადა, რომ „განმცხადებლისთვის სასურველი

<sup>1122</sup> იხ. მოსამართლე ფან დაიკის განსხვავებული აზრი საქმეში *ტვალიბი (Twalib)* საბერძნეთის წინააღმდეგ.

<sup>1123</sup> იხ. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან დაკავშირებით შეცვლილი წესი, რომელიც აღწერილია საქმეში *ფუშერი (Foucher)* საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>1124</sup> *ბრიკმონი (Brickmont)* ბელგიის წინააღმდეგ, §91.

მასალების მოძიების თვალსაზრისით, საპატიმრო დანესებულებების მიმართ არსებულ მოლოდინს ჰქონდა პრაქტიკული ზღვარი<sup>1125</sup>.

## 2. მოტივირებული გადაწყვეტილება<sup>1126</sup>

დაცვის მომზადებისთვის საკმარისი შესაძლებლობების არსებობის უფლება ასევე მოქმედებს გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვის დროს. როდესაც გასაჩივრება საჭიროებს განმცხადებლის მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტირებულ კრიტიკას, ცხადია, რომ პოტენციურ მომჩივანს დასჭირდება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობა. საქმეში *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ* განმცხადებელი მსჯავრდებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ და ჰქონდა ხუთი დღე საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის. თუმცა მას არ მიუღია სააპელაციო სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების ასლი ამ ვადის გასვლამდე. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის დარღვევას<sup>1127</sup>. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, სადაც, ნაფიცი მსაჯულები ნყვეტენ პირის ბრალეულობის საკითხს, მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იქნება. საქმეში *R ბელგიის წინააღმდეგ* კომისიამ დაუშვებლად ცნო განაცხადი, რომელიც ასეთ შემთხვევას უკავშირდებოდა და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო სისტემის აკომოდაცია მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულების ფარგლებში<sup>1128</sup>.

რაც შეეხება მოტივირების ხარისხს, სასამართლომ საკმაოდ დაბალი სტანდარტები ჩათვალა მისაღებად. საქმეში *ტვალიბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ* გადაწყვეტილების მხოლოდ შემოკლებული ვერსია იყო ხელმისაწვდომი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს შემოკლებული ვერსია მოიცავდა დაცვის მიერ ნამოჭრილ საკითხებს, მაგრამ არა მტკიცებულებებს. სასამართლო დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია ეს მტკიცებულებები<sup>1129</sup>.

## 3. კონსულისთვის შეტყობინების უფლება

საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის 1(ბ) პუნქტის მიხედვით:

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ აცნობონ წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულო დანესებულებას, რომ მისი საკონსულო ოლქის ფარგლებში დააპატიმრეს, სატუსალოში მოათავსეს ან დააკავეს, სასამართლო განხილვის მოლოდინში ამ ქვეყნის მოქალაქე, თუ ის ამას მოითხოვს. ყველა შეტყობინება, რომელსაც ამ საკონსულო დანესებულებას უთელის დაპატიმრებული, სატუსალოში მოათავსებული ან დაკავებული პირი, ამ ორგანოებმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ საკონსულო დანესებულებას. აღნიშნულმა

<sup>1125</sup> როსი (Ross) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11396/85.

<sup>1126</sup> იხ. თავი 4, ქვეთავი IV.

<sup>1127</sup> *ჰადჯიანასტასიუ (Hadjianastassiou) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §29.

<sup>1128</sup> *R ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15957/90.

<sup>1129</sup> *ტვალიბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §45.

ორგანოებმა მაშინვე უნდა გააცნონ ამ პირს უფლებები, რომლებიც მას აქვს ამ ქვეპუნქტის მიხედვით.

ის მოსაზრება, რომ ინფორმაციისა და საკონსულტო დანერგვებისთვის მიმართვის უფლება მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის ნაწილია, არაერთხელ უარყო კომისიამ<sup>1130</sup>.

ეს საკითხი განხილული იქნა ლეგრანის (*LeGrand*) საქმეში<sup>1131</sup>, თუმცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ საჭიროდ არ თვლიდა პასუხი გაცემა კითხვაზე, იყო თუ არა საკონსულტო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული უფლება ადამიანის უფლება<sup>1132</sup>. თუმცა სასამართლო, როგორც ჩანს, არაპირდაპირ, დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ვინაიდან აღიარა კავშირი შეტყობინების არარსებობასა და გერმანელი ძმების სიკვდილით დასჯას შორის. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ვენის კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს „შესაძლებლობად“ მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მნიშვნელობით. თუ ვივარაუდებთ, რომ ვენის კონვენციაში მოცემულია ინდივიდუალური უფლებები, მათი მოქმედება, ნებისმიერ შემთხვევაში, დამოკიდებული იქნება კონკრეტული ქვეყნის მიერ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებაზე; მათ არ გააჩნიათ ადამიანის უფლებებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური და ფუნდამენტური ხასიათი.

#### 4. სამედიცინო შემონმების ხელმისაწვდომობა

პრეცედენტულ სამართალში დღემდე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სამედიცინო შემონმებას განიხილავდა მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტით განსაზღვრულ „შესაძლებლობად“. თუმცა „შესაძლებლობები“ აუცილებლად მოიცავს სამედიცინო ხასიათის მტკიცებულებას. საქმეში *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ კომისიამ განაცხადა, რომ „პირადი ზიანის საქმეებში სამედიცინო მტკიცებულების საკითხები შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი იყოს და ... ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო შემონმების შესაძლებლობაზე პატიმრისთვის უარის თქმამ შეიძლება ნამოჭრას საკითხი მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის საფუძველზე“<sup>1133</sup>. თუმცა ეს უფლება არ წარმოიქმნება „ავტომატურად“; „მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს ... დამოუკიდებელი ექიმის ხელმისაწვდომობის ნებისმიერ უფლებას“. კომისია არ მისულა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში დაცვისთვის ამ უფლების მინიჭების საჭიროება არ იყო. კომისიის მოსაზრებით, ამ საკითხს მოიცავდა მე-6 მუხლის საფუძველზე მიმონერის უფლების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება<sup>1134</sup>.

<sup>1130</sup> განაცხადი 1184/61; გოლეიტერი (1992) § 180; პარში (1994) 163; ფოგლერი (1986) 480.

<sup>1131</sup> *გერმანია აშშ-ს წინააღმდეგ*, 2001 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება. იხ. აგრეთვე *არენა (Arena)* და *მექსიკის სხვა მოქალაქეები (მექსიკა აშშ-ს წინააღმდეგ)*, 2004 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება. ამ საქმეშიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ არ გასცა პასუხი კითხვას, ვენის საკონსულტო ურთიერთობების შესახებ კონვენცია იცავს თუ არა ადამიანის უფლებებს, როგორც ამას მექსიკა ამტკიცებდა, თუმცა განაცხადა, რომ „კონვენციის არც ტექსტი და არც დანიშნულება და მიზანი, არც მოსაზრებები სამუშაოები, არ უჭერენ მხარს დასკვნას, რომელიც მექსიკას გამოაქვს“; § 124.

<sup>1132</sup> *Ibid.*, § 78.

<sup>1133</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 78.

<sup>1134</sup> მსგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული საქმეში *კალოჯერო დიანა (Calogero Diana)* იტალიის წინააღმდეგ.

კალოჯერო დიანას (*Calogero Diana*) საქმეში დაზარალებული მხარე ცდილობდა სამედიცინო მტკიცებულების მოპოვებას და შესაბამისად, ვერ დაეყრდნობოდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს. თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ ბრალდებულს დასჭირდეს სამედიცინო ექსპერტიზა დაცვის მოსამზადებლად, მაგალითად, ფსიქიატრის მოსაზრება მის შერაცხაობაზე.

უდავოა, რომ ზოგჯერ დამოუკიდებელი სამედიცინო შემოწმების ხელმისაწვდომობა შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული ამტკიცებს, რომ ალიარებითი ჩვენება ნაშედეგად მისცა. *აქსოის (Aksoy)* საქმეში ძალზე ნათლად გამოჩნდა როგორი არასანდო შეიძლება იყოს ოფიციალური სამედიცინო შემოწმება<sup>1135</sup>.

## 5. მოსმენის გამართვის უფლება

საქმეში *T აესტრიის ნინაალმდეგ* განმცხადებელი ბრალეულად იქნა ცნობილი საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაში იმის მიუხედავად, რომ მას არც ბრალდების შესახებ ეცნობა და არც მის საქმეზე მოსმენის გამართვის შესაძლებლობა მიეცა. მან საჩივრით მიმართა რეგიონულ სასამართლოს, რომელმაც ასევე მოსმენის გარეშე უარყო აპელაცია. სასამართლოს მიხედვით, ეს წარმოადგენდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების დარღვევას<sup>1136</sup>.

## გ. გამონაკლისები

დაცვის მოსამზადებლად საკმარისი შესაძლებლობების უფლება, როგორც ზემოთ ვიხილეთ, არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ დებულების თანდაყოლილი შეზღუდვა გამოხატულია ტერმინით „საკმარისი.“ თუმცა არსებობს სხვა შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვან სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. ყველაზე სერიოზული პრობლემები სახელმწიფო უშიშროების სფეროში წარმოიქმნება. ჯაშუშობაში ბრალდებული პირის შემთხვევაში ადგილი აქვს კონფლიქტს გარკვეული ინფორმაციის გასაიდუმლოების საჯარო ინტერესსა და დაცვის ინტერესებს შორის. ასეთი კონფლიქტის გადაჭრის იოლი გზა იქნებოდა იმის თქმა, რომ პროპორციულობის პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული. თუმცა დეტალური ანალიზის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ მოცემულ სფეროში ინტერესების ამგვარი ანონ-დანონა თითქმის შეუძლებელია. სტრასბურგის სასამართლოსთვის ძალზე რთული იქნება იმის განსაზღვრა, რა არის აუცილებელი კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების ინტერესებისთვის.

ეროვნული უშიშროების საკითხების ცოდნა სასამართლომ გამოაეღინა საქმეში *კლასი (Klass) გერმანიის ნინაალმდეგ*. მან განაცხადა, რომ პირს, როგორც წესი, უნდა ეცნობოს სატელეფონო მოსმენის დასრულების შესახებ, რათა შეძლოს მე-13 მუხლის საფუძველზე სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებით სარგებლობა. თუმცა სასამართლომ ასევე მისაღებად ჩათვალა არგუმენტი, რომ გარკვეული ინფორმაცია შეიძლება დარჩეს საიდუმლოდ: „საიდუმლო თვალთვალი და მისი შედეგები არის ფაქტები, რომლებიც სასამართლომ, თავისდა სამწუხაროდ, ჩათვალა აუცილებლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული თანამედროვე

<sup>1135</sup> *აქსოი (Aksoy) თურქეთის ნინაალმდეგ*, § 11, 16, 19, 49.

<sup>1136</sup> *T აესტრიის ნინაალმდეგ*, § 71.

პირობების გათვალისწინებით, ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე და წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის თავიდან აცილებისთვის<sup>1137</sup>.

მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის საფუძველზე ეს საკითხი დღემდე მხოლოდ *ჰაზეს (Haase)* საქმეში იქნა განხილული. განმცხადებელს მიესაჯა თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ჯაშუშობისთვის. ის ამტკიცებდა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა საქმეში არსებულ ყველა დოკუმენტზე. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის დამცველები გაცენენ მასალის ნაწილს, „გარკვეული დაცვა აუცილებელი იყო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე“. ეს არგუმენტი კომისიამ მისაღებად ჩათვალა<sup>1138</sup>. სტავროსი კი მას „სრულიად მიუღებლად“ მიიჩნევს<sup>1139</sup>. თუმცა მისი უკანასკნელი მოსაზრება ზედმეტად მკაცრია. სახელმწიფოსთვის სრულიად მიუღებელია ჯაშუშების დაუსჯელად გაშვების ალტერნატივა ან საიდუმლო ინფორმაციის მინოდება იმ პირთათვის, რომელთა წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა იმავე ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების მცდელობის ნიადაგზე. დაცვის უფლებები უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა არ წარმოადგენს აბსოლუტურ ფასეულობას. *ჰაზეს (Haase)* გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რამდენად რელევანტური იყო სადავო დოკუმენტები. დაცვას არ გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება ამ საკითხზე, ვინაიდან არასდროს გაცნობია მათ. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია კომპრომისის მიღწევა. როგორც ზემოთ ითქვა, უნდა არსებობდეს სისტემა, რომლის მიხედვით, სრულიად ნეიტრალურ პიროვნებას, როგორცაა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ან ომბუდსმენი, ექნება დოკუმენტების შემოწმების საშუალება. მასვე დაეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება.

*ატლანის (Allan)* საქმეში სასამართლომ განიხილა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ზოგადი გარანტიის საფუძველზე საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის საკითხი. სასამართლომ განაცხადა, რომ „ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი იყოს გარკვეული მტკიცებულებების გასაიდუმლოება სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვისთვის. თუმცა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, დაცვის უფლებების შემზღუდველი მხოლოდ მკაცრად აუცილებელი ზომებია დასაშვები. გარდა ამისა, ბრალდებულის საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად დაცვის უფლებების შეზღუდვის გამო წარმოქმნილი ნებისმიერი სირთულე ჯეროვნად უნდა დაბალანსდეს პროცედურებით, რომლებსაც დაიცავენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოები“<sup>1140</sup>. სამწუხაროა, რომ შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრისას სასამართლოს ფორმულირება ბუნდოვანია. მართალია, სასამართლოს განცხადებაში შედარებით ზუსტი ტერმინებია მოცემული, როგორცაა „მკაცრად აუცილებელი“, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ სიზუსტეს ხაზს უსვამს ზოგადი მითითებები ნებისმიერი სირთულის „დაბალანსების“ შესახებ.

ამავე გადაწყვეტილების მომდევნო პარაგრაფში ეკითხულობთ: „საქმეებში, რომლებშიც დაცვას არ მიეცა მტკიცებულებების გაცნობის საშუალება, საჯარო ინტერესის საფუძველზე დაყრდნობით, სასამართლოს ფუნქცია არ არის იმის განსაზღვრა, იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება მკაცრად აუცილებელი, ვინაიდან, ზოგადი წესის მიხედვით, ეროვნული სასამართლოების მიერ უნდა მოხდეს

<sup>1137</sup> *კლასი (Klass)* და *სხები გერმანიის წინააღმდეგ*, §68.

<sup>1138</sup> *ჰაზე (Haase)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 7412/76.

<sup>1139</sup> სტავროსი (1993) 183.

<sup>1140</sup> *ატლანი (Allan)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §40; *როუი (Rowe)* და *დევისი (Davis)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61.



მათ ნინაშე არსებული მტკიცებულებების შეფასება“. ამით შემოიფარგლება ის დახმარება, რომელსაც ტერმინი „მკაცრად აუცილებელი“ გვთავაზობს. პარაგრაფი გრძელდება შემდეგი განცხადებით: „ამის ნაცვლად, სასამართლოს ამოცანა იმის გარკვევა, გადანყვეტილების მიღების პროცედურა თითოეულ საქმეში აკმაყოფილებდა თუ არა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნებს და მოიცავდა თუ არა ბრალდებულის ინტერესების დაცვის საკმარის გარანტიებს“<sup>141</sup>. ხარვეზები, როგორც ვხედავთ, უნდა „დაბალანდეს“ „რამდენადაც ეს შესაძლებელია“. არის თუ არა ამ საკითხზე გადანყვეტილების მიღება მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ფუნქცია? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, თუმცა მათ არ აქვთ მინიჭებული *carte blanche*.

მოცემულ საქმეში ბრალდებამ არაერთხელ უარყო, რომ დაცვას უმაღლესად რაიმე დოკუმენტს. განმცხადებელი ეჭვობდა, რომ პოლიციის ინფორმატორი იყო საქმეში გარეული. ოთხი წლის შემდეგ, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, ბრალდებამ აღიარა, რომ მართლა გააჩნდა მასალები, რომელთა შესახებ დაცვას არ აცნობა. ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ეს „არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.“ სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული დოკუმენტების დაცვისთვის გაცნობის შესახებ ბრძანების გაცემაზე. სტრასბურგის სასამართლომ კი განაცხადა: „პირველი ინსტანციის მოსამართლე [სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისგან განსხვავებით] უკეთეს მდგომარეობაშია იმის გადასაწყვეტად, იყო თუ არა საჯარო ინტერესის იმუნიტეტის მქონე მტკიცებულების გასაიდუმლოება უსამართლოდ საზიანო დაცვისთვის. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში პირველი ინსტანციის მოსამართლეს რომ ენახა ეს მტკიცებულება, შეიძლება სრულიად განსხვავებული ფორმით მოეხდინა საქმის შეჯამება ნაფიცი მსაჯულებისთვის“<sup>142</sup>. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

თავის გადანყვეტილებებში სასამართლო ხშირად ეყრდნობოდა როუის (Rowe) და დევისის (Davis) საქმეს, რომელშიც ასევე ხაზგასმულ იქნა შეჯიბრებითობის მნიშვნელობა სასამართლო განხილვის სამართლიანობისთვის<sup>143</sup>. სასამართლო შეეხო „საპირისპირო ინტერესებს, როგორებიცაა ეროვნული უშიშროება ან შურისძიების საფრთხისგან მოწმეთა დაცვის აუცილებლობა, ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მეთოდების საიდუმლოდ შენახვა, რომელთა ანონ-დანონა უნდა მოხდეს ბრალდების უფლებებთან მიმართებაში“. ორივე საქმეში სასამართლო არ იყო კმაყოფილი იმით, რომ დარღვევა გამოსწორდა სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე. შედეგის თვალსაზრისით, ორივე გადანყვეტილება მისაღებია, თუმცა საყურადღებოა სასამართლოს მიერ გამოყენებული ზოგადი ფორმულირებები.

<sup>141</sup> ატლანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §62.

<sup>142</sup> ატლანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §45; როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §65. გარდა ამისა, სასამართლომ სამართლიანად შენიშნა, რომ სრული ინფორმაციის ქონა ასევე მნიშვნელოვანია მოწმეთა დაკითხვისას.

<sup>143</sup> როუი (Rowe) და დევისი (Davis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §59.

# თავი 10

## პირადად და დამცველის დახმარებით თავის დაცვის უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

3. [მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე] ...

დ) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და თავი დაიცვას პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით; თუ მას არ ჰყავს დამცველი, შეატყობინონ ამ უფლების შესახებ; და ისარგებლოს იურიდიული დახმარებით ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, და ისარგებლოს უსასყიდლოდ, როდესაც მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება ასეთი დახმარების ასანაზღაურებლად.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(3) მუხლი.*

3. [ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები] ...

გ) თავი დაიცვას პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული დახმარების ასანაზღაურებლად, უსასყიდლოდ ისარგებლოს ასეთი დახმარებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(3) მუხლი.*

2... . [მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:] ...

დ) ბრალდებულს ჰქონდეს უფლება, თავი დაიცვას პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით და შეხედეს თავის დამცველს თავისუფლად და კერძო ვითარებაში.

ე) ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველის დახმარების განუყოფელი უფლებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, შიდასახელმწიფოებრივი კანონის შესაბამისად, თუ კანონით განსაზღვრული დროის მანძილზე ბრალდებული არ დაიცავს თავს პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლი.*

სამივე დებულებაში მოცემულია პირის უფლება, თავი დაიცვას და ისარგებლოს დამცველის დახმარებით (შემდგომში „დაცვის უფლება“), რაც არის ყველა ბრალდებულის ერთ-ერთი უფლება ან გარანტია. მხოლოდ საერთაშორისო პაქტი მიუთითებს მკაფიოდ ბრალდებულის უფლებაზე, დაესწროს სასამართლო განხილვას. თუმცა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ეს აგრეთვე არაპირდაპირ იგულისხმება და დაცულია დანარჩენი ორი ინსტრუმენტით. გარდა ამისა, მხოლოდ საერთაშორისო პაქტში მოცემული დებულება იცავს ამ გარანტიის შესახებ ბრალდებულის ინფორმირების უფლებას.

მეორე მხრივ, მხოლოდ ამერიკული კონვენცია ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, კერძო ვითარებაში შეხედეს დამცველს. თუმცა სხვა დებულებებისგან განსხვავებით, ის მკაფიოდ არ ანესრიგებს უფასო იურიდიული დახმარების საკითხს და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას ანდობს იმის გადაწყვეტას, სახელმწიფო აანაზღაურებს თუ არა დამცველის მომსახურებას. სინამდვილეში, არც დანარჩენი დებულებები ანესრიგებენ ამ ასპექტს, თუმცა ზღუდავენ უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლებას იმ შემთხვევებით, როდესაც ბრალდებულს არ გააჩნია საკმარისი საშუალება ასეთი დახმარების ანაზღაურებისთვის. ეს ელემენტი საერთოდ არ გვხვდება ამერიკულ კონვენციაში. ეს უკანასკნელი იმითაც გამოირჩევა, რომ ორ ქვეპუნქტს უძღვნის ამ საკითხს და სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველის ყოლის უფლებას „განუყოფელ“ უწოდებს. ეს ნიშნავს, რომ სხვა უფლებები „გაყოფადია“, რაც უცნაური და რთულად წარმოსადგენია. ცხადია, რომ აღნიშნულ ფრაზას მხოლოდ რიტორიული დატვირთვა აქვს.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, განსხვავება სამივე ინსტრუმენტის დებულებებს შორის უმნიშვნელოა. ყველა უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, დაიცვას თავი პირადად, ისარგებლოს დამცველის მომსახურებით და თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, ჰყავდეს სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველი. ერთადერთი შინაარსობრივი განსხვავება არის ის, რომ ამერიკული კონვენცია სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლებას არ ზღუდავს იმ შემთხვევით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

იურიდიული დახმარებით დარგებლობის უფლება თვალსაჩინოდ იქნა განხილული 1947 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მომზადების დროს. თუმცა იმის გამო, რომ დავის საგნად იქცა მისი ფორმულირება, კერძოდ გარანტიის მოქმედების გავრცელება სამოქალაქო, სისხლის თუ ორივე სახის სამართალწარმოებაზე, უფლება ამოღებული იქნა საბოლოო ტექსტიდან. ოფიციალური პოზიციით, ასეთი დეტალური მიდგომა შეუსაბამო იქნებოდა საყოველთაო დეკლარაციის კონტექსტში.<sup>1144</sup>

საერთაშორისო პაქტის მომზადების პროცესში, დამცველზე გაკეთებული პირველი მითითება არ იყო კონკრეტული – თავად ტერმინი შეიცვალა „კვალიფიციური წარმომადგენლის“ ნაკლებად კონკრეტული ცნებით სამუშაო ჯგუფის მიერ.<sup>1145</sup> შემდგომი დისკუსია გაიმართა კომისიის მე-9 სესიაზე. ამ ეტაპზე ბელგიულმა იურისტებმა წამოაყენეს წინადადება, რომლის მიხედვით, დამცველის

<sup>1144</sup> ვაისბროდტი (2001) 12.

<sup>1145</sup> *Ibid.*, 46.

დანიშნავს სავალდებულო იქნებოდა მხოლოდ იმ საქმეებში, რომლებშიც ამას მოითხოვდა მართლმსაჯულების ინტერესები. გარდა ამისა, დამცველის დანიშნავს უნდა მომხდარიყო, თუ ბრალდებულს არ ჰქონდა მისი მომსახურების ანაზღაურების საშუალება.<sup>1146</sup>

### გ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის სტრუქტურა

სამი მთავარი ელემენტი ქმნის დაცვის უფლების ბირთვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე: პირადად დაცვის უფლება, არჩეული დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება და სახელმწიფოს მიერ დამცველის დანიშვნის უფლება<sup>1147</sup>. პირველი ორი ასპექტი სრულიად შეუზღუდავია, ხოლო მესამე დამოკიდებულია გარკვეული პირობების არსებობაზე. დებულების ფრანგული და ინგლისური ვერსიები განსხვავდება ერთმანეთისგან. ფრანგული ტექსტი აკავშირებს მე-2 და მე-3 გარანტიებს სიტყვით „და“, ხოლო ინგლისურ ტექსტში ვკითხულობთ სიტყვას „ან“. *პაკელი (Pakelli)* საქმეში სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ფრანგული ვერსია უკეთ ასახავს კონვენციის მნიშვნელობას<sup>1148</sup>. ინგლისური ტექსტის სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში, სახელმწიფოს კონკრეტულ საქმეში ექნებოდა არჩევანის გაკეთების საშუალება სამიდან ერთ-ერთი უფლების უზრუნველყოფის სასარგებლოდ<sup>1149</sup>, რაც არ წარმოადგენდა გარანტიის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

ქვემოთ თითოეული გარანტია დამოუკიდებლად იქნება განხილული. გარდა ამისა, საუბარი გვექნება ისეთ ნაწარმოებ უფლებებზე, როგორებიცაა დამცველთან შეხვედრისა და ეფექტიანი დაცვის უფლებები. თავდაპირველად, გარკვეული ზოგადი დასკვნები უნდა გავაკეთოთ, განსაკუთრებით, გარანტიის მიზანთან, მის აბსოლუტურ ხასიათთან და მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებას აქვს ორი ასპექტი, რომლებიც ყოველთვის არ არის მკაფიოდ ერთმანეთისგან გამოიჯნული. შვეიცარიული ტერმინოლოგიის საფუძველზე, შეგიძლია განვასხვაოთ დაცვის უფლების ფორმალური და არსებითი ასპექტები<sup>1150</sup>. რასაც ის გულისხმობს არსებითი თვალსაზრისით, შეიძლება ძალზე ბანალურად მოგვეჩვენოს: ყველა ბრალდებულს აქვს უფლება, იმოქმედოს თავის სასიკეთოდ, დაიცვას საკუთარი ინტერესები, წარადგინოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს მოსამართლეთა მიყენებულობა, ეჭვქვეშ დააყენოს მონშეთა სანდოობა, მისცეს ჩვენება და ა.შ. ეს ელემენტები, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ხშირად გეხვედება პრეცედენტულ სამართალში, განსაკუთრებით, განსახილველი სამი გარანტიიდან პირველთან, პირადად თავის დაცვის უფლებასთან კავშირში. ამასთან, ისინი შეესაბამება ფრანგულ სამართლებრივ სისტემაში განსაზღვრულ „დაცვის უფლებებს“ (*les droits de la defense*), რაც მოიცავს დაცვის მოსამზადებლად აუცილებელი დროისა და შესაძლებლობების უფლებას, მონშეების გამოძახებისა

<sup>1146</sup> *Ibid.*, 57.

<sup>1147</sup> იხ. მაგ. *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*, §31; ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 226. ფილიგერი (1999) 327. ეს აუტორი მეოთხე გარანტიად მიიჩნევს ეფექტიანი იურიდიული დახმარების უფლებას.

<sup>1148</sup> *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*, §31.

<sup>1149</sup> იხ. აგრეთვე ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 226.

<sup>1150</sup> იხ. მაგ. პაუზერი და შერი (2002) 146; შმიდი (2004) N 476.

და დაკითხვის უფლებას, თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლებას და ა.შ.<sup>1151</sup>. დაცვის უფლება, ფორმალური გაგებით, ნიშნავს დამცველის პროფესიული დახმარების უფლებას და პრაქტიკაში სწორედ ეს არის მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მთავარი არსი<sup>1152</sup>.

## 1. დაცვის უფლების მიზანი

არსებითი გაგებით, დაცვის უფლების მიზანი არ არის დაკავშირებული რაიმე სერიოზულ პრობლემასთან. მისი მნიშვნელობა თვალსაჩინოა. ფორმალური გაგებით კი, დაცვის უფლების მიზანი უფრო კომპლექსურია; ოთხი განსხვავებული ასპექტი უნდა გამოეყოთ, იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს ყველა მათგანი არ განუხილავს.

### ა. ტექნიკური ასპექტი

პირველი ასპექტი, რომელსაც შეიძლება ტექნიკური ასპექტი ეწოდოს, ყველაზე თვალსაჩინოა; დამცველი უზრუნველყოფს ბრალდებულს იმ ტექნიკური უნარ-ჩვევებით, რომლებიც მას სჭირდება სისხლის საპროცესო სამართალში, მათ შორის კონსტიტუციით ან საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებებით სრულად სარგებლობისთვის. დამცველის დახმარება არის ის გასაღები, რომელიც ალღებს დაცვის ყველა უფლებისა და შესაძლებლობის კარს, ამ ტერმინის არსებითი გაგებით<sup>1153</sup>. ამ საკითხის დაკონკრეტება არ არის საჭირო. ცხადია, რომ სამართალი, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო, საკმაოდ რთული და ხშირად გაუგებარია არაიურისტისთვის.

სისხლის სამართალწარმოება შეგვიძლია შევადაროთ სახიფათო მოგზაურობას. მას მუდმივად მიეყვარათ გზაგასაყართან, სადაც აუცილებელია გადანყვეტილებების მიღება. გადამჭრელი ზომების მიუღებლობას მოსდევს გარკვეული უფლებების დაკარგვა. მცდარ გადანყვეტილებას კი შეუქცევადი ზიანის გამოწვევა შეუძლია. სამართლისა და პრაქტიკის კარგი ცოდნა საჭირო ამგვარი გადანყვეტილებების შედეგების შეფასებისთვის. ასეთი შეფასების გაკეთება, ჩვეულებრივ, გაუჭირდება ბრალდებულს. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ბრალდებული გარშემორტყმულია ექსპერტებით სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებით დაწყებული, პროკურორით, მოსამართლით ან სასამართლოს წევრებით დამთავრებული. ამ თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ „შეჯიბრებითობის პრინციპი“<sup>1154</sup>. იმ შემთხვევებშიც, თუ საგამოძიებო და ბრალდების ორგანოებს კანონით ეკისრებათ ნეიტრალობის შენარჩუნება, დაცვის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემა და თვით მათი ხელშეწყობა, როგორც ეს მიღებულია კონტინენტურ ევროპაში, პრაქტიკა აჩვენებს, რომ დამცველის დახმარება არც ერთ შემთხვევაში არ არის ზედმეტი<sup>1155</sup>.

ერთ-ერთი ასპექტი, რომლის იგნორირება დაუშვებელია, არის დამცველის შესაძლებლობა, ზედამხედველობა გაუწიოს და აკონტროლოს ხელისუფლების ორგანოთა ქმედებები. მისი უნარები არის საჭირო იმის გასარკვევად, ბრალდებულს სწორად ეპყრობიან თუ არა და რამდენად სრულდება საპროცესო ნორმები.

<sup>1151</sup> ეერნიორი (2005) 1-ლი თავი.

<sup>1152</sup> დაცვის უფლების ამ ასპექტზე ძალზე საინტერესო შრომისთვის იხ. შპრონკენი (2001).

<sup>1153</sup> იხ. მაგ: პონსე (1977) 161.

<sup>1154</sup> თავი 4.

<sup>1155</sup> თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს დამცველის დახმარების ეფექტიანი გამოყენების საკითხის ემპირიული კვლევების ნაკლებობა.

სხვა სიტყვებით, მიზანს წარმოადგენს ბრალდებულის უზრუნველყოფა მაქსიმალური შესაძლებლობით სამართალწარმოების მისთვის სასურველი შედეგით დასრულებისთვის.

### ბ. ფსიქოლოგიური ასპექტი

მეორე ასპექტი შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც გარანტიის ფსიქოლოგიური ელემენტი. მასთან მიმართებაში ზემოთ მოცემული მსჯელობა ყოველთვის ვერ იქნება რელევანტური. შეიძლება სახეზე იყოს შედარებით მარტივი საქმეები, რომლებიც არ საჭიროებენ იურიდიული საკითხების ღრმა ცოდნას. გარდა ამისა, ბრალდებული შეიძლება თავად იყოს იურისტი, სისხლის საპროცესო სამართლის სპეციალისტიც კი, რომელსაც არ საჭიროება ტექნიკური დახმარება. თუმცა ამ შემთხვევაშიც ბრალდებულს აქვს პროფესიული დახმარების მიღების სრულიად ლეგიტიმური ინტერესი. ის დგას ობიექტურობის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რაც გამოწვეულია საკუთარი საქმის მიმართ გადამეტებული ინტერესით. შეიძლება თვით ყველაზე გონიერმა და განონანსობრებულმა ადამიანმა დაკარგოს რაციონალური ანალიზისა და საკუთარი ქმედების შედეგების შეფასების უნარი, როცა დაეპყრო ემოციურად ჩართული აღმოჩნდება. ერთ-ერთი ავტორი, რომელსაც მკვლევლობა ედებოდა ბრალად და სიკვდილით დასჯა შეეფარდა, სწორად აღნიშნავდა, რომ „ვინც საკუთარ თავს იცავს, სულელი ჰყავს ადვოკატად“. ეს მოსაზრება საყოველთაოდ არის აღიარებული. თუმცა *მელინის (Melin)* საქმეში<sup>1156</sup>, როგორც ჩანს, სასამართლოს არ უფიქრია ამ პრინციპზე, როდესაც აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია იურისტის განაცხადი, რომელიც პირადად იცავდა თავს და არ გამოიყენა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება სასამართლოს მოტივირებული გადანყვეტილების ასლის ან საკასაციო სასამართლოში მისი საქმის განხილვის თარიღის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად<sup>1157</sup>. ანალოგიურად, საქმეში *ფრანკესა ფრეიხასი (Franquesa Freixas)* ესპანეთის წინააღმდეგ სასამართლომ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი და თითქოს უსაყვედურა კიდევ განმცხადებელს, იურისტს, რომელმაც ამჯობინა, რომ თავი პირადად არ დაეცვა. განმცხადებელი არ დაეთანხმა სახაზინო ადვოკატად იმ პირის დანიშვნას, რომელსაც შრომის სამართლის სპეციალისტად განიხილავდა და შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში მისი სახელით მოქმედებისთვის არაკომპეტენტურად თვლიდა. სასამართლოს განცხადებით, სახაზინო ადვოკატის არაკომპეტენტურობის შესახებ მოსაზრების მხარდამჭერი გონივრული მიზეზის არარსებობის პირობებში და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ როგორც იურისტს, განმცხადებელს თავად შეეძლო საკუთარი თავის დაცვა, კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია<sup>1158</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიურ ასპექტს პირველისგან განსხვავებული ფუნქცია აქვს, ისიც ბრალდებულისთვის მაქსიმალურად სასურველი შედეგით სამართალწარმოების დასრულების მიზანს ემსახურება.

### გ. ჰუმანიტარული ასპექტი

დამცველის დახმარების უფლების მესამე მიზანი არ არის საყოველთაოდ აღიარებული. მას შეგვიძლია ვუნოოთ *ჰუმანიტარული ასპექტი*. სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობის ფაქტი თავისთავად უმძიმესი სტრესის წყაროა ყველასთვის, გარდა ძლიერი ან გამოცდილი ბრალდებულების მცირე

<sup>1156</sup> *მელინი (Melin)* საფრანგეთის წინააღმდეგ. § 24.

<sup>1157</sup> იხ. თავი 9.

<sup>1158</sup> *ფრანკესა ფრეიხასი (Franquesa Freixas)* ესპანეთის წინააღმდეგ.

რაოდენობისა. ინფორმაციის მიღების სხვადასხვა უფლების არსებობის მიუხედავად, ხშირად ბრალდებულს ისეთი გრძობა ეუფლება, რაც ფრანც კაფკას აქვს საოცრად კარგად აღწერილი თავის ცნობილ რომანში „პროცესი“. უიმედობისა და სასონარკვეთის განცდა განსაკუთრებით ძლიერია ბრალდებულის დაკავებისა და მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების დროს. ამან შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები სამსახურთან ან ოჯახთან დაკავშირებით. ისიც მართალია, რომ ბრალდებულთა ნაწილი უმუშევარია და თითქმის არ გააჩნია სოციალური კავშირები. თუმცა პირის მიერ დაპატიმრების ფაქტის „იოლად გადატანა“ წარმოადგენს გამონაკლისს და არა წესს. დამცველის დახმარება ასევე ემსახურება პუმიანიტარულ მიზანს, უზრუნველყოფს ბრალდებული ადამიანის კომპანიით და გაუნელოს უიმედობის განცდა მის წარმოდგენაში ცივი, შორეული და მტრულად განწყობილი სასამართლო სისტემის წინაშე<sup>159</sup>. კომისიამ ზოგადად აღიარა ეს ასპექტი საქმეში *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*<sup>160</sup>.

პუმიანიტარული ასპექტი, დანარჩენი ორისგან განსხვავებით, არ არის შედეგზე ორიენტირებული. ის შეეხება საშუალებას და არა მიზანს. ამ შეხედულების გაზიარებას კონკრეტული შედეგები მოჰყვება, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

#### დ. დაცვის უფლების სტრუქტურული ასპექტი

მეოთხე მიზანი უკავშირდება გარანტიის სტრუქტურულ ასპექტს: დაცვის უფლება ბრალდებულს აძლევს საშუალებას, აქტიური ფუნქცია შეასრულოს სამართალწარმოებაში, იყოს სუბიექტის და არა ობიექტის როლში. ბრალდებულის უფლება, დაიცავს თავი პირადად ან დამცველის დახმარებით, უზრუნველყოფს მას შესაძლებლობით, გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, ის ასევე ბრალდებულის პირადი ღირსების გამოხატულებაა. *გრენჯერის (Granger)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა „უპირველესად ემსახურება მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ინტერესებს, რადგანაც საშუალებას აძლევს განმცხადებელს, არსებითი წვლილი შეიტანოს სამართალწარმოების პროცესში“<sup>161</sup>.

#### 2. დაცვის უფლების აბსოლუტური ხასიათი

დაცვის უფლებას ზოგჯერ აბსოლუტურ უფლებას უწოდებენ<sup>162</sup>. თუმცა სასამართლომ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განსხვავებულ მოსაზრებას მიანიჭა უპირატესობა<sup>163</sup>. ტერმინს „აბსოლუტური“ შეიძლება ჰქონდეს არანაკლებ ოთხი საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა, თუმცა ყველა მათგანი არ არის სარწმუნო.

<sup>159</sup> იხ. აგრეთვე ვერნიორი (2005) 137. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ დამცველმა არ უნდა იტვირთოს სოციალური მუშაკის ფუნქციები.

<sup>160</sup> *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 55.

<sup>161</sup> *გრენჯერი (Granger) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 47.

<sup>162</sup> იხ. მაგ: ფროვინი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 192.

<sup>163</sup> *პუატრიმოლი (Poitrimoli) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 34: „მიუხედავად იმისა, რომ არ არის აბსოლუტური, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის უფლება, ისარგებლოს ეფექტიანი დაცვით, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დანიშნული დამცველის მეშვეობით სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია.“ თუმცა სინამდვილეში საკმაოდ რთულია საუბარი ამ უფლების რაიმე სახით შეზღუდვაზე, თუ ასეთად არ ჩავთვლით უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას ან დამცველთა რაოდენობის შეზღუდვას.

### ა. უფლება შეზღუდვების გარეშე?

უპირველესად ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ უფლებაზე არ ვრცელდება რაიმე შეზღუდვა. თუმცა ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. მაგალითად, დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლების სრული ჩამორთმევა გარკვეული ტიპის სისხლის სამართლის საქმეებში კონვენციასთან შეუსაბამო იქნებოდა. იგივე ითქმის *a fortiori* გარანტიის პირველ ნაწილზე, როდესაც ის დაცვის უფლების მატერიალურ ასპექტს მოიცავს. მეორე მხრივ, უფლების მესამე ასპექტი აშკარად პირობითია, ვინაიდან მიუთითებს სახელმწიფოს მიერ დამცველის დანიშვნისთვის საჭირო ორ სპეციალურ პირობაზე.

ვითარება რთულდება, როდესაც დებულებას უფრო დეტალურად განვიხილავთ. ანიჭებს თუ არა პირველი გარანტია ბრალდებულს დამცველის დახმარებაზე უარის თქმის უფლებას? ქვემოთ ვიხილავთ, რომ ეს სადავო საკითხია და პირადად თავის დაცვაზე ვრცელდება სხვა შეზღუდვებიც. არც მეორე უფლებაა თავისუფალი შეზღუდვებისგან. მაგალითად, შეზღუდვები მოქმედებს ერთ საქმეში დამცველთა რაოდენობისა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც დამცველის ფუნქციების შესრულება სურთ.

### ბ. დაუმეხებელია ომის დროს უფლების დაცვისგან გადახვევა?

უფლება შეიძლება ჩაითვალოს „აბსოლუტურად“, თუ მისი დაცვისგან გადახვევა დაუმეხებელია თვით ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს. ასეთია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-7 მუხლებში მოცემული უფლებები. თუმცა მე-6 მუხლი არ არის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ გარანტიებს შორის<sup>1164</sup>. ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ, თუ რომელიმე თავისუფლებას ვერ ვხვდებით ამ პუნქტში, მისი უზრუნველყოფისგან გადახვევა ავტომატურად მისაღებია. პირიქით, როგორც სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, მე-5 მუხლის დარღვევას ადგილი ჰქონდა თურქეთში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მე-15 მუხლის საფუძველზე კანონიერი ძალის მქონე შეტყობინებები იქნა გაგზავნილი შესაბამის ტერიტორიასთან მიმართებაში. ანალოგიური საქმეების განხილვა დღემდე არ მომხდარა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლო, როგორც მინიმუმ, დეტალურად განიხილავს, არსებობდა თუ არა კონკრეტულ საქმეში მნიშვნელოვანი მიზეზები ბრალდებულისთვის დაცვის მინიმალურ უფლებებზე უარის თქმისთვის.

### გ. გარანტია ირღვევა ზიანის არარსებობისას?

გარანტიის „აბსოლუტური“ ხასიათი შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე. აუცილებელია თუ არა მისი დარღვევისთვის განმცხადებლის მიერ დაცვის უფლების დარღვევასა და სამართალწარმოების შედეგს შორის კავშირის ჩვენება. სასამართლომ მკაფიო პასუხი გასცა ამ კითხვას *არტიკოს (Artico)* საქმეში. განმცხადებელს არ უსარგებლია დამცველის დახმარებით საკასაციო სასამართლოში მისი საჩივრის განხილვისას, თუმცა იტალიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის დარღვევისთვის „სისხლის სამართლის დანაშაულები ბრალდებულ პირს დამცველის დახმარების არარსებობის შედეგად, რეალურად უნდა მიდგომოდა ზიანი“. ამის პასუხად სასამართლომ განაცხადა, რომ „მთავრობა ითხოვს შეუძლებელს, რადგან წარმოუდგენელია ყოველგვარ ეჭვს მიღმა იმის დამტკიცება, რომ განმცხადებლის

<sup>1164</sup> იგივე ითქმის საერთაშორისო პაქტზე, მე-14 და მე-4(2) მუხლები და ამერიკულ კონვენციაზე, მე-8 და 27(2) მუხლები.



წარმომადგენელი დაეყრდნობოდა საკანონმდებლო შეზღუდვებს და შეძლებდა საკასაციო სასამართლოს დარწმუნებას<sup>1165</sup>. ამ თვალსაზრისით, დაცვის უფლება აბსოლუტური ხასიათისაა, რადგან განმცხადებელს არ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი შეზღუდვის გამო. საკამათოა, საერთოდ შეიძლება თუ არა დამცველის საქმიანობა იქცეს განხილვის საგნად. კომისიამ გააკეთა ეს კარანტას (*Quaranta*) საქმეში<sup>1166</sup>. მთავარი კითხვა იყო, უნდა მომხდარიყო თუ არა გამოძიების ეტაპზე იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. ამ კონტექსტში შეიძლებოდა საკითხის გადაწყვეტა *არტიკოს* (*Artico*) გადანყევტილებასთან წინააღმდეგობის გარეშე. თუმცა თუ კომისია გადაწყვეტდა, რომ იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება არსებობდა სამართალწარმოების საწყის ეტაპზე, მას უნდა გაეკრიტიკებინა დაცვის ასეთი შესაძლებლობების არარსებობა იმის თქმის ნაცვლად, რომ ამ საქმეში ასეთი დახმარება არ იყო აუცილებელი.

**დ. შეიძლება თუ არა დარღვევას ჰქონდეს ადგილი, როდესაც ბრალდებული საბოლოოდ გამართლდა?**

დაცვის უფლების მიზნის ჰუმანიტარული ელემენტის არსებობის აღიარების შემთხვევაში, მისმა აბსოლუტურმა ხასიათმა შეიძლება ერთი ნაბიჯით წინ წაიწიოს: მართლაც, კონვენციის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბრალდებულის საბოლოოდ გამართლების შემთხვევაშიც. დარღვევად ჩაითვლება ის გარემოება, რომ განმცხადებელს მოუწია სამართალწარმოების მკაცრი გამოცდის მარტო გავლა, იმ დახმარების გარეშე, რაც კონვენციის საფუძველზე ეკუთვნოდა. მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი სწორედ ასე უნდა განიმარტოს, თუმცა დღემდე ეს პოზიცია არ იქნა გაზიარებული სტრასბურგის ორგანოების მიერ.

**1. დაცვის უფლების მოქმედების სფერო**

ცხადია, რომ დაცვის უფლების მოქმედების სფერო მე-ნ მუხლის მოქმედების სფეროს იდენტურია, როდესაც საქმე „სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან“ დაკავშირებულ სამართალწარმოებას ეხება. თუმცა არსებობს უშუალოდ დაცვის უფლებასთან კავშირში მყოფი რამდენიმე საკითხი: დაცვის უფლება შეიძლება გავრცელდეს სისხლის სამართლის სფეროს მიღმა; ის წარმოიქმნება სასამართლო განხილვამდე ბევრად ადრე და უნდა გაიმიჯნოს ბრალდებულის დახმარების სხვა ასპექტებისგან.

**ა. იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს გარეთ**

**1. იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება „სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების“ შესახებ სამართალწარმოების დროს.** კონვენციაში გამოყენებული ფორმულირების მიხედვით, მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულზე სისხლის სამართლის საქმეში. თუმცა დაცვის უფლება ასევე სამართლიან სასამართლო განხილვის ზოგადი უფლების ელემენტია. ეჭვგარეშეა, რომ როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს სამოქალაქო პროცესში აქვს თავისი ინტერესების დაცვის უფლება პირადად და არჩეული ადვოკატის მეშვეობით<sup>1167</sup>. უსასყიდლო იურიდიული დახმარებით

<sup>1165</sup> არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ, § 35.

<sup>1166</sup> კარანტა (*Quaranta*) შვეიცარიის წინააღმდეგ, § 70.

<sup>1167</sup> ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში შეიძლება არსებობდეს გამოწვევები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატების დაშვებაზე, როგორცაა შრომიით ან ქირაუნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხები, სულ მცირე, პირველი ინსტანციით საქმის

სარგებლობის საკითხი ნაკლებად ცალსახაა. *ეირის (Airey)* საქმეში სასამართლო შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „... სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართ ასეთი ნორმის არარსებობის მიუხედავად, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოს ზოგჯერ შეიძლება დაეკისროს ადვოკატის დახმარების უზრუნველყოფა, როდესაც ასეთი დახმარება აუცილებელია სასამართლოსთვის ეფექტიანი მიმართვის უზრუნველსაყოფად იურიდიული წარმომადგენლობის საკლებდებულო ხასიათის გამო ... ან საქმის, ან სამართალწარმოების სირთულის მიზეზით“<sup>1168</sup>.

II. *იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება habeas corpus პროცედურის დროს.* მე-6 მუხლი, მათ შორის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი არ ვრცელდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სამართალწარმოებაზე<sup>1169</sup>. თუმცა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას ამ უფლების ეფექტიანი გამოყენება შეიძლება საჭიროებდეს დამცველის დახმარებას. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი საქმეში *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხაობის მდგომარეობაში<sup>1170</sup>. კომისიამ მას დართო ნება, დასწრებოდა განხილვას, სიტყვიტაც გამოსულიყო და დარწმუნდა, რომ ნამდვილად სჭირდებოდა ასეთი დახმარება. ანალოგიურად, საქმეში *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანს ჰქონდა „დამცველის ეფექტიანი დახმარების“ უფლება დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრებისას<sup>1171</sup>.

### ბ. იურიდიული დახმარების უფლება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე

I. *სასამართლო განხილვამდე.* ძალიან მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ დაცვის უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო განხილვით. ეს თანაბრად ითქმის როგორც ანგლოსაქსურ სისტემაში მიღებულ მთლიანად შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე, სადაც დაცვა უფრო დიდ როლს თამაშობს სასამართლო განხილვისთვის მომზადებასა და მტკიცებულებების წარდგენაში, ისე კონტინენტურ სისტემაზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტურ სისტემაში სასამართლო განხილვის მომზადება ძირითადად ხელისუფლების ორგანოების ფუნქციაში შედის, დაცვას შეუძლია მოწმეების შეთავაზება, დოკუმენტების წარდგენა, ექსპერტებისთვის გასაგზავნ კითხვებზე აზრის გამოთქმა და ა.შ. დამცველის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებების უმეტესობა განიხილება

---

განხილვისას. თუმცა ეს ნიგნი არ არის მე-6 მუხლთან ასეთი შეზღუდვების შესაბამისობის საკითხის განხილვის ადგილი, ვინაიდან ის მხოლოდ არასისხლისსამართლებრივი დაცვის დროს წამოიჭრება.

<sup>1168</sup> *ეირი (Airey) ირლანდიის წინააღმდეგ*, §26. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იურიდიული დახმარების გარეშე არ ჰქონდა დამორების (მეულლეთა განცალკევებით ცხოვრების) შესახებ სასამართლო დადგენილების მიღების შესაძლებლობა. ირლანდიაში განქორწინება არ იყო დაშვებული.

<sup>1169</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*; *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §60; *დე ვილდე (De Wilde), ომსი (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ*, §78; *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*, §22; *მოულდუფო (Mouldoufo) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10868/84; ჰარისი, ობოილი და უორბრიტი (1995) 257.

<sup>1170</sup> *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*.

<sup>1171</sup> *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §60.

მხოლოდ გამოძიების, პროკურატურის წარმომადგენლის ან გამოძიებელი მოსამართლის მიერ. ხშირად სასამართლო მთლიანად ეყრდნობა გამოძიების მიერ მომზადებულ დოკუმენტებს<sup>1172</sup>.

ამ საკითხზე საუბრისას რამდენიმე ასპექტი უნდა განვსახვაოთ ერთმანეთისგან. ზღვარი უნდა გაივლოს გარანტიის სამ ასპექტს შორის. რაც შეეხება პირველ ასპექტს, ცხადია, რომ არ არსებობს ბევრი შეზღუდვა ბრალდებულის უფლებაზე, პირადად დაიცვას თავი. მას ამის გაკეთება სამართალწარმოების დაწყებამდეც შეუძლია. მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომლებიც გამორიცხავენ დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ დევნას იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ჩადინა მსჯავრდების თავიდან აცილებისთვის, როგორცაა მაგალითად, სასმელი ჭიქის განმუნდა თითის ანაბეჭდებისგან<sup>1173</sup>. გარანტიის მეორე ნაწილიც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვებს. ყველას შეუძლია დამცველის მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ დროს, მათ შორის სამართალწარმოების დაწყებამდე. პრობლემები წარმოიქმნება მესამე ასპექტთან, იურიდიული დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. თუმცა აქაც უნდა გავიფიქროთ ერთმანეთისგან დამცველის ყოლა და დამცველის თავისუფალი ხელმისაწვდომობა. ამ პრობლემას მოგვიანებით დავუბრუნდებით. მსგავს სირთულეებს ვაწყდებით ეფექტიანი იურიდიული დახმარების საკითხთან დაკავშირებით.

დღემდე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ნათეს მსჯავრდებულს იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების მოქმედების დაწყების მომენტს. თუმცა ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ მარტივია: დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება წარმოიქმნება მაშინვე, როდესაც არსებობს ეფექტიანი დახმარების განევის შესაძლებლობა. დიდი ალბათობით, ასეთი დახმარება საჭირო გახდება, მაგალითად, ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას. თუ ასეთ დროს პირი მოითხოვს დამცველს, როგორც წესი, ამ მოთხოვნის ნაადრევად მიჩნევა გაუმართლებელი იქნება. სახანო ადვოკატის დანიშვნის გადავადება მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის ნათელი, წარედგინება თუ არა პირს ბრალდება ან მოითხოვს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესები დამცველის დახმარებას. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს, როდესაც, მაგალითად, მოთხოვნის წარდგენის დროს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო გადაწყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ბრალდებულს მიეცემა სრული კომპენსაცია. თუმცა ამ შემთხვევაშიც უფლებამოსილმა ორგანომ ყურადღებით უნდა განიხილოს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე კომპენსაციის საკითხის თავისუფლად გადაწყვეტის საშუალება.

II. *ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვა.* სააპელაციო სამართალწარმოება, როგორც წესი, უფრო ტექნიკური ხასიათისაა, ვიდრე პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა. შესაბამისად, ასეთ დროს უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ „მართლმსაჯულების ინტერესები“ მოითხოვდეს დამცველის მიერ ბრალდებულის დახმარებას. ასეთი შემთხვევის ტიპური მაგალითია საქმე *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*<sup>1174</sup>. განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა ნარკოტიკული დანაშაულისთვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. აპელაციის

<sup>1172</sup> იხ. მაგ: ჰაუზერი და შერი (2002) 202.

<sup>1173</sup> ცხადია, რომ ამისთვის მათ სჭირდებათ დამცველი. თუმცა დამცველებს მსგავსი ქმედების ჩადენისთვის ემუქრებათ სასჯელი.

<sup>1174</sup> *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ.*

ნესით საქმის განხილვისას რამდენიმე რთული ტექნიკური საკითხი ნამოქრა ბრალდებულის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. ფედერალურმა სისხლის სამართლის სასამართლომ გადანყვიტა მოსმენის გამართვა, რაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდებოდა. დაცვის ადვოკატმა მოითხოვა, რომ ის ოფიციალურად დაენიშნათ განმცხადებლის დამცველად, რაზეც უარი ეთქვა. როგორც სასამართლო, ისე კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის დარღვევას.

## II. პირადად თავის დაცვის უფლება

### ა. ბრალდებულის უფლება, იმოქმედოს თავის დასაცავად

#### 1. ზოგადი ნესი

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის ნაწილი, რომელიც „შედარებით აბსოლუტური“<sup>1175</sup>, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ბრალდებულის უფლება, პირადად იმოქმედოს თავის დასაცავად. გარანტიის ამ ასპექტზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ დამცველი შეიძლება დაენიშნოს პირს მისი ნების საწინააღმდეგოდ. ბრალდებულს მაინც ექნება პერსონალურად მოქმედების საშუალება. ეს არ ნიშნავს, რომ დაცვის ყველა ქმედება შეიძლება პირადად ბრალდებულმა განახორციელოს. შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება გაუპატიურებასთან დაკავშირებულ საქმეებში. ისეთ ვითარებაში, როდესაც ბრალდებულისა და დამცველის მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, გადამწყვეტია ბრალდებულის ნება. თუმცა ამ დროს დამცველს არ ევალება საკუთარი პროფესიული მოსაზრებების წინააღმდეგ მოქმედება. ერთ-ერთ საქმეში კომისიამ აღნიშნა, რომ კონვენცია „არ ანიჭებდა ბრალდებულს დამცველისგან დაცვის ისეთი სტრატეგიის შერჩევის მოთხოვნის უფლებას“, რომლის გამოყენებაც ამ უკანასკნელს შეუძლებლად მიიჩნდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, თავად მიემართა სასამართლოსთვის<sup>1176</sup>. ანალოგიურად, გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განხილულ საქმეში კომისია აცხადებდა, რომ ბრალდებული ვერ მოითხოვდა თავისი დამცველისგან მისი პროფესიული მოვალეობის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას სასამართლოზე დაცვის განხორციელებისას<sup>1177</sup>. შესაბამისად, თუ ასეთი ქცევის შედეგად ბრალდებულს პირადად მოუწევს თავის დაცვა, „მხარეთა თანასწორუფლებიანობის ყოველი შემდგომი დარღვევა შეიძლება მხოლოდ მის ქცევას დაბრალდეს“<sup>1178</sup>.

საქმეში *ვიკი (Wick) აესტრიის წინააღმდეგ*<sup>1179</sup> გაუგებრობას ჰქონდა ადგილი დამცველსა და ბრალდებულს შორის, რომელმაც არ იცოდა, რომ იურიდიული დახმარებით სარგებლობას აგრძელებდა. შედეგად, დამცველმა, რომელმაც თავდაპირველად წარადგინა შეტყობინება სააპელაციო საჩივრის შეტანის განზრახვის შესახებ და გადანყვეტილების გაუქმების მოთხოვნა, საბოლოოდ უარი

<sup>1175</sup> რასაკვირველია, „შედარებით აბსოლუტური“ წინააღმდეგობრივი ტერმინია. დათქმა არის აუცილებელი იმ საკითხთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა დაცვის უფლების გარანტიას დამცველის საეულდებულო დახმარება.

<sup>1176</sup> *X შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 9127/80.

<sup>1177</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 8386/78.

<sup>1178</sup> იგივე მიდგომას იყენებს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც. იხ. *ერლ პრეტი (Earl Pratt) და ივან მორგანი (Ivan Morgan) იამაიკის წინააღმდეგ*, §222.

<sup>1179</sup> *ალექსანდერ ვიკი (Alexander Wick) აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15701/89.

თქვა ამ უკანასკნელზე. განმცხადებელმა კი განაცხადა, რომ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის წარდგენა სურდა, მაგრამ უარს ამბობდა გასაჩივრების უფლებაზე. სასამართლომ უარყო სამართლებრივი დაცვის ორივე საშუალება. საქმის განხილვა შეწყდა მორიგებით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კომისია ეჭვქვეშ აყენებდა დამცველის მიერ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე უარის ნამდვილობას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულის მიერ დეკლარირებულ სურვილს. გარდა ამისა, კომისიას ასევე შეეძლო გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ნამდვილობის უარყოფა, რადგან ის დამცველთან კონსულტაციის გარეშე იქნა მიღებული<sup>180</sup>. დამცველის დახმარებაზე უარის თქმის უფლების არსებობის საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

## 2. სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება

### ა. ზოგადი პრინციპი

„ამის შესახებ არ არის მკაფიოდ ნახსენები მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, თუმცა ამ მუხლის მიზანი და დანიშნულება, ერთად აღებული, ადასტურებს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს აქვს [სასამართლო] განხილვაში მონაწილეობის უფლება“<sup>181</sup>. ეს პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა კოლოზას (*Colozza*) საქმეში ყოველთვის გამოიყენება პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს და საყოველთაოდ აღიარებულია<sup>182</sup>. სტენფორდის (*Stanford*) საქმეში სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა მისი მნიშვნელობა: „მთლიანობაში, განხილული მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. ზოგადად, ეს მოიცავს, *inter alia*, არა მხოლოდ დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებას“<sup>183</sup>.

<sup>180</sup> პუაფერეი (*Pfeifer*) და პლანკლი (*Plankl*) ავსტრიის წინააღმდეგ, §38.

<sup>181</sup> კოლოზა (*Colozza*) იტალიის წინააღმდეგ, §27; ეს გადაწყვეტილება დადასტურდა საქმეში მონელი (*Monnell*) და მორისი (*Morris*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §56; ბარბერა (*Barbera*), მესაგე (*Messague*) და ხაბარდო (*Jabardo*) ესპანეთის წინააღმდეგ, §78, 34; ბროზიჩეკი (*Brozicek*) იტალიის წინააღმდეგ, §45; FCB იტალიის წინააღმდეგ, §33; T იტალიის წინააღმდეგ, §26; ზანა (*Zana*) თურქეთის წინააღმდეგ, §68; ბელზიუკი (*Belziuk*) პოლონეთის წინააღმდეგ, §37. სასამართლო ყოყმანობდა მხოლოდ ერთ საქმეში ეკატანი (*Ekbatani*) შვედეთის წინააღმდეგ (§25), როდესაც განაცხადა, რომ ბრალდებულის მოსმენა უნდა მოხდეს პირველ ინსტანციაში „ზოგადი პრინციპის სახით.“ თუმცა ასეთი შეზღუდვა აღარ გვხვდება მოგვიანებით განხილულ საქმეებში და შეცდომად უნდა მივიჩნიოთ. იხ. ფან დაიკი და ფან შოუი (1998) 433. ვიდმაიერი (*Widmaier*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 9573/81.

<sup>182</sup> იხ. მაგ; ფროვაინი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 94; პონსე (1977) 46.

<sup>183</sup> სტენფორდი (*Stanford*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §26: განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ ვერ მოისმინა სასამართლო განხილვა, რადგან ბრალდებულისთვის განკუთვნილი ადგილი იყო შემინული. სასამართლომ გაიზიარა მისი მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა „სირთულეებს სასამართლო განხილვის დროს ზოგიერთი მტკიცებულების მოსმენისას.“ თუმცა არც განმცხადებელს და არც მის დამცველს არ დაუყენებია ეს საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელს ჰყავდა დამცველი (§30), რაც არ არის დამაჯერებელი არგუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულს თავად შეეძლო სამართალწარმოებისთვის თვალყურის დევნება მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში.

### ბ. დისციპლინურ მიზეზებთან დაკავშირებული გამოწვევის კლასიკები

კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ბრალდებული არ ემორჩილება სასამართლო განხილვის ნორმალურად წარმართვის მიზნით დადგენილ ქვეყნის წესებს. ბრალდებულმა შეიძლება არეულობა შეიტანოს სამართალწარმოებაში თავისი საუბრით, ყვირილით, ძალადობრივი ქმედებით ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სასამართლოში გამოცხადებით. თეორიულად, შესაძლებელია ასეთ ქცევაზე რეაგირება ძალის გამოყენებით, პირის შებოჭვით ან მის დასამშვიდებლად შესაბამისი მედიკამენტების გამოყენებით. თუმცა სასამართლო წესრიგი მაინც დაირღვევა და ბრალდებულის, სასამართლოს და ყველა დამსწრის ღირსება შეილახება. ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი პირების გაძევება სასამართლო დარბაზიდან. კომისიამ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო განაცხადები მსგავსი ზომების წინააღმდეგ<sup>1184</sup>. თუმცა დაუშვებელია სხდომის დარბაზიდან გაძევების გამოყენება სასჯელის სახით. პირი უნდა დაბრუნდეს დარბაზში, თუ წესრიგის დაცვის პირობას დადებს და შეასრულებს.

### გ. დაუსწრებლად პირის გასამართლება

რამდენად შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას პირის დაუსწრებლად გასამართლება? არსებობს რამდენიმე მიზეზი, რაც ასეთი ტიპის სამართალწარმოებას არასასურველს ხდის.

სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობა არ არის აუცილებელი მხოლოდ დაცვის ინტერესებისთვის. ის ხელს უწყობს სასამართლოს ბრალდებულის შესახებ შთაბეჭდილების შექმნაში და მისი განცხადებების მოსმენის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ბრალდებულს შეუძლია სამართალწარმოების სამართლიანობის პირადად გაკონტროლება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რა აზრი აქვს პირის მსჯავრდებას ან მისთვის სასჯელის დანიშვნას, თუ მისი არყოფნის გამო, შეუძლებელია განაჩენის აღსრულება, როგორც მინიმუმ, ისეთი სანქციების დაკისრებისას როგორცაა თავისუფლების აღკვეთა.

ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება უფრო ხანმოკლე იყოს, ვიდრე სასჯელის აღსრულებისთვის<sup>1185</sup>. ამასთან, არსებობს ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრის ინტერესი მანამ, სანამ მტკიცებულებები ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია<sup>1186</sup>.

ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენიმე კონტინენტურ სისტემაში მოქმედებს წესი, რომელიც გარკვეული გარემოებების არსებობისას, უშვებს პირის დაუსწრებლად გასამართლებას. კონვენცია არ არის რეგულაციური აქტი და მისმა ინტერპრეტაციამ არ უნდა გამოიწვიოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არსებული ტრადიციების სრული უარყოფა. შედეგად, ასეთი სასამართლო განხილვის სრულად აკრძალვის ნაცვლად, პრეცედენტულ სამართალში აქცენტი კეთდება იმ პირობებზე, რომელთა საფუძველზე ის ჩაითვლება სამართლიანად. ეს საკითხი ასევე განიხილა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა და მიიღო სპეციალური რეზოლუცია<sup>1187</sup>.

<sup>1184</sup> X გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 8386/78.

<sup>1185</sup> იხ. მაგ: ავსტრიის საპროცესო კოდექსის 57-ე და 59-ე მუხლები; გერმანიის საპროცესო კოდექსის 78-ე და 79-ე მუხლები; შვეიცარიის საპროცესო კოდექსის 70-ე და 73-ე მუხლები.

<sup>1186</sup> კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, §29.

<sup>1187</sup> რეზოლუცია (75) 21 მარტი, 1975.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი პირდაპირ გვეუბნება, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, დაესწროს სასამართლო განხილვას. თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, მე-14 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნევეს ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლებას მისი არყოფნის მიზეზების მიუხედავად<sup>1188</sup>.

ვეროპული პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს შემდეგი წესები:

*I. ხელახალი გასამართლების შესაძლებლობა.* დაუსწრებლად გასამართლება არ ნარმოშობს რაიმე პრობლემას სამართლიანობასთან დაკავშირებით, როდესაც მსჯავრდებულის საქმე შეიძლება ხელახლა იქნეს განხილული მის მიერ ასეთი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ან, თუ საქმის გადასინჯვა ავტომატურად მოხდება<sup>1189</sup>. სხვა სიტყვებით, აუცილებელი არ არის ბრალდებულის მიერ თავისი გამოუცხადებლობის საფუძვლიანი მიზეზების მოყვანა. ჩვეულებრივ, მოქმედებს ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სასამართლო განაჩენის შესახებ მსჯავრდებული პირის ფორმალურად ინფორმირების მომენტიდან იწყება. სასამართლომ ნათელი გახადა ეს, როდესაც განაცხადა, რომ, „თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უშვებს სასამართლო განხილვას ბრალდებულის არყოფნის მიუხედავად, პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება სამართალწარმოების შესახებ, სასამართლოსგან მოითხოვოს მისთვის წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის არსებითი განსაზღვრა“<sup>1190</sup>. თუ პირი არ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, ეს ჩაითვლება უფლებაზე უარის თქმად.

*ჰაზერის (Haser) საქმეში* განმცხადებელმა აირჩია პირდაპირ სააპელაციო საჩივრის წარდგენა სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობის გამოყენების ნაცვლად. სასამართლომ კვლავ ხაზი გაუსვა სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის დასწრების მნიშვნელობას და განაცხადი დაუშვებლად ცნო<sup>1191</sup>.

*II. ხელახალი გასამართლების შესაძლებლობის არარსებობა.* სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს პირის დაუსწრებლად გასამართლებას, როდესაც ის შეგნებულად თავს არიდებს გამოცხადებას<sup>1192</sup> იმ შემთხვევისგან, როდესაც ბრალდებული ვერ ახერხებს გამოცხადებას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო<sup>1193</sup>. ამ განსხვავების მიუხედავად, სასამართლო მუდმივად აცხადებს, რომ „ისისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის უფლება, ისარგებლოს დამცველის ეფექტიანი დახმარებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ბრალდებული არ კარგავს ამ უფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ არ ესწრება სასამართლო განხილვას“<sup>1194</sup>.

<sup>1188</sup> დანიელ მონგუტა მბენგე (*Daniel Monguta Mbenge*) ზაირის წინააღმდეგ, §76.

<sup>1189</sup> საქმის ავტომატურად გადასინჯვა ხდება საფრანგეთში. იხ. *B საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10291/83.

<sup>1190</sup> კოლოზა (*Colozza*) იტალიის წინააღმდეგ, §29.

<sup>1191</sup> *ჰაზერი (Haser) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 33050/96.

<sup>1192</sup> *ჟუატრიმოლი (Poitrimoli) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §30. *ვან გეიზეხემი (Van Geysseghem) ბელგიის წინააღმდეგ*, §29.

<sup>1193</sup> *მაგ. გოდტი (Goddi) იტალიის წინააღმდეგ*; *კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ*; *კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1194</sup> *გედჰარტი (Goedhart) ბელგიის წინააღმდეგ*, §26; *ვან გეიზეხემი (Van Geysseghem) ბელგიის წინააღმდეგ*, §34; *ლალა (Lala) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §33; *პელადოაჰი (Pelladoah) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §40; *სტროკი (Stroek) ბელგიის წინააღმდეგ*; *კრომბახი*

ბრალდებულთან დაკავშირების დროს სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება გონიერულ ფარგლებში. ჯეროვან გულმოდგინებას არ ჰქონდა ადგილი კოლოზას (Colozza) საქმეში, როდესაც ბრალდებულის ახალი მისამართი სულაც არ იყო დაფარული. მის შესახებ იცოდა როგორც პროკურატურამ, ისე პოლიციამ<sup>1195</sup>. ბრალდებულს არ უნდა დაეკისროს „მისი მტკიცების ტვირთი, რომ არ უცდია მართლმსაჯულებისგან დამალვა ან მისი არყოფნის მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის არსებობა“<sup>1196</sup>. სხვა სიტყვებით, სასამართლომ (სტრასბურგში საქმის განხილვისას სახელმწიფომ) უნდა დაამტკიცოს, რომ პირისთვის ცნობილი იყო სასამართლო განხილვის თარიღის შესახებ<sup>1197</sup>.

კოლოზას (Colozza) საქმეში სასამართლოს გადაწყვეტილებების მეორე ნაწილი გაცილებით უფრო ზოგადია. თუ მკაფიოდ დადგინდება, რომ ბრალდებულმა მიიღო უწყება, მაგრამ, მაინც არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე, ლეგიტიმური იქნება მას მოეთხოვოს სასამართლოსთვის დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომ მისი არყოფნა გამონეუული იყო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და არ უნდა ჩაითვალოს უფლებაზე უარის თქმად.

III. უფლებაზე უარის თქმა და მისი შეზღუდვები. ბრალდებულს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ თქვას უარი სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლებაზე<sup>1198</sup>. ზემოთ აღწერილი ქცევა, რომელიც სასამართლო წესრიგს არღვევს, შეიძლება განიმარტოს როგორც უფლებაზე ნაგულისხმები უარის თქმა. თუმცა, ისევე როგორც დაცვის სხვა უფლებებთან მიმართებაში, ამ უფლებაზე უარის თქმაც „ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგინდეს“<sup>1199</sup>.

სასამართლოში გამოცხადების უფლება ხაზს უსვამს პრინციპის მეორე ელემენტს. კერძოდ, ბრალდებულის ვალდებულებას, რომ გამოცხადდეს. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში სასამართლო განხილვაზე პირის გამოუცხადებლობა ჩაითვლება სასამართლოსადმი უპატივცემულობად. ასეთ დროს ბრალდებულის მიმართ სასამართლოს დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, ძალზე ნეგატიურია და შეიძლება მისი ქონებაც კი დაექვემდებაროს კონფისკაციას. ერთ-ერთ შესაძლო სანქციას წარმოადგენს თავის დაცვის უფლების ჩამორთმევა. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეში *პუატრიმოლი (Poirimol) საფრანგეთის წინააღმდეგ*. სააპელაციო სასამართლომ ჩამოართვა ბრალდებულს დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება, რადგან უწყების მიღების მიუხედავად<sup>1200</sup>, არ გამოცხადდა. განმცხადებელმა მკაფიოდ გამოხატა თავისი სურვილი, არ დასწრებოდა სასამართლო განხილვას, თუმცა ასევე განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა დამცველის მომსახურებით სარგებლობა. ამდენად, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, აქვს თუ არა ბრალდებულს, „რომელმაც შეგნებულად აარიდა

---

(Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>1195</sup> კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 28.

<sup>1196</sup> *Ibid.*, § 30.

<sup>1197</sup> FCB იტალიის წინააღმდეგ, § 35; იხ. თავი 8.

<sup>1198</sup> საქმეში კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ (§ 28) სასამართლომ ღია დატოვა ასეთი შესაძლებლობის არსებობის საკითხი.

<sup>1199</sup> ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, § 36; ლე კონტი (Le Compte), ვან ლოვენტი (Van Leuven) და დე მეიერი (De Meyere) ბელგიის წინააღმდეგ, § 59; ალბერი (Albert) და ლე კონტი (Le Compte) ბელგიის წინააღმდეგ, § 35; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 28; ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ, § 70.

<sup>1200</sup> მსგავს პრობლემას ჰქონდა ადგილი საქმეებში ლალა (Lala) ნიდერლანდების წინააღმდეგ, პალანდოა (Pellendoah) ნიდერლანდების წინააღმდეგ და ვან გეიზებენი (Van Greyseghem) ბელგიის წინააღმდეგ.



თავი [სასამართლოში] პირადად გამოცხადებას, უფლება, მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებაზე<sup>1201</sup>. სასამართლომ არ გამოორიცხა იმ ბრალდებულთა წინააღმდეგ გარკვეული სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც შეგნებულად უარს აცხადებდნენ სასამართლოში გამოცხადებაზე: „ბრალდებულის გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ... შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს უნდა შეეძლოს უსაფუძვლო გამოუცხადებლობის აღკვეთა“<sup>1202</sup>. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამკარად არაპროპორციული იყო ბრალდებულისთვის დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლებაზე უარის თქმა სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო.

საფრანგეთში საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვა „დრაკონული“ წესებით წესრიგდება. ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებელი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, ჩაბარდა ხელისუფლების ორგანოებს (შედეგად შეეფარდა წინასწარი პატიმრობა), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ ექნებოდა გასაჩივრების უფლება. ამჯერადაც, გამოყენებული სანქცია სასამართლომ გადამეტებულად მიიჩნია<sup>1203</sup>. თუმცა ეს საქმე განხილული იქნა არა დაცვის უფლებასთან კავშირში, არამედ როგორც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა<sup>1204</sup>. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული *ხალაფაუის (Khalfaoui)* საქმეში, რომელიც შეეხებოდა კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებას. სასამართლომ ეს შემთხვევა არ განასხვავა იმ საქმეებისგან, რომლებშიც განხილვის საგანი იყო საჩივარი საკასაციო სასამართლოში<sup>1205</sup>.

„იმისათვის, რათა საპროცესო უფლებებზე უარის თქმას ძალა ჰქონდეს კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის თანაზომადი მინიმალური გარანტიების არსებობა“<sup>1206</sup>. დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევაში, ეს გარანტიები პირდაპირ უკავშირდება ბრალდებულის სასამართლოში დაბარების წესს.

#### დ. ზემდგომი ინსტანციით საქმის განხილვაზე დასწრების უფლება

პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება არასდროს ყოფილა სადავო საკითხი. თუმცა სასამართლომ საკმაოდ რთული წესები შეიმუშავა სააპელაციო სამართალწარმოებაზე ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დასწრების უფლებასთან დაკავშირებით.

უპირველესად უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები, რომლებიც გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვის დროს მე-ნ მუხლის გამოყენებას უკავშირდება: „მე-ნ მუხლის პირველი პუნქტი უდავოდ ვრცელდება საკასაციო სამართალწარმოებაზე. თუმცა მისი გამოყენების წესი დამოკიდებული უნდა იყოს ასეთი სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ სპეციალურ ნიშნებზე“<sup>1207</sup>. მოგვიანებით სასამართლომ განაცხადა, რომ პირველი

<sup>1201</sup> *პუატრიმოლი (Poitrimol)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 32.

<sup>1202</sup> *Ibid.*, § 35.

<sup>1203</sup> *Ibid.*, § 38. ეს პრეცედენტი დადასტურდა საქმეებში *ომარი (Omar)* საფრანგეთის წინააღმდეგ და *გერინი (Guérin)* საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>1204</sup> *Ibid.*, § 38.

<sup>1205</sup> *ხალაფაუი (Khalfaoui)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 46.

<sup>1206</sup> *პეიფერი (Peifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 37; *პუატრიმოლი (Poitrimol)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 31; იხ. აგრეთვე *დევეერი (Deweere)* ბელგიის წინააღმდეგ, § 49.

<sup>1207</sup> *დელკური (Delcourt)* ბელგიის წინააღმდეგ.

ინსტანციის სასამართლო განხილვასთან შედარებით, „ბრალდებულის დასწრება არ არის ისეთივე მნიშვნელობის მქონე აპელაციის დროს ... ამ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, *inter alia*, კონკრეტული სამართალწარმოების სპეციალური ნიშნები და სააპელაციო სასამართლოს წინაშე დაცვის ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის წესი, განსაკუთრებით, განსახილველი საკითხებისა და განმცხადებლისთვის მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით“<sup>1208</sup>.

სასამართლოს მიერ გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

I. საქმის სრული განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის სრულ საჯარო განხილვას, რომელსაც ეხსრება ბრალდებული<sup>1209</sup>. ეს საკმაოდ უცნაურია, რადგან ასეთი განხილვის არარსებობის დროს უნდა ვივარაუდოთ, რომ მე-ნ მუხლის დარღვევას ამ ეტაპზე უკვე ჰქონდა ადგილი.

II. საქმის სრულად გადახინჯვა. ჩვეულებრივ, პირს უნდა მიეცეს პროცესზე დასწრების საშუალება, თუ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ხელახლა განხილოს საქმე, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, კერძოდ, თუ მას შეუძლია საქმეში არსებული მტიკცებულებების განხილვა და შეფასება<sup>1210</sup>.

ამ წესიდან არსებობს გამონაკლისები<sup>1211</sup>, რომლებსაც განასახიერებს იან-აკე ანდერსონის (*Jan-Ake andersson*) და ფეიდე (*Fejde*) საქმეები. აქ სასამართლომ სარისკო საქმეს მოჰკიდა ხელი. მან შეისწავლა საქმის დეტალები და მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო რელევანტური საკითხების გადანყვეტა მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და წარდგინებების საფუძველზე<sup>1212</sup>. ეს ძალზე საფრთხილო საკითხია, რადგან ეროვნული სასამართლოების ამოცანების ჰიპოთეტურად გამოვრებით, ევროპული სასამართლო ფაქტობრივად „მეთხე ინსტანციის“ სასამართლოს როლში გვევლინება. თუმცა აქვე აუცილებელია, ამ საქმეების კონტექსტთან დაკავშირებით, გარკვეული განმარტების გაკეთება: ორივე შეეხებოდა წერილმან დანაშაულებს და სანქციის სახით ზომიერი ჯარიმები იყო გათვალისწინებული. აქ ნაწილობრივ გამოიყენება პრინციპი „*de minimis non curat praetor*“. ვინაიდან ევროპულ სასამართლოს სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით

<sup>1208</sup> *პობორნიკოვი (Pobornikoff) ავსტრიის წინააღმდეგ*, §24; იხ. აგრეთვე *ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §37; *ჯოზეფ პრინცი (Josef Prinz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §34; *მაიკლ ედვარდ კუკი (Michael Edward Cooke) ავსტრიის წინააღმდეგ*, §35; *ეკბატანი (Ekbatani) შვედეთის წინააღმდეგ*, §25; *ჰელმერსი (Helmers) შვედეთის წინააღმდეგ*, §31; *კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*, §58; *მონელი (Monnell) და მორისი (Moris) გერმანიის წინააღმდეგ*, §56; *ზუტერი (Sutter) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §28; *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*, §29; *დელკორტი (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*, §26; *იან-აკე ანდერსონი (Jan-Ake andersson) შვედეთის წინააღმდეგ*, §22; *ფეიდე (Fejde) შვედეთის წინააღმდეგ*, §26.

<sup>1209</sup> იხ. მაგ. *ჰელმერსი (Helmers) შვედეთის წინააღმდეგ*, §32.

<sup>1210</sup> იხ. მაგ. *პობორნიკოვი (Pobornikoff) ავსტრიის წინააღმდეგ*; *მაიკლ ედვარდს კუკი (Michael Edwards Cooke) ავსტრიის წინააღმდეგ*; *ჯოზეფ პრინცი (Josef Prinz) ავსტრიის წინააღმდეგ*; *კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*; *ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ*; *ჰელმერსი (Helmers) შვედეთის წინააღმდეგ*; *ეკბატანი (Ekbatani) შვედეთის წინააღმდეგ*; *ფროუანი და პოიკერტი (1996) მე-ნ მუხლი*, N 94. ეს ავტორები ძალიან შორს მიდიან, როდესაც აცხადებენ, რომ ეს უფლებაც ყოველთვის არსებობს იქ, სადაც არის გასაჩივრების ამ სიტყვის ვინრო მნიშვნელობით.

<sup>1211</sup> იხ. მაგ. *ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §37.

<sup>1212</sup> *იან-აკე ანდერსონი (Jan-Ake andersson) შვედეთის წინააღმდეგ*, §29; *ფეიდე (Fejde) შვედეთის წინააღმდეგ*, §33.

ხშირად უწევს განმცხადებელთა საჩივრების განხილვა, ის მონადინებულია, დააბალანსოს სწრაფი სამართალწარმოების ინტერესი სასამართლოს მიერ ბრალდებულის პირადად მოსმენის ინტერესთან.“ არსებობს სხვა არგუმენტებიც, მათ შორის გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება და სასამართლოში შემოსული საქმეების დროული განხილვის მასთან დაკავშირებული საჭიროება, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს საჯარო განხილვის აუცილებლობის განსაზღვრისას სამართალწარმოების იმ ეტაპებზე, რომლებიც მოსდევს პირეული ინსტანციით საქმის განხილვას<sup>1213</sup>.

*III. განსახილველი საკითხი მნიშვნელობა განმცხადებლისთვის.* სასამართლო ცდილობს გაარკვიოს, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხი განმცხადებლისთვის<sup>1214</sup>. თუმცა ეგრეთ წოდებული „ნეგატიური“ თვალსაზრისით საკითხის მნიშვნელობა უკვე არის მხედველობაში მიღებული იმის გათვალისწინებით, რომ პირის მონაწილეობა აუცილებელი არ არის წერილმან დანაშაულებთან დაკავშირებული საქმეების განხილვაში. ამ კრიტერიუმს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, რომ სასამართლო განხილვა არ საჭიროებს ბრალდებულის მონაწილეობას წერილმან დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებში, იმ შემთხვევაშიც, თუ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია ფაქტების განხილვა.

*IV. Reformatio in pejus-ის რისკის არსებობა.* მართებული კრიტერიუმი იქნებოდა იმის გარკვევა, შესაძლებელი იყო თუ არა გასაჩივრების შედეგად ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალურ „მოგება-ნაგების ალტერნატივასთან“. რისკი მნიშვნელოვნად მცირდება იმ საქმეებში, სადაც მდგომარეობის გაუარესების აკრძალვა მოქმედებს, რომელსაც მიეყვართ მხოლოდ „მოგება-არმოგების ალტერნატივასთან“. კომისიას შეეძლო ამ არგუმენტის გამოყენება ერთ-ერთ საქმეში, მაგრამ გადანყვეტილება იმ გარემოების საფუძველზე მიიღო, რომ განმცხადებელს არ მოუთხოვია ზეპირი განხილვის გამართვა. დღემდე ეს საკითხი არ განუხილავს სასამართლოს.

*V. სასამართლო განხილვაზე პროკურორის დასწრება.* სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის არყოფნის გამართლებას სახელმწიფოები ზოგჯერ ცდილობენ იმ ფაქტით, რომ არც პროკურორი ყოფილა წარმოდგენილი და შესაბამისად, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არ დარღვეულა. სასამართლო სამართლიანად უარყოფს ამ არგუმენტს და აცხადებს, რომ „მხარეთა თანასწორუფლებიანობა სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლო განხილვის ფართო ცნების მხოლოდ ერთი ნიშანია“<sup>1215</sup>. ცხადია, რომ, თუ ეს პრინციპი დაირღვევა, სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობის საკითხის განხილვა აღარ იქნება საჭირო. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთი ტიპის დარღვევის არარსებობა, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ არც სხვა ტიპის დარღვევას ექნება ადგილი.

*VI. მხოლოდ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული საჩივარი.* საჩივრის განხილვა, რომელიც შემოიფარგლება კანონთან დაკავშირებული საკითხებით,

<sup>1213</sup> იან-აკე ანდერსონი (Jan-Ake andersson) შეეღეთის წინააღმდეგ, §27; ფეიდე (Fejde) შეეღეთის წინააღმდეგ, §31.

<sup>1214</sup> იხ: ბოტენი (Botten) ნორვეგიის წინააღმდეგ, §51, 52; ჰელმერსი (Helmers) შეეღეთის წინააღმდეგ, §38; კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, §67, 68.

<sup>1215</sup> იხ. მაგ: ეკბატანი (Ekbatani) შეეღეთის წინააღმდეგ, §30; მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §62.

ჩვეულებრივ, არ მოითხოვს ბრალდებულის დასწრებას<sup>1216</sup>. გამონაკლისის სახით ტრიპოლის (*Tripoli*) საქმეში სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დამცველის არყოფნას არ გამოუწვევია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მოთხოვნების დარღვევა<sup>1217</sup>. საჩივრისთვის მინიჭებული სახელწოდება არ არის გადამწყვეტი. სასამართლოს მიდგომა, როგორც ვიხილეთ, ძალიან მოქნილია და ყველა საქმის გადანყევტა მისი არსებითი მხარის გათვალისწინებით ხდება. სამართლებრივი დაცვის შერეული ხასიათის საშუალებების შემთხვევაში, როგორცაა „*recours en reforme*“<sup>1218</sup>, რომელიც ძირითადად გულისხმობს საკასაციო საჩივარს, თუმცა იძლევა აგრეთვე ახალი გადანყევტილების გამოტანის საშუალებას გარკვეული გარემოებების არსებობისას, ბრალდებულის დასწრება მაინც აუცილებელი იქნება, თუ მისი პიროვნების შეფასებას უნდა ჰქონდეს ადგილი.

სასამართლო თავად გადანყევტს, კანონთან დაკავშირებული საკითხები განიხილება თუ არა. მან ჩათვალა, რომ ამგვარ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი ბოტენის (*Bolten*) საქმეში, როდესაც განმცხადებელს ბრალად ედებოდა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდა სამართლებრივი საკითხების გარკვევისა, უზენაეს სასამართლოს „ნაწილობრივ უნდა შეეფასებინა, უზრუნველყოფდა თუ არა საქმეში არსებული გარემოებები საქმარის საფუძველს განმცხადებლის მსჯავრდებისთვის“<sup>1219</sup>.

VII. ბრალდებულისთვის ახალი სასჯელის დანიშვნა. თუ საჩივარი ასევე შეეხება სასჯელის სიმძიმეს, მართლმსაჯულების ინტერესები შეიძლება მოითხოვდეს განმცხადებლის დასწრებას. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი კრემზოვის (*Kremzow*) საქმეში<sup>1220</sup>. განმცხადებელი იყო მოსამართლე, რომელსაც ბრალად ედებოდა დამცველის მკვლელობა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განმცხადებელმა მოითხოვა გადანყევტილების გაუქმება, ხოლო პროკურორმა გაასაჩივრა სასჯელი. განმცხადებლის ერთ-ერთი საჩივარი ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ის არ დასწრებია საქმის განხილვას უზენაეს სასამართლოში. გადანყევტილების გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით სტრასბურგის ორგანოებმა ვერ აღმოაჩინეს კონვენციის დარღვევა, ვინაიდან ძირითადად კანონთან დაკავშირებული საკითხები იქნა განხილული. რაც შეეხება სასჯელთან დაკავშირებით პროკურორის მიერ წარდგენილ საჩივარს, რომელიც დაკმაყოფილდა, მათ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინეს. სასამართლოს განცხადებით, „ეს სამართალწარმოება ... ძალიან მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის

<sup>1216</sup> *პობორნიკოვი (Pobornikoff) ავსტრიის წინააღმდეგ*, §26; *ჯოზეფ პრინცი (Josef Prinz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §34; *მაიკლ ედვარდს კუკი (Michael Edwards Cooke) ავსტრიის წინააღმდეგ*, §35; *კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*, §63; საქმეში *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ* უზენაესი სასამართლოს წინაშე, გამონაკლისის სახით, გაიმართა საჯარო განხილვა, მოუხდევად იმისა, რომ კანონთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო. ის ფაქტი, რომ ამ განხილვისთვის ბრალდებულს უარი ეთქვა დამცველის დახმარებაზე, ჩაითვალა მე-6 მუხლის დარღვევად.

<sup>1217</sup> *ტრიპოლი (Tripoli) იტალიის წინააღმდეგ*, §28. კერძოდ, დამცველმა იცოდა განხილვის გამართვის შესახებ. რომელსაც ვერ დაესწრებოდა, თუმცა არ მიუღია შესაბამისი ზომები მისი გადადების მიზნით. საქმე *ალიმენა (Alimena) იტალიის წინააღმდეგ* არ ხასიათდებოდა სპეციალური ნიშნებით და შესაბამისად, კონვენციის დარღვევა იქნა აღმოჩენილი.

<sup>1218</sup> ვოს კანტონის (შვეიცარია) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 415-ე მუხლი.

<sup>1219</sup> *ბოტენი (Bolten) ნორვეგიის წინააღმდეგ*, §49.

<sup>1220</sup> *კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ*, §57.

და მოიცავდა არა მხოლოდ მისი პიროვნებისა და დანაშაულის ჩადენის დროს გონებრივი მდგომარეობის, არამედ აგრეთვე მისი მოტივის შეფასებას<sup>1221</sup>. შესაბამისად, მას უნდა ჰქონოდა თავის დამცველთან ერთად სასამართლოში გამოცხადების უფლება, რათა „პირადად დაეცვა თავი“. მეორე მხრივ, *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში არ არსებოდა უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების რისკი და არც ბრალდებულის პიროვნებისა და ხასიათის განხილვა მომხდარა. ამდენად მისი არყოფნა ვერ ჩაითვლებოდა დისკრიმინაციად თავისუფლებაში მყოფ პირებთან შედარებით<sup>1222</sup>.

ლეგიტიმური არ არის ხელისუფლების მიერ იმ ბრალდებულისთვის დაბრკოლებების შექმნა, რომელიც თავის პირადად დაცვას ამჯობინებს. *ფუშერი (Foucher)* საქმეში განმცხადებელს უარი უთხრეს სასამართლო განხილვისა და სააპელაციო საჩივრის მოსამზადებლად საქმის მასალების ხელმისაწვდომობაზე. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადაწყვიტეს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას<sup>1223</sup>.

*VIII. საჩივრის დასაშვებობის პროცესი.* საჩივრის დასაშვებობის პროცესზე აუცილებელი არ არის ბრალდებულის დასწრება. ამ დროს არ ხდება ფაქტების ხელახლა განხილვა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც განმცხადებელი დაპატიმრებულია და სააპელაციო სასამართლო წინასწარი პატიმრობის პერიოდს არ თვლის სასჯელის საერთო ვადაში, რაც იწვევს თავისუფლების აღკვეთის საერთო ხანგრძლივობის გაზრდას<sup>1224</sup>.

*IX. დაცვის მოვალეობა, იმოქმედოს გულმოდგინედ.* ჩვეულებრივ, დაცვას მოეთხოვება გარკვეული გულმოდგინების გამოჩენა. ლეგიტიმური არ არის სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვა იმ უფლების ჩამორთმევის გამო, რომელიც მხარეს არ მოუთხოვია შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების დროს<sup>1225</sup>. მაგალითად, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულმა უნდა მოითხოვოს აპელაციის წესით საქმის განხილვაზე დასწრების ნებართვა, მას ევალება ამ პროცედურის გაელა, სანამ სტრასბურგის

<sup>1221</sup> *Ibid.*, § 67.

<sup>1222</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 104. განმცხადებელი დაეობდა მენ-მუხლის საფუძველზე მე-14 მუხლთან კავშირში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას. პრინციპის „*iura novit curia*“ მიუხედავად, რომელსაც სასამართლო სხვა მხრივ აღიარებს (იხ. მაგ: *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ*, § 56-63), ფაქტების განხილვა არ მომხდარა მენ-მუხლის საფუძველზე. კომისიამ დაადგინა დისკრიმინაციის არსებობა. თუმცა ასევე ადგილი ჰქონდა მენ-მუხლის, როგორც ასეთის, დარღვევას, ვინაიდან შესაძლებელი იყო სასამართლოს მიერ სასჯელის გადასინჯვა.

<sup>1223</sup> *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1224</sup> *მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 55. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა მენ-მუხლის დარღვევას, პატიმრობის დამატებითი ვადის გამო. სასამართლომ კი გაიზიარა მთაწილის არგუმენტი, რომ ეს აუცილებელი იყო ამკარად უსაფუძვლო საჩივრების თავიდან აცილებისთვის. მიზანი თავისთავად ლეგიტიმურია, თუმცა რამდენად პროპორციული იყო სანქცია? საჩივრის დასაშვებობის პროცესი საჩივრის საფუძვლიანობის განსაზღვრას არ ისახავს მიზნად? თუ პატიმრობა იყო ამ უფლების (არა გასაჩივრების არამედ გასაჩივრების ნებართვის) ბოროტად გამოყენებისთვის დაწესებული სანქცია, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებში მენ-მუხლის მოქმედების ფარგლების განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტერიუმის საფუძველზე, ეს იყო „სისხლისსამართლებრივი სანქცია“ და შედეგად მენ-მუხლი გამოიყენებოდა. იხ. თავი 2.

<sup>1225</sup> იხ. მაგ: *იმბრიოსია (Imbrioscia) შვეიცარიის წინააღმდეგ*.

სასამართლოში განაცხადის წარდგენას გადაწყვეტს<sup>1226</sup>. თუმცა სასამართლო აქ უფრო მკაცრ წესებს იყენებს ხელისუფლების ორგანოების და კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს ვალდებულებასთან დაკავშირებით, მიიღოს პოზიტიური ზომები სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის დასწრების უზრუნველსაყოფად, როდესაც ჩათვლის, რომ მისი დასწრება აუცილებელი იყო სამართალწარმოების სამართლიანობისთვის<sup>1227</sup>.

თუმცა ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ უარი თქვა აღნიშნულ პრინციპზე<sup>1228</sup>. განმცხადებელი იყო იურისტი, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ მას არ მიეცა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა. მას არც კი გადასცეს ის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაც სურდა. თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის განკარგულებაში მოქმედების სამი შესაძლო ვარიანტი იყო. მას შეეძლო გაცნობოდა გადაწყვეტილების ორიგინალს სასამართლოს სამდივნოში. თუ მას უარს ეტყოდნენ ასლის გადაღებაზე, შეეძლო იგივე მოთხოვნის ხელახლა დაყენება. საბოლოოდ, მას შეეძლო ინფორმაციის მოძიება საკასაციო სასამართლოს სამდივნოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „განმცხადებელს არ შეეძლო იმის მტკიცება, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შეუძლებელი გახადეს მის მიერ საჩივრის მომზადება“<sup>1229</sup>. არსებობს აშკარა სხვაობა აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და *კრემცოვის (Kremzow)* და *ბოტენის (Botten)* საქმეებში მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებშიც საუბარი იყო, ბრალდებულის დასწრების უზრუნველყოფის მიზნით, ხელისუფლების ორგანოების მიერ პოზიტიური ზომების მიღებაზე. ის ფაქტი, რომ *მელინის (Melin)* საქმეში განმცხადებელი იურისტი იყო, არ ამართლებს ასეთ მკაცრ მიდგომას<sup>1230</sup>.

მსგავს ვითარებას ჰქონდა ადგილი *ფუშერი (Foucher)* საქმეში, როდესაც განმცხადებელი არ იყო იურისტი, თუმცა საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, პირადად იცავდა თავს. ეს იყო სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის აღმოჩენის ძირითადი მიზეზი<sup>1231</sup>. *ეუაზინის (Voisine)* საქმეში სასამართლომ მკაფიოდ და მართებულად განაცხადა, რომ, თუ პირი თავის დაცვას პირადად ამჯობინებს, ეს არ შეიძლება გახდეს მისთვის დაცვის სხვა უფლებების ჩამორთმევის მიზეზი<sup>1232</sup>.

### 3. დაცვის კანონიერ ქმედებებთან დაკავშირებული შეზღუდვა

ცხადია, რომ დაცვას უნდა მიეცეს მხოლოდ კანონიერი ქმედებების განხორციელების საშუალება. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი პირს ფაქტობრივად აძლევს მხოლოდ იმის უფლებას, რომ განახორციელოს კანონით ნებადართული დაცვითი საქმიანობა იმავე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფარგლებში. უპირველესად სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტი არ უზრუნველყოფს დაცვის ნებისმიერი არგუმენტის გამოყენების

<sup>1226</sup> მაგ. *შულერ ცგრაგენი (Schuler-Zgraggen)* შევიცარიის წინააღმდეგ, § 58.

<sup>1227</sup> *ბოტენი (Botten)* ნორვეგიის წინააღმდეგ, § 53; *კრემცოვი (Kremzow)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 68.

<sup>1228</sup> *მელინი (Melin)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 24.

<sup>1229</sup> *Ibid.*, § 25.

<sup>1230</sup> გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ. კომისიამ ერთხმად დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა.

<sup>1231</sup> *ფუშერი (Foucher)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 35.

<sup>1232</sup> *ეუაზინი (Voisine)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 32, 33.

მუზლუდაე უფლებას<sup>1233</sup>. დაცვამ პატივი უნდა სცეს სხვა ადამიანების უფლებებს. ბრალდებულის მოქმედება თავის დაცვის მიზნით არ ამართლებს მის მიერ მესამე პირთა ღირსების შელახვას ან უდანაშაულო ადამიანებისთვის დანაშაულის დაბრალებას. ბრანდშტეტერის (Brandstetter) საქმეში განმცხადებელს ბრალად ედებოდა ცილისწამება მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო, რომ ყურძნის ნიმუშის აღების დროს ინსპექტორები კანონდარღვევით მოქმედებდნენ. სასამართლომ განაცხადა, რომ „მე-ნ მუხლის მე-3(გ) პუნქტი არ უზრუნველყოფს დაცვის ნებისმიერი არგუმენტის გამოყენების შეუზღუდაე უფლებას ... სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულთა დაცვის უფლების კონცეფციის გადატირთვის ტოლფასი იქნებოდა, თუ ჩავთვლიდით, რომ მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შეუძლებელია როდესაც, აღნიშნული უფლების განხორციელებისას, ისინი შეგნებულად აღძრავენ ცრუ ეჭვებს დასჯადი ქვეყის შესახებ მონმესთან ან სისხლის სამართალწარმოების სხვა მონანილესთან დაკეშირებით“<sup>1234</sup>. მეორე მხრივ, უკანონო ქმედებისთვის დაცვაზე დაკისრებული ნებისმიერი სანქცია უნდა იყოს პროპორციული. სასამართლომ ჩათვალა, რომ ცილისწამების ნიადაგზე სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო ორგანოთა დისკრეციაში შედიოდა, თუმცა, ამავდროულად, გაიზიარა მოსაზრება, რომ სანქციების „არაჯეროვანი სიმკაცრე“ დაცვის გამოხატვის თავისუფლებას ხელყოფდა. „მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ ბრალდებულის მიმართ შეიძლება დაიწყოს სამართლებრივი დევნა თავის დაცვის დროს გაკეთებული განცხადებების გამო, ვერ ჩაითვლება მე-ნ მუხლის მე-3(გ) პუნქტით განსაზღვრული უფლებების დარღვევად. ვითარება შეიცვლება, თუ დადგინდა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ან პრაქციკა ამ მხრივ არაჯეროვნად მკაცრია, შემდგომი სამართლებრივი დევნის რისკი იმგვარია, რომ ბრალდებულს ნამდვილად ექმნება დაბრკოლება ამ უფლებების განხორციელებაში. თუმცა განმცხადებელს არ უთქვამს, რომ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი აესტრიაში. გარდა ამისა, განმცხადებელს შეიძლებოდა არაპირდაპირ შექმნოდა პრობლემა, თუ შესაბამისი განცხადებების გაკეთების დროს დაემუქრებოდნენ ცილისწამების ნიადაგზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესაძლებლობით“<sup>1235</sup>.

სასამართლო, როგორც ჩანს, იყენებს დიფერენცირებულ წესებს. ერთი მხრივ, დაცვის უფლება არ აძლევს ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის საშუალებას მესამე პირთა მიმართ. თუმცა, მეორე მხრივ, კონვენცია ირღვევა, როდესაც ასეთი დანაშაული ძალზე მკაცრად ისჯება, ან დაცვის დაზინების მცდელობას აქვს ადგილი. ეს არის საკმაოდ უცნაური არგუმენტი, განსაკუთრებით, მესამე პირთა მდგომარეობის გათვალისწინებით. სასამართლოს მსჯელობას მიყვავართ დასკვნამდე, რომ, თუ ცილისწამება მკაცრად ისჯება და დაცვა ამის შესახებ გაფრთხილებულია, ადგილი აქვს ბრალდებულის დაცვის უფლების გაუმართლებელ მუზლუდაეს და მესამე პირი ვერ აღძრავს საქმეს თავისი უფლებების დასაცავად. ასეთი მიდგომა აზრს მოკლებულია. მისი გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ძალიან განსაკუთრებულ და უკიდურეს შემთხვევაში.

#### 4. ფორმლობების დაცვა

საპროცესო სამართლის დამახასიათებელი ნიშანია ფორმლობებისა და სხვადასხვა საპროცესო ნორმების დაცვის დაჟინებული მოთხოვნა, რაც

<sup>1233</sup> ბრანდშტეტერი (Brandstetter) აესტრიის ნინაალმდეგ, §52.

<sup>1234</sup> ბრანდშტეტერი (Brandstetter) აესტრიის ნინაალმდეგ, §52.

<sup>1235</sup> *Ibid.*, §53.

უზრუნველყოფს მკაფიო და განჭვრეტადი წესით სამართალწარმოების წარმართვას. ხანდაზმულობის ვადები განისაზღვრება, მაგალითად, იმ პერიოდის დასადგენად, რომლის დროსაც მხარეებმა უნდა წარადგინონ მტკიცებულებები ან საჩივრები. ბრალდებულს მოეთხოვება ამ ვადების დაცვა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი იმდენად არაგონივრულია, რომ თავად უფლების არსს ხელყოფს.

ხანდაზმულობის ვადებზე იყო მსჯელობა *კლოდელის (Claudel)* საქმეში<sup>1236</sup>. საფრანგეთის კანონმდებლობა მოითხოვდა, რომ საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მოთხოვნა წარედგინა პირადად მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს, რომელსაც ჰქონდა ამ იურისდიქციის წინაშე გამოსვლის უფლებამოსილება. ამ საქმეში განმცხადებელმა წარადგინა საჩივარი, რომელსაც ხელი მოაწერა მისმა დამცველმა, თუმცა ამ უკანასკნელს არ გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება. შესაბამისად, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. კომისიამ მისაღებად ჩათვალა აღნიშნული შეზღუდვა. თუმცა რამდენად დამაჯერებელია ასეთი გადაწყვეტილება? ფორმალური წესები უდავოდ გონივრულობით უნდა ხასიათდებოდეს და რთული გასაგებია, რატომ არის საჩივარი დასაშვები, თუ მას ხელს აწერს პირადად განმცხადებელი, მაგრამ დაუშვებელი ხდება „ჩვეულებრივი“ დამცველის მიერ ხელის მოწერის შემთხვევაში. უფრო ლოგიკური იქნებოდა მხოლოდ სპეციალური კვალიფიკაციის მქონე დამცველების მიერ წარდგენილი საჩივრების მიღება. ამგვარი შეზღუდვები მიზნად ისახავს საქმეებით გადატვირთულ უმაღლეს სასამართლოებში საჩივრების რაოდენობის შემცირებას.

არსებობს რამდენიმე საპროცესო ნორმა, რომელთა გამართლება რთულია თუ არა შეუძლებელი. მისაღები ნორმების მაგალითები მოიცავს გაერთიანებულ სამეფოში და გერმანიაში მოქმედ წესს, რომ იურისტებმა ატარონ მანტიები. სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი მოთხოვნების დანესება<sup>1237</sup>. თუმცა გერმანიის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ბერლინის უმაღლესმა სასამართლომ უარყო საჩივარი იმ მოტივით, რომ დამცველის ხელმოწერა იყო არადამაკმაყოფილებელი. უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ გარკვევით ხელის მოწერა არ იყო აუცილებელი, თუმცა სახელის ამოკითხვა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. მეორე დამცველის მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ იმავე მიზეზით იქნა უარყოფილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბერლინის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული მოსამართლეთა ხელმოწერების გამიფერა იყო შეუძლებელი. სამწუხაროა, რომ კომისიამ აღნიშნული განაცხადი დაუშვებლად ცნო. სახეზეა გადაჭარბებული ფორმალიზმის ტიპური მაგალითი თუ არა ხელისუფლების ბოროტად გამოყენება<sup>1238</sup>.

## ბ. ბრალდებულის უფლება, „თავი დაიცვას პირადად“

რთულია იმის გარკვევა, რამდენად შესაძლებელია ბრალდებულს იძულებით დაენიშნოს დამცველი, როდესაც აცხადებს, რომ ურჩევნია პირადად დაიცვას თავი. აქვს თუ არა ბრალდებულს დამცველის იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმის უფლება? პრობლემა უკავშირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

<sup>1236</sup> *კლოდელი (Claudel) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 23038/93. იხ. აგრეთვე *მეფტა (Meftah) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §47.

<sup>1237</sup> *X და Y გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 5217/71.

<sup>1238</sup> *K გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 12304/86. საეარაუდოდ, ადგილი ჰქონდა გარკვეულ პიროვნულ დაპირისპირებას დამცველსა და მოსამართლეებს შორის და განსაკუთრებით მიუღებელია, რომ ეს საკუთარ თავზე გადაიტანა განმცხადებელმა.



განხორციელების ლიბერალურ და სოციალურ კონცეფციებს შორის არსებულ ნინაალმდეგობას. ლიბერალური მიდგომა აქცენტს აკეთებს ბრალდებულის არჩევანზე, სოციალური მიდგომა კი სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მხოლოდ თავი შეიკავოს ინდივიდის უფლებაში ჩარევისგან, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს პოზიტიური ზომები მის დასაცავად<sup>1239</sup>.

დამცველი შეიძლება ასევე იძულებით დაინიშნოს, თუ ბრალდებული სასამართლო წესრიგს არღვევს ან სხვაგვარად ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას. ეს საკითხი იდგა სლობოდან მილოშევიჩის გასამართლების დროს, თუმცა ადგილი არ ჰქონია სასამართლო განხილვისთვის შეგნებულად ხელის შეშლას. ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, განსაკუთრებით მაღალი წნევა, საფუძვლად დაედო სამედიცინო დასკვნას, რომ მის მიერ თავის პირადად დაცვა შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო პალატის სხდომა კვირაში მხოლოდ ერთხელ უნდა გამართულიყო. სააპელაციო პალატამ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება დამცველის დანიშვნის შესახებ, მაგრამ ქვემდგომი პალატის მიერ დაქირებული შუზღუდეები ძალზე მკაცრად მიიჩნია<sup>1240</sup>.

ჩვეულებრივ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია გამართებული ინდივიდის დასაცავად შესაბამისი ზომების მიღება მისივე ნების საწინააღმდეგოდ<sup>1241</sup>. საეჭვოა, რომ დამცველის დახმარებამ რაიმე სარგებელი მოიტანოს, როდესაც ბრალდებული ამის წინააღმდეგია. დამცველსა და ბრალდებულს შორის დავის დროს, სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს კლიენტის და არა მისი ადვოკატის პოზიციას. ამდენად, საკმაოდ ბევრი არგუმენტი არსებობს ბრალდებულის ნების სასარგებლოდ, როდესაც ის გადაწყვეტს, რომ არ ისარგებლოს დამცველის მომსახურებით.

საწინააღმდეგო პოზიციაც ღირებულ არგუმენტებს ეყრდნობა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თვით ის ბრალდებული, რომელიც ძალიან კარგად იცნობს როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სისხლის სამართალს, იშვიათად შეძლებს შექმნილი ვითარების ობიექტურ შეფასებას და თავის ეფექტიან დაცვას. გარდა ამისა, თუმცა ბრალდებულის სახელით მოქმედი დამცველი არ უნდა ჩაითვალოს სასამართლოს დამხმარედ, ამ უკანასკნელის ამოცანა ერთიორად იოლდება, როდესაც მის წინაშე, დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილგონიერულად და რაციონალურად მოქმედი მცოდნე ადამიანი გამოდის.

ამით იყო განპირობებული კომისიის გადაწყვეტილება, თავისი არსებობის ადრეულ წლებში, ამ პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფოებისთვის მიენიჭებინა შეფასების ფართო ფარგლები<sup>1242</sup>. ევროპის საბჭოს გენერალური

<sup>1239</sup> ასეთი ვალდებულების საფუძვლად სასამართლო მიიჩნევს კონვენციის 1-ლ მუხლს, რომლის მიხედვით, სახელმწიფოები „ყველასთვის უზრუნველყოფენ ... კონვენციით ... განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. იხ. მაგ. *ირლანდა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 239.

<sup>1240</sup> ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა, *სლობოდან მილოშევიჩი (Slobodan Milosevic) ბრალდებულის წინააღმდეგ* (1994).

<sup>1241</sup> გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც სახეზეა შეურაცხადი პირი, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.

<sup>1242</sup> *X ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2676/65; *X ნორვეგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 5923/72; *შაიხელბაუერი (Scheibelbauer) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2645/65; *S ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7138/75; *ენსლინი (Ensslin)*, *ბადერი (Baader)* და *რასპი (Raspe)*, განაცხადები 7572/76, 7586/76 და 7587/76, § 21; *S გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 8295/78.

მდივნის მიერ მონეულმა „დამოუკიდებელმა ექსპერტებმა“, რომელთაც უნდა განესაზღვრათ აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების არსებობა, არ ისურვეს იმ სასამართლო განხილვათა სამართლიანად ცნობა, რომლებშიც ბრალდებულებმა, მთავრობის მტკიცებით, უარი თქვეს დამცველის დახმარებაზე იმის მიუხედავად, რომ ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯა ან ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა<sup>1243</sup>.

სასამართლომ გაიზიარა კომისიის მიდგომა და განაცხადა: „მოთხოვნა, რომ ბრალდებულს ეხმარებოდეს დამცველი ... სამართალწარმოების ყველა სტადიაზე (...) – რასაც პარალელი მოქმედება სხვა ხელშემკერელი სახელმწიფოების კანონმდებლობაში – სასამართლოს აზრით, ვერ ჩაითვლება კონვენციასთან შეუთავსებლად“<sup>1244</sup>. ეს ციტატა მოყვანილია *კრუასანის (Croissant)* საქმიდან, რომელშიც ვითარებას ამძიმებდა ბრალდებულის გადანყევტილება, რომელიც თავად იყო იურისტი, ესარგებლა ორი დამცველის მომსახურებით. სასამართლომ არ მიიჩნია პრობლემად მესამე დამცველის *ex officio* დანიშვნა, თუმცა აღნიშნა, რომ „ერთზე მეტი დამცველის ნომინირებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის შეხედულებები [დამცველთა] საქმირო რაოდენობის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ... მსჯავრდების შემთხვევაში, თავად ბრალდებულს მოუწევს თანმდევი ხარჯების ანაზღაურება. დამცველის დანიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება დასაცავი პირის სურვილებს, შეუთავსებელი იქნება მე-1 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებასთან, თუ შეფასების ჯეროვანი ფარგლების მხედველობაში მიღების შემთხვევაშიც, მას არ გააჩნია რელევანტური და საკმარისი საფუძველი“<sup>1245</sup>.

სასამართლოს ეს განცხადება ძალიან ზოგადია; ის მისაღები იყო *კრუასანის (Croissant)* საქმის სპეციფიკურ კონტექსტში და *ex officio* დამცველის დანიშვნასთან დაკავშირებით, როდესაც ბრალდებულს უკვე შერჩეული ჰყავდა ერთზე მეტი დამცველი. თუმცა ეს შეიძლება ასევე ნიშნავდეს, რომ კანონმდებლობა, რომელიც რთულ საქმეებში დამცველის სავალდებულო წესით დანიშვნას ითვალისწინებს, თუნდაც ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, მაინც შეესაბამება კონვენციას.

მართალია ისიც, რომ *ფუშერი (Foucher)* საქმეში სასამართლომ გააკეთა განცხადება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ<sup>1246</sup> განსხვავებული ინტერპრეტაცია: „განმცხადებელმა ამჯობინა, პირადად დაეცვა თავი, რისი უფლებაც მას ჰქონდა როგორც კონვენციის დებულებების, ისე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით“<sup>1247</sup>. ეს განცხადება გულისხმობს, რომ კონვენციის საფუძველზე მისაღებია ისეთი წესის არსებობა, რომელიც საშუალებას აძლევს ბრალდებულს, პირადად აირჩიოს თავის დაცვა, თუმცა არც დამცველის სავალდებულო წესით დანიშვნას კრძალავს. საბოლოოდ, საქმეში *ლაგერბლომი (Lagerblom)* შედეგით *წინააღმდეგ* სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა: „კანონის მოთხოვნა, რომ სისხლის სამართალწარმოების დროს ბრალდებულს დაეხმაროს დამცველი ვერ ჩაითვლება კონვენციასთან შეუსაბამოდ“<sup>1248</sup>. გარდა ამისა, „დამცველის დანიშვნის დროს სასამართლოებმა

<sup>1243</sup> ამ ამბის ისტორიისთვის იხ. ტრექსელი (2002) 203.

<sup>1244</sup> *კრუასანი (Croissant) გერმანიის წინააღმდეგ*, §27; პარისი, ობოლი და უორბრიქი (1995) 258; იხ. აგრეთვე ფილისი (*Philis*) საბურძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 16598/90.

<sup>1245</sup> *კრუასანი (Croissant) გერმანიის წინააღმდეგ*, §27.

<sup>1246</sup> ვერნიორი (2005) 181.

<sup>1247</sup> *ფუშერი (Foucher) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1248</sup> *ლაგერბლომი (Lagerblom) შედეგით წინააღმდეგ*, §50.

უთუოდ უნდა გაითვალისწინონ ბრალდებულის სურვილები, მაგრამ მათი უარყოფა დასაშვებია, როდესაც არსებობს რელევანტური და საკმარისი საფუძველი, მიიჩნიოთ, რომ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისთვის“<sup>1249</sup>.

მდეგად ვიღებთ წესებისა და გამონაკლისების რთულ ჯაჭვს:

1. სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ გარკვეულ საქმეში ბრალდებულს მთელი სამართალწარმოების მანძილზე უნდა დაეხმაროს დამცველი;
2. თუ ბრალდებული არ აირჩევს დამცველს, დამცველის *ex officio* დანიშვნა შეუძლიათ ხელისუფლების ორგანოებს;
3. არ არსებობს წესი, რომელიც აკრძალავდა ერთზე მეტი დამცველის დანიშვნას, ასევე დამცველის ან დამცველების დანიშვნას იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულს უკვე ჰყავს ერთი ან რამდენიმე დამცველი;
4. თუმცა ბრალდებულთან კონსულტაციის გარეშე ამის გაკეთება შესაბამის იქნება სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებასთან მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-3(გ) პუნქტის საფუძველზე. ბრალდებულის შეხედულებები უნდა იქნეს გათვალისწინებული;
5. მეოთხე წესის გამოყენება აუცილებელი არ არის, თუ ბრალდებულს არ მოუწევს დამცველ(ებ)ის ხარჯების ანაზღაურება<sup>1250</sup>;
6. ბრალდებულის სურვილის საწინააღმდეგოდ, დამცველის დანიშვნა შეიძლება მაინც შეესაბამებოდეს კონვენციას, როდესაც არსებობს ამის რელევანტური და საკმარისი საფუძველი. ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ „შეფასების ჯეროვანი ფარგლებით“ ამგვარი შემთხვევის არსებობის შეფასებისას<sup>1251</sup>.

ვითარება უფრო ნათელია საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა განცხადება ესპანეთის წინააღმდეგ, რომელშიც განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დამცველი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დაუნიშნეს. კომიტეტმა განაცხადა შემდეგი:

მაიკლ ჰილი ამტკიცებს, რომ მას სურდა, პირადად დაეცვა თავი თარჯიმნის მეშვეობით და სასამართლომ უარყო მისი მოთხოვნა. ნევრმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ სხდომის ჩანაწერები არ ადასტურებდა ამგვარი მოთხოვნის დაყენების ფაქტს და რომ ესპანეთი აღიარებდა დაცვის უფლებას „პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თუმცა ასეთი დაცვა უნდა განხორციელდეს კომპეტენტური დამცველის მიერ, რომლის მომსახურებას, აუცილებლობის შემთხვევაში, ანაზღაურებს სახელმწიფო“. შესაბამისად, აღიარებდა რომ მისი კანონმდებლობა არ აძლევს ბრალდებულს თავის პირადად დაცვის უფლებას, როგორც ამას პაქტი ითვალისწინებს. შესაბამისად, კომიტეტი მიდის დასკვნამდე, რომ მაიკლ ჰილის უფლება, თავი დაეცვა პირადად, არ იქნა უზრუნველყოფილი პაქტის მე-14 მუხლის მე-3(დ) პუნქტის დარღვევით<sup>1252</sup>.

<sup>1249</sup> *Ibid.*, § 54.

<sup>1250</sup> სახაზინო ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე იხ. ქვეთავი IV.

<sup>1251</sup> ეს შესაბამისად სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას მილოშევიჩის საქმეში.

<sup>1252</sup> მაიკლ (Michael) და ბრაიან ჰილი (Brian Hill) ესპანეთის წინააღმდეგ, § 14.2.

სამართლის მეცნიერთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ბრალდებულის არჩევანის თავისუფლებას<sup>1253</sup>. ორივე ვარიანტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისაღება: ისინი ასახავენ ფუნდამენტურად განსხვავებულ დამოკიდებულებას ხელისუფლებასა და ინდივიდს შორის ურთიერთკავშირის მიმართ. შესაბამისად, სასამართლო მართებულად იქცევა, როდესაც შეფასების ფართო ფარგლებს უტოვებს სახელმწიფოებს.

### III. არჩეული დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება

#### ა. „პრაქტიკულად აბსოლუტური“ უფლება

ყველაზე (თუმცა არა სრულად) „აბსოლუტური უფლება“ მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის საფუძველზე, არის ბრალდებულის უფლება, „დაიცვას თავი ... არჩეული დამცველის მეშვეობით“<sup>1254</sup>. თავის დაცვა არჩეული დამცველის დახმარებით არის საუკეთესო ვარიანტი მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტში მოცემულ სამ ალტერნატივას შორის<sup>1255</sup>.

ერთ-ერთ ადრეულ საქმეში *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* სასამართლოს, როგორც ჩანს, ამ მხრივ გააჩნდა გარკვეული ეჭვები. მან აღნიშნა, რომ დამცველის დახმარება, რომელიც მიიღეს განმცხადებლებმა „შემოფარგლებოდა სადავო სამართლებრივი საკითხებით“. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი მსგავსი შეზღუდვა ეწინააღმდეგება დაცვის უფლებას კონვენციის საფუძველზე. თუმცა სასამართლომ ასევე განაცხადა: „საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ეს შეზღუდვა შეიძლება მაინც თავსებადი იყოს მართლმსაჯულების ინტერესებთან, რადგან განმცხადებლებს აშკარად შეეძლოთ განმარტებების გაკეთება მათთვის ნარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებულ ძალიან მარტივ ფაქტებზე“<sup>1256</sup>.

შვეიცარიის ერთ-ერთ კანტონში მოქმედებდა წესი, რომელიც გამორიცხავდა ადვოკატის დახმარებას მცირე მნიშვნელობის დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებში. თავდაპირველად ფედერალურმა სასამართლომ მისაღებად ჩათვალა ეს შეზღუდვა, მაგრამ შემდეგ სამართლიანად მიიჩნია, რომ კონვენციას ეწინააღმდეგებოდა<sup>1257</sup>.

ეჭვგარეშეა, რომ აუცილებელია სასამართლოს მიერ *ენგელის (Engel)* საქმეში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა<sup>1258</sup>. ნაკლებად ცხადია, რამდენად უნდა შეუნდოს ხელი სასამართლოებმა საქმეში დამცველის აქტიურ მონაწილეობას. ერთი პასუხი დასაწყისშივე ნათელია: დამცველმა, როგორც წესი, თავად უნდა გამოიჩინოს ინიციატივა. მას უნდა ჰქონდეს წინასასამართლო სტადიაზე

<sup>1253</sup> პონსე (1977) 169; პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 258; ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 226; ფოგლერი (1986) მე-6 მუხლი, N 494; ველუ და ერგეცი (1990) N 597; ვერნიორი (2005) 181.

<sup>1254</sup> იხ. აგრეთვე ფროვანი და პოიერტი მე-6 მუხლი, N 192; ფოგლერი (1986) N 511, 514.

<sup>1255</sup> *გოდი (Goddi)* იტალიის წინააღმდეგ, კომისიის ანგარიში, 25.

<sup>1256</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 91; საქმის გარემოებების ხსენებით სასამართლო მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ის უკავშირდებოდა სამხედრო დისციპლინურ სამართალწარმოებას.

<sup>1257</sup> იხ. ტრექსელი (1979) 365; ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 227.

<sup>1258</sup> იხ. ტრიფერერი და ბინერი (1977) 136 at 146; ტრექსელი (1979) 356.

ბრალდებულისა და მონმების დაკითხვაზე დასწრების შესაძლებლობა. თუმცა მან უნდა მოითხოვოს დაკითხვაზე დასწრების ნებართვა და მისი ჩატარების ადგილის შესახებ ინფორმირება<sup>1259</sup>.

ერთ-ერთ საქმეში დამცველს არ მიეცა სასამართლო განხილვაზე დასწრების საშუალება, ხოლო სხვა ადვოკატმა უარი განაცხადა მის დაცვაზე, განხილვამდე ცოტა ხნით ადრე, რაც ნიშნავდა განმცხადებლის დატოვებას იურიდიული დახმარების გარეშე<sup>1260</sup>. კომისიამ უარყო განაცხადი, რადგან საქმე არ იყო ისეთი რთული, რომ ბრალდებულს ვერ დაეცვა თავი პირადად. კელავაც, ეს არგუმენტი მიუღებელია<sup>1261</sup>. ვითარება უფრო რთულია, როდესაც სასამართლო განხილვას პროცედურების არაჯეროვან გამოყენებას, როგორცაა დამცველის მიერ საქმიდან სისტემატურად გასვლა სამართალწარმოების შეგნებულად შეფერხების მიზნით. მსგავსი პრობლემა წარმოიქმნა გერმანიაში ნითელი არმიის დაჯგუფების წევრებთან დაკავშირებით. ხელისუფლების ორგანოებმა გონივრულად იმოქმედეს დამატებითი დამცველის დანიშვნით<sup>1262</sup>. ცხადია, რომ ეს არის კომპრომისი. ასეთი სისტემა თავიდან იცილებს სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის გამოცხადებას დამცველის დახმარების გარეშე, სასამართლო სხდომის დაუსრულებელ გადაადებას, თუმცა დამცველი არ იქნება ბრალდებულის მიერ არჩეული. ეს არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. სამართლის ზოგადი წესის თანახმად, უფლებების ბოროტად გამოყენება არ არის დაცული. ეს პრინციპი ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლში, რომელიც ანალოგიის სახით გამოიყენება უფლების ბოროტად გამოყენების აშკარა შემთხვევაში.

## ბ. დამცველებზე დაწესებული შეზღუდვები

საყოველთაოდ გავრცელებულია რაოდენობრივი და თვისობრივი შეზღუდვების მოქმედება იმ პირების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ დამცველის უფლებამოსილების განხორციელება<sup>1263</sup>. სინამდვილეში სრულებით ნორმალურია, რომ დამცველის მომსახურების განევის უფლებამოსილება (როგორც მინიმუმ, პროფესიული საქმიანობა) შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ პირებით, რომელთაც გააჩნიათ იურისტის კვალიფიკაცია, კონკრეტულ იურისდიქციაში საადვოკატო საქმიანობის ნებართვა და სასამართლოს წინაშე ეფექტიანად გამოსვლის უნარის დამადასტურებელი სერტიფიკატი<sup>1264</sup>. გარდა ამისა, მისაღებია ასევე, რომ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოების წინაშე ბრალდებულის დაცვა შეეძლოს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სპეციალურად კვალიფიცირებულ ადვოკატებს, როგორც ეს ხდება საფრანგეთში<sup>1265</sup>.

დამცველებს შეიძლება ევალებოდეთ ეთიკის კოდექსის დაცვა<sup>1266</sup> და შესაძლოა უფლებამოსილებაც შეუჩერდეთ, თუ კონკრეტულ საქმეში მონმედ უწევთ

<sup>1259</sup> იხ. მაგ. *იმბრიოშა (Imbrioscia) შევიტარიის წინააღმდეგ*, §42.

<sup>1260</sup> განაცხადი 7368/76.

<sup>1261</sup> იხ. აგრეთვე ტრექსელი (1979) 355; ფოგლერი (1986) N 515.

<sup>1262</sup> იგივე ზომებს მიმართეს საქმეში *კრუასანი (Croissant) გერმანიის წინააღმდეგ*.

<sup>1263</sup> იხ. მაგ. ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 471.

<sup>1264</sup> *V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 11465/85.

<sup>1265</sup> *კლოდელი (Cloudel) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 23038/93.

<sup>1266</sup> უკრაინის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც დამცველის ფუნქციის შესრულების ნებას რთავდა მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის

გამოსვლა<sup>1267</sup>. თუმცა სახელმწიფოებმა თავი უნდა აარიდონ სამართალწარმოებიდან ბრალდებულის მიერ არჩეული დამცველის ჩამოცილებას<sup>1268</sup>.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ განიხილა საკმაოდ უცნაური საკითხი. პერუში გამოცემული დეკრეტი უკრძალავდა იურისტებს დამცველის ფუნქციების შესრულებას გარკვეულ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებულ ერთზე მეტ საქმეში. განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტით, რომ იზღუდებოდა მის მიერ დამცველის არჩევის უფლება, რადგან შესაბამისი პირი უკვე იყო ჩართული ერთ-ერთ ასეთ საქმეში და მისი დახმარებით ვეღარ ისარგებლებდა. სასამართლოს პასუხი არ იყო დამაკმაყოფილებელი: „მიუხედავად იმისა, რომ კანონი, რომელიც უკრძალავს დამცველს ერთდროულად ერთზე მეტი ბრალდებულის დახმარებას, ინვესს დამცველებს შორის ბრალდებულის არჩევანის შეზღუდვას, ეს არ ნიშნავს, *per se*, კონვენციის მე-8 მუხლის მე-8(დ) პუნქტის დარღვევას“<sup>1269</sup>.

## გ. დამცველთა რაოდენობაზე დანესებული შეზღუდვები

*ენსლინის (Ensslin)* და *სხვების საქმეში*<sup>1270</sup> კომისიამ მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის შესაბამისად, მიიჩნია წესი, რომელიც ერთ საქმეში მაქსიმუმ ორი დამცველის მონაწილეობას უშვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ორი დამცველის დახმარება შეიძლება არ იყოს საკმარისი კომპლექსურ საქმეებში, დამცველთა რაოდენობის შეზღუდვის პრინციპი უდავოდ ლეგიტიმურია. დამცველთა რაოდენობის გაზრდას, მაგალითად, ასამდე, შეიძლება აზრი ჰქონდეს ისეთ საქმეში, რომელშიც ბრალდებული ავტორიტარულ რეჟიმს უპირისპირდება და ადვოკატთა ასოციაცია გადაწყვეტს კანონის უზენაესობისადმი მხარდაჭერის ემონსტრირებას. თუმცა ჩვეულებრივ სისხლის სამართლის საქმეებში დამცველთა გადაჭარბებული რაოდენობა მხოლოდ ტექნიკურ სირთულეებს გამოიწვევს და შეიძლება სამართალწარმოების წარმატებულ მსვლელობაზეც იქონიოს უარყოფითი გავლენა. ეს შეიძლება შევადაროთ გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას ობსტრუქციონისტის მიერ. ისევე როგორც უფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი სხვა შემთხვევა, არც ეს იმსახურებს რაიმე დაცვას.

## დ. ქონების კონფისკაცია და ბრალდებულის მიერ დამცველის არჩევის უფლება

რთული ვითარება იქმნება, როდესაც პირს ბრალად ედება ფინანსური სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენა და ხელისუფლების ორგანოების მიერ მის საკუთრებაში არსებული მთელი ქონების ამოღების შედეგად აღარ შეუძლია დამცველის მომსახურების ანაზღაურება. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ ქონების კონფისკაცია ემსახურება სწორედ ეფექტიანი დაცვისთვის ხელის

---

წევრებს. ამან გამოიწვია ადვოკატთა ასოციაციის წევრების აღშფოთება, რადგან შიშობდნენ, რომ იურისტები, რომლებიც არც ქცევის კოდექსს ექვემდებარებიან და არც პროფესიული საიდუმლოების დაცვა ეკისრებათ, შელახავდნენ ნდობას, რომელიც დამცველის მიმართ უნდა არსებობდეს.

<sup>1267</sup> *K დანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 19524/92 (1993).

<sup>1268</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 260.

<sup>1269</sup> *პეტრუჯი (Peluzzi)* და *სხვები პერუს წინააღმდეგ*, § 147.

<sup>1270</sup> *ენსლინი (Ensslin)* და *სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადები 7572, 7586 და 7587.

შემლას. ამგვარი პრობლემა დღემდე არ ნამოჭრილა ევროპულ პრეცედენტულ სამართალში.

თითქმის შეუძლებელია ბრალდების ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენა. თუმცა ეჭვმიტანილის მთელი ქონების ამოღება შეიძლება ენიანალმდებებოდეს უდანაშაულობის პრეზუმფციას. სამართლიანობის ზოგადი პრინციპი უკრძალავს ბრალდების ორგანოებს ეფექტიანი დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლას. შესაბამისად, იმ საქმეებში, სადაც არსებობს ეჭვი ქონების კანონიერ მფლობელთან დაკავშირებით, ეჭვმიტანილთა ქონების გარკვეული ნაწილი ხელუხლებელი უნდა დარჩეს ეფექტიანი დაცვის დასაფინანსებლად. კიდევ ერთი საფრთხილო ასპექტია ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ მიზნით გამოსაყოფი თანხის განსაზღვრა: სახვებით ლეგიტიმურია ეჭვმიტანილის მიერ ასეთი გზით მიტაცებული ქონების რაღაც ნაწილის შენარჩუნების თავიდან აცილება. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს დამცველის უსასყიდლო დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა.

მეორე მხრივ, დაუშვებელია დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების სრული იგნორირება. ცხადია, რომ ეკონომიკური დანაშაულის მსხვერპლისთვის მიუღებელი იქნება, რომ მისთვის მოპარული ფული დამნაშავემ დამცველის მომსახურების ანაზღაურებისთვის გამოიყენოს.

ზოგადი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა. როდესაც ადამიანი ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებს, როგორცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ფართომასშტაბიანი თაღლითობა ან ფულის გათეთრება, ის დიდ საფრთხეს უქმნის თავის ეკონომიკურ მდგომარეობას. ადამიანები, რომლებიც არაკანონიერ ეკონომიკურ საქმიანობაში ებმებიან „აინფიცირებენ“ თავიანთ ქონებას. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება მთელი მათი ქონება ჩაითვალოს უკანონო გზით მოპოვებულად და შესაბამისად, დაექვემდებაროს ამოღებას, შემდგომი კონფისკაციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პირები სარგებლობენ უდანაშაულობის პრეზუმფციით, უსამართლოა მათ მიერ „საეჭვო ფულის“ გამოყენება ძვირადღირებული ადვოკატების მომსახურების მისაღებად. ისინი გალატაკებიან, როგორც მინიმუმ, ტექნიკურად და დროებით არ ექნებათ „საკმარისი საშუალება დამცველის დახმარების ასანაზღაურებლად“. გარკვეული თანხის დაცვა ამოღებისგან გზას გაუხსნიდა ამ შესაძლებლობის ბოროტად გამოყენებას და გამოიწვევდა გაუმართლებელი პრივილეგიის წარმოქმნას „ბუნებრივად ღარიბ“ ბრალდებულებთან შედარებით.

ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც ასეთ დროს შეიძლება შეექმნას დამცველს. თუ მისი მომსახურება ანაზღაურდება ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხით, ის შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას ფულის გათეთრების ნიადაგზე, განსაკუთრებით იმ იურისდიქციებში, სადაც ამ დანაშაულს ძალზე ფართოდ განმარტავენ<sup>171</sup>.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ უზრუნველყოფს ბრალდებულების დახმარებას ასეთ საქმეებში. ყველა ხელშემკერულ სახელმწიფოს გააჩნია დისკრეცია იმის გადასაწყვეტად, განახორციელოს თუ არა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მოპარული ნივთების შექენის, ფულის

<sup>171</sup> მაგ: ბურგმტალერი (2001) 574; ვოლერსი (2002). მეორე მხრივ, საქმეში *პაკელი (Pakelli) გურმანის წინააღმდეგ* (§38) მოპასუხე მთავრობამ, როგორც ჩანს, ვერ დანახა რაიმე პრობლემა, როდესაც განაცხადა, რომ სახაზინო ადვოკატის დანიშვნა არ უნდა მომხდარიყო იმ პირისთვის, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული და საეარაუდოდ, ფულიც უნდა ჰქონოდა.

გათეთრებისა და მსგავსი დანაშაულების გამო. ამასთან, ყველა სახელმწიფოს სისხლის საპროცესო სამართალი ანესრიგებს, შეიძლება თუ არა და რა პირობების საფუძველზე შეიძლება დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ამოღება ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრამდე. საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებულია მხოლოდ ბრალდებულის უფლება, ეფექტიანი დახმარება მიიღოს დამცველისგან. ასეთი დახმარება შეიძლება ყოველთვის არ იყოს იმ ხარისხის, რომელსაც ბრალდებული თავად არჩევდა, თუმცა არც რეალისტური და არც გონიერულია ისეთი მოლოდინის არსებობა, რომ საერთაშორისო ნორმებით შესაძლებელია საუკეთესო დაცვის უზრუნველყოფა.

#### IV. იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება

ერთი სევედიანი ხუმრობის თანახმად, „კანონი ყველასთვის ღიაა სასტუმრო რიცივით“. თეორიულად, მოსამართლეები აბსოლუტურად მიუკერძოებლები არიან: ეგრეთ წოდებული კონტინენტური სამართლის ტრადიცია მათ ავალდებულებს ქვემარტების აქტიურ ძიებას, ხოლო ბრალმდებელი ასევე ვალდებულია, იმოქმედოს სამართლიანობის აღსადგენად და გაითვალისწინოს ყველა გარემოება, რომელიც ეჭვმიტანილის სასარგებლოდ მეტყველებს. თუმცა სინამდვილეში, ბრალმდებლებს თავიანთ მთავარ მოვალეობად დამნაშავეს გამართლების თავიდან აცილება მიაჩნიათ, ხოლო მოსამართლე დიდნილად მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე იქნება დამოკიდებული. ეჭვმიტანილის უფლება, ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, იმისთვის არსებობს, რომ დაბალანსოს მონინაალმდევე მხარის უპირატესობები, თუმცა ხშირად ეს მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობად რჩება, რადგან ბრალდებული ლატაკია და არ შეუძლია დამცველის მომსახურების ანაზღაურება.

აქ უკვე შემოდის უსასყიდლო იურიდიული დახმარების ინსტიტუტი: სახელმწიფო გადაიხდის დამცველის მომსახურების საფასურს, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ასევე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბრალმდებლის გეგმების ჩაშლას. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიების მსგავსია, როდესაც ის ორივე გუნდს ეხმარება. თუმცა კანონის უზენაესობის ფუნდამენტური ნიშანია, რომ სახელმწიფოს არ უნდა შეეძლოს თავისი მიზნების – ამ შემთხვევაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის – მიღწევისთვის მთლიანად უტილიტარული მიდგომის გამოყენება.

სამართლიანობა უნდა იყოს დაცული და ეს მოითხოვს ერთი შეხედვით ირაციონალურ, თუ არა სრულიად წინააღმდეგობრივ ქცევას. გამოსავალი არ არის იდეალური. სახაზინო ადვოკატი შეიძლება, თუმცა არ არის აუცილებელი, იყოს ბრალდებულის მიერ არჩეული პირი. ცხადია, რომ უმეტეს შემთხვევაში ის ვერ იქნება ნამყვანი იურისტი. ზოგჯერ მისი შრომა შეიძლება საერთოდ არ ანაზღაურდეს, ხოლო სხვა დროს ანაზღაურება იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ბრალდებულის მიერ არჩეული დამცველის შემთხვევაში. ეს გაელენას ახდენს დამცველის მოტივაციასზე. ამით შეიძლება ნანილობრივ აიხსნას არტიკოს (*Artico*) და გოდის (*Goddi*) საქმეები, სადაც სახაზინო ადვოკატს საერთოდ არ ჰქონდა ანაზღაურების მიღების უფლება<sup>1272</sup>. სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტი ამცირებს უსამართლობას, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დონემდე. მდიდარი ბრალდებულების

<sup>1272</sup> ტრექსელი (1978) 577 სახაზინო ადვოკატის მომსახურების ადეკვატური ანაზღაურება ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია.



ხელთ არსებული უპირატესობები სრულად ვერასდროს აღმოიფხვრება. თუმცა საჭირო არ არის პრობლემის ზედმეტი დრამატიზება. მაგალითად, არჩეული დამცველი შესაძლებელია არაადეკვატური აღმოჩნდეს, ხოლო *ex officio* დანიშნული დამცველი გამორჩეულად კარგი.

მცირე განსხვავება არსებობს ნორმის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს შორის. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის ინგლისური ვერსიები მიუთითებენ „იურიდიულ დახმარებაზე“, ხოლო ფრანგულ ტექსტში საუბარია „დანიშნულ ადვოკატზე“ და „დამცველზე“. ეს შეიძლება განიმარტოს როგორც უფლება მხოლოდ ერთი დამცველის ყოლაზე. თუმცა ასევე მხოლოდითი რიცხვია მითითებული არჩეულ დამცველზე (*“un défenseur de son choix”*). ცხადია, რომ ამით დამცველთა დასაშვები რაოდენობა არ მცირდება ერთამდე. სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შემთხვევაშიც აუცილებელია ერთზე მეტი დამცველის აყვანის შესაძლებლობის არსებობა. რთულ საქმეებში ერთი დამცველი არ იქნება საკმარისი. მაგალითად, შეუძლებელია ერთდროულად მონმის დაკითხვა და ჩანაწერების გაკეთება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტი ითვალისწინებს უსასყიდლო იურიდიული დახმარების მიღების უფლებას, თუ ბრალდებულს „არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული დახმარების ასანაზღაურებლად“ და „ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(დ) პუნქტს ზუსტად იგივე შინაარსი აქვს. შესაბამისად, არსებობს ორი ნინაპირობა იურიდიული დახმარების მისაღებად, ეკონომიკური და სამართლებრივი<sup>1273</sup>.

## ა. ეკონომიკური ნინაპირობა

დიდი ხნის განმავლობაში პრეცედენტული სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მწირი და ზოგადი ხასიათის იყო. თუმცა კონვენციის ორგანოებს თავად აქვთ ხელმოკლე განმცხადებლებისთვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის პრაქტიკა. ამ მხრივ ისინი დიდწილად ეყრდნობიან ეროვნული სამართლის ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ასეთი დახმარების უზრუნველყოფას შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში. ეს ნორმები, როგორც წესი, მკაცრად არ გამოიყენება. საკმარისი საშუალების ქონის გამო, განმცხადებელს იშვიათად ეუბნებიან უარს იურიდიულ დახმარებაზე.

პირველი საქმე, რომელშიც ეს პრობლემა იქნა განხილული იყო *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*<sup>1274</sup>. გერმანიის მთავრობა ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ განმცხადებელს საკმარისი საშუალება ჰქონდა, რადგან ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ჩაბმული<sup>1275</sup>; სასამართლომ გაიზიარა კომისიის მოსაზრება, რომ 1983 წელს ძალზე რთული იქნებოდა იმის გარკვევა, განმცხადებელს ჰქონდა თუ არა დამცველის მომსახურების ანაზღაურების საშუალება 1977 წელს. თუმცა არსებობდა მისი განცხადების დამადასტურებელი რამდენიმე სარწმუნო მინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დეტალები არ იყო საკმარისი იმის დამტკიცებისთვის,

<sup>1273</sup> ფამ ჰონგი (*Pham Hoang*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §39; *RD პოლონეთის წინააღმდეგ*, §43.

<sup>1274</sup> *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*, §32-4.

<sup>1275</sup> საკმაოდ ირონიულია ის არგუმენტი, რომ დამცველის მომსახურების ანაზღაურება უნდა მოხდეს ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული თანხით.

რომ განმცხადებელი შესაბამის დროს იყო ხელმოკლე", იმის გათვალისწინებით, რომ ის სთავაზობდა ფედერალურ სასამართლოს სამშუალღობის არქონის დამტკიცებას, ევროპულმა სასამართლომ ეს პირველი წინაპირობა დაკმაყოფილებულად ჩათვალა. ტვალბის (*Twalib*) საქმეში სასამართლოს ფორმულირება უფრო ღიაა: „მოუხედავად იმისა, რომ მინიშნებები არ იძლევიან დამცველის მიერ არაფექტიანი დახმარების შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ... ისინი ადასტურებენ, რომ განმცხადებელი იყო ხელმოკლე“<sup>1276</sup>. თუმცა მტკიცების ტვირთი ბრალდებულს ეკისრება<sup>1277</sup>.

სასამართლოს მიერ სამშუალღობა, უფრო დანერვილებით განეხილა ეს საკითხი საქმეში კროიცი (*Kreuz*) პოლონეთის წინააღმდეგ, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოებას შეეხებოდა. განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლო ბაჟისგან გათავისუფლება, რაზეც უარი ეთქვა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ვერ შეძლებდა განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას, თუმცა კონვენციის დარღვევა დაადგინა, რადგან პოლონეთის ხელისუფლებამ თავი არ შეინუხა საკითხის სერიოზული განხილვით<sup>1278</sup>. საქმეში *RD* პოლონეთის წინააღმდეგ სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა განმცხადებელს, თუმცა შემდეგ უარი უთხრა მის დანიშვნაზე საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, მოუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა არ შეცვლილა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, განმცხადებლის მიმართ სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულების ცვლილება სრულიად გაუმართლებელი იყო. მან ჩათვალა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა საკმარისი სამშუალღობა იურიდიული მომსახურების ანაზღაურებისთვის<sup>1279</sup>.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებს შეფასების ფართო ფარგლები აქვთ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. თუმცა მათი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამყარებული საქმის სერიოზული შესწავლით.

## ბ. მართლმსაჯულების ინტერესები

ფრანზა „როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“, ნაწილობრივ შეცდომაში შემყვანია. ის შეიძლება ნიშნავდეს, რომ გადამწყვეტი ელემენტია არა ბრალდებულის ინტერესები, არამედ მართლმსაჯულების სწორი განხორციელების საჯარო ინტერესი<sup>1280</sup>. ამ შეხედულებას იზიარებს რამდენიმე ავტორი<sup>1281</sup>. სხვები კი ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ასეთი მოსაზრებით, კერძოდ, პრეცედენტული სამართლის განვითარების ინტერესით ყოფილიყო განპირობებული პაკელის (*Pakelli*) გადაწყვეტილება<sup>1282</sup>. თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მე-ნ მუხლში მოცემული გარანტიებით მხოლოდ „ბრალდებული“ სარგებლობს. კონვენცია იცავს ადამიანის უფლებებს და არა პრეცედენტული სამართლის სწორად განვითარების ინტერესებს. თუმცა ეს არგუმენტი ძალიან თეორიული ხასიათისაა. რთული წარმოსადგენია, როგორ უნდა მოითხოვოს პირმა იურიდიული

<sup>1276</sup> ტვალბი (*Twalib*) საბერძნეთის წინააღმდეგ, § 51.

<sup>1277</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995) 261.

<sup>1278</sup> კროიცი (*Kreuz*) პოლონეთის წინააღმდეგ, § 63-7.

<sup>1279</sup> *RD* პოლონეთის წინააღმდეგ, § 46.

<sup>1280</sup> ჰელიგერი და შურმანი (1999) 230.

<sup>1281</sup> ფოცტეტი (1969) 170; ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 473.

<sup>1282</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995) 262.

დახმარება, თუ ამას მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესები საჭიროებს. კონვენციასთან შესაბამის იქნება იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ამას არ მოითხოვდა მართლმსაჯულების ინტერესები, როდესაც ეს აუცილებელი იყო ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

მთავარი საკითხია იმის გარკვევა, შეიძლება თუ არა სამართალწარმოება იყოს „სამართლიანი“, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს დამცველი. ბოლოს და ბოლოს საუბარია სამართლიანობის ერთ-ერთ ელემენტზე<sup>1283</sup>. ამის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული საქმეში *RD პოლონეთის წინააღმდეგ*: „არსებობს ... ძირითადი აუცილებელი მოთხოვნა რომ „მართლმსაჯულების ინტერესები“ დაკმაყოფილდეს ყველა საქმეში. ეს არის სასამართლოს წინაშე სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნა, რომელიც ყველაფერთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აკისრებს მთელი სასამართლო განხილვის მანძილზე ბრალდებულისთვის თავის დაცვის რეალისტური შანსის მიცემას“<sup>1284</sup>.

სასამართლომ რამდენიმე უფრო კონკრეტული კრიტერიუმი შეიმუშავა იმის გასარკვევად, მოითხოვს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესები პირისთვის იურიდიული დახმარების განცეას. სამწუხაროდ, მათი გამოყენება არ ხდება თანმიმდევრულად. ზოგადად გამოიყენება ერთზე მეტი კრიტერიუმი იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი დაკმაყოფილებულია<sup>1285</sup>. ცხადია, რომ ეროვნული სამართალი არ არის რელევანტური, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო მეტ შეზღუდვებს აწესებს, ვიდრე კონვენცია<sup>1286</sup>. ერთ-ერთ ადრეულ საქმეში კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ უპირველესად ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია იყო იმის განსაზღვრა, მოითხოვდა თუ არა სახაზინო ადეოკატის დანიშვნას მართლმსაჯულების ინტერესები<sup>1287</sup>. თუმცა ასეთი მიდგომა აღარ გვხვდება მოგვიანებით განხილულ საქმეებში.

შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ტიპის კრიტერიუმი: დანაშაულის სიმძიმე, საქმის სირთულე, მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ბრალდებულის ინდივიდუალური მდგომარეობა. პრობლემები ხშირად სააპელაციო სამართალწარმოების დროს წარმოიქმნება, თუმცა საჭირო არ არის პირველი ინსტანციით საქმის განხილვასთან დაკავშირებული სირთულეების ცალკე გამოყოფა. საქმარისია იმის აღნიშვნა, რომ აქ სასამართლო იმეორებს თავის ზოგად მიდგომას, რომლის მიხედვით, „სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოსთან მიმართებაში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, ისევე როგორც მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის გამოყენების წესი დამოკიდებულია შესაბამისი სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ სპეციალურ ნიშნებზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთლიანი სამართალწარმოება, რომელიც ხორციელდება ეროვნული მართალწესრიგის მიხედვით და მასში სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს

<sup>1283</sup> იხ. მაგ: *გრენჯერი (Granger) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §47; *ფამ ჰონგი (Pham Hoang) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §39; *კარანტა (Quaranta) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §27; *ტვალბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §46.

<sup>1284</sup> *RD პოლონეთის წინააღმდეგ*, §49.

<sup>1285</sup> მაგ: *ბენამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §61, 62; *პერკსი (Perks) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §67.

<sup>1286</sup> *კარანტა (Quaranta) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §32; მეორე მხრივ, *არტიკო (Artico)*-ს საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ სახაზინო ადეოკატი არ იყო საჭირო იმის მიუხედავად, რომ მისი დანიშვნა მოხდა ეროვნული სასამართლოს მიერ იტალიის კანონმდებლობის საფუძველზე. იხ. *არტიკო (Artico) იტალიის წინააღმდეგ*, §34.

<sup>1287</sup> *ბელი (Bell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 12322/86.

ფუნქცია<sup>1288</sup>. იურიდიული დახმარების საჭიროება განსაკუთრებით დიდია, როდესაც, პოლონეთის მსგავსად (და საფრანგეთში არსებული ვითარებისგან განსხვავებით<sup>1289</sup>), საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვა შეიძლება მხოლოდ დამცველის დახმარებით.

### 1. დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმე

დანაშაულის სიმძიმე პირველ კრიტერიუმად გამოცხადდა კარანტას (*Quaranta*) საქმეში<sup>1290</sup>. ამ საქმეში განხილული იქნა დანაშაულის სიმძიმის შეფასების საკითხი. მთავრობის მტკიცებით, ასეთი შეფასების საფუძველი უნდა გამხდარიყო სასჯელი, რომელიც რეალურად ემუქრებოდა ბრალდებულს (არა უმეტეს 18 თვით თავისუფლების აღკვეთა), თუმცა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით, კანონით განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელი (სამი წელი) იყო გადამწყვეტი ფაქტორი<sup>1291</sup>. საბოლოოდ, ბრალდებულს შეეფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს მიდგომა საფუძვლიანი კრიტიკის საგანი გახდა შეიციარიაში<sup>1292</sup>. კონვენციით განსაზღვრული უფლებები პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე უნდა იყოს და არა თეორიული<sup>1293</sup>. ეს პრინციპი თანაბრად მოქმედებს როგორც განმცხადებლების, ისე ხელისუფლების ორგანოების მიმართ. ევროპული სასამართლოს შეხედულება, რომ მაქსიმალური სასჯელი, რომელიც რეალურად ემუქრებოდა პირს, „იყო მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრება“, მიუთითებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში სასამართლოს წევრების არასაკმარის გამოცდილებაზე.

თუმცა კრიტიკის მთავარი ობიექტი არ არის სასამართლოს გადანყვეტილების შედეგი. სინამდვილეში, თვით მოსალოდნელი სასჯელი ცხადყოფდა იურიდიული დახმარების აუცილებლობას. მთავარი პრობლემა სასამართლოს არგუმენტაციაა: „სასამართლო ეთანხმება კომისიას, რომ, როდესაც პირს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა, მართლმსაჯულების ინტერესები არსებითად მოითხოვენ სამართლებრივ წარმომადგენლობას“<sup>1294</sup>. შესაბამისად, ორ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: რა იგულისხმება თავისუფლების აღკვეთაში და რაში მდგომარეობს გამონაკლისები?

თავისუფლების აღკვეთის კრიტერიუმი გულისხმობს თავისუფლების რეალურ აღკვეთას და არა, მაგალითად, პირობით მსჯავრს<sup>1295</sup>. თუმცა იურიდიული დახმარება საჭირო გახდება სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას. ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. სასამართლო განხილვისას შესაძლოა დაშვებული ყოფილიყო გამოუსწორებელი შეცდომები,

<sup>1288</sup> იხ. მაგ: გრენჯერი (*Granger*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44; მონელი (*Monnell*) და მორისი (*Morris*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §56; მაქსველი (*Maxwell*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §34; ტრიპოლი (*Tripoli*) იტალიის წინააღმდეგ, §27; ტვალბი (*Twalib*) საბერძნეთის წინააღმდეგ, 46.

<sup>1289</sup> ვაშერი (*Vacher*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §30.

<sup>1290</sup> კარანტა (*Quaranta*) შეიციარის წინააღმდეგ, §33.

<sup>1291</sup> *Ibid.*

<sup>1292</sup> პეფლიგერი და შურმანი (1999) 232.

<sup>1293</sup> არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ, §33.

<sup>1294</sup> ბენჰამი (*Bentham*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61; პერკსი (*Perks*) და სხვები გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67. სხვა საქმეებში ბრალდებულს მძიმე სასჯელები ემუქრებოდა. მაგ: ბონერი (*Boner*) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ (რვა წლით თავისუფლების აღკვეთა).

<sup>1295</sup> პეფლიგერი და შურმანი (1999) 231.

რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა დამცველის დანიშვნის შემთხვევაში. ამავდროულად, კონვენცია მოითხოვს არა მაქსიმალურ უფლებებს, არამედ მხოლოდ მინიმალური სტანდარტების დაცვას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა პირს ემუქრება საკმაოდ სერიოზული სასაჯელი, თუნდაც პირობითი მსჯავრის სახით, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვენ დამცველის მომსახურების უზრუნველყოფას. პრეცედენტული სამართალი არ იძლევა მინიშნებას კონკრეტული ზღვრის შესახებ, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის უნდა იყოს სამიდან ექვს თვემდე.

სასამართლო მიუთითებს შესაძლო სანქციაზე და არა სამართალწარმოების მსვლელობის დროს პატიმრობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პირი დააკავეს მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის საფუძველზე და შემდეგ გათავისუფლდა იმავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, არ არსებობს სახაზინო ადვოკატის დანიშვნის აბსოლუტური მოთხოვნა. თუმცა, როდესაც სასამართლო იხილავს ნინასნარი პატიმრობის შეფარდების საკითხს, მართლმსაჯულების ინტერესები ჩვეულებრივ მოითხოვს დამცველის დახმარების უზრუნველყოფას.

საკმაოდ რთულია ისეთი საკმის წარმოდგენა, როდესაც გამონაკლისის სახით, მართლმსაჯულების ინტერესები არ მოითხოვს იურიდიული დახმარებას, თუ ბრალდებულს ემუქრება უპირობო თავისუფლების აღკვეთა. გამონაკლისი დასაშვებია ორ შემთხვევაში: სასაჯელი ხანმოკლეა და არ აღემატება, მაგალითად, ვადას ერთიდან სამ თვემდე და ამავდროულად, საქმე იმდენად მარტივია, რომ ბრალდებულს შეუძლია, ადეკვატურად დაიცავს თავი დამცველის დახმარების გარეშე. ასეთი შემთხვევის მაგალითია, როდესაც რეციდივისტს მალაზიაში ქურდობის ფაქტზე შეიპყრობენ. შეიძლება ისეთი ელემენტების მხედველობაში მიღება, როგორცაა ბრალდებულის ინტელექტი და მისი გამოცდილება მსგავს ვითარებაში. ცხადია, სასურველია, რომ სახაზინო ადვოკატი პრაქტიკულად ყველა საქმეში იყოს ხელმისაწვდომი<sup>1298</sup>, თუმცა ასევე აუცილებელია სახელმწიფოთა შეზღუდული შესაძლებლობების, მათ შორის საბიუჯეტო შეზღუდვების გათვალისწინება. გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ სახაზინო ადვოკატის გადაჭარბებული გამოყენება დასწევს ასეთი მომსახურების ხარისხს. სხვა სიტყვებით, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინფლაციის ეფექტს<sup>1297</sup>. ზოგჯერ, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, სასამართლო ეყრდნობა განმცხადებლისთვის სააპელაციო სამართალწარმოების მნიშვნელობას<sup>1298</sup>. კომისიამ უარყო განაცხადი, რადგან საქმე ეხებოდა მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმას და სამართლებრივი საკითხი ძალზე ბანალური იყო<sup>1299</sup>.

## 2. საკმის სირთულე

რთული სამართლებრივი საკითხების განხილვისას ბრალდებული, ჩვეულებრივ, ვერ შეძლებს თავის პირადად დაცვას. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ

<sup>1295</sup> ის. მაგ: ბემანი, გრიუნვალდი, ჰასემერი, კრაუსი, ლიუდერსენი, ნაუჟე, რუდოლფი, და ველში (1979) § 3 (1).

<sup>1297</sup> საქმეებში *ბონერი (Bonner)* გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ (§42) და *გრანჯერი (Granger)* გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ (§39) გაერთიანებული სამეფო ამტკიცებდა, რომ, თუ სააპელაციო სამართალწარმოების დროს მოთხოვნები ძალზე მკაცრი იქნებოდა, შეიძლებოდა შოტლანდიური სამართლის საფუძველზე, გასაჩივრების ავტომატური უფლების გაუქმება მომხდარიყო, რაც ბრალდებულის უფლებებს მნიშვნელოვნად შეზღუდავდა<sup>1297</sup>.

<sup>1298</sup> *კარანტა (Quaranta)* შვეიცარიის წინააღმდეგ, § 34.

<sup>1299</sup> *Y გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11777/85. საქმე ეხებოდა უცხოელს, რომელმაც ნებართვის გარეშე დატოვა მისთვის განსაზღვრული ტერიტორია.

საქმეთა უმრავლესობაში სასამართლო ითვალისწინებდა საქმის სირთულეს<sup>1300</sup>, თუნდაც საქმე არ ყოფილიყო განსაკუთრებულად კომპლექსური<sup>1301</sup>. კერძოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ „აპელაციის წესით საქმის განხილვისას მოსამართლის დისკრეციანზე გავლენის მოხდენა ... საჭიროებს გარკვეულ სამართლებრივ უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას“<sup>1302</sup>.

### 3. სამართალწარმოების თავისებურებები

იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა ასევე საჭიროა გარკვეული საპროცესო მოქმედებების დროს, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდება არის საქმეში წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში მხარეთა თანასწორუფლებიანობის საკითხი დგება დღის წესრიგში, თუნდაც ამაზე სასამართლო პირდაპირ არ მიუთითებდეს<sup>1303</sup>.

*მონელის (Monnell) და მორისის (Morris)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, რომ სასამართლო უარყოფდა იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების არსებობას, როდესაც განმცხადებელს სურდა გასაჩივრება, თუმცა საქმის სასურველი შედეგით დასრულების ძალიან მცირე შანსი იყო. „მართლმსაჯულების ინტერესები არ მოითხოვს იურიდიული დახმარების ავტომატურად უზრუნველყოფას, როდესაც მსჯავრდებული, წარმატების ობიექტური შანსის არარსებობის მიუხედავად, გადაწყვეტს გასაჩივრებას მას შემდეგ, რაც პირველ ინსტანციაში მიიღებს სამართლიან სასამართლო განხილვას მე-6 მუხლის შესაბამისად“<sup>1304</sup>. თუმცა მოგვიანებით განხილულ საქმეებში სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა იურიდიული დახმარებაზე უარის თქმა იმ განმცხადებლებისთვის, რომლებსაც ურჩიეს, რომ სააპელაციო საჩივრის დაქმყოფილების მხოლოდ მცირე შანსი არსებობდა<sup>1305</sup>. ისეთი აშკარად უსაფუძვლო საჩივრების შემთხვევაში, როდესაც წარმატების შანსი თითქმის ნულის ტოლია იურიდიული დახმარების უზრუნველყოფაზე უარის თქმა მისაღებად უნდა ჩაითვალოს.

### 4. ბრალდებულის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები

იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე არ გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით ან ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და არც მონინააღმდეგე მხარეა სასამართლოში წარმოდგენილი, შეიძლება აუცილებელი იყოს იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური ან გონებრივი უნარშეზღუდულობა ან უბრალოდ საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა. პრეცედენტულ სამართალში ეს საკითხი ძირითადად უცხოელებთან დაკავშირებით

<sup>1300</sup> ბენამი (Benham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §62; პერკსი (Perks) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67; ბონერი (Bonner) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; ფამ ჰონგი (Pham Hoang) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §40; ტვალბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ, §41; RD პოლონეთის წინააღმდეგ, §48.

<sup>1301</sup> მაგ: ბონერი (Bonner) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; მაქსველი (Maxwell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §38.

<sup>1302</sup> ბონერი (Bonner) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41.

<sup>1303</sup> იხ. მაგ: პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ, §39; გრინჯერი (Granger) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §47; მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §62.

<sup>1304</sup> მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67.

<sup>1305</sup> ბონერი (Bonner) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §11.

ქენა განხილული, რომლებმაც არ იცოდნენ სახელმწიფო ენა და არ იცნობდნენ ქვეყნის სამართლებრივ სისტემას<sup>1306</sup>.

### გ. დამცველის არჩევა

დამცველს ჩვეულებრივ ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მის მომსახურებას ანაზღაურებს. ასეთი იყო კომისიის ადრეულ პრეცედენტულ სამართალში დამკვიდრებული მოსაზრება<sup>1307</sup>. თავდაპირველად, კომისია არც იმას მოითხოვდა, რომ დამცველი ბრალდებულთან კონსულტაციის საფუძველზე დანიშნულიყო<sup>1308</sup>. იგივე შეხედულება გაიზიარა სასამართლომ: „სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის ორგანოების პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლის მე-3(გ) პუნქტი არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ დანიშნული ოფიციალური დამცველის არჩევის უფლებას და არც დამცველის შერჩევისას [ბრალდებულთან] კონსულტაციის უფლებას უზრუნველყოფს“<sup>1309</sup>. ასეთი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს და შეიძლება ითქვას, რომ ძალას უკარგავს სხვა საქმეებში სასამართლოს მიერ მოყვანილ არგუმენტებს. *პაკელის (Pakelli)* საქმეში სასამართლომ მე-3 მუხლის მე-3(გ) პუნქტი განსხვავებულად განმარტა. კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს შორის სხვაობაზე მსჯელობისას (ინგლისური ტექსტი ქვეპუნქტის სამ ელემენტს აკავშირებს სიტყვით „ან“, ხოლო ფრანგული ტექსტი იყენებს სიტყვას „და“ მეორე და მესამე ელემენტებს შორის) სასამართლო შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს, რომელსაც არ სურს თავის პირადად დაცვა, უნდა შეეძლოს არჩეული დამცველის დახმარებით სარგებლობა. თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება დამცველის დახმარების ასანაზღაურებლად, კონვენციით მას აქვს ასეთი დახმარების უსასყიდლოდ მიღების უფლება, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“<sup>1310</sup>. „ასეთი დახმარება“ გულისხმობს „მის მიერ არჩეულ დახმარებას“. პირდაპირი მნიშვნელობით ეს ნიშნავს, რომ სახაზინო ადვოკატიც ბრალდებულმა უნდა აირჩიოს.

თუმცა ნათელი არ არის, სინამდვილეში რისი თქმა სურდა სასამართლოს. მას არ ჰქონია ამ საკითხზე მსჯელობის მიზეზი, რადგან არაეის უთქვამს, რომ მთავრობას სურდა სხვა დამცველის დანიშვნა განმცხადებლის მიერ არჩეული დამცველის ნაცვლად. ზოგიერთი ავტორი ამ აზრს განმარტავს როგორც კომისიის მიდგომისგან გადახვევას<sup>1311</sup>. მათი შეხედულებით, ეს დადასტურდა *კრუასანის (Croissant)* საქმეში, სადაც სასამართლომ თქვა, რომ „დაცვის ადვოკატის დანიშვნისას ეროვნულმა სასამართლოებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინონ ბრალდებულის სურვილი“<sup>1312</sup>. ასეთი მოსაზრება მართლაც მხარდაჭერილია სასამართლოს მიერ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე გაკეთებული მითითებით, რომლის მიხედვით, „სასამართლოს თავმჯდომარემ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა დანიშნოს დამცველი ... ბრალდებულს უნდა

<sup>1306</sup> *კარანტა (Quaranta) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §35; *ტვალბი (Twalib) საბურძნეთის წინააღმდეგ*, §53; *ბიბა (Biba) საბურძნეთის წინააღმდეგ*, §29.

<sup>1307</sup> იხ. მაგ: *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 6946/75.

<sup>1308</sup> განაცხადი 125/55.

<sup>1309</sup> *ფრანკესტა ფრეიხასი (Franquista Freixas) ესპანეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 53590/99.

<sup>1310</sup> *პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ*, §31.

<sup>1311</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 471.

<sup>1312</sup> *კრუასანი (Croissant) გერმანიის წინააღმდეგ*, §29.

მიცეს განსაზღვრულ ვადაში დამცველის შერჩევის საშუალება. თუ არ არსებობს რაიმე სერიოზული მიზეზი სხვაგვარი ქმედებისთვის, თავმჯდომარე დანიშნავს ბრალდებულის მიერ არჩეულ დამცველს<sup>1313</sup>.

სასურველი იქნებოდა, რომ სასამართლო დაბრუნებოდა თავის პრეცედენტულ სამართალს და დაყრდნობოდა გერმანულ ნორმას. ასეთ დროს ჩნდება კითხვა, რა განსაკუთრებულმა გარემოებებმა შეიძლება გაამართლოს, გამონაკლისის სახით, ბრალდებულის მიერ არჩეული პირის ნაცვლად სხვა დამცველის დანიშვნა. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს, მაგალითად, ის, რომ დამცველი ძალზე შორს ცხოვრობს სასამართლოდან, რაც მეტისმეტად ზრდის მგზავრობის ხარჯებს ან კონკრეტულ საქმეში მისი სანდოობის დაბალი ხარისხი, რაც გამონეუელია ინტერესთა კონფლიქტით. ცხადია, რომ ბრალდებული ვერ იქნება სრულიად თავისუფალი სახაზინო ადვოკატის არჩევისას, თუმცა აუცილებელია ამ საკითხზე მასთან კონსულტაცია. მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზები შეიძლება დაედოს საფუძვლად ბრალდებულის სურვილის უგულებელყოფას.

ამ კონტექსტში კიდევ ერთი საკითხი საჭიროებს განხილვას: შეიძლება თუ არა სტაჟიორი ადვოკატის ("avocat stagiaire") დანიშვნა დამცველად? შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ ეს არ ეწინააღმდეგება კონვენციას<sup>1314</sup>. ასეთი მიდგომა მისაღებია, თუნდაც იმიტომ, რომ მთავარია არა პირის ფორმალური თანამდებობა, არამედ მისი კომპეტენტურობა<sup>1315</sup>.

## დ. „უსასყიდლო“

იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ ბრალდებული უსასყიდლოდ ისარგებლებს დამცველის დახმარებით, ანუ არ მოუწევს მისი მომსახურების ანაზღაურება. ამ ელემენტის ინტერპრეტირების ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს: პირველი, ბრალდებულს არასდროს არ მოუწევს დამცველის მომსახურების ანაზღაურება; მეორე, ბრალდებულს დროებით არ უხდება ფიქრო დამცველის დახმარების ხარჯებზე, თუმცა შეიძლება მათი დაფარვა მოუწიოს მომავალში, თუ გამოსწორდა მისი ფინანსური მდგომარეობა.

პირველი ვარიანტი გამოიყენება თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურების დროს მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტის საფუძველზე, მეორე – დამცველის ხარჯებთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა ადგილი ასახსნელია: მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტისგან განსხვავებით, იმავე პუნქტის გ) ქვეპუნქტი დამცველის ხარჯების ანაზღაურებისგან გათავისუფლებას ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას უკავშირებს. თარჯიმნის უფასო მომსახურებამ პირი, რომელიც ვერ საუბრობს სამართალწარმოების ენაზე, სხვა ბრალდებულებთან თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. უსასყიდლო იურიდიული დახმარება კი მიზნად ისახავს ხელმოკლე ბრალდებულის მდგომარეობის გათანაბრებას სხვა, ფინანსურად უფრო ძლიერი ბრალდებულების მდგომარეობასთან. სრული აბსურდი იქნება იმ პირისთვის თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურების დაკისრება, რომელიც, მაგალითად, სასჯელის მოხდის შემდეგ დაეუფლება სამართალწარმოების ენას. მეორე მხრივ, სრულიად გონიერულია, რომ პირს, რომლის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა გასამართლების შემდეგ, მოეთხოვოს დამცველის

<sup>1313</sup> *Ibid.*, §20.

<sup>1314</sup> BGE 126 I 194.

<sup>1315</sup> იხ. აგრეთვე ვერნიორი (2005) 130.



ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ ეს საკითხი ღიად დატოვა *კრუსანის (Croissant)* საქმეში<sup>316</sup>.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, ჩვეულებრივ მსჯავრდებულ პირს ეკისრება სამართალწარმოების ხარჯების, მათ შორის იურიდიული მომსახურების ანაზღაურება. კომისიის გადანყევებით, ეს არ წარმოადგენდა მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევას, თუ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა პირს წარედგინებოდა მისი ეკონომიკური მდგომარეობის ისეთი გაუმჯობესების შემთხვევაში, როდესაც უსასყიდლო იურიდიული დახმარება აღარ იქნებოდა აუცილებელი<sup>317</sup>.

## V. დამცველთან ურთიერთობის უფლება

### ა. პრინციპი

თავისუფლებაზე ყოფნის დროს ბრალდებულს არ წარმოექმნება დამცველთან ურთიერთობის პრობლემა. თუმცა ვითარება იცვლება მისი დაპატიმრებისთანავე. გარე სამყაროსთან პატიმრობაში მყოფი პირის კავშირზე მუდმივად ხორციელდება კონტროლი. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა შესაბამის ორგანოებთან დამცველსა და ბრალდებულს შორის ეფექტიანი კავშირის უზრუნველსაყოფად, როგორც პირადად, ისე ფოსტის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით. ამასთან, ასეთი ურთიერთობა კონფიდენციალური უნდა იყოს. ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ ბრალდებული არ ენდობა დამცველს. კლიენტს უნდა შეეძლოს თავისი დამცველისთვის ნებისმიერი ინფორმაციის განდობა იმ იმედით, რომ ის არ გახდება ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისთვის. სისხლის სამართალი ხელს უწყობს კლიენტსა და დამცველს შორის ურთიერთობის ამ ასპექტს კონფიდენციალობის პროფესიული მოვალეობის დარღვევის კრიმინალიზაციით.

მეორე მხრივ, საგამოძიებო და ბრალდების ორგანოებს ხშირად აფრთხობთ დამცველის გავლენა, რადგან თვლიან, რომ იურიდიული დახმარება ართულებს მათ ამოცანას. ბრალდებული უფრო თავდაჯერებული ხდება და დაცვის ხელშემწყობი საშუალებების გამოყენების, მათ შორის დუმილის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა. შესაბამისად, მათ ენდომებათ ბრალდებულსა და დამცველს შორის ურთიერთობის ყველა ასპექტზე თვალყურის დევნება. მეორე მხრივ, დამცველები ჩვეულებრივ არ თანხმდებიან კლიენტთან საუბარს, რომელსაც შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები უსმენენ. ისინი თვლიან, რომ ასეთ დროს დიდი საფრთხის ქვეშ დგება კონფიდენციალობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატებული დაცვისთვის.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2(დ) პუნქტში მოცემულია დამცველთან თავისუფალ და კერძო ვითარებაში შეხვედრის გარანტია. საერთაშორისო პაქტი ამ წესს უკავშირებს დაცვის მოსამზადებლად საქმარისი დროისა და შესაძლებლობების უფლებას. რაც შეეხება ევროპულ კონვენციას, ამ საკითხის გადანყევტა მინდობილი აქვს სასამართლოს. ამ წიგნის მიზნებისთვის,

<sup>316</sup> *კრუსანი (Croissant) გერმანიის წინააღმდეგ*, §34. იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 472. ავტორთა კრიტიკა ძირითადად გაუფერობით არის გამოწვეული. სასამართლო მიუთითებს იმ შემთხვევაზე, როდესაც განმცხადებელი ხელმოკლე სასამართლო განხილვის დროს და განაჩენის აღსრულებისას.

<sup>317</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 9365/81. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ეს ეწინააღმდეგებოდა კონვენციას. იხ. მაგ: შუბარტი (1973) 263; პონსე (1977) 164.

ბრალდებულსა და დამცველს შორის ურთიერთობის საკითხს დაცვის უფლების კონტექსტში განვიხილავთ.

ნამყვანი საქმეა *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც კომისიამ პირველად აღნიშნა, რომ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(დ) პუნქტისგან განსხვავებით, ევროპული კონვენცია არ უზრუნველყოფს ბრალდებულსა და დამცველს შორის თავისუფალ კომუნიკაციას<sup>1318</sup>. ამავე საქმეში იქნა ნახსენები პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების 93-ე წესი და ევროპული შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და კომისიის საქმის წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ<sup>1319</sup>, რომლის მიხედვით, ხელისუფლების წარმომადგენელს შეუძლია ვიზუალურად დააკვირდეს დამცველსა და ბრალდებულს შორის საუბარს, თუმცა არა აქვს მისი მოსმენის უფლება. „ეს დოკუმენტები მიუთითებენ იმ ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, რასაც მრავალი სამართლებრივი სისტემა ანიჭებს ბრალდებულის მიერ დამცველთან კერძო ვითარებაში შეხვედრის უფლებას“.

მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისგან განსხვავებით, რომლის ფრანგული ვერსია საუბრობს დაცვის მოსამზადებლად „აუცილებელ“ დროსა და შესაძლებლობებზე, ამავე პუნქტის გ) ქვეპუნქტი „ბრალდებულს ანიჭებს დამცველის დახმარებისა და მხარდაჭერის უფრო ზოგად უფლებას მთელი სამართალწარმოების განმავლობაში“, რადგან კონვენციის გარანტიები უნდა იყოს აპრაქტიკული და ეფექტიანი<sup>1320</sup>. ამის შემდეგ კომისიამ განიხილა დამცველის ფუნქციები სისხლის სამართალწარმოებაში:

ისინი მოიცავენ არა მხოლოდ სასამართლო განხილვისთვის მომზადებას, არამედ ასევე გამოძიების მსვლელობისას გატარებული ნებისმიერი ღონისძიების კანონიერების კონტროლს, ნებისმიერი სახის მტკიცებულების იდენტიფიცირებასა და წარმოდგენას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ახალი რელევანტური გარემოებების აღმოჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია და მოწმეებს კარგად ახსოვთ ფაქტები, ბრალდებულის დახმარებას მისი პატიმრობის საფუძვლიანობასთან, ხანგრძლივობასა და პირობებთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენაში და ზოგადი დახმარების განწვევას ბრალდებულისთვის, რომელიც მისი დაპატიმრების გამო, მონყვეტილია ჩვეულ გარემოს. ზოგიერთ ამ ფუნქციაში ჩარევას ექნება ადგილი ან მისი შესრულება შეუძლებელი იქნება, თუ დამცველს შეუძლია კლიენტთან ურთიერთობა მხოლოდ სასამართლო მოხელის თანდასწრებით ... შესაბამისად, დამცველის ეფექტიანი დახმარების უფლებასთან არსებითად შეუსაბამო იქნება ... ბრალდებულსა და დაცვის ადვოკატს შორის ურთიერთობაზე სასამართლოს ზედამხედველობა<sup>1321</sup>.

საქმეში *S შეიციარის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება თითქმის იდენტური არგუმენტაციის გამოყენებით<sup>1322</sup>. დაძაბული

<sup>1318</sup> *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*, §51; იხ. აგრეთვე *კემპერსი (Kempers) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 21842/93; *ლანცი (Lanz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §50.

<sup>1319</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (73) 5. იგივე გარანტია მოცემულია ევროპის საპატიმრო წესების შესწორებულ 93-ე წესში; იხ. აგრეთვე დამცველთა ფუნქციის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები (1990).

<sup>1320</sup> *ქანი (Can) ავსტრიის წინააღმდეგ*, §54.

<sup>1321</sup> *Ibid.*, §55-8.

<sup>1322</sup> *S შეიციარის წინააღმდეგ*, §48.

ვითარების დროს, როდესაც გერმანია ცდილობდა ნითელი არმიის დაჯგუფების გაკონტროლებას, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გამოიყენებოდა დამცველების მიმართ, როგორცაა მათი პორტფელისა და პირადი ჩხრეკა. კომისიამ გაიზიარა მოსაზრება, რომ ზოგადად ასეთი ზომები არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტით განსაზღვრულ უფლებას. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი გამართლებული იყო საქმეში არსებული განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე<sup>1323</sup>. სინამდვილეში, მოგვიანებით გაირკვა, რომ ანდრეს ბაადერის, გუდრუნ ენსლინისა და ჟან-კარლ რასპეს მოსაკლავად გამოყენებული პისტოლეტი ციხეში ფარულად შეტანილი იქნა სწორედ დამცველის ჩანთით.

ეს პრეცედენტული სამართალი დადასტურდა და სისტემატიზებული იქნა საქმეში *ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ*:

სასამართლო ეყრდნობა თავის პრეცედენტულ სამართალს და იმეორებს, რომ ბრალდებულის უფლება, მესამე პირის მოსმენის გარეშე ესაუბროს თავის სამართლებრივ წარმომადგენელს დემოკრატიულ საზოგადოებაში, სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი მოთხოვნის ნაწილია და გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტიდან. თუ დამცველს არ ექნება თავის კლიენტთან თათბირისა და მისგან კონფიდენციალური ინსტრუქციების მიღების საშუალება ასეთი მეთვალყურეობის გარეშე, მისი დახმარება დიდწილად აზრს დაკარგავს, ხოლო კონვენცია იმისთვის არსებობს, რომ უზრუნველყოს პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებები (...). დაცვის უფლებისთვის ბრალდებულისა და მისი დამცველების შეხვედრის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა დადასტურებულია მრავალი საერთაშორისო და მათ შორის ევროპული დოკუმენტით (...). თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა (...) ბრალდებულის მიერ დამცველის ხელმისაწვდომობაზე შეიძლება დანესდეს შეზღუდვები საფუძვლიანი მიზეზების არსებობისას. რელევანტური საკითხია იმის გარკვევა, დაირღვა თუ არა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ამ შეზღუდვის გამო, სამართალწარმოების მთლიანი პროცესის გათვალისწინებით.

კერძო ვითარებაში დამცველის ხელმისაწვდომობის უფლება მოიცავს არა მხოლოდ პირად შეხვედრებს, არამედ კომუნიკაციის სხვა ფორმებსაც. ამ დროს ასევე მოქმედებს მიმონერის პატივისცემის უფლება. ამიტომ უნდა განისაზღვროს, რომელი მუხლის საფუძველზე უნდა შეფასდეს საკითხი<sup>1324</sup>. მიმონერის უფლება იქნება წამყვანი სამოქალაქო სამართალწარმოების შემთხვევაში, რადგან ამ ტიპის საქმეებზე მხოლოდ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება. სისხლის სამართალწარმოებაში ასევე პირველი პუნქტის საფუძველზე სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციალურ ნიშნად მისი განხილვის ნაცვლად, როგორც ეს კომისიამ და სასამართლომ გააკეთეს *ეარის (Airey)* საქმეში, უფრო ბუნებრივი და მარტივია მე-8 მუხლის გამოყენება<sup>1325</sup>.

დღემდე სასამართლო, როგორც ჩანს, განმცხადებლის მიერ არჩეულ გზას მიჰყვება და საქმეს განიხილავს ამ უკანასკნელის მიერ მითითებული მუხლის

<sup>1323</sup> ენსლინი (Ensslin), ბადერი (Baader) და რასპი (Raspe) გერმანიის წინააღმდეგ. განაცხადები 7572, 7586, 7587/76.

<sup>1324</sup> იხ. თავი 20.

<sup>1325</sup> იხ. მაგ: სილვერი (Silver) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და გოლდერი (Golder) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

საფუძვლებზე. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი *შონენბერგერისა (Schönenberger)* და *დურმაჯის (Durmaz)* საქმეში, როდესაც პირველ განმცხადებელს (დამცველს) უარი ეთქვა მეორე განმცხადებლისთვის (პატიმრობაში მყოფი მისი პოტენციური კლიენტისთვის) წერილის გადაცემაზე. წერილი შეიცავდა მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ბრალდებულის უფლებებზე და მითითებას დუმილის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით ტაქტიკური არჩევანის გაკეთებაზე. სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა, თუმცა საერთოდ არ უხსენებია მე-8 მუხლი. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საოლქო პროკურორისთვის წერილის გადაცემის დროს, მას ახლდა რწმუნებულება, რომელზეც დამცველს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ხელი მოწერილი. იმ დროისთვის ბატონი შონენბერგერი ფორმალურად არ ითვლებოდა ბრალდებულის წარმომადგენლად. თუმცა ასეთი არგუმენტის გამოყენება ძალზე ფორმალისტური იქნებოდა<sup>1326</sup>.

შედარებით ადრეულ გადაწყვეტილებაში კომისიამ ჩათვალა, რომ დამცველსა და კლიენტს შორის კორესპონდენციის შემოწმება წინასწარი პატიმრობის დამახასიათებელი ნიშანი იყო<sup>1327</sup>. ფან დაიკმა და ფან ჰოფმა სამართლიანად გააკრიტიკეს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ველარ ჩაითვლება მოქმედ პრეცედენტად<sup>1328</sup>. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა *კემპბელის (Campbell)* და *ფელის (Fell)* საქმეში განმცხადებლის დამცველისთვის განკუთვნილ კორესპონდენციაში ჩარევის გამო<sup>1329</sup>.

## ბ. გამონაკლისები

რამდენიმე ადრეულ გადაწყვეტილებაში, რომლებიც სასამართლოს მიერ დადასტურდა *ოჯალანის (Ocalan)* საქმეში, კომისია აღნიშნავდა, რომ დამცველთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება არ იყო შეუზღუდავი<sup>1330</sup>. მოგვიანებით ეს მიდგომა დადასტურდა *ჯანის (Can)* საქმეში<sup>1331</sup>. საქმეში *S შვეიცარიის წინააღმდეგ* წინააღმდეგ სასამართლო დაეთანხმა იმ მოსაზრებას (თუმცა არა საქმეში არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით), რომ გარკვეული შეზღუდვების დაწესება შეიძლება გამართლებული იყოს, განსაკუთრებით, თუ არსებობს ფარული გარიგების რისკი ან დამცველის „პროფესიული ეთიკა“, ან „მისი ქცევის კანონიერება ეჭვქვეშ იქნა ამ საქმეში დაყენებული“<sup>1332</sup>.

ეს არის საკმაოდ დელიკატური და არაერთმნიშვნელოვანი საკითხი. საქმეში *S შვეიცარიის წინააღმდეგ* ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქმე იყო რთული ხასიათის, ეხებოდა ერთდროულად რამდენიმე ბრალდებულს და დამცველს შეეძლო დაცვის საერთო სტრატეგიის შეთანხმება. სასამართლომ გაითვალისწინა ეს გარემოება, მაგრამ მსგავსი საქციელი სრულიად ლეგიტიმურად მიიჩნია. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, თუ იარსებებდა ბრალდებულის მითითების

<sup>1326</sup> *შონენბერგერი (Schönenberger)* და *დურმაჯი (Durmaz)* *შვეიცარიის წინააღმდეგ*, §20.

<sup>1327</sup> განაცხადი, 2375/64.

<sup>1328</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 470, 1051.

<sup>1329</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 108-10.

<sup>1330</sup> *ბონჯი (Bonzi)* *შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7854/77; *შერტენლაიბი (Schertenleib)* *შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8339/78; *კროხერი (Kröcher)* და *მიოლერი (Möller)* *შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8463/78; *G გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 9370/81.

<sup>1331</sup> *ჯანი (Can)* *ავსტრიის წინააღმდეგ*, §52. იხ. აგრეთვე *ჯონ მიურეი (John Murray)* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §70.

<sup>1332</sup> *S შვეიცარიის წინააღმდეგ*, §49.

საფუძველზე დამცველის მიერ მტკიცებულებებზე ზეგავლენის მოხდენის რისკი მონშებებზე ზემოქმედებით ან დოკუმენტების განადგურებით. თუმცა ასეთი ჰიპოთეზა ემყარება ვარაუდს, რომ დამცველი ყოველთვის არ არის სანდო. ძალზე საეჭოა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლებელი იყოს ამგვარ საფუძველზე დაყრდნობით<sup>1333</sup>. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მარტო სასამართლო ხელისუფლების ორგანიზება, არამედ დამცველის უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ სანდო ადამიანების მიერ. იურიდიულ პროფესიაზე მკაცრი ზედამხედველობით შეიძლება ზიანი მიადგეს მის დამოუკიდებლობას, თუმცა აუცილებელია ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც მოაწესრიგებს იურიდიული პროფესიის ორგანიზაციას და უზრუნველყოფს მას სათანადო ძალაუფლებით, რათა კონტროლი განხორციელდეს პროფესიაში განუვრინების პროცესზე.

როდესაც კონკრეტულ საქმეში, განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე, არსებობს გარკვეული ეჭვები, შესაძლებელია კონტროლის შუალედური სისტემის გამოყენება: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს გამოცდილი დამცველი, რომელიც დაესწრება დაცვის ადვოკატის საუბარს ბრალდებულთან და გაეცნობა მათ შორის არსებულ კორესპონდენციას. ასეთი სისტემა უზრუნველყოფდა ეფექტიან დაცვას უფლების ბოროტად გამოყენებისგან და ამეადროულად, ვერც ბრალდების ორგანო ან სასამართლო ჩაეროდა ადვოკატისა და მისი კლიენტის ურთიერთობაში. იგივე სისტემის გამოყენება შეიძლება კომუნიკაციის სხვა ფორმების მონიტორინგისთვის.

## გ. გამოძიების პროცესში დამცველთან ურთიერთობის უფლება

კიდევ ერთი სადავო საკითხია იმის გარკვევა, რა მომენტიდან აქვს დაპატიმრებულ პირს დამცველთან დაკავშირების უფლება. სასამართლო მუდმივად აცხადებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ შემოიფარგლება სასამართლო განხილვის ეტაპით. ის მოიცავს მთელ სამართალწარმოებას იმდენად, რამდენადაც სასამართლო განხილვის სამართლიანობას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება დასაწყისში მისი დაუცველობის გამო<sup>1334</sup>. გამოძიების პროცესში მე-1 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის გამოყენების წესი დამოკიდებულია სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და საქმის გარემოებებზე. თუმცა ეს უფლება, რომელიც მკაფიოდ არ არის მოცემული კონვენციაში, შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს საფუძველიანი მიზეზების არსებობისას<sup>1335</sup>.

*კემპბელის (Campbell) და ფელის (Fell)* საქმეში არსებული ვითარება შედარებით ნათელი იყო. განმცხადებელი იყო ეგრეთ წოდებული „ა“ კატეგორიის (მკაცრი რეჟიმის) პატიმარი და ამიტომ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ შეეძლო კერძო ვითარებაში დამცველთან შეხვედრა. სასამართლომ, ისევე როგორც კომისიამ,

<sup>1333</sup> ტრექსელი (1981) 243; ფროვეინი (1990) 445.

<sup>1334</sup> *იმბრიოსია (Imbrioscia) შევიტარიის წინააღმდეგ*, §36; *ჯონ მიური (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §62; *ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ*, §140. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე განაცხადა, რომ საერთაშორისო პაქტი ირლენდში, როდესაც პატიმარს უარს ეუბნებიან დამცველის ხელმისაწვდომობაზე და ის აღიარებს დანაშაულს წინასწარი პატიმრობის დროს. იხ. აგრეთვე *კონტერისი (Conteris) ურუგვაის წინააღმდეგ*. წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით საერთაშორისო მექანიზმების შედარებითი ანალიზისთვის იხ. Grote (1998).

<sup>1335</sup> *ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ*, §140.

ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას<sup>1336</sup>. *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმეში არსებული ვითარება ნაკლებად ცალსახა იყო<sup>1337</sup>. განმცხადებელი ჩრდილოეთ ირლანდიაში დააპატიმრეს ტერორიზმის აღკვეთის კანონის (გარდამავალი დებულებების) შესაბამისად<sup>1338</sup>. მას არ მიეცა ადვოკატთან შეხვედრის უფლება 48 საათის განმავლობაში. სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ასეთ ადრეულ ეტაპზე მე-6 მუხლის მოქმედება სადავო არ იყო, თუმცა გაიმეორა, რომ „წინასწარი გამოძიების დროს მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის გამოყენების წესი დამოკიდებულია სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და საქმის გარემოებებზე“<sup>1339</sup>. მოცემული საქმისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა წესი, რომლის მიხედვით, კონკრეტული გარემოებების არსებობისას, მოსამართლეს შეეძლო გარკვეული დასკვნების გამოტანა განმცხადებლის დუმილის საფუძველზე<sup>1340</sup>.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კონვენციის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რადგან ბრალდებულს უნდა მიეღო რთული გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას მოახდენდა შემდგომ სამართალწარმოებაზე<sup>1341</sup>. სასამართლოს განცხადებით: „მიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, პოლიციის მიერ დაკითხვის საწყის ეტაპზე ბრალდებულის პოზიცია შეიძლება ისეთ სამართლებრივ შედეგს უკავშირდებოდეს, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება დაცვისთვის შემდგომი სამართალწარმოების დროს. ასეთ პირობებში მე-6 მუხლი ჩვეულებრივ მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება პოლიციის მიერ დაკითხვის საწყისი სტადიიდან“<sup>1342</sup>.

ზემოთ მოყვანილი ამონარიდის პირველი წინადადებით ვლინდება ის გარემოება, რომ სასამართლო ნაკლებად იცნობს სისხლის საპროცესო სამართალს. სინამდვილეში, ეჭვმიტანილის ქცევა მისი დაკავებისთანავე ყოველთვის დაკავშირებული იქნება გარკვეულ სამართლებრივ შედეგებთან. ბრალდებულს ასევე მოუწევს გადაწყვეტილების მიღება ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით და ჩვეულებრივ, მას არ ექნება საკმარისი ცოდნა, გამოცდილება ან თავდაჯერება დამცველის რჩევისა და დახმარების გარეშე საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად. იმ შემთხვევაშიც, თუ პოლიციისთვის მიწოდებული ინფორმაცია შემდგომში ვერ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად, ის მაინც ჩაინერება და თან დაერთება საქმის მასალებს. სამართალწარმოების მსვლელობისას მოხდება მისი ციტირება განმცხადებლის მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოვლენის მიზნით.

ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს ის „საფუძვლიანი მიზეზი“, რომელიც გაამართლებდა გამონაკლისის დაშვებას. სასამართლოს ეს საკითხი არ დაუზუსტებია. სასამართლო ხშირად შემოიფარგლებოდა ბუნდოვანი განცხადებების გაკეთებით, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიან სასამართლო განხილვას. ასეთი განცხადება შეუთავსებელია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ტექსტთან (განსაკუთრებით ინგლისურ ერსიასთან), რომელშიც საუბარია „მინიმალური უფლებების“ უზრუნველყოფაზე.

<sup>1336</sup> *კემპბელი (Campbell)* და *ფელი (Fell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 111-13.

<sup>1337</sup> *ჯონ მიურეი (John Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 59.

<sup>1338</sup> იხ. აგრეთვე ფიცპატრიკი და უოქერი (1999) 29.

<sup>1339</sup> *ჯონ მიურეი (John Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 62.

<sup>1340</sup> იხ. თავი 13.

<sup>1341</sup> *ჯონ მიურეი (John Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 64.

<sup>1342</sup> *Ibid.*, § 67.

პრობლემა დიდწილად იგივეა, რაც ზოგადად კერძო კომუნიკაციის უფლების შემთხვევაში. დაპატიმრებულ პირს უნდა მიეცეს დამცველთან დაკავშირების საშუალება მაშინვე, როგორც კი ეს ტექნიკურად იქნება შესაძლებელი. აუცილებელია პირის გაფრთხილება „მირანდას“ შესაბამისად, რომ განცხადებების გაკეთებამდე აქვს დუმილისა და დამცველთან კონსულტაციის უფლება<sup>1343</sup>. პოლიცია და ბრალდების ორგანოები, როგორც წესი, ენინალმდეგებიან ასეთ წესს, რადგან შეიძლება ზიანი მიადგეს საქმის სწრაფად გახსნის შანსებს. თუმცა მათი არგუმენტი ზოგადად შეუთავსებელია სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების პატივისცემასთან და არ გააჩნია ლეგიტიმურობა.

გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ განხილულ რამდენიმე ბოლო-დროინდელ საქმეში სასამართლოს უნდა განესაზღვრა იურიდიული დახმარების როლი პოლიციაში ეჭვმიტანილების დაკითხვისას. *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმის მსგავსად, აქაც ნამოიჭრა, *inter alia*, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დამცველის დახმარების უფლების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. საქმეში *მაგი (Magee)* გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ განმცხადებელი 48 საათის განმავლობაში იყო დაკავებული ისე, რომ ხელი არ მიუწვდებოდა დამცველის დახმარებაზე და საბოლოოდ დანერა აღიარებითი ჩვენება. სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის დაკავების პირობები და გარე სამყაროსგან მოწყვეტა მიზნად ისახავდა მის ფსიქოლოგიურ იძულებას და ასეთი გარემოს განონანსორებისთვის ბრალდებულს უნდა ჰქონოდა დამცველის დახმარების მიღების საშუალება<sup>1344</sup>. ანალოგიურად, საქმეში *აერილი (Averill)* გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ სასამართლომ მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევად ჩათვალა ის გარემოება, რომ დამცველს არ მიეცა განმცხადებელთან დაკავშირების საშუალება პოლიციის მიერ ჩატარებული დაკითხვის პირველი 24 საათის განმავლობაში. ამას დაემატა ეროვნული სასამართლოს მიერ გარკვეული დასკვნების გამოტანა განმცხადებლის დუმილის საფუძველზე<sup>1345</sup>.

ეს საქმეები საინტერესოა არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლო განხილვისთვის დამცველის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის ჩვენებისთვის. ისინი მიუთითებენ მე-6 მუხლის პრინციპების მოქმედებაზე, მათ შორის ნინასასამართლო ეტაპზე<sup>1346</sup>. მაგალითად, *მაგის (Magee)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „მე-6 მუხლი – განსაკუთრებით მე-3 პუნქტი – შეიძლება რელევანტური იყოს სასამართლოში განსახილველად საქმის გადაცემამდე იმ შემთხვევაში და იმდენად, რამდენადაც სასამართლო განხილვის სამართლიანობას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება დასაწყისში მისი დაუცველობის გამო“<sup>1347</sup>. ეს შეესაბამება სასამართლოს მიდგომას *ჯონ მიურეის (John Murray)* და *ტეიშერა დი კასტროს (Teixeira de Castro)* საქმეებში, რომელიც პოლიციის მიერ დანაშაულის ნაქუხებას შეეხებოდა და რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ჩარევა და მისი გამოყენება სადავო სისხლის სამართალწარმოებაში ნიშნავდა, რომ განმცხადებელს თავიდანვე უარი ეთქვა სამართლიან სასამართლო განხილვაზე“<sup>1348</sup>.

<sup>1343</sup> *მირანდა (Miranda)* არიზონას ნინალმდეგ, 384 US 436 (1966).

<sup>1344</sup> *მაგი (Magee)* გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ, §59-61.

<sup>1345</sup> *აერილი (Averill)* გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ, §61. თუმცა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

<sup>1346</sup> იხ. აპერსი (2000) 681-2.

<sup>1347</sup> *მაგი (Magee)* გაერთიანებული სამეფოს ნინალმდეგ, §41.

<sup>1348</sup> *ტეიშერა დი კასტრო (Teixeira de Castro)* პორტუგალიის ნინალმდეგ, §39.

სასამართლოს პრაგმატული და უტილიტარული მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია აგრეთვე ბრენანის (*Brenan*) საქმე. პოლიციის გადაწყვეტილებით, დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში განმცხადებელს არ მიეცა დამცველთან შეხვედრის საშუალება. ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა „კეთილსინდისიერ და გონივრულ საფუძვლებს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილი და ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფი სხვა პირების გაფრთხილების ან მათი შეპყრობის გართულების რისკის არსებობას.“ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუმცა დამცველთან გასაუბრებამდე, განმცხადებელმა აღიარა დანაშაული. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან აღიარებითი ჩვენება ვერ აიხსნებოდა დამცველთან შეხვედრის გადადებით და ის ფაქტი, რომ დამცველმა ვერ ნახა განმცხადებელი უფრო ადრე არ იყო „დაკავშირებული ხელისუფლების ორგანოების მიერ გატარებულ რაიმე ღონისძიებასთან“<sup>1349</sup>.

თუმცა სასამართლოს პრაგმატიზმი ყოველგვარ დასაშვებ საზღვრებს გასცდა თურქეთის წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეში. განმცხადებლებს, რომლებიც პოლიციის პატიმრობაში იმყოფებოდნენ, 20 დღის განმავლობაში არ მიეცათ დამცველის ხილვის საშუალება. სასამართლომ გამოიყენა თავისი ჩვეული ფორმულირება, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში უნდა შეფასდეს. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელმა უარყო პოლიციის პატიმრობაში ყოფნის დროს მიცემული ჩვენებები, თუმცა აღიარა ადამიანების გატაცებასა და ხანძრის გაჩენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დანაშაულებში მონაწილეობის ფაქტი. ეინაიდან უშუალოდ სასამართლო განხილვის დროს განმცხადებელს ჰქონდა იურიდიული დახმარების მიღებისა და საქმის განხილვის შესაძლებლობა, სასამართლომ ჩათვალა, რომ, საერთო ჯამში, სამართალწარმოება სამართლიანი იყო<sup>1350</sup>.

ზოგიერთი ავტორი ხედავს „შოკისმომგვრელ წყვეტას მანამდე არსებულ პრეცედენტულ სამართალთან“<sup>1351</sup>. სასამართლო იმ ფაქტის იგნორირებას ახდენს, რომ არ შეიძლება სამართალწარმოების სამართლიანობის ვარაუდი, როდესაც ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი და თავად სასამართლო განხილვა, ერთი შეხედვით, უნაკლოდ ჩატარდა. სრულიად მიუღებელია „ერთობლიობაში“ სამართალწარმოების შეფასების ბოროტად გამოყენება სამართლიანობის ელემენტარულ ასპექტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამართლებისთვის. დაუშვებელია, რომ ბრალდებული უკანონოდ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით იყოს დაკავებული და 20 დღე გაატაროს პოლიციის პატიმრობაში დამცველის ხილვის შესაძლებლობის გარეშე. საინტერესოა, გამოიყენა თუ არა სასამართლომ იგივე მეთოდოლოგია, რაც გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განხილულ საქმეებში, როდესაც მის მიერ საათები იქნა დათვლილი. სასამართლომ, როგორც ჩანს, იმ გარემოების იგნორირებაც მოახდინა, რომ სასამართლო განხილვის სამართლიანობა თავისთავად მნიშვნელოვანი ღირებულებაა<sup>1352</sup>. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

<sup>1349</sup> ბრენანი (*Brennan*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46-8; ო'კეინი (*O'Kane*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 30550/96; ჰარპერი (*Harper*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 33222/96.

<sup>1350</sup> სარიკაია (*Sanikaya*) თურქეთის წინააღმდეგ, §67, 68. იხ. აგრეთვე მამაჩი (*Mamac*) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, §48, 49.

<sup>1351</sup> ვერნიორი (2005) 148.

<sup>1352</sup> იხ. ტრეესელი (1997).



იმას, რომ დამცველს მიეცეს ეჭვმიტანილის პირველივე დაკითხვაზე დასწრების უფლება<sup>1353</sup>.

საბედნიეროდ, სრულიად საპირისპირო მიდგომა გვხვდება *ოჯალანის (Öcalan) საქმეში*. განმცხადებელს არ მიეცა დამცველთან შეხვედრის უფლება შვიდი დღის განმავლობაში და სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა<sup>1354</sup>. იმავე საქმეში, სასამართლომ მიუღებლად ჩათვალა ის ფაქტი, რომ დამცველთან საუბარი დაშვებული იყო კვირაში მხოლოდ ორი საათით. მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებების მქონე კუნძულზე, არ იქნა გაზიარებული: „სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არ განუმარტავს, რატომ არ რთავდნენ დამცველებს კლიენტის უფრო ხშირად ნახვის ნებას და რატომ ვერ მოახდინეს უფრო ადეკვატური სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა, რაც გაზრდიდა თითოეული ვიზიტის ხანგრძლივობას, როდესაც ასეთი ზომები აუცილებელი იყო როგორც იმ გულმოდგინების ნაწილი, რომელიც ხელშემკერვლმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობის უზრუნველსაყოფად“<sup>1355</sup>.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ გადანყვიტა, რომ ბრალდებულის ყოფნა *incommunicado* (გარე სამყაროსგან მთლიანად იზოლირებულ) პატიმრობაში მე-8 მუხლის მე-2(დ) პუნქტის დარღვევა იყო<sup>1356</sup>.

## VI. დამცველის ეფექტიანი დახმარების უფლება<sup>1357</sup>

### ა. დაცვის ხარისხი

კონვენციის რატიფიცირებით სახელმწიფოები თანხმობას აცხადებენ ინდივიდისთვის გარკვეული უფლებების მინიჭებაზე. თუმცა კონვენცია არ აკისრებს ვალდებულებებს ინდივიდებს. შესაბამისად, პირი ვერ იჩივებს სტრასბურგის სასამართლოში მისი დამცველის არაადამკაცრად დაცვით დასაშინებელი გამო<sup>1358</sup>. კომისიამ არაერთი ისეთი განაცხადი ცნო დაუშვებლად, რომელიც სინამდვილეში დამცველის წინააღმდეგ იყო მიმართული<sup>1359</sup>. თუმცა ეს არ გამორიცხავს სახელმწიფოს გარკვეულ პასუხისმგებლობას, კონკრეტულ საქმეში უზრუნველყოს დამცველის ეფექტიანი მოქმედება. სასამართლოს ტიპური მიდგომაა, რომ „... რამდენადაც ზემოთ ხსენებული საჩივრები წამოჭრის საკითხს, უზრუნველყო თუ არა რეგიონულმა სასამართლომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოებაში დამცველის მიერ მისი ჯეროვანი დაცვა, კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, სამართლიანი სასამართლო

<sup>1353</sup> იხ. ეერნოორი (2005) 153-60.

<sup>1354</sup> *ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ*, § 141-3.

<sup>1355</sup> *Ibid.*, 155.

<sup>1356</sup> *სუარეს როსერო (Suarez Rosero) ეკუადორის წინააღმდეგ*, § 83.

<sup>1357</sup> დაცვის გარკვეული უფლებები, მაგალითად, საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, ითვლება „შესაძლებლობად“ მე-6 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის მნიშვნელობით და განხილულია მე-9 თავში.

<sup>1358</sup> მოუხედავად იმისა, რომ ინგლისში დამცველი „სასამართლოს მოხელედ“ ითვლება, ის არ არის სახელმწიფო მოხელე: *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 6956/75.

<sup>1359</sup> განაცხადი 172/56. იხ. აგრეთვე ტრექსელი (1974) 85.

განხილვის უზრუნველსაყოფად, მოცემული საქმის განხილვა ... არ ავლენს ამ უფლების დარღვევას<sup>1360</sup>.

სასამართლოს ამოცანა ამ სფეროში განსაკუთრებით დელიკატურია. აუცილებელი არ არის იმის გამოვლენა, რომ დამცველის დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის ძირითადი ელემენტია. სახელმწიფოს არ აქვს მის მიერ განუღებელი მომსახურების ხარისხზე პირდაპირი ზედამხედველობის ან მასში ჩარევის უფლებამოსილება, როდესაც მას არადამაკმაყოფილებლად ჩათვლის. ვინაიდან სტრასბურგის სასამართლო უფრო მეტად არის დამორბეული ფაქტობრივ სამართალწარმოებას, ასეთი ჩარევის მიმართ უნდობლობა კიდევ უფრო იზრდება. სასამართლოს მიერ *გოდის (Goddie)* საქმის განხილვისას რომის ადვოკატთა ასოციაცია ცდილობდა საქმეში მონაწილეობის ნებართვის მიღებას. ამის მიზეზი იყო მათი შიში, რომ სასამართლო შეიძლება მისულეყო ისეთ დასკვნამდე, რაც მათ დამოუკიდებლობას მიაყენებდა ზიანს. თუმცა ასოციაციის მიერ წარდგენილი თხოვნა დაგვიანებული იყო და ამდენად, ნებართვაზე უარი ეთქვა<sup>1361</sup>. საბოლოოდ, იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა.

სინამდვილეში, *არტიკოს (Artico)* და *გოდის (Goddie)* საქმეები ხასიათდება დაცვითი საქმიანობის არარსებობით. *არტიკოს (Artico)* საქმეში დანიშნულმა დამცველმა პირდაპირ განაცხადა უარი განმცხადებლის დაცვაზე, რომლის მრავალრიცხოვან, ჯიუტ საჩივრებს სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ არ ჰქონდა რაიმე წარმატების შანსი. *გოდის (Goddie)* საქმეში არც ბრალდებულს და არც მისი სახელით მოქმედ დამცველს სათანადოდ არ ეუწყათ სააპელაციო სასამართლოს წინაშე მოსმენის გამართვის შესახებ. ბრალდების მხარემ მოითხოვა მოსმენის გადადება იმის გამო, რომ ორი მონმის დაკითხვა სურდა, თუმცა ის მაინც ჩატარდა ბრალდებულისა და მისი დამცველის არყოფნის პირობებში. დაცვის ადვოკატად სასამართლომ მოიწვია სასამართლოს შენობის კორიდორში შემთხვევით მიმავალი იურისტი. ვინაიდან ეს უკანასკნელი საერთოდ არ იყო ინფორმირებული საქმის შესახებ, ის უბრალოდ დაეყრდნო გასაჩივრების იმ საფუძვლებს, რომლებიც სხვა დამცველმა ჩამოაყალიბა.

ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევა. მან სწორად აღნიშნა *არტიკოს (Artico)* საქმეში, რომ ეს ნორმა უზრუნველყოფს დამცველის „დახმარებას“ და არა მის „დანიშნას“. უფრო ზოგადად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონვენციის დანიშნულებაა უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც არა თეორიული და მოჩვენებითი, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანია“<sup>1362</sup>.

*არტიკოს (Artico)* საქმეში განმცხადებელს თავიდანვე სახაზინო ადვოკატი ჰყავდა. *გოდის (Goddie)* საქმეში კი განმცხადებელი ბოლომდე მის მიერ არჩეული დამცველის მომსახურებით სარგებლობდა. შესაბამისად, უბრალოდ არასწორია ის მოსაზრება, რომ ბრალდებულის ეფექტიანი დაცვის ორგანიზების უზრუნველყოფის ვალდებულება მხოლოდ სასამართლოს მიერ დანიშნული (ან როგორც მინიმუმ ანაზღაურებული) დამცველის შემთხვევაში არსებობს<sup>1363</sup>. *კამასინსკის (Kamasinski)* საქმე ნაკლებ წინააღმდეგობრივი იყო. განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ

<sup>1360</sup> X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 2516/655.

<sup>1361</sup> *გოდი (Goddie)* იტალიის წინააღმდეგ, §7, 31.

<sup>1362</sup> *არტიკო (Artico)* იტალიის წინააღმდეგ, §33.

<sup>1363</sup> ფროვანინი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 198.

დამცველი არ დაესწრო ბრალდების წარდგენასთან დაკავშირებულ მოსმენას და წინასწარი პატიმრობისას ციხეში მხოლოდ ხანმოკლე ვიზიტებით შემოიფარგლა. ის ადანაშაულებდა დამცველს, რომ სასამართლო განხილვამდე არ გააცნო ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ის რამდენიმე მიზეზით აკრიტიკებდა დამცველის გამოსვლას სასამართლო პროცესზე, მაგალითად, იმის გამო, რომ დათანხმდა იმ მოწმეების წერილობითი ჩვენებების წარმოდგენას, რომლებიც სასამართლოში არ იყვნენ დაკითხული, არ წარადგინა შუამდგომლობები, რომლებიც გადანყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის შეტანის უფლებას მისცემდა და დასკვნით სიტყვაში ლმობიერი სახელი ითხოვა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დამცველის მიერ მისი საქმიდან ჩამოცილების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა, მას „აღარ უსარგებლია რაიმე იურიდიული დახმარებით“. მისი განცხადებით, ეფექტიანი დახმარების ხელშესახები მტკიცებულების არარსებობაზე მიუთითებდა დამცველ შტიდლის მიერ სახაზინო ადვოკატ შვანკისთვის გადაცემული დაუსრულებელი საქმე, რომელიც დაინიშნა სააპელაციო სამართალწარმოებისთვის<sup>1364</sup>.

განმცხადებლის ამ არგუმენტების პასუხად სასამართლომ მოკლედ აღნიშნა: განმცხადებელი არც ერთ მომენტში არ დარჩენილა დაცვის გარეშე, მისი ინტერესების დასაცავად დამცველი ორჯერ შეიცვალა. სასამართლომ გაიხსენა, რომ „სასამართლო ვერ იქნება პასუხისმგებელი იურიდიული დახმარების განწევის მიზნით დანიშნული დამცველის მიერ გამოვლენილ ყველა ნაკლოვანებაზე“<sup>1365</sup>. ხელისუფლება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, „თუ სახაზინო ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის ეფექტიანად განხორციელების უუნარობა თვალსაჩინოა ან ამის შესახებ სხვაგვარად გახდა ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისთვის“<sup>1366</sup>. ეს არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი ფორმულირება, რადგან უმთავრეს ელემენტად ითვლება ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოებისთვის იყოს ცნობილი დამცველის ნაკლოვანებების შესახებ. გადამწყვეტი ასპექტი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, არის თუ არა ეს ნაკლოვანებები იმდენად აშკარა, რომ ხელყოფდეს „ეფექტიანი წარმომადგენლობის“ შესაძლებლობას. მოთხოვნა, რომ ეფექტიანობის არარსებობა კომპეტენტური ორგანოებისთვის გახდეს ცნობილი, სრულიად მეორეხარისხოვანია. ამის შემდეგ სასამართლომ ჩამოთვალა დამცველის მიერ განხორციელებული ქმედებები და მივიდა დასკვნამდე, რომ მან ბევრი რამ გააკეთა. იმ შემთხვევაშიც, თუ დამცველი ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ეს უკანასკნელი არ რჩება წარმომადგენლობის გარეშე<sup>1367</sup>.

ეფექტიანი წარმომადგენლობის საკითხი ასევე განხილულ იქნა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ჩარევისა და დამცველის შეცვლის ვალდებულება, თუ სასამართლოსთვის აშკარაა, რომ სამართლებრივი წარმომადგენლის ქცევა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს<sup>1368</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კიდევ უფრო მკაცრი მიდგომა

<sup>1364</sup> კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ, § 65.

<sup>1365</sup> არტიკო (Artico) იტალიის წინააღმდეგ, § 36.

<sup>1366</sup> კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ, § 65.

<sup>1367</sup> Ibid., § 67.

<sup>1368</sup> იხ. მაგ. მაიკლ ადამსი (Michael Adams) იამაიკის წინააღმდეგ.

შემოქმედა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებულ საქმეებში. მან აღნიშნა, რომ საქმეებში, რომლებშიც შესაძლებელია სიკვდილით დასჯის გამოყენება, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ეფექტიანი წარმომადგენლობა<sup>1369</sup>. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ „საქმეში დამცველის ქცევა არ ეწინააღმდეგებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს“. კომიტეტის თქმით, სახელმწიფოს საქმე არ არის დამცველის პროფესიული გადაწყვეტილებების ეჭვქვეშ დაყენება. თუმცა, როდესაც ის აცხადებს, რომ გასაჩივრებას აზრი არ აქვს, განსაკუთრებით, სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებულ საქმეებში, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, გაიარა თუ არა დამცველმა ამის შესახებ კონსულტაცია ბრალდებულთან და მიანოდა თუ არა შესაბამისი ინფორმაცია. თუ ამას არ ჰქონია ადგილი, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის შესაბამისი ინფორმირება და მისცეს მას ახალი დამცველის აყვანის შესაძლებლობა. მოცემულ საქმეში „უნდა მომხდარიყო განმცხადებელთა ინფორმირება, რომ მათი სახაზინო ადვოკატი არ აპირებდა რაიმე საფუძვლით გადაწყვეტილების გასაჩივრებას, რათა განეხილათ სხვა ხელმისაწვდომი ვარიანტები“. ასეთი შეტყობინების არარსებობის გამო, ჩაითვალა, რომ ბრალდებულებს არ უსარგებლიათ ეფექტიანი წარმომადგენლობით და შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის მე-3(დ) პუნქტის დარღვევას<sup>1370</sup>.

## ბ. ეფექტიანი დახმარება წინასასამართლო სამართალწარმოებისას

რა საშუალებებია დამცველის განკარგულებაში წინასასამართლო სამართალწარმოების დროს თავისი კლიენტის დასახმარებლად? ეს კითხვა წარმოიშვა *იმბრიოზას (Imbrioscia)* საქმეში ბრალდებულის დაკითხვის დროს მისთვის განუღებულ დახმარებასთან დაკავშირებით. განმცხადებელი დააკავს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის ეჭვის ნიადაგზე. მას ჰყავდა დამცველი, რომელიც არ დასწრებია კლიენტის დაკითხვებს. განმცხადებელი უქმყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დამცველი არ მოუწვევიათ დაკითხვებზე. ამის პასუხად მთავრობამ განაცხადა, რომ თავად ბრალდებულს ან მის დამცველს უნდა მოეხდინა რეაგირება<sup>1371</sup>.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია შემდეგი ფრაზა: „... განმცხადებელს დასაწყისში არ უსარგებლია საჭირო იურიდიული დახმარებით ...“<sup>1372</sup> ეს შეიძლება გავიგოთ, რომ განმცხადებელს სჭირდებოდა დახმარება სამართალწარმოების დასაწყისიდანვე, კერძოდ, პოლიციაში დაკითხვისას. პოლიციის წარმომადგენლებისთვის ასეთი არგუმენტი ჩვეულებრივ მიუღებელია. ისინი შიშობენ, რომ სპეციალური განათლების მქონე დამცველები „ჭკუთ აჯობებენ“ ან გაართულებენ ბრალდებულის დაყოლიებას, რომ მისცეს ჩვენება ან, თუ ეს შესაძლებელია, მთლიანად აღიაროს დანაშაული. ამის მიუხედავად, დაცვის უფლება მოითხოვს, რომ დამცველს ჰქონდეს დასწრების შესაძლებლობა.

<sup>1369</sup> *კელი (Kelly) იამაიკის წინააღმდეგ; რეიდი (Reid) იამაიკის წინააღმდეგ.*

<sup>1370</sup> *მორისონი (Morrison) და გრემი (Graham) იამაიკის წინააღმდეგ, § 10.5.*

<sup>1371</sup> სასამართლოს მიხედვით, „ციურისის კანტონის კანონმდებლობა და პრაქტიკა არ მოითხოვდა მის დასწრებას“ (§ 39). ასეთი განცხადება გარკვეულწილად ეფემისტურია, რადგან განიხილებოდა პოლიციის მიერ პირის დაკითხვის საკითხი. სინამდვილეში, ციურისში არც კანონმდებლობა, არც პრაქტიკა არ რთავდა დამცველს სამართალწარმოების ასეთ ადრეულ ეტაპზე დასწრების უფლებას. იხ. მაგ: ტრექსელი (2001); არკინი (2001); ალბრეხტი (2002), შმიდი (2002).

<sup>1372</sup> *იმბრიოზა (Imbrioscia) იტალიის წინააღმდეგ, § 41.*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო იმის გარკვევა, შეიძლებოდა თუ არა სახელმწიფო ჩათვლილიყო პასუხისმგებლად ერთმანეთის მიყოლებით დანიშნული დამცველების მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებებისთვის. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა სასამართლოს წევრების უმცირესობამ<sup>1373</sup>. მათი მოსაზრებით, პირის ნებისმიერი დაკითხვა უნდა მოხდეს დამცველის თანდასწრებით, როგორც მინიმუმ, ბრალდებულის მიერ ამის მოთხოვნის შემთხვევაში. შეიძლება სიმართლე იყოს, რომ „ეს არის დაცვის უფლების და შესაბამისად, სამართლიანი სამართალწარმოების ყველაზე სრულფასოვანი გამოვლინება, რომელიც მიზნად ისახავს ბრალდებულის, როგორც სასამართლო განხილვის მხარის, უფრო ძლიერი და ეფექტიანი პოზიციის უზრუნველყოფას“<sup>1374</sup>. თუმცა კონვენციის დანიშნულება არ არის „საუკეთესო გამოსაყენების“ ძიება და უზრუნველყოფა. წინასასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე დამცველის სავალდებულო დასწრების მოთხოვნას შეუძლია არსებითი შეფერხების გამოწვევა იმ შემთხვევაშიც, თუ დაცვა არ ცდილობს პროცესის გაჭიანურებას.

სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ, ისევე როგორც კომისიამ, გადაწყვიტა, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დამცველებს უნდა სცოდნოდათ, რომ შეეძლოთ მოეთხოვათ დაკითხვაზე დასწრების ნებართვა და მისი დროისა და ადგილის შესახებ ინფორმირება. სახელმწიფო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი მათ მიერ ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობისთვის.

საქმეში ადგილი ჰქონდა სამწუხარო მოვლენას. ევროპულ სასამართლოს არაინ აცნობა, რომ დამცველებს თავიდანვე არ ჰქონდათ პოლიციის მიერ ჩატარებულ დაკითხვებზე ბრალდებულისთვის დახმარების განცეის უფლება. შესაბამისად, თავად სასამართლოს კრიტიკიუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონვენცია დარღვეული იქნა.

საბოლოოდ, სასამართლოს მიეცა ამ საკითხის განხილვის საშუალება. საქმეში დოდი (*Daud*) პორტუგალიის წინააღმდეგ კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევას, რადგან პირველმა დამცველმა სრული უმოქმედობით გამოიჩინა თავი, ხოლო მეორე ადეკვატურად არ მოემზადა სასამართლო განხილვისთვის. სასამართლოს აქცენტი არ გაუქმებია რომელიმე კონკრეტულ დებულებაზე, თუმცა სრულად დაეთანხმა კომისიის შეფასებას და დაადგინა, რომ დარღვეული იყო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი „მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტთან კავშირში“<sup>1375</sup>.

იგივე პრობლემა იქნა განხილული ჟეკალას (*Czekalla*) საქმეში, როცა დამცველმა საპროცესო ხასიათის შეცდომა დაუშვა გასაჩივრებისას, რაც გახდა საჩივრის დაუშვებლად ცნობის მიზეზი. ამ შემთხვევაში სასამართლომ მეტი სიფრთხილე გამოიჩინა, თუმცა მისი პასუხი მაინც ნათელი იყო: „გარკვეულ პირობებში სრულიად ფორმალური მოთხოვნის დარღვევა დაუდევრობის გამო, ვერ იქნება გათანაბრებული დაცვის არაგონივრულ ხაზთან ან მხოლოდ არგუმენტაციის ხარვეზთან. ასეთ ვითარებას ადგილი აქვს, როდესაც ამ დაუდევრობის შედეგად ბრალდებული კარგავს სამართლებრივი დაცვის საშუალებას ზემდგომი სასამართლოს მიერ ვითარების გამოსწორების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი უცხოელი იყო, რომელმაც არ იცოდა სამართალწარმოების ენა და ბრალად ედებოდა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო – და დაეკისრა კიდევ – ხანგრძლივი

<sup>1373</sup> მოსამართლეები პეტიტო, დე მეიერი და ლოპეს როხა.

<sup>1374</sup> *იმბრიოსია (Imbrioscia)* იტალიის წინააღმდეგ, §20. მოსამართლე ლოპეს როხა.

<sup>1375</sup> დოდი (*Daud*) პორტუგალიის წინააღმდეგ.

ვადით თავისუფლების აღკვეთა".<sup>1376</sup> „გადამწყვეტი ასპექტი იყო ხელისუფლების გადანყვეტილებით დანიშნული დამცველის მიერ მარტივი ფორმალური ნების შეუსრულებლობა კანონის გამოყენების საკითხებზე უზენაეს სასამართლოში საჩივრის წარდგენისას. სასამართლოს მოსაზრებით, ეს იყო „ამკარა ხარეზი“, რომელიც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. მაგალითად, საჩივრის დაუშვებლად ცნობის ნაცვლად, უზენაეს სასამართლოს შეეძლო სხვა სახაზინო ადვოკატის მონვევა, რომელიც ცვლილებებს ან დამატებებს შეიტანდა განმცხადებლის მიმართვაში“<sup>1377</sup>. სასამართლომ ასევე „არადამაჯერებლად“ მიიჩნია მთავრობის არგუმენტი, რომ სასამართლოს პატივი უნდა ეცა დამცველის დამოუკიდებლობისთვის. ეს გადანყვეტილება მისასალმებელია არა მხოლოდ კონვენციის მე-ნ მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევა აღმოჩენის, არამედ გამოყენებული არგუმენტაციის თვალსაზრისით.

თუმცა ეს ასევე იწვევს სირთულეებს ეროვნულ დონეზე. ზემდგომ ინსტანციებში სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული წესები, ჩვეულებრივ, ძალზე მკაცრია, განსაკუთრებით, ვადების დაცვის თვალსაზრისით. ზოგიერთ სახელმწიფოს მოუხდება თავის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა დაიცვას განმცხადებელი მისივე დამცველის დაუდევრობისგან.

---

<sup>1376</sup> ეკალა (Czekalla) პორტუგალიის წინააღმდეგ, § 65.

<sup>1377</sup> *Ibid.*, § 68.

# თავი 11

## მონეტა ჩვენებასი შემონაგის უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

[3. მისთვის ნარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:] ...

ე) პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მონმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ დაცვის მონმეები ბრალდების მონმეებთან თანაბარ პირობებში;

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14 მუხლი, მე-3(ე) პუნქტი.*

[3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები:] ...

დ) პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მონმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ დაცვის მონმეები ბრალდების მონმეებთან თანაბარ პირობებში;

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-8 მუხლი, მე-3(დ) პუნქტი.*

[2... . მისი საქმის განხილვისას, ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:] ...

ე) დაცვას ჰქონდეს უფლება, დაკითხოს სასამართლო განხილვაზე გამოცხადებული მონმეები და უფლება, რომ გამოიძახონ მონმეები, ექსპერტები ან ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ, ნათელი მოჰფინონ საქმის გარემოებებს;

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლი, მე-2(ე) პუნქტი.*

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები იდენტურია. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია განსხვავებულ ფორმულირებას იყენებს. ის შეეხება მხოლოდ „სასამართლოში გამოცხადებულ“ მონმეებს, რაც ზღუდავს დებულების მოქმედების სფეროს მხოლოდ სასამართლო განხილვით. ამერიკული კონვენციის დებულების მეორე ნაწილი გამოხატავს აზრს, რომელიც დანარჩენ დებულებებშიც იგულისხმება, რომ არსებობს მხოლოდ იმ მონმეთა დაკითხვის უფლება, რომელთა ჩვენებები არსებითია ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის. ეს გამოორიცხავს სამართლებრივ ექსპერტებს, რომელთა გარეშეც იოლად გაგრძელდება სამართალწარმოება პრინციპის „*iura novit curia*“

გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ექსპერტებს მოიხსენიებს ქვეპუნქტის მეორე, მაგრამ არა პირველი ნაწილი. თუმცა ეს არ შეიძლება განიმარტოს როგორც სასამართლო განხილვაზე გამოცხადებული ექსპერტების დაკითხვის უფლების არარსებობა.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლში. ქალბატონი რუზველტის შეთავაზება იყო ამ გარანტიის შეტანა, თუმცა პროფესორი კასინი წინააღმდეგი წაიდა იმ მოტივით, რომ ასეთი პრინციპების ადგილი არ იყო დეკლარაციაში, რომელიც გამიზნული იყო პრინციპების განსაზღვრისთვის და არა სამართლიანობის პრინციპების გამოყენებისთვის.<sup>1378</sup>

პაქტთან დაკავშირებით აშშ-მ წარმოადგინა გარანტიის პროექტი, რომელიც შეიცავდა „ბრალდების მონმეთან დაპირისპირების უფლებას“ და „დაცვის სასარგებლო მონმეთა იძულებითი გამოცხადების უფლებას“.<sup>1379</sup> დღეს მოქმედი პაქტი არსებითად გულისხმობს ამ უფლებას – ტექსტში შეტანილი შემდგომი ცვლილებები ნაკლებად რელევანტურია უფლების განმარტების თვალსაზრისით. შესაბამისად, მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება პაქტზე მუშაობის დასაწყისშივე განიხილებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვან ელემენტად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარანტია შემოთავაზებული იქნა აშშ-ს მიერ, რაც მიანიშნებს მის მჭიდრო კავშირზე საერთო სამართლის სისტემასთან. მართლაც, ამ უფლებას არ გააჩნია დიდი ტრადიცია ევროპის კონტინენტზე.

საინტერესო ცვლილების შეტანის წინადადება იქნა წამოყენებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მეშვიდე სესიაზე: „ყველა ბრალდების გასაჩივრებისა და ყველა მტკიცებულების შემოწმების“ უფლება უნდა დამატებოდა მონმეთა დაკითხვის უფლებას, მუხლის „დაზუსტებისა და ცოტაოდენი გაფართოების“ მიზნით.<sup>1380</sup> როგორც ვხედავთ, ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული.

## გ. გარანტიის მიზანი

დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დაცვის სხვა „მინიმალურ“ უფლებებთან ერთად წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ნაწილს ამავე მუხლის პირველ პუნქტის საფუძველზე. ერთ-ერთ ადრეულ საქმეში სასამართლომ დაცვის სპეციალური უფლება განიხილა დამოუკიდებლად<sup>1381</sup>. თუმცა მას შემდეგ ამ უფლებებს ერთობლივად განიხილავს და ჩვეულებრივ წინა პლანზე აყენებს მე-6 მუხლის პირველ პუნქტს<sup>1382</sup>. სასამართლოს სტანდარტული ფორმულირება ასეთია: სასამართლო „უპირველესად აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები წარმოადგენს ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სპეციალურ

<sup>1378</sup> ვაისბროდტი (2001) 17.

<sup>1379</sup> *Ibid.*, 45.

<sup>1380</sup> *Ibid.*, 51.

<sup>1381</sup> *ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §91.

<sup>1382</sup> *იხ. ბონეში (Bönisch) ავსტრიის წინააღმდეგ*, §29, 35.



ასპექტებს. შედეგად, განაცხადი განხილული უნდა იქნეს ამ ორი პუნქტის ერთობლიობის საფუძველზე”<sup>1383</sup>.

უფრო ზუსტად, გარანტიის დანიშნულებაა სამართალწარმოების შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა.<sup>1384</sup> დაცვას უნდა ჰქონდეს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის და საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა. ამ უფლების გამოყენების პირობები უნდა იყოს პროკურორისათვის განსაზღვრული პირობების მსგავსი, რაც მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს ემსახურება.

მონმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლება უზრუნველყოფს, რომ ბრალდებული იყოს სამართალწარმოების აქტიური მონაწილე. ის არ შეიძლება წარმოადგენდეს ბრალდების პასიურ სამიზნეს, რომელიც დაცული უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლებისაგან. ბრალდებული ითვლება აქტიურ მონაწილედ, სუბიექტად. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებები მას შესაძლებლობას აძლევს, გაეღწეოს მოახდინოს სამართალწარმოების მიმდინარეობასა და მიმართულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება ერთმნიშვნელოვნად განკუთვნილია დაცვის უფლებათა უზრუნველსაყოფად, ის აგრეთვე ემსახურება ზოგადი სამართლიანობის იდეას. მსჯელობა ხელს უწყობს ქვეყნის მართვის დადგენას. დაცვის მიერ დასმული შეკითხვები არა მხოლოდ გაეღწეოს მოახდინოს მონმის სანდოობის შეფასებაზე, არამედ შეიძლება ასევე ნათელი მოჰფინოს ისეთ გარემოებებს, რომლებიც რელევანტურია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად<sup>1385</sup>.

## დ. გარანტიის ხასიათი

არსებობს მრავალი მიზეზი, თუ რატომ უკავია მონმის დაკითხვის უფლებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ დაცვის უფლებებს შორის. ის გაცილებით დეტალურია, ვიდრე სხვა უფლებები, მათ შორის დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების უფლება. მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება უკავშირდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ორ კონკრეტულ ასპექტს, კერძოდ, მოსმენის უფლებასა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ორივე ასპექტი, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მოითხოვს დამატებითი განმარტებების გაკეთებას: დებულების კავშირი ფაქტების დადგენასთან და გარანტიის ფარდობითი ბუნება.

<sup>1383</sup> იხ. აგრეთვე კიავარიო (2001) N 7.4.1.2.

<sup>1384</sup> იხ. აგრეთვე გოლივიტცერი (1992), მე-6 მუხლი, N 219.

<sup>1385</sup> ვან მეხელენი (van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §50; დორსონი (Doorsen) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §67; ვისერი (Visser) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §4; ლუკა (Lucà) იტალიის წინააღმდეგ, §38; სადაკი (Sadak) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, §63; პერნა (Perna) იტალიის წინააღმდეგ, §26; ვიდალი (Vidal) ბელგიის წინააღმდეგ, §34. აღნიშნული მიდგომა ასევე გაიზიარა კომისიამ. მაგ. X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 4119/69; ეროვნული სასამართლოების დისკრეციას მიეკუთვნება იმის დადგენა, დაეხმარება თუ არა სასამართლოს ქვეყნის მართვის დადგენაში დაცვის ჩვენების მოსმენა და თუ ასე არ არის, მონმის გამოძახების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება. აუსტრია იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 788/60; მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტი არ გულისხმობს მონმის გამოძახების უფლების აბსოლუტურობას“.

## 1. გარანტიის კავშირი ფაქტის დადგენასთან

მონმეთა დაკითხვის უფლება მე-6 მუხლში მოცემული ერთადერთი უფლებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მტკიცებულებათა მოპოვებას. გარანტიის ძირითადი ასპექტი არ არის გამოხატული დებულების ტექსტში, თუმცა ის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დაცვას არ გააჩნია შესაძლებლობა, დაკითხოს მონმე, რომლის ჩვენებაც იქნა ჩანერილი? რა მოხდება, თუ მონმე გამოცხადდება სასამართლო განხილვაზე, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, შეუძლებელია ბრალდებულის მიერ მისი დაკითხვა?

ეს არის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები სისხლის სამართლის პროცესში, რომლებიც უკავშირდება მტკიცებულებათა დასაშვებობას. ამგვარი მტკიცებულებების დასაშვებობა, თავის მხრივ, შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი იყოს პირის მსჯავრდების ან გამართლებისთვის. ამ უფლების დარღვევის დადგენა საერთაშორისო ორგანოს მიერ უდრის იმის თქმას, რომ პირი არასწორად იქნა მსჯავრდებული. ევროპული სასამართლო თავს არიდებს ასეთი დასკვნის გამოტანას და მუდმივად იყენებს შემდეგ ფორმულირებას:

სასამართლო იმეორებს, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობა უმთავრესად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის რეგულირების საკითხია და ზოგადი წესის სახით, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივია მათ წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების შეფასება. კონვენციის საფუძველზე, სასამართლოს ფუნქცია არის არა იმის განსაზღვრა, რამდენად სწორად იქნა მონმეთა ჩვენებები დაშვებული მტკიცებულებად, არამედ იმის დადგენა, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის მტკიცებულებათა დაშვების თვალსაზრისით<sup>1386</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განცხადება საკმაოდ დამაჯერებლად უღერს, ის მაინც უფრო თეორიული ხასიათისაა. პრაქტიკაში ეს გარანტია *მოითხოვს* იმის გარკვევას, შესაბამისი წესი დაცული იყო თუ არა. იმ შემთხვევაში, თუ მისი დაცვა არ მოხდარა, ლოგიკური დასკვნა ასეთია, რომ მტკიცებულება არ უნდა ყოფილიყო დაშვებული. ამგვარი შედეგი გარდაუვალია. თუმცა ამ დროს ისევ მეორდება მითითება „მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობაზე“, რაც ხელს არ უწყობს კონვენციის ინტერპრეტაციაში სიცხადის შეტანას.

## 2. გარანტიის ფარდობითი ბუნება

### ა. *In abstracto*

მონმის დაკითხვის უფლება ფარდობითი ხასიათის გარანტიაა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრალდებულს არ მიეცა მონმის დაკითხვის შესაძლებლობა ან დაცვის მოთხოვნის მიუხედავად, მონმე არ იქნა გამოძახებული თავისთავად არ აქცევს სამართალწარმოებას უსამართლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებული საბოლოოდ იქნა მსჯავრდებული. აბსოლუტური წესის არსებობა არაპროპორციულად დააბრკოლებდა მართლმსაჯულების განხორციელებას და გზას გაუხსნიდა მისი ბოროტად გამოყენებისა და საბოტაჟის მცდელობებს.

გარანტიის ფარდობითი ბუნება მჭიდრო კავშირშია მტკიცებულებათა მოპოვებასთან. თუ დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება, არსებითი საკითხებისგან სრულიად დამოუკიდებლად, გავლენას ახდენს სამართალწარმოების

<sup>1386</sup> ბერნეკერი (1992) 65.

ზოგად ბუნებაზე, მონმის დაკითხვის უფლება მნიშვნელობას იძენს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

მტკიცებულების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მისი განხილვა შეიძლება რაოდენობრივი თვალსაზრისით. საკითხი არ შეეხება უბრალოდ მტკიცებულების არსებობას. მტკიცებულება შეიძლება იყოს უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი, ბევრიც კი. სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში მთავარი საკითხია, ნარმოადგინა თუ არა ბრალდებას საქმარისი მტკიცებულება უდანაშაულობის პრეზუმფციის გაქარწყლებისა და შედეგად, მსჯავრდების უზრუნველყოფისთვის. მონმის ჩვენება მტკიცებულების ელემენტია. სხვა მრავალი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში მას შეიძლება უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდეს. ამის საპირისპიროდ, თუ ძალიან ცოტა მტკიცებულება არის ნარმოდგენილი, მონმის საექტო ჩვენებამ შესაძლოა გადაწონოს მტკიცებულებები მსჯავრდების სასარგებლოდ.

შეუძლებელია მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესრულება ამ საკითხზე გადანყვეტილების მიღების გარეშე, რომელიც გულისხმობს, როგორც მინიმუმ, იმის გარკვევას, განმცხადებლის გამართლება უნდა მომხდარიყო თუ არა. ეს არის პრობლემის არსი, რაც ართულებს გარანტიის წარმატებით გამოყენებას.

### ბ. სასამართლოს იურისპრუდენცია

სასამართლომ აიღო ეს გარდაუვალი კურსი და ამგვარად, ცხადყო ძირითადი პრობლემები. პირველი საქმეები, *უნტერპერტინგერი (Unterpertinger)* და *აში (Asch)*, ეხებოდა ავსტრიას და ფაქტებიც საოცრად იდენტური იყო. ორივე შემთხვევაში განმცხადებელს კამათი მოუვიდა მეუღლესთან, რაც დასრულდა ამ უკანასკნელის მიერ მსუბუქი დაზიანებების მიღებით. ორივე შემთხვევაში მსხვერპლმა საჩივრით მიმართა პოლიციას და ჩამოერთვა ჩვენება. ბატონმა უნტერპერტინგერმა ასევე დაარტყა თავის გერს. ორივე საქმეში ნარმოდგენილი იყო სამედიცინო დასკვნა.

სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე დაზარალებული დაკითხა გამომძიებელმა მოსამართლემ და მას ეცნობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ქალბატონმა უნტერპერტინგერმა მისცა ჩვენება, ხოლო ქალბატონი ჯიელი, ბატონი ეშის მეუღლე, დაბრუნდა პოლიციაში და განაცხადა, რომ ურიგდებოდა თავის ქმარს და სურდა საჩივრის უკან წაღება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე მონმემ გამოიყენა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. შესაბამისად, ბრალდებულებს არ მიეცათ მათი დაკითხვის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, განმცხადებელთა მსჯავრდება მოხდა საქმის მასალების, მათ შორის დაზარალებულთა მიერ პოლიციაში თავდაპირველად მიცემული ჩვენებების ნაკითხვის შემდეგ. ორივე ბრალდებულმა უშედეგოდ გაასაჩივრა ეს გადანყვეტილება.

კომისიის აზრი გაიყო *უნტერპერტინგერის (Unterpertinger)* საქმეში. თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმის საფუძველზე დადგინდა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. თუმცა სასამართლომ გაიზიარა კომისიის წევრთა უმცირესობის აზრი და ერთხმად გადანყვიტა, რომ მე-ნ მუხლი იქნა დარღვეული. *აშის (Asch)* საქმეში კომისიამ ჩათვალა, რომ კონვენცია დაირღვა, ხოლო სასამართლო, შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ, საპირისპირო დასკვნამდე მივიდა.

ასეთი გადანყვეტილება მოულოდნელი იყო თავად მოპასუხე მთავრობისთვის. პრესკონფერენციაზე საქმეზე მომუშავე ადვოკატმა, რომლის სასარგებლო გადანყვეტილება იქნა გამოტანილი, განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა მართლ-

მსაჯულების არაჯეროვან განხორციელებას<sup>1387</sup>. *აშის (Asch)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება მიანიშნებს განსაკუთრებით სუსტ ადგილზე სასამართლოს იურისპრუდენციაში და უნდა ჩაითვალოს სამწუხარო შეცდომად<sup>1388</sup>. აღსანიშნავია, რომ იმ მოსამართლეებს შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ორივე გადაწყვეტილების მიღებაში, მეორე საქმეში სამი მათგანი აბსოლუტურად განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა<sup>1389</sup>.

*აშის (Asch)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მისაღები იყო მსხვერპლის მიერ პოლიციაში მიცემულ ჩვენებებზე დაყრდნობა. მან დამადასტურებელ მტკიცებულებად მოიხსენია სამედიცინო დასკვნები და იმ პოლიციელის ჩვენება, რომლის თანდასწრებითაც მისცა დაზარალებულმა ჩვენება<sup>1390</sup>. გაუგებარია, ამით როგორ შეიძლება დაცვის მიერ დაზარალებულის დაკითხვის ჩანაცვლება. სტაეროსის მიხედვით, სასამართლომ „განზრახ დააკნინა შეუმონმბეელი მტკიცებულებების წონა საერთაშორისო დონეზე“<sup>1391</sup>.

სასამართლომ ასევე ჩამოაყალიბა შემდეგი არგუმენტი, რომელიც წრიული ხასიათისაა:

ყველა მტკიცებულების წარმოდგენა ჩვეულებრივ უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე შეჯიბრებითი მსჯელობის უზრუნველსაყოფად.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონმმ ჩვენება ყოველთვის სასამართლოში და საჯაროდ უნდა მისცეს, რათა ის დაშვებულ იქნეს მტკიცებულებად; კერძოდ, გარკვეულ შემთხვევაში ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება. წინასწარი გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების ასეთი გამოყენება, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტსა და პირველ პუნქტს, თუ დაცვის უფლებები იყო დაცული. როგორც წესი, ეს უფლებები მოითხოვს, რომ დაცვას მიეცეს ბრალდების მონმის დაკითხვისა და მისი ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური და ჯეროვანი შესაძლებლობა მის მიერ ჩვენების მიცემისას ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე<sup>1392</sup>.

<sup>1387</sup> კრიტიკისათვის იხ. აგრეთვე სტაეროსი (1993) 235; ოსბორნი (1993) 265.

<sup>1388</sup> მოსამართლეები მატშერი, მაკდონალდი და რუსო.

<sup>1389</sup> *აში (Asch)* აესტრიის წინააღმდეგ, §28-31.

<sup>1390</sup> სტაეროსი (1993) 235; რასაკვირველია იგივე ეხება საქმეს *არტნერი (Artner)* აესტრიის წინააღმდეგ.

<sup>1391</sup> *აში (Asch)* აესტრიის წინააღმდეგ, §27; იხ. აგრეთვე *ბარბერა (Barbera)*, *მესანე (Messegue)* და *ხაბარდო (Jabardo)* ესპანეთის წინააღმდეგ, §78; *კოსტოვსკი (Kostovski)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §41; *ვინდიში (Windisch)* აესტრიის წინააღმდეგ, §26; *დელტა (Delta)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §36; *ისგრო (Isagro)* იტალიის წინააღმდეგ, §34; *საიდი (Saidi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §43; *ფერანტელი (Ferrantelli)* და *სანტანჯელო (Santangelo)* იტალიის წინააღმდეგ, §57; *სოლაკოვი (Solakov)* მაკედონიის წინააღმდეგ, §57; *SN შეედეთის წინააღმდეგ*, §44; განსხვავებული ფორმულირება იქნა გამოყენებული საქმეში *ვან მეხელენი (van Mechelen)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §51. იხ. აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილება საქმეში *ტრივედი (Trivedi)* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 31700/96).

<sup>1392</sup> გრებენვარტერი (1997) 640. ავტორი მხარს უჭერს შეხედულებას, რომ სასამართლო არ მიანიშნებდა დაცვის ყველა უფლებაზე. ის მიიჩნევს, რომ სასამართლომ გამოტოვა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი. თუმცა ამგვარი პიპოთეზა არადამაჯერებელია იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 პუნქტში შესული ყველა გარანტია „მინიმალურ უფლებათა“ რიცხვს მიეკუთვნება.

სასამართლომ არ განმარტა, როგორ იყო „დაცვის უფლებები დაცული“ აშის (Asch) საქმეში. მონმეს არ მიუცია ჩვენება სასამართლო განხილვის დროს, დაცვას არ ჰქონია მისი დაკითხვის შესაძლებლობა<sup>1393</sup>. აღნიშნული დღემიდან ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა სასამართლოს მიერ იმის აღნიშვნა, რომ განაჩენი არ ეყრდნობოდა მონმის ჩვენებებს. თუმცა სასამართლო ასე შორს არ ნასულა და შემოიფარგლა იმის თქმით, რომ „ქალბატონი ჯეილის განცხადება, როგორც გადმოსცა ოფიცერმა „ბ“-მ, არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.“<sup>1394</sup> ეს განცხადება ცხადყოფს, რომ სასამართლოს (მართებულად) სჯეროდა, რომ მსჯავრდება, გარკვეულწილად, ეფუძნებოდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვე-პუნქტის იგნორირების საფუძველზე მოპოვებულ ჩვენებას.

ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ გადაწყვეტილებად. სასამართლომ ფაქტობრივად უგულებელყო გარანტია<sup>1395</sup>. საბედნიეროდ, პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

### გ. ჩვენების, როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა

სასამართლო ხშირად აცხადებს, რომ „მსჯავრდება არ უნდა ემყარებოდეს მთლიანად ან გადამწყვეტი ხარისხით“ ჩვენებას, რომელიც არ იქნა მოპოვებული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად<sup>1396</sup>. ტერმინი „გადამწყვეტი ხარისხით“ ასევე გვხვდება მრავალ შემდგომ გადაწყვეტილებაში<sup>1397</sup>. ზოგადად, აშის (Asch) საქმის შემდეგ სასამართლო უფრო მოქნილი მიდგომის გამოყენებას ცდილობს.<sup>1398</sup>

<sup>1393</sup> აში (Asch) ავსტრიის ნინააღმდეგ, §30.

<sup>1394</sup> აღსანიშნავია, რომ სხვა სამართლებრივ სისტემებში, მაგალითად, შვეიცარიაში, იმ დანაშაულისთვის, რომელშიც ბატონი ემი იყო ბრალდებული, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ დაზარალებულის ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე. დაზარალებულის მიერ სავარაუდო დამნაშაის მიმართ დევნის დაწყებაში ინტერესის არქონის გამო, სრულიად მისაღები იქნებოდა, თუ აღნიშნული ქმედება სანქციის გარეშე დარჩებოდა. შვეიცარიის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების საფუძველზე, ნებადართული გახდა შეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაზე *ex officio* დევნის დაწყება, თუმცა მსხვერპლს მაინც შეუძლია მოითხოვოს დევნის შეწყვეტა.

<sup>1395</sup> დორსონი (Doorson) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §76; ვან მეხელენი (van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §55; AM იტალიის ნინააღმდეგ, §25; კუპროსი თურქეთის ნინააღმდეგ, §109; ვისერი (Visser) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §43; ბირუტისი (Birullis) და სხვები ლიტვის ნინააღმდეგ, §29; ლუკა (Lucà) იტალიის ნინააღმდეგ, §40; სადაკი (Sadak) და სხვები თურქეთის ნინააღმდეგ, §65; სოლაკოვი (Solakov) მაკედონიის ნინააღმდეგ, §57; PS გერმანიის ნინააღმდეგ, §24; ჰალკო გინეში (Hulki Günes) თურქეთის ნინააღმდეგ, §86; კრაქსი (Craxi) იტალიის ნინააღმდეგ, §86; რადადი (Rachdad) საფრანგეთის ნინააღმდეგ, §23.

<sup>1396</sup> კოსტოვსკი (Kostovski) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §44; დელტა (Delta) საფრანგეთის ნინააღმდეგ, §37.

<sup>1397</sup> შტრამერი (2001) N 9.11. იხ. აგრეთვე სთრეინფი (2001). ავტორი აცხადებს: „უნტერპერტინგერის (Unterpertinger) ტესტის უარყოფა [აშის (Asch) საქმეში მიღებული გადაწყვეტილებით] არ გაგრძელებულა იმავე სფეროსთან დაკავშირებულ შემდგომ საქმეებში.“ თუმცა ის „რეციდივის“ სახით გამოვლინდა არტნერის (Artner) საქმეში.

<sup>1398</sup> მაგ; არტნერი (Artner) ავსტრიის ნინააღმდეგ, §23; ამ საქმეში მტკიცებულება დეტალურად არის განხილული; დორსონი (Doorson) ნიდერლანდების ნინააღმდეგ, §80; ფერანტელი (Ferrantelli) და სანტანჯელო (Santangelo) იტალიის ნინააღმდეგ, §52. საქმეში ვისერი (Visser) ნიდერლანდების ნინააღმდეგ (§45) განიხილებოდა საკითხი, ითამაშა თუ არა ჩვენებამ „მთავარი ან გადამწყვეტი როლი პირის მსჯავრდებისას“.

თავისი სტანდარტული ფრაზის გამოკრების შემდეგ სასამართლო მოუსადაგებს მას კონკრეტულ საქმეს ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომელიც ხშირად ოდნავ განსხვავებულია და ყოველთვის არ არის თანმიმდევრული. ზოგიერთ საქმეში, რომელშიც გადაწყვეტს, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, სასამართლო იყენებს დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის ფაქტს თავისი დასკვნის გასამყარებლად, რომ სადავო ჩვენების გამოყენება დასაშვებია იყო<sup>1399</sup>. ცხადია, რომ ასეთი მიდგომა არ არის დამაკმაყოფილებელი<sup>1400</sup>. ზოგჯერ მინიშნება ეთდება იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდება „გადამწყვეტი ხარისხით“<sup>1401</sup> ან „არსებითად“<sup>1402</sup> ემყარებოდა შეუმონმებელ ჩვენებას. ყველაზე სრულფასოვანი ფორმულირება მოცემულია ბირუტისის (*Birutis*) საქმეში: „სასამართლომ ... პირველი და მეორე განმცხადებლის მსჯავრდებას საფუძვლად დაუდო ანონიმური ჩვენებები“<sup>1403</sup>. ეს რომ გამხდარიყო სასამართლოს ჩვეული მიდგომა, მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება. თუმცა *ჰალკი გიუნესის* (*Hulki Günes*) საქმეში სასამართლო დაუბრუნდა ადრინდელ ფორმულირებას<sup>1404</sup>.

#### დ. შეფასება

მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა შევადაროთ მოზაიკის ქვას. რომელსაც ხშირად აკლია რამდენიმე ქვა. სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია სრული სურათის აღდგენა. მტკიცებულება საკმარისია უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაძლევად, როდესაც სურათი შეუმცდარია, ანუ არ არსებობს სხვა გონიერული ახსნა, გარდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისა. როდის გვაქვს სახეზე ასეთი შემთხვევა?

ცხადია, რომ კითხვას, როდის არის მტკიცებულება საკმარისი მსჯავრდებისთვის არ შეიძლება გაეცეს პასუხი *in abstracto*. ეს არის რაოდენობის საკითხი. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საქმის არსებითად განხილველი სასამართლოს მიერ. სტრასბურგის სასამართლოს მიერ იმის დადგენა, რომ არსებობდა სხვა მტკიცებულებაც არ არის საკმარისი. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს, რამდენად წონადი და საკმარისი იყო ეს მტკიცებულება. სასამართლომ ჰიპოთეტურად უნდა განიხილოს საქმე. მან უნდა ჩამოაცილოს ყოველი „ქვა“, რომელიც საფუძველს იღებს შეუმონმებელი და სადავო ჩვენებიდან. თუ სურათი კვლავ შეუმცდარია, მაშინ გადაწყვეტილება „გადამწყვეტი ხარისხით“ არ ემყარება ამ მტკიცებულებას. როგორც სტაეროსი აღნიშნავს სრულიად სამართლიანად. „უადრესად რთულია შეუმონმებელი მტკიცებულების წონადობის განსაზღვრა“<sup>1405</sup>.

შეუძლებელია, რომ ასეთი განხილვის დროს სასამართლომ არ გააკეთოს საკუთარი შეფასებები მტკიცებულებების შესახებ და შესაბამისად, არ შეეიდეს „აკრძალულ ზონაში“<sup>1406</sup>. ადვილი გასაგებია, რატომ ერიდება სასამართლო ამგვარ ქმედებას.

<sup>1399</sup> იმავე მნიშვნელობით იხ. ესერი (2002) 632.

<sup>1400</sup> ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 63.

<sup>1401</sup> ლუკა (*Luca*) იტალიის წინააღმდეგ, § 41.

<sup>1402</sup> ბირუტისი (*Birutis*) და სხვები ლიტვის წინააღმდეგ, § 34.

<sup>1403</sup> ჰალკი გიუნესი (*Hulki Günes*) თურქეთის წინააღმდეგ, § 86.

<sup>1404</sup> სტაეროსი (1993) 236, n. 742.

<sup>1405</sup> ვასეკუ-ვაიდერეკი (2000) 29.

<sup>1406</sup> ესერი (2002) 647.

ეროვნული სასამართლოების შემთხვევაში ყველაფერი ნათელია: გადანყვეტილება არ უნდა მიუთითებდეს შეუმონმებელ მტკიცებულებებზე. ეს არის საიმედო მეთოდი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ესერი აკრიტიკებს ასეთ მიდგომას, რადგან მიაჩნია, რომ ის გარანტიით მანიპულირების ან მისი დარღვევის შესაძლებლობას იძლევა<sup>1407</sup>. თუმცა რთულია დაეთანხმო მის მოსაზრებას. რატომ უნდა იყოს პრობლემური ეროვნული სასამართლოს ვალდებულება, რომ არ მიუთითოს საეჭვო მტკიცებულებებზე? თუ დარჩენილი მტკიცებულება არასაკმარისია, ის ვალდებული იქნება გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

საერთო სამართლის საფუძველზე, როდესაც ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი არ არის დასაბუთებული, მსგავსი „გამოსავალი“ არ არსებობს. ამ შემთხვევაში კონვენციის დარღვევად უნდა ჩაითვალოს „მანიკური მტკიცებულების“ დაშვება.

#### ე. უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა: გულმოდგინებასთან დაკავშირებული მოთხოვნა

მონმეთა დაკითხვის უფლების ფარდობითი ხასიათის გათვალისწინებით ცხადია, რომ შესაძლებელია ამ უფლებაზე უარის თქმა. თუმცა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო იჩენს მეტისმეტ სიმპატიურს და მოითხოვს უფლებაზე უარის თქმას მკაფიოდ. თუმცა სხვა შემთხვევაში ის მისაღებად თვლის უფლებაზე ნაგულისხმებ უარის თქმას და განმცხადებელს საყვედურობს, რომ არ გადაადგა საჭირო ნაბიჯები თავისი უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად<sup>1408</sup>.

უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა არაერთხელ იქნა აღიარებული როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტის<sup>1409</sup>, ისე ევროპული სასამართლოს მიერ. თუმცა ეს უკანასკნელი (ჩვეულებრივ) მოითხოვს, რომ უფლებაზე უარის თქმა განხორციელდეს მკაფიოდ და იქვე დასძენს, რომ სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, გამოიჩინოს ჯეროვანი გულმოდგინება სასამართლო განხილვაზე მონმეთა გამოცხადების უზრუნველსაყოფად, რათა ბრალდებულს მიეცეს მათი დაკითხვის შესაძლებლობა<sup>1410</sup>. თუმცა მონმეთა იძულების ვალდებულება (და შესაძლებლობა), მისცენ ჩვენება, შეზღუდულია. შეიძლება აუცილებელი გახდეს სხვების ინტერესების პატივისცემა განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ბრალდებულის ახლობლებს, რომლებიც უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე<sup>1411</sup>.

მეორე მხრივ, სასამართლო ასევე მოელის, ბრალდებულის მხრიდან, გარკვეული გულმოდგინების გამოჩენას. კონვენციის დარღვევას ადგილი არ ექნება, თუ დაცვა არ მოითხოვს იმ პირების გამოძახებასა და დაკითხვას, რომელთა ჩვენებებიც გაითვალისწინა სასამართლომ.<sup>1412</sup> ანალოგიურად, საქმეში SN

<sup>1407</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ესერი (2002) 647.

<sup>1408</sup> კამპასი (Campass) იამაიკის წინააღმდეგ; პრატი (Pratt) და მორგანი (Morgan) იამაიკის წინააღმდეგ; ადამსი (Adams) იამაიკის წინააღმდეგ.

<sup>1409</sup> სადიკი (Sadik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ §67. მოთხოვნა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინონ გარკვეული გულმოდგინება ადრე იქნა ხაზგასმული საქმეში მესაგე (Messagué) და ბაბარდო (Jabardo) ესპანეთის წინააღმდეგ (§75).

<sup>1410</sup> იხ. შაგ: უნტერპერტინგერი (Unterpertinger) ავსტრიის წინააღმდეგ, §30.

<sup>1411</sup> ბრანდშეტერი (Brandstetter) ავსტრიის წინააღმდეგ, §49. საქმე ეხებოდა ლინის დეგუსტაციის ჯგუფის წევრებს.

<sup>1412</sup> SN შედეგის წინააღმდეგ, §49.

შედეგის წინააღმდეგ<sup>1413</sup>, რომელშიც დამცველი არ დასწრებია სასამართლო განხილვას, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი არ დარღვეულა, რადგან დამცველმა თანხმობა განაცხადა ასეთო ფორმით დაკითხვის წარმართვაზე. იმის მოლოდინი, რომ დაცვამ უნდა გამოხატოს გარკვეული ინტერესი მონმის დაკითხვის მიმართ ასევე ცხადი გახდა საქმეში *S ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც კომისიამ არ დააკმაყოფილა განაცხადი და აღნიშნა, *inter alia*, რომ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა სასამართლოს წინაშე მონმის დაკითხვის მოთხოვნის წარდგენის ფაქტი<sup>1414</sup>.

სასამართლო ძალიან შორს წავიდა *კარდოს (Cardot)* საქმეში, რომელშიც კომისიისაგან განსხვავებით, მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამონურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგან არ გამოუთქვამს თანაბრალდებულების დაკითხვის სურვილი პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში<sup>1415</sup>. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „[განმცხადებელმა] არ მისცა საფრანგეთის სასამართლოებს იმის შესაძლებლობა, რაც პრინციპში უნდა ჰქონდეს ხელშემკერელ მხარეს [ყოფილი] 26-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, მათ წინააღმდეგ ბრალდების სახით გამოთქმული დარღვევების თავიდან აცილებისა და გამოსწორების შესაძლებლობა“<sup>1416</sup>. ამით მან გამოაელინა სისხლის სამართლის პროცესის კონტინენტური სისტემის მწირი ცოდნა, რომელშიც სასამართლოებს აქვთ მტკიცებულების გამოსხმობის *ex officio* ეალდებულება.

## ე. გარანტიის სრული დაცვის მოდელი

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული წესის პრაქტიკული მნიშვნელობის გაგება ყველაზე კარგად არის შესაძლებელი, თუ თავდაპირველად აღწერილი იქნება ის სამართალწარმოება, რომელიც სრულად შეესაბამება გარანტიას და ამის შემდეგ დასახელდება შესაძლო გამონაკლისები და მათი პოტენციური შეზღუდვები.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საქმეში სასამართლო აცხადებს, რომ „ყველა მტკიცებულების წარმოდგენა ჩვეულებრივ უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე შეჯიბრებითი მსჯელობის უზრუნველსაყოფად.“<sup>1417</sup> აქ უპირველესად იგულისხმება

<sup>1413</sup> განაცხადი 12262/86. იხ. აგრეთვე *O და T ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 17631/91 და 17632/91. „კომისია აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს არასდროს არ წარუდგენიათ მათი საქმის განმზილველი სასამართლოსთვის ანონიმური მონმების სასამართლოში დაკითხვის მოთხოვნა. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ გარემოებებში არ წამოიჭრება რაიმე საკითხი კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე“.

<sup>1414</sup> *კარდო (Cardot) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 34-5.

<sup>1415</sup> *კარდო (Cardot) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 36.

<sup>1416</sup> იხ. აგრეთვე სტაეროსი (1993) 235. „ბრალდებულს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი საპროცესო უფლებების დაცვა“. მეორე მხრივ, შეუძლებელია დაეთანხმო ფან დაიკისა და ფან ჰოფის (ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 477) ბუნდოვან ფრაზას, რომ „სასამართლოებს არ ევალებათ, საკუთარი ინიციატივით მონმების გამოძახება“. ეს მოსაზრება ეფუძნება კომისიის ისეთ ადრინდელ და მოქმედებულ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა *XV ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 5281/71) და *XV ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 4782/71). „კონტინენტური მოსამართლის“ მოვალეობის შესახებ იხ. მაგ: შარიერი (2002) მე-6 მუხლი, N 89.

<sup>1417</sup> იხ. მაგ: *SN შედეგის წინააღმდეგ*, § 44. გოლეიტკერი (1992) მე-6 მუხლი, N 225. ავტორის მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია, როდესაც ის ამტკიცებს, რომ კონვენციით არ არის



სასამართლო პროცესი, რომელიც სისხლის სამართალწარმოების ცენტრალური ელემენტია. მტიციებულება „ცოცხლად“ უნდა იქნეს წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა. ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის ჩვენებას. დაცვას უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობა.

ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია. თუმცა სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ამ გზით ჩვენებების წაკითხვა, თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტისა და პირველი პუნქტის დარღვევად<sup>1418</sup>. ამ ორი განაცხადების „შერიგების“ მიზნით მეორე უნდა ჩაითვალოს გამოწვევად, რაც დამაჯერებელ დასაბუთებას საჭიროებს. სასამართლომ არ შეიტანა საქმარისი სიცხადე ამ საკითხში, როცა დასძინა, რომ „მიუხედავად ამისა, ამ მტიციებულებების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს დაცვის უფლებებს.“<sup>1419</sup> ეს განაცხადება სრულიად ბანალურია. რთულია ისეთი გარემოებების წარმოდგენა, რაც ლეგიტიმურს გახდიდა დაცვის უფლებების იგნორირებას.

### ვ. გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები

იმ პრობლემების გარდა, რაც უკვე განვიხილეთ, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტისა და მასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ანალიზი მიაწინებს სხვა უამრავ სირთულეზე. უპირველესად, მნიშვნელოვანია ამ დებულებით გამყარებული ორი უფლების გამოიწვევა: ბრალდების მოწმეთა დაკითხვის უფლება და მოწმეთა გამოძახების ან დაცვის მოწმეთა გამოძახების უფლება. პრეცედენტულ სამართალში პირველი ასპექტი დომინირებს, თუმცა მეორის დარღვევაც იქნა აღმოჩენილი რამდენიმე საქმეში. მნიშვნელოვანი საკითხია იმ მომენტის განსაზღვრა, როდესაც წარმოიქმნება ამ ორი უფლებიდან პირველი. იდეალურ შემთხვევაში, მოწმე დაკითხულ უნდა იქნეს სასამართლო პროცესზე, მაგრამ გარკვეულ გარემოებებში ეს უფლება შეიძლება სრულფასოვნად განხორციელდეს გამოძიების ეტაპზე.

კითხვები არსებობს ასევე დაკითხვის ხასიათთან დაკავშირებით. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დამცველსა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობა.

ყველაზე რთული ასპექტი უკავშირდება ვითარებას, როდესაც არსებობს გარანტიის იმპლემენტაციის ბარიერი. ხშირად ეს განპირობებულია მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით. ქვემოთ განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როდესაც ასეთი დაცვა გამართლებულია, ასევე შევხებით თავის დაცვის მეთოდებსა და დაცვის გარანტიებს. იმავე ნაწილში ვისაუბრებთ იმ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიქმნება ყოველთვის, როცა შეუძლებელია დაცვის მიერ მოწმის დაკითხვა ან უკანასკნელის გარდაცვალების, გაუჩინარების ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო.

ამ საკითხების განხილვამდე უნდა განვმარტოთ „მოწმის“ ცნება.

---

გარანტირებული დაპირისპირების უფლება.

<sup>1418</sup> იხ. მავ: *უნტერპერტინგერი (Unterperinger) ავსტრიის წინააღმდეგ*. § 31.

<sup>1419</sup> *Ibid.*

## II. „მონმის“ ცნების განსაზღვრა

მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროს გააზრებისთვის საჭიროა, განისაზღვროს, რა იგულისხმება ტერმინში „მონმი“. „ეკუთენის“ თუ არა მონმი ბრალდების ან დაცვის მხარეს? ამგვარი განსხვავება ცხადყოფს წესის წარმომავლობას. საერთო სამართლის სისტემაში მხარეები ვალდებული არიან, წარმოადგინონ თავიანთი მტკიცებულებები. მონმის ჩვენებასთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, რომ ერთი მხარის მიერ მონმეთა დაკითხვის შემდეგ მათ უკარეინდად დაკითხავს მეორე მხარე.

სისხლის სამართლის პროცესის კონტინენტური სისტემისთვის ასეთი წესი უცხოა. მიუხედავად იმისა, რომ ინკვიზიციური მოდელი წარმატებით იქნა ჩანაცვლებული შედარებით შეჯობრებითი მოდელით, სასამართლო კვლავ უმთავრეს როლს ასრულებს მტკიცებულებათა მოპოვების საქმეში. მონმებს ძირითადად სასამართლოს თავმჯდომარე კითხავს, თუმცა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს ასევე აქვთ დამატებითი შეკითხვების დასმის უფლება პირდაპირ ან მოსამართლის მეშვეობით.<sup>1420</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, იმ პირთა მიერ ჩვენებების მიცემა, რომლებსაც, სავარაუდოდ, უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, როგორც წესი, იწყება წინასასამართლო ეტაპზე. ხშირად მხოლოდ გამოძიების შედეგების გამოცხადების შემდეგ ხდება შესაძლებელი იმის თქმა, მონმი „ბრალდებისა“ თუ „დაცვის“<sup>1421</sup>.

აღნიშნული ფენომენი ეჭვქვეშ აყენებს იმის საჭიროებას, რომ „მონმის“ ცნების განმარტება მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტის მიზნებისთვის. არსებობს მეორე, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი სხვაობა. ევროპის კონტინენტზე მონმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ იგი არ წარმოადგენს სამართალწარმოების მხარეს.<sup>1422</sup> ცხადია, მხარეები ვალდებული არ არიან, რომ ჩვენება მისცენ მონმის სახით. ითვლება, რომ ისინი *a priori* მიკერძოებულნი არიან და შესაბამისად, არ იტყვიან ობიექტურ ჭეშმარიტებას. საერთო სამართლის სისტემაში ამგვარი წესი არ არსებობს. კონტინენტური მიდგომა განიცდის ფსიქოლოგიური მოსაზრებების გავლენას, როდესაც ვარაუდობს, რომ თითოეულ პირს ამოძრავებს თვითგადარჩენის ძლიერი ინსტინქტი და არ უნდა იქნეს დაყენებული თავისთვის საზიანო ჩვენების მიცემისა და ცრუმონმების ნიადაგზე მსჯავრდებას შორის არჩევანის წინაშე<sup>1423</sup>. ანგლო-საქსური მიდგომა კი ნორმატიული ხასიათისაა. ბრალდებული თავისუფალია არჩევანში, მისცეს თუ არა ჩვენება მონმის სახით, თუმცა თანხმობის შემთხვევაში მას ეკისრება სიმართლის თქმის ვალდებულება, ანუ დგება ცრუ ჩვენების მიცემისთვის მსჯავრდების საშიშროების წინაშე.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ სასამართლოს არ აქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შედის მონმეთა კატეგორიაში. თუმცა პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, შესაძლებელია რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა.

<sup>1420</sup> სორეინჯი (2001) 16.3.

<sup>1421</sup> გრაბენვარტერი (2003) §24.

<sup>1422</sup> იხ. მაგ: ჰაუზერი (1974) 38.

<sup>1423</sup> იხ. თავი 13.

## ა. „მონმის“ ავტონომიური ცნება

იმის განსაზღვრისას, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მონმედ, სასამართლოზე გაელენას ვერ მოახდენს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი. სასამართლო ჩეულებრივ იყენებს დამოუკიდებელ ცნებას<sup>1424</sup>. ლუკას (Lucà) საქმეში სასამართლომ თქვა, რომ „როდესაც ნერილობითი ჩვენება შეიძლება გახდეს მსჯავრდების არსებითი საფუძელი, იმის მიუხედავად, მონმემ, ამ სიტყვის ენრო გაგებით, მისცა ჩვენება თუ თანაბრალდებულმა, ის ნარმოადგენს ბრალდების მტკიცებულებას, რომელზეც ვრცელდება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის გარანტიები“<sup>1425</sup>. სტავროსი ითვალისწინებს აღნიშნულ მიდგომას, როდესაც იყენებს ტერმინს „განმცხადებელი“<sup>1426</sup>.

## ბ. მონმის კლასიკური ცნება

მონმის კლასიფიკაცია კონტინენტური სისტემის საფუძველზე დამოკიდებულია ორ განსხვავებულ ასპექტზე: შინაარსი და ფორმა. შინაარსის თვალსაზრისით, მონმე არის პირი, რომელმაც პირადად დაინახა, მოისმინა, ან სხვაგვარად, შეესწრო ისეთ ქმედებას, რომელიც მნიშვნელოვანია ფაქტის დადგენისთვის და არ არის სამართალწარმოების მხარე. რაც შეეხება ფორმას, პირს უნდა განემარტოს, რომ ის მონმეა და სიმართლის დაფარვა გამოიწვევს სერიოზულ სანქციებს. შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ფიცის დადებაც.

არც ერთი ზემოთ აღნიშნული მიდგომა არ გამოიყენება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას ფორმალურ საპროცესო ნორმებს<sup>1427</sup>.

## გ. მხარეები, როგორც მონმეები

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არ მოიპოვება მაგალითი, როდესაც ბრალდებულმა მისცა ჩვენება ან უნდოდა მისი მიცემა მონმის სახით. ასეთი ჰიპოთეზა საქმოდ აბსურდულია, თუმცა ის გახდა კომისიის განხილვის საგანი, რომელმაც განაცხადი დაუშვებლად ცნო<sup>1428</sup>. იყო შემთხვევა, როდესაც ცილისწამების საქმეში ბრალდებულმა მოითხოვა მოსარჩელის დაკითხვა მონმის სახით<sup>1429</sup>. თანაბრალდებულმა შეიძლება ასევე ჩაითვალოს მონმედ მე-

<sup>1424</sup> იხ. მაგ: კოსტოვსკი (Kostovski) ავსტრიის წინააღმდეგ, §40; ვინდიში (Windisch) ავსტრიის წინააღმდეგ, §23; დელტა (Delta) საფრანგეთის წინააღმდეგ, §34; ისგრო (Isgró) იტალიის წინააღმდეგ, §33; აში (Asch) ავსტრიის წინააღმდეგ, §25; არტნერი (Artner) ავსტრიის წინააღმდეგ, §19; ლუდი (Lüdi) შვეიცარიის წინააღმდეგ, §44; ვიდალი (Vidal) ბელგიის წინააღმდეგ, §33; პულარი (Pullar) გერმანიის წინააღმდეგ, §45; ლუკა (Lucà) იტალიის წინააღმდეგ, §41; სოლაკოვი (Solakov) მაკედონიის წინააღმდეგ, §57; SN შედეგების წინააღმდეგ, §45; პერნა (Perna) იტალიის წინააღმდეგ (GC), §29.

<sup>1425</sup> ლუკა (Lucà) იტალიის წინააღმდეგ, §41; იხ. აგრეთვე კოსტოვსკი (Kostovski) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §40; ეს ძალზე ფართო დეფინიცია, რომელიც არ არის ტექნიკური ხასიათის, მოწონებული იქნა მეცნიერთა მიერ. მაგ: კიავარიო (2002) N 7.4.

<sup>1426</sup> სტავროსი (1993) 230.

<sup>1427</sup> ოლსონი (Olsson) შედეგების წინააღმდეგ, §79 (საქმე ეხებოდა სამოქალაქო სამართალწარმოებას).

<sup>1428</sup> X ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 1092/61; მორისონი (1967) 125, ამერიკელმა ავტორმა ეს გადაწყვეტილება მოულოდნელად მიიჩნია!

<sup>1429</sup> პერნა (Perna) იტალიის წინააღმდეგ, §29; დარღვევა არ იქნა დადგენილი, მაგრამ

მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის<sup>1430</sup>. იგივე შეიძლება ითქვას მოსარჩელებზე სამოქალაქო პროცესში.

## დ. ინფორმატორები, როგორც მონმეები

შესაბამისი პირის სასამართლოში დაკითხვისათვის საჭირო არ არის მისი მონმედ კლასიფიკაცია<sup>1431</sup>. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ის უნდა გაირკვეს, გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ მისი ჩვენება მტკიცებულებების შეფასებისას<sup>1432</sup>. კოსტოვსკის (*Kostovski*) საქმეში ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ სასამართლოში ჩვენების ნაკითხვა არ იყო მნიშვნელოვანი<sup>1433</sup>.

არც იმას აქვს მნიშვნელობა, უკავშირდება თუ არა ჩვენება სამართალწარმოების არსებით ნაწილს. პულარის (*Pullar*) საქმეში განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის მიჩნევა მიუკერძოებლად<sup>1434</sup>.

## ე. ექსპერტები<sup>1435</sup>

ექსპერტები განსხვავდებიან სხვა მონმეებისაგან იმით, რომ სასამართლოში ისინი არ ყვებიან იმის შესახებ, რასაც პირადად შეესწრნენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მათი დანიშნულებაა სასამართლოს (ან ერთ-ერთი მხარის) დახმარება სპეციალური ცოდნის საფუძველზე. მათი ამოცანა, ჩვეულებრივ, მოიცავს დაკვირვებასა და მეცნიერების კანონების გამოყენებას.

ექსპერტებსა და მონმეებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარეობს ორი დასკვნა. პირველი, თუ მონმე უნიკალურია, ექსპერტის ჩანაცვლება შესაძლებელია. მეორე, თუ მონმის ჩვენების მოსმენა უნდა მოხდეს საქმის ან მხარეების მიმართ მისი დამოკიდებულების მიუხედავად, ექსპერტი ყოველთვის უნდა იყოს ნეიტრალური, ყოველგვარი გავლენისაგან თავისუფალი<sup>1436</sup>. ეს მოთხოვნა

---

სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ გარანტია ამ შემთხვევაზეც ვრცელდებოდა.

<sup>1430</sup> მაგ: ისგრო (*Isgro*) იტალიის წინააღმდეგ, §33; ფერანტელი (*Ferrantelli*) და სანტანჯელო (*Sanlangelo*) იტალიის წინააღმდეგ, §52; ლუკა (*Luca*) იტალიის წინააღმდეგ, §41.

<sup>1431</sup> მაგ: აში (*Asch*) ავსტრიის წინააღმდეგ, §25; SN შვედეთის წინააღმდეგ, §45; დელტა (*Delta*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §34; ვინდში (*Windisch*) ავსტრიის წინააღმდეგ, §23; ისგრო (*Isgro*) იტალიის წინააღმდეგ, §33.

<sup>1432</sup> ესერი (2002) 630. ავტორი აკრიტიკებს მოთხოვნას, რომ ჩვენება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ. მისი აზრით, აღნიშნულს არავითარი კავშირი არ აქვს მონმის სტატუსთან, თუმცა სასამართლოს მიდგომა გონივრულია, რადგან ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით ჩვენებას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ის არ იქნა გათვალისწინებული პირის მსჯავრდების დროს.

<sup>1433</sup> კოსტოვსკი (*Kostovski*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §40.

<sup>1434</sup> პულარი (*Pullar*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §45.

<sup>1435</sup> სასამართლომ ასევე გადაწყვიტა მრავალი საკითხი, რომელიც ექსპერტებს უკავშირდებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში. ამ პრეცედენტული სამართლისთვის იხ. ესერი (2002) 693.

<sup>1436</sup> თუმცა არსებობს განსხვავებები. საქმეში ბრანდშტეტერი (*Brandstetter*) ავსტრიის წინააღმდეგ (§44) იმ დანესებულებასთან სიახლოვე, რომელმაც წვლილი შეიტანა სამართლებრივი დევნის დაწყებაში არ ჩაითვალა მიკერძოებასთან დაკავშირებული ექვსი საკმარის საფუძველად. მეორე მხრივ, საქმეში სრანიჩი (*Sranic*) ავსტრიის წინააღმდეგ (§41) მსგავსი კავშირის გამო გადაწყდა, რომ სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი. იხ. აგრეთვე გრანბენარტერი (1997) 633. ავტორი ძალზე გულდასმით განიხილავს მე-3 მუხლის მე-3 დ) ქვეპუნქტთან დაკავშირებულ საკითხებს ავსტრიის ადმინისტრაციულ სამართალში (643-

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა სამართალწარმოებაში ექსპერტს უკავია პრივილეგირებული მდგომარეობა. გრაბენვარტერი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ექსპერტის მიკერძოება შეიძლება დაბალანდეს მხარეთა ეფექტიანი თანასწორუფლებიანობით, რაც დაცვას მისცემს საკუთარი ექსპერტის წარმოდგენის საშუალებას.<sup>1437</sup>

სასამართლოს არ გამოუთქვამს ცალსახა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ექსპერტი უნდა ჩაითვალოს თუ არა „მონმედ“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის. თუმცა პრაქტიკაში იგივე წესები გამოიყენება. ეს ცხადი გახდა დორსონის (*Doorson*) საქმეში, რომელშიც სასამართლომ საერთოდ არ გააკეთა კომენტარი ამ ორს შორის არსებულ განსხვავებაზე.<sup>1438</sup> პირველ საქმეში, რომელშიც ნამოიჭრა ეს საკითხი, სასამართლომ განაცხადა, რომ, „თუ სიტყვასიტყვით განვმარტავთ, მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი ეხება მონმედებს და არა ექსპერტებს“. თუმცა იქვე დასძინა, „რომ მე-3 პუნქტში შემავალი გარანტიები, სხვა ასპექტებთან ერთად, პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი ელემენტებია“ და გადაწყვიტა, „რომ განმცხადებლის მოთხოვნებს განიხილავს 1-ლი პუნქტის ზოგადი წესის საფუძველზე“<sup>1439</sup>. ამით მან თავი აარიდა საკითხის განხილვას.

ექსპერტთა ჩვენებებთან დაკავშირებულ ორ საქმეში იდგა მათი ნეიტრალურობის საკითხი. ბიონეშის (*Bönisch*) საქმეში სურსათის კონტროლის ფედერალური ინსტიტუტის დირექტორმა თავდაპირველად წარადგინა ანგარიში, სადაც ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა უკანონო ქმედება. მოგვიანებით ის დაინიშნა ექსპერტად. სასამართლომ განაცხადა, რომ „გარკვეული ეჭვები წარმოიქმნება ექსპერტის ნეიტრალურობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ბრალდებულისთვის, როდესაც ფაქტობრივად ექსპერტის ანგარიშმა გამოიწვია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება“<sup>1440</sup>. სასამართლო დაეთანხმა განმცხადებელს, რომ ეს პირი ბრალდების მოწმის სტატუსს უფრო იმსახურებდა, ვიდრე ექსპერტის. ეს არ გამოირიცხავდა მისი ჩვენების მოსმენას, თუმცა საჭირო იყო თანაბარი მოპყრობა. მიუხედავად ამისა, დირექტორის ჩვენება ჩაითვა „ექსპერტის“ დასკვნად. „აღნიშნული მიზეზის გამო, მის ჩვენებას უფრო მეტი წონა უნდა ჰქონოდა, ვიდრე ბრალდებულის მიერ გამოძახებული „მონმედ ექსპერტის“ ჩვენებას“. აღნიშნულ პირს პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა ასევე სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მას ნება დართეს, დასწრებოდა მთლიან სასამართლო განხილვას, კითხვები დაესვა ბრალდებულისა და სხვა მოწმეებისთვის და გაეკეთებინა კომენტარები. ასეთი უფლებებით არ უსარგებლია დაცვის მიერ გამოძახებულ ექსპერტს. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, რამაც მოხსნა იმავე მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის განხილვის საჭიროება<sup>1441</sup>. სტაეროსი მიესალმება ამ მიდგომას, როგორც „პრეცედენტული სამართლის ახალი სიმნიფის“ ნიშანს<sup>1442</sup>.

65).

<sup>1437</sup> გრაბენვარტერი (1997) 632; იხ. აგრეთვე სტაეროსი (1993) 244.

<sup>1438</sup> დორსონი (*Doorson*) ნიდერლანდების წინააღმდეგ. § 81, 82.

<sup>1439</sup> ბიონეში (*Bönisch*) ავსტრიის წინააღმდეგ. § 29; იგივე მიდგომა დაფიქსირდა საქმეში ბრანდშტეტერი (*Brandstetter*) ავსტრიის წინააღმდეგ. § 42.

<sup>1440</sup> ბიონეში (*Bönisch*) ავსტრიის წინააღმდეგ. § 32.

<sup>1441</sup> *Ibid.*, § 33-5.

<sup>1442</sup> სტაეროსი (1993) 243.

მეორე მხრივ, ბრანდშტეტერის (*Brandstetter*) საქმეში (რომელიც შეეხებოდა ლეინოს, ხოლო ბიონემის (*Bönisch*) საქმე უკავშირდებოდა შებოლილ ხორცს) სასამართლომ არ ჩათვალა ექსპერტის ნეიტრალურობაში ეჭვის შეტანის ობიექტურ საფუძვლად ის გარემოება, რომ ის მუშაობდა იმავე ინსტიტუტში, სადაც შედგა მამხილებელი ანგარიში. შესაბამისად, ეს პირი ვერ ჩაითვლებოდა ბრალდების მონმედ<sup>1443</sup>.

### ვ. მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის გამოყენება სხვა მტკიცებულებების მიმართ

დაბოლოს, პრეცედენტულ სამართალში არსებობს ნიშნები, რომ მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი, გარდა მონმეთა ჩვენებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მტკიცებულებების მიმართ. როგორც ჩანს, კომისიამ აღნიშნული მიდგომა გამოიყენა *ედვარდის* (*Edwards*) საქმეში, რომელიც შეეხებოდა პროკურორის მიერ დაფარულ იმ მტკიცებულებას, რომელსაც შეიძლო დაცვისთვის ხელის შეწყობა<sup>1444</sup>. მიუხედავად იმისა, რომ *ედვარდის* (*Edwards*) საქმეში სასამართლომ მხარი არ დაუჭირა ასეთ მიდგომას, საბოლოოდ ის მაინც მისაღებად ჩათვალა.

*პერნას* (*Perna*) საქმეში ის ფაქტი, რომ ორი საგაზეთო სტატია არ იქნა შეტანილი საქმის მასალებში, განხილული იქნა მე-ნ მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, ყოველგვარი დავის გარეშე.<sup>1445</sup> საბოლოოდ, *პაპაგეორგიუს* (*Papageorgiou*) საქმე შეეხებოდა იმას, რომ ქვითრები, რომლებიც, სავარაუდოდ, გაყალბებული იქნა, არ იყო ხელმისაწვდომი. ამ საქმეში დადგინდა, რომ გარანტია წარმოაჩენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების, შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლების ტიპურ ასპექტებს<sup>1446</sup>. ეს შეიძლება და უნდა გულისხმობდეს, რომ დაუშვებელია რაიმე მტკიცებულების გამოყენება მსჯავრდების საფუძვლად, თუ დაცვას არ მიეცა მისი ნამდვილობის შემოწმებისა და მის მნიშვნელობაზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა<sup>1447</sup>.

## III. მონმის დაკითხვის უფლება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე

### ა. სასამართლო განხილვის დროს

ზემოთ უკვე ვახსენეთ, სასამართლოს ზოგადი მიდგომაა, რომ, ჩვეულებრივ, ჩვენების შემონმება უნდა მოხდეს სასამართლო განხილვის დროს<sup>1448</sup>. ეს

<sup>1443</sup> ბრანდშტეტერი (*Brandstetter*) ავსტრიის ნინაალმდეგ, §44, 45; ესერი (2002) 702. ავტორი მართებულად აკრიტიკებს სასამართლოს აღნიშნულ მიდგომას.

<sup>1444</sup> ედვარდის (*Edwards*) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §32. იხ. თავი 9.

<sup>1445</sup> პერნა (*Perna*) იტალიის ნინაალმდეგ (GC), §25-32.

<sup>1446</sup> იხ. თავი 4.

<sup>1447</sup> იხ. აგრეთვე გოლეიტცერი (1992) მე-ნ მუხლი, N 211. ავტორი აცხადებს, რომ მე-ნ მუხლის მე-3(დ) პუნქტი არ შეეხება დოკუმენტებს.

<sup>1448</sup> ისერო (*Isyro*) იტალიის ნინაალმდეგ, §43; ლუდი (*Lüdi*) შვეიცარიის ნინაალმდეგ, §27; საიდი (*Saidi*) საფრანგეთის ნინაალმდეგ, §43; აში (*Asch*) ავსტრიის ნინაალმდეგ, §27; ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების ნინაალმდეგ, §51; AM იტალიის ნინაალმდეგ, §25; ლუკა (*Luca*) იტალიის ნინაალმდეგ, §40; სოლაკოვი (*Solakov*) მაკედონიის ნინაალმდეგ, §57; PS გერმანიის ნინაალმდეგ, §21; ბირუტისი (*Birutis*) და სხვები ლიტვის ნინაალმდეგ, §28;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ასპექტია და უშუალოდ პრინციპის საფუძველს წარმოადგენს<sup>1449</sup>. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მტკიცებულება, განსაკუთრებით მონმის ჩვენება, შესაძლოა გახდეს მრავალი შეცდომის წყარო. ეს შეიძლება მოხდეს ფაქტებზე დაკვირვებისას ან შემდგომში, სამართალწარმოების დროს. ფაქტები შესაძლოა დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას ან არასწორად იქნეს განმარტებული მათი გახსენების მომენტში. გარდა ამისა, ჩანაწერი შეიძლება არ იყოს ბოლომდე ზუსტი. ეს სია არ არის ამომწურავი. საქმის გადაწყვეტა, მხოლოდ საქმეში არსებული ოქმების საფუძველზე, დიდი რისკის მატარებელია. ევროპული სასამართლოს დაჟინებული მოთხოვნა, რომ ჩვენება შემომდგეს სასამართლო განხილვაზე, როგორც ჩანს, განპირობებულია იმით, რომ უშუალოდ პრინციპი გამომდინარეობს მე-6 მუხლიდან<sup>1450</sup>. თუმცა ზოგიერთი ავტორი და შევიცარიის უმაღლესი სასამართლო უარყოფს ამ შეხედულებას<sup>1451</sup>. საერთო სამართლის სისტემაში ეს საკითხი ნაკლებად სადავოა. დავის საგანი შეიძლება იყოს გარკვეული დოკუმენტების დასაშვებობა და მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების გათვალისწინება, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, როგორც მოსამართლეს, ისე ნაფიც მსაჯულებს, ხელი არ მიუწევდათ საქმის მასალებზე. მათ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მხოლოდ სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

უშუალოდ პრინციპის სანიშნაობა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის მიხედვით, ის უაღრესად ართულებს მართლმსაჯულების განხორციელებას და შედეგად ვიღებთ ძვირადღირებულ და ხანგრძლივ პროცესებს. შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოების ყველა სისტემაში შემუშავდა ამ პრობლემასთან გამკლავების სტრატეგია. მაგალითად, ამერიკის შვერთებულ შტატებში სისხლის სამართლის საქმეთა უდიდესი ნაწილი წყდება საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულების განხორციელება, უბრალოდ, ჩანაცვლებული იქნა საქმიანი მოლაპარაკების ერთ-ერთი ნაირსახეობით. ცხადია, არსებობს იმის შესაძლებლობა და ალბათობაც, რომ ბრალდებული იძულებული იქნება, დათანხმდეს შემცირებულ სასჯელს, რათა თავიდან აიცილოს ნაფიცი მსაჯულების მიერ მისი (შეიძლება მცდარი) მსჯავრდება.

კონტინენტურ ევროპაშიც ვხვდებით მსგავს ნიშნებს. მაგალითად, გერმანიაში სისხლის სამართლის საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი წყდება „მორიგებით“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის საფუძველზე: სასამართლოს ზედამხედველობით, საჯარო ბრალმძებელი უარს ამბობს საბრალდებო დასკვნის შედგენაზე. სანაცვლოდ, ბრალდებული კისრულობს გარკვეული პირობების შესრულებას, რაც შეიძლება მოიცავდეს ზიანის

*SN შედეგის ნინაალმდე*, §44; *ჰალკი გიუნეში (Hulki Günes) თურქეთის ნინაალმდე*, §86. სხვა, როგორც ძველი, ისე ახალი გადაწყვეტილებებში გამოიყენება ტერმინი „პრინციპულად“ *ბარბერა (Barbera)*, *მესეგუე (Messegue)* და *ხაბარდო (Jabardo)* *ესპანეთის ნინაალმდე*, §78; *კოსტოვსკი (Kostovski)* *ნიდერლანდების ნინაალმდე*, §41; *ვინდში (Windisch)* *ავსტრიის ნინაალმდე*, §26; *დელტა (Delta)* *საფრანგეთის ნინაალმდე*, §36; *სადაკი (Sadak)* და *სხვები* *თურქეთის ნინაალმდე*, §64; *კრაქსი (Craxi)* *იტალიის ნინაალმდე*, §85; *რამადი (Rachdad)* *საფრანგეთის ნინაალმდე*, §23.

<sup>1449</sup> კრაუსი (1986) 73; ჰაუზერი და შერი (2002) §51 N 6; როქსინი (1998) §44; შაფერი (1976) 13.62; გეპერტი (1979).

<sup>1450</sup> ტრექსელი (2000) 1368; გრაბენარტერი (1997) 638. ეს ავტორიც იგივე მოსაზრებას ემხრობა.

<sup>1451</sup> *ქეფლიგერი და შურმანი* (1999) 239; BGE 113 Ia 419; 116 Ia 291; 115 II 133.

ანაზღაურებასა და გარკვეული თანხის გადახდას სახელმწიფოს ან საქველმოქმედო ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ამედროულად, შეინიშნება მზარდი ტენდენცია, რომ სასამართლოებს უფრო მეტი საშუალება ჰქონდეთ, დაეყრდნონ საქმის მასალებს, ვიდრე ცოცხლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ეს არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების სულისკვეთებას და უფრო ზუსტად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. რასაკვირველია, ზოგჯერ კომპრომისი უნდა იქნეს მიღებული, როდესაც არსებობს წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების საფუძვლიანი მიზეზი. თუმცა ეს უნდა იყოს გამონაკლისი. ბრალდებულის ბრალეულობის განსაზღვრის უფლებამოსილების მქონე ორგანოებს უნდა გააჩნდეთ მონმეებისთვის პირადად მოსმენისა და მათი სანდოობის შეფასების შესაძლებლობა.

სასამართლო განხილვის დროს მონმეთა დაკითხვის წესის დანიშნულება სცილდება კონკრეტულ საქმეში სამართლიანობის უზრუნველყოფასა და ჭკუმატილებების დადგენას. ერთი მხრივ, ის უკავშირდება მოთხოვნას, რომ სამართალწარმოება იყოს საჯარო.<sup>1452</sup> პროცესი ფარსად იქცევა, თუ ჩვენების მოსმენა მოხდება საქმის წინასწარი განხილვის საიდუმლო გარემოში<sup>1453</sup>. მეორე მხრივ, სამართალწარმოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების განხორციელების ფორუმის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების ნდობას სასამართლო განხილვის საიმედოობასა და სამართლიანობაში<sup>1454</sup>.

მიუხედავად ამისა, არსებობს გამონაკლისები<sup>1455</sup> და მნიშვნელოვანია შესაძლებლობის ფარგლებში მათი ზუსტად განსაზღვრა. სასამართლომ ეს გააკეთა თავისი იურისპრუდენციის საკმაოდ გვიანდელ ეტაპზე და ძალზე არათანმიმდევრულად. *კრაქსის (Craxi)* საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მონმის მიერ გამოძიების დროს მიცემული ჩვენებების გამოყენება დასაშვებია, თუ შეუძლებელია მისი მოსმენა სასამართლო განხილვის ეტაპზე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, მონმის გარდაცვალება ან მისი უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.

## ბ. წინასასამართლო სამართალწარმოების დროს

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მონმის დაკითხვის უფლების განხორციელებას წინასწარი გამოძიების დროს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი უფლება არსებობდეს, შეძლებისდაგვარად, ადრეული ეტაპიდან. ცნობილია, რომ მონმე, რომლის დაკითხვა რამდენჯერმე ხორციელდება, შეეცდება ყველა კითხვაზე ისეთი პასუხი გასცეს, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა მის მიერ ადრე მიცემულ ჩვენებებთან. ამდენად, ის არ არის უმთავრესად იმით დაინტერესებული, რომ პასუხები ასახავდეს მისი ცოდნის ნამდვილ შინაარსს<sup>1456</sup>. აქედან გამომდინარე, დაცვას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, დაესწროს მონმის პირველივე დაკითხვას და თავიდანვე შეძლოს კითხვების დასმა. სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე შეიძლება

<sup>1452</sup> იხ. შარიერი (2002), მე-6 მუხლი, N 86. ავტორი იმავე მოსაზრებას გამოთქვამს.

<sup>1453</sup> როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას იზიარებს სასამართლოც. იხ. *რიპანი (Riepan)* ავსტრიის წინააღმდეგ, §40; *სტეფანელი (Stefanelli)* სან მარინოს წინააღმდეგ, §20.

<sup>1454</sup> იხ. ლუმანი (1975); ტრეკსელი (2000) 1366.

<sup>1455</sup> სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა ამის შესახებ. მაგ: *ლუკა (Lucà)* იტალიის წინააღმდეგ, §39.

<sup>1456</sup> იხ. მაგ: *კოლბაჩერი (1978)* 129.



ფაქტობრივად შეუძლებელი გახდეს ჩვენებაზე გავლენის მოხდენა დამატებით კითხვების დასმით. თუმცა მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანაბრად მნიშვნელოვანია მოწმის მიერ ჩვენების მიცემა ღია სასამართლო პროცესზე. ლოგიკურად შესაძლოა ოთხი ვარიანტის განხილვა:

- მოწმე დაიკითხება გამოძიების ეტაპზე, მაგრამ არა სასამართლო განხილვის დროს;
- მოწმე დაიკითხება სასამართლო განხილვისას, მაგრამ არა წინასწარი გამოძიების დროს;
- მოწმე დაიკითხება როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვისას;
- მოწმე საერთოდ არ დაიკითხება.

### 1. მოწმე დაიკითხება მხოლოდ გამოძიების დროს

სასამართლო მუდმივად განიხილავს ამგვარ ვითარებას მას შემდეგ, რაც დადასტურებს, რომ აუცილებელია მტკიცებულების წარმოდგენა სასამართლო პროცესზე. თუმცა პოლიციისა და სასამართლო გამოძიების ეტაპზე მოპოვებული ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენება, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტს, თუ დაცვის უფლებები იყო დაცული. როგორც წესი, ეს უფლებები მოითხოვს, რომ დაცვას მიეცეს ბრალდების მოწმის დაკითხვისა და მისი ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური და ჯეროვანი შესაძლებლობა მის მიერ ჩვენების მიცემისას ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე<sup>1457</sup>.

მეორე მხრივ, სასამართლო ასევე დადებით პასუხს სცემს სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე სამართლიანობის გარანტიების გამოყენების კითხვას. „ცხადია, რომ სისხლისსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მე-6 მუხლის უმთავრესი მიზანია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფა იმ „სასამართლოს“ წინაშე, რომელიც უფლებამოსილია, განსაზღვროს „ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ საფუძვლიანობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენება წინასასამართლო სამართალწარმოების დროს ... მე-6 მუხლის სხვა მოთხოვნები, განსაკუთრებით მე-3 პუნქტის საფუძველზე, შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი იყოს სასამართლოში განსახილველად საქმის გადაცემამდე იმდენად, რამდენადაც სასამართლო განხილვის სამართლიანობას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება დასაწყისში მისი დაუცველობის გამო“<sup>1458</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს ციტატა ამოღებულია საქმიდან, რომელიც ეხებოდა პოლიციაში დაკითხვისას დამცველით სარგებლობის უფლებას, მოგვიანებით, მისი გამოყენება მოხდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის კონტექსტში.<sup>1459</sup>

იმის თქმით, რომ წინასასამართლო ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებები შესაძლოა საფუძველად დაედოს პირის მსჯავრდებას, სასამართლომ ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა თავის ადრინდელ განცხადებებს. გამონაკლისები ღია სასამართლო განხილვაზე მტკიცებულების წარმოდგენის წესიდან მისაღებია მხოლოდ ერთი პირობით, რომ ადგილი ჰქონდა დაცვასთან დაპირისპირებას. სხვა სიტყვებით, მოწმეთა დაკითხვის უფლება დაცვას შეიძლება ასევე მიეცეს პოლიციის ან წინასწარი გამოძიების დროს. თუ ეს განხორციელდა, მაშინ აღარ არსებობს

<sup>1457</sup> SN შედეგის წინააღმდეგ, §44. იხ. აგრეთვე ბირუტის (*Birutis*) და სხვები ლიტვის წინააღმდეგ, §28.

<sup>1458</sup> იმბრიოშა (*Imbrioscia*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §36.

<sup>1459</sup> პიზანო (*Pisano*) იტალიის წინააღმდეგ, §27.

სასამართლოს წინაშე დაკითხვის გამეორების აუცილებლობა. სასამართლოს არ განუმარტავს, უნდა ჰქონდეს თუ არა დაცვას დამატებითი კითხვების დასმის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირება განხორციელდა სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე და მონმე ჩვენებას კვლავ აძლევს სასამართლო პროცესზე. ცხადია, რომ ეს დასაშვები უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ მონმის სანდოობა შემომდგეს იმ პირთა თანდასწრებით, რომლებმაც უნდა დაადგინონ ფაქტები.

იმ მოთხოვნაზე, რომ დაცვას უნდა ჰქონდეს მონმის დაკითხვისა და მისი ჩვენების ეჭვქვეშ დაყენების უფლება, ფრაზის „როგორც წესი“ დამატება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. ეს ფორმულირება შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობა. სასამართლო არ აკონკრეტებს, თუ რას შეიძლება ეს ნიშნავდეს. *უნტერპერტინგერის (Unterpertinger)* საქმეში მან განაცხადა, რომ მტიციებულებათა ამგვარი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს დაცვის უფლებებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრალდებულს არ ჰქონია „სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე იმ პირების დაკითხვის შესაძლებლობა, რომელთა ჩვენებებიც ხმაშაღლა იქნა წაკითხული სასამართლო განხილვის დროს“<sup>1460</sup>. ამ განცხადებიდან არ ჩანს, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა დაცვის უფლებათა უზრუნველყოფა.

საბედნიეროდ, სასამართლოს ბოლოდროინდელი პრეცედენტული სამართალი მკაფიო პასუხს იძლევა: სხვა გზა არ არსებობს. სასამართლოს შედარებით ახალი ფორმულირება ასეთია: „კერძოდ, დაცვის უფლებები შეზღუდულია მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამო დონით, თუ მსჯავრდება მთლიანად ან გადამწყვეტი ხარისხით ემყარება იმ მონმეთა ჩვენებებს, რომელთა პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულს არ მიეცა გამოძიების ან სასამართლო განხილვის ეტაპზე“<sup>1461</sup>. ფან დაიკი და ფან ჰოფი აცხადებენ, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი „არ ტოვებს დიდ სივრცეს აღნიშნული წესიდან გამონაკლისებისთვის“<sup>1462</sup>. სინამდვილეში ერთადერთი გამონაკლისის დაშვება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სხვა საკმარისი მტიციებულება. ამ მოსაზრების გაზიარების შედეგად, სასამართლომ დაუბრუნა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტს შესაფერისი მნიშვნელობა და ნონა.

## 2. მონმის დაკითხვის უფლება წინასასამართლო ეტაპზე

სრულიად განსხვავებული საკითხია, აქვს თუ არა ბრალდებულს უფლება, ესწრებოდეს ან წარმოდგენილი იყოს და დასვას შეკითხვები, ან მოითხოვოს მათი დასმა წინასასამართლო ეტაპზე მონმეთა დაკითხვის დროს იმის მიუხედავად, მათი დაკითხვა ასევე მოხდება თუ არა სასამართლო განხილვაზე. თავის ადრეულ იურისპრუდენციაში კომისიამ უარყო ამგვარი შესაძლებლობა<sup>1463</sup>.

<sup>1460</sup> *უნტერპერტინგერი (Unterpertinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, §31.

<sup>1461</sup> *AM იტალიის წინააღმდეგ*, §25. იხ. აგრეთვე *ლუკა (Lucà) იტალიის წინააღმდეგ*, §40; *სადაკი (Sadak) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §65; *სოლაიოვი (Solajov) მაკედონიის წინააღმდეგ*, §57; *ჰალკი გიუნესი (Hulki Günes) თურქეთის წინააღმდეგ*, §86; *კრაქსი (Craai) იტალიის წინააღმდეგ*, §86; *რამდადი (Rachdad) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §23. სიტყვები „როგორც წესი“ მაშინვე არ გამჭრალა საქმის *AM იტალიის წინააღმდეგ* შემდეგ. ის ჩნდება საქმეში *SN შევდეთის წინააღმდეგ* (§44). როგორც ჩანს, ეს შეუსაბამობა გამომწვეულია პალატებს შორის კოორდინაციის ნაკლებობით.

<sup>1462</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 474; მომდევნო ფურცელზე ისინი თანხმდებიან, რომ არ არსებობს გამონაკლისი იმ წესიდან, რომლის თანახმად, შეუმომნებელი ჩვენება არ შეიძლება იქცეს მსჯავრდების ერთადერთ ან გადამწყვეტ საფუძვლად.

<sup>1463</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8414/78; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 6566/74.

ეს ხსნის პარისის, ო'ბოილისა და უორბრიჯის მოსაზრებას, რომელიც მსგავსი ხასიათისაა<sup>1464</sup>. როგორც იმბრიოშას (*Imbrioscia*) საქმე გვიჩვენებს, ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის ქრილში<sup>1465</sup>. ამ საქმეში სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის დარღვევას განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ განმცხადებლის დამცველმა არ მოითხოვა პოლიციის მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე დასწრება. ასეთი დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით გავიგოთ, რომ სამართალწარმოების დასაწყისიდანვე არსებობს მონმეთა დაკითხვაზე დასწრებისა და მათთვის კითხვების დასმის უფლება<sup>1466</sup>.

## გ. ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს

დაბოლოს, გამონაკლის შემთხვევაში მონმეთა დაკითხვის უფლება შეიძლება რელევანტური იყოს სააპელაციო სამართალწარმოების დროს. თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ფაქტები და თავისუფლად გადახედოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ ნაწილს, მას აგრეთვე შეუძლია, მოუსმინოს მონმეებს. ამ შემთხვევაში ის ვალდებულია, რომ დაცვასაც მისცეს კითხვების დასმის უფლება. ეს ასევე ნიშნავს, რომ ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს ძალუძს, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო(ებ)ის მიერ დაშვებული ხარვეზების გამოსწორება. ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა ამის შესახებ, როცა *ენგელის (Engel)* საქმეში ხაზი გაუსვა, რომ განმცხადებელმა არ დააყენა უზენაესი სამხედრო სასამართლოს წინაშე მონმეთა დაკითხვის მოთხოვნა<sup>1467</sup>.

## IV. უფლების განხორციელება

### ა. ვის აქვს მონმის დაკითხვის უფლება?

მონმის დაკითხვის უფლება შეიძლება განახორციელოს ბრალდებულმა, ბრალდებულის დამცველმა ან ბრალდებულმა და დამცველმა ერთობლივად, ანუ დამცველმა ბრალდებულის თანდასწრებითა და მითითებებით.

#### 1. დამცველი და ბრალდებული

მონმეთა დაკითხვის უფლების განხორციელების ერთადერთი სრულიად დამაკმაყოფილებელი გზა არის ამის გაკეთება დამცველის მიერ ბრალდებულის თანდასწრებითა და მითითებებით. აღნიშული ვითარება საქმის მასალების განხილვის ანალოგიურია. ბრალდებულს არ აქვს კითხვების დასმის საკმარისი გამოცდილება განსაკუთრებით საერთო სამართლის საფუძველზე, როდესაც არსებობს ბევრი ფორმალური წესი, რომელთა დაცვა აუცილებელია. მეორე მხრივ, დამცველი არ ფლობს დეტალურ ცოდნას საქმის გარემოებების შესახებ. როგორც მინიმუმ, იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული ნაწილობრივ მაინც ჩართული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის გამომწვევ ქმედებებში, მნიშვნელოვანია, რომ მას

<sup>1464</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიჯი (1995).

<sup>1465</sup> იმბრიოშა (*Imbrioscia*) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>1466</sup> იხ. შარიერი (2002) მე-6 მუხლი, N 89.

<sup>1467</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §91; იხ. აგრეთვე *ისგრო (Isgró)* იტალიის წინააღმდეგ, §35.

მიეცეს თავისი ცოდნის გამოყენებისა და დაკითხვის მიმართულებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

თუმცა სასამართლომ ასევე განაცხადა, როგორც ჩანს, ყოველგვარი გამო-  
ნაკლისის გარეშე, რომ დაკითხვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დამცველის  
ან ბრალდებულის მიერ. არ არსებობს ორივეს მიერ კითხვების დასმის უფლება.

## 2. მხოლოდ ბრალდებული

ნამყვანი საქმეა *ისგრო (Isgró) იტალიის წინააღმდეგ*, რომელშიც განხორ-  
ციელდა მნიშვნელოვანი მოწმისა და ბრალდებულის დაპირისპირება ამ  
უკანასკნელის დამცველის არყოფნისას. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი  
ჰქონდა კონვენციის დარღვევას, რადგან ბრალდება და დაცვა არ იქნა ჩაყენებული  
თანაბარ პირობებში. პროკურატურის ნევრებმა და გამომძიებელმა მოსამართლემ  
დაკითხეს მონმე „დ“ ბრალდებულისა და მისი დამცველის დაუსწრებლად.  
მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი და მონმე ერთმანეთს დაუპირისპირეს,  
არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ ბრალდებულმა დაუსვა რაიმე შეკითხვა  
მონმეს პირადად ან გამომძიებელი მოსამართლის მეშვეობით. კომისიის წევრთა  
უმრავლესობის შეხედულებით ეს ნიშნავდა, რომ ბრალდებულს არ მიეცა  
„ბრალდების მოწმის დაკითხვისა და მისი ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური  
და ჯეროვანი შესაძლებლობა“ („დ“ არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე)<sup>1468</sup>.

თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ნამდვილად  
დაუპირისპირდა მონმეს და ჰქონდა შესაძლებლობა, პირადად დაესვა მისთვის  
კითხვები. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე უთანასწორობა, რადგან  
დაპირისპირებას არც პროკურორი ესწრებოდა. სასამართლომ საკმაოდ  
არადამაჯერებლად განაცხადა, რომ „დაპირისპირების მიზანი არ განაპირობებდა  
[განმცხადებლის] დამცველის დასწრების აუცილებლობას. ვინაიდან განმცხა-  
დებელს ჰქონდა კითხვების დასმისა და საკუთარი აზრის გამოთქმის  
შესაძლებლობა, მან საკმარისად ისარგებლა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნ-  
ქტით მინიჭებული გარანტიებით“<sup>1469</sup>. ეს გულისხმობს, რომ დამცველის არყოფნას  
არ მოუხდენია უარყოფითი გავლენა დაცვის მდგომარეობაზე. ეს არგუმენტი  
სრულიად სამართლიანად იქნა უარყოფილი *არტიკოს (Artico)* საქმეში<sup>1470</sup>.

არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა *ისგროსა (Isgró)* და *ჰალკი გიუნესის  
(Hulki Günes)* საქმეებს შორის. ამ უკანასკნელის შემთხვევაში სასამართლომ  
ახსენა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა ვერ ისარგებლა დამცველის  
დახმარებით წინასასამართლო სამართალწარმოების დროს განხორციელებული  
დაპირისპირებისას<sup>1471</sup>. თუმცა ეს ფორმულირებულია როგორც *obiter dictum*,  
დამატებითი არგუმენტი იმის სათქმელად, რომ შესაბამისი მოწმის დაკითხვა უნდა  
მოხდარიყო სასამართლო განხილვის დროს.

## 3. მხოლოდ დამცველი

მეორე მხრივ, სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ მოწმის დაკითხვა  
დამცველის მიერ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის  
მოთხოვნებს. ეს მოსაზრება განსაკუთრებით ნათლად გამოითქვა *კამასინსკის*

<sup>1468</sup> *ისგრო (Isgró) იტალიის წინააღმდეგ*, §55-59; იგივე მოსაზრება იქნა გამოთქმული  
შეიჯარაის უზენაესი სასამართლოს მიერ, BGE 116 Ia 289.

<sup>1469</sup> *ისგრო (Isgró) იტალიის წინააღმდეგ*, §35, 36.

<sup>1470</sup> *არტიკო (Artico) იტალიის წინააღმდეგ*, §35. *ისგროს (Isgró)* საქმესთან დაკავშირებით  
კრიტიკული მოსაზრებებისთვის იხ. ოსბორნი (1993) 256.

<sup>1471</sup> *ჰალკი გიუნესი (Hulki Günes) თურქეთის წინააღმდეგ*, §92.

(Kamasinski) საქმეში: „მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის მიზნებისთვის ბატონ კამასინსკის უთანაბრდება დამცველი, რომელიც მისი სახელით მოქმედებდა და შესაბამისად, [განმცხადებელი] ვერ დააკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს რაიმე პასუხისმგებლობას მისი დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის“<sup>1472</sup>. ეს განცხადება შეესაბამება ზოგად წესს, რომლის მიხედვით, ბრალდებული, დიდწილად, თავისი ადვოკატის ხელშია და უნდა იტვირთოს მისი შეცდომები, მათ შორის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გაშვება<sup>1473</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა იგივე მოსაზრება გამოთქვა *კომპასის (Compass)* საქმეში.

## ბ. როგორ უნდა განხორციელდეს მონმის დაკითხვის უფლება?

მონმეთა დაკითხვის უფლების განხორციელების ყველაზე ბუნებრივი გზა არის ჯვარედინი დაკითხვა. დამცველის მიერ მონმის პირდაპირი დაკითხვის შესაძლებლობა ნამდვილად არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის დამახასიათებელ ნიშანს კონტინენტურ ევროპაში. გამონაკლისია ციურხის კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო<sup>1474</sup>. ზოგადად, სასამართლოს თავმჯდომარე სვამს კითხვებს. ეს არის ძველი ინკვიზიციური მოდელიდან შემორჩენილი პრაქტიკა.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება შესრულებულია, თუ დაცვას აქვს შესაძლებლობა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს შესთავაზოს მონმისათვის დასასმელი შეკითხვები. სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს გარკვეული დისკრეცია, დაუშვას ან უარყოს კითხვები, რომელიც ასევე არსებობს საერთო სამართლის სისტემაში, როცა მეორე მხარე გამოთქვამს პროტესტს. თუმცა კონტინენტურ სისტემაში დაცვის პოზიცია არსებითად უფრო სუსტია. კითხვების არაპირდაპირ დასმა ძალზე არახელსაყრელია, რადგან მონმეს აძლევს დამატებით დროს პასუხის მოსამზადებლად. თუმცა, როდესაც იგივე წესი გამოიყენება პროკურორის მიმართ, ადგილი არ აქვს წინააღმდეგობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

თუ მონმე მიემგზავრება საზღვარგარეთ, მისი დაკითხვა შესაძლებელია უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე. სასამართლომ მკაცრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა კითხვების წერილობითი ფორმით წარდგენის მიმართ. „მთავრობის თანახმად, განმცხადებელს შეეძლო წერილობით კითხვების დასმა ქალბატონისთვის, თუ ამას მოითხოვდა სასამართლო განხილვაზე. თუმცა ასეთი შესაძლებლობის არსებობა ვერ ჩანაცვლებს სასამართლო განხილვის დროს ბრალდების მონმეების პირდაპირი დაკითხვის უფლებას“<sup>1475</sup>. ამ საქმეში კიდევ ერთი დაბრკოლება იყო ის, რომ მონმეები ანონიმურები იყვნენ.

უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკითხული მონმის ჩვენება განიხილებოდა *AM-ისა და სოლაკოვის (Solakov)* საქმეებში. ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლომ უურადლება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელს „ცალსახად

<sup>1472</sup> კამასინსკი (*Kamasinski*) ავსტრიის წინააღმდეგ, §91. იხ. აგრეთვე *კურუპი (Kurup)* დანის წინააღმდეგ, განაცხადი 11219/84; *X დანის წინააღმდეგ*, განაცხადი 8395/78. კრიტიკული კომენტარისთვის იხ. თავი 9.

<sup>1473</sup> იხ. მაგ. განაცხადი 9671/82; ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 22, 87.

<sup>1474</sup> შმიდი (2004) N 853.

<sup>1475</sup> *ვინდისი (Windisch)* ავსტრიის წინააღმდეგ, §28.

არ წარუდგენია შეკითხვები, რომელთა დასმაც სურდა მონმეებისთვის.<sup>1476</sup> ეს შეიძლება გაეგოთ როგორც სასამართლოს აღიარება, რომ, როგორც მინიმუმ, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია უფლების არაპირდაპირი წესით განხორციელება. AM-ის საქმეში კონვენციის დარღვევა ემყარებოდა პროკურორის გადანყვეტილებას, რომ დამცველს არ ჰქონდა დაკითხვაზე დასწრების უფლება. კითხვების წერილობით დასმის საკითხი არ ყოფილა განხილული<sup>1477</sup>.

მონმისათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა იყო განხილვის საგანი ასევე სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეში, როდესაც დაცვას არ მიეცა მსხვერპლის/მონმის პირდაპირი დაკითხვის საშუალება. დამცველს მოგვიანებით მიეცა შესაძლებლობა, დარწმუნებულიყო დაკითხვის სწორად ჩატარებაში ვიდუოჩანანერისა და სტენოგრამის მეშვეობით. სასამართლოზე, როგორც ჩანს, გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ დამცველმა ეს წესები მისაღებად ჩათვალა.<sup>1478</sup>

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი განხორციელება თავისთავად გულისხმობს საქმის მასალების ხელმისაწვდომობას. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მონმის ჩვენებებში სუსტი წერტილების მოძებნა, მნიშვნელოვანია ყველა იმ განცხადების შესწავლა, რაც მას ადრე გაუკეთებია თუნდაც სხვა სამართალწარმოების დროს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სწორად დაადგინა დარღვევა იმ საქმეში, რომელშიც დაცვას უარი ეთქვა მონმის ჩვენებების ჩანაწერებზე<sup>1479</sup>.

უნდა განვიხილოთ ის ვითარებები, როდესაც დაბრკოლება ექმნება მონმეთა დაკითხვის უფლების ეფექტიან განხორციელებას. ასეთ დროს შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური წესების გამოყენება.

## V. მონმის ჩვენების შემონმების უფლების შეზღუდვები

### ა. ზოგადი მიმოხილვა

მონმეთა დაკითხვის უფლებასთან დაკავშირებული მთავარი სირთულეები წარმოიქმნება ამ პრინციპიდან არსებული გამონაკლისების კონტექსტში. ასეთი გამონაკლისები, როგორც წესი, გვხვდება ოთხი ტიპის ვითარებაში. პირველი, როცა მონმის ჩვენების მოსმენა შეუძლებელია, რადგან ის არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე ან შეუძლებელია მისი მოყვანა; მეორე, როდესაც არსებობს მონმის ვინაობის გასაიდუმლოების ინტერესი. მაგალითად, საქმეში შეიძლება ჩართული იყვნენ ფარული აგენტები; მესამე, როდესაც მონმე დაშინებულია ბრალდებულის მიერ ან ეშინია შურისძიების; დაბოლოს, მეოთხე, როდესაც საქმეში მონანილეობს სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი/მონმე, რომელმაც შესაძლოა მძიმე სულიერი ტრავმა მიიღოს დანაშაულის საეარაუდო ჩამდენთან დაპირისპირების შედეგად.

თუ მოპასუხე მთავრობა თავის არგუმენტაციას აფუძნებს რომელიმე ზემოთ ხსენებულ გარემოებაზე, სასამართლო სამ ეტაპად აგრძელებს საქმის განხილვას<sup>1480</sup>.

<sup>1476</sup> სოლაკოვი (Solakov) მაკედონიის წინააღმდეგ, §62.

<sup>1477</sup> AM იტალიის წინააღმდეგ, §27. უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე ჩატარებულ დაკითხვასთან დაკავშირებულ დაცვის უფლებებზე იხ. აგრეთვე X, Y და Z აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 5049/71; ფოგლეერი (1986) N 555.

<sup>1478</sup> SN შვედეთის წინააღმდეგ, §50.

<sup>1479</sup> პერტი (Peart) იამაიკის წინააღმდეგ.

<sup>1480</sup> მეოთხე ნაბიჯი, რომელიც წესით პირველი უნდა იყოს, გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად ემყარებოდა მსჯავრდება მონმის შეუმონმებელ ჩვენებებს.

პირველი, ხდება იმის გარკვევა, ნამდვილად არსებობდა თუ არა გამონაკლისი დაშვების მიზეზი და მოხდა თუ არა მისი საფუძვლიანი შემონახვა ეროვნული ხელისუფლების მიერ. მეორე, სასამართლო ინტერესდება, იყო თუ არა დაცვის უფლებების შეზღუდვა მინიმუმამდე დაყვანილი და უკიდურესად აუცილებელი მოწმეთა დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. დაბოლოს, მოწმდება, რამდენად განხორციელდა დაცვის უფლებების ჯეროვანი კომპენსირება.

სამწუხაროდ, სასამართლო იყენებს სრულიად არარელევანტურ და გაუგებარ არგუმენტებს. ზოგჯერ ის ხაზს უსვამს, რომ დაცვის პქონდა ჩვენების განხილვის<sup>1481</sup> ან მისი ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა<sup>1482</sup>. ყველა ბრალდებულს აქვს უფლება, გამოთქვას კრიტიკული შეხედულება მონმის ჩვენებასთან და პროკურორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საუბარია მონმესთან პირადად დაპირისპირების უფლებაზე და არა სასამართლოსთვის არგუმენტების წარდგენის საკითხზე. ევროპული სასამართლოს არგუმენტაცია მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

სასამართლოს კიდევ ერთი სუსტი ფორმულირება არის ის, რომ შეუმომხებელი ჩვენება საჭიროებს „უალრესად ფრთხილ მოპყრობას.“<sup>1483</sup> გაუგებარია, რას გულისხმობდა სასამართლო ამ სიტყვებში. ჩვენება გამოიყენება ან არ გამოიყენება. ფართო ინტერპრეტაციის შედეგად მივიღივართ დასკვნამდე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განსაკუთრებული სექპტიციზმი უნდა გამოაეღინონ ამგვარი ჩვენებების მიმართ. თუმცა საკითხავია, საერთოდ არსებობს თუ არა ისეთი მტკიცებულება, რომელიც არ უნდა იქნეს კრიტიკულად და ფრთხილად შეფასებული?

ძალზე სადავო მეთოდი<sup>1484</sup> მტკიცებულებათა ნაკლოვანებების დაბალანსება მსჯავრდებისთვის მათ მნიშვნელობასთან: „სასამართლოს შეხედულებით, იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ანონიმური მონმების დაკითხვის ნესები საქმარისი დაცვისთვის შექმნილი სირთულეების დაბალანსებისთვის, მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ზემოთ აღნიშნული დასკვნა, რომ ანონიმურ მონმეთა ჩვენებები არ ყოფილა გადამწყვეტი განმცხადებლის მსჯავრდებისთვის“<sup>1485</sup>. ეს უდრის იმის თქმას, რომ მონმის სანდოობის შემონახვისთვის არსებული პირობები არასახარბიელოა, თუმცა ეს არ არის გადამწყვეტი, რადგან მონმის ჩვენება თავისთავად მცირე მნიშვნელობისაა პირის მსჯავრდებისთვის. ვერ ვიტყვი, რომ ამგვარი მიდგომა აღწევს სიზუსტისა და საიმედოობის იმ სტანდარტს, რომელიც მოეთხოვება სამართლებრივ ნორმებს. ის გზას უხსნის უმნიშვნელო სუბიექტურ სიმპათიებსა თუ ანტიპათიებს<sup>1486</sup>.

<sup>1481</sup> აში (Asch) აესტრისის წინააღმდეგ, §29.

<sup>1482</sup> კრაქი (Craxi) იტალიის წინააღმდეგ, §86.

<sup>1483</sup> დორსონი (Doorson) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §76; ვისერი (Visser) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §44; SN შედეგის წინააღმდეგ, §53.

<sup>1484</sup> პოზიტიური კომენტარისათვის იხ. გრაბენვარტერი (1997) 641.

<sup>1485</sup> კოკი (Kok) ნიდერლანდების წინააღმდეგ. იხ. აგრეთვე ვისერი (Visser) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §46.

<sup>1486</sup> სტავროსი (1993) 248. ავტორის პოზიცია გაცილებით რადიკალურია. მას მიაჩნია, რომ „მე-ნ მუხლი არ უმეებს . . . შეზღუდვას ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაცვის მიზნით“.

## ბ. გამონაკლისების გამამართლებელი ვითარება

### 1. სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებელი მონმე

მონმის ჩვენება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვეულებრივ მოსმენილ უნდა იქნეს საქმის საჯარო განხილვის დროს ბრალდებულის თანდასწრებით. ეს არის საკითხი, რომელთან მიმართებაში პრაქტიკაში ყველაზე ხშირად აქვს ადგილი ხარვეზებს. წერილმან დანაშაულებთან დაკავშირებული საქმეები განიხილება სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით, რაც არ გულისხმობს საჯარო განხილვას. ეს არის პროცესის დაჩქარების მცდელობის გარდაუვალი შედეგი და ეფუძნება ბრალდებულის თანხმობას, სხვა სიტყვებით, მის მიერ თავის უფლებაზე უარის თქმას.

გამონაკლისების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია კონტინენტურ ევროპაში „უშუალობის პრინციპის“ შესუსტებითა და იგნორირებით. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა სასამართლომ შემოგვთავაზა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ საქმეში: „ასეთი წესით ჩვენებების წაკითხვა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტს, თუმცა მტკიცებულების სახით მათი გამოყენება მაინც უნდა შეესაბამებოდეს დაცვის უფლებებს, რაც წარმოადგენს მე-6 მუხლის მიზანსა და დანიშნულებას“<sup>1487</sup>. ამგვარი შესაბამისობა ძირითადად გამოიხატება დაცვისთვის მონმის დაკითხვის შესაძლებლობის არსებობაში. ეს ცალსახა წესია. ის გამოყენებული იქნა *უნტერპერტინგერის (Unterpertinger)*, *ვინდისის (Windisch)*, *დელტას (Delta)*, *საიდის (Saidi)* და *რაშდადის (Rachdad)* საქმეებში. მისი გამოყენება ასევე უნდა მომხდარიყო *აშისა (Asch)* და *არტნერის (Artner)* საქმეებში. თუმცა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დარღვევას არ ჰქონია ადგილი, რადგან მსჯავრდება არ ეფუძნებოდა მთლიანად ან გადაამწყვეტი ხარისხით მონმის სადავო ჩვენებებს.<sup>1488</sup>

*არტნერის (Artner)* საქმეში სასამართლომ გააკეთა განცხადება, რომელიც ცალსახად უნდა იქნეს უარყოფილი. კერძოდ, ის ფაქტი, რომ შეუძლებელი იყო ერთადერთი მონმის მოძებნა, „თავისთავად არ ხდოდა აუცილებელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას“<sup>1489</sup>. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს მოსაზრებით, დამნაშავე არ უნდა იქნეს გამართლებული მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია ძირითადი მონმის მოძებნა. ასეთი მიდგომა მიუღებელია. ჩვეულებრივ, ბრალდებული გამართლებულ უნდა იქნეს ან სამართალწარმოება უნდა გადაიდოს, თუ ძირითადი მტკიცებულებები არ არის ხელმისაწვდომი<sup>1490</sup>.

კრიტიკას იმსახურებს ასევე *დორსონის (Doorson)* საქმეში მოცემული ფრაზა. სასამართლომ დაადგინა, რომ შეუძლებელი იყო მონმე „რ“-ს პროცესზე გამოცხადების უზრუნველყოფა და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო პოლიციის

<sup>1487</sup> *უნტერპერტინგერი (Unterpertinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, §31; *ვინდისი (Windisch) ავსტრიის წინააღმდეგ*, §26.

<sup>1488</sup> იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული გაუპატიურების საქმეში. არ არსებობდა სხვა მტკიცებულება. ერთი მონმე დაკითხული იქნა დამცველის თანდასწრებით, რომელსაც შეეძლო შეკითხვების დასმა. მეორე მონმე არ იქნა იმავე წესით დაკითხული. განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი. *ვერდამი (Verdam) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 35253/97.

<sup>1489</sup> *არტნერი (Artner) ავსტრიის წინააღმდეგ*, §21.

<sup>1490</sup> იხ. აგრეთვე მოსამართლეების უოლშის, მაკდონალდისა და პალმის განხილვები აზრი.



მიერ ჩამორთმეული ჩვენების მხედველობაში მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღნიშნული ჩვენება დასტურდებოდა მის წინაშე წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით."<sup>1491</sup> უნდა გავიყოთ, რომ არ არსებობს ლოგიკა იმ წესში, რომლის მიხედვით, მონმის შეუმონმებელი ჩვენება შეიძლება დაშვებულ იქნეს მტკიცებულება და მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია მისი გამოცხადება სასამართლო განხილვაზე.

სასამართლომ არაერთხელ განიხილა საკითხი, ეკისრებოდა თუ არა ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს პასუხისმგებლობა მონმის გამოცხადებლობისთვის. მაგალითად, *ისგროს (Isgró)* საქმეში მან მიანიშნა ეროვნული სასამართლოს მიერ მონმე „დ“-ს გამოცხადების მიზნით განუღმალისხმევაზე<sup>1492</sup>. მეორე მხრივ, *სადაკის (Sadak)* და *ჰალკი გიუნესის (Hulki Günes)* საქმეებში პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდა<sup>1493</sup>. როდესაც ბრალდება არის პასუხისმგებელი სასამართლო განხილვაზე მნიშვნელოვანი მონმეების გამოცხადებლობაზე, მაშინ მათ მიერ სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე მიცემული შეუმონმებელი ჩვენებები არ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებად. *ფერანტელის (Ferrantelli)* და *სანტანჯელის (Santangelo)* საქმეში ხელისუფლების ორგანოებმა ორი წლის განმავლობაში არ განახორციელეს მხარეთა დაპირისპირება. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ მაინც მისაღებად ჩათვალა მონმეთა ჩვენებების გამოყენება მტკიცებულებად. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმის მტკიცება, რომ მონმე „ე“-მ თავი მოიკლა ძნელად დასაჯრებელი იყო. მას არ ჰქონდა ერთი ხელი და რთული წარმოსადგენია როგორ შეძლო თავის ჩამოხრჩობა. მას ასევე პირში ბურთი ჰქონდა ჩაჩრილი, რაც ვერ გამოდგება თვითმკვლელობის სასარგებლო არგუმენტად.<sup>1494</sup> თუმცა, ამის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ მიუძღვით ბრალი მონმის გამოცხადებლობაში, არ ნიშნავს, რომ მსჯავრდება შეიძლება ემყარებოდეს ამ უკანასკნელის მიერ ადრე მიცემულ ჩვენებას. *სადაკის (Sadak)* და *სხეების* საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის „პოზიტიურ“ მხარეს. ის სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეული გულმოდგინების გამოჩენის ვალდებულებას<sup>1495</sup>.

არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ ბრალდებული ან მასთან დაახლოებული პირი მიმართავს ზომებს, რათა მონმეს ხელი შეუშალოს სასამართლოზე გამოცხადებაში. მოვლენათა ყველაზე რადიკალური განვითარება იქნებოდა მონმის ფიზიკური ლიკვიდაცია<sup>1496</sup>.

მონმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იმავე სამართლებრივ შედეგებს უნდა იწვევდეს, რასაც მისი სასამართლოში გამოცხადებლობა<sup>1497</sup>.

<sup>1491</sup> *დორსონი (Doorson) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §80.

<sup>1492</sup> *ისგრო (Isgró) იტალიის წინააღმდეგ*, §35; იხ. აგრეთვე *დელტა (Delta) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §37; *კრაქსი (Craxi) იტალიის წინააღმდეგ*, §86.

<sup>1493</sup> *სადაკი (Sadak)* და *სხეები თურქეთის წინააღმდეგ*, §44, 67; *ჰალკი გიუნესი (Hulki Günes) თურქეთის წინააღმდეგ*, §88. ამ უკანასკნელ საქმეში ბრალდებამ უარი თქვა პოლიციის ოფიცრების სასამართლოში წარმოდგენაზე, გზებზე არსებული საფრთხის მოტკიცით.

<sup>1494</sup> კრიტიკული მოსაზრებისთვის იხ. ესერი (2002) 652.

<sup>1495</sup> *სადაკი (Sadak)* და *სხეები თურქეთის წინააღმდეგ*, §67.

<sup>1496</sup> იხ. ფრიდმანი (2001).

<sup>1497</sup> იხ. მაგ: *ლუკა (Luca) იტალიის წინააღმდეგ*.

## 2. „ძვირფასი“ მონმე

ქვეყნები ხშირად იყენებენ ფარულ აგენტებსა და სხვა სახის ინფორმატორებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ფულის გაყალბება და ტერორიზმი. ამ მიზნით სპეციალური აგენტების მომზადებასა და ნერთნას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რაც მათ ძალზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს საქმის გამოძიების პროცესში. ასეთი აგენტების საქმიანობის უმთავრესი პირობა არის ის, რომ მათი ვინაობა და ფუნქცია გასაიდუმლოებულია. პრობლემები იქმნება, როდესაც აგენტმა უნდა მისცეს ჩვენება, რაც ჩვეულებრივ თავიდან უნდა იქნეს აცილებული. აგენტმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩვეულებრივმა პოლიციამ შეძლოს მოვლენათა განვითარებაში ჩაბმა, ძირითადი ეჭვმიტანილების დადგენა და საჭირო მტკიცებულებების უზრუნველყოფა.

თუ პირის მსჯავრდებისათვის აუცილებელია ფარული აგენტის მიერ ჩვენების მიცემა, შეზღუდული ფორმით შეიძლება გამოიყენოს დაშვება მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის ძირითადი ნესიდან. სასამართლომ განიხილა ეს პრობლემა ლუდის (*Lüdi*) საქმეში<sup>1498</sup>. მან ლეგიტიმურად მიიჩნია აგენტის ვინაობის გასაიდუმლოების ინტერესი. თუმცა კომისიის მსგავსად, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბრალდებული რამდენჯერმე შეხვდა აგენტ „ტონის“. ცხადია, რომ მან იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს აგენტი. შესაბამისად, შესაძლებელი იყო მონმის ჩვენების მოსმენა მისი ვინაობის გამხელის გარეშე. აგენტის ვინაობა არ გამჟღავნებოდა, რადგან მისი ნამდვილი სახელი და მისამართი არ იქნებოდა ნახსენები ღია სასამართლო განხილვაზე. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო სასამართლო პროცესის დახურვა.

## 3. დაშინებული მონმე

აღნიშნულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევა, როდესაც მონმეს ეშინია ბრალდებულის და/ან მისი თანამზრახველების<sup>1499</sup>. სასამართლომ წარმოადგინა მრავალი არგუმენტი ამ პრობლემის მხედველობაში მიღების სასარგებლოდ:

მე-ნ მუხლი ცალსახად არ მოითხოვს ზოგადად მონმის და განსაკუთრებით ჩვენების მისაცემად გამოძახებულ მსხვერპლთა ინტერესების გათვალისწინებას. თუმცა მათი სიცოცხლე, პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება, ისევე როგორც მე-მ მუხლით დაცული ფასეულობები, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს. მონმეების და მსხვერპლთა ეს ინტერესები არსებითად დაცულია კონვენციის სხვა უმნიშვნელოვანესი დებულებებით, რომლებიც გულისხმობს ხელშემკერელი მხარეების მიერ სისხლის სამართლის პროცესის ისეთ მოწყობას, რომ ადგილი არ ჰქონდეს მათ გაუმართლებელ ხელყოფას. ამის საპირისპიროდ, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოითხოვს, რომ შესაფერის შემთხვევებში დაცვის ინტერესები დაბალანსდეს ჩვენების მისაცემად გამოძახებული მონმეებისა და მსხვერპლთა ინტერესებთან<sup>1500</sup>.

<sup>1498</sup> ლუდი (*Lüdi*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §45-50; აღნიშნული პრინციპი დადასტურდა საქმეებთან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §57.

<sup>1499</sup> დაშინებული სასამართლო მონმეების საკითხის დეტალური ანალიზისთვის იხ. ფაოლი (2001) 113.

<sup>1500</sup> დორსონი (*Doorson*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §70; ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §53.

ხელისუფლების ორგანოების პასუხი ამ პრობლემაზე შეიძლება იყოს მონმის დაცვის ისეთი სპეციალური პროგრამების არსებობა, რომლებიც გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში<sup>1501</sup>. სასამართლო განხილვის შემდეგ მონმე იღებს აბსოლუტურად ახალ ვინაობას და ცხოვრებას აგრძელებს ქვეყნის სრულიად სხვა ნაწილში ან საზღვარგარეთ<sup>1502</sup>. ასეთი პროგრამები უაღრესად რთული და ძვირადღირებულია. ისინი ეფექტიანად გამოიყენება მხოლოდ დიდ ქვეყანაში, სადაც ყველა ერთ ენაზე საუბრობს. მსოფლიოს სხვა ნაწილებში შეუძლებელია პირის წარმატებული შენიღბვა და დამალვა. შესაბამისად, რადგან რთულია იდენტიფიცირებული მონმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ანონიმურობის დაცვას ენიჭება უპირატესობა<sup>1503</sup>.

სასამართლოსათვის კარგად არის ცნობილი ანონიმურ ჩვენებებთან დაკავშირებული საფრთხეები. მას არაერთხელ განუმარტავს, რომ, თუმცა შესაძლებელია ანონიმური ინფორმატორების გამოყენება გამოძიების ეტაპზე, დაუშვებელია მსჯავრდების აგება „ანონიმურ ჩვენებებზე მთლიანად ან გადამწყვეტი ხარისხით“<sup>1504</sup>. მეორე მხრივ, ანონიმური ჩვენებების გამოყენება „ყოველთვის არ ეწინააღმდეგება კონვენციას,“ მაგრამ ადეკვატურად უნდა დაბალანდეს ის სირთულეები, რომლებსაც ის უქმნის დაცვას.<sup>1505</sup>

## ა. ანონიმურობის გამართლება

კოსტოვსკის (Kostovski) საქმეში სასამართლომ მოახდინა ჰააგის მუნიციპალური პოლიციის უფროსი ოფიცრის ციტირება: „ანონიმური მონმეების დაკითხვამდე ტარდება თათბირი. მე ჩვეულებრივ ვადგენ დასაკითხი მონმის ვინაობას იმის გასარკვევად, რამდენად შეიძლება ის საფრთხეში იყოს. ამ შემთხვევაში ანონიმური მონმეები რეალური საშიშროების წინაშე იდგნენ. საფრთხე რეალური იყო“<sup>1506</sup>. სასამართლომ გაიზიარა ეს დასკვნა ყოველგვარი შემდგომი განხილვის გარეშე<sup>1507</sup>.

თავისი იურისპრუდენციის გვიანდელ ეტაპზე სასამართლომ დაიწყო იმის შემონიშნება, რამდენად დამაჯერებელი იყო მონმეთა შიშის გამომწვევი მიზეზები. არ არის ნათელი, რომელი კრიტერიუმია გადამწყვეტი, სუბიექტური თუ ობიექტური. აუცილებელია საფრთხის რეალურად დადგენა, თუ საკმარისია, რომ მონმეს ეზინოდეს შურისძიების, მის მიერ ჩვენების მიცემის შემთხვევაში? ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გამოყენებული მიდგომის მსგავსი, რომელსაც ევროპული სასამართლო უწოდებს მოსამართლის მიუკერძოებლობის სუბიექტურ ასპექტს. მთავარი ელემენტი არის ის, რომ მონმის შიში ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტებს.

<sup>1501</sup> იხ. ფაიფი (2001) 15.

<sup>1502</sup> ერლი და შური (2003).

<sup>1503</sup> ინგლისურ, გერმანულ და პოლონურ სამართალში მონმის დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით იხ. ვასეკ-ვაიდერეკი (2000) 34.

<sup>1504</sup> კოსტოვსკი (Kostovski) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §44; დორსონი (Doorson) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §76; ვან მეხელენი (van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §55; ვისერი (Visser) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §43; ბირუტისი (Birutis) და სხვები ლიუტისი წინააღმდეგ, §29.

<sup>1505</sup> დორსონი (Doorson) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §72; ვან მეხელენი (van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §54; ვისერი (Visser) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §43; ბირუტისი (Birutis) და სხვები ლიუტისი წინააღმდეგ, §29. „დაბალანსების“ საკითხი პირველად წამოიჭრა საქმეში კოსტოვსკი (Kostovski) ნიდერლანდების წინააღმდეგ (§43).

<sup>1506</sup> კოსტოვსკი (Kostovski) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §19.

<sup>1507</sup> კოსტოვსკის (Kostovski) საქმის თაობაზე იხ. აგრეთვე ჩალვერი (1990).

დორსონის (*Doorson*) საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ მონმეების „Y.15“ და „Y.16“ შიში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათი ანონიმურობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ასევე დაინტერესდა, რამდენად იყო ის საკმარისი საფუძველი. ორმა ელემენტმა განაპირობა სასამართლოს დადებითი პასუხი: გამოცდილება, რომ „ნარკოტიკებით მოვაჭრეები ხშირად იყენებენ მუქარას ან ძალადობას იმ პირების მიმართ, რომლებიც მათ წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას“ და ის გარემოება, რომ ერთ-ერთ მონმეს ადრე უკვე ჰქონდა განცდილი ამგვარი ძალადობა<sup>1508</sup>.

სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა ვან მეხელენის (*van Mechelen*) საქმეში, როდესაც მონმეები იყვნენ პოლიციის ოფიცრები. სასამართლომ მიიჩინა, რომ მონმეებისა და მათი ოჯახების უსაფრთოება საჭიროებდა დაცვას, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი მორჩილების ზოგადი მოვალეობა, რაც შეიძლება მოიცავდეს სასამართლოში ჩვენების მიცემის ვალდებულებას<sup>1509</sup>. გარდა ამისა, სასამართლომ ეჭვი შეიტანა ეროვნული სასამართლოს მცდელობაში „ჯეროვნად შეესწავლა პოლიციის ოფიცრების ან მათი ოჯახების წინააღმდეგ შურისძიების საფრთხე“<sup>1510</sup>. დაბოლოს, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებობდა სამოქალაქო პირი, რომელიც სასამართლოში გამოცხადდა მონმედ, მისცა ჩვენება, ამოიცნო ერთ-ერთი განმცხადებელი და მას არ დაშუქრებია<sup>1511</sup>. სასამართლოს კრიტიკის საგანი გახდა ასევე პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები. თუმცა კონვენციის დარღვევის მთავარი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ მონმეები იყვნენ პოლიციის ოფიცრები<sup>1512</sup>. სასამართლოს არგუმენტი, რომ პოლიციის ოფიცრებს ხშირად იძახებენ მონმის სახით ჩვენების მისაცემად, არ არის დამაჯერებელი. პირიქით, ეს შეიძლება ყოფილიყო დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ მათი განადგურების წამახალისებელი ფაქტორი. ერთადერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი ოჯახებისა და უფრო ნაკლებად მათ წინაშე არსებული საფრთხე, რადგან პოლიციის სამსახურში შესვლით, ნებაყოფლობით იტირთეს გარკვეული საფრთხეები, რომელთა წინაშე არ დგანან ჩვეულებრივი მოქალაქეები<sup>1513</sup>.

ვისერის (*Visser*) საქმეში სასამართლომ კვლავ გააკრიტიკა ხელისუფლების ორგანოები. „როგორც ჩანს, გამოძიებელმა მოსამართლემ მხედველობაში მიიღო თანაბრადებულის ზოგადი რეპუტაცია, თუმცა მისი ანგარიში არ ასახავს იმას, თუ როგორ შეაფასა მონმის პირადი შიშის კეთილგონიერულობა პოლიციის მიერ მისი დაკითხვისას ან დაახლოებით ექვსი წლის შემდეგ გამოძიებელი მოსამართლის მიერ დაკითხვის დროს“. გარდა ამისა, სასამართლომ მიერ „არ განხილულა მონმის ანონიმურობის მიზეზების სერიოზულობა და საფუძვლიანობა“<sup>1514</sup>. შესაბამისად, ევროპული სასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ შეიძლებოდა ანონიმურობის გამართლება და შედეგად, საჭიროდ არ ჩათვალა იმის შემონმება, „შეეძლო თუ არა სასამართლო ორგანოების მიერ დადგენილ წესებს მონმის ანონიმურობით დაცვისთვის შექმნილი სირთულეების დაბალანსება“<sup>1515</sup>.

<sup>1508</sup> დორსონი (*Doorson*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 71.

<sup>1509</sup> ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 56.

<sup>1510</sup> ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 61.

<sup>1511</sup> *Ibid.*

<sup>1512</sup> ვან მეხელენი (*van Mechelen*) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 64.

<sup>1513</sup> ეს პრინციპი ასევე გამოიყენება სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების მიმართ. იხ. ტრექსელი და ნოლი (2004) § 27 B 1 (d). იხ. აგრეთვე ესერი (2002) 661.

<sup>1514</sup> ვისერი (*Visser*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 47.

<sup>1515</sup> *Ibid.*, § 51.

საპირისპირო გადაწყვეტილება იქნა მიღებული ბირუტისის (*Birutis*) და სხვები საქმეში, რომელიც შეეხებოდა ციხეში მომხდარ ამბოხს, როდესაც ანონიმური ჩვენების გამოყენება საერთოდ არ იქნა ეჭვქვეშ დაყენებული<sup>1516</sup>.

## ბ. ანონიმურობის დაბალანსების მეთოდები

მონმის ანონიმურობით გამოწვეული დაბრკოლება არსებითი ხასიათისაა. ცხადია, რომ მისი მნიშვნელობა განსხვავდება თითოეული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მონმის ვინაობის არცოდნა ართულებს მონმის სანდოობის შეფასებას, მიკერძოების, მტრული დამოკიდებულების, სიძულვილის ან სიცრუის თქმის სხვა მიზეზის შესახებ ეჭვის საფუძვლიანობის განსაზღვრას. კერძოდ, ფაქტობრივად შეუძლებელია ეჭვიმტანილთან, მსხვერპლთან ან სხვა მონმებთან რაიმე კავშირის დადგენა. გარდა ამისა, როცა საქმე ეხება თვითმხილველთა ჩვენებებს, რთულდება იმის გარკვევა, ნამდვილად დაინახეს თუ არა მათ ის, რასაც ამტკიცებენ. ვინაობის დაფარვამ შეიძლება ასევე ხელი შეუშალოს იმ ადგილის ზუსტად განსაზღვრას, საიდანაც მონმემ დაინახა დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ანონიმურობის უზრუნველყოფას ხშირად შედეგად მოსდევს მონმის გარეგნობის შენიღბვა. ასეთ დროს დაცვა მოკლებულია ჩვენების მიცემის დროს მის ქცევაზე დაკვირვების შესაძლებლობას.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, საჭიროა სპეციალური ზომების მიღება ანონიმურობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების დაბალანსების მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ზომები მიღებული იყო მხოლოდ ერთ, კერძოდ, *დორსონის* (*Doorson*) საქმეში<sup>1517</sup>. ამ საქმეში სააპელაციო სამართალწარმოების დროს ანონიმურმა მონმემ ჩვენება მისცა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, რომელმაც იცოდა მისი ვინაობა და შეადგინა ანგარიში მონმის სანდოობაზე პირადი დაკვირვებების საფუძველზე<sup>1518</sup>. დაცვის ადვოკატი ეხსნებოდა დაკითხვას და პქონდა სასურველი შეკითხვების შეუზღუდავად დასმის შესაძლებლობა იმ პირობით, რომ ისინი მიზნად არ ისახავდნენ მონმის ვინაობის დადგენას. გარდა ამისა, ანონიმურმა მონმემ ბრალდებული ამოიცნო მისი ფოტოს ნახვის შემდეგ. ცხადია, რომ ამით ბოლომდე ვერ აღმოფხვრა დაცვის წინაშე მდგარი სირთულეები, თუმცა ყოველგვარი არსებითი ეჭვი გამოირიცხა დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე.

*კოსტოვსკის* (*Kostovski*) საქმეში თითქმის არ პქონია ადგილი დაცვის არახელსაყრელი მდგომარეობის დაბალანსების რაიმე მცდელობას. ერთ-ერთი ანონიმური მონმე დაკითხა გამომძიებელმა მოსამართლემ, თუმცა მისი ვინაობა არც მოსამართლისთვის არ იქნა გაშხელილი<sup>1519</sup>. ცხადია, რომ პოლიციის ოფიცრებისა და გამომძიებელი მაგისტრატების მიერ ჩატარებული დაკითხვა არ წარმოადგენდა საჯარო სასამართლო განხილვაზე მონმის ჩვენების მოსმენის რეალურ ალტერნატივას.

მეორე მხრივ, საკმაოდ დიდ ძალისხმევას პქონდა ადგილი *ვან მეხელენის* (*van Mechelen*) საქმეში. ბრალდებული და მისი დამცველი იმყოფებოდნენ გვერდით ოთახში, საიდანაც ისმენდნენ მონმის ჩვენებას და ასევე შეეძლოთ მისთვის

<sup>1516</sup> ბირუტისის (*Birutis*) და სხვები ლიტვის წინააღმდეგ, § 30.

<sup>1517</sup> დორსონი (*Doorson*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 73.

<sup>1518</sup> იხ. ესერი (2002) 668. ავტორი მიუთითებს, რომ ამ ანგარიშის მნიშვნელობა სადავოა, რადგან მისი მომზადება მოხდა დაკითხვიდან ცხრა თვის შემდეგ და გამომძიებელი მოსამართლე იძულებული იყო ელიარებინა, რომ მისი მახსოვრობა არ იყო უნაკლო.

<sup>1519</sup> კოსტოვსკი (*Kostovski*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 43.

კითხვების დასმა. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ, როდესაც მისი წევრები კითხავდნენ მონმეებს ყოფილი 28(ბ) მუხლის საფუძველზე<sup>1520</sup>.

სასამართლომ ეს არასაკმარისად ჩათვალა. მისი განცხადებით, დაცვისათვის „არა მარტო უცნობი იყო პოლიციის მონმის ვინაობა, არამედ მან ასევე ვერ შეძლო პირდაპირი დაკითხვის დროს მონმის ქცევაზე თვალის დევნება და შესაბამისად, მისი სანდოობის შემოწმება“<sup>1521</sup>. სასამართლომ დიდი სიფრთხილით ახსენა განმარტებითი მემორანდუმი, რომელიც თან ახლდა პოლანდიის ახალ კანონმდებლობას და მიუთითებდა დაცვის ისეთი ზომების მიღებაზე, „როგორცაა გრიმის გამოყენებით პოლიციის ოფიცრის გარეგნობის შეცვლა ან ბრალდებულსა და პოლიციელს შორის მხედველობითი კონტაქტის თავიდან აცილება“<sup>1522</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად ბალანსი დაცვის სასარგებლოდ ირღვევა. კომისიამ არ გაიზიარა ეს მიდგომა და დაუშვებლად ცნო განაცხადი, რომელშიც გამოყენებული იყო იგივე მეთოდი<sup>1523</sup>. არარეალურია ის, რომ მონმე შეიძლება სრულიად შეინიღბოს ვინაობის დამალვის მიზნით, თუმცა, ამავდროულად, დაცვა საიმედოდ დააკვირდეს მის ქცევას<sup>1524</sup>. გარდა ამისა, არსებობს იმის საფრთხე, რომ ჩვენების მიცემის დროს შეიქმნას კარნაველის ატმოსფერო თუ გამოყენებული იქნება ხელოვნური წვერი, პარიკი ან ყალბი სათვალეები. მეორე მხრივ, ისმის კითხვა, რამდენად მნიშვნელოვანია დაცვის მიერ მონმეზე დაკვირვების შესაძლებლობის არსებობა? რასაკვირველია, სასარგებლოა, როცა ადვოკატი სასამართლოს მოახსენებს მონმეზე დაკვირვების შედეგად გამოტანილ დასკვნებს, თუმცა საბოლოო ჯამში ჩვენების სანდოობის შეფასება მოსამართლეების ფუნქციაა. ნებისმიერ შემთხვევაში, თვით მოსაუბრის ხმა მდიდარი ინფორმაციის მატარებელია მისი განწყობის შესახებ.

უფრო ზოგადი თვალსაზრისით, არსებობს იმის ლეგიტიმური ინტერესი, რომ დანაშაულებრივ ჯგუფებს არ მიეცეთ, მონმეების დაშინების გზით, სისხლისსამართლებრივი დენისათვის ხელის შეშლის საშუალება. ცხადია, რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებას და ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან საზარელი დანაშაულების ჩადენაში, არ კარგავენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. თუმცა გარკვეულ სფეროებში, როგორცაა მონმეების უსაფრთხოება, შესაძლებელი უნდა იყოს ამ უფლებების ადაპტირება. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრების მიერ მონმეთა დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია არასდროს გამხდარა სერიოზული კრიტიკის ობიექტი (ნებისმიერ შემთხვევაში, თავად სასამართლო არ შეინიღბა მდგომარეობა ამ პრაქტიკას)<sup>1525</sup>, რომელიც იყო *ვან მეხელენის (van Mechelen)* საქმეში გამოყენებული მეთოდოლოგიის იდენტური.

<sup>1520</sup> იხ. აგრეთვე *კეპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, § 37.

<sup>1521</sup> *ვან მეხელენი (van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 59.

<sup>1522</sup> *Ibid.*, § 42, 60.

<sup>1523</sup> *SE შეუცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 28994/95.

<sup>1524</sup> კრიტიკისთვის იხ. აგრეთვე ესერი (2002) 671; რენზიკოვსკი (1999) 605, 612, 79; კორსტენსი და პრადელი (2002) N 359. ეს უკანასკნელი ავტორები გადაწყვეტილებას „უხეზულად“ თვლიან.

<sup>1525</sup> რასაკვირველია კონვენციის საფუძველზე საქმის წარმოება არ არის სისხლის სამართალწარმოება (კონვენციის მე-6 მუხლი არ გამოიყენება); არც მისი ყველა ასპექტის შედარება შეიძლება სისხლის სამართალწარმოებასთან.

ბირუტისის (*Birutis*) და სხვების საქმეში ერთ-ერთი განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა მხოლოდ ანონიმური მონმის ჩვენების საფუძველზე. კონვენციის დარღვევა ამკარა იყო<sup>1526</sup>. დანარჩენ ორ განმცხადებელთან დაკავშირებით გამოითქვა ეჭვი, რომ მათთვის ჩვენების ჩამორთმევა მოხდა არაჯეროვანი ზენოლისა და დაპირებების გზით; სასამართლომ საფუძვლიანად არ გამოიკვლია ეს საკითხი და ბრალდებულებს არ მიეცათ მონმების დაკითხვის შესაძლებლობა. ამ გარემოებამ ასევე გამოიწვია კონვენციის დარღვევის დადგენა<sup>1527</sup>.

#### 4. ტრავმირებული მონმები

დაბოლოს, მონმებს, რომლებიც სქესობრივი დანაშაულების მსხვერპლნი არიან, ხშირად არ სურთ ეჭვიმტანილთან დაპირისპირება, რადგან ძალზე მძიმედ განიცდიან, როდესაც უნვეთ დანაშაულის ჩადენის მეტად მტკივნეული გზისა და მასთან ასოცირებული დაუცველობის, მხილებისა და სირცხვილის გრძნობის გამოვლენება<sup>1528</sup>. ეს არის იმ შემთხვევების ბოლო კატეგორია, როდესაც წარმოიქმნება პრობლემები მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიხედვით, ამგვარი პროცედურები მსხვერპლის წარმოდგენაში ხშირად მძიმე განსაცდელთან ასოცირდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ბრალდებულს უპირისპირდება<sup>1529</sup>.

თავდაპირველად კომისიის პრეცედენტული სამართლისთვის დამახასიათებელი იყო მონმე-მსხვერპლის დაცვის ძლიერი ტენდენცია. ბაგენის (*Baegen*) საქმეში გაუპატიურების მსხვერპლი თავდამსხმელმა გააფრთხილა, რომ პოლიციისთვის არაფერი ეთქვა. შესაბამისად, მან მოითხოვა ანონიმურობის უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, ერთ მომენტში ის დააპირისპირეს განმცხადებელთან. საქმეში იყო სხვა მტკიცებულებაც, ეერძოდ, მეორე მონმის ჩვენება. მისი ანონიმურობაც ასევე დაცული იყო, თუმცა დაცვის ადვოკატს შეეძლო მისთვის შეკითხვების წერილობით დასმა. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას სქესობრივი კავშირი არ ჰქონია დაზარალებულთან, თუმცა უარი თქვა სისხლის ან სპერმის ანალიზზე, რასაც შეეძლო ამის დამტკიცება.

კომისიამ დაადგინა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. საქმემ სასამართლომდე მიაღწია, თუმცა განმცხადებელმა უარი თქვა განაცხადზე და ის სიიდან იქნა ამოღებული.<sup>1530</sup>

განმცხადებელი ფინკენსპიერი იყო არასრულწლოვნების ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორი და უფროსი ექიმი. რამდენიმე ყოფილმა პაციენტმა პოლიციაში იჩივლა მისი მხრიდან სექსუალური ძალადობის ფაქტზე. მონმები, რომელთაგან ყველა ამავდროულად მსხვერპლი იყო, დაკითხა გამომძიებელმა მოსამართლემ ბრალდებულის დამცველის თანდასწრებით, რომელსაც შეეძლო კითხვების დასმა<sup>1531</sup>. ერთი მონმე არ გამოცხადდა ფსიქოლოგიური პრობლემების გამო.

<sup>1526</sup> ბირუტისის (*Birutis*) და სხვები ლიტვის წინააღმდეგ, §31.

<sup>1527</sup> *Ibid.*, §32-4.

<sup>1528</sup> ვასეკ-ვაიდერეკი (2000) 33; სანდერსი და იანგი (1994) 26; ბაგენი (*Baegen*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §77; იხ. აგრეთვე MK აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 21155/93.

<sup>1529</sup> SN შედეგის წინააღმდეგ, §47.

<sup>1530</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 476. ავტორები ეჭვობდნენ, რომ ევროპული სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდოდა. *ვერდამის* (*Verdam*) საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ადასტურებს ამ ეჭვს.

<sup>1531</sup> ეს შესაძლებლობა ასევე უზრუნველყოფილი იყო საქმეში სლობოდანი (*Slobodan*)

თუმცა საქმეში არსებობდა პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მრავალი მტკიცებულება და შედეგად, დარღვევას ადგილი არ ჰქონია<sup>1532</sup>.

თუ დაუცველ მოწმეებს სურთ ანონიმურობა იმისათვის, რომ მათი სახე არ იყოს დანახული, სექსუალური დანაშაულების მსხვერპლნი უბრალოდ გაურბიან ბრალდებულის ხილვას. შესაბამისად, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს მათი დაკითხვა ისეთ პირობებში, როდესაც ისინი ვერ ხედავენ ბრალდებულს, თუმცა ამ უკანასკნელს შეუძლია თვალ-ყური ადევნოს დაკითხვას პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში<sup>1533</sup>.

დღემდე სასამართლომ ეს საკითხი განიხილა მხოლოდ ორ საქმეში. საქმეში *PS გერმანიის წინააღმდეგ* განმცხადებელს ბრალად ედებოდა რვა წლის გოგონას გაუპატიურება. როგორც ბრალდებულს, ისე მოსამართლეს არ მიეცა მისი დაკითხვის საშუალება. სასამართლომ უარი თქვა ბავშვის დაკითხვაზე „რათა დაეცვა მისი პიროვნული განვითარება“. დედამისის თქმით, იმ დროისათვის გოგონას უკვე მიეჩნევა უკონდა მოვლენათა განვითარება და სერიოზული ტრავმა მიადგებოდა, თუ ხელმეორედ მოუწევდა ყველაფრის გახსენება<sup>1534</sup>. სასამართლომ გაიზიარა მშობლის პოზიცია როგორც „მნიშვნელოვანი მოსაზრება“, თუმცა გადაწყვიტა, რომ გოგონას დაკითხვისა და ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძვლად რაიონული სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზები „ბუნდოვანი და სპეკულაციური“ ხასიათის იყო. მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, ეს საკმარისი მოულოდნელი განცხადებაა. საბოლოოდ, რეგიონულმა სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა გოგონას ჩვენებების სანდოობის შესამოწმებლად, თუმცა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ეს გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ დასკვნა მომზადდა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან თერამეტი თვის შემდეგ<sup>1535</sup>. *ვან მეხელენის (van Mechelen)* საქმის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც დაუშვებელი იყო დაზარალებულის ინტერესების იგნორირება დაცვის ინტერესების საფუძველზე. ის მოსაზრება, რომ შეფერხების გამო ექსპერტის დასკვნა ხასიათდებოდა სერიოზული ხარვეზით, არ არის დამაჯერებელი. თუმცა ნამდვილად შესაძლებელი იყო დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება მსხვერპლის/მოწმის მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

ეს წარმატებით განხორციელდა საქმეში *SN შვედეთის წინააღმდეგ*. განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო თერთმეტი წლის ბიჭთან სექსობრივი კავშირის დამყარებაში. მსხვერპლი მზად არ აღმოჩნდა სასამართლო განხილვაზე ჩვენების მისაცემად. პოლიციისთვის მიცემული მისი პირველი ჩვენება ჩანერილი იყო ვიდეოფორზე. დაცვას შეეძლო ჩანანერის ხილვა და კითხვების წარდგენა ბავშვის მეორედ დაკითხვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში დამცველს არ მიეცა დაკითხვაზე დასწრების ან სხვა ოთახიდან მისი მოსმენის საშუალება, მან თანხმობა განაცხადა დაკითხვის ასეთ ფორმაზე. მეორე დაკითხვა აუდიოფორზე იქნა ჩანერილი და დაცვის ადვოკატს შემდგომში შესაძლებლობა ჰქონდა, მოესმინა ჩანანერი და წაეკითხა სტენოგრაფია. ამ გზით მას შეეძლო იმაში დარწმუნება, რომ

---

*ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განაცხადი 29838/96).

<sup>1532</sup> *ფინკენსიერი (Finkensieper)* ნიდერლანდების წინააღმდეგ. იხ. აგრეთვე *S ავსტრიის წინააღმდეგ*. განაცხადი 2262/86. ამ საქმეში პრეცედენტული სამართლის განვითარების არსებულ ეტაპზე მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის დარღვევა იქნებოდა დადგენილი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან კავშირში.

<sup>1533</sup> ეს მეთოდი გამოყენებული იქნა საქმეში *ჰოლსი (Hols)* ნიდერლანდების წინააღმდეგ (განაცხადი 25206/94).

<sup>1534</sup> *PS გერმანიის წინააღმდეგ*, §27.

<sup>1535</sup> *Ibid.*, §28, 29.



მის მიერ წარდგენილი კითხვები ნამდვილად იქნა დასმული. ორივე დაკითხვის ჩანაწერი წარდგენილი იქნა სასამართლოს წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოებები არ იყო ბოლომდე მისაღები, სასამართლომ მაინც ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა.

ამ პრეცედენტული სამართლიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შესაძლებელია მსხვერპლის დაცვისა და ბრალდებულის მიერ მისი დაკითხვის უფლების თანაარსებობა. ამის მიღწევის საუკეთესო გზა პირველი ჩვენების ვიდეოფორზე აღბეჭდვაა. ეს ფირი შემდგომში ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ბრალდებულისა და მისი დამცველისთვის, რომლებსაც ექნებათ კითხვების ფორმულირების საშუალება. უნდა ჩატარდეს მეორე დაკითხვა, რომელსაც თვალ-ყურს მიადევნებენ ბრალდებული და დამცველი პირდაპირი ტრანსლაციის მეშვეობით. იდეალურ შემთხვევაში, დაცვასა და იმ პირს შორის, ვინც წარმართავს ბაჟების დაკითხვას, უნდა იყოს აუდიო კავშირი შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ეს დაცვას მისცემს შესაძლებლობას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და დასვას დამატებითი კითხვები. ეს პროცედურა ისეთი შუამავლის მეშვეობით უნდა ჩატარდეს, რომელიც სპეციალურად მომზადებულია ამ ამოცანის შესასრულებლად. ამის შემდეგ ჩანაწერების მოსმენა შეიძლება სასამართლო განხილვაზე<sup>1536</sup>.

## გ. მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენება

საერთო სამართალში მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების დასაშვებობა კარგად ცნობილი და სადავო საკითხია. თუმცა კონტინენტურ ევროპაში ის კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია და მიღებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. გამონაკლისებს წარმოადგენს იტალია და პორტუგალია<sup>1537</sup>. გერმანიაში ასეთი ჩვენება მნიშვნელოვანი დისკუსიის საგანია, თუმცა *a priori* მისი გამოყენება არ არის გამორიცხული<sup>1538</sup>.

შტრამერი მართებულად აღნიშნავს, რომ კონვენციის თანახმად „არაფერი უშლის ხელს სასამართლოს მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების გათვალისწინებაში“<sup>1539</sup>. ავტორი ამ საკითხს უკავშირებს შეუმონმებელ ჩვენებას, რომელიც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული პირის მსჯავრდებისას იმ პირობით, რომ მასთან დაკავშირებული ხარვეზები ჯეროვნად არის დაბალანსებული კონკრეტული გარანტიებით. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ამ მხრივ *per se* არ ნამოიჭრება რაიმე სპეციალური საკითხი.

## VI. მონმეთა გამოძახების უფლება

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(ე), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2(ე)

<sup>1536</sup> ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხზე იხ. აგრეთვე კიეარო (1996) 121; რენუჩი (2002) 291; სორეინჯი (2001) N 16.5.1.3.

<sup>1537</sup> პრადელი (2002) N 319.

<sup>1538</sup> გერმანული სამართლისთვის იხ. მაგ: როქსინი (1998) § 44 B IV.

<sup>1539</sup> შტრამერი (2001) N 9.5; იხ. აგრეთვე სორეინჯი (2001) N 16.4.

პუნქტებით გარანტირებულია ორი დამოუკიდებელი უფლება. თუმცა პრაქტიკაში მეორე, კერძოდ, მონმეთა (ექსპერტთა) გამოძახების უფლება ყოველთვის უკანა პლანზე რჩებოდა<sup>1540</sup>. ევროპულ სისტემაში არსებობს მხოლოდ ერთი საქმე, რომელშიც ამ გარანტიის დარღვევა იქნა დადგენილი<sup>1541</sup>. ეს არ არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ მონმეთა გამოძახების უფლების თავისებურებებს.

დებულებაში ნახსენებია „დაცვის მონმე“, თუმცა გრაბენვარტერი სამართლიანად შენიშნავს, რომ ასევე უნდა არსებობდეს „ნეიტრალური“ ან, თუნდაც ბრალდების დამადასტურებელი მონმეების გამოძახების უფლება, რომელთა სანდოობის შემონმება დაცვას სასამართლოს თანდასწრებით სურს<sup>1542</sup>. შესაბამისად, სიტყვა „დაცვის“ უნდა განიმარტოს მხოლოდ ერთი მნიშვნელობით, რომ მონმის გამოძახება მოხდა დაცვის ინიციატივით.

მეორე მხრივ, იგივე ავტორი არ არის თანმიმდევრული, როდესაც ზღუდავს უფლების გამოყენებას მხოლოდ საქმის არსებითი განხილვით<sup>1543</sup>. დაცვას უნდა უკონდეს მონმის მოსმენის უფლება წინასასამართლო სამართალწარმოების დროსაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირის დაკითხვა შესაძლებელი იყოს სასამართლო განხილვაზე.

## ა. უფლების დამახასიათებელი ნიშნები

მონმეთა გამოძახების უფლება არის მტკიცებულებების წარმოდგენის უფრო ზოგადი პრინციპის სპეციალური ასპექტი<sup>1544</sup>. ეს არის მნიშვნელოვანი უფლება, რომელიც დაცვას აძლევს აქტიური ფუნქციის შესრულებისა და სამართალწარმოების მიმდინარეობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. თუ საერთო სამართალში, რომელშიც მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი მტკიცებულებების წარმოდგენაზე, მონმეთა გამოძახების უფლება სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს, ის მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონეა კონტინენტურ ევროპაში გავრცელებულ სამართლებრივ სისტემებში, სადაც მტკიცებულებების გამოთხოვა ძირითადად სასამართლოს მიერ ხდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო არა მარტო წყვეტს, თუ რომელი მტკიცებულება უნდა იქნეს წარდგენილი მის წინაშე, არამედ ასევე უზრუნველყოფს მტკიცებულებათა მოპოვებას საკუთარი ინიციატივით მონმეებისა და ექსპერტების გამოძახების გზით. სასამართლო არ არის ბოლომდე თავისუფალი იმის გადაწყვეტისას, ვისი ჩვენება უნდა იქნეს მოსმენილი, თუმცა უდავოდ სარგებლობს ფართო დისკრეციით<sup>1545</sup>.

რასაკვირველია, კონტინენტური სისტემაც ცნობს დაცვის მიერ ამ პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რაც გამოიხატება მის მიერ მონმეების შეთავაზებაში. თუმცა ასეთი წარდგინება განიხილება სასამართლოს ან მისი თემჯდომარის მიერ. სასამართლო, ჩვეულებრივ, დაინტერესებულია ხარჯების მინიმუმამდე დაყვანაში. შესაბამისად, ის დიდი სიფრთხილით ეკიდება მონმის

<sup>1540</sup> ტრექსელი (1979) 371.

<sup>1541</sup> ვიდალი (Vidal) ბელგიის წინააღმდეგ.

<sup>1542</sup> გრაბენვარტერი (2003) § 24 N 75.

<sup>1543</sup> *Ibid.*

<sup>1544</sup> ამ უფლების შესახებ იხ. პითი (1984).

<sup>1545</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 52.

გამოძახების მიზანშეწონილობის საკითხს<sup>1546</sup>. განიხილება სამი ძირითადი საკითხი. პირველი, არის თუ არა საქმის არსებითი განხილვისთვის გადამწყვეტი ის ასპექტი, რომლის დამტკიცებასაც დაცვა აპირებს შესაბამისი მონმის ჩვენებით? თუ ასეა, მაშინ რამდენად აუცილებელია შემოთავაზებული (დამატებითი) მონმის დაკითხვა აღნიშნული ასპექტის დასამტკიცებლად? და რამდენად დაეხმარება ამ მონმის ჩვენება სასამართლოს საკითხის გადაწყვეტაში<sup>1547</sup>?

შესაბამისად, ამ უფლების ეფექტიანი განხორციელების უმთავრესი ნიშანია, რომ ბრალდებულმა გასცეს ზუსტი და არგუმენტირებული პასუხები ზემოთ აღნიშნულ კითხვებს<sup>1548</sup>. კერძოდ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მონმის დაკითხვაზე უარმა სასამართლო განხილვა არასამართლიანი გახადა<sup>1549</sup>. სტავროსი კრიტიკულად უდგება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ბრალდებული, ნაწილობრივ, ვალდებულია ამტკიცოს, რომ მონმის ჩვენების მოსმენის შემთხვევაში, სასამართლო განხილვა მისთვის უფრო სასურველი შედეგით დასრულდებოდა<sup>1550</sup>. თუმცა ეს მოთხოვნა უნდა განვიხილოთ როგორც „cum grano salis“, ანუ საკმარისია გარკვეული ალბათობის არსებობის ჩვენება, რომ პირის მოსმენა გააუმჯობესებდა დაცვის წარმატების შანსებს.

## ბ. სასამართლოს თავმჯდომარის დისკრეცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს თავმჯდომარე (ან ზოგჯერ მთლიანად სასამართლო) სარგებლობს ფართო დისკრეციით. ამის განსაკუთრებით საფრთხილო შედეგი არის ის, რომ პირთა გამოძახება მოხდება მტკიცებულებების წინასწარ მოსალოდნელი შეფასების მისაღებად. ასევე არ არის საჭირო იმის განმარტება, რომ ეს შეფასება მჭიდროდ უკავშირდება განსახილველი საქმის სპეციფიკურ გარემოებებს და პირდაპირ გავლენას ახდენს საქმის არსებით განხილვაზე.

## გ. სტრასბურგის სასამართლოს თავშეკავება

შედეგად, სტრასბურგის ორგანოები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ სფეროში ჩარევისთვის თავის არიდებას. მრავალ საქმეში სასამართლომ გაიზიარა კომისიის მიდგომა, რაც ფაქტობრივად გულისხმობს მხარეთა თანასწორუფლებიანობის ფარდაზე ამოფარებას. *Travaux préparatoires* მიუთითებს, რომ თავდაპირველად სწორედ თანასწორობის მიღწევა იყო განზრახული<sup>1551</sup>. ერთ-ერთი ავტორი ძალზე შორს წავიდა ამ ასპექტის განხილვისას, როდესაც მის საფუძველზე ერთმანეთს შეადარა ბრალდებულის სასარგებლო და სანინალმდებო მონმების რაოდენობა და მათ დაკითხვაზე დახარჯული დრო<sup>1552</sup>. ასეთი მიდგომა ცალსახად იქნა უარ-

<sup>1546</sup> შეზღუდვებს ასევე მისაღებად თვლის ადამიანის უფლებათა კომიტეტი. იხ. მაგ. დენროი გორდონი (*Denroy Gordon*) იამაიკის წინააღმდეგ, §816.

<sup>1547</sup> უბერი (*Huber*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 5523/71. იხ. აგრეთვე დორსონი (*Doorson*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §81.

<sup>1548</sup> პერნა (*Perna*) იტალიის წინააღმდეგ (*GC*), §29. იხ. აგრეთვე სტავროსი (1993) 239.

<sup>1549</sup> განაცხადი 9457/81; განაცხადი 4501/70; განაცხადი 8375/78.

<sup>1550</sup> სტავროსი (2003) 239.

<sup>1551</sup> მომხსენებელი სტრიქენსი, DC. CM/WP4(59)19. *Travaux préparatoires* III 653.

<sup>1552</sup> პონსე (1977) 46; იხ. აგრეთვე ანტონოპულოსი (1967) 154; საპირისპირო არგუმენტებისთვის იხ. გოლვიტცერი (1992) მე-6 მუხლი, N 215; გრაბენვარტერი (1997) 631; ეელუ და ერგეცი (1990) N 610.

ყოფილი კომისიის მიერ<sup>1553</sup>. თუმცა, ზოგადად, პრეცედენტული სამართალი არ გამხდარა მკაცრი კრიტიკის ობიექტი<sup>1554</sup>.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი სასამართლომ პირველად განიხილა *ენგელის (Engel)* საქმეში, რომელშიც განაცხადა, რომ „ეს დებულება არ მოითხოვს დაცვის ყველა მონმის გამოძახებასა და დაკითხვას. როგორც სიტყვები „იმავე პირობებში“ მიუთითებს, მისი უმთავრესი მიზანია ამ საკითხში მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობა“. ამის გათვალისწინებით, ის ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს უტოვებს გადასანყვეტად შემოთავაზებული ჩვენების რელევანტურობას იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას, რომელიც დომინირებს მთლიანად მე-6 მუხლში“<sup>1555</sup>. ბოლო დროს სასამართლო არგუმენტაციის ამ ხაზს მიჰყვება<sup>1556</sup>.

*ბრიკმონის (Bricmont)* საქმეში კომისიამ დაადგინა დარღვევა ერთ მონმესთან დაკავშირებით, რომლის მოსმენაზე ეროვნულმა სასამართლოებმა უარი განაცხადეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ამის პასუხად ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ჩვეულებრივ, ეროვნული სასამართლოების გადასანყვეტია, რამდენად აუცილებელი ან სასურველია მონმის გამოძახება. არსებობს გამონაკლისი გარემოებები, რომელთა საფუძველზე სასამართლომ შეიძლება ჩათვალოს, რომ პირის ჩვენების მოსმენაზე უარი ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლს, თუმცა მოცემულ საქმეში მას არ გააჩნია საკმარისი საფუძველი მიიჩნიოს, რომ ასეთი გარემოებები არსებობს“<sup>1557</sup>.

სასამართლოს მიერ ამ საკითხისთვის თავის არიდება იოლი ასახსნელია. ის მოიცავს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ახლოს დგას საქმის არსებით გარემოებებთან და ქმნის საფრთხეს, რომ ევროპული სასამართლო იქცეს მეოთხე ინსტანციად. ამის მსგავსად, კომისიის მხრიდან ენთუზიაზმის ნაკლებობას ჰარისმა, ოზოილმა და უორბრიქმა უწოდეს „მოდუნებული“ და „პასიური“ მიდგომა<sup>1558</sup>.

მე-19 მუხლის საფუძველზე სტრასბურგის სასამართლოს ზოგადი და მოკიდებულია მტკიცებულების მიმართ არის შემდეგი:

მის ფუნქციაში არ შედის ეროვნული სასამართლოების ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა, თუ და იმდენად, რამდენადაც ისინი არ არღვევენ კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-6 მუხლი იცავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, თუმცა არ განსაზღვრავს მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებს, რაც უმთავრესად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის რეგულირების საკითხია (...) სასამართლოს ფუნქცია არ არის იმის გადაწყვეტა, რამდენად დასაშვებია იყო ცალკეული სახის მტკიცებულება, მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება ან იყო თუ არა განმცხადებელი დამნაშავე. მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, მდგომარეობს იმაში, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის მტკიცებულებათა დაშვების თვალსაზრისით<sup>1559</sup>.

<sup>1553</sup> ფროვანი და პოიერტი (1996) მე-6 მუხლი, N 203, 868.

<sup>1554</sup> ჯაკობსი (1975) 119; კოლბაჩერი (1979) 96.

<sup>1555</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 91.

<sup>1556</sup> *პიზანო (Pisano)* იტალიის წინააღმდეგ, § 40.

<sup>1557</sup> *ბრიკმონი (Bricmont)* ბელგიის წინააღმდეგ, § 89. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ კრიტიკული შეხედულებისათვის იხ. აგრეთვე სტავროსი (1993) 239.

<sup>1558</sup> ჰარისი, ოზოილი და უორბრიქი (1995) 268.

<sup>1559</sup> *ხანი (Khan)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 34.

## დ. პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარება

სასამართლო კვლავ თავშეკავებულ დამოკიდებულებას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა მინც შეიმჩნევა გარკვეული სიახლე მის მიდგომაში.

ვიდალის (*Vidal*) საქმეში სასამართლომ გაიმეორა, რაც მანამდე იქნა აღნიშნული *ენხელის (Engel)* საქმეში, თუმცა ასევე განაცხადა ის, რაც შეიძლება შემობრუნების წერტილად ჩაითვალოს: „თუმცა მე-ნ მუხლის მე-3(დ) პუნქტის შინაარსი არ ამოიწურება „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ კონცეფციით“<sup>1560</sup>. ამ საქმეში სასამართლო დარწმუნდა, რომ არ არსებობდა მოწმის ჩვენების მოსმენაზე უარის თქმის ლეგიტიმური მიზეზი. საქმეში არსებულმა სპეციფიკურმა გარემოებებმა უდავოდ იქონიეს გავლენა კონვენციის დარღვევის დადგენაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმცხადებელი გაამართლა და სააპელაციო ეტაპზე მისი მსჯავრდება ემყარებოდა მხოლოდ საქმეში არსებულ მასალებს<sup>1561</sup>. თუმცა როგორც ესერი<sup>1562</sup> შენიშნავს სრულიად სამართლიანად, ამ თავისებურებებს არა აქვს მნიშვნელობა იმის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს თუ არა მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა.

ცხადია, რომ სასამართლო მომავალშიც დიდი სიფრთხილით მოეკიდება იმ საკითხს, რამდენად გამართლებული იყო დაცვის მიერ შეთავაზებული მოწმის ჩვენების მოსმენაზე უარის თქმა, თუმცა მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ არსებობს ასეთი უარის გასაჩივრების შესაძლებლობა. ამან უნდა ნაახალისოს დამცველები, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ თავიანთ შუამდგომლობებს, რათა სასამართლო იძულებული გახდეს დამაჯერებელი არგუმენტებით დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება უარის თქმის შემთხვევაში. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სასამართლოს მიერ *ბრიკმონის (Bricmont)* საქმეში გამოყენებული მიდგომა აღარ არსებობს.

## VII. მხარეთა თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული ასპექტი

მხარეთა თანასწორუფლებიანობის ასპექტი, როგორ ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტში<sup>1563</sup>. ფაქტობრივად ეს არის ერთადერთი ადგილი კონვენციაში, რომელშიც აღნიშნული ასპექტი ცალსახად არის ნახსენები. სამართლიანი სასამართლო განხილვის ეს ელემენტი ცალკე არის განხილული<sup>1564</sup> და აღარ საჭიროებს მომხილვას ამ კონტექსტში.

<sup>1560</sup> ვიდალი (*Vidal*) ბელგიის წინააღმდეგ, §33; ეს განცხადება ასევე მეორდება საქმეში *პიზანო (Pisano)* იტალიის წინააღმდეგ (§2), თუმცა როგორც ჩანს, სასამართლომ ის „დაიიწინა“ იმავ გადაწყვეტილების 23-ე პარაგრაფში, რომელშიც აქცენტი ცალსახად გაკეთდა მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე.

<sup>1561</sup> მსგავსი ვითარება იყო შექმნილი საქმეში *სიგურპორ არნარსონი (Sigurpor Amarrson)* ისლანდიის წინააღმდეგ.

<sup>1562</sup> ესერი (2002) 636.

<sup>1563</sup> ის ხშირად არასწორად არის წარმოდგენილი როგორც ძირითადი ელემენტი. მაგ: კივარრო (2001) N 7.4.1; ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-ნ მუხლი, N 200; გრანბენვარტერი (2003) §20 IV 1; კორსტენსი და პრადელი (2002) N 548. საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 52. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეხედულებას, რომელიც წინა პლანზე აყენებს სამართალწარმოების შეჯობრებით ხასიათს. მაგ: იხ. სუდრი (2003) 356; რიდი და მერდოკი (2001) N 5.132.

<sup>1564</sup> იხ. თავი 4.

## თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

[3. მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:] ...

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე;

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14 მუხლი, მე-3(ე) პუნქტი.*

[3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები:] ...

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე;

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლი, მე-3(ე) პუნქტი.*

[2... . მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:] ...

ა) უპონდეს თარჯიმნის ან მთარგმნელის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში ან ტრიბუნალში გამოყენებულ ენაზე;

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლი, მე-2(ბ) მუხლი.*

ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო პაქტის დებულებები იდენტურია. ამერიკულ კონვენციაში მოცემული ნორმა უფრო რთულია, ვიდრე დანარჩენი ორი, თუმცა გარანტიის მნიშვნელობა არსებითად იგივეა. საინტერესოა, რომ აღნიშნული ნორმა ეხება არა მარტო თარჯიმანს, არამედ მთარგმნელსაც, რომელიც უფრო წერილობით მუშაობს, ვიდრე ზეპირად. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის დროს თარჯიმნის დახმარებით.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება შეტანილი იყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ადრეულ

პროექტებში,<sup>1565</sup> თუმცა მკაფიო ჩანანერი მისი უფასო ხასიათის შესახებ პირველად გაჩნდა, როგორც ჩანს, ყოველგვარი დავის გარეშე, მეცამეტე პროექტში, კომისიის მეხუთე სესიის ბოლოს.<sup>1566</sup>

## გ. გარანტიის მიზანი

### 1. თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის

#### უფლების ხასიათი და დანიშნულება

თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება შესაძლოა განხილული იქნეს მოსმენის უფლების ნაწილად, რომელიც, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების არსებითი ელემენტი<sup>1567</sup>. აბსურდი იქნებოდა მოსმენის უფლების დაყვანა მის აკუსტიკურ ასპექტამდე. საპროცესო სამართლის მიზნებისათვის პირს არ „უსმენენ“, როდესაც მისი საუბრის შინაარსი გაუგებარია. *სტენფორდის (Stanford)* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი „უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში. ზოგადად, ეს მოიცავს, *inter alia*, არა მარტო [სასამართლო განხილვაზე] დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებას“<sup>1568</sup>. თუ ეს საქმე ეხება აკუსტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს, იგივე პრინციპი გამოიყენება ასევე ენასთან, როგორც კომუნიკაციის შეუცვლელ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ თარჯიმნით სარგებლობის უფლება არის არა მხოლოდ დაცვის უფლება, არამედ მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების აუცილებელი წინაპირობაც. თარჯიმნის მომსახურებით დაინტერესებულია სამართალწარმოების ყველა მონაწილე, მათ შორის პროკურორი, სამოქალაქო მოსარჩელე და თავად სასამართლოც. ეს ცხადი გახდება, თუ წარმოვიდგენთ თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლებაზე პირის მიერ უარის თქმის შესაძლებლობას. როდესაც ბრალდებული ნაწილობრივ ფლობს სამართალწარმოების ენას ამ უფლებაზე უარის თქმა შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. იგივე წესი გამოიყენება, თუ უარის თქმა ეხება კონკრეტული დოკუმენტის თარგმნის უფლებას იმის გამო, რომ ბრალდებულისთვის ცნობილია მისი შინაარსი<sup>1569</sup>. თუმცა სასამართლოს შეუძლია, უფლებაზე უარის თქმის მოუხედავად, მაინც დანიშნოს თარჯიმანი. ბრალდებული შეიძლება პოლიტიკური მოტივით უარს ამბობდეს თარჯიმნის დახმარებაზე, როდესაც მას სურს სასამართლოში საქმის განხილვა უმცირესობის ენაზე. ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს თარჯიმანი *ex officio*, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვა.

<sup>1565</sup> ვაისბროდტი (2001) 48.

<sup>1566</sup> *Ibid.*, 54.

<sup>1567</sup> როგორც კომისიამ აღნიშნა საქმეში *როსი (Roos) შევდითის წინააღმდეგ* (განაცხადი 1959/92): „ზოგადად [სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება] არა მარტო [სასამართლო განხილვაზე] დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებაა“. სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მიდგომა საქმეში *სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§26). *ალეხანდრო რამირესის (Alejandro Ramirez)* საქმეში (ოჰაიოს შტატი, აშშ) არაადეკვატურმა თარგმანმა გამოიწვია ბრალდებულის მსჯავრდების გაუქმება. იხ. ფრამერი (2000).

<sup>1568</sup> *სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §26.

<sup>1569</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, §80.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, განმცხადებელს დააკისრონ თარჯიმნის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, თუ აღმოჩნდება, რომ მას შეეძლო საუბარი სამართალწარმოების ენაზე, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლების წინაპირობები. ბრალდებულის დაჟინებული მოთხოვნა სხვა ენის გამოყენების თაობაზე, რომელიც არ უკავშირდება ენობრივ პრობლემებსა და სამართალწარმოების საჭიროებებს და მაინც ამ გზით თარჯიმნის დანიშვნის საკითხის დაყენება, უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს.

მეორე მხრივ, რთულია დაეთანხმო სტავროსს, როდესაც ის ამბობს, რომ „თარჯიმნის დახმარების მოთხოვნა, პირველ რიგში, ბრალდებულს ევალება“<sup>1570</sup>. თუმცა ვარკვეულ შემთხვევაში საჭიროა, რომ თავად ბრალდებულმა გამოხატოს უკმაყოფილება იმ ფაქტის გამო, რომ მას არ ესმის სასამართლო განხილვის შინაარსი. ბრალდებული ასევე უნდა ჩაერიოს, თუ შეამჩნევს, რომ თარგმანი არაადეკვატურია. თუმცა სასამართლო ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება *ex officio*, თუ თარგმანის შეუსაბამობა მნიშვნელოვანი და აშკარაა<sup>1571</sup>.

მართლაც, როგორც ბოლოდროინდელი პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, მოსამართლე, „როგორც სამართლიანობის ერთადერთი მცველი“, ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ბრალდებულს არ შეეკმნას დაბრკოლებები თარგმანის არარსებობის გამო<sup>1572</sup>. ერთ-ერთ საქმეში დამცველმა განაცხადა, რომ დაცვას არ სჭირდებოდა თარჯიმნის დანიშვნა, თუმცა სასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იმავე მუხლის მე-3(ე) პუნქტთან კავშირში. სასამართლოს განცხადებით, „მოსამართლეს ეკისრებოდა ვალდებულება ... დარწმუნებულიყო იმაში, რომ 1996 წლის 26 იანვარს თარჯიმნის არყოფნა სასამართლო განხილვაზე არ ხელყოფდა განმცხადებლის სრულფასოვან მონაწილეობას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხებში“<sup>1573</sup>.

ევროპული კონვენციის დებულება არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი, რადგან ის მოიხსენიებს მხოლოდ „თარჯიმანს“, რაც ზოგიერთ ენაში და ევროპის საბჭოს ჩვეულებების გათვალისწინებით, მოიცავს მხოლოდ ზეპირ თარგმანს. თუმცა სასამართლოს განმარტებით, ამ დებულების საფუძველზე, აუცილებელია თარჯიმნის დახმარების უზრუნველყოფა არა მხოლოდ სასამართლო განხილვისას, არამედ, ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტების თარგმნის დროსაც<sup>1574</sup>. როგორც ვხედავთ, იმ პირის განსაზღვრებას, რომელიც წარმოადგენს ენობრივ ხიდს ბრალდებულსა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის, არ გამოუწვევია რაიმე სერიოზული დავა.

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ გარანტია განკუთვნილია მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად<sup>1575</sup>. ეს მოსაზრება არ არის ბოლომდე სარწმუნო. ცხადია, რომ თარჯიმნის დახმარება ხელს უწყობს,

<sup>1570</sup> სტავროსი (1993) 257; ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმ სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ემყარებოდა ბრალდებულის მოთხოვნას. იხ. გრიფინი (*Griffin*) *ესპანეთის წინააღმდეგ*, §9.5.

<sup>1571</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, §74; *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2689/65; განაცხადი 8124/77.

<sup>1572</sup> *კუსკანი (Cuscani) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §38-40.

<sup>1573</sup> *Ibid.*, §38.

<sup>1574</sup> *ლოდეკე (Luedicke)*, *ბელკაცემი (Belkacem)* და *კოჩი (Koc)*, §48.

<sup>1575</sup> მერილის და რობერტსონი (2001) 131; შტრამერი (2000) N 8.37; ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება. *გუესდონი (Guesdon) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §10.2; სტავროსი (1993) 256.



ერთი მხრივ, ბრალდებულის და მისი მოწინააღმდეგე მხარის ურთიერთობას და მეორე მხრივ, ორივე მათგანის კომუნიკაციას სასამართლოსთან. ამ თეასაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უფლება, გარკვეულწილად, ამცირებს იმ ხარვეზებს, რომლებიც ართულებენ სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირის მიერ თავის დაცვას. თუმცა ეს არის მხოლოდ მეორადი მნიშვნელობის ასპექტი. თარჯიმნის დახმარების მთავარი დანიშნულებაა ბრალდებულსა და მოსამართლეს შორის ურთიერთობისთვის „კარის გაღება“. ეს ფუნქცია ვერ ჩაითვლება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ ელემენტად.

საინტერესოა ასევე იმის განსაზღვრა, რა არ არის დაცული მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტის საფუძველზე. ეს გარანტია მჭიდროდ უკავშირდება სისხლის სამართალწარმოების მოთხოვნებს, თუმცა არანაირი კავშირი არ აქვს ენობრივი უმცირესობების პრობლემებთან<sup>1576</sup>. შესაბამისად, თარჯიმნის დახმარების უფლება არ ანეხრავს იმ საკითხს, თუ რომელ ენაზე უნდა წარიმართოს სასამართლო განხილვა.

„სასამართლოში გამოყენებული ენა“ არის ის, რაც პრინციპულად<sup>1577</sup> არ ხდება კონვენციის საფუძველზე განსახილველ საკითხთა ნუსხაში. ბრალდებულს არ აქვს რომელიმე კონკრეტული ენის გამოყენების უფლება, თუ ის საქმარისად კარგად საუბრობს სამართალწარმოების ენაზე<sup>1578</sup>. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ერთი ნეგატიური ასპექტის ხაზგასმა: ბრალდებულს არ აქვს მშობლიური ენის გამოყენების უფლება. თარჯიმნის დახმარება ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზანს. შესაბამისად, სრულიად დამაკმაყოფილებელია სამართალწარმოების თარგმნა იმ ენაზე, რომელიც ბრალდებულს ესმის და რომელზეც შეუძლია საუბარი, თუნდაც ეს არ იყოს მისი მშობლიური ენა<sup>1579</sup>. შესაბამისად, დარღვევას არ ჰქონდა ადგილი იმ საქმეში, რომელშიც თურქეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ არ მოხდა თარგმანის უზრუნველყოფა იმ ქურთი ბრალდებულისთვის, რომელსაც შეეძლო თურქულად მეტყველება<sup>1580</sup>. ასევე, ცხადია, რომ კონვენცია არ დარღვეულა, როდესაც განმცხადებელი იყო ფრანგი და სამართალწარმოება მიმდინარეობდა ფრანგულად<sup>1581</sup>. ამ საქმეში მსხვერპლი იყო ის პირი, რომელიც არ ფლობდა ფრანგულ ენას და შესაბამისად, განაცხადი აშარად დაუსაბუთებელი იყო.

<sup>1576</sup> *იზოპი (Isop) აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 808/60; *ბილო (Bideault) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 11216/84. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ანალოგიურად განმარტა საერთაშორისო პაქტის შესაბამისი ნორმა. იხ. *გუედსონი (Guesdon) საფრანგეთის წინააღმდეგ*; *MK საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1577</sup> თუმცა გამოძახილების არსებობა ბოლომდე არ უნდა გამოირიცხოს, მაგალითად, როდესაც რაიმე გაუგებარი მიზეზით ხელისუფლების ორგანოები გადაწყვიტენ, რომ სასამართლო განხილვა წარიმართოს რომელიმე ეგზოტიკურ ენაზე, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება სასამართლოში.

<sup>1578</sup> იხ. *D საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10210/82; *ბილო (Bideault) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 11261/84; განაცხადი 2264/64; განაცხადი 8124/72. იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეში *დომუხოვსკი (Domukovsky), ნიკლაური (Tsiklauri), გელბახიანი (Gelbakhiani) და დოკვაძე (Dokvadze) საქართველოს წინააღმდეგ*.

<sup>1579</sup> იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეში *გუედსონი (Guesdon) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 10.2.

<sup>1580</sup> *ზუნა (Zuna) თურქეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 18954/91.

<sup>1581</sup> *C საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 17276/90.

## 2. თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლების მნიშვნელობა და მიზანი

ამ კონტექსტში ჩნდება ორი კითხვა: რატომ არ უნდა ინვესტირდეს თარჯიმნის მომსახურება გარკვეულ ფინანსურ შედეგებს ბრალდებულისთვის? და რას ნიშნავს „უფასო“<sup>1582</sup>? პირველი კითხვის პასუხი დამოკიდებულია მეორე კითხვის პასუხზე.

უპირველესად, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა კავშირი თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებასა და სამართალწარმოების სამართლიანობას შორის. პასუხი უარყოფითია. სამართალწარმოების სამართლიანობის გარანტია არ ემსახურება ბრალდებულისათვის ფინანსური უპირატესობის მინიჭებას ან მისთვის ხარჯების თავიდან აცილებას. ცხადია, რომ, როგორც ბრალდებულს, ისე სასამართლოს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება, თუ პირველს არ აქვს თარჯიმნის დაქირავების საშუალება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიმყოფებით დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლების მსგავს ვითარებაში, თუმცა მაინც არსებობს სხვაობა. სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულს არ ჰყავს დამცველი. დამცველის ფუნქციაში არ შედის სასამართლოსთვის დახმარების გაწევა. თარჯიმნის ფუნქცია კი, როგორც ვნახეთ, განსხვავებულია.

გარდა ამისა, თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურებისგან გათავისუფლება ემსახურება იმას, რომ სამართალწარმოების ენის არმცოდნე ბრალდებულები ჩაყენებულნი იქნენ იმ პირებთან თანასწორ მდგომარეობაში, რომლებიც ფლობენ ამ ენას. ერთი შეხედვით, აღნიშნული ელემენტი აბსოლუტურად არ უკავშირდება სამართლიანობის საკითხის, თუმცა უფრო დეტალური ანალიზის შედეგად, კავშირი ნათელი ხდება: სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებულს უნევს მრავალი ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს მონმის გამოძახების შუამდგომლობას ან პირადად მის გამოძახებას, თვით მოსამართლის მიუხედავად სარგებლობის ექვექვემ დაყენების ან გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბრალდებულს უნევს ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება. თუმცა დაუშვებელია რაიმე განსხვავების არსებობა იმის მიხედვით, ესმის თუ არა მას სასამართლოში გამოყენებული ენა<sup>1583</sup>. მართალია ისიც, რომ *ლოდიკეს (Luedicke)*, *ბელკაცემის (Belkacem)* და *კოჩის (Koc)* ერთ-ერთ ნაშევან საქმეში სასამართლო დაეყრდნო თარჯიმნის სხვა მეთოდებს. მან მიუთითა 1969 წლის 23 მაისს მიღებულ „საერთაშორისო სახელმძღვანელო სამართლის შესახებ“ ვენის კონვენციაზე<sup>1584</sup> და მივიდა დასკვნამდე, რომ ტერმინი „უფასო“ (უსასყიდლო) ნიშნავს „ხარჯებისგან სრულ გათავისუფლებას“<sup>1585</sup>. თუმცა ალბათ მაინც ტელეოლოგიური მიდგომა იყო გადამწყვეტი.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ მხოლოდ ბრალდებულის ყოველგვარი ხარჯისაგან გათავისუფლება შეესაბამება გარანტიის

<sup>1582</sup> ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ ბრალდებულს და არა მესამე პირებს, რომლებიც ვერ იჩივლებენ მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტის შესაძლო დარღვევის თაობაზე. *ფედელე (Fedele) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11311/84.

<sup>1583</sup> *ლოდიკე (Luedicke)*, *ბელკაცემი (Belkacem)* და *კოჩი (Koc) გერმანიის წინააღმდეგ*, §42; აღნიშნული შეხედულება დადასტურდა საქმეში *ოზთურქი (Öztürk) გერმანიის წინააღმდეგ* (§58); *ზენგინი (Zengin) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10551/83; *აკდოგანი (Akdogan) გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11394/85.

<sup>1584</sup> ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს.

<sup>1585</sup> *ლოდიკე (Luedicke)*, *ბელკაცემი (Belkacem)* და *კოჩი (Koc) გერმანიის წინააღმდეგ*, §40.

მნიშვნელობას. პრეცედენტული სამართალი მკაფიოდ ადგენს, რომ სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის და მთარგმნელის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება არასდროს არ უნდა დაეკისროს ბრალდებულს<sup>1568</sup>.

#### დ. გარანტიის „ფარდობითი“ და „აბსოლუტური“ ხასიათი

მიეკუთვნება თუ არა თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება იმ უფლებათა რიცხვს, რომლებიც აბსოლუტური ხასიათისაა, ანუ რომელთა დარღვევა *per se* ენიშნავს კონვენციას? თუ ის უფრო ფარდობითი ხასიათისაა, ანუ კონვენცია ირღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გაირკვევა, რომ დაცვა, გარკვეულნილად, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა?

სტავროსი გამოთქვამს ვარაუდს გარანტიის აბსოლუტური ხასიათის სასარგებლოდ. მას გამოაქვს ასეთი დასკვნა *ლოდიკეს (Luedicke)*, *ბელკაცემის (Belkacem)* და *კოჩის (Koc)* საქმეიდან, რომელიც, მისი აზრით, ეყრდნობა „გაცილებით უფრო მყარ ფსიქოლოგიურ საფუძველს, რაც გულისხმობს, რომ ენის ნიადაგზე განსხვავებული მოპყრობა არსებითად შეუთავსებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ცნებასთან“<sup>1567</sup>.

ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ორმხრივი, იმის გათვალისწინებით, რომ თავად მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის გარანტია არის ორმხრივი. გარანტია აბსოლუტური ხასიათისაა ფინანსური თვალსაზრისით. თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურება ყოველთვის უნდა იკისროს სახელმწიფომ, შესაძლოა, სამოქალაქო მოსარჩელემ, თუმცა არასდროს ბრალდებულმა. მნიშვნელობა არა აქვს სამართალწარმოება გამამართლებელი განაჩენით დასრულდება თუ მსჯავრდებით. იმ საქმეშიც კი, რომელშიც ბრალდებულმა გაასაჩივრა ჯარიმა, მაგრამ სასამართლო განხილვამდე ის უკან გაიტანა, მისთვის თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურების დაკისრება დაუშვებელად ჩაითვალა<sup>1568</sup>.

თუმცა პრეცედენტული სამართალი სრულიად განსხვავებულია, როგორც ასეთი, თარჯიმნის დახმარების უფლებასთან დაკავშირებით. განმცხადებელს, რომელიც ასაჩივრებს უარს საქმის მასალების ნაწილის თარგმანზე ან თარჯიმნის დანიშვნაზე იმის მიუხედავად, რომ ნაწილობრივ ესმის და მეტყველებს სამართალწარმოების ენაზე, მოუწევს დაამტკიცოს, რომ ხელი შეეშალა დაცვის მომზადებაში. გარანტიის ეს ნაწილი არ არის აბსოლუტური ხასიათის.

<sup>1566</sup> *ლოდიკე (Luedicke)*, *ბელკაცემი (Belkacem)* და *კოჩი (Koc)* გერმანიის წინააღმდეგ; *ოზტიურკი (Öztlürk)* გერმანიის წინააღმდეგ, §58; *ზენგინი (Zengin)* გერმანიის წინააღმდეგ. განაცხადი 10551/83; *აკდოგანი (Akdogan)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 11394/85; *შანმუკანათანი (Shanmukanathan)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 14261/88 (მხარეებს შორის მორიგებით დასრულდა). კონვენციის რატიფიცირებისას შეიქცაიამ განაცხადა, რომ მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტი დაცული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ მოუხდებოდა თარჯიმნის მომსახურების ნინანსარ ანაზღაურება. საქმეში *ტემელტაში (Temeltasch)* შეიქცაიის წინააღმდეგ (განაცხადი 9116/80) კომისიამ ეს განაცხადი დათქმად ჩათვალა. იხ. აგრეთვე *ჰეფლიგერი* და *შურმანი* (1999) 236; *ეაგენრი* და *ვილდვაბერი* (1983) 145.

<sup>1567</sup> სტავროსი (1993) 256.

<sup>1568</sup> *ზენგინი (Zengin)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 10551/83.

ე. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის კავშირი დაცვის სხვა უფლებებთან

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი

თუ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ბრალდებულს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაპატიმრების მიზეზებისა და ბრალდების შესახებ „მისთვის გასაგებ ენაზე“ პირის ინფორმირების უფლებას. სხვა სიტყვებით, ეს გარანტიები ფარავს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა არაფერს ამბობს საკითხის ფინანსურ ასპექტზე. ეჭვგარეშეა, რომ არ შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული თარჯიმნის ხარჯების ბრალდებულისთვის დაკისრება.

2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი

თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება ავსებს დამცველის დახმარების უფლებას. ამ თვალსაზრისით, შეიძლება გარკვეული პარალელების გაკეთება. ორივე, დამცველიც და თარჯიმანიც, ეხმარებიან ბრალდებულს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში. თუმცა თარჯიმნის როლი სრულიად ტექნიკური ხასიათისაა. ის არ ერევა ამ ურთიერთობის შინაარსში. მეორე მხრივ, დამცველი ბრალდებულს უნევს დახმარებას სამართლის სპეციალური ცოდნის მეშვეობით. სამართალი, თავის მხრივ, შესაძლოა განხილული იქნეს როგორც ენა. სწორედ ამ დონეზე ურთიერთობს დამცველი სახელმწიფო ორგანოებთან. გარდა ამისა, ის, ნაწილობრივ, მოქმედებს თავისი პასუხისმგებლობით, რაც სცილდება ბრალდებულისთვის, უბრალოდ, „თარჯიმნის“ ფარგლებს. ეს იწვევს, მინიმუმ, ორ შედეგს.

პირველი, გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მთავარი უფლება თავის პირადად დაცვას ეხება და ამ კუთხით, ე) ქვეპუნქტთან პარალელის გაკეთება საფუძველს არის მოკლებული. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ უფლებაზე უარის თქმის მხოლოდ ძალზე მცირე შესაძლებლობა არსებობს. უფლებაზე უარის თქმა კიდევ უფრო შეზღუდულია ამ უკანასკნელ შემთხვევაში.

მეორე, კიდევ ერთი არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მე-6 მუხლის ე) ქვეპუნქტი არ საუბრობს თარჯიმნის არჩევის თავისუფლებაზე. ამის ახსნა ადვილია. დამცველი თანაშემწეა, რომელიც, ცალსახად, ბრალდებულის სასარგებლოდ მოქმედებს და შეუძლია, უფრო მეტიც, ვალდებულია, იყოს მიკერძოებული ბრალდებულის ინტერესების დასაცავად. თუმცა თარჯიმანი წარმოადგენს ნეიტრალურ შუამავალს, რომელსაც ეკრძალება სამართალწარმოებაში მონაწილეობა პირადი მოსაზრებების საფუძველზე. თარჯიმანსა და მის კლიენტს შორის არ არსებობს განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა.

დაბოლოს, როგორ უკვე ითქვა, სახაზინო ადვოკატსა და თარჯიმანს შორის არსებობს განსხვავებები ფინანსური თვალსაზრისით. პირველის შემთხვევაში, დასაშვებია ხარჯების დაკისრება პირის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად<sup>1589</sup>.

<sup>1589</sup> იხ. თავი 20.

### 3. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი

სასამართლო განხილვის დროს კომუნიკაცია მრავალმხრივი საკითხია. ის ეხება სამართალწარმოების ყველა მონაწილეს, მონაწილეს ჩათვლით. ამ კონტექსტში შესაძლოა წარმოიშვას მრავალი პრობლემა.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტი, ცალსახად, მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებული უცხო ენაზე საუბრობს, ხოლო მონაწილე მტყვევლებს სამართალწარმოების ენაზე. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც ბრალდებული და მონაწილე საუბრობენ სხვადასხვა ენებზე, რომელთაგან არც ერთი არ მიეკუთვნება სამართალწარმოების ენას.

რა ხდება მაშინ, როცა ბრალდებულმა იცის სამართალწარმოების ენა, ხოლო მონაწილე სხვა ენას ფლობს? ეს შემთხვევა არ წესრიგდება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტით. მიუხედავად იმისა, რომ იგივე ფორმულირება არის გამოყენებული საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტში, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ გარანტიის მოქმედების სფერო ასევე მოიცავს ბრალდებულის მიერ თარჯიმნით სარგებლობის უფლებას „მისთვის და მისი მონაწილეთის“<sup>1590</sup>.

კომიტეტის მოსაზრების შინაარსი სრულიად მისაღებია, თუმცა გაუგებარია მის მიერ არჩეული მიდგომა. მართალია, ორივე, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტი და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(ვ) პუნქტი ეხება „დაცვის მონაწილეს“<sup>1591</sup>, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სამართლებრივი სისტემა არ განასხვავებს მონაწილეთა კატეგორიებს იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე ამყარებს მათ ჩვენებაზე იმედებს. გარდა ამისა, რატომ უნდა იყოს უფლება შეზღუდული დაცვის მონაწილეთით, როდესაც ბრალდებულისთვის შეიძლება თანაბრად მნიშვნელოვანი იყოს ბრალდების მონაწილეს ჯვარედინი დაკითხვა?

აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის დეტალური არგუმენტაცია, რატომ უნდა ითარგმნოს მონაწილეთა ჩვენებები ყოველთვის, როდესაც ისინი საუბრობენ სამართალწარმოების ენისაგან განსხვავებულ ენაზე, თუ სასამართლო განხილვის ყველა მონაწილე ცალსახად არ უარყოფს ასეთი თარგმანის საჭიროებას. ეს შესაძლოა მოხდეს ისეთ მრავალენოვან ქვეყანაში, როგორცაა ბელგია, კანადა ან შვეიცარია. ამ უფლების წყაროა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(ვ) პუნქტები.

## II. თარგმნის საჭიროება

### ა. ენის არასაკმარისი ცოდნა

თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება წარმოიქმნება, როდესაც ბრალდებულს „არ შეუძლია გაიგოს ან ვერ ლაპარაკობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე“. ეს იყო და არის გარანტიის ერთ-ერთი „სუსტი ნერტილი.“ ცხადია, რომ ეს საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო არ იყენებს ბრალდებულის მშობლიურ ენას. პრობლემები არ წარმოქმნება არც იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული საერთოდ არ ფლობს სამართალწარმოების ენას. ასეთ

<sup>1590</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეში *გუედსონი (Guesdon) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §10.2-10.4, 11.

<sup>1591</sup> ასეთი ფორმულირების გამოყენება თავიდან იქნა აცილებული ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-3(ე) პუნქტის შემუშავებისას.

დროს თარჯიმნის დახმარების საჭიროება აშკარაა. სირთულეებს ვაწყდებით, როდესაც ბრალდებულმა გარკვეულ დონეზე იცის ენა, თუმცა ამტიკივებს, რომ მინც საჭიროებს თარჯიმანს. რასაკვირველია, შეიძლება, ნაწილობრივ მინც, პირის ენობრივი შესაძლებლობების შემონმება. თუმცა ამ შემთხვევაში სამი ტიპის სირთულის წინაშე ვდგებით.

პირველი, საკმარისი არ არის მხოლოდ ყოველდღიური სალაპარაკო ენის ფლობა. აუცილებელია იურიდიული ტერმინოლოგიის გარკვეულ დონეზე ცოდნა, რომელიც გამოიყენება სასამართლო განხილვის დროს და შესაძლოა აბსოლუტურად გაუგებარი იყოს ადამიანისათვის, რომელიც საკმაოდ იოლად საუბრობს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მეორე, რთულია ცოდნის ობიექტური შემონმება. რა უნდა იყოს სტანდარტი? ეს ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, მაგალითად, საქმეში არსებული გარემოებები მარტივია, როგორც ჩვეულებრივი ქურდობის ან ყაჩაღობის დროს, თუ რთული, როგორც ეკონომიკური დანაშაულების შემთხვევაში.

მესამე, სავსებით შესაძლებელია, რომ ბრალდებულმა არ ითანამშრომლოს ხელისუფლების ორგანოებთან. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება მისი ენობრივი შესაძლებლობების შემონმება. სასამართლოს მოუწევს ამ საკითხთან დაკავშირებული მტიკიებულებების შესწავლა, ბრალდებულის მიერ დაწერილი წერილების და/ან სხვა ტექსტების შემონმება, იმ მონმების დაკითხვა, რომლებსაც მასთან უსაუბრიათ სამართალწარმოების ენაზე და ა.შ. ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა გადაწყდეს, ღირს თუ არა თარჯიმნის დანიშვნა. ნებისმიერ შემთხვევაში, კომისია ყოველთვის მზად იყო ხელისუფლების ორგანოთა არგუმენტის გაზიარებისთვის, რომ მათ ყურადღებით შეისწავლეს ეს საკითხი<sup>1592</sup>. საქმეში, რომელშიც განმცხადებელი ცხოვრობდა გაერთიანებულ სამეფოში ცამეტი წლის მანძილზე, კომისია ასევე დარწმუნდა, რომ მის მიერ სასამართლოში გამოყენებული ენის ცოდნა საკმარისი იყო<sup>1593</sup>.

ცხადია, რომ პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებულის ენობრივი შესაძლებლობები. იმ შემთხვევაში, როდესაც მონმე არ ფლობს სამართალწარმოების ენას და თარგმანი არადაამაკმაყოფილებელია, როგორც ზემოთ ითქვა, ამან შეიძლება წამოჭრას საკითხი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის და არა ე) ქვეპუნქტის საფუძველზე<sup>1594</sup>. გარდა ამისა, ასეთ დროს არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მსჯავრდებულს არ უნდა დაეკისროს ხარჯების

<sup>1592</sup> იხ. მაგ. *SEK შეუცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 18595/91: „კომისია ასევე აღნიშნავს, რომ 1989 წლის 8 მარტით დათარიღებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ ცალსახად განიხილა განმცხადებლის საჩივარი იმის თაობაზე, რომ მას კარგად არ ესმოდა გერმანული და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელმა კარგად იცოდა გერმანული. ეს დასკვნა დადასტურდა საკასაციო სასამართლოსა და ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. კომისიის მოსაზრებით, საქმეში არ იკვეთება ის გარემოება, რომ განმცხადებელმა მოითხოვა თარჯიმანი პოლიციის მიერ დაკითხვის ეტაზე. განსაკუთრებით, იურიდიული დახმარების მიღების შემდგომ“.

<sup>1593</sup> *Santa Cruz Ruiz გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 26109/95. თუმცა არასწორი იქნებოდა რაიმე სახის ზოგადი წესის განსაზღვრა, რომ ქვეყანაში ამდენი ხნის ცხოვრების შემდგომ პიროვნებამ, სავარაუდოდ, უნდა იცოდეს ის ენა, რომელსაც მოსახლეობის უმეტესობა იყენებს და რომელიც ასევე გამოიყენება სამართალწარმოების ენად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ემიგრანტი, განსაკუთრებით ქალები, ცალკე ცხოვრობენ და მხოლოდ თავიანთი ოჯახის წევრებთან და იმავე ეროვნების სხვა ემიგრანტებთან ურთიერთობენ.

<sup>1594</sup> *PSV ფინეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 23378/94; იხ. აგრეთვე *C საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 17276/90. ამ საქმეში კომისიამ განაცხადი დაუმეებლად ცნო სხვა მიზეზების გამო.

ანაზღაურება, რადგან ისინი არ არის გამოწვეული ბრალდებულის სპეციალური „სტატუსით“.

## ბ. დაქვეითებული სმენითი შესაძლებლობები

ბრალდებულის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნის ვითარების მსგავსია შემთხვევა, როდესაც პირს სმენითი პრობლემები აქვს<sup>1595</sup>. ასეთ დროს სახეზეა დახმარების აუცილებლობა ზეპირი განხილვისას და პრობლემა არ წარმოიქმნება დოკუმენტებთან დაკავშირებით. ამავედროულად, დისკრიმინაციის ელემენტი ისეთ ნიშანს უკავშირდება, რომელიც „ენისაგან“ განსხვავებით, არ არის მოცემული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში. დღემდე სასამართლოს არ მიეცა იმის განსაზღვრის შესაძლებლობა, ხდება თუ არა ფიზიკური უნარშეზღუდულობა მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სხვა ნიშნის“ ქვეშ<sup>1596</sup>.

როსის (Roos) საქმეში კომისიამ დეტალურად შეისწავლა იმ განმცხადებლის პრეტენზიები, რომელსაც სმენითი პრობლემები ჰქონდა. „კომისია აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებისას განმცხადებელს უნებედა მოძრაობა სასამართლო დარბაზში, რათა მიახლოებოდა პირს, რომელიც საუბრობდა, ხოლო სასამართლო დარბაზში არყოფნისას ხმის გამაძლიერებელთან ახლოს მისვლა, რათა მოესმინა მისი ცოლისა და ქალიშვილის ჩვენებებისთვის“<sup>1597</sup>. კომისიამ არ დაადგინა დარღვევა. ეს საქმე, როგორც ჩანს, წარმოადგენს ბრალდებულის მიერ თმენის ვალდებულების ზღვრის მაგალითს. კომისიას არასდროს უხსენებია, რომ იყენებდა მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტს.

გარანტიას კიდევ ერთი ნაბიჯით ვცილდებით იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია სამართალწარმოების მოსმენა აკუსტიკური პრობლემების გამო. ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი სტენფორდის (Stanford) საქმეში, თუმცა სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დაბრკოლება არ იყო იმდენად სერიოზული, რომ მთლიანობაში გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების სამართლიანობაზე<sup>1598</sup>.

<sup>1595</sup> მაგ. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტი უცხო ენაზე მოსაუბრე პირებთან ერთად, ითვალისწინებს თარჯიმნის დახმარების აუცილებლობას იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ სმენის პრობლემები. იხ. აგრეთვე ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლი; გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ა.შ.

<sup>1596</sup> იხ. ბოტა (Botta) იტალიის წინააღმდეგ. ეს შეხედულება დადასტურდა საქმეში *Zenbalova et Zebnalჩეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* (განაცხადი 38621/97), რომელიც სასამართლომ უარი თქვა მე-8 მუხლის გამოყენებაზე ისეთი შემთხვევების მიმართ, როდესაც ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირები ითხოვდნენ ზღვის ნაპირზე და საჯარო შენობებში შესვლის უფლებას. შესაბამისად, ასევე არ იქნა გამოყენებული მე-14 მუხლი.

<sup>1597</sup> როსი (Roos) შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 19598/92.

<sup>1598</sup> სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §29; განმცხადებელი იმყოფებოდა მინის კაბინაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მას ჰყავდა დამცველი. ეს არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, თუ გაითვალისწინებთ, რომ სამართალწარმოებისთვის თვალ-ყურის დევნება ბრალდებულის პირადი უფლებათა, რომელიც ვერ განხორციელდება დამცველის მეშვეობით.

### III. თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლების მოდალობები

#### ა. გარანტიის გამოყენება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტმა, რადგან ეხება „სასამართლოში გამოყენებულ ენას“, შესაძლოა დატოვოს შთაბეჭდილება, რომ თარჯიმნის დახმარების გარანტია უკავშირდება მხოლოდ სასამართლო განხილვას და არა წინასასამართლო სამართალწარმოებას. ამგვარი ინტერპრეტაცია წარმოადგინა გერმანიის მთავრობამ *ლოდიკეს (Luedicke)*, *ბელკაცემის (Belkacem)* და *კოჩის (Koc)* საქმეში, რაც სრულიად მართებულად იქნა უარყოფილი სასამართლოს მიერ<sup>1599</sup>. *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში სასამართლომ საკმაოდ მკაფიოდ განაცხადა, რომ ბრალდებულის უფლება, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, ასევე გამოიყენება წინასასამართლო სამართალწარმოების დროს<sup>1600</sup>. თუმცა ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ამ უფლებით არ სარგებლობენ ეჭვმიტანილები პოლიციაში მათი დაკითხვის დროს, სანამ „ბრალდება არ წარედგინებათ“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით<sup>1601</sup>. თუ ისინი გულისხმობენ, რომ მე-6 მუხლი გამოიყენება მხოლოდ „ბრალდების წარდგენის შემდეგ“, ასეთი დასკვნა არსებითად ზედმეტია. მეორე მხრივ, რა შედეგებამდე მიგვიყვანდა ასეთი შეზღუდვა? თარჯიმნის არყოფნა უდავოდ უსარგებლოდ აქცევდა დაკითხვას. ბრალდებულს უნდა დაეკისროს თარჯიმნის ხარჯები წინასასამართლო სამართალწარმოების დროს? რითი შეიძლება ამის გამართლება? შეუძლებელია ზემოთ მოყვანილი შენიშვნის მონივნება.

#### ბ. „*Ratione materiae*“: თარჯიმნის ობიექტები

თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლებასთან კავშირში ცნება „*ratione materiae*“ მოიცავს თარჯიმნის განსხვავებულ ობიექტებს: სასამართლო განხილვა, წინასასამართლო სამართალწარმოება, დოკუმენტები და საუბრები ბრალდებულსა და დამცველს შორის.

##### 1. თარჯიმნა სასამართლო განხილვის დროს

როგორც მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტი მიუთითებს, თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება წარმოიქმნება უმთავრესად სასამართლო განხილვის დროს. ეს შეეხება როგორც პირველი ინსტანციით, ისე ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვას. აუცილებელი არ არის, რომ თარჯიმანი იყოს სინქრონული. შემდგომი თარჯიმანიც დასაშვებია<sup>1602</sup>. ცხადია, რომ თარჯიმნის მომსახურება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მონაწილეობას იღებს სასამართლო განხილვაში. კომისიის აზრით, ადგილი არა აქვს იმ ბრალდებულის უფლების დარღვევას, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და რომელსაც დაეკისრა გამოძახებული თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურება<sup>1603</sup>.

<sup>1599</sup> *ლოდიკე (Luedicke)*, *ბელკაცემი (Belkacem)* და *კოჩი (Koc)*, § 48.

<sup>1600</sup> *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 74. ავტომატურად დადასტურებულია 76-ე პარაგრაფში.

<sup>1601</sup> პარისი, ო'ბოილი და უორბრიტი (1995) 270.

<sup>1602</sup> *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 83.

<sup>1603</sup> *ფედელე (Fedele)* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 11311/84.



შესაძლოა, აბსურდულად მოგვეჩვენოს ის, რომ ბრალდებულს არ დაეკისრება თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურება, თუ ისარგებლებს ამ უკანასკნელის დახმარებით, მაგრამ მოუწევს თარჯიმნის გამოძახების ხარჯების დაფარვა, თუ არ ისარგებლებს მისი მომსახურებით. სინამდვილეში, ძალზე ლოგიკურია სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ხარჯების ბრალდებულისთვის დაკისრება და არ არსებობს გამონაკლისის დაშვების მიზეზი იმ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც უფასო იქნებოდა ბრალდებულის მიერ მისი გამოყენების შემთხვევაში.

ჩვეულებრივ, უნდა ითარგმნოს მთლიანი სასამართლო განხილვა და არა მხოლოდ ბრალდებულისთვის დასმული კითხვები და მისი პასუხები. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავიდან ბოლომდე თვალ-ყური ადევნოს სასამართლო განხილვას და გაიგოს თითოეული წინადადების აზრი, იმ შემთხვევაშიც, თუ მას პირდაპირ არ უკავშირდება. *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში განმცხადებელმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მოწმისათვის დასმული კითხვები მას არ უთარგმნეს. სასამართლომ აღნიშნა, „რომ თავისთავად, ეს ფაქტი არ განაპირობებს დ) და ე) ქვეპუნქტების დარღვევას“<sup>1604</sup>. ასეთი დასკვნა ემყარება გარანტიის ფარდობით ხასიათს. განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ შეკითხვების თარგმანზე უარის ფაქტმა ხელი შეუშალა დაცვის ეფექტიან განხორციელებას. სასამართლოს მიდგომა არ იმსახურებს მოწონებას. ბრალდებულს უნდა ესმოდეს მოწმისათვის დასმული კითხვების შინაარსი, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მისი პასუხების შეფასება. გარდა ამისა, დაკითხვის წარმართვის წესი ჩვეულებრივ გასთქვამს კითხვების დამსმელი პირის მოსაზრებას საქმესთან დაკავშირებით, რომელიც კონტინენტურ სისტემაში ხშირად სასამართლოს თავმჯდომარეა. სასამართლოსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ გარემოების შესახებ, რადგან ძალზე ბუნდოვნად აღიარა, რომ თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზი „არის ერთ-ერთი, განსახილველ საკითხებს შორის“. *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ სასამართლო განხილვის დროს დაცვას არ გაუპროტესტებია თარგმანის არაადეკვატურობა.

## 2. თარგმნა წინასასამართლო სამართალწარმოების დროს

თარჯიმნის მომსახურებით უფასო სარგებლობის უფლება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასევე გამოიყენება წინასასამართლო სამართალწარმოების დროს. ამის შესახებ სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში<sup>1605</sup>. ეს საკითხი არ საჭიროებს დამატებით კომენტარს. საკმარისია იმის თქმა, რომ წინასასამართლო სამართალწარმოების მნიშვნელობა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. გაუმართლებელ უთანასწორობას ექნებოდა ადგილი, თუ იმ ქვეყანაში, სადაც მტკიცებულებების მოპოვება იწყება წინასასამართლო ეტაპზე, ბრალდებულს უნდა აენაზღაურებინა თარჯიმნის დახმარება, ხოლო სხვა ქვეყანაში, სადაც მტკიცებულებების შემოწმება ხორციელდება სასამართლო პროცესზე, მას არ მოუწევდა თარჯიმნის ხარჯების დაფარვა.

*ლუდიკეს (Luedicke)*, *ბელკაცემის (Belkacem)* და *კოჩის (Koc)* საქმეში სასამართლომ განსაზღვრა მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც თარჯიმნის

<sup>1604</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, §83.

<sup>1605</sup> *კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ*, §74.

უფასო დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი: მოსამართლის წინაშე წარდგენა<sup>1606</sup>, პატიმრობის საკითხის განხილვა<sup>1607</sup>, საბრალდებო დასკვნის თარგმნა<sup>1608</sup>.

### 3. დოკუმენტების თარგმნა

წინა საკითხის მსგავსად, კავშირი წერილობით და ზეპირ მტკიცებულებებს შორის შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს სხვადასხვა იურისდიქციებში. თარჯიმნის უფასო დახმარების უფლებიდან მათი ამოღება გაუმართლებელ უთანასწორობას გამოიწვევდა. ცხადია, რომ კონტინენტური სისტემისთვის დამახასიათებელ სამართალწარმოებაში, სადაც საქმის მასალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება ასევე უნდა მოიცავდეს დოკუმენტების უფასოდ თარგმნის უფლებასაც. სასამართლომ ეს აღიარა ლოდიკეს (*Luedicke*), ბელკაცემის (*Belkacem*) და კოჩის (*Koc*) საქმეში<sup>1609</sup> და დადასტურა კამასინსკის (*Kamasinski*) საქმეში<sup>1610</sup>.

თუმცა წერილობით მასალებთან დაკავშირებით მაინც ვაწყდებით გარკვეულ შეზღუდვებს. სათარგმნი მასალების ნუსხაში შედის სისხლის სამართალწარმოებასთან კავშირში მყოფი არა ყველა, არამედ მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლის შინაარსის გაგება და სასამართლოს ენასთან შეგუებაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობისათვის<sup>1611</sup>. აქ განმცხადებელს ექმნება პრობლემები. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას ან მის დაცვას ხელი შეუშალა იმ ფაქტის გამო, რომ რამდენიმე დოკუმენტი არ იქნა ნათარგმნი. დღემდე ამ საფუძვლით არც ერთი საქმე არ გადაწყვეტილა განმცხადებლის სასარგებლოდ.

ზღვარზე მყოფი შემთხვევის ერთ-ერთი მაგალითი მოცემულია კვლავ კამასინსკის (*Kamasinski*) საქმეში. განმცხადებელს არ უთარგმნეს ის განაჩენი, რომლის გასაჩივრებასაც აპირებდა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „მისთვის მიცემული ზეპირი განმარტებების შედეგად, [განმცხადებელმა] საქმარისად კარგად გაიგო განაჩენის შინაარსი და არგუმენტაცია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დამტკველის დახმარებით შეედგინა სააპელაციო საჩივარი სასჯელის წინააღმდეგ და განცხადება გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ასაჩივრებდა სასამართლო განხილვისა და განაჩენის მრავალ ასპექტს“<sup>1612</sup>. სტავროსი მართებულად შენიშნავს, რომ გადაწყვეტილების თარგმანი აუცილებელია, სულ მცირე მაშინ, როდესაც არსებობს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა<sup>1613</sup>.

<sup>1606</sup> მე-5(3) მუხლი.

<sup>1607</sup> მე-5(4) მუხლი.

<sup>1608</sup> მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტი; ლოდიკე (*Luedicke*), ბელკაცემი (*Belkacem*) და კოჩი (*Koc*), §49.

<sup>1609</sup> ლოდიკე (*Luedicke*), ბელკაცემი (*Belkacem*) და კოჩი (*Koc*), §48.

<sup>1610</sup> კამასინსკი (*Kamasinski*) ავსტრიის წინააღმდეგ, §74.

<sup>1611</sup> ლოდიკე (*Luedicke*), ბელკაცემი (*Belkacem*) და კოჩი (*Koc*), §48; კამასინსკი (*Kamasinski*) ავსტრიის წინააღმდეგ, §74.

<sup>1612</sup> კამასინსკი (*Kamasinski*) ავსტრიის წინააღმდეგ, §85; იხ. განაცხადი 3117/67; ჰარვარდი (*Harvard*) ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 14170/88. კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა მეტად შეზღუდულ მიდგომას საქმეში ბუტრაგო მონტესი (*Buitrago Montes*) და პერეს ლოპესი (*Perez Lopez*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი 18077/91).

<sup>1613</sup> სტავროსი (1993) 254 და 255.

#### 4. დამცველთან ურთიერთობა

რადგან თარჯიმნის დახმარება აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განხორციელებისთვის, მისი მომსახურება შესაძლოა ასევე საჭირო იყოს იმისათვის, რომ ბრალდებულს მიეცეს თავის დამცველთან კომუნიკაციის საშუალება. პარისი, ოზოილი და უორბრიჯი სწორად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ისინი ნიშნავენ დამცველს, რომელიც არ ფლობს თავისი კლიენტის ენას<sup>1614</sup>. ეს მოსაზრება ნაწილობრივ დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით *ლაგერბლუმის (Lagerblom)* საქმეში<sup>1615</sup>. ამ საქმეში განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას არ დაენიშნა მისი ენის, ფინურის მცოდნე დამცველი ხელისუფლების ორგანოების მიერ. სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა და თავისი დასკვნა დაასაბუთა იმით, რომ განმცხადებელს ესმოდა და საუბრობდა „ყოველდღიურ შედეურ ენაზე“. შესაბამისად, მან ჩათვალა, რომ „განმცხადებლის ენობრივი შესაძლებლობები საკმარისი იყო [სახელმწიფოს მიერ დანიშნულ დამცველთან] კომუნიკაციისთვის ან მისი საუბრის გასაგებად“.

ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში იარსებებდა თარჯიმნის ყოლის ან დამცველის გამოცვლის უფლება. ასეთი გამოსავალი მისაღებია იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო განხილვისგან განსხვავებით, ბრალდებულსა და დამცველს შორის საუბარი გაცილებით არაფორმალური ხასიათისაა, სადაც შესაძლებელია იმ ფრაზის გამეორება, რომელიც მეორე მხარემ ვერ გაიგო.

რა მოხდება, თუ ბრალდებული „თავისი შეხედულებით“ აირჩევს დამცველს, რომელთანაც ერთ ენაზე კომუნიკაცია შეუძლებელია? თუ დამცველი უცხოური იურისდიქციიდან მოდის ერთადერთი სამართლიანი გამოსავალია, რომ ბრალდებულმა გაილოს თარჯიმნის ხარჯები. ერთ-ერთ საქმეში კომისიამ ისიც კი განაცხადა, რომ განმცხადებელმა უნდა აანაზღაუროს თარჯიმნის ხარჯები, თუ აირჩევს ფრანგ ადვოკატს, რომელმაც არ იცის გერმანული<sup>1616</sup>. თუმცა რთულია დაეთანხმო ამ მოსაზრებას. მიუღებელია დამცველის არჩევის უფლების ასეთი შეზღუდვა. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულსა და დამცველს შორის არსებობდეს ნდობა. ბრალდებული იძულებული არ უნდა გახდეს, აირჩიოს ის დამცველი, რომელსაც არ ენდობა მხოლოდ იმიტომ, რომ დამცველი ფლობს მისთვის გასაგებ ენას.

#### გ. თარჯიმნის კვალიფიკაცია

მიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ჩვეულებრივ განსაზღვრავს თარჯიმნის კანდიდატურების დასახელების ნესებს. თარჯიმანმა უნდა დადოს

<sup>1614</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 271; კომისია ცალსახად ცდებოდა, როდესაც საქმეში *X ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადი 6185/73) გადაწყვიტა, რომ მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტი უზრუნველყოფდა თარჯიმნის ყოლის უფლებას მხოლოდ ბრალდებულსა და მოსამართლეს შორის კომუნიკაციის მიზნით.

<sup>1615</sup> *ლაგერბლუმი (Lagerblom) შედედების წინააღმდეგ*.

<sup>1616</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10221/82; პარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 271. ავტორები იზიარებენ ამ მოსაზრებას.

ფიცი<sup>1617</sup>, არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლები<sup>1618</sup> და შეიძლება თარჯიმანი აცილებული იქნეს, თუ ეჭვქვეშ დადგა მისი მიუკერძოებლობა<sup>1619</sup>.

ამგვარი ფორმალობები არ არის მოცემული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. პრეცედენტული სამართალი არ განსაზღვრავს იმ პირთა კატეგორიას, რომელთაც შეუძლიათ თარჯიმნის ფუნქციის შესრულება. ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ბრალდებულს ესმოდეს, რა ხდება სასამართლო განხილვაზე და სხვებს გააგებინოს თავისი სათქმელი. გარკვეული მონახაზი მოცემულია *კამასინსკის (Kamasinski)* საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>1620</sup>. პოლიციის მიერ ერთ-ერთი დაკითხვისას პატიმარი ასრულებდა თარჯიმნის როლს, რაც სრულიად არაადეკვატურია; მეორე შემთხვევაში, თარჯიმნად გამოდიოდა პირი, რომელიც არ იყო რეგისტრირებული თარჯიმანი. თუმცა სასამართლომ ეს გარემოება არ ჩათვალა მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტის დარღვევად.

ასეთი მიდგომა მისაღებად უნდა ჩაითვალოს. გადაადგილების თავისუფლება და დღევანდელი მსოფლიოს გლობალური მობილობა ნიშნავს, რომ სამართლებრივ სისტემებს უხდებათ ისეთ უცხოელებთან ურთიერთობა, რომლებიც იშვიათ ენებზე საუბრობენ. სრულიად შესაძლებელია, რომ გართულდეს თარჯიმნის მოძიება. გარდა ამისა, შეიძლება არ მოიძებნოს ფორმალური კვალიფიკაციის მქონე ადამიანი. ასეთ დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას იმ გარემოებებთან შედარებით, რომლებიც სასურველია, თუმცა არ არის არსებითი ხასიათის მქონე.

<sup>1617</sup> მაგ. გერმანული *Gerichtsverfassungsgesetz*, §189; ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, §100.

<sup>1618</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 344-ე მუხლი მე-3 პუნქტი; იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 144-ე მუხლი.

<sup>1619</sup> გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, §191; საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 344-ე მუხლი მე-2 პუნქტი; იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 145-ე მუხლი.

<sup>1620</sup> *კამასინსკი (Kamasinski)* ავსტრიის წინააღმდეგ, §11, 76.

# თავი 13

## თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

[3. მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:] ...

ზ) არავინ აიძულოს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ან თავის ბრალეულად ცნობა.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14, მე-3(ზ) პუნქტი.*

[2... . მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:]

ზ) ჰქონდეს უფლება არ იყოს მონმე საკუთარი თავის წინააღმდეგ ან არ ცნოს თავი ბრალეულად.

3. ბრალდებულის მიერ თავის ბრალეულად ცნობა ჩათვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის რაიმე იძულების შედეგი.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8  
მუხლი, მე-2(ზ) და მე-3 პუნქტები.*

ზემოთ მოყვანილი დებულებების შედარებისას ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია არ არის მოცემული ევროპულ კონვენციაში. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ მცდელობას ჰქონდა ადგილი, რათა კონვენციით დაცული უფლებები შესაბამისობაში მოსულიყო 16 წლის შემდეგ მიღებული საერთაშორისო პაქტის დებულებებთან. მე-7 ოქმში ამ გარანტიის არარსებობა არის არა მისი მხედველობიდან გამორჩენის, არამედ იმ კონსენსუსის შედეგი, რომ თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო გარანტია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი ნაწილია<sup>1621</sup>.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა და ამერიკულ კონვენციას შორის. ეს უკანასაკნელი დამატებით ითვალისწინებს მეორე გარანტიას იმავე მუხლის ცალკე ქვეპუნქტში, რაც ნიშნავს, რომ ის დაცვის „კოლექტიური“ უფლებების თანასწორ დონეზეა დაყენებული. ჩემი აზრით, აღნიშნული რაიმე დამატებით შინაარსს არ

<sup>1621</sup> შლავრი (2003) 82; იხ. თავი 14.

სძენს პაქტს, თუმცა ხაზს უსვამს იძულებით მიცემული აღიარებითი ჩვენებების პრობლემას.

## ბ. ტერმინოლოგია

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში მოქმედ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ გარანტიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი პრობლემა ნათელია, მრავალი კონკრეტული საკითხია დაცვის საგანი. ამასთანვე, არც გარანტიის ძირითადი სტრუქტურისადმი არსებობს ერთგვაროვანი პოზიცია, რაზეც მიუთითებს ადეკვატური ტერმინების შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემა. ერთ-ერთი ავტორი ისე ორჭოფობს. რომ თითოეული მითითება მის ნაშრომში „*le droit de ne pas s'auto-incriminer*“-ზე (სათაურის გარდა) ბრჭყალებშია ჩასმული.<sup>1622</sup>

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ასევე მოიხსენიება როგორც „დუმბილის უფლება“ ან „საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლება“. ეს გამოთქმები იმდენად მოკლეა, რომ მნიშვნელობის დამახინჯების საფრთხეს ქმნიან. მოცემული გარანტია გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ აიძულონ საკუთარი თავის ბრალეულად აღიარება და დაცული იყოს ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეწოლისგან. ლათინური გამონათქვამი „*nemo tenetur se ipsum accusare vel prodere*“ საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ეს უფლება ხშირად მოხსენიებულია როგორც პრინციპი „*nemo tenetur*“ (არავინ არ არის ვალდებული). თუმცა აღნიშნული უფრო ასახავს გარანტიის საფუძვლად არსებულ ფილოსოფიას, ვიდრე უფლების კონკრეტულ შინაარსს. უმჯობესია, გამოვიყენოთ ტერმინი პრივილეგია, როგორც თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის შემოკლებული ვარიანტი, რადგან ის მიუთითებს იმ ვითარებაზე, როდესაც პირი სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით. იმისთვის, რომ გამონათქვამი „თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია“ გავამარტივოთ, ქვემოთ გამოყენებული იქნება მხოლოდ პრივილეგია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება გარანტიის კონკრეტულ ასპექტს.

## გ. პრივილეგიის წარმოშობა

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სრულებით არ არის გასაკვირი, რომ პრივილეგიის წარმომავლობა სიღრმისეული კვლევისა და გაცხოველებული დისკუსიის საგნად რჩება.<sup>1623</sup> ის პრინციპი, რომ ადამიანს არ უნდა აიძულონ, იმოქმედოს თავისი ინტერესების წინააღმდეგ, კერძოდ, ჰქონდეს საშუალება უარი თქვას დანაშაულში საკუთარი ბრალეულობის დადასტურებაზე, გვხვდება ჯერ კიდევ თალმუდურ სამართალში.<sup>1624</sup> თუმცა, რასაკვირველია, პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე საპროცესო გარანტიის აღმოჩენა ამგვარ წყაროში. უმჯობესია ვიფიქროთ, რომ ეს პრინციპი სათავეს იღებს საერთო სამართლის განვითარებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი მიუთითებს XI-XII

<sup>1622</sup> ბუისუ (2002-03), იხ. აგრეთვე გვ. 8 ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. ეს შესანიშნავი ნაშრომი ჩემს ხელთ იყო და მასზე გავაკეთებ მითითებებს მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ ჯერ არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი.

<sup>1623</sup> პელმპოლცი, გრეი, ლანგბანი, მოგლენი, შმიტი და ალშულერი (1997); მოგლენი (1994) 1086; როგალი (1977) 67; შლაური (2003) 39; ო'ბოილი (2000) 1021.

<sup>1624</sup> შლაური (2003) 39.

საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებზე, ამ უფლების დაბადების თარიღად უნდა ჩაითვალოს 1641 წელი, როდესაც გაუქმდა როგორც ვარსკვლავთა ქალაქი, ისე უმაღლესი კომისია და აიკრძალა *ex officio* ფიცის დადების ნების<sup>1625</sup>

## დ. გარანტიის ხასიათი

### 1. დუმილის უფლება და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

თავისუფალი ტერმინოლოგიის გამოყენების გამო, ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ დუმილის უფლება და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ერთი და იგივე შინაარსის მქონეა. სინამდვილეში, აღნიშნული ორი გარანტიის სფეროები ერთმანეთს ნაწილობრივ კვეთს. დუმილის უფლება უფრო ვიწროა იმ გაგებით, რომ ის ეხება მხოლოდ ხმოვან კომუნიკაციას, უფლებას, რომ არ ილაპარაკო. პრივილეგია კი უფრო ფართოა, რადგან არ შემოიფარგლება მხოლოდ ვერბალური ასპექტით. საქმეებიდან *ფუნკე (Funke) საფრანგეთის წინააღმდეგ* და *JB შვეიცარიის წინააღმდეგ* ჩანს, რომ პრივილეგია ასევე იცავს ადამიანებს მამხილებელი დოკუმენტების წარმოდგენასთან დაკავშირებული ზეწოლისგან.

მეორე მხრივ, დუმილის უფლება უფრო შორს მიდის, ვიდრე პრივილეგია, რადგან ის იცავს პირს არა მხოლოდ საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემის, არამედ ნებისმიერი განცხადების გაკეთების იძულებისგან<sup>1626</sup>. ეს თვალსაჩინოა *სონდერსის (Saunders)* საქმეში, სადაც განმცხადებელმა საერთოდ არ მისცა ჩვენება გამოძიების მსვლელობისას. აქ ნათელი ხდება, რომ ზემოთ მოყვანილი დებულებები შეიძლება ზედმეტად ვიწროდ არის ფორმულირებული – ისინი მიუთითებენ მხოლოდ ბრალდებულის იძულების საფრთხეზე, მისცეს „საკუთარი თავის“ საწინააღმდეგო ჩვენებები. გარანტიის სფეროს ასეთი შეზღუდვა არ არის მართებული. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზოგჯერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხებზე დაკითხვა შეიძლება განსაკუთრებული რისკის შემცველი იყოს ბრალდებულისთვის. თუ ბრალდებული არ იქნება ყურადღებით არაგონივრული ჩვენებების მიცემისა და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების გაკეთების რისკი მატულობს. ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა, თავის მხრივ, ასუსტებს ბრალდებულის პოზიციებს და გავლენას იქონიებს მის მიერ მნიშვნელოვან საკითხებზე მიცემული ჩვენებების სანდოობაზე.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დუმილის უფლება შენარჩუნებდეს თავისი ქეშმარიტი და აბსოლუტური ფორმით და არ იქნეს ინტერპრეტირებული მკაცრად დებულების ტექსტის მიხედვით. ამ მხრივ, ევროპულ კონვენციაში გარანტიის კონკრეტული ფორმულირების არარსებობას შეიძლება გარკვეული უპირატესობაც ჰქონდეს.

### 2. დუმილის უფლება და გამოხატვის თავისუფლება

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც მორიგებით დასრულდა მას შემდეგ, რაც კომისიამ ანგარიში გამოსცა, ანუ ვიდრე სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა

<sup>1625</sup> *Ibid.*, 56, 60. იხ. აგრეთვე ოპოილი 1021.

<sup>1626</sup> მოსამართლე მარტენსი პრივილეგიას განმარტავს როგორც ადამიანის უფლებას, არ იყოს ელდებული გაცეცხასაკუთარი თავის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რაც ასევე მოიცავს დუმილის უფლებას: განსხვავებული აზრი საქმეში *სონდერსი (Saunders) გერმანიის საპროკურორის წინააღმდეგ*, §4.

გამოეთქვა თავისი აზრი, დუმილის უფლება დაკავშირებული იქნა გამომხატვის თავისუფლებასთან<sup>1627</sup>, რაც ჩემთვის დღესაც მისაღებია<sup>1628</sup>.

ლინცის რაიონული სასამართლოს წინაშე განმცხადებელს ბრალად დასდეს სამი გრამი პეროინის შექმნა იმ წყვილისგან, რომელთა წინააღმდეგ წარმოებდა ცალკე საქმე ლინცის რაიონულ სასამართლოში. აღნიშნულ წყვილს, თავის მხრივ, ბრალად ედებოდა ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობა. განმცხადებელმა არ აღიარა დანაშაული. ამის შემდეგ ის დაიბარეს ჩვენების მისაცემად ხსენებული წყვილის საქმეზე. განმცხადებელს მოწმის რანგში ჰქონდა ორი ალტერნატივა. პირველი, ეთქვა ტყუილი ან მეორე, განცხადებინა, რომ ნამდვილად შეიძინა ნარკოტიკები ბრალდებულებისგან და ამავდროულად, ელიარებინა საკუთარი დანაშაული. ეს ცალსახად იქნებოდა აღიარება და დაარღვევდა თვითინკრიმინაციისგან დაცვისა და დუმილის უფლებას. მიუხედავად ამისა, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელი არ იყო ბრალდებული წყვილის საქმეში და შესაბამისად, არ სარგებლობდა მე-ნ მუხლით გარანტირებული უფლებებით.

მოცემულ ვითარებაში კომისიამ გამოიყენა მე-10 მუხლის ნეგატიური ასპექტი და მივიდა დასკვნამდე, რომ „გამომხატვის თავისუფლების უფლება, თავისთავად, უზრუნველყოფს პირის ნეგატიურ უფლებას, არავინ აიძულოს საკუთარი აზრის გამომხატვა, ანუ ისარგებლოს დუმილით“<sup>1629</sup>.

მე-ნ მუხლის ჭრილში უფლების განმარტებით კომისიამ დაადგინა, რომ გარკვეულ შემთხვევაში პირს შეიძლება აიძულონ განცხადების გაკეთება, კერძოდ, თუ არსებობს საკმარისი სამართლებრივი საფუძველი, აგრეთვე მე-10 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისი ლეგიტიმური მიზანი და გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება – მაგალითად, მოწმის სახით ჩვენების მიცემის ვალდებულება – თუმცა იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა პირი სისხლის სამართალწარმოებაში ან აქვს თუ არა ბრალდებულისგან განსხვავებული სტატუსი, მას არ შეიძლება აიძულონ ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მის მიერ დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს. კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ „თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპი, ისევე როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ასპექტს“<sup>1630</sup>.

აღნიშნული მოსაზრება კრიტიკის საგანი გახდა. ფუნკეს (*Funke*) საქმის მიმოხილვისას ობოილი აღნიშნავს, რომ პრივილეგია უნდა განიხილებოდეს როგორც „მე-ნ მუხლში მოცემული დამოუკიდებელი გარანტია ... რომლითაც პირი სარგებლობს ბრალდების წარდგენის შემდეგ“. თავისი მოსაზრების გასამყარებლად ის მიუთითებს, რომ ბატონი ფუნკეს მიმართ არ ხორციელდებოდა რაიმე ფორმალური დევნა, როდესაც მას დოკუმენტების წარმოდგენას სთხოვდნენ. თუმცა ეს არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, რადგან ფუნკეს სახლში იმ დროისთვის უკვე ჩატარებული იყო ჩხრეკა და მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ეჭვმიტანილი იყო ფულის საზღვარგარეთ უკანონოდ გატანაში<sup>1631</sup>. კომისიამ არ გაიზიარა „გამომხატვის თავისუფლების“ მიდგომა *სერვეს* (*Serves*) საქმეში,

<sup>1627</sup> *კავსტრიის წინააღმდეგ*.

<sup>1628</sup> იხ. ტრექსელის განსხვავებული აზრი კომისიის ანგარიშში: *სერვე* (*Serves*) *საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>1629</sup> *კავსტრიის წინააღმდეგ*, §45.

<sup>1630</sup> *Ibid.*, §49.

<sup>1631</sup> ნაისმიტი (1997); შლაური (2003) 88. კრიტიკისთვის იხ. ობოილი (2000) 1030; ეერნიორი (2005) 313.



რადგან ჩათვალა, რომ განმცხადებელი შეიძლება ჩათვლილიყო *de facto* ბრალდებულად<sup>1632</sup>.

### 3. აბსოლუტური თუ ფარდობითი უფლება?

სტრასბურგის სასამართლოს ასევე მოუნია პრივილეგიის აბსოლუტურ ხასიათთან დაკავშირებული საკითხის განხილვა. *სონდერსის (Saunders)* საქმეში სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ ამ საკითხზე განმარტების გაკეთება<sup>1633</sup>, თუმცა, როგორც ჩანს, ის იძლევა დადებით პასუხს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამგვარად განმარტეს სასამართლოს გადაწყვეტილება მოსამართლე მარტენსმა და პეტიტომ თავიანთ განსხვავებულ აზრებში. კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ „სამართლიანობის სხვადასხვა ხარისხის გავრცელება განსხვავებული კატეგორიის ბრალდებულებზე არ იქნება შესაბამისობაში კონვენციის სულისკვეთებასთან. დუმილის უფლება, რა ზომითაც ის შეიძლება ჩაითვალოს მე-6 მუხლის შემადგენელ ელემენტად, თანაბრად უნდა გავრცელდეს, როგორც კორპორაციულ თაღლითებზე, ისე იმ პირებზე, რომლებიც ბრალდებულნი არიან სხვა სახის თაღლითობაში, გაუპატიურებაში, მკვლელობასა თუ ტერორიზმში. გარდა ამისა, შეუძლებელია არსებობდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი გარანტიის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი“<sup>1634</sup>.

პასუხი კითხვაზე, პრივილეგია აბსოლუტური ხასიათის მქონეა თუ ფარდობითი, დამოკიდებულია იმაზე, რას გულისხმობს კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინი აბსოლუტური. ამ მხრივ, შეიძლება აბსოლუტურობის ორი ასპექტის გამოყოფა. აბსოლუტური შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ დაუშვებელია გამონაკლისების არსებობა. გარდა ამისა, ის შეიძლება ნიშნავდეს, რომ ადგილი ექნება გარანტიის ხელყოფას იმ შემთხვევაშიც, როცა უფლების დარღვევასა და პირის მსჯავრდებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა არ ხდება. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, *სონდერსის (Saunders)* საქმეში უფლებას მიენიჭა აბსოლუტური ხასიათი. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი, კომპანია *გინესის* დირექტორი და მთავარი აღმასრულებელი ექვმიტანილი იყო დანაშაულებრივ ქმედებაში კომპანიის საკონტროლო პაკეტის შესყიდვისას. გამოძიება თავდაპირველად ჩატარდა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ინსპექტორების მიერ და განმცხადებელი ვალდებული იყო პასუხი გაეცა მათ შეკითხვებზე. მოგვიანებით, ასევე ჩატარდა სისხლის სამართლის გამოძიება, რომელშიც მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების დროს პირის დაკითხვის ოქმები.

მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ „დაკითხვის განმავლობაში განმცხადებელს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც მის ბრალეულობაზე მიუთითებდა და მან უბრალოდ საკუთარი თავის გამამართლებელი ან ისეთი პასუხები გასცა დასმულ კითხვებს, რომელთა დადასტურება დაეხმარებოდა მის დაცვას“. მთავრობა აღნიშნავდა, რომ „თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია მოიცავდა მხოლოდ იმ განცხადებებს, რომლებიც პირის დანაშაულზე მიუთითებდა“. სასამართლო არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, თუმცა განაცხადა:

<sup>1632</sup> საქმეში *სერვე (Serves)* საფრანგეთის წინააღმდეგ ოფიცერი სასამართლოში დაკითხეს მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ფორმალურად არ იყო ბრალდებული, თუმცა იმყოფებოდა ეჭვის ქვეშ დანაშაულთან კავშირის გამო.

<sup>1633</sup> *სონდერსი (Saunders)* გავრთიანებული საქმეის წინააღმდეგ, §74.

<sup>1634</sup> *სონდერსი (Saunders)* გავრთიანებული საქმეის წინააღმდეგ, §70, 71.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება ვერ შეიზღუდება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის აღიარებითი ჩვენებით ან იმ გამონათქვამებით, რომლებიც პირდაპირ ინკრიმინაციულია. იძულებით მიცემული ჩვენება, რომელსაც ერთი შეხედვით, არ აქვს თვითინკრიმინაციის ნიშნები, როგორცაა თავის გამამართლებელი გამონათქვამები ან უბრალოდ ინფორმაცია ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება მომავალში გამოყენებული იქნეს სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდების არგუმენტების გასამყარებლად, მაგალითად, ბრალდებულის სხვა განცხადებების ან სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დასაყენებლად ან, სხვაგვარად, მისი სანდოობის შელახვისთვის. როდესაც ბრალდებულის სანდოობა ნაფიც მსაჯულთა შესაფასებელია, ასეთი ჩვენებების გამოყენება შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს. შესაბამისად, მოცემულ კონტექსტში არსებითია ის, თუ რა გამოყენება ექნება სისხლის სამართლის საქმეში იმ მტკიცებულებებს, რომლებიც იძულებით იქნა მოპოვებული<sup>1635</sup>.

სასამართლოსთვის საქმარისი იყო დაკითხვის ოქმების გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში განმცხადებლის ბრალეულობის გასამყარებლად.

აღნიშნული განსხვავდება სასამართლოს იმ მიდგომისგან, როდესაც ის არკვევს, იყო თუ არა მოწმის ჩვენება, რომლის დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულს არ მიეცა, გადამწყვეტი ამ უკანასკნელის მსჯავრდებისთვის. *სონდერსის (Saunders)* საქმეში არ ყოფილა მითითება სხვა მტკიცებულებებზე, რომლებიც გაამყარებდნენ მის მსჯავრდებას.

*სონდერსის (Saunders)* საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ასევე ადასტურებს აბსოლუტურობის მეორე ასპექტს. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ თაღლითობის განსაკუთრებული ხასიათის გამო აუცილებელი იყო პრივილეგიის პრინციპიდან გამონაკლისების დაშვება. თუმცა სასამართლომ უარყო „არგუმენტი, რომ კორპორაციული თაღლითობის სირთულე და მსგავსი დანაშაულის გამოძიებასა და მის ჩადენაში პასუხისმგებელი პირების დასჯაში საზოგადოების დიდი ინტერესი ამართლებს მოცემულ საქმეში ასეთ რადიკალურ გადახვევას სამართლიანი სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუნქციონალური პრინციპიდან. ისევე როგორც კომისია, სასამართლო თვლის, რომ მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნა, მათ შორის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება, ვრცელდება სისხლის სამართლის საქმეებში ყველა ტიპის დანაშაულზე, მიუხედავად მისი სირთულისა. დაუშვებელია საჯარო ინტერესის გამოყენება იძულებით მიღებული ჩვენებების საფუძველზე პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად“<sup>1636</sup>. კვლავაც, სასამართლომ დაიჭირა მკაფიო პოზიცია, რაც მოწინააღმდეგე იმსახურებს<sup>1637</sup>.

თუმცა *ჯონ მიურის (John Murray)* საქმეს ამ მხრივ გაურკვეველობა შემოაქვს. განმცხადებელი პოლიციამ აღმოაჩინა იმ შენობაში, რომლის პირველ სართულზე ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ გატაცებული პირი იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში. განმცხადებელი ჩამოდიოდა კიბეებზე, როდესაც პოლიცია შევიდა

<sup>1635</sup> *Ibid.*, §74. კომისიამ გამოიყენა იგივე მიდგომა უფრო მკაცრად; იხ. *სონდერსი (Saunders)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 19187/91, §71.

<sup>1636</sup> იხ. მაგ. შტეტენსი (1997); ბუისუ (2002-3) 60.

<sup>1637</sup> *ჯონ მიური (John Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 18731/91, §56.

შენობაში. ეს საქმე წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც, გარკვეული გარემოებების არსებობისას, კანონმდებლობა უშვებდა კონკრეტული დასკვნების გამოტანას ექვმიტანილის მიერ დუმილის უფლების გამოყენების გამო (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ).

თავის ანგარიშში კომისიამ აღნიშნა, რომ „საკითხი იმის თაობაზე, კონკრეტული განმცხადებელი დაექვემდებარა თუ არა ისეთ იძულებას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად, რომელიც საკმარისია, რომ სისხლის სამართალწარმოებას ეწოდოს უსამართლო ... დამოკიდებული იქნება საქმეში არსებული ყველა გარემოების ერთობლივ შეფასებაზე“<sup>1638</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა:

წინამდებარე საქმეში საკითხი ეხება იმას, არის თუ არა აღნიშნული პრივილეგია აბსოლუტური იმ თვალსაზრისით, რომ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში ან მისი წინასწარი ინფორმირება, რომ დუმილი შეიძლება გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ, ყოველთვის უნდა ჩაითვალოს „არაჯეროვან იძულებად“.

ერთი მხრივ, თავისთავად ცხადია, რომ მოცემულ პრივილეგიას ეწინააღმდეგება მსჯავრდების დამყარება მთლიანად ან ძირითადად ბრალდებულის დუმილზე ან მის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის ან მტკიცებულებების წარმოდგენის უარზე. მეორე მხრივ ... ეს პრივილეგია ვერ უზრუნველყოფს, რომ იმ ვითარებაში, რომელიც ცალსახად მოითხოვს ბრალდებულის პასუხს, მისი უარი არ იქნება გათვალისწინებული ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი ამ ორ უკიდურეს შემთხვევას შორის, პასუხი კითხვაზე, დუმილის უფლება აბსოლუტურია თუ არა, უნდა იყოს უარყოფითი<sup>1639</sup>.

სასამართლოს პასუხი ცალსახაა და მეც ვეთანხმები მას. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ გარკვეულ შემთხვევებში უფლება საერთოდ არ არსებობს ან რომ სხვადასხვა ხარისხის დაცვა ვრცელდება სხვადასხვა ტიპის დანაშაულზე<sup>1640</sup>. გარანტიის ფარდობითობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ შეუძლებელია მკვეთრი ზღვრის გავლება. რა ხარისხის ზენოლა დასაშვებია ბრალდებულზე? შეუძლებელია იმის მოთხოვნა, რომ ბრალდებული საერთოდ არ დაექვემდებაროს რაიმე ზენოლას<sup>1641</sup>.

ეს თავისთავად ხდება ცხადი, როდესაც დავაკვირდებით სისხლის სამართლის პროცესის რეალობას. ბრალდებულის უარი, გასცეს კითხვებზე პასუხი ნიშნავს, რომ უფრო მეტი დრო და ხარჯები იქნება გაწეული. გადანყვებულება იმის თაობაზე, გამოიყენოს თუ არა დუმილის უფლება გარკვეული დილემის

<sup>1638</sup> ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46, 47.

<sup>1639</sup> ბუისუ (2002-3) 60; შტესენსი (1997) 50.

<sup>1640</sup> დენისი (1995).

<sup>1641</sup> სონდერსი (Saunders) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §68; ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §45; სერვე (Serves) საფრანგეთის წინააღმდეგ, §46; კინი (Quinn) ორლანდის წინააღმდეგ, §40; ჰინეი (Heaney) და მაკინჯი (McGuinness) ორლანდის წინააღმდეგ, §40; ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44; JB შევიკარის წინააღმდეგ, §64.

წინაშე აყენებს ბრალდებულს. თუ ის დუმილს ამჯობინებს, უფრო ძნელი იქნება მონინალმდევე მხარისთვის მისი ბრალეულობის დამტკიცება, თუმცა, ამავდროულად, ის კარგავს შესაძლებლობას, მოითხოვოს მის მდგომარეობაში შესვლა და სასჯელის შემსუბუქება. არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი არც ფსიქოლოგიური ასპექტი. დუმილის შენარჩუნება, როდესაც გისვამენ კითხვებს, ცალსახად შეურაცხყოფელი, არამეგობრული საქციელია, რომელიც არ ინვესტს სიმპათიებს. არგუმენტი, რომ ბრალდებულს აქვს დუმილის უფლება, შეიძლება ერთგვარად თეორიულად ჩაითვალოს, რადგან ის გამუდმებით ზენოლის ქვეშაა. კითხვები არ არის ნეიტრალური და ემოციისგან დაცლილი. ყველა კითხვა მოითხოვს მისგან პასუხს.

ზენოლა უფრო ძლიერი ხდება, როდესაც ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება, რადგან გამოძიება თვლის, რომ არსებობს მის მიერ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე. აღიარება კი გამოიწვევს ბრალდებულის გათავისუფლებას. შესაბამისად, „დამნაშავე“ ეჭვმიტანილი გამართლების უკეთეს შანსს ფაქტობრივად ყიდულობს საკუთარი თავისუფლების ხარჯზე.

#### 4. გარანტიის პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები

ცხადია, რომ დუმილისა და თვითინკრინინაციისგან დაცვის უფლება მოიცავს ორ განსხვავებულ ასპექტს. პირდაპირი ასპექტი შეეხება ისეთ ვითარებას, როდესაც პირისგან მოელიან დასმულ კითხვებზე გარკვეულ რეაქციას. უკიდურესი ფორმით ეს ნიშნავს, რომ აკრძალულია წამების გამოყენება ნებისმიერი სახის ჩვენების მიცემის იძულებისთვის. არაპირდაპირი ასპექტი კი გულისხმობს იმ მტკიცებულებების გამოყენებას, რომლებიც მოპოვებული იქნა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების დარღვევით, მათ შორის ბრალდებულის დუმილის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გამოტანას.

#### 5. გარანტიის არსი

დუმილის უფლების არსი სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმეში. მის მიერ ჩამოყალიბებული თეორია საკმაოდ რთულია, ამიტომ ყოველ არგუმენტს ცალ-ცალკე შევხებით.

##### ა. ამოსავალი წერტილი

სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა, რომ „დუმილისა და თვით-ინკრინინაციისგან დაცვის უფლებები საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც საფუძველად უდევს მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას“<sup>1642</sup>. სხვა სიტყვებით, ძირითადი იდეა არის ის, რომ სამართალწარმოება, რომელშიც ეს პრივილეგია არ არის დაცული, ვერ ჩაითვლება სამართლიანად. ის ფაქტი, რომ თვითინკრინინაციისგან დაცვის გარანტია მოცემულია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში, ისე ამერიკულ კონვენციაში, ამყარებს საერთაშორისო სტანდარტად მის კვალიფიკაციას<sup>1643</sup>. ცხადია, რომ მსგავსი წესი ასევე მოიძებნება მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში <sup>1644</sup>.

<sup>1642</sup> მოსამართლე მარტენსი თავისი განსხვავებული აზრის მე-9 პარაგრაფში აკრიტიკებს ამ მოსაზრებას.

<sup>1643</sup> ამ მხრივ გერმანიასა და შვედეთზე მტატებში არსებული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზისთვის. იხ. შლუური (2003).

<sup>1644</sup> ტელფერის (Telfer) ავსტრიის წინააღმდეგ, § 15. საქმეში ავერილი (Averill) გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ (§ 54) სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დუმილის უფლების დარღვევა და ვერც მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საკითხის განხილვის საჭიროება დაინახა.

## ბ. კავშირი შედეგზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებასთან

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ გარანტიის არსი მდგომარეობს, „*inter alia*, ბრალდებულის დაცვაში არაჯეროვანი იძულების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უწყობს მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების თავიდან აცილებას და მე-6 მუხლში განმტკიცებული მიზნების მიღწევას“. აღნიშნულ წინადადებაში, როგორც მინიმუმ, სამი არგუმენტი მოყვანილი. ის, რომ პრივილეგია იცავს არაჯეროვანი იძულებისგან, უბრალოდ ტაქტოლოგიაა. ჩნდება კითხვა: რა სახის იძულება არის „არაჯეროვანი“? ან უფრო სწორად: სად გადის ჯეროვანი იძულების ზღვარი? პასუხი ამ კითხვებზე არის არაერთმნიშვნელოვანი.

მეორე არგუმენტი უფრო კონკრეტულია. ის ხაზს უსვამს იმის შესაძლებლობას, რომ იძულებამ შეიძლება შედეგად გამოიღოს ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა. ეს პრობლემურია იმდენად, რამდენადაც, იძულების შემთხვევაში, პასუხები შეიძლება არ შეესაბამებოდეს სიმართლეს. თუ ფაქტები არ არის სწორად დადგენილი, იზრდება მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხე. ეს არის ფუნქციური არგუმენტი, რომელიც ორივე მიმართულებით მოქმედებს. როგორც ბრალდებულის, ისე სახელმწიფოს ინტერესებშია მართლმსაჯულების პოტენციური ჩავარდნისა და იმ მეთოდების თავიდან აცილება, რომლებიც ხელს უშლის ქვეშარიტების დადგენას.

დაბოლოს, უცნაურია, რომ გარანტია, რომელიც „საფუძვლად უდევს სა-მართლიანი სამართალწარმოების ცნებას“, ხელს უწყობს „მე-6 მუხლში ჩამოთვლილი მიზნების შესრულებას“. თუ პრივილეგიის უგულებელყოფა ჩრდილს აყენებს სასამართლო განხილვას და აქცევს მას უსამართლოდ, როგორ შეიძლება ითქვას, რომ პრივილეგია (მხოლოდ) ხელს უწყობს სასამართლო განხილვის სამართლიანობას? უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მხოლოდ რიტორიული გამონათქვამია, რომელიც დიდად არ უწყობს ხელს პრივილეგიის არსის გაგებას.

## გ. უდანაშაულობის პრეზუმფცია

სასამართლომ ხაზი გაუსვა უფრო არსებით კავშირს: „თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება მოიცავს, რომ ბრალდებამ ამტკიცოს პირის ბრალეულობა იძულების ან ზენოლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების გარეშე. ამ მხრივ, უფლება მჭიდროდ უკავშირდება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ უდანაშაულობის პრეზუმფციას“. ბრალდების ამოცანაა ბრალდებულის ბრალეულობის დამტკიცება. შესაბამისად, ამ უკანასკნელს არ მოეთხოვება საკუთარი უდანაშაულების მტკიცება. *A fortiori*, დაცვას არ აქვს არანაირი ვალდებულება, ხელი შეუწყოს მსჯავრდებას ან ამ მხრივ საქმის მსვლელობას. ეს განცხადება პრივილეგიის არსის სრულიად დამაკმაყოფილებელი განმარტებაა. ერთ-ერთ საქმეში დუმისის უფლების საკითხს პასუხი გაეცა მთლიანად მე-6 მუხლის მეორე პუნქტზე მითითებით<sup>1645</sup>.

## დ. ბრალდებულის ნების პატივისცემა

დაბოლოს, სასამართლომ აღნიშნა კიდევ ერთი ასპექტის შესახებ: „თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება ძირითადად შეეხება პირის ნების პა-ტივისცემას, ისარგებლოს დუმილით“<sup>1646</sup>. ამ წინადადებაზე გაცხობევლებული დისკუსია გამოიწვია. პრივილეგიასა და მე-3 მუხლს შორის გარკვეული კავშირის არსებობა საკმაოდ დამაჯერებელია. დამამტკიცებელია, იმოქმედო საკუთარი

<sup>1645</sup> ეს ფრაგმენტი გამორჩენილია *სერვის* (*Serves*) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში.

<sup>1646</sup> ლირსების შემლახველ მოპყრობასთან დაკავშირებით იხ. *ტიარი* (*Tyber*) *გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 30.

ინტერესების სანინაალმდეგოდ. ამან შეიძლება გამოიწვიოს დამცირების, არასრულფასოვნებისა და აბუნად აგდების განცდა, თუმცა არა იმ ხარისხის, რომ გამოიწვიოს მე-3 მუხლის დარღვევა<sup>1647</sup>. ამავდროულად, ეს შეიძლება გაგებული იქნეს მე-8 მუხლით განმტკიცებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევად.

მოსამართლე მარტენსი თავის განსხვავებულ აზრში არ უარყოფს ასეთი კავშირის არსებობას, თუმცა აკრიტიკებს მას ზედმეტად აბსოლუტური ხასიათის გამო. მისი არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. ცხადია, რომ ცხოვრება საკმაოდ რთულია იმისათვის, რომ ისეთ ცნებებს, როგორცაა „დამამცირებელი“, აბსოლუტური ხასიათი მიენიჭოს<sup>1648</sup>. აღნიშნული განცხადება ნათელი ხდება, როდესაც მას ნაიკითხავეთ შესაბამისი საქმის კონტექსტში. ამოსავალი ნერტილი უნდა იყოს ფუნკეს (*Funke*) საქმის კრიტიკა. ზოგიერთი ავტორი შიშობდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა ასევე ბრალდებულის მიერ სისხლის ანალიზის გაკეთების მოთხოვნაზე ან სხვა მსგავს საგამოძიებო ქმედებებზე. ამ საკითხს მოგვიანებით დაეუბრუნდებით.

## 1. გარანტიის ფარგლები

### ა. „*Ratione materiae*“

პრივილეგია ვრცელდება მხოლოდ სისხლის სამართლის კონტექსტში. სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება და ხშირად ამ ინფორმაციას შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები, მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის შემთხვევაში. ეჭვგარეშეა, რომ პრივილეგია არ ვრცელდება სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ, ამაზე მიუთითებს თავად ტერმინი თვითინკრიმინაცია. *სონდერსის* (*Saunders*) საქმეში სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ განმცხადებლის ვალდებულება, პასუხი გაეცა ინსპექტორების კითხვებზე, არ იწვევდა რაიმე პრობლემას კონვენციის საფუძველზე<sup>1649</sup>.

### ბ. „*Ratione personae*“

შესაბამისად, მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი სარგებლობს ამ პრივილეგიით<sup>1650</sup>. თუმცა პირდაპირი შედეგის ჭრილში საეჭვოა, რამდენად არის ეს გარანტიის მოქმედების შეზღუდვა იმ თვალსაზრისით, რომ პირი, რომელსაც ჯერ არ წარდგენია ბრალდება, ვერ ისარგებლებს პრივილეგიით. უნდა გაიხსენოთ, რომ ბრალდების ცნებას სტრასბურგის სასამართლო ავტონომიურად განმარტავს. სასამართლოს მიერ გამოყენებული კრიტერიუმი გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად არსებითი ზეგავლენა მოახდინა პირის მდგომარეობაზე მის მიმართ არსებულმა ეჭვმა. როგორც კი ადამიანს დაუსვათ შეკითხვებს ან მოსთხოვენ დოკუმენტებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს თვითინკრიმინაცია, ის *de facto* ბრალდებულად ითვლება მე-8 მუხლის მიზნებისთვის.

საქმეში *K* ავსტრიის წინააღმდეგ კომისიამ არ გაიზიარა ეს მიდგომა და საცვლოდ განაცხადა, რომ განმცხადებელი დაკითხული იქნა მონმის სახით. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, კომისიას ეთქვა, რომ ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, მისი ფორმალური სტატუსის მიუხედავად, პირი განიხილებოდა *de facto*

<sup>1647</sup> შედრ. კალევერტი (1995). იხ. ამ ნაშრომის მრავლისმთქმელი სათაური.

<sup>1648</sup> *სონდერსი* (*Saunders*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 67.

<sup>1649</sup> ბუისუ (2002-03); შლაური (2003) 85.

<sup>1650</sup> უფრო დეტალურად იხ. თავი 2.

ბრალდებულად მაშინაც, როცა ხორციელდებოდა მისი დაკითხვა მონმის სახით. ფაქტობრივად ასე მოიქცა სასამართლო სერვეს (Serves) საქმეში<sup>1651</sup>.

პრივილეგია შეიძლება ასევე გამოიყენოს იურიდიულმა პირმა, თუ ის არის სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი<sup>1652</sup>.

## II. პრივილეგიის პირდაპირი შედეგი

### ა. დუმილის უფლება

#### 1. დაცვა უშუალო ფიზიკური ზენოლისგან

დუმილის უფლება, გარკვეული თვალსაზრისით, მარტივი ფუნდამენტური გარანტიაა. თუ პირი არ სცემს კითხვებზე პასუხს, პრაქტიკულად არ არსებობს მეთოდი, რომელიც მას სიმართლეს ათქმევინებს. ცხადია, რომ საერთოდ არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ადამიანის უფლებების მინიმალურ სტანდარტებთან. პირველი, რაც შეიძლება ადამიანს აზრად მოუვიდეს, არის ნაშემა<sup>1653</sup> და როგორც სხვადასხვა ავტორები აღნიშნავენ, პრივილეგია ამ მხრივ არ მატებს რაიმე ღირებულს ნაშემის, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას. ეს უკანასკნელი შეიძლება მოიცავდეს გარკვეული ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას, რომლებიც ასუსტებს თვითკონტროლს<sup>1654</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტი საუბრობს პირდაპირ და არაპირდაპირ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზენოლაზე გამოძიების ორგანოების მხრიდან<sup>1655</sup>.

თუმცა საჭიროა არსებობდეს, სულ მცირე, გარკვეული საფრთხე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებელს მოსთხოვეს სიმართლის თქმა, არ არღვევს მისი დუმილის უფლებას<sup>1656</sup>. საკმაოდ დელიკატური საკითხი წამოიჭრება სიცრუის დეტექტორებთან დაკავშირებით. პირის იძულება, გაიაროს ასეთი პროცედურა, უნდა ჩაითვალოს დამამცირებელ მოპყრობად. თუმცა ტესტის გაელის მოთხოვნა არ არის უჩვეულო იმ პირების მხრიდან, რომლებიც ამტკიცებენ საკუთარ უდანაშაულობას, მათივე დაცვის დამაჯერებლობის გასამყარებლად. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც მოთხოვნის დაკმაყოფილება დაუშვებელია, რადგან არის საფრთხე, რომ თუ მსგავსი შესაძლებლობა იარსებებს, ტესტის გაელაზე უარის თქმა გამოყენებული იქნეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.

#### 2. დაცვა მოტყუების წინააღმდეგ

იცავს თუ არა პრივილეგია ადამიანს მოტყუებისა და დანაშაულის ჩადენის პროვოცირებისგან? სასამართლომ გაიზიარა კანადის უზენაესი სასამართლოს მიდგომა და დადებითი პასუხი გასცა ამ კითხვას საქმეში ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განმცხადებელი ექვმიტანილი იყო მკვლელობაში, რომელიც ჩადენილი იქნა სუპერმარკეტის ძარცვისას. მან

<sup>1651</sup> სერვე (Serves) საფრანგეთის წინააღმდეგ, §42.

<sup>1652</sup> ბუისუ (2002-3) 42.

<sup>1653</sup> მაგალითად გამოდგება კანტორალ-ბენავიდესი (Cantoral-Benavides) პურუს წინააღმდეგ, §132, 133.

<sup>1654</sup> ეერნიორი (2005) 316.

<sup>1655</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადანყვეტილება საქმეში ბერი (Berry) იამაიკის წინააღმდეგ.

<sup>1656</sup> კასტილო პეტრუჯი (Castillo Petruzzi) და სხვები პურუს წინააღმდეგ, §167.

გადანყვება ესარგებლა დუმილის უფლებით. პოლიცია დარწმუნებული იყო, რომ სწორედ მან ჩაიდინა დანაშაული და ჩვეულებრივი დაკითხვა არ გამოიღებდა სასურველ შედეგს. ამიტომ გადანყვდა ტექნიკური ხელსაწყოების გამოყენება საკანში და ციხის მისაღებში ექვმიტანილის ქცევის ჩასანერად. მათი გამოყენება არ იყო ნებადართული კანონით და შესაბამისად, არღვევდა მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას<sup>1657</sup>. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი მე-8 მუხლის დარღვევისთვის. სასამართლომ გამოიყენა საქმეში *შენკი (Schenk) შვეიცარიის წინააღმდეგ* ჩამოყალიბებული მიდგომა<sup>1658</sup>.

პოლიციამ ასევე გამოიყენა ინფორმატორი, რომელიც სპეციალურად იყო მომზადებული. სასამართლომ განაცხადა, რომ პრივილეგია არ იცავდა მხოლოდ ზენოლისგან:

მიუხედავად იმისა, რომ დუმილისა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება ძირითადად ემსახურება შესაბამისი ორგანოების მიერ არაჯეროვანი იძულების, ასევე იძულებისა და ზენოლის მეთოდებით ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, მტკიცებულებების მოპოვებისგან დაცვის უზრუნველყოფას, უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმეებით, რომლებშიც ბრალდებულზე განხორციელდა ზენოლა ან მისი ნება იქნა დაძლეული. უფლება, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების ძირითადი პრინციპი, ემსახურება ექვმიტანილი პირის არჩევანის თავისუფლებას, უპასუხოს ხელისუფლების ორგანოთა კითხვებს თუ ისარგებლოს დუმილით. არჩევანის ასეთი თავისუფლება დაკნინებულია, როდესაც პირმა დუმილი ამჯობინა, ხოლო ხელისუფლება იყენებს სხვადასხვა ხერხებს ექვმიტანილისგან აღიარების ან საკუთარი თავის საწინააღმდეგო სხვა ისეთი ჩვენების მიცემის მისაღწევად, რომელიც ვერ იქნა მოპოვებული მისი დაკითხვისას და როდესაც ასეთი გზით მოპოვებული ჩვენება თუ აღიარება მტკიცებულებად გამოიყენება სასამართლოში<sup>1659</sup>.

ამის შემდეგ სასამართლომ მოიყვანა ციტატა კანადის უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებიდან იმ ზღვრის შესახებ, რომლის გადაკვეთის შემთხვევაშიც ადგილი აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. მისი ზოგადი მიდგომის მიხედვით, „ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეში მოცემულ ყველა გარემოებაზე“<sup>1660</sup>.

კანადის უზენაესმა სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ინფორმატორი, რომელმაც ხელყო დუმილის უფლება, არ იყო ფორმალურად სახელმწიფოს წარმომადგენელი, მაშინ აუცილებელია ინფორმატორსა და სახელმწიფოს, ისევე როგორც ინფორმატორსა და ბრალდებულს შორის ურთიერთობის ანალიზი. დუმილის უფლება დარღვეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისას

<sup>1657</sup> ალანი (*Allan*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §34-6; იგივე შედეგით დასრულდა საქმე ხანი (*Khan*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§26-8), რომელშიც მოსახმენი აპარატები იყო დამონტაჟებული განმცხადებლის სახლში.

<sup>1658</sup> იხ. თავი 20.

<sup>1659</sup> ალანი (*Allan*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 50.

<sup>1660</sup> *Ibid.*, §51.



ინფორმატორი მოქმედებდა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და იყო ამ ჩვენების მიცემის მიზეზი. ინფორმატორის განხილვა სახელმწიფოს წარმომადგენლად დამოკიდებული იქნება იმაზე, მოხდებოდა თუ არა ინფორმატორსა და ბრალდებულს შორის ინფორმაციის გაცემა იმ ფორმით და საშუალებებით, როგორც ეს მოხდა, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. იმის გარკვევა, მტკიცებულება მოიპოვა თუ არა ინფორმატორმა დამოკიდებული იქნება იმაზე, იყო თუ არა ინფორმატორსა და ბრალდებულს შორის გამართული საუბარი ფუნქციურად დაკითხვის ტოლფასი, ასევე ინფორმატორსა და ბრალდებულს შორის არსებულ ურთიერთობაზე<sup>1661</sup>.

აღნიშნული დოქტრინა არ არის ბოლომდე დამაჯერებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ინფორმატორს შორის კავშირის დადგენის კრიტერიუმი არ უნდა იყოს ზედმეტად ფორმალური. მეორე მხრივ, თუ დაეუშვებთ, რომ კონვენციის უფლების დარღვევის შედეგად მოპოებული მტკიცებულებები არ ხდის სამართალწარმოებას „უსამართლოდ“, მაშინ გამართლებულია იმის თქმა, რომ მტკიცებულებათა შეგროვება არ შემოიფარგლება მხოლოდ სპონტანური სახის საუბრების ჩაწერით.

შესაბამისად, წინამდებარე საქმეში ლოგიკური იყო, რომ სასამართლომ დაადგინა დარღვევა, რადგან ინფორმატორმა პრაქტიკულად არაფორმალურად „დაკითხა“ ეჭვმიტანილი, ყველა იმ გარანტიის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფილია ჩვეულებრივ სამართალწარმოებაში.

### 3. გაფრთხილების უფლება

დუმილის უფლების შესახებ ყველა ბრალდებული არ არის ინფორმირებული. გულისხმობს თუ არა ეს უფლება მის შესახებ ბრალდებულის გაფრთხილების ვალდებულებას? „მირანდა“ გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა მსოფლიოში არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ მათთვისაც ვინც უყურებს ამერიკულ დეტექტიურ ფილმებს. მირანდა გულისხმობს ერთ საქმეს, უფრო სწორად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ 1966 წელს გადაწყვეტილ საქმეთა მცირე ჯგუფს<sup>1662</sup>. მირანდას მიხედვით, ნებისმიერ ეჭვმიტანილს დაკავებისას უნდა მიეცეს ფორმალური გაფრთხილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჩვენება ვერ იქნება გამოყენებული როგორც მტკიცებულება. მას უნდა განემარტოს, რომ აქვს დუმილის უფლება და ყველაფერი, რასაც იტყვის, შეიძლება მის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული სასამართლოში. ეჭვმიტანილს ასევე აქვს დაკითხვის დროს დამცველის დახმარების უფლება და საკმარისი საშუალების არქონისა და სურვილის შემთხვევაში, დამცველი უსასყიდლოდ დაენიშნება<sup>1663</sup>. მოითხოვს თუ არა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი იგივეს?

საოცარია, რომ აღნიშნული საკითხი არ არის ინტენსიური მსჯელობის საგანი. ამ საკითხს არ განიხილავენ ესერი ან ვიორნეი. შლაური კი მას მხოლოდ აშშ-ს სამართლის კონტექსტში ეხება.<sup>1664</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა ასეთი ინფორმაციის მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლო განხილვისა და დუმილის უფლებებისთვის, საეჭვოა

<sup>1661</sup> R. J. K. ბერტის (*Herbert*) წინააღმდეგ (1990) 2 უზენაესი სასამართლოს ანგარიშები 151.

<sup>1662</sup> *მირანდა* (*Miranda*) არიზონას წინააღმდეგ, 384 US 436 (1966).

<sup>1663</sup> *Ibid.*, 479.

<sup>1664</sup> შლაური (2003) 219 et seq.; თუმცა იხ. ვისი (2001).

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა<sup>1665</sup>. ეს მოსაზრება სრულიად პრაქტიკულ მიზეზებს ემყარება. რთული წარმოსადგენია საქმე, რომელიც ჯეროვანი გაფრთხილების არარსებობის გამო, სტრასბურგის სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, დაედგინა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა. განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ, თუმცა კითხვებზე პასუხის გაცემის გადაწყვეტილება წარმოსადგენდა დუმილის უფლებაზე უარის თქმას, ის არ იყო ნამდვილი, რადგან ჯეროვნად არ მომხდარა მისი ინფორმირება.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა ... უნდა დადგინდეს ერთმნიშვნელოვნად ... გარდა ამისა, ... იმისათვის, რომ საპროცესო უფლებებზე უარის თქმას ჰქონდეს ძალა კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის თანაზომადი მინიმალური გარანტიების არსებობა<sup>1666</sup>.

წარმატების მისაღწევად განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ იქნა მსჯავრდებული იმ ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც მისცა პირველი დაკითხვის დროს. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ძირითადად თავს არიდებს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან გაიზიაროს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიდგომა.

ვითარება გაცილებით მარტივია ადამიანის უფლებათა კომიტეტისთვის. მას აქვს შესაძლებლობა, განმარტოს საერთაშორისო პაქტი ზოგადი კომენტარების მეშვეობით. კომიტეტმა გააკეთა ასეთი კომენტარი მათ შორის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტთან დაკავშირებით<sup>1667</sup>.

ამერიკული კონვენცია არ მოითხოვს ასეთ გაფრთხილებას, რადგან სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა იმ საქმეში, სადაც პირს „არწმუნებდნენ“, რომ სიმართლე ეთქვა<sup>1668</sup>.

## ბ. დოკუმენტების წარდგენაზე უარის უფლება

### 1. საქმე ფუნკე (*Funke*) საფრანგეთის წინააღმდეგ

დუმილის უფლებასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს წამყვანი საქმეა ფუნკე (*Funke*) საფრანგეთის წინააღმდეგ. განმცხადებელი ექვმიტანილი იყო საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშების ფლობაში. ამასთან დაკავშირებით, ის დაკითხეს საბაჟო ოფიცრებმა და მოსთხოვეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა. განმცხადებელმა უარი განაცხადა მათი მოთხოვნის შესრულებაზე. 1982 წლის 3 მაისს საბაჟო დაწესებულების წარმომადგენლებმა ის დაიბარეს სასამართლოში, რათა მოეთხოვათ ჯარიმის დანიშვნა და დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ყოველ გადაცილებულ დღეზე 50 ფრანკის დაკისრება. მოგვიანებით განმცხადებელი, კიდევ ერთხელ დააჯარიმეს სხვა დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ

<sup>1665</sup> ასევე საეჭვოა, რომ გაფრთხილება ხსნიდეს დაკითხვის დროს არსებულ ზენოლას. შლაური (2003) 264.

<sup>1666</sup> *პფაიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 37.

<sup>1667</sup> ზოგადი კომენტარი N 13, 1984, § 14. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ კანონმდებლობამ უნდა გამოიკვლიოს პრივილეგიის დარღვევის შედეგად მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება.

<sup>1668</sup> *კასტილო პეტრუჯი (Castillo Petruzzi)* და *სხვები პერუს წინააღმდეგ*, § 167.

დაირღვა პრივილეგია. კომისიის წევრთა უმრავლესობამ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა. სასამართლომ საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა მისი არგუმენტაცია არ იყო დამაჯერებელი<sup>1669</sup>.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საბაჟო დანესებულებამ მიაღწია ბატონი ფუნკეს მსჯავრდებას, რათა მიეღო მისგან გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც მათი აზრით არსებობდა, თუმცა არ იყვნენ ამაში დარწმუნებული. რადგან არ სურდათ ან სხვა გზით ვერ აღწევდნენ აღნიშნული დოკუმენტაციის მიღებას, მათ აიძულეს განმცხადებელი, თავად წარმოედგინა დოკუმენტები, რომლებიც ამხელდა მას ჩადენილ დანაშაულებში. საბაჟო კანონმდებლობისთვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა ... არ შეიძლება გაამართლოს, მე-ნ მუხლის ავტონომიური მნიშვნელობით, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის დუმილისა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებების დარღვევა.

ქალბატონი ბუისუ მართალია, როდესაც აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება „სასტიკია“<sup>1670</sup>.

მოგვიანებით, სასამართლომ გამოასწორა ხარეზი *სონდერსის (Saunders)* საქმეში თეორიული საკითხების განხილვისას, რომელიც არ ეხებოდა დოკუმენტურ მტკიცებულებებს. შემდეგი საქმე, რომელიც *ფუნკეს (Funke)* მსგავსი ვითარება იყო შექმნილი, არის *JB შვეიცარიის წინააღმდეგ*. ფედერალურმა საგადასახადო ადმინისტრაციამ მოიპოვა განმცხადებლის მიერ ჩადებული ინვესტიციების მტკიცებულებები, რომელთა დეკლარირება არ მომხდარა. შესაბამისად, განმცხადებელს ამ საკითხთან დაკავშირებით დაევალა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა. მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ის რამდენჯერმე დააჯარიმეს. ადგილი ჰქონდა პრივილეგიის აშკარა დარღვევას. შვეიცარიის მთავრობამ ვერ შეძლო ამის სანაწინააღმდეგო სერიოზული არგუმენტების მოყვანა.

## გ. გამონაკლისები

### 1. წვლილის შეტანა, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენებას

სასამართლოს გადაწყვეტილება *ფუნკეს (Funke)* საქმეში არა მარტო „სასტიკად“ ჩაითვალა, არამედ ასევე კრიტიკის ობიექტი გახდა ძალზე ფართო ხასიათის გამო<sup>1671</sup>. ის მოსაზრება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება აიკრძალოს სისხლის ანალიზის აღება მძღოლის ინტოქსიკაციის ხარისხის განსაზღვრისთვის ან ნერწყვის ნიმუშის ჩაბარება დნ-მის ანალიზისთვის, გაუგებრობას ეფუძნება.

პრივილეგია მოიცავს ექვმიტანილის მხრიდან მხოლოდ ისეთ დახმარებას, რომელიც არ შეიძლება ჩანაცვლდეს პირდაპირი ძალის გამოყენებით. ამერიკულ სამართალში გამოიყენება ტერმინი „*testimonial*“, რომელიც გულისხმობს, რომ პირის

<sup>1669</sup> ო'ბოილი (2000) 1025. ავტორი მართებულად მიუთითებს გადაწყვეტილების არასაკმარის დასაბუთებაზე.

<sup>1670</sup> ბუისუ (2002-3) 19. კომისიამ ვერ აღმოაჩინა დარღვევა, რადგან ჩათვალა, რომ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება შეესაბამებოდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო არ აკონტროლებდა მთლიანი კაპიტალის დინებას საზღვარგარეთ.

<sup>1671</sup> იხ. მაგ: ბატლერი (2000) 461; დენისი (1995); შტესენსი (1997); მოსამართლე მარტენსის განსხვავებული აზრი საქმეში *სონდერსი (Saunders) ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§ 11).

წვლილი უნდა იყოს ჩვენების მიცემის თანაზომადი.<sup>1672</sup> სასამართლოს მიხედვით, პრივილეგია არსებობს იმისთვის, რომ ბრალდებულის ნება იქნეს პატივცემული. ის „ერცვლდება სისხლის სამართალწარმოებაში არა ისეთი მტკიცებულებების გამოყენებაზე, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნეს ბრალდებულის იძულების შედეგად, არამედ რომლებიც ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორცაა შესაბამისი სასამართლო ნებართვის საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, სისხლისა და შარდის ანალიზები და სხეულის ქსოვილი დნმ-ის ანალიზისთვის“<sup>1673</sup>.

საკამათოა, რამდენად ეხება ეს ასევე დოკუმენტაციის წარმოდგენას. გამონაკლისი განხილულია ისეთ შემთხვევებთან კავშირში, როდესაც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისთვის ზუსტად არის ცნობილი დოკუმენტების არსებობის შესახებ. ამბობენ, რომ ეს შეიძლება გახდეს, დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით, პირის იძულების გამართლების საფუძველი. თუმცა ზოგიერთი ავტორის აზრით, ასეთი გამონაკლისის დაშვება მიუღებელია<sup>1674</sup>.

## 2. ვინაობის გამხელა

სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული არ არის ვალდებული თქვას რაიმე. თუმცა ამ წესიდან არის ერთი საყოველთაოდ აღიარებული გამონაკლისი: არ არსებობს ანონიმურობის უფლება და შესაბამისად, პირს შეიძლება კანონიერად მოსთხოვონ თავისი ვინაობის გამჟღავნება. ამას არ ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები, თუმცა მკაფიოდ ნერია სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ ჟენევის მესამე კონვენციაში, რომ „ყველა სამხედრო ტყვე ვალდებულია, თუ შეეკითხებიან ამის შესახებ, გაამჟღავნოს თავისი გვარი, სახელი და ნოდება, დაბადების თარიღი და არმიის, ქვედანაყოფის, პირადი ან სერიული ნომერი, ან სხვა შესატყვისი ინფორმაცია“<sup>1675</sup>.

გონიერულია მივიჩნიოთ, რომ აღნიშნული ფუნდამენტური წესი ვრცელდება ომის კონტექსტის მიღმაც. შეუძლებელია პირს ჰქონდეს საკუთარი ვინაობის დამალვის უფლება. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, საჭიროებს სხვებთან ურთიერთობებს და ასეთი ურთიერთობები ვერ იქნება აზრიანი, თუ პირი უარს ამბობს საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე.

თუმცა არ შეიძლება ამ საკითხის მნიშვნელობის გადაფასება. ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ვინაობის გამხელის ზოგადი ვალდებულება პრაქტიკაში უზრალოდ ნიშნავს იძულების გარკვეული ფორმების გამოყენების შესაძლებლობას იმისათვის, რომ მოხდეს პირის მოტივირება. ჟენევის მესამე კონვენციის მიხედვით: „დაუშვებელია იმ სამხედრო ტყვეების დაშინება, შეურაცხყოფა ან მათ მიმართ არასასიამოვნო ან არასახარბიელო მოპყრობა, რომლებიც არ პასუხობენ კითხვებს“<sup>1676</sup>. თუმცა, როდესაც პატიმარი არ გაამჟღავნებს აღნიშნულ ინფორმაციას, „ის შეიძლება დაექვემდებაროს იმ პრივილეგიების შეზღუდვას, რომლებიც ეკუთვნოდა ნოდებიდან და სტატუსიდან გამომდინარე“<sup>1677</sup>. ადვილი არ არის შესაბამისი სანქციების განსაზღვრა მშვიდობის დროს. შესაძლებელი უნდა იყოს ჯარიმის გამოყენება, რომელიც პირს უნდა დაეკისროს მხოლოდ

<sup>1672</sup> შედრ. შლაური (2003) 107 et seq.

<sup>1673</sup> *სონდერსი (Saunders) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §69.

<sup>1674</sup> შლაური (2003) 15, 183.

<sup>1675</sup> სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ ჟენევის III კონვენცია, 1949, მე-17(1) მუხლი.

<sup>1676</sup> *Ibid.*, მე-17(2) მუხლი.

<sup>1677</sup> *Ibid.*, მე-17(2) მუხლი.

ერთხელ. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე შეიძლება ასევე იყოს მისაღები. ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია საემიგრაციო კონტროლის კონტექსტში, ვიდრე სისხლის სამართალწარმოებასთან კავშირში. ლტოლვილები ხშირად ანადგურებენ თავიანთი ვინაობის დამადასტურებელ საბუთებს ან არ ამჟღავნებენ საკუთარ მოქალაქეობას ან უბრალოდ იტყუებიან, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის ქვეყნიდან მათ გაძევებას<sup>1678</sup>.

### III. პრივილეგიის არაპირდაპირი შედეგი

#### ა. შესავალი

დუმილის უფლება უსარგებლო გახდება, თუ პასუხის გაცემაზე ბრალდებულის უარის განმარტებისას სასამართლოს ექნება სრული თავისუფლება. გარდა ამისა, აუცილებელია გარკვეული გარანტიების არსებობა ზნეობის შედეგად მიღებული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების წინააღმდეგ. ეს წესი მოცემულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის მე-15 მუხლში<sup>1679</sup>: „ყოველი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც დადგინდა, რომ გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად ნებისმიერი სასამართლო განხილვის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც განცხადების გაკეთების მტკიცებულება.“

ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მესამე პუნქტი, რომელიც ეხება იგივე საკითხს, ერთდროულად უფრო ფართოდ არის და ვიწროც. ის ვიწროა იმ თვალსაზრისით, რომ ეხება მხოლოდ აღიარებას. აღიარება ფართოდ უნდა განიმარტოს, რათა მოიცვას ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება. მეორე მხრივ, ის ფართოა, რადგან კრძალავს ისეთ ჩვენებებს, რომლებიც არამართო წამების, არამედ უფრო ნაკლები ხარისხის იძულების შედეგად იქნა მიღებული.

#### ბ. დუმილის საფუძველზე უარყოფითი დასკვნების გაკეთება

1. *ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*  
ძირითადი პრინციპი, რომ დუმილის უფლება მოიცავს დუმილის საფუძველზე სასამართლოს მიერ უარყოფითი დასკვნების გამოტანის აკრძალვას არ არის სადავო საკითხი. შეუძლებელია იმის შეფასება, რა ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა შეუძლია მდუმარე მოწმეს მოსამართლეზე. პრაქტიკაში ეს წესი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დაუშვებელია ბრალდებულის დუმილზე ისეთი მინიშნების გაკეთება, რაც შეიძლება გულისხმობდეს ამ ფაქტორის გათვალისწინებას პირის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანაში.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორიზთან ბრძოლის შედეგი იყო ისეთი კანონმდებლობის მიღება, რაც ნაწილობრივ შორდება აღნიშნულ პრინციპს. სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ 1988 წლის ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით:

<sup>1678</sup> მანიტუ გიამა (Manitu Giama) ბელგიის წინააღმდეგ. საქმე დასრულდა მორიგებით.

<sup>1679</sup> მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს.

გარემოებები, რომელთა საფუძველზე შეიძლება დასკვნების გაკეთება ბრალდებულის მიერ კონკრეტული ფაქტების გაუმჟღავნებლობიდან მისი დაკითხვისას, ბრალდების წარდგენისას და ა.შ.

(1) როდესაც პირის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დროს არსებობს მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა:

- ა) დანაშაულის ჩადენის ბრალდების წარდგენამდე, კონსტაბლის მიერ დაკითხვისას ... არ განაცხადა რაიმე გარემოების შესახებ, რომელსაც დაეყრდნო თავის დაცვაში ამ სამართალწარმოებაში; ან
- ბ) დანაშაულის ჩადენის ბრალდების წარდგენის ან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმირებისას არ განაცხადა ასეთი გარემოების შესახებ, როდესაც არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ბრალდებულის მიმართ არსებობდა მისი გამჟღავნების გონიერული მოლოდინი ასეთი დაკითხვის, ბრალდების წარდგენის ან ინფორმირებისას, ამ შემთხვევაში მოქმედებს მე-2 პუნქტი.

(2) როდესაც ეს პუნქტი გამოიყენება:

- ა) სასამართლოს, იმ საკითხის გადანყვეტიას, განიხილოს თუ არა ბრალდებულის საქმე ან არსებობს თუ არა ბრალდების საფუძველი,
- ბ) ...
- გ) სასამართლოს ან ნაფიც მსაჯულებს, ბრალდებულის ბრალულობის განსაზღვრისას, შეუძლიათ:
  - i. ბრალდებულის დუმილის საფუძველზე გამოიტანონ ჯეროვანი დასკვნები;
  - ii. ამ დასკვნების საფუძველზე განიხილონ დუმილი, როგორც ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული იმ მტკიცებულების დადასტურება, რომელსაც დუმილი უკავშირდება ...<sup>1680</sup>

ეს ნორმები იქცა რამდენიმე, მათ შორის, *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმეში ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი. პოლიციის თანამშრომლებმა განმცხადებელი აღმოაჩინეს სახლში, სადაც ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას დატყვევებული ჰყავდა პოლიციის ინფორმატორად მიჩნეული პირი. სახლში შესვლისას პოლიციელებმა დაინახეს, როგორ ჩამოდიოდა სახლის კიბეებზე განმცხადებელი; მეორე სართულზე იმყოფებოდა პატიმარი. განმცხადებელს განუმარტეს დუმილის უფლება; მას არ მიუცია რაიმე ჩვენება გამოძიების დროს ან სასამართლოში საქმის განხილვისას. ის იქნა გაფრთხილებული: „თქვენ შეგიძლიათ არაფერი თქვათ, თუ არ გსურთ, მაგრამ უნდა გააფრთხილოთ, რომ თუ არ განაცხადებთ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც თქვენი დაცვა დაეყრდნობა სასამართლოში, თქვენი უარი შეიძლება სასამართლოში გამოყენებული იქნეს თქვენს წინააღმდეგ შესაბამისი მტკიცებულებების გასამყარებლად. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ რაიმეს თქმა, გაფრთხილებთ, რომ რასაც იტყვით, შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად“<sup>1681</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა ისარგებლა დუმილის უფლებით, ის საბოლოოდ მაინც იქნა მსჯავრდებული. მოსამართლემ შემდეგი განცხადება გააკეთა: „დამაკმაყოფილებლად ვთვლი დასკვნას, რომ როდესაც ის სახლში იმყოფებოდა, მას ჰქონდა ურთიერთობა პირთან, რომელსაც ჰყავდა დატყვევებული

<sup>1680</sup> *ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 27.

<sup>1681</sup> *Ibid.*, § 11.

„ლ“ და იცოდა, რომ „ლ“ იმყოფებოდა ტყვეობაში. მე ასევე გამოვიტანე საკმაოდ მყარი დასკვნები 1988 წლის ბრძანების მე-6 მუხლის საფუძველზე, იმ ფაქტიდან, რომ მან ვერ შეძლო მოცემულ სახლში მისი ყოფნის ახსნა და ასევე ბრძანების მე-4 მუხლის საფუძველზე, იმ ფაქტიდან, რომ მან არ წარმოადგინა საკუთარი თავის გამამართლებელი მტკიცებულებები სასამართლოში“<sup>1682</sup>.

სამართალწარმოებაში მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ორგანიზაცია *Amnesty International*, როგორც *amicus curiae*, რომელმაც განაცხადა, რომ „ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობიდან უარყოფითი დასკვნების გამოტანის დაშვება იყო იძულების ეფექტიანი საშუალება, რომლითაც მტკიცების ტვირთი ინაცვლებდა ბრალდებიდან დაცვაზე და ეწინააღმდეგებოდა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან ან თავისი ბრალეულობის აღიარებისგან დაცვის უფლებას, რადგან ბრალდებულს არ რჩებოდა გონიერული არჩევანი დუმილის უფლებით სარგებლობას, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მის წინააღმდეგ და ჩვენების მიცემას შორის“<sup>1683</sup>.

სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეული ხარისხის არაპირდაპირ იძულებას, როდესაც ბრალდებული გააფრთხილეს მის წინააღმდეგ დუმილის გამოყენების შესახებ. თუმცა, ისევე როგორც კომისიამ, ვერც სასამართლომ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა.

სასამართლომ თავდაპირველად განმარტა, რომ მისი „ფუნქცია არ იყო ზოგადად იმის შემოწმება, ბრძანების მიხედვით დასკვნების გაკეთება შეე-საბამებოდა თუ არა მე-6 მუხლის სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას“<sup>1684</sup>. მან გაიმეორა, რომ აღიარებდა პრივილეგიას: ბრალდებული დაცულია არაჯეროვანი იძულებისგან. ამის შემდეგ სასამართლომ განაცხადა:

წინამდებარე საქმეში საკითხი ეხება იმას, არის თუ არა აღნიშნული პრივილეგია აბსოლუტური იმ თვალსაზრისით, რომ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში ან მისი წინასწარ ინფორმირება, რომ დუმილი შეიძლება იქნეს გამოყენებული მის წინააღმდეგ, ყოველთვის უნდა ჩაითვალოს „არაჯეროვან იძულებად“.

ერთი მხრივ, თავისთავად ცხადია, რომ მოცემულ პრივილეგიას წინააღმდეგება მსჯავრდების დამყარება მთლიანად ან ძირითადად ბრალდებულის დუმილზე ან მის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის ან მტკიცებულებების წარმოდგენის უარზე. მეორე მხრივ ... ეს პრივილეგია ვერ უზრუნველყოფს, რომ იმ ვითარებაში, რომელიც ცალსახად მოითხოვს ბრალდებულის პასუხს, მისი უარი არ იქნება გათვალისწინებული ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შესაფასებლად.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადგილი ჰქონდა გარკვეული ხარისხის არაჯეროვან იძულებას, თუმცა ეს არ იყო „გადამწყვეტი“. მისი აზრით, დაცვის სხვა გარანტიები, როგორიცაა გაფრთხილება და ბრალდების მიერ „*prima facie*“ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება, საკმარისი იყო. ძირითადი არგუმენტი, როგორც ჩანს, იყო შემდეგი:

<sup>1682</sup> *Ibid.*, §25.

<sup>1683</sup> ჯონ მიური (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §42.

<sup>1684</sup> *Ibid.*, §44.

ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა გაირკვეს, არის თუ არა ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად მყარი, რათა საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას. ეროვნული სასამართლო ვერ დაადგენს პირის ბრალეულობას მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ მან დუმილის უფლებით სარგებლობა ამჯობინა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები საჭიროებს ახსნა-განმარტებას, რომელიც ბრალდებულს შეუძლია გააკეთოს, მისი დუმილის საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ არ არსებობს ახსნა და ბრალდებული დამნაშავეა. მეორე მხრივ, თუ ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს იმდენად მცირე მტკიცებულებითი ღირებულება აქვს, რომ არ მოითხოვს ახსნა-განმარტებას, დუმილის საფუძველზე დაუშვებელია პირის ბრალეულობის შესახებ დასკვნის გამოტანა<sup>1685</sup>.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის სახლში ყოფნა მოითხოვდა ახსნა-განმარტებას და ამ მხრივ მისი დუმილი ნიშნავდა, რომ მას არ ჰქონდა „გამამართლებელი“ ახსნა.

კომისიის წევრი ბატონი ბიუსუტილი არ დაეთანხმა უმრავლესობას ძირითადად იმ მოტივით, რომ ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იყო სუსტი. სასამართლოში გადაწყვეტილებას ხუთი მონიშნაღმდეგე ჰყავდა. მოსამართლე უოლშის განსხვავებული აზრი დაეყრდნო ძირითადად ბრიტანულ და ამერიკულ სამართალს, ხოლო მოსამართლე პეტიტიმ ასევე მიუთითა შედარებით სამართლებრივ ელემენტებზე. როგორც ჩანს, ორივე უარყოფდა დუმილის უფლებიდან რაიმე გამონაკლისის არსებობას, თუმცა არც ერთმა არ შემატა რაიმე თეორიული ასპექტი უმრავლესობის არგუმენტს.

## 2. პრეცედენტული სამართალი *ჯონ მიურეის* (John Murray) საქმის შემდეგ

სასამართლო იგივე დასკვნამდე მივიდა საქმეში *აერილი (Averill) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა მკვლელობას. საქმეში *კონდრონი (Condron) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ცოლ-ქმარი იყო მსჯავრდებული ნარკოტიკული დანაშაულისთვის. განმცხადებლებმა დამცველის რჩევის საფუძველზე, ამჯობინეს დუმილის უფლების გამოყენება. მოგვიანებით, მათ გააკეთეს განცხადება სასამართლო განხილვაზე და განმარტეს დუმილის უფლების გამოყენების მიზეზი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ დამცველი არ იყო დარწმუნებული, რამდენად შეეძლოთ განმცხადებლებს დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა. მოსამართლემ განუცხადა ნაფიც მსაჯულებს, რომ ვერდიქტის გამოტანისას მათ შეეძლოთ ბრალდებულების მიერ დუმილის უფლების გამოყენების ფაქტის მხედველობაში მიღება. საკმაოდ დახვეწილი მსჯელობით, ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას. სასამართლომ ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეში *ბექლსი (Beckles) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

ერთადერთი საქმე რომელიც ამ თვალსაზრისით ეხება კონტინენტურ ევროპას, არის *ტელფნერი (Telfner) ავსტრიის წინააღმდეგ*. განმცხადებლის მანქანა მოყვა ავარიში. მან განაცხადა, რომ შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა საჭესთან. მისმა დედამ და დამ, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ,

<sup>1685</sup> *ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §51.



უარი თქვეს განმცხადებლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ტელფნერი იქნა მსჯავრდებული, რადგან ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მოცემული მანქანით სარგებლობდა; ავარიის დღეს ის მთელი დღის განმავლობაში არ იმყოფებოდა სახლში და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. განმცხადებელმა ასევე უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმისგან განსხვავებით, ამ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იყო ისეთი, რომ ბრალდებულის დუმის საფუძველზე ერთადერთი კეთილგონივრული დასკვნა ყოფილიყო ის, რომ განმცხადებელს არ შეეძლო მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის ახსნა<sup>1686</sup>. განაცხადი შეეხებოდა მე-1 მუხლის მეორე პუნქტს და სასამართლომ დაადგინა გარანტიის დარღვევა.

დაბოლოს, კონვენციის დარღვევა საკმაოდ ცალსახა იყო ირლანდიის წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეში. სასამართლომ დაადგინა, რომ „იძულების ის ხარისხი, რაც გამოყენებული იყო განმცხადებლების მიმართ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ 1939 წლის აქტის 52-ე მუხლის საფუძველზე, მათთვის წარდგენილი ბრალდებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ხელყოფდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპის არსს და დუმის უფლებას<sup>1687</sup>. ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-1 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დარღვევა.

### 3. შეფასება

ევროპული კონვენციის მიხედვით, დუმის უფლების იმპლემენტაციის პრაქტიკა შედარებით ახალია და საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი. ამ მოსაზრებას მრავალი ავტორი იზიარებს<sup>1688</sup>. ემონანილეობდი რა კომისიის ანგარიშის მიღებაში *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმეში და მიეცეოდა რა ხმა უმრავლესობის სასარგებლოდ, მე დღემდე ვინაობ ამ გადაწყვეტილებას<sup>1689</sup>. საკითხი საკმაოდ დელიკატურია. ძალზე მყიდვეა ზღვარი ბრალდებულის უსამართლო დილემის წინაშე დაყენებასა და მტკიცებულებათა კეთილსინდისიერი შეფასების ხელშეწყობას შორის. სინამდვილეში, *ჯონ მიურეის (John Murray)* თუ *ავერილის (Averill)* საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, რთული არ არის იმის წარმოდგენა, რომ მოსამართლეს ცალსახად შეეძლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ბრალდებულის დუმის უფლებების მინიმუმების გარეშე.

<sup>1686</sup> ტელფნერი (Telfner) ავსტრიის წინააღმდეგ, § 17.

<sup>1687</sup> ჰინი (Heaney) და მაკგინესი (McGuinness) ირლანდიის წინააღმდეგ, § 55; კინი (Quinn) ირლანდიის წინააღმდეგ, § 56.

<sup>1688</sup> ბუისუ (2002-3) 19, 85; ოზოილი (2000) 1037; ეერნიორი (2005) 312.

<sup>1689</sup> თუმცა კრიტიკისთვის იხ. შლაური (2003) 366 et seq.

## გასაჩივრების უფლება

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

ყველას, ვინც მსჯავრდებულია დანაშაულისთვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება და მისთვის დანიშნული სასჯელი, კანონის შესაბამისად, გადაისინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(5) მუხლი.*

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაისინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამ უფლების განხორციელება, მათ შორის მისი განხორციელების საფუძვლები, ნესრიგდება კანონით.

2. ამ უფლებიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, კანონით გათვალისწინებული წესით, ან როდესაც უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ პირი გაასამართლა პირველი ინსტანციის წესით, ან პირს მსჯავრი დაედო მისი გამართლების გასაჩივრების შედეგად.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმი, მე-2 მუხლი.*

1... მისი საქმის განხილვისას ყველა პირს აქვს უფლება, სრული თანასწორობის საფუძველზე, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები:  
თ) ჰქონდეს ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(2) მუხლი.*

ზემოთ მოყვანილ დებულებათა შედარებისას აღმოვაჩინეთ, რომ გარანტიების ფარგლები განსხვავებულია. ამერიკული კონვენციის ნორმა ძალზე მოკლეა, საერთაშორისო პაქტი შედარებით უფრო კონკრეტული, ხოლო ევროპულ კონვენციაში დაზუსტებულია სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა და მოცემულია სამი გამონაკლისი. თუმცა რთულია ამ განსხვავებათა პრაქტიკული შედეგის აღმოჩენა პრეცედენტულ სამართალში.

#### ბ. გარანტიის წარმოშობა

გასაჩივრების უფლება საკმაოდ გვიან გამოჩნდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციასთან დაკავშირებულ დებატებში. პირველად აღნიშნული გარანტია ისრაელის დელეგატმა ბატონმა ბარორმა შესთავაზა გენერალური ასამბლეის მესამე კომისიას მეთოთხმეტე სესიაზე. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმის შემონახვის აუცილებლობაზე.

დაცული იქნა თუ არა მე-14 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ბულგარეთის წარმომადგენლის ბატონი ჩობანოვის კითხვაზე პასუხის გაცემისას, მან მკაფიოდ განაცხადა, რომ არ გულისხმობდა სამართლებრივი დაცვის სპეციალურ საშუალებას, როგორცაა გასაჩივრება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ახალი მტკიცებულებების წარდგენა, არამედ გადასინჯვის უფრო ზოგადი უფლება პქონდა მხედველობაში. თავდაპირველად ის სთავაზობდა გამონაკლისის დაშვებას წერილობრივი დანაშაულებისთვის, თუმცა ამის გაზიარება არ მოხდა, რადგან არსებობდა შიში, რომ ვერ მიიღწეოდა შეთანხმება ერთგვაროვან უნივერსალურ დეფინიციაზე.<sup>1690</sup>

ის ფაქტი, რომ აღნიშნული სესია გაიმართა 1959 წელს ნათელს ხდის, თუ რატომ არ იქნა შეტანილი ანალოგიური უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში. ევროპული კონვენციის მომზადებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე ადამიანი ასევე ჩართული იყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შექმნის პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რენე კასინი, რომელიც 1950 წლის მონაპოვარის მთავარი შემოქმედი იყო. პაქტის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ, ევროპის საბჭომ დაიწყო ტექსტების შედარება. ამ ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა ექსპერტთა კომიტეტმა გამოსცა ანგარიში, სადაც საუბარი იყო არანაკლებ 30 განსხვავებაზე ორი ხელშეკრულების მატერიალურ ნაწილში, თუმცა რამდენიმე მათგანი უმნიშვნელო დეტალებს შეეხებოდა.<sup>1691</sup>

ამის შემდეგ საპარლამენტო ასამბლეამ გადაწყვიტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში უნდა შესულიყო ცვლილებები, რათა მასში ასახულიყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში ჩამოყალიბებული სტანდარტები.<sup>1692</sup> ეს არ იყო ჩქარი პროცესი. ოთხი წელი გავიდა, ვიდრე მინისტრთა კომიტეტს ფორმალურად დაევალებოდა ამ ეტაპის მომზადება.<sup>1693</sup> *Inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და კომისიასთან წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებული იქნა მე-7 ოქმი. მას დიდი ენთუზიაზმით არ შეხედდრიან.<sup>1694</sup> იმის გათვალისწინებით, რომ 30 განსხვავება იქნა დაფიქსირებული, მატერიალური უფლებების შემცველი მხოლოდ ხუთი მუხლის დამატება შეიძლება გარკვეულწილად არასაკმარისად ჩაითვალოს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეიძლებოდა სამიში ყოფილიყო ყველა იმ უფლების კოდიფიცირება, რომელიც მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული კონვენციაში. ამის კარგი მაგალითია პაქტის მე-14 მუხლის მე-3(გ) პუნქტში

<sup>1690</sup> ეაისბროდტი (2001) 74.

<sup>1691</sup> ექსპერტთა კომიტეტის მიერ მინისტრთა კომიტეტისთვის მომზადებული ანგარიში: ადამიანის უფლებათა შესახებ ვაეროს პაქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანაარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები; ჩამოყალიბებულ უფლებებს შორის არსებული განსხვავებები (სტრასბურგი, 1970).

<sup>1692</sup> რეზოლუცია 683 (1972). ადამიანის უფლებების თემაზე საპარლამენტო კონფერენციის დასრულებასთან დაკავშირებით მისაღები ზომების შესახებ, საპარლამენტო ასამბლეის 24-ე სესია, მეორე ნაწილი.

<sup>1693</sup> რეკომენდაცია 791 (1976), ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპაში, საპარლამენტო ასამბლეის 28-ე სესია, მეორე ნაწილი.

<sup>1694</sup> მოსაზრება 116 (1983), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმის პროექტი, რომელიც აფართოებს კონვენციით განსაზღვრული პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების სიას, საპარლამენტო ასამბლეის 35-ე სესია, მეორე ნაწილი.

ჩამოყალიბებული თვითნიკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია. კომისიამ და სასამართლომ მოგვიანებით დაადგინეს, რომ ეს უფლება ნაგულისხმები იყო მე-6(1) მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაში. მე-7 ოქმში მისი შეტანის შემთხვევაში რთული იქნებოდა იმის თქმა, რომ მე-6 მუხლი უკვე მოიცავდა აღნიშნულ უფლებას და გაძნელებოდა მისი გაერცელება გაერთიანებული სამეფოს მსგავს ქვეყნებზე, რომლებსაც არ მოუხდენიათ მექვიდე ოქმის რატიფიცირება.

კრიტიკის მიუხედავად, ოქმი ხელმოსანერად გაიხსნა 1984 წლის 22 ნოემბერს. ქვეყნებმა არ გამოიჩინეს მისი რატიფიცირების დიდი სურვილი და მხოლოდ 1988 წელს მოგროვდა რატიფიკაციათა საკმარისი რაოდენობა, რათა ოქმი ძალაში შესულიყო.<sup>1695</sup> მართალია, მას შემდეგ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მოახდინა მისი რატიფიცირება, მაინც არსებობს რამდენიმე გამონაკლისი: ანდორა, ბელგია, გერმანია, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო – ცხრა ქვეყანა 45-დან. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ არც ერთი პოსტ-კომუნისტური სახელმწიფო არ არის ამ სიაში, თუმცა ამის ახსნა იოლია: ევროპის საბჭო ორგანიზაციაში განვერიანების სავალდებულო პირობად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა მთელი „პაკეტის“ რატიფიცირებას. თუმცა ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც არ მოუხდენია მე-7 ოქმის რატიფიკაცია, ანდორის გარდა, რატიფიცირებული აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაკტი.

## გ. გასაჩივრების უფლების მიზანი

ზოგადად, გასაჩივრება ორ ძირითად მიზანს ემსახურება. პირველი, ის უზრუნველყოფს მექანიზმს, რომლის მეშვეობით მხარეებს შეუძლიათ სამართალწარმოების უფრო სასურველი შედეგით დასრულება. მეორე, გასაჩივრება ისეთ ღირებულებებს უწყობს ხელს, როგორცაა თანმიმდევრულობა, სამართლიანობა და ანესრიგებს კანონის ერთგვაროვან განმარტებას.

ადამიანის უფლებების კონტექსტში ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ პირველი ასპექტია მნიშვნელოვანი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს არ აღეღვებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ერთგვაროვანი და მართებული გამოყენება. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონის გამოყენება სრულიად თვითნებურად ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ გასაჩივრება არ ნიშნავს აუცილებლად სანაყის გადწყვეტილებასთან შედარებით უფრო სასურველი შედეგის მიღებას. ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში პროკურორს უფლება აქვს, გაასაჩივროს გაუმართლებელი ან, მისი აზრით, ზედმეტად მსუბუქი განაჩენი. მეორე მხრივ, კონვენცია არ იცავს მომჩივნას პრინციპისგან „*reformatio in pejus*“, ანუ გასაჩივრების შედეგად უფრო მკაცრი სასამართლო განაჩენის გამოტანისგან<sup>1696</sup>.

<sup>1695</sup> შეიდი ხელმონერა იყო საჭირო. ოქმი ძალაში შევიდა 1988 წლის 1-ლ ნოემბერს.

<sup>1696</sup> აღნიშნული იგულისხმება საქმეში *მონელი (Monnell)* და *მორისი (Morris)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. იხ. აგრეთვე *X გერმანიის წინააღმდეგ* (განაცხადი 3347/67) და *ლუქში (Luksch)* ავსტრიის წინააღმდეგ (განაცხადი 370735/97). საქმეში *მაგარიანი (Maghanian)* შვეიცარიის წინააღმდეგ (განაცხადი 23337/94) კომისიამ აღნიშნა, რომ მდგომარეობის გაუარესების აკრძალვა არ არის გარანტირებული კონვენციის საფუძველზე. თუმცა არ განუხილავს, შეიძლებოდა თუ არა მისი განმარტება მე-6 მუხლში ნაგულისხმებ პრინციპად.

შესაბამისად, ძალზე რთულია გასაჩივრების უფლების დახასიათება მხოლოდ დაცვისთვის სასარგებლო ინსტრუმენტად.

მიუხედავად ამისა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსგან უფრო სასურველია გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა შეგვიძლია ჩავთვალოთ დაცვისთვის გარკვეული იმედის მიცემად. გარდა ამისა, უდავოა სამართალწარმოების სამართლიანობის ხარისხზე ზეგავლენის შესაძლებლობაც. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ექვემდებარება შემდგომ გადასინჯვას, პრევენციულ ხასიათს ატარებს, კერძოდ, მოსამართლეებს უქმნის კეთილსინდისიერი მუშაობისა და შეცდომების თუ თვითნებობის თავიდან აცილების ძლიერ მოტივაციას. ამ თვალსაზრისით, გასაჩივრების უფლება დაკავშირებულია სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებასთან. დაბოლოს, მჭიდრო კავშირი არსებობს ასევე გასაჩივრების უფლებასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას შორის. ამ უკანასკნელს ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-3(ა) პუნქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 25-ე მუხლები. ადრეულ იურისპრუდენციაში სტრასბურგის ორგანოები აცხადებდნენ, რომ კონვენციის მე-13 მუხლი არ გამოიყენებოდა იმ საქმეებში, რომლებშიც მე-6 მუხლი იყო განხილვის საგანი. ასეთი მოსაზრება ემყარებოდა არგუმენტს, რომ მსგავს საქმეებში მე-13 მუხლის გამოყენება სამოქალაქო საქმეებში გასაჩივრების უფლების გარანტირების ტოლფასი იქნებოდა, ეს კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ უფლების მოქმედება სისხლის სამართლის საქმეებით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, მე-13 მუხლი არ მოითხოვს აუცილებლად სასამართლო დაცვის საშუალებას მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯოს მხოლოდ სხვა სასამართლოს მიერ. შესაბამისად, იმ საქმეებში, რომლებშიც მე-6 მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი სამართალწარმოების ხანგრძლივობის ნიადაგზე, სასამართლოს აღარ განუხილავს განმცხადებლის მტკიცება, რომ მას არ მიეცა პროცესის გაჭიანურების გასაჩივრების შესაძლებლობა<sup>1697</sup>. მას შემდეგ იურისპრუდენცია ნაწილობრივ შეიცვალა. სტრასბურგის სასამართლო ძალზე შემოფოთებული იყო (ძირითადად) სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებული საქმეების დიდი რაოდენობით. ამიტომ სასამართლომ არჩია მე-13 მუხლის ისეთი განმარტება, რომ ზოგ, მაგრამ არა ყველა, ასეთ საქმეში აღნიშნული გარანტია მოითხოვდა გარკვეული სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას. კერძოდ, სასამართლოსთვის მიმართვაზე უართან დაკავშირებული საქმეები, სასამართლოს მოსაზრებით, არ მოითხოვდა მე-13 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის მსგავს საშუალებას<sup>1698</sup>.

საბოლოოდ, საჭირო გახდა გასაჩივრების უფლების დამატება კონვენციისთვის, ვინაიდან ის პირდაპირ არ გამომდინარეობდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან. სასამართლომ, ჯერ კიდევ ძალზე ადრეულ გადაწყვეტილებებში, განაცხადა, რომ კონვენცია არ მოიცავდა აღნიშნულ უფლებას<sup>1699</sup>.

<sup>1697</sup> იხ. ტრიპოლი (Tripoli) იტალიის წინააღმდეგ, § 15.

<sup>1698</sup> კუდლა (Kudla) პოლონეთის წინააღმდეგ, § 148.

<sup>1699</sup> ბელგიაში განათლების სფეროში ენების გამოყენების მარეგულირებელი კანონების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებული საქმე (Belgian Linguistic Case), §9; დელკურ (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ, §25. შპანგერი (2001) 944.

## II. გასაჩივრების უფლების წინაპირობები

გასაჩივრების უფლების წარმოქმნის წინაპირობაა „სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულისთვის პირის მსჯავრდება“. შესაბამისად, უნდა განვიხილოთ ტერმინები „სისხლის სამართლის დანაშაული“, „მსჯავრდებული“ და „სასამართლოს მიერ“.

### ა. „სისხლის სამართლის დანაშაული“

სავსებით კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ცნებას ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს როგორც კონვენციის მე-6, ისე მე-7 ოქმის მე-2 მუხლში<sup>1700</sup>. ეს საკითხი არც კი ნამოიჭრება საერთაშორისო პაქტის ან ამერიკული კონვენციის შემთხვევაში, ვინაიდან ამ ინსტრუმენტებში ზემოთ აღნიშნული გარანტიები ერთსა და იმავე მუხლშია მოცემული. ევროპული კონვენციის შემთხვევაშიც მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან „სისხლის სამართლის დანაშაული“ ორივე მუხლში ზოგადად ერთი მნიშვნელობის მქონეა, თუმცა რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, საფრანგეთმა და იტალიამ გააკეთეს დათქმები გასაჩივრების უფლების მოქმედების ფარგლების შეზღუდვის მიზნით<sup>1701</sup>.

საფრანგეთის დათქმის მიხედვით, მე-7 ოქმის მე-2-4 მუხლებში მოცემული გარანტიები გამოიყენება მხოლოდ იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ, „რომლებიც საფრანგეთის კანონმდებლობის საფუძველზე, საფრანგეთის სისხლის სამართლის სასამართლოების იურისდიქციაში ექცევა“; ხოლო იტალიამ თავის წერილში განაცხადა, რომ ეს ნორმები ვრცელდებოდა მხოლოდ „იმ სამართალდარღვევებზე, პროცედურებზე თუ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც იტალიის კანონმდებლობის საფუძველზე, სისხლის სამართლებრივად ითვლება“.<sup>1702</sup> ეს დათქმები შეიძლება მარტივად აიხსნას როგორც რეაქცია სასამართლოს ტენდენციაზე, გამოიყენოს „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ცნების ფართო, „ავტონომიური“ განმარტება.

### ბ. „მსჯავრდება“

გასაჩივრების უფლების მოქმედების შეზღუდვით იმ პირების მიმართ, რომლებიც უკვე მსჯავრდებულნი არიან, კონვენციის მე-7 ოქმი მისდევს საპროცესო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს<sup>1703</sup>. ივარაუდება, რომ გასაჩივრების ინტერესი ქრება პირის გამართლების შემთხვევაში. თუ პირი არ იქნა მსჯავრდებული, მაშინ „მსხვერპლად“ ვერ ჩაითვლება კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი არ არის ისეთი მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, თუმცა მას ჯერ თავი არ უჩენია პრეცედენტულ სამართალში. პირველ რიგში, შესაძლებელია, პირი მსჯავრდებული იქნეს, თუმცა არ დაეკისროს რაიმე სანქცია. ასეთ შემთხვევაში, გასაჩივრების უფლება მაინც

<sup>1700</sup> გრაბენვარტერი (2003) §24 N 100.

<sup>1701</sup> იხ. ბორელი (Borelli) შეუიკარის წინააღმდეგ, განაცხადი 17571/90; დემელი (Demel) აუსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 30993/96; სიმონე (Simonnet) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 23037/93; CB და AM შეუიკარის წინააღმდეგ, განაცხადი 17443/90; იხ. აგრეთვე ტრიქსელი (1988) 202.

<sup>1702</sup> დათქმები ხელმისაწვდომია ინტერნეტში ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სამსახურის ვებ-გვერდზე; იხ. [conventions.coe.int/Treaty/EN/cadreprincipal.htm](http://conventions.coe.int/Treaty/EN/cadreprincipal.htm).

<sup>1703</sup> მათ შორის იურიდიული პირების მიმართ: Fortum Oil & Gaz OY ფინეთის წინააღმდეგ, განაცხადი 32559/96.

მოქმედებს, ვინაიდან პირს შეიძლება ჰქონდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის აღდგენის ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც გაბათილდა მსჯავრდების შედეგად.

და პირიქით, გამართლებას შეიძლება თან ახლდეს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ქონების ჩამორთმევა ან ხარჯების ანაზღაურების დაკისრება. ასეთ დროს, ინტერესის არსებობის მიუხედავად, არ არსებობს გასაჩივრების უფლება. ფაქტობრივად, აღნიშნული ინტერესი შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ინტერესის მსგავსად, რომელიც აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს. თუმცა გასაჩივრების უფლება მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში მოქმედებს და ევროპულ კონვენციაში მისი შედარებით ზუსტი ფორმულირების გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს, რომ გავრცელდეს სამოქალაქო საქმეებზეც.<sup>1704</sup>

დაბოლოს, სასამართლომ შეიძლება გაამართლოს პირი იმ საფუძველზე, რომ მას არ შეუძლია აგოს პასუხი სისხლისსამართლებრივი ნესით, თუმცა დაუნიშნოს მკურნალობა ფსიქიატრიულ ან სხვა მსგავს დანესებულებაში. ჩემი აზრით, კონვენცია უნდა იქნეს განმარტებული პირდაპირი მნიშვნელობით: არ არსებობს მსჯავრდება, არ არსებობს გასაჩივრების უფლება. ასეთი განმარტება არ დატოვებს შესაბამის პირებს დაცვის გარეშე. ამ დროს მოქმედებას იწყებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება. მართალია, ამ უკანასკნელით უზრუნველყოფილი საპროცესო გარანტიები არ არის ისეთი ძლიერი, როგორც მე-6 მუხლის შემთხვევაში, თუმცა მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არსებობს არა უმეტეს ერთი წლის ინტერვალით პატიმრობის რეგულარულად გადასინჯვის უფლება.

სამწუხაროდ, სასამართლომ თავის იურისპრუდენციაში ნაკლები ყურადღება გამოიჩინა ზემოთ განხილული განსხვავებებისადმი. *უელშის (Welch)* საქმეში სასამართლომ უყოყმანოდ განიხილა სანქცია (ქონების ჩამორთმევა და შემდგომი პატიმრობა გადაუხდებლობის გამო) სასჯელად, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ქვეყანაში ის ასეთად არ ითვლებოდა.<sup>1705</sup> შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ მსგავს საქმეებში სასამართლომ მიმართოს კონვენციის ავტონომიურ ინტერპრეტაციას და ასეთი განაჩენი ჩათვალოს „მსჯავრდებად“ იმ საქმეებშიც კი, სადაც ბრალდებული გამართლებული იქნა.

## გ. მსჯავრდება „სასამართლოს მიერ“

რამდენიმე ენობრივი ასპექტის გარდა, ერთადერთი განსხვავება ევროპულ კონვენციასა და საერთაშორისო პაქტში მოცემულ გასაჩივრების უფლების ტექსტებს შორის არის ის, რომ მე-7 ოქმის მე-2 მუხლი საუბრობს *სასამართლოს მიერ* მსჯავრდების გასაჩივრებაზე<sup>1706</sup>. ამ სხვაობის მნიშვნელობა არ არის ბოლომდე ნათელი, ვინაიდან ნებისმიერი მსჯავრდება, რომელიც არ არის სასამართლოს გადანყვეტილების შედეგი, იქნებოდა მე-6 მუხლის დარღვევა. მე ვერ ვხედავ რაიმე ნორმატიულ შინაარსს ამ სიტყვებში.<sup>1707</sup>

<sup>1704</sup> ეს შეიძლება შევადაროთ სასამართლოს პოზიციას იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებით; შედრ. *ვარი (Airey) ირლანდიის წინააღმდეგ*.

<sup>1705</sup> *უელში (Welch) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>1706</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი საუბრობს „მსჯავრდებასა და სასჯელზე“, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იყენებს სიტყვას „ან“.

<sup>1707</sup> იხ. აგრეთვე ტრექსელი (1988) 202.

ვერც პრეცედენტული სამართალი ჰფენს ნათელს აღნიშნულ საკითხს გარდა იმისა, რომ აჩვენებს ევროპული სასამართლოს მზადყოფნას, შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა ადგილი მსჯავრდებას სასამართლოს მიერ.<sup>1708</sup> აესტრიის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში თავდაპირველი გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ. ამის შემდეგ, განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ მიემართათ სასამართლო ორგანოსთვის. შედეგად, სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა მსჯავრდებას „სასამართლოს მიერ“, რომელზეც არსებობდა გასაჩივრების უფლება.<sup>1709</sup>

როგორც ფან დაიკი და ფან ჰოფი, ისე მერილსი და რობერტსონი მიიჩნევენ, რომ მითითება სასამართლოზე წარმოადგენს შემზღვეველ ელემენტს, ვინაიდან პირველ ინსტანციაში პირის მსჯავრდება იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ წარმოადგენს სასამართლოს, შეესაბამება მე-6 მუხლს, თუ ის უარს ამბობს აღნიშნულ უფლებაზე<sup>1710</sup>. თუმცა მათი არგუმენტები არ არის სარწმუნო, რადგან უფლებაზე ასეთი უარის თქმა გასაჩივრებასაც მოიცავს.

### III. პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა

#### ა. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დისკრეცია

კიდევ ერთი სხვაობა ევროპულ კონვენციასა და საერთაშორისო პაქტს შორის არის ის, რომ კონვენციის მიხედვით, გასაჩივრების უფლების განხორციელება „წესრიგდება კანონით“. ეს ფორმულირება ასევე განსხვავდება კონვენციის სხვა მუხლებისგან. აღნიშნული შეიძლება გავიგოთ როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, განსაზღვროს გასაჩივრების მარეგულირებელი სამართლებრივი წესები. თუმცა პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული წინადადება მხოლოდ საკითხის რეგულირებაში სახელმწიფოს თავისუფლებას უსვამს ხაზს.

კომისიამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ამ სფეროში სახელმწიფოებისთვის მინიჭებული დისკრეცია შეიძლება აიხსნას ევროპაში გასაჩივრების მრავალი სახეობის არსებობით: „კომისია შენიშნავს, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული წესებით რეგულირდება ზემდგომი სასამართლოს მიერ [საქმეების] გადასინჯვა. ქვეყნების ნაწილში ასეთი გადასინჯვა შემოიფარგლება სამართლებრივი საკითხებით, როგორცაა „recours en cassation“ (საფრანგეთის სამართალში) ან „Revision“ (გერმანიის სამართალში). სხვა ქვეყნებში არსებობს გასაჩივრების უფლება როგორც ფაქტობრივ გარემოებებზე, ისე სამართლის საკითხებზე; და ზოგიერთ ქვეყანაში პირმა, რომელსაც სურს ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრება, უნდა მოითხოვოს გასაჩივრების ნებართვა<sup>1711</sup>“.

<sup>1708</sup> დადებითი პასუხი ამ კითხვაზე გაიცა საქმეებში *Fortum Oil & Gaz ფინეთის წინააღმდეგ* (განაცხადი 32559/96), რომელიც ეხებოდა კონკურენციის საბჭოს და *დიდო (Didier) საფრანგეთის წინააღმდეგ* (განაცხადი 58188/95), რომელიც უკავშირდებოდა საფინანსო ბაზრის საბჭოს.

<sup>1709</sup> იხ. *ჰუბნერი (Hubner) აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 34311/96; *HS აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 26510/95; *ჰორსტი (Hors) აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 25809/94; *ჰაუსერი (Hauser) აესტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 26808/95.

<sup>1710</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 686; მერილსი და რობერტსონი (2001) 264, 96; იხ. აგრეთვე პარისი, ო'ბოილი და უორბრიკი (1995) 567.

<sup>1711</sup> *Peterson Sarpborg AS და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 25944/94; *ჰუბნერი*



სახელმწიფოებს აქვთ „მუფასების ფართო ფარგლები“ („wide margin of appreciation“)<sup>1712</sup> „დისკრეცია“ („faculté de décider“)<sup>1713</sup>, „pouvoir discrétionnaire“<sup>1714</sup>, ან იტოვებენ უფლებას, თავად გადაწყვიტონ („conservent la faculté de décider“)<sup>1715</sup>. აღნიშნული ტერმინები ნათლად გვიჩვენებს, რომ დისკრეცია იმაზე ფართოა, ვიდრე „მუფასების ფარგლები“ გულისხმობს კონვენციის მე-8-11 მუხლების კონტექსტში. მე-7 ოქმის განმარტებითი ბარათის თანახმად, გასაჩივრების ყველა ფორმა, მათ შორის საჩივრის დასაშვებობის შუამდგომლობაც, საკმარისია მე-7 ოქმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს არის გასაჩივრების უფლების საქმოდ ვინრო განმარტება, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის დასაშვებობის პროცესმა შეიძლება თვით იმ უფლების განხორციელებას შეუძლოს ხელი, რომლის რეალიზებასაც ემსახურება<sup>1716</sup>. კონვენციის მიზანი არ არის სისხლის საპროცესო სამართლიდან მნიშვნელოვანი ნორმების განდევნა. ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოების საქმეებით გადატვირთვის პრობლემის გადაჭრა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით მგრძობიარეა ამ საკითხისადმი, ვინაიდან არსებული მდგომარეობით, მას ტვირთად აწევს 80 000-ზე მეტი მიმდინარე საქმე<sup>1717</sup>. თუმცა როგორც ფან დაიკი და ფან პოფი გვაფრთხილებენ, საჩივრის დასაშვებობის პროცესი ვერ დააკმაყოფილებს მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს, თუ ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, დაუშვებლად ცნოს საჩივარი მხოლოდ მიზანშეწონილობის ნიადაგზე<sup>1718</sup>. ასეთივე მიდგომას იყენებს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელმაც საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევა დაადგინა საქმეში, როდესაც პირს დაუსაბუთებლად ეთქვა უარი საჩივრის დასაშვებობაზე<sup>1719</sup>.

განსხვავებული ვითარებაა სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში. რამდენიმე საქმეში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ განკარგულებაში

(Hubner) აესტრიის ნინაალმდე, განაცხადი 32311/96; HS აესტრიის ნინაალმდე, განაცხადი 26510/95; იაკობსენი (Jakobsen) დანიის ნინაალმდე, განაცხადი 22015/93; ლანტო (Lantto) ფინეთის ნინაალმდე, განაცხადი 27665/95; დემელი (Demel) აესტრიის ნინაალმდე, განაცხადი 24208/94.

<sup>1712</sup> კრომბახი (Krombach) საფრანგეთის ნინაალმდე, §96. იხ. აგრეთვე მაგ: დიდო (Didier) საფრანგეთის ნინაალმდე, განაცხადი 58188/00; მაიშბერგერი (Meischberger) აესტრიის ნინაალმდე, განაცხადი 51941/99; Fortum Oil & Gaz ფინეთის ნინაალმდე, განაცხადი 32559/96; საუალა (Sawalha) შვედეთის ნინაალმდე, განაცხადი 64299/01.

<sup>1713</sup> HS აესტრიის ნინაალმდე, განაცხადი 26510/96; პოულსენი (Poulsen) დანიის ნინაალმდე, განაცხადი 32092/96.

<sup>1714</sup> ჰაზერი (Haser) შვეიცარიის ნინაალმდე, განაცხადი 33050/96; ალტიერი (Alien) საფრანგეთის, კიპროსის და შვეიცარიის ნინაალმდე, განაცხადი 28140/95.

<sup>1715</sup> დი ლორენცი (De Lorenzo) იტალიის ნინაალმდე, განაცხადი 69264/01; გალა (Guala) საფრანგეთის ნინაალმდე, განაცხადი 64117/00; მარიანი (Mariani) საფრანგეთის ნინაალმდე, განაცხადი 43640/98; ლოვენგუთი (Loewenguth) საფრანგეთის ნინაალმდე, განაცხადი 53183/99; დეპერეი (Deperret) საფრანგეთის ნინაალმდე, განაცხადი 48203/99.

<sup>1716</sup> კრიტიკისთვის იხ. აგრეთვე შანგერი (2001) 949. ოუევი და უაითი (2002) 197; გრანენვარტერი (2003) §24 N 101. აღნიშნული ავტორებიც ეჭვობენ, რომ საჩივრის დასაშვებობის პროცესი არ აკმაყოფილებს ოქმის მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩათვალა, რომ შვედეთში საჩივრის დასაშვებობის პროცესის შემოღებას შეიძლება გამოეწვიოს სირთულეები: ვაისბროდტი (2001) 150.

<sup>1717</sup> აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, კონვენციის რეფორმირების გეგმებზე იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2004 წლის 13 მაისის მე-14 ოქმი, რომელიც შეეხება კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანას.

<sup>1718</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 687.

<sup>1719</sup> რეიდი (Reid) იამაიკის ნინაალმდე.

ერთადერთი სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით იყო ზემდგომი სასამართლო, რომელსაც შეზღუდული უფლებები ჰქონდა. კერძოდ, მას შეეძლო მხოლოდ კანონის სწორად გამოყენების კონტროლი და საპროცესო ხარვეზების გამოვლენა. საჩივრის დასაშვებობა იყო განხილვის საგანი, მაგალითად, რამდენიმე სკანდინავიურ საქმეშიც. განმცხადებლების მოთხოვნები ყველა ამ საქმეში აშკარად დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი<sup>1720</sup>.

იგივე ბედი ენია განმცხადებელთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებმაც არასწორად გაიგეს მე-7 ოქმის მე-2 მუხლი და ითხოვნენ სრულ გასაჩივრებას, ანუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ როგორც ფაქტების, ისე სამართლებრივი საკითხების განხილვას. კომისიამ და სასამართლომ დაუშველად ცნეს მათი განაცხადები<sup>1721</sup>.

დღემდე სასამართლომ მხოლოდ ერთ საქმეში, *კრომბახი (Krombach)* საფრანგეთის წინააღმდეგ, დაადგინა კონვენციის დარღვევა. განმცხადებელი დაუსწრებლად იქნა მსჯავრდებული პარიზის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. მისთვის ცნობილი იყო სამართალწარმოების შესახებ, თუმცა საზღვარგარეთ დარჩენა ამჯობინა. განმცხადებლის მტკიცებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 636-ე მუხლის თანახმად, მას სრულად ჩამოერთვა საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოები ფართო დისკრეციით სარგებლობენ გასაჩივრების რეგულირების საკითხში, თუმცა გასაჩივრების უფლება განხილული უნდა იქნეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ერთ-ერთ ასპექტად. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება არ არის შეუზღუდავი, ნებისმიერი გამონაკლისი „უნდა ემსახურობდეს კანონიერ მიზანს და არ ხელყოფდეს თავად უფლების არსს“<sup>1722</sup>. ამ საქმეში სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს სურდა საპროცესო საკითხის დაყენება ზემდგომი სასამართლოს წინაშე. კერძოდ, განმცხადებლის დამცველებს არ მიეცათ სასამართლოში შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა მისი არყოფნის გამო<sup>1723</sup>.

როგორც ზემოთ ითქვა, ევროპული კონვენციის მიხედვით, გასაჩივრება შეეხება მსჯავრდებლას ან სასჯელს, საერთაშორისო პაქტი კი საუბრობს მსჯავრდებისა და სასჯელის გასაჩივრებაზე. ევროპული კონვენციის ტექსტი

<sup>1720</sup> Peterson Sarpsborg AS და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 25944/94; EM ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 20087/92; ნასი (Näss) შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 18066/91; CPH შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 20959/92.

<sup>1721</sup> შედრ. ავსტრია (უზუნავსი სასამართლო): სინოვატი (Sinowatz), განაცხადი 18962/91; ჰანაკი (Hannak), განაცხადი 70883/01; პესტი (Pesti) და ფროდლი (Frodli), განაცხადი 27618/95. ავსტრია (ადმინისტრაციული სასამართლო): ვე (Weh) და ვე (Weh), განაცხადი 38544/97; ჰაუზერი (Hauser), განაცხადი 26808/95; IH, MeH, RH & MuH, განაცხადი 42780/98; ჰუნერი (Hubner), განაცხადი 34311/96; დემელი (Demel), განაცხადი 24208/94; ჰორსტი (Horsl), განაცხადი 25809/94. საფრანგეთი (საკასაციო სასამართლო): ლოვენგუთი (Loewenguth), განაცხადი 53183/99; გალა (Guala), განაცხადი 63117/00; ფელდმანი (Feldmann), განაცხადი 53426/99; მარიანი (Mariani), განაცხადი 43640/98; დეპეროი (Deperois), განაცხადი 48203/99. იტალია (საკასაციო სასამართლო): დი ლორენცო (De Lorenzo), განაცხადი 69264/01; კვიალკოვსკა (Kwialkowska), განაცხადი 52868/99; ემანუელი (Emmanuello), განაცხადი 35791/97; ლუქემბურგი (საკასაციო სასამართლო); NW, განაცხადი 19715/92; შვეიცარია (საკასაციო სასამართლო): ჰაზერი (Haser), განაცხადი 33050/96; ვარიდელი (Wandel), განაცხადი 39765/98. მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ასევე ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ საქმეში პერერა (Perera) ავსტრალიის წინააღმდეგ.

<sup>1722</sup> კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 96.

<sup>1723</sup> *Ibid.*, § 100.

პოტენციურად შეცდომაში შემყვანია. ამით შეიძლება აიხსნას ფან დაიკისა და ფან პოფის ვარაუდი, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, უზრუნველყონ ამ ორიდან მხოლოდ ერთის გასაჩივრება<sup>1724</sup>. თუმცა იმის თქმა, რომ ევროპული კონვენციით გარანტირებულია გასაჩივრება, მხოლოდ მსჯავრდების წინააღმდეგ, იქნებოდა გარანტიის დანიშნულების ხელყოფის ტოლფასი. ევროპული კონვენციის დებულება შეიძლება მხოლოდ იმას გულისხმობდეს, რომ დასაშვებია საჩივარი შემოიფარგლოს სასჯელის გასაჩივრებით. ასეთ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც პირმა აღიარა დანაშაული<sup>1725</sup>. ასეთი აღიარება ვერ ჩაითვლება დაკისრებული სასჯელის გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმად.

სახელმწიფოთა დისკრეცია კიდევ უფრო ფართოა გასაჩივრების უფლების განხორციელების გზებთან დაკავშირებით, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორცაა წერილობითი ფორმა, დასაბუთების მოთხოვნა და ვადები<sup>1726</sup>. თუმცა ეს პირობები არ უნდა იყოს იმდენად შემზღუდველი, რომ „ხელყოს თავად უფლების არსი“<sup>1727</sup>.

## ბ. „ზემდგომი სასამართლო“

მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საჩივარი განიხილოს „ზემდგომმა სასამართლომ“ არ არის განსაკუთრებული შინაარსის მატარებელი. მე-6 მუხლის საფუძველზე პირის მსჯავრდება ისედაც სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევას ექნებოდა ადგილი, თუ პირის მსჯავრდებას გადასინჯავდა ნებისმიერი სხვა ორგანო, რომელსაც არ ექნებოდა სასამართლოსთვის დამახასიათებელი ნიშნები<sup>1728</sup>. პრეტენდენტულ სამართალში ამ კრიტერიუმს რაიმე გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. საფრანგეთის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთი საქმეში ევროპულმა სასამართლომ გადანყვიტა, რომ „გადანყვიტელობების გადასინჯვისას... *Council d'Etat* უფლებამოსილია, განიხილოს საქმის ყველა ასპექტი, ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ისიც „სასამართლო ორგანოა, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია“ და შესაბამისად, „სასამართლოა“<sup>1729</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფისთვის საკმარისი არ იქნება, თუ საქმეს გადასინჯავს იგივე სასამართლო. ეს საკითხი იქნა განხილული ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქმეში *კონსუელო სალგარ დი მონტეხო (Consuelo Salgar de Montejo) კოლუმბიის წინააღმდეგ*<sup>1730</sup>.

## IV. გამონაკლისები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისგან განსხვავებით, ევროპული

<sup>1724</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 686.

<sup>1725</sup> იხ. ნილსენი (*Nielsen*) დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 19028/91; იაკობსენი (*Jakobsen*) დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 22015/93.

<sup>1726</sup> შპანგერი (2001) 946.

<sup>1727</sup> კრომბახი (*Krombach*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §96.

<sup>1728</sup> თუმცა ერაყის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა კომიტეტს უმტიციებდა, რომ პრეზიდენტთან გასაჩივრება აკმაყოფილებდა მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს; მაკგოლდრიქი (2001) 10.21.

<sup>1729</sup> დიდიე (*Didier*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 58188/00.

<sup>1730</sup> კონსუელო სალგარ დი მონტეხო (*Consuelo Salgar de Montejo*) კოლუმბიის წინააღმდეგ, §168.

კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი ითვალისწინებს სამ გამონაკლისს გასაჩივრების უფლებიდან.

## ა. წერილმანი დანაშაულები

პირველი გამონაკლისი შეეხება „მცირე მნიშვნელობის დანაშაულებს“ – საკითხი, რომელიც განიხილებოდა პაქტის მომზადების დროს, მაგრამ შემდგომში უარყოფილი იქნა. ის ნაწილობრივ განასახიერებს პრინციპს „*de minimis non curat praetor*“ და ემსახურება მიზანშეწონილობას სისხლის სამართლის პროცესში. ეს გამონაკლისი „კანონით უნდა იყოს განსაზღვრული“; დაუშვებელია, სახელმწიფოებს ჰქონდეთ დისკრეცია, ყოველ კონკრეტულ საქმეში გადაწყვიტონ დანაშაული „მცირე მნიშვნელობისაა“ თუ არა.

აღნიშნულ კრიტერიუმთან მიმართებაში ერთმანეთისგან განასხვავებენ აბსტრაქტულ და სპეციალურ მიდგომებს. აბსტრაქტული მოდელის მიხედვით, იმის განსაზღვრისას, დანაშაული მცირე მნიშვნელობისაა თუ არა, გამდმყვეტი ელემენტია კანონით გათვალისწინებული სასჯელი. განმარტებითი ბარათი მხარს უჭერს აღნიშნულ მიდგომას, როდესაც აცხადებს, რომ „მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ის, დანაშაული ისჯება თუ არა თავისუფლების აღკვეთით“<sup>1731</sup>. მეორე მხრივ, სპეციალური მოდელის თანახმად, მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ კონკრეტულ საქმეში დანიშნულ სანქციას, მაგალითად, თუ განისაზღვრება ჯარიმა 100 ევროს ოდენობით. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოები სარგებლობენ საკმაოდ ფართო დისკრეციით.

ორი მოდელის შედარებისას, პირველი პოტენციური ხარვეზებით ხასიათდება. მაქსიმალური სასჯელი თვით ყველაზე მსუბუქი დანაშაულისთვის შეიძლება იყოს შედარებით მაღალი. მეორე მხრივ, პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ფორმალურად ითვლება მძიმე დანაშაულად (*felony, crime, Verbrechen*). ეს მოდელი დიდად არის დამოკიდებული თითოეული ქვეყნის საკანონმდებლო სტილზე. შესაბამისად, რთული იქნება გარკვეული ზღვრის დაწესება ევროპის საბჭოს წევრი ორმოცდახუთივე სახელმწიფოსთვის<sup>1732</sup>. სპეციალური მოდელი ალბათ უფრო მისაღებია, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით კონკრეტული სასჯელი განისაზღვრება. თუმცა არსებობს ამ მოდელის ბოროტად გამოყენების საფრთხე. საქმეში, რომელშიც პირის მსჯავრდება ძალზე სადავოა, მოსამართლემ შეიძლება დაადგინოს იმ მინიმუმზე ნაკლები სასაჯელი, რომელიც იძლევა გასაჩივრების შესაძლებლობას.

პრეცედენტული სამართალი არ იძლევა მკაფიო პასუხებს ამ საკითხებზე. მე-7 ოქმის რატიფიკირების დოკუმენტს დანიამ თან დაურთო დეკლარაცია, რომლის მიხედვით, „მცირე მნიშვნელობის“ მქონედ ითვლება დანაშაული, რომლისთვისაც „სასჯელის სახით კანონით განსაზღვრულზე ნაკლები ოდენობის ან ღირებულების ჯარიმის ან ქონების კონფისკაციის დაკისრება ხდება“.<sup>1733</sup> კომისიამ „მცირე

<sup>1731</sup> განმარტებითი ანგარიში, §21. შპანგერი (2001). ავტორის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ „*conl'avenzioni*“, რომელიც მხოლოდ ფულადი სანქციით ისჯება, არის „წერილმანი“ დანაშაული.

<sup>1732</sup> სინამდვილეში მათი რაოდენობა კიდევ უფრო დიდია, ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში რეგიონებს საკუთარი სისხლის სამართლის კანონები აქვთ. აბსტრაქტული მოდელის კრიტიკული მიმოხილვისთვის იხ. შარიერი (2002) N 3, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი; ფროუინი და პოიკერტი (1996) N 3, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი; გრაბენვარტერი (2003) §24 N 102; ფან დაიკო და ფან პოი (1998) 687.

<sup>1733</sup> დათქმები ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სამსახურის ვებ-გვერდზე: [conventions.coe.int/Treaty/EN/cadreprincipal.htm](http://conventions.coe.int/Treaty/EN/cadreprincipal.htm)

მნიშვნელობის" დანაშაულად მიიჩნია მთელი რიგი შემთხვევები. მაგალითად, განმცხადებლის ძალღებვის მიერ დაშვებულზე მეტი ხმაურის გამოწვევა, რომლისთვისაც მას დაეკისრა 200 შვეიცარული ფრანკის (130 ევრო)<sup>1734</sup> გადახდა<sup>1735</sup>; თავდასხმა, რომლისთვისაც განმცხადებელი დაჯარიმდა 100 შვეიცარული ფრანკის (65 ევრო) ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდებოდა წერილმან დანაშაულად და მისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი იყო სამ თვემდე თავისუფლების აღკვეთა<sup>1736</sup>; სასამართლო განხილვისთვის ხელის შეშლა, რის გამოც განმცხადებელი დაჯარიმდა 2 000 ავსტრიული შილინგის (145 ევრო) ოდენობით, ხოლო მაქსიმალური სასჯელი იყო რვა დღით თავისუფლების აღკვეთა<sup>1737</sup>.

ამ საქმეებში კომისია ხელმძღვანელობდა „სპეციალური მოდელით“ და ჩათვალა, რომ დანაშაული, რომლისთვისაც პირს ეკისრება რამდენიმე ასეული ევროს გადახდა, არის „მცირე მნიშვნელობის“. მან მხედველობაში არ მიიღო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნვის აბსტრაქტული შესაძლებლობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ კონვენციის ორგანოები ავლებენ ორ ზღვარს: პირველი, არსებობს სიმძიმის გარკვეული ხარისხი, რომლის ქვემოთ პირის ქმედება არც კი ჩაითვლება „ისიხლის სამართლის დანაშაულად“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით; მეორე, არსებობს (უფრო მაღალი) ზღვარი, რომლის ქვემოთ პირი სარგებლობს მე-6 მუხლით განსაზღვრული გარანტიით, მაგრამ არა მე-7 ოქმის მე-2 მუხლში მოცემული უფლებით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი საერთოდ არ ითვალისწინებს გამოწვევებს, თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში ეკითხულობთ შემდეგს: „მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ყველას, ვინც მსჯავრდებულია დანაშაულისთვის, აქვს უფლება, რომ მისი მსჯავრდება და მისთვის დანიშნული სასჯელი კანონის შესაბამისად, გადაისინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „დანაშაულის“ ვერსიებს სხვა ენებში („*infraction*“, „*delitto*“, „*prestuplenie*“), რაც გვიჩვენებს, რომ გარანტია არ შემოიფარგლება მხოლოდ უშიშესი დანაშაულებით“<sup>1738</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ეს განცხადება უშვებს გასაჩივრების უფლების ისეთ განმარტებას, რომელიც გამორიცხავდა ჭეშმარიტად „მცირე მნიშვნელობის“ დანაშაულებს და ამდენად, ევროპული სასამართლოს მიდგომას მიანიჭებდა უპირატესობას<sup>1739</sup>. საერთაშორისო პაქტის შემუშავების ისტორიაც მხარს უჭერს ამ მოსაზრებას<sup>1740</sup>.

<sup>1734</sup> ყველა ფულადი გაანგარიშება მიახლოებითაა და მოცემულია 2004 წლის იენისის მდგომარეობით.

<sup>1735</sup> *ფონ არქ-დერანგსი (Von Arx-Derungs) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 23269/94.

<sup>1736</sup> *LKD შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 20320/92.

<sup>1737</sup> *რაინტჰალერი (Reinthalers) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 19360/; იხ. აგრეთვე *პუტცი (Putz) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 18892/91, რომელშიც ჯარობა კიდევ უფრო დიდი იყო.

<sup>1738</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 13, §17.

<sup>1739</sup> იგივე მოსაზრებისთვის იხ. მაკოლდრიქი (2001) 10.50.

<sup>1740</sup> ნოვაკი (1993), მე-14 მუხლი, N 67.

## ბ. უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით საქმის განხილვა

განსაკუთრებული სირთულეები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები, როგორებიც არიან პრეზიდენტი, მინისტრები ან უზენაესი თუ საკონსტიტუციო სასამართლოების წევრები, ეჭვმიტანილები არიან დანაშაულის ჩადენაში. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება არა მხოლოდ იმუნიტეტის მოხნის განსაკუთრებული პროცედურები, არამედ შეიძლება დადგენილი იყოს სპეციალური წესები უფლებამოსილი სასამართლოსთვის. სტრასბურგის ორგანოებს მოუწიათ ამ საკითხების განხილვა, მაგალითად, იტალიისა<sup>1741</sup> და ბელგიის<sup>1742</sup> წინააღმდეგ საქმეებში, რომლებშიც უმაღლესი სასამართლოები პირველი ინსტანციით წყვეტდნენ საქმეს. ვინაიდან ასეთ დროს სასამართლო ხელისუფლების უფროსი მოსამართლეები არიან ჩართულნი პირველი ინსტანციის სამართალწარმოებაში, ცხადია, აღარ არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს უფრო მაღალი ინსტანცია. შარიერს არასწორად ესმის ეს გამონაკლისი, როდესაც აცხადებს, რომ საფრანგეთში თვით „უმაღლესი სასამართლოდან“ არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა საკასაციო სასამართლოში<sup>1743</sup>.

საერთაშორისო პაქტის რატიფიცირებისას შვეიცარიამ დათქმა გააკეთა ამ საკითხზე<sup>1744</sup>. ამის აუცილებლობა არ იყო, რადგან არსებობდა სამართლებრივი დაცვის საშუალება ფედერალური სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენთა წინააღმდეგ, თუმცა შეზღუდული მოცულობით. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად აღნიშნულმა დათქმამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა.<sup>1745</sup>

## გ. პირის მსჯავრდება გასაჩივრების ეტაპზე

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2(1) მუხლისა და სხვა ინსტრუმენტების შესაბამისი მუხლების სიტყვასიტყვით გამართების შემთხვევაში, საკმაოდ უხერხული ვითარება წარმოიქმნებოდა, თუ პირველ ინსტანციაში გამართებული პირი მსჯავრდებული იქნებოდა ბრალდების მიერ განაჩენის გასაჩივრების შედეგად. ასეთ დროს საჭირო გახდებოდა მესამე ინსტანციით საქმის განხილვა. შეიძლება ისეთი ვითარებაც შეიქმნას, როცა, მაგალითად, სამი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი გამართდა პირველ ინსტანციაში, მაგრამ მეორე ინსტანციაში ერთ ეპიზოდში მსჯავრდებული იქნა და ორ ეპიზოდში გამართებული. სავსებით შესაძლებელია, რომ მესამე ინსტანციაში ის ბრალეულად ცნონ მეორე ეპიზოდშიც. ეს კი ნიშნავს, რომ საჭირო იქნება მეოთხე ინსტანციის სასამართლო განხილვა. ეს შეიძლება ოდნავ გადამეტებული მაგალითი იყოს, თუმცა კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ნათელს ხდის, რომ არსებობს მხოლოდ ერთხელ გასაჩივრების უფლება.

<sup>1741</sup> *კროჩიანი (Crociati)* და *სხვები იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8603/79, 8722/79, 8723/79 და 8729/79.

<sup>1742</sup> *ქიომე (Coëme)* და *სხვები ბელგიის წინააღმდეგ*.

<sup>1743</sup> შარიერი (2002) მე-7 ოქმის მე-2 მუხლი, N 3.

<sup>1744</sup> იხ. პეფლიგერი და შურმანი (1999) 365.

<sup>1745</sup> სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ გაკეთებული დათქმებისთვის იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 69.

საქმის ასეთი ვითარება არ არის ბოლომდე მისაღები, რაც ნაწილობრივ ხსნის სასამართლოს ტენდენციას, იშვიათად გამოიყენოს აღნიშნული გამოწვევის<sup>1748</sup>. საკმაოდ უჩვეულო იყო ლანტოს (*Lanito*) საქმე. განმცხადებლები მსჯავრდებულნი იქნენ რაიონული სასამართლოს მიერ, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო მიუყვარებელი. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების გაუქმების ნაცვლად, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებლები ხელმეორედ იქნენ მსჯავრდებულნი. მათ საჩივრის დასაშვებობაზეც უარი ეთქვათ. ევროპულმა სასამართლომ უარყო განაცხადი იმ მოტივით, რომ საჩივრის დასაშვებობის პროცესი აკმაყოფილებდა მე-2 მუხლის მოთხოვნებს<sup>1747</sup>. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს არგუმენტად მოეყვანა ის, რომ განმცხადებელს უკვე გასაჩივრებელი ჰქონდა გასაწყვეტილება და ეს გარანტია არ მოიცავდა მესამე ინსტანციით საქმის განხილვას<sup>1748</sup>, ან რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ითვლებოდა ძალადაკარგულად და მე-2 პუნქტის მესამე გამოწვევის გამოიყენებოდა. ფაქტობრივად, განმცხადებლებს წაართვეს ერთი ინსტანცია და მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ პატივისცემა მოითხოვდა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას. იტალიის წინააღმდეგ განხილულ მორიგ საქმეში სასამართლომ იგივე მიდგომა გამოიყენა<sup>1749</sup>. დაბოლოს, ბოტენის (*Botten*) და პატრუშის (*Partouche*) საქმეებში ეს გამოწვევის ნათლად იქნა გამოყენებული<sup>1750</sup>.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფრო ლიბერალურ მიდგომას იყენებს საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის განმარტებისას. მან დაადგინა, რომ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს გასაჩივრებას მესამე ინსტანციის სასამართლოში, აუცილებელია ამ მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. საქმეში *ჰენრი (Henry) იამაიკის წინააღმდეგ* შემდგომი გასაჩივრება არაეფექტიანი იყო, რადგან სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება<sup>1751</sup>.

<sup>1746</sup> იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან ჰოვი (1998) 687. ავტორები სწორად შენიშნავენ, რომ გამოწვევის არ ერცელებოდა, როცა პირის გამართლება მოხდა იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ წარმოადგენს სასამართლოს.

<sup>1747</sup> ლანტო (*Lanito*) ფინეთის წინააღმდეგ, განაცხადი 27665/95.

<sup>1748</sup> ფრანგული სათაური (დაემატა მე-11 ოქმის მიღების შედეგად) არის „*Droit à un double degré de juridiction en matière pénale*“. იხ. რენუჩი (2002) N 139. გაუგებარია, რატომ ფიქრობს ეს ავტორი, რომ ნორმა პირდაპირ არ უზრუნველყოფს აღნიშნულს.

<sup>1749</sup> ემანუელი (*Emmanuello*) იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 35791/97.

<sup>1750</sup> ბოტენი (*Botten*) ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 16206/90; პატრუში (*Partouche*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 25906/94.

<sup>1751</sup> *ჰენრი (Henry) იამაიკის წინააღმდეგ*; იხ. აგრეთვე ლითლი (*Little*) იამაიკის წინააღმდეგ. სამართალწარმოების გაჭიანურებასთან დაკავშირებული პრობლემები გვხვდება შემდეგ საქმეებში: *ერლ პრატი (Earl Pratt)* და *ივან მორგანი (Ivan Morgan) იამაიკის წინააღმდეგ*, §222; *პინკი (Pinkey) კანადის წინააღმდეგ*, §101.

## მცდარი მსჯავრდებისთვის კომპენსაციის უფლება

### I. დებულებები

თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომში მისი მსჯავრდება გაუქმდა ან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, და თუ არ დამტკიცდება რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრდების გამო დანიშნული სასჯელისთვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის მიხედვით.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(5) მუხლი.*

თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომში მისი მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, და თუ არ დამტკიცდება რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრდების გამო დანიშნული სასჯელისთვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმი, მე-3 მუხლი.*

ყველა პირს აქვს უფლება, მიიღოს კომპენსაცია კანონის შესაბამისად, თუ ის მსჯავრდებულ იქნა საბოლოო განაჩენით მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების შედეგად.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-10 მუხლი.*

მხოლოდ მცირე განხვავებაა საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის დებულებებს შორის. ევროპული ვერსია მძიმეებით გამოყოფს სიტყვებს „ან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა“ და დამატებით ითვალისწინებს კომპენსაციის მინიჭების წესს „შესაბამის სახელმწიფოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“. ამერიკული კონვენციის დებულების ტექსტი გაცილებით მოკლეა. ის არ მიუთითებს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე და მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების დადგენაზე, რაც შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული, რომ ნორმის მოქმედება ვრცელდება საერთაშორისო ორგანოებზე. ეს არ იქნებოდა შესაბამისობაში ამერიკული კონვენციის ნამდვილ მნიშვნელობასთან, რადგან



ინტერ-ამერიკულ კომისიასა და სასამართლოს მიენიჭებოდათ სამართალწარმოების განახლების უფლებამოსილება. ტექსტის სიმოკლე, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ სხვა ინსტრუმენტებში მოცემული დამატებითი ასპექტები თავისთავად იგულისხმება მე-10 მუხლში.

## II. გარანტიის წარმოშობა

კომპენსაციის უფლება თავდაპირველად წარმოდგენილი იქნა პირადი თავისუფლების დაცვასთან კავშირში, სხვა სიტყვებით, ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ „მცდარი დაკავების“ შემთხვევებით.<sup>1752</sup> პირველი შემოთავაზება, რომელიც გულისხმობდა ანალოგიური უფლების განსაზღვრას მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების დროს, წამოვიდა ბატონი ინგლისისგან (ფილიპინები) 1949 წლის მარტში ადამიანის უფლებათა კომისიის მეხუთე სესიაზე<sup>1753</sup> და ხანგრძლივი დებატების საგნად იქცა. ნოვაკის მიხედვით, ეს იყო „ყველაზე სადავო დებულება“ მე-14 მუხლში.<sup>1754</sup> შემოთავაზებული ტექსტი აცხადებდა: „ყველას, ვისაც დაენიშნა სასჯელი დანაშაულისთვის მცდარი მსჯავრდების შედეგად, ექნება კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ეს უფლება გადაეცემა იმ პირის მემკვიდრებს, რომელიც სიკვდილით დაისაჯა მცდარი განაჩენის გამო“. ქალბატონი რუზეველტი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან (შეცდომით) თვლიდა, რომ ამ საკითხს უკვე მოიცავდა კომპენსაციის უფლება თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის.

დისკუსია გაგრძელდა მეხუთე სესიაზე და საბოლოოდ, აშშ და ფილიპინები შეთანხმდნენ, უარი ეთქვათ აღნიშნულ წინადადებაზე. თუმცა კენჭისყრა უკვე დაგეგმილი იყო და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მისი განხილვის გაგრძელებას.<sup>1755</sup>

მეექვსე სესიაზე დისკუსიები ძირითადად შეეხებოდა ფრანგების მიერ წარმოდგენილ პროექტს: „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომში ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, ამგვარი მსჯავრდების გამო დანიშნული სასჯელისთვის პირს უფლება ექნება, მოითხოვოს კომპენსაცია.“<sup>1756</sup> კელავაც, აშშ მითხოვდა ნორმის ამოღებას, რადგან ქალბატონი რუზეველტის მოსაზრებით, მისი განხორციელება იქნებოდა რთული და მცირე მნიშვნელობის. განხილვის ერთ-ერთი საგანი იყო, რამდენად საჭირო იყო კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების ფაქტის დადგენისთვის. სავარაუდოდ, ეს გავლენას მოახდენდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ სამართალზე სამართალწარმოების განახლებასთან დაკავშირებით. ფილიპინებმა, მაგალითად, წამოაყენა წინადადება, რომ დებულების მოქმედება შემოფარგლულიყო ისეთი შემთხვევებით, როდესაც ნამდვილი დამნაშავე აღიარებდა ბრალს ან დამტკიცდებოდა, რომ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი იყო, მაგალითად, თუ მკვლელობის მსხვერპლი ცოცხალი აღმოჩნდებოდა. ავღანეთის შემოთავაზების საფუძველზე, ტექსტს დაემატა სიტყვები „კანონის მიხედვით“.

<sup>1752</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 70; ვაისბროდტი (2001) 26.

<sup>1753</sup> ვაისბროდტი (2001) 49.

<sup>1754</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 70.

<sup>1755</sup> ვაისბროდტი (2001) 53.

<sup>1756</sup> *Ibid.*, 59-60.

მერვე სესიაზე გამართული დისკუსიის დროს ქალბატონმა რუზველტმა წარმოადგინა წინადადება, რომლის მიხედვით, დებულების მოქმედება გავრცელდებოდა მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც განახლებულ სამართალწარმოებაში მოხდებოდა პირის გამართლება. ამავე სესიის დროს გარანტიას დაემატა მართლმსაჯულების არაჯეროვან განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირისთვის კომპენსაციის უფლების ჩამორთმევის დებულება, ისევე როგორც ბელგიელი დელეგატის ბატონი ნისოტის მოთხოვნის საფუძველზე, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა.<sup>1757</sup>

როდესაც პროექტს კენჭს უყრიდნენ გენერალურ ასამბლეაზე, არგენტინამ, ნიდერნალდებმა და გაერთიანებულმა სამეფომ მოითხოვეს მთლიანი პუნქტის ამოშლა. თუმცა მის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა ამკარა უმრავლესობამ.<sup>1758</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გარანტიის პროექტზე მსჯელობა რამდენჯერმე გაიმართა, სანამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მომზადდებოდა, პარალელური გარანტია არ იქნა იმ დროისთვის მიღებული. მართლაც, წერილ სახელმწიფოების დამოკიდებულება საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო და როგორც კომპენსაციის უფლებაზე უარის თქმის წინადადებებიდან ჩანს, მსგავსი გარანტია შეიძლებოდა საერთოდ არ ასახულიყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის საბოლოო ვერსიაში. ევროპული კონვენციის მომზადებაში ჩართული პირები შესაძლოა ასევე ითვალისწინებდნენ კომპენსაციის მინიჭების შესაძლებლობას კონვენციის დარღვევისთვის<sup>1759</sup>, რაც არ არის ხელმისაწვდომი პაქტის საფუძველზე. დღემდე არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ გარანტიამ ხელი შეუწყო რაიმე გადაუდებელი საჭროების დაკმაყოფილებას.

### III. გარანტიის მიზანი და მნიშვნელობა

კომპენსაციის მიღების უფლების მიზანი არ უკავშირდება რაიმე განსაკუთრებულ სირთულეებს. ითვლება, რომ მისი სახელწოდება თავისთავად საკმარის განმარტებას იძლევა<sup>1760</sup>: პირს, რომელმაც განიცადა დიდი უსამართლობა, უნდა მიენიჭოს კომპენსაცია სამართლიანობის აღსადგენად. ამ თვალსაზრისით, ის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ დელიქტური სამართლის ერთ-ერთი დარგი.

მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შემუშავების ისტორია ცხადყოფს გარანტიის მიმართ წინააღმდეგობრივ და არათანმიმდევრულ მიდგომას. ერთ-ერთ ეტაპზე ითქვა, რომ მცდარად მსჯავრდებული პირის მემკვიდრეებისთვის კომპენსაციის უფლების მინიჭებაზე უარი „იქნებოდა საშინელი უსამართლობა“<sup>1761</sup>, თუმცა, მეორე მხრივ, მუდმივად ისმოდა ამ უფლებაზე მთლიანად უარის თქმის მოწოდებებიც.

ჩემი აზრით, საკმაოდ საფრთხილოა კომპენსაციის უფლების ლეგიტიმაციის საკითხი მისთვის ადამიანის უფლების წოდებით. სხვა ადამიანის უფლებებისგან განსხვავებით, რომლებიც მიზნად ისახავს იმის დადასტურებას, რომ ბოროტება იქნა ჩადენილი, კომპენსაციის უფლება რელევანტური ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საწყისი შეცდომა აღმოჩენილი იქნა და გამოსწორდა პირის გამართლების გზით. ამ თვალსაზრისით, ის დესერტის თავზე მოთავსებულ კრემს უფრო

<sup>1757</sup> *Ibid.*, 67 *et seq.*

<sup>1758</sup> ვაისბროდტი (2001) 73; დეტალებისთვის იხ. ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი N 70.

<sup>1759</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 50-ე მუხლი, დღეს 41-ე მუხლი.

<sup>1760</sup> ოუეი და უაითი (2002) 197.

<sup>1761</sup> იხ. ვაისბროდტი (2001) 68.

ნაავგეს, ვიდრე თავად დესერტს. საკამათოა, მართლა არის თუ არა ფინანსური კომპენსაციის მინიჭება ადამიანის ღირსების დაცვის აუცილებელი პირობა.

პრეცედენტული სამართალი იზიარებს ამ სკეპტიციზმს. დღემდე არც საერთაშორისო პაქტის და არც ევროპული და ამერიკული კონვენციების საფუძველზე არ მომხდარა ამ უფლების დარღვევის დადგენა. ევროპულ კომისიაში წარდგენილი რვავე განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი<sup>1762</sup>. საერთაშორისო პაქტის საფუძველზე მხოლოდ ერთი საქმე იქნა განხილული, თუმცა დარღვევა ასევე არ იქნა დადგენილი<sup>1763</sup>.

#### IV. მცდარი მსჯავრდებისთვის კომპენსაციის უფლების წინაპირობები

ფან დაიკი და ფან ჰოფი ჩამოთვლიან შვიდ წინაპირობას, რომელთა არსებობა აუცილებელია ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლისა და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კომპენსაციის უფლების წარმოქმნისთვის<sup>1764</sup>. ამ წინაპირობებს შეგვიძლია დაუშვათ კიდევ ორი, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

##### ა. მსჯავრდება სისხლის სამართლის დანაშაულისთვის

ზემოთ ხსენებული დებულებები იყენებენ ტერმინს „სისხლის სამართლის დანაშაული“, რომლის განმარტებაც უნდა მოხდეს იმავე წესით, როგორც „სისხლის სამართლის ბრალდების“ ცნების, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, თუ სანიშნააღმდეგ არ დადასტურდება<sup>1765</sup>.

შედეგად, კომპენსაცია აუცილებელია როგორც წერილმანი, ისე სხვა კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით შეიძლება არ მიეკუთვნებოდეს „სისხლის სამართალს“<sup>1766</sup>. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და ბელგიაში არ არის დაშვებული იმ საქმეებში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა („revisior“), რომლებშიც განხილვის საგანია გადაცდომა („contravention“), რომელიც შედის კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ყველაზე მსუბუქ კატეგორიაში<sup>1767</sup>.

##### ბ. მსჯავრდება

პირი უნდა იყოს „მსჯავრდებული“. ეს ტერმინი იმდენად ფართოა, რომ მოიცავს საქმეებს, რომლებშიც ბრალდებული დათანხმდა საპროცესო შეთანხმებას ან ჯარიმის გადახდას სასამართლო განხილვის სანაცვლოდ. პირის გამართლება

<sup>1762</sup> B გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 14219/88; FN საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 18725/91; გარიბი (Gharib) მეიტიკარიის წინააღმდეგ, განაცხადი 24198/94; YM საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 24948/94; პეშანეცი (Pechanec) სლოვაკეთის წინააღმდეგ, განაცხადი 30904/96; სტამულაკატოსი (Stamoulakatos) საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 42155/98; გეორგიუ (Gregoriou) საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი 45138/98; ნაკოვი (Nakov) მაკედონიის წინააღმდეგ, განაცხადი 68286/01.

<sup>1763</sup> პაუო მუჰონენი (Paavo Muhonen) ფინეთის წინააღმდეგ, § 164.

<sup>1764</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 688.

<sup>1765</sup> იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 688; ნოვაკი (1993) N 73.

<sup>1766</sup> იხ. თავი 2.

<sup>1767</sup> პრადელი (2002) N 498.

ჯარიმის გადახდის, საპროცესო შეთანხმების ან თვით აღიარებითი ჩვენების შემდეგ იქნება საკმაოდ უჩვეულო და იმის მანიშნებელი, რომ ბრალდება ეყრდნობოდა ფაქტებს, რომლებიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ბრალდებულის მიერ აღიარებულ იქნა შეცდომით ან მიზანმიმართულად.

## გ. მსჯავრდება უნდა იყოს საბოლოო

პირი მსჯავრდებული უნდა იყოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება საბოლოოა, თუ „ტრადიციული მნიშვნელობით მან შეიძინა *res judicata* ძალა. ეს ის შემთხვევაა, როცა გადაწყვეტილება შეუქცევადია ანუ, როცა სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები აღარ არსებობს, აგრეთვე, თუ მხარეებმა ამონურეს ასეთი საშუალებები ან ხელიდან გაუშვეს მათი გამოყენების ვადა“<sup>1768</sup>. ეს განსაზღვრება საყოველთაოდ აღიარებულია<sup>1769</sup>. აღსანიშნავია, რომ არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, როდესაც პირი უარს ამბობს წარდგენილ საჩივარზე.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება ზოგადად გაზიარებულია.<sup>1770</sup> ფროვანის და პოიერტის მტკიცება, რომ მსჯავრდება საბოლოოა, როცა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ამონურულია, არ არის მართებული. ცხადია, რომ ეს არ არის აუცილებელი.<sup>1771</sup>

ეს ელემენტი არ არის ძალზე მნიშვნელოვანი, თუმცა კომპენსაციის უფლებას გამორიცხავს ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი გამართლდება გასაჩივრების შედეგად. ეს კი არ არის ბოლომდე მისაღები, რადგან პირველ ინსტანციაზე პირის მსჯავრდება შესაძლოა მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების შედეგი იყოს და გასაჩივრების საფუძველზე საქმის განხილვისას ახალი გარემოებები გამოვლინდეს. ასეთ დროს, თუ პირს დანყებული ჰქონდა ციხეში სასჯელის მოხდა, მას არ ეკუთვნის კომპენსაცია. ანალოგიურად, პირს, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა და სასამართლომ გაამართლა ან ბრალდება არ წარედგინა, არ ექნება (“აღამიანის”) უფლება კომპენსაციის მიღებაზე. ამ გარანტიის ირგვლიც არსებული დისკუსია მოწმობს, რომ ის არის მარგინალური უფლება, რომელიც რთულად ჩაითვლება ფუნდამენტურ უფლებად. ამასვე შეიძლება მივანეროთ მისი აშკარად ვინრო ხასიათი.

განმარტებითი ბარათში საუბარია შემთხვევაზე, როდესაც გასაჩივრების შედეგად სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებამ შეიძლება წარმოშვას კომპენსაციის უფლება<sup>1772</sup>. კერძოდ, იგულისხმება „დაგვიანებული გასაჩივრების“ სპეციფიკური სამართალწარმოება, რომელიც გვხვდება, მაგალითად, ინგლისურ სამართალში. სახელწოდების მიუხედავად, ეს სამართალწარმოება უნდა ჩაითვალოს სამართლებრივი დაცვის სპეციალურ სახეობად, რომელიც იძლევა სამართალწარმოების განახლების საშუალებას.

<sup>1768</sup> სისხლისსამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ ევროპული კონვენციის განმარტებითი ანგარიში, კომენტარი 1-ლი მუხლის შესახებ, ევროპის საბჭოს გამოცემა, 1970, 22; ასევე ციტირებულია აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის განმარტებითი ანგარიშის 22-ე პარაგრაფში.

<sup>1769</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 668; ესპოზიტო (2001) 953; მერილსი და რობერტსონი (2001) 266; შარიერი (2002) 531; პარისი, ოზოილი და უორბრიკი (1995) 568.

<sup>1770</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 688.

<sup>1771</sup> ფროვანის და პოიერტი (1996) მე-7 ოქმის მე-3 მუხლი N 1.

<sup>1772</sup> განმარტებითი ანგარიში, § 22.

## დ. სასჯელი

პირს შეფარდებული უნდა ჰქონდეს სასჯელი. კომპენსაციის უფლება არ წარმოიქმნება სასჯელის გარეშე მსჯავრდების დროს – „*mera condemnatio*“<sup>1773</sup>. რაც შეეხება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, კომპენსაციის უფლება არ წარმოიქმნება, თუ ისინი მოიცავს პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. თუმცა კომპენსაციის უფლება არსებობს, თუ ადგილი აქვს პატიმრობას „მისი უღიდებულებობის ნებასურვილით“<sup>1774</sup>, რადგან ეს არის *de facto* თავისუფლების აღკვეთა და სადამსჯელო მიზნებს ემსახურება.

## ე. სასჯელის აღსრულება

სასჯელი პირს ნაწილობრივ მაინც უნდა ჰქონდეს მოხდელი<sup>1775</sup>. ეს ელემენტი არ არის ნახსენები ფან დაიკისა და ფან ჰოფის მიერ, თუმცა მოცემულია განმარტებით ბარათში. პირმა უნდა „მოიხადოს სასჯელი ასეთი მსჯავრდების შედეგად“<sup>1776</sup>. ცხადია, სასჯელის ვერ მოხდოდა, თუ სანქცია ქალაქში დარჩა. მაგრამ რას ნიშნავს სასჯელის აღსრულება პრობაციის ან პირობით მსჯავრდების შემთხვევაში? ჩემი აზრით, ესეც უნდა ჩაითვალოს სასჯელის მოხდის ფორმად. პირობითი მსჯავრდების გაუქმების შესაძლებლობა დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მცდარად მსჯავრდებულ პირზე, რასაც ნამდვილად შეუძლია მღელვარებისა და ტანჯვის გამოწვევა. შესაბამისად, პირობით მსჯავრდებაც უნდა იყოს საკმარისი საფუძველი კომპენსაციის მიღებისთვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლისა და საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, თუმცა მისი მოცულობა შეიძლება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ფაქტობრივი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში.

## ვ. მსჯავრდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

კომპენსაციის უფლება ემყარება მართლმსაჯულების არაჯეროვან განხორციელებას – ფაქტს, რომელიც თავდაპირველი განაჩენის სერიოზულ კრიტიკას უხსნის გზას. შესაბამისად, საკმარისი არ არის შეცდომის გამოვლენა. იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიების ვერსიით მოკლული პირი ცოცხალი აღმოჩნდება, ეს თავისთავად არ იქნება საკმარისი მცდარად მსჯავრდებული პირის მიერ კომპენსაციის მისაღებად. მან, მისმა მემკვიდრემ ან ახლო ნათესაებმა, თუ თავად არ ძალუძს ამის გაკეთება, უნდა დაიწყოს შესაბამისი სამართალწარმოება მსჯავრდების ფორმალური გაუქმების მიზნით. ეს შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად ფორმალისტურ მიდგომად, როდესაც ფაქტები ისეთი თვალსაჩინოა, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში. თუმცა საქმეთა უმრავლესობაში მოცემული გარემოებები, როგორც წესი, ნაკლებად ცხადია და ხშირად დავის საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ვერსად გაეუქმეთ იმას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების მიხედვით, კომპენსაციის უფლება დამოკიდებულია აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების შესრულებაზე.

<sup>1773</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 688.

<sup>1774</sup> შედრ. ჰუსსაინი (*Hussain*) *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და სინგი (Singh) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>1775</sup> ესპოზიტო (2001), 954; ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 77; ფილიგერი (1999) N 663.

<sup>1776</sup> განმარტებითი ანგარიში, § 22.

საინტერესოა, რომ საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის შესაბამის დებულებებში ნახსენებია სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება მსჯავრდების გაუქმებასთან ერთად, რაც, ცხადია, სასამართლოების მიერ უნდა განხორციელდეს<sup>1777</sup>. ამის მიზეზია ის, რომ ყველა სახელმწიფო განსხვავებულად ანერსიგებს ისეთ ვითარებას, როდესაც ახალი გარემოებები ეჭვ ქვეშ აყენებენ მსჯავრდების მართებულობას. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება ჩვეულებრივ ხდება შეწყალების გზით და არ უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოების კრიტიკისთვის, როგორც ჩანს, ზოგიერთ ქვეყანაში მას მიმართავენ მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელების მძიმე შემთხვევების გამოსწორებისთვის<sup>1778</sup>.

*მუჰონენის (Muhonen) საქმეში*<sup>1779</sup> პაციფისტ განმცხადებელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებს ეჭვი ეპარებოდათ მის მოტივაციაში, თავი აერიდებინა სამხედრო სამსახურისთვის. მოგვიანებით ის გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან. ადამიანის უფლებათა კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელს არ ეკუთვნოდა კომპენსაცია, ვინაიდან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება არ უდრიდა სასამართლო განაჩენის გაუქმებას, არამედ მხოლოდ შეწყალების აქტს წარმოადგენდა.

## ზ. მსჯავრდების გაუქმება უნდა ემყარებოდეს ახალ გარემოებებს

შემდეგი ნინაპირობაა ის, რომ მსჯავრდების გაუქმების საფუძველი უნდა იყოს ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, „*propter nova*“. მიუდასახელმწიფოებრივ სისხლის საპროცესო სამართალში ეს არ არის სამართალწარმოების განახლების ერთადერთი საფუძველი. სხვა საფუძვლები შეიძლება იყოს, მაგალითად, იმის აღმოჩენა, რომ უკანონო ქმედების გზით სასამართლო გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი, როგორცაა მოსამართლის, მოწმის ან ექსპერტის მონაწილეობა კორუფციულ გარიგებაში, ცრუ ჩვენების მიცემა ან გაყალბებული დოკუმენტების გამოყენება. კიდევ ერთი შესაძლო მიზეზია სხვა სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, რომელიც ეწინააღმდეგება მოცემულ გადაწყვეტილებას<sup>1780</sup>.

რა მოხდება ისეთი ახალი მტკიცებულების გამოვლენის შემთხვევაში, როგორცაა მონმე, დოკუმენტი, ან დნმ-ის ანალიზი, რომელიც გამორიცხავს მსჯავრდებული პირის ბრალს ჩადენილ დანაშაულში? ჩემი აზრით, არ შეიძლება ერთმანეთისგან გონიერულ ნიადაგზე განვასხვაოთ ახალი გარემოებებისა და ახალი მტკიცებულებების გამოვლენა. ახალი მტკიცებულებები უნდა ჩაითვალოს ახალ გარემოებებად და გამართლების შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს კომპენსაციის მიღების უფლება.

## თ. გარემოების დაფარვაში განმცხადებლის პასუხისმგებლობის არარსებობა

პრინციპის „*nemo audietur propriam turpitudinem allegans*“ (თანაბარი ბრალის შემთხვევაში არ არსებობს რესტიტუცია) პატივისცემის უზრუნველსაყოფად, კომპენსაციის მიღების უფლება არ წარმოიქმნება, თუ მსჯავრდებული პირია

<sup>1777</sup> იხ. აგრეთვე კორინგ-ჟულანი (1995) მე-3 მუხლი, 1091.

<sup>1778</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 689; ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 74.

<sup>1779</sup> *პაუო მუჰონენი (Paavo Muhonen) ფინეთის წინააღმდეგ*.

<sup>1780</sup> პრადელი (2002) N 498.

პასუხისმგებელი იმ მტკიცებულებების ან გარემოებების გაუმყლავნებლობაზე ან დამალვაზე, რომლებმაც გამოიწვია სასამართლო განაჩენის გაუქმება. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა პირმა წარმოადგინა ცრუ ალიბი რაიმე ფაქტის დამალვის მიზნით. მაგალითად, როდესაც ქორწინებაში მყოფ მამაკაცს არ სურდა იმის გამჟღავნება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს საყვარელთან იმყოფებოდა<sup>1781</sup>.

### 1. უდანაშაულობის დადგენა

დაბოლოს, ახალი გარემოებებით უნდა დადასტურდეს, რომ პირი უდანაშაულოა. საკმარისი არ იქნება შემამსუბუქებელი გარემოების არსებობის დამტკიცება<sup>1782</sup>. თუმცა პირს ეკუთვნის კომპენსაცია, თუ ის გაამართლეს მრავალეპიზოდური ბრალდების ერთ-ერთ ეპიზოდში, რომლის საფუძველზეც იყო მსჯავრდებული, მაგალითად, ორი მკვლელობიდან ერთ-ერთში.

კომპენსაციის უფლების წარმოქმნისთვის ასევე არ არის საკმარისი, როცა ახალი გარემოებები მტკიცებულებათა ბალანსს ისე ცვლის, რომ მათი გათვალისწინების შემთხვევაში ადგილი ექნება პირის გამართლებას ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარანტიის საფუძველზე („*in dubio pro reo*“)<sup>1783</sup>. საკამათოა, რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა<sup>1784</sup>. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენცია არ უზრუნველყოფს კომპენსაციის უფლებას პირის გამართლების შემთხვევაში, მის სასარგებლოდ ეჭვის არსებობის თუ მისი უდანაშაულობის დამტკიცების გამო. კომპენსაციის უფლების საკმაოდ არაორდინალური ხასიათის გათვალისწინებით, ასეთი შეზღუდვები შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, კონვენციის სულისკვეთებასთან წინააღმდეგობაშია ვითარება, როდესაც განახლებული სამართალწარმოების დროს მოსამართლე უბნება მსჯავრდებულს: „ახალი გარემოებები ნამდვილად აძლიერებს ეჭვებს თქვენს ბრალეულობასთან დაკავშირებით, ამიტომ გაგამართლებთ, თუმცა თქვენ ვერ შეძლებთ კომპენსაციის მიღებას, რადგან თქვენი უდანაშაულობა არაფრით არ დასტურდება“. შესაძლებელია, რომ ასეთ საქმეში ევროპული სასამართლო ან ადამიანის უფლებათა კომიტეტი მზად აღმოჩნდეს გარანტიის ტექსტის „კორექტირებისა“ და უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის უპირატესობის მიჩვენებისთვის.

დაბოლოს, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კომპენსაციის უფლება არ არის დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებასთან, რომელსაც მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს.

## V. კომპენსაციის უფლება

### ა. კომპენსაციის არსი

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებში არ არის დაკონკრეტებული კომპენსაციის სახე. ივარაუდება, რომ კომპენსაცია ძირითადად ფინანსური ხასიათის უნდა იყოს. პირველ რიგში, არსებითი ზიანი უნდა ანაზღაურდეს. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ მხრივ

<sup>1781</sup> იხ. აგრეთვე მერილსი და რობერტსონი (2001) 267.

<sup>1782</sup> განმარტებითი ანგარიში, §25.

<sup>1783</sup> *Ibid.*, იხ. აგრეთვე მერილსი და რობერტსონი (2001) 267.

<sup>1784</sup> ჩემს მიერ გამოთქმული ეჭვებისთვის იხ. ტრექსელი (1998) 206.

გარკვეულ სახელმძღვანელო წესებს გვანდის. თუმცა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული „სამართლიანი დაკმაყოფილება“ არ მისდევს იგივე წესებს, რასაც მე-7 ოქმში მოცემული კომპენსაცია. ის უფრო შეზღუდული ხასიათისაა. თუ სასჯელის სახით პირს დაექისრა ჯარიმის გადახდა, თანხა უკან უნდა დაუბრუნდეს მასზე დარიცხული პროცენტით. იგივე წესი ვრცელდება დაცვის მიერ განეულ ყველა სხვა ხარჯზე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, თუ პირი პატიმრობაში იმყოფებოდა. ასეთ დროს კომპენსაციის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმრობის პერიოდში დამდგარი ზიანი, როგორცაა დაკარგული შემოსაულები.

გარდა ამისა, პირს უფლება აქვს, მიიღოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც<sup>1785</sup>. ამ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ევროპული სასამართლოს მიზაქვა. სასამართლო ხშირად აცხადებს, რომ კონვენციის დარღვევის დადგენა თავისთავად წარმოადგენს საკმარის დაკმაყოფილებას<sup>1786</sup>. დაუშვებელია ამ გარანტიის საფუძველზე ასეთი დასკვნის გამოტანა ეროვნულ დონეზე.

## ბ. კომპენსაციის უფლების ბენეფიციარი

მე-7 ოქმის შემუშავების ერთ-ერთ ეტაპზე გარანტიას დაემატა მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების შედეგად სიკვდილით დასჯილი პირის მემკვიდრეების მიერ კომპენსაციის მიღების სპეციალური უფლება. თუმცა მოგვიანებით ეს პუნქტი ამოიღეს. შესაძლებელი იყო ისეთი ფორმულირების გამოყენება, რომ ეს ხარევი თავიდან ყოფილიყო აცილებული და მსჯავრდებულების შეუღლებსა და ოჯახის სხვა წევრებსაც ჰქონოდათ კომპენსაციის უფლება. დღეს არსებული მდგომარეობით მხოლოდ მცდარად მსჯავრდებულ პირს ეკუთვნის კომპენსაცია.

## გ. შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის (ან დამკვიდრებული პრაქტიკის) შესაბამისად

კანონის შესაბამისად კომპენსაციის მიკუთვნების საკითხი გარკვეული დისკუსიის საგანი გახდა. ცხადია, რომ ამ მითითების მნიშვნელობა განსხვავდება კონვენციის სხვა მუხლებში მოცემული ფორმულირებისგან, რომ ფუნდამენტური უფლებების ნებისმიერ შეზღუდვას კანონი უნდა ითვალისწინებდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოებს ეკისრებათ ისეთი კანონმდებლობის შემოღების ვალდებულება, რომელიც გაითვალისწინებს და მოანერსიგებს კომპენსაციის უფლებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ შეახსენა სახელმწიფოებს ამ ვალდებულების შესახებ<sup>1787</sup>.

აღნიშნული მითითება გულისხმობს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაარეგულირონ კომპენსაციის უფლების განხორციელების წესი. თუმცა რეგულირების პროცესში ისინი არ სარგებლობენ სრული თავისუფლებით და ვალდებული არიან, დაიცვან კომპენსაციის უფლების არსი<sup>1788</sup>.

<sup>1785</sup> ფროუაინი და პოიკერტი (1996) მე-7 ოქმის მე-3 მუხლი, N 3; ტრექსელი (1988) 206; ფილიგერი (1999) N 693.

<sup>1786</sup> მაგ: ბენტემი (Bentham) ნიდერლანდების წინააღმდეგ; ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>1787</sup> ნოვაკი (1993) მე-14 მუხლი, N 78.

<sup>1788</sup> შარიერი (2002) 361; ესპოზიტო (2001) 954.



## ერთი და იმავე დანაშაულისთვის ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვა

### I. შესავალი

გარანტია „ne bis in idem“ კომპლექსური ხასიათის მქონეა. 2002 წელს ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გარანტიასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი არ იყო დამაკმაყოფილებელი<sup>1789</sup>, რისი მიზეზიც იყო არა მხოლოდ საქმეების მცირე რაოდენობა<sup>1790</sup>, არამედ, ასევე ცალსახად ურთიერთსაინანაღმდეგო იურისპრუდენცია. უპირველესად, ამ თავში მოცემულია გარანტიის ნორმატიული ტექსტების შედარება. ამის შემდეგ განვიხილავთ უფლების მიზანს, მის კავშირს მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან, მოქმედების სფეროსა და გამონაკლისებს.

### ა. დებულებები

დაუშვებელია პირის გასამართლება ან დასჯა დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ის უკვე საბოლოოდ იქნა მსჯავრდებული ან გამართლებული ყოველი სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-14(7) მუხლი.*

1. დაუშვებელია პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისთვის სისხლის-სამართლებრივი დევნისას, რომლისთვისაც ის უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები ხელს არ უშლის სამართალწარმოების განახლებას შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად, თუ არსებობს მტკიცებულება ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების შესახებ ან წინა სამართალწარმოებაში ადგილი ჰქონდა არსებით ხარვეზს, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია ამ მუხლიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-7 ოქმი, მე-4 მუხლი.*

<sup>1789</sup> გიოკთან (Goktan) საფრანგეთის წინააღმდეგ, §44.

<sup>1790</sup> სასამართლოს, ამ პრინციპთან დაკავშირებით, მოუწია მხოლოდ 6 საქმის განხილვა.

ბრალდებული, რომელიც გამართლდა საბოლოო განაჩენის საფუძველზე, არ შეიძლება იგივე მიზეზით დაექვემდებაროს ახალ სასამართლო განხილვას.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8(4) მუხლი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულებების ძირითადი არსი მსგავსია, არსებობს გარკვეული განსხვავებები ტექსტებს შორის<sup>1791</sup>. მაგალითად, მხოლოდ ევროპული კონვენცია ათავსებს გარანტიას იმ უფლებათა რიგში, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროს. ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ დანარჩენ ორ ინსტრუმენტში მოცემული გარანტია ინტეგრირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის კონტექსტში, რომელიც განსაკუთრებული დაცვით არ სარგებლობს ევროპული კონვენციის მიხედვით<sup>1792</sup>. გარდა ამისა, მხოლოდ ევროპული კონვენცია განსაზღვრავს მკაფიოდ პრინციპის გამოხატვას.

## ბ. გარანტიის წარმოშობა

მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გარანტირებულ პრინციპს რამდენიმე სახელწოდება აქვს. თუ ევროპის კონტინენტზე ჩვეულებრივ გამოიყენება ლათინური გამოთქმები „*ne bis in idem*“, ან „*non bis in idem*“ (პრინციპის მთლიანი სახელწოდებაა „*bis de eadem re non sit actio*“<sup>1793</sup>), საერთო სამართლის ქვეყნებში გავრცელებულია რამდენიმე განსხვავებული ტერმინი, მათ შორის „*res judicata*“<sup>1794</sup>, „*double jeopardy*“<sup>1795</sup>, „*autrefois acquit*“<sup>1796</sup>, ისევე როგორც „*ne bis in idem*“.

გარანტია შედარებით გვიან გამოჩნდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ შესაბამის საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებში. ის არ იყო მოცემული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა<sup>1797</sup> და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ორიგინალურ ტექსტებში. ამ უკანასკნელ დოკუმენტში მისი შეტანის საკითხი პირველად დაისვა 1951 წელს პაქტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ადამიანის უფლებათა კომისიაში ფილიპინების მთავრობის მიერ. თუმცა ამას არ მოჰყოლია დიდი გამოხმაურება და პრინციპი არ იყო ნახსენები 1954 წლის პროექტში. მოგვიანებით, იტალიამ და იაპონიამ წარადგინეს ახალი წინადადება. მათი ტექსტი ნაწილობრივ შეიცვალა და ერთობლივად იქნა წარმოდგენილი კანადის, ცელონის, ირანის, იტალიის, იაპონიის, იორდანისა და პაკისტანის მიერ.<sup>1798</sup>

საკითხი ცხარე დებატების საგანი გახდა გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტში და ბოლომდე სადავოდ დარჩა. ნაწილობრივ ამის მანიწუნებელია შესაბამის ტექსტებში არსებული განსხვავებები.

<sup>1791</sup> იხ. შპანგერი (2001) მე-14 მუხლი, N 80.

<sup>1792</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. სტავროსი (1992) 343.

<sup>1793</sup> როქსინი (1998) §50 B. I. 1; ჰაუზერი და შერი (2002) §84 N17.

<sup>1794</sup> მაგ. შოტლანდია; იხ. უოქერი და უოქერი (1964) §50.

<sup>1795</sup> მაგ. ინგლისი და აშშ.

<sup>1796</sup> მაგ. კანადა; იხ. პრადელი (2002) N 501.

<sup>1797</sup> მისი შემოღება მოხდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მეშვეობით, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 1-ლ ნომერს.

<sup>1798</sup> ვაისბროდტი (2001) 63, 74; ნოვაკი (1993), მე-14 მუხლი N 80.

## II. გარანტიის მიზანი და დანიშნულება

სასამართლო იყენებს შემდეგ სტანდარტულ ფორმულირებას გარანტიის მიზნის აღსანიშნავად: „აქრძალულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობა განხორციელება, როდესაც საქმე საბოლოო გადაწყვეტილებით დასრულდა“<sup>1799</sup>. ეს განმარტება საქმოდ ბანალურია და არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა სასამართლოს იურისპრუდენციისთვის.

საკითხის დეტალური ანალიზისა და სხვადასხვა სისტემების შედარების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ცალკეულ იურისდიქციაში პრინციპი განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. საერთო სამართლის სისტემაში ერთი და იმავე დანაშაულისთვის ხელშეწყობა გასამართლების აქრძალვა ითვლება ინდივიდუალურ უფლებად. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვა არ ქმნის პრობლემას, თუ ის ემსახურება მსჯავრდებულის ინტერესებს<sup>1800</sup>.

ბოლო დროს ინგლისში აღიარებული იქნა პრინციპის სხვა ასპექტებიც, როგორცაა მისი როლი სამართალწარმოების დასრულების უზრუნველყოფაში. დღეს ინგლისში განიხილება ამ გარანტიასთან დაკავშირებული კანონმდებლობის საკმარისი მნიშვნელოვანი რეფორმა.

ევროპის კონტინენტზე აღიარებულია, რომ პრინციპი „*ne bis in idem*“ ემსახურება ორ მიზანს. ინდივიდის დაცვის გარანტიის გარდა აღნიშნული პრინციპი ასევე განიხილება როგორც სამართლებრივი სიცხადის მნიშვნელოვანი ელემენტი<sup>1801</sup>. მე-4 მუხლის ფრანგულ ვერსიაში მოცემული სიტყვა „საბოლოოდ“ („*judgement deinitif*“) ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება გახდა „*l'autorite de la chose jugee*“, ანუ პრინციპის დარღვევის დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დგება როგორც განაჩენის ძალა, ისე იმ სასამართლოს ძალაუფლება, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სასამართლო ვერ ჩაითვლება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, თუ მისი გადაწყვეტილებები არ არის შესასრულებლად სავალდებულო სახელმწიფოს სხვა ორგანოებისთვის, მათ შორის სხვა სასამართლოებისთვის<sup>1802</sup>, ზემდგომი სასამართლოების გარდა.

ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ პირველ ასპექტს აქვს მნიშვნელობა კონვენციის კონტექსტში. თუმცა, მეორე მხრივ, არც მეორე ასპექტის უგულებელყოფა შეიძლება. მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის კუთხით, ის არ არის ბოლომდე დაცლილი „ადამიანის უფლებების შინაარსისგან“.

აღნიშნულ ორ მიდგომას შორის განსხვავება არ არის მხოლოდ თეორიული ან აკადემიური მნიშვნელობის. სამართალწარმოების დასრულების ასპექტისთვის მნიშვნელოვანი არ არის პირველმა გადაწყვეტილებამ გაამტყუნა თუ გაამართლა „ხელშეწყობა გასამართლებული“ პირი. მიუხედავად ამისა, თუ მეორე გადაწყვეტილება უფრო მსუბუქია ვიდრე პირველი, ადგილი არ ექნება განმცხადებლის ინდივიდუალური უფლების დარღვევას, რადგან მისი მდგომარეობა არ დამძიმებულა, ანუ ის ვერ ჩაითვლება მსხვერპლად კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე.

<sup>1799</sup> გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის ნინაალმდეგ, §53; იხ. აგრეთვე ფრანც ფიშერი (Franz Fischer) ავსტრიის ნინაალმდეგ, §22; WF ავსტრიის ნინაალმდეგ, §7; ზაილერი (Sailer) ავსტრიის ნინაალმდეგ, §53; გოკთანი (Goktan) საფრანგეთის ნინაალმდეგ, §47; მანასონი (Manasson) შვედეთის ნინაალმდეგ, განაცხადი 41265/98, §95.

<sup>1800</sup> ოუეი და უაითი (2002) 196.

<sup>1801</sup> კერინ-ჟოულინი (1995) 1093; რენუზი (2002) N 3950.

<sup>1802</sup> ბენტემი (Bentham) ნიდერლანდების ნინაალმდეგ, §37.

ამ შემთხვევაში მაინც დაირღვევა პრინციპი „*res judicata*“, თუმცა ადამიანის უფლებების დამცველი ორგანო მას არ მიიღებს მხედველობაში, რადგან მისი ფუნქცია არ არის სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპების დაცვა, მათი მნიშვნელობის მიუხედავად. მოსაზრება, რომლის მიხედვით პრინციპი „*ne bis in idem*“ ასევე ემსახურება საჯარო ინტერესს, ნიშნავს, რომ დარღვევის დადგენა ჩაითვლება სანქციად სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, მის მიერ პირველ სამართალწარმოებაში გამოჩენილი დაუდევრობისთვის. მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც მძლოლი პასუხისგებაში იქნა მიცემული ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვის გამო, მაგრამ საგამოძიებო ორგანოებს გამორჩათ, რომ მან სხვა დანაშაულიც ჩაიდინა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება. სახელმწიფოს აღარ შეუძლია „გაისროლოს მეორედ“, რადგან მან ვერ გამოიყენა არსებული შესაძლებლობა და მისი შეცდომა უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. სხვა სიტყვებით, საგამოძიებო ორგანოების ან თუნდაც სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების რისკი უნდა იტვირთოს სახელმწიფომ. დაუშვებელია შეცდომის გამოსწორება ბრალდებულის ხარჯზე<sup>1803</sup>. იგივე მოსაზრება აქვთ გამოთქმული სხვა ავტორებსაც, რომლებმაც გამოიკვლიეს პრინციპის „*ne bis in idem*“ ეკონომიკური საფუძვლები<sup>1804</sup>.

### III. პრინციპი „*ne bis in idem*“ როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელი ელემენტი?

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ისევე როგორც ამერიკული კონვენციის მიხედვით, იმავე დანაშაულის გამო პირის ხელშეწყობით მსჯავრდების აკრძალვა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტს. აღნიშნული პრინციპი ევროპული კონვენციის ცალკე ოქმშია მოცემული, რადგან ის მოგვიანებით დაემატა ხელშეკრულებას.

მე-7 ოქმის მიღებამდე განხილებოდა საკითხი იმის თაობაზე, რამდენად იგულისხმებოდა ეს პრინციპი სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგად გარანტიაში. ამ უკანასკნელის ასეთი ფართო განმარტება განხორციელდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის კონტექსტში. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება პრივილეგიასა და მოცემულ პრინციპს შორის. ცალკე ოქმის მიღების ფაქტი მიუთითებს, რომ თვითინკრიმინაციის დაცვის პრივილეგიისგან განსხვავებით, ის არ მოიაზრება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიაში<sup>1805</sup>.

კომისიას მოუხდა ამ საკითხის განხილვა განაცხადების დასაშვებობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში<sup>1806</sup>. ზოგიერთ მათგანში კომისია აცხადებდა, რომ პრინციპი არის დაცული მე-6 მუხლით. თუმცა სხვა გადაწყვეტილებებში ეს საკითხი ღიად იქნა დატოვებული<sup>1807</sup>. არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ აღნიშნული

<sup>1803</sup> ესერი (2002) 98; როქსინი (1998) § 50.

<sup>1804</sup> მაგ; ვილსი (2003) 138.

<sup>1805</sup> ტრექსელი (1988) 195, 209; ნოვაკი (1985) 240 at 241.

<sup>1806</sup> პარისი, ოზოილი და უორბრიქი (1996) მე-6 მუხლი, N 173; სტაეროსი (1993) 296.

<sup>1807</sup> *X აუსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1519/62; *X აუსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 4212/69; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 7680/76; *S გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8945/80. საქმე *X ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განაცხადი 9433/81) ეხებოდა გერმანიის მოქალაქეს, რომელიც მსჯავრდებული იქნა იმ წარკოტიკული დანაშაულისთვის, რომლისთვისაც მას უკვე დანიშნული ჰქონდა უფრო მსუბუქი სასჯელი ჰოლანდიაში.

პრინციპი შეადგენდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთ ელემენტს, თუმცა ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება გაცილებით უფრო ინოვაციური მიდგომის გამოყენება, ვიდრე ეს მოხდა თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიის შემთხვევაში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 და ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტებში თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია მოცემულია დაცვის უფლებებში, სამართლიანი სასამართლო განხილვის ფარგლებში, თუმცა იმავე ქმედებისთვის ხელშეორედ მსჯავრდების აკრძალვას ვხვდებით ცალკე პუნქტში. ეს გარანტია მოითხოვს არა სასამართლო განხილვის მიერ შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, არამედ გარკვეულ გარემოებებში სასამართლო განხილვის საერთოდ არარსებობას.

გახდა თუ არა ეს საკითხი უმნიშვნელო მე-7 ოქმის მიღების შემდეგ? შტრამერი მიუთითებს საპირისპიროზე, რადგან სასამართლოსგან მოელის მის გადანეცხებას<sup>1808</sup>. მართლაც, ეს საკითხი შეიძლება წამოიჭრას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც არ მოუხდენიათ მე-7 ოქმის რატიფიცირება<sup>1809</sup>.

მიუხედავად ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს ასეთ მოლოდინს. საერთაშორისო ხელშეკრულებების, ისევე როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონების განმარტებისას მოქმედებს პრინციპი „*effat utilie*“ ან „*ut res magis valeat quam pereat*“, რაც გულისხმობს, რომ ასეთ დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებელი ტექსტის ნაწილის დატოვება უფუნქციოდ<sup>1810</sup>. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განაცხადებს, რომ გარანტია იგულისხმება მე-9 მუხლში, მაშინ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი დაკარგავს აზრს.

#### IV. გარანტიის მოქმედების სფერო

##### ა. ტერიტორიულობის პრინციპი

ევროპული კონვენცია ცალსახად განმარტავს, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ხელშეორედ მსჯავრდების აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, კონვენციიდან გამომდინარე, პირი შეიძლება ხელშეორედ მიეცეს პასუხისგებაში იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც უკვე მსჯავრდებული იქნა სხვა ქვეყანაში<sup>1811</sup>.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ამ მხრივ არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს<sup>1812</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აშჯობინა გონივრული მიდგომის გამოყენება, რომელიც შეესაბამება ევროპული

<sup>1808</sup> შტრამერი (2001) N 8.58.

<sup>1809</sup> ასეთი ქვეყნების სია საკმაოდ შთამბეჭდავია: ანდორა, ბელგია, გერმანია, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.

<sup>1810</sup> ბერნარი(1963) 96.

<sup>1811</sup> X ავსტრიის ნინაალდდეგ, განაცხადი 1519/62; X ავსტრიის ნინაალდდეგ, განაცხადი 1592/62; X ავსტრიის ნინაალდდეგ, განაცხადი 4212/69; X გერმანიის ნინაალდდეგ, განაცხადი 7680/76; S გერმანიის ნინაალდდეგ, განაცხადი 8945/80; ბარაჯიოლა (Baragjola) შვეიცარიის ნინაალდდეგ, განაცხადი 17265/90; მანჯონი (Manzoni) იტალიის ნინაალდდეგ, განაცხადი 15521/89; გესტრა (Gestra) იტალიის ნინაალდდეგ, განაცხადი 21072/92.

<sup>1812</sup> ადამიანის უფლებების ექსპერტთა კომიტეტმა იგივე მოსაზრება გამოთქვა თავის მოხსენებაში მინისტრთა კომიტეტის წინაშე, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის თანაარსებობასთან დაკავშირებულ პრობლემებს (1970).

კონვენციის მე-7 ოქმს<sup>1813</sup>. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს წესი მოქმედებს ეროვნულ და ევროპის კავშირის იურისდიქციებს შორის კონფლიქტისას, მაგალითად, კონკურენციის სამართლის სფეროში<sup>1814</sup>. თუმცა ცხადია, რომ ამ შემთხვევაში, ჯერ კიდევ, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა იურისდიქციასთან. ზოგადად ოქმის შემუშავების დროს (და პაქტის შემუშავების დროსაც) პრაქტიკულად არ არსებობდა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია. სხვა შემთხვევაში, „სახელმწიფოს“ ნაცვლად გამოყენებული იქნებოდა „იურისდიქცია“. თუმცა ეს ისეთი სფეროა, რომელშიც სამართალი ელვისებურად ვითარდება<sup>1815</sup>. დაპატიმრების შესახებ სასამართლო ნებართვის გაცემაზე ევროპული რეგულაციის ძალაში შესვლასთან ერთად, ერთ წევრ სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილებები ასევე მოქმედებს სხვა წევრ სახელმწიფოებში. შესაბამისად, ევროპის კავშირი უნდა ჩაითვალოს „სახელმწიფოდ“ ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის გარანტიის მიზნებისთვის.

გარდა ამისა, ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტიის 50-ე მუხლის მიხედვით: დაუშვებელია პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა სისხლისსამართლებრივი დევნისას იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც, კანონის შესაბამისად, ის უკვე საბოლოოდ იქნა გამართებული ან მსჯავრდებული კავშირის ფარგლებში<sup>1816</sup>.

განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ერთვის ქარტიას, აცხადებს, რომ დებულება „შესაბამება [ადამიანის უფლებათა ევროპული] კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლს, მაგრამ მისი მოქმედება ვრცელდება ევროპის კავშირის დონეზე წევრ სახელმწიფოთა სასამართლოებს შორის“<sup>1817</sup>. შესაბამისად, პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, არამედ წევრ სახელმწიფოთა იურისდიქციებს შორის<sup>1818</sup>.

ევროკავშირის განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ნაკლებად რეალისტურია, რომ ადამიანის უფლებების ინსტრუმენტებით სახელმწიფოებს დაეკისროთ ზოგადი ვალდებულება, ცნონ სხვა ქვეყნებში სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები. თვით ევროპის კავშირში ამის განხორციელება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული<sup>1819</sup>. მაგალითად, სისხლის სამართლის გერმანელმა პროფესორებმა გაასაჩივრეს დაპატიმრების ევროპული ნებართვის მიღება.

ამ საკითხზე ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ მოქმედი რეგულაციები მოცემულია რამდენიმე სპეციალურ კონვენციაში<sup>1820</sup>. თუმცა ეს კონვენციები ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი არის საზღვარგარეთ და ერთ ქვეყანას სჭირდება თანამშრომლობა მეორესთან, რათა მის მიმართ განხორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან როდესაც ორი სახელმწიფო

<sup>1813</sup> AP იტალიის წინააღმდეგ; AR J ავსტრალიის წინააღმდეგ.

<sup>1814</sup> რეზოლუცია (2002) N 140, 295. ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. ესერი (2002) 99.

<sup>1815</sup> ვილსი (2003).

<sup>1816</sup> ევროპის კავშირის კონსტიტუციის მუხლი II-100.

<sup>1817</sup> ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ: განმარტებები ქარტიის სრულ ტექსტთან დაკავშირებით (2000) გვ. 76, [www.europarl.eu.int/charter/](http://www.europarl.eu.int/charter/).

<sup>1818</sup> *Ibid.*, 69.

<sup>1819</sup> დელამს-მარტი და ფერუალი (2000-1); იხ. აგრეთვე შომბურგი (1998).

<sup>1820</sup> ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, მე-9 მუხლი; ევროპული კონვენცია სისხლისსამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ, 53-ე, 54-ე და 55-ე მუხლები.

თანამშრომლობს პირის გასამართლების ან სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

იმ შემთხვევაშიც, თუ გარანტიის გამოყენება ყოველთვის არ მოხდება ექსტრატერიტორიულობის პრინციპის საფუძველზე, საეხებით რეალისტურია, რომ ერთ სახელმწიფოში გადახდილი ჯარიმა ან მოხდილი სასჯელი გაითვალისწინოს მეორე სახელმწიფომ სასჯელის დანიშვნის და მისი ზომის განსაზღვრის დროს.

## ბ. „Ratione materiae“

მე-7 ოქმის მე-4 მუხლში ვხდებით ტერმინს „სისხლისსამართლებრივი დევნა“, რომელიც დაკავშირებულია მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ „სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან“. მართლაც, აღნიშნული ტერმინები ერთი მნიშვნელობის მქონეა<sup>1821</sup>. ჰანგლის (*Hangli*) საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის ორჯერ იქნა დასჯილი<sup>1822</sup>. სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრების გარდა განმცხადებელს ორი კვირით ჩამოართვეს მართვის მონაგობა. სასამართლომ მიუთითა *ესკუბეტს* (*Escoubet*) საქმეზე, რომელშიც გადაწყდა, რომ მართვის მონაგობის ჩამორთმევა წარმოადგენდა პრევენციულ ზომას სხვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და არა სადამსჯელო სანქციას. შესაბამისად, მასზე მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდებოდა; ასევე არ ვრცელდებოდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი<sup>1823</sup>. გიოკთანის (*Goktan*) საქმეშიც დაისვა საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენდა თუ არა თავისუფლების აღკვეთა კონფისკაციის ბრძანების აღსრულების მიზნით, სისხლისსამართლებრივ სანქციას<sup>1824</sup>. სასამართლომ ისევ მიუთითა წინა საქმეზე, რომელშიც საკითხი გადაწყდა მე-6 მუხლის კონტექსტში<sup>1825</sup>. ზოგიერთი ავტორი შიშობს, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება ბოროტად ისარგებლონ ამ შეზღუდვით, უსაფრთხოების ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორცაა, მაგალითად, სასჯელის მოხდის შემდეგ უცხოელთა გაძევება ქვეყნიდან<sup>1826</sup>.

თუმცა ქვეყნიდან გაძევება არ არის ისეთი სანქცია, რომელიც საჭიროებს მე-6 მუხლის გარანტიებს. ამ კონტექსტში არ არსებობს პრინციპის „*ne bis in idem*“ დარღვევის რისკი.

## V. პირველი სასამართლო განხილვა

პრინციპის „*ne bis in idem*“ მოქმედება გულისხმობს, რომ პირველმა სასამართლო განხილვამ, ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, უნდა დააკმაყოფილოს ორი პირობა: მის საფუძველზე პირი უნდა გამართლდეს ან იქნეს მსჯავრდებული და მეორე, გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო. სიტყვები „სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო

<sup>1821</sup> შარიერი (2002) 352; ესერი (2002) 95; პარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 569; ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 690; ვილსი (2003) 134.

<sup>1822</sup> ჰანგლი (*Hangli*) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 38716/97.

<sup>1823</sup> ესკუბე (*Escoubet*) ბელგიის წინააღმდეგ, §32; იხ. აგრეთვე მიული (*Mulot*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 37211/97.

<sup>1824</sup> გიოკთანი (*Goktan*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §44.

<sup>1825</sup> ჯამილი (*Jamil*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §32; იხ. აგრეთვე უელში (*Weich*) გერმანიის წინააღმდეგ, §27.

<sup>1826</sup> შარიერი (2002) 252.

სამართლის შესაბამისად", რომელიც საერთოა ორივე ინსტრუმენტისთვის, საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

## ა. გამართლება ან მსჯავრდება

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის ტექსტი, საკმაოდ მკაცრია: პირველი სამართალწარმოება უნდა დამთავრდეს პირის გამართლებით ან მსჯავრდებით. ნაფიცო მსაჯულების მიერ ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხელს არ შეუშლის სამართალწარმოების განახლებას<sup>1827</sup>. *სმირნოვა (Smirnova)* და *სმირნოვას (Smirnova)* საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვა დაირღვა თავის დროზე შეწყვეტილი სამართალწარმოების განახლებით. სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი: „სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პროკურორის მიერ არ წარმოადგენს არც მსჯავრდებას და არც გამართლებას და შესაბამისად, არ მოქმედებს მე-7 ოქმის მე-4 მუხლი“<sup>1828</sup>.

ტერმინი „გადანყვეტილება“ პრაქტიკაში მოქნილად განიმარტება. *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში პრინციპი გამოყენებული იქნა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი „გადანყვეტილება“, რომლითაც მოხდა განმცხადებლისთვის 200 ფრანკის ოდენობის ჯარიმის შეფარდება, მიიღო ციურიხის საოლქო სამსახურმა, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა „სასამართლოდ“. სტრასბურგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია, რადგან „გადანყვეტილება“, რომელიც წარმოადგენდა ჯარიმას, საბოლოო გახდა მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა არ მოითხოვა სასამართლოს წინაშე მისი განხილვა.

აღნიშნული საკითხი განხილული უნდა იქნეს მეორე ელემენტის, გადაწყვეტილების „საბოლოო“ ხასიათის საფუძველზე. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ ანესრიგებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონკრეტული გადაწყვეტილების საკითხს. თუ ის უშვებს სამართალწარმოების განახლებას მას შემდეგ, რაც დევნის დაწყებაზე/გაგრძელებაზე უარი იქნა ნათქვამი, მაშინ გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება საბოლოოდ ევროპული კონვენციის ან საერთაშორისო პაქტის საფუძველზე. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა შიდა-სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ადგენს, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა, ის უნდა ჩაითვალოს პირის გამართლებად საერთაშორისო გარანტიის მნიშვნელობით. სასამართლო ვერ უარყოფს იმ დაცვას, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონით არის უზრუნველყოფილი<sup>1829</sup>. *გრადინგერის (Gradinger)* საქმეში სასამართლომ არ გამოიყენა მკაცრი ტესტი იმის გასარკვევად, თუ რა ჩაითვლებოდა გამამართლებელ გადაწყვეტილებად. ამ საქმეში განმცხადებელს ბრალად ედებოდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა. ის იქნა მსჯავრდებული ჩადენილი დანაშაულისთვის, თუმცა არ ცნეს ბრალეულად დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენაში. ის ფაქტი, რომ სასამართლომ უარყო განმცხადებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, ჩაითვალა გამართლების ტოლფასად, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ არ იყო ნახსენები გადაწყვეტილების

<sup>1827</sup> პრადელი (2002) N 501.

<sup>1828</sup> *ელენა პავლოვნა სმირნოვა (Yelena Pavlovna Smimova)* და *ირინა პავლოვნა სმირნოვა (Irina Pavlovna smimova)* რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადები 46133/99, 48183/99, § 33.

<sup>1829</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 53-ე მუხლი.



სარეზოლუციო ნაწილში<sup>1830</sup> და კონტინენტურ ევროპაში მხოლოდ სარეზოლუციო (არა სამოტივაციო) ნაწილს აქვს „*res judicata*“-ს ძალა.

გრადინგერის (*Gradinger*) საქმე ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ტერმინი „გამართლება“ არ უნდა განიმარტოს სიტყვის სიტყვის. გარანტია ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მსჯავრდებულ პირს ემოქრება ახალი სასამართლო განხილვა დამძიმებული ბრალდებით. ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირებით, რომლებიც გამართლეს. ამავე კატეგორიაში უნდა განვიხილოთ ის პირები, რომლებიც მსჯავრდებულ იქნენ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ან დაენიშნად ნაკლებად მკაცრი სასჯელი.

## ბ. გადანყვეტილების „საბოლოო ხასიათი“

პრინციპი „*ne bis in idem*“ გულისხმობს, რომ პირელმა გადანყვეტილებამ მიიღო საბოლოო ხასიათი, ანუ ის გახდა „*res judicata*“<sup>1831</sup>. სხვა შემთხვევაში, წინააღმდეგობა იქნებოდა მე-7 ოქმის მე-2 და მე-4 პუნქტებს შორის<sup>1832</sup>. კავშირი აღნიშნულ ორ პუნქტს შორის განაპირობებს „საბოლოო ხასიათის“ ცნების განსაზღვრებას: გამართლება ან მსჯავრდება საბოლოოა, თუ აღარ არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა<sup>1833</sup>. შესაბამისად, არის ოთხი საყარაულო ვარიანტი:

- შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გასაჩივრების უფლებას. მოცემულ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს, დანაშაული მიეკუთვნება თუ არა ისეთ კატეგორიას, რომლისთვისაც გასაჩივრების არსებობა არ არის საყალბელო მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე;
- გასაჩივრების ყველა საშუალება იქნა ამონურული;
- გასაჩივრების ვადა იქნა ხელიდან გაშვებული;
- თავდაპირველად საჩივარი იქნა წარდგენილი, თუმცა შემდეგ პირმა უარი განაცხადა მასზე.

ისეთი დეტალები როგორცაა ხანდაზმულობის ვადები და არგუმენტების მოყვანის საჭიროება განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით<sup>1834</sup>, თუმცა ტერმინოლოგია არ არის გადამწყვეტი. მაგალითად, შვეიცარიაში გადანყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამონურება კანტონის სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება<sup>1835</sup>. თუმცა გადანყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს გასაჩივრებას ფედერალურ სასამართლოში. შესაბამისად, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კანტონის

<sup>1830</sup> გრადინგერი (*Gradinger*) ავსტრიის წინააღმდეგ, §8, 14, 55.

<sup>1831</sup> ფან დიკი და ფან ჰოფი (1998).

<sup>1832</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14(5) მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 მუხლის მე-2(7) და მე-4 პუნქტები.

<sup>1833</sup> შარიერი (2002), 352; ოუევი და უაითი (2002), 196; ნოვაკი (1993), 272. იხ. აგრეთვე ოქმის განმარტებითი ბარათი, რომელიც თანერთვის ევროპულ კონვენციას სისხლისსამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილება საბოლოოა „თუ მან მიიღო *res judicata*-ს ძალა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, ანუ, როცა სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები აღარ არსებობს, აგრეთვე, თუ მხარეებმა ამონურეს ასეთი საშუალებები ან გაუშვეს ხანდაზმულობის ვადა“. 1(ა) მუხლი.

<sup>1834</sup> შპანგერი (2001) 959.

<sup>1835</sup> ჯაუზერი და შვერი (2001) §84, N 5; შმიდი (2004) N 585.

სასამართლოების გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პრაქტიკაში ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ფედერალურ სასამართლოში გასაჩივრების ვადები ძალიან ხანმოკლეა.

არსებობს საკმაოდ მარტივი ტესტი იმის გასარკვევად, საქმე გვაქვს სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებასთან, რომელიც გამოირიცხება გადაწყვეტილების აღიარებას „საბოლოო“ ხასიათის მქონედ, თუ სხვა ტიპის საშუალებასთან, როგორცაა ხანდაზმულობის ვადის არსებობა<sup>1836</sup>. გასაჩივრება, რომელიც არ ებმის გადაწყვეტილებას ზუსტად განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადით, ხელს ვერ შეუშლის მის აღიარებას „საბოლოოდ“. ნინაალმდეგ შემთხვევაში, დიდი ზიანი მიადგებოდა სამართლებრივ სიცხადეს.

მითითება პრინციპზე „*res judicata*“ ასევე ნიშნავს, რომ არ არის „აკრძალული ... ბრალდების მიერ გასაჩივრების უფლება“<sup>1837</sup>.

## გ. „სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად“

სიტყვები „სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად“ დამატება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს ეკვადორის წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც შიშობდა, რომ ტერმინი „საბოლოოდ მსჯავრდებული ან გამართლებული“ შეიძლებოდა ფართოდ ყოფილიყო განმარტებული. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს შეზღუდვა ეხებოდა მხოლოდ სიტყვებს „საბოლოოდ მსჯავრდებული ან გამართლებული“. ცელილება საკმაოდ მცირე უმრავლესობით იქნა მიღებული.

ამ დებულების მნიშვნელობა მაინც გაურკვეველია. ზოგიერთი ავტორი მას უკავშირებს „მსჯავრდებას“ და „გამართლებას“ და აცხადებს, რომ ისინი კანონიერი უნდა იყოს<sup>1838</sup>. თუმცა ეს მოსაზრება არ არის დამაჯერებელი. გარანტიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ, როგორც კი ის ხდება სამართლებრივი ძალის მატარებელი, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის ბოლომდე კანონიერი, ანუ გარკვეული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომები იქნა დაშვებული.

აღნიშნული სიტყვები უბრალოდ ხაზს უსვამს, რომ ის პირობები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვეტილება ხდება საბოლოო, მოცემულია ექსკლუზიურად ეროვნულ სამართალში. ნოვაკის მოსაზრება, რომ ისინი შეიძლება განიმარტოს როგორც წესის შეზღუდვა მხოლოდ იმავე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, არ არის დამაჯერებელი, განსაკუთრებით, ევროპულ კონვენციაში ამ გამონაკლისის მკაფიოდ ფორმულირების გათვალისწინებით<sup>1839</sup>.

## VI. მეორე სასამართლო განხილვა

დაუშვებელია, რომ პირი, რომელიც საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული, „ხელმეორედ გასამართლდეს ან დაისაჯოს“. რას ნიშნავს „გასამართლება“ ან „დასჯა“?

<sup>1836</sup> ფან დაიკი და ფან ჰოვი (1998) 272.

<sup>1837</sup> დენისი (2000) 937.

<sup>1838</sup> კერინ-ჯოულინი (1995) 1093.

<sup>1839</sup> ნოვაკი (1993) 272/3.

დარღვევა ცალსახაა, როდესაც მიღებულია ახალი გადაწყვეტილება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას. განსხვავება ისეთი უნდა იყოს, რომ მოახდინოს მეორე სასამართლო განხილვით გამოწვეული ტვირთის კომპენსირება. კომისიისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დებულება „არ ... მოქმედებს მანამ, სანამ ახალი სამართალწარმოება არ დაიწყება“<sup>1840</sup>. ეს ნაწილობრივ უცნაურია. გარანტია იმ მომენტიდან არ უნდა გავრცელდეს, როდესაც პირველი გადაწყვეტილება გახდება საბოლოო? სასამართლოს ეს განცხადება შეიცავს ხარვეზს. უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ პრინციპის დარღვევას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება ახალი სისხლისსამართლებრივი დევნა.

თუმცა ამ ფორმულირების ნაკითხვა უნდა მოხდეს კონკრეტულ საქმეში, *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, არსებული გარემოებების საფუძველზე. ამ საქმეში იხილებოდა კომისიისა და სასამართლოს იურისდიქციის საკითხი. ახალი სამართალწარმოება დაიწყო იქამდე, სანამ მე-7 ოქმი შევიდოდა ძალაში ავსტრიის მიმართ, თუმცა დასრულდა მისი ძალაში შესვლის შემდეგ. სახელმწიფომ განაცხადა, რომ იმ დროისთვის მე-7 ოქმის შესრულება სავალდებულო არ იყო. სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც განაცხადა, რომ გააჩნდა იურისდიქცია, რადგან დარღვევა გრძელდება ახალი სამართალწარმოების მანძილზე, ვიდრე გამოტანილი არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

ამ მხრივ, ახალი ცნების შემოტანა გაუმართლებელია. კრიტერიუმი იგივე უნდა იყოს, რაც გამოყენებული იქნა მე-ნ მუხლთან დაკავშირებით. შესაბამის პირზე „არსებითი ზეგავლენა“ უნდა მოახდინოს სახელმწიფო ორგანოების ქმედებებმა, რომლებიც ახალი სამართალწარმოების დასაწყებად ემზადებიან<sup>1841</sup>.

## VII. იდენტური დანაშაულები

ყველაზე საკამათო ასპექტი ერთი და იმავე დანაშაულისთვის ხელმოწერედ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპთან დაკავშირებით არის ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება პირველი და მეორე სასამართლო განხილვების დაკავშირება. მხედველობაში მიიღება რამდენიმე ასპექტი, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნები, დანაშაულის ჩამდენი პირი. ფაქტობრივი გარემოებები, როგორცაა ბრალდებულის ქცევა, ბრალდება ან დანაშაული<sup>1842</sup>. მნიშვნელობა არა აქვს იურისდიქცია იგივეა თუ არა. პრინციპის გამოყენებაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ საქმე დაექვემდებარა სხვა სასამართლო იურისდიქციას, მაგალითად, სამხედრო სასამართლოს განსჯადობას სამოქალაქო სამართალწარმოების შემდეგ<sup>1843</sup>.

### ა. იდენტური მიზანი

პარალელური დევნა შეიძლება ემსახურებოდეს სხვადასხვა მიზნებს. მაგალითად, *გრადინგერის (Gradinger) საქმეში* ერთი ნორმა ეხებოდა საზოგადოებრივი

<sup>1840</sup> *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 53; *საგირი (Sagir) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 32054/96.

<sup>1841</sup> *კორილიანო (Corigliano) იტალიის წინააღმდეგ*, § 34.

<sup>1842</sup> პიქერესი (2000) N 3966-72.

<sup>1843</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები კამერუნის შესახებ. A/55/40 vol. I, (2000) 35, § 215.

უსაფრთხოების დაცვას, მეორე კი თავისუფალ საავტომობილო მოძრაობას<sup>1844</sup>. თუმცა ეს, თავისთავად, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პრინციპი არ გავრცელდეს. თუ განსხვავება უკავშირდება სამართალწარმოების არსს (დასჯა, დისციპლინა, ფსიქიკურად დაავადებული პირების დაცვა) მას უკვე მოიცავს ტერმინი „სისხლისამართლებრივი“.

## ბ. ერთი და იგივე პირი

იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პირია ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში და ერთ-ერთი მათგანი იქნა მსჯავრდებული, სხვებს არ შეუძლიათ ამ გარანტიით სარგებლობა.

მეორე მხრივ, გარანტიის მოქმედებისთვის არ არის აუცილებელი, რომ მსხვერპლი იყოს ერთი და იგივე პირი. თუ პირმა ერთი ქმედებით მიაყენა ზიანი რამდენიმე ადამიანს და ამისთვის იქნა მსჯავრდებული, ახალი სისხლისამართლებრივი დევნა აკრძალული იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ მის ინიცირებას ახდენს პირი, რომელიც თავდაპირველად არ მონაწილეობდა სასამართლო განხილვაში და მისი სახელი, როგორც მსხვერპლის არ იყო ნახსენები გადაწყვეტილებაში. ცხადია, რომ მას ექნება შესაძლებლობა, სამოქალაქო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შევიცარიის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას<sup>1845</sup>. განმცხადებელი პასუხისგებაში იქნა მიცემული საგადასახადო დანაშაულისთვის, რომელიც მიმართული იყო როგორც ფედერალური ხელისუფლების, ისე ობვალდენის კანტონის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერთსა და იმავე საგადასახადო დეკლარაციას. კომისიამ განაცხადი ცნო დაუშვებლად არა იმ ფორმალობის გამო, რომ დეკლარაციის ფორმაში მოცემული იყო განსხვავებული სექტები ორი ტიპის ინფორმაციისთვის, არამედ იმიტომ, რომ განსხვავებულად საგადასახადო შეფასების მარეგულირებელი წესები და დანაშაულის სამართლებრივი საფუძვლები. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ სხვადასხვა დანაშაულებს ჰქონოდა ადგილი.

## გ. ერთი და იგივე ქმედება

*გრადინგერის (Gradinger)* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ქმედების (ფაქტების) იდენტურობას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მან აღნიშნა, რომ „... ორივე სადავო გადაწყვეტილება ემყარებოდა ერთსა და იმავე ქმედებას. შესაბამისად, ადგილი აქვს დარღვევას ...“<sup>1846</sup> ქმედების კრიტერიუმში ასევე გამოიყენება ინტერამერიკული სასამართლოს მიერ<sup>1847</sup>. მან მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები „იგივე მიზეზით“ უფრო ფართო იყო, ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო

<sup>1844</sup> *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, §54; განსხვავება ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად.

<sup>1845</sup> *HB შევიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 28332/95.

<sup>1846</sup> *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, §55. კომისიამ გაიზიარა იგივე მოსაზრება: იხ. *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15863/90, §75. იხ. აგრეთვე *მარტე (Marle)* და *ახმერგევი (Achbergew)* ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 22541/93, §41 (მხარეები მორიგდნენ სასამართლოში); და *ოლივეირა (Oliveira) შევიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 25711/94, §47.

<sup>1847</sup> *ლოიაზა ტამაიო (Loayza Tamayo) პერუს წინააღმდეგ* (1997).

პაქტის დებულება. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ პერუში მოქმედი დეკრეტები არღვევდა კონვენციას, რადგან ისინი ძირითადად ერთსა და იმავე ქმედებაზე ვრცელდებოდა, კერძოდ, ტერორიზმსა და ლალატზე. განმცხადებელი გაამართლეს ერთ დანაშაულში, თუმცა შემდეგ პასუხისგებაში მისცეს სხვა დანაშაულისთვის, რაც გარანტიის დარღვევა იყო.

ეს ცალსახა ნესად ითვლება, თუმცა დამატებითი განსხვავებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

## 1. ქმედების „სამართლებრივი“ და „ბუნებრივი“ მთლიანობა

ქმედება შეიძლება განვიხილოთ ორ ჭრილში: როგორც ონთოლოგიური თვალსაზრისით, მეცნიერულად დაკვირვებადი ფენომენი ან ნორმატიული ცნება. სინამდვილეში ძნელია მოვლენის ან ქმედების განსაზღვრა მხოლოდ მეცნიერული ტერმინებით. მაგალითად, ქმედება სროლა შედგება მინიმუმ ორი ელემენტისგან: დამიზნება და სასხლეტისთვის ხელის გამოყვრა. ერთად ისინი შეადგენენ ერთ მთლიანობას, რომელიც განისაზღვრება შედეგით – პირისთვის სიცოცხლის მოსპობით.

მეორე მხრივ, ერთმანეთისგან განსხვავებული თანმიმდევრული ქმედებების სერია შეიძლება კანონმდებლობის ან სამართლებრივი პრაქტიკის საფუძველზე შეადგენდეს ხელოვნურ მთლიანობას. მაგალითად, რამდენიმე დარტყმა შეიძლება ჩაითვალოს ცემად; გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩადენილი რამდენიმე ქურდობა განხილულ იქნეს ქურდობის ერთ დანაშაულად; ფულის სანაცვლოდ სექსუალური მომსახურების რამდენჯერმე განწევა კი პროსტიტუციად<sup>1848</sup>.

სტრასბურგის სასამართლო არ უნდა ჩაერიოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე აღნიშნული საკითხების მონესრიგებაში. ერთ სახელმწიფოში შეიძლება მოქმედებდეს სისტემა, რომელიც კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს განიხილავს ერთ დანაშაულად, ხოლო მეორეში შეიძლება ყოველი კონკრეტული ქმედება ითვლებოდეს ინდივიდუალურ დანაშაულად. სახელმწიფოს დისკრეციას უნდა მიეკუთვნებოდეს ასევე სასჯელების შეფარდების სისტემის განსაზღვრა. ერთ ქვეყანაში შეიძლება მოქმედებდეს აკუმულირების სისტემა, მეორე ქვეყანაში კი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი ჩაითვალოს სანყის ნერტილად და გაიზარდოს გარკვეულ დონემდე სხვა სასჯელებთან მიმართებაში ან შთანთქას ისინი. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ეს შესაძლებლობა და მისაღებად ჩათვალოს კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული სისტემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა დისკრეციის ბოროტად გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ პრინციპი „*ne bis in idem*“ არ დაირღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ რამდენიმე ქმედება ითვლება ერთ მთლიანობად.

## 2. ქმედება თუ შედეგი?

შემდეგი საკითხია, უნდა განვასხვაოთ თუ არა ერთმანეთისგან პირის მიერ ჩადენილი ქმედება და მისი შედეგი. პირმა შეიძლება გადაწყვიტოს სხვისი მოკვლა სანამლაის საშუალებით და ორი თვის განმავლობაში მისცეს მას ისეთი პორციები, რომლებიც ცალკე აღებული არ არის მომაკვდინებელი, თუმცა ერთობლიობაში ინვესს სიკვდილს გარკვეული დროის შემდეგ. გარდა ამისა, ტერორისტმა შეიძლება მდლაზიაში ააფეთქოს ბომბი და მოკლას თოთხმეტი ადამიანი. ეს შემთხვევები უნდა განვიხილოთ თუ არა ერთ მთლიანობად?

<sup>1848</sup> შობბურგი (2000) 1833 at 1835.

პირველ მაგალითში ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ამ შემთხვევაში დანაშაულის განმსაზღვრელია შედეგი. უხეშად რომ ვთქვათ, პირი შეიძლება მოკლულ იქნეს მხოლოდ ერთხელ.

მეორე მაგალითში პასუხი ნაკლებად ცალსახაა. თუმცა იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ დანაშაული ერთი და იმავე პირის მიმართ იქნეს ჩადენილი, ორივე საქმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ქმედების ერთობლიობას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა ერთზე მეტ პირს. შესაბამისად, თუ ტერორისტი საბოლოოდ იქნა გასამართლებული რამდენიმე მსხვერპლის მკვლელობის გამო, ხოლო სხვები გარდაიცვალნენ მოგვიანებით ან მათი გვამები პირის მსჯავრდების შემდეგ იქნა აღმოჩენილი, ხელმეორედ გასამართლების აკრძალვა უკვე ძალაშია.

## დ. ერთი და იგივე დანაშაული

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი და ევროპულის კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ორ საქმეს აკავშირებს ტერმინით „დანაშაული“. ეს პირველად იქნა ხაზგასმული *გრადინგერის (Gradinger)* საქმეში განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრების მიერ და მოგვიანებით, ასევე გაიზიარა სასამართლომ, რომელმაც *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში გადამწყვეტად ჩათვალა არა ქმედება, არამედ შედეგი<sup>1849</sup>. სასამართლო ამ მიდგომის ერთგული დარჩა მთელი შემდგომი პრეცედენტული სამართლის განმავლობაში<sup>1850</sup>.

## ე. არის თუ არა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თანმიმდევრული?

### 1. *გრადინგერის (Gradinger)* და *ოლივეირას (Oliveira)* საქმეები

*გრადინგერის (Gradinger)* და *ოლივეირას (Oliveira)* საქმეებს შორის ურთიერთკავშირი დამაფიქრებელია. ორივე საქმე ეხებოდა სატრანსპორტო დანაშაულებს. პირველ საქმეში განმცხადებელი მსჯავრდებული იქნა ავტომანქანის გაუფრთხილებელი მართვის შედეგად სიცოცხლის მოსპობაში, თუმცა არ იქნა ცნობილი ბრალეულად დამამძიმებელ გარემოებაში, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვაში. მოგვიანებით ის დააჯარიმეს იგივე ინციდენტის დროს მანქანის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართვის გამო „საავტომობილო მოძრაობის შესახებ“ კანონის დარღვევისთვის. *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში განმცხადებელმა გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა. ავტომანქანა, რომელსაც ის მართავდა, მოსრიალდა ყინულზე და დაეჯახა სხვა მანქანას, რომლის მძღოლი მძიმედ დაშავდა. პირველად იგი დაჯარიმდა 200 ფრანკით გადამეტებული სიჩქარით მოძრაობისა და მანქანაზე კონტროლის დაკარგვის გამო. მოგვიანებით ის კიდევ ერთხელ დააჯარიმეს, ამჯერად 2000 ფრანკით გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ნიადაგზე; ჯარიმა თავდაპირველად შემცირდა 1500 ფრანკამდე, ხოლო ძველი ჯარიმის გამოკლების შედეგად 1300 ფრანკამდე.

<sup>1849</sup> *ოლივეირა (Oliveira) შეიქცარის ნინააღმდეგ*, §26.

<sup>1850</sup> *ფრანც ფიშერი (Franz Fischer) ავსტრიის ნინააღმდეგ*, §23; *WF ავსტრიის ნინააღმდეგ*, §9; *ზაილერი (Sailer) ავსტრიის ნინააღმდეგ*, §11. იხ. აგრეთვე განაცხადის დასამუშავების გადამწყვეტილება საქმეში *პონსეტი (Ponsetti)* და *შენსელი (Chesnel)* საფრანგეთის ნინააღმდეგ (განაცხადები 36855/97 და 41731/98); *ბრიგიტა მაიერი (Brigitte Maier) ავსტრიის ნინააღმდეგ*, განაცხადი 70579/01; *მანასონი (Manasson) შვედეთის ნინააღმდეგ*, განაცხადი 41265/98.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა პირველ საქმეში, თუმცა არა მეორეში.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ქალბატონი ოლივეირა არ იქნა ორჯერ დასჯილი, რადგან პირველ შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმა გამოაკლდა მეორე ჯარიმის ოდენობას<sup>1651</sup>. თუმცა ეს გარემოება ვერ იქნება გადამწყვეტი, რადგან მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ადამიანს იცავს როგორც განმეორებითი სასჯელის შეფარდების, ისე გასამართლებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ ჰქონდა განმეორებითი სასჯელს, სახეზე იყო ხელმეორედ სისხლისსამართლებრივი დენის განხორციელება და გასამართლება.

თავად სასამართლომაც აღიარა, რომ მისი მიდგომა იყო „გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი“<sup>1652</sup>. იგივეს აღნიშნავენ სხვადასხვა ავტორები. მაგალითად, ესერი აცხადებს, რომ *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში სასამართლომ უარი თქვა იმ მიდგომაზე რომელიც ხელსაყრელი იყო ბრალდებულისთვის<sup>1653</sup>. სინამდვილეში *გრადინგერის (Gradinger)* საქმეში სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ იდენტური ფაქტების არსებობა იყო რელევანტური კრიტერიუმი. ეს შეესაბამება კონტინენტურ ევროპაში არსებულ მიდგომას პრინციპისადმი *„ne bis in idem“*<sup>1654</sup>. ჯერ სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და შემდეგ საავტომობილო მოძრაობის კანონის დარღვევისთვის პირის მსჯავრდებამ (ორივე ემყარებოდა რა ერთსა და იმავე ქმედებას) გამოიწვია დარღვევის დადგენა.

თუმცა სასამართლომ ერთმანეთს შეადარა არა ორი დანაშაული, არამედ მხოლოდ მათი მკვალიფიცირებული ელემენტები. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ინტოქსიკაციის ელემენტი არ იყო მოხსენიებული პირველ გადაწყვეტილებაში, როგორც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვასთან დაკავშირებული ბრალდებისგან პირის *de facto* გამართლების საფუძველი. მან ასევე განიხილა, იყო თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება საავტომობილო მოძრაობის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვის, იდენტური. პასუხი იყო უარყოფითი. „სასამართლო სრულად აცნობიერებს, რომ დებულებები განსხვავდება არა მხოლოდ სახელწოდებით, არამედ მათი ხასიათისა და მიზნების თვალსაზრისითაც“<sup>1655</sup>. შესაბამისად, დარღვევის აღმოჩენას საფუძველად დაედო „ერთი და იგივე ქმედება“.

*ოლივეირას (Oliveira)* საქმეში სასამართლომ რადიკალურად შეცვალა თავისი მიდგომა. ამ შემთხვევაშიც საქმე ეხებოდა ერთსა და იმავე ფაქტებზე დაყრდნობით პირის ორჯერ მსჯავრდებას. თუმცა სასამართლომ არ გამოიყენა თავისი ჩვეული

<sup>1651</sup> *ოლივეირა (Oliveira) შეუიჯარიის წინააღმდეგ*, § 25; სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა ეს საქმეში *ფრანც ფიშერი (Franz Fischer) ავსტრიის წინააღმდეგ* (§ 30), რომელშიც სასჯელი შემცირებულ იქნა შეწყალებით.

<sup>1652</sup> *ფრანც ფიშერი (Franz Fischer) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 23. *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეს, ბატონ რეიკს შეექმნა მსგავსი შთაბეჭდილება. მისი აზრით, ამ საქმეში „სასამართლომ აიჩიოა სანაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება.“

<sup>1653</sup> ესერი(2002) 97. იხ. აგრეთვე ჰელფიგერი და შურმანი (1999) 257 N 71; ჯენინგსი (2001) N 14.19.

<sup>1654</sup> იხ. მაგ.: მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, პიქერესი (2000) N 3970; რენუჩი (2002) 140; კერინ-ჟოულინი (1995) 1093 (ავტორი მიუთითებს საფრანგეთის კანონმდებლობაზე); პრადელი (2002) N 501; როქსინი (1998) § 50 BII 2.

<sup>1655</sup> *გრადინგერი (Gradinger) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 8-16, 54, 55. თუ სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებდა სასჯელს დანაშაულის ჩადენისთვის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, საავტომობილო მოძრაობის კანონის მე-5 მუხლით, დანაშაულად ითვლებოდა უშუალოდ ინტოქსიკაციის ქვეშ ავტომობილის მართვის ფაქტი.

მეთოდი და უპირველესად არ განსაზღვრა ზოგადი პრინციპები. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა „ერთ ქმედებას, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა დანაშაულს“<sup>1856</sup>. არგუმენტების მომველიების გარეშე სასამართლომ განაცხადო, რომ, რადგან მე-7 ოქმის მე-4 მუხლი „არ გამორიცხავს განსხვავებული სასამართლოების მიერ სხვადასხვა დანაშაულების გარჩევას იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი შედგება ერთი და იმავე ქმედებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასჯელები არ არის კუმულატიური, არამედ შედარებით მსუბუქს შთანთქავს უფრო მკაცრი ... შესაბამისად, მოცემული საქმე განსხვავდება გრადინგერის (*Gradinger*) საქმისგან, რომელშიც ორი სხვადასხვა სასამართლო მივიდა არაერთგვაროვან დასკვნამდე განმცხადებლის სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დონის თაობაზე“<sup>1857</sup>. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მოსამართლეს, რომელიც იხილავდა ოლივეირას (*Oliveira*) საქმეს არ მიუღია მონაწილეობა გრადინგერის (*Gradinger*) საქმეში.

## 2. პრეცედენტული სამართლის კონსოლიდაცია

არ არის გასაკვირი, რომ სასამართლომ გამოიყენა გრადინგერის (*Gradinger*) მსგავსი ფრანც ფიშერის (*Franz Fischer*) საქმე თავისი მიდგომის განმარტებისთვის. აღნიშნულ საქმეში ეხვდებით განცხადებას, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რაც სასამართლომ განაცხადა გრადინგერის (*Gradinger*) გადანყევილებში, თუმცა ეს წინააღმდეგობა გარკვეულწილად შეფარულია: „გრადინგერის (*Gradinger*) საქმეში მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებითი ელემენტები არ განსხვავდებოდა იმ ელემენტებისგან, რომლებიც წარმოადგენდა დამამძიმებელ გარემოებებს სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კერძოდ, ავტომობილის მართვა, როდესაც სისხლში ალკოჰოლის დონე აღემატება ლიტრზე 0.8 გრამს“<sup>1858</sup>. სასამართლოს განმარტებით, „იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ეს მუხლი არ ირღვევა, როდესაც ერთი და იგივე ქმედება შეადგენს ერთზე მეტ დანაშაულს, სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს იმის დადგენით, რომ განმცხადებელი ერთი ქმედების გამო გაასამართლეს ან დასაჯეს ნომინალურად სხვადასხვა დანაშაულებისთვის“<sup>1859</sup>. აღნიშნულ საქმეში „სათანადო ანალიზი აჩვენებს, რომ მხოლოდ ერთი დანაშაულის ნიადაგზე უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან ის მოიცავს ყველა იმ დარღვევას, რომელიც სხვებშია წარმოდგენილი.“ *პონსეტისა* (*Ponsetti*) და *ჩესნელის* (*Chesnel*) საქმეში მსგავსი ანალიზის გამოყენებით მოხდა შემოსავლის დეკლარირებასთან დაკავშირებულ დანაშაულსა და საგადასახადო თაღლითობას შორის განსხვავების დადგენა ბრალის საფუძველზე, რადგან უკანასკნელი მოითხოვდა იმის განსაზღვრას, რომ ბრალდებულმა განზრახ იმოქმედა. ასეთი დასკვნა ვერ ჩაითვლება საკმარისად დამაჯერებლად<sup>1860</sup>.

## 3. სისხლის სამართლის გააზრება

შვეიცარიის, გერმანიისა და ავსტრიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთი და იგივე პირის მიერ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულებს შორის ურთიერთკავშირის თემა დავის საგანია. როდესაც პირი ჩაიდენს ერთ ან

<sup>1856</sup> ოლივეირა (*Oliveira*) შვეიცარიის წინააღმდეგ, § 26.

<sup>1857</sup> *Ibid.*, § 27.

<sup>1858</sup> ფრანც ფიშერი (*Franz Fischer*) ავსტრიის წინააღმდეგ, § 27.

<sup>1859</sup> *Ibid.*, § 25.

<sup>1860</sup> პონსეტი (*Ponsetti*) და ჩესნელი (*Chesnel*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადები 36855/97 და 41731/98.



მეტ ქმედებას, რომელიც შეესაბამება ერთზე მეტ დანაშაულს, გარკვეული გარემოებების არსებობისას მას სასჯელი შეეფარდება მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რომელიც შთანთქავს სხვა დანაშაულებისთვის განკუთვნილ სასჯელს<sup>1861</sup>. სტრასბურგის სასამართლო ასეთ დელიკატურ საკითხებს წყვეტს კონკრეტულ საქმეში მოცემული გარემოებების საფუძველზე. როგორც ჩანს, *გრადინგერისა (Gradinger)* და *ფრანც ფიშერის (Franz Fischer)* საქმეებში ერთი და იგივე საკითხის განსხვავებულად შეფასებამ სასამართლოს გაკვეთილი ასწავლა. თავის მოჩვენება, რომ მეცვლელობის დანაშაულის დამძიმება ინტოქსიკაციის ელემენტით და ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა არის „არსებითად ერთი და იგივე“, უბრალოდ, არასწორია. ცხადია, რომ ორივე ეხება ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნას. თუმცა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის დამამძიმებელი გარემოება არ უკავშირდება ავტომობილის მოძრაობის წესებს. ის არ მოიცავს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის დანაშაულის არსებით ელემენტს, კერძოდ იმ ფაქტს, რომ მძღოლმა საფრთხეში ჩააყენა სხვები. კავშირი ორ დანაშაულს შორის, როგორც მინიმუმ, შვეიცარიის კანონმდებლობით არ არის „*concurrence imparfaite*“ (არასაკმარისი კონკურენცია), სულ მცირე მაშინ, როდესაც სხვა პირებს ასევე შეექმნათ საფრთხე<sup>1862</sup>.

თუმცა ფაქტია, რომ სასამართლომ შეცვალა მიდგომა პრინციპისადმი „*ne bis in idem*“ და მოითხოვს არ მხოლოდ იდენტური ფაქტების არსებობას, არამედ იდენტურ დანაშაულებს. ასეთი მიდგომა არის გამოყენებული *პონსეტისა (Ponsetti)* და *ჩესნელის (Chesnel)* საქმეში განაცხადის დასაშვებობის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>1863</sup>. რამდენიმე გადაწყვეტილება უბრალოდ იმეორებს *ფრანც ფიშერის (Franz Fischer)* გადაწყვეტილებას<sup>1864</sup>. *ბრიგიტა მაიერის (Brigitte Maier)* საქმეში განაცხადის დასაშვებობის გადაწყვეტილება საკმაოდ ლაკონურია: „განმცხადებელი არ ამტკიცებს, რომ ის ხელმეორედ გაასამართლეს ან დასაჯეს იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ის უკვე საბოლოოდ იქნა მსჯავრდებული ან გამართლებული. განაცხადი შეეხება მის მსჯავრდებას სხვადასხვა დანაშაულების საფუძველზე ერთი ქმედების გამო და ერთსა და იმავე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. შესაბამისად, მე-7 ოქმის მე-4 მუხლი არ ვრცელდება“<sup>1865</sup>.

#### 4. შეფასება

სასამართლოს იურიისპრუდენცია ამ მხრივ კრიტიკას იმსახურებს. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ორ გადაწყვეტილებას შორის ცალსახა წინააღმდეგობის მიუხედავად, შედეგი არ არის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური.

ანგლოსაქსური მიდგომა, ხელმეორედ დასჯის აკრძალვის პრინციპის მიმართ, ემყარება დანაშაულს და არა ქმედებას<sup>1866</sup>. მოსამართლე ლუკაიდესი *ოლივეირას (Oliveira)* საქმეში გამოთქმულ თანხმედრ აზრში აყალიბებს საკმაოდ ძლიერ არგუმენტს ასეთი მიდგომის სასარგებლოდ. თუ ერთმანეთს

<sup>1861</sup> იხ. მაგ: კილიასი (2001) N 1118

<sup>1862</sup> შეარცნვეერი (2003) N 7.

<sup>1863</sup> *პონსეტი (Ponsetti)* და *ჩესნელი (Chesnel)* საფრანგეთის წინააღმდეგ განაცხადები 36855/97 და 41731/98.

<sup>1864</sup> *WF ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 38275/97; *ზაილერი (Sailer)* ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 38237/97; *მანასონი (Manasson)* შედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 41265/98.

<sup>1865</sup> *ბრიგიტა მაიერი (Brigitte Maier)* ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 70579/01. იხ. აგრეთვე *Goklean საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 51.

<sup>1866</sup> *მერილსი და რობერტსონი* (2001) 268; *სტავროსი* (1993) 297; *შანგერი* (2001) 959.

შევადარებთ ორ ალტერნატივას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულზე ორიენტირებული მიდგომა უფრო ახლოს დგას ტექსტთან. ის ასევე უკეთ იცავს სახელმწიფო და საჯარო ინტერესებს, რადგან უზრუნველყოფს ყველა დანაშაულის გამოძიებას. თუმცა არის გარემოებები, რომლებიც მეორე ალტერნატივის სასარგებლოდ მეტყველებს. კერძოდ, ის უფრო ხელსაყრელია კონკრეტული პირისთვის. თუმცა ეს უკანასკნელი არგუმენტი თავისთავად არ არის დამაჯერებელი.

ამ საკითხის გადანყევტისას მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გაკეთდეს დაცული ინტერესის ხარისხზე. ეს არ ნიშნავს, რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის სანქციების დაკისრებას. არსებითი ელემენტია ის, რომ სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ ბრალდებულმა იცოდეს, რომ ყველაფერი დამთავრდა. სასჯელი ჯერ კიდევ უნდა აღსრულდეს, თუმცა გაურკვეველობის პერიოდი (რომელიც თავისთავად შეზღუდულია გონიერულ ვადაში სასამართლო განხილვის მოთხოვნით) დასრულებულია და მომავალი, როგორც მინიმუმ, პროგნოზირებადია.

როდესაც დამნაშავე მართლმსაჯულების სისტემის ხელში აღმოჩნდება, მას აქვს ხელისუფლების მიერ მისი საკითხის არა მარტო სწრაფად, არამედ ჯეროვნად გადანყევტის მოლოდინი. სანამ ბრალდებულმა იცის, რომ მის მიერ დამატებით ჩადენილი ქმედებების შესახებ ხელისუფლებისთვის ჯერ არ არის ცნობილი, ის ყოველთვის იქნება სტრესის ქვეშ. მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაიდება მაგიდაზე, პირს აქვს უფლება, ჰქონდეს საკითხის საბოლოოდ გადანყევტის მოლოდინი. თუ სახელმწიფო ხელისუფლება ჩათვლის საჭიროდ, რომ მომხდარი ქმედება რამდენიმე დანაშაულად დაყოს<sup>1867</sup>, მან უნდა აიღოს რისკი, რომ შეცდომის დაშვების შემთხვევაში „*ius puniendi*“ სრულფასოვნად ვერ განხორციელდება<sup>1868</sup>.

აღნიშნული მიზეზების გამო, დასაინანია, რომ სასამართლომ არ აირჩია სწორი მიდგომა *გრადინგერის (Gradinger)* საქმეში. კერძოდ, მას იმგვარად უნდა განემარტა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, რომ აეკრძალა ხელმეორედ სასამართლო განხილვის ჩატარება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთაც საფუძველი დაუდეს კანონიერ ძალაში შესული გადანყევტილებით დასრულებულ პირველ სამართალწარმოებას.

*გრადინგერის (Gradinger)* და *ოლივეირას (Oliveira)* საქმეებთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიწვია არსებითი გაუგებრობა, რადგან განაცხადა ერთი და გააკეთა მეორე. *გრადინგერის (Gradinger)* საქმეში მან აღნიშნა, რომ ქმედება იყო კრიტიკრიუმი, თუმცა დაეყრდნო დანაშაულის კრიტიკრიუმს. მხოლოდ ამ მხრივ არსებობს წინააღმდეგობა. ორივე გადანყევტილებაში გადამწყვეტი ფაქტორი იყო დანაშაული. ამის შემდეგ მან დაუშვა მეორე შეცდომა ავსტრიული კანონმდებლობის განმარტებისას.

## 5. შეთავაზება

სასამართლომ უნდა გაიზიაროს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიდგომა საქმეში *ბლოკბურგერი (Blockburger)* აშშ-ს წინააღმდეგ<sup>1869</sup>, სადაც მან აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი და იმავე ქმედებით გამოწვეულ ორ დანაშაულზე არის პრინციპის „*ne bis in idem*“ დარღვევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ყოველი ნორმა მოითხოვს ისეთი დამატებითი გარემოების

<sup>1867</sup> მაგალითად, ძარცვა შეიძლება დაიყოს საკუთრებაში უკანონო შეღწევად, საკუთრებისთვის ზიანის მიყენებად და ქურდობად.

<sup>1868</sup> იხ. აგრეთვე ესერი (2002) 98.

<sup>1869</sup> *ბლოკბურგერი (Blockburger)* აშშ-ს წინააღმდეგ, 284 US 299 (1932); იხ. აგრეთვე *აშშ დიქსონის (Dixon)* წინააღმდეგ, 113 S. Ct 2849, 2856 (1993).

დამტკიცებას, რომელსაც არ მოითხოვს მეორე". ეს არის უფრო კონკრეტული ტექსტი, ვიდრე სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა, რომელიც გულისხმობს იმის გარკვევას, მოიცავს თუ არა ერთი დანაშაული ყველა იმ დარღვევას, რომელსაც სხვები შეიცავენ ან აქვს თუ არა „იგივე არსებითი ელემენტები“<sup>1870</sup>. სინამდვილეში, სასამართლო მოიხსენიებს იმ „განმასხვავებელი ნიშნის“ კრიტერიუმს, რომელიც გამოიყენება შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ, თუმცა მხოლოდ „თვალსაჩინო მაგალითის“ სახით. შესაბამისად, მისი მიდგომა ინარჩუნებს ბუნდოვან ხასიათს.

## VIII. „ხელმეორედ დასჯა“

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი, აცხადებს, რომ დაუშვებელია პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა. დასჯაზე მითითება არ გამხდარა დიდი განხილვის საგანი.

ამ მხრივ, აღსანიშნავია საქმე *საგირი (Sagir) ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც განმცხადებლის საჩივარი უკაემირდებოდა პირველ სასამართლო განხილვაზე მისთვის დანიშნულ სასჯელს. ეს საკითხი აშკარად სცილდებოდა პრინციპის „*ne bis in idem*“ მოქმედების ფარგლებს<sup>1871</sup>.

სასამართლო ზედაპირულად შეეხო ამ საკითხს განაცხადის დასაშვებობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>1872</sup>. კვლავ ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა იყო დანაშაული. საგზაო მოძრაობის სამსახურმა შეაჩერა განმცხადებლის მართვის მონმობის მოქმედება ოთხი თვის ვადით. მოგვიანებით, სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საქმე და შეუფარდა პირობით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. განაცხადი აშკარად დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი შემდეგი მიზეზების გამო: „სასამართლო აცხადებს, რომ შევიცარიის ხელისუფლების ორგანოები უბრალოდ წყვეტდნენ ამ ტიპის დანაშაულისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სამი სანქციის, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის, ჯარიმის და მართვის მონმობის ჩამორთმევის, დაკისრების საფუძვლიანობას. აღნიშნული სანქციები ერთდროულად დაენიშნა განმცხადებელს ორი განსხვავებული ორგანოს, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. შესაბამისად, ვერ ჩაითვლება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხელმეორედ განხორციელდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის სანინააღმდეგოდ“.

სამი ასპექტი არის დამაფიქრებელი. პირველი, აღნიშნული სანქციების შეფარდება არ მომხდარა ერთდროულად<sup>1873</sup>. მეორე, პრინციპი „*ne bis in idem*“ ნიშნავს „ერთ სასამართლო განხილვას ერთი ქმედების/დანაშაულისთვის.“ სასამართლომ არაპირდაპირ მისაღებად ჩათვალა სისტემა, რომელშიც სამი სანქციის დაკისრებაზე სამი სხვადასხვა სამართალწარმოება განხორციელდა. მესამე, სასამართლომ ასევე იგულისხმა, რომ განსხვავებული ვითარება იქნებოდა

<sup>1870</sup> ფრანც ფიშერი (Franz Fischer) ავსტრიის წინააღმდეგ, §25.

<sup>1871</sup> საგირი (Sagir) ავსტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 32054/96; იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეში *შვაიცერი (Schweizer) ურუგვაის წინააღმდეგ*; მაკოლდრიკი (1994/2001) N 10.54.

<sup>1872</sup> RT *შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 31982/96.

<sup>1873</sup> მართვის მონმობის მოქმედება შეჩერებულ იქნა 1993 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, რომელსაც არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილების ძალა 1995 წლის 31 მაისამდე, ხოლო ჯარიმა შეფარდებულ იქნა 1993 წლის 9 ივნისს.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი სასამართლო განხილვიდან ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, მოხდებოდა პირის ხელმოწერად გასამართლება ახალი სასჯელის დანიშვნის მიზნით.

ეს პრობლემა დღესდღეობით რელევანტურია გერმანიასა და შეიქცარიაში. ფსიქიატრები თვლიან, რომ ის პირები, რომელთაც შეფარდებული აქვთ განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთა მძიმე დანაშაულებისთვის, უნდა გათავისუფლდნენ იმის მიუხედავად, რომ კვლავ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებისთვის. შესაბამისად, გერმანიის რამდენიმე მხარეში მიიღეს ეგრეთ ნოდებული პრევენციული თავისუფლების აღკვეთის დანერგვის გადაწყვეტილება, რომელიც გამოიყენება პირის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ<sup>1874</sup>. ძალზე საეჭოა, რომ ეს შესაბამისობაში იყოს ხელმოწერად გასამართლების აკრძალვის პრინციპთან<sup>1875</sup>. ამ მხრივ, ორი შესაძლებლობა უნდა განვსახვაოთ ერთმანეთისგან.

პირველი, შესაძლებელია, რომ პირმა განიცადა ისეთი გონებრივი დეფექტი, რომ ჩათვლება „სულიერ ავადმყოფობად“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში სამართალწარმოება არ იქნება სისხლისსამართლებრივი ხასიათის და შესაბამისად, ადგილი არ ექნება რაიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევას. მთავარი აქცენტი გაკეთდება თერაპიასა და მოვლაზე.

მეორე, როდესაც პატიმარი არ არის ფსიქიკურად დაავადებული. ასეთ დროს თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება უვადოდ წარმოადგენს ახალ სასჯელს. ამ მოსაზრების უარყოფის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ იქნება მისაღები, რადგან უბრალოდ პრევენციული პატიმრობა არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებების სამართალთან<sup>1876</sup>.

## IX. გამონაკლისები

სამ ინსტრუმენტს შორის მხოლოდ ევროპული კონვენცია შეიცავს გამონაკლისებს, თუმცა არც სხვები გამორიცხავენ ახალ სამართალწარმოებას მსჯავრდებულის სასარგებლოდ. ამის მიღმა უკვე რთულია არსებული ვაკუუმის განმარტება. გამორიცხავენ თუ არა საერთაშორისო პაქტი და ამერიკული კონვენცია საქმის ხელახლა განხილვას იმ შემთხვევაშიც, თუ დაცვამ „მოისყიდა“ მოსამართლე, გააყალბა მტკიცებულებები ან დაამინა ბრალდება?

<sup>1874</sup> იხ. კინციგი (2001) 1455.

<sup>1875</sup> აღნიშნული საკითხი ასევე ნამოიჭრა ადამიანის უფლებათა კომიტეტში კოსტა რიკის 1980 წლის მოხსენების განხილვის დროს. როგორც ჩანს, მოსამართლეებს უკონდათ „დამატებითი უსაფრთხოების ზომების დაკისრების უფლება, თუ ჩათვლიდნენ, რომ დანიშნული სასჯელით არ მომხდარა მსჯავრდებული პირის რესოციალიზაცია.“ CCPR A/35/40 (1980) §361, 345.

<sup>1876</sup> *ლოულები (Lawless) ირლანდიის წინააღმდეგ (No. 3)*, §14. ამ საქმეში პრევენციულ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ „თუ დანაშაულის ჩადენის განზრახვის ქონაში ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს დაკავებული და დაპატიმრებული უვადოდ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე და თუ არ ჩათვლით ამას კონვენციის დარღვევად ... ასეთი დაშვება, ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების საფრთხესთან ერთად, შედეგად გამოიღებს ისეთი დასკვნების გაკეთებას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპებს“. საამართლოს გამორჩა ის, რომ კონვენცია საერთოდ არ უშვებს რაიმე სახის პრევენციულ თავისუფლების აღკვეთას სასამართლოს მიერ. იხ. *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ; კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ; ჯეიუსი (Jedius) ლიტვის წინააღმდეგ*, §50.

ევროპული კონვენციის საფუძველზე გამოყენებული მიდგომა პატივს სცემს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. სხვადასხვა ხარისხით ხელშემკერელი სახელმწიფოები უშვებენ საქმის გადასინჯვას პირის გამართლების შემთხვევაში. როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას, შეუძლებელია კონვენციის გამოყენება. ეს გამონაკლისი ემსახურება სახელმწიფოს ვალდებულებების შემცირებას და არა ინდივიდუალური უფლებების მინიჭებას. ქვემოთ მოცემული მიმოხილვა შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ განახლებული სამართალწარმოებით, რომელიც იქნა გამართებული ან მსჯავრდებული და შეეფარდა აშკარად უფრო მსუბუქი სასჯელი. ასეთი შესაძლებლობის არსებობა უცხოა საერთო სამართლის ქვეყნებისთვის. თუმცა „სამართლის კომისია“ აპირებს მის დაწერვას ინგლისსა და უელსში ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ახალი მტკიცებულებები იქნა აღმოჩენილი<sup>1877</sup>.

მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოების განახლება შესაძლებელია ორ შემთხვევაში: როდესაც არის ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები ან ადგილი ჰქონდა არსებით ხარვეზს პირველ სამართალწარმოებაში.

## ა. ახალი გარემოებები

ახალი გარემოებები იშვიათად გაამართლებს სამართალწარმოების განახლებას. მაგალითად, როდესაც პირი იქნა მსჯავრდებული მეუღლის მკვლელობის მტყულობისთვის, მაგრამ სასამართლო განხილვის დამთავრების შემდეგ მეუღლე გარდაიცვლება და აღმოჩნდება, რომ გამოყენებულ საწინააღმდეგო ნივთიერებები მოქმედების ეფექტი ჰქონდა. სასამართლოს მიდგომის მიხედვით, სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს. თუმცა ეს აგრეთვე ჩაითვლება ახალ დანაშაულად და შესაბამისად, გარანტია მასზე საერთოდ არ გავრცელდება.

ჩვეულებრივ ისეთი გარემოებების გამოვლენის ალბათობა უფრო მაღალია, რომლებიც არ იყო ცნობილი სასამართლო განხილვის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ისეთმა ახალმა გარემოებებმა შეიძლება გაამართლოს სამართალწარმოების განახლება, რომელთა არსებობის ცოდნა შეუძლებელი იყო პირველი სასამართლო განხილვის დროს. ასეთი შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების საფრთხე მაღალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებას ექნებოდა, თავის დაზღვევის მიზნით, გარკვეული გარემოებების დაფარვის საშუალება, რომ პირველი სასამართლო განხილვის შედეგად პირის გამართლების შემდეგ მეორე სამართალწარმოების დაწყებით უცადა მისი მსჯავრდების მიღწევა. ასევე წინააღმდეგობაში იქნებოდა ხელშეკრულად გასამართლების აკრძალვის პრინციპის სულისკვეთებასთან ის, რომ ბრალდებას შეეძლოს სამართალწარმოების დასრულების შემდეგ საკუთარი შეცდომების „გამოსწორება“. სწორედ ამას გულისხმობს მე-7 ოქმის მე-3 მუხლი, რომლის მიხედვით, პირს აქვს კომპენსაციის უფლება მართლმსაჯულების არაჯეროვანი განხორციელებისთვის. განმცხადებელი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, თუ დადასტურდა, რომ გარკვეული ფაქტის დაფარვა ნაწილობრივ ან მთლიანად მისი ბრალია.

ახალი სამართალწარმოების დაწყებისთვის ლეგიტიმური მიზეზია ასევე ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება. ახლად გამოვლენილი გარემოების ტოლფასია ის ფაქტი, რომ ბრალდებული სინამდვილეში დამნაშავე იყო.

<sup>1877</sup> დენისი (2000) 933; ჯეიმსი, ტილორი და უოქერი (2000).

სტრასბურგის სასამართლოს დღემდე არ განუხილავს გამონაკლისების საკითხი. ადამიანის უფლებებთანა კომიტეტმა კი ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფომ უნდა მიუთითოს, რა იგულისხმება ახალ მტკიცებულებად<sup>1878</sup>.

## ბ. საპროცესო ხარვეზები

პირველ სამართალწარმოებაში მხოლოდ არსებითი ხარვეზების არსებობამ შეიძლება გაამართლოს პირის ხელმეორედ გასამართლება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სისხლის საპროცესო სამართლის ჩვეულებრივი „დარღვევა“ არის გასაჩივრების საფუძველი. არსებითად ჩაითვლება ისეთი ხარვეზები, რომელთა საფუძველზე პირის გამართლება წარმოადგენს მართლმსაჯულების „დამახინჯებას“. მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც ადგილი ჰქონდა იძულებას, ცრუ ჩვენებას ან ქრთამის მიცემას, რამაც გავლენა მოახდინა სასამართლო განხილვაზე<sup>1879</sup>. გაერთიანებულ სამეფოში გამამართლებელი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს, თუ ადგილი ჰქონდა მსაჯულის ან მონმის დაშინების ან სხვაგვარად, მასზე გავლენის მოხდენის მცდელობას<sup>1880</sup>.

## X. აბსოლუტური ხასიათი

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ სხვა ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, მე-3 პუნქტი ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს აბსოლუტურ უფლებათა რიცხვში ათავსებს ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიზნებისთვის, რაც ნიშნავს, რომ მისი დაცვისგან გადახვევა დაუშვებელია თვით საომარი ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს.

<sup>1878</sup> ლორა ალმირატი გარსია (Laura Almirati Garcia) მისი მამის ხუან ალმირატი ნიტოს (Juan Almirati Nieto) სახელით ურუგუაის წინააღმდეგ. ახლად გამოვლენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით იხ. დენისი (2000) 947.

<sup>179</sup> ACCP, §365, GCCP, §362; საფრანგეთისა და იტალიის სპროცესო კოდექსები არ ითვალისწინებენ სამართალწარმოების განახლებას ბრალდებულის საზიანოდ.

<sup>80</sup> სისხლისსამართლებრივი აპელაციის აქტი 1968: ჯეიმსი, ტეილორი და უოქერი (2000); იხ. აგრეთვე დენისი (2000) 949.

ნაწილი მეოთხე

იძულების ღონისძიებები

# თავი 17

## ადამიანის თავისუფლება და ხელშეუხებლობა: თავისუფლების აღკვეთის წესები

### I. შესავალი

ნიგნის ბოლო ნაწილი ძირითადად შეეხება იძულების ღონისძიებებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებთ თავისუფლების აღკვეთაზე. ამ სფეროში ადამიანის უფლებების ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ უფლებებისგან, რომლებიც უკავშირდება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიას. ამის მიზეზია ის, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმე არ გვაქვს უპირველესად სახელმწიფოს ვალდებულებასთან, უზრუნველყოს სამართალწარმოების ორგანიზება და ზოგადად ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობა. ამ კონტექსტში ადამიანის უფლებები ემსახურება სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ფუნდამენტურ ღირებულებებში ჩარევის შესაძლებლობის შეზღუდვას. ბოლომდე უსამართლო არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სისხლის სამართალწარმოების დროს ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა არის „ნორმალური“, თუმცა თეორიაში ეს უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში. ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების მიზანია ბრალდების ორგანოების შეკავება, იმის უზრუნველყოფა, რომ ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა, დაკავება, სატელეფონო საუბრების მოსმენა, ჩხრეკა და ამოღება ემყარებოდეს ჯეროვან სამართლებრივ საფუძველს და უფლებებში ნებისმიერი ჩარევის შეზღუდვა იმ ზომამდე, რაც შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებლად“.

### ა. ზოგადი მიმოხილვა

#### 1. დებულებები

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას. არავის არ შეიძლება აღექვეთოს თავისუფლება გარდა კანონით განსაზღვრული საფუძვლებისა და წესის შესაბამისად.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-9 მუხლი.*

მუხლი 5. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის არ შეიძლება აღექვეთოს თავისუფლება გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად:

- ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება.
- ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობისთვის ან კანონით



გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.

დ) არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელიობითი ზედამხედველობისთვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად.

ე) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მანანნალების კანონიერი დაპატიმრება.

ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირის დაკავება ან დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5 მუხლი.*

**მუხლი 7. პირადი თავისუფლების უფლება**

1. ყველა პირს აქვს პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება.
2. არავის არ შეიძლება აღკვეთოს ფიზიკური თავისუფლება გარდა წვერი სახელმწიფოს კონსტიტუციით ან კანონით წინასწარ განსაზღვრული მიზეზებისა და პირობების შესაბამისად.
3. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7 მუხლი.*

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული და ამერიკული კონვენციები წარმოადგენს ერთი და იმავე მოსამზადებელი სამუშაოების შედეგს, არ არის გასაკვირი, რომ მათ დებულებებს ბევრი რამ აქვთ საერთო, როგორც სტრუქტურის, ისე ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. თუმცა აღნიშვნის ღირსია რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობა.

სამივე იწყება დეკლარაციული წინადადებით, უფლების შესახებ განაცხადით. სიტყვათა წყობა თითქმის იდენტურია. მათ მნიშვნელობაში ვერ აღმოვაჩინებ რაიმე განსხვავებას. ამერიკული კონვენციის პირველი პუნქტი შემოიფარგლება ამ წინადადებით, ხოლო დანარჩენი ორი ტექსტი ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს. ამერიკული კონვენცია მათ ოდნავ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე საერთაშორისო პაქტი, რადგან ეს მოთხოვნები ცალკე პუნქტებად არის გამოყოფილი.

იმ ნაწილში, რომელშიც მოცემულია პირადი თავისუფლების უფლების გამოწვევის სახეები, მნიშვნელოვანი სხვაობაა ევროპულ კონვენციასა და დანარჩენ ორ ინსტრუმენტს შორის. სამივე მოითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა კანონის შესაბამისად განხორციელდეს. ამ მოთხოვნას გააჩნია მატერიალური ასპექტი, კანონის საფუძველზე დაკავებისა და დაპატიმრების დასაბუთების ფორმით და საპროცესო ასპექტი, რომლის მიხედვით, აუცილებელია გარკვეული – ამერიკული კონვენცი-

ის ფორმულირებით – „პირობების“ დაცვა. გარდა ამისა, როგორც საერთაშორისო პაქტი, ისე ამერიკული კონვენცია „თვითნებურ“ დაკავებასა და დაპატიმრებას უკანონოდ აცხადებს.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის ევროპული კონვენცია განსხვავებული. მასში არ არის გაკეთებული მითითება თვითნებობაზე, თუმცა მე-5 მუხლთან დაკავშირებულ თითქმის ყველა გადანყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ფუნდამენტური უფლების მიზანია „ადამიანების დაცვა თვითნებობისგან“<sup>1881</sup>. სინამდვილეში, ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა გაცილებით უფრო ძლიერია. 1-ლ პუნქტში ვხვდებით ნუსხას, რომელიც ნ ქვეპუნქტში განსაზღვრავს – იმის მიხედვით, ვინ როგორ დაითვლის – ცამეტიდან თხუთმეტამდე გამონაკლისს. ეს არის ამომწურავი ნუსხა და მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ ვრცელია, იყო შემთხვევები, როდესაც დარღვევა დადგინდა იმის გამო, რომ დაპატიმრება არ შეესაბამებოდა არც ერთ ამ გამონაკლისს<sup>1882</sup>.

სამივე ინსტრუმენტი ადგენს ადამიანის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია დაპატიმრების მიზეზის შესახებ და მოითხოვოს სასამართლოს მიერ მისი პატიმრობის კანონიერების განსაზღვრა. ასევე სამივეში მოცემულია მოსამართლის წინაშე პირის დაუყოვნებლივ წარდგენის უფლება. ამერიკული კონვენციის შემთხვევაში, აშკარად თუ შენიღბებით, ეს უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე<sup>1883</sup>. საერთაშორისო პაქტი და ევროპული კონვენცია პირს ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მას უკანონოდ აღკვეთა თავისუფლება<sup>1884</sup>.

## 2. პირადი თავისუფლების მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოების დროს

პირადი თავისუფლების უფლება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი უფლებაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მისი ხელყოფა მნიშვნელოვან ტანჯვასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებისგან განსხვავებით, ეს არის უფლება, რომელშიც რეგულარულად და კანონიერად ერევიან ხელისუფლების ორგანოები, განსაკუთრებით დანაშაულის კონტროლის კონტექსტში. ეს არის იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიება, რომელიც ნებადართულია როგორც შიდა-სახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლით და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით.

ეს დოკუმენტები მომზადებულია პოლიტიკოსების მიერ და მათთვის არც დგას საკითხი თავისუფლების აღკვეთის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ – პირიქით! მაგალითად, ჯერაც არ არსებობს დაცვა სამუდამო პატიმრობისგან<sup>1885</sup>.

<sup>1881</sup> იხ. მაგ. ნოვიცკა (Nowicka) პოლონეთის წინააღმდეგ, §58; DG ირლანდიის წინააღმდეგ, §75.

<sup>1882</sup> მაგ. კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ.

<sup>1883</sup> ეს გამომდინარეობს „ბრალდებებსა“ და „სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველყოფის გარანტიებზე“ გაკეთებული მითითებიდან.

<sup>1884</sup> გარდა ამისა, სამივე ინსტრუმენტი კრძალავს პირის დაპატიმრებას საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის მოტივით: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-11 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7(5) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-4 ოქმი, 1-ლი მუხლი.

<sup>1885</sup> თუმცა განაცხადის დასაშვებობის შესახებ მიღებულ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში არის „*obiter dictum*“, რომელიც მიაჩნებს სასამართლოს მოსაზრებაზე, რომ სამუდამო პატიმრობა, გათავისუფლების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, შეიძლება

შესაძლებელია გარანტიის ორი მიზნის გამოყოფა. პირველი და უმთავრესია, ნებისმიერი სახის თვითნებური დაპატიმრების თავიდან აცილება. თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს, თუმცა ეს ნაწილობრივ დამოკიდებულია პატიმრობის სახეობასა და კონკრეტულ საქმეზე. მეორე, საერთაშორისო ინსტრუმენტების მიზანია პატიმრობის გარკვეული ფორმების, კერძოდ, წინასწარი პატიმრობის, ხანგრძლივობის შეზღუდვა.

### 3. ამ თავის ფარგლები

ამ ნიგში ძირითადი აქცენტი კეთდება სისხლის სამართალწარმოებაზე და ამიტომ შეუძლებელია განვიხილოთ ყველა ის პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით პირადი თავისუფლების სფეროში. თუმცა საკითხების უმეტესობა მეტ-ნაკლებად აქტუალურია ამ ნიგის კვლევის საგნისთვის და მათი განხილვა აუცილებელია. წინამდებარე შესავალი თავის დასაწყისში მიმოვიხილავთ პირადი თავისუფლების დაცვის მოქმედების ფარგლებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე და ტერმინების „პირადი თავისუფლება“, „დაკავება“ და „დაპატიმრება“ ძირეულ ელემენტებს. შემდეგ ვისაუბრებთ დაპატიმრების წინაპირობებზე. მე-18 თავში შევეხებით თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებებს, ხოლო წინასწარ პატიმრობაში მყოფთა სპეციალურ უფლებებს განვიხილავთ მე-19 თავში.

### 4. გარანტიის სტრუქტურა

სამივე ინსტრუმენტში პირადი თავისუფლების უფლება საკმაოდ რთული სტრუქტურის მქონეა. ის იწყება ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი, პოზიტიური დეკლარაციით, ხოლო შემდეგ განსაზღვრავს ლეგიტიმურ გამონაკლისებს. ეს არც არის უჩვეულო, საერთაშორისო პაქტისა და ამერიკული კონვენციის დებულებებით, სახელმწიფოს პრაქტიკულად მინიჭებული აქვს „carte blanche“, რაც მას საშუალებას აძლევს, გადაწყვიტოს, რა გარემოებების საფუძველზე სურს პირის დაკავება, თუ შეიშუშავებს საკმარისად ზუსტ კანონს, თვითნებობის ელემენტის თავიდან ასაცილებლად. ევროპული კონვენცია აყალიბებს იმ ვითარებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებშიც პირის დაკავება და დაპატიმრება დასაშვებია. სამართლებრივი საფუძველი ინტეგრირებულია დებულების ინგლისური ვერსიის ექვსივე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებში. ფრანგულ ვერსიაში ის არ გვხვდება გ) ქვეპუნქტში, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია დებულების ინტერპრეტაციაზე<sup>1886</sup>.

მე-2<sup>1887</sup> და მე-4<sup>1888</sup> პუნქტები ითვალისწინებენ თავისუფლებააღკვეთილი პირების სპეციალურ უფლებებს, ხოლო მე-3 პუნქტი<sup>1889</sup> მოიცავს ორ კონკრეტულ გარანტიას, რომლებიც ეხება მხოლოდ 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტს, დანაშაულის ჩადენაში ეჭმიტანილი პირის დაკავებას და დაპატიმრებას. დაბოლოს, მე-5 პუნქტი<sup>1890</sup> უზრუნველყოფს იმ პირთა უფლებას, მიიღონ კომპენსაცია, რომელთა უფლებებიც იქნა ხელყოფილი მე-5 მუხლის წინამორბედი პუნქტების საფუძველზე.

---

ენინააღმდეგობდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს; *ინბორნი (Einborn) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 27, განაცხადი 71555/01.

<sup>1886</sup> ფოცეტი (1969) 6. ავტორის მიხედვით, ეს უნდა იყოს უფურადღებობის შედეგი.

<sup>1887</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში მე-4 პუნქტი.

<sup>1888</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში მე-6 პუნქტი.

<sup>1889</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში მე-5 პუნქტი.

<sup>1890</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში არ არის მოცემული შესაბამისი ნორმა.

## ბ. გარანტირებული უფლება

### 1. პირადი თავისუფლების ცნება

პირადი თავისუფლება, რომელიც მოიხსენიება ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ძალზე ბუნდოვანი ტერმინია. ის შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც პირის თავისუფლება, გააკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურს<sup>1891</sup>. თუმცა არანაირ გაუგებრობას არ იწვევს მე-5 მუხლით დაცული სფერო: ეს არის კლასიკური „liberté e d'aller et venir“ (ადამიანის ფიზიკური თავისუფლება)<sup>1892</sup>. პრაქტიკაში შესაძლებელია ტერმინის შემდგომი განმარტება დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებაში, რომელთაგან ის იცავს ადამიანს<sup>1893</sup>.

### 2. პირადი ხელშეუხებლობის ცნება

პირადი თავისუფლების მსგავსად, საერთაშორისო ინსტრუმენტები ადამიანს ანიჭებენ „ხელშეუხებლობის“ უფლებას. ნათელი არ არის, რა იგულისხმება ამ ტერმინში და განსაკუთრებით სადავოა, რამდენად წარმოადგენს ის არსებით ღირებულებას, რომელიც ცალკე დაცვას იმსახურებს<sup>1894</sup>. როგორც ნოვაკი აღნიშნავს, ეს ცნება, სავარაუდოდ, წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში და მისი მიზანი იყო სხვა პირებისაგან დაცვის უზრუნველყოფა<sup>1895</sup>. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღემდე ხელშეუხებლობაზე გაკეთებულ მითითებას არ ჰქონია რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა და შეიძლება საერთოდ ამოღებული იქნეს გარანტიიდან. ეს საკმაოდ მკაცრი შეფასებაა და მოითხოვს დასაბუთებას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ *travaux préparatoires* არ შეიცავს მი-ნიშნებას იმაზე, თუ რას უნდა გულისხმობდეს „ხელშეუხებლობა“<sup>1896</sup>. ევრო-პული კონვენციის პროექტის საწყის ვარიანტებში ხელშეუხებლობა გამოი-ყენებოდა სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან კავშირში<sup>1897</sup>. როდესაც მე-5 მუხლის უფრო დეტალური პროექტი მომზადდა, ის არ მოიცავდა პირველ წინადადებას<sup>1898</sup>. მითითება ხელშეუხებლობაზე პირველად გაჩნდა პროექტში მაღალი თანამდებობის პირების კონფერენციის წინ 1950 წლის ივნისში, როდესაც მოხდა დეკლარაციული და განმსაზღვრელი მეთოდების კომბინირება<sup>1899</sup>. მეორე, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ იყო დაკავშირებული პირადი ხელშეუხებლობის ცნებასთან, ხოლო კომისია იძლეოდა მხოლოდ არადამაკმაყოფილებელ პასუხებს. *ეიჯის (Agee)* საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო შემდეგი: „კომისია მიიჩნევს, რომ პირადი „ხელშეუხებლობის“ დაცვა, რომელიც გარანტირებულია მე-5 მუხლით, უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ადამიანის

<sup>1891</sup> მაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ გააფართოვა პირადი თავისუფლების ცნება და მასში გააერთიანა პირადი ხელშეუხებლობა და საკუთარი ნების განსაზღვრის თავისუფლება. იხ. BGE 90 I 29 (1964); BGE 102 Ia 279 (1976); BGE 104 Ia 35 (1978).

<sup>1892</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 58; *გუსინსკი (Gusinskiy) რუსეთის წინააღმდეგ*, § 52.

<sup>1893</sup> იხ. ქვეთავი I (გ.).

<sup>1894</sup> იხ. აგრეთვე ნოვაკი (1993), მე-9 მუხლი, N 7.

<sup>1895</sup> *Ibid.*

<sup>1896</sup> იხ. აგრეთვე ნოვაკი (1993), მე-9 მუხლი, N 8. ის შეტანილ იქნა საერთაშორისო პაქტის თაობაზე მიმდინარე დისკუსიაში მხოლოდ ევროპული კონვენციის მიღების შემდეგ.

<sup>1897</sup> *Collected Edition of Travaux Préparatoires*, ნაწილი I, 168 (1949).

<sup>1898</sup> *Ibid.*, ტომი, IV 52, 58.

<sup>1899</sup> *Ibid.*, 218.

პირად „თავისუფლებამი“ თვითნებურ ჩარევას. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ექცევა მე-5 მუხლის მოქმედების სფეროში, „პირადი ხელშეუხებლობის“ უფლების დაცვის მიზნით, უნდა შესაბამებოდეს უკვე მოქმედ სამართალში ჩამოყალიბებულ საპროცესო და მატერიალურ მოთხოვნებს“<sup>1900</sup>.

*ეროუსმიტის (Arrowsmith)* საქმეში კომისიამ ასევე განაცხადა, რომ „ხელშეუხებლობა არის თვითნებობისგან დაცვის გარანტია და დაპატიმრების საკითხში“. პრობლემა შეიძლება წამოიჭრას, როდესაც „განსახილველი კანონი იმდენად ბუნდოვანია, რომ უშვებს ადამიანის თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას“<sup>1901</sup>.

ეს პრეცედენტული სამართალი არ სძენს რაიმე კონკრეტულ მნიშვნელობას „პირადი ხელშეუხებლობის“ გარანტიას. მე-5 მუხლის ტექსტის მიხედვით, იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთა შეესაბამებოდეს კონვენციას, ის ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი მატერიალური თვალსაზრისით და იცავდეს კანონით განსაზღვრულ წესს. გარდა ამისა, თვით „კანონის“ ცნება გულისხმობს განსაზღვრულობის გარკვეულ ხარისხს, როგორც განმარტვა სასამართლომ *სანდი თაიმსის (Sunday Times)* საქმეში<sup>1902</sup>.

ერთ-ერთ განცალკევებულ აბზაცში კომისია აცხადებდა, რომ „პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ გარანტირებულია აბსოლუტური წესით, რაც გულისხმობს, რომ მე-18 მუხლის დარღვევა ამ უფლებასთან კავშირში სრულიად გამორიცხვულია“<sup>1903</sup>. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო მცდარი მოსაზრება<sup>1904</sup>.

რამდენიმე საქმეში კომისიამ განიხილა, შეიძლება თუ არა „ხელშეუხებლობა“ გაგებულ იქნეს მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს დაცვას უკანონო თავდასხმებისგან<sup>1905</sup>. მოქალაქეობის არმქონე ინდოელი წყვილის საქმეში, რომელთაც არ მისცეს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება, კომისიამ გადაწყვიტა, რომ „არ არსებობდა რაიმე მინიშნება იმის თაობაზე, რომ განმცხადებლებს ინდოეთში საფრთხე ემუქრებოდათ. თუ ისინი იმყოფებოდნენ საფრთხის წინაშე, ეს საფრთხე ეხებოდა საკუთრებას და არა პიროვნებას“<sup>1906</sup>.

<sup>1900</sup> *ჯეი (Agee) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 7729/76, § 11. იხ. აგრეთვე *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 5573/72; *ეროუსმიტი (Arrowsmith) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 7050/75; *დაიერი (Dyer) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 10475/83.

<sup>1901</sup> *ეროუსმიტი (Arrowsmith) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 7050/75, § 64; იხ. აგრეთვე *ვინერი (Winer) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 10871/84.

<sup>1902</sup> *სანდი თაიმსი (Sunday Times) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 49; გადაწყვეტილება დადასტურდა საქმეში *მელონი (Malone) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 67; *სილვერი (Silver) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 88, 89; *კრუსლინი (Kruslin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 30; *ჰუვიგი (Huwig) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 29; *ეზელინი (Ezelin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 45; *მიულერი (Muller) და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 29.

<sup>1903</sup> *კამა (Kamma) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 4771/71.

<sup>1904</sup> ფროვაინი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 4, N 7. ავტორები დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას; იხ. აგრეთვე ალკემა (1978) 58.

<sup>1905</sup> ამდენად, საქმეში *X გერმანიის წინააღმდეგ* (განაცხადი 8334/78) მითითებულია, რომ „განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ შეიძლება დაირღვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაემუქრნენ თვითნებური და უსაფუძვლო დაპატიმრებით. (რასაც არ შექონია ადგილი).

<sup>1906</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5302/71; ალკემა (1978) 58. ავტორი შიშობდა, რომ კომისიას შეეძლო „ხელშეუხებლობის“ ცნების გამოყენება ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა თავმესაფრის მაძიებლებს. თუმცა მისი შიში არ გამართლდა.

ირლანდიის წინააღმდეგ განხილულ საქმეში<sup>1907</sup> განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი ჯეროვანი დაცვა ირლანდიის რესპუბლიკური არმიისგან, რომელიც პასუხისმგებელი იყო განხორციელებულ თავდასხმაზე, რომლის დროსაც ის ცეცხლსასროლი იარაღიდან იქნა დაჭრილი ზურგში და ფეხში. ამ შემთხვევაში სახეზე იყო სწორედ ხელშეუხებლობის საკითხი. თუმცა კომისიამ დაადგინა, რომ, რადგან „მე-2 მუხლი არ აკისრებდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაეცვა ადამიანთა პირადი ხელშეუხებლობა ისეთ შემთხვევაში, როგორც ალნერდა განმცხადებელი“, არც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი აკისრებს სახელმწიფოებს ამგვარ ვალდებულებას<sup>1908</sup>.

„ხელშეუხებლობის“ ცნება სასამართლომ პირველად განიხილა ბოზანოს (Bozano) საქმეში<sup>1909</sup>. მას შემდეგ, რაც გაიმეორა, რომ „ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გულისმობს თავისუფლების აღკვეთას, უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის მიზნებს, კერძოდ, პირის დაცვას თვითნებობისგან“, სასამართლომ განაცხადა: „ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ „თავისუფლების უფლებასთან“, არამედ, ასევე „პირადი ხელშეუხებლობის უფლებასთან“. განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთა, რომელიც „ფაქტობრივად ექსტრადიციის შენიღბული ფორმა იყო“, არც „კანონიერი“ იყო მე-5 მუხლის 1(ვ) პუნქტის თანახმად და არც „პირადი ხელშეუხებლობის უფლებას“ შეესაბამებოდა“. ასეთი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სასამართლომ არ მიიჩნია აუცილებლად იგივე საკითხის განხილვა მე-18 მუხლთან მიმართებით. შედეგად, მიედივართ დასკვნამდე, რომ სასამართლო განიხილავს „ხელშეუხებლობის“ უფლებას როგორც განსაკუთრებულ გარანტიას მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში განმტკიცებული პირადი თავისუფლებიდან ნებისმიერი გადახვევის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. თუმცა ნათელი არ არის, რას სძენს „ხელშეუხებლობის“ ხსენება „თავისუფლების დაცვას“, როგორც ცალკე აღებულს, ისე მე-18 მუხლთან კავშირში.

უფრო ახლო წარსულში „ხელშეუხებლობა“ ნახსენები იქნა დაკავების კონტექსტში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეებში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართალი განზრახ იქნა იგნორირებული. ოჯალანის (Öcalan) საქმეში სასამართლო ამტკიცებდა, რომ „ერთი სახელმწიფოს ორგანოების მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული დაპატიმრება, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, ხელყოფს პირადი ხელშეუხებლობის უფლებებს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე“<sup>1910</sup>. თუმცა უფლების მრავლობით ფორმაში მოხსენიების ფაქტი ცალსახად მიანიშნებს, რომ სასამართლო პირად თავისუფლებასთან დაკავშირებულ უფლებებს უფრო გულისხმობდა, ვიდრე ცალკე აღებულ „ხელშეუხებლობის“ უფლებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ უფრო დამაჯერებელ პასუხებს. ფან დაიკი და ფან პოფი გეთავაზობენ, რომ „ხელშეუხებლობა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ დაცვა ხელისუფლების ორგანოებისა და ცალკეული ადამიანების მხრიდან პირების და პირთა ჯგუფების ფიზიკური ხელშეუხებლობის

<sup>1907</sup> X ირლანდიის წინააღმდეგ, განაცხადი 6040/73.

<sup>1908</sup> საქმეში მაკუისტონი (McQuiston) და სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი 11208/84) კომისიამ ასევე უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაგილივანის ციხეში რესპუბლიკელი და ლოიალისტი პატიმრების ერთად მოთავსებამ დაარღვია განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

<sup>1909</sup> ბოზანო (Bozano) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 54 და 60; ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. სულერი (1978) 533.

<sup>1910</sup> ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ, § 88.

სხვაგვარი ხელყოფისგან, მაგალითად, პოლიციის მოქმედების შემსწრეთა ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის არასასაჭირო საფრთხეების შექმნის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ ქმედებების ნახალისებისგან. თუმცა კონკრეტულ გარემოებებში ასეთ დაცვას შეიძლება მოითხოვდეს სახელმწიფოს ვალდებულება, „უზრუნველყოს“ სიცოცხლის უფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობის (მე-3 მუხლი) ან პირადი ცხოვრების პატივისცემა (მე-8 მუხლი)<sup>1911</sup>. ავტორები არ განმარტავენ, რა შეიძლება დაემატოს ამ დაცვას „ხელშეუხებლობის“ სპეციალური (თუმცა დაუზუსტებელი) უფლების საფუძველზე.

სხვა ავტორები ბუნდოვანი და არადადამაკმაყოფილებელი განცხადებებით შემოიფარგლებიან. მაგალითად, „როგორც ჩანს, „პირად ხელშეუხებლობას“ უნდა გააჩნდეს „თავისუფლებისგან“ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, თუმცა ... მისი ფარგლები ჯერ კიდევ დასადგენია“<sup>1912</sup>.

დასკვნის სახით უნდა ვაღიაროთ, რომ მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში ნახსენები „პირადი ხელშეუხებლობა“ არაფერს მატებს პირადი თავისუფლების ან კონვენციით გარანტირებული ნებისმიერი სხვა უფლების დაცვას<sup>1913</sup>.

ვითარება ნაწილობრივ განსხვავდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შემთხვევაში. ერთ-ერთ საქმეში კოლუმბიელი მასწავლებელი ჩიოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, რადგან მისი პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი არ შეესაბამებოდა კათოლიკური ეკლესიისა და მთავრობის შეხედულებებს. მის კოლეგას ესროლეს, ხოლო მას არა მხოლოდ ემუქრებოდნენ, არამედ თავსაც დაესხნენ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი მე-9 მუხლის საფუძველზე მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

მე-9 მუხლის პირველი წინადადება არ წარმოადგენს ცალკე პუნქტს. მისი მოთავსება პირველ პუნქტში ნიშნავს, რომ ხელშეუხებლობის უფლება ნამოქრება მხოლოდ დაკავების ან დაპატიმრების კონტექსტში. *Travaux préparatoires* მიუთითებს, რომ დისკუსია პირველი წინადადების თაობაზე მართლაც კონცენტრირებული იყო იმ საკითხებზე, რომლებსაც შეეხება მე-9 მუხლის სხვა დებულებები. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში საუბარია სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებებზე. ეს ელემენტები მოცემულია პაქტის ცალკეულ პუნქტებში. მიუხედავად იმისა, რომ პაქტში პირადი ხელშეუხებლობის უფლება ნახსენებია მხოლოდ მე-9 მუხლში, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ განზრახული იყო ხელშეუხებლობის უფლების ცნების შეზღუდვა მხოლოდ თავისუფლების ფორმალური აღკვეთის ვითარებით. ამვე დროს, სახელმწიფოებმა იკისრეს პაქტში მოცემული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. შეუძლებელია სახელმწიფოებს სამართლებრივად შეეძლოთ, მათი იურისდიქციის ფარგლებში, ადამიანის სიცოცხლისთვის არსებული და მათთვის ცნობილი საფრთხის იგნორირება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანი არ იქნა დაკავებული ან დაპატიმრებული. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, მიიღონ გონივრული და ჯეროვანი ზომები მათი დაცვის მიზნით. მე-9 მუხლის ინტერპრეტაცია, რომელიც მისცემდა სახელმწიფოს საშუალებას, მოეხდინა თავისუფლებაში მყოფი პირების პირადი ხელშეუხებლობისთვის არსებული საფრთხეების იგნორირება მათი იურისდიქციის ფარგლებში, სრულიად არაუფექტიანს გახდიდა პაქტის გარანტიებს<sup>1914</sup>.

<sup>1911</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 345.

<sup>1912</sup> კასტბერგი, ოუსტერლონი და ოშალი (1984) 92.

<sup>1913</sup> იხ. აგრეთვე ფოცეტი (1987) 37; ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 4-8.

<sup>1914</sup> უილიამ ედუარდო დელგადი პაესი (*William Eduardo Delgado Paez*) კოლუმბიის წინააღმდეგ.

ეს ამონარიდი მიუთითებს პრობლემის მიმართ ტექნიკურ მიდგომაში არსებულ აშკარა განსხვავებაზე, თუმცა მაინც ვერ ვიტყვი, რომ საერთაშორისო პაქტი უფრო ძლიერ დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე ევროპული კონვენცია. სავარაუდოდ, სტრასბურგის სასამართლო განიხილავდა ანალოგიურ საქმეს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) საფუძველზე 1-ლ მუხლთან კავშირში (საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით გარანტირებული უფლებების ყველასათვის „უზრუნველყოფის“ ვალდებულება)<sup>1915</sup>.

## გ. ჩარევა: დაკავება და დაპატიმრება

### 1. განსაზღვრება

მე-5 მუხლში საუბარია უშუალოდ თავისუფლების აღკვეთაზე, დაკავებაზე და დაპატიმრებაზე, რაც ნათლად მიუთითებს, თუ რა სახის ჩარევის რეგულირებას ისახავს ის მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინების განმარტება არ არის მოცემული არც კონვენციაში და არც კონვენციის ორგანოების პრეცედენტულ სამართალში, ცხადია, რომ თავისუფლების აღკვეთა არის სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიება, რომლის დროსაც პირი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გარკვეული დროით, იძულებით თავსდება შეზღუდულ სივრცეში და მას ძალის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით არ ეძლევა ამ სივრცის დატოვების შესაძლებლობა<sup>1916</sup>.

სასამართლო ხაზს უსვამს თავისუფლების აღკვეთის ცნების ავტონომიური ინტერპრეტაციის აუცილებლობას, ისევე, როგორც ამას აკეთებს სხვა სფეროებში<sup>1917</sup>. ზემოთ მოცემული დეფინიციის ყველა ელემენტი ექვემდებარება ინტერპრეტაციას, კერძოდ, სივრცისა და დროის ელემენტები, იძულების ხარისხი<sup>1918</sup>. გარდა ამისა, აუცილებელია სხვადასხვა ელემენტების ერთობლივად განხილვა, რადგან მათ შეიძლება გავლენა მოახდინონ ერთმანეთზე<sup>1919</sup>. შესაბამისად, „ამოსავალი ნერტილი უნდა იყოს კონკრეტული ვითარება, რომელშიც იმყოფება შესაბამისი პირი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი რიგი კრიტერიუმებისა, როგორცაა, მაგალითად, მოცემული ღონისძიების სახეობა, ხანგრძლივობა, შედეგები და აღსრულების წესი“<sup>1920</sup>. თუმცა მე-5 მუხლი არ აწესრიგებს პატიმრობის პირობებს<sup>1921</sup>. კერძოდ, პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებული (დის)კომფორტის ხარისხი არ არის რელევანტური<sup>1922</sup>.

თუმცა ვითარება იცვლება, როდესაც თავისუფლების აღკვეთა გამართლებულია იმ გარემოებით, რომლის გამოც ადამიანი განსაცდელშია, მაგალითად, ფსიქიკური დაავადების დროს: „უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი

<sup>1915</sup> შაგ: *ოსმანი (Osman) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>1916</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 9. Khol (1989) 487; ორივე მიუთითებს გერმანიის კონსტიტუციურ სამართალზე.

<sup>1917</sup> ამ ფენომენის განხილვისათვის იხ. შაგ: ოსტი (1989) 405 გვ. 448-58.

<sup>1918</sup> *ლავენცი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ*, §62; *ამური (Amuur) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §42; *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ*, §92.

<sup>1919</sup> იხ. აგრეთვე როზენმაიერი (1988) 154.

<sup>1920</sup> *ამური (Amuur) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §42; *შამსა (Shamsa) პოლონეთის წინააღმდეგ*, §44; *ეშინგდანი (Ashingdane) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §41; *ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §59; *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ*, §92.

<sup>1921</sup> *D გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11703/85.

<sup>1922</sup> *ლავენცი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ* §64.



თავისუფლების ნებადართული აღკვეთის საფუძველსა და პატიმრობის ადგილსა და პირობებს შორის ... პაციენტის სახით ადამიანის „დაპატიმრება“ „კანონიერია“ მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლებიც მითითებულია 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტში და იმ შემთხვევაში, თუ ეს ხდება საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის დანესებულებაში“<sup>1923</sup>.

კონვენციის სისტემატურ განმარტებას მიეყვართ დასკვნამდე, რომ თავისთავად გადაადგილების თავისუფლებაზე შეზღუდვების დაწესება არ შედის მე-5 მუხლის რეგულირების სფეროში: ასეთ შეზღუდვებზე ვრცელდება მე-4 ოქმის მე-2 მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი<sup>1924</sup>. თუმცა განსხვავება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასა და თავისუფლების აღკვეთას შორის „მხოლოდ ხარისხში ან ინტენსიურობაშია და არა ხასიათსა და შინაარსში“<sup>1925</sup>.

## 2. სივრცე

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ შეუძლებელია ისეთი ზღერის გავლება, რომელიც გამიჯნავდა თავისუფლების შეზღუდვას მისი აღკვეთისგან კეადრატული მეტრების მიხედვით. საკანში მოთავსება, როგორც ნესი, ითვლება თავისუფლების აღკვეთად. იგივე ეხება შინაპატიმრობას<sup>1926</sup>, წინასწარ პატიმრობა შეფარდებული პირის მოთავსებას საავადმყოფოში<sup>1927</sup> და დაკავებას ეკლესიაში, სკოლაში, სტადიონზე, ავტოფარეხში, სასტუმროში და სხვა მსგავს ადგილებში<sup>1928</sup> იმ შემთხვევაშიც, თუ პირს შეუძლია მათ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება<sup>1929</sup>. შესაძლებელია პატიმრობის ადგილი თავად გადაადგილებოდეს, მაგალითად, ავტომანქანა, რომლითაც ბოზანოს (Bozanoi) საქმეში განმცხადებელი მიიყვანეს შევიცარიის საზღვართან<sup>1930</sup>. აღნიშნულისგან განსხვავებით, კომენდანტის საათი მხოლოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაა<sup>1931</sup>.

სამსწახაროდ, სასამართლო ყოველთვის ნათლად არ გამოხატავს თავის პოზიციას. მანკონის (Manzoni) საქმეში მან თავდაპირველად განაცხადა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა „შინაპატიმრობა“ თავისუფლების აღკვეთას. მან მიუთითა იტალიის სისხლის სამართლის კოდექ-

<sup>1923</sup> *მორსინკი (Morsink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §42; *ბრენდი (Brand) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §62; *ჰაიჩისონ რიდი (Hutchison Reid) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §48; *აერტსი (Aerts) ბელგიის წინააღმდეგ*, §46; *ეშინგდანი (Ashingdane) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §46.

<sup>1924</sup> *ეშინგდანი (Ashingdane) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §41; *ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §58.

<sup>1925</sup> *ეშინგდანი (Ashingdane) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §41; *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ*, §93.

<sup>1926</sup> *ვაჩევი (Vachev) ბულგარეთის წინააღმდეგ* §64; *CN იტალიის წინააღმდეგ (ნომ. 1)*, §33; *ვიტორიო (Vittorio) და ლუიჯი მანჩინი (Luigi Mancini) იტალიის წინააღმდეგ*, §17; *ლავენცი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ*, §63; *საბერძნეთის საქმე (1969)* §283-7; *კეპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, §286.

<sup>1927</sup> *ლავენცი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ*, §63.

<sup>1928</sup> *კეპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, 1976 წლის 10 ივლისის ანგარიში, §285-8.

<sup>1929</sup> *X შევიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8500/79.

<sup>1930</sup> საქმეში ბოზანო (Bozanoi) საფრანგეთის წინააღმდეგ, საკითხი არც კი განუხილავს სასამართლოს, რადგან ის არ წამოჭრილა მხარეების მიერ; *Ibid.*, §32 (კომისიის ანგარიში). იხ. აგრეთვე იმ ადამიანის საქმე, რომელიც დაკავებული ჰყავდათ ვეშე დანუბეში: *როზენმაიერი (1988)* 155.

<sup>1931</sup> *კეპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, განაცხადები 6780/74 და 6950/75, 1976 წლის 10 ივლისის ანგარიში, §234-6.

სით გათვალისწინებულ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც „მეტ-ნაკლებად ზღუდავენ თავისუფლებას“ და შემდეგ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას, ვინაიდან „პროკურატურამ იმოქმედა კანონმდებლობის შესაბამისად“<sup>1932</sup>. სასამართლოს ის მაინც უნდა აღენიშნა, რომ განსხვავება არ იყო რელევანტური; შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე გაკეთებული მითითება კი ვინააღმდეგება პრინციპს, რომელიც ხშირად მჟორდება პრეცედენტულ სამართალში, რომ ამგვარი შესაბამისობა „ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ელემენტი“<sup>1933</sup>.

ზღვარზე მყოფი შემთხვევის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია გუზარდის (*Guzzardi*) საქმე<sup>1934</sup>. განმცხადებელი, რომელიც ექვმიტანილი იყო მაფიის ნეეროპაში, მოათავსეს ბანაკში პატარა კუნძულ ასინარაზე სარდინიის მახლობლად. დღის განმავლობაში მას შეეძლო სხვებთან ერთად თავისუფლად გადაადგილება დაახლოებით 2,5 კვადრატული კილომეტრის ფართობზე. განმცხადებელს ასევე დროდადრო ეძლეოდა უფლება, გამგზავრებულიყო სარდინიის პატარა ქალაქ პორტო ტორესში. მსგავსი ექსკურსიები ყოველთვის პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდებოდა. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განმცხადებელს ჰქონდა „სოციალური ურთიერთობების გარკვეული შესაძლებლობა“; „მას არ შეეძლო თავისი ადგილსამყოფლის დატოვება საღამოს 10 საათიდან დღის 7 საათამდე შესაბამისი ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე“, რომელსაც ის დღეში ორჯერ ანგარიშს აბარებდა; მას აგრეთვე უნდა მიეთითებინა იმ პირის ვინაობა, რომელსაც უკავშირდებოდა ტელეფონით სარგებლობის დროს; და ასეთ პირობებში განმცხადებელს უნდა ეცხოვრა 16 თვეზე მეტ ხანს<sup>1935</sup>.“ მიუხედავად იმისა, რომ მისი მეუღლე და ვაჟიშვილი თავდაპირველად მასთან ერთად ცხოვრობდნენ და დროდადრო მას სიდედრი, სიმამრი და ძმიშვილიც ნახულობდნენ, სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელს თავისუფლება ჰქონდა ალკეეთილი.

### 3. იძულება და უფლებაზე უარის თქმა

„მანანალობის“ საქმეში ვხვდებით შემდეგ განცხადებას: „დაპატიმრებით მე-5 მუხლი შეიძლება დაირღვეს მაშინაც, თუ შესაბამისი პირი ამაზე თანახმაა“<sup>1936</sup>. ეს განცხადება შეცდომაში შემყვანი და წინააღმდეგობრივია იმ თვალსაზრისით, რომ დაპატიმრების ცნება თავისთავად გულისხმობს თანხმობის არარსებობას. თუმცა აღნიშნული წინადადების მნიშვნელობა ნათელი ხდება, როდესაც მას კონტექსტში განვიხილავთ: დაპატიმრება არ შეიძლება გამართლებული იყოს იმ მოტივით, რომ პირი თავდაპირველად დათანხმდა შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებასა და დარჩენას, თუ მოგვიანებით მას სურს ამ დაწესებულების დატოვება. სანამ ადამიანი გარკვეულ ადგილას საკუთარი ნებით იმყოფება, სახზე არ არის თავისუფლების ალკეეთა. თუმცა ასეთი თანხმობის უკან წაღება შეიძლება ნებისმიერ მომენტში<sup>1937</sup>. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება, როდესაც ადამიანი

<sup>1932</sup> ჯიულა მანკონი (*Giula Manzoni*) იტალიის წინააღმდეგ, §22-3.

<sup>1933</sup> კაკა (*Kawka*) პოლონეთის წინააღმდეგ §48. იხ. აგრეთვე ბერკთაი (*Berklay*) თურქეთის წინააღმდეგ, §195; NC იტალიის წინააღმდეგ §40-2; ასენოვი (*Assenov*) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, §139; ჯიუსი (*Jéčius*) ლიტვის წინააღმდეგ, §56.

<sup>1934</sup> გუზარდი (*Guzzardi*) იტალიის წინააღმდეგ, §22

<sup>1935</sup> *Ibid.*, §95.

<sup>1936</sup> დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ („მანანალობის“ საქმე), §65.

<sup>1937</sup> იხ. აგრეთვე მაგ: როზენმაიერი (1988) 156.

განსაზღვრავს შუალედურ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც, პატიმრობაში ყოფნის დროს, შეიძლება ექვევებ დააყენოს თავისი გადაწყვეტილება და შედეგად ხელი შეუშალოს პატიმრობის მიზანს. ამის მაგალითია, როდესაც ნარკომანი მოთხოვნს ნარკოტიკების მიღების მკვეთრად შეწყვეტას, რათა ჯანმრთელობის ისეთ მდგომარეობას მიაღწიოს, რომ შესაძლებელი გახდეს მკურნალობის დაწყება.

ცხადია, აუცილებელია ინფორმირებული თანხმობის მიღება პირისგან, რომელიც ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელია. სწორედ ეს საკითხი ნამოიჭრა ნილსენის (Nielsen) საქმეში<sup>1938</sup>. თორმეტი წლის ბიჭი დედამ მოათავსა საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ბავშვი არ იყო ფსიქიკურად დაავადებული. კომისიამ მიიჩნია, რომ მშობელს ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების იურიდიული უფლება, თუმცა მისი უფლება არ იყო შეუზღუდავი და განმცხადებელს, როგორც „ნორმალურად განვითარებულ 12 წლის ბავშვს ... ჰქონდა ვითარების გააზრებისა და თავისი მოსაზრების მკაფიოდ გამოთქმის უნარი“<sup>1939</sup>. ამდენად, კომისიის აზრით, მას აღეკეთა თავისუფლება მე-5 მუხლის მნიშვნელობით. სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა ცხრა ხმით შეიძის წინააღმდეგ<sup>1940</sup>. სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ „მშობლის უფლების მქონე პირის უფლებები არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი და სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს სათანადო გარანტიები ამ უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ“<sup>1941</sup>. თუმცა სასამართლოს აზრით, ამ საქმეში თავისუფლების აღკვეთას ადგილი არ ჰქონია, რადგან დედამ პასუხისმგებლობით გამოიყენა თავისი უფლებამოსილება. სასამართლოს არგუმენტაცია სამართლიანად გახდა კრიტიკის საგანი<sup>1942</sup>.

აუცილებელი არ არის იძულების ელემენტი პირდაპირი მნიშვნელობით განიმარტოს. ხელბორკილები არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას. საესებით საქმარისია, არსებობდეს ძალის გამოყენების საფრთხე. მაგალითად, შინაპატიმრობა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ კარი დაკეტილია ან გამოიყენება ელექტრონული თვალთვალისა და დაპატიმრების მოწყობილობები განმცხადებლის შეზღუდვისათვის.

თუმცა ორ საქმეში როგორც სასამართლომ, ისე კომისიამ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ოთახი, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა არ იყო დაკეტილი. ენგელის (Engel) საქმეში<sup>1943</sup> სასამართლომ ეს ფაქტი გადამწყვეტ ელემენტად ჩათვალა იმის განსაზღვრისათვის, რომ „მკაცრი დაკავება“ არ გულისხმობდა თავისუფლების აღკვეთას. კომისია დაეყრდნო ამავე დეტალს ორი სკოლის მოსწავლის საქმეში, რომლებსაც აიძულეს მოცდა პოლიციის განყოფილებაში<sup>1944</sup>. ეს პრეცედენტული სამართალი ზედმეტად უსვამს ხაზს ფიზიკური შეზღუდვის ფაქტორს და არასაკმარის ყურადღებას უთმობს იძულების ფსიქოლოგიურ ელემენტს. საქმარისად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ადამიანი იმყოფება ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ, რომ არ შეუძლია იმ ოთახის დატოვება,

<sup>1938</sup> ნილსენი (Nielsen) დანიის წინააღმდეგ.

<sup>1939</sup> Ibid., § 128, გვ. 43.

<sup>1940</sup> მოსამართლეებმა თორ ვილჰელმსონმა, პეტიტომ, რუსომ, შველმანმა, დე შვიერმა, კარლო სალსიდომ და ვალტიკოსმა განსხვავებული აზრი გამოთქვეს.

<sup>1941</sup> ნილსენი (Nielsen) დანიის წინააღმდეგ §72.

<sup>1942</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 306, გვ. 254.

<sup>1943</sup> ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §62; 1974 წლის 19 ივლისის ანგარიში, §75. კომისია საპირისპირო დასკვნამდე მივიდა.

<sup>1944</sup> X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 8819/79.

რომელშიც იმყოფება, სერიოზული შედეგების გარეშე, რაც ასევე მოიცავს ძალით უკან დაბრუნებას<sup>1945</sup>. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთ თანამედროვე ღია ტიპის საპატიმროში საერთოდ არ არის კედლები და გისოსები.

იძულების ელემენტთან დაკავშირებული სპეციალური პრობლემა წარმოიქმნება აეროპორტის შენობაში მყოფ იმიგრანტობის მსურველთა შემთხვევაში. პირველი ასეთი განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რადგან განმცხადებელს თავისუფლად შეეძლო აეროპორტის დატოვება და საზღვარგარეთ გაფრენა<sup>1946</sup>. თუმცა ასეთი მიდგომა არ იქნა გამოყენებული *ამურის (Amuur)* საქმეში. განმცხადებლები ჩაფრინდნენ პარიზში სირიის გავლით. პრეზიდენტ სიად ბარეს რეჟიმის დამხობის შემდეგ მათ ეშინოდათ დევნის. ისინი გააჩერეს სატრანზიტო ზონაში, სართულზე, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით იყო მოწყობილი სასტუმრო არკადში. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ასეთი ქმედება მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენდა, თუ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა ამ საქმეში განმცხადებლებმა ასეთ პირობებში 20 დღე გაატარეს. სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობისა და კომისიის წევრთა უმრავლესობის არგუმენტი, რომ ადგილი არ ჰქონია თავისუფლების აღკვეთას, რადგან მათ შეეძლოთ საფრანგეთის დატოვება. ასეთი შესაძლებლობა მოჩვენებითი ხასიათის იყო, რადგან მათ არ შეეძლოთ ისეთ ქვეყანაში გამგზავრება, სადაც მსგავს დაცვას მიიღებდნენ<sup>1947</sup>.

#### 4. დრო

თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ჩარევას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაში, რაც აუცილებლად უკავშირდება დროის ელემენტს. შეიძლება უხეშად ითქვას, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ერთი მხრივ, სიერცისა და იძულების ელემენტების ინტენსივობასა და მეორე მხრივ, ჩარევის ხანგრძლივობას შორის. შესაბამისად, როგორც უკვე ვიხილეთ *გუზარდის (Guzzardi)* საქმეში, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა კუნძულ ასინარაზე თექვსმეტ თვეზე მეტ ხანს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გადაადგილების შედარებითი თავისუფლებისა და საკმაოდ ინტენსიური სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობის მიუხედავად, მის მიმართ ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას<sup>1948</sup>. მეორე მხრივ, როდესაც ადამიანს სთხოვენ, რომ გაჰყვეს პოლიციის ოფიცერს რამდენიმე კითხვაზე პასუხის გასაცემად, ნახევარი საათი, რომელსაც ის „დაკარგავს“, არ უნდა ჩაითვალოს „დაკავებად“ მე-5 მუხლის საფუძველზე. თუმცა შეიძლება განსხვავებული დასკვნის გამოტანა, თუ პირს ხელბორკილებს დაადებენ<sup>1949</sup>.

<sup>1945</sup> იხ. აგრეთვე კომისიის დეტალური მსჯელობა საქმეში *ნილსენი (Nielsen)* დანიის წინააღმდეგ (გვ. 39-40).

<sup>1946</sup> *SS, AM* და *YSM* აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 19066/91.

<sup>1947</sup> *ამური (Amuur)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §43-9; იხ. აგრეთვე *შამსა (Shamsa)* პოლონეთის წინააღმდეგ (აეროპორტის სატრანზიტო ზონა).

<sup>1948</sup> ანლოგურად, 20 დღიანი ხანგრძლივობა გახდა იმის მიზეზი, რომ თავისუფლების თავდაპირველი შეზღუდვა, სასამართლოს მოსაზრებით, გადაქცეულიყო თავისუფლების აღკვეთად საქმეში *ამური (Amuur)* საფრანგეთის წინააღმდეგ (§43). საქმეში *შამსა (Shamsa)* პოლონეთის წინააღმდეგ თითხმეტ დღესთან დაკავშირებით იგივე დასკვნა იქნა გამოტანილი.

<sup>1949</sup> *X* და *Y* გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 8819/79. ორი ბავშვი დაკითხეს პოლიციის განყოფილებაში საკლასო ოთახში მომხდარი ქურდობის შესახებ. კომისიამ უარყო თავისუფლების აღკვეთის ელემენტის არსებობა, რადგან, *inter alia*, გოგონები გააჩერეს პოლიციაში მხოლოდ მოკლე დროით და ხელისუფლების ორგანოებს არ ჰქონდათ განზრახული მათთვის თავისუფლების აღკვეთა (კარი არ იყო ჩაკეტილი). ხელისუფლების

თუმცა ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთა იწვევს გაცილებით უფრო რთულ პრობლემებს<sup>1950</sup>. ეს პრობლემები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად. პირველი, ევროპული კონვენციის მომზადებისა და მიღების პერიოდში რამდენიმე ხელშეკრულ სახელმწიფოში კანონმდებლობით დაშვებული იყო პოლიციის მიერ პირის ხანმოკლე ვადით დაკავება ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც არ მოიცავს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გამონაკლისების სია. მაგალითად, პოლიცია შეიძლება უფლებამოსილი იყოს, უშუალოდ ძალადობრივი ხასიათის დემონსტრაციის დაწყებამდე ან მისი მსვლელობისა და დაკავოს პირები, რომლებიც, მისი აზრით, საფრთხეს ქმნიან მიუხედავად იმისა, რომ არ არიან ეჭვმიტანილნი დანაშაულის ჩადენაში ან ასეთი განზრახვის ქონაში. მეორე, პატიმრობაში მყოფი პირის ზოგიერთი სპეციალური გარანტია, როგორიცაა მოსამართლის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის ან *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება, აზრს კარგავს თავისუფლების ხანმოკლე, ანუ 4 დღეზე ნაკლები ვადით აღკვეთის შემთხვევაში<sup>1951</sup>. „მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას არ ექნება ადგილი, თუ დაკავებული პირი გათავისუფლდება „დაუყოვნებლივ“, სანამ შესაძლებელი გახდებოდა რაიმე სახის სასამართლო კონტროლი“<sup>1952</sup>. არ ირღვევა არც მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, როდესაც ადამიანი გათავისუფლებულია, სანამ ნებისმიერი სახის სასამართლო კონტროლი შეეა ძალაში<sup>1953</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი საკმაოდ დასაბუთებულია *ფოქსის (Fox)*, *კემპბელის (Campbell)* და *ჰარტლის (Hartley)* საქმეში, როდესაც განმცხადებლები ნამდვილად გაათავისუფლეს, გარკვეული კითხვები ჩნდება კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეში X და Y *შვედეთის წინააღმდეგ*<sup>1954</sup>. ამ საქმეში შვედეთის ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვიტეს განმცხადებლების ქვეყნიდან გაძევება და გათავისუფლების ნაცვლად ისინი ჩასვეს თვითმფრინვაში, რომელიც იაპონიაში მიფრინავდა. სადავოა, რამდენად შეიძლება სხვა ქვეყნის იურისდიქციაში პირის გადაყვანა, მით უმეტეს, თუ ეს ქვეყანა არ არის კონვენციის წევრი, იყოს გათავისუფლების ტოლფასი<sup>1955</sup>.

ის ფაქტი, რომ თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთის პრაქტიკა კანონიერად ითვლება და გამოიყენება ზოგიერთ ხელშეკრულ სახელმწიფოში ძალიან პრობლემურია. ნამდვილად სამწუხარო იქნებოდა, თუ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მე-5 მუხლი (კერძოდ, 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი) ძალზე ფართოდ იქნებოდა ინტერპრეტირებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე კონვენციის ორგანოები ამ გზას არ დადგომიან<sup>1956</sup>.

---

ორგანოების განზრახვაზე დაყრდნობა მართებულად გააქტიურებს შემდეგმა ავტორებმა: როზენმაიერი (1988), 154; ველუ და ერგეცი (1990) N 305, 253.

<sup>1950</sup> კომეცი (1970).

<sup>1951</sup> ამის გზით, თავდაპირველად, არსებობდა მე-5 მუხლის იმგვარი განმარტების მოსაზრება, რომ მასში არ შესულიყო თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთა. იხ. აგრეთვე ეან ბემელნი (1966), 701; ტრეუსელი (1974) 185.

<sup>1952</sup> ბროგანი (Brogan) და სხვები *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §58; დე იონგი (De Jong), ბალიტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) *ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §52.

<sup>1953</sup> X და Y *შვედეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 7376/76; *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰარტლი (Hartley)* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* §44.

<sup>1954</sup> X და Y *შვედეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 7376/76; ფან დიკი და ფან პოფი (1998) 290. თუმცა ავტორებმა მოინონეს გადაწყვეტილება.

<sup>1955</sup> გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის მე-7 ოქმი ჯერ არ არსებობდა და ამდენად, კომისიას არ შეეძლო იმის განსაზღვრა, რამდენად შეესაბამებოდა ამგვარი გადაწყვეტილება მის 1-ლ მუხლს.

<sup>1956</sup> ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“ საკმაოდ

## 5. თავისუფლების აღკვეთის ცნების ფარდობითობა

წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ვითარება თავისუფლების აღკვეთას შეიძლება დამოკიდებული იყოს შესაბამისი პირის იმ საცხოვრებელ პირობებსა და თავისუფლების ხარისხზე, რომლითაც ის ადრე სარგებლობდა. შესაბამისად, როდესაც პატიმარს დისციპლინური სანქციის სახით მოათავსებენ ნაკლებად კომფორტულ საკანში, განსხვავება მისი ადრინდელი მდგომარეობისგან შედარებით მცირეა და ადგილი არა აქვს (ცალკე თუ დამატებით) თავისუფლების აღკვეთას<sup>1957</sup>. იგივე ეხება ვითარებას, როდესაც წინასწარი პატიმრობა შეუფარდება პატიმარს, რომელიც იხდის სასჯელს, თუნდაც დაპატიმრების ბრძანება დამატებით შეზღუდვებს ითვალისწინებს<sup>1958</sup>.

*ვიტორიო (Vittorio) და ლუიჯი მანჩინი (Luigi Mancini)* საქმეში განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის მიუხედავად, სასჯელის აღსრულებაზე ზედამხედველი თანამშრომლების სიმცირის გამო, ისინი საპატიმროში იმყოფებოდნენ 1983 წლის 7-დან 13 იანვრამდე. დავის საგანი არ გამდარა ის, რომ შინაპატიმრობა გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, თუმცა სასამართლომ მაინც დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. *ეშინგდენის (Ashingdane)* საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ჩარევის სახეებს შორის არსებული სხვაობა მნიშვნელოვანი იყო, რადგან „ციხეში პატიმრობის შეცვლა შინაპატიმრობით [...] ინვესს პატიმრობის ადგილის ხასიათის ცვლილებას სახელმწიფო დანესებულებიდან კერძო სახლის სასარგებლოდ. შინაპატიმრობისგან განსხვავებით, ციხეში პატიმრობა მოითხოვს პიროვნების ინტეგრაციას მთლიან ორგანიზაციაში, საქმიანობისა და რესურსების გაზიარებას სხვა პატიმრებთან და მისი ყოველდღიური ცხოვრების ძირითად ასპექტებზე მკაცრ ზედამხედველობას ციხის თანამშრომლების მხრიდან“<sup>1959</sup>. შესაბამისად, ციხეში გატარებული დამატებითი დრო ჩაითვა „დაპატიმრებად“ მე-5 მუხლის მნიშვნელობით.

გადამწყვეტი ელემენტია ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელშიც პირი იმყოფება. რეციდივისტი, რომელიც „მთავრობის განკარგულებაშია“, მაგრამ არ არის ფაქტობრივად დაპატიმრებული<sup>1960</sup> ან დამნაშავე, რომელსაც მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, თუმცა პირობით გათავისუფლდა<sup>1961</sup>, *de facto* არ არის დაპატიმრებული და ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი უკან დაბრუნების შესახებ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას. კვლავაც, თუ გაერთიანებულ სამეფოში პატიმრის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური სანქცია, რომელიც მისი ვადამდე გათავისუფლების გადავადებას ითვალისწინებს, ადგილი ექნება თავისუფლების დამატებით აღკვეთას, თუნდაც კანონის საფუძველზე პატიმრობის მთელი ვადა შესაბამისობაში იყოს განაჩენით დადგენილ თავისუფლების აღკვეთის ვადასთან<sup>1962</sup>.

---

ვინროდ განმარტა აეროპორტში დაკავებული იმიგრანტების საქმეში; XVII YB 629 (1964). იხ. აგრეთვე სვორტი (1978) 265, N 39; ალკემა (1978) 57. ავტორები, როგორ ჩანს, თვლიან, რომ ამგვარ ჩარევებს მოიცავს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დ), ე) ან ვ) ქვეპუნქტები. თუმცა ზოგიერთი სახელმწიფოს ეროვნულ სამართალში არ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი.

<sup>1957</sup> *X შეიციარის ნინააღმდეგ*, განაცხადი 7754/77.

<sup>1958</sup> *D გერმანიის ნინააღმდეგ*, განაცხადი 11703/85.

<sup>1959</sup> *ვიტორიო (Vittorio) და ლუიჯი მანჩინი (Luigi Mancini) იტალიის ნინააღმდეგ*, § 19.

<sup>1960</sup> *ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck) ბელგიის ნინააღმდეგ*, § 34.

<sup>1961</sup> *ვიკისი (Weeks) გაერთიანებული სამეფოს ნინააღმდეგ*, § 40.

<sup>1962</sup> იხ. *კემპბელი (Campbell) გაერთიანებული სამეფოს ნინააღმდეგ*, § 72; ეს საქმე ეხებოდა მე-6 მუხლის გამოყენებას დისციპლინურ სამართალწარმოებაში. კომისიამ ადრე განსხვავებული

ამ სფეროში ყველაზე რთული პრობლემა უკავშირდება სამხედრო დისციპლინურ სანქციებს. ნამყვანი საქმე ადასტურებს, რომ „კონვენცია ვრცელდება შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებზეც და არა მხოლოდ სამოქალაქო პირებზე“<sup>1963</sup>. „თუმცა ... სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამხედრო ცხოვრების თავისებურებები და მათი გავლენა შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური წევრების მდგომარეობაზე“<sup>1964</sup>. სამხედრო სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ აწესებს სერიოზულ შეზღუდვებს სამხედრო მოსამსახურეებზე, თავისთავად, არ წარმოადგენს რაიმე თვალსაზრისით თავისუფლების აღკვეთას“<sup>1965</sup>. გადამწყვეტი ელემენტია ის გარემოება, რომ ადამიანი უნდა იყოს ჩაკეტილი<sup>1966</sup>. თუმცა სასამართლომ გადანყვიტა, რომ დისციპლინურ დანესებულებაში მოთავსება, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასევე დამატებით სასჯელს მიეკუთვნებოდა, წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას, რადგან ჯარისკაცები, რომლებიც იხდიდნენ ამ სასჯელს ვერ გადიოდნენ დანესებულებიდან ერთი თვის ან მეტი ხნის განმავლობაში. სასამართლოს გადანყვიტება არ არის ბოლომდე ნათელი, ვინაიდან მან ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელმა ღამე გაატარა ჩაკეტილ საკანში<sup>1967</sup>. ეს რასაკვირველია წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას, თუმცა სასამართლოს უფრო დანერვილებით უნდა განეხილა რამდენიმე დეტალი, სანამ იგივე დასკვნამდე მივიდოდა დღის განმავლობაში სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, მე-5 მუხლი<sup>1968</sup> შეეხება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ გარემოებებს და არა მისი აღსრულების მოდალობებს, რომლებიც შეიძლება პრობლემებს იწვევდეს, მაგალითად, მე-3, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 ან მე-12 მუხლის საფუძველზე. თუმცა *ეშინგდენის (Ashingdane)* საქმეში<sup>1969</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ „უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი თავისუფლების ნებადართული აღკვეთის საფუძველსა და პატიმრობის ადგილსა და პირობებს შორის.“<sup>1970</sup>

## II. გამონაკლისები ადამიანის პირადი თავისუფლებიდან

### ა. ზოგადი ასპექტები

#### 1. 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების სტრუქტურა

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადება წარმოადგენს ზოგად განაცხადს პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შესახებ.

---

დასკვნა გამოიტანა საქმეში *ქისი (Kiss) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განაცხადი 6224/73). იხ. თავი II.

<sup>1963</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*; იხ. აგრეთვე კომისიის ანგარიში საქმეში *სანჩი (Santchi)* და *სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (განაცხადები 7668/76, 7938/77, 8018/77, 8106/77, 8325/78 და 8778/79); *ენგელის (Engel)* საქმეზე კომენტარებისთვის იხ. მაგ: ტრექსელი (1993) 94, N 15.

<sup>1964</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §54.

<sup>1965</sup> *Ibid.*, §59.

<sup>1966</sup> *Ibid.*, §61-4.

<sup>1967</sup> *Ibid.*, §64.

<sup>1968</sup> თუმცა გამონაკლისს აქვს ადგილი წინასწარი პატიმრობის ან შინაპატიმრობის შემთხვევაში.

<sup>1969</sup> *ეშინგდენი (Ashingdane)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44.

<sup>1970</sup> ეს პრობლემა განხილულია დაპატიმრების „კანონიერების“ კონტექსტში.

ხოლო მეორე წინადადებაში მოცემულია ზოგადი წინაპირობა და იმ ექსივე მიზნის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზე შეიძლება პირის კანონიერად დაპატიმრება.

ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს შევადაროთ აღნიშნული გამოჩაქვების რეგულირების წესი კონვენციის საფუძველზე და მე-8-11 მუხლების მე-2 პუნქტები, რომლებიც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებენ. კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს სამ პირობას. პირველი, უნდა იყოს „კანონთან შესაბამისი“ ან „კანონით გათვალისწინებული“; მეორე, უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს<sup>171</sup>; და მესამე, უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

პირველი წინაპირობა მე-5 მუხლში ორ ადგილას გვხვდება, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის წესსა და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის შესახებ გაკეთებულ მინიშნებებში<sup>172</sup>. მეორე წინაპირობა, ლეგიტიმური მიზანი, იყოფა ექვს განსხვავებულ და ძალზე კონკრეტულ კატეგორიად. მესამე ელემენტი, რომელიც პრაქტიკაში ყველაზე ფართო განხილვის საგანია, ერთი შეხედვით, მე-5 მუხლში საერთოდ არ არის მოცემული. კერძოდ, არ არის გაკეთებული მითითება „აუცილებლობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ეს გასაკვირია, რადგან თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩარევაა ადამიანის უფლებებში. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით.

## 2. კანონიერების მოთხოვნები

### ა. „კანონის“ მნიშვნელობა კონვენციაში

კონვენცია ვარაუდობს, რომ ხელშემკვრელი მხარეები კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოები არიან. უპირველესად ეს ნიშნავს, რომ მათი იურისდიქციის ფარგლებში დაუშვებელია ნებისმიერი ჩარევა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში, თუ ის არ შეესაბამება კანონმდებლობას. შესაბამისად, უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი და სავალდებულო მისი პატივისცემა. ამიტომ „კანონის“ განსაზღვრება ძალზე მნიშვნელოვანია კონვენციის მატერიალური გარანტიების უმეტესობის განმარტებისთვის. აქედან ასევე გამომდინარეობს, რომ ამ ტერმინს ერთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მთელ კონვენციაში. ამდენად, „კანონის“ ცნება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

მიუხედავად ამისა, ამ საკითხს დეტალურად არ განვიხილავთ მე-5 მუხლის კონტექტში, თუმცა დავუბრუნდებით პირადი ცხოვრების პატივისცემის გარანტიანზე საუბრისას<sup>173</sup>. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კონვენციის ორგანოები იყენებენ „კანონის“ უფრო მეტად მატერიალურ, ვიდრე ფორმალურ ცნებას, რაც არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი<sup>174</sup>.

<sup>171</sup> მაგ: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში.

<sup>172</sup> იხ. ქვეთაი II.2(ბ).

<sup>173</sup> ამ საკითხის დეტალური ანალიზისთვის იხ. მალინერნი (1990) 401-9; მატშერი (1991).

<sup>174</sup> იხ. ტრეესელი (1980) 100; კრიტიკული შენიშვნები ჰქონდათ ასევე შემდეგ ავტორებს: ფროვინი და პოიკერტი (1999) მე-5 მუხლი, N 25; ველუ და ერგეცი (1990) N 309. საქმეში *დროზდი (Drozdz)* და *იანუსეკი (Janousek)* საფრანგეთის და ესპანეთის წინააღმდეგ (S 107) სასამართლომ ჩათვალა, რომ „ფრანგულ-დაორულ ჩვეულებას“ ჰქონდა „საკმარისი სტაბილურობა და სამართლებრივი ძალა, რათა გამოყენებული ყოფილიყო დაპატიმრების საფუძველად“.



ბ. „კანონიერების“ სხვადასხვა ელემენტები მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი გარკვევით საუბრობს კანონიერების ორმაგ ტესტზე: ნებისმიერი დაკაეება ან დაპატიმრება უნდა იყოს „კანონიერი“ და შესაბამებოდეს „კანონით განსაზღვრულ წესს“. ამ თვალსაზრისით, „კონვენცია უბრუნდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და ადგენს მატერიალური და საპროცესო ნორმების დაცვის ვალდებულებას“<sup>1975</sup>. სასამართლომ ასევე განაცხადა: „თუმცა ეს დამატებით მოითხოვს, რომ ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთა შესაბამებოდეს მე-5 მუხლის მიზნებს, კერძოდ, ადამიანების დაცვას თავისუფლების თვითნებური აღკვეთისგან“. ბუამარის (*Bouamar*) საქმეში „კანონიერება“ უკავშირდება კიდევ ერთ ელემენტს: ის ასევე გულისხმობს, რომ თავისუფლების აღკვეთა ემსახურება იმ შეზღუდვების მიზნებს, რომლებიც დასაშვებია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე“<sup>1976</sup>. ასეთი ფორმულირება, რომელსაც პირველად ვხვდებით *ვინტერვერპი (Winterwerp)* საქმეში<sup>1977</sup> და ასევე გამოყენებული იქნა *თინის (Thynne)*, *უილსონის (Wilson)* და *გუნელის (Gunnel)* საქმეში<sup>1978</sup>, სხვა ანალოგიურ საქმეებში შეიცვალა უბრალოდ „თვითნებობაზე“ მითითებით<sup>1979</sup>.

უპირატესობა ამ უკანასკნელ ფორმულირებას უნდა მიენიჭოს, რადგან არსებობს საფრთხე, რომ „კანონიერების“ ცნება გახდეს ბუნდოვანი, თუ მას ასევე გამოვიყენებთ თავისუფლების აღკვეთის ფარგლებთან შესაბამისობის გამოხატვის მიზნით. უმჯობესია მისი გამოყენება ექსკლუზიურად შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტექსტში.

რაც შეეხება თვითნებობის კრიტერიუმებს, სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ თავისუფლების თვითნებური აღკვეთა ვერასდროს იქნება „კანონიერი“<sup>1980</sup>. თუმცა ეს კითხვა პირიქით უნდა დაისვას: შესაძლებელია, რომ დაპატიმრება, რომელიც შესაბამებია შიდასახელმწიფოებრივ საპროცესო და მატერიალურ კანონმდებლობას და ემსახურება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებს, ოდესმე იყოს თვითნებური? ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთა ვერ დააკმაყოფილებს აუცილებლობის ტესტს, რომელიც „თვითნებობის“ ტესტთან შედარებით უფრო კონკრეტულია. სასამართლომ, თავის მხრივ, მიუთითა, რომ თვითნებობის განხილვისას ის „ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოებებს“, რომლებშიც ხდება დაპატიმრება<sup>1981</sup>.

<sup>1975</sup> ვასინკი (*Wassink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §24. ეს ფორმულირება გვეხვევა იმ საქმეთა უმრავლესობაში, რომლებიც განხილულ იქნა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. ვან დერ ლერი (*Van der Leer*) ნიდერლანდების წინააღმდეგ §22; ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §47. განსხვავებული ფორმულირება არის გამოყენებული საქმეებში *ოუსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §42; *ბოზანო (Bozano)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §54; *ეშინგდანი (Ashingdane)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44; *ვინტერვერპი (Winterwerp)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §39, 45.

<sup>1976</sup> ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §50.

<sup>1977</sup> ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §39.

<sup>1978</sup> თინი (*Thynne*), უილსონი (*Wilson*) და გუნელი (*Gunnel*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §70.

<sup>1979</sup> ვან დროგენბროეკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ, §40; *ოუსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §49.

<sup>1980</sup> ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §39; იხ. აგრეთვე *ეშინგდანი (Ashingdane)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §44.

<sup>1981</sup> ბოზანო (*Bozano*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §59. ამ საქმეში სასამართლო მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის დაკაეება მოხდა ღამით. წინასწარი გაფრთხილების გარეშე

კიდევ ერთი ფორმულირება, რომელსაც ვხვდებით *ვინტერვერპის (Winterwerp)* საქმეში, სასამართლოს იურისპრუდენციაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენებოდა. ამ საქმეში სასამართლომ განმარტა სიტყვების „კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად“ შინაარსი, როდესაც განაცხადა, რომ „თითო კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციას, მათ შორის, მასში განმტკიცებულ ზოგად პრინციპებს. ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ტერმინს არის სამართლიანი და ჯეროვანი სამართალწარმოება, კერძოდ ის, რომ ადამიანის თავისუფლების ნებისმიერი სახის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული და აღსრულებული უნდა იქნეს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ...“<sup>1982</sup> ეს წინადადება განმეორდა *კემაქის (Kemmache)* (ნომ. 3) საქმეში და მოგვიანებით ციტირებული იქნა სასამართლოს მიერ *ილასკუს (Ilascu)* საქმეში<sup>1983</sup>.

**გ. ევროპული სასამართლოს მიერ კანონის განხილვის ხარისხი**

მას შემდეგ რაც დაეადგინეთ, რომ „კანონიერება“ მე-5 მუხლში (და კონვენციის სხვა მუხლებში) გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ისმის კითხვა, რა ხარისხით განიხილავენ კონვენციის ორგანოები სამართლებრივი საფუძვლის არსებობისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონის მოთხოვნების შესრულების საკითხს. ყველაზე სრულფასოვანი პასუხი ამ კითხვაზე მოცემულია *ბოზანოს (Bozano)* საქმეში: „როდესაც კონვენცია პირდაპირ მიუთითებს შიდასახელმწიფოებრივ კანონზე, როგორც ეს ხდება მე-5 მუხლში, ამ კანონის დაცვა წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების „ვალდებულებათა“ განუყოფელ ნაწილს და შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს ამ კანონის დაცვის საკითხი (მე-19 მუხლი). თუმცა ამ მხრივ მისი ამოცანა ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც დამახასიათებელია დაცვის ევროპული სისტემისთვის, რადგან შიდასახელმწიფოებრივი კანონის ინტერპრეტაცია და გამოყენება უპირველესად ხელისუფლების ეროვნული ორგანოების, კერძოდ, სასამართლოების საქმეა“<sup>1984</sup>. რთულია იმის თქმა, რას გულისხმობს ეს განცხადება პრაქტიკაში. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საქმეთა ორი ჯგუფი.

პირველი მოიცავს ისეთ საქმეებს, რომლებშიც „კანონიერების“ საკითხი უკავშირდება მატერიალურ საფუძველს, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის მიზანს. შესაბამისად, როდესაც ადამიანს ათავსებენ სააუადმყოფოში ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დაცვა ჩვეულებრივ ემთხვევა მე-5(1) მუხლის ერთ-ერთ გამონაკლისში მოცემულ წინაპირობას, რომელსაც ემყარება ხელისუფლების ორგანოთა ქმედება. ასეთი

---

მას დაადეს ხელბორკილები და დაუყოვნებლივ წაიყვანეს შვეიცარიის საზღვარზე.

<sup>1982</sup> *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §45.

<sup>1983</sup> *კემაქი (Kemmache) საფრანგეთის წინააღმდეგ (ნომ. 3)*, 37; *ილასკუს (Ilascu) მოლდოვის და რუსეთის წინააღმდეგ წინააღმდეგ*, §461. საქმეში *კონკა (Conka) ბელგიის წინააღმდეგ* (§2) მოსამართლე ელარსი თავის განსხვავებულ აზრში ასევე მიუთითებს *ვინტერვერპის (Winterwerp)* საქმეში მოცემულ ამ ფრაზაზე. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებული კანონმდებლობის არასაკმარისი ხასიათი კრიტიკის საგანი გახდა საქმეში *დე იონგი (De Jong)*, *ბალოტი (Baljet)* და *ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ* (§46).

<sup>1984</sup> *ბოზანო (Bozano) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §58. იხ. აგრეთვე მაგ: *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §49. *ვასინკი (Wassink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §25; *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §27; *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §40. სხვა მსგავს საქმეებში ეს ფორმულირება აღარ არის მოცემული. მაგ: *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §22, 23.

იყო სასამართლოს მიდგომა ბუამარის (*Bouamar*) საქმეში<sup>1985</sup>. ასეთ შემთხვევებში – მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ამას პირდაპირ არ ამბობს – ხელისუფლების ეროვნული ორგანოები „უნდა სარგებლობდნენ გარკვეული დისკრეციით“, ისევე როგორც იმ საქმეებში, რომლებშიც სასამართლო განიხილავს განმცხადებლის სულით ავადმყოფად მიჩნევის საკითხს<sup>1986</sup>.

მეორე ჯგუფი შედგება იმ საქმეებისგან, რომლებშიც განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ თავისუფლების აღკვეთა არ შეესაბამებოდა „კანონით განსაზღვრულ წესს“. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ სახელმწიფოში შესაბამისი კანონის შესახებ გავრცელებულ მოსაზრებას. სასამართლო ფაქტობრივად სვამს კითხვას, არსებობს თუ არა „ბუამარის მიზეზი“, რომ საპროცესო ნორმები დარღვეულად ჩაითვალოს<sup>1987</sup>. ეს უდრის პრინციპის „*in dubio pro reo*“ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტის ტოლფასია.

ხშირად წარმოიქმნება პატიმრობის გაგრძელებისთვის დადგენილი ვადების დაცვის პრობლემა. *ვინტერვერპის* (*Winterwerp*) საქმეში სასამართლოს პოზიცია ძალზე არადამაჯრებელი იყო, როდესაც მთავრობის ახსნა-განმარტების გაზიარების შემდეგ, განაცხადა, რომ „ორკვირიანი ინტერვალი [რომელიც ენიშნა დამდევება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას!] ... არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე თვალსაზრისით არაგონივრულად ან თვითნებურად“<sup>1988</sup>. *კონდბიჰარის* (*Koendjibiharie*) საქმეში კომისიამ გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას 66 დღიანი შეფერხების გამო, თუმცა სასამართლომ თავი აარიდა ამ საკითხის განხილვას<sup>1989</sup>. მიუხედავად ამისა, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევა მკაფიოდ დადგენილი და აღიარებულია ეროვნულ დონეზე, ადგილი ასევე ექნება კონვენციის დარღვევას<sup>1990</sup>, თუნდაც ასეთი ხელყოფა არ იყოს გამოწვეული თავისუფლების აღკვეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დღემდე ძირითადად საპროცესო პრობლემებთან დაკავშირებით იქნა დადგენილი<sup>1991</sup>.

<sup>1985</sup> ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §50. ეს საქმე უკავშირდება არასრულწლოვანის დაპატიმრებას მასზე აღმზრდელითი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.

<sup>1986</sup> ლუბერტი (*Luberti*) იტალიის წინააღმდეგ, §27; ვიქსი (*Weeks*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §50; ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §39; X ნიდერლანდების წინააღმდეგ, §43; სხვა საქმეებში სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ მისი ამოცანა შემოიფარგლებოდა „კონვენციის საფუძველზე ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვით“; აშინგდანი (*Ashingdane*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §37; ვასინკი (*Wassink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §25; დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Orms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, §67; ეს უკანასკნელი საქმე ეხებოდა მანანწალობასთან დაკავშირებულ ჯარიმას.

<sup>1987</sup> ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ §48; საქმეში ვასინკი (*Wassink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ (§26) სასამართლო ძირითადად დაყრდნობა ეწვერალური ადვოკატის მოსაზრებას.

<sup>1988</sup> ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ §49; იხ. აგრეთვე ეგი (*Eguez*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 11256/84.

<sup>1989</sup> კონდბიჰარი (*Koendjibihane*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, კომისიის ანგარიში, §55-8; სასამართლოს გადაწყვეტილება, §26. თუმცა იხ. მოსამართლე ბერნარტის განხილული აზრი.

<sup>1990</sup> ვან დერ ლერი (*Van der Leer*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §23 (არ განხორციელდა განმცხადებლის მოსმენა მისთვის პატიმრობის შეფარდებამდე); ვასინკი (*Wassink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §27 (სასამართლოს მდივანი არ ესწრებოდა განხილვას).

<sup>1991</sup> გამოწვეულია მაგ: ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ; ბოზანო (*Bozano*) იტალიის წინააღმდეგ; ფოქსი (*Fox*), კემპბელი (*Campbell*) და ჰარტლი (*Hartley*) გაერთიანებული

## ბ. წინასწარი პატიმრობა: მე-5 მუხლი, 1(გ) პუნქტი

სისხლის სამართალწარმოების პროცესში თავისუფლების აღკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა წინასწარი პატიმრობა. თავისი არსით ეს არის დროებითი პატიმრობა, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე სტადია, კერძოდ:

- პოლიციის მიერ „გაჩერება“: ის ემსახურება პირის ვინაობის დადგენას ან ჩხრეკის ჩატარებას<sup>1992</sup> და ჩვეულებრივ, გრძელდება ერთ საათზე ნაკლებ დროს;
- პოლიციის მიერ დაკავება: განსაკუთრებული გარემოებების არარსებობისას, მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ დღეს;
- წინასწარი პატიმრობა გამოძიების მსვლელობისას;
- წინასწარი პატიმრობა გამოძიების დასრულების შემდეგ, სასამართლო განხილვის მოლოდინში;
- წინასწარი პატიმრობა გასაჩივრების ეტაპზე;
- წინასწარი პატიმრობა საბოლოო ინსტანციის სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ და სასჯელის მოხდის დაწყების მოლოდინში.

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი თანმიმდევრობისგან განსხვავებით, რომელიც იწყება პატიმრობით მსჯავრდების შემდეგ, ჩვენ გამოვიყენებთ ქრონოლოგიურ მიდგომას და პირველ რიგში განვიხილავთ წინასწარ პატიმრობას. საერთაშორისო პაქტსა და ამერიკულ კონვენციაში არ არის დეტალურად ჩამოყალიბებული თავისუფლების აღკვეთის ნებადართული შემთხვევები. ამიტომ ამ თავში ძირითადად ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ვისაუბრებთ.

შეიძლება ითქვას, რომ 1(გ) პუნქტი ყველაზე არაადეკვატურად მომზადებულ ნორმას წარმოადგენს მთელ კონვენციაში<sup>1993</sup>. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მის გამოყენებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი სირთულეები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოთა კანონები, რომლებიც ანესრიგებს წინასწარ პატიმრობას ხშირად უფრო მკაცრია, ვიდრე თავად კონვენცია<sup>1994</sup>. წინასწარ პატიმრობას ახასიათებს გარკვეული წინაპირობები და კონკრეტული ფორმალური მიზანი. დაპატიმრება უნდა ეფუძნებოდეს ერთ-ერთ შემდეგ წინაპირობას: დანაშაულის ჩადენის ეჭვი, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების აუცილებლობა ან მიმალვის საშიშროება. გარდა ამისა, საპროცესო თვალსაზრისით, პირის დაპატიმრება უნდა მოხდეს „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად“.

### 1. საფუძვლიანი ეჭვი

ზემოთ მოცემული სამივე წინაპირობა გულისხმობს „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობას იმის თაობაზე, რომ ადამიანს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. დიდი ხნის განმავლობაში ეს პირობა არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი და იგულისხმებოდა, რომ ამ ტესტის გავლა იოლად მოხდებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეჭვი თავის ხასიათით აშკარად უსაფუძვლო იყო<sup>1995</sup>.

---

#### საშეფოს წინააღმდეგ.

<sup>1992</sup> იხ. მმაგ: *KF გერმანიის წინააღმდეგ*, სადაც კანონით განსაზღვრული ვადა გადაჭარბებულ იქნა 45 წუთით, რაც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ნიშნავდა.

<sup>1993</sup> იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 260; ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 58; ველუ და ერგეცი (1990) N 324, 326.

<sup>1994</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 58; ტრექსელი (1980) 114; ველუ და ერგეცი (1990) N 323.

<sup>1995</sup> ტრექსელი (1980) 117.

მართლაც, კომისია ყოველთვის თავს არიდებდა იმ შეკითხვის დასმას, ნამდვილად საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე მოქმედებდა თუ არა ხელისუფლების ორგანო<sup>1996</sup>.

ეს შეიცვალა *ფოქსის (Fox)*, *კემპბელის (Campbell)* და *ჰართლის (Hartley)* საქმეში<sup>1997</sup>. განმცხადებლები დააპატიმრეს ჩრდილოეთ ირლანდიის 1978 წლის აქტის მე-11(1) მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, „ნებისმიერ კონსტებლს შეუძლია, ნებართვის გარეშე, ნებისმიერი პირის დაკავება, რომლის მიმართ გააჩნია ეჭვი, რომ ტერორისტია“. შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ამ დებულების განმარტების მიხედვით, ეჭვი, რომლის არსებობაც აუცილებელია არის „სუბიექტური“ ხასიათის და ადამიანს „კეთილსინდისიერად“ უნდა გააჩნდეს. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ დაადგინა<sup>1998</sup> მე-5(1) მუხლის დარღვევა, რადგან გ) ქვეუნქტში მოცემული გამონაკლისი მოითხოვდა „საფუძვლიან“ და არა უბრალოდ „bona fide“ (გულწრფელ) ეჭვს. შესაბამისად, მთავრობას უნდა „ნარეგინა, როგორც მინიმუმ, გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია, რომელსაც ევროპული სასამართლო საკმარისად ჩათვლიდა დაკავებული პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დადგენისთვის“<sup>1999</sup>.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ მთლიანად დაადასტურა მოგვიანებით განხილულ საქმეებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეჭვი უნდა იყოს „დამაჯერებელი“: პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მასალები უნდა იყოს საკმარისი ობიექტური დამკვირვებლის დარწმუნებისთვის, რომ შესაბამის პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა<sup>2000</sup>.

მეორე მხრივ, თვით ტერმინი „ეჭვი“ გულისხმობს გაურკვევლობის ელემენტის არსებობას. აუცილებელი არ არის, რომ ადამიანის ბრალეულობა იყოს დამტკიცებული, რადგან გამოძიების მიზანია იმის გარკვევა, საკმარისად მაღალია თუ არა ასეთი ბრალეულობის ალბათობა საბრალდებო დასკვნის მოსამზადებლად<sup>2001</sup>. პოლიციას არ სჭირდება ისეთი მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა ბრალდების წარსადგენად<sup>2002</sup>.

ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული ვითარების გათვალისწინებით სასამართლომ მოგვიანებით განხილულ ორ საქმეში დაადგინა, რომ ეს მოთხოვნები იყო დაკმაყოფილებული. ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი ეჭვიმტანილი იყო ირლანდიის რესპუბლიკური არმიისათვის იარაღის მიწოდებაში. მისი ძმა იყო

<sup>1996</sup> ტრეესელი (1980) 115. *დოიჩი (Deutsch) გერმანიის წინააღმდეგ* (განაცხადი 7033/75) ძალზე პრობლემური საქმეა, რომელშიც განმცხადებელი იყო წარმატებული იურისტი, რომელიც ებრაელი კლიენტების სახელით წარადგენდა საჩივრებს გერმანულ სასამართლოებში ნაცისტური რეჟიმის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით. ის ეჭვიმტანილი იქნა თაღლითობაში, როდესაც ითხოვდა კომპენსაციას ბატონი შათეანის ხელოვნების ნიმუშთა კოლექციისათვის.

<sup>1997</sup> *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰართლი (Hartley)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>1998</sup> კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო ხუთი ხმით შვიდის წინააღმდეგ, ხოლო სასამართლომ – ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ.

<sup>1999</sup> *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰართლი (Hartley)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 34.

<sup>2000</sup> *მიურეი (Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 60; *KF გერმანიის წინააღმდეგ*, § 5; *ვლოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, § 108; *ბერკთაი (Berktay) თურქეთის წინააღმდეგ*, § 199; *ოჰარა (O'Hara)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 34; *NC იტალიის წინააღმდეგ*, § 40; *ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ* § 155; *გუსინსკი (Gusinsky) რუსეთის წინააღმდეგ*, § 53.

<sup>2001</sup> *NC იტალიის წინააღმდეგ*, § 45.

<sup>2002</sup> *გუსინსკი (Gusinsky) რუსეთის წინააღმდეგ*, § 53.

ჩართული ამ საქმიანობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში და განმცხადებელი მასთან სტუმრად იმყოფებოდა. სასამართლო ასევე დაეყრდნო ეროვნულ დონეზე ჩატარებულ საქმის განხილვას<sup>2003</sup>. ვითარება უფრო რთული იყო ოჰარას (O'Hara) საქმეში, როდესაც პოლიციამ იმოქმედა დაუდგენელი ინფორმაციების მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას შეეძლო დაყრდნობოდა იმ პოლიციელების კეთილსინდისიერებას, რომლებმაც მონანილეობა მიიღეს პირის დაკავებაში და არც რაიმე მინიშნება გაკეთებულა იმის შესახებ, რომ „დაკავება მოტივირებული იყო ბოროტი განზრახვით ან ადგილი ჰქონდა ძალაუფლების თვითნებურ გამოყენებას“<sup>2004</sup>. ტერორიზმთან ბრძოლის ამოცანის სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „ზღვარი იმ შემთხვევებს შორის, როდესაც დაკავების საფუძველად არსებული ეჭვი საკმარისად არ ეყრდნობა ობიექტურ გარემოებებს და როდესაც საკმარისად ეყრდნობა ასეთ გარემოებებს, ძალზე მყიფეა“. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში ყველაფერი „დამოკიდებულია თითოეულ საქმეში მოცემულ კონკრეტულ გარემოებებზე“<sup>2005</sup>.

ჩვეულებრივი დანაშაულების სფეროში სასამართლომ ვერ აღმოაჩინა კონვენციის დარღვევა საქმეში, რომელშიც განმცხადებელმა პოლიციას მიმართა იმ მოტივით, რომ დანაშაულის მსხვერპლი იყო, თუმცა მოგვიანებით ის დააკავს ცრუ დასმენისთვის<sup>2006</sup>, აგრეთვე საქმეში, სადაც განმცხადებელი ეჭმიტანილი იყო თაღლითობაში<sup>2007</sup>. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს საკმარისი მტკიცებულება ჰქონდათ ეჭვისთვის, რომ ბატონმა გუსინსკიმ თაღლითურად ხელყო „გაზპრომის“ უფლება, გადაეცა სატელევიზიო პროგრამები<sup>2008</sup>.

მეორე მხრივ, დარღვევას ჰქონდა ადგილი *პანტეას* (Pantea) საქმეში, რომელშიც მთავრობამ აღიარა, რომ განმცხადებლის დაკავების მიზეზი, მისი მიმალვის საშიშროება, იყო სრულიად უსაფუძვლო<sup>2009</sup>. კონვენცია დაირღვა *ბერკთაის* (Berkley) საქმეშიც, სადაც არ არსებობდა დამაჯერებელი ეჭვი განმცხადებლის დაკავებისთვის.<sup>2010</sup>

#### ა. ეჭვის ობიექტი

როგორც ვნახეთ, მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტში ეჭვი ნახსენებია სამ კონკრეტულ ვითარებასთან მიმართებაში. ეს ხშირად არასწორად იყო გაგებული როგორც წინასწარი პატიმრობის ორმაგი დასაბუთების საჭიროება (როგორც ეს ხდება რამდენიმე სამართლებრივ სისტემაში), განსაკუთრებით იმ ავტორების მიერ, რომლებმაც კონტინენტურ ევროპაში მიიღეს განათლება. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ „საფუძვლიანი ეჭვი“ უნდა არსებობდეს, არამედ მას თან უნდა ახლდეს კონკრეტული მიზეზი, რომელიც ამართლებს დაპატიმრებას („Haftgründe“). არსებობს საფუძვლების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ მოიცავს დაპატიმრებას ეჭმიტანილის მიმალვის, მტკიცებულებების განად-

<sup>2003</sup> *მიურეი* (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 55-63.

<sup>2004</sup> ოჰარა (O'Hara) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 40;

<sup>2005</sup> *Ibid.*, § 41.

<sup>2006</sup> *ერდაგოზი* (Erdagöz) თურქეთის წინააღმდეგ.

<sup>2007</sup> *KF გერმანიის წინააღმდეგ*, § 5.

<sup>2008</sup> *გუსინსკი* (Gusinsky) რუსეთის წინააღმდეგ.

<sup>2009</sup> *პანტეა* (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ.

<sup>2010</sup> *ბერკთაი* (Berkley) თურქეთის წინააღმდეგ, § 199-201.

გურების ან დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილებას. ამგვარ სისტემას შეჩვეული ადამიანისთვის სრულიად ბუნებრივია კონვენციაში პარალელების ძიება.

თუმცა ეს უკვე გამორიცხულია ლინგვისტური მიზნების გამო. მრავალ კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში აუცილებელია როგორც ეჭვის, ისე დასაბუთების არსებობა, თუმცა 1(გ) პუნქტში მოცემული სამი ვარიანტი ერთმანეთის ალტერნატივებია. გარდა ამისა, ნახსენები არ არის მტკიცებულების განადგურების საშიშროების შესახებ. ცხადია, შეუძლებელია, რომ კონვენციის მნიშვნელობა გამორიცხავდეს წინასწარი პატიმრობის ამ ლეგიტიმურ საფუძველს. თუმცა ხელშეკრულების განმარტება მისივე ტექსტის სანინააღმდეგოდ შეუსაბამო იქნებოდა ინტერპრეტაციის ელემენტარულ ნებსებთან, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს გამოიწვევს გამონაკლისის მოქმედების სფეროს შეზღუდვას. შესაბამისად, მივიჩნევთ დასკვნამდე, რომ კონვენციაში ნახსენები ეჭვის ობიექტი შემოიფარგლება დანაშაულის ჩადენის ფაქტით და არ მოიცავს დამატებით „საფრთხეებს“.

მეორე მხრივ, კონკრეტული „Haftgründe“ არაპირდაპირ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას კონვენციის იურიკარულენციისთვის; თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი ანუ შესაბამისობაში შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, როდესაც კანონი მოითხოვს კონკრეტულ ელემენტს ეჭვიმტანილის დაკავების ან დაპატიმრების კანონიერებისთვის, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემულ საქმეში მისი არსებობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ განიხილა, სინამდვილეში, იყო თუ არა მიმალვის<sup>2011</sup> ან ახალი დანაშაულის ჩადენის<sup>2012</sup> საფრთხე.

#### ბ. დანაშაულის ჩადენის ეჭვი

პირველი ალტერნატივა ერთადერთია, რომელიც არ იწვევს განსაკუთრებულ სირთულეებს. ის მიუთითებს წინასწარ პატიმრობაზე. ვინაიდან ეჭვის გარდა აუცილებელი არ არის სხვა რაიმე წინაპირობის არსებობა, გამონაკლისი ძალზე ფართოა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად ადგილი აქვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ დამატებით შეზღუდვებს. გარდა ამისა, მე-3 პუნქტის საფუძველზე პატიმრობის ხანგრძლივობის კეთილგონიერულობის შეფასებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი პატიმრობის გამოყენების საფუძველს.

„დანაშაულზე“ გაკეთებული მინიშნება გულისხმობს კონკრეტულ დანაშაულს<sup>2013</sup>. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს პირობა დაკმაყოფილებული იყო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ბრიტანეთის 1984 წლის აქტის მე-14 მუხლის შემთხვევაში, რომელიც განმარტავს ტერორიზმს<sup>2014</sup>.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ იმ დანაშაულით შეიძლება წინასწარი პატიმრობის გამართლება, რომელიც იწვევს თავისუფლების აღკვეთას, რადგან პატიმრობა ასევე ემსახურება სასჯელის აღსრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფას<sup>2015</sup>. თუმცა კონვენციის ტექსტში არ არის საუბარი ამგვარი შეზღუდვის შესახებ და წინასწარი პატიმრობის უპირველესი დანიშნულებაა

<sup>2011</sup> პანტა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ, § 220-3.

<sup>2012</sup> NC იტალიის წინააღმდეგ, § 48-50;

<sup>2013</sup> გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ, § 102; კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ, § 40; ეს ასევე იგულისხმება საქმეში ბროგანი (Brogan) და სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ § 51;

<sup>2014</sup> ბროგანი (Brogan) და სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 51.

<sup>2015</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 59.

სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის დასწრების უზრუნველყოფა. ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დროს, მაგალითად, გარემოს დაცვის კონტექსტში, საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ გაამართლოს დაპატიმრების გამოყენება<sup>2016</sup>.

რამდენიმე საქმეში სადავო იყო, რამდენად წარმოადგენდა დანაშაულს ის ქმედება, რომლის ჩადენაშიც იყო ეჭვიმიტანილი განმცხადებელი და ამდენად, „ექცეოდა თუ არა ეს ქმედება, გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით, სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლის რეგულირების სფეროში“<sup>2017</sup>. სასამართლომ განიხილა ეს საკითხი როგორც „კანონიერი“ დაპატიმრების ერთ-ერთი ელემენტი. *ლუკანოვის (Lukanov)* საქმეში სტრასბურგის ორგანოები დადგნენ იმ ვითარების წინაშე, როდესაც აშკარა იყო ძალაუფლების გადამეტება. განმცხადებელს, რომელსაც კომუნისტური რეჟიმის დროს მაღალი თანამდებობა ეკავა, ბრალად ედებოდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა. ამაში იგულისხმებოდა მთავრობის მიერ რამდენიმე ძალზე ღარიბი განვითარებადი ქვეყნისთვის დახმარების აღმოჩენა. ასეთი ქმედების დანაშაულად მიჩნევის ძალზე მცირე შანსიც კი არ არსებობდა<sup>2018</sup>.

*ვლოხის (Wloch)* საქმეში სამართლებრივი ვითარება ძალზე ბუნდოვანი იყო. განმცხადებელი მონაწილეობდა ბავშვების გაშვილების პროცესის ორგანიზებაში და მას ბრალად ედებოდა ბავშვებით ვაჭრობა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის საფუძველზე, რომელიც წარსულში არასდროს ყოფილა გამოყენებული. სასამართლოს აზრით, განმცხადებელი სხვა დანაშაულის ჩადენაშიც რომ არ ყოფილიყო ეჭვიმიტანილი, მისი დაპატიმრების კანონიერება „საეჭვო“ იქნებოდა<sup>2019</sup>. მსგავსი ვითარება განსაკუთრებით რთულია, რადგან სასამართლოსგან მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინტერპრეტაციას. ამ ამოცანის შესრულებისთვის კი ის მზად არ არის.

ტერმინს „დანაშაული“ აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. მაშინაც კი, როცა ქმედება არ ითვლება *სისხლის სამართლის დანაშაულად* შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, ის შეიძლება „დანაშაულად“ იქნეს აღიარებული კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის შეაბამისად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა *სტილის (Steel)* და *სხვების* საქმეში, ინგლისში „მშვიდობის დარღვევის“ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით<sup>2020</sup>. გარდა ამისა, გადამწყვეტი ფაქტორია არა ფორმა, არამედ შინაარსი. *დოუიების (Douiyeb)* საქმეში საკანცელარიო შეცდომამ გამოიწვია დანაშაულის არასწორი აღნიშვნა, მაგრამ ამას არ მოუხდენია გავლენა დაპატიმრების კანონიერებაზე<sup>2021</sup>.

გ. როდესაც „საფუძვლიანად არის მიჩნეული [პირის მიერ] დანაშაულის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობა“

მეორე ალტერნატივა შეეხება „პრევენციულ დაპატიმრებას“ ამ ტერმინის ვინრო მნიშვნელობით.

<sup>2016</sup> იხ. აგრეთვე ტრექსელი (1974) 215, N 739.

<sup>2017</sup> *ვლოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, § 109.

<sup>2018</sup> *ლუკანოვი (Lukanov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 42-5.

<sup>2019</sup> *ვლოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, § 111-14, 115.

<sup>2020</sup> *სტილი (Steel)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 46, 48, 49.

<sup>2021</sup> *დოუიები (Douiyeb) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 51; *ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 57-64.



თავის ყველაზე პირველ საქმეში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია ვერ დაუმეებს დაპატიმრებას, რომელიც ზოგადად მოხნად ისახავს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას<sup>2022</sup>. მოგვიანებით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს შეხედულება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იტალიაში გატარებული „უსაფრთხოების ღონისძიებების“ კონტექსტში. მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტს „არ შეესაბამება ზოგადი პრევენციის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც, მათთვის მსგავსად, წარმოადგენენ საფრთხეს დანაშაულისადმი მათი მიდრეკილების გამო. ის აძლევს ხელშემკერელ სახელმწიფოებს მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის პრევენციის საშუალებას“<sup>2023</sup>. ასევე შეუძლებელია ამ ფორმულირების გამოყენება, როდესაც პირის დაპატიმრებას საფუძვლად უდევს მის მიერ სხვა პრევენციული ღონისძიებებისთვის თავის არიდების საფრთხე, რომლებიც არ მოიცავს თავისუფლების აღკვეთას<sup>2024</sup>. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც დაპატიმრებულია 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე, საბოლოოდ უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე<sup>2025</sup>. თუმცა ამას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასევე არსებობს ეჭვი, რომ პირს უკვე ჩადენილი აქვს დანაშაული. შესაბამისად, პირველი ალტერნატივის გათვალისწინებით, მეორე ხდება სრულიად ზედმეტი<sup>2026</sup>.

დაბოლოს, *ჯეიუსის (Jécius)* საქმეში გაქარწყლდა ეჭვი პრევენციული დაპატიმრების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხზე: „პირი შეიძლება დაპატიმრებული იქნეს მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის მნიშვნელობით, მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსაადგენად, როდესაც არსებობს დანაშაულის ჩადენის ეჭვი“<sup>2027</sup>. შესაბამისად, მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის მეორე ალტერნატივა ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

#### დ. როდესაც საფუძვლიანად არის მიჩნეული დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირის მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.

ცხადია, ეს მესამე ალტერნატივა არ მატებს რაიმე ღირებულებას პირველს. რთულია ასევე მისი შეთავსება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან, რადგან ფაქტის სახით ვარაუდობს შესაბამისი პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ კონვენციის ავტორების განზრახვა იყო „დანაშაულის ჩადენის ფაქტზე“ ეჭვმიტანილის დაკავების ვითარების გათვალისწინება (*“in flagrante”*, *“flagrant délit”*). ეჭვგარეშეა, რომ ასეთი შემთხვევა წარმოადგენს ლეგიტიმურ გამოწვევის უდანაშაულობის პრეზუმფციიდან.

#### 2. „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე [პირის] წარდგენის“ მიზანი

წინასწარი პატიმრობა გულისხმობს „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე“ შესაბამისი პირის წარდგენის განზრახვას. სასამართლომ არაერთხელ

<sup>2022</sup> ლოულესი (*Lawless*) ორლანდის წინააღმდეგ, §14.

<sup>2023</sup> გუზარდი (*Guzzardi*) იტალიის წინააღმდეგ, §102; კიულა (*Ciulla*) იტალიის წინააღმდეგ, §40.

<sup>2024</sup> კიულა (*Ciulla*) იტალიის წინააღმდეგ, §40.

<sup>2025</sup> ლოულესი (*Lawless*) ორლანდის წინააღმდეგ (ნომ. 3), §14, გვ. 53.

<sup>2026</sup> ეს ასევე გამოდინარეობს საქმიდან ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§196).

<sup>2027</sup> *ჯეიუსი (Jécius)* ლოტის წინააღმდეგ §50; იხ. აგრეთვე ელოხი (*Wloch*) პოლონეთის წინააღმდეგ §108.

გაუსეა ხაზი იმას, რომ ეს ეხება გ) ქვეპუნქტში მოცემულ სამივე ვარიანტს<sup>228</sup>. თუმცა როგორც ზემოთ ვიხილეთ, მათგან ორს არ გააჩნია რაიმე ნორმატიული მნიშვნელობა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტი ბადებს გარკვეულ ეჭვებს ტერმინის „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს“ მნიშვნელობის მიმართ.

არსებობს ორი შესაძლებლობა. პირველი, შეიძლება იგულისხმებოდეს მე-3 პუნქტში ნახსენები „მოსამართლე ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელე“. სასამართლომ გაიზიარა ეს შეხედულება რამდენიმე საქმეში<sup>229</sup> და განაცხადა, რომ მე-5 მუხლის 1(გ) და მე-3 პუნქტები ერთობლიობაში უნდა განიმარტოს. ტერმინის „უფლებამოსილი სასამართლო ორგანო“ ძალზე ბუნდოვანი ხასიათი „მოსამართლესთან“ და „სასამართლოსთან“ შედარებით, მხარს უჭერს ამ მოსაზრებას. თუმცა წინასწარი პატიმრობა ასევე სრულად უნდა შეესაბამებოდეს 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტს მას შემდეგ, რაც დაპატიმრებული წარდგება მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე<sup>230</sup>. ამდენად, აღნიშნული მიზანი უნდა განიმარტოს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლესთან მიმართებაში<sup>231</sup>.

რადგან 1(გ) პუნქტი საუბრობს „მიზანზე“, ის არ მოითხოვს, რომ პირი აუცილებლად უნდა წარდგეს სასამართლოს ან, თუნდაც „მოსამართლის ან სხვა მოხელის“ წინაშე. კონვენციის დარღვევას არ ექნება ადგილი, როცა ის „დაუყოვნებლივ“ გათავისუფლდება ან გამოძიება შეწყდება, თუ თავისუფლების აღკვეთის ბრძანება გაიცა „კეთილსინდისიერად“<sup>232</sup>. თუმცა კონვენცია ნამდვილად კრძალავს ისეთ დაპატიმრებას, რომელიც ემსახურება მხოლოდ „ფაქტებზე ნადირობას“, ანუ პირის დაკითხვას<sup>233</sup>.

ტერმინი „უფლებამოსილი“ გულისხმობს სასამართლო ორგანოს ფუნქციას და არა საქმეების განაწილების მარეგულირებელი წესების შესაბამისად მოსამართლის დანიშვნას მე-3 პუნქტით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად<sup>234</sup>.

### 3. წინასწარი პატიმრობის კანონიერების სპეციალური ასპექტები

პირისთვის თავისუფლების აღკვეთა არც ერთ შემთხვევაში არ შეესაბამება კონვენციას, თუ ის უკანონოა. სასამართლო მუდმივად იყენებს ერთსა და იმავე სტანდარტულ ფორმულირებას:

<sup>228</sup> *ლოულესი (Lawless) ირლანდიის წინააღმდეგ, (ნომ. 3) § 14, გვ. 51; დე იონგი (De Jong), ბალეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 44.*

<sup>229</sup> *შისერის (Schiesser) შვეიცარიის წინააღმდეგ, § 29; გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ, § 102; დე იონგი (De Jong), ბალეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 44.*

<sup>230</sup> ეს ასპექტი იგნორირებულია საქმეში *გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ* (გვ. 58, 63) განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების, ბინშედლერ-როზბერტისა და მატჰერის მიერ. თუმცა იხ. *mulalis mutandis, ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ, § 46.*

<sup>231</sup> ასეთი იყო სასამართლოს მოსაზრება უკვე *ლოულესის (Lawless) საქმეში* (§ 14, 52). ის დადასტურდა საქმეებში *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§ 199), *კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ* (§ 38); *ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§ 53). იხ. აგრეთვე ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 67. ეს ასევე საქაოად ნათლად იგულისხმება საქმეში *ჯეიუსი (Jéčius) ლიტვის წინააღმდეგ* (§ 50).

<sup>232</sup> *ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 53; მიურეი (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 67; KF გერმანიის წინააღმდეგ, § 61; ტრადგოზი (Erdogoz) თურქეთის წინააღმდეგ, § 51.*

<sup>233</sup> *მიურეი (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 65-6.*

<sup>234</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 9997/82. ამ საქმეში მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკისთვის იხ. ფან დიკი და ფან ჰოფი (1998) 263.*

სასამართლო იხსენებს, რომ გამოთქვამები „კანონიერი“ და „კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად“ ... უბრუნდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და ადგენს მატერიალური და საპროცესო ნორმების დაცვის ვალდებულებას. თუმცა დაპატიმრების „კანონიერება“ შიდასახელმწიფოებრივი კანონის საფუძველზე ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ელემენტი. სასამართლო დამატებით უნდა დარწმუნდეს, რომ თავისუფლების აღკვეთა შესაბამებოდა მე-5 მუხლის მიზნებს, რაც გულისხმობს ადამიანების დაცვას თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან. სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს, თვით შიდასახელმწიფოებრივი კანონი შეესაბამება თუ არა კონვენციას, მათ შორის, მასში გამოხატულ და ნაგულისხმებ ზოგად პრინციპებს<sup>2035</sup>.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის ხარისხს, ამ შემთხვევაშიც გამოიყენება სტანდარტული ფორმულირება:

შიდასახელმწიფოებრივი კანონის ინტერპრეტაცია და გამოყენება უპირველესად ხელისუფლების ეროვნული ორგანოების, კერძოდ სასამართლოების საქმეა. თუმცა, ვინაიდან მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, შიდასახელმწიფოებრივი კანონის დაუცველობა იწვევს კონვენციის დარღვევას, ამიტომ სასამართლომ შეუძლია და უნდა განიხილოს ამ კანონის დაცვის საკითხი<sup>2036</sup>.

კანონიერების ერთი ასპექტი, კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე იმ „დანაშაულის“ არსებობა, რომლის ჩადენაშიც არის პირი ეჭვმიტანილი, უკვე განვიხილეთ. დარჩა სამი საკითხი: კანონის განჭვრეტადობა, სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ დაკავებული პირის პატიმრობის კანონიერება და დაპატიმრებული პირის გათავისუფლების შეფერხება.

#### ა. კანონის არასაკმარისი სიზუსტე

მოთხოვნა, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს „კანონიერი“, გულისხმობს კანონის არსებობას, რომელიც აკმაყოფილებს პირველად სანდი თაიმსის (*Sunday Times*) საქმეში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, კერძოდ, განსაზღვრულობის ზოგად პრინციპს. ამ საქმეში განსახილველი კონკრეტული საკითხის მიმართ ზოგადი წესის ადაპტირებისას სასამართლომ განაცხადა: „ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები ზუსტად იყოს განსაზღვრული და თვით კანონი იყოს განჭვრეტადი მისი გამოყენებისას“; შესაძლებელი უნდა იყოს „მოცემული ქმედების შესაძლო შედეგების განჭვრეტა იმ ხარისხით, რაც არსებულ გარემოებებში გონიერულად ჩაითვლება“<sup>2037</sup>.

პოლონეთში წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს რეგულარულად აჩერებდნენ ციხეში პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგაც, რადგან ითვლებოდა, რომ საბრალდებო დასკვნის წარდგენასთან ერთად დაპატიმრებული გადადიოდა რეგონული სასამართლოს განკარგულებაში. ამ პრაქტიკას არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ზუსტ

<sup>2035</sup> სტასაიტისი (*Stasaitis*) ლიტვის წინააღმდეგ, §58; ჯეიუსი (*Jéčius*) ლიტვის წინააღმდეგ, §56.

<sup>2036</sup> ოჯალანი (*Öcalan*) თურქეთის წინააღმდეგ, §58; ბენჰამი (*Benham*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §49.

<sup>2037</sup> ბარანოვსკი (*Baranowski*) პოლონეთის წინააღმდეგ, §52; კავკა (*Kawka*) პოლონეთის წინააღმდეგ, §49; სტილი (*Steel*) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §54; ლომონტი (*Laumont*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §45.

ნორმებს და კონკრეტულად ამ საქმეში არ ყოფილა მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც დაპატიმრების ნებართვას გასცემდა. ევროპულმა სასამართლომ ზოგად წესზე დაყრდნობით განაცხადა:

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის პატიმრობა, რომელიც გრძელდება რამდენიმე თვეზე მეტ ხანს და რომელზეც არ არის გაცემული ნებართვა სასამართლოს, მოსამართლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელიც „უფლებამოსილია ... განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება“, არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერად“ ამ დებულების შინაარსიდან გამომდინარე. ეს მოთხოვნა არ არის გარკვევით მოცემული მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში, თუმცა მისი ამოკითხვა შესაძლებელია მე-5 მუხლის მთლიანობაში განმარტების შემთხვევაში, კერძოდ 1(გ) პუნქტის (“უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად”) და მე-3 პუნქტის (“დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს”) სიტყვებიდან. გარდა ამისა, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული *habeas corpus* გარანტია მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ პატიმრობა, რომელიც გრძელდება მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე დიდხანს, საჭიროებს „სასამართლო“ ჩარევას, როგორც თვითნებობის სანინააღმდეგო გარანტია<sup>2038</sup>.

მსგავსი ვითარება იყო შექმნილი ლიტვაში. სასამართლომ მე-5 მუხლის დარღვევა დაადგინა მთელ რიგ საქმეებში, რომლებშიც პირები დაპატიმრებული იყვნენ სასამართლოს ნებართვის ან მკაფიო სამართლებრივი საფუძელის გარეშე<sup>2039</sup>.

ეს პრობლემა არ შემოიფარგლება ყოფილი კომუნისტური ქვეყნებით. ლომონტის (*Laumont*) საქმეში ბრალდების პალატამ (“*chambre d'accusation*”) გასცა ბრძანება შემდგომი გამოძიების ჩატარებაზე, ის, რომ არ გაუცია ბრძანება განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. სასამართლომ კონვენციის დარღვევა არ დაადგინა, ვინაიდან არსებობდა საკასაციო სასამართლოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, შემდგომი გამოძიების ჩატარების ბრძანების გაცემის ფაქტი ერთდროულად დაკავების გახანგრძლივებას ნიშნავდა<sup>2040</sup>.

გაერთიანებულ სამეფოში *სტილის (Steel)* საქმის საფუძველზე წამოიჭრა სამართლებრივი განსაზღვრულობის საკითხი „მშვიდობის დარღვევის“ ცნებასთან დაკავშირებით. ითვლებოდა, რომ პირმა დაარღვია მშვიდობა, „როცა მისი ქცევის ბუნებრივი შედეგი იყო სხვების მხრიდან ძალადობრივი რეაქცია“<sup>2041</sup>. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს ფორმულირება ძალზე ფართო დისკრეციას ანიჭებდა პოლიციას. თუმცა სასამართლომ საყოველთაოდ აღიარებულად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მშვიდობის დარღვევას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა პირი ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან საკუთრებას, ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების ან

<sup>2038</sup> ბარანოვსკი (*Baranowski*) *კოლონეთის წინააღმდეგ*, §57; სიტყვასიტყვით იქნა ციტირებული საქმეში კავკა (*Kawka*) *კოლონეთის წინააღმდეგ*, §51.

<sup>2039</sup> იხ. შემდეგი საქმეები: ჯეიუსი (*Jéčius*) *ლიტვის წინააღმდეგ*; გრაუსლისი (*Grauslys*) *ლიტვის წინააღმდეგ*; სტასაიტისი (*Stasaitis*) *ლიტვის წინააღმდეგ*; ბურკევიჩუსი (*Burkevičius*) *ლიტვის წინააღმდეგ*.

<sup>2040</sup> ლომონტი (*Laumont*) *საფრანგეთის წინააღმდეგ*, §50, §51.

<sup>2041</sup> *სტილი (Steel)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §52.

ძალადობრივი რეაქციის პროვოცირების ალბათობას. ეს ტესტი შეიცავს საკმარის სახელმძღვანელო წესებს<sup>2042</sup>. შესაბამისად, ნათელი იყო, რომ მონადირის წინ გაელა და სროლისთვის ხელის შეშლა ან მიწის სათხრელი მოწყობილობის წინ დადგომა და გზის მშენებლობის აღკვეთის მცდელობა იქნებოდა მშვიდობის დარღვევა<sup>2043</sup>.

თუმცა სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა საქმეში, რომელშიც განმცხადებლები დააპატიმრეს ბროშურების გავრცელებისთვის<sup>2044</sup>. ერთი მხრივ, ეს გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ ინგლისური სამართლის ზოგად შეფასებას, რადგან ის მიანიშნებს, რომ „მშვიდობის დარღვევა“ შეიძლება იქცეს მშვიდობიანი მომტიზგეების თვითნებური დაკავების საბაბი, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, სასამართლომ თავის თავზე აიღო მეოთხე ინსტანციის სასამართლოს ფუნქცია, როდესაც ფაქტობრივად განსაზღვრა, შეიძლებოდა თუ არა ქცევის გარკვეული სახეობა ჩათვლილიყო „მშვიდობის დარღვევად“.

### ბ. „Male captus bene indicatus“?

სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება თავისივე ტერიტორიაზე. თუ მას სურს იმ ადამიანის გასამართლება ან მტკიცებულების მოპოება, რომელიც უცხო სახელმწიფოში იმყოფება, მას მოუწევს შესაბამისი სახელმწიფოს დახმარების თხოვნა. ამგვარი დახმარება, მაგალითად, ექსტრადიციის თხოვნით ან სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის ფორმით, უნდა იქნეს განუვლი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ან *ad hoc* შეთანხმების საფუძველზე<sup>2045</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობს გარკვეული საპროცესო გარანტიები. სისხლის სამართლის საქმეებში ორმხრივი დახმარება, რომელიც თავდაპირველად განიხილებოდა შესაბამისი სახელმწიფოების ინტერესების კონტექსტში, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პიროვნებაზე<sup>2046</sup>. სასამართლოს ყველაზე შთაბეჭდავი გადაწყვეტილება ამ სფეროში მიღებული იქნა *სოურინგის (Soering)* საქმეში. გადაწყვედა, რომ განმცხადებლის ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას ემუქრებოდა ეგრეთ წოდებული „სიკვდილმისჯილთა საკნის ფენომენი“, დაარღვევდა მის უფლებებს კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე.

რამდენიმე საქმეში კომისიასა და სასამართლოს მოუწიათ იმის განსაზღვრა, შეიძლება თუ არა კანონიერად დაპატიმრებულად ჩათვალოს პირი, რომელიც პროცედურის დარღვევით მოექცა მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციაში. ამ საკითხის ზოგჯერ მოიხსენიებენ ლათინური გამოთქმით „*male captus bene indicatus*“, რომელიც გულისხმობს, რომ უკანონო დაკავების მიუხედავად, შემდგომი მსჯავრდება და სასჯელის მოხდა კანონიერია.

მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის მიზნებისათვის პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: შეიძლება თუ არა თავისუფლების ამგვარი აღკვეთა იყოს „კანონით განსაზღვრული წესის“ („*selon les lois légales*“) შესაბამისი<sup>2047</sup>.

<sup>2042</sup> *Ibid.*, §55.

<sup>2043</sup> *Ibid.*, §58, 59.

<sup>2044</sup> *Ibid.*, §64.

<sup>2045</sup> წყაროებისთვის იხ. ვან დენ ვინგერტი, *International Criminal Law: A Collection of International and European Instruments* (ლეიდენი და ბოსტონი: Nijhoff, 2005).

<sup>2046</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლაგოდნი, *Internationale Rechshilfe in Strafsachen* (2003).

<sup>2047</sup> უარყოფითი პასუხისთვის იხ. ტრექსელი (1987) 74; ტრექსელი (1992) 633. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლისათვის იხ. მაგ. *აშშ. დუარტე-აკეროს (Duarte-Acero) წინააღმდეგ* (296 F. 3d 1277).

კომისია დიდი ხნის განმავლობაში დაუშვებლად ცნობდა ამგვარ საქმეებს<sup>2048</sup>, თუმცა ოჯალანის (*Öcalan*) საქმეში სასამართლომ გაიზიარა პრინციპი, რომ „დაპატიმრება, რომელიც განხორციელდა ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, ზეგავლენას ახდენს პირადი ხელშეუხებლობის უფლებებზე მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე“<sup>2049</sup>. თუმცა ეს პრინციპიც საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინებით არის ჩამოყალიბებული. რას ნიშნავს სიტყვები „...ზეგავლენას ახდენს პირადი ხელშეუხებლობის უფლებებზე“?

დღემდე საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა თავისუფლების აღკვეთა „კანონით განსაზღვრული ნების შესაბამისი“ განიხილებოდა მხოლოდ იმ ხელშეკრული სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე, რომელშიც განმცხადებელი დააპატიმრეს. მაგრამ რა ხდება, თუ პირი დააპატიმრეს ერთ სახელმწიფოში მას შემდეგ, რაც მისი დაკავება მოხდა მეორე სახელმწიფოში ამ უკანასკნელის კანონმდებლობის დარღვევით? სხვა სიტყვებით, უჭერს თუ არა კონვენცია მხარს პრინციპს „*male captus bene indicatus*“ (*an indicatus*)<sup>2050</sup>?

კომისიამ დაუშვებლად ცნო განაცხადი საქმეში ალტმანი (*Altman*) საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელშიც განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის უკანონოდ მოიტაცეს ბოლივიაში<sup>2051</sup>. ანალოგიურად, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა სტოკის (*Stocke*) საქმეში<sup>2052</sup>. განმცხადებელი ნააქტუეს (უკანონოდ), რომ საფრანგეთში ჩამჯდარიყო თვითმფრინავში და შემდეგ დააკავეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ის მისი სურვილის საწინააღმდეგოდ წაიყვანეს<sup>2053</sup>. ეს საკითხი სასამართლომ განიხილა ოჯალანის (*Öcalan*) საქმეში.

განმცხადებელი იყო ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერი, რომელსაც თავშესაფარი მისცეს კენიაში, საბერძნეთის საელჩოში. თავშესაფარის ძიებაში ის სირიიდან საბერძნეთში, რუსეთში, იტალიასა და ისევ რუსეთში, ხოლო შემდეგ საბერძნეთში გაემგზავრა. არც კენიის მთავრობას სურდა მისი გაჩერება ქვეყანაში და საბოლოოდ ის გადასცეს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაირობის აეროპორტში. სასამართლომ განიხილა, დაარღვია თუ არა თურქეთმა კენიის სუვერენიტეტი, ნაირობის აეროპორტის საერთაშორისო ზონაში მყოფ თურქულ თვითმფრინავში განმცხადებლის დაპატიმრებით. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან კენიის მთავრობას სურდა თანამშრომლობა<sup>2054</sup>. სასამართლომ განაცხადა:

<sup>2048</sup> ფრედა (*Freda*) იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 8910/80; კლაუს ალტმანი (*Klaus Altman*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10689/83; ლუკ რეინე (*Luc Reinette*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 14009/80; ილიჩ სანჩეს რამირესი „კარლოსი“ (*Illich Sanchez Ramirez „Carlos“*) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>2049</sup> ოჯალანი (*Öcalan*) თურქეთის წინააღმდეგ, §88. საქმეში სტოკი (*Stocke*) გერმანიის წინააღმდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოუღია არსებით გარემოებებზე, რადგანაც ჩათვალა, რომ ფაქტები არ იყო დადასტურებული. იგივე ეხება საქმეს ეგმეცი (*Egmez*) კიპროსის წინააღმდეგ.

<sup>2050</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 319.

<sup>2051</sup> ალტმანი (*Altman*) საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10689/83.

<sup>2052</sup> სტოკი (*Stocke*) გერმანიის წინააღმდეგ, §49, 54; სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის ფაქტი არ იყო დამტკიცებული.

<sup>2053</sup> საკითხი ნაშოიჭრა საქმეში დროზდი (*Drozdz*) და იანუსეკი (*Janousek*) საფრანგეთის წინააღმდეგ და Spain.

<sup>2054</sup> ოჯალანი (*Öcalan*) თურქეთის წინააღმდეგ (*1st Section*), §96.

101. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და თურქეთსა და კენიას შორის ექსტრადიციის ხელშეკრულების არარსებობის გამო, რომელიც განსაზღვრავდა ფორმალურ წესს, სასამართლო თვლის, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება ის გარემოება, რომ ნაწილობრივ თურქეთისა და ნაწილობრივ კენიის ხელისუფლების ორგანოების მიერ, მოცემულ შემთხვევაში, განხორციელებული ოპერაცია უდრიდა თურქეთის მიერ კენიის სუვერენიტეტის და შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის დარღვევას.

102. სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ნაწილობრივ აეროპორტი მყოფ თვითმფრინვაში თურქეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა განმცხადებელს დაპატიმრებამდე არ უჩვენეს დაკავების ბრძანება, მისი შემდგომი დაკავება არ არის სამართლებრივ საფუძველს მოკლებული თურქეთის კანონმდებლობის საფუძველზე.

ნიგნის წერის დროს საქმე გასაჩივრებული იქნა დიდ პალატაში, ამდენად მიზანშეწონილი არ იქნება პირველი პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების განხილვა. უნდა ითქვას, რომ განმცხადებლის უფლებების დაცვა კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე, არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, დაირღვა თუ არა კენიის სუვერენიტეტი. საზღვარგარეთ ეჭმიტანილთა გატაცება არ შეიძლება შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას.

#### გ. დაგვიანებული გათავისუფლება

ერთი შეხედვით ნათელია, რომ ადამიანი უნდა გათავისუფლდეს მაშინვე, როცა მისი პატიმრობის მიზეზი წყვეტს არსებობას, განსაკუთრებით, გამართლების ან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ<sup>255</sup>. სასამართლოს იურისპრუდენცია გვიჩვენებს, რომ ასეთი მოსაზრება ყოველთვის არ არის სწორი.

ეს პრობლემა პირველად განხილული იქნა საქმეში *კინი (Quinn) საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელშიც ადგილი ჰქონდა ძალაუფლების აშკარა გადამეტებას. პალატამ, რომელსაც ევალებოდა საბრალდებო დასკვნის მომზადება (*"chambre d'accusation"*), გასცა ბრძანება განმცხადებლის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ, თუმცა პროკურორმა უარი თქვა მის აღსრულებაზე, რადგან ელოდებოდა ექსტრადიციის მოთხოვნას, რომელიც იმავე საღამოს მიიღო. შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოება გაგრძელდა და ექსტრადიციის მოლოდინში განმცხადებელი იძულებით დატოვეს პატიმრობაში. სასამართლომ განაცხადა, რომ „გარკვეული შეფერხება დაპატიმრებულის გათავისუფლების შესახებ ბრძანების შესრულებისას გასაგებია“, თუმცა 11 საათის გასვლა გადაწყვეტილების მიღებიდან, რომლის შესახებ დაპატიმრებულს არც კი ეცნობა, „აშკარად არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ან რომელიმე სხვა ქვეპუნქტს“<sup>256</sup>.

მოგვიანებით განხილულ საქმეებში, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა უფრო ადმინისტრაციულ უმოქმედობას და დაუდევრობას, ვიდრე განზრახ უკანონო ქმედებებს. სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა (თუმცა არა ყველა გადაწყვეტილება) საკმაოდ დამაჯერებელია. საქმეში *K და F გერმანიის წინააღმდეგ*, რომელშიც დაგვიანება შეადგენდა მხოლოდ 45 წუთს, გადაწყვეტი

<sup>255</sup> მაგ: *პანტა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ* § 225. ამ საქმეში მთავრობა დათანხმდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას.

<sup>256</sup> *კინი (Quinn) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 42.

ფაქტორი გახდა ის, რომ ამ მხრივ გერმანიის კანონი ძალიან ზუსტი იყო<sup>2057</sup>. ნიკოლოვას (Nikolova) საქმეში ხელისუფლების ორგანოებმა შეფერხების ახსნა სცადეს განმცხადებლის დედასთან დაკავშირების შეუძლებლობით, რაც ნამდვილად არ იყო დამაჯერებელი მიზეზი<sup>2058</sup>.

ლაბიტას (Labita) საქმეში სასამართლომ ისაუბრა იმ მიზეზებზე, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გათავისუფლების დაყოვნების გამართლება, კერძოდ, „შესაბამისი ადმინისტრაციული ფორმალუბების დაცვის აუცილებლობაზე“<sup>2059</sup>. თუმცა საინტერესოა, რამდენად ხანგრძლივი დაყოვნების გამართლება შეიძლება ფორმალუბების დაცვის აუცილებლობის მოტივით. ეს საკმარის მნიშვნელოვანი საკითხი სასამართლოს დღემდე არ განუხილავს. მანჩინის (Mancini) საქმეში მთავრობა აცხადებდა, რომ დაყოვნების მიზეზი გახდა ის, რომ დაპატიმრებულებისთვის გადაწყვეტილების გადაცემას სამი დღე დასჭირდა. სასამართლომ ეს საკითხი უპასუხოდ დატოვა<sup>2060</sup>. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ გათავისუფლების ასეთი გაჭიანურება სრულიად მიუღებელია.

ამ გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, მანკონის (Manzoni) საქმეში მიღებული გადაწყვეტილება სამნუხარო შეცდომად უნდა ჩაითვალოს. განმცხადებელი გაათავისუფლეს 7 საათის დაგვიანებით. სასამართლოს ინფორმირება არ მომხდარა თავისუფლების აღკვეთის დეტალების შესახებ, თუმცა მან გაიზიარა მოსაზრება, რომ შეფერხებების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სასამართლომ გადაწყვიტა, „რომ ეს არ იყო კონვენციის დარღვევის საფუძველი“<sup>2061</sup>. სასამართლომ, როგორც ჩანს, ისარგებლა პრინციპით „de minimis non curat praetor“. რამდენიმე თვის შემდეგ განხილულ საქმეში 45 წუთიანი დაყოვნება საკმარისად ჩაითვადა კონვენციის დარღვევისთვის<sup>2062</sup>. ასევე კრიტიკას იმსახურებს ერდაგოზის (Erdagöz) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პატიმრობაში იმყოფებოდა კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით. სასამართლომ არ განიხილა ეს საკითხი, რადგან კომისიისთვის ნარდგენილ განაცხადში განმცხადებელი არ ასაჩივრებდა მე-5 მულის მე-3 პუნქტის დარღვევას<sup>2063</sup>. საბედნიეროდ, ასეთი ფორმალისტური მიდგომა გამონაკლისია. ცხადია, განმცხადებელი ნამდვილად უკანონოდ იყო დაპატიმრებული 13 საათის განმავლობაში და არსებითად სწორედ ეს ფაქტი გაასაჩივრა. შემდგომი პრეცედენტული სამართალი მხარს არ უჭერს ასეთ მიდგომას, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის სულისკვეთებას.

პირადი თავისუფლების უფლების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დარღვევას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადამიანის გაუჩინარებას, ადგილი ჰქონდა ასანიძეს (Assanidze) საქმეში. განმცხადებელი, სასამართლოს მიერ მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამ წელზე მეტ ხანს,

<sup>2057</sup> K-F გერმანიის წინააღმდეგ, §69-72.

<sup>2058</sup> ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარიის წინააღმდეგ, §83, 84; სასამართლომ ძალზე სერიოზულ შეცდომად მიიჩნია ის, რომ არ ხდებოდა „რელევანტური მოვლენების მკაცრი საათობრივი აღრიცხვა“.

<sup>2059</sup> ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ, §172.

<sup>2060</sup> ვიტორიო (Vittorio) და ლუიჯი მანჩინი (Luigi Mancini) იტალიის წინააღმდეგ, §22, 25.

<sup>2061</sup> გულია მანკონი (Giulia Manzoni) იტალიის წინააღმდეგ, §25.

<sup>2062</sup> KF გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>2063</sup> ერდაგოზი (Erdagöz) თურქეთის წინააღმდეგ, §50.



იმყოფებოდა პატარა საკანში აჭარაში, საქართველოში<sup>2064</sup>. ამ საქმეში რთული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მას შემდეგ გამოსწორდა, იყო ასეთი აშკარად არადაამაკმაყოფილებელი ვითარების მიზეზი.

#### 4. აუცილებლობა

როგორც ვიხილეთ, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>2065</sup> კერ მოხედა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში<sup>2066</sup>. ერთი შეხედვით, ეს უხეში შეცდომაა. თუმცა, თუ დაუეკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ამის მიზეზია დაპატიმრების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ამ მუხლშია მოცემული.

რაც შეეხება 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტს, რომელიც უკავშირდება მსჯავრდების შემდეგ პირის დაპატიმრებას, ცხადია, რომ აუცილებლობის ტესტი აქ ზედმეტია. კონვენციის ორგანოებმა უნდა ივარაუდონ სასამართლო განაჩენების აღსრულების ზოგადი აუცილებლობის არსებობა. გარდა ამისა, მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება, განიხილონ პირობით ვადამდე გათავისუფლების მრავალფეროვანი და ზოგჯერ რთული წესები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საპატიმრო სასჯელის ან თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სხვა სისხლისსამართლებრივი სანქციის აღსრულებაზე. კიდევ უფრო ნაკლებად მისაღები იქნება საერთაშორისო ორგანოსთვის, რომელსაც ევალება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობა, სასჯელის სიმძიმესთან ან პატიმრობის, როგორც სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებულ დისკუსიაში ჩართვა.

გარდა ამისა, ხელშემკერელ სახელმწიფოთა უმრავლესობას დადებული აქვს ექსტრადიციის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულებები შეიძლება მათ აკისრებდეს იმ პირის დაპატიმრების ვალდებულებას, რომელიც ექვემდებარება ექსტრადიციას. ამ თვალსაზრისით, გარდა პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული საკითხებისა, თითქმის არ რჩება სივრცე აუცილებლობის ტესტის გამოყენებისთვის<sup>2066</sup>. მეორე მხრივ, ამ ტესტის გამოყენება საჭიროა, როგორც მინიმუმ ნაწილობრივ მაინც, 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი პატიმრობა არ უნდა აჭარბებდეს გონივრულ ვადას, რათა დაცული იყოს მე-3 პუნქტი.

რაც შეეხება 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ სხვა შემთხვევებს, ისინი განმარტებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ აუცილებლობის ელემენტი მათ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდეს<sup>2067</sup>. სინამდვილეში, თავისუფლების ნებისმიერი ამგვარი აღკვეთა, რომელიც არ არის „აუცილებელი“, ანუ არ შეესაბამება „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ და არც დასახული მიზნის პროპორციულია, უნდა ჩაითვალოს თვითნებურად და კონვენციის დარღვევად. ცხადია, რომ „აუცილებლობის“ შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ამდენად, ეს საკითხი მოითხოვს შემდგომ დამუშავებას სხვადასხვა გამონაკლისების კონტექსტში. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ აუცილებლობის მოთხოვნა არ იქნა შეტანილი გამონაკლისების ტექსტში, არ გამორიცხავს მის აქტუალობას.

<sup>2064</sup> *ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ.*

<sup>2065</sup> არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 და არც ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლებში.

<sup>2066</sup> იხ. ქვეთავი II.გ.2.(ბ).

<sup>2067</sup> იხ. *ვან დერ მუსელი (Van der Musselle) ბელგიის წინააღმდეგ*, §43.

თუმცა საქმეში *NC იტალიის წინააღმდეგ* ვხვდებით საინტერესო განცხადებას: „საკმარისი არ არის, რომ თავისუფლების აღკვეთა განხორციელდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ის აგრეთვე აუცილებელი უნდა იყოს არსებული გარემოებების გათვალისწინებით“<sup>2068</sup>. ზემოთ მოცემული მიზეზების მიუხედავად, როგორც ჩანს, სასამართლო მზად არის გამოიყენოს „აუცილებლობის“ მოთხოვნა იმ საქმეებში, რომელშიც ეს საჭიროა.

სამწუხაროდ, დღემდე ეს წესი აღარ ყოფილა გამოყენებული და არც ისეთ საქმეებს ჰქონია ადგილი, რომლებშიც აუცილებლობის არარსებობამ გამოიწვია მე-5 მუხლის დარღვევა. ასეთი მიდგომის საფუძველზე განსხვავებული შედეგი დადგებოდა საქმეში *კემში (Kemmaché) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

განმცხადებელი უნდა გაესამართლებინა რეგიონულ სასამართლოს. თავისუფლებაში ყოფნის დროს ის ჩაბარდა ხელისუფლების ორგანოებს და დაკავებულ იქნა საფრანგეთის სისხლის სამართლის სამოციქულო კოდექსის 251(1) მუხლის შესაბამისად. სასამართლო განხილვა გადაიდო, თუმცა განმცხადებელი მაინც პატიმრობაში რჩებოდა. ამის მიზეზად სახელდებოდა განმცხადებლის მიმალვის ან მის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე. სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული განმარტებების კრიტიკაზე „მეთხე ინსტანციის ფორმულაზე“ მითითებით<sup>2069</sup>. კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას. მართლაც, ეს საქმე ვერ გაივლიდა აუცილებლობის ვერც ერთ ტესტს. ლოგიკას მოკლებულია იმის მტკიცება, რომ არსებობს მიმალვის ან მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, როდესაც გამოძიების დაწყებიდან თავისუფლებაში მყოფი პირი საკუთარი ნებით ბარდება ხელისუფლების ორგანოებს სასამართლო განხილვის დაწყებამდე. სინამდვილეში, თვით ფრანგული სამართლის ის ნორმა, რომელიც მოითხოვს ამგვარ ჩაბარებას, რთულია ჩაითვალოს გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად.

## გ. დაპატიმრება მსჯავრდების შემდეგ: მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტი

### 1. ზოგადი მახასიათებლები

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი იწყება გამონაკლისით, რომელიც პრაქტიკულად არ გამხდარა დავის საგანი, კერძოდ, სასჯელის მოხდით<sup>2070</sup>. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ცალსახა და მარტივ საკითხად მოგეჩვენოს, მასთან საკმაოდ ბევრი პრობლემა იყო დაკავშირებული. ტერმინები „მსჯავრდება“ და „უფლებამოსილი სასამართლო“, ისევე როგორც კავშირი მსჯავრდებასა და დაპატიმრებას შორის, დამატებით განმარტებებს საჭიროებს. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ვერ ჩაითვლება სისხლის სამართალწარმოების შემადგენელ ნაწილად, თუმცა ორივე მათგანი იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ გამართლებულია ამ წიგნში მათი განხილვა.

### 2. მსჯავრდება

#### ა. განმარტება

მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის შედარებისას მე-6 მუხლის მე-2 და მე-7 მუხლის 1-ლ პუნქტებთან, სასამართლომ განაცხადა, „რომ კონვენციის მიზნებისთვის, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს „მსჯავრდებას“, თუ კანონის შესაბამისად, არ

<sup>2068</sup> *NC იტალიის წინააღმდეგ*, §41.

<sup>2069</sup> *კემში (Kemmaché) საფრანგეთის წინააღმდეგ (ნომ. 3)*, §44-5.

<sup>2070</sup> *კოეპარიო* (1998) 2 N 1.2.

დამტკიცდა დანაშაულის ... ჩადენის ფაქტი ... გარდა ამისა ... ეს სიტყვა გულისხმობს ბრალეულობის დადგენას<sup>2071</sup>. „მსჯავრდება“ ასევე მიუთითებს „სასჯელის ან თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სხვა სანქციების დაკისრებაზე“<sup>2072</sup>. ჯარიმის ან მსგავსი ფინანსური სანქციის დაკისრებისას, რომელთა გადაუხდელობა თავისუფლების აღკვეთას მოიწვევს, არსებობს ორი შესაძლებლობა. პირველი, თუ ჯარიმის დაკისრება მოხდა სასამართლოს მიერ და იგივე სასამართლო ან მკაფიო სამართლებრივი ნორმები თავიდანვე განსაზღვრავენ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობას გადაუხდელობის შემთხვევაში, მაშინ დაპატიმრების ბრძანება შეიძლება გასცეს ადმინისტრაციულმა ორგანომ. თუ ეს პირობები არ არის შესრულებული, გადაწყვეტილება ჯარიმის შეცვლის შესახებ უნდა მიიღოს სასამართლომ<sup>2073</sup>.

მსჯავრდების არსებობა დაცვის საგანი იყო სტილის (Steel) საქმეში, რომელშიც გარემოს დაცვის აქტივისტებმა უარი განაცხადეს „მშვიდობის დაცვის“ ბრძანების შესრულებაზე. ისინი დააჯარიმეს მშვიდობის დარღვევისათვის და მოსთხოვეს დეკლარაციაზე ხელის მოწერა, რომლითაც პირობას დებდნენ, „რომ არ დაარღვევდნენ მშვიდობას და კარგად მოიქცეოდნენ 12 თვის განმავლობაში“. სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა, რომ განმცხადებლების ციხეში მოთავსებას ამ ბრძანების ხელმოწერაზე უარის თქმის გამო მოიცავდა არა ა) ქვეპუნქტით, არამედ ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი<sup>2074</sup>.

პირს, რომელსაც მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა, არ შეუძლია კონვენციის საფუძველზე მოითხოვოს პირობით ვადამდე გათავისუფლება<sup>2075</sup>. თუმცა ვადამდე გათავისუფლების სისტემის მოქმედების შემთხვევაში, ეს უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე<sup>2076</sup>.

## ბ. ბრალეულობა

„მსჯავრდება“ არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი ცნობილი იქნა ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში. თუ ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე პირი გაამართლეს და მოათავსეს სამედიცინო დაწესებულებაში, მისი დაპატიმრება შეესაბამება 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტს<sup>2077</sup>. ეს ნიშნავს, რომ ისეთი არასასამართლო ორგანოს მიერ, როგორცაა ბრალდების პალატა („Anklagekammer“) ან პროკურატურა, სასამართლოს გადაწყვეტილებით გამართლებული პირის გაგზავნა პირდაპირ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, არ იწვევს კონვენციის დარღვევას<sup>2078</sup>. ამ შემთხვევაში აუცილებელი სასამართლო კონტროლი უზრუნველყოფილი იქნება *habeas corpus* პროცედურის საფუძველზე.

<sup>2071</sup> გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ, §100. დადასტურდა *inter alia* საქმეში X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §39; ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck) ბელგიის წინააღმდეგ, §35.

<sup>2072</sup> ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck) ბელგიის წინააღმდეგ, §35.

<sup>2073</sup> ტრეჟელი (1974) 301.

<sup>2074</sup> სტილი (Steel) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §69-70.

<sup>2075</sup> ქრისტინე (Christinet) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7648/67; G გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 14289/88.

<sup>2076</sup> W გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 12118/86.

<sup>2077</sup> ლუბერტი (Luberty) იტალიის წინააღმდეგ, §25; ჰერცეგფელვი (Herczegfelvy) ავსტრიის წინააღმდეგ, §66; თუმცა იხ. ბიზოტო (Bizzoto) საბერძნეთის წინააღმდეგ, §32.

<sup>2078</sup> X ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 5973/73.

### გ. საბოლოო განაჩენი

ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს კანონიერი, ხოლო „კანონიერების“ მოთხოვნა უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ მსჯავრდება, იმდენად, რამდენადაც და იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის აღსრულება შესაძლებელია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. როგორც წესი, ამ დროს განაჩენი საბოლოოა.

თუმცა სასამართლო არ მისდევს ამ ლოგიკურ ჯაჭვს. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებიდან მოყოლებული<sup>2079</sup>, სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიუხედავად, დაპატიმრება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, იმ შემთხვევაშიც, თუ საჩივარს იხილავს ზემდგომი ინსტანცია, ყოველთვის უნდა ჩაითვალოს დაპატიმრებად ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით, რომელზეც არ ვრცელდება მე-3 პუნქტით განსაზღვრული დროითი შეზღუდვები<sup>2080</sup>. ამის მთავარი მიზეზია შიდასახელმწიფოებრივი კანონების მრავალფეროვნება. ზოგიერთ სახელმწიფოში დაპატიმრებულის საჩივრის განხილვა უნდა დასრულდეს „გონივრულ ვადაში“, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში ასეთი მოთხოვნა არ არსებობს. ამ საკითხს უფრო დანვრილებით განვიხილავთ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონტექსტში.

### დ. მატერიალური დასაბუთება

არსებობს მოსაზრება, რომ საპატიმრო სასჯელის აღსრულება შეიძლება იყოს კანონიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მსჯავრდება არსებითად საფუძვლიანია ან, როგორც მინიმუმ, მე-7 მუხლს შეესაბამება<sup>2081</sup>. თუმცა ასეთი მოსაზრება არ არის სწორი. ამის დასამტკიცებლად საჭირო არ არის ვრცელი თეორიის ჩამოყალიბება. საპროცესო მდგომარეობის მარტივი განხილვაც სრულიად საკმარისია.

მე-7 მუხლის ნებისმიერ დარღვევას ადგილი ექნება პირის მსჯავრდებისას და კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, ის შეიძლება განსახილველად წარედგინოს ევროპულ სასამართლოს საბოლოო განაჩენის გამოტანიდან მხოლოდ 6 თვის განმავლობაში. ეს წესი აზრს დაკარგავდა, თუ განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნებოდა უფრო გვიან, იმ თავისუფლების აღკვეთის გასაჩივრების გზით, რომელსაც მსჯავრდებული იხდის. სამართლებრივი სიტყვადე, რომელსაც ემსახურება ხანდაზმულობის ეს ვადა, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებოდა.

მეორე მხრივ, 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ფორმალური ხასიათისაა<sup>2082</sup> და არ ანიჭებს კონვენციურ ორგანოებს თვით მსჯავრდების შემონგების უფლებამოსილებას<sup>2083</sup>. თუმცა ზემოთ ხსენებულ საპროცესო ასპექტთან დაკავშირებული არგუმენტი გვთავაზობს, რომ უნდა არსებობდეს გამონაკლისი ამ წესიდან. სინამდვილეში, არ არსებობს 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის იგნორირების საფრთხე მაშინაც, თუ პირის „მსჯავრდება“ განხორციელდა იმ იურისდიქციაში, რომელსაც არ ევალება კონვენციის შესრულება. ხელშეწყვერელი სახელმწიფოს მიერ ასეთი განაჩენის აღსრულების შემთხვევაში, როდესაც ის მე-7 მუხლის

<sup>2079</sup> ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ, §9.

<sup>2080</sup> ეს გადაწყვეტილება დადასტურდა საქმეში B აესტრიის წინააღმდეგ, §36-9.

<sup>2081</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 256. ჯაკობსი (1975) 47; ველუ და ერგეცი (1990) N 313.

<sup>2082</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 313.

<sup>2083</sup> კრცისკი (Krzyczki) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 7629/76.

ამკარა დარღვევით იქნა გამოტანილი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს კონვენციის დარღვევას<sup>2084</sup>.

კიდევ ერთი გამონაკლისია, როდესაც მსჯავრდების არაკანონიერება იმდენად თვალსაჩინოა, რომ შეიძლება დახასიათდეს როგორც თვითნებური. ასეთი ვითარება იყო შექმნილი ცირლისის (Tsirlis) და კულუმპასის (Kouloumpas) საქმეში<sup>2085</sup>. განმცხადებლები იელოვას მონმე სასულიერო პირები იყვნენ, რაც ნიშნავდა, რომ ისინი უნდა გაათავისუფლებულიყვნენ სამხედრო სამსახურისგან. მიუხედავად ამისა, მოხდა მათი განუკუთვნება სამხედრო მომზადების ცენტრში. გამოცხადებაზე უარის თქმის შემდეგ, განმცხადებლები მსჯავრდებულ იქნენ დაუმორჩილებლობისთვის და მიესაჯათ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ისინი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მოიხადეს თავისუფლების აღკვეთის 12 და 13 თვე.

სასამართლომ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ დაპატიმრება განხორციელდა „უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ“, თუმცა ჩათვალა, რომ ის არ იყო „კანონიერი“. მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უპირველესად ეროვნული ხელისუფლების პრეროგატივაა, სასამართლომ მაინც უნდა განიხილოს ეს საკითხი, რადგან შიდასახელმწიფოებრივი კანონის შეუსრულებლობა კონვენციის დარღვევას იწვევს<sup>2086</sup>. სასამართლომ შემდეგნაირად აღწერა თავისი ამოცანა: „დაპატიმრება იქნება არსებითად კანონიერი, როდესაც ის ხორციელდება სასამართლო ბრძანების საფუძველზე. იმის დადგენა, რომ ბრძანების გაცემისას სასამართლომ შეცდომა დაუშვა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, აუცილებლად არ იქონიებს გავლენას დაპატიმრების შუალედური პერიოდის კანონიერებაზე. სწორედ ამ მიზეზით სტრასბურგის ორგანოები მუდმივად უარს აცხადებდნენ იმ პირების განაცხადების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის და ამტკიცებდნენ, რომ მათი მსჯავრდება ... ემყარებოდა ... ფაქტებთან ან კანონთან დაკავშირებულ შეცდომას“<sup>2087</sup>. თუმცა მოცემულ საქმეში სამხედრო ორგანოებმა „ამკარად დაარღიეს“ კანონი. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ შემოიფარგლება დაპატიმრების უკანონოდ გამოცხადებით, არამედ იყენებს ტერმინს „თვითნებური“, რომელიც ხაზს უსვამს სასამართლოს მოსაზრებას, რომ ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევას<sup>2088</sup>. სასამართლომ ასევე განმცხადებლებს მიანიჭა კომპენსაცია მათ მიერ მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით<sup>2089</sup>.

#### ე. მე-5 მუხლთან შესაბამისობა

მსგავსი შეკითხვა იბადება ასევე იმ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომელსაც შედეგად მოსდევს მსჯავრდება. უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა ის მე-5 მუხლის მოთხოვნებს? კვლავაც, პასუხი უნდა იყოს ცალსახად უარყოფითი.

<sup>2084</sup> ფაქტების შეფასება უნდა მოხდეს არა მხოლოდ მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის, არამედ ასევე მე-7 მუხლის საფუძველზე 1-ლ მუხლთან კავშირში. საქმეში დროზდი (Drozid) და იანუსეკი (Janousek) საფრანგეთის და ესპანეთის წინააღმდეგ (§ 120) კომისიამ გადაწყვიტა, რომ მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტი ასევე ეხება საზღვარგარეთ გამოტანილი განაჩენების აღსრულებას, ხოლო სასამართლომ უფრო თავშეკავებული პოზიცია გამოხატა (§ 110).

<sup>2085</sup> ცირლისი (Tsirlis) და კულუმპასი (Kouloumpas) საბერძნეთის წინააღმდეგ.

<sup>2086</sup> Ibid., § 57; ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ, § 49.

<sup>2087</sup> ცირლისი (Tsirlis) და კულუმპასი (Kouloumpas) საბერძნეთის წინააღმდეგ, § 57.

<sup>2088</sup> Ibid., § 62.

<sup>2089</sup> Ibid., § 78-80.

ამ შემთხვევაშიც იგივე არგუმენტები მოქმედებს, რაც 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით<sup>2090</sup>. ენგელის (Engel) საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ, რადგან მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტი „ავტონომიური დებულებაა“, მისი „მოთხოვნები ყოველთვის არ იქნება მე-6 მუხლის დებულებების შესატყვისი“<sup>2091</sup>. ეს საკითხი იყო განხილვის საგანი დროზდის (Drozdz) და იანუსეკის (Janousek) საქმეში. კომისიამ აღნიშნა, რომ „თითქმის შეუძლებელია იმის სრულფასოვნად შემოწმება,“ რამდენად დაცული იყო მე-6 მუხლში მოცემული გარანტიები საზღვარგარეთ განაჩენის გამოტანისას, თუმცა იქვე დაამატა, რომ „პირის დაპატიმრება სისხლის სამართალწარმოების შედეგად დანიშნული სასჯელის საფუძველზე, რომელშიც დაცვის ძირითადი გარანტიები არ იყო დაცული, შეიძლება ჩაითვალოს „უკანონოდ“<sup>2092</sup>. სასამართლომ უფრო ვიწრო მიდგომა ამჯობინა<sup>2093</sup>: „სისხლის სამართლის საქმეებში სასჯელის აღსრულების გზით დახმარებაზე უარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მსჯავრდება არის მართლსაჯულების განხორციელებაზე უფლების აშკარა ხელყოფის შედეგი“<sup>2094</sup>. გადანდა, რომ მოცემული საქმე ვერ აკმაყოფილებდა ამ სტანდარტს. ეს გადანყვეტილება იდეალურისგან შორსაა. პირველ რიგში, სტანდარტი ძალიან დაბალია. დაპატიმრება უნდა იყოს კანონიერი და არა უბრალოდ „არათვითნებური“. გარდა ამისა, განაჩენის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ის გამოიტანა ორგანომ, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს და უნდა ჩათვლილიყო ძალადაკარგულად. უნდა ითქვას, რომ ამგვარი განაჩენის აღსრულება ნამდვილად იქნებოდა მართლმსაჯულების განხორციელების აშკარა უგულებელყოფა<sup>2095</sup>.

განაჩენმა ასევე შეიძლება მიიღოს „დასჯის ბრძანების“ ფორმა, რომელიც წარმოადგენს მოსამართლის ან ადმინისტრაციული მოხელის (მათ შორის, პროკურორის) შეთავაზებას და ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ გამოთქევამს პროტესტს<sup>2096</sup>.

### 3. უფლებამოსილი სასამართლო

ტერმინს „სასამართლო“ 1(ა) პუნქტში უნდა მიენიჭოს იგივე მნიშვნელობა, რაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შემთხვევაში<sup>2097</sup>. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს ტერმინი გულისხმობს „ასევე სასამართლო სამართალწარმოების

<sup>2090</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 257. ავტორებს განსხვავებული პოზიცია აქვთ ამ საკითხზე, როგორც ჩანს, ვემჰოფის (Wemhoff) საქმეში მიღებული გადანყვეტილების (§9, გვ. 24) მცდარი ინტერპრეტაციის საფუძველზე.

<sup>2091</sup> ენგელი (Engel) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, §68.

<sup>2092</sup> დროზდი (Drozdz) და იანუსეკი (Janousek) საფრანგეთის და ესპანეთის წინააღმდეგ. განაცხადი 12747/87, § 148, 149. იხ. აგრეთვე X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 1322/62.

<sup>2093</sup> დროზდი (Drozdz) და იანუსეკი (Janousek) საფრანგეთის და ესპანეთის წინააღმდეგ, § 110.

<sup>2094</sup> იხ. აგრეთვე სოურიინგი (Soering) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 113.

<sup>2095</sup> საქმეში დროზდი (Drozdz) და იანუსეკი (Janousek) საფრანგეთის და ესპანეთის წინააღმდეგ მოსამართლეებმა კრემონამ, მაკდონალდმა, ბერნარდიმ, პეკანენმა და ვილჰელმმა თვითნებურად განსხვავებულ აზრებში განაცხადეს, რომ საფრანგეთს, როგორც მინიმუმ, ეუქეტანო კონტროლი უნდა განეხორციელებინა.

<sup>2096</sup> ტრექსელი (1988) 135 და 137. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება დასჯის ბრძანებები წარმოადგენდეს ფორმას, რომლითაც ხდება პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება; იხ. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (87)18, რომელიც მიღებული იქნა 1987 წლის 17 სექტემბერს.

<sup>2097</sup> დე ვილდე (De Wilde), ომსი (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ, § 76.

გარანტიას<sup>2098</sup>, თუმცა კონვენციის ორგანოების მიერ ამ საკითხის განხილვა ძალზე შეზღუდულია ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო.

სასამართლომ ასევე უნდა შეამოწმოს იურისდიქცია „*ratione loci*“, „*personae*“, „*temporis*“ და „*materiae*“. თუმცა ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვერ შეუდგება იმის დეტალურ განხილვას, რამდენად სწორად იქნა გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივი კანონი და ჩაერევა მხოლოდ ისეთ საქმეებში, რომლებშიც იურისდიქციის არარსებობა აშკარაა<sup>2099</sup>. ამის მაგალითია თავისუფლების აღკვეთა, როგორც დისციპლინური სანქცია. შევიცარიის ნინაალმდეგ განხილულ ორ საქმეში კომისიამ დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, ვინაიდან განმცხადებლების მსჯავრდება არ მომხდარა „უფლებამოსილი სასამართლოს“ მიერ<sup>2100</sup>.

#### 4. კავშირი მსჯავრდებასა და დაპატიმრებას შორის სიტყვიტ „შემდეგ“

სასამართლო ხშირად აცხადებს, რომ ა) ქვეპუნქტში მოცემული სიტყვა „შემდეგ“ არ ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ პირის დაპატიმრება უნდა მოსდევდეს მის მსჯავრდებას დროის თვალსაზრისით: დაპატიმრება ასევე უნდა იყოს მსჯავრდების შედეგი და მასზე დამოკიდებული ან განხორციელდეს მის საფუძველზე<sup>2101</sup>. ბოზანოს (*Bozano*) საქმეში აშკარად სხვაგვარად იყო საქმე<sup>2102</sup>. განმცხადებელს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა იტალიაში. ამის შემდეგ ის გაიქცა საფრანგეთში, რომელმაც უარი განაცხადა მის ექსტრადიციაზე, რადგანაც განაჩენი გამოტანილი იყო „*in absentia*“. თუმცა ერთ საღამოს განმცხადებელი უკანონოდ გადაიყვანეს შევიცარიის საზღვართან, სადაც ის დააპატიმრა შევიცარიის პოლიციამ. მოგვიანებით განხორციელდა მისი ექსტრადიცია იტალიაში. საფრანგეთში განმცხადებლის დაპატიმრების საფუძველი არ იყო მისი მსჯავრდება.

ასეთი კავშირის არარსებობა ასევე ნათელი იყო *სტილის* (*Steel*) საქმეში, როდესაც განმცხადებელი დააჯარიმეს მშვიდობის დარღვევისათვის და შემდეგ დააპატიმრეს კარგად მოქცევის პირობის დადებაზე უარის თქმის გამო<sup>2103</sup>.

მსჯავრდებასა და დაპატიმრებას შორის კავშირთან დაკავშირებით რთული საკითხები წამოიჭრა იმ საქმეებში, რომლებშიც უსაფრთხოების ღონისძიებები ან თავისუფლების აღკვეთა დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით. ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ იმყოფებიან ფსიქიკურად დაავადებული დამნაშავეები ან კრიმინალები, რომლებიც საზოგადოებას საფრთხეს უქმნიან. განუსაზღვრელი ვადით თავისუფლების აღკვეთა ან სამუდამო პატიმრობა თავისთავად არ ენინაალმდეგება კონვენციას<sup>2104</sup>. თუმცა იმდენად, რამდენადაც სასჯელი ემყარება მსჯავრდებულის პიროვნებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანს,

<sup>2098</sup> *Ibid.*

<sup>2099</sup> *R გერმანიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 11506/85; ველუ და ერგეცი (1990) N 519.

<sup>2100</sup> *სანტში* (*Santschi*) და *სხეები შევიცარიის ნინაალმდეგ* (1981); *ეგზი* (*Eggs*) *შევიცარიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 7341/76, §72. რეფორმის შემდგომი ვითარებისთვის იხ. *ბორელი* (*Borelli*) *შევიცარიის ნინაალმდეგ*, განაცხადი 17571/90.

<sup>2101</sup> *მონელი* (*Monnell*) და *მორისი* (*Morris*) *გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ*, §40; *ჯიქსი* (*Weeks*) *გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ*, §42; *ბოზანო* (*Bozano*) *საფრანგეთის ნინაალმდეგ*, §53; *ვან დროენგებროეკი* (*Van Droogenbroeck*) *ბელგიის ნინაალმდეგ*, §35; *X გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ*, §39; *B ავსტრიის ნინაალმდეგ*, §38.

<sup>2102</sup> *ბოზანო* (*Bozano*) *საფრანგეთის ნინაალმდეგ*, §53.

<sup>2103</sup> *სტილი* (*Steel*) და *სხეები გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ*, §68.

<sup>2104</sup> *ფროვანი* და *პოიკერტი* (1996), მე-5 მუხლი, N 40.

რომელიც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ნათელია, რომ ეს კავშირი შეიძლება განყდეს<sup>2105</sup>. ამ საქმეებში ნარმოიშვა ორი განსხვავებული პრობლემა: თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობა მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტთან და *habeas corpus* პროცედურა. აღნიშნულ კონტექსტში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ პირველი.

კომისიისა და სასამართლოს მიერ განხილული ყველა საქმე ხასიათდება დამატებითი სპეციფიკით: პატიმრობა შეწყდა პირის პირობით გათავისუფლებით, თუმცა მისთვის დადგენილი პირობების დარღვევის გამო ის კვლავ დააბრუნეს ციხეში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით<sup>2106</sup>. უფრო ადრინდელ საქმეებში სტრასბურგის ორგანოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მსჯავრდებასა და დაპატიმრებას შორის ჯერ კიდევ არსებობდა<sup>2107</sup>.

*სტეფუორდის (Stafford)* საქმეში სასამართლომ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. მან უარი თქვა თავის ჩვეულ მიდგომაზე, რომ იურისპრუდენციისთვის მიეცა ისეთი სახე, რომელიც კონვენციის წვერი ქვეყნების ყველა განსხვავებულ სამართლებრივ სისტემას მოერგებოდა<sup>2108</sup>, უფრო აქტიური მიდგომის სასარგებლოდ. ამ საქმეში მიღებული გადაწყვეტილება იმდენად საფუძვლიანად არის მორგებული გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივ სისტემაზე, რომ რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება სხვა სამართლებრივ სისტემებში. კონტინენტურ ევროპაში სასამართლო, ჩვეულებრივ, შეარჩევს ისეთ სასჯელს, რომელსაც მსჯავრდებული პირის ბრალის პროპორციულად თვლის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვა ისეთი ასპექტების განხილვა, როგორცაა პიროვნებიდან მომდინარე საფრთხე ან რესოციალიზაციის მნიშვნელობა. დანაშაულისადმი ონთოლოგიური მიდგომის, კრიმინოლოგიის დაბადებისა და „*défence sociale*“-ს სკოლის გაჩენის შედეგად. განვითარდა ორმხრივი (ბინარული) სისტემა. სისხლის სამართლის არსენალს შეემატა ეგრეთ წოდებული „უსაფრთხოების ღონისძიებები“, რომლებიც დამოუკიდებელია პირის ბრალისგან<sup>2109</sup>. მათი მიზანი იყო ფსიქიკური პრობლემების, მათ შორის ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობისა და სხვა სახიფათო პირებისგან საზოგადოების დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

გაერთიანებულ სამეფოში იგივე შედეგის მიღწევას ცდილობდნენ არაპირდაპირი გზებით სასჯელის დანიშნის რთული წესის გამოყენების საფუძველზე. განსაკუთრებით, სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში<sup>2110</sup>. სამუდამო პატიმრობა შედგება ორი კომპონენტისგან: სასჯელი, რომელიც ორმაგ მიზანს ემსახურება, დასჯასა და პრევენციას; და დამატებითი ელემენტი, რომელიც შეიძლება

<sup>2105</sup> ვან დრუგენბროკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ, §40; *უიქსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46.

<sup>2106</sup> საქმეების ვან დრუგენბროკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ და *უიქსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ გარდა იხ. აგრეთვე *ქრისტინე (Christinet)* შვეიცარიის წინააღმდეგ (განაცხადი 7648/76).

<sup>2107</sup> იხ. მაგ: *X, უიქსი (Weeks)*, *ჰუსაინი (Hussain)*, *უაინი (Wynne)*, *თინი (Thynne)*, *უილსონი (Wilson)* და *გუნელი (Gunnell)*, და *სტეფუორდი (Stafford)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>2108</sup> იხ. მაგ: *კრუსლინი (Kruslin)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §29; *ჰუვიგი (Huwig)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §28.

<sup>2109</sup> კენელი (1981).

<sup>2110</sup> თუმცა დაპატიმრება „მისი უდიდებულესობის ნება-სურვილით“, რომელიც განხილვის საგანი იყო საქმეებში *სინგი (Singh)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და *ჰუსაინი (Hussain)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შესაბამეობა კონტინენტური ტიპის „უსაფრთხოების ღონისძიებას“



საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იყოს დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივად ეს შეიძლება სხვაგვარად აღიქმებოდეს, სამუდამო პატიმრობის დროს, როგორც წესი, არ არსებობს გისოსებს მიღმა სიცოცხლის ბოლომდე პირის გაჩერების სერიოზული განზრახვა. პირიქით, *ვიქის (Weeks)* საქმეში მოსამართლემ განაცხადა, რომ უფრო დიდი ალბათობაა, განმცხადებელი ვადამდე გათავისუფლდეს სამუდამო პატიმრობის დროს, ვიდრე რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში<sup>2111</sup>. ვადას, რომელიც პატიმარმა უნდა მოიხადოს სასჯელის სახით, ეწოდება „სატარიფო პერიოდი“.

დიდი ხნის განმავლობაში ეს სატარიფო პერიოდი განისაზღვრებოდა დიდი ბრიტნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ. თუმცა ეს არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომელიც მოითხოვს, რომ არა მხოლოდ პირის მსჯავრდება, არამედ მისთვის სასჯელის დანიშვნაც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ<sup>2112</sup>. თავდაპირველად ითვლებოდა, რომ მხოლოდ დისკრეციული სამუდამო პატიმრობა შედგება ამ ორი კომპონენტისგან. *უაინის (Wynne)* საქმეში, სასამართლომ ჩათვალა, რომ სავალდებულო სამუდამო პატიმრობა ნამდვილად ნიშნავდა თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულის ცხოვრების ბოლომდე<sup>2113</sup>. თუმცა ეს მცდარი აღმოჩნდა და *სტეფუორდის (Stafford)* საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ თვით ამგვარი სასჯელის ნაწილიც უკავშირდებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოსაზრებებს.

*სტეფუორდის (Stafford)* საქმეში განმცხადებელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1976 წელს ჩადენილი მკვლელობისთვის. 1979 წელს ის პირობით გაათავისუფლეს. თუმცა მან დაარღვია გამოსაცდელი ვადის ფარგლებში დადგენილი პირობები და გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, რის გამოც გაუქმდა გადანყევტილება მისი ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ. გაერთიანებულ სამეფოში დაბრუნების შემდეგ განმცხადებელი დააპატიმრეს და დააჯარიმეს ყალბი პასპორტით სარგებლობისთვის.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მე-5 მუხლი იყო დარღვეული. დაპატიმრების გამართლება შეუძლებელი იყო 1(ა) პუნქტის საფუძველზე, რადგან 1979 წლისათვის განმცხადებელს უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელის ნაწილი, რომელსაც მოიცავდა „ტარიფი“, ანუ ვადა, რომელიც მას უნდა მოეხადა სადამსჯელო და პრევენციული მიზნებისთვის. ნებისმიერი შედგომი პატიმრობა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო მხოლოდ საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძველით. სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება განმცხადებლის მიერ თაღლითობის ჩადენის შესაძლო საფრთხის არსებობის შესახებ. თუმცა ეს გარემოება არ იყო რელევანტური, რადგან თავდაპირველი განაჩენი გამოტანილი იქნა ძალადობრივი დანაშაულისთვის პირის დასჯის მიზნით და მხოლოდ მსგავსი დანაშაულის ჩადენის რისკი შეიძლებოდა გამხდარიყო სამუდამო პატიმრობის მიზეზი.

გაცილებით უფრო რთულია სასამართლოს არგუმენტაციის გაგება *მონელის (Monnell)* და *მორისის (Morris)* საქმეში, რომელიც სრულიად სხვა საკითხს ეხებოდა. ათი ხმით ერთის წინააღმდეგ კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი დარღვეული იყო, თუმცა სასამართლო მას არ დაეთანხმა<sup>2114</sup>. აპ

<sup>2111</sup> *ვიქის (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 14, 15.

<sup>2112</sup> შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განვითარების მოკლე აღწერისათვის იხ. *სტეფუორდი (Stafford)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 70-80; იხ. აგრეთვე *ისტერბროუკი (Easterbrook)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>2113</sup> *უაინი (Wynne)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 32.

<sup>2114</sup> *მონელი (Monnell)* და *მორისი (Morris)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

საქმეში სააპელაციო საჩივრის განხილვის მოლოდინში განმცხადებლების მიერ პატიმრობაში გატარებული დრო არ იქნა ჩათვლილი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში. შედეგად, მათ ფაქტობრივად დაეკისრათ თავისუფლების აღკვეთა იმ ვადაზე მეტი ხნით, რომელიც გამომდინარეობდა სასჯელიდან<sup>2115</sup>. ასეთი გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს თვითნებურად, რადგან პატიმრობა არ უკავშირდებოდა მსჯავრდებებს და მის ხანგრძლივობაზე გავლენის მოხდენა განმცხადებლებს არ შეეძლოთ. მისი მიზანი იყო სააპელაციო სამართალწარმოების ბოროტად გამოყენებისთვის ხელის შეშლა, რაც უდავოდ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს. თუმცა გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს ის მსჯავრდების შემდგომ დაპატიმრებად, 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით<sup>2116</sup>.

გამოსავალი, რომელიც კომისიამ იპოვა, არ გულისხმობს, რომ წინასწარი პატიმრობა ან პატიმრობა ექტრადიციის მოლოდინში უნდა ჩაითვალოს სასჯელის ვადაში კონვენციის საფუძველზე<sup>2117</sup>. ამ მხრივ გადამწყვეტია შიდასახელმწიფოებრივი კანონი<sup>2118</sup>. თუმცა ის უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემულ ერთ-ერთ საფუძველს.

#### 5. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა

ნათელია, რომ ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აღემატება დანიშნული სასჯელის ვადას, წარმოადგენს მე-5 მუხლის დარღვევას. გრავას (*Grava*) საქმე ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია<sup>2119</sup>. განმცხადებელს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც მოგვიანებით შემცირებული იქნა ოთხ წლამდე. რუმინეთში გაქცევის შემდეგ, განხორციელდა მისი საექსტრადიციო დაკავება. იტალიაში დაბრუნებულმა განმცხადებელმა წარადგინა თხოვნა თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირების შესახებ (რომელიც კანონით ეკუთვნოდა), რაც არ იქნა დაკმაყოფილებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლომ კი გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი უნდა გათავისუფლებულიყო ორი თვით ადრე. მან ფაქტობრივად დამატებით ორი თვე და ოთხი დღე გაატარა ციხეში. სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებლის ციხეში გაჩერება კეთილსინდისიერად მოხდა, ჩათვალა, რომ მისი პატიმრობა გაუმართლებელი იყო და მიანიჭა კომპენსაცია 8 000 ევროს ოდენობით.

#### დ. დაპატიმრება სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობისთვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დ) ქვეპუნქტი შეეხება ორ განსხვავებულ გამოწვევის პირადი თავისუფლების უფლებიდან, რომლებიც ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ. ისინი შეიძლება რელევანტური იყოს სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, განსაკუთრებით, როგორც დისციპლინური ღონისძიება, მაგალითად, ურჩი მონმეების წინააღმდეგ.

<sup>2115</sup> *Ibid.*, §43; იხ. აგრეთვე გერგერი (*Gerger*) თურქეთის წინააღმდეგ, §68.

<sup>2116</sup> კრიტიკისთვის იხ. აგრეთვე ეელუ და ერგეცი (1990) N 315.

<sup>2117</sup> იხ. შავ: C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 10854/84.

<sup>2118</sup> იხ. აგრეთვე გრავა (*Grava*) იტალიის წინააღმდეგ, §24.

<sup>2119</sup> გრავა (*Grava*) იტალიის წინააღმდეგ, §24.

## 1. დაპატიმრება „კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობისთვის“

სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონვენცია მესამედ მიუთითებს კანონიერებაზე, როდესაც აცხადებს, რომ აღნიშნული ბრძანება თავად უნდა იყოს კანონიერი. ცხადია, რომ ეს გულისხმობს როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დაცვას, ისე კონვენციასთან შესაბამისობას. სასამართლო ბრძანება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მე-5 მუხლს, თუ ის მოითხოვს ადამიანის პირად ცხოვრებაში ისეთ ჩარევას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს<sup>2120</sup> ან პირს აკისრებს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულებას.

დებულების ტექსტის შესაბამისად, სასამართლო ბრძანებით უნდა განისაზღვროს ის, თუ რა უნდა გააკეთოს ან არ გააკეთოს შესაბამისმა პირმა, ხოლო მისი დაპატიმრების საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს ადმინისტრაციულმა ორგანომ<sup>2121</sup>. ასეთი მიდგომა პოტენციურად პრობლემურია, რადგან არასასამართლო ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ გაუმართლებლად ფართო დისკრეტია. ამ დებულების განმარტება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სასამართლომ არა მხოლოდ ბრძანება გასცეს, არამედ ზუსტად განსაზღვროს პატიმრობის ხანგრძლივობა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. ადმინისტრაციულმა ორგანომმა შეიძლება გადაწყვიტონ, დაცული იყო თუ არა სასამართლო ბრძანება ან რამდენად არსებობს დაპატიმრების საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სამეცნიერო ლიტერატურაში მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტის შინაარსი ძალზე სადავო იყო<sup>2122</sup>, ევროპულ დონეზე მის გამოყენებას არ გამოუწვევია რაიმე პრობლემები<sup>2123</sup>. სასამართლომ მოკლედ განიხილა ეს საკითხი *ბუამარის (Bouamar)* საქმეში და განაცხადა, რომ „ძირითადად ოჯახური პრობლემების გამო, ფსიქოლოგიური დარღვევების მქონე არასრულწლოვანისთვის“ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება გამართლებული იყოს 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე<sup>2124</sup>.

## 2. დაპატიმრება „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“

ზოგადი ნესების თანახმად, ფუნდამენტური უფლებებიდან ნებისმიერი გამოწვევის უნდა განიმარტოს „ძალზე ვიწროდ“<sup>2125</sup>. ეს განსაკუთრებით ეხება 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტში მოცემულ მეორე ალტერნატივას, რომელიც

<sup>2120</sup> იხ. აგრეთვე მე-4 ოქმის 1-ლი მუხლი.

<sup>2121</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) N 4, 54; ტრექსელი (1974) 203. ველუ და ერგეცი (1990) N 321. ავტორები მისაღებად თვლიან ასეთ მოცემულობას, თუმცა მიუთითებენ, რომ ბელგიის კანონმდებლობა უფრო მკაცრია და შესაბამისად, უპირატესობა მას უნდა მიენიჭოს (ყოფილი) მე-60 მუხლის საფუძველზე.

<sup>2122</sup> 1974 წლამდე არსებული მოსაზრებების დეტალური ანალიზისთვის იხ. ტრექსელი (1974) 202.

<sup>2123</sup> კომისიის მიერ გადაწყვეტილი საქმეებისთვის იხ. ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 53; ტრექსელი (1980) 133; ველუ და ერგეცი (1990) N 321.

<sup>2124</sup> *ბუამარი (Bouamar)* ბელგიის წინააღმდეგ, §44.

<sup>2125</sup> *მაკეი (McVeigh), ო'ნილი (O'Neill) და ევანსი (Evans) გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადები 8022/77, 8025/77 და 8027/77, § 162 (ანგარიში). კომისიამ მოუთხოვა საქმეზე ინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ (§37), ხოლო სასამართლომ ისაუბრა მხოლოდ „ვიწრო ინტერპრეტაციაზე“; სინამდვილეში კომისიამ საქმეში ფართოდ განმარტა მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტი. სხვა გადაწყვეტილებებში სასამართლომ გამოიყენა ტერმინი „მკაცრად“. იხ. მაგ: *კიულა (Ciulla)* იტალიის წინააღმდეგ, §41.

შესაძლოა გამოყენებულ იქნეს 1-ლი პუნქტის ა) და გ) ქვეპუნქტების მკაცრი მოთხოვნების შესრულებისთვის თავის არიდების მიზნით<sup>2126</sup>.

თავის პირველ გადაწყვეტილებაში სასამართლომ, კომისიის მსგავსად, განაცხადა, რომ სამართლებრივი ვალდებულება შეიძლება იყოს არა „საზოგადოებრივი მშვიდობისა და წესრიგის ან სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულის“ ჩადენისთვის თავის არიდება, არამედ მხოლოდ „კანონით განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულება.“<sup>2127</sup> ის ნამდვილად ვერ გაამართლებდა განმცხადებლისთვის ხანგრძლივ თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ იმით, რომ ეჭვმიტანილი კაეშირში იყო ტერორისტულ ორგანიზაციასთან. დებულება კიდევ უფრო ზუსტდება *ენგელის (Engel)* საქმეში, რომელშიც სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სამხედრო დისციპლინური სასჯელი არ წარმოადგენს სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ ღონისძიებას, რადგან ის გულისხმობს „საპეციალურ და კონკრეტულ ვალდებულებას, რომელიც შესაბამისმა პირმა იმ დრომდე ვერ შეასრულა“<sup>2128</sup>. ეს ნიშნავს, რომ პირი, თავდაპირველად, გააფრთხილეს და მისცეს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, თუმცა მან უარი განაცხადა აღნიშნულზე<sup>2129</sup>. ცხადია, რომ ვალდებულება უნდა არსებულიყო პირის დაპატიმრებამდე<sup>2130</sup>.

სამართლებრივი ვალდებულების კარგ მაგალითს ვხვდებით *იოჰანსენის (Johansen)* საქმეში, როდესაც განმცხადებელი დააპატიმრეს მის მიერ ალტერნატიული სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის<sup>2131</sup>. კომისიამ ასევე ჩათვალა „საპეციალურად“ პირის მიერ თავისი ვინაობის გამხელის ვალდებულება<sup>2132</sup>.

სამწუხაროდ, კომისიამ მნიშვნელოვნად და გაუგებრად გააფართოვა ამ დებულების მოქმედების სფერო *მაკეის (McVeigh)*, *ო'ნილის (O'Neill)* და *ევანსის (Evans)* საქმეში „გადაუდებელი ხასიათის სხვა შეზღუდული გარემოებებით. რომლებიც დაპატიმრების უფლებამოსილებას იძლევა ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“<sup>2133</sup>. ირლანდიიდან ლივერპულში ჩაფრენის შემდეგ განმცხადებლები პატიმრობაში იმყოფებოდნენ თითქმის ორი დღის განმავლობაში, მათი ვინაობის დადგენისა და განსაკუთრებით, დაკითხვის მიზნით, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის (გარდამავალი დებულებები) და 1976 წლის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ბრძანების (დამატებითი გარდამავალი დებულებები) საფუძველზე. ამ შემთხვევაში 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი

<sup>2126</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 69; იხ. აგრეთვე ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 259.

<sup>2127</sup> *ლოულესი (Lawless)* ირლანდიის წინააღმდეგ (ნომ. 3), § 9, გვ. 47. იხ. აგრეთვე *გუზარდი (Guzzardi)* იტალიის წინააღმდეგ, § 101; *კიულა (Ciulla)* იტალიის წინააღმდეგ, § 36.

<sup>2128</sup> *ენგელი (Engel)* და *სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 69. სასამართლომ ასევე მართებულად გაუსვა ხაზი იმას, რომ დაპატიმრება არ უნდა იყოს სადამსჯელო ხასიათის.

<sup>2129</sup> *მაკეი (McVeigh)*, *ო'ნილი (O'Neill)* და *ევანსი (Evans)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადები 8022/77, 8025/77 და 8027/77, § 173, 190.

<sup>2130</sup> *კიულა (Ciulla)* იტალიის წინააღმდეგ, § 36.

<sup>2131</sup> *იოჰანსენი (Johansen)* ნორვეგიის წინააღმდეგ, განაცხადი 10600/83; სხვა (ჰიმოთეტური) მაგალითებისთვის იხ. ტრექსელი (1974) 205.

<sup>2132</sup> *ბ საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10179/82.

<sup>2133</sup> *მაკეი (McVeigh)*, *ო'ნილი (O'Neill)* და *ევანსი (Evans)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადები 8022/77, 8025/77 და 8027/77, § 175; დადასტურდა საქმეში *ჰარკინი (Harkin)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11539/85.

გამოყენებული იქნა გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული „საფუძვლიანი ეჭვის“ მოთხოვნის გვერდის ავლისთვის<sup>2134</sup>.

## ე. არასრულწლოვანის დაპატიმრება

### 1. „არასრულწლოვანი“

1-ლი პუნქტის დ) ქვეპუნქტი ხელშემკერელ სახელმწიფოებს ანიჭებს „დიდ ძალაუფლებას“<sup>2135</sup>, ალუკეთონ ახალგაზრდებს თავისუფლება აღმზრდელითი მიზნებისთვის. დღემდე კონვენციის ორგანოებს არ ჰქონიათ „არასრულწლოვანის“ ცნების განსაზღვრის შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა<sup>2136</sup>, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპატიმრება არ იქნება „კანონიერი“. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება საჭირო გახდეს ამ ცნების ავტონომიური ინტერპრეტაცია, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარი ზედმეტად მაღალია. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია, რომლის მიხედვით, ასაკობრივი ზღვარი, რომელიც წარმოშობს სრულ ქმედუნარიანობას, უნდა შემცირდეს 18 წლამდე, სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის<sup>2137</sup>.

### 2. აღმზრდელითი მიზანი

თავისუფლების აღკვეთა 1-ლი პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს აღმზრდელითი მიზნებს, მაგალითად, არასრულწლოვანის წარდგენას უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე, რომელიც წყვეტს გამოსაყენებელი აღმზრდელითი ღონისძიების სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „აღმზრდელითი“ საკმაოდ ბუნდოვანია და ძირითადად გულისხმობს პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით, არასრულწლოვანის განვითარებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის მიზანს. ეს გამორიცხავს წმინდა სადამსჯელო ზომებს და მოითხოვს სათანადო დანერგულებასა და შესაბამისი მომზადების მქონე პერსონალს<sup>2138</sup>.

თუმცა დ) ქვეპუნქტი ასევე მოიცავს დაპატიმრებას, რომელიც თავისთავად არ არის აღმზრდელითი ხასიათის და მოიცავს არასრულწლოვანის გადაყვანას ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელია მასზე აღმზრდელითი ზედამხედველობის განხორციელება<sup>2139</sup>. კომისიამ გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც კანონიერად ჩათვალა რვა თვის მანძილზე 15 წლის მოზარდის მოთავსება სამეთვალყურეო ცენტრში<sup>2140</sup>. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მეთვალყურეობა შესაძლოა საჭირო იყოს არა მხოლოდ საუკეთესო აღმზრდელითი მეთოდის განსაზღვრისთვის, არამედ თავისთავად ემსახურებოდეს აღმზრდელითი მიზანს.

<sup>2134</sup> იხ. ტრექსელის განხილვებული აზრი, გვ. 54. კრიტიკული მოსაზრებისთვის იხ. ველუ და ერგეცი (1990) N 232, 267. იხ. აგრეთვე ფოქი (Fox), კემპელი (Campbell) და ჰარტილი (Hartley) *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 29-36.

<sup>2135</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 265; ველუ და ერგეცი (1990) N 328, 274.

<sup>2136</sup> ტრექსელი (1974) 209.

<sup>2137</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ფროვანი და პოიკერტი (1996), მე-5 მუხლი, N 68; ველუ და ერგეცი (1990) N 238, 274.

<sup>2138</sup> ბუამარი (Bauamar) ბელგიის წინააღმდეგ, § 52; ამ საქმეში სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეის განმეორებითი მოთავსება წინასწარი პატიმრობის ციხეში არ შეესაბამებოდა 1-ლი პუნქტის დ) ქვეპუნქტს.

<sup>2139</sup> ბუამარი (Bauamar) ბელგიის წინააღმდეგ, § 50.

<sup>2140</sup> X შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8500/79.

### 3. არასრულწლოვანის ნიხანსარი პატიმრობა

დ) ქვეპუნქტი ასევე შეიცავს დებულებას არასრულწლოვნისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. ის განსხვავდება იმავე პუნქტის გ) ქვეპუნქტისგან იმით, რომ არ მოითხოვს დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობას. ასეთ შემთხვევაში არც მე-3 პუნქტში მოცემული გარანტიები გამოიყენება. ცხადია, რომ აღმზრდელობითი ზედამხედველობა არასრულწლოვანზე შეიძლება გამართლებული და ზოგჯერ აუცილებელიც იყოს დანაშაულებრივ ქმედებასთან რაიმე კავშირის გარეშე. თუმცა ეს დებულება უნდა განიმარტოს ისე, როგორც ეს გააკეთა სასამართლომ დაპატიმრების ოდნავ განსხვავებულ კონტექსტში<sup>2141</sup>. პატიმრობა აღმზრდელობითი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული დროში.

### 4. არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთა

კონვენცია არ ადგენს რაიმე წესებს არასრულწლოვნების პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მკაფიოდ არ მიანიშნებს პირად თავისუფლებაზე, თუმცა „ადამიანური მოპყრობის უფლების“ სათაურის ქვეშ აცხადებს, რომ „არასრულწლოვნები, რომელთა მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, უნდა მოთავსდნენ სრულწლოვნებისგან განცალკევებით...“<sup>2142</sup>. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში მოცემულია ანალოგიური წესი: „არასრულწლოვანი ბრალდებულები უნდა მოთავსდნენ სრულწლოვნებისგან განცალკევებით ...“<sup>2143</sup>.

ასეთი განცალკევება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც არასრულწლოვანი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. ეს წესი, რომელიც მკაცრად გამოიყენება, კამათის საგანი გახდა გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტში<sup>2144</sup>. მართლაც, ის არ არის ბოლომდე დამაჯერებელი.

პრინციპი უდავოდ ლეგიტიმურია, რადგან ის თავიდან აცილებს ახალგაზრდებს სრულწლოვან, გამოცდილ კრიმინალებთან ერთად ყოფნას, სადაც არსებობს არა მხოლოდ „საზოგადოების არასწორ ელემენტებთან“ ურთიერთობის, არამედ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ქცევის საშიშროება. თუმცა, მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი გოგონასთვის შეიძლება სასიკეთო იყოს დედის ასაკის პატიმართან ერთ საკანში ყოფნა, რომელიც მასზე იზრუნებს. ეს პრინციპი გარკვეული მოქნილობით უნდა იქნეს გამოყენებული.

### ვ. დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და სოციალურად არაადაპტირებული პირების დაპატიმრება

1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტი შეეხება „პირთა კანონიერ დაპატიმრებას ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფების, ალკოპოლიკების, ნარკომანების ან მანანალების კანონიერ დაპატიმრებას“. სასამართლო თვლის, რომ ეს კატეგორიები („გარდა ინფექციური დაავადებისა“) მოიცავს პირებს, რომლებიც „სოციალურად არაადაპტირებულნი

<sup>2141</sup> ბუამარი (Bauamar) ბელგიის წინააღმდეგ, §50.

<sup>2142</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-5 მუხლი, მე-5 პუნქტი.

<sup>2143</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-10 მუხლი, მე-2(ბ) პუნქტი.

<sup>2144</sup> ნოვაკი (1993), 1-ლი მუხლი, N 19.

არიან<sup>2145</sup>. ასეთი შეფასება შეიძლება არ იყოს ბოლომდე გამართლებული ფსიქიკური ან ინფექციური დაავადების მქონე პირების შემთხვევაში, რადგან ის მანიშნებს, რომ ვარკვეული ძალისხმევით, ადაპტირება შესაძლებელია. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, როგორ ესმის სასამართლოს ამ დებულების არსი: „მიზნია, რომლის გამოც კონვენცია უშვებს [შესაბამისი პირებისთვის] თავისუფლების აღკვეთას არის არა მხოლოდ ის, რომ ისინი საყრდნეს უქმნიან საზოგადოებას, არამედ ისიც, რომ ამგვარი დაპატიმრება შეიძლება აუცილებელი იყოს მათი პირადი ინტერესიდან გამომდინარე“<sup>2146</sup>.

ამ შემთხვევაშიც კანონიერებაზე გაკეთებული მინიშნება გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. რაც შეეხება სამართალწარმოებას, კონვენცია არ მოითხოვს გადანყვეტილების მიღებას სასამართლო ორგანოს მიერ. თუმცა, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აუცილებელია სასამართლო კონტროლის განხორციელება დაკავების შემდეგ და მოგვიანებით, ვარკვეული პერიოდულობით. როდესაც გამოითქმის პრეტენზიები თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში ხარვეზების არსებობის შესახებ, სასამართლო მათ ამ დებულების კონტექსტში განიხილავს<sup>2147</sup>. თუმცა, თუ საწყისი სამართალწარმოება იყო უკანონო, სასამართლო მართებულად ამბობს უარს სხვა ბრალდებების შემონმებაზე<sup>2148</sup>.

### 1. დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გაერცელების თავიდან ასაცილებლად

დღემდე არ მომხდარა ამ ტიპის დაპატიმრების საკითხის განხილვა სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში. ის ერთადერთია ე) ქვეპუნქტში მოცემულ გამოწვევებს შორის, რომელიც არ არის განსაზღვრული პირისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. შესაბამისად, სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ შესაძლებელია როგორც ინფიცირებული პირების, ისე სხვა პირების დაპატიმრება, რომლებიც შეიძლება დაინფიცირდნენ და შედეგად, გააერცელონ ინფექციური დაავადება<sup>2149</sup>. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პირის დაკავება, რათა დადგინდეს, არის თუ არა ის ინფიცირებული. თუმცა ასეთ დროს დასაშვებია მხოლოდ ძალზე ხანმოკლე პატიმრობა, მაგალითად, მხოლოდ საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში.

„აუცილებლობის“ ნაგულისხმები მოთხოვნის საფუძველზე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მოცემული დაავადება უნდა იყოს საფრთხის შემცველი. მაგალითად, დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთის გამართლება გრიპის მიზეზით<sup>2150</sup>. დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გადამდები დაავადება არის შექნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი). თუმცა ტუბერკულოზისა და ყვითელი ცხელებისგან განსხვავებით, ეს დაავადება გადამდებია მხოლოდ შეზღუდული გზებით და თავის დაცვა ადვილად არის შესაძლებელი. ამდენად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ სრულიად უპასუხისმგებლო ადამიანებთან მიმართებით.

ეს გამოწვევის პრაქტიკულად არარელევანტურია სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში.

<sup>2145</sup> გუზარდი (Guzzardi) იტალიის წინააღმდეგ, §98.

<sup>2146</sup> Ibid.

<sup>2147</sup> კეუსი (Keus) იტალიის წინააღმდეგ, §20; კონდბიჰანი (Koendjibihane) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §25.

<sup>2148</sup> ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §24.

<sup>2149</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) N 72; ველუ და ერგეცი (1990) N 330.

<sup>2150</sup> სახიფათო დაავადებათა სისხლის იხ. მაგ. დოურაკი (1968) 32.

## 2. სულით ავადმყოფები

### ა. ზოგადი მიმოხილვა

სულით ავადმყოფი პირების კონტექსტში დაპატიმრება ნამოჭრის რამდენიმე სპეციფიკურ პრობლემას. თუ ადამიანი ნამდვილად ფსიქიკურად არის დაავადებული, მისი ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იყოს სასარგებლო. თუმცა ექსცენტრიულობამ და სხვა სახის ანომალიურმა ქცევამ შეიძლება წარმოშვას ფსიქიკური აშლილობის შესახებ უსაფუძვლო ეჭვები, ხოლო ამგვარი „დიაგნოზი“ ჩვეულებრივ პირს აქცევს ინტერესის ობიექტად, რომელსაც სერიოზულად აღარ აღიქვამენ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედამხედველობა მათი დაპატიმრების კანონიერებაზე, რომლის შესახებ ბრძანება შეიძლება გაიცეს სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

### ბ. სამი წინაპირობა

სასამართლომ განსაზღვრა სამი მინიმალური პირობა იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს სულით ავადმყოფად და მოხდეს მისი თავისუფლების აღკვეთა: „საიმედოდ უნდა დადასტურდეს, რომ ის სულით ავადმყოფია; ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომელიც საჭიროებს იძულებით ჰოსპიტალიზაციას; და პატიმრობის გაგრძელების კანონიერება დამოკიდებულია ასეთი აშლილობის არსებობის გაგრძელებაზე“<sup>2151</sup>. გარდა ამისა, ამ საკითხების გადაწყვეტისას „ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს აქვთ გარკვეული დისკრეცია, რამდენად უპირველესად სწორედ ხელისუფლების ეროვნული ორგანოების პრეროგატივაა კონკრეტულ საქმეში მათთვის წარდგენილი მტკიცებულებების შეფასება“<sup>2152</sup>.

### გ. ფსიქიკური დაავადების მტკიცებულება

სასამართლოს არასდროს უცდია ფსიქიკური დაავადების განსაზღვრა<sup>2153</sup>. თუმცა მან გამოიყენა განსაზღვრება, რომელსაც ვხვდებით ინგლისურ სამართალში: „პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური აშლილობა“ ანუ „ფსიქიკური დაავადება, შეჩერებული ან არასრულფასოვანი გონებრივი განვითარება, ფსიქოპათიური აშლილობა ან ნებისმიერი სხვა ფსიქიკური დარღვევა ან ნაკლი“<sup>2154</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ განსაზღვრებაში არ არის განმარტებული უშუალოდ ფსიქიკური დაავადება, ის გათანაბრებულია მსგავსი ტიპის სხვა მოვლენებთან ფსიქოლოგიურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფსიქიკური დაავადება არის ტვინის ფსიქოლოგიური ნაკლი, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს მის ფუნქციებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, „სულით ავადმყოფების“ ცნების მნიშვნელობა „მუდმივად ვითარდება ფსიქიატრიული კვლევების პროგრესთან ერთად, იზრდება მკურნალობის მოქნილობა და იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ფსიქიკური დაავადებისადმი ...“<sup>2155</sup>.

<sup>2151</sup> ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ, §27; იხ. აგრეთვე X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §40; ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §40.

<sup>2152</sup> ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ, §27; იხ. აგრეთვე X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §40.

<sup>2153</sup> ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §37.

<sup>2154</sup> X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41; ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §38.

<sup>2155</sup> ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §37.



ფსიქიკური დაავადების განსაზღვრის კიდევ ერთი გზა მოიცავს დიაგნოსტიკის საერთაშორისო სისტემებზე დაყრდნობას. მაგალითად, ასეთი სისტემებია „DSM-IV“ (ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო)<sup>2156</sup> და „ICD-10“ (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია)<sup>2157</sup>. თუმცა თვით ასეთი კლასიფიკაცია არ იძლევა რაიმე არსებით შედეგს. გადამწყვეტი ელემენტი არის მეორე პირობა: სტაციონარული ჩარევის აუცილებლობა.

შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს, რომ ასეთი ბუნდოვანი მდგომარეობის არსებობა „საიმედოდ უნდა დადასტურდეს“. სინამდვილეში მხოლოდ ექსპერტის ფორმალურ მოსაზრებას შეუძლია რაიმე საიმედოობის გარანტიის უზრუნველყოფა. დღემდე განხილულ ყველა საქმეში სასამართლომ ეს პირობა დაკმაყოფილებულად ჩათვალა<sup>2158</sup>. პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს პირობა დაკმაყოფილდეს დაპატიმრების გამოყენებისას<sup>2159</sup>. სასამართლო ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელიც საჭიროებს პირისთვის თავისუფლების დაუყოვნებლივ აღკვეთას და არ ტოვებს დროს წინასწარი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებისთვის<sup>2160</sup>, თუმცა დაპატიმრების შემდეგ დაუშვებელია სამედიცინო შემონგების გაჭიანურება<sup>2161</sup>. ეს გამოწვევის ასევე მოიცავს დაპატიმრებას მეთვალყურეობის მიზნით<sup>2162</sup>.

#### დ. საფრთხის ელემენტი

როდესაც სასამართლო მოითხოვს, რომ აშლილობა „უნდა იყოს ისეთი სახეობის ან ხარისხის, რომელიც საჭიროებს იძულებით პოსპიტალიზაციას“, ის ამკარად გულისხმობს როგორც შესაბამისი პირისთვის, ისე სხვებისთვის საფრთხის შექმნას. სასამართლო ასევე განასხვავებს ერთმანეთისგან „სახეობას“ და „ხარისხს“, რადგან ამ ორი სიტყვის დაკავშირებისთვის იყენებს კავშირს „ან“, თუმცა შეიძლება უმჯობესი ყოფილიყო „და“ კავშირის გამოყენება. როგორც თვით დაავადების არსებობა, ისე მისგან მომდინარე „საფრთხე“ საიმედოდ უნდა დადასტურდეს სამედიცინო მტკიცებულებით.

<sup>2156</sup> იხ. მაგ.: ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია, ოპერატიული ჯგუფი „DSM-IV“, ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო.

<sup>2157</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „ICD-10“, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (ყენევა, 1992).

<sup>2158</sup> *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §41; *X ვართანებულო სამეფოს წინააღმდეგ*, §44; *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §28 (იხ. ტრექსელის განსხვავებული აზრი, გვ. 31); *ვასინკი (Wassink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §25. იხ. აგრეთვე *ლოესტი (Dhoest) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10448/83; *გორდონი (Gordon) ვართანებულო სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 10213/82; კომისიამ ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მინისტრის წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა პირობით გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მას შემდეგ, რაც ამის რეკომენდაცია გასცა პასუხისმგებელმა ექიმმა.

<sup>2159</sup> სასამართლომ მიუთითა ამ ელემენტის შესახებ საქმეში *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ* (§28), თუმცა პრინციში მკაფიოდ არ ჩამოუყალიბებია.

<sup>2160</sup> *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §39; იხ. აგრეთვე *X ვართანებულო სამეფოს წინააღმდეგ*, §45.

<sup>2161</sup> *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §42. ამ საქმეში სასამართლო „ყოყმანობდა“ 6 კვირიან პერიოდთან დაკავშირებით.

<sup>2162</sup> *B საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10179/82.

## ე. გაგრძელების ელემენტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს მას შემდეგ, რაც მდგომარეობა არსებითად შეიცვლება უკეთესობისკენ. შესაბამისად, „მესამე ელემენტი“ ბერს არაფერს მატებს დანარჩენ ორს. თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გარდა მე-4 პუნქტით განსაზღვრული პერიოდული კონტროლისა, ადგილი ჰქონდეს იმ სამედიცინო პერსონალის მხრიდან მუდმივ ზედამხედველობას, რომელიც ჩართულია დაპატიმრებულის მდგომარეობის შეფასებაში. ეს რთული ამოცანაა: „იმ პირის პატიმრობის შეწყვეტა, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა სულით ავადმყოფად და საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებას, შეეხება როგორც თვით ამ პირს, ისე იმ საზოგადოებას, რომელშიც ის გააგრძელებს ცხოვრებას გათავისუფლების შემდეგ“<sup>2163</sup>.

## 3. დაპატიმრების ადგილი

*ეშინგდენი (Ashingdane)* საქმეში სასამართლომ განაცხადა, „რომ უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი ნებადართული თავისუფლების აღკვეთის საფუძველსა და პატიმრობის ადგილსა და პირობებს შორის. ადამიანის, როგორც ფსიქიატრიული პაციენტის „დაპატიმრება“ არსებითად „კანონიერი“ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ... თუ მოხდება საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა სათანადო დანესებულებაში, რომელიც განკუთვნილია სწორედ ასეთი მიზნებისთვის. თუმცა ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტის ზრუნვის საგანი არ არის შესაფერისი მკურნლობა და პირობები“<sup>2164</sup>. ამ საქმეში სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა განმცხადებლის მკურნლობა „ღია“ კლინიკაში. განმცხადებელი იძულებული იყო დამატებით 2 წელი გაეტარებინა ბროდმურის საავადმყოფოში, რადგან ოუქქუდის მედდების კავშირი უარს აცხადებდა მის მიღებაზე. სასამართლო კმაყოფილი იყო იმ ფაქტით, რომ ბროდმურში „კვალიფიციური პერსონალი მუდმივ ყურადღებას იჩენდა განმცხადებლის მკურნალობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ“<sup>2165</sup>. სასამართლოს გადანყვეტილება არ არის დამაჯერებელი.

შეიძლება გამოაკლისების დაშვება ფსიქოპათიური აშლილობის მქონე ძალიან სახიფათო „პაციენტების“ შემთხვევაში, რომელთა მდგომარეობა მკურნალობას არ ექვემდებარება და შესაძლებელია მხოლოდ მათი უსაფრთხო მოთახეობა ციხეში.

1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ასევე მოიცავს პატიმრობას სამედიცინო კვლევით დანესებულებაში, პირის სულით ავადმყოფობის ფაქტის დასადაგენად<sup>2166</sup>.

<sup>2163</sup> *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, § 29, გვ. 14; საქმეში *ჰერცეგფალვი (Herzegovally) ავსტრიის წინააღმდეგ* (განაცხადი 10533/83) კომისიამ დაადგინა 1-ლი პუნქტის დარღვევა. რადგან პატიმრობის გაგრძელებას საფუძველად არ დაედო სამედიცინო მტკიცებულება. თუმცა სასამართლომ მიიღო საპირისპირო გადანყვეტილება (*ჰერცეგფალვი (Herzegovally) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 68). ორივე შემთხვევაში გადანყვეტილების მიღება ერთსულენად მოხდა!

<sup>2164</sup> *ეშინგდენი (Ashingdane) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 44; მკურნალობის უფლება უკვე უარყოფილი იქნა საქმეში *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 51; იხ. აგრეთვე *დოესტი (Dhoest) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10444/83.

<sup>2165</sup> *ეშინგდენი (Ashingdane) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 47.

<sup>2166</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 286. ავტორებმა უარყვეს ეს შესაძლებლობა და უპირატესობა მიანიჭეს ბ) ქვეპუნქტს.

#### 4. ალკოპოლიკები და ნარკომანები

ალკოპოლიკებისა და ნარკომანების დაპატიმრება ასევე პრობლემურია. კონვენციის ორგანოებს დღემდე არ ჰქონიათ ამ გამონაკლისის განხილვის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაშიც მათ უნდა განსაზღვრონ კრიტერიუმები და მხედველობაში მიიღონ პირისგან მომავალი საფრთხე როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. იდეალურ შემთხვევაში ამ საკითხის რეგულაციურება სისხლის სამართლის პროცესში ძალიან მინიმალურია. იგივე ეხება შემდეგ ჯგუფსაც.

#### 5. მანანნალები

მანანნალებთან დაკავშირებული გამონაკლისი უკვე მოძველებულია. სასამართლომ გაიზიარა ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლის განმარტება, რომლის თანახმად, მანანნალებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არსებობის საშუალება და მუდმივი სამსახური ან პროფესია<sup>2167</sup>. ამ დებულების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში იწვევს ეჭვს, რომ მანანნალების დაპატიმრებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომლის მიხედვით, ისინი თავის გადარჩენის მიზნით ქურდობენ. რთულია ასეთი მიდგომის შეთავსება უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რადგან ქურდობის ფაქტი არ არის დამტკიცებული.

გუზარდის (*Guzzardi*) საქმეში სასამართლომ, როგორც ჩანს, შეაინეროვა გამონაკლისის ფარგლები, როდესაც მიუთითა მსგავსებაზე ე) ქვეპუნქტში შესულ სხვა კატეგორიებთან: „მათი დაპატიმრება შეიძლება აუცილებელი იყოს მათივე ინტერესიდან გამომდინარე“<sup>2168</sup>. თუმცა, თუ „მანანნალები“ (საეარაუდოდ) ფსიქიკურად ჯანმრთელი არიან და არც ალკოპოლსა და ნარკოტიკებზე არიან დამოკიდებულნი, ცხადია, რომ მათი გადასაწყვეტი უნდა იყოს, სად სურთ დარჩენა<sup>2169</sup>. სასამართლომ მართებულად უარყო იტალიის მთავრობის არგუმენტი, რომ ადამიანი, რომელიც ეჭმიტანილია მაფიასთან კავშირში, შეიძლება ამის გამო ჩაითვალოს „მანანნალად“<sup>2170</sup>.

#### ზ. დაპატიმრება ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

##### 1. დაპატიმრება ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად

მიუხედავად იმისა, რომ უკანონო იმიგრაციის კონტროლის მიზნით მრავალრიცხოვანი იძულების ღონისძიებები გამოიყენება, კონვენციის ორგანოებს არ განუხილავთ ბევრი საქმე მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის საფუძველზე, რომელშიც ადგილი ჰქონდა „პირის დაკავებას ან დაპატიმრებას ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად“. გამონაკლისია საქმე *ამური (Amuur)* საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც უკვე განვიხილეთ. ამ საქმეში კონვენციის დარღვევის მიზეზი გახდა პირის დაპატიმრებისთვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა<sup>2171</sup>.

შეიძლება ეჭვქვეშ დაეაყენოთ, რამდენად გააჩნია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტში მოცემულ პირველ ალტერნატივას რაიმე დამოუკიდებელი

<sup>2167</sup> დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, §68.

<sup>2168</sup> გუზარდი (*Guzzardi*) იტალიის წინააღმდეგ, §98.

<sup>2169</sup> თავდაპირველად სწორედ ეს მოხდა ბელგიელი „მანანნალების“ საქმეში. იხ. დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, §16, 17, 23, 24, 28, 29.

<sup>2170</sup> გუზარდი (*Guzzardi*) იტალიის წინააღმდეგ, §97.

<sup>2171</sup> ამური (*Amuur*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §52-4.

მნიშვნელობა, ვინაიდან ნამდვილად შეუძლებელია ადამიანებისთვის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრელი ვადით იმისათვის, რომ მათ ვერ შეძლონ ქვეყანაში შესვლა. დაპატიმრება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია იმის გასარკვევად, შეიძლება თუ არა საზღვრის გადაკვეთის ნებართვის გაცემა. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ასევე გამართლებული იყოს მეორე ალტერნატივის საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი, როდესაც შეუძლებელია იმ პირის დეპორტაცია ან ექსტრადიცია, რომელსაც არ აქვს ქვეყანაში დარჩენის უფლება. ასეთი შემთხვევის მაგალითია, როდესაც ადამიანი უნდა იქნეს დეპორტირებული სახელმწიფოში, სადაც მას ემუქრება ნაშება, ხოლო ალტერნატიული ქვეყანა არ არის მისი მიღებისთვის მზად ან, როდესაც უცნობია მისი მშობლიური ქვეყანა. ასეთ დროს შეიძლება აუცილებელი გახდეს უცხოელების ყოფნა პატიმრობის რეჟიმში, როგორც მინიმუმ გარკვეული დროით, რაც თავისუფლების აღკვეთის ტოლფასია<sup>2172</sup>.

## 2. დაკავება ან დაპატიმრება დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

### ა. გამონაკლისის ფორმალური ხასიათი

1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტის საფუძველზე, მთავარი გამონაკლისი პირადი თავისუფლების უფლებიდან არის მეორე ალტერნატივა: „იმ პირის დაკავება ან დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება ლონისძიებები დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით“. ეს ალტერნატივა მოიცავს თავისუფლების აღკვეთას არა მხოლოდ დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილების მოლოდინში, არამედ, ასევე ამგვარი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გულისხმობდეს დაპატიმრებასა და საზღვართან გადაყვანას<sup>2173</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პირის გადაცემის განზრახვაც<sup>2174</sup> საკმარისია მისი დაკავების ან დაპატიმრების გასამართლებლად. ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს, იქცევა თუ არა განზრახვა გადაწყვეტილებად ან რამდენად აღსრულდება ეს გადაწყვეტილება<sup>2175</sup>. გარდა ამისა, ისევე როგორც წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამართლებული იყოს მაშინაც, როცა პირი უდანაშაულოა, დაპატიმრება დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით ლოგიკურად მისაღებია იმის მიუხედავად, რომ საბოლოოდ პირის დეპორტაცია შეიძლება უკანონო აღმოჩნდეს. კომისიის განცხადებით, „დეპორტაციის ბრძანების კანონიერება არ წარმოადგენს წინაპირობას იმისათვის, რომ დაპატიმრება ჩაითვალოს მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად“<sup>2176</sup>.

თუმცა ამ პრინციპს ასევე გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. „შეიძლება წარმოიშვას ისეთი სამართლებრივი ვითარება, როდესაც ... შიდასახელმწიფოებრივი კანონი დაპატიმრების კანონიერებას დამოკიდებულს ხდის დეპორტაციის კანონიერებაზე“. ამ შემთხვევაში „კომისიის განხილვა შემოიფარგლება იმით,

<sup>2172</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 334, გვ. 282.

<sup>2173</sup> იხ. ფაქტები საქმეში ბოზანო (Bozano) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>2174</sup> „გადაცემა“ შეიძლება ასევე ნიშნავდეს პირის გადაცემას სხვა სახელმწიფოსათვის საზღვრის გადაკვეთის გარეშე; C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 10427/83.

<sup>2175</sup> კაპრინო (Caprino) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 6871/75 (გადაწყვეტილება განაცხადის დასაშვებობაზე); ამდენად, სახეზეა მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტის საფუძველზე არსებული მსგავსი ვითარება, რომელიც ზემოთ განვიხილეთ.

<sup>2176</sup> კაპრინო (Caprino) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 6871/75.

რამდენად არსებობს დაპატიმრების სამართლებრივი საფუძველი და შეიძლება თუ არა კანონიერების საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს თვითნებურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე<sup>2177</sup>. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა თვითნებურია, თუ ის ემსახურება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულისგან განსხვავებულ მიზანს. მაგალითად, როდესაც „დეპორტაცია“ „ექსტრადიციის“ შენიღბული ფორმაა და მიზნად ისახავს იმ გადაწყვეტილებისთვის გვერდის აელას, რომლითაც უარყოფილი იქნა ექსტრადიციის შესაძლებლობა<sup>2178</sup>.

ფან დაიკი და ფან ჰოფი აზვიადებენ, როდესაც წერენ: „აქარაა, რომ ... დაკავების კანონიერების განხილვისას, დეპორტაციის ან ექსტრადიციის კანონიერებაც ასევე ხშირად იქნება განხილვის საგანი“<sup>2179</sup>. თუმცა აუცილებელია ერთი განსხვავების გაკეთება: სანამ მოხდება გადაწყვეტილების მიღება დეპორტაციის ან ექსტრადიციის შესახებ, საქმარისა არსებობდეს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების „bona fide“ განზრახვა და არ წარმოიქმნება კონვენციის დარღვევის საფრთხე პირის ნებისმიერ ჰიპოთეტურ გადაცემასთან დაკავშირებით. თუმცა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კონვენციის ორგანოებს, როგორც მინიმუმ, მოუწევთ იმის განსაზღვრა, არის თუ არა ეს გადაწყვეტილება თვითნებური. ამისათვის აუცილებელია იმაზე ოდნავ უფრო დეტალური განხილვა, ვიდრე ამას მოითხოვს 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი<sup>2180</sup>.

### ბ. პატიმრობის ხანგრძლივობის შეზღუდვა ე) ქვეპუნქტის საფუძველზე

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება ექსტრადიციის მიზნით ეჭვმიტანილის დაკავებასა და წინასწარ პატიმრობას შორის, მე-3 პუნქტით განსაზღვრული დროის შეზღუდვა არ ერცელდება დაპატიმრებაზე, რომელსაც მოიცავს 1-ლი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი. თუმცა ლინასის (*Lynas*) საქმის<sup>2181</sup> შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებათა სერიაში კომისია აცხადებდა, რომ „მხოლოდ ექსტრადიციის ან დეპორტაციის სამართალწარმოების არსებობით შეიძლება თავისუფლების აღკვეთის გამართლება ასეთ საქმეებში. აქედან გამომდინარე, თუ, მაგალითად, სამართალწარმოება არ ჩატარდა ჯეროვანი გულმოდგინებით ... მაშინ ის აღარ იქნება გამართლებული მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტის საფუძველზე“. შესაბამისად, ამ ფარგლებში კომისიას შეიძლება ჰქონდეს საფუძველი, განიხილოს პატიმრობის ხანგრძლივობა ექსტრადიციის მოლოდინში“.

ერთი გამონაკლისის გარდა, კომისია არასდროს მისულა დასკვნამდე, რომ პატიმრობა ექსტრადიციის მოლოდინში იყო ზედმეტად ხანგრძლივი. მან ერთ-ერთი განაცხადი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამგვარი პატიმრობა 5 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, დაუშვებლად გამოაცხადა<sup>2182</sup>. ამის მიზეზია ინტერესთა

<sup>2177</sup> ზამირი (*Zamir*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 9174/80; იხ. აგრეთვე X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 9403/91.

<sup>2178</sup> ბოზანო (*Bozano*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §60.

<sup>2179</sup> ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 269.

<sup>2180</sup> იხ. საკითხის განხილვა ზემოთ.

<sup>2181</sup> ლინასი (*Lynas*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 7317/75; იხ. აგრეთვე *Zნიდერლანდის წინააღმდეგ*, განაცხადი 10400/83; *S საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10965/84; *კოლომპა (Kolompar) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11613/85. სამწუხაროა, რომ საქმეში *კოლომპა (Kolompar) ბელგიის წინააღმდეგ* განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

<sup>2182</sup> *ოსმანი (Osman) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 15933/89; იხ. აგრეთვე B

კონფლიქტი, რომელიც დამახასიათებელია ასეთი საქმეებისთვის. პიროვნებას, რომელიც ეწინააღმდეგება ექსტრადიციას შეიძლება ჰქონდეს ძალზე ძლიერი მოტივაცია, მაგალითად, როდესაც მას ემუქრება სამუდამო პატიმრობა საშინელ პირობებში ან სიკვდილით დასჯა. შესაბამისად, პატიმრობა საბოლოო გათავისუფლების გარკვეული იმედით შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებ ბოროტებად. *ოსმანის (Osman)* საქმეში განმცხადებელმა მიუთითა თავის პრეს-რელიზში, რომ ის იბრძოლებდა ექსტრადიციის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც, თუ ამის გამო, 50 წელი ციხეში ჯდომა მოუწევდა. ადამიანები ასეთ ვითარებაში ყველა ღონეს ხმარობენ, რათა გადაავადონ უარყოფითი გადაწყვეტილება და ექსტრადიციის აღსრულება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი პატიმრობა, რისთვისაც მოპასუხე მთავრობა არ იქნება პასუხისმგებელი.

*კოლომპას (Kolompar)* საქმეში კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მთავრობამ არ გამოიჩინა საკმარისი გულმოდგინება, რომელიც აუცილებელი იყო 1-ლი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე<sup>2183</sup>. თუმცა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ხანგრძლივი პატიმრობა განმცხადებლის ქცევის შედეგი იყო და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი არ დარღვეულა<sup>2184</sup>.

---

*საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 13706/88. ამ საქმეში ადგილი ჰქონდა პატიმრობას 3 წლისა და 3 თვის ვადით. საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებმა დიდი დრო მოდომეს გარანტიის მიღებას, რომ მაროკოში სიკვდილით დასჯა არ ყოფილიყო სისრულეში მოყვანილი.

<sup>2183</sup> *კოლომპა (Kolompar) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 11613/85.

<sup>2184</sup> *Ibid.*, § 40-3.

# თავი 18

## იმ პირთა უფლებები, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი

### I. დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლება

#### ა. შესავალი

##### 1. დებულებები

1. ნებისმიერ დაკავებულ პირს, დაკავების დროს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდება.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი მე-9(2) მუხლი.*

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდება.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5(2) მუხლი.*

4. ნებისმიერ დაპატიმრებულ პირს უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მისთვის წარდგენილი ბრალდება ან ბრალდებები.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7(4) მუხლი.*

ამ დებულებებს შორის აშკარა მსგავსების მიუხედავად, აღსანიშნავია რამდენიმე განსხვავება, განსაკუთრებით, დაუყოვნებლივ ინფორმირებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო პაქტში აღნიშნულია, რომ დაკავებულის ინფორმირება უნდა მოხდეს „დაკავების დროს“. ევროპული კონვენცია ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოებს, „დაუყოვნებლივ“ მიანოდონ ინფორმაცია დაკავებულ პირს. ამერიკულ კონვენციაში კი საერთოდ არ არის საუბარი იმაზე, თუ როდის უნდა მოხდეს დაპატიმრების მიზეზების შესახებ პირის ინფორმირება. მხოლოდ ევროპულ კონვენციაში არის ნახსენები ინფორმირების ენა. ამერიკულ კონვენციაში, როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ბრალდება ყოველთვის თან ახლავს პირის დაკავებას. დანარჩენ ორ ინსტრუმენტში აღნიშნული „ნებისმიერი ბრალდება“ ნათელს ხდის, რომ დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების ვალდებულება ასევე ნაპოიჭრება ეჭვის გარდა სხვა მიზეზით პირის დაკავების შემთხვევაშიც. დაბოლოს, ამერიკულ კონვენციაში საუბარია დაპატიმრებაზე, ხოლო დანარჩენი ორი დოკუმენტი ეხება „დაკავებულ“ პირებს.

##### 2. გარანტიის მიზანი

პრაქტიკაში სამივე დებულებით არის გარანტირებული ნებისმიერი დაკავებული პირისთვის დაკავების მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივი

ინფორმირების უფლება. ეს გარანტია ძირითადად განიხილება, როგორც *habeas corpus* პროცედურის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მექანიზმი მე-4 პუნქტის მნიშვნელობით<sup>2185</sup>. თითქმის შეუძლებელია დაკავების კანონიერების გასაჩივრება, თუ ადამიანმა არ იცის ხელისუფლების ორგანოების არგუმენტები. ერთ-ერთ ადრინდელ საქმეში სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო აღარ იყო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საკითხის განხილვა, რადგან უკვე დადგენილი იქნა მე-4 პუნქტის დარღვევა<sup>2186</sup>.

ეს დოქტრინა სამართლიანად იქნა უარყოფილი *ვან დერ ლერის (Van der Leer)* საქმეში, რომელშიც სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა მე-2 პუნქტის დარღვევა, ხოლო შემდეგ მე-4 პუნქტის საფუძველზეც განიხილა საკითხი. კომისიისაგან განსხვავებით, მან არ გამოიყენა იგივე არგუმენტი *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლების დარღვევის დასადგენად და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო სხვა მიზეზებს<sup>2187</sup>.

თუმცა საინტერესოა, არის თუ არა ეს ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლების ერთადერთი საფუძველი. ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია. ფუნქციური და ტექნიკური მიზნების გარდა, დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლებას ასევე გააჩნია ჰუმანიტარული დანიშნულება. დაკავების კანონიერების გარკვევასთან ერთად, დაკავებულ პირს აქვს სასიცოცხლო საჭიროება, იცოდეს, რა ხდება მის თავს, რომელიც ძალზე შთამბეჭდავად იქნა ნაჩვენები ფრანც კაფკას ცნობილ რომანში „პროცესი“. დაკავება ხშირად არის მოულოდნელი და გარდაუვლად იწვევს დაკავებულის ყოველდღიური ცხოვრების დრამატულ ცვლილებას. განცდა კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც პირმა არ იცის რა ხდება. ასეთი მდგომარეობა არა მხოლოდ აფერხებს *habeas corpus* პროცედურის ეფექტიან გამოყენებას, არამედ, ზოგადად, პროცესის პარალიზებას იწვევს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების მიზნად აღიარებულ იქნეს ეს უბრალო „ცოდნის საჭიროება“, რადგან უტილიტარულმა მოსაზრებებმა შეიძლება საკმაოდ არასახარბიელო შედეგები გამოიღოს.

### 3. უფლების დახასიათება ევროპული სასამართლოს მიერ

*ფოქსის (Fox)*, *კემპბელის (Campbell)* და *ჰართლის (Hartley)* საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა შემდეგი ფორმულირება, რომელსაც ხშირად იმეორებდა შემდგომ გადაწყვეტილებებში:

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს იმ უბრალო გარანტიას, რომ ყველა დაკავებულმა პირმა უნდა იცოდეს, რატომ აღეკვეთა მას თავისუფლება. ეს დებულება არის მე-5 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მექანიზმის განუყოფელი ნაწილი: მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ დაკავებულ პირს მარტივი, მისთვის გასაგები არატექნიკური ენის გამოყენებით, უნდა ეცნობოს დაკავების ძირითადი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველების შესახებ, რათა მან შეძლოს, თუ ჩათვლის საჭიროდ, მე-4 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვა დაპატიმრების

<sup>2185</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §66; *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §28; *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §40.

<sup>2186</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §66. თუმცა იხ. მოსამართლე ეერიჯინის განსხვავებული აზრი.

<sup>2187</sup> *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §31, 34; იხ. აგრეთვე კომისიის ანგარიში საქმეში *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §66, გვ. 30.



კანონიერების გასაჩივრების მიზნით ... ამ ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს „დაუყოვნებლივ“ ... თუმცა აუცილებელი არ არის, რომ პოლიციის ოფიცერმა ის სრულად გადასცეს უშუალოდ დაკავების მომენტში. რამდენად საკმარისი იყო დაკავებული პირისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა და მისი მინოდების სისწრაფე, უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში, მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნებიდან გამომდინარე<sup>2188</sup>.

## ბ. ინფორმირების უფლების ელემენტები

### 1. დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლების მოქმედების ფარგლები

როგორც საერთაშორისო პაქტში, ისე ევროპულ კონვენციაში მითითებულია, რომ ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება გარანტირებულია ყველა დაკავებული პირისთვის, ხოლო ამერიკულ კონვენციაში გამოყენებულია ტერმინი „დაპატიმრება“. ნოვაკ ეს უცნაურად ეჩვენება<sup>2189</sup>. და მართლაც, „დაკავება“ ზოგადად აღნიშნავს იმ მომენტს, როდესაც ადამიანს აკავებს პოლიცია, ხოლო დანაშაულის ჩადენაში ეჭვიბიანილი პირების შემთხვევაში, იმ პერიოდს, სანამ ადამიანი წარდგება „მოსამართლის ან სხვა მოხელის ...“ წინაშე. თუმცა რადგან საერთაშორისო კონვენციების ავტორები ჩვეულებრივ კარგად არ იცნობენ სისხლის საპროცესო სამართლის ტექნიკურ დეტალებს, არასწორი იქნება დიდი მნიშვნელობის მინიჭება ასეთი ტერმინოლოგიური სხვაობებისთვის.

საკმარისია თვალის გადავავლოთ ევროპულ კონვენციას იმის სანახავედ, რომ მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებიდან სამში, კერძოდ, ა), დ) და ე) ქვეპუნქტებში „დაკავება“ საერთოდ არ არის ნახსენები. ტექსტის სიტყვასიტყვით განმარტებამ შეიძლება მიგვიყვანოს მცდარ დასკვნამდე, რომ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება აღნიშნულ კატეგორიებზე, რადგან მასში საუბარია მხოლოდ დაკავებაზე. თუმცა ასეთი ინტერპრეტაცია აშკარად არასწორია. ევროპული სასამართლო იყენებს მე-2 პუნქტს სულთი ავადმყოფი პირების დაპატიმრების საქმეებში, ამ ასპექტზე ყოველგვარი კომენტარის გაკეთების გარეშე<sup>2190</sup>. დაპატიმრების შესახებ ინფორმირება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყოველთვის, როცა ხდება პირის დაკავება, იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი არ ჰქონია *per se* დაკავებას. ასეთი შემთხვევის მაგალითია, როდესაც პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი იცვლება. მაგალითად, პირი, რომელიც იხდის საპატიმრო სასაჯელს, შეიძლება ფსიქიკურად დაავადდეს<sup>2191</sup>, მოათავსონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან ასეთი დანესებულების პაციენტი ეჭვიბიანილი იყოს დანაშაულის ჩადენაში და ის წინასწარ პატიმრობაში გადაიყვანონ. ინფორმაციის მიწოდება ასევე აუცილებელია, როდესაც პირობით გათავისუფლებულ პირს აბრუნებენ ციხეში<sup>2192</sup>.

<sup>2188</sup> ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰარტლი (Hartley) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §49. ეს განცხადება ასევე მეორდება საქმეში მურეი (Murray) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §72; დიკმე (Dikme) თურქეთის წინააღმდეგ, §53; HB მეტყარისის წინააღმდეგ, §47; კონკა (Conka) ბელგიის წინააღმდეგ, §50.

<sup>2189</sup> ნოვაკი (1993), მე-9 მუხლი, N 32, გვ. 86.

<sup>2190</sup> X გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §66; ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §27-8.

<sup>2191</sup> X გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 6840/74, §105.

<sup>2192</sup> X გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §66.

## 2. ინფორმაციის ხასიათი

ინფორმაცია, რომელიც დაკავებულ პირს უნდა მიენოდოს, მოიცავს „მისი დაკავების მიზეზებს და მისთვის წარდგენილ ნებისმიერ ბრალდებას“. ის შეიძლება შევადაროთ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომ „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ... მისთვის გასაგებ ენაზე, დაუყოვნებლივ და დანერვილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი“. თუმცა ეს ორი გარანტია არ არის იდენტური. სხვაობა მდგომარეობს იმ განსხვავებულ მიზნებში, რომლებსაც ისინი ემსახურება და იმ გარემოებაში, რომ ეს გარანტიები წარმოიქმნება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე. ამავდროულად, ორივეს გააჩნია საერთო ჰუმანიტარული ასპექტი. მე-5 მუხლში მოცემულმა ინფორმირების ვალდებულებამ დაკავებულ პირს უნდა მისცეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობა. მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტში მოცემული გარანტია კი არსებობს იმისათვის, რომ მას საშუალება ჰქონდეს, ეფექტიანი დაცვა მოამზადოს სასამართლო განხილვისთვის. შესაბამისად, ინფორმაცია მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის საფუძველზე უფრო კონკრეტული უნდა იყოს (სამივე ინსტრუმენტი მოითხოვს, რომ პირის ინფორმირება დანერვილებით განხორციელდეს) როგორც ფაქტებთან, ისე სამართლებრივ საფუძველებთან დაკავშირებით<sup>2193</sup>. თუმცა როგორც ზემოთ მოყვანილი „სტანდარტული ფორმულირება“ მიუთითებს, ორივე შემთხვევაში ინფორმაცია უნდა შეეხებოდეს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. როგორც წესი, ინფორმაცია, რომელიც მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გაიცემა, უნდა იყოს საკმარისი დაკავების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება კონკრეტულის ხარისხის ზოგადად განსაზღვრა. იგი დამოკიდებულია მოცემული დაპატიმრების გამართლებისთვის მოყვანილ საფუძველზე.

მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის შესაბამისად, ჩვეულებრივ, არ არსებობს *habeas corpus* პროცედურის გამოყენების უფლება<sup>2194</sup>. ასეთ დროს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს მხოლოდ იმ სასჯელის იდენტიფიცირებას, რომელიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს. 1(ბ) პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში უნდა დასახელდეს სასამართლოს შესაბამისი ბრძანება ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა<sup>2195</sup>.

გარანტიის მოქმედების ძირითადი სფეროა წინასწარი პატიმრობა, რომელსაც ეხება სიტყვები „მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდება“<sup>2196</sup>. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა მითითება იმის შესახებ, რომ დაკავება განხორციელდა „საგანგებო კანონმდებლობის შესაბამისად“<sup>2197</sup>.

<sup>2193</sup> იხ. მაგ: ნილსენი (Nielsen) დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 343/57; X გერტიანებულ სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 4220/69.

<sup>2194</sup> იხ. შემდეგი ქვეთავი II.

<sup>2195</sup> მაკეი (McVeigh), ონილი (O'Neill) და ევანსი (Evans) გერტიანებულ სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადები 8022/77 და 8025/77, §209-11.

<sup>2196</sup> ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §27.

<sup>2197</sup> ორლანდია გერტიანებულ სამეფოს წინააღმდეგ, §198. იხ. აგრეთვე ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰარტლი (Hartley) გერტიანებულ სამეფოს წინააღმდეგ, §41. ადამიანის უფლებათა კომიტეტი იგივე მიდგომას იყენებს: ადოლფო დრეშერ კალდასი (Adolfo Drescher Caldas) ურუგვაის წინააღმდეგ, §80. ამ საქმეში დაკავებულ პირს მხოლოდ ის უთხრეს, რომ „დააკავეს უსაფრთხოების სასწრაფო ღონისძიებების შესაბამისად“.

კომისიამ მისაღებად მიიჩნია ინფორმაცია, რომელიც შემოიფარგლებოდა და-  
ნაშაულის სამართლებრივი საფუძვლით<sup>2198</sup>.

1(დ) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა დასახელდეს ის მიზეზი,  
რომლის გამოც ხელისუფლების ორგანოები თელიან, რომ არასრულწლოვანი  
საჭიროებს აღმზრდელობით ზედამხედველობას. იმ საქმეებში, სადაც პატიმრობა  
ემყარება 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტს, მითითებული უნდა იყოს, რატომ  
მიეკუთვნება პირი მასში მოცემულ კატეგორიებს. თუ მიზეზი არის ფსიქიკური  
დაავადება, უნდა მოხდეს იმ დაავადების იდენტიფიცირება, რომელზეც ეჭვი იქნა  
მიტანილი. გარდა ამისა, ინფორმაცია ასევე უნდა განმარტავდეს შესაბამისი პირის  
იზოლირების აუცილებლობის მიზეზებს<sup>2199</sup>.

გარკვეული დროის მანძილზე დაეის საგანი იყო ინფორმაცია, რომელიც პირს  
უნდა მიენოდოს 1(ვ) პუნქტის საფუძველზე მისი დაკავების ან დაპატიმრების  
შემთხვევაში. *კაპრინოს (Caprino)*<sup>2200</sup> საქმეში კომისიამ გადაწყვიტა, რომ  
გამონაკლისის ფორმალური ხასიათის გათვალისწინებით, საკმარისია შესაბამის  
პირს ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ ხორციელდება ექსტრადიციის ან  
დემორტაციის ღონისძიებები, ხოლო მათი მიზეზების დასახელება არ არის  
აუცილებელი<sup>2201</sup>. ზოგიერთი ავტორი უფრო მკაცრ მიდგომას ემხრობა და თელის,  
რომ დაპატიმრებულ პირს უნდა მიენოდოს ინფორმაცია დემორტაციისა და  
ექსტრადიციის მიზეზების შესახებ<sup>2202</sup>. აუცილებელი ინფორმაციის ზუსტი ხასიათი  
დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. საბოლოო ჯამში,  
ინფორმაცია იქნება საკმარისი, თუ ის დაკავებულს მისცემს საშუალებას, შეაფასოს  
გატარებული ღონისძიების კანონიერება და გაასაჩივროს ის, თუ საჭიროდ  
ჩათვლის, და ამგვარად ისარგებლოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული  
უფლებით<sup>2203</sup>.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს პირის დაკავების ლეგიტიმური მიზეზი, არც  
მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე წამოიჭრება რაიმე საკითხი. ნებისმიერ  
შემთხვევაში, ასეთ დროს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა აღარ  
ტოვებს სივრცეს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საკითხის შემდგომი  
განხილისთვის<sup>2204</sup>.

### 3. ინფორმაციის ადრესატი

დაპატიმრების მიზეზების შესახებ, პირველ რიგში, თავად დაკავებული უნდა  
იქნეს ინფორმირებული. თუმცა ამის გაკეთება ჩვეულებრივ შეუძლებელია,  
როდესაც ადამიანი არის ფსიქიკურად დაავადებული. გარდა ამისა, არას-  
რულწლოვნებისა და მცირეწლოვნების შემთხვევაში, დაკავებული ვერ შეძლებს

<sup>2198</sup> *X ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1105/61; როგორც ჩანს, ეს არ შეესაბამება სასამართლოს  
გადაწყვეტილებას საქმეში *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰართლი (Hartley)*  
*გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §66.

<sup>2199</sup> რასაკვირველია ნებაყოფლობითი პაციენტიც ასევე უნდა იქნეს ინფორმირებული იმ ფაქტის  
შესახებ, რომ გაიცა მისი დაკავების ბრძანება: *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების  
წინააღმდეგ*, §30, 31.

<sup>2200</sup> *კაპრინო (Caprino) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 6871/75.

<sup>2201</sup> იხ. აგრეთვე *K ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10819/84.

<sup>2202</sup> ფროვიანი და პოიერტი (1996) მე-5 მუხლი, §91; ველუ და ერეცი (1990) N 335.

<sup>2203</sup> *მაკეი (McVeigh)*, *ონილი (O'Neill)* და *ევანსი (Evans) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,  
განაცხადები 8022/77, 8025/77 და 8027/77, §208. იხ. აგრეთვე *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი  
(Campbell)* და *ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §40.

<sup>2204</sup> *რანინენი (Raninen) ფინეთის წინააღმდეგ*, §51.

ინტელექტუალურად ან/და ემოციურად გაიზაროს მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი. ცხადია, რომ ეს გარემოებები ვერ გაამართლებს ხელისუფლების ორგანოების მიერ დაკავების მიზეზის შესახებ ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობას. ეს ინფორმაცია მათ უნდა მიანოდონ პირს, რომელიც ზრუნავს პაციენტზე ან ბავშვზე და გააჩნია მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება, მაგალითად, მეურვეს ან ადვოკატს<sup>2205</sup>.

იმ შემთხვევაშიც, როცა დაკავებული პირი არ არის ფსიქიკურად დააეადებული, შეიძლება საკმარისი იყოს მისი დამცველის ინფორმირება<sup>2206</sup>, თუ ამ უკანასკნელს შეუძლია თავისი კლიენტისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება.

#### 4. დროის ელემენტი

საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ ინფორმაცია დაკავებულს მიეწოდოს „დაკავების დროს“, ხოლო სხვა ინსტრუმენტები იყენებენ ტერმინს „დაუყოვნებლივ“. ევროპული კონვენციის ინგლისურ ვერსიაში მოცემული ეს ტერმინი მე-3 პუნქტში გამოყენებული ტერმინის იდენტურია. თუმცა განსხვავებას ვხვდებით ფრანგულ ტექსტში, რომელშიც მე-3 პუნქტში გამოყენებულია სიტყვა „ausseilôt“ (სასწრაფოდ). იმის გათვალისწინებით, რომ დროის პერიოდი, რომელზეც საუბარია მე-3 პუნქტში, შეიძლება გაგრძელდეს 4 დღემდე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მე-2 პუნქტში მოცემული ტერმინი „დაუყოვნებლივ“ სხვა მნიშვნელობის მქონეა. აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია ადამიანის დაკავება, თუ პირმა, რომელიც ახორციელებს დაკავებას, არ იცის ამ მიზეზების შესახებ. ამდენად, რეალისტური იქნებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო პაქტის მსგავსად<sup>2207</sup>. ინფორმაციის მიწოდება შეიძლება დაგვიანდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია თარჯიმნის მოძებნა ან ინტოქსიკაციის გამო პატიმარს არ შეუძლია ინფორმაციის გაგება. დაკავებული პირის გაქცევის შემთხვევაში, საკმარისია მისი ინფორმირება ხელისუფლების ორგანოებთან პირველივე კონტაქტის დროს<sup>2208</sup>.

კონვენციის ორგანოებმა, განსაკუთრებით კომისიამ, თავი აარიდეს მკაცრი ზღვრის დაწესებას. კომისიამ მისაღებად ჩათვალა პირის ინფორმირების დაგვიანება 5 საათით<sup>2209</sup>, 32 საათით<sup>2210</sup> და ორი დღითაც კი<sup>2211</sup>. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით ისეთ საქმეებს, როდესაც რამდენიმე საათიანი დაგვიანება არ ჩაითვალა კონვენციის დარღვევად<sup>2212</sup>. სასამართლომ ასევე მისაღებად მიიჩნია სისტემა, რომელიც აერთიანებდა არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდებას დაკავების მომენტში, შემდგომ არაპირდაპირ ინფორმირებასთან, რომელიც განხორციელდა რამდენიმე საათის შემდეგ პირის დაკითხვის შედეგად<sup>2213</sup>. დაკავებულის გაქცევით გამონეული დაგვიანება

<sup>2205</sup> იხ. კომისიის მოსაზრება, რომელიც ასახულია საქმეში X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 65.

<sup>2206</sup> X შედეგის წინააღმდეგ, განაცხადი 7170/75.

<sup>2207</sup> გრიგორი (1979) 95. ავტორი მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სწორედ ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

<sup>2208</sup> კეუსი (Keus) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 22.

<sup>2209</sup> X დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 8828/79.

<sup>2210</sup> X ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 4502/70.

<sup>2211</sup> სკოგსტრომი (Skogström) შედეგის წინააღმდეგ, განაცხადი 8582/79.

<sup>2212</sup> ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰარტლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 42; მურეი (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 78.

<sup>2213</sup> ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰარტლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს

(განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებს უნდა მოეხდინათ მისი ადვოკატის ინფორმირება) არ შეიძლება დაბრალდეს სახელმწიფოს<sup>2214</sup>.

## 5. ინფორმირების ფორმა

კონვენციაში არის მხოლოდ ერთი მითითება იმაზე, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს დაკავებული პირის ინფორმირება: „მისთვის გასაკებ ენაზე“. სინამდვილეში, ეს თავისთავად იგულისხმება „ინფორმირება“ ცნებაში. თუმცა არ არსებობს იმის უფლება, რომ ინფორმაციის მიწოდება მოხდეს კონკრეტულ ენაზე, მაგალითად, უმცირესობის ენაზე. კონვენციის ზრუნვის საგანია არა ლინგვისტური დავების გადაჭრა, არამედ მხოლოდ პირის ეფექტიანი დაცვა<sup>2215</sup>. როდესაც არსებობს დაპატიმრების ბრძანება, რომელშიც მითითებულია დაპატიმრების მიზეზების შესახებ, საკმარისია ამ მიზეზების ზეპირად თარგმნა<sup>2216</sup>, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში ზეპირი ინფორმაცია ადეკვატურად ითვლება<sup>2217</sup>.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ თარგმნის ხარჯები არ უნდა გაიღოს დაკავებულმა პირმა<sup>2218</sup>. თუმცა ეს უფლება არ გამომდინარეობს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტიდან<sup>2219</sup>. რამდენად ვრცელდება მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტი იმ საქმეებზე, რომლებიც განიხილება 1(გ) პუნქტის საფუძველზე, სხვა კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, როგორ შეიძლება აისახოს თარგმანის ხარჯების დაკისრება პირის მიერ სხვა ნებისმიერი უფლებით სარგებლობაზე<sup>2220</sup>. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირება მოხდეს „მარტივ და არატექნიკურ ენაზე“<sup>2221</sup>. მიუღებელია, რომ კომისიისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თვით მინიმალური ფორმალური ელემენტების დაცვასაც არ მოითხოვს. კომისიამ პრობლემად არ ჩათვალა ვითარება, როდესაც დაკავებული პირი არ იქნა ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების შესახებ არც ზეპირად და არც წერილობით. განმცხადებელს თავად უნდა გამოეთანა დასკვნები შემდგომი დაკითხვის დროს ან მიმხედარიყო არსებული გარემოებების გათვალისწინებით, თუ რატომ დააკავეს<sup>2222</sup>. თუმცა *ფოქსის (Fox)*, *კემპბელის (Campbell)* და *ჰარტლის (Hartley)* საქმეში კომისიამ განაწყობა, რომ „გარანტიის მინიმალური ხასიათიდან გამომდინარე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას ხელისუფლებას ორგანოებს, რომლებმაც განახორციელეს დაკავება, უზრუნველყონ დაკავებული პირი ადეკვატური ინფორმაციით დაკავების მიზეზების შესახებ დაკავების დროს ან დაკავების შემდეგ

---

### წინააღმდეგ. §41.

<sup>2214</sup> *კეუსი (Keus) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §21, 22.

<sup>2215</sup> ადამიანის უფლებებსა და უმცირესობათა უფლებებს შორის ურთიერკავშირისათვის იხ. ტრეჟსელი (2000).

<sup>2216</sup> *დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2689/65.

<sup>2217</sup> იხ. მაგ: ბელგიის მთავრობის არგუმენტი, რომელიც არ გამხდარა დავის საგანი საქმეში *ლამი (Lamy) ბელგიის წინააღმდეგ*, §31.

<sup>2218</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 337.

<sup>2219</sup> ტრეჟსელი (1974) 231.

<sup>2220</sup> *ლოდიკე (Luedicke), ბელკაცემი (Belkacem) და კოჩი (Koc) გერმანიის წინააღმდეგ*, §42.

<sup>2221</sup> *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰარტლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §40.

<sup>2222</sup> *ნოომისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1936/63; *ბ საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 10179/82. კრიტიკული კომენტარებისათვის, იხ. ტრეჟსელი (1974) 231, N 872. ველუ და ერგეცი (1990) N 335.

მალევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია<sup>2223</sup>. სასამართლომ არ გამოიყენა ეს მიდგომა და მივიდა დასკვნამდე, რომ „არ არსებობდა იმის ვარაუდის საფუძველი, რომ [დააკაების შემდგომ დაკითხვებს] არ მიუცია განმცხადებლებისთვის საშუალება, გაეგოთ, რა მიზეზით მოხდა მათი დაკავება“<sup>2224</sup>.

ასეთი მიდგომა იქნა გამოყენებული შემდგომ გადაწყვეტილებებშიც. მიურეის (Murray) საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამერიკაში დარჩენასთან და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვებიდან გამომდინარე, განმცხადებელი უნდა მიმხედარიყო, რომ ის ეჭვმიტანილი იყო ირლანდიის რესპუბლიკური არმიისთვის ფულის შეგროვებაში<sup>2225</sup>. სხვა საქმეში განმცხადებელი დააკავეს ყალბი საბუთების ფლობისთვის და შესაბამისად, მას უნდა ჰქონოდა გარკვეული ნარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი<sup>2226</sup>. ეგმეზის (Egmez) საქმეში განმცხადებელი დააკავეს დანაშაულის ჩადენის ფაქტზე<sup>2227</sup>, ხოლო HB-ის საქმეში განმცხადებელმა „კარგად იცოდა კომპანიის მიმართ პროკურატურის ინტერესის შესახებ“, რამაც მისცა სააპელაციო სასამართლოში „ხელნაწერი საჩივრის ნარდგენის საშუალება“<sup>2228</sup>. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სასამართლო არ აკისრებს რაიმე ფორმალურ მოთხოვნას ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს. ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმირების ვალდებულების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაკავებულს არ უნეედეს „მიხედვრა“, არამედ უნდა შეეძლოს მკაფიო პასუხის მიღება კითხვაზე „რატომ დამაკავეს?“.

ეს პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პაქტის პრეცედენტულ სამართალში, სადაც რამდენიმე განმცხადებელმა ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ იცოდა მისთვის ნარდგენილი ბრალდებების შესახებ<sup>2229</sup>.

## II. Habeas corpus პროცედურით სარგებლობის უფლება

### ა. შესავალი

#### 1. დებულებები

ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება, დაკავების ან დაპატიმრების გზით, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც გაჭინაურების გარეშე განიხილავს მისი დაპატიმრების კანონიერებას და გაცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-9(4) მუხლი.*

ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება, დაკავების ან დაპატიმრების გზით, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად

<sup>2223</sup> ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰარტლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §68.

<sup>2224</sup> Ibid., §41.

<sup>2225</sup> მიურეი (Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §76-7.

<sup>2226</sup> დიკმე (Dikme) თურქეთის წინააღმდეგ, §56.

<sup>2227</sup> ეგმეზი (Egmez) თურქეთის წინააღმდეგ, §85-6.

<sup>2228</sup> HB შეიქცარიის წინააღმდეგ, §48.

<sup>2229</sup> მაგ: ჰიბერ კონტერისი (Hiber Conteris) ურუგვაის წინააღმდეგ, 196, §10.

განიხილავს მისი დაპატიმრების კანონიერებას და გასცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-5(4) მუხლი.*

ყველას, ვისაც აღეკეთა თავისუფლება უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ სასამართლოს, რომელიც გაჭიანურების გარეშე განიხილავს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერებას და გასცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაკავება ან დაპატიმრება არ იყო კანონიერი. იმ წევრ სახელმწიფოებში, რომელთა კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თელის, რომ ემუქრება თავისუფლების აღკვეთა, უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ სასამართლოს, რომელიც გაჭიანურების გარეშე განიხილავს ასეთი მუქარის კანონიერებას, სამართლებრივი დაცვის ეს საშუალება არ შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს. დაინტერესებულ მხარეს ან სხვა პირს, რომელიც მოქმედებს მისი სახელით, უფლება აქვს, ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებებით.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7(6) მუხლი.*

*Habeas corpus* პროცედურით სარგებლობის გარანტია თითქმის იდენტური ფორმულირებით არის მოცემული საერთაშორისო პაქტისა და ევროპული კონვენციის ინგლისურ ვერსიებში. ეს მსგავსება კიდევ უფრო თვალსაჩინოა ფრანგულ ტექსტებში. ამერიკული კონვენციის დებულება განსხვავდება დანარჩენებისაგან, რადგან მასში ნახსენებია პროცედურა „amparo“. როგორც ჩანს, ამერიკული კონვენციის ავტორების მოსაზრებით, ამ პროცედურის ხაზგასმა, რაც ეფექტიანი და წარმატებული აღმოჩნდა, აუცილებელი იყო, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მე-7 მუხლის მე-ნ პუნქტის გამოყენება ქვეტექსტად. მისივე მნიშვნელობის შესუსტების მიზნით.

## 2. უფლების წარმოშობა და მიზანი

### ა. *Habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლების წარმოშობა

*Habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება დასაბამს იღებს 1679 წლის „*Habeas Corpus* აქტიდან“, რომელიც შეიცავს შემდეგ ნორმას:

... როდესაც ნებისმიერი პირი ან პირები წარადგენენ *habeas corpus* განაცხადს შერიფის ან შერიფების, ციხის მცველის, მღვდლის ან სხვა პირის მისამართით, ნებისმიერი პირის შესახებ, რომელიც მისი ან მათი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, და ზემოთ ხსენებული სასამართლოში გამოცხადების ბრძანება გადაეცემა აღნიშნულ მოხელეს ან დატოვებული იქნება ციხეში ან საპატიმროში ნებისმიერ ქვემდგომ მოხელესთან, ქვემდგომ მცველთან ან აღნიშნული მოხელის ან მცველის მოადგილესთან, ეს მოხელე ან მოხელეები, მისი ან მათი ქვემდგომი მოხელეები, ქვემდგომი მცველები ან მოადგილეები აღნიშნული ბრძანების ჩაბარებიდან 3 დღის განმავლობაში აბარებენ ანგარიშს ბრძანების შესრულების შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემოთ ხსენებული დაპატიმრება განხორციელდა ლალატის ან მძიმე დანაშაულისთვის, რომლის შესახებ ნათლად და საგანგებოდ არის მითითებული დაპატიმრების ბრძანებაში), იმ მოსამართლის ან სასამართლოს წინაშე აღნიშნული პატიმრის გადაყვანის

ხარჯების გაღების შემთხვევაში, რომელმაც გასცა და დაამტკიცა ზემოთ ხსენებული ბრძანება, არაუმეტეს 12 პენსისა ერთ მიღზე და მის მიერვე უზრუნველყოფილი გირაოს გადახდის შემდეგ პატიმრის უკან დაბრუნების ხარჯების ასანაზღაურებლად, თუ მას პატიმრობაში დატოვებს მოსამართლე ან სასამართლო, რომლის წინაშეც ის წარდგა ამ აქტის ჭეშმარიტი მიზნის შესაბამისად და იმ პირობით, რომ ის გზაში არ გაიქცევა; 3) წარადგენენ ან უზრუნველყოფენ დაპატიმრებული ან თავისუფლებაზეზღუდული მხარის წარდგენას ლორდ-კანცლერის ან ინგლისის დიდი სახელმწიფო ბეჭდის ლორდ-მცველის, ან იმ სასამართლოს მოსამართლეების ან ბარონების წინაშე, რომელმაც გასცა სასამართლოში გამოცხადების ბრძანება ან იმ სხვა პირის ან პირების წინაშე, რომლებსაც აბარებენ ანგაროსს ბრძანების შესრულების შესახებ, შესაბამისი განკარგულების საფუძველზე; 4) და შემდეგ დაამონმებს მისი დაკავების ან დაპატიმრების ნამდვილ მიზეზებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული მხარე დაპატიმრებულია ოც მიღზე შორს იმ ადგილიდან, სადაც განთავსებულია ეს სასამართლო ან ცხოვრობს ასეთი პირი; და თუ ოც მიღზე შორს, მაგრამ არაუმეტეს ასი მილისა, მაშინ ათი დღის განმავლობაში და თუ ას მიღზე შორს, მაშინ ოცი დღის განმავლობაში მისი გადაყვანიდან და არაუმეტეს ამ ვადისა.

ეს გარანტია ჩაითვალა ძალზე დეტალურად იმისათვის, რომ საყოველთაო დეკლარაციაში შესულიყო, მაგრამ მაინც იქნა შეტანილი საერთაშორისო პაქტის თავდაპირველ პროექტებში. გარკვეულ დისკუსიასაც ჰქონდა ადგილი ლათინური ანუ საერთო სამართლის ტერმინოლოგიის გამოყენების შესახებ, თუმცა ეს წინადადებები არ იქნა გაზიარებული – ჩემი აზრით, სავსებით მართებულად<sup>2230</sup>. შეიძლება საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდეს ისეთი ტერმინების გამოყენება, რომელსაც აქვს ან ითვლება რომ აქვს ახლო კავშირი კონკრეტულ იურიდიულ სისტემასთან ან ეროვნულ სამართლებრივ ტრადიციასთან. მოსაწონი არ იქნება, თუ საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებაში შევა კონკრეტული ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის იურიდიულ სისტემასთან ძლიერ მიბმული ტერმინი.

### ბ. გარანტიის მიზანი

პირადი თავისუფლება შეიძლება განიმარტოს, როგორც „პრივილეგირებული თავისუფლება“, რადგან მისთვის დამახასიათებელია დაცვის ორი მექანიზმი, რომლებიც არ გააჩნია საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს. ერთ-ერთი მათგანი არის გარანტია, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, კერძოდ, სამართლებრივი დაცვის კონკრეტული საშუალების გამოყენების უფლება. მეორე წარმოადგენს კომპენსაციის უფლებას სახელმწიფოს მიერ უფლებაში უკანონო ჩარევისთვის. ეს გარანტიები მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტებში. უკანონო დაპატიმრებისთვის კომპენსაციის უფლებას არ ითვალისწინებს ამერიკული კონვენცია. დაპატიმრების კანონიერების შემონახვის სპეციალური უფლების შეტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებში შეიძლება ზედმეტად მოგვეჩვენოს იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის

<sup>2230</sup> იხ. ნოვაკი (1993) მე-9 მუხლი N 14.



მე-3(ა) პუნქტში, ევროპული კონვენციის მე-13 მუხლში და ამერიკული კონვენციის 25-ე მუხლში მოცემულია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ზოგადი უფლება. თუმცა იმ პირების დაცვა, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი, მინიმუმ ორი ასპექტით ცდება სამართლებრივი დაცვის საშუალების ზოგადი უფლების ფარგლებს. ის უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოს ხელმისაწვდომობას<sup>2231</sup> და მოითხოვს, რომ გადანაწილების მიღება მოხდეს სწრაფად და ეფექტიანად. ეფექტიანობის ცნება გულისხმობს, რომ შესაძლებელი უნდა იყოს პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დაცვის ხარისხს ეროვნულ დონეზე. *Habeas corpus* პროცედურის მიზანია არა მხოლოდ იმის გარკვევა, დაატიმრება, როგორც ასეთი, გამართლებულია თუ არა, არამედ მისი მეშვეობით ასევე შეიძლება განისაზღვროს, თუ რამდენად დაცულია სხვა ფორმალური, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებული გარანტიები.

ეს უფლება არის „*lex specialis*“ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ზოგად უფლებასთან მიმართებაში<sup>2232</sup>.

ევროპის დონეზე არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარანტიას ასევე გააჩნია საგულისხმო პრაქტიკული მნიშვნელობაც. ის ხშირად გამოიყენება და საჩივრების დიდი რაოდენობა დაკმაყოფილებული იქნა<sup>2233</sup>. რადგან საქმე გვაქვს შედარებით აბსტრაქტულ და ფორმალურ გარანტიასთან, სასამართლო გაცილებით ნაკლებად არიდებს თავს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების კრიტიკას, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის მატერიალურ დასაბუთებაზე ზედამხედველობისას. *Habeas corpus* პროცედურის მიზანია არა მხოლოდ იმის გარკვევა, დაატიმრება, როგორც ასეთი, გამართლებულია თუ არა, არამედ მისი მეშვეობით ასევე შეიძლება განისაზღვროს, რამდენად დაცულია სხვა ფორმალური, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებული გარანტიები. გარანტიის მნიშვნელობის მტკიცებულებაა პრეცედენტული სამართლის მოცულობა როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ დონეზე. სამართლიანი იქნება, თუ ამ გარანტიას მოვიხსენიებთ, როგორც პირადი თავისუფლების დაცვის ქვაკუთხედს.

### 3. განსახილველი საკითხები

*Habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება რამდენიმე საინტერესო საკითხს უკავშირდება. პირველი, დებულების მოქმედების სფერო ერთგვარად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ამის ძირითადი მიზეზია სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდების შემდეგ ამ გარანტიის გამოყენებაზე უარის თქმა. შესაბამისად, ამ საკითხის განხილვით, გარკვეულწილად, ვცდებით სისხლის სამართალწარმოების ჩვეულ ფარგლებს. რამდენიმე საკითხი, რომლებიც უკავშირდება დროის იმ მონაკვეთს, როდესაც გარანტია უნდა განხორციელდეს, ასევე მოითხოვს განხილვას. ამას მოყვება სამართლებრივი დაცვის ამ საშუალების ეფექტიანობის ანალიზი და გარანტიის თანმხლებ საპროცესო მოთხოვნებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის დეტალური მიმოხილვა.

<sup>2231</sup> ამას ასევე მოითხოვს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 25-ე მუხლი.

<sup>2232</sup> დე იონგი (*De Jong*), ბალიეტი (*Baljet*) და ვან დენ ბრინკი (*Van den Brink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §60; ჩაალი (*Chahal*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 127.

<sup>2233</sup> იხ. მაგ: ტოთი (*Tolth*) ავსტრიის წინააღმდეგ, § 67.

## ბ. Habeas corpus პროცედურით სარგებლობის უფლების მოქმედების ფარგლები

ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება, აქვს *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება. ეს ნინადადება თავისთავად მეტყველებს, რომ გარანტიას გააჩნია მოქმედების ძალზე ფართო სფერო. მისი გამოყენება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: უშუალოდ დაპატიმრებული პირებით გარანტიის შეზღუდვა; დროსთან დაკავშირებული შეზღუდვები; სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ პირის დაპატიმრების გამონაკლისი და გამონაკლისები ამ გამონაკლისიდან. თუმცა, სანამ ამ საკითხებს შევხებით, მნიშვნელოვანია გარანტიის ავტონომიური ხასიათის განხილვა.

### 1. გარანტიის ავტონომიური ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ *habeas corpus* უფლება („ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება ...“) ფორმულირებულია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებისგან განსხვავებული ტერმინებით („ყველას, ვისი უფლებებიც ... დაირღვა“), თავდაპირველად ადგილი ჰქონდა მცირე გაუგებრობას იმასთან დაკავშირებით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული უფლება უნდა მიენიჭოს თუ არა პირს, კანონიერი დაპატიმრების შემთხვევაშიც<sup>2234</sup>. თუმცა სასამართლომ სწორად გასცა ამ კითხვას დადებითი პასუხი<sup>2235</sup>. გარდა ამისა, კომისია და სასამართლო იხილავდნენ მე-4 პუნქტის დარღვევის საკითხს იმ შემთხვევაშიც, როცა მათ უკვე დადგინდა ჰქონდათ 1-ლი პუნქტის დარღვევა<sup>2236</sup>. ცხადია, რომ არალოგიკური იქნებოდა ადამიანისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალების მხოლოდ იმ შემთხვევაში მინიჭება, როდესაც ის ასევე წარმატებული იქნებოდა. ამ პროცედურის მთავარი არსი დაპატიმრების კანონიერების გარკვევაში მდგომარეობს და ამდენად, ეს უკანასკნელი არ შეიძლება იყოს გარანტიის მოქმედების წინაპირობა.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საქმეში *მინიჯატი (Minijal) შევიცარიის წინააღმდეგ* მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა სასამართლოს დაბრუნებას წარსულში დაშვებულ შეცდომებთან<sup>2237</sup>. განმცხადებელმა საჩივრით მიმართა ფედერალურ სასამართლოს, რადგან მას არ ჰქონდა მიღებული ინფორმაცია კანტონის ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი დაპატიმრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებზე. ფედერალურმა სასამართლომ

<sup>2234</sup> იხ. მოსამართლეების პოლმბეჟის, როდენბურგის, როსის, ფავრეს და ბილგის განსხვავებული აზრი საქმეში *დე ვილდე (De Wile), ომსი (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ* (გვ. 75). თავიდან კომისიამ ასევე ჩათვალა, რომ მე-13 მუხლი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეალურად დაირღვა ადამიანის უფლებები. კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული აზრის შემდეგ სასამართლომ დაადგინა ეს უფლება საქმეში *კლასი (Klass) გერმანიის წინააღმდეგ*, §64.

<sup>2235</sup> *დე ვილდე (De Wilde), ომსი (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ*, §73. იხ. აგრეთვე *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §53; *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §30; *კოლომპა (Kolompar) ბელგიის წინააღმდეგ*, §45; *დოუიბი (Douiyeb) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §57; ესერი (2002) 328.

<sup>2236</sup> *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §55. იხ. აგრეთვე *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §200. თუმცა საქმეში *კონდობიჰარი (Koendjibiharie) ნიდერლანდების წინააღმდეგ* (§31) სასამართლომ საკმაოდ არადამაჯერებლად განაცხადა, რომ მე-4 პუნქტის დარღვევის დადგენის შემდეგ აღარ იყო საჭირო 1-ლი პუნქტის საფუძველზე საკითხის განხილვა.

<sup>2237</sup> *მინიჯატი (Minijal) შევიცარიის წინააღმდეგ*, §50-3.

ჩათვალა, რომ მიზეზების არარსებობით დაირღვა პირადი თავისუფლების უფლება. თუმცა იმის ნაცვლად, რომ გაეცა ბრძანება პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ, საქმე დააბრუნა ქვემდგომ ინსტანციაში. ამ საქმეში განმცხადებელმა ნამდვილად ისარგებლა *habeas corpus* პროცედურით. მისი საჩივარი უკავშირდებოდა არა იმდენად ხსენებულ პროცედურას, არამედ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას და კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ის არ იქნა გათავისუფლებული. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლო თავად მივიდა დასკვნამდე, რომ მისი დაპატიმრება კანონიერი იყო.

## 2. ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა

მე-4 პუნქტის ფორმულირება ცხადად მიანიშნებს, რომ *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი დაკავებული ან დაპატიმრებულია. ასეთ ინტერპრეტაციას ადასტურებს პირის გათავისუფლების უფლებამოსილებაზე გაკეთებული მითითებაც. ამდენად, ამ პუნქტის გამოყენება შეუძლებელია პატიმრობის ადრინდელი პერიოდის კანონიერებაზე უკუქცევითი კონტროლის განსახორციელებლად<sup>2238</sup>. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მე-13 მუხლი. გარდა ამისა, არც პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს შეუძლია მოითხოვოს საბოლოო გათავისუფლება ამ გარანტიის საფუძველზე<sup>2239</sup>.

## 3. გარანტიის მოქმედება დროში

დროის ელემენტთან დაკავშირებით, ჩნდება ორი კითხვა: პირველი, დაპატიმრების კანონიერების შემონახვის უფლება დაკავების შემდეგ დაუყოვნებლივ წარმოიქმნება, თუ მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ? და მეორე, რა შედეგი მოაქვს *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლებას, თუ ადამიანი გათავისუფლდა საჩივრის შეტანის შემდეგ, მაგრამ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე?

### ა. დაუყოვნებლივი მოქმედება

სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმის კანონიერების შემონახვის უფლება წარმოიქმნება დაკავების ან დაპატიმრების შემდეგ დაუყოვნებლივ<sup>2240</sup>. გაუმართლებელია რაიმე დაყოვნება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-4 პუნქტის დარღვევა საქმეში, რომელშიც რამდენიმე პოლანდიელს, რომლებმაც თავიანთი მრწამსის გამო უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურზე, მოუნია ლოდინი ექვსიდან ცამეტ დღემდე, ვიდრე სასამართლოს წინაშე მათი დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრებას შეძლებდნენ<sup>2241</sup>. 1(გ)

<sup>2238</sup> ბარანოვსკი (*Baranowski*) პოლონეთის წინააღმდეგ, §69; იხ. აგრეთვე X შედეგის წინააღმდეგ, განაცხადი 10230/82.

<sup>2239</sup> L შედეგის წინააღმდეგ, განაცხადი 10801/84. ესერი (2002) 363. საქმიდან ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ გამომდინარე ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მომავალში შესაძლოა წარმოიშვას იმის შესაძლებლობა, რომ დაკავების კანონიერება გაკონტროლდეს პირის გათავისუფლების შემდეგაც. მას მოჰყავს ციტატა სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომ გათავისუფლების შემდეგ სასამართლოს მიერ დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრის მოთხოვნა „დაუშვებელია, რადგან აზრს მოკლებულია“; ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §63. რთულია ამ არგუმენტს დაეთანხმოთ.

<sup>2240</sup> ერლიმაზი (1999) 360.

<sup>2241</sup> დე იონგი (*De Jong*), ბალიეტი (*Baljet*) და ვან დენ ბრინკი (*Van den Brink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §58; ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §200. იხ. აგრეთვე იგდელი (*Igdeli*) თურქეთის წინააღმდეგ, §32-5 (მვიდი დღე); გიუნდოგანი (*Gündoğani*) თურქეთის წინააღმდეგ, §24-8 (ცხრა დღე პატიმრობაში პოლიციის ზედამხედველობის

პუნქტის საფუძველზე, წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ მე-4 პუნქტი იწყებს მოქმედებას თვით იმ მომენტამდე, როცა დაკავებული პირი წარდგება მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომლისგანაც მე-4 პუნქტი აბსოლუტურად დამოუკიდებელია<sup>2242</sup>. სინამდვილეში, ძალზე დიდია სასამართლო ორგანოს ჩარევის პრაქტიკული მნიშვნელობა ისეთ საქმეებში, რომლებშიც მე-3 პუნქტის მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებულ<sup>2243</sup>.

თორმეტდღიანი ვადა ნამდვილად გადაჭარბებულია<sup>2244</sup>, თუმცა თავის იურისპრუდენციაში სასამართლოს ასევე ჰქონია შეხება 30 დღიან პერიოდთან<sup>2245</sup>.

შეიძლება არსებობდეს განსხვავებული გადაწყვეტილების მოლოდინი იმ საქმეებში, რომლებშიც ფსიქიატრიულ დანესებულებებში პირის მოთავსების გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის დროს იქნა მიღებული. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი *ლუბერტის (Luberti)* საქმეში, როდესაც განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლო კონტროლი გადაწყვეტილებიდან სამი დღის შემდეგ. სასამართლომ მიუთითა „ნიკორპორირებისა“ და „გონივრული ინტერვალის“ ცნებებზე, თუმცა ასევე განაცხადა, რომ იტალიის კანონმდებლობა განმცხადებელს არ ავალდებულებდა დაცდას. მიუხედავად ამისა, ზედმეტმა შეფერხებებმა გამოიწვია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა<sup>2246</sup>.

### ბ. გათავისუფლება *habeas corpus* პროცედურის მოლოდინში

აგრძელებს თუ არა მოქმედებას *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება იმ შემთხვევაშიც, თუ დაკავებული გათავისუფლებულია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი ვარიანტი.

პირველი უკავშირდება საქმეებს, რომლებშიც განმცხადებელი წარადგენს საჩივარს მისი დაპატიმრების წინააღმდეგ, თუმცა მას დროულად გაათავისუფლებენ. ასეთ დროს ადამიანი იღებს იმ შედეგს, რომლის იმედიც ჰქონდა და შესაბამისად, აღარ შეუძლია ამტკიცოს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მსხვერპლია. ასეთი ვითარება იყო შექმნილი *ბროგანის (Brogan)* საქმეში. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევა, თუმცა კომისიის მსგავსად, თავის გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო ის ფაქტი, რომ კანონი უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც აკმაყოფილებდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს<sup>2247</sup>. ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. ის წარმოადგენს კანონის განხილვას *in abstracto*, რაც არც სასამართლოს ჩვეული მიდგომაა და არც გამართლებულია. ყველა განმცხადებელი გათავისუფლებული იქნა შვიდი დღის

---

ქვეშ); *ზეინეპი (Zeynep) თურქეთის წინააღმდეგ*, (ოცდაერთი დღე პატიმრობაში პოლიციის ზედმხედველობის ქვეშ).

<sup>2242</sup> *დე იონგი (De Jong)*, *ბალიეტი (Baljet)* და *ვან დენ ბრინკი (Van den Brink)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 57; კომისიის წევრების უმცირესობის განსხვავებული აზრი ამ საკითხზე სამართლიანად უარყო სასამართლომ. თუმცა იხ. აგრეთვე *ბეზიჩერი (Bezicheri)* იტალიის წინააღმდეგ, § 20; *ენორვეგიის წინააღმდეგ*, § 64.

<sup>2243</sup> ფაქტები საქმეში *სარგინი (Sargin)* და *იაგჩი (Yağci)* თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადები 14116/88 და 14117/88.

<sup>2244</sup> *საკიკი (Sakik)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, § 51; იხ. აგრეთვე *მამაჩი (Mamac)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, § 40; *სარიკაია (Sarıkaya)* თურქეთის წინააღმდეგ, § 59.

<sup>2245</sup> *ტასი (Tas)* თურქეთის წინააღმდეგ, § 86.

<sup>2246</sup> *ლუბერტი (Luberti)* იტალიის წინააღმდეგ, § 34, 37; შესაძლოა გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ განმცხადებელი უკვე შვიდ წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა პატიმრობაში.

<sup>2247</sup> *ბროგანი (Brogan)* და *სხვები გერმანიის საშუალო სასამართლო წინააღმდეგ*, § 64-5.

განმავლობაში. იმ შემთხვევაშიც, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ დაუყოვნებლივ მოითხოვეს გათავისუფლება, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სასამართლო უფრო ადრე უნდა ჩარეულიყო. ამ მოსაზრებას ასევე მივყავართ დასკვნამდე, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ აშკარად განსხვავებული პოზიცია დაიკავა სხვა საქმეებში, როდესაც გადაწყვიტა, რომ თუ პირი მოახერხებს გაქცევას მას შემდეგ, რაც მოითხოვს *habeas corpus* პროცედურას, მაგრამ მისი საკითხის გადაწყვეტამდე, ის ინარჩუნებს სასამართლოს მიერ სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უფლებას<sup>2248</sup>. ამავდროულად, შეუძლებელი იქნება ფსიქიატრიულ შემონგებაზე პირის გამოუცხადებლობით გამოწვეული შეფერხების გასაჩივრება<sup>2249</sup>. სასამართლომ ისიც კი განაცხადა, რომ გარანტია დაკარგავდა თავის ძალას, თუ არ იარსებებდა დაპატიმრების კანონიერების განხილვის შესაძლებლობა მისი აღსრულების შეწყვეტის შემდეგ<sup>2250</sup>.

ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაჯერებელი. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმის კანონიერების სწრაფი გადასინჯვის უფლების მიზანს აქვს ორი მხარე, თეორიული და პრაგმატული. თეორიული მხარე მოითხოვს თავისუფლების აღკვეთის კანონიერების განსაზღვრას, ხოლო პრაგმატული კი – თავისუფლებას. უპირველესი მიზანი უნდა იყოს პრაგმატული ხასიათის. პირის გათავისუფლების შემდეგ შეიძლება არსებობდეს მისი დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრის გარკვეული ინტერესი, მაგალითად, კომპენსაციის მიღების მიზანი. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ამას მოიცავს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ზოგადი გარანტია (ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი; საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-3(ა) პუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ დაირღვევა პირის გათავისუფლების შემდეგ *habeas corpus* პროცედურის შეწყვეტით. ცხადია, რომ ამის შედეგი უნდა იყოს თავისუფლება. თუ პირი დაპატიმრებულია და ენინალმდებება სხვა ქვეყანაში დეპორტაციას, შესაბამის ქვეყანაში გადაყვანის შემდეგ მისი გათავისუფლება ვერ შეცვლის იმ ქვეყანაში მის გათავისუფლებას, სადაც დააკავე<sup>2251</sup>.

რა მოხდება, თუ დაპატიმრებული პირი მსჯავრდებული იქნა *habeas corpus* პროცედურის განხორციელების მოთხოვნის შემდეგ და ამ მომენტიდან იხდის სასჯელს მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის მნიშვნელობით? ასეთი ვითარების მაგალითია *კიონიგის (König)* საქმე, სადაც განაცხადი გათავისუფლების შესახებ განხილული იქნა უზენაესი სასამართლოს განაჩენზე საჩივართან ერთად. ევროპულმა სასამართლომ ეს არალეგიტიმურად მიიჩნია. მან გადაწყვიტა, რომ კომიტეის რეგიონულ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება გათავისუფლების მოთხოვნაზე და

<sup>2248</sup> *ჯან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §35. განმცხადებელი გაიქცა და გარკვეული დროის შემდეგ პირობით გაათავისუფლეს, თუმცა ამ გადაწყვეტილების შესახებ არ შეატყობინეს. საქმე *კეუსი (Keus)* ნიდერლანდების წინააღმდეგ ეხებოდა განმცხადებელს, რომელიც გაქცევის გამო ვერ ენსრებოდა სასამართლო განხილვას მისი პატიმრობის ვაგრძელების საკითხზე. მას უნდა ჰქონოდა სამართლებრივი დაცვის საშუალება პატიმრობის გახანგრძლივების შემდეგ (§27). იხ. აგრეთვე *ზამირი (Zamir)* *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 9174/80. თუმცა კომისიამ დაუშვა გამოწვევის საკმარისი საჭიროება, რომელიც განმცხადებელი გაათავისუფლეს დროის მოკლე პერიოდში; *X გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 9403/81.

<sup>2249</sup> *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §35; *ჰერცი (Herz) გერმანიის წინააღმდეგ*, §68.

<sup>2250</sup> *ჰერცი (Herz) გერმანიის წინააღმდეგ*, §68.

<sup>2251</sup> *კონკა (Conka) ბელგიის წინააღმდეგ*, §55.

შესაბამისად, განმცხადებელი ჯერ კიდევ წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა<sup>2252</sup>. სასამართლოს ასეთი მიდგომა მართლაც რთული გასაგები და შეუთავსებელია მისივე დოქტრინასთან, რომლის თანახმად, წინასწარი პატიმრობა წყდება პირელი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე<sup>2253</sup>. მოსამართლე ბორეგომ თავის განსხვავებულ აზრში სამართლიანად განაცხადა, რომ პირის მსჯავრდება და მისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ნაგულისხმებ უარად. მართლაც, ძალზე არარეალისტურია იმის ვარაუდი, რომ ასეთ ვითარებაში არსებობდა მსჯავრდებულის გათავისუფლების თუნდაც მიზერული შანსი.

#### 4. Habeas corpus პროცედურა, როდესაც დაპატიმრება სასამართლოს ბრძანებით განხორციელდა

საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლისა და ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტებში მოცემული გარანტიისგან განსხვავებით, ორივე მუხლის მე-4 პუნქტები გამოიყენება ყველა ტიპის დაპატიმრების შემთხვევაში. თუმცა ეგრეთ წოდებულ „მანანნალობის საქმეში“ სასამართლომ დაუშვა გამონაკლისი და ჩამოაყალიბა „ინკორპორირების დოქტრინა“<sup>2254</sup>. დროთა განმავლობაში ეს დოქტრინა შერბილდა და სულ უფრო მეტი გამონაკლისი იქნა დაშვებული.

##### ა. „ინკორპორირების დოქტრინა“

დე ვილდეს (*De Wilde*), ომსის (*Ooms*) და ვერსიპის (*Versyp*) საქმეში განმცხადებლებს არ ჰქონდათ მუდმივი შემოსავლი და საცხოვრებელი ადგილი, ამდენად, ბელგიური კანონმდებლობის თანახმად, ისინი მანანნალებად ითვლებოდნენ. გარკვეულ მომენტში ისინი დათანხმდნენ დახურულ დაწესებულებაში მოთავსებას, სადაც მათ ფაქტობრივად აღეკვეთად თავისუფლება. მოგვიანებით, როდესაც მოითხოვეს გათავისუფლება, მათ უარი ეთქვათ სასამართლო ორგანოს მიერ დაპატიმრების გადასინჯვაზე. მთავრობა აცხადებდა *inter alia*, რომ მათი დაპატიმრების ბრძანება მოსამართლემ გასცა და შესაბამისად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ გამოიყენებოდა.

სასამართლო არსებითად დაეთანხმა ამ არგუმენტს და მიუთითა მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტზე, რომელიც უშვებს დაპატიმრებას იმ შემთხვევაში, თუ პირი იხდის სასჯელს. მართლაც, ერთი შეხედვით ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში ადამიანს არ უნდა შეეძლოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით სარგებლობა განაჩენის გადასინჯვის მიზნით<sup>2255</sup>. ევროპული სასამართლოს განცხადებით, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა აუცილებელი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც პირისთვის თავისუფლების აღკვეთის გადანყვეტილება მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ და დამატა, „არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ იგივე პროცედურა გამოიყენება, როდესაც გადანყვეტილებას იღებს სასამართლო სამართალწარმოების დასასრულს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვეს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ინკორპორირებულია გადანყვეტილებაში“<sup>2256</sup>.

<sup>2252</sup> კონიგი (*König*) სლოვაკეთის წინააღმდეგ, § 20.

<sup>2253</sup> მაგ: *B ავსტრიის წინააღმდეგ*. იხ. თავი XIX.

<sup>2254</sup> დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, § 76.

<sup>2255</sup> გასაჩივრების უფლება შემოღებული იქნა მხოლოდ მე-7 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე.

<sup>2256</sup> დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, § 76.

ასეთი დოქტრინა სულაც არ არის დამაჯერებელი, განსაკუთრებით იმ არგუმენტების გათვალისწინებით, რომლებსაც ის ეყრდნობა<sup>2257</sup>. ცხადია, რომ *habeas corpus* პროცედურამ არ შეიძლება გამოიწვიოს განაჩენის გადასინჯვა, თუმცა ის შეიძლება რამდენიმე საკითხს უკავშირდებოდეს, მათ შორის პატიმრისა და მსჯავრდებულის ვინაობის იდენტიფიკაციის დადგენას ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ასევე რთული გასაგებია, რატომ საჭიროებს დასაბუთებას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენება მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის შესაბამისად პირის დაპატიმრების მიმართ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დებულების საკმაოდ მკაფიო ფორმულირება სრულიად საპირისპიროზე მიუთითებს. პირიქით, დამაჯერებელ დასაბუთებას მოითხოვს მის გამოყენებაზე „უარის თქმა“.

მიუხედავად ამისა, „მანანალობის“ საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შედეგი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები გადაცემულ იქნენ მთავრობის განკარგულებაში ორი წლის ვადით პოლიციის სასამართლოს მიერ მას შემდეგ, რაც მათ მიეცათ საკუთარი არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა. თუმცა ამ სამართალწარმოებამ „ვერ უზრუნველყო ისეთი გარანტიები, რომლებიც გამოიყენება დაპატიმრებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ მანანალების დაპატიმრება მრავალი თვალსაზრისით ანალოგიურია“. თუმცა არსებობდა სასამართლოსთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები, ისინი „არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მაგისტრატს შეეძინა „სასამართლო“ ხასიათი ... როდესაც ჯეროვნად არის გათვალისწინებული საკითხის სერიოზულობა“<sup>2258</sup>. ასეთი მიდგომა ასევე პასუხობს შეკითხვას, რომელიც დასვა ესერმა: აქვს თუ არა ადგილი „ინკორპორირებას“ იმ საქმეებში, რომლებშიც ეჭვმიტანილი დააკავეს სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე<sup>2259</sup>? სინამდვილეში, ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან ადგილი არ ჰქონია შესაბამის პროცედურას – პირიქით, თვით კონვენცია ანესრიგებს შემდეგ ნაბიჯს, როდესაც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოითხოვს, რომ დაკავებული პირი წარედგინოს მოსამართლის წინაშე.

სასამართლოს მიდგომა დღემდე უცვლელია. ითვლება, რომ დაპატიმრების კანონიერების კონტროლი „ინკორპორირებულია“ სასამართლოს საწყის გადაწყვეტილებაში, თუ „სამართალწარმოებას აქვს სასამართლო ხასიათი და პირს ანიჭებს თავისუფლების აღკვეთის მოცემული სახეობის შესაფერის გარანტიებს“<sup>2260</sup>.

ამ მიდგომის ზოგად კრიტიკას რომ თავი დავანებოთ, სასამართლოს ვერც სხვა გადაწყვეტილებები, მათ შორის დროზდის (*Drozdz*) და იანუსეკის (*Janousek*), და ირიბარნ პერესის (*Iribarne Pérez*) საქმეებში, ჩაითვლება დამაჯერებლად. ამ საქმეებში განმცხადებლების გასამართლება და განაჩენის გამოიტანა მოხდა ანდორაში და სამართალწარმოება ძალზე შორს იყო იმ საპროცესო სტანდარტებისაგან, რომლებსაც მოითხოვს მე-6 მუხლი. განმცხადებლებმა სასჯელი საფრანგეთში მოიხადეს. ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო, ჰქონდათ თუ არა განმცხადებლებს *habeas corpus* პროცედურის მოთხოვნის უფლება. ირიბარნ პერესის (*Iribarne Pérez*) საქმეში საჩივარი უარყოფილი იქნა

<sup>2257</sup> იხ. ტრექსელი (1974) 234; ტრექსელი (1980) 127; ფან დაიკი და ფან პოი (1998) 285.

<sup>2258</sup> დე ვილდე (*De Wilde*), ომსი (*Ooms*) და ვერსიპი (*Versyp*) ბელგიის წინააღმდეგ, §79.

<sup>2259</sup> ესერი (2002) 333.

<sup>2260</sup> ვოდენიკაროვი (*Vodenicarov*) სლოვაკეთის წინააღმდეგ, §33; ჰერცი (*Herz*) გერმანიის წინააღმდეგ, §64.

ინკორპორირების დოქტრინის საფუძველზე<sup>2281</sup>. დროზდის (*Drozdz*) და იანუსეკის (*Janousek*) საქმეში მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არც ყოფილა გამოყენებული. რთული გასაგებია, როგორ მივიდა ევროპული სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ თორმეტწლიანი პატიმრობის კანონიერების კონტროლი შეიძლება ჩაითვალოს იმ განაჩენში „ინკორპორირებულად“, რომელიც იყო კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამის სამართალწარმოების შედეგი.

#### ბ. შემდგომი განვითარება

ინკორპორირების დოქტრინის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ითვალისწინებს თავისუფლების ისეთ აღკვეთას, რომელიც ნაწილობრივ მაინც არის გამართლებული ისეთი ფაქტორებით, რომლებიც არ უკავშირდება სასამართლოს ფორმალურ გადაწყვეტილებას. ამის მაგალითია, როდესაც ითვლება, რომ ადამიანი საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მსგავსი ნარმოდგენა შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში და უსამართლო იქნებოდა, თუ ასეთ პატიმრობაზე არ გავრცელდებოდა დებულების მოქმედება. მთელ რიგ საქმეებში კომისიამ და სასამართლომ ეს შედეგი თავიდან აიცილეს ამგვარი გარემოებების გათვალისწინებით და შესაბამისად, დოქტრინა გაცილებით უფრო მოქნილი გახადეს.

### 5. გამონაკლისები ინკორპორირების დოქტრინიდან

#### ა. „სულით ავადმყოფობასთან“ დაკავშირებული პატიმრობა

“მანანალობის” საქმიდან ცხრა წლის შემდეგ, ინკორპორირების დოქტრინა პირველად იქნა გამოყენებული საქმეში, რომელშიც პატიმრობა განპირობებული იყო ფსიქიკური მდგომარეობით. *ვინტერვერპის* (*Winterwerp*) საქმეში სასამართლომ, კომისიის მსგავსად, დაადგინა, რომ ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე განუსაზღვრელი ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით, რომელიც შემდგომ გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა, ირლევოდა მე-4 პუნქტი, რადგან მიზეზს, რომელიც თავდაპირველად ამართლებდა პატიმრობას, შეიძლება შეენაცვებინა არსებობა. თუმცა ეს საკითხი დარჩა გადაუჭრელი, რადგან განმცხადებლისათვის თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული „სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს“<sup>2282</sup>.

ორი წლის შემდეგ საქმეში *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* სასამართლო, როგორც ჩანს, დაეყრდნო „*obiter dicta*“-ს აღნიშნული საქმიდან<sup>2283</sup>. განმცხადებელი მსჯავრდებული იქნა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის და სასამართლომ გასცა ბრძანება შეურაცხადებისთვის განკუთვნილი მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მისი მოთავსების შესახებ. განმცხადებლის დაპატიმრებას ითვალისწინებდა 1-ლი პუნქტის როგორც ა) ქვეპუნქტი, ისე ე) ქვეპუნქტი. ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ კრეატიულად განმარტა ის, რაც ითქვა „მანანალობის საქმეში“. ამ უკანასკნელში მან დაადგინა, რომ „პირისთვის თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილებაში“ შეიძლება ინკორპორირებული იყოს შემდგომი პატიმრობის კანონიერების კონტროლი. ამ შემთხვევაში კი სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეს განცხადება „არ შეეხება პატიმრობის შემდგომ

<sup>2281</sup> *ირიბარნ პერესი* (*Iribarne Pérez*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 30-1.

<sup>2282</sup> *ვინტერვერპი* (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 55.

<sup>2283</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 50.



პერიოდს, როდესაც შეიძლება ნამოიჭრას ახალი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ პატიმრობის კანონიერებაზე<sup>2264</sup>.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ზოგჯერ მოითხოვს სასამართლოს მიერ დაპატიმრების კანონიერების შემდგომი შემოწმების შესაძლებლობის არსებობას. ეს ჩვეულებრივ ვრცელდება სულით ავადმყოფი პირების პატიმრობაზე (1) პუნქტის მნიშვნელობით, როდესაც მიზეზებმა, რომლებმაც თავდაპირველად განაპირობეს დაპატიმრების გადანყევტილება, შეიძლება შეწყვიტოს არსებობა ... მე-5 მუხლის მიზანსა და დანიშნულებასთან შეუსაბამო იქნებოდა ... მე-4 პუნქტის განმარტება ისე, რომ ... ამ კატეგორიის დაპატიმრება თავისუფალი იყოს მისი კანონიერების შემდგომი განხილვისგან მხოლოდ იმიტომ, რომ საწყისი გადანყევტილება მიღებული იქნა სასამართლოს მიერ<sup>2265</sup> სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, აუცილებლად ერთი და იგივე არ იქნება ყველა შემთხვევაში და თავისუფლების აღკვეთის ყველა კატეგორიასთან მიმართებაში. სულით ავადმყოფი პირი, რომელიც იძულებით არის მოთავსებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განუსაზღვრელი ან ხანგრძლივი ვადით ... არსებითად უფლებამოსილია, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ადგილი არა აქვს სასამართლო ხასიათის ავტომატურ პერიოდულ გადასინჯვას, გონიერული ინტერვალებით მიმართოს სასამართლოს მისი პატიმრობის „კანონიერების“ საკითხზე ... იმის მიუხედავად, მისი დაპატიმრების ბრძანება გაიცა სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის სასამართლოს ან რომელიმე სხვა ორგანოს მიერ<sup>2266</sup>. ცხადია, რომ გარანტია მაშინაც გამოიყენება, თუ ბრალის გამომრიცხველი გარემოების არსებობისას ბრალდებულს არ დაეკისრა პასუხისმგებლობა და პირდაპირ მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში<sup>2267</sup>.

ამგვარი მიდგომა შემდგომში გავრცელდა ყველა სახის პატიმრობაზე, რომელიც ემყარება ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, იმის მიუხედავად, პირმა ჩაიდინა დანაშაული<sup>2268</sup> თუ არა<sup>2269</sup>.

### ბ. სახიფათო მსჯავრდებულების პატიმრობა

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართლში ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური მიღწევა, სავარაუდოდ, იყო იმის აღიარება, რომ დანაშაული არ იყო უბრალოდ ბოროტების, სატანის პროდუქტი, არამედ უკავშირდებოდა სხვადასხვა ფაქტორებს, რომელთა მიმართ მორალური მექანიზმების გამოყენება არაადეკვატური იყო. ამან გამოიწვია ხელმისაწვდომი

<sup>2264</sup> *Ibid.*, §51; იხ. აგრეთვე საქმე *E ნორვეგიის ნინაალმდე*, სადაც ინკორპორირების საკითხი არ იყო განხილული.

<sup>2265</sup> *ირიბარნ პერესი (Irribarne Pérez) საფრანგეთის ნინაალმდე*, §30; იხ. აგრეთვე *ვინტერვერპი (Winterwerp) ნიდერლანდების ნინაალმდე*, §55; *X გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდე*, §52; *ლუბერტი (Luberti) იტალიის ნინაალმდე*, §31.

<sup>2266</sup> *X გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდე*, §52; დადასტურდა საქმეში *კონიგი (König) სლოვაკეთის ნინაალმდე*, §19.

<sup>2267</sup> *სილვა როხა (Silva Rocha) პორტუგალიის ნინაალმდე*; *მაგელაჲს პერეირა (Magelhaes Pereira) პორტუგალიის ნინაალმდე*.

<sup>2268</sup> *ლუბერტი (Luberti) იტალიის ნინაალმდე*, §31.

<sup>2269</sup> *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების ნინაალმდე*, §33; (კონტროლი არ იყო ინკორპორირებული არასაკმარისი სამართალწარმოების გამო); *ვასინკი (Wassink) ნიდერლანდების ნინაალმდე*, §29 (კონტროლი ინკორპორირებულ იქნა იმის მიუხედავად, რომ „კანონით განსაზღვრული პროცედურა“ არ იყო მკაცრად დაცული – კომისიამ დაადგინა დარღვევა ჩვიდმეტი ხმით ერთის ნინაალმდე). იხ. აგრეთვე *კოენდიხარი (Koendjiharie) ნიდერლანდების ნინაალმდე*, §65.

მეთოდების სპექტრის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ შენარჩუნდა ტრადიციული სადამსჯელო ღონისძიებები, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა, ისინი გაერთიანდა ახალ „უსაფრთხოების ღონისძიებებში“, რომლებიც უფრო მეტად იყო ფოკუსირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, ვიდრე დამნაშავეის დასჯაზე<sup>270</sup>.

მიუხედავად ამისა, ბევრი ქვეყნის სისხლის სამართალში გავრცელებულია ამ ორი ტიპის სანქციის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ჩვეულებრივ, არასადამსჯელო სანქცია, რომელიც გამოიყენება მსჯავრდებულისგან მომავალი საფრთხის ნიადაგზე, განუსაზღვრელი ხანგრძლივობისაა. პატიმრობა არ შეწყდება მანამ, სანამ არ ჩაითვლება, რომ საფრთხე იმდენად შემცირდა, რომ შესაძლებელია მსჯავრდებულის გათავისუფლება, თუნდაც ზედამხედველობის ქვეშ გადაცემით ან გარკვეული პირობების საფუძველზე.

სასამართლომ პირველად განიხილა ეს საკითხი ვან დროენბროკის (*van Droogenbroek*) საქმეში. განმცხადებელი „გადაცემული იქნა მთავრობის განკარგულებაში“ (*“ter beschikkingstelling aan de regering”*)<sup>271</sup> და იუსტიციის მინისტრს შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების შესახებ. სასამართლომ გაიზიარა კომისიის მოსაზრება, რომ განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ ბრძანება გაცემული იყო არა სასამართლოს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ამდენად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი გამოიყენებოდა.

ეს საქმე მთლიანად შეესაბამება ინკორპორირების დოქტრინას, თუმცა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სერიით საფუძველი დაედო ახალ მიდგომას. ზემოთ უკვე მოვიყვანეთ მაგალითად X-ის საქმე, რომელშიც გარდა იმისა, რომ დადგინდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, ის აგრეთვე ჩაითვადა ფსიქიკურად დაავადებულად. *ვიქსის (Weeks)* საქმეში პოზიცია სრულიად განსხვავებული იყო. ამ საქმეში განმცხადებელი იყო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ცარიელი ვაზნებით დატენილი სტარტერით შეიარაღებულმა, გაქურდა ზოომალაზია. მან მოახერხა მხოლოდ ოცდათხუთმეტი პენსის ნაღება, რომელიც დაკარგა მალაზიიდან გასვლისას. მოგვიანებით განმცხადებელმა დარეკა პოლიციაში და ჩაბარდა. როდესაც პოლიცია მოვიდა მის დასაპატიმრებლად, ატყდა ჩხუბი, მოხდა რამდენიმე გასროლა და დაიჭრა პოლიციის ოფიცერი. მოსამართლემ სასჯელის სახით სამუდამო პატიმრობა დააკისრა მას და შემდეგნაირად განმარტა თავისი გადაწყვეტილება:

მოცემულ საქმეში სამუდამო პატიმრობა ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს განუსაზღვრელი ვადით პატიმრობას. თუ ციხეში ყოფნის გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამკურნალოდ მისი გადაყვანის საფუძველები, აქტის თანახმად, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გააჩნია ამის გაკეთების ფართო უფლებამოსილება. გარდა ამისა, როგორც კი ცხადი გახდება როგორც საზოგადოების, ისე თვით მისი გადმოსახედიდან და ვიმედოვნებთ, რომ ამას დიდი დრო არ დასჭირდება, თუმცა რთული სათქმელია, რომ უსაფრთხოა ამის გაკეთება, ყმანვილი აუცილებლად გათავისუფლდება. სამუდამო პატიმრობა, ერთი შეხედვით, განსაკუთრებით მისი ასაკის გათვალისწინებით, საშინლად უღერს, თუმცა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ სინამდვილეში ეს ამ ყმანვილის მიმართ მოწყალეების გამოხატვაა

<sup>270</sup> იხ. ანსელი (1981); იხ. აგრეთვე ლისტცი (1904) 1.

<sup>271</sup> ვან დროენბროკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ, § 19.

და სავარაუდოდ, მისცემს მას საშუალებას, გათავისუფლდეს იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რაც ერთადერთი ალტერნატივა იყო<sup>2272</sup>.

საბოლოოდ, განმცხადებელი პირობით იქნა გათავისუფლებული, თუმცა მისთვის დანესებული პირობების დარღვევის გამო, დააბრუნეს ციხეში. ამის შემდეგ მას აღარ შეეძლო *habeas corpus* პროცედურით სარგებლობა. შედეგად, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ სასჯელი „სპეციალურ კატეგორიას“ განეკუთვნებოდა, რომლითაც ახალგაზრდა მამაკაცი „დაექვემდებარა უსაფრთხოების ხანგრძლივ ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“<sup>2273</sup>. რადგან „ის საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ მოსამართლეები, როდესაც იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ ბ-ნი უიქსისთვის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა უნდა დაექვემდებაროს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციას მისი სიცოცხლის ბოლომდე, თავიანთი არსიდან გამომდინარე, შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს“, განმცხადებელს ჰქონდა უფლება, რომ მისგან მომდინარე საფრთხე განემოხრებოდა შემონგებულებით<sup>2274</sup>.

შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა *თინის (Thynne)*, *უილსონის (Wilson)* და *გუნელის (Gunnel)* საქმეში, როდესაც განმცხადებლებმა ჩაიდინეს ძალზე სერიოზული დანაშაულები, რაც ფსიქიკურ აშლილობას უკავშირდებოდა. სამივე მათგანს მიესაჯა დისკრეციული სამუდამო პატიმრობა, რომელიც შეიცავს ორ ელემენტს. პირველს უწოდებენ „ტარიფს“ და ის „აღნიშნავს პატიმრობის პერიოდს, რომელიც აუცილებელია დასჯისა და პრევენციის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის“. მეორე ელემენტი მოიცავს ნებისმიერ შემდგომ პატიმრობას, რომელიც ემსახურება უსაფრთხოების ინტერესებს<sup>2275</sup>. ტარიფი თავდაპირველად დაანესა დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, თუმცა ეს პროცედურა სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებასთან შეუსაბამოდ იქნა ცნობილი ევროპული სასამართლოს მიერ<sup>2276</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სატარიფო პერიოდის გასვლის შემდეგ, დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონოდა *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება.

იურისპრუდენციის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი სავალდებულო სამუდამო პატიმრობასთან დაკავშირებით. დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო უარს აცხადებდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენებაზე განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთის მიმართ. ერთადერთი გამონაკლისი იყო ბავშვებისთვის შეფარებული სასჯელი (იხ. ქვემოთ). სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ სავალდებულო სამუდამო პატიმრობაც უნდა დაექვემდებაროს განხილვას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, რადგან სავალდებულო სასჯელები განეკუთვნება ისეთ „კატეგორიას, რომელიც განსხვავდება დისკრეციული სასჯელისგან, ვინაიდან მათი დანიშნვა ხდება ავტომატურად, როგორც მკვლელობისთვის გათვალისწინებული

<sup>2272</sup> *უიქსი (Weeks) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 15.

<sup>2273</sup> *Ibid.*, § 46.

<sup>2274</sup> *Ibid.*, § 58.

<sup>2275</sup> *თინი (Thynne)*, *უილსონი (Wilson)* და *გუნელი (Gunnel) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 52-3; იხ. აგრეთვე მსგავსი საქმეები *ოლდჰემი (Oldham) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *ჰირსტი (Hirst) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.

<sup>2276</sup> *ისტერბროუკი (Easterbrook) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 26.

სასჯელის, დამნაშავესგან მომდინარე საფრთხესთან დაკავშირებული მოსაზრებების მიუხედავად<sup>2277</sup>.

საბოლოოდ, *სტეფორდის (Stafford)* საქმეში სასამართლომ შეცვალა ეს მიდგომა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა მკაფიოდ<sup>2278</sup>. მან აღიარა, რომ სავალდებულო სამუდამო პატიმრობაც შეიცავდა ორ ელემენტს. პირველი იყო „სატარიფო“, რომელიც მთლიანად სასჯელის ხასიათს ატარებდა და არ ანიჭებდა პატიმარს სასამართლოს მიერ დაპატიმრების კანონიერების შემოწმების უფლებას. მეორეს კი წარმოადგენდა შემდგომი პერიოდი, რომელიც გამართლებული იყო პატიმრისგან მომდინარე საფრთხის ნიადაგზე, რომელიც ექვემდებარებოდა ცვლილებას დროთა გამავლობაში და რომელზეც ვრცელდებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი<sup>2279</sup>.

ეს გადაწყვეტილება ნამოჭრის საინტერესო შეიკთხევებს იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა ასეთი მიდგომის გამოყენება სხვა ქვეყნებშიც, სადაც არ არსებობს „სატარიფო“ სისტემა. მრავალ ქვეყანაში თვით ის პირები, რომლებსაც სამუდამო თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი, შეიძლება ვადამდე პირობით გათავისუფლდნენ პირობით<sup>2280</sup>. გათავისუფლებას ძირითადად საფუძვლად უდევს მოლოდინი, რომ პირი აღარ დაარღვევს კანონს. ამ არგუმენტის მეორე მხარე გულისხმობს, რომ პატიმრობის გაგრძელება შესაძლო გათავისუფლების ყველაზე ადრეული ვადის შემდეგ ემყარება. ვარაუდს, რომ ადამიანი ჯერ კიდევ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. ეს კი ნიშნავს, რომ *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება ნამოჭრება იმ მომენტიდან, როდესაც პატიმარი შეიძლება პირობით გათავისუფლდეს. სასამართლოს დღემდე არ მისცემია ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა, თუმცა იურისპრუდენცია გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა წარმატებული იქნება, მათ შორის მთელ ევროპაში კონვენციის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

გ. არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის განკუთვნილი სასჯელი  
ზემოთ უკვე შევხებთ *ვიქსის (Weeks)* საქმეს, რომელშიც 17 წლის არასრულწლოვანი მიჩნეული იქნა საზოგადოებისათვის ძალზე სახიფათო დამნაშავედ. *სინგის (Singh)* და *ჰუსაინის (Hussain)* საქმეებში განმცხადებლები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, დააპატიმრეს მკვლევლობის ჩადენის შემდეგ „მისი უდიდებულესობის ნება-სურვილის“ საფუძველზე. მათი სასჯელი ასევე შედგებოდა ორი ელემენტისგან: სატარიფო ვადა და შემდგომი პერიოდი, რომლის განმავლობაში ისინი შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ პატიმრობაში,

<sup>2277</sup> უაინი (*Wynne*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 35. იხ. აგრეთვე X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 9089/80; ჰოგბენი (*Hogben*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 11653/85.

<sup>2278</sup> ეს არის საკითხი, რომლიც საჭიროებს „*obiter dictum*“-ს: რატომ ცდილობს სასამართლო თავისი პრეცედენტული სამართლის შეცვლას ასე ფარულად? ეზინია თუ არა მას კრიტიკის ან ადრეული გადაწყვეტილებების იმპლიციტურად გაკრიტიკების? აქვს თუ არა უფლება ევროპის იურიდიულ საზოგადოებას, რომ მოითხოვოს გარკვეულობა? ეს კითხვები უპასუხოვდ რჩება, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მცდარი პრაქტიკა (მაგ: *ჰუბერი (Huber)* შევიცარიის წინააღმდეგ და *ბორგერსი (Borgers)* ბელგიის წინააღმდეგ) მალე გაქრება.

<sup>2279</sup> *სტეფორდი (Stafford)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 87; დადასტურდა საქმეებში *ვონ ბიულოუ (Von Bülow)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 23-1; უაინი (*Wynne*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ნომ. 2), § 24-6; *ჰილი (Hill)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 19-22.

<sup>2280</sup> მაგ: SPC, 38-ე მუხლი 1(1) პუნქტი (თხუთმეტი წლის შემდეგ); შესწორებული SPC, 68(5) მუხლი (ათი წლის შემდეგ).

თუ ჩაითვლებოდა, რომ ძველებურად საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებას. ასეთი ვითარება დისკრეციული სამუდამო პატიმრობის მსგავსია. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „ახალგაზრდა მსჯავრდებულის განუსაზღვრელი ვადით დაპატიმრება, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მისი სიცოცხლის ბოლომდე, შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საზოგადოების დაცვის აუცილებლობით“. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა დამნაშავეთა ზრდასთან ერთად მათი პიროვნებისა და დამოკიდებულების ნებისმიერი ცვლილების მხედველობაში მიღება<sup>2281</sup>. აქედან გამომდინარე, სატარიფო პერიოდის ამონურვის შემდეგ, მათ უნდა ჰქონოდათ პერიოდულად პატიმრობის ლეგიტიმურობის გასაჩივრების უფლება.

საქმეები *T გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>2282</sup> შეეხებოდა ორ ბიჭს, რომლებმაც ჩაიდინეს ჩვილი ბავშვის გახმაურებული მკვლელობა. მათ ასევე მიესაჯათ განუსაზღვრელი ვადით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ კვლავ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. მისი განცხადებით, ამ საქმეში „ტარიფი“ თავდაპირველად დანესებული იყო დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და არა განაჩენის გამომტანი მოსამართლის მიერ. ამდენად, ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ვერ იქნებოდა ინკორპორირებული სასამართლოს განაჩენში. აქედან გამომდინარე, *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება წამოიჭრა განაჩენის გამომტანისთანავე.

**დ. დაკავება ჯარიმის გადაუხდელობისთვის**

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი დააპატიმრეს საბაჟოს ჯარიმის გადაუხდელობისთვის. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირის გადახდის- უნარიანობა გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ფაქტორი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. როდესაც ჯარიმის გადაუხდელობა იწვევს თავისუფლების აღკვეთას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს განმცხადებლის დაპატიმრების კანონიერების შემონახვის პროცედურა. საქმეში *სოუმარი (Soumare) საფრანგეთის წინააღმდეგ* განმცხადებელს მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა და საბაჟო ჯარიმის გადახდა, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში დაპატიმრება. საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ განმცხადებელი დააპატიმრეს შემდგომი ვადით ჯარიმის გადაუხდელობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი დაპატიმრება ადეკვატური შემონახვის გარეშე ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს<sup>2283</sup>.

**გ. სასამართლო კონტროლის ფარგლები მე-4 პუნქტის საფუძველზე**

**1. ზოგადი მიმოხილვა**

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები ყოველთვის იდენტური არ იქნება ყველა საქმესთან მიმართებით<sup>2284</sup>. მთავარია განხილვა იყოს საკმარისად ფართო, რათა

<sup>2281</sup> *სინგი (Singh) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §61; *ჰუსეინი (Hussain) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §53.

<sup>2282</sup> *T გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 119; *V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 120.

<sup>2283</sup> *სოუმარი (Soumare) საფრანგეთის წინააღმდეგ*.

<sup>2284</sup> *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §60; *ჩალალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს*

ხელი შეუწყოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ადამიანის კანონიერი დაპატიმრებისთვის ყველა არსებითი პირობის გადამოწმებას<sup>2265</sup>. მაგალითად, მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ უფლებამოსილმა სასამართლომ უნდა განიხილოს „არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნების შესრულება, არამედ ასევე იმ ეჭვის გონიერულობა, რომელსაც ემყარება დაკავება და იმ მიზნის ლეგიტიმურობა, რომელსაც ემყარება ეს დაკავება და შემდგომი პატიმრობა“<sup>2266</sup>. ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში, „*habeas corpus* პროცედურის ფარგლებში სასამართლოებს მიერ განსახორციელებელი შემონმების დროს აქცენტი გაკეთდება მხოლოდ იმ დისკრეციის განხორციელების შესაბამისობაზე“, რომელიც გააჩნიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს<sup>2267</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, თვით ინგლისურ სამართალში არსებული *habeas corpus* პროცედურის ინსტიტუტი, რომლიდანაც მომდინარეობს მე-4 პუნქტი, ამ გარანტიის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ ჩაითვალა.

მეორე მხრივ, მე-5 მუხლის 1(ვ) პუნქტის საფუძველზე დეპორტაციის ან ექსტრადიციის ღონისძიებებთან დაკავშირებული პატიმრობის დროს აუცილებელი სასამართლო განხილვა ძალზე ვიწროა. ასეთი პატიმრობა გამართლებულია მთავრობის გადაწყვეტილებით, მოახდინოს შესაბამისი პირის დეპორტაცია ან ექსტრადიცია და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ მოითხოვს ეროვნული სასამართლოებისგან ამ გადაწყვეტილების საფუძველიანობის შემოწმებას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ან კონვენციის საფუძველზე<sup>2268</sup>.

მე-4 პუნქტის შესაბამისად, სასამართლო კონტროლის ფარგლებთან დაკავშირებით იბადება ორი კითხვა: რა სახის „კანონიერება“ უნდა შემოწმდეს და შემოწმების რა ხარისხია აუცილებელი?

რაც შეეხება პირველ შეკითხვას, ცხადია, რომ მე-5 მუხლის ნაკითხვა უნდა მოხდეს მთლიანობაში. ამდენად, „სასამართლომ“, რომელიც მოხსენიებულია მე-4 პუნქტში, უნდა განსაზღვროს „შეესაბამება თუ არა დაპატიმრება როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობას, ისე კონვენციის ტექსტს, მასში გამოხატულ ზოგად პრინციპებს და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დაშვებული

---

ნინალდდე, §127. იხ. აგრეთვე მაკეი (McVeigh), ო'ნილი (O'Neill) და ევანსი (Evans) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, განაცხადები 8022/77. 8025/77 და 8027/77; კაპრინო (Caprino) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, განაცხადი 6871/75, §64.

<sup>2265</sup> E ნორვეგიის ნინალდდე, §50; ჩალალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §127; ჯეიუსი (Jécius) ლიტვის ნინალდდე, §101.

<sup>2266</sup> იხ. მაგ: ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §65; ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის ნინალდდე, §58; ჯეიუსი (Jécius) ლიტვის ნინალდდე, §100; გრაუსისი (Grausis) ლიტვის ნინალდდე, §51-5; ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის ნინალდდე, §94; სტასაიტისი (Stasaitis) ლიტვის ნინალდდე, §90; ბულტევიჩიუსი (Butkevicius) ლიტვის ნინალდდე, §43. ესერი (2002) 328.

<sup>2267</sup> X გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §56; იხ. აგრეთვე ვიქსი (Weeks) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §69; დადასტურდა საქმეებში თინი (Thynne), უილსონი (Wilson) და გუნელი (Gunnell) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §80; ორლანდია გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §200; ამის საპირისპიროდ დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრის პროცედურა ადეკვატურად ჩაითვალა საქმეებში ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე (§75) და მაკეი (McVeigh), ო'ნილი (O'Neill) და ევანსი (Evans) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე (განაცხადები 8022/77. 8025/77 და 8027/77).

<sup>2268</sup> ჩალალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, §128; კაპრინო (Caprino) გაერთიანებული სამეფოს ნინალდდე, განაცხადი 6871/75; კონკა (Conka) ბელგიის ნინალდდე, კომისიის ანგარიში, §38.

მზღლუდეების მიზნებს<sup>2289</sup>.“ -ერთსა და იმავე თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით „კანონიერების“ ცნებას უნდა ჰქონდეს იდენტური მნიშვნელობა 1-ლ ... და მე-4 პუნქტებში“<sup>2290</sup>.

## 2. უფლების დაცვის არაეფექტიანი საშუალებები

სტრასბურგის ორგანოებმა განიხილეს რამდენიმე სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც არ აკმაყოფილებდა *habeas corpus* პროცედურის მოთხოვნებს. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო მოხელის ბრალეულობის ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენაზეა ორიენტირებული დაპატიმრების კანონიერების საკითხზე მისთვის წარდგენილი საჩივრების იგნორირების გამო და არა დაპატიმრებული პირის გათავისუფლებაზე, საკმარისი არ იქნება ამ დებულების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის<sup>2291</sup>. სამართლებრივი დაცვის საშუალებამ განმცხადებელს უნდა მისცეს მისი დაპატიმრების კანონიერების გადასინჯვის შესაძლებლობა. მხოლოდ კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა ვერ დააკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს<sup>2292</sup>. *კეუსის (Keus)* საქმეში სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ პროცედურა „*kort geding*“ რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას. ეს გარემოება საკმაოდ საეჭვო ხასიათის იყო, რადგან ამ პროცედურის შესახებ მთავრობამ ისაუბრა მხოლოდ ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვისას<sup>2293</sup>.

„კანონიერების“ საკითხი უნდა განვასხვაოთ თვითნებობისგან. ეს უკანასკნელი შეეხება გადაწყვეტილებას, რომელსაც არც ერთი გონიერი მოსამართლე არ მიიღებდა. ამდენად, სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც სასამართლოს ზღუდავს იმის შემონახვით, რამდენად თვითნებური იყო დაპატიმრება, ვერ იქნება „ეფექტიანი“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით<sup>2294</sup>. თუმცა საქმეში *E ნორვეგიის წინააღმდეგ* სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ეს პრინციპი და გადაწყვიტა, რომ საკმარისი იქნებოდა, თუ ეროვნულ სასამართლოებს ექნებოდათ იმის განხილვის უფლებამოსილება, რამდენად „თვითნებური“ იყო განმცხადებლის დაპატიმრება<sup>2295</sup>. გარდა ამისა, სასამართლომ პრობლემად არ ჩათვალა ის ფაქტი,

<sup>2289</sup> *თინი (Thynne)*, *უილსონი (Wilson)* და *გუნელი (Gunnell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61; იხ. აგრეთვე *ბროგანი (Brogan)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §65; *E ნორვეგიის წინააღმდეგ*, §50; *იუქსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §57; *ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck)* ბელგიის წინააღმდეგ, §48. X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §57.

<sup>2290</sup> *აშინგდანი (Ashingdane)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52.

<sup>2291</sup> იხ. მაგ.: *ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck)* ბელგიის წინააღმდეგ, §51; *საბურ ბენ ალი (Sabeur Ben Ali)* მალტის წინააღმდეგ, §39; იხ. აგრეთვე *კადემი (Kadem)* მალტის წინააღმდეგ, §52.

<sup>2292</sup> *ოჯალანი (Öcalan)* თურქეთის წინააღმდეგ, §75.

<sup>2293</sup> *კეუსი (Keus)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §28. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ; იხ. მოსამართლეების რისდალის, პეტიტის, ბერნჰარტის და მპილმანის განსხვავებულობა; ახრი, 70; კომისია ერთსულოვანი იყო დარღვევის დადგენისას. ალკმა (1991) 2630. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თავის შენიშვნაში აცხადებს, რომ სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებას (ჯერ) არ ჰქონდა გაედილი ეფექტიანობის ტესტი.

<sup>2294</sup> იხ. *ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §200.

<sup>2295</sup> *E ნორვეგიის წინააღმდეგ*, §60. კომისიამ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას; ეს სახიფათო შეცდომა განმეორდა საქმეში *მინჯატი (Minjati)* შვეიცარიის წინააღმდეგ (§48), რომელშიც სასამართლო დაკმაყოფილდა იმით, რომ დაპატიმრება არ

რომ „ნორვეგიის უზენაეს სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილება შეიძლება უარყოფილი იყოს სასამართლო განხილვის პროცესში“<sup>2296</sup>. სხვა საქმეებში, როგორც სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის კონტექსტში<sup>2297</sup>, ისე სხვა გარემოებების არსებობისას<sup>2298</sup>, სასამართლო მოითხოვდა სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობის ჩვენებას ადრეულ გადაწყვეტილებებზე მითითებით<sup>2299</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონმდებლობაზე *in abstracto*, ის იხილავს კანონების გამოყენებას. ნიკოლოვას (Nikolova) საქმეში კანონი განმცხადებლისაგან მოითხოვდა გონივრულ ეჭვს მიღმა იმის დამტკიცებას, რომ არ არსებობდა მიმალვის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის ან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თუნდაც ჰიპოთეტური საფრთხე. სასამართლომ განაცხადა, რომ, რადგან ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა კანონიერების საკითხისთვის რელევანტური განმცხადებლის არგუმენტები, ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას<sup>2300</sup>.

როგორც ჩანს, ამ ორ საქმეში სასამართლომ ჯეროვანი მნიშვნელობა არ მიანიჭა იმ მოთხოვნას, რომ დაპატიმრების გადასინჯვის ხელმისაწვდომი პროცედურა უნდა იყოს ნათელი და მკაფიო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია მიზნად ისახავს ისეთი გარანტიების უზრუნველყოფას, რომლებიც არა „ეთორიული და მოჩვენებითი, არამედ ... პრაქტიკული და ეფექტიანი“<sup>2301</sup>.

კანონის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველობა. ასეთი ვითარება იყო შექმნილი *სოუმარის* (Soumare) საქმეში, როდესაც პარიზის სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ძველ პრეცედენტულ სამართალს. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებლის ადვოკატს შეეძლო და უნდა გაცნობოდა ახალ პრეცედენტულ სამართალს<sup>2302</sup>.

სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობას შეიძლება განსაკუთრებულ პრობლემას უქმნიდეს ქვეყნის ფედერალური მონყობა. RMD-ის საქმეში განმცხადებელი დააპატიმრეს შვეიცარიის ერთ-ერთ კანტონში. ის ეჭვმიტანილი იყო დანაშაულის ჩადენაში ერთდროულად რამდენიმე კანტონში, რის გამოც მას გზავნიდნენ პოლიციის ერთი განყოფილებიდან მეორეში. ყოველ კანტონში ის მოითხოვდა *habeas corpus* პროცედურით სარგებლობას, თუმცა სანამ სასამართლო შეძლებდა მისი საქმის განხილვას, მას უკვე სხვა კანტონში და შესაბამისად, სხვა იურისდიქციაში გზავნიდნენ. სასამართლომ, კომისიის მსგავსად,

---

იყო თვითნებური”.

<sup>2296</sup> *Ibid.*

<sup>2297</sup> დე იონგი (De Jong), ბალიეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §39.

<sup>2298</sup> ვან დრუგენბროეკი (Van Droogenbroeck) ბელგიის წინააღმდეგ, §54; საკიკი (Sakik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, §53.

<sup>2299</sup> იხ. აგრეთვე ესერი (2002) 331.

<sup>2300</sup> ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ, §61; ილიაკოვი (Ilijkov) ბულგარეთის წინააღმდეგ, §94.; ხრისტოვი (Hristov) ბულგარეთის წინააღმდეგ, §117; მიჰო (Mihov) ბულგარეთის წინააღმდეგ, §103; იანკო (Ianko) ბულგარეთის წინააღმდეგ, §176-86; ჰამანოვი (Hamanov) ბულგარეთის წინააღმდეგ, §79-85.

<sup>2301</sup> არტიკო (Artico) იტალიის წინააღმდეგ, §33.

<sup>2302</sup> სოუმარი (Soumare) საფრანგეთის წინააღმდეგ, §39-43.



ალიარა, რომ ამ შემთხვევაში პრობლემა ქვეყნის ფედერალურ მონყობაში მდგომარეობდა, თუმცა ასევე განაცხადა, რომ „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თავისი სასამართლო სისტემის ისეთი ორგანიზება, რომ სასამართლოებს ჰქონდეთ საშუალება, შეასრულონ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები“<sup>2303</sup>. ესერი აკრიტიკებდა ამ გადაწყვეტილებას, რადგან სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ სამ შემთხვევაში მოსამართლემ დაადასტურა განმცხადებლის დაპატიმრების კანონიერება<sup>2304</sup>. თუმცა ავტორი საუბრობს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ვერ შეცვლიან *habeas corpus* პროცედურას.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ დაპატიმრებულმა პირმა ჯეროვანი გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს თავისი უფლებებით სარგებლობისას. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის მსგავსად, დაპატიმრებულმა უნდა დაიცვას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნები *habeas corpus* პროცედურით სარგებლობისას<sup>2305</sup>. იმ შემთხვევაშიც, თუ წესები ზედმინეებით ფორმალისტურია, ეროპული სასამართლო პატივს სცემს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ მათ მკაცრ გამოყენებას.

### 3. ეროვნული უშიშროების საკითხები

სასამართლოს განუხილავს ისეთი საქმეები, როდესაც ხელშემკერელ სახელმწიფოებს თითქოს გააჩნდათ სასამართლო კონტროლის სფეროში ჩარევის ლეგიტიმური ინტერესი. რამდენიმე საქმეში ეროვნული უშიშროების ან სხვა ინტერესების გამო, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს განმცხადებლის დაპატიმრებასთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა<sup>2306</sup>. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ შეიძლება ზოგჯერ შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც კონფიდენციალური მასალების გამოყენება გარდაუვალია, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს იმ ვალდებულებისგან, რომ უზრუნველყონ ეროვნული სასამართლოების მიერ თავისუფალი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა<sup>2307</sup>. სასამართლო შეცდება მოიძიოს სახელმწიფოს მცდელობის მტკიცებულება, რომ მოეხდინა „დაზვერვის მონაცემების ხასიათისა და წყაროების შესახებ ეროვნული უშიშროების ლეგიტიმური ინტერესების დაკმაყოფილება და ამავდროულად, პირისთვის საპროცესო მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი ხარისხის უზრუნველყოფა“<sup>2308</sup>.

## დ. საპროცესო მოთხოვნები

### 1. შესავალი

*Habeas corpus* პროცედურის საპროცესო ასპექტები არის ყველაზე სადავო საკითხი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე. თავდაპირველად

<sup>2303</sup> RMD შევიცარიის წინააღმდეგ, §54.

<sup>2304</sup> ესერი (2002) 342.

<sup>2305</sup> კამპანისი (*Kampanis*) საბურძნეთის წინააღმდეგ, §50-1.

<sup>2306</sup> ჩალალი (*Chahal*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §130; ალ-ნაშიფი (*Al-Nashif*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §94; X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61.

<sup>2307</sup> ფოქსი (*Fox*), კემპბელი (*Campbell*) და ჰარტილი (*Hartley*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §34; მიურეი (*Murray*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §58; ჩალალი (*Chahal*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §131.

<sup>2308</sup> ჩალალი (*Chahal*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §131.

ნომისტერის (*Neumeister*) საქმეში სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის დებულებები და კერძოდ, მხარეთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნები არ ვრცელდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სამართალწარმოებაზე<sup>2309</sup>. თუმცა დროთა განმავლობაში დაპატიმრებული პირის უფლებები ასეთ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. შედეგად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული პროცედურა დღეს უკვე რამდენიმე ნიშნით ჰგავს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართალწარმოებას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს იურისპრუდენცია განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა საფუძველს ეყრდნობა თავისუფლების აღკვეთა. ქვემოთ ძირითადად წინასწარ პატიმრობას განვიხილავთ<sup>2310</sup>.

პირველ რიგში, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სასამართლომ, რომელიც უფლებამოსილია, განსაზღვროს თავისუფლების აღკვეთის კანონიერება და გასცეს დაპატიმრებული პირის გათავისუფლების ბრძანება. გარანტია ასევე მოითხოვს, რომ საკითხის განხილვისას სასამართლომ უზრუნველყოს „სასამართლო განხილვის გარანტიები“. ეს ნიშნავს შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ სასამართლო განხილვას, რომელიც უზრუნველყოფს დაპატიმრებულისა და პროკურორის თანასწორუფლებიანობას და დაცვის უფლებების პატივისცემას<sup>2311</sup>. ამ საკითხებს თანმიმდევრობით განვიხილავთ.

როგორც სასამართლომ განაცხადა, „მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული გარანტიის ქვაკუთხედია ის, რომ დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიერ მისი პატიმრობის გადასინჯვის ეფექტიანად მოთხოვნის უფლება“<sup>2312</sup>. გარდა ამისა, ამ უფლების არსებობა საკმარისად ცხადი უნდა იყოს<sup>2313</sup>.

## 2. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

### ა. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ტექსტი მკაფიოდ აცხადებს, რომ უფლებამოსილი ორგანო უნდა იყოს „სასამართლო“. თუმცა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტზე დაყრდნობის ნაცვლად სტრასბურგის ორგანოებმა გადაწყვიტეს ავტონომიური ცნების შემუშავება *habeas corpus* პროცედურის მიზნებისთვის: „აუცილებელი არ არის, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში ნახსენები „სასამართლო“ იყოს კანონის შესაბამისად მოქმედი კლასიკური ტიპის სასამართლო, რომელიც ინტეგრირებულია ქვეყნის სტანდარტულ სასამართლო სისტემაში. ტერმინი

<sup>2309</sup> ნომისტერი (*Neumeister*) ავსტრიის წინააღმდეგ, §22; იხ. აგრეთვე *მეცნეტერი* (*Malznetter*) ავსტრიის წინააღმდეგ, §13.

<sup>2310</sup> პრეცედენტული სამართლის შეჯამებისთვის იხ. *მეგიერი* (*Megyeri*) გერმანიის წინააღმდეგ (§22); *ლუტი* (*lutz*) გერმანიის წინააღმდეგ, §40-2; *გარსია ალვა* (*Garcia Alva*) გერმანიის წინააღმდეგ, §40-3; *შოპსი* (*Schops*) გერმანიის წინააღმდეგ, §44; *ლიტკოვი* (*Lietzow*) გერმანიის წინააღმდეგ, §45; *მიგონი* (*Migdon*) პოლონეთის წინააღმდეგ, §66, 69; *შიშკოვი* (*Shishkov*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §77; *ნიკოლოვა* (*Nikolova*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §58; *ნიედბალა* (*Niedbala*) პოლონეთის წინააღმდეგ, §66; *ტრასკა* (*Trzaska*) პოლონეთის წინააღმდეგ, §74.

<sup>2311</sup> რამდენიმე საქმეში სასამართლომ გაიმეორა ეს მოთხოვნები მეტ-ნაკლებად იდენტური ფორმულირების გამოყენებით. იხ. მაგ: *ლანცი* (*Lanz*) ავსტრიის წინააღმდეგ, §40-2; *ნიკოლოვა* (*Nikolova*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §58; *ვლოხი* (*Wloch*) პოლონეთის წინააღმდეგ, §125.

<sup>2312</sup> *რაკევიჩი* (*Rakevich*) რუსეთის წინააღმდეგ, §43; *მუსიატი* (*Musial*) პოლონეთის წინააღმდეგ, §43.

<sup>2313</sup> *მამაჩი* (*Mamac*) და *სხეები თურქეთის წინააღმდეგ*, §41; *საკიკი* (*Sakik*) და *სხეები თურქეთის წინააღმდეგ*, §53; *სარიკაია* (*Sarikaya*) თურქეთის წინააღმდეგ, §60.

აღნიშნავს ორგანოებს, რომლებსაც ახასიათებთ არა მხოლოდ საერთო ძირითადი ნიშნები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქმის მხარეებისგან ... არამედ, ასევე „მოცემული თავისუფლების აღკვეთის სახეობის შესაფერისი“, „სასამართლო ხასიათის“ „გარანტიები“, რომელთა ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს, თუმცა უნდა მოიცავდნენ დაპატიმრების კანონიერების „განსაზღვრისა“ და უკანონო პატიმრობის შემთხვევაში დაპატიმრებული პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილებას“<sup>2314</sup>. მაგალითად, ცხადია, რომ პროკურორი ვერ ჩაითვლება „სასამართლოდ“ და გაუგებარია, რატომ ნამოჭრის მუდმივად ამ საკითხს, *inter alia*, თურქეთის მთავრობა<sup>2315</sup>.

ეს განსაზღვრება ოდნავ ბუნდოვანი ხდება, როდესაც ის გამოიყენება ინკორპორაციის დოქტრინასთან კავშირში. მაგალითად, *ვასინკის (Wassink)* საქმეში სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე უდავოდ „სასამართლოა“ ორგანიზაციული თვალსაზრისით, თუმცა ევროპული სასამართლო მუდმივად აცხადებდა, რომ ამ ტიპის ერთი პირისგან შემდგარი ორგანოს ჩარევა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს მხოლოდ იმ პირობით დააკმაყოფილებს, თუ სამართალწარმოება სასამართლო ხასიათის მქონეა ...“<sup>2316</sup>. ეს განცხადება შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული, რადგან ის ერთმანეთს უკავშირებს ერთი მოსამართლის მიერ „სასამართლოს“ ფორმირების შესაძლებლობასა და მინიმალური საპროცესო გარანტიების დაცვის მოთხოვნას. ცხადია, რომ ასეთი საპროცესო გარანტიები უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმის მიუხედავად, თუ რამდენი ადამიანისგან შედგება „სასამართლო“<sup>2317</sup>.

ასევე ნათელია, რომ იუსტიციის მინისტრი არ შეიძლება განხილულ იქნეს „სასამართლოდ“<sup>2318</sup>. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოსაზრება, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისია საკმაოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს გარანტიის მოთხოვნები<sup>2319</sup>. თუმცა რთულია დაეთანხმო ევროპულ სასამართლოს, როდესაც ის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებულ საქმეებში აცხადებს, რომ გამომძიებელი მოსამართლე შეიძლება

<sup>2314</sup> *ჰალჩისონ რიდი (Hutchison Reid) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §63; *ვერდნობა ვიქსი (Weeks) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §61. იხ. აგრეთვე *დე ვილდე (De Wilde), ომსი (Ooms)* და *ვერსიპი (Versyp)* ბელგიის წინააღმდეგ, §78; *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §53. საქმეში *DN შვეიცარიის წინააღმდეგ* (§42) სასამართლომ კვლავ ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის ელემენტს, თუმცა საქმე ძირითადად ეხება მიუკერძოებლობას.

<sup>2315</sup> *მაგ: დალკილიჩი (Dalkilic) თურქეთის წინააღმდეგ; მურატ სატიკი (Murat Salik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, სატიკი (Sakik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*; თუმცა იხ. აგრეთვე *ვარბანოვი (Varbanov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, §58.

<sup>2316</sup> *ვასინკი (Wassink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §30; იხ. აგრეთვე *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §57. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ასევე ჩაითვალა „სასამართლოდ“ საქმეებში *კეუსი (Keus) ნიდერლანდების წინააღმდეგ* (§28) და *ვან დროოგენბროკი (Van Droogenbroeck) ბელგიის წინააღმდეგ* (§54). თუმცა ამ უკანასკნელ საქმეში მისი კომპეტენცია არ იყო განსაზღვრული.

<sup>2317</sup> *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §46.

<sup>2318</sup> *კეუსი (Keus) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §28.

<sup>2319</sup> *ვიქსი (Weeks) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §62; დადასტურდა საქმეში *თინი (Thynne), უილსონი (Wilson) და გუნელი (Gunnell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §80. იხ. აგრეთვე ბელგიის ფსიქიკური ჯანმრთელობის კომისიასთან დაკავშირებით საქმეები *X ბელგიის წინააღმდეგ* (განაცხადი 6859/74) და *დოესტი (Dhoest) ბელგიის წინააღმდეგ* (განაცხადი 10448/83).

ჩაითვალოს „სასამართლოდ“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით<sup>220</sup>. სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის ქვეყანაში სასამართლო სისტემის ორგანიზაციის გათვალისწინებით გამოძიებული მოსამართლე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან, ის მაინც ვერ ჩაითვლება მიუკერძოებლად. სწორედ მის პასუხისმგებლობაში შედის გამოძიების წარმატებული დასრულება და ამდენად, მას გააჩნია ბრალდებულის მიმალვის ან მის მიერ მტკიცებულებების განადგურების თავიდან აცილების ინტერესი. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, გამოძიებული მოსამართლე გასცემს ან ამტკიცებს (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე) დაპატიმრების ბრძანებას და ამდენად, მას მოუწევს თავისივე გადაწყვეტილების გადასინჯვა<sup>221</sup>. მომავალში გამორჩნდება, გამოიწვევს თუ არა ამ სფეროში იურისპრუდენციის ცვლილებას *HB*-ის საქმე, რომელშიც გადაწყდა, რომ გამოძიებული მოსამართლე ვერ ჩაითვლებოდა უფლებამოსილ მოხელედ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დაპატიმრების საკითხის გადასაწყვეტად<sup>222</sup>.

„ობიექტური მიუკერძოებლობის“ საკითხი ასევე წამოიჭრა საქმეში *DN შვეიცარიის წინააღმდეგ*<sup>223</sup>. „ადმინისტრაციული სააპელაციო კომისიის“ ერთ-ერთი წევრი, რომელსაც უნდა განეხილა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გათავისუფლების შესახებ განმცხადებლის განცხადება, ამავდროულად ასრულებდა მომხსენებლის ფუნქციას და მოამზადა ანგარიში განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მთავრობა და კომისიის წევრთა უმცირესობა ამტკიცებდა, რომ ამით ზიანი არ მისდგომია ადმინისტრაციული სააპელაციო კომისიის მიუკერძოებლობას და მაგალითად იქნა მოყვანილი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის წევრების პრაქტიკა, რომლებიც, დელეგატების სახით, ართმევდნენ ჩვენებებს და ატყობინებდნენ თავიანთ კოლეგებს დაკითხვის შედეგების შესახებ. სასამართლოსთვის გადამწყვეტ ელემენტად იქცა ის ფაქტი, რომ ამ საქმეში ადმინისტრაციული სააპელაციო კომისიის შესაბამისი წევრი არა მხოლოდ ინფორმაციას აწვდიდა თავის კოლეგებს, არამედ განმცხადებელსაც გააცნო თავისი წინასწარი მოსაზრება.

სასამართლოს აზრით, ამ ვითარებაში განმცხადებელს სრულიად ლეგიტიმური შიში ჰქონდა, რომ ... [კომისიის შესაბამის წევრს] წინასწარ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ მისი განცხადების მიმართ და ამდენად, ამ საქმეს არ უდგებოდა ჯეროვანი მიუკერძოებლობით ... განმცხადებლის შიშს ასევე აძლიერებდა მისი მდგომარეობა ადმინისტრაციულ სააპელაციო კომისიაში, სადაც ის იყო ერთადერთი ფსიქიატრი ექსპერტი მოსამართლეებს შორის და ასევე ერთადერთი ადამიანი, რომელიც განმცხადებელს გაესაუბრა. განმცხადებელს ჰქონდა ლეგიტიმური შიშის საფუძველი, რომ მის მოსაზრებას დიდი წონა ექნებოდა გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლოს აზრით, მთლიანობაში ალებული ეს გარემოებები ობიექტურად ასაბუთებდა განმცხადებლის შიშს, რომ ადმინისტრაციული

<sup>220</sup> ბეზიჩერი (*Beziehen*) იტალიის წინააღმდეგ, §20; ლამი (*Lamy*) ბელგიის წინააღმდეგ, §27-8; დოუიები (*Douiyeb*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §58.

<sup>221</sup> დე კუბერი (*De Cubber*) ბელგიის წინააღმდეგ, §124.

<sup>222</sup> *HB* შვეიცარიის წინააღმდეგ, §55-64.

<sup>223</sup> იხ. თავი VI, ქვეთავი I.

სააპელაციო კომისიის მოსამართლე განიციდდა აუცილებელი მიუქერძობლობის ნაკლებობას<sup>2324</sup>.

ასეთი მიდგომა არ არის ბოლომდე დამაჯერებელი. რატომ უნდა მოეხდინა გავლენა კომისიის წევრის მიუქერძობლობაზე იმ ფაქტს, რომ კოლეგებს შორის ის ერთადერთი ფსიქიატრი იყო? შეიძლება თუ არა, რომ ექსპერტის წინასწარი მოსაზრების შესახებ განმცხადებლის ინფორმირების ფაქტმა გამოიწვიოს უნდობლობა მისი მიუქერძობლობის მიმართ? საპირისპირო არგუმენტი ხომ არ არის უფრო სარწმუნო, რომ წინასწარი მოსაზრების გაცხადება სამართლიანობის ელემენტია, რომელიც დაეხმარება განმცხადებელს უფრო ეფექტიანი დაცვის მომზადებაში<sup>2325</sup>?

### ბ. გათავისუფლების უფლებამოსილება

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს მხოლოდ ის ორგანო, რომლის ფუნქცია არ შემოიფარგლება რჩევის მიცემით და რომელსაც გააჩნია პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება, „თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი“. ამ თვალსაზრისით, გავრთიანებული სამეფოს 1967 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტის საფუძველზე შექმნილი პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისია<sup>2326</sup>, ისევე როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის ზედამხედველობის ტრიბუნალი, რომელიც დაარსდა 1959 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის აქტის შესაბამისად<sup>2327</sup>, ეერ აკმაყოფილებდა დებულების მოთხოვნებს, რადგან მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებდა<sup>2328</sup>. ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ჩალალის (Chahal) საქმეში „საკონსულტაციო საბჭოსთან“ დაკავშირებით<sup>2329</sup>.

ბენჯამინის (Benjamin) და უილსონის (Wilson) საქმეში ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ტრიბუნალი ისევე გახდა განხილვის საგანი. კელავაც, კანონის თანახმად, მას მხოლოდ რეკომენდაციის განევა შეეძლო დაპატიმრებული პირის გათავისუფლების საკითხზე. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ტრიბუნალის რჩევის საფუძველზე მოქმედება სახელმწიფო მდივნის გაცხადებული პოლიტიკა იყო, თუმცა სასამართლომ სამართლიანად უარყო ეს არგუმენტი<sup>2330</sup>. ძალზე წინააღმდეგობრივია დაპატიმრებული პირის გათავისუფლების ბრძანების

<sup>2324</sup> DN შევიცარის წინააღმდეგ, §54-6.

<sup>2325</sup> იხ. ტრექსელის და ლიდის განხილვის აზრი.

<sup>2326</sup> გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პირობით გათავისუფლების გადაწყვეტილების გაუქმება; *უიქსი (Weeks) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §64; *თინი (Thynne), უილსონი (Wilson) და გუნელი (Gunnell) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §80; *ჰუსეინი (Hussain) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §58; *სინგი (Singh) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §66; *სტეფენორდი (Stafford) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §88. *ჰუსეინი (Hussain) და სინგის (Singh) საქმეებში* სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ სახელმწიფო მდივანმა შეცვალა პროცედურა, რომელიც ამჯერად შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს; იხ. *უაითი (Waite) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §50-2. თუმცა ამ საქმეში მაინც ჩაითვალა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას (§58).

<sup>2327</sup> X გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61.

<sup>2328</sup> პრობლემა აღარ არსებობს 1983 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის აქტის შემთხვევაში; *რუქსი (Roux) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 12039/86.

<sup>2329</sup> ჩალალი (Chahal) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §130.

<sup>2330</sup> ბენჯამინი (Benjamin) და უილსონი (Wilson) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §33-8.

უფლებამოსილების მინიჭება მინისტრისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, დაემორჩილოს ტრიბუნალის რჩევას.

გათავისუფლების უფლებამოსილების არარსებობა, ასევე იწვევს თვითნებური დაპატიმრების გამოძიების, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალების უარყოფას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე<sup>2331</sup>.

თუმცა სასამართლო საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო ნორვეგიული სისტემის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა პრეცედენტული სამართალი, რომელიც დაადასტურებდა ჰიპოთეზას, მან მაინც ივარაუდა, რომ სასამართლო, რომელიც დაადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის არამართლზომიერ გამოყენებას, „ჩვეულებრივ“, გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას „ძალადაკარგულად“ და ექნებოდა დაპატიმრებული პირის გათავისუფლების უფლება<sup>2332</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ დაპატიმრებულის გათავისუფლების უფლებამოსილება და მისი ფაქტობრივი გათავისუფლება. *ასანიძეს (Assanidze)* საქმეში სასამართლომ გასცა პირის გათავისუფლების ბრძანება, თუმცა არ მოხდა მისი აღსრულება. ევროპულმა სასამართლომ ეს ფაქტი მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევად ჩათვალა<sup>2333</sup>. რამდენიმე მოსამართლე არ დაეთანხმა ასეთ დასკვნას, რადგან თვლიდნენ, რომ ადგილი ჰქონდა „*lex specialis*“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას<sup>2334</sup>.

### 3. საპროცესო უფლებები

#### ა. ზეპირი განხილვის უფლება

მნიშვნელოვანი საკითხია სამართალწარმოების ხასიათი, რომელსაც მოითხოვს *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის გარანტია. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი გარანტიები დამოკიდებულია თავისუფლების აღკვეთის სახეზე<sup>2335</sup>. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს გარკვეული ზოგადი მოთხოვნები და ნებისმიერი გამონაკლისი უნდა იყოს საფუძველიანი. *სანჩეს-რისეს (Sanchez-Reisse)* საქმეში სასამართლომ განიხილა, *ნოიმაისტერის (Neumeister)* საქმის<sup>2336</sup> შემდეგ პირველად, ჰქონდა თუ არა დაპატიმრებულ პირს იმ ორგანოს წინაშე პირადად გამოსვლის უფლება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მისი პატიმრობის კანონიერება. სასამართლოს პასუხი იყო ბუნდოვანი, თუმცა მაინც უარყოფითი:

<sup>2331</sup> *ვან დროენბროეკი (Van Droogenbroeck) ბელგიის წინააღმდეგ*, §51.

<sup>2332</sup> *ენორვეგიის წინააღმდეგ*, §62.

<sup>2333</sup> *ასანიძე (Assanidze) საქართველოს წინააღმდეგ*, § 181-4.

<sup>2334</sup> მოსამართლეების კოსტას, ბრაცას და თომასენის განსხვავებული აზრი.

<sup>2335</sup> იხ. მაგ: *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*, §22; ამ დოქტრინას საფუძველი ჩაეყარა საქმეში *დე ვილდე (De Wilde)*, *ოში (Ooms)* და *ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ* (§76), რომელშიც სასამართლომ ჩათვალა, რომ თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ამ სფეროში მოქმედი სამართალწარმოების ძირითადი გარანტიები, „იმ გარემოებების ხასიათის გათვალისწინებით, რომლებშიც ხორციელდება ეს სამართალწარმოება“ (§78). იხ. აგრეთვე *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §51; *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §60.

<sup>2336</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, §24; „სრულად ნერილობითი ხასიათის სამართალწარმოება ან მხარეთა ზეპირი მოსმენა სამართლებრივი დაცვის ასეთი საშუალებების გამოყენებისას იქნებოდა შეფერხების წყარო, რომლის თავიდან აცილება მნიშვნელოვანია ამ სფეროში“.

მე-5 მუხლის მე-3 (მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე ნარდგენის უფლება) და მე-4 (სასამართლოსთვის მიმართვის უფლება) პუნქტებში მოცემულ ფორმულირებებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ ორ პუნქტს უკავშირდება, აღიარებდა სასამართლო ორგანოს წინაშე განხილვის გამართვის აუცილებლობას ... თუმცა ეს გადაწყვეტილებები მხოლოდ ისეთ საკითხებს შეეხებოდა, რომლებიც 1-ლი პუნქტის გ) და ე) ქვეპუნქტების ფარგლებში ექცეოდა. და სინამდვილეში, აუცილებელი არ არის, რომ სამართალწარმოების ფორმები, რომლებსაც მოითხოვს კონვენცია... იყოს იდენტური ყველა იმ საქმეში, რომელშიც სასამართლოს ჩარევა არის საჭირო“.

მოცემულ საქმეში ფედერალურ სასამართლოს მოუწია იმის გათვალისწინება, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა, ფაქტორი, რომელიც შეიძლება სასამართლოში მისი პირადად გამოცხადების სასარგებლოდ მოქმედებდა, თუმცა მის განკარგულებაში იყო ჯანმრთელობის ცნობები, რომლებიც თან ერთვოდა მესამე განცხადებას პირობით განთავისუფლების შესახებ. არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ მოსმენაზე განმცხადებლის პირადად დასწრება დაარწმუნებდა ფედერალურ სასამართლოს მისი გათავისუფლების აუცილებლობაში<sup>237</sup>.

ამ საქმის შემდეგ სასამართლომ ნათელი გახადა თავისი პოზიცია, როდესაც განაცხადა შემდეგი: „იმ პირის შემთხვევაში, რომლის დაპატიმრება ექცევა მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის ფარგლებში, მოსმენის გამართვა აუცილებელია“<sup>238</sup>.

თუმცა არ არსებობს საჯარო განხილვის უფლება. ამ თვალსაზრისით, ნოიმაისტერის (*Neumeister*) საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ასახავს დღეს მოქმედ პოზიციას: „მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს არა მხოლოდ იმას, რომ [სასამართლო] განხილვა იყოს სამართლიანი, არამედ იმასაც, რომ ის იყოს საჯარო. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ პირველი მოთხოვნა ვრცელდება [პატიმრობიდან] გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვაზე. მეორე მოთხოვნაზე იგივეს აღიარების გარეშე. თუმცა საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საჯაროობა ასეთ საკითხებში არ შედის ბრალდებულის ინტერესებში“<sup>239</sup>. ეს არგუმენტი საკმაოდ პატერნალისტური ხასიათისაა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანმა თავად უნდა იცოდეს, რა შედის მის ინტერესებში და რა არა.

*Habeas corpus* პროცედურის დროს შესაძლებელი უნდა იყოს საჯარო მოსმენის მოთხოვნის დამატება დაპატიმრებული პირის უფლებებისთვის იმ პირობით, რომ მას უნდა შეეძლოს ამ უფლებაზე უარის თქმა. ეს უქანასკნელი აუცილებელია, რადგან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები სარგებლობენ

<sup>237</sup> სანჩეს-რისე (*Sanchez-Reisse*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §51.

<sup>238</sup> ელოხი (*Wloch*) პოლონეთის წინააღმდეგ, §126. იო. აკრთევე ასენოვი (*Assenov*) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, §163; ნიედალა (*Niedbala*) პოლონეთის წინააღმდეგ, §67; ტვასკა (*Trzaska*) პოლონეთის წინააღმდეგ, §78; გარსია ალვა (*Garcia Alva*) გერმანიის წინააღმდეგ, §39; უეითი (*Waite*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §59; სინგი (*Singh*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67; გრაუზინისი (*Grauzinis*) ლიეტუის წინააღმდეგ, §33; კავკა (*Kawka*) პოლონეთის წინააღმდეგ, §57; კამპანისი (*Kampanis*) საბურთალოსის წინააღმდეგ, §47; პანტეა (*Pantea*) რუმინეთის წინააღმდეგ, §254; GK პოლონეთის წინააღმდეგ, §91; MB პოლონეთის წინააღმდეგ, §65.

<sup>239</sup> ნოიმაისტერი (*Neumeister*) ავსტრიის წინააღმდეგ, §23.

უდანაშაულობის პრეზუმფციით, რასაც შეიძლება ზიანი მიადგეს, თუ პრესას ექნება ამგვარი მოსმენების გაშუქების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ფსიქიატრიულ დანებსებულებაში მოთავსებულ პირს შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური შიში, რომ საჯარო მოსმენის შედეგად გახმაურდება მისი პერსონალური მონაცემები<sup>2340</sup>.

პრობლემა წარმოიქმნება დაპატიმრებული პირის მიმალვის შემთხვევაში. საკითხის სწრაფად გადაწყვეტის მოთხოვნის გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეიძლება დაბრალდეს პირის დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღება, თუ ხელმისაწვდომია სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალება, როდესაც ხელისუფლების ორგანოები კვლავ მოახერხებენ მის დაპატიმრებას<sup>2341</sup>.

**ბ. მხარეთა თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითი პროცესი**

„სამართალწარმოება უნდა იყოს შეჯიბრებითი და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს „თანასწორუფლებიანობას“ მხარეებს, პროკურორსა და დაპატიმრებულს შორის“<sup>2342</sup>. შეჯიბრებითი პროცესის მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ „როგორც ბრალდებულს, ისე დაცვას უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“<sup>2343</sup>. ამ პრინციპის კატეგორიული ფორმით ჩამოყალიბების მიუხედავად, სასამართლოს პოზიცია მაინც თავშეკავებულია. მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთი სამართალწარმოება ზოგადად სანყის ეტაპზე ხორციელდება და ამდენად, განსხვავდება ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისგან. „ის არსებითად უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითად მოთხოვნებს *მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში*, მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით“<sup>2344</sup>.

იმ შეკითხვაზე, მოხდა თუ არა უფლების მინიჭება, ჩვეულებრივ ვიღებთ პრაგმატულ პასუხს. *ვასინკის (Wassink)* საქმეში ეროვნული სასამართლო დაეყრდნო ინფორმაციას, რომელიც მოპოვებული იქნა რამდენიმე სატელეფონო საუბრის დროს. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულს გააცნეს მხოლოდ ამ საუბრების მოკლე შინაარსი, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მოსამართლე მოქმედებდა საგანგებო პროცედურების შესაბამისად და გადაწყვიტა, რომ სამართალწარმოება შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს<sup>2345</sup>. მეორე მხრივ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა *სანჩეს-რისეს (Sanchez-Reisse)* საქმეში, რომელშიც დაპატიმრებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ სასამართლოს წარუდგინა მასალა, რომელიც არ გააცნეს განმცხადებელს<sup>2346</sup>.

<sup>2340</sup> იხ. თავი V.

<sup>2341</sup> *კეუსი (Keus) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §26. ამავე საქმეში სასამართლომ პრობლემად არ ჩათვალა ის ფაქტი, რომ განმცხადებლის დამცველი არ იქნა ინფორმირებული მოსმენის შესახებ, რადგან პოლდიაური კანონმდებლობით ამის გაკეთება არ ევალებოდათ ხელისუფლების ორგანოებს; *ibid.*, §25. ეს არგუმენტი არ არის ბოლომდე სარწმუნო; იხ. აგრეთვე ალექმა (1991) 2630.

<sup>2342</sup> *გარსიაალვა (GarciaAlva) გერმანიის წინააღმდეგ*, §39. მხარეთა თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით იხ. თავი IV.

<sup>2343</sup> *Ibid.*

<sup>2344</sup> *Ibid.*

<sup>2345</sup> *ვასინკი (Wassink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §33. საქმეში X ბელგიის წინააღმდეგ (განაცხადი 6859/74) კომისიამ მნიშვნელოვნად ჩათვალა, რომ განმცხადებელს ჰქონდა თავისი სამედიცინო მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა.

<sup>2346</sup> *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §51; იხ. აგრეთვე MB *პოლონეთის*



ცხადია, მხარეთა თანასწორუფლებიანობა დარღვეულია, როდესაც პროკურორი მონანილეობს მოსმენაში, რომელიც იმართება დახურულ სასამართლო სხდომაზე, ხოლო დაპატიმრებული პირი და მისი დამცველი მას არ ესწრებიან<sup>2347</sup>.

### გ. საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლება

*Habeas corpus* პროცედურით სარგებლობის დროს საქმის მასალების ხელმისაწვდომობის კონტექსტში წამყვანი საქმეა *ლამი (Lamy) ბელგიის წინააღმდეგ*. ამ საქმეში განმცხადებელი ეჭმიტანილი იყო გაკოტრებასთან დაკავშირებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც განხორციელდა მისი დაპატიმრება. პირველი ოცდაათი დღის განმავლობაში მას ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას ხელი შეეშალა დაპატიმრების კანონიერების ეფექტიან გასაჩივრებაში. სასამართლომ გაიზიარა ეს მოსაზრება და განაცხადა: „ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა განმცხადებლისთვის სამართალწარმოების ამ გადამწყვეტ ეტაპზე, როდესაც სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება წინასწარ პატიმრობაში მისი დატოვების ან გათავისუფლების შესახებ. ეს შესაძლებლობას მისცემდა დამცველს, მიემართა სასამართლოსთვის სხვა ბრალდებულთა ჩვენებებისა და დამოკიდებულების საკითხზე ... ამდენად, სასამართლოს აზრით, მოცემული დოკუმენტების გაცნობა მნიშვნელოვანი იყო დაკავების შესახებ გაცემული ბრძანების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის“<sup>2348</sup>.

აღნიშნული მიდგომა დადასტურდა შემდგომ იურისპრუდენციაში განმცხადებელს უნდა მიეცეს დაპატიმრებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ არგუმენტზე პასუხის გაცემის საშუალება. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი კომენტარი, რომელსაც ხელისუფლების შესაბამისი ორგანო წარუდგენს სასამართლოს პირის გათავისუფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით, უნდა წარედგინოს დაპატიმრებულ პირს ნერილობით<sup>2349</sup> ან ზეპირად<sup>2350</sup>, რათა მან შეძლოს რეაგირების მოხდენა<sup>2351</sup>. მიუხედავად იმისა, რომ *ვლოხის (Wloch)* საქმეში ჩატარდა ზეპირი მოსმენა, შეჯიბრებითი პროცესის უფლება არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან დაცვას ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე, ხოლო პროკურორი დარჩა დარბაზში სასამართლოსთან ერთად მას შემდეგ, რაც დასრულდა დაცვის მოსმენა<sup>2352</sup>.

მეორე მხრივ, ეს მოთხოვნა ასევე წარმოდგენილია როგორც მხარეთა თანასწორუფლებიანობის ძირითადი ელემენტი, რომელსაც ხშირად ეყრდნობა სასამართლო მე-6 მუხლის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებში. მე-5

---

*წინააღმდეგ*, §66.

<sup>2347</sup> *GK პოლონეთის წინააღმდეგ*, §92.

<sup>2348</sup> *ლამი (Lamy) ბელგიის წინააღმდეგ*, §29.

<sup>2349</sup> *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §51.

<sup>2350</sup> *ტოთი (Toth) ავსტრიის წინააღმდეგ*, §84.

<sup>2351</sup> *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §51; იხ. აგრეთვე *MB პოლონეთის წინააღმდეგ*, §66; *ნიედბალა (Niedbala) პოლონეთის წინააღმდეგ*, §67; *ტკასკა (Tzaska) პოლონეთის წინააღმდეგ*, §78; *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, §103.

<sup>2352</sup> *ვლოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, §129-31; *მიგონი (Migon) პოლონეთის წინააღმდეგ*, §61; მოგვიანებით მთავრობამ აღიარა პოლონური კანონმდებლობის არაადეკვატურობა ამ თვალსაზრისით და სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა მხოლოდ ამ საქმეზე მითითებით: *კლაშეცკი (Klamecki) პოლონეთის წინააღმდეგ*, §130. იხ. აგრეთვე *ლიეტკოვი (Lietzow) გერმანიის წინააღმდეგ*, §44; *შოპსი (Schops) გერმანიის წინააღმდეგ*, §44; *გარსია ალვა (Garcia Alva) გერმანიის წინააღმდეგ*, §39.

მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც „დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში არსებულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის“<sup>2353</sup>. მოთხოვნა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს *de facto* ხელი მიუწვდებოდეს გამოძიების ყველა მასალაზე, ძალზე შორს მიდის; ეს ნათლად გამოჩნდა *ლამის (Lamy)* საქმეში, რომელშიც საქმის მასალები ძირითადად იყო განმცხადებლის ჩვენებების ჩანაწერები. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება ძალზე შეზღუდულად განმარტა<sup>2354</sup>. სტრასბურგის სასამართლომ თავად გამოიჩინა გარკვეული მოქნილობა ამ საკითხის მიმართ და *ვლოხის (Wloch)* საქმეში განაცხადა, რომ „იმ ჩვენებებისა და მოსაზრებების ეფექტიანი გასაჩივრების შესაძლებლობა, რომლებსაც ბრალდება ეყრდნობა საქმის მასალებში, შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში მოითხოვდეს დაცვის მიერ ამ მასალების ხელმისაწვდომობას“<sup>2355</sup>. ესერი სამართლიანად შენიშნავს, რომ სასამართლომ ეს პრობლემა არ უნდა განიხილოს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე, არამედ პირდაპირ უნდა გამოიყენოს სამართლიანობის მოთხოვნა<sup>2356</sup>.

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლების მინიჭება ხდება წინასწარი პატიმრობის დროს, როდესაც არსებობს საიდუმლო გარიგების საფრთხე. გერმანიის მთავრობამ ხაზი გაუსვა ამ ასპექტს *შოპის (Schops)*, *ლიტცოვის (Lietzow)* და *გარსია ალვას (Garcia Alva)* საქმეებში. ამის პასუხად სასამართლომ განაცხადა:

სასამართლო ითვალისწინებს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტიანად ჩატარების აუცილებლობას, რაც შეიძლება გულისხმობდეს შეგროვებული ინფორმაციის ნაწილის საიდუმლოდ შენახვას ეჭმიტანილთა მიერ მტკიცებულებების განადგურების ან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ამ ლეგიტიმური მიზნის განხორციელება არ უნდა მოხდეს დაცვის უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პირის დაპატიმრების კანონიერების შეფასებისათვის, ჯეროვანი წესით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ეჭმიტანილის დამცველისთვის.

ამ გარემოებებში და ბერლინის სასამართლოების არგუმენტაციაში გამოძიების მასალებისთვის, კერძოდ, ბ-ნი K-ს ჩვენებებისთვის, მინიჭებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელთა ადეკვატური გაპროტესტება განმცხადებელს არ შეეძლო, რადგან მათ შესახებ არ ეცნობა, აღნიშნული სასამართლოების წინაშე სამართალწარმოება, რომლებმაც განიხილეს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის კანონიერება, არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით უზრუნველყოფილ გარანტიებს. ამდენად, ეს დებულება დარღვეული იყო<sup>2357</sup>.

<sup>2353</sup> *ლამი (Lamy)* ბელგიის წინააღმდეგ, §29; *ვიქსი (Weeks)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §66; *ნიკოლოვა (Nikolova)* ბულგარეთის წინააღმდეგ, §63; *ნიედბალა (Niedbala)* პოლონეთის წინააღმდეგ, §67.

<sup>2354</sup> 115 BCE 302 (2989); იხ. აგრეთვე X *შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8485/79.

<sup>2355</sup> *ვლოხი (Wloch)* პოლონეთის წინააღმდეგ, §127.

<sup>2356</sup> ესერი (2002) 352.

<sup>2357</sup> *გარსია ალვა (Garcia Alva)* გერმანიის წინააღმდეგ, §42, 43. იხ. აგრეთვე *mutatis mutandis*,

**დ. იურიდიული დახმარების უფლება**

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, იურისპრუდენციის განვითარების საინტერესო ასპექტს წარმოადგენს მზარდი აქცენტი, რომელიც ეთოდება ჩვეულებრივ მე-6 მუხლთან ასოცირებულ საპროცესო გარანტიებზე. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების ან წარმომადგენლობის უფლება, რომელიც დაპატიმრებულ პირს ხელს უწყობს მისი დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრებაში<sup>2358</sup>. ცხადია, რომ დაპატიმრებულს შეიძლება გაენიოს დახმარება *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის დროს. მე-6 მუხლის მე-3(ე) პუნქტზე საუბრისას სასამართლომ დაადასტურა, რომ დამცველის ხელმისაწვდომობის უფლება არ შემოიფარგლება სასამართლო განხილვით, არამედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალწარმოების უფრო ადრეულ სტადიებზე<sup>2359</sup>.

(i) **დამცველის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ზოგადი ნესები.** არ არსებობს დამცველის დახმარებით სარგებლობის მკაფიოდ გამოხატული უფლება დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრების მიზნით. მართლაც, მე-5 მუხლში არ არის ნახსენები იურიდიული კონსულტაციის უფლება. თუმცა *ოჯალანის (Ocalan)* საქმეში, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ამ უფლების არსებობის შესახებ<sup>2360</sup>. ამ საქმეში განმცხადებელი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სრულ იზოლაციაში<sup>2361</sup>. სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთ პირობებში მყოფი განმცხადებლის მიმართ არ არსებობდა გონიერული მოლოდინი, რომ შეძლებდა მისი დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრებას იურიდიული დახმარების გარეშე.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა არის სასამართლო სამართალწარმოება და ამდენად, დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს დამცველის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, დამცველის დახმარების უფლების ეფექტიანი გამოყენებისთვის, დამცველს და მის კლიენტს უნდა მიეცეთ კონფიდენციალური კომუნიკაციის საშუალება.

(ii) **სახაზინო ადვოკატის უფლება.** მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს როგორც დაპატიმრებულის მიერ დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლებას, ისე, გარკვეულ შემთხვევაში, სახაზინო ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას.

ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ „სამართალწარმოება, რომელსაც გულისხმობს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ყოველთვის იმავე გარანტიებს არ უნდა უზრუნველყოფდეს, რომლებსაც მოითხოვს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია, რომ „შესაბამის პირს შეეძლოს სასამართლოსთვის მიმართვა და ჰქონდეს პირადად, ან საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლობის რაიმე ფორმით საკუთარი არგუმენტების მისთვის წარდგენის შესაძლებლობა“. ამ მიზნით, „შეიძლება საჭირო იყოს სპეციალური საპროცესო გარანტიების არსებობა იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებსაც თავიანთი ფსიქიკური არასრულფასოვნების გამო, არ გააჩნიათ საკუთარი სახელით მოქმედების უნარი“<sup>2362</sup>.

---

ლიტვოვი (*Lietzow*) გერმანიის წინააღმდეგ, §47. ამ მიდგომის დადასტურებისთვის იხ. მიგონი (*Migon*) პოლონეთის წინააღმდეგ, §79; შიშკოვი (*Shishkov*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §77; ნიკოლოვა (*Nikolova*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §97.

<sup>2358</sup> იხ. თავი X.

<sup>2359</sup> *იმბრიოსა (Imbrioscia)* შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>2360</sup> *ოჯალანი (Ocalan)* თურქეთის წინააღმდეგ, §73.

<sup>2361</sup> *Ibid.*, §72.

<sup>2362</sup> *ვინერვერპი (Winerwerp)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §60.

საქმეში *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ* განმცხადებელი, რომელიც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იყო მოთავსებული, ამტკიცებდა, რომ მის შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებებში დამცველის დანიშვნაზე ხელისუფლების ეროვნული ორგანოების უარი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის ტოლფასი იყო<sup>2363</sup>. სასამართლომ გადანყვიტა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ჰქონდა განმცხადებლისთვის წარმომადგენლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება. სასამართლომ განცხადებით, ჩვეულებრივ, როდესაც ადამიანი მოთავსებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებების ჩადენის გამო, რისთვისაც მას არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე, მან უნდა მიიღოს იურიდიული დახმარება პატიმრობის გაგრძელებასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, თუ ადგილი არა აქვს რაიმე განსაკუთრებულ გარემოებებს. ასეთ დასკვნამდე მივიღვართ მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის, პირადი თავისუფლების, და იმ განსაცდელის, დაქვეითებული ფსიქიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელშიც ის იმყოფება<sup>2364</sup>. ამ საქმეში არ არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეიძლებოდა გამხდარიყო განმცხადებლისთვის იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმის საფუძველი და ამასთანავე, სასამართლომ გამოთქვა სერიოზული ეჭვი განმცხადებლის უნართან დაკავშირებით, ადეკვატურად განეხილა მის საქმეში არსებული იურიდიული საკითხები. შესაბამისად, დარღვეული იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მოცემული ფორმულირება, როგორც ჩანს, გულისხმობს პრეზუმფციის არსებობას იურიდიული დახმარების სასარგებლოდ.

ანალოგიური ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს არასრულწლოვნის დაპატიმრების შემთხვევაშიც. *ბუამარის (Bouamar) საქმეში* სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ სასამართლო განხილვის დროს არასრულწლოვანი განმცხადებელი დამცველის მიერ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი<sup>2365</sup>. ამ საქმეში განმცხადებლის დამცველებს არ შეატყობინეს სასამართლო მოსმენის გამართვის შესახებ, რითაც ხელი შეუშალეს განმცხადებელს დამცველის დახმარების უფლების ეფექტიან განხორციელებაში.

ეს საკითხი ასევე წამოიჭრა სხვა საქმეებში, როგორცაა *ვოუკამ მოდეფო (Woukam Moudefo) საფრანგეთის წინააღმდეგ*, როდესაც განმცხადებელმა მიმართა საკანსაციო სასამართლოს მისი პატიმრობის კანონიერების საკითხის გადასანვეტად. მან მოითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა და ადვოკატთა ასოციაციამ აცნობა, რომ იხილავდნენ მის განცხადებას. თუმცა სასამართლომ იმავე დღეს თქვა უარი მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ დარღვეულ იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რადგან განმცხადებელს არ შეეძლო ეფექტიანად თავის პირადად დაცვა. საქმე დასრულდა მხარეებს შორის მორიგებით, სანამ სასამართლომდე მიაღწედა<sup>2366</sup>.

<sup>2363</sup> *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*, §21-7.

<sup>2364</sup> *მეგიერი (Megyeri) გერმანიის წინააღმდეგ*, §23. დადასტურდა საქმეში *მაგელაუშ პერეირა (Magelhaes Pereira) პორტუგალიის წინააღმდეგ*, §57-61.

<sup>2365</sup> *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*, §60.

<sup>2366</sup> *ვოუკამ მოდეფო (Woukam Moudefo) საფრანგეთის წინააღმდეგ*, კომისიის ანგარიში, §89-91. ეს საკითხი უკვე განხილულ იქნა საქმეში *ვინერვერპი (Winerwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §66. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ მხოლოდ უარყო არგუმენტი, რომ განმცხადებელს შეეძლო მოეთხოვა დამცველი.

## ე. „Pro libertate“ პრეზუმფცია?

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ასევე მოითხოვს პრეზუმფციის არსებობას, რომელიც მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეებში უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავსად, დაპატიმრების საფუძვლად არსებული მიზეზების წინააღმდეგ. ამ კონცეფციას ემყარება სასამართლოს მიდგომა, როდესაც ის მიუთითებს „კონვენციის საფუძველზე არსებულ ვარაუდზე, რომ ასეთი პატიმრობა [წინასწარი პატიმრობა] მკაცრად შეზღუდული ხანგრძლივობის უნდა იყოს“<sup>2367</sup>.

*ნიკოლოვას (Nikolova)* საქმეში სასამართლოს ჰქონდა ამ პრინციპის მკაფიოდ განმარტების სრული შესაძლებლობა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის გაკეთებისგან თავი შეიკავა. ამ საქმეში განმცხადებლის გათავისუფლება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებდა, რომ არ არსებობდა მისი მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ან დანაშაულის ხელშეწყობა ჩადენის რაიმე საფრთხე. შესაბამისად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყო შესაძლებელი პატიმრობის სასარგებლო პრეზუმფციის გაბათილება. გარდა ამისა, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლებამოსილება, განეხილა, რამდენად საკმარისი იყო არსებული ეჭვი თავისუფლების აღკვეთის გამართლებისთვის. ევროპული სასამართლო შემოიფარგლა იმის თქმით, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა სერიოზული არგუმენტები, რომლებიც ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა:

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ მოითხოვს მოსამართლისგან, რომელიც იხილავს საჩივარს დაპატიმრების წინააღმდეგ, მომჩივნის განცხადებაში მოყვანილი ყველა არგუმენტის განხილვას, თუმცა მისი გარანტიები აზრს დაკარგავს, თუ მოსამართლეს, რომელიც ეყრდნობა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ექნება დაპატიმრებულის მიერ მოყვანილი იმ კონკრეტული ფაქტების არარელევანტურად ჩათვლის ან იგნორირების უფლება, რომლებსაც შეუძლიათ ეჭვეულს დააყენონ, კონვენციის მნიშვნელობით, თავისუფლების აღკვეთის „კანონიერებისთვის“ აუცილებელი პირობების არსებობა. 1995 წლის 14 ნოემბერს წარდგენილი განმცხადებლის საჩივარი შეიცავდა ასეთ კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც არ იყო არარელევანტი ან უმნიშვნელო. ამ განცხადებების მხედველობაში მიუღებლობით რეგიონალურმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო ისეთი ფარგლებისა და ხასიათის სასამართლო ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი<sup>2368</sup>.

სასამართლო დაუბრუნდა ამ საკითხს საქმეში *ჰატიჩონ რიდი (Hutchison Reid)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, როდესაც მან ნამდვილად გაიზიარა ეს პრინციპი<sup>2369</sup>. სასამართლომ განაცხადა, რომ პრინციპი „in dubio pro libertate“ უკვე განხილული იქნა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში ნაგულისხმებ ელემენტად.

<sup>2367</sup> ასენოვი (Assenov) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, § 162.

<sup>2368</sup> ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ, § 61; იხ. აგრეთვე ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ, § 99; გრაუსლისი (Grauhslysis) ლტოლნილის წინააღმდეგ, § 54.

<sup>2369</sup> *ჰატიჩონ რიდი (Hutchison Reid)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 70; განმცხადებელმა მიუთითა შიდასახელმწიფოებრივ პრეცედენტულ სამართალზე იმავე მიზნით: *R ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფიჩიკური ჯანმრთელობის შემოწმების ტრიბუნალის წინააღმდეგ* (ინგლისი) და *ლონსის (LYONS) მოტლანდიის მინისტრების წინააღმდეგ* (მოტლანდია).

უფრო ადრეულ საქმეებში, რომლებშიც განხილვის საგანი იყო დაპატიმრება მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტის საფუძველზე, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დაპატიმრება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება „იმის სარწმუნოდ ჩვენება, რომ პირის ფსიქიკური აშლილობა საკმარისად სერიოზულია დაპატიმრების ბრძანების გაცემისთვის“<sup>2370</sup>. *ჰათჩისონ რიდის (Hutchison Reid)* საქმეში განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ მას ეკისრებოდა ისეთი ფსიქიკური აშლილობის არარსებობის მტკიცების ტვირთი, რომელიც მოითხოვდა დაპატიმრებას მყურნალობის მიზნით. სასამართლომ არ ჩათვალა, რომ მტკიცების ტვირთის განმცხადებელზე დაკისრება არარელევანტური იყო სამართალწარმოების შედეგისთვის და განაცხადა შემდეგი: „... სამართალწარმოების, როგორც თვითნებური და უკანონო დაპატიმრების თავიდან აცილების შექანისზმის, ეფექტიანობასთან დაკავშირებით პრობლემის წარმოქმნისთვის საკმარისია, როცა განმცხადებელზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთს, სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, შეეძლო გავლენის მოხდენა გადანყვეტილებაზე. განმცხადებლის შემთხვევაში, როდესაც განკურნების საკითხი სადაეო იყო, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე“<sup>2371</sup>.

### ვ. გასაჩივრების უფლება

აქვს თუ არა დაპატიმრებულ პირს იმ გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება, რომლითაც უარყოფილი იქნა მისი გათავისუფლების მოთხოვნა? სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ასეთი უფლება არ არსებობს. ხელისუფლების ორგანოებს არ ეკისრებათ იურისდიქციის მეორე დონის შექმნის ვალდებულება, დაპატიმრების კანონიერების დადგენისა და გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვისთვის. თუმცა, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო სამართალწარმოებას, ის უნდა უზრუნველყოფდეს აუცილებელ საპროცესო გარანტიებს<sup>2372</sup>. ეს განსაკუთრებით ეხება სისწრაფის მოთხოვნას<sup>2373</sup>.

### ზ. რამდენიმე განცხადების წარდგენის უფლება

სასამართლო გადანყვეტილებების საერთო თვისებაა ის, რომ ისინი ხდება საბოლოო. არსებითად იგივე უნდა იქვეას თავისუფლების აღკვეთის კანონიერების განსაზღვრაზე. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში, დროის მსვლელობა იმდენად ძლიერ გავლენას ახდენს დაპატიმრების კანონიერებაზე, რომ თითქმის მთლიანად ცვლის ფაქტობრივ მდგომარეობას. შედეგად „idem“ (როგორც პრინციპში „ne bis in idem“) მოკლევადიანია, განსაკუთრებით მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გ) და ე) ქვეპუნქტების შემთხვევებში.

წინასწარი პატიმრობა შეზღუდულია დროში მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის წყალობით. ამდენად, პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმეორებით მიმართოს სასამართლოს „ხანმოკლე პერიოდულობით; კონვენციაში იგულისხმება, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული ... რადგან

<sup>2370</sup> *ვინტერვერპი (Winerwerp) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §39-40; *ჯონსონი (Johnson) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §60.

<sup>2371</sup> *ჰათჩისონ რიდი (Hutchison Reid) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §70.

<sup>2372</sup> *ნავარა (Navarra) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §28; *ლანცი (Lanz) ავსტრიის წინააღმდეგ*, §42. *ტოტი (Tolth) ავსტრიის წინააღმდეგ*, §28; *ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ*, §61; *კამპანისი (Kampanis) საბერძნეთის წინააღმდეგ*, §47; *ნიედალა (Niedbala) პოლონეთის წინააღმდეგ*, §66; *ჯეიუსი (Jénius) ლიტვის წინააღმდეგ*, §100; *გრაუსლისი (Grauslys) ლიტვის წინააღმდეგ*, §53; *გრაუზინისი (Grauzinis) ლიტვის წინააღმდეგ*, §32.

<sup>2373</sup> *ლელელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §33.

მისი *raison d'être* ძირითადად უკავშირდება გამოძიების მოთხოვნებს, რომლებიც სწრაფად უნდა განხორციელდეს.<sup>2374</sup>

ფსიქიკური დაავადების ნიადაგზე პირის დაპატიმრება საჭიროებს განმეორებით შემონმებას, რადგან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს<sup>2375</sup>. პრეცედენტული სამართალი გვაძლევს რამდენიმე მინიშნებას იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „გონიერულად“ ამ კონტექსტში. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 15 თვიდან 2 წლამდე ინტერვალი ზედმეტად დიდია<sup>2376</sup>. კომისიამ და სასამართლომ მისაღებად ჩათვალეს ექვსთვიანი<sup>2377</sup>, ათთვიანი<sup>2378</sup> და ერთწლიანი<sup>2379</sup> ინტერვალები. ეს რთული საკითხია. ერთი მხრივ, პატიმრობის გადასინჯვის ჯეროვანი სიხშირე უნდა განისაზღვროს თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე, მეორე მხრივ, საიმედო მინიშნებების აუცილებლობა გამომდინარეობს სამართლებრივი განსაზღვრულობის ინტერესებიდან. უკანასკნელ პერიოდში სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა მეორე მიდგომას. მან უარყო მოსაზრება, რომ „ფსიქიკური არამდგრადობა და [მისგან მომდინარე] საფრთხე“ უფრო დიდი დროის გასვლის შემდეგ იცვლება, ვიდრე ფსიქიკური დაავადება და განაცხადა, რომ თვით ასეთი ტიპის საქმეებში ორწლიანი ვადა ძალზე ხანგრძლივი იყო<sup>2380</sup>. სასამართლომ, ცალსახად აღნიშვნის გარეშე, მიანიშნა, რომ ზღვარი შეადგენს 1 წელს<sup>2381</sup>.

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონით შეიძლება განისაზღვროს მე-4 პუნქტის შესაბამისი სამართალწარმოების ჩანაცვლება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს დაპატიმრებული პირის ინიციატივით და გულისხმობდეს „სასამართლო ხასიათის პერიოდულ ავტომატურ

<sup>2374</sup> ბეზიჩერი (*Bezicheri*) იტალიის წინააღმდეგ, §21; ერთთვიანი ინტერვალი არ ჩაითვალი „არაგონიერულად“. იხ. აგრეთვე ლეტელიე (*Letellier*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §56.

<sup>2375</sup> ჰერცეგფალვი (*Herczegfalvy*) ავსტრიის წინააღმდეგ, §75; ოლდემი (*Oldham*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §30. ამ კონტექსტში „გონიერული ინტერვალი“ ნახსენები იყო საქმეებში ვინტერვერპი (*Winterwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §55; X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §52; ვან დრუგენბროკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ §48; ლუბერტი (*Luberti*) იტალიის წინააღმდეგ §31, 32.

<sup>2376</sup> ჰერცეგფალვი (*Herczegfalvy*) ავსტრიის წინააღმდეგ, §77; ჰირსტი (*Hirst*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §35-44; A fortiori პერიოდები 5 წლამდე, ვან დრუგენბროკი (*Van Droogenbroeck*) ბელგიის წინააღმდეგ, §53.

<sup>2377</sup> X ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 6692/74.

<sup>2378</sup> M საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10272/82.

<sup>2379</sup> თანბრიჯი (*Tunbridge*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 16397/90; AT გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 20448/92; მეგიერი (*Megyeri*) გერმანიის წინააღმდეგ, §25; ჰერცეგფალვი (*Herczegfalvy*) ავსტრიის წინააღმდეგ, §75-8 (ამ საქმეში შიდასახელმწიფოებრივი კანონი ითვალისწინებდა ერთწლიან ვადას, ხოლო ინტერვალები შეადგენდა 15 თვეს და ორ წელსადაც, რამაც გამოიწვია დარღვევის დადგენა).

<sup>2380</sup> ოლდემი (*Oldham*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §34-7; ჰირსტი (*Hirst*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41: ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში (§42) სასამართლომ დანეროლებით განიხილა განმცხადებლის განვითარება და მივიდა დასკვნამდე, რომ „ის მნიშვნელოვნად განვითარდა პატიმრობის პერიოდში და ვერ ჩაითვლებოდა ისეთ ადამიანად, რომელთან მიმართებაში გარემოებების შემდგომი ცვლილების პერსპექტივა არ არსებობდა“. ეს საკმაოდ სახიფათო მიდგომაა. აპირებს თუ არ სასამართლო თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებას ეყვლა განმცხადებელთან დაკავშირებით, რომელიც ანალოგიურ ვითარებაში იმყოფება და იმის განსაზღვრას, რამდენად შესაძლებელია მისი მდგომარეობის სასურველი მიმართულებით განვითარება? ასეთი მიდგომა არ შეესაბამება სუბსიდიარობის პრინციპს და გამოიწვევს მნიშვნელოვან გაურკვეველობას.

<sup>2381</sup> ჰირსტი (*Hirst*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §39.

შემონმებას", რომელიც „უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო ნორმებს და გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს მე-5 მუხლის მიზნის შესაბამისად“<sup>2382</sup>.

*სილვა როხას (Silva Rocha)* საქმეში სასამართლომ მისაღებად ჩათვალა თითქმის ორწლიანი პერიოდი, რაც რთული გასაგებია. კიდევ უფრო პრობლემატური იყო შესაბამისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრული უცოდინრობა, რომელიც გამოავლინა სასამართლომ. განმცხადებელს ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა, თუმცა დადგინდა, რომ არსებობდა ბრალის გამომრიცხველი გარემოება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს „მსჯავრდებად“ და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „საქმე ეხება მკვლელობას, რომელიც ჩაიდინა პირმა, რომელსაც ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა თავის ქმედებებზე, თუმცა, იგი ამავდროულად სახიფათოა. დანაშაულის სიმძიმემ და საფრთხემ, რომელსაც ის უქმნის როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებს, შეიძლება გააძარტლოს საზოგადოებიდან მისი იზოლირება მინიმუმ 3 წლით“<sup>2383</sup>. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და ზოგადად სისხლის სამართლის დოქტრინის ასეთი უგულებელყოფა სრულიად მიუღებელია. ეს ასევე ეწინააღმდეგება პრინციპს „*nulla poena sine culpa*“, რომელიც სასამართლომ, როგორც ჩანს, გაიზიარა მე-5 მუხლის საფუძველზე განხილულ საქმეებში<sup>2384</sup>.

ფსიქიკურ დაავადებასთან დაკავშირებულ საქმეებში მაქსიმალური ვადა, რომელიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს არის 1 წელი. ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივი დაცვის საშუალებით სარგებლობის უფლება უფრო ადრეც უნდა იქნეს მინიჭებული, თუ გამოვლინდა ახალი გარემოებები, მაგალითად, სამედიცინო ცნობა სექსუალური მოძალადის კასტრაციის შესახებ.

#### 4. სისწრაფის მოთხოვნა

##### ა. დროის ელემენტთან დაკავშირებული საკითხები

*Habeas corpus* პროცედურის ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტია სასამართლოს ვალდებულება, სწრაფად გადაწყვიტოს საკითხი. სასამართლოს აზრით, ეს ასპექტი მიზნად ისახავს ცუდი მოპყრობის თავიდან აცილებას<sup>2385</sup>, რაც მიუთითებს მის ახლო კავშირზე მოსამართლის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის უფლებასთან მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. საპროცესო ნორმები სისწრაფის ვალდებულებას შეიძლება ასევე თვით დაპატიმრებულ პირს აკისრებდეს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჩივრის წარდგენისთვის ხანმოკლე ვადების დანახებით. თუმცა ზედმეტად ხანმოკლე ვადებმა შეიძლება ხელი შეუშალოს სამართლებრივი დაცვის ამ საშუალების ეფექტიან გამოყენებას<sup>2386</sup>.

<sup>2382</sup> *სილვა როხა (Silva Rocha)* პორტუგალიის წინააღმდეგ, §28.

<sup>2383</sup> *კონდბიჰარი (Koendjibiharie)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §27; იხ. აგრეთვე *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §52; *კეუსი (Keus)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §51.

<sup>2384</sup> *AP, MP* და *TP* შვეიცარიის წინააღმდეგ; *EL, RL* და *JO-L* შვეიცარიის წინააღმდეგ.

<sup>2385</sup> *პანტეა (Pantea)* რუმინეთის წინააღმდეგ, §256.

<sup>2386</sup> ეს შეკითხვა დაისვა სასამართლოს წინაშე საქმეში *ფარმაკოპულოსი (Farmakopoulos)* ბელგიის წინააღმდეგ (განაცხადი 11683/85, §52); თუმცა, რადგან განმცხადებელმა ინტერესი არ გამოიჩინა, საქმე ამოწილ იქნა სიიდან.



შესაბამისი ვადის ათელა ჩვეულებრივ იწყება მოთხოვნის ნარდგენის მომენტიდან<sup>2387</sup>. თუ განმცხადებელი იტყვის, რომ მიზნებს მოგვიანებით წარმოადგენს, ვადის ათელა დაიწყება მათი წარმოდგენის მომენტიდან<sup>2388</sup>. თუ დაპატიმრებული პირის მოთხოვნა თავდაპირველად უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის ნინაპირობა, შესაბამისი ვადის ათელა იწყება ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების შეტანის მომენტიდან<sup>2389</sup>, ავტომატური პერიოდული შემონმების შემთხვევაში, ვადის დინება იწყება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს მიერ პატიმრობის გაგრძელების შესახებ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიდან<sup>2390</sup>. გამონაკლის შემთხვევაში დრო, რომელიც გავიდა მოთხოვნის წარდგენამდე, შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის ვადაში, მაგალითად, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გამორიცხავს *habeas corpus* პროცედურით სარგებლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში<sup>2391</sup>.

ერთი კონკრეტული პრობლემა, რომელიც ხშირად წამოიჭრებოდა რელევანტური ვადის განსაზღვრისას, შეეხება საქმებს, რომლებშიც კონვენცია ძალაში შევიდა სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, თუმცა გადაწყვეტილების გამოტანამდე<sup>2392</sup>. ასეთი ვითარება იყო შექმნილი *მუსიალის (Musial)* საქმეში, როდესაც განცხადების წარდგენა მოხდა 1993 წლის 16 მარტს, ხოლო კონვენცია ძალაში შევიდა 1993 წლის 1 მაისს. სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ვადის ათელა დაიწყო უფრო გვიანი თარიღიდან, თუმცა, სამწუხაროდ, დაეიწყა იმის გათვალისწინება, რომ იმ დროისთვის სამართალწარმოება უკვე გრძელდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში<sup>2393</sup>. თუმცა ისიც მართალია, რომ ამ საქმეში არ იყო აუცილებელი ასეთი სიფრთხილის გამოჩენა, რადგან გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული 1995 წლის 9 იანვრამდე!

რელევანტური ვადა ჩვეულებრივ სრულდება გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად. *ლუბერტის (Luberti)* საქმეში სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო 11-დღიანი სხვაობა გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და დაპატიმრებულის ფაქტობრივ გათავისუფლებას შორის<sup>2394</sup>. ამას შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა პატიმრობის კანონიერება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. რამდენიმე საქმეში სტრასბურგის ორგანოებმა საბოლოო თარიღად ჩათვალეს განმცხადებლის ფაქტობრივი გათავისუფლების და არა გადაწყვეტილების მიღების დღე<sup>2395</sup>. ეს

<sup>2387</sup> *ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §35; *პანტეა (Pantlea) რუმინეთის წინააღმდეგ*, §250; *ზამირი (Zamir) გერმანიის საფეხის წინააღმდეგ*, განაცხადი 9174/80.

<sup>2388</sup> *ჰერცი (Herz) გერმანიის წინააღმდეგ*, §73.

<sup>2389</sup> *სანჩეს-რისე (Sanchez-Reisse) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §54.

<sup>2390</sup> *კონდობიარი (Koendjibiharie) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §28. საქმეში *ეგმეზი (Egmez) კვიპროსის წინააღმდეგ* ჩატარდა ორი ავტომატური განხილვა ერთი კვირის განმავლობაში და განმცხადებელს ჰყავდა სამართლებრივი წარმომადგენელი. შედეგად, დარღვევას ადგილი არ ჰქონია (§94, 95).

<sup>2391</sup> *დე იონგი (De Jong), ბალიეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §58.

<sup>2392</sup> ეს პრობლემა ასევე წამოიჭრა რამდენიმე საქმეში, რომლებიც დაკეტილია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან.

<sup>2393</sup> *მუსიალი (Musial) პოლონეთის წინააღმდეგ*, §42.

<sup>2394</sup> *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §36.

<sup>2395</sup> *ბეზიჩერი (Bezicheri) იტალიის წინააღმდეგ*, §22; *ზამირი (Zamir) გერმანიის საფეხის წინააღმდეგ*, განაცხადი 9174/80, §110. თუმცა იხ. *ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ*,

სწორი მიდგომაა, რადგან *habeas corpus* პროცედურის შესაძლო საუკეთესო შედეგი განმცხადებლის გათავისუფლებაა. თუმცა ეს არგუმენტი არ მოქმედებს დაპატიმრებულის გაქცევის შემთხვევაში, ვინაიდან ის მიმალვაშია და ნებისმიერ დროს შეიძლება კვლავ დააპატიმრონ. ასეთ დროს ვადის დენა გრძელდება<sup>2396</sup>, თუ პირის არყოფნა შეუძლებელს არ ხდის გადაწყვეტილების მიღებას<sup>2397</sup>. სასამართლომ რამდენჯერმე გადაწყვიტა, რომ, როდესაც სამართალწარმოება იურისდიქციის სხვადასხვა დონეებზე მიმდინარეობს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების „მთლიანი ხანგრძლივობა“<sup>2398</sup>. როგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფო არ არის ვალდებული, შექმნას იურისდიქციის მეორე დონე<sup>2399</sup>, თუმცა როდესაც ასეთი სისტემა არსებობს, გასაჩივრების დროს ის უნდა უზრუნველყოფდეს დაპატიმრებულს იგივე გარანტიებით, როგორც პირველ ინსტანციაში<sup>2400</sup>.

ნებისმიერ შემთხვევაში, „*bref délai*“, სამართალწარმოების მისაღები ხანგრძლივობა, არ შეიძლება განისაზღვროს აბსტრაქტულად, არამედ დამოკიდებულია თითოეულ საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებებზე<sup>2401</sup>.

**ბ. პრეცედენტული სამართალიდან მოყვანილი მაგალითები**

გრაფაში მოცემულია იმის ძალზე მიახლოებითი ილუსტრაცია, თუ დროის რა პერიოდი ჩაითვალა საკმარისად მოკლედ. იმის მიუხედავად, რომ აქვე მითითებულია კონკრეტული საქმისთვის დამახასიათებელი სპეციალური ნიშნები, ამ გრაფაში მოცემული მაგალითები მაინც არ გამოდგება სანდო შეფასების გაკეთებისთვის.

პრეცედენტული სამართალი სამართალწარმოების სისწრაფესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5(4) მუხლი

სახელწოდება	თარიღი	დაკავების სახეობა	დრო	სხვა ფაქტორები	შედეგი
ლეთელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ	29/06/91	5, § 1(გ)	8-20 დღე		დარღვევის არარსებობა
ჰერცეგფალვი (Herczegfalvy) ავსტრიის წინააღმდეგ	24/09/92	5, § 1(ე)	15 თვე, 2 ნელი		დარღვევა

**§ 63.**

<sup>2396</sup> ვან დერ ლერი (Van der Leer) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 35.

<sup>2397</sup> ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ, § 35, 36.

<sup>2398</sup> *Ibid.*, § 33; ბუამარი (Bouamar) ბელგიის წინააღმდეგ, § 61; ლეთელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 56.

<sup>2399</sup> დე ვილდე (De Wilde), ომსი (Ooms) და ვერსიპი (Versyp) ბელგიის წინააღმდეგ, § 76; ჯეიუსი (Jénius) ლუტვის წინააღმდეგ, § 101; გრაუზინისი (Grauzinis) ლიტვის წინააღმდეგ, § 32.

<sup>2400</sup> იხ. აგრეთვე ტოთი (Toth) ავსტრიის წინააღმდეგ, § 84; ნავარა (Navarra) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 28. რუთენი (Rutten) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 53; ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ, § 103; და ჰატჩისონ რიდი (Hutchison Reid) გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ, § 77.

<sup>2401</sup> პანტეა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ, § 235.

მუსილი (Musil) პოლონეთის წინააღმდეგ	25/03/99	5, § 1(ე)	1 წელი, 8 თვე, 8 დღე	- განმცხადებლის მიერ სამედიცინო შემოწმების მოთხოვნა სხვა დანესებულებაში - საქმის კომპლექსურობა	დარღვევა
ბარანოვსკი (Baranowski) პოლონეთის წინააღმდეგ	28/03/00	5, § 1(გ)	თითქმის 6 თვე	- სამედიცინო საკითხების კომპლექსურობა - გასაჩივრების ხანგრძლივობა ნიშნავდა იმას, რომ საბოლოოდ მას არ უქონია რაიმე იურიდილი ან პრაქტიკული შედეგი	დარღვევა
ტვასკა (Trzaska) პოლონეთის წინააღმდეგ	11/07/00	5, § 1(გ)	1 წელი, 23 დღე	- კანონის ხარვეზი	დარღვევა
ვლოხი (Wloch) პოლონეთის წინააღმდეგ	19/10/00	5, § 1(გ)	თითქმის 3 თვე		დარღვევის არარსებობა
რებოკი (Rehbock) სლოვენის წინააღმდეგ	28/11/00	5, § 1(გ)	23 დღე (ორჯერ)		დარღვევა
GB საფრანგეთის წინააღმდეგ	30/11/00	5, § 1(გ)	32 დღე	- ტერორიზმში ეჭვმიტანილი; ორ-ტაპიანი სამართალწარმოება	დარღვევა
MB პოლონეთის წინააღმდეგ	03/11/00	5, § 1(გ)	34 დღე	- ტერორიზმში ეჭვმიტანილი; ორ-ტაპიანი სამართალწარმოება	დარღვევა
იბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ <sup>1</sup>	21/12/00	5, § 1(გ)	43 დღე	- მხოლოდ ერთი ინსტანცია	დარღვევა
ვოდენიკაროვი (Vodenicarov) სლოვაკეთის წინააღმდეგ	21/12/00	5, § 1(ე)	33 დღე		დარღვევა
რუტენი (Rutten) ნიდერლანდების წინააღმდეგ	24/07/01	5, § 1(ე)	2 თვე და 17 დღე	- შიდასახელ- მნიფობრივი კანონით დანესებული ზღვარი: 2 თვე	დარღვევა

ილოვეცი (Ilowicki) პოლონეთის ნინააღმდეგ	04/10/01	5, § 1(ე)	4 თვე, 3 დღე; 3 თვე, 22 დღე; 2 თვე 24 დღე; თითქმის 7 თვე; თითქმის 7 თვე		ხუთივე უადის დარღვევა
მაგელაუმ პერეირა (Magellhaes Pereira) პორტუგალიის ნინააღმდეგ	26/02/02	5, § 1(ე)	2 წელი, 6 თვე, 18 დღე	- განმცხადებლის მიმალვა 7 თვის მანძილზე	დარღვევა
დელბეკი (Delbec) საფრანგეთის ნინააღმდეგ	18/06/02	5, § 1(გ)	1 თვე	- 14 დღიანი უმოქმედობა	დარღვევა
LR საფრანგეთის ნინააღმდეგ	27/06/02	5, § 1(ე)	24 დღე	- მოთხოვნის გადაცემის დაგვიანება	დარღვევა
DM საფრანგეთის ნინააღმდეგ	27/06/02	5, § 1(ე)	1 წელი, 20 დღე	- განმცხადებლის გათავისუფლება 3 თვის შემდეგ	დარღვევა
ლაიდინი (Luidin) საფრანგეთის ნინააღმდეგ	05/11/02	5, § 1(ე)	5 კვირაზე მეტე	- საავადმყოფოს მიერ სამედიცინო მონაცემების გაგზავნის დაგვიანება	დარღვევა
კადემი (Kadem) შალტის ნინააღმდეგ	09/01/03	5, § 1(გ)	17 დღე		დარღვევა
ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის ნინააღმდეგ	30/01/03	5, § 1(გ)	42 დღე		დარღვევა
ჰატჩისონ რიდი (Hutchison Reid) გაერთიანებული სამეფოს ნინააღმდეგ	20/02/03	5, § 1(ე)	3 წელი, 9 თვე, 25 დღე	- გასაჩივრება ლორდთა პალატაში	დარღვევა
პანტეა (Pantea) რუმინეთის ნინააღმდეგ	03/06/03	5, § 1(გ)	3 თვე, 28 დღე	- სასამართლო მოსამენის გადადებით გამონეული შეფერხება	დარღვევა
ჰერცი (Herz) გერმანიის ნინააღმდეგ	12/06/03	5, § 1(ე)	1 თვე, 2 დღე	- განმცხადებლის მიერ თავის მოსაზრებების წარდგენის დაგვიანება	დარღვევის არარსებობა

### გ. სამართლებრივი დაცვის საშუალებების სიმრავლე

ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის კანონიერების განსაზღვრის ერთზე მეტ შესაძლებლობას. ასეთ საქმეებში „სასამართლო ბოლომდე ითვალისწინებს მთლიანი სისტემის სრულფასოვანი შეფასების აუცილებლობას, რადგან ერთ პროცედურაში თვალსაჩინო ხარვეზი შეიძლება გამოსწორებულ იქნეს სხვა პროცედურებით უზრუნველყოფილი გარანტიებით“<sup>2402</sup>. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ავტომატურმა პერიოდულმა შემონმებამ“ შეიძლება ჩაანაცვლოს სამართლებრივი დაცვის საშუალება დაპატიმრებული პირის ინიციატივის საფუძველზე. თუმცა, მეორე მხრივ, სამართალწარმოება, რომელშიც გამომძიებელი მოსამართლე ითხოვს პატიმრობის ვადის გაგრძელებას, არ ექცევა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში<sup>2403</sup>. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი აქტუალური ხდება იმ მომენტიდან, როდესაც დაპატიმრებული პირი წარადგენს „გათავისუფლების მოთხოვნას“<sup>2404</sup>. კომისიის აზრით, მე-4 პუნქტში მოცემული უფლება „განხილული უნდა იქნეს სასამართლოსთვის პირობით ვადაზე გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართვის შესაძლებლობისგან დამოუკიდებლად“<sup>2405</sup>. თუმცა ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის არსი და შეიძლება ითქვას, თვით მისი ფორმულირება გულისხმობს, რომ არაკანონიერია იმ პირის პატიმრობაში ყოფნა, რომელიც შეიძლება პირობით იქნეს გათავისუფლებული<sup>2406</sup>.

დაბოლოს, რთულ პრობლემებთან არის დაკავშირებული დაპატიმრების კანონიერების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები. ამ სამართალწარმოებას სასამართლომ მიუსადაგა თავისი იურისპრუდენცია მე-6 მუხლის საფუძველზე: „მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ მოითხოვს ხელშემკერელი სახელმწიფოებისგან იურისდიქციის მეორე დონის შექმნას პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვის მიზნით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო, რომელიც შექმნის ასეთ სისტემას, უნდა ანიჭებდეს დაპატიმრებულს იმავე გარანტიებს, როგორც პირველ ინსტანციაში“<sup>2407</sup>. თვით ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, მე-4 პუნქტი რამდენჯერმე გამოყენებული იქნა სააპელაციო სამართალწარმოების მიმართ<sup>2408</sup>. *ლუბერტის (Luberti)* საქმეში სააპელაციო საჩივრის განხილვას ძალზე დიდი დრო დასჭირდა, თუმცა

<sup>2402</sup> X ვერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §60; იხ. აგრეთვე ვინტერვერპი (*Winerwerp*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §62; ვიქსი (*Weeks*) ვერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §69.

<sup>2403</sup> ტოთი (*Toth*) ავსტრიის წინააღმდეგ, §87.

<sup>2404</sup> იხ. მაგ: ნოიმაისტერი (*Neumeister*) ავსტრიის წინააღმდეგ, §22; ვან დერ ლერი (*Van der Leer*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §32.

<sup>2405</sup> ზამირი (*Zamir*) ვერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 9174/80, §109.

<sup>2406</sup> მე-3 პუნქტი ვრცელდება დაპატიმრებაზე მხოლოდ 1(გ) პუნქტის საფუძველზე. თუმცა „აუცილებლობის“ ელემენტი, რომელიც დამახასიათებელია 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გამონაკლისისთვის, მოითხოვს უპირატესობის მინიჭებას თავისუფლების აღკვეთის შემცველი ნაელებად მკაცრი ღონისძიებებისთვის, როცა ეს შესაძლებელია.

<sup>2407</sup> ტოთი (*Toth*) ავსტრიის წინააღმდეგ, §84; ამ წესიდან გამონაკლისისთვის იხ. მაგ: ფეიდე (*Fejde*) შვედეთის წინააღმდეგ და იან-აკე (*Jan-Ake*) შვედეთის წინააღმდეგ. კომისიამ უარყო გასაჩივრების უფლება საქმეში დოესტი (*Dhoest*) ბელგიის წინააღმდეგ (განაცხადი 10448/83).

<sup>2408</sup> ლუბერტი (*Luberti*) იტალიის წინააღმდეგ, §34; ბუამარი (*Bouamar*) ბელგიის წინააღმდეგ, §62; იხ. აგრეთვე კომისიის ანგარიში საქმეში მოუდეფო (*Moudefo*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §42.

სასამართლო იმით იყო კმაყოფილი, რომ განმცხადებელს პქონდა ახალი განცხადებების წარდგენის შესაძლებლობა საჩივრის განხილვის მოლოდინში, რომელიც მან ნამდვილად გამოიყენა<sup>2409</sup>. იმ შემთხვევაშიც, თუ შესაძლებელია ახალი მოთხოვნების წარდგენა სააპელაციო საჩივრის განხილვის დასრულებამდე, „სისწრაფის“ მოთხოვნა უნდა გავრცელდეს სააპელაციო სამართალწარმოებაზეც.

### III. კომპენსაციის უფლება

#### ა. შესავალი

##### 1. დებულებები

ყველას, ვინც გახდა არაკანონიერი დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-9 მუხლი, მე-5 პუნქტი.*

ყველას, ვინც გახდა დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებების დარღვევით, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5 მუხლი, მე-5 პუნქტი.*

აღსანიშნავია, რომ ეს გარანტია არ არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ შესაძლოა არსებობდა ეჭვები მისი საფუძვლიანობის შესახებ. ევროპული კონვენცია განსხვავდება საერთაშორისო პაქტისგან იმით, რომ მკაფიოდ მიუთითებს მე-5 მუხლის დაცვაზე. ხოლო ეს უკანასკნელი მოითხოვს მხოლოდ „კანონიერებას“. თუმცა ეს სხვაობა არ არის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე.

##### 2. უფლების დახასიათება

ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევით გამოწვეული ზიანის კომპენსაცია ზოგადად ექსკლუზიურად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისთვის მინდობილი საკითხია. თუ სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა და შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხოლოდ ნაწილობრივ კომპენსაციას ან საერთოდ არ უზრუნველყოფს მას, სასამართლოს შეუძლია დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნოს სამართლიანი დაკმაყოფილება 41-ე მუხლის შესაბამისად. მოსამზადებელი დოკუმენტები ვერ იძლევა პასუხს იმაზე, თუ რატომ გახდა აუცილებელი არაკანონიერი დაპატიმრების შემთხვევაში ამ გარანტიის არსებობა. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის მიღების უფლება არ არსებობს, მაგალითად, ნაშების მსხვერპლთათვის!

გარანტიის ეფექტიანობაც დავის საგანია, თუმცა ამ თვალსაზრისით რაიმე სარწმუნო დასკვნების გამოტანისთვის აუცილებელია მისი გამოყენების შესწავლა ეროვნულ დონეზე. ევროპული კონვენციის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მე-5 პუნქტს არ გამოუწვევია დიდი ინტერესი, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა ამ პუნქტის დარღვევა<sup>2410</sup>. თუმცა ამ საქმეთა

<sup>2409</sup> *ლუბერტი (Luberti) იტალიის წინააღმდეგ*, §34; იხ. *აგრეთვე ნავარა (Navarra) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §28 29; *ლეთელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §56. კრიტიკისთვის იხ. ესერი (2002) 369.

<sup>2410</sup> *კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ*, §44; *ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული*

მნიშვნელოვან ნაწილში მიღებული გადაწყვეტილებები ნამდვილად ალოგიკური იყო, რადგან მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევის დადგენის მიუხედავად, განმცხადებელს უარი ეთქვა კომპენსაციაზე 41-ე მუხლის (ყოფილი 50-ე მუხლი) საფუძველზე<sup>2411</sup>. სხვა სიტყვებით, სასამართლო ეუბნება განმცხადებელს: „თქვენი უფლებები დაირღვა მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ან მე-4 პუნქტების საფუძველზე. შესაბამისად, მე-5 პუნქტის თანახმად, თქვენ გაგაჩნიათ კომპენსაციის მიღების უფლება. თუმცა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კვლავ ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს და ამდენად, ადგილი აქვს მორიგ დარღვევას. მიუხედავად ამისა, არ ვთვლით, რომ მოპასუხე მთავრობამ უნდა გადავიხადოთ რაიმე კომპენსაცია, რადგან ეს გადაწყვეტილება „თავისთავად საკმარისია სამართლიანი დაკმაყოფილებისთვის“.

## ბ. კომპენსაციის წინაპირობები

### 1. დაპატიმრება, რომელიც „არაკანონიერია“, ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის დებულებებს

#### ა. ზოგადი მიმოხილვა

კომპენსაციის უფლება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე უპირველესად გულისხმობს, რომ ადამიანი „გახდა დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებების [1-ლი, მე-2, მე-3 ან მე-4 პუნქტის] დარღვევით“. რადგან ეს დებულებები ხშირად მიუთითებს „კანონიერებაზე“, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევა ასევე უდრის მე-5 მუხლის დარღვევას და შესაბამისად, ნარმოქმნის კომპენსაციის უფლებას<sup>2412</sup>. იგივე ითქმის საერთაშორისო პაქტზე.

არსებობს დარღვევის ორი შესაძლო სახე. პირველი ეხება ვითარებას, როდესაც ადამიანი დაპატიმრეს მაშინ, როდესაც ის უნდა დარჩენილიყო თავისუფლებაში, მაგალითად, თუ დაკავება არ შეესაბამება მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს ან წინასწარი პატიმრობის ვადა აღემატება მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ზღვარს. მეორე უკავშირდება ფორმალური ხასიათის შეცდომას. ამის მაგალითია ექვმიტანილის წარდგენა ისეთი პირის წინაშე, რომელიც არ არის „მოსამართლე ან ... სხვა მოხელე“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ან დაპატიმრების მიზეზების შესახებ პირის „დაუყოვნებლივ“ ინფორმირების მოთხოვნის დარღვევა.

კომპენსაციის უფლება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განსხვავდება სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებისგან. უკანასკნელი მოითხოვს მხოლოდ იმის მტკიცებას, რომ დაპატიმრება არ იყო კანონიერი (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი; საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი), ხოლო მე-5 პუნქტი

---

სამეფოს წინააღმდეგ, §67; ფოქსი (Fox), კემპელი (Campbell) და ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46; თინი (Thynne), უილსონი (Wilson) და გუნელი (Gunnell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §82. იტალიის უფრო პოზიტიური შეფასებისთვის იხ. კიავარიო (1990) 450.

<sup>2411</sup> ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; კიულა (Ciulla) იტალიის წინააღმდეგ; ფოქსი (Fox), კემპელი (Campbell) და ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; საკიკი (Sakik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ; ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ; რეხოკი (Rehbock) სლოვენის წინააღმდეგ; SBC გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>2412</sup> ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 131; ველუ და ერგეცი (1990) N 351; ტრექსელი (1974) 266.

კი მოითხოვს ამის მკაფიოდ დამტკიცებას. შესაბამისად, კომპენსაციის უფლება არ არსებობს, თუ ადგილი არა აქვს კონვენციის დარღვევას<sup>2413</sup>.

კომპენსაციის უფლება წარმოიქმნება ორივე შემთხვევაში<sup>2414</sup>. თუმცა აღსანიშნავია, რომ მე-5 პუნქტი იგულისხმება მხოლოდ არაკანონიერი და არა უბრალოდ თვითნებური დაპატიმრება. თუ ადამიანი კანონიერად იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, მაგრამ მოგვიანებით ის გაამართლეს, კონვენციის საფუძველზე მას არ ეკუთვნის კომპენსაცია<sup>2415</sup>. მეორე მხრივ, ცხადია, რომ თვით იმ პირს, რომელიც იქნა მსჯავრდებული და მიესაჯა მკაცრი სასჯელი, აქვს კომპენსაციის უფლება, როდესაც მისი წინასწარი პატიმრობა (ან მისი ნაწილი) არაკანონიერი იყო.

განსაკუთრებული ვითარება იყო შექმნილი *ეგზის (Eggs)* საქმეში. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მე-5 მუხლი იქნა დარღვეული<sup>2416</sup>. თუმცა მინისტრთა კომიტეტში ხმების აუცილებელი უმრავლესობა, რომელიც ორ მესამედს შეადგენს, ვერ შეგროვდა. ის ფაქტი, რომ დარღვევა არ იქნა დადგენილი, ნიშნავს მე-5 პუნქტის წინაპირობის შეუსრულებლობას<sup>2417</sup>. მიუხედავად ამისა, კომისიამ განაცხადი ცნო დასაშვებად<sup>2418</sup> და საქმე მორიგების მიღწევით დასრულდა<sup>2419</sup>.

### ბ. როდესაც კონვენცია არ არის ძალაში შესული

პრობლემები წარმოიქმნება, როდესაც კონვენციის შესრულება საეაღდებულო ხდება ქვეყნისთვის მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა უკანონო დაპატიმრებას, თუმცა სანამ შესაბამისი პირი მოითხოვდა კომპენსაციას. აკისრებს თუ არა კონვენციის რატიფიკაცია სახელმწიფოს ადრე ჩადენილი დარღვევების კომპენსირების ვალდებულებას?

კომისიამ ამ კითხვას საკმაოდ მკაფიო პასუხი გასცა: მე-5 მუხლის გარანტიების დარღვევა არ იწვევს მე-5 პუნქტში მოცემული უფლების წარმოქმნას, თუ მას ადგილი ჰქონდა კონვენციის ძალაში შესვლამდე<sup>2420</sup>. თუმცა ასეთი შეზღუდვა არ არსებობს, როდესაც კონვენცია ძალაში იყო შესული, მაგრამ ინდივიდუალური განაცხადის უფლება 25-ე მუხლის საფუძველზე აღიარებული იქნა მხოლოდ

<sup>2413</sup> *კეუსი (Keus)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §29; *მიურეი (Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §82; *ბენჰამი (Benham)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §50; *პერკსი (Perks)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §74; *NC იტალიის წინააღმდეგ*, §61; *ბუშე (Bouchet)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §50 51.

<sup>2414</sup> *ტრექსელი (1974) 266*; *ველუ და ერგეცი (1990) N 352*; სასამართლომ მიიღო საპირისპირო გადაწყვეტილება საქმეში *დე ვილდე (De Wilde)*, *ომსი (Ooms)* და *ვერსიპი (Versyp)* ბელგიის წინააღმდეგ (§24), თუმცა მოგვიანებით განხილულ საქმეებში აქ მოყვანილ მოსაზრებას დაუჭირა მხარი: *ბროგანი (Brogan)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §67; *ფოქსი (Fox)*, *კემპბელი (Campbell)* და *ჰარტლი (Hartley)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46; *თინი (Thynne)*, *უილსონი (Wilson)* და *გუნელი (Gunnell)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §82.

<sup>2415</sup> *ტრექსელი (1974) 267*.

<sup>2416</sup> *ეგზი (Eggs) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10313/85.

<sup>2417</sup> რეზოლუცია DH(79)7, რეზოლუციითა კრებული 1958-83, გვ. 74. იხ. აგრეთვე ფროვინი და შოიკერტი (1996) 32-ე მუხლი, N 4. უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურ საქმეში, *სანჩი (Sanjchi)* და *სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*, მინისტრთა კომიტეტმა, კომისიის მსგავსად, დაადგინა დარღვევა. რეზოლუცია DH(83)5, განაცხადები 7468/76, 7938/77, 8018/77, 8106/77, 8325/78 და 8778/79.

<sup>2418</sup> *ეგზი (Eggs) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10313/85.

<sup>2419</sup> *Ibid.*, (1985) 41 DR 160.

<sup>2420</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 844/60; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 1151/61.



თავისუფლების აღკვეთის შემდეგ<sup>2421</sup>. ევროპული კონვენციის შემთხვევაში ეს საეხებით ლოგიკურია. „ამ მუხლის დებულებების დარღვევას“ არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ ეს უკანასკნელი არ მოქმედებს.

### გ. საპროცესო პრობლემები

კომპენსაციის უფლება შეიძლება, გარკვეულწილად, დახასიათდეს, როგორც „მეორადი უფლება“, რომელიც დამოკიდებულია და ამავდროულად პასუხისმგებელია პირად თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი უფლების უზრუნველყოფაზე. ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დადგინდეს პირველადი დარღვევის არსებობა იმისათვის, რომ ამოქმედდეს მეორადი უფლება. კომისიის ყოფილი თავმჯდომარე თელიდა, რომ პირველი დარღვევა უნდა დადგინდეს სტრასბურგის ორგანოების მიერ<sup>2422</sup>. ამის შემდეგ განმცხადებელმა უნდა მოითხოვოს კომპენსაცია ეროვნულ დონეზე, ხოლო „სტრასბურგმა“ უნდა განიხილოს საკითხი მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება<sup>2423</sup>. ცხადია, რომ ასეთი განმარტება ვერ უზრუნველყოფს გარანტიის ეფექტიანობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენციის საფუძველზე საქმის განხილვა შეიძლება თავისუფლად გაგრძელდეს 5 წელზე მეტ ხანს.

მოგვიანებით კომისიამ უარყო კონვენციური ორგანოების მიერ თავდაპირველი გადაწყვეტილების არსებობის მოთხოვნა. განაცხადის წარდგენა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები დაადგინენ მე-5 მუხლის არსებით დარღვევას<sup>2424</sup>, თუმცა პირს უარს ეტყვიან კომპენსაციაზე სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების უმაღლეს დონეზე<sup>2425</sup>. საბოლოოდ, კომისიამ მისაღებად ჩათვალა მე-5 პუნქტის საფუძველზე საჩივრის განხილვა პირველ ოთხ პუნქტთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად<sup>2426</sup>. ასეთივე მიდგომას იყენებს სასამართლო. ამასთან, როდესაც განმცხადებელი ამტკიცებს, რომ დარღვეული იქნა მე-5 მუხლის ერთ-ერთი გარანტია, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ამოწურულია თუ არა კომპენსაციის მიღების შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები<sup>2427</sup>.

მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არის: უზრუნველყოფს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კომპენსაციის მიღების რაიმე შესაძლებლობას? მოპასუხე მთავრობა ჩვეულებრივ მიუთითებს მრავალი სახის

<sup>2421</sup> თუმცა 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ექვსთვიანი წესი უნდა იყოს დაცული. პერიოდი იწყება სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ან თუ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალება (ანუ არ არსებობს კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა), მე-5 მუხლის პირველი ოთხი პუნქტის შესაძლო დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან.

<sup>2422</sup> ფოცტტი (1969) 119. კომისიას ჰქონდა ანალოგიური მოსაზრება; იხ. X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 4149/69; X აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 5560/72.

<sup>2423</sup> ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ, §76, გვ. 90.

<sup>2424</sup> L შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10801/85; ეგზი (Eggs) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 10313/85; და ჰუბერი (Huber) აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 6821/74.

<sup>2425</sup> ჰუბერი (Huber) აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 6821/74; X, Y და Z აესტრიის წინააღმდეგ, განაცხადი 7950/77.

<sup>2426</sup> X გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 6033/75.

<sup>2427</sup> იხ. მაჯ: ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67.

სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და სასამართლო შეეცდება განსაზღვროს მათი ეფექტიანობა.

საკიკის (*Sakik*) საქმეში თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ამ უფლებას უზრუნველყოფდა კონსტიტუციის მე-19 მუხლი<sup>2428</sup>. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ მთავრობას არ მოუყვანია არც ერთი შემთხვევა, როდესაც მოხდა კომპენსაციის გადახდა. მეორე მხრივ, *სტილის (Steel)* საქმეში განმცხადებელს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის შეტანა პოლიციის წინააღმდეგ, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით და ამდენად, მე-5 პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია<sup>2429</sup>. *ცირლისის (Tsirlis)* და *კულუმპასის (Kouloumpas)* საქმეში სამხედრო სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ბერძნული კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებლებს არ ჰქონდათ კომპენსაციის მიღების უფლება, რადგან მათი დაპატიმრების მიზეზი მათივე „უხეში დაუდევრობა“ იყო<sup>2430</sup>.

სხვა საქმეებში სასამართლომ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომელთაგან რამდენიმე პრეზუმფციის შეტრიალებას უდრის: „სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებები არ განაპირობებს იმ დასკვნას, რომ სამართალწარმოება ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 1401-ე მუხლის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს“<sup>2431</sup>. *სტილის (Steel)* საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „პოლიციის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა“ შეიძლება დასრულებულიყო კომპენსაციის მიღებით<sup>2432</sup>.

გადამწყვეტია არა წარმატების აბსტრაქტული შესაძლებლობა, არამედ ის ვითარება, რომელშიც იმყოფება განმცხადებელი. თუ კომპენსაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ გამართლების შემთხვევაში, ხოლო განმცხადებელი მართლაც გაამართლეს, სასამართლო ამაზე შეჩერდება. გადაწყვეტილების გაუქმება აუცილებლად არ მოახდენს გავლენას დაპატიმრების კანონიერებაზე<sup>2433</sup>.

## 2. ზიანი

ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში კომისიამ განაცხადა, რომ „კომპენსაციის უფლება, რომელსაც ითვალისწინებს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, არ არის დამოკიდებული რაიმე ზიანის არსებობაზე“<sup>2434</sup>. ეს განცხადება ნაწილობრივ შეცდომაში შემყვანია, რადგან კომისია სავარაუდოდ გულისხმობდა მატერიალურ ზიანს. მე-5 პუნქტში ივარაუდება, რომ არაკანონიერი დაპატიმრება *de iure* ყოველთვის იწვევს ზიანს, მაშინაც, თუ ის არ არის მატერიალური ხასიათის. სინამდვილეში, სასამართლო დაადგენს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას უშუალოდ ზიანის საკითხის განხილვამდე.

თუმცა ამის შემდეგ ჩნდება კითხვა 41-ე მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, „საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნებს სამართლიან დაკმაყოფილებას“. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით განვითარებული პრაქტიკა მიუღებელია. მრავალ საქმეში სასამართლო მივიდა

<sup>2428</sup> საკიკი (*Sakik*) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, § 59.

<sup>2429</sup> სტილი (*Steel*) და სხვები გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 83.

<sup>2430</sup> ცირლისი (*Tsirlis*) და კულუმპასი (*Kouloumpas*) საბერძნეთის წინააღმდეგ, § 66.

<sup>2431</sup> ვასინკი (*Wassink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 38.

<sup>2432</sup> სტილი (*Steel*) და სხვები გართიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 83.

<sup>2433</sup> NC იტალიის წინააღმდეგ, § 53-6.

<sup>2434</sup> რეზოლუცია DH(83), 31 DR 41 (1983); კომისიამ მიუთითა საქმეზე არტიკო (*Artico*) იტალიის წინააღმდეგ (§ 35).

დასკვნამდე, რომ გადანყევტილება, რომლითაც დასტურდება კონვენციის დარღვევა, თავისთავად, წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას. მას არასდროს დაუნიშნავს თვით სიმბოლური ხასიათის კომპენსაცია, მაგალითად, ერთი ფრანგული ფრანკის ოდენობით.

*ჰუდის (Hood) საქმეში* სასამართლომ განაცხადა:

სასამართლო იხსენებს, რომ სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც განმცხადებელს არ მიადგებოდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გარანტიებით სარგებლობის შემთხვევაში. შედეგად, მაგალითად, *ჰუბერის (Huber) საქმეში* სასამართლომ განაცხადა, რომ მტკიცებულებები არ იძლეოდა იმის თქმის საფუძველს, რომ წინასწარ პატიმრობას არ ექნებოდა ადგილი, თუ დაპატიმრების ბრძანების გაცემა იმ სასამართლო მოხელის უფლებამოსილება იქნებოდა, რომელიც უზრუნველყოფდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გარანტიებს. შესაბამისად, ამ საქმეში სასამართლომ უარყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ჩაითვალა, რომ დარღვევის დადგენა წარმოადგენდა სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მიადგა განმცხადებელს<sup>2435</sup>.

ასეთ მიდგომას ნაწილობრივ პარადოქსულ შედეგამდე მივყავართ: სასამართლო ადგენს კონვენციის დარღვევას, რადგან განმცხადებელმა ვერ მიიღო კომპენსაცია არაკანონიერი დაპატიმრებისთვის, თუმცა, ამავდროულად, აცხადებს, რომ საკომპენსაციო არაფერია. ცხადია, რომ არსებობს განსხვავება 41-ე მუხლის საფუძველზე „სამართლიან დაკმაყოფილებასა“ და არაკანონიერი დაპატიმრებისთვის „კომპენსაციას“ შორის. თუმცა ვითარება მაინც საკმაოდ არადამაკმაყოფილებელია სასამართლოს აღიარების მიუხედავად, რომ განმცხადებელს შეიძლებოდა მიდგომოდა არამატერიალური ზიანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო დაპატიმრებული, *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე.

## გ. კომპენსაციის ოდენობა

ამ კონტექსტში შეიძლება ვინმეს პქონდეს რაიმე მინიშნების არსებობის მოლოდინი კომპენსაციის მოცულობასა და მისი ოდენობის განსაზღვრის მეთოდზე. თუმცა სასამართლოს არასდროს გაუკეთებია ამგვარი მინიშნება. არც ერთ საქმეში არ დამდგარა კომპენსაციის ოდენობის საკითხი. კომპენსაციის განხილვისას სასამართლო კავშირს ავლებს 41-ე მუხლთან. საკითხი შეიძლება წამოიჭრას, თუ განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მას არასაკმარისი კომპენსაცია მისცეს.

ცხადია, რომ კომპენსაციით უნდა დაიფაროს ნებისმიერი მატერიალური ზიანი. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით განხორციელებული დაპატიმრების შემთხვევაში ან იმავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ „გონივრულ ვადაზე“ მეტ ხანს წინასწარი პატიმრობის გაგრძელების დროს, შემოსავლის დაკარგვა (იმის გათვალისწინებით, რომ დაპატიმრების მომენტში პირს ჰქონდა შემოსავალი) იქნება

<sup>2435</sup> *ჰუდი (Hood) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §84.

ყველაზე თვალსაჩინო ზიანი. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა სახის დანაკარგსაც. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა.

მეორე მხრივ, მატერიალური ზიანის ანაზღაურება არ მოხდება, როდესაც განმცხადებელი გახდა ფორმალური შეცდომის მსხვერპლი, მაგალითად, თუ ის დაუყოვნებლივ არ წარედგინა მოსამართლეს, დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირი არ იყო „მოსამართლე“ ან *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის განაცხადის განხილვა არ მოხდა დროულად<sup>2436</sup>. მრავალი განმცხადებელი ასეთ დროს მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ დაპატიმრების ბრძანების გაცემა საერთოდ არ მოხდებოდა, თუ არ იქნებოდა დაშვებული საპროცესო შეცდომა. თუმცა ეს არ არის მართებული. სასამართლო სამართლიანად აცხადებს, რომ დაუშვებელია სამართალწარმოების შედეგით სპეკულირება, საპროცესო შეცდომას რომ არ ჰქონოდა ადგილი<sup>2437</sup>. თუმცა გარკვეული დოზით სპეკულირება მაინც შესაძლებელია: *ვიქსის (Weeks)* საქმეში დარღვეული იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, *habeas corpus* პროცედურით სარგებლობის უფლება. სასამართლოს განცხადებით, არ შეიძლება იმის მთლიანად გამორიცხვა, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალების ხელმისაწვდომობა გამოინვევდა მის უფრო ადრეულ გათავისუფლებას<sup>2438</sup>.

ნათელია, რომ სხვა არამატერიალური ზიანიც შეიძლება საჭიროებდეს კომპენსაციას და სწორედ აქ ვაწყდებით რეალურ პრობლემას. როდესაც დამტკიცდება, რომ პატიმრობის პერიოდი არაკანონიერი იყო, პირს უნდა მიეცეს გარკვეული ოდენობის თანხა 41-ე მუხლის, ისევე როგორც მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე. თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება საქმეში არსებულ გარემოებებზე, პატიმრობის პირობებზე, იმ გავლენაზე, რომელიც დაპატიმრებამ იქონია განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მის პროფესიულ, სოციალურ და ოჯახურ ცხოვრებაზე და პატიმრობის ხანგრძლივობაზე. ჩემი აზრით, მინიმალური თანხა უნდა შეადგენდეს დაახლოებით 50 ევროს დღეში, ხოლო მაქსიმალური – 1000 ევროს. ეს არის ძალზე უხეში გაანგარიშება, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტულ სახელმწიფოში ცხოვრების საშუალო ხარჯების ფაქტორი. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპენსაცია უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა ხაზი გაესვას პირადი თავისუფლების მნიშვნელობას.

<sup>2436</sup> ეს დამოკიდებულია შედეგზე. თუ განმცხადებელი წარმატებას მიაღწევს, შეიძლება მართებული იყოს ვარაუდი, რომ განმცხადებელს უფრო ადრე გაათავისუფლებდნენ ადგილი რომ არ ჰქონოდა რაიმე შეფერხებას.

<sup>2437</sup> *ვიქსი (Weeks) გურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, მუხლი 50, § 13 (მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით).

<sup>2438</sup> *Ibid.*

# თავი 19

## წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების სპეციალური უფლებები

### I. შესავალი

#### ა. დებულებები

3. სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე დაპატიმრებული ან დაკავებული ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას აქვს სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ან გათავისუფლების უფლება. სასამართლო განხილვის მოლოდინში პირის დაპატიმრება არ უნდა იყოს ზოგადი წესი, თუმცა მისი გათავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლო განხილვაზე ან სასამართლო სამართალწარმოების ნებისმიერ სხვა სტადიაზე გამოცხადების და საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსასრულებლად გამოცხადების გარანტიების წარდგენაზე.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-9(3) მუხლი.*

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის დებულებების შესაბამისად დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას აქვს სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ან საქმის განხილვის დასრულებამდე გათავისუფლების უფლება. გათავისუფლებას შეიძლება პირობად დაედოს სასამართლოში გამოცხადების გარანტიების წარდგენა.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-5(3) მუხლი.*

3. ნებისმიერი დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას აქვს სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ან გათავისუფლების უფლება სამართალწარმოების მსვლელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. მის გათავისუფლებას შეიძლება პირობად დაედოს სასამართლოში გამოცხადების გარანტიების წარდგენა.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7(5) მუხლი.*

აღნიშნული დებულებები ძირითადად ერთისა და იმავე აზრს გადმოსცემენ, ხოლო გამოყენებულ ტერმინებს შორის არსებული განსხვავებები არ მიუთითებენ შინაარსობრივ სხვაობაზე. თითქოს განზრახ, სამივე დებულების პირველი

წინადადება იყენებს ტერმინებს – „ნებისმიერი“ ან „ყველა“. თუმცა ამას მოსდევს განსხვავებები, ერთი მხრივ, საერთაშორისო პაქტსა და ევროპულ კონვენციას და მეორე მხრივ, ამერიკულ კონვენციას შორის. სხვადასხვა სიტყვებით, საერთაშორისო პაქტი და ევროპული კონვენცია მიანიშნებენ წინასწარ პატიმრობაზე. კონვენცია ამას ფორმალურად აკეთებს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტზე მითითებით, ხოლო პაქტი საუბრობს „სისხლისსამართლებრივ ბრალდებაზე“<sup>2439</sup>, თუმცა დაკავებისას პირს შეიძლება არ ჰქონდეს ბრალდება წარდგენილი. ამერიკული კონვენცია ამ მხრივ არ შეიცავს კონკრეტულ მინიშნებებს. თუმცა ცალსახაა, რომ გარანტია განკუთვნილია დაკავებული ან დაპატიმრებული ექვემდებარებისთვის. არც ერთ სხვა პირს არ აქვს სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის ან განხილვის დასრულებამდე გათავისუფლების ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ პირველი გარანტია (მოსამართლის ან სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისთვის უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე წარდგენა) ერთი და იგივე ტერმინებისგან შედგება სამივე დებულებაში. გარდა ამისა, საერთაშორისო პაქტში ეხვდებით მოთხოვნას, რომ პატიმრობა არ უნდა იყოს ზოგადი წესი. თუმცა ამ მოთხოვნის ნორმატიული ღირებულება სადაეოა და ალბათ უფრო რეკომენდაციას წარმოადგენს, ვიდრე უფლების გარანტიას. ის გამოხატავს აზრს, რომელიც ასევე წარმოადგენს დანარჩენ ორ ინსტრუმენტში მოცემული პირადი თავისუფლების გარანტიის სულისკვეთების ნაწილს.

საერთაშორისო პაქტიის დებულება უფრო დეტალურია, რადგან შეიცავს წინასწარი პატიმრობის გამართლების დამატებით საფუძველს: იმის უზრუნველყოფა, რომ მსჯავრდების შემთხვევაში პირი გამოცხადდება სასჯელის აღსასრულებლად. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ, თუ მსჯავრდებული დაუყოვნებლივ არ დაინყებს სასჯელის მოხდას. თუმცა ასეთი დეტალები ზედმეტია. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემდეგ პირისთვის თავისუფლების აღკვეთა, როგორც მინიმუმ კონვენციასთან მიმართებაში, გამართლებულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით პატიმრობის რეჟიმისა და ადგილის მიუხედავად.

## ბ. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის განკუთვნილი სპეციალური გარანტიების დასაბუთება

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ექვსივე ქვეპუნქტი შეიცავს დაპატიმრების ლეგიტიმური საფუძვლების ამომწურავ სიას. ერთ-ერთი ასეთი საფუძველი, რომელიც მოცემულია გ) ქვეპუნქტში, ექვემდებარება ორ სპეციალურ გარანტიას იმავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე: მოსამართლის წინაშე წარდგენისა და გონივრულ ვადაში გათავისუფლების უფლებები. ეს სპეციალური გარანტიები ასევე მოცემულია დანარჩენ ორ ინსტრუმენტში.

რატომ არის საჭირო ასეთი დამატებითი ზომების მიღება<sup>2440</sup>? საქმე იმაშია, რომ წინასწარი პატიმრობა უნდა იყოს იძულების დროებითი ღონისძიება. მისი გამოყენება გამართლებულია მთლიანად იმ ეჭვის საფუძველზე, რომ დაპატიმრებულმა ჩაიდინა დანაშაული და საჭიროებს განსაკუთრებულ მონიტორინგს სწორედ იმიტომ, რომ ეხმარება ამ ეჭვის დამტკიცებისკენ მიმართულ გამოძიებას. სხვა სიტყვებით, იმ პირებს, რომლებიც გასცემენ

<sup>2439</sup> ნოუაკი (1993) მე-9 მუხლი, N 37.

<sup>2440</sup> იხ. აგრეთვე პრადელი და კორსტენსი (2000) N 317.

დაკავებისა და დაპატიმრების ბრძანებებს, საგრძნობლად გაუადვილებოდათ საქმე ეჭვმიტანილის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემის შემთხვევაში. მართლაც, ეს ორი ასპექტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ითვლება, რომ ციხის საკანში იზოლირებული პირი უფრო დიდი ალბათობით აღიარებს დანაშაულს, ვიდრე თავისუფლებაში მყოფი, რომელსაც მხარს უჭერენ ოჯახის წევრები და მეგობრები. რასაკვირველია, ეს მოსაზრება არ არის წინასწარი პატიმრობის ოფიციალური დასაბუთება, თუმცა არ არის საჭირო იყო პროფესიონალი ფსიქოლოგი იმის მისახვედრად, რომ გამომძიებელი, რომელიც პასუხისმგებელია ეჭვმიტანილის დაკავებაზე, იმედოვნებს პატიმრობის შედეგად აღიარებითი ჩვენების მოპოვებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, პირი, რომელიც გასცემს დაპატიმრების ბრძანებას ან მოითხოვს წინასწარ პატიმრობას დაინტერესებულია, რომ, საბოლოო ჯამში, დამტკიცდეს ეჭვმიტანილის ბრალეულობა, რადგან ამით დადასტურდება მისი ვარაუდის სისწორე. პირის გათავისუფლება, გამომძიებლისთვის სასარგებლო ყოველგვარი შედეგის გარეშე, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეჭვმიტანილის დაპატიმრება არ იყო აუცილებელი.

აღიარებით ჩვენებაზე უარის შემთხვევაშიც გამომძიებლის საქმე უფრო იოლდება. ეჭვმიტანილი საკანში იმყოფება და ნებისმიერ დროს შეიძლება მისი დაკითხვა. ამ ინტერესებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს გამომძიებლის მიერ რეალობის აღქმაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნეიტრალური სასამართლო ორგანო აკონტროლებდეს ვითარებას. ასევე აუცილებელია, რომ პატიმრობის ხანგრძლივობა იყოს შეზღუდული. საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოაშკარავების ამოცანა შეიძლება ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოვიდეს ეჭვმიტანილის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის შეზღუდვის ვალდებულებასთან

წინასწარი პატიმრობის ზომიერად გამოყენების მოთხოვნას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. 1764 წელს თავის ცნობილ ნაშრომში „*Dei delitti e delle pene*“ ჩეზარე ბეკარია წერდა, რომ პატიმრობა გამართლებული იყო მხოლოდ მიმალვის საფრთხის არსებობის დროს ან მტკიცებულების დაცვის მიზნით.<sup>241</sup>

ეს მიზეზები ხსნის, თუ რატომ მოხდა სპეციალური გარანტიების მინიჭება წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის. შემდეგ ქვეთავებში დეტალურად განვიხილავთ ამ მიზეზებს.

## გ. სხვა გარანტიები

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია მკაფიოდ განსაზღვრავს სპეციალურ გარანტიებს მე-3 პუნქტში, სასამართლომ მის ფარგლებში დამატებით ამოიკითხა თავისთავად ცხადი და ნაწილობრივ ფორმალური მოთხოვნა: ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, აღრიცხონ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ყველა ქმედება. ამ მხრივ პრობლემები იყო თურქეთის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში, როდესაც ადგილი ჰქონდა პატიმართა გაუჩინარებას და ვერ იქნა მოძიებული რაიმე ღირებული მონაცემები.

სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, „მე-5 მუხლი განამტკიცებს მატერიალური უფლებების ჯგუფს, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ თავისუფლების აღკვეთა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სასამართლოს შემოწმებას და ხელისუფლების ორგანოები იყვნენ ანგარიშვალდებული ამ

<sup>241</sup> პიზანი (2001) N 10.6.

ლონსძიებისთვის. დაუდასტურებელი დაპატიმრება ნარმოადგენს ამ გარანტიების სრულ უარყოფას და მე-5 მუხლის ყველაზე სერიოზული დარღვევაა<sup>2442</sup>. შესაბამისად, მივდივართ დასკვნამდე, რომ „პატიმრობასთან დაკავშირებული ზუსტი და საიმედო მონაცემების აღრიცხვა უზრუნველყოფს აუცილებელ გარანტიას თვითნებური პატიმრობის წინააღმდეგ, რომლის გარეშე თავისუფლების აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირები გაექცევიან პასუხისმგებლობას“<sup>2443</sup>.

გარდა ამისა, მე-5 მუხლის საფუძველზე სასამართლომ გამოიყენა ის პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა მე-2 და მე-3 მუხლებთან დაკავშირებით. ამ უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება (1-ლი მუხლი)<sup>2444</sup> გულისხმობს საპროცესო კომპონენტს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დასაბუთებულ მტკიცებას, რომ სიკვდილი გამოწვეული იქნა არაკონიერი ქმედებით ან პირის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, ჩაატარონ სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება<sup>2445</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების ორგანოები პასუხს აგებენ მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებზე, მე-5 მუხლის მიხედვით, მათ მოეთხოვებათ ეფექტიანი ზომების მიღება გაუჩინარების საფრთხის წინააღმდეგ და სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება იმ დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, რომ პირი იქნა დაკავებული და მას შემდეგ ის არავის უნახავს<sup>2446</sup>. ტასის (Tas) საქმეში მონაცემების არარსებობისა და იმ ფაქტის გამო, რომ პატიმრობის ვადა პროკურორის მიერ ორჯერ იქნა გაგრძელებული 15 დღის ვადით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა „თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას“<sup>2447</sup>.

## II. მოსამართლის წინაშე წარდგენის უფლება

### ა. უფლების მიზანი და ხასიათი

მე-3 პუნქტის მიხედვით, ეჭვმიტანილის სახით დაკავებული ყველა პირი „დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის უფლებამოსილ სხვა მოხელეს“<sup>2448</sup>. ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარანტია იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობს პოლიციელთა მხრიდან წამებისა და სასტიკი მოპყრობის საფრთხე. აღნიშნული ასევე წარმოადგენს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ინტერესის საგანს.<sup>2449</sup> მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მეთოდები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ძლიერი ტკივილის მიყენებასა და წამებას შრამების ან სხვა კვალის დატოვების

<sup>2442</sup> ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ, §84; იხ. აგრეთვე კურთი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ, §122-5; ჩაკიჩი (Cakici) თურქეთის წინააღმდეგ, §104.

<sup>2443</sup> ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ, §85.

<sup>2444</sup> იხ. ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §239.

<sup>2445</sup> მაქკენი (McCann) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §161; კურთი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ, §125; ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ, §85.

<sup>2446</sup> ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ, §84; კურთი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ, §122-5; ჩაკიჩი (Cakici) თურქეთის წინააღმდეგ, §104.

<sup>2447</sup> ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ, §87; იხ. აგრეთვე კურთი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ, §122-5; ჩაკიჩი (Cakici) თურქეთის წინააღმდეგ, §104.

<sup>2448</sup> პრევენციული დაპატიმრება, რომელზეც არ ვრცელდება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი, არ წარმოშობს რაიმე უფლებას მე-3 პუნქტის საფუძველზე.

<sup>2449</sup> რიდი და მერდოკი (1991) 228, 7.



გარეშე, მაინც არის არაჯეროვანი მოპყრობის მტკიცებულებების აღმოჩენის დიდი ალბათობა პირის სხეულზე ასეთი ფაქტიდან ერთი ან ორი დღის განმავლობაში. ამ დროის ფარგლებში დაკავებული პირი უნდა გამოვიდეს პოლიციის აბსოლუტური კონტროლიდან და გადავიდეს სასამართლოს დაცვის ქვეშე<sup>2450</sup>. ამის შესახებ რამდენჯერმე აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ. ეს გარემოება ნარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც სასამართლო კონტროლი უნდა იყოს ავტომატური, რადგან ნამების შემდეგ პირს შეიძლება ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად არ შეეძლოს მომხდარი ფაქტის გასაჩივრება<sup>2451</sup>.

თუმცა დაცვა არაჯეროვანი მოპყრობისგან არ არის გარანტიის არც ოფიციალური და არც ძირითადი მიზანი. სასამართლო მას რელევანტურად მიიჩნევს მხოლოდ ერთად აღებული მე-5 მუხლის ჭრილში, რომელიც „განამტკიცებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, კერძოდ, დაცვას ადამიანის პირადი თავისუფლების უფლებაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან“<sup>2452</sup>. სხვა სიტყვებით, თავისუფლების აღკვეთა ნარმოადგენს პირის ფუნდამენტურ უფლებებში ისეთ სერიოზულ ჩარევას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული ადმინისტრაციული ორგანოები უფლებამოსილი არიან, მიიღონ მხოლოდ დროებითი გადაწყვეტილება პირის დაკავების შესახებ. ამის შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად, ეს გადაწყვეტილება უნდა გადაიხინჯოს და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ, რომელსაც მიეცა დაპატიმრებული პირის ფიზიკურად ხილვის შესაძლებლობა. ეს ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლომ გასცა დაკავების ბრძანება და დამცველიც ესწრებოდა ბრძანების გაცემას<sup>2453</sup>.

აღნიშნულმა მოთხოვნამ შეიძლება გაუთვალისწინებელი პრობლემები შეუქმნას ხელისუფლების ორგანოებს. ეროვნული საპროცესო სამართლის კონკრეტული ნორმები შეიძლება გახდეს ამ მხრივ პრობლემური. ასეთი ნორმის მაგალითია, როდესაც სასამართლოს წინაშე პირის ნარდგენის შემდეგ პოლიციას აღარ აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში გარანტიის გამოყენება იწვევს გვერდით ეფექტებს, რომლებიც კონვენციით არ ყოფილა გათვალისწინებული ან გამიზნული. რამდენიმე საქმეში, სადაც განხილვის საგანი იყო გამოძიება ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების წინააღმდეგ, ცალსახად აღინიშნა, რომ ასეთი კონფლიქტები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით. შესაბამისად, დემირის (*Demir*) საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „რაც შეეხება სახელმწიფოს არგუმენტებს პოლიციის მიერ ჩასატარებელი გამოძიების ასრულფასოვნებასა“ და „სიზუსტესთან“ დაკავშირებით, ისინი არ იძლევიან პასუხს

<sup>2450</sup> იხ. აგრეთვე უკუი (1992) 29; პრადელი და კორსტენსი (2000) N 314.

<sup>2451</sup> ვან დერ შლიუსი (*Van der Sluijs*), ცუიდერველდი (*Zuiderveld*) და კლაფე (*Klappé*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 46; დე იონგი (*De Jong*), ბალიეტი (*Baljet*) და ვან დენ ბრინკი (*Van den Brink*) ნიდერლანდების წინააღმდეგ; დუინჰოფი (*Duinhof*) და დუიფი (*Duijff*) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 36; აკულინა (*Aquilina*) მალტის წინააღმდეგ, § 49; ტუ მალტის წინააღმდეგ, § 43; აქსოი (*Aksoy*) თურქეთის წინააღმდეგ, § 76; დიკმე (*Dikme*) თურქეთის წინააღმდეგ, § 64; ზეინაპი (*Zeynep*) თურქეთის წინააღმდეგ, § 46.

<sup>2452</sup> ეს ფორმულირება გამოყენებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში. იხ. მაგ. ბროგანი (*Brogan*) და სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 58; კურთი (*Kurt*) თურქეთის წინააღმდეგ, § 123; აკულინა (*Aquilina*) მალტის წინააღმდეგ, § 49; ნიედალა (*Niedbala*) პოლონეთის წინააღმდეგ, § 50; ნურეი სენი (*Nuray Sen*) თურქეთის წინააღმდეგ, § 22.

<sup>2453</sup> მაკგოფი (*McGoff*) შვედეთის წინააღმდეგ, § 12, 13, 27. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება პაქტის საფუძველზე. იხ. ნოვაკი (1993) მე-9 მუხლი, N 38.

მთავარ კითხვაზე, კერძოდ, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული რომელი მიზეზის გამო შეეშლებოდა ხელი გამოძიებას სასამართლოს მიერ განმცხადებლების პატიმრობის კანონიერების შემოწმებით. როდესაც სახეზეა ასეთი ხანგრძლივი ვადით პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, საკმარისი არ არის ზოგადი მითითების გაკეთება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და საქმეში მონაწილე პირთა რაოდენობაზე<sup>2454</sup>. თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა აფერხებს კონვენციის იმპლემენტაციას, ის უნდა შეიცვალოს.

დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი სასამართლო ორგანო ბუნდოვნად არის განმარტებული პრეცედენტულ სამართალში ამ საკითხს, სასამართლოს წინაშე პირის „დაუყოვნებლივ“ წარდგენასა და სამართალწარმოების მოთხოვნებთან ერთად, ქვემოთ დანვრილებით განვიხილავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 პუნქტი გარკვეულწილად ფორმალისტური ხასიათისაა: პირველი, პირი ფიზიკურად, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებით, უნდა წარედგინოს მოსამართლეს<sup>2455</sup>; რასაკვირველია მოსამართლესაც შეუძლია მივიდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება დაპატიმრებული პირი, მაგალითად, საავადმყოფოში.<sup>2456</sup> მეორე, შეუძლებელია უფლებაზე უარის თქმა; ამის მიზეზია პოლიციის მიმართ ზოგადი უნდობლობა და უფლებაზე უარის თქმის ნებაყოფლობითობასთან დაკავშირებული პრობლემები<sup>2457</sup>.

საქმის ამ თავდაპირველი განხილვის დროს სასამართლოს წარმომადგენელმა უნდა შეაფასოს, *prima facie*, შეესაბამება თუ არა დაპატიმრება პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტს (და ალბათ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის უფრო მკაცრ მოთხოვნებს).

განხილვა იქნება ზედპირული, რადგან ასეთ დროს გამოძიება ჩვეულებრივ სანყის ეტაპზეა და შესაბამისად, მხოლოდ მინიმალური მტკიცებულებები და ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი სასამართლოს წინაშე. სტრასბურგის სასამართლო ასევე საუბრობს „[სასამართლოს ან სხვა მოხელის] ვალდებულებაზე, შეამოწმოს დაპატიმრების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვროს, არის თუ არა პატიმრობა გამართლებული“<sup>2458</sup>. თუმცა ეს განცხადება არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასამართლო მოითხოვდეს მხოლოდ დაპატიმრების კანონიერების განსაზღვრას ამ ტერმინის ვიწრო გაგებით. „სასამართლო მოხელემ“ ასევე უნდა შეამოწმოს, გამართლებულია თუ არა პატიმრობა<sup>2459</sup>.

<sup>2454</sup> დემირი (*Demir*) თურქეთის წინააღმდეგ, §52.

<sup>2455</sup> შისერი (*Schiesser*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §31; მაკგოფი (*McGoff*) შვედეთის წინააღმდეგ, §27. საქმეში *D* ნიდერლანდების წინააღმდეგ (განაცხადი 11013/84) კომისიამ საკმარისად ჩათვალა ის ფაქტი, რომ სამხედრო სასამართლოს შეუძლო მოესმინა დაპატიმრებულის „მრჩეველისთვის“. ასეთი დასკვნა შეცდომად უნდა განვიხილოთ.

<sup>2456</sup> ასეთ ვითარებას უკონდა ადგილი საქმეში *ეგმეზი* (*Egmez*) კვიპროსის წინააღმდეგ: სასამართლომ გაიზიარა კომისიის შეხედულება, რომ მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული (§90).

<sup>2457</sup> იხ. აგრეთვე პრადელი და კორსტენსი (2000) N 314.

<sup>2458</sup> შისერი (*Schiesser*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §31; აქუილინა (*Aquilina*) მალტის წინააღმდეგ, §49; *TW* მალტის წინააღმდეგ, §43.

<sup>2459</sup> აქუილინა (*Aquilina*) მალტის წინააღმდეგ, §53. ამ საქმეში სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ პატიმრობა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია, არ იყო აუცილებლად უკანონო მალტის კანონმდებლის მიხედვით. *TW* მალტის წინააღმდეგ, §47.

ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში<sup>2460</sup> მითითებული „სასამართლოს“ მსგავსად, სასამართლო ორგანოს უნდა ჰქონდეს მის წინაშე წარდგენილი პირის გათავისუფლების უფლებამოსილება, თუ მივიდა დასკვნამდე, რომ შემდგომი თავისუფლების აღკვეთა არ იქნება კანონიერი ან თუნდაც მიზანშეწონილი (*“in dubio pro libertate”*)<sup>2461</sup>. გარდა ამისა, უფლებამოსილება უნდა გავრცელდეს ასევე *“propriu motu”* გადაწყვეტილების მიღებაზე და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის საშუალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით<sup>2462</sup>.

## ბ. მოსამართლე ან „სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელე“

### 1. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

ტერმინი „მოსამართლე“ არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს ამ კონტექსტში, რასაც ვერ ეიტყვიტ „სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის უფლებამოსილი სხვა მოხელეზე“<sup>2463</sup>.

სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში ტერმინები „მოსამართლე“ და „...სხვა მოხელე“ განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა<sup>2464</sup>. თუმცა ისტორიულად ასეთი ჰიპოთეზა არ დასტურდება. კონვენციის ავტორები, როგორც ჩანს, არ ენდობოდნენ იმ პირებს, რომლებსაც უნდა გამოეყენებინათ კონვენცია. მათ ალბათ ეშინოდათ, რომ ტერმინი „მოსამართლე“ ვინაობა და ფორმალისტურად იქნებოდა გაგებული. ავტონომიური ცნების“ განსაზღვრით, სასამართლომ ხელი შეუწყო განმარტებას, რომელიც ემყარება შინაარსს და არა ტერმინოლოგიას<sup>2465</sup>. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია თავისუფლად გავიხსენოთ სასამართლოს განცხადება თავის ყველაზე პირველ გადაწყვეტილებაში, რომ მოსამართლე არის ერთადერთი პირი, რომელიც ამ მუხლის მიზნებისთვის შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილ მოხელედ<sup>2466</sup>. ამ მოსაზრების ამყარებს მე-5 მუხლის შემუშავების ისტორიაც. რენე კასინი, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა საერთაშორისო პაქტის (რომელიც ასევე იქცა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის წყაროდ) შექმნის პროცესში, წერდა, რომ სიტყვების „... სხვა მოხელე“ დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა ინგლისელი იურისტების მოთხოვნით, რომლებსაც ეშინოდათ, რომ „მაგისტრატი“ არ ჩაითვლებოდა „მოსამართლედ“<sup>2467</sup>.

<sup>2460</sup> იხ. თავი 18, ქვეთავი II.დ.2.

<sup>2461</sup> *ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 199; *შისერი (Schiesser) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 31; *ვან დერ შლუიცი (Van der Sluys), ცუიდერველდი (Zuiderveld) და კლაფე (Klappe) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 42, 43, 48.

<sup>2462</sup> *აქვილინა (Aquilina) მალტის წინააღმდეგ*, § 49; *TW მალტის წინააღმდეგ*, § 47.

<sup>2463</sup> ტრექსელი (1974) 251.

<sup>2464</sup> ფილიგერი (1999) N 250; ესერი (2002) 264.

<sup>2465</sup> კასტანასი (1996) 333; იუროუ (1996) 33.

<sup>2466</sup> *ლოულესი (Lawless) ორლანდის წინააღმდეგ*, § 9; ესერი (2002) 264. ავტორი ასევე განიხილავს ტერმინის „კანონით უფლებამოსილი“ მნიშვნელობას. თუმცა ამის გაკეთება აუცილებელი არ არის, რადგან „მოსამართლის“ განსაზღვრება გულისხმობს, რომ შესაბამისი ორგანო უნდა იყოს „კანონის საფუძველზე შექმნილი“ და ახორციელებდეს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

<sup>2467</sup> კასინი (1970) 628; ესერი (2002) 264; პიტი (1980) 209; ტრექსელი (1974) 251; ტრექსელი (1992) 193.

თუმცა შისერის (Schuesser) საქმეში, რომელიც ეხებოდა ციურისის რაიონული სასამართლოს პროკურორს<sup>2468</sup>, ვეროპულმა სასამართლომ, როგორც ჩანს, დაიგინა აღნიშნული განცხადება ან შეგნებულად მოახდინა მისი იგნორირება. ეს თანამდებობის პირი პროკურატურის ორგანოს ნაწილია. ის გამოძიებაზე პასუხისმგებელი და გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია ბრალმდებლის ფუნქციების შესრულებაც. სასამართლომ ხაზი გაუსვა ტერმინების „მოსამართლისა“ და „სხვა მოხელის“ თვალშისაცემ დუალიზმს. მისი გადაწყვეტილებით ადგილი არ ჰქონია მე-3 პუნქტის დარღვევას, რადგან მოხელეს, რომელმაც განიხილა განმცხადებლის დაპატიმრების კანონიერება იმავე საქმეში არ განუხორციელებია პროკურორის ფუნქციები სასამართლო განხილვის დროს<sup>2469</sup>.

შისერის (Schuesser) საქმეში დადგენილი პრინციპების მიხედვით, „მოხელე“ არ არის „მოსამართლის“ იდენტური, თუმცა უნდა ჰქონდეს ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები, კერძოდ, ის უნდა აკმაყოფილებდეს იმ პირობებს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს დაპატიმრებული პირის გარანტიას. აღნიშნული პირობებიდან პირველი გულისხმობს, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისგან. ეს არ ნიშნავს, რომ „მოხელე“ არ შეიძლება ნაწილობრივ ექვემდებარებოდეს სხვა მოსამართლეს ან მოხელეებს, თუმცა იმ პირობით, რომ ისინიც „მსგავსი დამოუკიდებლობით“ სარგებლობენ<sup>2470</sup>. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სიტყუანისტიკითი განმარტებისას ეს ტერმინი ასევე მოიცავდა „პროკურატურის ორგანოების მოხელეებს“.<sup>2471</sup>

თუმცა მოგვიანებით სამხედრო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ პროკურატურის წევრები არიან ან შეიძლება გახდნენ პროცესის მხარე და შესაბამისად, ვერ ჩაითვლებიან მხარეებისგან დამოუკიდებლად<sup>2472</sup>. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამხედრო მეთაური, რომელსაც ეკისრებოდა ნამყვანი როლი ბრალდებულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნაში და ასევე პასუხისმგებელი იყო დისციპლინასა და წესრიგზე, ვერ ჩაითვლებოდა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად<sup>2473</sup>. ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ ამ კონტექსტში მოახდინა მე-6 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ციტირება<sup>2474</sup>. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ჰუბერის (Huber) საქმეში სასამართლომ საბოლოოდ უარი თქვა შისერის (Schuesser) პრეცედენტზე ციურისის რაიონული სასამართლოს პროკურორთან მიმართებაში<sup>2475</sup>.

<sup>2468</sup> შისერი (Schuesser) შევიცარიის წინააღმდეგ, §25.

<sup>2469</sup> აღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასებისთვის იხ. პითი (1980) 209; ტრექსელი (1974) 251; ტრექსელი (1992) 193.

<sup>2470</sup> შისერი (Schuesser) შევიცარიის წინააღმდეგ, §31.

<sup>2471</sup> *Ibid.*, §28. ველუ და ერგეცი (1990) N 341.

<sup>2472</sup> დე იონგი (De Jong), ბალოეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §49; ვან დერ შლიუსი (Van der Sluijs), ცუიდერველდი (Zuiderveld) და კლაფე (Klappé) ნიდერლანდების წინააღმდეგ, §44; დუინჰოფი (Duijnhof) და დუიფი (Duijff), §38; პაუელსი (Pauwels) ბელგიის წინააღმდეგ, §37; ველუ და ერგეცი (1990) N 342, 291.

<sup>2473</sup> ჰუდი (Hood) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §57; სტეფან ჯორდანი (Stephen Jordan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>2474</sup> კერძოდ, დე კუბერი (De Cubber) და პიერსაკი (Piersack) ბელგიის წინააღმდეგ; პაუელსი (Pauwels) ბელგიის წინააღმდეგ, §38. საქმეში გუბერი (Guber) შევიცარიის წინააღმდეგ (§43) მითითდა გაკეთდა ასევე საქმეზე ჰაუსჰილტი (Hauschildt) დანისის წინააღმდეგ.

<sup>2475</sup> ჰუბერი (Huber) შევიცარიის წინააღმდეგ, §41-3. საქმეში ბრინკატი (Brinckat) იტალიის

ფორმულირება, რომელიც სასამართლოს მიერ გამოიყენება, შემდეგია: „იმისათვის, რომ „მოხელემ“, ამ დებულების მნიშვნელობით, განახორციელოს „სასამართლო ხელისუფლება“, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს გარანტიას თვითნებური ან გაუმართლებელი თავისუფლების აღკვეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, „მოხელე“ უნდა იყოს დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მხარეებისგან<sup>2478</sup>. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დაპატიმრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას არსებული ობიექტური შთაბეჭდილებები: თუ იმ დროისთვის არსებობს ნიშნები, რომ „მოხელე“ შეიძლება შემდგომში ჩაერთოს სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდების ორგანოს სახელით, მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დგება“<sup>2477</sup>. ეს განცხადება სასამართლომ გააკეთა საქმეში, რომელშიც „გამომძიებელი მოსამართლე“ მოქმედებდა როგორც დაპატიმრების კანონიერების კონტროლზე პასუხისმგებელი მოხელე<sup>2478</sup>. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი მოსამართლე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, ითვლება მოსამართლედ<sup>2479</sup>, მის ფუნქციებში შედის გამოძიების დასრულებისას იმ დოკუმენტის შედგენა, რომელიც შეიცავს ფაქტებისა და კანონის შესაბამისი ნორმების მოკლე აღწერას, რომლის საფუძველზეც მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დენის გაგრძელებაზე. სტრასბურგის სასამართლომ ეს ქმედება სამართლიანად ჩათვალა საბრალდებო დასკვნის მომზადების ტოლფასად და დაადგინა, რომ დარღვეული იყო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ესერი აღნიშნავს, რომ ხშირად საჯარო ბრალმდებელი (ან გამომძიებელი მოსამართლე) გასცემს დაპატიმრების ბრძანებას და შემდგომ ისევე მოქმედებს როგორც მოხელე მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის; შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლება პირად, რომელიც კრიტიკულად შეაფასებდა ამ გადაწყვეტილებას<sup>2480</sup>.

ზემოთ ხსენებულ *HB*-ის საქმეში მიღებული გადაწყვეტილება მისაღებია, თუმცა სასამართლოს არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი. სასამართლო დაეყრდნო *შისერის (Schiesser)* საქმეს, რომელშიც, შეიძლება ითქვას, რომ მისი გადაწყვეტილება ყველაზე ნაკლებად შთაბეჭდავია<sup>2481</sup>. ძირითად პრობლემას წარმოადგენს სასამართლოს მიერ თავისი მსჯელობის დამყარება იმაზე, შეეძლო თუ არა მოხელეს „შემდგომში განმცხადებლის საწინააღმდეგოდ მოქმედება სისხლის სამართალწარმოებაში“<sup>2482</sup>. მთავარი საკითხია არა იმის შესაძლებლობა,

---

*წინააღმდეგ (§ 20) სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება და ნათლად განმარტა, რომ გადაწყვეტი საკითხი იყო, ჩაეროდა თუ არა პირი სამართალწარმოებაში როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი. იხ. აგრეთვე *HB შვეიცარიის წინააღმდეგ; პანტეა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ*, § 236; საქმესთან *ჰუბერი (Huber) შვეიცარიის წინააღმდეგ* დაკავშირებით იხ. ტრექსელი (1992) 193.*

<sup>2478</sup> პეფლიგერი და შურმანი (1999) 111.

<sup>2477</sup> *HB შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 55.

<sup>2478</sup> ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა შვეიცარიის ზოლოტურნის კანტონში.

<sup>2479</sup> პეფლიგერი და შურმანი (1999) 111. ავტორები ასევე თვლიან, რომ ის აკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტების მოთხოვნებს.

<sup>2480</sup> ესერი (2002) 265.

<sup>2481</sup> გადაწყვეტილება საკმაოდ დამაბნეველია: ველუ და ერგეცი (1990) N 341. ეს ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ საჯარო ბრალმდებელს შეუძლია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული მოხელის უფლებამოსილების შესრულება. გადაწყვეტილების კრიტიკისთვის იხ. აგრეთვე შარიერი (2002) მე-5 მუხლი, N 37.

<sup>2482</sup> ასენოვი (*Asenov*) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, § 149.

რომ მოხელე მომავალში დაპატიმრებული პირის წინააღმდეგ გამოვიდეს, არამედ, უკავია თუ არა მას ექვემდებარების დაკავების მომენტში ისეთი თანამდებობა, რომელიც ამ უკანასკნელს აძლევს ობიექტური ვარაუდის საფუძველს, რომ ეს მოხელე მიკერძოებულია ბრალდების სასარგებლოდ<sup>2483</sup>.

შესაბამისად, მოსამართლე ან სხვა მოხელე უნდა იყოს პირი, რომელიც არ არის გამოძიებაზე პასუხისმგებელი. გამომძიებელი მოსამართლე ვერ დააკმაყოფილებს აუცილებელი ობიექტურობის კრიტერიუმს იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, მისი ფუნქცია შემოიფარგლება პროკურორისთვის საქმის მასალების გადაცემით, რომელიც შემდეგ მოამზადებს საბრალდებო დასკვნას. ამ დროს გამომძიებელ მოსამართლეს შეიძლება ჰქონოდა მიკერძოებული მიზანი და შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ბრალდებისგან ინსტიტუციურად დამოუკიდებლად. გამომძიებლისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეუსაბამოა ნეიტრალობასთან, რომელიც მოეთხოვება თავისუფლების აღკვეთაზე ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. შესაბამისად, ნათელი არ არის, დააკმაყოფილებს თუ არა ფრანგული „*juge d'instruction*“ ან გერმანული „*Ermittlungsrichter*“ ამ დებულების სტანდარტებს<sup>2484</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ბრალმდებელი, განსაკუთრებით ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, კონვენციის მიზნებისთვის ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ მოხელედ. ნიედბალას (*Niedbala*) საქმეში პოლონეთის მთავრობამ განაცხადა, რომ „შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორები, ბრალდების ფუნქციის შესრულებასთან ერთად, მოქმედებენ როგორც საჯარო ინტერესების დამცველნი“. ამის პასუხად სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ეს „ვერ ჩაითვლებოდა მათთვის სასამართლო სტატუსის მინიჭებად“<sup>2485</sup>.

## 2. გათავისუფლების ბრძანების გაცემის უფლებამოსილება

“მოხელემ” უნდა მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს და სამართლებრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განსაზღვროს გამართლებულია თუ არა პატიმრობა. უარყოფითი დასკვნის გამოტანის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს პატიმრის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება<sup>2486</sup>. ასენოვის (*Assenov*) საქმეში განმცხადებლის დაპატიმრების გადანყვეტილება მიიღო გამომძიებლმა, რომელსაც არ ჰქონდა ამის უფლება. პროკურორს შეეძლო მისი ნებისმიერი გადანყვეტილების გაუქმება. ასეთ გარემოებებში გამომძიებელი არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი, რომ ჩათვლილიყო „მოხელედ“ მე-3 პუნქტის მნიშვნელობით<sup>2487</sup>.

საქმეში კაბალერო (*Caballero*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაცრად განიმარტა პირის გათავისუფლების უფლებამოსილება. განმცხადებელს ჩადენილი ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და

<sup>2483</sup> უბერი (*Huber*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §43; ბრინკატი (*Brincat*) იტალიის წინააღმდეგ, §21.

<sup>2484</sup> ესერი (2002) 270.

<sup>2485</sup> ნიედბალა (*Niedbala*) პოლონეთის წინააღმდეგ, §53; კაკა (*Kawka*) პოლონეთის წინააღმდეგ, §16; დაცევიჩი (*Dacewicz*) პოლონეთის წინააღმდეგ, §22; სალაპა (*Salapa*) პოლონეთის წინააღმდეგ, §69; კლამეცკი (*Klamecki*) პოლონეთის წინააღმდეგ, §105, 106; პანტეა (*Pantea*) რუმინეთის წინააღმდეგ, §238, 239.

<sup>2486</sup> შისერი (*Schiesser*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §31; ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §199; ასენოვი (*Assenov*) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, §146.

<sup>2487</sup> ასენოვი (*Assenov*) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, §146. იხ. აგრეთვე ნიკოლოვა (*Nikolova*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §49; შიშკოვი (*Shishkov*) ბულგარეთის წინააღმდეგ, §53.

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, წინასწარი პატიმრობა საუკლებულო იყო. შესაბამისად, მოსამართლეს, რომლის წინაშეც წარდგა განმცხადებელი, არ ჰქონდა მისი გათავისუფლების უფლებამოსილება. კომისიამ დაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას. სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მოულოდნელად გაიზიარა კომისიის მოსაზრება<sup>2488</sup>.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომა მცდარია. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ხელისუფლების ორგანო, რომლის წინაშეც უნდა წარადგინონ დაპატიმრებული, ამონმებს პატიმრობის კანონიერებას, მის შესაბამისობას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან. *კაბალეროს (Caballero)* საქმეში ცხადი იყო, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნები დაცული იყო. შესაბამისად, არ არსებობდა განმცხადებლის გათავისუფლების მიზეზი. მეორე მხრივ, *კაბალეროს (Caballero)* საქმეში სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ კრძალავდა ისეთ წესებს, რომლებიც ითვალისწინებდა გიროზე ავტომატურ უარს ან სავალდებულო წინასწარ პატიმრობას. რასაკვირველია, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა კონკრეტული მიზეზების მოყვანის საჭიროება. თუმცა ეს არ ხდება დაკავებიდან „დაუყოვნებლივ“. შეცდომად უნდა ჩაითვალოს თვით იმის თქმაც, რომ მოსამართლეს არა აქვს ასეთ შემთხვევაში პირის გათავისუფლების უფლებამოსილება. მას ყველა შემთხვევაში უნდა განეხილა, არსებობდა თუ არა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძელიანი ეჭვი.

პატიმრობის შემონმება უნდა იყოს „საკმარისად ფართო, რათა მოიცვას პატიმრობის სანინალმდეგო და გამამართლებელი სხვადასხვა გარემოებები“. დაპატიმრების საფუძელების შემონმება ავტომატურად უნდა მოხდეს<sup>2489</sup>. შესაბამისად, მაგისტრატი, რომელსაც მხოლოდ გიროს შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ აქვს პირის გათავისუფლების უფლებამოსილება, ვერ ჩაითვლება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების მქონე ორგანოდ<sup>2490</sup>.

*კოსტერის (Koster)* საქმეში წამოიჭრა საკითხი, რამდენად აკმაყოფილებდა პოლანდიის სამხედრო სასამართლო მე-3 პუნქტის მოთხოვნებს<sup>2491</sup>. სასამართლოს არ შეეძლო საკითხის განხილვა, რადგან ის დასმული არ იქნა კომისიის წინაშე. თუმცა ამ უკანასკნელმა დადებითი პასუხი გასცა მანამდე განხილულ საქმეში<sup>2492</sup>.

## გ. „დაუყოვნებლივ“

მე-3 მუხლი ითხოვს, რომ დაკავებული „დაუყოვნებლივ“ უნდა წარედგინოს მოსამართლეს და ამით შემოაქვს დროის ფაქტორი.

<sup>2488</sup> *კაბალერო (Caballero)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §21; ეს დაწყვიტა დადასტურდა საქმეში *SBC გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §22.

<sup>2489</sup> *დე იონგი (De Jong)*, *ბალიეტი (Baljet)* და *ვან დენ ბრინკი (Van den Brink)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §57; *ნიედალა (Niedbala)* პოლონეთის წინააღმდეგ, §50.

<sup>2490</sup> *აქვილინა (Aquilina)* მალტის წინააღმდეგ; *TW მალტის წინააღმდეგ*; *საბურ ბენ ალი (Sabeur Ben Ali)* მალტის წინააღმდეგ.

<sup>2491</sup> *კოსტერი (Koster)* ნიდერლანდების წინააღმდეგ, §26.

<sup>2492</sup> *D* ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 11013/84.

## 1. განსახილველი დროის პერიოდი

უპირველესად უნდა განისაზღვროს შესაბამისი ვადის ათვლის წერტილი. ერთი მხრივ, ცხადია, რომ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირი იქნა დაპატიმრებული. საქმეების უმრავლესობაში ეს საკითხი შედარებით ცალსახაა. პრობლემები წარმოიქმნა იმ შემთხვევაში, როცა პირის დაკავებისას კონვენცია არ მოქმედებდა შესაბამის სახელმწიფოში, რადგან არ იყო რატიფიცირებული ან 57-ე მუხლის შესაბამისად ადგილი ჰქონდა დათქმას, რომლის თანახმად, საჯარო ბრალმძებელი ითვლებოდა უფლებამოსილ მოხელედ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

ასეთი ვითარება იყო შექმნილი საქმეში *ჯეიუსი (Jécius) ლიტვის წინააღმდეგ*. განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობაში 1996 წლის 14 მარტიდან 1996 წლის 14 ოქტომბრამდე. დათქმის მოქმედება შეწყდა 1996 წლის 21 ივნისს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოსამართლის წინაშე მისი წარდგენა უნდა მომხდარიყო დაუყოვნებლივ ამ თარიღის გასვლის შემდეგ.

სასამართლომ სამართლიანად უარყო განმცხადებლის მოთხოვნა: „სასამართლო ფიქრობს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში „დაუყოვნებლივ უნდა წარდგინოს“ გულისხმობს, რომ შესაბამისი მოხელის წინაშე წარდგენის უფლება უკავშირდება პირისთვის თავისუფლების პირველად აღკვეთას მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, ხელშემკრელი სახელმწიფოების ვალდებულება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით შეზღუდულია შესაბამისი მოხელის წინაშე დაპატიმრებულის დაუყოვნებლივ წარდგენით სწორედ ამ საწყის ეტაპზე“<sup>2493</sup>.

ვადა მთავრდება, როდესაც დაპატიმრებული წარდგინება უფლებამოსილ პირს. ცხადია, რომ მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება<sup>2494</sup>. ნებისმიერი გაჭიანურება უნდა ჩაითვალოს პატიმრობის ნაგულისხმებ დამტკიცებად<sup>2495</sup>.

## 2. დროში შეზღუდვა

უფრო რთულია პატიმრის „დაუყოვნებლივ“ წარდგენის მოთხოვნის მნიშვნელობის განსაზღვრა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ვადას<sup>2496</sup>, ხოლო დებულების ფრანგულ და ინგლისურ ვერსიებს შორის არსებული სხვაობა დამატებით გაუგებრობას იწვევს.

სასამართლომ განაცხადა, რომ „*aussitot*“ სიტყვისიტყვით ნიშნავს „სასწრაფოდ“, ტერმინი „დაუყოვნებლივ“ კი უფრო მოქნილია. თავდაპირველად სასამართლოს მიდგომა არ იყო ცალსახა. როგორც ჩანს, მას არ სურდა ზუსტი ვადის დანესება და აცხადებდა, რომ მისი შეფასება უნდა მომხდარიყო „თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე“<sup>2497</sup>. თუმცა ამ თვალსაზრისით არსებული

<sup>2493</sup> *ჯეიუსი (Jécius) ლიტვის წინააღმდეგ*, §84; *გრაუსლისი (Grauslys) ლიტვის წინააღმდეგ*, §49; *გრაუზინისი (Grauzinis) ლიტვის წინააღმდეგ*, §25.

<sup>2494</sup> ესერი (2002) 276.

<sup>2495</sup> ტრექსელი (1974) 254.

<sup>2496</sup> იგივე ითქმის საერთაშორისო პაქტზეც. ნოვაკი (1993) მე-9 მუხლი, N 38. რენუჩი (2002) N 113. ავტორი თვლის, რომ ასეთი მოქნილობა მისასაღმებელია.

<sup>2497</sup> კოსტერი (Koster) *ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §24; ბროგანი (Brogan) და სხვები *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §59; დე იონგი (De Jong), *ბალიეტი (Baljet) და ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §52; *ვან დერ შლიუცი (Van der Sluijs)*, *ციუიდერველდი (Zuiderveld) და კლაფე (Klappe) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §49; *დუინჰოფი (Duijnhof) და დუიფი (Duijf) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §41.



მოქნილობა შეზღუდული ხასიათისაა, რადგან „კონკრეტული გარემოებებისთვის მინიჭებულმა მნიშვნელობამ არ უნდა გამოიწვიოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული უფლების არსის ხელყოფა, ანუ სახელმწიფოს ვალდებულების ეფექტიანი უარყოფა, უზრუნველყოს პირის დაუყოვნებლივი გათავისუფლება ან სასამართლო ორგანოს წინაშე მისი დაუყოვნებლივ წარდგენა“<sup>2498</sup>.

ამ დებულების განმარტებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა *ბროგანის (Brogan) და სხვების* საქმეს, რომელშიც სასამართლომ თავი შეიკავა ზუსტი ვადის განსაზღვრისგან, თუმცა განაცხადა, რომ ყველაზე დაძაბულ ვითარებაშიც კი, ტერორიზმთან ბრძოლის დროს, ოთხი დღე და 6 საათი „სცილდება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მკაცრ საზღვრებს“<sup>2499</sup>. *ბროგანის (Brogan)* საქმის შემდეგ სასამართლო ერთგვაროვნად განმარტავს დებულებას, როგორც მაქსიმუმ, 4 დღიან ვადას. უფრო ხანგრძლივი ვადა დასაშვები იქნება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში<sup>2500</sup>. ასეთი გამოწვევისაა, როდესაც ტექნიკურად შეუძლებელია დაშვებულ ვადებში დაკავებულის წარდგენა მოსამართლის წინაშე<sup>2501</sup>.

ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში პატიმრობა, რომელიც გრძელდებოდა აღნიშნულ ვადაზე მეტ ხანს, სასამართლოს მიერ ცალსახად ჩაითვალა კონვენციასთან შეუსაბამოდ<sup>2502</sup>. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ ვადაზე მცირე დროით პირის დაკავება ავტომატურად დააკმაყოფილებს ევროპული კონვენციის ან საერთაშორისო პაქტის მოთხოვნებს. ცხადია, რომ ნორმალურ პირობებში ზღვარი 4 დღეზე უფრო დაბლა უნდა გაიყოს<sup>2503</sup>. რენუჩი თელის, რომ 24 საათი, ვადის გაგრძელების მხოლოდ ერთი შესაძლებლობით, იქნებოდა რეალისტური და გონიერული<sup>2504</sup>.

მთავარი წესი უნდა იყოს ის, რომ დაკავებული წარედგინოს მოსამართლეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე<sup>2505</sup>. შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, თავდაპირველად, ჩაატაროს მოკვლევა, რათა სასამართლოს წარუდგინოს უფრო მყარი საფუძველი გადაწყვეტილების

<sup>2498</sup> *ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §59; ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. ტანკა (1990).

<sup>2499</sup> *Ibid.*, §62.

<sup>2500</sup> იხ. მავ: *ტასი (Tas) თურქეთის წინააღმდეგ*, §86.

<sup>2501</sup> *რიგოპულოსი (Rigopoulos) ესპანეთის წინააღმდეგ*. ამ საქმეში 16 დღიანი შეფერხება ახსნილი იქნა იმ ფაქტით, რომ დაკავება განხორციელდა ზღვაში ყოფნისას და გემს 2 კვირა დასჭირდა ესპანეთის ტერიტორიაში მისაღწევად. რუტინული სამხედრო მანევრები საქმარისად არ ჩაითვალა საქმეში *კოსტერი (Koster) ნიდერლანდების წინააღმდეგ*.

<sup>2502</sup> *მიურტი (Murat)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; *ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *აქსოი (Aksay) თურქეთის წინააღმდეგ*, §78 (თოთხმეტი დღე ან მეტი); *საკიკი (Sakik)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §45 (თორმეტი და თოთხმეტი დღე); *დემირი (Demir)* თურქეთის წინააღმდეგ, §49-58 (ოცდასამი და თექვსმეტი დღე); *დიკმე (Dikme)* თურქეთის წინააღმდეგ (თექვსმეტი დღე); *ალთაი (Altay) თურქეთის წინააღმდეგ*, §64; *გუნაი (Gunay)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §21; *ოჰარა (O'Hara)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46; *ზეინაი (Zeynep)* თურქეთის წინააღმდეგ, §52 (ოცდაერთი დღე); *იგდელი (Igdeli)* თურქეთის წინააღმდეგ (შვიდი დღე); *ფილიზი (Filiz)* და *კალკანი (Kalkan)* თურქეთის წინააღმდეგ (რვა დღე); *გრუნდოგანი (Grundogan)* თურქეთის წინააღმდეგ (ცხრა დღე); *მურატ სატიკი (Murat Salik)* და *სხვები თურქეთის წინააღმდეგ* (ცამეტი დღე); *ოჯალანი (Ocalan)* თურქეთის წინააღმდეგ (შვიდი დღე);

<sup>2503</sup> *ფროვიანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი*, N 94; *ფუგე (1989) 88*; *ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 275*.

<sup>2504</sup> *რენუჩი (2002) N 112*.

<sup>2505</sup> *გოლიტკერი (1992) მე-5 მუხლი*, N 111; *ტრექსელი (1974) 255*; *ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 37*.

მისაღებად. თუმცა, ჩვეულებრივ, პირი სასამართლოს უნდა წარედგინოს დაკავებიდან ერთი დღის ვადაში. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი ამ ვადის გაგრძელება. დღემდე გაურკვეველია, მაქსიმალური ზღვარი 4 დღეა თუ უფრო ნაკლები, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ 4 დღეზე მეტი ხნით პატიმრობა წარმოადგენს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა დაცულია, მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფრო ხანმოკლე ვადა იქნა დარღვეული<sup>2506</sup>. თუმცა შემდგომი პატიმრობა აღარ იქნება კანონიერი და შესაბამისად, დაარღვევს მე-5 მუხლის პირველ პუნქტს.

რასაკვირველია, კონვენციის დარღვევას ადგილი არა აქვს, როდესაც დაკავებული გათავისუფლებულია შესაბამისი ვადის გასვლამდე<sup>2507</sup>.

## დ. სამართალწარმოება მოსამართლის წინაშე

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის ფუნქცია ებმის ფორმალურად განსაზღვრულ სამართალწარმოებას მაშინაც, თუ წესები ელემენტარული ხასიათისაა. იგივე ითქმის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3, საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 და ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტების შემთხვევაში<sup>2508</sup>. ევროპულმა სასამართლომ ეს მოსაზრება ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა *ბრანიგანის (Brannigan)* და *მაკბრაიდის (McBride)* საქმეში, როდესაც განაცხადა, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, „ისევე როგორც მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, მოითხოვს სასამართლო ხასიათის მქონე პროცედურის დაცვას“<sup>2509</sup>.

### 1. ზეპირი განხილვის საჭიროება

როგორც ზემოთ ვიხილეთ, პატიმარი ფიზიკურად უნდა წარდგეს მოსამართლის წინაშე, რომელიც პასუხისმგებელია პატიმრობასთან დაკავშირებით მისი პრეტენზიების მოსმენაზე. მოსამართლემ სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განსაზღვროს, გამართლებულია თუ არა პატიმრობა<sup>2510</sup>.

### 2. ინფორმაციის მიღების აუცილებლობა

ზოგჯერ პირისთვის შეუძლებელი იქნება მისი პატიმრობის საწინააღმდეგო არგუმენტების წარმოდგენა, სანამ არ ეცოდინება მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის დეტალები და მიზეზები, რომლებიც საფუძველად დაედო დაპატიმრებას. ასეთი ინფორმაციის მიღების უფლება მოცემულია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ვრცელდება ყველა სახის დაპატიმრებაზე.

<sup>2506</sup> გოლვიტცერი (1992) მე-5 მუხლი, N 111; ფოგლერი (1977) 773.

<sup>2507</sup> *ბროგანი (Brogan)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §58; განაცხადი 12422/86; *ფროვანი და პოიკერტი* (1996) მე-5 მუხლი, N 115; *პიზანი* (2001) მე-5 მუხლი, N 10.3.

<sup>2508</sup> კომისიის ანგარიში საქმეში *შისერი (Schiesser) შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1978 წლის 9 მარტი. სასამართლომ გაიზიარა ეს მიდგომა, იხ. *შისერი (Schiesser) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §31; *დე იონგი (De Jong)*, *ბალოეტი (Baljet)* და *ვან დენ ბრინკი (Van den Brink) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §51; *დუინჰოფი (Duijnhof)* და *დუიფი (Duijff) ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §46.

<sup>2509</sup> *ბრანიგანი (Brannigan)* და *მაკბრაიდი (McBride) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §58.

<sup>2510</sup> *ასენოვი (Assenov)* და *სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, §146; იხ. *აგრეთვე პანტეა (Pantea) რუმინეთის წინააღმდეგ*, §231.

### 3. დამცველის დახმარების უფლება

უზრუნველყოფს თუ არა კონვენცია დამცველის დახმარების უფლებას „მოსამართლის ან სხვა მოხელის“ წინაშე საქმის განხილვისას? შისერის (Schuesser) საქმეში სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა ამ კითხვას. მან არ ჩათვალა „დამცველის დახმარებაზე უარის თქმა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ, რომელიც არ მოითხოვს ადვოკატის დასწრებას“<sup>2511</sup>.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ განხილულ *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმეში სასამართლოს მიდგომა არსებითად შეიცვალა. მან განიხილა ეს საკითხი მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად „ერცვლდება თვით პოლიციის მიერ დანაშაულის წინასწარი გამოძიების ეტაპზე“<sup>2512</sup>. *იმბრიოშას (Imbrioscia)* საქმეზე გაკეთებული მითითება ნათელს ხდის, რომ სასამართლო არ მოითხოვს დამცველის დასწრებას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სასამართლო განხილვაზე, თუმცა *ჯონ მიურეის (John Murray)* საქმეში ეჭვმიტანილის დუმილის საფუძველზე დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ნიშნავდა, რომ დამცველის დასწრება მაინც საჭირო იყო<sup>2513</sup>.

პრეცედენტული სამართალი, ამ მხრივ, სწორი მიმართულებით ვითარდება, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ის უფრო წინ წავა.<sup>2514</sup> გაუგებარია, რა მიზეზების საფუძველზე შეიძლება იყო გამართლებული, პირის დაკავების შემდგომ, დამცველის დახმარებაზე მისთვის უარის თქმა. ერთადერთი მიზეზი *შისერის (Schuesser)* საქმეში იყო მისი „შესაბამისობა ციურიხის კანტონში არსებულ პრაქტიკასთან“<sup>2515</sup>. ამ არგუმენტს თითქმის არ გააჩნია რაიმე წონა კონვენციის საფუძველზე.

### 4. მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება

მოსამართლემ უნდა გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ ის იყოს წერილობითი ხასიათის. მოტივირებული გადაწყვეტილება საჭიროა იმისთვის, რომ პატიმარმა შეძლოს მისი გასაჩივრება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

## ე. საგანგებო მდგომარეობის რელევანტურობა

რამდენჯერმე მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლო კონტროლის განხორციელებამდე თავისუფლების აღკვეთის უფრო ხანგრძლივი ვადა უნდა იყოს დაშვებული, როდესაც ადგილი აქვს საგანგებო მდგომარეობას, მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლის დროს. თავიდან სასამართლოს მიდგომა ამ საკითხის მიმართ იყო საკმაოდ მოქნილი. მან გაიზიარა მოსაზრება, რომ ტერორიზმი ართულებდა ვითარებას, თუმცა, ამავდროულად, განაცხადა, რომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ პატიმრობაში გატარებული დრო მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული<sup>2516</sup>. მე-15 მუხლის საფუძველზე უფლებების დაცვისგან ლეგიტიმური

<sup>2511</sup> შისერი (Schuesser) შეიქცარიის წინააღმდეგ, § 36

<sup>2512</sup> ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 62.

<sup>2513</sup> *Ibid.*, § 63-4.

<sup>2514</sup> კრიტიკისთვის იხ. პარისი, ოზოილი და უორბრიჯი (1995) 135.

<sup>2515</sup> შისერი (Schuesser) შეიქცარიის წინააღმდეგ, § 36.

<sup>2516</sup> ბროგანი (Brogan) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 61; იხ. აგრეთვე საკოკი (Sakik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, § 44; გიუნდოგანი (Gündoğan) თურქეთის წინააღმდეგ, § 21; მურატ სატიკი (Murat Salik) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, § 22; იგდელი (Igdeli) თურქეთის წინააღმდეგ, § 28; ფილიზი (Filiz) და კალკანი (Kalkan) თურქეთის

გადახვევის შემთხვევაში (იმის გათვალისწინებით, რომ მე-5 მუხლი არ არის მოხსენიებული მე-15(2) მუხლში მოცემულ აბსოლუტურ გარანტიებს შორის), სასამართლომ მაინც განიხილა, რამდენად აუცილებელი იყო ხანგრძლივი პატიმრობა.

პირველ საქმეში, რომელშიც ეს საკითხი იქნა განხილული, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ვერ შეძლებდა ტერორიზმთან ეფექტიან ბრძოლას ჩრდილოეთ ირლანდიაში, თუ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ პატიმრობის მაქსიმალური ვადა არ იქნებოდა 7 დღე. სასამართლომ დანვრისგარეშე შეისწავლა საკითხი და ოცდაორი ხმით ოთხის წინააღმდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ უფლების შეზღუდვა იყო კანონიერი და ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას<sup>2517</sup>. კომისიის ოთხმა წევრმა ჩათვალა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ასეთი ხანგრძლივი პატიმრობის აუცილებლობის დამტკიცება<sup>2518</sup>.

შემდგომი საქმეები ეხებოდა თურქეთს, სადაც ვადები გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო (30 დღემდე). თითოეულ ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა<sup>2519</sup>.

### III. წინასწარი პატიმრობის ვადის შეზღუდვა

#### ა. ზოგადი მიმოხილვა

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა იყო პირველი პრობლემა, რომელსაც უკავშირდებოდა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მთელი სერია<sup>2520</sup>. აღსანიშნავია, რომ 1971 წლის 16 იელის მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, მას არ მოუწია ამ საკითხის გადაწყვეტა 1990 წლის 28 მარტამდე<sup>2521</sup>. კომისია არის ნაწილობრივ პასუხისმგებელი ასეთი ინტერვალის არსებობაზე, რადგან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იჩენდა შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მთავრობებისადმი. კომისია თავს იკავებდა სასამართლოსთვის იმ საქმეთა გადაცემისგან, რომლებშიც მისი აზრით, ადგილი არ ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, რადგან საქმე არ უკავშირდებოდა მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს. მას შემდეგ მიდგომა შეიცვალა და სასამართლოში წარდგენილი საჩივრების რაოდენობაც მკვეთრად გაიზარდა. მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე საქმეთა დიდი ნაწილი ასევე გადაწყვეტილი იქნა კომისიისა და მინისტრთა კომიტეტის მიერ.

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის შეზღუდვის მოთხოვნა მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. ამ დროს არსებობს პატიმრობის

წინააღმდეგ. §24; ოჯალანი (Öcalan) თურქეთის წინააღმდეგ. § 106.

<sup>2517</sup> ბრანიგანი (Brannigan) და მაკბრაიდი (McBride) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. §39-74;

<sup>2518</sup> ფროვიენის და ლუკაიდესის განსხვავებული აზრები, რომლებსაც შეუერთდნენ თუნი და როზაკისი.

<sup>2519</sup> აქსოი (Aksoy) თურქეთის წინააღმდეგ. §78; დემირი (Demir) თურქეთის წინააღმდეგ. §41; ნურეი შენი (Nuray Sen) თურქეთის წინააღმდეგ. §25-8.

<sup>2520</sup> ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ; ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ; შტოგმიულერი (Stogmüller) ავსტრიის წინააღმდეგ; მარცნეტერი (Marznetter) ავსტრიის წინააღმდეგ; რინგაიზენი (Ringelsen) ავსტრიის წინააღმდეგ. ამ მხრივ პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზისთვის იხ. კრამერი (1973); ტრეუსელი (1971).

<sup>2521</sup> მ ავსტრიის წინააღმდეგ.

ბოროტად გამოყენების რეალური საფრთხე<sup>2522</sup>. „მისი გაგრძელება დაუშვებელია საპატიმრო სასაჯელის მოლოდინის საფუძველზე“<sup>2523</sup>.

კონვენციის ტექსტი, ერთი შეხედვით, გეთაყვინებს ალტერნატივას: ბრალდებული გონივრულ ვადაში უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე ან გათავისუფლდეს. თუმცა კონვენცია წინამდებელში მოითხოვს გათავისუფლების ბრძანების დაუყოვნებლივ გაცემას მას შემდეგ, რაც „პატიმრობა აღარ არის გონივრული“<sup>2524</sup>. ამ დებულების იმგვარად განმარტება, რომ თითქოს ის გეთაყვინებს ალტერნატივას, შეუსაბამო იქნებოდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სწრაფი სამართალწარმოების უფლებასთან.

მე-3 პუნქტის ტექსტის საფუძველზე ცხადია, რომ მხოლოდ წინასწარი პატიმრობა, ანუ პატიმრობა, რომელსაც მოიცავს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტი, ექვემდებარება დროში შეზღუდვებს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ რამდენჯერმე განიხილა პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა მისი გამართლება შეიძლებოდა განსხვავებული საფუძველით. ამის მაგალითია *ერიქსენის (Eriksen)* საქმე, რომელშიც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ასევე გამოდგებოდა პატიმრობის საფუძველად<sup>2525</sup>. ესერი აღნიშნავს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ შემოიფარგლება მხოლოდ წინასწარი პატიმრობით<sup>2526</sup>, თუმცა ეს არ შეეფერება სიმართლეს. სასამართლომ შეცდომა დაუშვა ამ საკითხის განხილვისას. ის ვერ დაადგენდა დარღვევის არსებობას პატიმრობის ხანგრძლივობის მოტივით, რადგან პატიმრობა გამართლებული იყო სხვა გამონაკლისის საფუძველზე. ზოგადად, სწორია რეინდლის მოსაზრება, რომ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ა) და გ) ქვეპუნქტები არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იქნეს გამოყენებული<sup>2527</sup>.

წინასწარი პატიმრობის განსხვავებული საფუძველებით გამართლების პრობლემა წამოიჭრა *სკოტის (Scott)* საქმეში. განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო გაუპატიურებაში და დიდმა ბრიტანეთმა მოსთხოვა ესპანეთს მისი ექსტრადიცია. ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე, განმცხადებელი „გათავისუფლეს“ წინასწარი პატიმრობისგან, თუმცა დატოვეს პატიმრობაში ექსტრადიციასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საფუძველზე. სტრასბურგის სასამართლომ პატიმრობის მთელი პერიოდი განიხილა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის ფარგლებში. ასეთი გადაწყვეტილება არ არის დამაჯერებელი<sup>2528</sup>. რეინდლის მოსაზრებით, დებულების არსი დაკნინდება, თუ პატიმრობის გამართლება მოხდება სხვა საფუძველით, მიუხედავად იმისა, რომ ის ასევე წარმოადგენს წინასწარ

<sup>2522</sup> ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, §4; იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ, §83.

<sup>2523</sup> ტომასი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ, §91.

<sup>2524</sup> იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ, §83.

<sup>2525</sup> ერიქსენი (Eriksen) ნორვეგიის წინააღმდეგ, §92.

<sup>2526</sup> ესერი (2002) 282.

<sup>2527</sup> რეინდლი (1998) 49; იხ. აგრეთვე მოსამართლე რეპიკის განსხვავებული აზრი საქმეში *ერიქსენი (Eriksen) ნორვეგიის წინააღმდეგ*.

<sup>2528</sup> *სკოტი (Scott) ესპანეთის წინააღმდეგ*, იხ. მოსამართლე რეპიკის განსხვავებული აზრი. ის მიიჩნევს, რომ პატიმრობა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით არ წარმოადგენს „წინასწარ პატიმრობას“, არ უნდა ჩაითვალოს ასეთად სტრასბურგის სასამართლოს მიერ. რეინდლი (1998) 53. ამ ავტორის აზრით, სასამართლომ სწორედ იმოქმედა ავტონომიური ინტერპრეტაციის მიმართ თავისი მიდგომის შესაბამისად.

პატიმრობას<sup>2529</sup>. მისი არგუმენტი, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საუბარია არა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და კონვენციას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, არამედ კონფლიქტზე კონვენციით დაშვებულ კონკურენტულ გამონაკლისებს შორის. არალოგიკურია პირისთვის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სპეციალური უფლებების მინიჭება იმ პირობებში, როდესაც პატიმრობა ამკარად თავსდება პირველი პუნქტის ა) ან ე) ქვეპუნქტებში და ის, ნებისმიერ შემთხვევაში, სრულ შესაბამისობაში იქნება კონვენციასთან.

ვითარება იცვლება, როდესაც წინასწარი პატიმრობა წყდება იმისათვის, რომ მოხდეს ექვმიტანილის შემონმება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. კომისიამ გამოაკლო მსგავს დანსებულებაში ყოფნის დრო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადას იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ პატიმრობას მოიცავდა ე) ქვეპუნქტი<sup>2530</sup>. თუმცა ასეთ შემთხვევაში შემონმება წარმოადგენს გამოძიების ნაწილს და ჩვეულებრივ არ ემსახურება აღნიშნული გამონაკლისით გათვალისწინებულ თერაპიულ მიზნებს. შესაბამისად, უნდა გაგრძელდეს გ) ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის მოქმედება.

წინასწარი პატიმრობის ვადის გონივრულობის შეფასება ხშირად ძალზე რთულია<sup>2531</sup>. პატიმრის ინტერესები უნდა დაბალანსდეს დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების ინტერესებთან, რაც არ არის იოლი ამოცანა, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ან ტერორიზმის შემთხვევაში.

სტრასბურგის სასამართლომ უნდა დაადგინოს, „გადააჭარბა თუ არა გონივრულ ზღვარს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე [ან ბრალდებულის გათავისუფლებამდე] გასულმა დრომ, ანუ სხვა სიტყვებით, დაეკისრა თუ არა უფრო მეტი ტვირთი უდანაშაულოდ მიჩნეულ პირს, ვიდრე საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლებოდა მას გონივრულ ნიადაგზე დაკისრებოდა“<sup>2532</sup>. მეორე მხრივ, „მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს აქვს უფლება, მის საქმეს მიენიჭოს პრიორიტეტი და დაჩქარებული ნესით იქნეს განხილული, თუმცა, ამავდროულად, ხელი არ უნდა შეეშალოს მოსამართლეთა მცდელობას, ნათელი მოჰფინონ ფაქტობრივ გარემოებებს, როგორც დაცვას, ისე ბრალდებას მისცენ თავიანთი მტკიცებულებების წარმოდგენისა და მოსაზრების გამოთქმის ყველა შესაძლებლობა და გამოიტანონ განაჩენი პირის ბრალეულობისა და სასჯელის საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ“<sup>2533</sup>.

მე-3 პუნქტის ტექსტის მიხედვით, ყველა დაპატიმრებულს „აქვს საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ან საქმის განხილვის დასრულებამდე გათავისუფლების უფლება“. სასამართლოს ასევე მოუწია თავისთავად ცხადი ფაქტის ხაზგასმა<sup>2534</sup>, რომ საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების

<sup>2529</sup> რეინდლი (1998) 55.

<sup>2530</sup> *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2219/64; *X გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 2279/64; იხ. აგრეთვე ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 120; გოლეიტცერი (1992) მე-5 მუხლი, N 116.

<sup>2531</sup> იხ. აგრეთვე პეფლიგერი და შურმანი (1999) 113. ზედმეტად ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობის პრევენციის ზომებთან დაკავშირებით იხ. პრადელი (2002) N 446-52.

<sup>2532</sup> *ვერჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, § 5; ესერი (2002) 289.

<sup>2533</sup> *ვერჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, § 17.

<sup>2534</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 278.

თავიდან აცილების ვალდებულება ბრალდებულის გათავისუფლების შემდეგ აგრძელებს მოქმედებას მე-6 მუხლის პირველი პუნქტის წყალობით<sup>2535</sup>. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა არის საჭირო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე: „პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს აქვს უფლება, რომ მის საქმეს მიენიჭოს პრიორიტეტი და განსაკუთრებული გულმოდგინებით იქნეს განხილული“<sup>2536</sup>.

## ბ. განსახილველი ვადა

### 1. ვადის დასაწყისი

ვადის ათვლა, ჩვეულებრივ, იწყება ექვმიტანილის დაკავებისას<sup>2537</sup>. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ერთ-ერთი მათგანი ეხება სასამართლოს იურისდიქციას „*ratione temporis*“. თუ მოპასუხე სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება პირის პატიმრობისას ან როდესაც, მე-11 ოქმის მიღებამდე, ინდივიდუალური განაცხადების ნარდგენის უფლების მოქმედება დროში იყო შეზღუდული (25-ე მუხლი), შესაბამის თარიღამდე პატიმრობაში გატარებულ დროს პირდაპირ ვერ განიხილავენ კონვენციის ორგანოები. მიუხედავად ამისა, სასამართლო მხედველობაში მიიღებს „იმ ეტაპს, რომელზეც იმყოფება სამართალწარმოება“<sup>2538</sup>.

კიდევ ერთი გამონაკლისია, როდესაც ექვმიტანილს უკვე აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება სხვა მიზეზების გამო, მაგალითად, თუ დაპატიმრებული იქნა სხვა ქვეყანაში ექსტრადიციის მიზნით. ასეთ დროს პატიმრობის ხანგრძლივობა არ ექცევა მე-5 მუხლის მესამე პუნქტის მოქმედების ფარგლებში<sup>2539</sup> არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალურად მას პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი უფრო მოიცავს, ვიდრე გ) ქვეპუნქტი, არამედ იმიტომაც, რომ ის ექვემდებარება სხვა ქვეყნის იურისდიქციას.

### 2. ვადის დასასრული

ვადის დენა წყდება პატიმრის გათავისუფლების ან მსჯავრდების შემთხვევაში.<sup>2540</sup> სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდება იქნება გადამწყვეტი თარიღი იმ შემთხვევაშიც, თუ პირი შეიტანს საჩივარს და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, დარჩება წინასწარ პატიმრობაში, რადგან

<sup>2535</sup> ვემჰოფი (*Wemhoff*) გერმანიის წინააღმდეგ, §5; იხ. აგრეთვე *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 8233/78.

<sup>2536</sup> მაცნეტერი (*Matznetter*) ავსტრიის წინააღმდეგ, §12.

<sup>2537</sup> საქმეში *დე ვილდე (De Wilde)*, *ომსი (Ooms)* და *ვერსიპი (Versyp)* ბელგიის წინააღმდეგ (§67, 75) სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ თავისუფლების აღკვეთის საწყისი პერიოდი 24 საათამდე არ ითვლებოდა პატიმრობის მთლიან ვადაში. იხ. ესერი (2002) 285. აეტორის მოსაზრებით, ეს გაუგებარი დოქტრინა არასდროს ყოფილა დადასტურებული. თუმცა ეს საკითხი პრაქტიკაში არ ქმნის რაიმე სირთულეს, რადგან დიდი მნიშვნელობა არა აქვს პატიმრობა ერთი დღით მეტ ხანს გაგრძელება თუ ნაკლებს.

<sup>2538</sup> იაბლონსკი (*Jablonski*) პოლონეთის წინააღმდეგ, §66; შელოხი (*Szeloch*) პოლონეთის წინააღმდეგ §78; კრეფსი (*Kreps*) პოლონეთის წინააღმდეგ, §36; სტასაიტისი (*Stasaitis*) ლიტვის წინააღმდეგ §80; ჯეიუსი (*Jėčius*) ლიტვის წინააღმდეგ, §91. კომისიის პრეცედენტული სამართლისთვის იხ. კუდლა (*Kudła*) პოლონეთის წინააღმდეგ, §102; კალაშნიკოვი (*Kalashnikov*) რუსეთის წინააღმდეგ, §111; კლაშეკი (*Klamecki*) პოლონეთის წინააღმდეგ, §§70-1; ლავენცი (*Lavents*) ლატვიის წინააღმდეგ, §65, 66.

<sup>2539</sup> განაცხადი 5078/76; ქინი (*Quinn*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §53.

<sup>2540</sup> ქლოთი (*Clooth*) ბელგიის წინააღმდეგ, §35; ტოთი (*Tolth*) ავსტრიის წინააღმდეგ, §66.

გადაწყვეტილება არ არის საბოლოო<sup>2541</sup>. ეს მიდგომა პირველად გამოყენებული იქნა ვემჰოფის (Wernhoff) საქმეში<sup>2542</sup>.

სასამართლომ გამოიყენა ხუთი არგუმენტი თავისი მოსაზრების გასამყარებლად: პირველი, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ განმცხადებლის ბრალულობა დამტკიცდა სასამართლო განხილვის შედეგად, რომელიც შეესაბამებოდა მე-6 მუხლს; მეორე, ცხადია, რომ პატიმრობა მოსდევს ასეთ მსჯავრდებას და არსებობს მიზეზშედგობრივი კავშირი მსჯავრდებასა და თავისუფლების აღკვეთას შორის; მესამე, მსჯავრდების შემდგომი პატიმრობის მიზანი არ არის განმცხადებლის წარდგენა უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე; მეოთხე, თუ პატიმრობა არ ემყარება 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტს, შეუძლებელი იქნებოდა პირის დაპატიმრება სასამართლო განხილვის დროს<sup>2543</sup>. მეხუთე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდების შემდეგ მისი პატიმრობის განხილვა წინასწარ პატიმრობად გამოიწვევდა განსხვავებებს კონვენციას მიერთებულ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.

თუმცა აღნიშნული არგუმენტები არ არის დამაჯერებელი. გაუმართლებელია ბრმად იმის დაშვება, რომ განმცხადებლის საქმის განხილვა მოხდა მე-6 მუხლის შესაბამისად. მისი გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს სწორედ საპირისპიროს დამტკიცება. სასამართლოს განაჩენთან მიზეზშედგობრივი კავშირის არსებობის არგუმენტიც არ არის ბოლომდე სარწმუნო. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი გამართლდება, ხოლო ბრალდება გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას? ასეთ დროს სავსებით შესაძლებელია, რომ პატიმრობა გაგრძელდეს. სადავოა რამდენად შეიძლება თავისუფლების ასეთი აღკვეთის მიმართ განსხვავებული მიდგომის გამოყენება<sup>2544</sup>. პატიმრობა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობა არ უშვებს სასჯელის მოხდის დაწყებას განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სასჯელის ნებისმიერი აღსრულება იქნება უკანონო. გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფცია ძალაშია, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ გახდება საბოლოო. ვითარება რთულდება, როდესაც სახეზეა საკასაციო სამართალწარმოება, თუმცა ჩვეულებრივი საჩივრის შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს საქმის გადასინჯვას, უდანაშაულობის პრეზუმფცია დომინირებს პირველ ინსტანციაში მსჯავრდების მიუხედავად. ეს არ გამორიცხავს სასამართლო განხილვის დროს პირის დაპატიმრების შესაძლებლობას. თავისუფლების ასეთი აღკვეთა წარმოადგენს წინასწარ პატიმრობას, როცა საქმის განხილვა გრძელდება მეორე ინსტანციაში. თუ ადგილი აქვს დროებით დაბრკოლებას სასჯელის აღსრულებაში და ამავდროულად არსებობს პირის მიმალვის საფრთხე, დაპატიმრების საფუძველი შეიძლება იყოს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, როგორც „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის“ საშუალება. ისიც მართალია, რომ, როგორც სასამართლომ განაცხადა მონელის (Monnell) და მორისის (Morris) საქმეში, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისსა

<sup>2541</sup> *B ავსტრიის წინააღმდეგ*, §35; *პუნცელტი (Punzelt) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §70; *ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ*, §147; *კალაშნიკოვი (Kalashnikov) რუსეთის წინააღმდეგ*, §110; *ლავენტი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ*, §61; *დემირელი (Demirel) თურქეთის წინააღმდეგ*, §56; იხ. აგრეთვე *ჰაუსილდტი (Hauschildt) დანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10486/83.

<sup>2542</sup> *ვემჰოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, §9. ამ მიდგომის კრიტიკისთვის იხ. ტრექსელი (1974) 192; იხ. აგრეთვე ტრექსელის განსხვავებული აზრი საქმეში *B ავსტრიის წინააღმდეგ*.

<sup>2543</sup> ამ არგუმენტს ეხვებოდა მხოლოდ საქმეში *ვემჰოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, §9.

<sup>2544</sup> იხ. რეინდლი (1998), 47. ავტორი მსგავს კრიტიკას გამოთქვამს.



და უელსში, მსჯავდრების შემდეგ სასჯელის აღსრულება შეიძლება მოხდეს დაუყოვნებლივ<sup>2545</sup>. თუმცა კონვენციის 53-ე მუხლი (ყოფილი მე-60 მუხლი) იძლევა ცალსახა მითითებას, რომ ასეთ დროს კონვენცია არ შეიძლება ისე განიმარტოს, რომ შეზღუდოს ფუნდამენტური უფლება. სამწუხაროდ, სწორედ ასე მოიქცა სასამართლო: მან უგულვებელყო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა იმისთვის, რომ დაცვის ხარისხი დაენია ინგლისსა და უელსში არსებულ დონემდე. საქმეში *B აესტრიის ნინაალმდე* განსხვავება შეადგენდა სამ წელს!

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდება გასაჩივრების შედეგად? თუ პატიმრობა გამართლებულია პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, მაშინ მივიღებთ დასკვნამდე, რომ ის უკანონო იყო. ასეთ დროს თავიდან უნდა განიმარტოს, რომ პატიმრობას მოიცავდა პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი? ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ არის სასამართლოს მოსაზრება. ის კვლავ განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის შემდეგ პატიმრობაში ყოფნის დროს სასჯელის მოხდად, რაც რთული გასაგებია. თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმების მომენტიდან წინასწარი პატიმრობა განახლებულად ითვლება.<sup>2546</sup> ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვადის დასასრული არის ის საკითხი, რომელზეც სასამართლომ უნდა გადახედოს თავის პოზიციას<sup>2547</sup>.

იმ საქმეებში, რომლებშიც გრძელდებოდა წინასწარი პატიმრობა, კომისიამ შეაფასა მთელი პერიოდი მის მიერ ანგარიშის გამოცემამდე<sup>2548</sup>. სასამართლო შეზღუდული იყო ამ თარიღით, რომლის შემდეგ პატიმრობის შემონმება აღარ შეეძლო<sup>2549</sup>. დღესდღეობით არ არსებობს რაიმე დაბრკოლება იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს მთლიანი პერიოდი მის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

### 3. ვადის დენის შეწყვეტა

ვადის დენა შეიძლება შეწყდეს რამდენიმე მიზეზის გამო. მაგალითად, ექვმიტანილი შეიძლება წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს იხდიდეს სასჯელს<sup>2550</sup> ან გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდეს თავისუფლებაში, გათავისუფლებასა და ხელმოკრედ დაპატიმრებას შორის<sup>2551</sup>. თავისუფლების მიღწევა ასევე შეიძლება გაქცევის გზით<sup>2552</sup>.

კომისიამ დასაშვებად მიიჩნია, ფსიქიატრიული შემონმების მიზნით, სამკურნალო დანესებულებაში გატარებული დროის გამოკლება საერთო ვადისთვის<sup>2553</sup>. თუმცა ასეთი გადაწყვეტილება არ არის დამაჯერებელი, რადგან ამ დროს პატიმრობა ასევე ეწყობა ეჭვს და ემსახურება სისხლისსამართლებრივ

<sup>2545</sup> *მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდე*, §41.

<sup>2546</sup> *კუდლა (Kudla) პოლონეთის ნინაალმდე*, § 104; *ვოკარო (Vaccaro) იტალიის ნინაალმდე*, §31.

<sup>2547</sup> კრიტიკისთვის იხ. *ესერი (2002) 289*; *რეინდლი (1998) 47*; *ფლიგერი (1999) N 340*.

<sup>2548</sup> სასამართლომ ეს მისაღებად ჩათვალა საქმეში *ნოიმაისტერი (Neumeister) აესტრიის ნინაალმდე*, §7, გვ. 38; იხ. *აგრეთვე შტოგმიულერი (Stogmuller) აესტრიის ნინაალმდე*, §7; *მეცნეტერი (Matznetter) აესტრიის ნინაალმდე*, §4.

<sup>2549</sup> *კემში (Kemmache) საფრანგეთის ნინაალმდე*, §44.

<sup>2550</sup> *მაგ: ტოთი (Toth) აესტრიის ნინაალმდე*, §66; *D გერმანიის ნინაალმდე*, განაცხადი 11703/85.

<sup>2551</sup> *ლეთელიე (Letellier) საფრანგეთის ნინაალმდე*, §34.

<sup>2552</sup> *ვან დერ ტანგი (Van der Tang) ესპანეთის ნინაალმდე*, §49, 53.

<sup>2553</sup> *X გერმანიის ნინაალმდე*, განაცხადი 2219/64 (1965); *X გერმანიის ნინაალმდე*, განაცხადი 2279/64.

დევნას. ის უნდა იქნეს განხილული პირველი პუნქტის გ) და ე) ქვეპუნქტებისა და ასევე მესამე პუნქტის საფუძველზე<sup>2554</sup>.

დროის ასეთი ინტერვალები უნდა გამოაკლდეს წინასწარი პატიმრობის დაწყებიდან დასრულებამდე განვილი პერიოდს.

დაბოლოს, სპეციალური საკითხი წამოიჭრება გირაოს სანაცვლოდ პირის გათავისუფლებისას, როდესაც არსებობს გარკვეული ინტერვალი გადანყვეტილების გამოტანასა და ფაქტობრივ გათავისუფლებას შორის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარი ჯეროვნად არ შეასრულებს გირაოს ვალდებულებას, გათავისუფლების ფაქტობრივი თარიღი არის გადამწყვეტი<sup>2555</sup>.

## გ. გონივრულობის კრიტერიუმი<sup>2556</sup>

ძირითადი პრობლემა მე-3 პუნქტის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით, მდგომარეობს „გონივრული ვადის“ ცნების განმსაზღვრელი საიმედო კრიტერიუმების ფორმულირებასა და გამოყენებაში. 1969 წელს სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებები დღესაც რელევანტურია: „ყველა მხარე აღიარებს, რომ შეუძლებელია ამ ცნების გადაყვანა დღეების, კვირების, თვეებისა თუ წლების ფიქსირებულ რაოდენობაში ან დანაშაულის სიმძიმეზე დამოკიდებულ სხვადასხვა ვადებში“<sup>2557</sup>. როგორც მინიმუმ, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი პატიმრობა არ უნდა გაგრძელდეს იმ თავისუფლების აღკვეთის ვადაზე მეტ ხანს, რომელიც პირს შეიძლება რეალისტურად დაეკისროს მსჯავრდების შემთხვევაში<sup>2558</sup>. გარდა ამისა, საზომად არ უნდა იქნეს აღებული აბსტრაქტული სასჯელის ვადა, არამედ ის დრო, რომელსაც მსჯავრდებული ფაქტობრივად გაატარებს ციხეში პირობით ვადად გათავისუფლების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. სტრასბურგის სასამართლომ ახლო წარსულში განიხილა ეს მიდგომა და ხაზი გაუსვა სასჯელის ზომის წინასწარ და გადამეტებულად შეფასების საფრთხეს<sup>2559</sup>. სასამართლოს მიდგომა ასეთია. უპირველესად ეროვნული სასამართლო ორგანოების საქმეა იმის უზრუნველყოფა, რომ ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა არ აღემატებოდეს გონივრულ ვადას. ამ მიზნით, მათ უნდა შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის პირადი თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან და ჩამოაყალიბონ ისინი გათავისუფლების შუამდგომლობის შესახებ მიღებულ გადანყვეტილებებში. სწორედ ამ გადანყვეტილებებში მოყვანილი მიზეზებისა და განმცხადებლის მიერ თავის შუამდგომლობაში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე

<sup>2554</sup> სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ პატიმრობას შეიძლება ერთდროულად მოიცავდეს რამდენიმე გამოწვევის, მაგალითად, პირველი პუნქტის ა) და გ) ქვეპუნქტები; *X ვაქციონარული სამეფოს წინააღმდეგ*, § 39.

<sup>2555</sup> *ვან დერ ტანგი (Van der Tang) ესპანეთის წინააღმდეგ*, § 57; იხ. აგრეთვე ესერი (2002) 286.

<sup>2556</sup> იხ. აგრეთვე ფროვინი და პოიკერტი (1996) მე-5 მუხლი, N 122-30.

<sup>2557</sup> *სტოგმიულერი (Stogmuller) ავსტრიის წინააღმდეგ*, § 4. ეს გადანყვეტილება დადასტურდა საქმეში *W შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 30.

<sup>2558</sup> აღნიშნულ კრიტერიუმს იყენებენ შვეიცარიის სასამართლოები, BGE 107 Ia 256, 116 Ia 137; *ჰელიგერი და შურმანი* (1999) 114.

<sup>2559</sup> საქმეში *კლამეცი (Klametski) პოლონეთის წინააღმდეგ* (§ 122) სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ თუ მაქსიმალურ სასჯელს წარმოადგენდა 10 წელი, ფაქტობრივი სასჯელი იყო 3 წელი.

წყვეტს სტრასბურგის სასამართლო, პქონდა თუ არა ადგილი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის გაგრძელება, ნარმოადგენს აუცილებელ პირობას პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერებისთვის. თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს აღარ არის საკმარისი. სტრასბურგის სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ამართლება თუ არა თავისუფლების აღკვეთას ეროვნული სასამართლო ორგანოს მიერ მოყვანილი სხვა მიზეზები. იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზეზები „რელევანტური“ და „საკმარისია“, სტრასბურგის სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამოიჩინეს თუ არა უფლებამოსილმა სასამართლო ორგანოებმა „განსაკუთრებული გულმოდგინება სამართალწარმოების განხორციელებისას“<sup>2560</sup>.

შესაბამისად, სასამართლოს მიდგომა ნათელია. „ეჭვის არსებობის გაგრძელება“ არ გამხდარა მისი განხილვის საგანი და ამდენად, არ გაკეთებულა კონკრეტული მინიშნება, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს „დროის პერიოდი“, რომლის განმავლობაშიც ეჭვი საკმარისია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად. თუმცა სასამართლომ დანვრილებით განიხილა, არსებობდა თუ არა მიმალვის საფრთხე; იყო თუ არა მონმეზე ზეწოლის ან მტკიცებულებების განადგურების საშიშროება; არსებობდა თუ არა დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე; და შეიძლებოდა თუ არა პატიმრობის გაგრძელების გამართლება საზოგადოებრივი ნესროგის დაცვის რელევანტური და საკმარისი საფუძვლებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ „ავალდებულებს ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს პატიმრის გათავისუფლებას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე. საკითხი იმის თაობაზე, პირის მდგომარეობა რამდენად თავსებადია მის პატიმრობასთან, უნდა გადაწყდეს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ და როგორც სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის კონტექსტში, ეროვნულ სასამართლოებს არ ევალებათ, ჯანმრთელობის გამო მისი გათავისუფლება ან სამოქალაქო სააქადმყოფოში მოთავსება კონკრეტული სახის სამედიცინო დახმარების მისაღებად“<sup>2561</sup>. თუმცა ეს არ ათავისუფლებს ხელისუფლებას განმცხადებლის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობისგან. საქმეში *იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა უარი თქვეს ბრალდებულის გათავისუფლებაზე, რომელიც შიმშილობდა და საკუთარ თავს რეგულარულად ზიანს აყენებდა. სასამართლოს განცხადებით, „მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და განმცხადებლის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებების რაოდენობისა და ხასიათის გათვალისწინებით, უფრო და უფრო ცხადი გახდა, რომ მისი პატიმრობაში ყოფნა აღარ ემსახურებოდა „საქმის გონივრულ ვადაში განხილვის“ მიზანს“<sup>2562</sup>.

სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად უარყო მოსაზრება, რომელიც კომისიის მიერ იქნა შემოთავაზებული საქმეში *W შვეიცარიის წინააღმდეგ*, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი გულისხმობს წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადას.

<sup>2560</sup> *W შვეიცარიის წინააღმდეგ*, §30; *ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §84; *ტოთი (Toth) ავსტრიის წინააღმდეგ*, §67. იხ. *აგრეთვე ქლოთი (Clooth) ბელგიის წინააღმდეგ*, §36; *კემპი (Kemmaché) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §45; *ლეტელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §35.

<sup>2561</sup> *იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ*, §82; *კუდლა (Kudla) პოლონეთის წინააღმდეგ*, §93.

<sup>2562</sup> *იაბლონსკი (Jablonski) პოლონეთის წინააღმდეგ*, §84

სასამართლო კატეგორიულია თავის მიდგომაში, რომ ვადის გონივრულობა უნდა განისაზღვროს არა აბსტრაქტულად, არამედ „თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე“<sup>2563</sup>.

### 1. პატიმრობის გაგრძელების „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძველები<sup>2564</sup>

ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრობა არ აღემატებოდეს გონივრულ ვადას. რადგან ხანგრძლივი პატიმრობა ერევა ადამიანის პირადი თავისუფლების პატივისცემის უფლებაში, აუცილებელია ქეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობა ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის<sup>2565</sup>. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა „შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის პირადი თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან და ჩამოაყალიბონ ისინი გათავისუფლების შუამდგომლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში“<sup>2566</sup>.

გარდა ამისა, მათ უნდა მოიყვანონ გათავისუფლებაზე უარის თქმის მიზეზები. სწორედ ამ მიზეზებს განიხილავს სტრასბურგის სასამართლო იმის გადასაწყვეტად, რამდენად „რელევანტური“ და „საკმარისია“ ისინი, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, პირის პატიმრობის გამართლებისთვის<sup>2567</sup>. ევროპული სასამართლო შემოიფარგლება ეროვნული სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზებით. ის არ განიხილავს მოპასუხე მთავრობის მიერ მის წინაშე წარდგენილ დამატებით არგუმენტებს<sup>2568</sup> და არც თვითონ ამატებს ახალ მიზეზებს<sup>2569</sup>.

ევროპული სასამართლო ასევე მხედველობაში მიიღებს ეროვნული სასამართლოების ქცევას პატიმრობის კანონიერების დასაბუთებისას. საქმეში მანსური (*Mansur*) თურქეთის წინააღმდეგ მან აღნიშნა, რომ „პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ადასტურებდა პატიმრობას გამოყენებული იყო თითქმის იდენტური და შეიძლება ითქვას ბანალური სიტყვები, ხოლო სამ შემთხვევაში საერთოდ არ ყოფილა მოყვანილი მიზეზები“<sup>2570</sup>. ამ გარემოების საფუძველზე, სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი წარმოდგენილ დასაბუთებასთან დაკავშირებით, თუმცა არგუმენტების ნაკლებობა თავისთავად არ ნიშნავს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას. როდესაც უცხოელს წარედგინება სერიოზული ბრალდება, მიმალვის საფრთხე შეიძლება აშკარა იყოს. სწორედ

<sup>2563</sup> *W. შეტიცარიის წინააღმდეგ*, § 30. იხ. აგრეთვე მოსამართლე პეტიტის განსხვავებული აზრი; *შტოგმიულერი (Stogmuller) აესტრიის წინააღმდეგ*, § 4; *ვემპოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ*, § 10.

<sup>2564</sup> იხ. აგრეთვე ბარეტო (1999) მე-5 მუხლი, N 4.2.3; ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი (1995) 139-42.

<sup>2565</sup> *ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 84.

<sup>2566</sup> *სარგინი (Sargin) და იაჭი (Yatchi) თურქეთის წინააღმდეგ*, § 50.

<sup>2567</sup> სასამართლოს პრინციპების შეჯამებისთვის იხ. *კლამეცკი (Klamecki) პოლონეთის წინააღმდეგ*, § 118-19.

<sup>2568</sup> *ტრასკა (Trzaska) პოლონეთის წინააღმდეგ*.

<sup>2569</sup> *ილიაკოვი (Iljiov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 86.

<sup>2570</sup> *მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ*, § 55. იხ. აგრეთვე *კალაშნიკოვი (Kalashnikov) რუსეთის წინააღმდეგ*, § 116; *ლავენტსი (Laventis) ლატვიის წინააღმდეგ*, § 73; *დემირელი (Demirel) თურქეთის წინააღმდეგ*, § 60. *ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 68-9.

ასეთი ვითარება იყო შექმნილი საქმეში *ვან დერ ტენგი (Van der Tang) ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>2571</sup>.

დაბოლოს, მტკიცების ტვირთის პატიმარზე დაკისრება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს. საქმეში *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა დარღვევა, ვინაიდან განმცხადებელს უნდა დაემტკიცებინა განსაკუთრებული გარემოებების არსებობა, რათა მომხდარიყო მისი გათავისუფლება<sup>2572</sup>. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გაითვალისწინონ დროის მსვლელობა და აჩვენონ, რომ პატიმრობის მიზეზები არსებობდა დაპატიმრებისას და მათი არსებობა გრძელდებოდა განმცხადებლის გათავისუფლებამდე ან მსჯავრდებამდე<sup>2573</sup>.

## ა. მიმალვის საფრთხე

ექვმიტანილის მიმალვის საფრთხე წარმოადგენს წინასწარი პატიმრობის გამართლების საყოველთაოდ აღიარებულ საფუძველს. ის დაკავშირებულია სასამართლოში თავის პირადად დაცვის უფლებასთან. იმის გარდა, რომ სანქციების უმრავლესობა ვერ აღსრულდება მსჯავრდებულის არყოფნის გამო, პირის დაუსწრებლად გასამართლება სამართლიანი სასამართლო განხილვის არადამაკმაყოფილებელი ალტერნატივაა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება ასევე მიუთითებს, რომ ამავე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პატიმრობის ძირითადი მიზანია სასამართლოს წინაშე ექვმიტანილის წარდგენის უზრუნველყოფა.

დაკისრებული სასჯელის სიმკაცრე ის ელემენტია, რომელიც მიანიშნებს მიმალვის საფრთხეზე, თუმცა სასამართლოს განმარტებით, ასეთი საფრთხის „გაზომვა არ შეიძლება მხოლოდ ამ საფუძველით ... ის უნდა შეფასდეს რელევანტურ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ადასტურებს მიმალვის საფრთხის არსებობას ან იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩენს მას, რომ ვერ გამოდგება წინასწარი პატიმრობის გამართლებისთვის“<sup>2574</sup>. „მოცემულ საქმეში პატიმრობა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ რეალური საჯარო ინტერესის არსებობით, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადანონის ადამიანის პირადი თავისუფლების პატივისცემის პრინციპს“<sup>2575</sup>. შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „პიროვნების ხასიათი, მორალი, ქონება, კავშირი სახელმწიფოსთან, რომელშიც იდენგება და საერთაშორისო კავშირები“<sup>2576</sup>. საქმეში *W შევიცარიის წინააღმდეგ*, რომელშიც ბრალდებულს ჰქონდა კავშირები

<sup>2571</sup> *ვან დერ ტენგი (Van der Tang) ესპანეთის წინააღმდეგ*, § 60; იხ. აგრეთვე ესერი (2002) 296.

<sup>2572</sup> *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 85.

<sup>2573</sup> *ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ*, § 159, 163. ამ საქმეში ბრალდება ემყარებოდა „penitico“ მონმის, ანუ იმ პირის ჩვენებებს, რომელმაც გასცა ინფორმაცია იტალიურ მაფიაზე უფრო მსუბუქი სასჯელის სანაცვლოდ. ეს იყო „მტკიცებულება“, რომელიც, დროის გასვლასთან ერთად, უფრო მეტად შესუსტდა, ვიდრე გაძლიერდა“.

<sup>2574</sup> *ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 98; *მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ*, § 55; *ჯეიუსი (Jécius) ლიტვის წინააღმდეგ*, § 94. საქმეში *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ* (§ 81) სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ თვალსაჩინო გარემოებას, რომ სასჯელის გამოანგარიშება მთლიანად ემყარებოდა ბრალდების შეფასებას.

<sup>2575</sup> *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 84; *ლეტელიე (Letellier) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 35-53; *ქლოთი (Clooth) ბელგიის წინააღმდეგ*, § 44; *მიულერი (Muller) და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 35-45; *ლაბიტა (Labita) იტალიის წინააღმდეგ*, § 152, 162-5; *ჯეიუსი (Jécius) ლიტვის წინააღმდეგ*, § 93, 94.

<sup>2576</sup> *W შევიცარიის წინააღმდეგ*, § 33.

სხვადასხვა ქვეყნებში, არ ჰყავდა ოჯახი შეეცარიაში და ჰქონდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები, სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ სასამართლო განხილვაზე გამოცხადებისთვის თავის არიდების ცდუნება დიდი იყო<sup>2577</sup>.

ბრალდებულის არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა ასევე შეიძლება გახდეს ხელისუფლების ორგანოების ეჭვის საფუძველი. საქმეში *ბარფუსი (Barfuss) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ჰქონდა სერიოზული ვალეები ჩეხეთის რესპუბლიკაში და ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა მიიჩნიეს, რომ არსებობდა მისი გერმანიაში გაქცევის საფრთხე<sup>2578</sup>. ანალოგიურად, როდესაც განმცხადებელი ერთხელ უკვე გაიქცა<sup>2579</sup>, ან შეეცადა სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავის დაღწევას ქვეყნიდან გაქცევით<sup>2580</sup>, ხელისუფლების ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ სრულიად საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის შეიძლება კვლავ მიიმალოს. როდესაც კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეულ პრეზუმფციებს პატიმრობის სასარგებლოდ, მისი აუცილებლობა მაინც უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების საფუძველზე<sup>2581</sup>.

თუმცა იმ საფუძვლის მნიშვნელობა, რომელიც სანყის ეტაპზე ამართლებს პატიმრობას, შეიძლება დროის გასვლასთან ერთად შემცირდეს; ხელისუფლების ორგანოებმა უნდა წარმოადგინონ კონკრეტული მიზეზები იმის განსამართლად, რატომ უნდა დარჩეს ექვმიტანილი პატიმრობაში<sup>2582</sup>.

**ბ. მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეების მოსყიდვის საფრთხე**

ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე ასევე განეკუთვნება პირის დაპატიმრების საყოველთაოდ აღიარებულ საფუძველს. ამ გზით სახელმწიფო იცავს თავის უფლებას (და ასრულებს ვალდებულებას), უზრუნველყოს სამართლიანობის აღდგენა.

სტრასბურგის სასამართლომ განიხილა ეს საფუძველი საქმეში, რომელშიც განმცხადებელი დაკავების მომენტში იყო სიცოცხლის საიდუმლო სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე<sup>2583</sup>. მანამდე ის იმავე ქალაქში მობილური ჯგუფის უფროსი იყო, ხოლო შემდეგ კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტისა და მაფიის სანინაალმდეგო უმაღლესი კომისიის ხელმძღვანელი. განმცხადებელი დაპატიმრეს მაფიის ტიპის ორგანიზაციაში წევრობის მოტივით. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და მოწმეებთან მისი პირადი კავშირების გათვალისწინებით, საფუძვლიანი იყო ხელისუფლების ორგანოების შიში, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, ის შეეცდებოდა „მოწმეებზე ზეწოლის მოხდენას ან მტკიცებულებების განადგურებას“<sup>2584</sup>.

საქმეში *IA საფრანგეთის წინააღმდეგ* განმცხადებელმა გაითამაშა ძარცვა საკუთარ სახლში, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა იმ მტკიცებულებების

<sup>2577</sup> იხ. აგრეთვე *ვან დერ ტენგი (Van der Tang)* ესპანეთის წინააღმდეგ, § 64.

<sup>2578</sup> *ბარფუსი (Barfuss) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 69.

<sup>2579</sup> *პუნცელტი (Punzelt) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 76.

<sup>2580</sup> *ჩესკი (Cesky) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 79.

<sup>2581</sup> *ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 84.

<sup>2582</sup> *დებოუზ ალიას პუბინი ალი (Debboub Alias Hussein Ali) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 42.

<sup>2583</sup> *კონტრადა (Contrada) იტალიის წინააღმდეგ*, § 61.

<sup>2584</sup> *Ibid.*

განადგურება, რომლებიც მიუთითებდა მის კავშირზე თავისი მეუღლის მკვლელობასთან. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, „მარტივი გასაგებია საგამოძიებო ორგანოების შიში, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, ბრალდებულს შეიძლება ეცადა სხვა მტკიცებულების დამალვა. თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მტკიცებულებათა უმეტესობა უკვე შეგროვებული იყო. გარდა ამისა, 1994 წლის 24 ოქტომბერს გამომძიებელმა მოსამართლემ გასცა განმცხადებლის სახლზე დადებული ყადაღის მოხსნის ბრძანება<sup>2585</sup>. შესაბამისად, ამ არგუმენტმა დაკარგა თავისი ძალა.

## გ. საიდუმლო გარიგების საფრთხე

საიდუმლო გარიგება წარმოადგენს მტკიცებულებების გაყალბების ფორმას, როდესაც დანაშაულთან კავშირში მყოფი პირები ახდენენ ბრალდებულებისა და მონმეების ჩვენებების „კოორდინირებას“. მსგავსი გარიგებები სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა პატიმრობის ვადის გახანგრძლივების ლეგიტიმურ საფუძველად<sup>2586</sup>. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ გრძელვადიან პერიოდში გამოძიების არგუმენტები არ არის საკმარისი და „მოვლენათა ნორმალური განვითარების პირობებში ასეთი რისკები მცირდება დროის გასვლასთან ერთად, რადგან დაკითხვები უკვე ჩატარებულია და მიცემული ჩვენებები გადამოწმებულია“<sup>2587</sup>. უფრო მეტიც, გამოძიების დასრულების შემდეგ, როდესაც ბრალდებული უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, ასეთი გარიგების საფრთხე, ჩვეულებრივ, აღარ არსებობს<sup>2588</sup>.

## დ. დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე

ზემოთ მოყვანილი საფუძვლებისგან განსხვავებით, არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე განხილულ იქნეს პატიმრობის ლეგიტიმურ საფუძველად. ასეთი პატიმრობა ძირითადად პრევენციული ხასიათისაა და არ უკავშირდება კონკრეტულ გამოძიებას. გარდა ამისა, ტერმინი დანაშაულის განმეორებით ჩადენა, არ არის იოლად თავსებადი უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რადგან გულისხმობს, რომ ეჭვმიტანილმა უკვე ჩაიდინა ერთი ან რამდენიმე დანაშაული<sup>2589</sup>.

ბრალდებულის წარსული არ შეიძლება გახდეს საკმარისი საფუძველი მის გათავისუფლებაზე უარის სათქმელად<sup>2590</sup>. ასენოვის (Assenov) საქმეში, როდესაც განმცხადებელს ბრალად ედებოდა 16-ზე მეტი ქურდობა და ძარცვა, რომელთაგან რამდენიმე იქნა ჩადენილი გამოძიების დაწყების შემდეგ, სასამართლოს განცხადებით, ხელისუფლების ორგანოების შიში, რომ გათავისუფლების

<sup>2585</sup> LA საფრანგეთის წინააღმდეგ, § 110.

<sup>2586</sup> ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ, §95; W შეიციარის წინააღმდეგ, § 35.

<sup>2587</sup> ქლოთი (Clooth) ბელგიის წინააღმდეგ, §4; W შეიციარის წინააღმდეგ, §35; IA საფრანგეთის წინააღმდეგ, § 109; დებუბ ალიას პუსეინი ალი (Debboub Alias Hussein Ali) საფრანგეთის წინააღმდეგ, §44.

<sup>2588</sup> კემში (Kemmache) საფრანგეთის წინააღმდეგ, §54; მიულერი (Muller) და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, §40.

<sup>2589</sup> ტრექსელი (1971) 146.

<sup>2590</sup> ქლოთი (Clooth) ბელგიის წინააღმდეგ, §40; მიულერი (Muller) და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, §44.

შემთხვევაში ექვმიტანილი კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს, იყო საფუძვლიანი<sup>2591</sup>. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის დარღვევა, რადგან ბრალდებული იყო არასრულწლოვანი და ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიჩინეს ჯეროვანი გულმოდგინება, სასამართლოს წინაშე გონივრულ ვადაში მისი წარდგენის მიზნით. ვიტყვი თვის, რომ სტრასბურგის სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაცრია, ვიდრე ინგლისური სამართალი<sup>2592</sup>.

## ე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ დანაშაულის სიმძიმემ და მასზე საზოგადოების რეაქციამ შესაძლოა გამოიწვიოს „საზოგადოებრივი მღელვარება, რაც შეიძლება, როგორც მინიმუმ, გარკვეული დროით, გახდეს წინასწარი პატიმრობის საფუძველი“<sup>2593</sup>. თუმცა სასამართლომ შეზღუდა ამ საფუძვლის გამოყენების ფარგლები, როდესაც განაცხადა, რომ ის ჩაითვლება რელევანტურად და საკმარისად მხოლოდ მაშინ, თუ „ემყარება ფაქტებს, რომლებიც აჩვენებენ, რომ ბრალდებულის გათავისუფლება რეალურად მიაყენებს ზიანს საზოგადოებრივ წესრიგს“. გარდა ამისა, პატიმრობის გაგრძელება იქნება ლეგიტიმური, „როდესაც საზოგადოებრივი წესრიგი კვლავაც რეალურ საფრთხეშია. მისი გაგრძელება დაუშვებელია საპატიმრო სასჯელის მოლოდინის საფუძველზე“<sup>2594</sup>.

ტომაზის (Tomasi) საქმეში პირს ბრალად ედებოდა სხვადასხვა დანაშაულებში მონაწილეობა, რომლებიც ჩადენილი იყო ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ. სასამართლომ განაცხადა, რომ თუ დასაწყისში საზოგადოებრივ წესრიგს შეიძლება დაემუქებოდა საფრთხე, დროის გასვლასთან ერთად ასეთი საფრთხე აღარ იარსებებდა. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ბრალდებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. სასამართლომ კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა საქმეში, რომელშიც ხელისუფლების ორგანოები განმცხადებლის პატიმრობას ნაწილობრივ ხსნიდნენ მისი ფსიქიკური მდგომარეობითა და მსხვერპლის დაუცველობით<sup>2595</sup>. განმცხადებლის პიროვნული თვისებები კომისიამ ჩაითვალა რელევანტურ ფაქტორად საქმეში, რომელშიც ბრალდებული რამდენჯერმე სიკვდილით დაემუქრა პოლიციელებსა და მთავარ მოწმეებს<sup>2596</sup>.

## ვ. განმცხადებლის დაცვის საჭიროება

სასამართლომ აღიარა, რომ „ზოგჯერ, პირი, რომლის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება, როგორც მონიმუმ, გარკვეული დროით საჭიროებს პატიმრობას მისივე უსაფრთხოების მიზნით. თუმცა ეს დამოკიდებული იქნება ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე, მისი ჩადენის პირობებსა და კონტექსტზე“<sup>2597</sup>.

<sup>2591</sup> ასენოვი (Asenov) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, § 156.

<sup>2592</sup> ვიტყვი (2001) N 11.3.3.

<sup>2593</sup> ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 91.

<sup>2594</sup> ლეტელიე (Lettelier) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 51; კემაში (Kemmaché) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 52; ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 91; IA საფრანგეთის წინააღმდეგ, § 104.

<sup>2595</sup> ბუშე (Bouchet) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 46, 47

<sup>2596</sup> დეშამპსი (Deschamps) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 13370/87.

<sup>2597</sup> IA საფრანგეთის წინააღმდეგ, § 108. განმცხადებელი, რომელიც ექვმიტანილი იყო საკუთარი ცოლის მკვლელობაში, შიშობდა, რომ მას თავს დაესხმებოდნენ ოჯახის წევრები.



მედიცინა ასევე აუცილებელი გახდეს, დროის შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, პატიმრის დაცვა თვითმკვლელობის მცდელობებისგან<sup>2599</sup>.

## 2. საფუძვლები, რომლებიც არ არის რელევანტური ან საკმარისი პატიმრობის გაგრძელების გამართლებისთვის

### ა. დანაშაულის სიმძიმე

პირისთვის ბრალდების სახით წარდგენილი დანაშაულის სიმძიმე არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ხშირად გამოიყენება პატიმრობის გაგრძელების გამართლებისთვის. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „პირის ბრალეულობის სერიოზული ნიშნების არსებობა უდავოდ წარმოადგენს რელევანტურ ფაქტორს, თუმცა კომისიის მსგავსად, სასამართლოც მიიჩნევს, რომ მხოლოდ ეს ვერ გაამართლებს ... ხანგრძლივ პატიმრობას“<sup>2599</sup>.

### ბ. გამოძიების ინტერესები

ხელისუფლების ეროვნული ორგანოები ხშირად მიუთითებენ გამოძიების საჭიროებებზე ან მოთხოვნებზე. თუმცა ეს არგუმენტი საერთოდ არ გამოდგება პატიმრობის დასაბუთებისთვის. პრეზუმფცია ყოველთვის ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევის საწინააღმდეგოდ არსებობს. რასაკვირველია, პატიმრობა უნდა უკავშირდებოდეს გამოძიებას. თუმცა აუცილებელია იმის დამაჯერებელი ახსნა, რატომ არის გამოძიებისთვის აუცილებელი კონკრეტულ საქმეში ეჭვმიტანილისთვის თავისუფლების აღკვეთა. ამის მიზეზი უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე<sup>2600</sup>.

ხშირად ხელისუფლების ეროვნული ორგანოები ჩამოთვლიან საფუძვლების მთელ სერიას და იმეორებენ ამ სიას პატიმრობასთან დაკავშირებულ ყველა გადანყვეტილებაში, ზოგჯერ საკმაოდ ბანალურად. სტრასბურგის სასამართლოზე ზეგაულებიან ვერ მოახდენს ასეთი არგუმენტაცია. ის ყოველთვის შეამონებს, არის თუ არა წარმოდგენილი დამაჯერებელი მიზეზები, რომლებიც ადასტურებენ პატიმრობის ერთ-ერთი ლეგიტიმური საფუძვლის არსებობას. თუ ასე არ არის, პატიმრობის ხანგრძლივობა ჩაითვლება არაგონივრულად<sup>2601</sup>.

## 3. „განსაკუთრებული გულმოდგინება“ და სამართალწარმოების მიმდინარეობა

რელევანტური და საკმარისი მიზეზების ტესტის წარმატებულად გავლის შემთხვევაში, სასამართლო მხედველობაში მიიღებს იმას, თუ როგორ ჩატარდა გამოძიება. კერძოდ, ის შეეცდება საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტების ან უმოქმედობის პერიოდების აღმოჩენას<sup>2602</sup>. სასამართლო, კომისიისგან განსხვავებით,

---

სასამართლო არ იყო ამაში დარწმუნებული.

<sup>2599</sup> ვიტეკერი (2001) N 11.3.5.

<sup>2599</sup> ტომაზი (Tomasi) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 89; მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ, § 52; სარჯინი (Sargin) და იაგჩი (Yağci) თურქეთის წინააღმდეგ, § 50; ჯეიუსი (Jéčius) ლიტვის წინააღმდეგ, § 94.

<sup>2600</sup> ესერი (2002) 297. ავტორი არ მიდის განსხვავებულ დასკვნამდე.

<sup>2601</sup> ლეტელიე (Letellier), § 52; იხ. აგრეთვე ესერი (2002) 292.

<sup>2602</sup> იხ. მაგ: ტოთი (Toth) ავსტრიის წინააღმდეგ, § 76; ბარფუსი (Barfuss) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, § 72.

უფრო თავშეკავებულია გამოძიების ორგანიზების კრიტიკაში<sup>2603</sup>, მაგალითად, უმჯობესი იქნებოდა თუ არა საქმის გაყოფა რამდენიმე ბრალდებულთან ან საბრალდებო დასკვნის რომელიმე ელემენტთან მიმართებაში<sup>2604</sup>. სასამართლო აცხადებს, რომ სისწრაფის ვალდებულებამ, როდესაც ბრალდებული იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოძიებო ორგანოებს თავიანთი ამოცანის ჯეროვან განხორციელებაში<sup>2605</sup>.

იმ შემთხვევაშიც, როცა ხელისუფლებამ წარმოადგინა რელევანტური და საკმარისი საფუძვლები პატიმრობის გამართლებისთვის და გამოძიება ჯეროვანი გულმოდგინებითა და უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე ჩატარდა, მაინც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას<sup>2606</sup>.

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა შეიძლება განპირობებული იყოს სამართალწარმოების რთული ხასიათით. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებს მაინც ევალებათ განმცხადებლის საქმის გამოძიება გონივრულ ვადაში. როდესაც პატიმრობა არ არის გამონეული საქმის სირთულით ან განმცხადებლის ქმედებით და სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობდა სხვა ადეკვატური საფუძვლები პატიმრობის ხანგრძლივობის გამართლებისთვის, ადგილი ექნება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას<sup>2607</sup>.

საქმის სირთულე შეიძლება იყოს პატიმრობის ხანგრძლივი ვადის ლეგიტიმური მიზეზი<sup>2608</sup>. შესაბამისად, როცა საქმე არ არის რთული ხასიათის, მაშინ პატიმრობის გაგრძელება წარმოადგენს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას<sup>2609</sup>. საქმის სირთულისა და პატიმრობის ხანგრძლივობის შეფასებისას, სასამართლო მხედველობაში მიიღებს რამდენიმე ფაქტორს: საქმის მასალების რაოდენობა<sup>2610</sup> და მტკიცებულებების მოცულობა<sup>2611</sup>; საქმის გაერთიანება უფრო ფართო გამოძიებასთან<sup>2612</sup>; მოსამართლეების შეცვლა მიზანშეწონილობის გარეშე<sup>2613</sup>; ექსპერტებთან კონსულტაციისთვის საჭირო დრო<sup>2614</sup>; განაჩენის გამოტანისთვის

<sup>2603</sup> იხ. მოსამართლე კრემონას განსხვავებული აზრი საქმეში *მეტნეტერი (Matznetter)* ავსტრიის წინააღმდეგ.

<sup>2604</sup> *ენტურა (Ventura)* იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 7438/76; იხ. აგრეთვე ტრექსელის განსხვავებული აზრი, გვ. 99, §7.

<sup>2605</sup> *ტოთი (Toth)* ავსტრიის წინააღმდეგ, §77; *დებოუზ ალიას ჰუსეინი ალი (Debboub Alias Hussein Ali)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §46; *PB საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34; *გომბერი (Gombert)* და *გოჩგარიანი (Gochgarian)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §50; *რიხე (Richel)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §66.

<sup>2606</sup> *შლოგმიულერი (Slogmuller)* ავსტრიის წინააღმდეგ, §5. იხ. აგრეთვე *W შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 14379/88, 1991 წლის 19 სექტემბრის ანგარიში. კომისიის აზრით, 4 წლიანი წინასწარი პატიმრობა წარმოადგენდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა შიშის საფრთხე და ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს შთაბეჭდილი ზომები კორპორაციული თაღლითობის საქმეზე რთული გამოძიების დასაჩქარებლად. სასამართლო საპირისპირო დასკვნამდე მივიდა და ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ განმცხადებელი იყო ძირითადად პასუხისმგებელი გამოძიების ხანგრძლივობაზე.

<sup>2607</sup> *ტომასი (Tomasi)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §102.

<sup>2608</sup> *ვან დერ ტენგი (Van der Tang)* ესპანეთის წინააღმდეგ, §75.

<sup>2609</sup> *სკოტი (Scott)* ესპანეთის წინააღმდეგ.

<sup>2610</sup> *ibid.*, §83.

<sup>2611</sup> *კონტრადა (Contrada)* იტალიის წინააღმდეგ, §66, 67.

<sup>2612</sup> *ვან დერ ტენგი (Van der Tang)* ესპანეთის წინააღმდეგ, §75.

<sup>2613</sup> *მიულერი (Muller)* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §48.

<sup>2614</sup> *ერიქსენი (Eriksen)* ნორვეგიის წინააღმდეგ, §92; *კრეფსი (Kreps)* პოლონეთის წინააღმდეგ.

აუცილებელი დრო<sup>2615</sup>; სასამართლოს მიერ ჯეროვანი გულმოდგინების გამოჩენა მონმეთა გამოცხადების უზრუნველსაყოფად<sup>2616</sup>; მონმეთა რაოდენობა<sup>2617</sup>; და სამართალწარმოების უსაფუძვლო გაჭიანურება<sup>2618</sup>.

სახელმწიფოების მიერ ზოგჯერ გამოიყენება არგუმენტი, რომ პატიმარი იყო პასუხისმგებელი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობაზე, რადგან მან ზედმეტად ხშირად ისარგებლა სამართლებრივი დაცვის საშუალებებით ან უარი თქვა თანამშრომლობაზე. ამ არგუმენტს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უნდა მიენიჭოს უფრო მცირე მნიშვნელობა, ვიდრე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შემთხვევაში<sup>2619</sup>. ბრალდებული ნამდვილად არ არის ვალდებული, ხელი შეუწყოს საკუთარი თავის მსჯავრდებას და უფლება აქვს, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება და საჩივარი. ცხადია, ზოგჯერ გარკვეული გაჭიანურება გარდაუვალაია, თუმცა სამართლებრივი დაცვის ასეთი საშუალებების მხოლოდ ბოროტად გამოყენებამ შეიძლება გაამართლოს ხელისუფლების პოზიცია<sup>2620</sup>.

რამდენიმე საქმეში სასამართლომ გადანყვიტა, რომ განმცხადებელმა თავისი წვლილი შეიტანა ვადის გახანგრძლივებაში და შესაბამისად, დარღვევას ადგილი არ ჰქონია<sup>2621</sup>. ასეთი ვითარება იყო შექმნილი საქმეში *W შევიცარიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „განმცხადებელი პირდაპირ იყო პასუხისმგებელი გამოძიების ნელ ტემპზე. საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული მისი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის სურათის აღდგენა, მათი ანგარიშების მდგომარეობის გამო. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქმე უფრო გართულდა, როდესაც მან უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და შესაბამისად, შეაფერხა საქმის მსვლელობა“<sup>2622</sup>.

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს კონფლიქტს ბრალდებულის უფლებასთან, დაიცვას დუმილი და არ დაეხმაროს მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ დევნას. საკმაოდ რთულია იმის წარმოდგენა, როგორ დააბალანსებს სასამართლო, ერთი მხრივ, დუმილის უფლებას, რომელიც დაცულია მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, იმ მოსაზრებასთან, რომ ამ უფლებით სარგებლობის და ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბრალდებული ნაკლებად იმსახურებს მე-5 მუხლით გარანტირებულ პირადი თავისუფლების უფლებას.

სასამართლოსთვის მიუღებელი იქნება მთავრობის ისეთი არგუმენტი, რომელიც უკავშირდება საგამოძიებო ორგანოების საქმეებით გადატვირთვას ან რესურსების ნაკლებობას. სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სასამართლო ხელისუფლების ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფი

§44; ზანუტი (*Zannouti*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §46.

<sup>2615</sup> პუნცელტი (*Punzelt*) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, §80; ჩესკი (*Cesky*) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, §84.

<sup>2616</sup> ტრასკა (*Traska*) პოლონეთის წინააღმდეგ, §68.

<sup>2617</sup> სტეფანო (*Stefano*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 12391/86.

<sup>2618</sup> ვაკარო (*Vaccaro*) იტალიის წინააღმდეგ, §44.

<sup>2619</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 524.

<sup>2620</sup> ბონიშო (*Bonnechaux*) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8224/78, §84; *Scherthenlieb* შევიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 8339/78; ლევი (*Levy*) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 6066/73.

<sup>2621</sup> ჰერცეგფალვი (*Herczegfalvy*) ავსტრიის წინააღმდეგ, §72.

<sup>2622</sup> *W* შევიცარიის წინააღმდეგ, §42.

სამართალწარმოების მოთხოვნის შესრულებას, რისი ვალდებულებაც მათ იტირთეს, *inter alia*, ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო პაქტის რატიფიცირებით<sup>263</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოცემული მონაცემები მცირე მნიშვნელობისაა, ილუსტრაციის სახით, სასამართლოს<sup>264</sup> მიერ დღემდე გადანყვებილი იქნა შემდეგი საქმეები:

სახელწოდება	თარიღი	დრო	შედეგი
ვემჰოფი (Wernhoff) გერმანიის წინააღმდეგ	27/07/68	3 წელი, 4 თვე, 29 დღე	დარღვევის არარსებობა
ნომმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ	27/06/68	2 წელი, 2 თვე, 4 დღე	დარღვევა
სტოგმიულერი (Stögmüller) ავსტრიის წინააღმდეგ	01/11/69	2 წელი, 1 დღე	დარღვევა
რინგაიზენი (Ringelstein) ავსტრიის წინააღმდეგ	16/07/71	2 წელი და 4 თვე	დარღვევა
B ავსტრიის წინააღმდეგ	28/03/90	2 წელი, 4 თვე, 15 დღე	დარღვევის არარსებობა
ლელელიერი (Lelievre) საფრანგეთის წინააღმდეგ	26/06/91	2 წელი და 9 თვე	დარღვევა
კემაში (Kemmache) საფრანგეთის წინააღმდეგ	27/11/91	2 წელი, 10 თვე და 10 დღე	დარღვევა
ტოთი (Toth) ავსტრიის წინააღმდეგ	12/12/91	2 წელი, 1 თვე, 2 დღე	დარღვევა
ქლოთი (Clooth) ბელგიის წინააღმდეგ	12/12/91	3 წელი, 2 თვე, 4 დღე	დარღვევა
ტომაზი (Tomasi) ავსტრიის წინააღმდეგ	27/08/92	5 წელი და 7 თვე	დარღვევა
ჰერცეგფალვი (Herczegfalvy) ავსტრიის წინააღმდეგ	24/09/92	7 თვე და 15 დღე, 6 თვე და 8 დღე	დარღვევის არარსებობა
W შვეიცარიის წინააღმდეგ	26/01/93	4 წელი და 3 დღე	დარღვევის არარსებობა
კინი (Quinn) საფრანგეთის წინააღმდეგ	22/03/95	1 წელი	დარღვევის არარსებობა
მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ	08/06/95	დაახლოებით 5 წელი და 3 თვე	დარღვევა
სარჯინი (Sargin) და იაჯი (Yagci) თურქეთის წინააღმდეგ	08/06/95	2 წელი და ორი თვე	დარღვევა
ვან დერ ტენგი (Van der Tang) ესპანეთის წინააღმდეგ	13/07/95	3 წელი, 1 თვე და 27 დღე	დარღვევის არარსებობა
სკოტი (Scott) ესპანეთის წინააღმდეგ	18/12/96	2 წელი და 7 თვე	დარღვევა
მიულერი (Muller) საფრანგეთის წინააღმდეგ	17/03/97	თითქმის 4 წელი	დარღვევა

<sup>263</sup> სკოტი (Scott) ესპანეთის წინააღმდეგ, §83; კონტრადა (Contrada) იტალიის წინააღმდეგ, §67; ესერი (2002) 302.

<sup>264</sup> იხ. აგრეთვე კომისიის ანგარიშები, მაგ. ფერარი-ბრავო (Ferrari-Bravo) იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 9627/81 (4 წელი, 11 თვე); ვენტურა (Ventura) იტალიის წინააღმდეგ, განაცხადი 7438/78 (4 წელი, 11 თვე, 27 დღე); ჯენტსი (Jentzsch) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი 26/04/65 (6 წელი); ჰაუსილდტი (Hauschildt) დანიის წინააღმდეგ, განაცხადი 10486/83 (33 თვე); და J საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 15932/89 (2 წელი, 11 თვე, 17 დღე). კომისიის რბილი დამოკიდებულების კრიტიკისთვის იხ. პუგე (1989) 93.

ერიქსენი (Eriksen) ნორვეგიის წინააღმდეგ	27/05/97	2.5 თვე	დარღვევის არარსებობა
კონტრადა (Contrada) იტალიის წინააღმდეგ	24/08/98	2 წელი, 7 თვე და 7 დღე	დარღვევის არარსებობა
IA საფრანგეთის წინააღმდეგ	23/09/98	6 წელი და 9 თვე	დარღვევა
ასენოვი (Assenov) და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ	28/10/98	დაახლოებით 2 წელი	დარღვევა
დებოუბ ალიას უსსინი ალი (Debboub alias Hussaini Ali) საფრანგეთის წინააღმდეგ	09/11/99	4 წელი, 2 თვე და 10 დღე	დარღვევა
ლაბიტა (Lubilo) იტალიის წინააღმდეგ	06/04/00	თითქმის 2 წელი და 7 თვე	დარღვევა
პუნცელტი (Punzell) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ	25/04/00	2 წელი, 6 თვე და 18 დღე	დარღვევა
ჩესკი (Český) ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ	06/06/00	3 წელი, 3 თვე და 7 დღე	დარღვევა
ტცასკა (Tzaska) პოლონეთის წინააღმდეგ	11/07/00	3 წელი და 6 თვე	დარღვევა
ჯეიუსი (Jénius) ლიტივის წინააღმდეგ	31/07/00	14 თვე და 26 დღე	დარღვევა
ბარფუსი (Barfuss) ლიტივის წინააღმდეგ	31/07/00	3 წელი, 5 თვე და 19 დღე	დარღვევა
PB საფრანგეთის წინააღმდეგ	01/08/00	4 წელი, 8 თვე და 3 დღე	დარღვევა
კუდლა (Kudla) პოლონეთის წინააღმდეგ	26/10/00	2 წელი, 4 თვე და 3 დღე	დარღვევა
ვოკარო (Voccaro) იტალიის წინააღმდეგ	16/11/00	4 წელი, 8 თვე და 2 დღე	დარღვევა
იბლონსკი (Jabłoński) პოლონეთის წინააღმდეგ	21/12/00	3 წელი, 9 თვე და 7 დღე	დარღვევა
გომბერი (Gombert) და გოჩგარიანი (Gochgarian) საფრანგეთის წინააღმდეგ	13/02/01	4 წელი, 9 თვე და 7 დღე	დარღვევა
რიშე (Richet) საფრანგეთის წინააღმდეგ	13/02/01	4 წელი, 8 თვე და 14 დღე	დარღვევა
შელოხი (Szeloch) პოლონეთის წინააღმდეგ	22/02/01	1 წელი, 10 თვე და 3 დღე	დარღვევა
ბუშე (Bouchet) საფრანგეთის წინააღმდეგ	20/03/01	1 წელი, 5 თვე და 17 დღე	დარღვევის არარსებობა
ერდემი (Erdem) გერმანიის წინააღმდეგ	05/07/01	5 წელი და 11 თვე	დარღვევა
ილიაკოვი (Ilijakov) ბულგარეთის წინააღმდეგ	26/07/01	3 წელი, 3 თვე და 27 დღე	დარღვევა
კრეფსი (Kreps) პოლონეთის წინააღმდეგ	26/07/01	4 წელი და 12 დღე	დარღვევა
ზანუტი (Zannuti) საფრანგეთის წინააღმდეგ	31/07/01	5 წელი, 5 თვე და 23 დღე	დარღვევა
ილოვეცკი (Ilowiecki) პოლონეთის წინააღმდეგ	04/10/01	1 წელი, 9 თვე და 19 დღე	დარღვევა
ოლსტოვსკი (Olstowski) პოლონეთის წინააღმდეგ	15/11/01	თითქმის 3 წელი და 3 თვე	დარღვევა
სტასაიტისი (Stasaitis) ლიტივის წინააღმდეგ	21/03/02	3 წელი, 8 თვე და 3 დღე	დარღვევა
კლამეცკი (Klamecki) პოლონეთის წინააღმდეგ	28/03/02	7 თვე და 3 კვირა	დარღვევის არარსებობა

კალაშნიკოვი (Kalashnikov) რუსეთის წინააღმდეგ	15/07/02	1 წელი, 2 თვე და 29 დღე	დარღვევა
გრისე (Grisez) ბელგიის წინააღმდეგ	26/09/02	2 წელი, 3 თვე და 19 დღე	დარღვევის არარსებობა
ლავენცი (Lavents) ლატვიის წინააღმდეგ	28/11/02	6 წელი, 5 თვე და 14 დღე	დარღვევა
შიშკოვი (Shishkov) ბულგარეთის წინააღმდეგ	09/01/03	7 თვე და 3 კვირა	დარღვევა
დემირელი (Demireli) თურქეთის წინააღმდეგ	21/01/03	7 წელი და 20 დღე	დარღვევა
ნიკოლოვა (Nikolova) ბულგარეთის წინააღმდეგ	30/01/03	5.5 თვე	დარღვევა
კლაშეცკი (Klamecki) პოლონეთის წინააღმდეგ (ნომ. 2)	03/04/03	2 წელი, 3 თვე და 16 დღე	დარღვევა
პანტანო (Pantano) იტალიის წინააღმდეგ	06/11/03	2 წელი, 8 თვე და 14 დღე	დარღვევის არარსებობა
იმრე (Imre) უნგრეთის წინააღმდეგ	02/12/03	2 წელი, 9 თვე და 26 დღე	დარღვევა
მატვიეჟუკი (Matwiejczuk) პოლონეთის წინააღმდეგ	02/12/03	2 წელი, 7 თვე და 22 დღე	დარღვევა
იანკოვი (Yankov) ბულგარეთის წინააღმდეგ	11/12/03	2 წელი და თითქმის 4 თვე	დარღვევა
GK პოლონეთის წინააღმდეგ	20/01/03	3 წელი და 17 დღე	დარღვევა
DP პოლონეთის წინააღმდეგ	20/01/04	დაახლოებით 2 წელი და 9 თვე	დარღვევა
აჰმეტ ოზკანი (Ahmet Özkan) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ	06/04/04	სულ მცირე 5 წელი, 6 თვე და 15 დღე	დარღვევა
JG პოლონეთის წინააღმდეგ	06/04/04	2 წელი, 2 თვე და 6 დღე	დარღვევა
ჰამანოვი (Hamamov) ბულგარეთის წინააღმდეგ	08/04/04	2 წელი, 7 თვე და 18 დღე	დარღვევა
ბელჩევი (Belchev) ბულგარეთის წინააღმდეგ	08/04/04	4 თვე და 14 დღე	დარღვევა
ბალი (Bali) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ	03/06/04	1 წელი, 8 თვე და 15 დღე	დარღვევა
ვესოლოვსკი (Wesolowski) პოლონეთის წინააღმდეგ	22/06/04	3 წელი, 2 თვე და 8 დღე	დარღვევა
პავლეტიჩი (Pavletić) სლოვაკეთის წინააღმდეგ	22/06/04	2 წელი	დარღვევა
ჩევიზოვიჩი (Cevizovic) გერმანიის წინააღმდეგ	29/07/04	4 წელი, 9 თვე და 3 დღე	დარღვევა

#### IV. გათავისუფლება გირაოს სანაცვლოდ

მე-3 პუნქტს ბოლოში დამატებული აქვს წინადადება: „გათავისუფლებას შეიძლება პირობად დაედოს სასამართლოში გამოცხადების გარანტიების წარდგენა“. ამის დამატების საჭიროება არ არსებობდა, რადგან პატიმრობის ალტერნატივები გამართლებული იქნებოდა „a maiore minus“-ის წესის საფუძველზე. პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე გირაო წარმოადგენს ალტერნატივას ექსკლუზიურად იმ საქმეებში, რომლებშიც პატიმრობა გამართლებულია ეჭვმიტანილის მიმალვის საფრთხით. მისი გამოყენება არ იქნება ეფექტიანი მტკიცებულებების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის ან

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით<sup>2625</sup>. მეორე მხრივ, გირაო შეიძლება საჭირო იყოს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ არსებობს პატიმრობის გამართლების დამაჯერებელი მიზეზები<sup>2626</sup>.

გირაოს ავტომატური უარყოფა სასამართლო განხილვის მოლოდინში არ შეესაბამება ამ დებულების გარანტიას<sup>2627</sup>. სასამართლო დაეთანხმა კომისიას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ადამიანის პირად თავისუფლებაში ჩარევაზე სასამართლო კონტროლი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გარანტიების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და წინასწარ პატიმრობაზე სასამართლო კონტროლის არარსებობა უდრიდა ამ მუხლის დარღვევას<sup>2628</sup>.

გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის „ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან, სხვა სიტყვებით, რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემთხვევებელ ფაქტორს“<sup>2629</sup>. როდესაც ხელისუფლების ორგანოებს აქვთ საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური შესაძლებლობები, თუმცა ეს უკანასკნელი უარს ამბობს თავისი ქონების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, დასაშვებია გირაოს ოდენობის განსაზღვრა პიპოთეტური ქონებრივი მდგომარეობის საფუძველზე<sup>2630</sup>.

ფინანსური გარანტიების გარდა შეიძლება უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გამოყენება, როგორცაა გადაადგილების შეზღუდვა<sup>2631</sup>. რადგან საქმე ეხება ფუნდამენტურ უფლებებს, ხელისუფლების ორგანოები ისეთივე ყურადღებით უნდა მოექიდონ გირაოს ოდენობის განსაზღვრას, როგორც ბრალდებულის პატიმრობის აუცილებლობის გადანყევების საკითხს<sup>2632</sup>. *ივანჩუკის (Iwanczuk)* საქმეში სასამართლოს მიერ გირაოს საფუძველზე პირის გათავისუფლების გადანყევტილების გამოტანიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განმცხადებელი მაინც რჩებოდა პატიმრობაში. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ საქმის წარმართვა იმაზე მიაჩნებდა, რომ ისინი „თავს იკავებდნენ გირაოს მიღებისგან, რომლის ამოღება, სასამართლოზე განმცხადებლების გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოითხოვდა გარკვეული ფორმლობების დაცვას“<sup>2633</sup>. სასამართლოს გადანყევტილებით, ეს ვერ ჩაითვლებოდა საკმარის საფუძველად იმისთვის, რომ პირს ოთხი თვე გაეტარებინა პატიმრობაში მას შემდეგ, რაც უფლებამოსილმა სასამართლომ პატიმრობა

<sup>2625</sup> გრანენარტერი (2003) §21 N 17; ჰეფლიგერი და შურმანი (1999) 115.

<sup>2626</sup> ფან დაიკი და ფან პოფი (1998) 380.

<sup>2627</sup> *კაბალერო (Caballero) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; SBC გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; BH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 30307/96. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ლიჩი (1999).

<sup>2628</sup> *SBC გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §22.

<sup>2629</sup> *ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ*, §14, გვ. 40; *ივანჩუკი (Iwanczuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §66; *მუსა (Moussa) საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 28897/95.

<sup>2630</sup> *ბონეჩაუ (Bonnechaux) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8244/78, §74.

<sup>2631</sup> *შმიდი (Schmid) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10670/83; ასეთი სახის შეზღუდვები გამართლებულია მე-4 ოქმის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. იხ. აგრეთვე შარისი, ობოლი და უორბრიქი (1995) 142.

<sup>2632</sup> *შერტენლაიბი (Schertenleib) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8339/78; *ივანჩუკი (Iwanczuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §66.

<sup>2633</sup> *ივანჩუკი (Iwanczuk) პოლონეთის წინააღმდეგ*, §69

აუცილებლად არ ჩათვალა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

კონვენციის საფუძველზე არ არსებობს გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გათავისუფლების აბსოლუტური უფლება. თუმცა პატიმარს აქვს უფლება, რომ მისი წინადადება, როგორც მინიმუმ, იქნეს განხილული. სასამართლომ კრიტიკული კომენტარები გააკეთა საქმეში, რომელშიც ასეთი წინადადება იქნა წარდგენილი განმცხადებლის მიერ და ეროვნულ სასამართლოს მასზე არ მოუხდენია რეაგირება<sup>2634</sup>.

## V. ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა

კომისიამ განიხილა რამდენიმე საქმე, რომელშიც ეროვნულმა სასამართლომ დაადასტურა წინასწარი პატიმრობის არაგონივრული ხანგრძლივობა და შესაბამისად, შეამცირა სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა. ასეთ საქმეებში კონვენციის ორგანოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელი ველარ ჩაითვლებოდა მსხვერპლად 34-ე მუხლის (ყოფილი 25-ე მუხლი) მიზნებისთვის. კონვენციის მნიშვნელობით ზიანის ანაზღაურების ნამდვილობისთვის აუცილებელია ეროვნული სასამართლოს მიერ ორი მოთხოვნის დაკმაყოფილება: პირველი, უნდა მოხდეს იმის აღიარება, რომ კონვენციის უფლება იქნა დარღვეული<sup>2635</sup>; მეორე, გარკვეული სახის კომპენსაცია უნდა იქნეს მინიჭებული<sup>2636</sup>.

<sup>2634</sup> *შელოხი (Szeloch) პოლონეთის წინააღმდეგ*, § 94.

<sup>2635</sup> ეს არ მომხდარა საქმეში, *ლუდი (Ludi) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 31-4.

<sup>2636</sup> საქმეში *ამური (Amuur) საფრანგეთის წინააღმდეგ* ეს პირობა არ იქნა შესრულებული, რადგან განმცხადებლები სასწრაფოდ იქნენ დეპორტირებულნი სირიაში (§ 34-6).



# თავი 20

## სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული სხვა ძირითადი უფლებები

### I. შესავალი

#### ა. ამ თავში განხილული საკითხები

სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებული იძულების ღონისძიებების უმრავლესობა წარმოადგენს ჩარევას ეჭვმიტანილთა და ზოგჯერ მესამე პირთა კერძო სფეროში. ერთი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით რელევანტურია, უკავშირდება კომუნიკაციებში ჩარევასა და მიმონერის ცენზურას. ამან შეიძლება მრავალი ფორმა მიიღოს კომუნიკაციის სახეობის მიხედვით და შეიძლება მოიცავდეს წერილობით კორესპონდენციას, სატელეფონო საუბარს და ელექტრონულ კომუნიკაციას (როგორცაა ელექტრონული ფოსტა). საუბრების ჩანერა და ქცევაზე თვალყურის დევნება შეიძლება განხორციელდეს ხმისა და გამოსახულების ჩამწერი ხელსაწყოების მეშვეობით. სხვა შესაძლო ჩარევა მოიცავს სახლის ჩხრეკას ეჭვმიტანილთა ადგილსამყოფელის დადგენის ან მტკიცებულებების აღმოჩენის მიზნით და ფარულ თვალთვალს საიდუმლო აგენტების მიერ. საკუთრების უფლება აგრეთვე განიცდის ზეგავლენას, როდესაც საგნების კონფისკაცია ხდება მტკიცებულებების სახით გამოყენების, ჯარიმების გადახდის, ზიანის ან ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის ან სხვა მიზნებისთვის.

#### ბ. ზოგადი მიდგომა

ამ თავში მოცემული უფლებები ძალზე კომპლექსურია განსაკუთრებით ევროპის პრეცედენტულ სამართალში. ისეთი გარანტიებისგან განსხვავებით, როგორცაა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ან პირადი თავისუფლების უფლება, მათ მხოლოდ მარგინალური შეხება აქვთ სისხლის სამართლის პროცესთან. ამ უფლებების სრულფასოვანი ანალიზი არაპროპორციული იქნებოდა სისხლის სამართლის პროცესზე ორიენტირებული ნიგნის კონტექსტში. შესაბამისად, მათი განხილვა შემოიფარგლება გარანტიების სამართლებრივ სტრუქტურასა და სისხლის სამართლის პროცესთან პირდაპირ დაკავშირებული საკითხებით. ძირითადი აქცენტი კეთდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაზე.

## II. ჩარევა პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში

### ა. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ძირითადი სტრუქტურა

#### 1. დებულებები

1. დაუშვებელია ვინმემ განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელში ან მიმონერაში, ან ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.
2. კანონის საფუძველზე, ყველას აქვს დაცვის უფლება ასეთი ჩარევის ან ხელყოფისგან.

*სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ  
საერთაშორისო პაქტი, მე-17 მუხლი.*

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-8 მუხლი.*

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პატივსა და ღირსებას.
2. დაუშვებელია, ვინმემ განიცადოს თვითნებური ან შეურაცხმყოფელი ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელში ან მიმონერაში, ან ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.
3. კანონის საფუძველზე, ყველას აქვს დაცვის უფლება ასეთი ჩარევის ან ხელყოფისგან.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-11 მუხლი.*

აღნიშნული დებულებები უფრო კონკრეტულია, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესთან ახლოს მდგომი გარანტიები.<sup>2637</sup> ეს შეიძლება აიხსნას განსახილველი საკითხის უფრო პოლიტიკური ბუნებით და ნაკლებად „ტიქნიკური“ ხასიათით. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ამ დებულებებს შორის არის ევროპულ კონვენციაში მოცემული ნორმა, რომელიც დეტალურად აწესრიგებს მისაღებ (ან ლეგიტიმურ) ჩარევას ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. სხვა დებულებები მხოლოდ „თვითნებურ ან უკანონო“ (საერთაშორისო პაქტი) და „თვითნებურ ან შეურაცხმყოფელ“ (ამერიკული კონვენცია) ჩარევას კრძალავენ. ევროპული კონვენცია უფრო მკაცრია და მოითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა იყოს გამართლებული და აკმაყოფილებდეს მე-2 პუნქტში მოცემულ პირობებს.

დებულებებში განსხვავებული მეთოდოლოგიაა გამოყენებული. საერთაშორისო პაქტისა და ამერიკული კონვენციის მიხედვით, ჩარევა თავიდანვე მისაღებად.

<sup>2637</sup> ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოკლე ისტორიისთვის იხ. რუსო (1995) 305; კუსტირატი-კუსტიერი (1995) 323.

ნორმალურად ითვლება. დარღვევას ექნება ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ერთ-ერთი ზემოთ ხსენებული ნეგატიური ნიშანი. მაგალითად, თუ ჩარევას არ აქვს ან აქვს მხოლოდ ბუნდოვანი სამართლებრივი საფუძველი, ის არ ჩაითვლება უკანონოდ საერთაშორისო პაქტის ან ამერიკული კონვენციის საფუძველზე. თუმცა დარღვევას ექნება ადგილი ევროპული კონვენციის მიხედვით. საერთაშორისო პაქტისა და ამერიკული კონვენციის საფუძველზე, მსხვერპლმა უნდა დაამტკიცოს, რომ ჩარევა იყო „უკანონო“, თვითნებური“ ან „შეურაცხყოფელი“. სტრასბურგში კი საკმარისია იმის ჩვენება, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას. ამის შემდეგ მთავრობამ უნდა ამტკიცოს, რომ მას საკმარისი სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

## 2. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ელემენტები<sup>2638</sup>

იმის გასარკვევად, კონკრეტულ საქმეში ადგილი ჰქონდა თუ არა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, აუცილებელია ხუთი ეტაპის გავლა<sup>2639</sup>.

პირველი, უნდა დადგინდეს, რამდენად მოიცავს პირადი ცხოვრების დაცვის გარანტია კონკრეტულ ჩარევას. მაგალითად, *ნიმიცის (Niemietz)* საქმეში განხილული იქნა, შეიძლება თუ არა მე-8 მუხლის მიზნებისთვის ადვოკატის ოფისი ჩაითვალოს „საცხოვრებლად“<sup>2640</sup>.

მეორე, ადგილი უნდა ჰქონდეს ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. ჩარევის არსებობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუ პატიმრისთვის ან მის მიერ გაგზავნილი წერილი მხოლოდ მცირე დროით შეფერხდა.

მესამე, თუ ადგილი ჰქონდა უფლებაში ჩარევას, უნდა დადასტურდეს, რომ დაკმაყოფილებული იყო მე-2 პუნქტში მოცემული მოთხოვნები. თავდაპირველად უნდა შემოწმდეს კანონიერების მოთხოვნა.

მეოთხე, კანონიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ამავე პუნქტში წარმოდგენილ ერთ-ერთ მიზანს.

მეხუთე, სასამართლო განიხილავს პროპორციულობის საკითხს. კერძოდ, შეიძლება თუ არა, რომ ჩარევა ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვა სიტყვებით, ადგილი ჰქონდა თუ არა „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“. საერთაშორისო ორგანომ არ უნდა დასვას კითხვა, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი – ეს არის ხელისუფლების ეროვნული ორგანოების გადასაწყვეტი. იმის თქმით, რომ ჩარევა აუცილებელი იყო, ევროპული სასამართლო ფაქტობრივად აცხადებს, რომ ჩარევა უნდა მომხრადიყო. აღნიშნული კი არ შეესაბამება მის ვალდებულებას, „უზრუნველყოს მაღალი ხელშემკერული მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება“.<sup>2641</sup>

## ბ. პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების დაცვის საერთო ელემენტები

ამ თავის დასაწყისში წარმოდგენილი დებულებები განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ყველა მათგანის ზრუნვის საგანია პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმოწერა. ამ საკითხების განხილვა მოხდება

<sup>2638</sup> ამ უფლების მოკლე და ინფორმაციული აღწერისთვის იხ. ნოვაკი (1993) მე-6 მუხლი, N 1.

<sup>2639</sup> იხ. აგრეთვე ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიჯი (1995) 304.

<sup>2640</sup> *ნიმიცი (Niemietz)* გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>2641</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-19 მუხლი.

სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებების კონტექსტში, რომლებიც მათზე ახდენენ გავლენას. იგივე ითქმის უფლებაში „ჩარევის“ სახეობაზე. შედეგად, საერთო ელემენტებად უნდა განვიხილოთ აღნიშნულ ღონისძიებათა კანონიერება, ფარგლები და პროპორციულობა. ამ შემთხვევაშიც გარკვეული ასპექტების განხილვა ცალ-ცალკე მოგვიწევს უფლებაში ჩარევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამის მიზეზია სასამართლოს მიდგომა, რომლის მიხედვით, „კანონიერება“ მოითხოვს შესაბამის კანონმდებლობაში კონკრეტული საკითხების გადაჭრას, რათა ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდეს ჯეროვან სიზუსტეს.

### 1. კანონიერების მოთხოვნა

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს „კანონის შესაბამისად“.<sup>2642</sup> ერთი შეხედვით, ეს მოთხოვნა საკმაოდ მარტივია, თუმცა მან გაცილებით რთული სახე მიიღო ევროპის პრეცედენტულ სამართალში. უპირველესად, აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც ჩარევას გაითვალისწინებს. ეს კანონმდებლობა, თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, გასაჩივრებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონს. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს მოუწევს იმის განსაზღვრა, რაზეც ჩვეულებრივ უარს აცხადებს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სწორად იქნა გამოყენებული თუ არა.

„კანონის“ ცნების რამდენიმე ფორმალური და არსებითი ასპექტი უნდა გავიჯნოთ ერთმანეთისგან. ფორმალური ასპექტები უკავშირდება ნორმის წარმომავლობას, მისი მიღება პარლამენტის ან სხვა მსგავსი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოხდა თუ მთავრობის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია განვასხვაოთ „ფორმალური გაგებით კანონი“ „არსებითი გაგებით კანონისგან“. პირველს ადგილი აქვს, როდესაც ნორმა მიღებული იქნა კანონმდებლობისთვის კონსტიტუციით განსაზღვრული წესის საფუძველზე, პარლამენტის ან სხვა ეკვივალენტური ორგანოს მიერ. მეორეს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და მოიცავს, მათ შორის, დადგენილებებს, განკარგულებებს, ბრძანებებს და მითითებებს, რომლებიც შეიცავენ ზოგადი გამოყენების ნორმას (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტული საკითხის გადაჭრას ემსახურება). სასამართლო, ჩვეულებრივ, მისაღებად თვლის კანონის ამ უკანასკნელ და უფრო ფართო ცნებას<sup>2643</sup>. გამონაკლისია „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მოთხოვნა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე<sup>2644</sup>. *სილვერის (Silver)* და *სხვების* საქმეში სასამართლო, როგორც ჩანს, ყოყმანობდა სანამ გადაწყვეტდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის „განკარგულებები“ შეიძლება ჩათვლილიყო კანონად. სასამართლოს განცხადებით, „იმის მიუხედავად, რომ ამ განკარგულებებს არ ჰქონდა კანონის ძალა, შეიძლებოდა მათი მხედველობაში მიღება იმ ვინრო

<sup>2642</sup> ეს მოთხოვნა უკვე განხილულ იქნა მე-3 თავში „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ უფლების და მე-17 თავში თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, თუმცა სტრასბურგის სასამართლო იმდენად მონადინებულია, მოახდინოს თავისი დოქტრინების ადაპტაცია კონკრეტულ საქმეებში, რომ ეს საკითხი არ არის იდენტურად გადაწყვეტილი მე-8 მუხლის საფუძველზე.

<sup>2643</sup> იხ. მაგ: *დე ვილდე (De Wilde)*, *ომსი (Ooms)* და *ვერსიპი (Versyp)* ბელგიის წინააღმდეგ, §93; *კრუსლინი (Kruslini)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §29; *ჰუვიგი (Huwig)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §28.

<sup>2644</sup> *ქიომე (Coëme)* ბელგიის წინააღმდეგ, §98; იხ. თავი 3.

მნიშვნელობით, რომ [განმცხადებლები] ჯერონად იყვნენ ინფორმირებული მათი შინაარსის შესახებ – ნესების გამოყენების დროს განჭვრეტადობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შეფასებისას, რაც ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ *de facto* „კანონად“<sup>2645</sup>.

გარანტიის საერთაშორისო ხასიათმა და განსაკუთრებით, კონვენციის ისეთი ინტერპრტირების აუცილებლობამ, რაც უზრუნველყოფდა მის გამოყენებას როგორც მთლიანად კანონმდებლობაზე, ისე საერთო სამართალზე დაფუძნებულ სამართლებრივ სისტემებში, უდავოდ იქონია გავლენა მისი მოქმედების ფარგლებზე. კონვენციის ტექსტი პირველ სისტემას უფრო ბუნებრივად შეესაბამება, თუმცა ვერც მეორეს გამორიცხავს<sup>2646</sup>. სხვა სიტყვებით, „ტერმინი „კანონი“ მოიცავს როგორც დანერგილ, ისე დაუნერგელ კანონს“<sup>2647</sup>. ასეთი მიდგომა სრულიად მისაღებია, როდესაც მისი გამოყენება ხდება საერთო სამართლის სისტემების მიმართ. თუმცა არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც განხილული იქნა ორ პარალელურ საქმეში საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელშიც მთავრობა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის სამართლებრივ საფუძვლად იყენებდა პრეცედენტულ სამართალს, ხოლო კომისიის დელეგატი ამტკიცებდა, რომ დაუნერგელი კანონის ან პრეცედენტული სამართლის აღიარება არ უნდა გავრცელებულიყო კონტინენტური ევროპის ქვეყნებზე. სასამართლომ დაადასტურა, რომ კანონს „არსებითი“ გაგებით განმარტავდა და მიეიდა დასკვნამდე, რომ ჩარევა „კანონის შესაბამისად“ განხორციელდა, თუმცა თავად კანონი ვერ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის კრიტერიუმს<sup>2648</sup>. ამავე დროს არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ „კანონის“ ცნება არ უნდა განიმარტოს ერთნაირად ორივე სისტემის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ კონტინენტურ სისტემაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანერგილ „კანონს“<sup>2649</sup>.

მეორე მხრივ, როგორც ესერი აღნიშნავს, უცნაურია, რომ სასამართლო აკრიტიკებს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას ჯეროვანი სიზუსტის არარსებობის ნიადაგზე, თუმცა მიიჩნევს, რომ დეტალური ნორმების შემუშავება მოხდა პრეცედენტული სამართლის მეშვეობით<sup>2650</sup>.

სასამართლო მოითხოვს, რომ უფლება მკაფიოდ იყოს დაცული. აუცილებელია გარკვეული საზედამხედველო სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების სწორ გამოყენებას განსაკუთრებით ხელისუფლების ორგანოებისთვის მინიჭებული შედარებით ფართო დისკრეციის გათვალისწინებით. „თუმცა სასამართლო არ განმარტავს ტერმინს „კანონის შესაბამისად“, რომ

<sup>2645</sup> სილვერი (*Silver*) და სხვები *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 26, 88.

<sup>2646</sup> ამ პრობლემამ საკმაოდ შთაბეჭედავად იჩინა თავი საქმეებში *SW გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *CR გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, რომლებშიც განმცხადებლები მე-7 მუხლის საფუძველზე ასაჩივრებდნენ სისხლის სამართლის კანონის უუქუქვეით ძალას, როდესაც 1991 წელს ინგლისის სასამართლოებმა გააუქმეს „ოჯახური გაუპატორების გამონაკლისი“.

<sup>2647</sup> *სანდი თაიბსი (Sunday Times) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 47; *დადჯენი (Dudgeon) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 44; *ჩაპელი (Chappell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 52; *მელონი (Malone) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 66.

<sup>2648</sup> *კრუსლინი (Kruslin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 28; *ჰუვიგი (Huwig) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 27.

<sup>2649</sup> საპირისპირო მოსაზრებისთვის იხ. ვილდჰაბერი და ბრაიტენმოზერი (1992) N 548.

<sup>2650</sup> ესერი (2002) 152. ავტორი მიუთითებს საქმეებზე *კოპი (Kopp) შვეიცარიის წინააღმდეგ* და *ვალენს უელა კონტრერასი (Valenzuela Contreras) ესპანეთის წინააღმდეგ*.

უშუალოდ იმ ტექსტში უნდა განისაზღვროს გარანტიები, რომლებიც შეზღუდვების დაწესებას ნებას რთავს ხელისუფლების ორგანოებს<sup>2651</sup>.

შემდეგი ფორმალური ასპექტი, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა ხაზგასმული *სანდი თაიმსის (Sunday Times)* საქმეში, არის ის, რომ ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, კანონი უნდა შეიცავდეს გარანტიებს მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ<sup>2652</sup>.

რაც შეეხება არსებით ასპექტს, ძირითადი ელემენტებია სიზუსტე და დეტალურობა. იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ შემდეგნაირად განსაზღვრა ეს კრიტერიუმი:

ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ ის არ არის ჩამოყალიბებული საკმარისი სიზუსტით, რათა მოქალაქეს მისცეს საკუთარი ქცევის რეგულირების საშუალება. მას უნდა შეეძლოს – საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რჩევის საფუძველზე – კონკრეტული ქმედების შესაძლო შედეგების განჭვრეტა იმ ხარისხით, რაც არსებულ გარემოებებში გონიერულად ჩაითვლება. აუცილებელი არ არის, რომ აღნიშნული შედეგების განჭვრეტა სრული სიზუსტით იყოს შესაძლებელი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მიუღწევადია. კვლავაც, თუმცა სიზუსტე უაღრესად სასურველია, მას შეიძლება თან მოსდევდეს ზედმეტი მოუქნელობა, ხოლო კანონს უნდა შეეძლოს ცვალებადი გარემოებებისთვის ფეხის ანყობა. შესაბამისად, მრავალი კანონი გარდაუვლად ისეთი ტერმინებით არის ჩამოყალიბებული, რომლებიც მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია და მათი განმარტება და გამოყენება პრაქტიკის საკითხია<sup>2653</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულ გამოსატყობის თავისუფლებას შეეხებოდა, პრინციპი თანაბრად მოქმედებს მე-8 მუხლის საფუძველზე პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შემთხვევაში<sup>2654</sup>. ცხადია, რომ სასამართლოს ასეთი მიდგომა შედარებით ღიაა, თუმცა ამავედროულად ძალზე რეალისტური. ის შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო დონეზე მიღწევადი დაცვის ოპტიმალურ დონედ. მოგვიანებით, სასამართლოს მიდგომა გამარტივდა და მთავარ მოთხოვნად იქცა ის, რომ კანონი „უზრუნველყოფდეს გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ“<sup>2655</sup>.

ცხადია, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნიათ შეუზღუდავი დისკრეცია. თუმცა ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ზოგადი ხასიათის ნებსები. „ამ თვალსაზრისით, „კანონისთვის“ აუცილებელი სიზუსტის ხარისხი დამოკიდებულია

<sup>2651</sup> *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 90.

<sup>2652</sup> *Ibid.*

<sup>2653</sup> *სანდი თაიმსი (Sunday Times) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1)*, § 49; ადამიანის უფლებათა კომიტეტი ასევე მოითხოვს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც არ შემოიფარგლება ზოგადი პრინციპებით: *ლარი ჯეიმს პინკნი (Larry James Pinkney) კანადის წინააღმდეგ*, § 34.

<sup>2654</sup> იხ. მაგ: *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 85; *მელონი (Malone) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 66, 67; *კრუსლინი (Kruslin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 28, 29; *ჰუვიგი (Huvig) საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 27, 28.

<sup>2655</sup> *PG და JH გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 68; იხ. *ავრთვე ტელიორ-საბორი (Taylor-Sabori) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 18.

კონკრეტულ განსახილველ საკითხზე<sup>2656</sup>. შესაბამისად, ამ ასპექტს დაუვებრუნდებით იძულების სპეციფიკური ღონისძიებების განხილვის დროს.

## 2. ლეგიტიმური მიზანი

იმ ინტერესების სია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის გამართლებისთვის მრავალმხრივია და ზოგადი ტერმინებით არის ჩამოყალიბებული. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ეხვდებათ, *inter alia*, „ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ... წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის თავიდან აცილების ...“ ინტერესებს. სასამართლოს იურისპრუდენციაში ეს საკითხი არასდროს ქცეულა არსებითი განხილვის საგნად<sup>2657</sup>. ამ წიგნის მიზნებისთვის საკმარისია სასამართლოს ტიპური ფრაზის ციტირება: „სასამართლო იზიარებს მთავრობისა და კომისიის მოსაზრებას და თვლის, რომ ჩარევა მიზნად ისახავდა სიმაართლის დადგენას სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებას“<sup>2658</sup> ესერი სამართლიანად შენიშნავს, რომ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზანი სინამდვილეში არ შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების საჭიროებებს, რომლებიც, როგორც მინიმუმ, დაუყოვნებლივ არ არის მიმართული წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებისკენ<sup>2659</sup>.

## 3. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

„კანონიერებისა“ და „ლეგიტიმური მიზნის“ ელემენტები თუ ნაწილობრივ მაინც ექვემდებარება აბსტრაქტულ მიმოხილვას, პროპორციულობის მოთხოვნა, რომელიც გამოხატულია სიტყვებით „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ჩარევის კონტექსტში შეფასდეს. გამონაკლისია მხოლოდ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, რომელიც თავიდანვე მკაფიოდ არის აკრძალული ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე<sup>2660</sup>. სახელმძღვანელო წესების სახით სასამართლომ დააზუსტა შემდეგი ძირითადი პრინციპები: „აუცილებელი“ ნიშნავს იმაზე ნაკლებს, ვიდრე „მკაცრად აუცილებელი“ და იმაზე მეტს, ვიდრე „სასარგებლო“ ან „სასურველი“; სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოზეა; ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“; და გამონაკლისი უნდა იყოს „ვინროდ ინტერპრეტირებული“<sup>2661</sup>.

სასამართლოს იურისპრუდენციაში არსებობს რამდენიმე მაგალითი, როდესაც პროპორციულობის საკითხი იყო გადამწყვეტი, თუმცა სხვა გარანტიებისგან

<sup>2656</sup> მელონი (Malone) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §68; ჰუვიგი (Huvig) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29. იხ. აგრეთვე PG და JH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §46.

<sup>2657</sup> რაიმე განხილვის არარსებობა ნახსენებია საქმეებში სილვერი (Silver) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §96. იხ. აგრეთვე კლასი (Klass) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, §46; კემპბელი (Campbell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §41, 60; ლამბერი (Lambert) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29.

<sup>2658</sup> ლამბერი (Lambert) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29.

<sup>2659</sup> ესერი (2002) 116.

<sup>2660</sup> ასეთი მოპყრობა ასევე აკრძალულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5(2) მუხლების საფუძველზე.

<sup>2661</sup> იხ. მაგ: ჰენდსაიდი (Handyside) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §48, 49; კლასი (Klass) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, §42; სილვერი (Silver) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §97.

განსხვავებით, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, ძირითადი აქცენტი გაკეთდა კანონიერების ელემენტზე.

### III. თვალთვალი და კომუნიკაციებში ჩარევა

#### ა. შესავალი

საგამოძიებო ორგანოები იწყებენ ინფორმაციის შეგროვებას მას შემდეგ, რაც გაუზნდებათ ეჭვი, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი.<sup>2662</sup> თვალთვალის მრავალი ფორმა შეიძლება განხორციელდეს ადრეულ ეტაპზე პრევენციული მიზნებისთვის. ეს არის პოლიციის საქმიანობის კლასიკური მაგალითი, რომლის მიზანია არა ეჭმიტანილთა სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ ადამიანების დაცვა. ვინაიდან ამ წიგნის მთავარი თემა სისხლის სამართლის პროცესია, მხოლოდ უმნიშვნელოდ შეეხებით დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს<sup>2663</sup>. თუმცა ერთ-ერთი ნამყვანი საქმე შეეხება სწორედ ჯაშუშობასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით გერმანიაში მიღებულ ზომებს, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ<sup>2664</sup>.

ეჭმიტანილის სახით პირის მიზანში ამოღების შემდეგ, რაც სისხლის სამართალწარმოების დაწყების მანიშნებელია<sup>2665</sup>, ჩვეულებრივი მოვლენაა ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ეჭმიტანილის მიმართ ფარული თვალთვალის განხორციელება. ასეთი თვალთვალი ასევე განხილულია თვითინკრინინაციისგან დაცვის უფლების კონტექსტში<sup>2666</sup>. როდესაც პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ან ციხეში იხდის სასჯელს თვალთვალი შეიძლება განხორციელდეს მიმალვის ან გაქცევის გეგმების გამოაშკარავების მიზნით.

ყველა სახის შეტყობინების ხელში ჩაგდებაა შესაძლებელი. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების შემოღებამდე ძირითადი სამიზნე იყო წერილები და ამანათები. სამართალწარმოების პროცესში ასეთი ქმედება ფარულად ხორციელდება. ეჭმიტანილისთვის ამის შესახებ არ უნდა გახდეს ცნობილი<sup>2667</sup>. წერილები და ამანათები ხელახლა შეიკვრება და გაიგზავნება მინიმალური შეფერხებით. სწორედ ასეთ შემთხვევას შეეხება მიმონერის პატივისცემის ფუნდამენტური უფლება. ის გულისხმობს საფოსტო სამსახურისა და ყველა მისი თანამშრომლის პარალელურ ვალდებულებას, დაიცვან კონფიდენციალობა. ჩარევის შემდგომი სახეობა შეეხება არა იმდენად კომუნიკაციის პროცესს, რამდენადაც მის შედეგებს, კერძოდ, ვინმეს პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შენახვას, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მიმონერის დაცვა ჩარევისგან რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურება. მას უდავოდ გააჩნია თავისი ეკონომიკური მხარე, განსაკუთრებით, ამანათებთან მიმართებაში; ხელს უწყობს მოსაზრებების გამოთქმისა და ინფორმაციის

<sup>2662</sup> პირად ცხოვრებაში ჩარევის სხვა საჭიროებებისთვის იხ. ველუ და ერგეცი (1990) N 655.

<sup>2663</sup> სასამართლო განსხვავებს ამ საკითხებს საქმეში კლასი (Klass) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, § 40.

<sup>2664</sup> კლასი (Klass) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ.

<sup>2665</sup> იხ. თავი 6, ქვეთავი II.

<sup>2666</sup> იხ. თავი 13.

<sup>2667</sup> ველუ და ერგეცი (1990) N 680. ავტორები სამართლიანად შენიშნავენ, რომ დაცვა დამოკიდებულია გამგზავნის ნებაზე. ღია საფოსტო ბარათის გამოყენება მიანიშნებს წერილის შინაარსის გასაიდუმლოების სურვილის არარსებობაზე.



მოპოვების უფლებას; ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს რელიგიის თავისუფლებასა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას. თუმცა უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში უნდა გამოვყოთ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. იდეებისა და ინფორმაციის გაცვლა, განსაკუთრებით, პირადი გამოცდილებისა და განცდების გაზიარება, ადამიანის პიროვნების უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა და შესაბამისად, უაღრესად პირადი საკითხია. პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთი კომუნიკაციის კონფიდენციალობა იყოს შესაძლებელი და წერილს არავინ გაეცნოს მისი გაგზავნიდან ადრესატამდე მისვლის მომენტამდე. პატიმრების შემთხვევაში ეს უფლება ვრცელდება, როგორც ასეთი, კორესპონდენციების გაცვლაზე<sup>2668</sup>. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს შეეძლოს დამცველთან თავისუფალი მიმონერა თვითინკვირების ან დაცვისთვის ზიანის მიყენების შიშის გარეშე. კომუნიკაციის ზოგადი მნიშვნელობის გარდა პატიმარს შეიძლება დასჭირდეს თავის დამცველთან თავისუფალი მიმონერა.

ადამიანის უფლებათა სამივე ინსტრუმენტის შემუშავების შემდეგ, ნახევარი საუკუნის მანძილზე, ტექნოლოგიური განვითარების მასშტაბი მოითხოვს „მიმონერის“ ფართო ინტერპრეტაციას. ის მოიცავს ტელეგრამებს, ტელექსურ შეტყობინებებს<sup>2669</sup>, ფაქსიმილურ წერილებს და თვით მიმონერას ინტერნეტის (ელექტრონული ფოსტის) მეშვეობით<sup>2670</sup>. უკანასკნელ პერიოდში მასვე უნდა მივაკუთვნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფორმით წერილის გაგზავნა. ერთი პირის მიერ მეორესთვის ყურნალების გადაცემა კომისიის მიერ განხილული იქნა მიმონერად. თუმცა უფრო მართებული იქნება, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ კომუნიკაციად განვიხილოთ<sup>2671</sup>. სურათები შეიძლება წარმოადგენდეს ტრადიციული კორესპონდენციის ან ციფრული, მათ შორის, მობილური ტელეფონით გაგზავნილი შეტყობინებების ნაწილს, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს მიმონერად.

უფრო რთულია „მიმონერის“ ცნებისთვის ტელეფონის მეშვეობით<sup>2672</sup>, როგორცაა სახლის და მობილური ტელეფონები ან პორტატული რადიოები<sup>2673</sup>, კომუნიკაციის დამატება. არსებობს ამ საკითხის გადაჭრის ორი შესაძლო გზა. აღნიშნული კომუნიკაცია შეიძლება იყო უშუალოდ მიმონერის ფორმა ან გამომდინარეობდეს პირადი ცხოვრების ცნებიდან. შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტური იქნება. *კლასის (Klass)* საქმეში სასამართლომ ორივე ვარიანტზე მიანიშნა<sup>2674</sup>. დაბოლოს, პირადი საუბარი არის არა მიმონერა, არამედ უბრალოდ პირადი ცხოვრების გამოვლინება.

<sup>2668</sup> ტულკენსი (2001) 881.

<sup>2669</sup> *ქრისტი (Christie) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 21482/93.

<sup>2670</sup> შარიერი (2002) მე-8 მუხლი, N 35; რიდი და მერდოკი (2001) N 6.15.

<sup>2671</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 7308/75.

<sup>2672</sup> *A საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი 14838/89 (1991).

<sup>2673</sup> *X ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8962/80.

<sup>2674</sup> *კლასი (Klass) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, §41; იხ. აგრეთვე *მელონი (Malone) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §64; *კრუსლინი (Kruslin) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §26; *ჰუვიგი (Huwig) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §25; *ჰალფორდი (Hallford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §46; *კოპი (Kopp) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §53; *ლამბერი (Lambert) საფრანგეთის წინააღმდეგ*, §21; *KD ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი 21307793.

## ბ. წერილობითი კორესპონდენცია

### 1. პრეცედენტული სამართალი<sup>2675</sup>

წერილობითი კორესპონდენციის უფლებაში ჩარევასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ განხილული ყველა საქმე შეეხებოდა პატიმრებს<sup>2676</sup>. ყველაზე გავრცელებული პრობლემა იყო წერილების გაგზავნის შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქმე კანადის წინააღმდეგ, სადაც ტელეფონის გარკვეულ ნომერზე დარეკვის შედეგად შესაძლებელი იყო ანტიდემოკრატიული შეტყობინების მოსმენა, რაც იკრძალებოდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. კომისიამ ჩათვალა, რომ „ამკრძალავი ნორმის ფართო მოქმედების ფარგლები, რომელიც მოიცავდა ყველა სახის საფოსტო წერილს, გაგზავნილს თუ მიღებულს,“ ნამოჭრიდა, *inter alia*, საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლთან შესაბამისობის საკითხს<sup>2677</sup>.

შესაბამისად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დღემდე მიმონერის პატივისცემის უფლებას არ გამოუწვევია სერიოზული დავა სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში.

### 2. პატიმართა მიმონერასთან დაკავშირებული პრინციპები

იმ საკითხების უმრავლესობა, რომლებიც პატიმართა მიმონერაზე დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირდება, სასამართლომ განიხილა თავის პირველ საქმეში. სასამართლოს მიერ საქმის განხილვას წინ უძღოდა საკმაოდ შრომატევადი სამართალწარმოება კომისიის წინაშე, რომელიც საჩივართა ნაწილზე მხარეებს შორის მორიგების მიღწევით დასრულდა. ეს საქმე მოიცავდა შეიდ სხვადასხვა განაცხადს, რომლებიც ერთ წარმოებად გაერთიანდა. მთავარი პრინციპი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს არის ის, რომ ზოგადად გამართლებულია ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმართა წერილების გახსნა და წაკითხვა ციხეში წესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის ან გაქცევის თავიდან აცილების მიზნით<sup>2678</sup>. აღნიშნული საფუძვლების გარდა წერილების წაკითხვა მისაღებად ჩაითვალა მხოლოდ სხვა პატიმრების უფლებების დაცვის მიზნით<sup>2679</sup>. ეს არ ვრცელდება ციხის ზედამხედველების რეპუტაციაზე. ანალოგიურად, დაუშვებელია იმ წერილების შეჩერება, რომლებიც შეიცავს საჩივრებს ციხეში არსებულ პირობებთან დაკავშირებით<sup>2680</sup>. სასამართლოს ყოველთვის არ დაუცავს გამონაკლისების ვინაობა ინტერპრეტირების პირობა. ერთ-ერთ საქმეში თაღლითობისთვის განმცხადებლის მსჯავრების ფაქტი ჩაითვალა საკმარის მიზეზად ბიზნესთან დაკავშირებული საკითხების შემცველი წერილების შეჩერებისთვის<sup>2681</sup>.

<sup>2675</sup> იხ. აგრეთვე ვილდაჰაბერი და ბრაიტენმონზერი N 509, 510.

<sup>2676</sup> ამ პრეცედენტული სამართლის ანალიზისთვის იხ. მაგ: შტრაამერი (2001) N 16.60-16.71. კომისიის ადრეული პრეცედენტული სამართლის კრიტიკული მიმოხილვისთვის იხ. ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 528.

<sup>2677</sup> *JRT* და *the WG Party* კანადის წინააღმდეგ, § 8.

<sup>2678</sup> *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. ამან შეიძლება გაამართლოს იმ წერილის შეჩერება, რომელიც შეიცავს მუქარებს (§ 103).

<sup>2679</sup> იხ. მაგ: *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 102; ამ მოსაზრებას იზიარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც; იხ. *მიგელ ანხელ ესტრელა (Miguel Angel Estrella)* ურუგუაის წინააღმდეგ, § 9.2.

<sup>2680</sup> *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 64, 99; *ჟაიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 47.

<sup>2681</sup> *სილვერი (Silver)* და *სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 101.

თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი ხელისუფლების ორგანოების მიერ წერილების გახსნის უფლებიდან. ერთ-ერთი მათგანი უკვე განხილული იქნა დამცველის დახმარების უფლებასთან კავშირში<sup>2682</sup>. სხვა გამონაკლისი შეეხება მიმონერას სტრასბურგის ორგანოებთან<sup>2683</sup>. ასეთ დროს მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ ევროპული შეთანხმების სპეციალური ნორმები. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ პირთა „კორესპონდენციის გაგზავნა და ჩაბარება, რომლებიც იყენებენ ინდივიდუალური განაცხადით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, განხორციელდება ყოველგვარი დაგვიანებისა და ცვლილების გარეშე“. ცხადია, ეს გულისხმობს, რომ ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ლეგიტიმური კონტროლის განხორციელება კორესპონდენციის შინაარსზე. მეორე მხრივ, იმავე პუნქტის გ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს „მიმონერისა და სხვების დაუსწრებლად დამცველთან კონსულტაციის უფლებას“. როგორც ჩანს, ადგილი აქვს გარკვეულ შეუსაბამობას, ვინაიდან განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ ასეთი მიმონერის შემონგების უფლება. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ დაუშვებელია ამ შეთანხმებამ ზიანი მიაყენოს კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს. მან მართებულად აღნიშნა, რომ „მიმონერის პატივისცემის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ციხის კონტექსტში სადაც იურიდიული მრჩეველისთვის შეიძლება უფრო რთული იყოს კლიენტთან პირადად შეხვედრა.“

სასამართლომ შეინარჩუნა თავისი ფრთხილი მიდგომა *კემპბელის (Campbell)* საქმეში. თუმცა მოგვიანებით, თურქეთის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში, რომელშიც განმცხადებელთა დაშინების გამო, კონვენციის 25-ე მუხლის მეორე წინადადების (ამჟამად 34-ე მუხლი) დარღვევა დადგინდა, სასამართლომ გაცილებით რადიკალური მიდგომა გამოიყენა<sup>2684</sup>. *სალაპას (Salapa)* საქმეში სასამართლოს განცხადებით, „კონვენციის საფუძველზე ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ სასამართლოს მისამართით პატიმრების კორესპონდენციები არ დაექვემდებაროს ისეთ კონტროლს, რამაც შეიძლება მათ ხელი შეუშალოს სასამართლოსთვის საჩივრის წარდგენაში“<sup>2685</sup>.

არსებობს მრავალი სახის ჩარევა, მათ შორის წერილის გახსნა, შესწავლა, მონიტორინგი, ინსპექტირება, დათვლიერება, წაკითხვა, შეჩერება ან შეფერხება. თვით წერილის ინსპექტირებისა და შესწავლის შესაძლებლობის არსებობა წარმოადგენს ჩარევას<sup>2686</sup>, ვინაიდან წერილის ავტორს მოუწევს მისი შინაარსის ადაპტაცია. *A fortiori* წერილის გახსნა საქმარისია ჩარევისთვის. აუცილებელი არ არის, რომ წერილის წაკითხვა განხორციელდეს<sup>2687</sup>. ზოგჯერ რთულია იმის

<sup>2682</sup> იხ. მაგ: *კემპბელი (Campbell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §46. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების გონიერული ეჭვის არსებობისას. იხ. აგრეთვე თავი 10, ქვეთავი V.

<sup>2683</sup> *კემპბელი (Campbell) და ფელი (Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §62; *სალაპა (Salapa) პოლონეთის წინააღმდეგ*, §94.

<sup>2684</sup> იხ. მაგ: *აკდივარი (Akdivar) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ და კურტი (Kurt) თურქეთის წინააღმდეგ*.

<sup>2685</sup> *სალაპა (Salapa) პოლონეთის წინააღმდეგ*, §94.

<sup>2686</sup> *კემპბელი (Campbell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §33.

<sup>2687</sup> *Ibid.*, §57.

განსაზღვრა, სად ავლებს სასამართლოზღვარს კონვენციის დარღვევასა და დარღვევის არარსებობას შორის. მან გადაწყვიტა, რომ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი, როდესაც წერილის გაგზავნა სამი კვირით შეფერხდა. პატიმრებმა უნდა გამოიჩინონ მოთმინება, განსახილველი საკითხი არ იყოს „იმდენად სასწრაფო“<sup>2688</sup>. დოკუმენტის ცენზურის სხვა გზა შეიძლება იყოს, მისი ცალკეული ნაწილების წაკითხვის შეუძლებლად ქცევა<sup>2689</sup>.

რაც შეეხება ჩარევის კანონიერებას, სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა ავსტრიაში მოქმედი ბუნდოვანი ნორმები ფსიქიკურად დაავადებულთა შესახებ. ამ ნორმების მიხედვით, იძულებით დაკავებული პაციენტები შეიძლება დაექვემდებარონ შეზღუდვებს ... გარე სამყაროსთან ურთიერთობის მხრივ“. სასამართლოს განცხადებით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებისა და პირობების დეტალები „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იძულებით მოთავსების დროს, ვინაიდან ... მიმონერა გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა“<sup>2690</sup>. თუმცა სასამართლომ არ დააკონკრეტა ის დეტალები, რომლებიც კანონით უნდა განისაზღვროს. იტალიის წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეში გადაწყდა, რომ რელევანტური კანონი საქმარისი სიზუსტით არ მიუთითებდა ხელისუფლების ორგანოების მიერ დისკრეციის განხორციელების „ფარგლებსა და წესს“, როგორცაა ჩარევის ხანგრძლივობა და მიზეზები, რადგან მხოლოდ იმ პირთა კატეგორიას განსაზღვრავდა, რომელთა მიმონერის ცენზურა იყო დასაშვები<sup>2691</sup>.

მოგვიანებით, პრეცედენტული სამართალი უფრო კონკრეტული გახდა. კანონმა უნდა განსახვავოს ერთმანეთისგან იმ პირთა კატეგორიები, რომლებთან მიმონერაც დაშვებულია და მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისგან წერილის წაკითხვის დასაბუთება. გარდა ამისა, აუცილებელია მიმონერის კონტროლისა და პატიმრის უფლებაში ჩარევის შესახებ მისი ინფორმირების ფორმისა და დროის წესების განსაზღვრა. დაბოლოს, პატიმრის განკარგულებაში უნდა იყოს ასეთი ჩარევის საწინააღმდეგო სამართლებრივი დაცვის საშუალება<sup>2692</sup>.

ცხადია, სახელმწიფო ორგანოთა ქმედება კანონს უნდა შეესაბამებოდეს. *მატიეიუჩუკის (Matwiejczuk)* საქმეში სისხლისსამართლებრივ განაჩენთა აღსრულების კოდექსის მიხედვით, წერილის გახსნა პატიმრის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო. ამ საქმეში მთავრობამ ვერ შეძლო განმცხადებლის მტკიცების გაბათილება, რომ წერილის გახსნის პროცესს ის არ დასწრებია<sup>2693</sup>.

კომისიამ ლეგიტიმურად მიიჩნია ხელისუფლების ორგანოთა უარი ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ექვმიტანილი და ციურისში დაკავებული

<sup>2688</sup> *სილვერი (Silver)* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 104.

<sup>2689</sup> *პლეიფერი (Pfeifer)* და *პლანკლი (Plankl)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 43.

<sup>2690</sup> *ჰერცეგფალვი (Herczegfalvy)* ავსტრიის წინააღმდეგ, § 91.

<sup>2691</sup> *კალოჯერო დანა (Calogero Dana)* იტალიის წინააღმდეგ, § 32, 33; *დომენიჩინი (Domenichini)* იტალიის წინააღმდეგ, § 32, 33. მსგავსი სია იყო განსაზღვრული საქმეში *კლასი (Klass)* და *სხვები გერმანიის წინააღმდეგ* (§ 50) პრევენციული ღონისძიების სახით ფარული თვალთვალისთვის.

<sup>2692</sup> *სალაპა (Salapa)* პოლონეთის წინააღმდეგ, § 97. სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობის საჭიროებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი. იხ. აგრეთვე *ნიედბალა (Niedbala)* პოლონეთის წინააღმდეგ.

<sup>2693</sup> *მატიეიუჩუკი (Matwiejczuk)* პოლონეთის წინააღმდეგ, § 101. იხ. აგრეთვე *მიანოვსკი (Mianowski)* პოლონეთის წინააღმდეგ, § 66; შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის აშკარა დარღვევის სხვა მაგალითისთვის იხ. *GK პოლონეთის წინააღმდეგ*, § 56.

გერმანიის მოქალაქეებისთვის წერილის გადაცემაზე, ვინაიდან ის ტერორისტულ აქტს შეეხებოდა.<sup>2694</sup>

#### IV. თვალთვალის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით

ამ ქვეთავში განვიხილავთ თვალთვალს ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორებიცაა სატელეფონო მოსმენა, ფარული ვიდეო გადაღება, მოსასმენი აპარატების გამოყენება და ა.შ. ძირითადი პრობლემები, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, უკავშირდება ასეთი ზომების მარეგულირებელი საკმარისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას.

##### ა. პირადი ცხოვრების ფარგლები ამ კონტექსტში

პირადი ცხოვრება ფართო ცნებაა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას. ისეთი ასპექტები, როგორებიცაა გენდერული კუთვნილება, სახელი, სექსუალური ცხოვრება და ორიენტაცია, მე-მ მუხლით დაცული პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. ეს მუხლი ასევე იცავს იდენტობისა და პიროვნული განვითარების, სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას და შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ ან ბიზნეს საქმიანობას. შესაბამისად, პირადი ცხოვრების სფეროში შეიძლება მოექცეს ადამიანებს შორის ურთიერთკავშირი, მათ შორის საჯარო კონტექსტში<sup>2695</sup>.

სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში დაცული სფეროები, პირველ რიგში, მოიცავს საუბარს ნებისმიერი ტექნიკური საშუალების, ტელეფონის, რადიოს გამოყენებით, კომუნიკაციას პეიჯერის მეშვეობით<sup>2696</sup>, სხვა ადამიანებთან სიტყვიერ ან სხვა სახის ურთიერთობას, როდესაც პირს არ გააჩნია მიზეზი იფიქროს, რომ თვალყურს ადევნებენ ან იწერენ თვით საცხოვრებლის გარეთ, მაგალითად, პოლიციის განყოფილებაში, დაკავების საკანში ან საჯარო თავშეყრის ადგილას<sup>2697</sup>. პირი შეიძლება ასევე ლეგიტიმურად ვარაუდობდეს, რომ მისი სამსახურის სატელეფონო ხაზი არ ისმინება, თუ ამის შესახებ არ მიუღია ფორმალური გაფრთხილება<sup>2698</sup>.

##### ბ. ჩარევა

პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით პირად ცხოვრებაში ჩარევის მრავალფეროვან სახეობებს. კლასიკური შემთხვევა მოიცავს საუბრის მოსმენას ან ჩანერას, ჩანანერის შენახვასა და შემდგომში მის გამოყენებას, მაგალითად, მტკიცებულებად სასამართლოში. თუმცა აუცილებელი არ არის ყველა ამ ელემენტის არსებობა. მაგალითად, მთავრობა ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ ინფორმაციის შენახვა ან გამოყენება არ მომხდარა<sup>2699</sup>. სატელეფონო მოსმენა

<sup>2694</sup> X შევიცარიის ნინაალმდეგ, განაცხადი 7736/76.

<sup>2695</sup> პერი (Perry) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §36. იხ. აგრეთვე PG და JH გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §56.

<sup>2696</sup> ტილორ-საბორი (Taylor-Sabori) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ.

<sup>2697</sup> PG და JH გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §52; ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §34.

<sup>2698</sup> ჰალფორდი (Halford) გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ, §42; კოპი (Kopp) შევიცარიის ნინაალმდეგ.

<sup>2699</sup> კოპი (Kopp) შევიცარიის ნინაალმდეგ, §53.

იქნება ჩარევა არა მარტო ექვმიტანილის, არამედ საუბრის სხვა მონაწილეთა უფლებებში<sup>2700</sup>.

გარდა ამისა, თვით იმ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა, რომელიც მიუთითებს გარკვეული საუბრის არსებობაზე, იქნება ჩარევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში იმის მიუხედავად, რომ მისი შინაარსის მონიტორინგი არ მომხდარა. ამას ეწოდება „ალრიცხვა“- ყოველი სატელეფონო ზარის რეგისტრაცია და მისი დროის, ხანგრძლივობისა და აკრეფილი ნომრის შესახებ ინფორმაციის შენახვა. ეს შეიძლება ლეგიტიმურად განხორციელდეს აბონენტისთვის ანგარიშის წარდგენის მიზნით. თუმცა ჩარევას ექნება ადგილი, თუ სატელეფონო კომპანია ასეთ ინფორმაციას მიანვდის პოლიციას აბონენტის ნებართვის გარეშე<sup>2701</sup>.

მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა კიდევ უფრო შორს მიდის.. ელექტრონული საშუალების გამოყენებით თვალთვალის ეფექტიანობისთვის აუცილებელია მისი ფარულად განხორციელება. ვინ გამოიყენებს თავის ტელეფონს დანაშაულზე სასაუბროდ, თუ ის წინასწარ იქნა გაფრთხილებული, რომ საუბარს მოუსმენენ? ქმედების ფარული ხასიათი განსაკუთრებით პრობლემურია მისი კონტროლის თვალსაზრისით. *კლასის (Klass)* საქმეში განმცხადებლები, მათ შორის სახელმწიფო პროკურორი, არ ამტკიცებდნენ, რომ მათ უთვალთვალდნენ. თუმცა, ამავდროულად, ისინი აცხადებდნენ, რომ ვერ გამოორიცხადნენ ასეთ შესაძლებლობას, რადგან არ არსებობდა ამის გაგების გზა. როგორც სასამართლომ, ისე კომისიამ მისაღებად ჩათვალეს ეს არგუმენტი: „სასამართლო მიუღებლად მიიჩნევს, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებით სარგებლობის გარანტია შეიძლება გაბათილდეს იმ უბრალო მიზეზით, რომ შესაბამისი პირისთვის უცნობია მისი დარღვევის შესახებ“<sup>2702</sup>. შესაბამისად, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა შესაძლებელია უშუალოდ ისეთი კანონმდებლობის არსებობით, რომელიც იძლევა ფარული თვალთვალის განხორციელების საშუალებას.

მომდევნო საქმეებში ეს პრინციპი ნაწილობრივ შერბილდა. კომისიამ ჩათვალა, რომ არ შეიძლებოდა „ამ პრეცედენტული სამართლის ისე ფართოდ ინტერპრეტირება, რომ მოეცვა გაერთიანებულ სამეფოში მყოფი ყველა ადამიანი, რომელიც შიშობდა, რომ უშიშროების სამსახურს შეეძლო მის შესახებ ინფორმაციის შეგროვება“. კომისიამ მოითხოვა „გონივრული ალბათობის არსებობა, რომ უშიშროების სამსახურმა შეაგროვა ინფორმაცია პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით და ინახავდა მას“<sup>2703</sup>. ასეთი მიდგომა განიხილა სასამართლომ, თუმცა არ გამოიყენა. *ჰალფორდის (Halford)* საქმეში მან იგივე დასკვნები გამოიტანა, რაც *მელონის (Malone)* საქმეში: „ინგლისსა და უელსში იმ კანონებისა და პრაქტიკის არსებობა, რომელიც უშვებს და ანესებს კომუნიკაციებზე საიდუმლო თვალთვალის სისტემას, თავისთავად, „ჩარევის“ ტოლფასია<sup>2704</sup>. „გონივრული ალბათობის“ ტესტის გამოყენება საჭირო იყო

<sup>2700</sup> *კრუსლინი (Kruslin)* საფრანგეთის წინააღმდეგ, §26.

<sup>2701</sup> *მელონი (Malone)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §1, 83, 84; *ვალენს-უელა კონტრერასი (Valenzuela Contreras)* ესპანეთის წინააღმდეგ, §47; *PG* და *JH* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §42.

<sup>2702</sup> *კლასი (Klass)* და *სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, §30-8. იხ. აგრეთვე *მელონი (Malone)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §64; *ჰალფორდი (Halford)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §56.

<sup>2703</sup> *ჰიუიტი (Hewitt)* და *ჰარმანი (Harman)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 12175/86, §33.

<sup>2704</sup> *მელონი (Malone)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §64.

მხოლოდ იმიტომ, რომ განმცხადებელი ასაჩივრებდა არა ზოგად მდგომარეობას ინგლისისა და უელსის კანონების საფუძველზე, არამედ პირადად მის წინააღმდეგ განხორციელებულ ჩარევას, რომელიც არ შეესაბამებოდა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას<sup>2705</sup>. სხვა სიტყვებით, კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს საიდუმლო თვალთვალს შეიძლება თავისთავად უდრიდეს ჩარევას კანონის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში იმ „გამყინავი ეფექტის“ გამო, რომელსაც ის იწვევს<sup>2706</sup>.

დაბოლოს, ხმის ჩანერა ან გადაღება შეიძლება საჭირო იყოს პირის იდენტიფიცირებისთვის. *პერის (Perry)* საქმეში განმცხადებელი ეჭმიტანილი იყო ქურდობაში და თავდაპირველი თანხმობის მიუხედავად, არ გამოცხადდა ეჭმიტანილთა ამოცნობაზე. საბოლოოდ, მისი გადაღება მოხდა ფარულად პოლიციის განყოფილების დაკავების საკანში დამონტაჟებული სათვალთვლო კამერის მეშვეობით. სასამართლომ არ განასხვაა ეს ვითარება ჩარევის სხვა შემთხვევებისგან. მან განაცხადა, რომ სათვალთვლო კამერების ჩვეულებრივი გამოყენება (მაგალითად, სუპერმარკეტებში, რკინიგზის სადგურებში, საჯარო დაწესებულებებისა და სხვა შენობების შესასვლელებში და ა.შ.), რომლის შესახებაც ყველასთვის იყო ცნობილი, არ წარმოადგენდა ჩარევას მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში. თუმცა მოცემულ საქმეში ჩანანერის გამოყენება პირის იდენტიფიცირებისა და სასამართლო განხილვის დროს მისი ჩვენების მიზნით, წარმოადგენდა ჩარევას<sup>2707</sup>.

მცირე ეჭვების მიუხედავად, სასამართლო, როგორც ჩანს, თვლის, რომ ხმის ნიმუშის აღება ასევე წარმოადგენს ჩარევას. ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელთა ხმის ჩანერა განხორციელდა პოლიციის ოფიცერთა თანდასწრებით ფორმალურ კითხვებზე პასუხის გაცემისას და ჩანანერის გამოყენება შეიძლებოდა საიდენტიფიკაციო მიზნებისთვის<sup>2708</sup>. მეორე მხრივ, ვინმესთვის ფოტოსურათის გადაღება საზოგადოებრივ ღონისძიებაში მონაწილეობის დროს არ წარმოადგენს ჩარევას, თუ მისი მოთავესება არ ხდება მონაცემთა დამუშავების სისტემაში და არ ინახება პირის სახელთან ერთად<sup>2709</sup>. თითის ანაბეჭდების აღება და ეჭმიტანილისთვის სურათის გადაღება წარმოადგენს ჩარევას, თუმცა ჩვეულებრივ გამართლებული იქნება, დანაშაულის თავიდან აცილების აუცილებლობით<sup>2710</sup>. იგივე შეიძლება ითქვას სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ დნმ-ის შენახვაზე, როგორც მინიმუმ, სერიოზულ დანაშაულთან მიმართებაში, როგორცაა მკვლელობა ან გაუპატიურება. *უილიამსის (Williams)* საქმეში განმცხადებლის დნმ

<sup>2705</sup> *ჰალოფორდი (Halford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 57, 58.

<sup>2706</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა მიმონერასთან დაკავშირებული საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა განმცხადებლის მიერ ან მისი მისამართით გაგზავნილი წერილის გაცნობა ან შეჩერება; *ლარი ჯეიმს პინკნეი (Larry James Pinkney) კნაის წინააღმდეგ* § 34. იხ. აგრეთვე რიდი და მერდოკი (2001) N 6.18.

<sup>2707</sup> *პერი (Perry) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 40. სასამართლომ ეს საქმე განასხვაა კომისიის მიერ განხილული საქმისგან *ლუპერი (Lupker) ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განაცხადი 18395/95), რომელშიც განმცხადებლის სურათების ჩვენება მოხდა ალბომში. კომისიამ უარყო ჩარევის არსებობა, რადგან პოლიციისთვის სურათების გადაცემა ნებაყოფლობით მოხდა.

<sup>2708</sup> *PG და JH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 59.

<sup>2709</sup> *ფრიდლი (Friedl) ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 15225/89, § 49-51.

<sup>2710</sup> *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 5877/72; *X ავსტრიის წინააღმდეგ*, განაცხადი 8170/78; *მაკეი (Mc Veigh), ონილი (O'Neill) და ევანსი (Evans) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადები 8022/77, 8025/77, 8027/77.

ინახებოდა ცხრა თვის მანძილზე, რაც კომისიამ არ ჩათვალა ზედმეტად ხანგრძლივ ვადად. განმცხადებელმა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ კონვენციის უწყლების დარღვევის „მსხვერპლი“ იყო<sup>2711</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი იყენებს საკმაოდ მოულოდნელ ფორმულირებას უფლებიდან გამონაკლისის დაშვების პირობების განსაზღვრისას, როდესაც მიუთითებს „საჯარო ხელისუფლების ჩარევაზე“. კონვენცია ზოგადად სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფოებისთვის და პირდაპირ არ ვრცელდება ინდივიდებზე. მეორე მხრივ, არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ კონვენციის ავტორების განზრახვა იყო სახელმწიფოს გათავისუფლება მესამე პირების მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევისგან ინდივიდების დაცვის პასუხისმგებლობისგან. სინამდვილეში, პრეტენდენტული სამართალი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. არსებობს სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება, რომელშიც დადასტურებულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას პირადი და ოჯახური ცხოვრება<sup>2712</sup>.

ეს საკითხი საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით იქნა განხილული საქმეში, სადაც კერძო პირმა პოლიციას მიანოდა ინფორმაცია განმცხადებლის მიერ დაგეგმილ მკვლელობაზე. პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა სთხოვა მას პოლიციის ოფისიდან დაერქვა განმცხადებლისთვის და მოახდინა მათი საუბრის ჩანერა. პოლიციის შენობისა და საშუალებების გამოყენების, აგრეთვე პოლიციის მაღალჩინოსანი ოფიცრის მონაწილეობის გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. „ნებისმიერ შემთხვევაში, ჩანერა წარმოადგენდა ჩარევას, რომელთან მიმართებაშიც, განმცხადებელს ეკუთვნოდა დაცვა საფრანგეთის სამართლებრივი სისტემის საფუძველზე“<sup>2713</sup>. *ვერლიერის (Verliere)* საქმეში განმცხადებელი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმ ფაქტის გამო, რომ მას უთვალთვალებდნენ სადაზღვევო კომპანიის კერძო დეტექტივები. სასამართლოს არ განუხილავს ეს საკითხი, თუმცა განაცხადი დაუშვებლად ცნო, რადგან ჩათვალა, რომ კომპანიის ეკონომიკური ინტერესების მნიშვნელობა აღემატებოდა განმცხადებლისას<sup>2714</sup>. შესაბამისად, ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე-2 პუნქტში არსებული მითითება „საჯარო ხელისუფლებაზე“ არარელევანტურია<sup>2715</sup>.

## გ. სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები

ელექტრონული თვალთვალის სფეროში პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული პრეტენდენტული სამართლის დამახასიათებელი ნიშანია ის ფაქტი, რომ საქმეთა უმრავლესობაში მოპასუხე მთავრობათა არგუმენტები გაბათილდა უფლებაში ჩარევისთვის საკმარისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო<sup>2716</sup>. ერთ-

<sup>2711</sup> *უილიამსი (Williams) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 19404/92.

<sup>2712</sup> იხ. ვილდაპაერი და ბრაიტენმოზერი (2001) N 52; პეფლიგერი და შურმანი (1999) 248; ფროვაინი და პოიკერტი (1996) მე-8 მუხლი, N 9; ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიტი (1995) 320; ნოვაკი (1993) მე-17 მუხლი, N 6, 7; ოუევი და უაითი (2002) 218; რილი და მერდოკი (2001) N 6.19; სუდრი (2003) 370.

<sup>2713</sup> *A საფრანგეთის წინააღმდეგ*, §36.

<sup>2714</sup> *ვერლიერი (Verliere) შვეიცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 41953/98.

<sup>2715</sup> იხ. აგრეთვე ესერი (2002) 149.

<sup>2716</sup> იხ. მაგ: *მელონი (Malone) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*; *კრუსლინი (Kruslin)*



ერთ საქმეში კანონი უზრუნველყოფდა საკმარის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი დაცვა არ მომხდარა.<sup>2717</sup>

ყველაზე თვალსაჩინოა ის საქმეები, რომლებშიც უფლებაში ჩარევა საერთოდ არ წესრიგდებოდა რაიმე სამართლის ნორმით. ასეთ შემთხვევას აქონდა ადგილი ჩაკლის (*Chalkley*) საქმეში, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში სახლის თვალთვალს შეეხებოდა. საქმეში არსებული გარემოებები განსაკუთრებით უცნაური იყო. პოლიციამ განმცხადებელი შეგნებულად დააკავა მცდარ საფუძველზე დაყრდნობით, რათა მისი არყოფნისას სახლში დემონტაჟებინათ სპეციალური მონყობილობა. მოგვიანებით ის კვლავ დაიბარეს პოლიციაში, რათა ამ მონყობილობისთვის ელემენტები გამოეცვალათ. ასეთ დროს ადგილი აქვს კონვენციის უხემ დარღვევას<sup>2718</sup>. სხვა საქმეში საფრანგეთის მთავრობამ აღიარა, რომ არ არსებობდა ეჭვმიტანილისთვის „მახის დაგების“ სამართლებრივი საფუძველი, როდესაც მას ინფორმატორმა დაურეკა პოლიციის განყოფილებიდან და მათი საუბრის ჩანერა განხორციელდა მტკიცებულების მოპოვების იმედით<sup>2719</sup>.

კომუნიკაციებზე თვალთვალის განხორციელებასთან ადაპტირებული კანონიერების პრინციპი სასამართლომ შემდეგნაირად შეაჯამა:

როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება ფარულად, თვითნებობის რისკი აშკარაა. საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ თვალთვალისა და მოსმენის ფარული ზომების გამოყენების კონტექსტში განჭვრეტადობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონი საკმარისად ზუსტად იყოს ფორმულირებული, რათა მოქალაქეებს მისცეს ადეკვატური მინიშნება იმ გარემოებებისა და პირობების შესახებ, რომელთა საფუძველზეც საჯარო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ასეთი ფარული ზომების გამოყენების უფლებამოსილება ... აუცილებელია მკაფიო, დეტალური ნებსების არსებობა ამ საკითხზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია მუდმივად იხვეწება ...

(IV) *კრუსლინისა (Kruslin)* და *ჰუვიგის (Huvig)* გადაწყვეტილებებში მოცემულია შემდეგი მინიმალური გარანტიები, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს კანონი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან

---

*საფრანგეთის წინააღმდეგ; ჰუვიგი (Huvig) საფრანგეთის წინააღმდეგ; A საფრანგეთის წინააღმდეგ; ჰალფორდი (Halford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; კოპი (Kopp) შვეიცარიის წინააღმდეგ; ვალენსუელა კონტრერასი (Valenzuela Contreras) ესპანეთის წინააღმდეგ; ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; PG და JH გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; არმსტრონგი (Armstrong) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ტეილორ-საბონი (Taylor-Saboni) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ლუისი (Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; ჩაკლი (Chalkley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.*

<sup>2717</sup> *პერი (Perry) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.* განმცხადებლისთვის არ უთხოვიათ ნებართვა ვიდრეს გადაღებისთვის, მისი ინფორმირება არ მომხდარა ოპერაციის შესახებ და არც მასალის ხილვის საშუალება მისცემია.

<sup>2718</sup> *ჩაკლი (Chackley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §25.* ეს ხარვეზი პირველად კომისიის მიერ განხილულ საქმეში გამოაშკარავდა: *გოველი (Govell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, განაცხადი 27237/95. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი პირველი საქმე იყო *ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §25.* იხ. აგრეთვე *PG და HJ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §38; არმსტრონგი (Armstrong) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §20; ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §36; ლუისი (Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §19.*

<sup>2719</sup> *A საფრანგეთის წინააღმდეგ, §38.*

აცილების მიზნით: იმ პირთა კატეგორიების განსაზღვრა, რომლებიც ექვემდებარებიან სატელეფონო მოსმენას სასამართლო ბრძანების საფუძველზე, დანაშაულთა ბუნება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ბრძანების გაცემა, ტელეფონის მოსმენის ხანგრძლივობის ზღვარი, მოსმენილი საუბრების შემცველი საანგარიშო მოხსენებების შედგენა, გამაფრთხილებელი ზომების მიღება სასამართლოს ან დაცვის მიერ შესაძლო ინსპექტირებისთვის ჩანაწერების დაუზიანებლად და სრულად გადაცემის მიზნით და ის გარემოებები, რომელთა არსებობისას ჩანაწერები შეიძლება ან უნდა განადგურდეს, კერძოდ, როდესაც ბრალდებული გაათავისუფლა გამომძიებელმა, მოსამართლემ ან გამართლებული იქნა სასამართლოს მიერ<sup>2720</sup>.

პრეცედენტული სამართლის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლომ შეიმუშავა რამდენიმე დამატებითი მოთხოვნა. შესაბამისად, „განჭვრეტადობის“ მოთხოვნა „არ გულისხმობს, რომ ინდივიდს უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, სავარაუდოდ, როდის მოხდება ხელისუფლების ორგანოების მიერ მის კომუნიკაციებში ჩარევა, რათა შეძლოს თავისი ქცევის შესაბამისი ადაპტირება. მიუხედავად ამისა, კანონი საკმარისად ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მოქალაქეებს მისცეს ადეკვატური მინიშნება იმ გარემოებებისა და პირობების შესახებ, რომელთა საფუძველზეც საჯარო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ პირადი ცხოვრებისა და მიმონერის უფლებაში ასეთი ფარული და პოტენციურად სარისკო ჩარევის უფლება“<sup>2721</sup>. ეს მოთხოვნა არ სრულდება, როდესაც კანონი „ნაწილობრივ ბუნდოვანია და ღიაა განსხვავებული ინტერპრეტაციებისთვის“<sup>2722</sup>.

ხარვეზებს აქვს ადგილი ასევე, როდესაც ხელისუფლების ორგანოთა ქმედებები ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების პრივილეგიას. *კოპის (Kopp)* საქმეში იურისტი განმცხადებლის სატელეფონო ხაზები ისმინებოდა, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ მათი გამოყენება ხდებოდა სხვა მიზნებისთვის, გარდა კლიენტებთან კომუნიკაციისა. სასამართლომ უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ „კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავდა როგორ, რა გარემოებების არსებობისას და ვის უნდა განესხვავებინა საქმის მხარის მითითების საფუძველზე უშუალოდ ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან კავშირში მყოფი საკითხები სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხებისგან“<sup>2723</sup>.

მეორე მხრივ, სასამართლო ნაკლებად მკაცრი იყო თვალთვალის გზით მიღებული მტკიცებულებების შენახვის ან განადგურების მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით. დეტალური წესების არარსებობა არ ჩაითვალა თვითნებური ქმედების რისკის გამომწვევად<sup>2724</sup>.

<sup>2720</sup> ვალენს უელა კონტრერასი (*Valenzuela Contreras*) ესპანეთის წინააღმდეგ, §46.

<sup>2721</sup> მელონი (*Malone*) გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §67. იხ. აგრეთვე კრუსლინი (*Kruslin*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §30; ჰუვიგი (*Huvig*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29; ჰალფორდი (*Hallford*) გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §49; კოპი (*Kopp*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §64.

<sup>2722</sup> მელონი (*Malone*) გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §79.

<sup>2723</sup> კოპი (*Kopp*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §73.

<sup>2724</sup> PG და JH გერტიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §47.

## დ. ჩარევის ფარგლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღემდე არ ყოფილა გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელშიც მოხდებოდა ჩარევის ფარგლების განხილვა. აღიარებულია, რომ დანაშაულთა გამოძიება ემსახურება „საზოგადოებრივ უსაფრთხოებას“, „ნესრიგის დარღვევისა და დანაშაულის თავიდან აცილებას“<sup>2725</sup>. არ არსებობს ასეთი მიდგომის კრიტიკის საფუძველი.

## ე. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის მიზეზი იყო საკმარისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. ამიტომ სასამართლოს იშვიათად ჰქონდა „აუცილებლობის“ ასპექტის განხილვის შესაძლებლობა. ეს საკითხი უმნიშვნელო ხდება მას შემდეგ, რაც კონვენციის დარღვევა უკვე დადგენილია<sup>2726</sup>.

თუმცა თავდაპირველად კლასის (*Klass*)<sup>2727</sup>, ხოლო შემდგომში ლამბერის (*Lambert*)<sup>2728</sup> საქმეში ეს საკითხი ვრცლად იქნა განხილული. მთავარი კითხვა უკავშირდებოდა არა გამოყენებული საშუალებების პროპორციულობას ან ხელისუფლების ორგანოების მიერ ნაკლებად მკაცრი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, არამედ საკმარისი გარანტიების არსებობას თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით. სხვა სიტყვებით, უნდა გარკვეულიყო არსებობდა თუ არა „საკმარისი და ეფექტიანი გარანტიები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ“<sup>2729</sup>. ვინაიდან კლასის (*Klass*) საქმე არ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის პროცესს და გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო დაეყრდნო საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებებს, ჩვენი განხილვის საგანი იქნება ლამბერის (*Lambert*) საქმე.

ლამბერის (*Lambert*) საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ტელეფონი ისმინებოდა დიდი ხნის მანძილზე. მან თავდაპირველად საჩივრით მიმართა საბრალდებო პალატას (*“chamber d'accusation”*), სასამართლოს განყოფილებას, რომელსაც ევალებოდა, *inter alia*, იძულების ღონისძიებების ლეგიტიმურობის განსაზღვრა. საჩივარი უარყოფილი იქნა უსაფუძვლობის ნიადაგზე. ამის შემდეგ განმცხადებელმა მიმართა საკასაციო სასამართლოს, რომელმაც დაუშვებლად ცნო მისი საჩივარი, რადგან არ გააჩნდა *„locus standi“*. სინამდვილეში, ისმინებოდა არა მისი, არამედ მესამე პირის სატელეფონო ხაზი. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ მიდგომას შეეძლო „ადამიანთა ძალზე დიდი რაოდენობა“ დაეტოვებინა სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე და „დაცვის სისტემას პრაქტიკაში თითქმის მთლიანად გამოაცლიდა შინაარსს“<sup>2730</sup>.

<sup>2725</sup> იხ. მაგ: ლამბერი (*Lambert*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §29.

<sup>2726</sup> იხ. მაგ: მელონი (*Malone*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §82, 88; კრუსლინი (*Kruslin*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §37; ჰუვიგი (*Huvig*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §36; კოპი (*Kopp*) შვეიცარიის წინააღმდეგ, §76; ვალენსუელა კონტრერასი (*Valenzuela Contreras*) ესპანეთის წინააღმდეგ, §62; საქმეში ჰალფორდი (*Halford*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ამ საკითხის შესახებ არც კი იყო ნახსენები.

<sup>2727</sup> კლასი (*Klass*) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, §50;

<sup>2728</sup> ლამბერი (*Lambert*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §30;

<sup>2729</sup> კლასი (*Klass*) და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, §50.

<sup>2730</sup> ლამბერი (*Lambert*) საფრანგეთის წინააღმდეგ, §38.

ეს არის ადამიანის უფლებების საერთაშორისო სისტემის მუშაობის კლასიკური მაგალითი. თუ ეროვნულ დონეზე და კონსტიტუციური სამართლის გამოყენებისას სასამართლოები არსებითად განიხილავენ საკითხებს ურთიერთსანიშნავად ინტერესების დაბალანსებით ან, როგორც მინიმუმ, იმის შემომნებით, დაბალანსება სწორად ან თვითნებობის გარეშე განხორციელდა თუ არა, საერთაშორისო სასამართლო თავს აარიდებს საქმის ასეთ შეფასებას შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მსგავსად<sup>2731</sup> და სანაცვლოდ, ხაზს გაუსვამს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების, მათ შორის სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებისა და გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობის აუცილებლობას.

### ვ. შემდგომი შეტყობინება

ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებით, არსებობს აშკარა დილემა. სანამ თვალთვალის ფარულად ხორციელდება, შეუძლებელი იქნება მის წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების არსებობის უზრუნველყოფა. თუ პირს არ შეუძლია იმ ფაქტის დადასტურება, რომლის გასაჩივრებაც სურს, რთული წარმოსადგენია, რომ მის განკარგულებაში არსებული გასაჩივრების ნებისმიერი შესაძლებლობა იყოს ეფექტიანი. სასამართლომ ეს საკითხი *კლასის (Klass)* საქმეში განიხილა და მივიდა დასკვნამდე, რომ ზოგადი წესის სახით, ნებისმიერს პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული თვალთვალის, უფლება აქვს, ინფორმირებული იყოს ამ ღონისძიების დასრულების შესახებ. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. სასამართლოს განცხადებით:

ქმედება ან საფრთხე, რომლისკენაც არის მიმართული კონკრეტული სათვალთვალო ღონისძიებები, შეიძლება წლების ან ზოგჯერ ათწლეულების მანძილზე გაგრძელდეს, ამ ღონისძიებების შეწყვეტის შემდეგ. ყოველი პირის შემდგომმა ინფორმირებამ, რომელიც შეწყვეტილი ღონისძიებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, შეიძლება საფრთხე შეუქმნას იმ გრძელვადიან მიზანს, რომელმაც საჭირო გახადა თვალთვალის განხორციელება. გარდა ამისა, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ ასეთმა შეტყობინებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზვერვის სამსახურების სამუშაო მეთოდების, საქმიანობის სფეროებისა და შესაძლოა თვით აგენტების იდენტიფიცირება ... რამდენადაც, სადავო კანონმდებლობიდან გამომდინარე „ჩარევა“ არსებითად გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე..., ის ფაქტი, რომ პირის ინფორმირება არ მომხდარა თვალთვალის დასრულების შემდეგ, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას, ვინაიდან სწორედ ეს ფაქტი უზრუნველყოფს „ჩარევის“ ეფექტიანობას<sup>2732</sup>.

უნდა ვაღიაროთ, რომ „ლიბერალური“ მოსაზრებით, ასეთი მიდგომა არა მხოლოდ არადამაკმაყოფილებელი, არამედ კაპიტულაციის ტოლფასია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გარკვეული საფრთხეების წინაშე.

<sup>2731</sup> იხ. მაგ: *კლასი (Klass)* და *სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, §49; იხ. აგრეთვე *MS* და *PS შეიქცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10628/83; *შპილმანი (Spillmann)* შეიქცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 11811/85; *X შეიქცარიის წინააღმდეგ*, განაცხადი 13563/88.

<sup>2732</sup> *კლასი (Klass)* და *სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, §58.

თუმცა ტრაგიკული ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლების შენარჩუნებისთვის ზოგჯერ აუცილებელია თავისუფლებაზე შეზღუდვების დანება. ამ ნიგში განხილული ადამიანის უფლებათა სამივე ინსტრუმენტი მხედველობაში იღებს ამ რეალობას, როდესაც გამორიცხავს ფუნდამენტური უფლებების გამოყენებას ამავე უფლებების მოსპობის ან ხელყოფის მიზნით<sup>2733</sup>. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიმყოფებით ზუსტად იმავე ვითარებაში, რომელზეც ეს მუხლები მიუთითებენ, თუმცა ძირითადი იდეა მსგავსია. სამწუხაროდ, ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ ადამიანის უფლებების საფუძვლად მყოფ ფასეულობებს. მათ სწამთ გარკვეული, მაგალითად, რელიგიური ან პოლიტიკური ხასიათის, აბსოლუტური ჭეშმარიტების, რომელსაც უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე, არა მხოლოდ კლასიკურ თავისუფლებებს, როგორცაა გამოხატვის ან რელიგიის თავისუფლება, არამედ თვით ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების სიცოცხლეს. ვინაიდან მათ უპირატესობა მიანიჭეს დევიანტურ ფასეულობათა სისტემას, აუცილებელი ხდება ცალკეული ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა ისეთი საზოგადოებრივი ნესრიგის შენარჩუნების მიზნით, რომელშიც ეს უფლებები დაცული იქნება. საბედნიეროდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ გამონაკლისის გამოყენების სიერცე თითქმის არ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში<sup>2734</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, სამართალწარმოების სამართლიანობაზე უარის თქმა დაუშვებელია მხოლოდ იმიტომ, რომ პირი განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედად ითვლება, მაგალითად, როდესაც ის ტერორიზმშია ეჭვიმტანილი.

მეორე მხრივ, საუბარი არ შეიძლება იყოს დაცვის გარეშე პირის დატოვებაზე. როგორც კლასის (*Class*) საქმეში დაადასტურა სასამართლომ, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს შეკავებისა და განონასწორების დეტალურად შემუშავებულ სისტემას, რომელიც ემსახურება კანონის ბოროტად გამოყენების რისკის მინიმუმამდე დაყვანას.

## V. ინფორმაციის შენახვა

რამდენიმე საქმეში სასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა განმცხადებლის პირადი ინფორმაციის შენახვით<sup>2735</sup>. ეს უფრო ეროვნული უშიშროებისა და პოლიციური კონტროლის საკითხია, ვიდრე სისხლის სამართალწარმოების, თუმცა იმდენად ახლო კავშირშია ამ უკანასკნელთან, რომ გამართლებული იქნება მისი მოკლე მიმოხილვა. სამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი ამ კონტექსტში. ვრცელდება თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ასეთ შემთხვევებზე? აქვს თუ არა ადგილი ჩარევას ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში? და არის თუ არა ეს ჩარევა გამართლებული მე-2 პუნქტის საფუძველზე?

<sup>2733</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-5(1) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-17 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 29(ა) მუხლი.

<sup>2734</sup> ესერი (2002) 156. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება გამიზნული იყო მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების დაცვის მიზნით განხორციელებული ჩარევის მიმართ, როგორც ეს მოხდა საქმეში *კლასი (Class)* და *სხეუბი გერმანიის წინააღმდეგ*. თუმცა მისი გამოყენება ასევე შეიძლება ორგანიზებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან სხვა მსგავსი ფეროვნების კონტექსტში.

<sup>2735</sup> *ლანდერი (Leander) შეედოისი წინააღმდეგ*; *ამანი (Amann) შეეცარიის წინააღმდეგ*; *როტარუ (Rotaru) რუმინეთის წინააღმდეგ*.

## ა. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მოქმედება

ადამიანების შესახებ ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობის არსებობა ნამდვილად არ არის ახალი ფენომენი, თუმცა მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემების განვითარებამ გაცილებით მარტივი გახადა დიდი მოცულობისა და იოლად ხელმისაწვდომი ინფორმაციის თავმოყრა, რომლის დაკავშირების შედეგად, შეიძლება, ადამიანის პიროვნების საკმაოდ ზუსტი სურათის მიღება. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივ ერთი პირისთვის არის ცნობილი, ხელმისაწვდომი ხდება ასევე გარეშე პირთათვის. ავტონომია, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის ასპექტი კი მოითხოვს თვითგამორკვევას ინფორმაციის მიმოქცევის სფეროში. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის განსაზღვრის შესაძლებლობა, რა ინფორმაცია გასცეს და ვის მიანოდოს ის.

ცხადია, ასეთი აბსოლუტური მოსაზრება პირად ავტონომიაზე დღეს უკვე არარეალისტურია. საკმარისია წარმოვიდგინოთ, რა დასკვნების გაკეთება შეუძლიათ ჩვენი სურვილებისა და ჩვევების შესახებ საკრედიტო კომპანიებს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ ნათელი გახდება რამდენი რამ იციან ჩვენს შესახებ<sup>2736</sup>. სწორედ ამიტომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტი შემუშავდა მონაცემთან დაცვის საკითხზე<sup>2737</sup>.

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულმა მოძრაობამ ასევე გავლენა მოახდინა საერთაშორისო დონეზე. 1981 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ<sup>2738</sup>. დოკუმენტის პრეამბულა მიანიშნებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, როდესაც საუბრობს, რომ „სასურველია პირის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა და განსაკუთრებით ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის უფლების გავრცელება“.<sup>2739</sup>

სასამართლომ სწორედ აღნიშნულ დოკუმენტზე მიუთითა, როდესაც მივიდა დასკვნამდე, რომ პერსონალური მონაცემების შენახვა უკავშირდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას<sup>2740</sup>. დაცვა ვრცელდება არა მხოლოდ ძალზე პირად ან ისეთ ინტიმურ საკითხებზე, როგორცაა სექსუალური პრეფერენციები, არამედ ბიზნეს და პოლიტიკურ საქმიანობაზე და ურთიერთობებზე, ისევე, როგორც „საჯარო ინფორმაციაზე“, „როდესაც ის სისტემატურად გროვდება და ინახება ხელისუფლების ორგანოთა არქივებში“<sup>2741</sup>.

## ბ. ჩარევა

სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს გარანტიის მოქმედებისა და უფლებამი ჩარევის საკითხებს, თუმცა ეს განსხვავება საკმაოდ ხელოვნურია.

<sup>2736</sup> რენუჩი (2002) N 87, 159. ავტორი მართებულად მიანიშნებს ჯორჯ ორუელის რომანზე „1984“. იხ. აგრეთვე სოიერი (2000) 9.

<sup>2737</sup> ამ საკითხს აქ ვერ განვიხილავთ დანერჩილებით.

<sup>2738</sup> კონვენცია ძალაში შევიდა 1985 წლის პირველ ოქტომბერს.

<sup>2739</sup> ამასვე ადასტურებს კონვენციის 1-ლი მუხლი.

<sup>2740</sup> ამანი (Amann) შეიქცარის ნინაალდზე, §65. იხ. აგრეთვე როტარუ (Rotaru) რუმინეთის ნინაალდზე, §43. საქმეში ლანდერი (Leander) შეედეთის ნინაალდზე (§43) ეს საკითხი არ გამხდარა დავის საგანი.

<sup>2741</sup> როტარუ (Rotaru) რუმინეთის ნინაალდზე, §43. იხ. აგრეთვე As ავსტრიის ნინაალდზე, განაცხადი 15220/89.

პირის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მაშინ ხდება დაცვის ობიექტი, როცა ის ფიქსირდება სიტყვებში ან სურათებში და ინახება. სხვა სიტყვებით, შეგროვება და შენახვა, თავისთავად, წარმოადგენს ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. აუცილებელი არ არის, რომ შესაბამისი პირი შენუხდეს მის შესახებ მონაცემების შეგროვებით ან სხვა პირი ოდესმე გაეცნოს მათ<sup>2742</sup>.

*როტარუს (Rotaru)* საქმეში სასამართლომ შემოიღო „ჩარევის“ დამატებითი ასპექტი, კერძოდ, პირის მიერ მის შესახებ მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის უარყოფის შესაძლებლობის არარსებობა<sup>2743</sup>. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა რთულია დაეთანხმო მის განხილვას „ჩარევის“ ერთ-ერთ ელემენტად. ასეთ ჩარევას ადგილი აქვს უშუალოდ მონაცემთა ბაზის არსებობის ფაქტით. უარი სადავო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ან მის შესწორებასა და მასზე საკუთარი აზრის გამოთქმაზე არის ელემენტი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული როგორც დამამძიმებელი ფაქტორი პროპორციულობის საკითხის განხილვისას.

### გ. ჩარევის გამართლება

იმის განსაზღვრისას, რამდენად გამართლებული იყო უფლებაში ჩარევა, განიხილება შემდეგი ასპექტები: ის კანონის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს და პროპორციულობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

#### 1. სამართლებრივი საფუძველი

უფლებაში ასეთი ტიპის ჩარევისთვის საკმარისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მოთხოვნა შეესაბამება სატელეფონო მოსმენის კონტექსტში მოქმედ ანალოგიურ მოთხოვნას. *ლიანდერის (Leander)* საქმეში, რომელიც ინფორმაციის შენახვა არ ჩაითვალა გარანტიის დარღვევად, სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა *მელონის (Malone)* საქმეზე<sup>2744</sup>. განმცხადებელს უარი ეთქვა სამხედრო-საზღვაო ძალების მუზეუმში სამუშაოს შესრულებაზე, ვინაიდან ის კლასიფიცირებული იყო როგორც „საფრთხე ეროვნული უშიშროებისთვის“. *ამანისა (Amann)* და *როტარუს (Rotaru)* საქმეებში სასამართლომ განაცხადა, რომ ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების მარეგულირებელ სამართლის ნორმებს აკლდა სიზუსტე.

*ამანის (Amann)* საქმეში კონვენციის დარღვევა აშკარა იყო. კანონი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ პროკურატურა „უზრუნველყოფდა უნიფიცირებულ საგამოძიებო და საინფორმაციო მომსახურებას“<sup>2745</sup>. *როტარუს (Rotaru)* საქმეში სასამართლომ გააკეთა გარკვეული მინიშნება იმ ელემენტებზე, რომელთაც მსგავსი კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს: კანონი უნდა „განსაზღვრავდეს ინფორმაციის სახეს, რომელიც შეიძლება შენახული იქნეს, პირთა კატეგორიას, რომელთა წინააღმდეგ დაშვებულია სათვალთვალო ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა ინფორმაციის შეგროვება და შენახვა, გარემოებებს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია მსგავსი ღონისძიებების განხორციელება; ან პროცედურას, რომელიც დაცული უნდა იქნეს და ... ინფორმაციის სიძველის ან მისი

<sup>2742</sup> *ამანი (Amann) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 68-70.

<sup>2743</sup> *როტარუს (Rotaru) რუმინეთის წინააღმდეგ*, § 46.

<sup>2744</sup> *ლიანდერი (Leander) შვედეთის წინააღმდეგ*, § 50. იხ. აგრეთვე *როტარუს (Rotaru) რუმინეთის წინააღმდეგ*, § 55.

<sup>2745</sup> *ამანი (Amann) შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 72-80. შვეიცარიის ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მე-17 მუხლი.

შენახვის ხანგრძლივობის ზღვარს." გარდა ამისა, სასამართლომ მოითხოვა „მკაფიო, დეტალური დებულების არსებობა მონაცემთა გაცნობის უფლებამოსილების მქონე პირების, მონაცემთა ხასიათის, გასაველი პროცედურის ან ამგვარად შეგროვებული ინფორმაციის გამოყენების შესახებ“<sup>2746</sup>. დაბოლოს, აუცილებელია ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა.

## 2. ჩარევის მიზანი

სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში სხვა სახის ჩარევების მსგავსად, ლეგიტიმური მიზნის საკითხი არ უკავშირდება რაიმე პრობლემას. წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის თავიდან აცილება ყოველთვის ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად.

## 3. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა უფლებაში ჩარევის „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, „ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით, რომლის სიდიდე დამოკიდებული იქნება არა მარტო ლეგიტიმური მიზნის ბუნებაზე, რომელსაც ჩარევა ემსახურება, არამედ კონკრეტული ჩარევის ხასიათზე“. კერძოდ, „ეჭვგარეშეა იმის აუცილებლობა, რომ ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნით, ხელშემკერელ სახელმწიფოებს პქონდეთ კანონები, რომლებიც ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს მინიჭებს ... პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელ მონაცემთა ბაზებში შენახვის უფლებამოსილებას“<sup>2747</sup>. ეს დისკრეცია ძალზე ფართოა, რადგან ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები უკიდურესად პოლიტიკური ხასიათისაა და სასამართლო, ჩვეულებრივ, თავს არიდებს იმის თქმას, რომ კონკრეტულ საქმეში ცალკეული ზომების მიღება არ იყო „აუცილებელი“.

სასამართლო ინდივიდების დაცვის საშუალებას ხედავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მოქმედ გარანტიებში და დაჟინებით მოითხოვს ყველა სახის საპროცესო გარანტიების არსებობას. ლიანდერის (*Leander*) საქმეში მთავრობამ ჩამოთვალა კონტროლის, სულ მცირე, თორმეტი ეტაპი. იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ ზოგიერთი მათგანი არარელევანტურად ჩათვალა მოცემული საქმის კონტექსტში, მაინც კმაყოფილი დარჩა გარანტიების ადეკვატურობით<sup>2748</sup>.

პრობლემა საიდუმლო თვალთვალის შემთხვევის მსგავსია. არ არსებობს მისი გადაჭრის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი გზა, დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე „*quis custodier custodies*“? თუმცა შესაძლებელია გარკვეული ოპტიმალური სტანდარტის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების ადეკვატურ დაცვას ადამიანის უფლებებში გონივრული ჩარევის ხარჯზე. ადამიანის პოლიტიკურ შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული იმის განსაზღვრა, კონკრეტულ შემთხვევაში, ბალანსი დაცული იყო თუ არა.

## VI. საიდუმლო აგენტები

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საიდუმლო აგენტების საკითხი ორი განსხვავებული ასპექტით ხასიათდება. ჩვენ უკვე განვიხილეთ

<sup>2746</sup> როტარუ (*Rotaru*) რუმინეთის წინააღმდეგ, §57.

<sup>2747</sup> ლიანდერი (*Leander*) შვედეთის წინააღმდეგ, §59.

<sup>2748</sup> *Ibid.*, §63-7.



დანაშაულის პროვოცირების საკითხი როგორც სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის ასპექტი. თუმცა მსგავსი ტიპის პირველ საქმეში, განმცხადებლის მტკიცებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გადაცემული პოლიციელი, რომელიც თავს აჩვენებდა ნარკოტიკებით დაინტერესებულ პირად, მიუახლოვდა და აკვირდებოდა, წარმოადგენდა ჩარევას მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

კომისიამ ადრე განხილულ საქმეში დაუშვებლად ცნო განაცხადი, რომელშიც საიდუმლო აგენტების საქმიანობა პირადი ცხოვრების პატივისცემის დარღვევად იყო შეფასებული. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ჩარევას არ ჰქონია ადგილი<sup>2749</sup>. საქმეში *ლუდი (Lüdi) შვეიცარიის წინააღმდეგ* კომისიამ ჩათვალა, რომ ფაქტები განსხვავდებოდა აღნიშნული საქმისგან<sup>2750</sup>. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ *ლუდის (Lüdi)* საქმეში აგენტის ამოცანა იყო არა დანაშაულებრივ ორგანიზაციაზე საიდუმლო თვალთვალი, არამედ ერთ ადამიანზე დაკვირვება, რასაც თან ახლდა სატელეფონო საუბრების მოსმენა.

სასამართლო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა. მან მისაღებად ჩათვალა შვეიცარიის მთავრობის მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა ნარკოტიკების გამსაღებელთა ქსელის გამოძიებას. გერმანიის პოლიციის მიერ მინოდებული ინფორმაციის მიხედვით, განმცხადებელი ცდილობდა ხუთი კილოგრამი პეროინის შესყიდვას. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებელს უნდა სცოდნოდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა ნარკოტიკების შესახებ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და შედეგად, არსებობდა პოლიციის საიდუმლო თანამშრომელთან შეხვედრის რისკი, რომელიც შეეცდებოდა მისი საქმიანობის გამოაშკარაებას<sup>2751</sup>.

სასამართლოს არგუმენტაცია ამ საქმეში არ არის დამაჯერებელი<sup>2752</sup>. იგივე არგუმენტაციის გამოყენება არ შეიძლება სატელეფონო მოსმენასთან, ჩხრეკასთან ან თვით დაკავებასთან დაკავშირებით? რატომ უნდა კარგავდეს სისხლის სამართლის დანაშაულში ჩართული პირი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას? მიმონერის უფლებაში ჩარევას ადგილი არ აქვს, როცა პირმა იცის, რომ არსებობს ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ჩარევის რისკი?

კომისიის შეხედულება გაცილებით უფრო სარწმუნოა. სავარაუდოდ, მასვე იზიარებს შვეიცარიის მთავრობა, რომელმაც გერმანიის მსგავსად შემოიღო კანონმდებლობა ამ საკითხზე<sup>2753</sup>.

## VII. ჩხრეკა და ამოღება

სისხლის სამართალწარმოებისას ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევის ტიპური შემთხვევაა, როდესაც საგამოძიებო ორგანოები შედიან ადამიანის საცხოვრებელში ჩხრეკის ჩატარებისა და მტკიცებულებების ამოღების ან ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით. საცხოვრებელი არის ადამიანის მიერ თავისი პირადი ცხოვრების განვითარების ფიზიკური სივრცე, ოჯახური და სხვა სახის ურთიერთობების ადგილი. საცხოვრებელში უნებართვოდ შესვლა სისხლის სამართლის დანაშაულია. ვინაიდან „საცხოვრებელი“ „პირადი ცხოვრების“ ფართო ცნების ნაწილია, ამიტომ არ არსებობს მისი საზღვრების

<sup>2749</sup> *მ გერმანიის წინააღმდეგ*, განაცხადი 10747/84.

<sup>2750</sup> *ლუდი (Lüdi) შვეიცარიის წინააღმდეგ*, კომისიის ანგარიში, §56.

<sup>2751</sup> *ლუდი (Lüdi) შვეიცარიის წინააღმდეგ*, §40.

<sup>2752</sup> კრიტიკული მოსაზრებისთვის იხ. ესერი (2002) 170.

<sup>2753</sup> იხ. შმიდი (2004) N 772.

ზუსტად განსაზღვრის საჭიროება. რაც არ უნდა ირონიულად უღერდეს, დაკავების საკანი უდავოდ „საცხოვრებელია“<sup>2754</sup>. გარდა ამისა, კომისიამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ავტომატურად ჩხრეკა ჩათვალა ჩარევად<sup>2755</sup>.

სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით, პრეცედენტული სამართალი არ არის ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავი<sup>2756</sup>. განსახილველი საკითხები უკავშირდება მე-8 მუხლის მოქმედებას, ჩარევის კანონიერებას, ლეგიტიმურ მიზანსა და პროპორციულობას. დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის ელემენტი აქ უფრო დაწვრილებით იქნა განხილული, ვიდრე კომუნიკაციებში ჩარევის კონტექსტში<sup>2757</sup>.

## ა. ჩარევა „საცხოვრებლის“ პატივისცემის უფლებაში

„საცხოვრებელი“ უშუალოდ იმ ადგილს გულისხმობს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა პირადი ცხოვრების პატივისცემის გარანტია უფრო შორს მიდის. მისი ფართო ინტერპრეტაცია გამართლებულია ზოგადი პრინციპის საფუძველზე, რომ ფუნდამენტური უფლებების განმარტება არ უნდა მოხდეს ვინაობა და ტერმინის ფრანგულ ვერსია „*domicile*“-ზე (ადგილსამყოფელი) დაყრდნობით. შესაბამისად, სასამართლომ მართებულად გამოიყენა მე-8 მუხლი, როდესაც ადვოკატების ოფისები დაექვემდებარა ჩხრეკას<sup>2758</sup>.

გარანტიის ფართო ინტერპრეტაციის მიზეზები მრავალმხრივი და სარწმუნოა. ნიმიცი (Niemietz) წამყვან საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ სამუშაო ადგილი ადამიანებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ცენტრია, ზოგჯერ პირადი და პროფესიული საქმიანობის გამიჯვნა რთულია, განსაკუთრებით თავისუფალი პროფესიების შემთხვევაში და ხშირად პროფესიული სამუშაო ხორციელდება „საცხოვრებელში“ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.

კამენცინდის (Camenzind) საქმეში წამოიჭრა საკითხი, ადგილი ჰქონდა თუ არა ჩარევას, როდესაც განმცხადებლის მიერ გაქირავებული ოთახების ჩხრეკა განხორციელდა. სასამართლომ ღიად დატოვა ეს შეკითხვა, რადგან მოცემული საქმისთვის არ იყო რელევანტური<sup>2759</sup>. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უნდა მოხდეს *in abstracto*. მხოლოდ იმ ადგილის დაცვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომელსაც ფაქტობრივად იყენებს ადამიანი და სადაც მას გააჩნია ლეგიტიმური მოლოდინი, რომ არ შეანუხებენ ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლები და სხვა პირები. ზოგადად ეს ნიშნავს, რომ, როდესაც მესაკუთრეზე საუბარი, მის მიერ გაქირავებულ ოთახებსა და ბინებზე არ ვრცელდება დაცვა მე-8 მუხლში მოცემული „საცხოვრებლის“ საფუძველზე.

<sup>2754</sup> მაქფეილი (McFeeley) და სხვები გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 8317/78.

<sup>2755</sup> X ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი 5488/72.

<sup>2756</sup> ერთი სპეციფიკური საქმე ჩაპელი (Chappell) გავრთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შეეხებოდა სამოქალაქო მოსარჩელის მიერ ჩატარებულ ჩხრეკას.

<sup>2757</sup> იხ. აგრეთვე ესერი (2002) 116.

<sup>2758</sup> ნიმიცი (Niemietz) გერმანიის წინააღმდეგ, §29, 30. იხ. აგრეთვე რომენი (Roemen) და შმიტი (Schmit) ლუქსემბურგის წინააღმდეგ, §65; ელჯი (Elci) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, §696.

<sup>2759</sup> კამენცინდი (Camenzind) შვეიცარიის წინააღმდეგ, §35.

## ბ. სამართლებრივი საფუძველი

სასამართლო იგივე პრინციპების მოქმედება დაადასტურა „საცხოვრებელთან“ მიმართებაში, რასაც სატელეფონო მოსმენის კონტექსტში იყენებდა<sup>2760</sup>. ჩხრეკის კანონიერება არ ქცეულა სერიოზული დავის საგნად არც ერთ საქმეში<sup>2761</sup>. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩხრეკა და ამოღება არის სისხლისსამართლებრივი გამოძიების ძველი, თითქმის არქაული ელემენტები. პრობლემები წარმოიქმნება, როდესაც ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება ხდება მანამ, სანამ კანონში, რომელიც ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩება ტექნოლოგიურ მიღწევებს, მოხდება შესაბამისი გარანტიების განსაზღვრა.

## გ. ჩარევის მიზანი

ჩარევის მიზანი არც ამ კონტექსტში გამხდარა დიდი დისკუსიის საგანი. საფრანგეთის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში მიზანი, უპირველესად, იყო არა წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის თავიდან აცილება, არამედ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა<sup>2762</sup>.

## დ. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

ჩხრეკისა და ამოღების განხილვისას ყველაზე რთული საკითხია პროპორციულობის განსაზღვრა და ამ შემთხვევაში სასამართლო შედარებით მკაცრ სტანდარტებს იყენებს. პირველი საქმე, რომელშიც კონვენციის დარღვევა დადგინდა, მოიცავდა ადვოკატის ოფისის ჩხრეკას, რაც საკმაოდ დელიკატური საკითხი იყო ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით. მსგავს სირთულეებს ექნებოდა ადგილი, მაგალითად, ექიმის კაბინეტის ჩხრეკის დროს. ადვოკატის ოფისი თითქმის წმინდა ტაძრად ითვლება კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში – ადვოკატის შემთხვევაში პროფესიული საიდუმლოების ხელყოფა შეიძლება აისახოს მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე და შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებებზე<sup>2763</sup>.

აღნიშნული ელემენტის გარდა რელევანტური კრიტერიუმია დანაშაულის სიმძიმე და ჩხრეკის შესახებ სასამართლო ბრძანების სიზუსტე, მათ შორის იმ დოკუმენტებისა და სხვა საგნების განსაზღვრა, რომელთა ამოღება უნდა განხორციელდეს. სასურველია დამატებითი გარანტიების არსებობა. მაგალითად, ლუქსემბურგის შემთხვევაში ჩხრეკა ჩატარდა „გამომძიებელი მოსამართლის, პროკურატურის წარმომადგენლისა და იურისტთა საბჭოს თავმჯდომარის თანდასწრებით. გარდა ამისა, იურისტთა საბჭოს თავმჯდომარის დასწრება და პროფესიული საიდუმლოების დაცვის საკითხზე მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შეტანილი იქნა პოლიციის ანგარიშში“<sup>2764</sup>. თუმცა ამ საქმეში მაინც

<sup>2760</sup> Ibid., § 37.

<sup>2761</sup> საქმეში *მიური (Murray)* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§ 88) სასამართლომ დამაჯერებლად უარყო განმცხადებლის მოსაზრება, რომ საცხოვრებელში შესვლის ცალკეული ასპექტები, ოჯახის წევრების დროებით ერთ ოთახში მოთავსება და დაკითხვა, არ იყო კანონიერი.

<sup>2762</sup> *კრემიო (Cremieux)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 35; *ფუნკე (Funke)* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 52; *მაილე (Mailhe)* საფრანგეთის წინააღმდეგ, 33.

<sup>2763</sup> *ნიმიცი (Niemietz)* გერმანიის წინააღმდეგ, § 37.

<sup>2764</sup> *როემენი (Roemen)* და *შმიტი (Schmit)* ლუქსემბურგის წინააღმდეგ, § 69.

ჰქონდა ადგილი კონვენციის დარღვევას, ვინაიდან სასამართლო ბრძანება საქმარისად ზუსტად არ იყო ფორმულირებული. გარდა ამისა, ჩხრეკის მიზანი იყო ჟურნალისტის წყაროს დადგენა, რაც ეწინააღმდეგებოდა გამოხატვის თავისუფლებას მე-10 მუხლის საფუძველზე<sup>2765</sup>.

მესამე საქმე, რომელიც ადვოკატის ოფისის ჩხრეკას შეეხებოდა, ხასიათდება ელემენტარული გარანტიების უხეში ხელყოფით. თურქეთის პოლიციის მიერ ქურთისტანის მუშათა პარტიის პოლიტიკურ ფრთასთან დაახლოებული ადვოკატების ოფისების ჩხრეკა რეიდს უფრო ნააგავდა, ვიდრე კანონიერ ჩარევას<sup>2766</sup>.

საფრანგეთის წინააღმდეგ განხილული სამივე საქმე უკავშირდებოდა ფინანსურ დანაშაულებში, კერძოდ, გადასახადებისთვის თავის არიდებასა და უცხო ქვეყნებში კაპიტალის გადინებაში ჩართულ განმცხადებლებს. საბაჟო მოხელეებმა ჩაატარეს ჩხრეკა და ამოიღეს დიდი რაოდენობით დოკუმენტები, რომელთაგან ბევრი არ იყო საჭირო. სასამართლომ გაიზიარა მთავრობის მოსაზრება, რომ გადასახადებისთვის თავის არიდებისა და კაპიტალის გადინების თავიდან აცილების მცდელობა იყო ლეგიტიმური და ძალზე რთული „საბანკო სისტემების, ფინანსური არხების მასშტაბისა და სირთულის და საერთაშორისო ინვესტირების უზარმაზარი მოცულობის გამო, რასაც აიოლებდა სახელმწიფო საზღვრების შედარებითი გახსნილობა“<sup>2767</sup>. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღიარა, რომ ჩხრეკა და ამოღება შეიძლება აუცილებელი იყოს. თუმცა კვლავაც არ არსებობდა საჭირო გარანტიები. კერძოდ, სასამართლომ გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ საბაჟო ორგანოები ძალზე ფართო დისკრეციით სარგებლობდნენ. სამართლის ნორმები იყო „ძალზე სუსტი და ხერხელებით სავსე“ „სასამართლო ბრძანების მოთხოვნის არარსებობის პირობებში“<sup>2768</sup>. სასამართლოს ეს განცხადება ახლოს დგას ჩხრეკის სამართლებრივ საფუძველად სასამართლოს ბრძანების აუცილებლობის აღიარებასთან, თუმცა არსებულ ვითარებაში უნდა შემოვიფარგლოთ შტრამერის საქმეზე ბუნდოვანი ფორმულირებით: „სასამართლო ნებართვა უაღრესად რელევანტური ფაქტორია, მაგრამ არა გადამწყვეტი“<sup>2769</sup>.

*კამენცინდის (Camenzind)* საქმეში განმცხადებელმა დაარღვია კანონი არასანქცირებული რადიო-ტელეფონის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ მან აღიარა დანაშაული, სასამართლომ მაინც მისაღებად ჩათვალა ჩხრეკის ჩატარება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მისაღებად. სასამართლომ ჩამოთვალა შესაბამისი კანონით განსაზღვრული ყველა გარანტია და მივიდა დასკვნამდე, რომ ჩხრეკა არ წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას განმცხადებლის უფლებაში<sup>2770</sup>.

კონვენციის დარღვევა ასევე დადგინდა *მიურეის (Murray)* საქმეში, რომელშიც სასამართლომ გაიზიარა ჩხრეკისა და მისი განხორციელების მეთოდის საჭიროება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის ნიადაგზე<sup>2771</sup>.

<sup>2765</sup> იხ. აგრეთვე ვუდვინი (*Goodwin*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

<sup>2766</sup> ელჯი (*Elci*) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, § 697-9.

<sup>2767</sup> კრემიო (*Cremieux*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 39; ფუნკე (*Funke*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 56; მაილე (*Miallthe*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 37.

<sup>2768</sup> კრემიო (*Cremieux*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 40; ფუნკე (*Funke*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 57; მაილე (*Miallthe*) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 38.

<sup>2769</sup> შტრამერი (2001) N 15.38. იხ. აგრეთვე ველუ და ერგეცი (1990) N 678.

<sup>2770</sup> კამენცინდი (*Camenzind*) შვეიცარიის წინააღმდეგ, § 45, 46.

<sup>2771</sup> მიურეი (*Murray*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 92, 93.

## VIII. საკუთრების დაცვა

### ა. დებულებები

ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არაფის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესი და იმ პირობების საფუძველზე, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები.

წინამდებარე დებულებები არანაირად არ ზღუდავენ სახელმწიფოს უფლებას, აღასრულოს ისეთი კანონები, რომლებსაც აუცილებლად თვლის საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისთვის საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე, ან გადასახადების ან სხვა შესატანების ან ჯარიმების აკრეფის უზრუნველსაყოფად.

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1-ლი ოქმი, 1-ლი მუხლი.*

1. ყველას აქვს უფლება, გამოიყენოს და ისარგებლოს თავისი საკუთრებით. კანონით შეიძლება შეიზღუდოს ასეთი გამოყენება და სარგებლობა საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე.

2. არაფის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა სამართლიანი კომპენსაციის გადახდისთვის, საზოგადოებრივი სარგებლობის ან სოციალური ინტერესის მიზეზებიდან გამომდინარე, და კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

3. მევახშეობა და ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სხვა სახით ექსპლოატაცია აკრძალული იქნება კანონით.

*ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 21-ე მუხლი.*

აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლება არ არის მოცემული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. ამის მიზეზია კომუნისტური ბლოკის წინააღმდეგობა, რომელიც მას კაპიტალისტურ გარანტიად მიიჩნევდა.<sup>2772</sup> ვინაიდან ეს ნაწილი ძალზე მოკლეა, ზედმეტი იქნებოდა ზემოთ მოყვანილი დებულებების შედარებითი დახასიათება.<sup>2773</sup>

### ბ. შესავალი

ხელისუფლების ორგანოებს ბევრ შემთხვევაში შეუძლიათ საკუთრების უფლებაში ჩარევა. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ საპროცესო ხასიათის ჩარევა სანქციის სახით დაკისრებულისგან. ამ უკანასკნელმა შეიძლება მიიღოს ჯარიმის სახე ან დაკავშირებული იყოს საფრთხის შემცველი საგნების, როგორცაა ცეცხლსასროლი იარაღი ან ნარკოტიკები, ან სხვა ქონების ჩამორთმევასთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლით სარგებლობა. მხოლოდ საპროცესო ჩარევის განხილვა იქნება რელევანტური ამ წიგნის მიზნებისთვის.

<sup>2772</sup> იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე იხ. პარტში (1966) 217.

<sup>2773</sup> 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლში იხ. მაგ: პადელეტი (2001) 801-27.

## გ. კონფისკაცია

კონფისკაციას ადგილი აქვს ხელისუფლების ორგანოების მიერ საგნების დაუფლების დროს. შეიძლება არსებობდეს ასეთი ქმედების განხორციელების რამდენიმე მიზეზი, მათ შორის, მტკიცებულებების უზრუნველყოფა, საგნისთვის დამახასიათებელი საფრთხეების პრევენცია, მოპარული საგნების დაბრუნება კანონიერი მფლობელისთვის ან პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედებისთვის მიღებული გასამრჯელოთი სარგებლობის თავიდან აცილება. კონფისკაცია ყოველთვის დროებითი ხასიათისაა. ამოღებული საგნების საბოლოო ბედის განსაზღვრა მოხდება სასამართლოს განაჩენით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილებით.

კონვენციის 1-ლი ოქმის მიხედვით, ქონების ამოღება და კონფისკაცია განიხილება 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სახელმწიფოს უფლების ნაწილად, მიიღოს ისეთი ზომები, რომლებსაც „აუცილებლად თვლის საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისთვის“<sup>2774</sup>. ვინაიდან ამ დებულების საფუძველზე თავად სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ჩარევის აუცილებლობა, მათი დისკრეცია თითქმის შეუზღუდავია. თუმცა სასამართლო მაინც მოითხოვს გარკვეული პროპორციულობის დაცვას.

ქონების ამოღება არის ქმედება, რომელიც სამართალწარმოებას ემსახურება. ამიტომ ის უნდა დასრულდეს სამართალწარმოების დასრულებისთანავე. ამას კი ადგილი აქვს ყველაზე ბოლოს, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას. გარკვეული დრო იქნება საჭირო ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული დეტალების მონესრიგებისთვის, თუმცა ამან არ უნდა გასტანოს თევები. იტალიის წინააღმდეგ განხილულ ორ საქმეში ადგილი ჰქონდა ასეთ გაუმართლებელ გაჭიანურებას და შედეგად, სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა<sup>2775</sup>.

დოკუმენტების ამოღება შეიძლება განხილული იქნეს ქონების გარდა სხვა ასპექტების საფუძველზეც. ხშირად რთული იქნება კონკრეტული მატერიალური ღირებულების განსაზღვრა. თუმცა, როდესაც ისეთი დოკუმენტები, როგორცაა სამედიცინო ჩანაწერები, შეიცავს დელიკატურ ინფორმაციას პირის შესახებ, მათი ამოღება და განსაკუთრებით, განსაჯაროება წამოჭრის პრობლემებს მე-მ მუხლის საფუძველზე<sup>2776</sup>.

<sup>2774</sup> *ჰენდსაიდი (Handyside) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 62; *რაიმონდო (Raimondo) იტალიის წინააღმდეგ*, § 27.

<sup>2775</sup> *რაიმონდო (Raimondo) იტალიის წინააღმდეგ*, § 36; *ვენდიტელი (Venditelli) იტალიის წინააღმდეგ*, § 39.

<sup>2776</sup> *იხ. Z ფინეთის წინააღმდეგ*.

## ბიბლიოგრაფია

Abraham, R., 'Article 25', in Pettiti, L., Detaux, E., and Imbert, P. (eds.), *La Convention Européenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).

Achemann, A., Caroni, M., and Kalin, W., 'Die Bedeutung des UNO-Paktes über wirtschaftliche, soziale und kulturelle Rechte für das schweizerische Recht', in Kalin, W., Malinverni, G., and Nowak, M. (eds.), *Die Schweiz und die UNO-Menschenrechtspakte/La Suisse et les Pactes des Nations Unies relatifs aux droits de l'homme*, 2nd edn. (Basel: Helbing und Lichtenhahn, 1997).

Ackerman, J.B. and Ebersperger, S., 'Der EMRK-Grundsatz, ne bis in idem'—Identität der Tat oder Identität Strafnorm? *AJP* (1999) 823.

Addo, M.K., 'Are Judges Beyond Criticism under Article 10 of the European Convention on Human Rights?', *ICLQ* 47/2 (1998) 425.

Albrecht, P., 'Die Funktion und Rechtstellung des Verteidigers im Strafvverfahren', in Niggli, M., and Weissenberger, P., (eds.), *Strafverteidigung* (Basel: Helbing and Lichtenhahn, 2002).

Alkema, E.A., 'Note', in *Netherlands Jurisprudentie*, 267 (1991) 2630.

Alkema, E.A., 'The 3rd-party Applicability or "Drittwirkung" of the EMRK', in Matscher, F., and Petzold, H. (eds.), *Protecting Human Rights: The European Dimension, Studies in Honour of G.J. Wiarda* (Cologne: C. Heymanns, 1988).

Alkema, E.A., *Studies over europese grondrechten* (Deventer: Kluwer, 1978).

Ambos, K., 'Der Europäische Gerichtshof für Menschenrechte und die Verfahrens-rechte', *ZStW*, 115/3 (2003) 583.

Ancl, M., *La defence sociale nouvelle: un mouvement depolitique criminelle humaniste*, 3rd edn. (Paris: Cujas, 1981).

Andersen, R., 'L'arret Vermeulen et le role de l'auditeur au Conseil de l'Etat', in de Fontbressin, P., et al. (eds.), *Les droits de l'homme au seuil du troisieme millionnaire, Melanges en hommage a Pierre Lambert* (Brussels: Bruylant, 2000).

Andreu-Guzman, F. (ed.), *Terrorism and Human Rights* (Geneva 2002).

Andrews, J.A., *Human Rights in Criminal Procedure: A Comparative Study* (The Hague: Nijhoff, 1982).

Antonopoulos, N., *La jurisprudence des organes de la Convention europeenne des droits de l'homme* (Leiden: Sijthoff, 1967).

Arquint, S., 'Anwalt der ersten Stunde? Ein Positionspapier', in Schindler, B., and Schlaun, R. (eds.), *Aufdem Weg zu einem einheitlichen Verfahren* (Zurich: Schulthess, 2001).

Arzt, G., 'Moderner Zeugenbeweis und Verhältnismässigkeitsprinzip', in Donatsch, A., Forster, M., and Schwarzenegger, C. (eds.), *Strafrecht. Strafprozessrecht und Menschenrechte. Festschrift für Stefan Trechsel* (Zurich: Schulthess 2002).

Ashworth, A., 'Case Comment on *Magee v. United Kingdom*', *Crim LR* (2000) 681.

Auvret, P., 'Le droit a la presumption d'innocence', *JCP I* (1994) 3892.

Baauw, P., 'Reasonable Time and Successive Proceedings: A Case-study', in Bulterman, M., Hendriks, A., and Smith, J. (eds.), *To Baehr in Our Minds: Essays on Human Rights from the Heart of the Netherlands* (Utrecht: Netherlands Institute of Human Rights, 1998).

Badinter, R., 'La presumption d'innocence, Histoire et modernite', in *Melanges Catla* (Paris: Litec, 2001).

Baker, L., *Miranda: Crime, Law and Politics* (New York: Antheneum, 1982). Barreto, I. Cabral, *A Convencao Europeia dos Direitos do Homem*, 2nd edn. (Coimbra: Coimbra Editora, 1999).

Bassiouni, M. C., 'Human Rights in the Administration of Justice: Identifying International Procedural Protection and Equivalent Protections in National Constitutions', *Duke J. Comp. & Int'l L.* 3 (1993) 235.

Beernaert, M.-A., 'Mafia, maltraitance, en prison et repentis', *Rev. trim. dr. h.* 45 (2001) 124.

Bernhardt, R., *Die Auslegung volkerrechtlicher Verträge, insbesondere in der neueren Rechtsprechung internationaler Gerichte* (Cologne: Heymann, 1963).

Bernhardt, R., Trechsel, S., Weitzel, A., and Ermacora, F., 'Report on the Conformity of the Legal Order of the Russian Federation with Council of Europe Standards', *HRLJ* 14 (1994) 249.

Berz, U., 'Möglichkeiten und Grenzen einer Beschleunigung des Strafverfahrens', *NJW* (1982) 729.

Bommer, F., 'Offendlichkeit der Hauptverhandlung zwischen Individualgrundrecht und rechtsstaatlich-demokratischem Strukturprinzip', in Donatsch, A., Forster, M., and Schwarzenegger, C. (eds.), *Strafrecht, Strafprozessrecht und Menschenrechte: Festschrift für Stefan Trechsel* (Zurich: Schulthess, 2002).

Bonichot, J.-O., 'L'indépendance et l'impartialité des juridictions disciplinaires au regard de la Convention européenne des droits de l'homme: Les conclusions du Commissaire du gouvernement, Conseil d'Etat, 14 Janvier 1998', *Les Petites Affiches/La Loi* 387 (91) (1998) 27.

Bribosia, E., and Weyembergh, A. (eds.), *Lutte contre le terrorisme et droits fondamentaux* (Brussels: Bruylant 2002).

Bouissou, A., *Le droit a ne pas s'auto-incriminer en droit europeen des droits de l'homme, Memoire de DEA, Universite Robert Schumann—Strasbourg III, Annee universitaire 2002-2003* (not yet published).

Buergenthal, Th., 'Vergleich der Rechtsprechung der nationalen Gerichte mit der Rechtsprechung der Konventionsorgane bezüglich der verfahrensrechtlichen Garantien der europäischen Menschenrechtskonvention (Artikel 5, 6 und 13)', in Vasak, K. (ed.), *Menschenrechte im Staatsrecht und im Völkerrecht* (Karlsruhe: C.F. Müller, 1967).

Burgstaller, M., 'Geldwascherei durch Annahme eines Rechtsanwalts honorars?', *Anwaltsblatt* (2001) 574.

Butler, A.S., '*Funke v France* and the Right Against Self-Incrimination: A Critical Analysis', *CLFW* (2000) 461.

Cahen, N., 'Le droit a l'assistance d'un defenseur', *Rev. trim. dr. h.* 7 (1991) 371. Callewaert, J., 'L'article 3 de la Convention europeenne: une norme relativement absolue ou absolument relative?', in *Liber amicorum Marc-Andre Eissen* (Brussels: Bruylant—L.G.D.J., 1995).

Callewaert, J., 'L'affaire Herczegfalvy ou le traitement psychiatrique a l'epreuve de l'article 3 ... et vice versa', *Rev. trim. dr. h.* 15 (1993) 433.

Callewaert, J., 'Au-delades apparences ... d'un revirement', *Rev. trim. dr. h.* 10 (1992) 204.

Callewaert, J., 'Temoignages anonymes et droits de la defense, Observations sur l'arret *Kostovski c Pays-Bos*', *Rev. trim. d. h.* 12 (1990) 270.

Cambi, A., 'Le droit a l'examen des moyen de defense', *Rev. trim. dr. h.* 18 (1994) 223.

Cancado Trindade, A., 'The Right to a Fair Trial under the American Convention on Human Rights', in Barnes, A. (ed.), *The Right to a Fair Trial in International and Comparative Perspective* (Hong Kong: Centre for Comparative and Public Law, 1997).

Carlier, J.-Y., 'La detention et l'expulsion collective des etrangers', *Rev. trim. dr. h.* 53 (2003) 198.

Caspar, J.D., Tyler, T., and Fisher, B., 'Procedural Justice in Felony Cases', *LSR* 22 (1988) 483.

Caspar, J.D., 'Having their Day in Court: Defendant Evaluation of the Fairness of their Treatment', *LSR* 12 (1978) 237.

Cassin, R., 'Les dimensions inter nationales de l'attitude de la France devant la Convention', *RDH* 314 (1970) 628.

Castberg, F., Ouchterlony, T., and Opsahl, T., *The European Convention on Human Rights* (Leiden: Sijthoff, 1984).

Charrier, J., *Code de la Convention Europeenne des Droits de l'Homme*, 2nd edn. (Paris: Litec, 2002).

Chiavario, M., 'Droit aux temoins, droits de la defense et equite du proces', *Recueil Daloz ler cahier (rouge)*, 179e annee, 9 (2003) 594.

Chiavario, M., 'Art. 6', in Bartole, S., Conforti, B., and Raimondi, G. (eds.), *Com-mentario alla Convenzione Europea per la tutela dei diritti dell'uomo e delle liberta fondamentali* (Milan: Cedam, 2001).

Chiavario, M., 'La presunzione d'innocenza nella giurisprudenza della Corte europea dei diritti dell'uomo', *Giurisprudenza italiana* (2000) 1089.

Chiavario, M., 'Le proces penal en Italie', in Delmas-Marty, M. (ed.), *Proces penal et droits de l'homme* (Paris: Presses universitaires de France, 1992).

Chiavario, M., 'Cultura italiana del processo penale e Convenzione europea dei diritti dell'uomo: Frammenti di appunti e spunti per una «microstoria»', *RIDU* 3 (1990) 433.



- Clements, L., *European Human Rights: Taking a Case under the Convention* (London: Sweet & Maxwell, 1994).
- Closset-Marchal, C., 'Le droit a la comparation personnelle, et son applicability en cas de pluralite de degres de juridictions', *Rev. trim. dr. h.* 11 (1992) 394.
- Codi, J., de, 'La preuve par temoignage anonyme et les droits de la defense', *Rev. trim. dr. h.* (1998) 57.
- Cofee, J. C., 'Corporate Criminal Liability: An Introduction and Comparative Survey', in Eser, A., et al. (eds.), *Criminal Responsibility of Legal and Collective Entities, International Colloquium Berlin 1998* (Freiburg i. Br.: Edition luscrim, 1999).
- Cohen-Jonathan, G., *La Convention europeenne des droits de l'homme* (Paris: Economica, 1989).
- Cohen-Jonathan, G., 'Cour europeenne des droits de l'homme: chronique de jurisprudence, 1979', *CDE* 16 4 (1980) 463.
- Conso, G., "Diritti Umani e Procedura Penale", *L'Italia e l'Anno Internazionale del Diritti dell'Uomo* (Padua: Cedam, 1969).
- Cook, A., 'Preventive Detention—International Standards and the Protection of the Individual', in Frankowski, S., and Shelton, D. (eds.), *Preventive Detention* (Dordrecht: Martinus Nijhoff, 1992).
- Corstens, G., and Pradel, J., *European Criminal Law* (The Hague: Kluwer Law International, 2002).
- Costa, J.-P., 'Il diritto ad un giudice indipendente ed imparziale in materia amminis-trativa: brevi considerazioni', *RIDU* 14 (3) (2001) 709.
- Costa, J.-P., *Lejuge independant et impartial en droit compare, selon la Cour europeenne des droits de l'homme* (Strasbourg: Conseil de l'Europe, 2002).
- Council of Europe, *Problems Arising from the Co-existence of the United Nations Covenants on Human Rights and the European Convention on Human Rights*, Doc. H (70) 7 (Strasbourg: Council of Europe, 1970).
- Coussirat-Coustere, V., 'Article 8—2', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P. (eds.), *La Convention Europeenne des Droits de l'Homme: Commentaire Article par Article* (Paris: Economica, 1995).
- Crawshaw, R., and Holmstrom, L. (eds.), *Essential Texts on Human Rights for the Police: A Compilation of International Instruments* (The Hague: Kluwer Law, 2001).
- Dahs, H., *Die Revision im Strafprozess* (Munich: C.H. Beck, 2001).
- Danelius, H., *Manskliga rdtigheter i europeisk praxis. En kommentar till Europakon-ventionen om de manskliga rdtigheterna* (Stockholm: Norstedts Juridik AB, 1997).
- Danelius, H., 'L'indipendenza e l'imparzialita della giustizia alla luce della giurisprudenza della Corte europea dei diritti dell'uomo', *RIDU* 5(2) (1992) 443.
- Danovi, R., 'Le delai raisonnable de la procedure et le droit au respect des biens, en Italie', *Rev. trim. dr. h.* 23 (1995) 447.
- Danovi, R., 'De la responsabilite professionnelle de l'avocat a l'obligation de statuer a "bref delai" sur la legalite d'une detention', *Rev. trim. dr. h.* 2 (1990) 168.
- de Figueiredo Dias, J., *Direito processual penal*, vol. 1 (Coimbra: Coimbra Editora, 1974). de Salvia, M., *Compendium de la CEDH: les principes directeurs de la jurisprudence relative a la Convention europeenne des droits de l'homme* (Kehl: Engel, 1998).
- de Salvia, M., 'Principes Directeurs d'une Procedure Penale Europeenne: la Contribution des Organes de la Convention Europeenne des Droits de l'Homme', *Collected Courses of the Academy of European Law*, vol. V/2 (The Hague: Kluwer Law 1997).
- de Salvia, M., and Villiger, M.E. (eds.), *The Birth of European Human Rights Law: L'eclosion du droit europeen des droits de l'homme: Liber Amicorum: Studies in Honour of melanges en l'honneur de Carl-Aage Nørgaard* (Baden-Baden: Nomos-Verlagsgesellschaft, 1998).
- de Schutter, O., 'L'interpretation de la Convention europeenne des droits de l'homme: un essai en demolition', *Revue de Droit International de Sciences Diplomatiques et Politiques* (1992) 83.
- de Zaynš, A., 'The United Nations and the Guarantees of a Fair Trial in the International Covenant on Civil and Political Rights and the Convention Against torture and Other Cruel, Inhuman or Degrading treatment or Punishment', in Weissbrodt, D., and Wolfrum, R. (eds.), *The Right to a Fair Trial* (Berlin: Springer, 1998).
- Delmas-Marty, M. (ed.), *Proces penal et droits de l'homme* (Paris: PUF, 1992). Delmas-Marty, M., and Vervaele, J.A.E. (eds.), *La mise en oeuvre du corpus juris dans les Etats Membres* (Antwerpen: Intersentia, 2000-1).

- Dennis, I., 'Rethinking Double Jeopardy: Justice and Finality in Criminal Process', *Crim LR* (2000) 933.
- Dennis, I., 'Instrumental Protection, Human Right or Functional Necessity? Reassessing the Privilege against Self-incrimination', *CZ/54(2)* (1995) 342.
- Dickson, W.G., *Evidence*, 3rd edn. (Edinburgh: T & T Clark, 1887).
- Donatsch, A., 'Art. 271 Abs. 1 StGB und das Recht auf Befragung von Entlastungszeugen', in Donatsch, A., Forster, M., and Schwarzenegger, C. (eds.), *Strafrecht, Strafprozessrecht und Menschenrechte, Festschrift für Stefan Trechsel* (Zurich: Schulthess, 2002).
- Doswald-Beck, L., and Kolb, R. (eds.), *Judicial Process and Human Rights. United Nations, European, American and African systems. Text and Summaries of International Case-law* (Kehl: N.P. Engel, 2004).
- Douraki, T., *La convention europeenne des droits de l'homme et le droit a la liberte de certains malades et marginaux* (Paris: Librairie generale de droit et de jurisprudence, 1986).
- Dourneau-Josette, P., 'Le cadre juridique: l'article 6 de la Convention', in Vallens, J.-L., and Storck, M. (eds.), *Impartiality et justice economique en Europe* (Strasbourg: Presses universitaires de Strasbourg, 2003).
- Driendl, J., 'Verfahrensdauer und Strafprozessform in Osterreich aus deutscher Sicht', *Juristische Blätter*, 103/5-6 (1981) 125.
- Drzemczewski, A.Z., *European Human Rights Convention in Domestic Law: A Comparative Study* (Oxford: Clarendon Press, 1983).
- Duffy, P.J., 'Luedicke, Belkacem and Koad: A Discussion of the Case and of Certain Questions Raised by It', *HRR* (1979) 98.
- Dumont, M., 'Le Conseil d'Etat, tribunal independant et impartial', in de Fontbressin, P., et al. (eds.), *Les droits de l'homme au seuil du troisieme millenaire. Melanges en hommage a Pierre Lambert* (Brussels: Bruylant, 2000).
- Earley, P., and Schur, G., *Wisec: Inside the Federal Witness Protection Program* (New-York: Bantam Books, 2003).
- Egli, P., *Drittwirkung von Grundrechten* (Zurich: Schulthess 2002).
- Emmerson, B., 'The Human Rights Act: Its Effect on Criminal Proceedings', in Butler, F. (ed.), *Human Rights for the New Millenium* (The Hague: Kluwer, 2000).
- Emmerson, B., and Ashworth, A., *Human Rights and Criminal Justice* (London: Sweet & Maxwell, 2001).
- Eryilmaz, M.B., *Arrest and Detention Powers in English and Turkish Law and Practice in the Light of the European Convention on Human Rights* (The Hague: Martinus Nijhoff Publishers, 1999).
- Esposito, A., 'Protocol No. 7, Art. 3', in Bartole, S., Conforti, B., and Raimondi, G. (eds.), *Commentario alla Convenzione Europea per la tutela dei diritti dell'uomo e delle liberta fondamentali* (Milan: Cedam, 2001).
- Esser, R., *Auf dem Weg zu einem europdischen Strafverfahrensrecht: Die Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europdischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Strassburg* (Berlin: De Gruyter Recht, 2002).
- Fahrenhorst, I., 'Art. 6 EMRK und die Verhandlung gegen Abwesende: zugleich eine 'Besprechung der Entscheidungen Colozza und Rubinat des EGMR vora 12. 02. 1985', *EuGRZ* 10 (1985) 629.
- Farthouat, J.R., 'La presumption d'innocence', *Justices*, 10 (1998).
- Fawcett, J.E.S., *The Application of the European Convention on Human Rights*, 1st edn. (Oxford: Oxford University Press, 1969).
- Fawcett, J.E.S., *The Application of the European Convention on Human Rights*, 2nd edn. (Oxford: Clarendon Press, 1987).
- Feteris, M.W.C., *Fiscale administratieve sancties en het recht op een behoorlijk proces* (Deventer: Kluwer, 1993).
- Field, S., and Young, J., 'Disclosure, Appeals and Procedural Traditions, *Edwards v United Kingdom*', *CrimTR* (1994) 264.
- Fitzpatrick, B., 'Tinkering or Transformation? Proposals and Principles in the White Paper, "Justice for All" ', *Web JCLI* 5 (2002).
- Fitzpatrick, B., and Walker, C., 'Holding Centres in Northern Ireland, the Independent Commissioner and the Rights of Detainees', *EHRLR* (1999) 27.
- Flauss, J.-F., 'Le droit a un recours effectif au secours de la regie du delai raisonnable: un revirement de jurisprudence historique', *Rev. trim. dr. h.* 49 (2002) 179.
- Flauss, J.-F., 'La banalisation du contentieux indemnitare devant la Cour europeenne des droits de l'homme', *Rev. trim. dr. h.* 25 (1996) 93.

- Flauss, J.-F., 'Convention europeenne des droits de l'homme et execution des con-damnations penales prononcees a l'etranger', *Rev. trim. dr. h.* 17 (1994) 98.
- Fleiner-Gerster, T., 'Verpflichten die Grundrechte den Staat zu positiven Leistungen?', in Aubert, J., and Bois, P. (eds.), *Melanges Andre Grisel* (Neuchatel: Editions Ides et Calendes, 1983).
- Fletcher, C., *Re-Thinking Criminal Law* (New York: Oxford University Press, 2000).
- Fontbressin, P. de, 'Liberte d'expression, vie privee et impartialite du juge', *Rev. trim. dr. h.* 35 (1998) 581.
- Fornito, R., *Beweisverbote im schweizerischen Strafprozessrecht* (St Gallen: University of St Gallen, 2000).
- Framer, I., 'Interpreters and their Impact on the Criminal Justice Systems: The Alejandro Ramirez Case', *Newsletter of the National Association of Judiciary Interpreters and Translators*, 9 (2000).
- Frei-Siponen, S., *Einfluss der EMRK auf das Strafprozessrecht Finnlands und der Schweiz— eine vergleichende Studie* (Bamberg: Difo-Druck GmbH 2003).
- Fribergh, E., 'La decision', in Cour de Cassation (ed.), *Les principes communs d'une justice des Etats de l'Union Europeenne, Actes du Colloque des 4 et 5 decembre 2000* (Paris: La documentation Francaise, 2001) 187.
- Friedmann, R.D., 'Confrontation and the Definition of Chutzpah', *IsLR*, 31/1-3 (1997) 506.
- Frowein, J.A., 'Conclusions', in Cour de Cassation (ed.), *Les principes communs d'une justice des Etats de l'Union Europeenne, Actes du Colloque des 4 et 5 decembre 2000* (Paris: La documentation Francaise 2001) 215.
- Frowein, J.A., 'Die Europaische und die Amerikanische Menschenrechtskonvention— Ein Vergleich', *EuGRZ* 7 (1980) 442.
- Frowein, J.A., and Peukert, W., *Europdische MenschenRechtsKonvention: EMRK Kom- mentar*, 2nd edn. (Kehl: Engel, 1996).
- Fyfe, N.R., *Protecting Intimidated Witnesses* (Aldershot: Ashgate, 2001).
- Gaede, K., 'Das Recht auf Verfahrensbeschleunigung gemass Art. 611 EMRK in Steuer- und Wirtschaftsstrafverfahren', *wistra* 23 (2004) 166.
- Geppert, K., *Der Grundsatz der Unmittelbarkeit im deutschen Strafverfahren* (Berlin: Walter de Gruyter, 1979).
- Gilliadin, J., 'Une etape nouvelle dans la protection des droits fondamentaux des alienes', *Rev. trim. dr. h.* 4 (1990) 407.
- Gollwitzer, W., 'Europaische Menschenrechtskonvention, Internationaler Pakt iiber bürgerliche und politische Rechte', in Rie(3. P. (ed.), *Love-Rosenberg StPO, Grosskommentar*, 24th edn. (Berlin: de Gruyter, 1992).
- Golsong, H., *La Convention Europeenne des Droits de l'Homme et les Personnes morales*, in *Premier colloque du departement des droits de l'homme* (Brussels: Universite Catholique de Louvain, 1970).
- Gomien, D., 'The Future of Fair Trial in Europe: The Contribution of International Human Rights Legal and Political Instruments' (1991) *NQJR* 9 263.
- Gomien, D., Harris, D., and Zwaak, L., *Convention europeenne des Droits de l'Homme et Charte sociale europeenne* (Strasbourg: Council of Europe, 1997).
- Gonzales, G., 'Chaud et froid sur la compatibility du cumul des fonctions consultatives et contentieuses avec l'exigence d'impartialite (en marge de l'arret Cour eur. dr. h., Gde ch., 6 mai 2003, Kleyn c les Pays-Bas)', *Rev. trim. dr. h.* 18 (2004) 365.
- Grabenwarter, C., *Europdische Menschenrechtskonvention: ein Studienbuch* (Munich: Beck, 2003).
- Grabenwarter, C., *Verfahrensgarantien in der Verwaltungsgerichtsbarkeit: eine Studie zu Artikel 6 EMRK auf der Grundlage einer rechtsvergleichenden Untersuchung der Verwaltungsgerichtsbarkeit Frankreichs, Deutschlands und Osterreichs* (Vienna: Springer, 1997).
- Grigori, G., *La tutela europea dei diritti dell'uomo* (Milan: Suger Co, 1979).
- Grote, R., 'Protection of Individuals in Pre-Trial Procedure', in Weissbrodt, D., and Wolfrum, R. (eds.), *The Right to a Fair Trial* (Berlin: Springer, 1998).
- Guerrin, M., 'Le temoignage anonyme au regard de la jurisprudence de la Cour europeenne des droits de l'homme', *Rev. trim. dr. h.* 16 (2002) 45.
- Haefliger, A., and Schiirmann, F., *Die Europdische Menschenrechtskonvention und die Schweiz: Die Bedeutung der Konvention fur die schweizerische Rechtspraxis* (Bern: Stampfli & Cie AG, 1999).
- Hamm, R., 'Wie man in richterlicher Unabhangigkeit vor unklaren Gesetzeslagen kapituliert', *TV/IF* (2001) 1694.

- Harris, D., 'The Right to a Fair Trial in Criminal Proceedings as a Human Right', 16 *LCLQ* (1964) 352.
- Harris, D., O'Boyle, M., and Warbrick, C., *Law of the European Convention on Human Rights* (London: Butterworths, 1995).
- Hartmann, A.R., and van Russen Groen, P.M., 'Criminal charge' uitgekleed: Bendenoun gerelativeerd', *NJB* 69 (1994) 1520.
- Hauser, R., *Der Zeugenbeweis im Strafprozess mit Berücksichtigung des Zivilprozesses* (Zurich: Schulthess, 1974).
- Hauser, R., and Schwenk, E., *Schweizerisches Strafprozessrecht*, 5th edn. (Basel: Helbing und Lichtenhahn, 2002).
- Heine, G., 'Sanctions in the Field of Corporate Criminal Liability', paper presented at the International Colloquium on Criminal Responsibility of Legal and Collective Entities, 4-6 May 1998, Berlin, Germany.
- Heine, G., Ronzani, M., and Spaniol, M., 'Verteidiger und Strafverfahren: eine rechtsvergleichende Skizze zu Funktion und Stellung des Strafverteidigers in den Bundesrepubliken Deutschland und Österreich sowie der Schweiz', *Strafverteidiger* (1987) 74.
- Heinz, A.M., 'Procedure versus Consequences: Experimental Evidence of Preferences for Procedural and Distributive Justice', in Talarico, S. (ed.), *Courts and Criminal Justice* (Beverly Hills: Sage, 1985).
- Helmholz, H.R., Gray, Ch. M., Langbein, J.H., Moglen, E., Smitz, H.E., and Alschuler, A.W., *The Privilege against Self-Incrimination: Its Origins and Development* (Chicago: University of Chicago Press, 1997).
- Herzog, F., 'Wider den "kurzen Prozess": Plädoyer für die Abschaffung des beschleunigten Verfahrens nach 212, 212a, 212b StPO', *ZRP* (1991) 125.
- Holdgaard, M., 'The Right to Cross-Examine Witnesses: Case Law under the European Convention on Human Rights', *NJIL* (2003) 83.
- Hume, D., *Commentaries on the Law of Scotland Respecting Crimes*, vol. II, 4th edn. (Edinburgh: Bell and Bradfute, 1844).
- Jacobs, F.G., 'The Right to a Fair Trial in European Law', *EHRLR* (1999) 141.
- Jacobs, F.G., *The European Convention on Human Rights* (Oxford: Clarendon Press, 1975).
- Jacot-Guillarmod, O., 'Rights Related to Good Administration of Justice', in Macdonald, R. St. J., Malscher, F., and Petzold, H. (eds.), *The European System for the Protection of Human Rights* (Dordrecht: Martinus Nijhoff, 1993).
- James, A., Taylor, N., and Walker, C., 'The Reform of Double Jeopardy', *Web JCLI*, 5 (2000).
- Jennings, A., 'Fair Trial', in Starmer, K., Strange, M., and Whitaker, Q. (eds.), *Criminal Justice, Police Powers and Human Rights* (London: Blackstone, 2001).
- Joseph, S., Schultz, J., and Castan, M., *The International Covenant on Civil and Political Rights: Cases, Materials, and Commentary* (Oxford: Oxford University Press, 2000).
- Kaiser, G., *Kriminologie*, 3rd edn. (Heidelberg: CF Müller Verlag, 1996).
- Kalin, W., Malinverni, G., and Nowak, M., *La Suisse et les Pactes des Nations Unies relatifs aux droits de l'homme*, 2nd edn. (Basel: Helbing & Lichtenhahn, 1997).
- Kastanas, E., *Unite et diversité: Notions autonomes et marge d'appréciation des Etats dans la jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme* (Brussels: Bruylant, 1996).
- Kempf, E., 'Anmerkung zu den Urteilen Lietzow, Schops und Garcia Alva', *Strafverteidiger* 21 (2001) 207.
- Khol, A., 'Implications de l'article 5 de la Convention européenne des droits de l'homme en procédure pénale', *J* 108 (1989) 468.
- Kiener, R., *Richterliche Unabhängigkeit, Verfassungsrechtliche Anforderungen an Richter und Gerichte* (Bern: Stampfli, 2001).
- Killias, M., *Grundriss der Kriminologie* (Bern: Stampfli & Cie AG, 2002). Killias, M., *Precis de droit pénal général*, 2nd edn. (Bern: Stampfli & Cie AG, 2001).
- Kinzig, J., 'Als Bundesrecht gescheitert—als Landesrecht zulässig?', *NJW* (2001) 1455.
- Klees, O., 'De l'obligation de témoigner au droit au silence (Observations sur Farret K. c Autriche)', *Rev. trim. dr. h.* 8 (1994) 243.

- Kley, A., 'Zeugenschutz im internationalen Recht—Erfahrungen im Hinblick auf das künftige eidgenössische Strafprozessrecht', *AJP* (2000) 177.
- Kley-Struller, A., 'Der Anspruch auf unentgeltliche Rechtspflege: die aktuelle Rechtsprechung des Bundesgerichts zu Art. 4 Abs. 1 BV und der Organe der Europäischen Menschenrechtskonvention zu Art. 6 EMRK', *AJP* (1995) 179.
- Koering-Joulin, R., 'Le juge impartial', *RGDP* 10 (1998) 1.
- Koering-Joulin, R., '(Protocole additionnel No 7) Article 4', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P., *La Convention Europeenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).
- Koering-Joulin, R., '(Protocole additionnel No 7) Article 3', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P.-H., *La Convention Europeenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).
- Kohlbacher, U., *Verteidigung und Verteidigungsrechte unter dem Aspekt der Waffen-gleichheit* (Zurich: Zurich Diss., 1978).
- Koschwitz, J., *Die kurzfristige polizeiliche Freiheitsentziehung* (Berlin: Duncker and Humblot, 1970).
- Kramer, B., *Die europäische Menschenrechtskonvention und die angemessene Dauer von Strafverfahren und Untersuchungshaft* (Diss. Recht Tübingen, 1973).
- Krauss, D., 'Die Unmittelbarkeit der Hauptverhandlung im schweizerischen Strafverfahren', *recht*, 5 (1987) 42.
- Krauss, D., 'Der Umfang der Straftakte', *BJM* (1983) 49. Kriiger, H.C., 'Die Auswahl der Richter für den neuen Europäischen Gerichtshof für Menschenrechte', *EuGRZ* 24 (1997) 397.
- Kiihl, K., 'Der Einfluss der EMRK auf das Strafrecht und das Strafverfahrensrecht in der BRD\ ZS^ (1988) 406.
- Kiihl, K., 'Unschuldvermutung, Freispruch und Einstellung' (Köln: Carl Heymanns Verlag KG, 1983).
- Kiihne, H.H., and Esser, R., 'Die Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) zur Untersuchungshaft', *Strafverteidiger* (2002) 383.
- Kuij er, M., *The Blindfold of Lady Justice: Judicial Independence and Impartiality in Light of the Requirements of Article 6 ECHR* (Leiden: University of Leiden, 2004).
- Kiing-Hofer, R., *Die Beschleunigung des Strafverfahrens unter Wahrung der Rechtsstaat-lichkeit* (Bern: Diss. Jur., 1984).
- Kunz, K.-L., *Kriminologie*, 3rd edn. (Bern: Verlag Paul Haupt, 2001).
- Kuty, F., 'Observations: L'obligation de motivation des decisions judiciaires au regard de la jurisprudence de la Cour europeenne des droits de l'homme', *Rev. trim. dr. h.* 36 (1998) 843.
- Labayle, H., 'L'eloignement des Grangers', *RUDH* 3 (1991) 296.
- Lambert, P., 'Vers la restitution au juge de son role d'arbitre', *Rev. trim. dr. h.* 28 (1996) 621.
- Lambert, P., 'Perquisition au cabinet d'un avocat et droit au respect de la vie privee, de la correspondance et du domicile', *Rev. trim. dr. h.* 15 (1993) 470.
- Landis, J.M., and Goodstein, L./When is Justice Fair? An Integrated Approach to the Outcome versus Procedure Debate', *Am. Bar Found. Res. J.* (1986) 675.
- Larralde, J.-M., 'La Cour europeenne des droits de l'homme face aux traitements contraires a l'integrite physique et morale des individus', *Rev. trim. dr. h.* 38 (1999) 283.
- Leach, P., 'Automatic Denial of Bail and the European Convention', *Crim LR* (1999) 300.
- Levi, R., 'Zum Einfluss der Europäischen Menschenrechtskonvention auf das kantonale Prozessrecht: Erwartungen und Ergebnisse', *ZStrR* 106 (1989) 225.
- Linke, R., 'The Influence of the European Convention of Human Rights on National European Criminal Proceedings', *DePaul LR* XXI (1971) 397.
- Liszt von, F., 'Die Zukunft des Strafrechts', in *Strafrechtliche Aufsätze und Vorträge*, vol. 2 (Berlin: J. Guttentag, 1905).
- Lombardini, C. and Cambi, A., 'Le droit du detenu de communiquer librement avec son conseil' (1993) 14 *Rev. trim. dr. h.* 14 (1993) 297.
- Lombois, Cl., 'La presumption d'innocence', *Pouvoirs*, 55 (1950) 81.
- Loucaides, L., 'Questions of Fair Trial Under the European Convention of Human Rights', *HRLR* 3 (2003) 27.

Luhmann, N., *Legitimation durch Verfahren* (Darmstadt: Luchterhand, 1975).

Malinverni, G., 'Variations sur un theme encore meconnu: l'article 13 de la Convention europeenne des droits de l'homme', *Rev. trim. dr. h.* 35 (1998) 647.

Mann, F.A., 'Reflections on the Prosecution of Persons Abducted in Breach of International Law', in Dinstein, Y. (ed.), *International Law at a Time of Perplexity* (Doordrecht: Nijhoff, 1989).

Marauhn, T., 'The Right of the Accused to be Tried in his or her Presence', in Weissbrodt, D., and Wolfrum, R. (eds.), *The Right to a Fair Trial* (Berlin: Springer, 1998).

Marcus-Helmons, S., 'La duree de la detention provisoire et la necessite d'une procedure contradictoire lors des demandes d'elargissement', *Rev. trim. dr. h.* 16 (1993) 544.

Marguenaud, J.-P., 'Le droit de se defendre soi-meme contre les conclusions du parquet de cassation', *Rev. trim. dr. h.* 47 (2001) 829.

Martens, P., 'La tyrannie de l'apparence. Observations. Cour europeenne des droits de l'homme. Affait Bulut c l'Autriche, 22.2.1996', *Rev. trim. dr. h.* 28 (1996) 627.

Massias, F., 'Peine perpetuelle obligatoire et maintien de la detention', *Rev. trim. dr. h.* 55 (2003) 945.

Massias, F., 'Les seuils d'age de la responsabilite penale et la peine', *Rev. trim. dr. h.* 49 (2001) 129.

Massias, F., 'L'atteinte au bon ordre de procedures judiciaires', *Rev. trim. dr. h.* 31 (1997) 503.

Matsopoulou, H., 'La presence du rapporteur du conseil de la concurrence au delibere, au regard de la Convention europeenne des droits de l'homme', *Les Petites Affiches. La loi.* 385/114 (1996) 4.

McBarnet, D., *Conviction: Law, the State and the Construction of Justice* (Oxford: Macmillan 1981).

McBride, J., 'The Continuing Refinement of Criminal Due Process', *ELRevHR* (1977) 1. McConville, M., Sanders, A., and Leng, R., *The Case for the Prosecution: Police Suspects and the Construction of Criminality* (London: Routledge, 1991).

McGoldrick, D., *The Human Rights Committee, Its Role in the Development of the International Covenant on Civil and Political Rights* (Oxford: Oxford University Press, 1994).

Melchior, M., 'Le proces equitable dans la jurisprudence de la Cour et de la Commission europeennes des droits de l'homme', in *Les droits de la defense en matierepenale, Actes du colloque des 30 et 31 mai et 7 juin 1985* (Liege, 1985). Mella, E., 'Les validations legislatives au regard du droit a un proces equitable', *Rev. trim. dr. h.* 44 (2000) 796.

Merrills, J., and Robertson, A., *Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights*, 4th edn. (Manchester: Manchester University Press, 2001).

Merryman, J.H., *The Civil Law Tradition*, 2nd edn. (Stanford: Stanford University Press, 1985).

Meyer-Ladewig, J., *EMRK—Handkommentar* (Baden-Baden: Nomos 2003).

Mock, H., 'Une clarification bienvenue de la portee du principe "Ne bis in idem" au sens de l'article 4 du Protocole no. 7 (1999) 39', *Rev. trim. dr. h.* 39 (1999) 623.

Moglen, E., 'Taking the Fifth: Reconsidering the Origins of the Constitutional Privilege against Self-incrimination', *Mich. L.R.* 92 (1994) 1086.

Mole, N., and Harby, C., *A Guide to the Implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights* (Strasbourg: Council of Europe, 2001).

Morrison, C., *The Developing European Law of Human Rights* (Leiden: Sijthoff, 1967).

Miiller, E., 'Der Grundsatz der Waffengleichheit im Strafverfahren', *NJW*(1976) 1063.

Miiller, J.P., 'Die Garantie des verfassungsmassigen Richters in der Bundesverfassung', *ZBJV106* (1970) 249.

Murdoch, J., 'A Survey of Recent: Case Law under Article 5 ECHR', *ELRevHR* 23(1998)31.

Murdoch, J., 'Safeguarding the Liberty of Person: Recent Strasbourg jurisprudence', *JCLQ* 42 (1993) 494.

Myjer, E., 'Equality of arms in het Nederlandse strafproces', *Delikt en Delinkwent*, 6/1 (1976) 17.

Myjer, E., Hancock, B., and Cowdery, N. (eds.), *Human Rights Manual for Prosecutors* (The Hague: International Association of Prosecutors, 2003).

Naismith, S.H., 'Self-incrimination: Fairness or Freedom?' *EHLRL* (1997) 229. Nancoz, M.-A., 'La duree du proces penal', *Rev. dr. penal crim.* 100/4 (1983) 384.

- Nijboer, J.F., and Sprangers, W.I.J.M. (eds.), *Harmonisation in Forensic Expertise: An Inquiry into the Desirability and Opportunities for International Standards* (Amsterdam: Thela Thesis, 2000).
- Nowak, M., *U.N. Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary* (Kehl: N.P. Engel, 1993).
- Nowak, M., 'Überprüfung der Schubhaft durch die unabhängigen Verwaltungssenaten', *ZfJ* (1991) 288.
- Nowak, M., 'Neuere Entwicklungen im Menschenrechtsschutz des Europarats', *EuGRZ* (1985) 240.
- O'Boyle, M., 'Freedom from Self-incrimination and the Right to Silence: A Pandora's Box?', in Mahoney, P., Matscher, F., Pezold, H., and Wildhaber, L. (eds.), *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of Rolv Nyssdal* (Cologne: Carl Heymanns Verlag, 2000).
- Omerod, D., 'ECHR and the Exclusion of Evidence: Trial Remedies for Article 8 Breaches', *Crim LR* (2003) 61.
- O'Neill, A., 'The European Convention and the Independence of the Judiciary: The "Scottish Experience"', *MLR* 63 (2000) 429.
- Osborne, C., 'Hearsay and the European Court of Human Rights', *Crim LR* (1993) 265.
- Ost, F., 'Originalité des méthodes d'interprétation de la Cour européenne des droits de l'homme', in Delmas-Marty, M. (ed.), *Raisonner la raison d'état* (Paris: Presses Universitaires de France, 1989).
- Ovey, C., and White, R., *Jacobs & White: The European Convention on Human Rights*, 3rd edn. (Oxford: Oxford University Press, 2002).
- Owen, T., 'Disclosure', in Starmer, K., Strange, M., and Whitaker, Q. (eds.), *Criminal Justice, Police Powers and Human Rights* (London: Blackstone, 2001).
- Packer, H., *The Limits of the Criminal Sanction* (Stanford, Calif.: Stanford University Press, 1968).
- Padelletti, M.L., 'Art. 1, Prot. 1, in Bartole, S., Conforti, B., and Raimondi, G., *Commentario alla Convenzione Europea per la tutela dei diritti dell'uomo e delle libertà fondamentali* (Milan: Cedam, 2001).
- Papaux, A., 'La jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme et du Tribunal fédéral en matière de témoignage anonyme', *SJZ* 89 (1993) 274.
- Papier, H.-J., 'Die richterliche Unabhängigkeit und ihre Schranken', *Neue Juristische Wochenschrift*, 54/15 (2001) 1089-94.
- Partsch, K.J., *Hojjen auf Menschenrechte: Rückbesinnung auf eine internationale Entwicklung* (Zurich: Ed. Interform, 1994).
- Partsch, K.J., *Die Rechte und Freiheiten der europäischen Menschenrechtskonvention* (Berlin: Duncker und Humblot, 1966).
- Peters, A., *Einführung in die Europäische Menschenrechtskonvention* (Munich: Verlag C.H. Beck, 2003).
- Pettiti, L.-E., 'L'évolution de la défense et des droits de la défense à partir de la Déclaration universelle des droits de l'homme', *Rev. trim. dr. h.* (2000) 5.
- Pettiti, L.-E., 'Les droits de Pénitence et de la défense selon la jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme', in Carbonnier, J. (ed.), *Mélanges Georges Levasseur* (Paris: Litec, 1992).
- Peukert, W., 'Die Garantie des "fair trial" in der Strassburger Rechtsprechung', *EuGRZ* (1980) 267.
- Picard, E., 'Art. 26', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P. (eds.), *La Convention européenne des droits de l'homme: commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).
- Picard, M., and Titun, P., 'Article 5-3', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P. (eds.), *La Convention Européenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).
- Pieth, M., *Strafverteidigung—wozu?* (Basel: Helbing und Lichtenhahn, 1986).
- Pieth, M., *Der Beweisantrag des Beschuldigten im Schweizer Strafprozessrecht* (Basel: Helbing und Lichtenhahn, 1984).
- Pieth, M./Anmerkung, *EuGRZ* 7 (1980) 210.
- Piquerez, G., *Procédure pénale suisse: Traite théorique et pratique* (Zurich: Schulthess, 2000).
- Pisani, M., 'Art 5', in Bartole, S., Conforti, B., and Raimondi, G., *Commentario alla Convenzione Europea per la tutela dei diritti dell'uomo e delle libertà fondamentali* (Milan: Cedam, 2001).
- Poncet, D., 'Un arbitre indépendant et impartial aux termes de l'article 6, 1 de la Convention européenne des droits de l'homme: un point de vue de la Suisse', in de Fontbressin, P. et al. (eds.), *Les droits de l'homme au seuil du troisième millénaire, Mélanges en hommage à Pierre Lambert* (Brussels: Bruylant, 2000).

Poncet, D., *La protection de l'accusé par la Convention européenne des droits de l'homme* (Geneva: Georg, 1977).

Poncet, D., 'Le droit à l'assistance de l'avocat durant la procédure', in Bridel, M., and Clerc, F. (eds.), *Recueil des travaux suisses présentés au VIII<sup>e</sup> Congrès international de droit comparé* (Basel: Helbing und Lichtenhahn 1970).

Pouget, P., 'Les délais en matière de rétention, garde à vue et détention provisoire au regard de la Convention européenne de sauvegarde des droits de l'homme', *Rev. Sc. Crim.* 1 (1989) 78.

Pradel, J., *Droit pénal comparé*. 2nd edn. (Paris: Dalloz, 2002).

Pradel, J., 'Criminal Liability of Legal Persons in Legislation of European Countries', *Juridica*, VIII (1999) 370.

Pradel, J., 'La notion de procès équitable en droit pénal européen', *RGD* (1996) 505.

Pradel, J., and Corstens, G., *Droit pénal européen* (Paris: Dalloz, 2000).

Prefontaine, D. C., 'Effective Criminal Sanctions Against Corporate Entities— Commentary: Canada', paper presented at the International Colloquium on Criminal Responsibility of Legal and Collective Entities, 4-6 May 1998 Berlin, Germany.

Priebe, R., 'Die Dauer von Gerichtsverfahren im Lichte der EMRK und des Grundgesetzes', in Schwarze, J., and Graf, W. (eds.), *Grundrechtsschutz im nationalen und internationalen Recht* (Baden-Baden: Nomos-Verlag, 1983).

Quigley, J., 'Criminal Law and Human Rights: Implications of the United States Ratification of the International Covenant on Civil and Political Rights', *Harv. Hum. Rts.J.* 6 (1993) 58.

Quillere-Majzoub, F., *La défense du droit à un procès équitable* (Brussels: Bruylant, 1999).

Ravaud, C., 'Article 36', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P., *La Convention Européenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).

Raymond, J., 'L'article 6 de la Convention européenne des droits de l'homme et la loi pénale nationale', in *Droit pénal européen* (Brussels: Presses universitaires de Bruxelles, 1970) 81.

Reed, R., and Murdoch, J., *A Guide to Human Rights Law in Scotland* (Edinburgh: Butterworths, 2001).

Reid, K., *A Practitioner's Guide to the European Convention of Human Rights* (London: Sweet & Maxwell, 1998).

Reindl, S., 'Probleme der Untersuchungshaft in der jüngeren Rechtsprechung der Strassburger Organe', in Grabenwarter, C., and Thienel, R. (eds.), *Kontinuität und Wandel der EMRK: Studien zur Europäischen Menschenrechtskonvention* (Kehl: N.P. Engel Verlag, 1998).

Renucci J., *Droit Européen des Droits de l'Homme*, 3<sup>rd</sup> edn. (Paris: Librairie Générale de Droit et de Jurisprudence, 2002).

Robert, C.N., *La détention préventive en Suisse Romande et notamment à Genève* (Geneva: h Georg-Librairie de l'Université, 1972).

Roberts, P., 'Double Jeopardy Law Reform: A Criminal Justice Commentary', *MLR* 65/ 3 (2002) 393.

Rodley, N., *The Treatment of Prisoners under International Law*, 2nd edn. (Oxford: Clarendon Press, 1999).

Rogall, K., *Der Beschuldigte als Beweismittel gegen sich selbst* (Berlin: Duncker und Humblot 1977).

Roggen, F., 'L'application de l'article 421 du code d'instruction criminelle (beige) face à l'arrêt *Poirimol*', *Rev. trim. dr. h.* 24 (1995) 623.

Rosenberg, D., 'L'arrêt Assenov: un premier pas vers une reconnaissance juridictionnelle des droits des Tsiganes en Europe?', *Rev. trim. dr. h.* 38 (1999) 388.

Rosenmayr, S., 'Das Recht auf persönliche Freiheit und Freizügigkeit bei der Einreise von Ausländern', *EuGRZ* 15 (1988) 153.

Rothenfuh, W., 'Die Dauer des Strafprozesses', *ZStR* 100 (1983) 366.

Rouiller, C., 'L'effet dynamique de la Convention européenne des droits de l'homme.

Reflexions éparées sur le jugement par défaut, la défense d'office et le droit à un interprète, *ZStR* 116 (1998) 233.

Roxin, C., *Strafverfahrensrecht*, 25th edn. (Munich: Beck, 1998).

Rudloff, S., *Droits et libertés de l'avocat dans la Convention européenne des droits de l'homme* (Brussels: Bruylant, 1995).



- Russo, C., 'Article 8-1', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P., *La Convention Europeenne des Droits de l'Homme: Commentaire article par article* (Paris: Economica, 1995).
- Rzepka, D., *Zur Fairness im deutschen Strafverfahren* (Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 2000).
- Sace, J., 'L'audition contradictoire des temoins', *Rev. trim. dr. h.* 9 (1992) 51.
- Sanders, A., and Young, R., *Criminal Justice* (London: Butterworths, 1994).
- Schafer, K., *Strafprozessrecht: Eine Einführung* (Berlin: Walter de Gruyter, 1976).
- Schefer, M., *Die Kerngehalte von Grundrechten* (Bern: Stampfli & Cie AG, 2001).
- Schlauri, R., *Das Verbot des Selbstbelastungszwangs im Strafverfahren: Konkretisierung eines Grundrechts durch Rechtsvergleichung* (Zurich: Schulthess, 2003).
- Schleiminger, D., *Konfrontation im Strafprozess—Art. 6 Ziff. 3 lit. d EMRK mit besonderer Berücksichtigung des Verhältnisses zum Opferschutz im Bereich von Sexualdelikten gegen Minderjährige* (Basel: Helbing & Lichtenhahn 2001).
- Schlothauer, R., and Wieder, H., *Untersuchungshaft*, 3rd edn. (Heidelberg: Müller, 2001).
- Schmid, N., *Strafprozessrecht: Eine Einführung auf der Grundlage des Strafprozessrechtes des Kantons Zurich und des Bundes*, 4th edn. (Zurich: Schulthess, 2004).
- Schmid, N., 'Anwalt der ersten Stunde', in Donatsch, A., Forster, M., and Schwarzenegger, C. (eds.), *Strafrecht, Strafprozessrecht und Menschenrechte, Festschrift für Stefan Trechsel* (Zurich: Schulthess, 2002).
- Schmid, N., *Das amerikanische Strafverfahren, Eine Einführung* (Heidelberg: C.F. Müller, 1986).
- Schmidt, E., *Deutsches Strafprozessrecht: Ein Kolleg* (Göttingen: Vandenhoeck und Ruprecht, 1967).
- Schokkenbroek, J.G.C., *Toetsing aan de Vrijheidsrechten van het europees verdrag tot bescherming van de rechten van de mens* (Leiden: s.n., 1996).
- Schomburg, W., 'Die Europaisierung des Verbots doppelter Strafverfolgung—ein Zwischenbericht', *NJW* (2000) 1833.
- Schomburg, W., *Internationale Rechtshilfe in Strafsachen* (Munich: Beck, 1998). Schroeder, F.-G., 'Die Gesamtpriifung der Verfahrensfairness durch den EGMR', *GA* 150 (2003) 293.
- Schroth, U., 'Strafrechtliche und strafprozessuale Konsequenzen aus der Überlange von Strafverfahren', *NJW*(1990) 29.
- Schubarth, M., *Kommentar zum schweizerischen Strafrecht*, vol. 3 (Bern: Stampfli & Cie AG, 1984).
- Schubarth, M., 'Die Artikel 5 und 6 der Konvention, insbesondere im Hinblick auf das Schweizerische Strafprozessrecht', 94 *ZSR* (1975) 465.
- Schubarth, M., *Die Rechte des Beschuldigten im Untersuchungsverfahren, besonders bei Untersuchungshaji: eine Analyse der schweizerischen Strafprozessgesetze water rechtsstaatlichen Gesichtspunkten* (Berne: Stampfli, 1973).
- Schunemann, B., 'Placing the Enterprise Under Supervision («Guardianship») as a Model Sanction Against Legal and Collective Entities', paper presented at the International Colloquium on Criminal Responsibility of Legal and Collective Entities, 4-6 May 1998, Berlin, Germany.
- Schurmann, F., 'Prinzipien und Prinzipienlosigkeit in der Strassburger Rechtsprechung zum Strafverfahren', *ZStrR* 119 (2001) 352.
- Schurmann, F., 'Der Anspruch auf amtliche Verteidigung', *AJP* (1992) 661.
- Schutter, O., de, 'Vie privée et protection de l'individu vis-a-vis des traitements de donnees a caractere personnel', *Rev. trim. dr. h.* 45 (2001) 148.
- Schwarzenegger, C., 'Art. 117' in Niggli, M.A., and Wiprechtiger, H. (eds.), *Easier Kommentar, Strafgesetzbuch* (Basel: Helbing und Lichtenhahn, 2003).
- Scouflaire, I., 'Le delai raisonnable de la detention provisoire', *Rev. trim. dr. h.* 12 (1992) 517.
- Seiler, S., *Strafprozessrecht* (Vienna: WUV Universitätsverlag, 2003).
- Sendler, H., 'Politikermeynung und richterliche Unabhingigkeit *NJW* (2001) 1909. Senese, S., 'L'autogoverno delle magistrature italiane', *CIMAICIJL Yearbook 1992 Garanties constitutionnelles pour l'indépendance du pouvoir judiciaire*, 1 (1992) 57.

- Sermet, L., 'L'incidence de la Convention europeenne des droits de l'homme sur le contentieux administratif francais' (Marseille, 1994).
- Sermet, L., 'L'arret *Kress c la France*: avancee, statu quo ou regression des droits fondamentaux du justiciable?', *Rev. trim. dr. h.* 49 (2002) 237.
- Sloss, D. L., 'International Decisions—*United States v. Duarte*', *AJIL* 97 (2003) 410. Soyer, J., 'L'avenir de la vie privee face aux effets pervers du progres et de la vertu', in Tabatoni, P. (ed.), *La protection de la vie privee dans la societe d'information* (PUF: Cahiers des sciences sociales et politiques, vol. 1, 2000, 9).
- Soyer, J., and de Salvia, M., 'Article 6', in Pettiti, L., Decaux, E., and Imbert, P.-H. (eds.), *La Convention europeenne des droits de l'homme: commentaire article par article par article* (Paris: Economica, 1995)
- Spagnoil, M., *Das Recht auf Verteidigerbeistand im Grundgesetz und in der Europaischen menschenrechtskonvention* (Berlin: Dunker and Humblot, 1990)
- Spangher, G., '(Protocol No 7) Art. 4', in Bartole, S., Conforti, B., and Raimondi, G., *Commentario alla Convenzione Europea per la tutela dei diritti dell'uomo e delle liberta fondamentali* (Milan: Cedam, 2001).
- Spencer, J., 'La decision Systeme anglo-saxon', in Cour de Cassation (ed.), *Les principes communs d'une justice des Etats de l'Union Europeenne, Actes du Colloque des 4 et 5 decembre 2000* (Paris: La documentation Francaise 2001).
- Spielmann, D., 'La notion de l'impartialite: une application de la theorie de l'apparence', *Feuille de liaison de la Conference Saint-Yves, Luxembourg*. 88 (1996) 21.
- Spielmann, D., 'Proces equitable et presumption d'innocence', *Rev. trim. dr. h.* 24 (1995) 661.
- Spronken, T.N.B.M., *Verdediging: Een onderzoek naar de normering van het optreden van advocaten in strafzaken* (Deventer: Gouda, 2001).
- Spuhler, K., 'Die Europaische Menschenrechtskonvention in der bundesgerichtlichen Rechtsprechung zum Straf- und Strafprozessrecht', *ZStR* 107 (1990) 313.
- Stanfield, P., 'Right to Free Assistance of an Interpreter in Judicial Proceedings, Concerning a "Regulatory Offence", *Oztirk case*', *HRLJ* 5 (1984) 293.
- Stamer, K., *European Human Rights Law* (London: Legal Action Group, 1999).
- Stamer, K. with Byre, I., *Blackstone's Human Rights Digest* (London: Blackstone Press, 2000).
- Stamer, K., Strange, M., and Whitaker, Q. (eds.), *Criminal Justice, Police Powers and Human Rights* (London: Blackstone, 2001).
- Stavros, S., *The Guarantees for Accused Persons under Article 6 of the European Convention on Human Rights* (Dordrecht: Martinus Nijhoff, 1993).
- Stavros, S., 'The Right to a Fair Trial in Emergency Situations', *JCLQ* 41 (1992) 343.
- Steinmann, G., 'Sanktionen im Fall ubermassiger Dauer von Strafverfahren', *EuGRZ* 18/20 (1991) 427.
- Stessens, G., 'The Obligation to Produce Documents Versus the Privilege against Self-incrimination: Human Rights Protection Extended Too Far?', *EL Rev* 22 (1997) 50.
- Strange, M., 'Evidence', in Stamer, K., Strange, M., and Whitaker, Q. (eds.), *Criminal Justice, Police Powers and Human Rights* (London: Blackstone, 2001).
- Stratenwerth, G., *Schweizerisches Strafgesetzbuch, Allgemeiner Teil: Die Straftat*, 2nd edn. (Bern: Stampfli & Cie AG, 1996).
- Sudre, F., *Droit europeen et international des droits de l'homme*, 6th edn. (Paris: PUF, 2003).
- Sudre, F., 'Chronique de la jurisprudence de la Cour europeenne des droits de l'homme', *RUDH* 6 (1994) 254.
- Swart, A.H.J., *De toelating en uitzetting van vreemdelingen* (Deventer: Kluwer, 1978).
- Tanca, A., 'Human Rights, Terrorism and Police Custody: The *Brogan Case*', *EJIL* 1 (1990) 269.
- Tavernier, P., 'Le droit a un proces equitable dans la jurisprudence du Comite des droits de l'homme des Nations Unies', *Rev. trim. dr. h.* 7 (1996) 3.
- Thibaut, J.W., and Walker, L., 'A Theory of Procedure', *Cat L.R.* 66 (1978) 541.
- Thibaut, J.W., and Walker, L., *Procedural Justice: A Psychological Analysis* (New York: Hillsdale, N.J., 1975).
- Tiemey, S., 'Human Rights and Temporary Sheriffs', *ELRev* (2000) 223.
- Tophinke, E., *Das Grundrecht der Unschuldsvermutung* (Bern: Stampfli & Cie AG, 2000).

- Trechsel, S., 'Akteneinsicht', in Schweizer, R., Burkert, H., and Gasser, U. (eds.), *Festschrift jur Jean Nicolas Druey zum 65. Geburtstag* (Zurich: Schulthess, 2002).
- Trechsel, S., 'La decision—systeme continental', in Cour de Cassation (ed.), *Les principes communs d'une justice des Etats de l'Union Europeenne, Actes du Colloque des 4 et 5 decembre 2000* (Paris: La documentation Francaise, 2001).
- Trechsel, S., 'Unmittelbarkeit und Konfrontation als Ausfluss von Art. 6 EMRK', *AJP* 9 (2000) 1366.
- Trechsel, S., *Inflation in the Field of Human Rights?* (Nijmegen: Nijmegen University Press, 2000).
- Trechsel, S., 'Why Must Trials be Fair?' *IsLR*, 31(1-3) (1997) 94.
- Trechsel, S., 'Liberty and Security of Person', in Macdonald, R. St. J., Matscher, F., and Petzold, H. (eds.), *The European System for the Protection of Human Rights* (Dordrecht: Martinus Nijhoff, 1993).
- Trechsel, S., 'The Role of International Organs Controlling Human Rights in the Field of International Cooperation', in Eser, A., and Lagodny, O. (eds), *Principles and Procedures for a New Transnational Criminal Law* (Freiburg i. Br.: MPI-Eigenverlag, 1992).
- Trechsel, S., 'Das verflixte Siebente? Bemerkungen zum 7. Zusatzprotokoll zur EMRK', in Nowak, M., Steure, D., and Treter, H. (eds.), *Progress in the Spirit of Human Rights. Festschrift fur Felix Ermacora* (Kehl am Rhein: N.P. Engel Verlag, 1988).
- Trechsel, S., 'Grundrechtsschutz bei der internationalen Zusammenarbeit in Strafsachen', *EuGRZ* 14 (1987) 69.
- Trechsel, S., 'Gericht und Richter nach der EMRK', in Hauser, R., Rehberg, J., and Stratenwerth, G. (eds.), *Gedachtnisschrift fur Peter Noll* (Zurich: Schulthess, 1984).
- Trechsel, S., 'Strassburger Rechtsprechung zum Strafverfahren: Die Urteile Schiesser, Deweer, Artico und Luedicke, Belkacem und Koc', *JR* 10(4) (1981) 133.
- Trechsel, S., 'Quelques observations au sujet de la "mise au secret"', *ZStR* 98 (1981) 235.
- Trechsel, S., 'Struktur und Funktion der Vermutung der Schuldlosigkeit, Ein Beitrag zur Auslegung von Art. 6 Ziff. 2 EMRK', *SJZ* 77 (1981) 317.
- Trechsel, S., 'The Right to Liberty and Security of the Person: Article 5 of the European Convention on Human Rights in the Strasbourg Case-law', *HR LJ* 1 (1980) 88.
- Trechsel, S., 'Die Verteidigungsrechte in der Praxis zur Europaischen Menschenrechtskonvention', *ZStR* 96 (1979) 337.
- Trechsel, S., 'The Protection of Human Rights in Criminal Proceedings', *RIDP* 49(3) (1978) 541.
- Trechsel, S., *Die Europdische Menschenrechtskonvention, ihr Schutz der personlichen Freiheit und die schweizerischen Strafprozessrechte* (Bern: Stampfli & Cie AG, 1974).
- Trechsel, S., 'La duree raisonnable de la detention preventive (Art. 5 par. 3 de la Convention europeenne des Droits de l'Homme)', *RDH* 4(1) (1971) 119.
- Trechsel, S., and Noll, P., *Schweizerisches Strafrecht Allgemeiner Teil I : Voraussetzungen der Strafbarkeit*, 6th edn. (Zurich: Schulthess, 2004).
- Trifflerer, O., and Binner, H., 'Zur Einschränkbarkeit der Menschenrechte und zur Anwendbarkeit strafprozessualer Verfahrensgarantien, Anmerkungen zum Engel-Urteil', *EuGRZ* 4 (1977) 136.
- Trug, G., *Losungskonvergenzen trotz Systemadivergenzen im deutschen und US-Amerikanischen Strafverfahren: ein strukturanalytischer Vergleich am Beispiel der Wahrheitserforschung* (Tribingen: Mohr Siebeck, 2003)
- Tulkens, F., 'Les droits de l'homme en detention', *Rev. Sc. Crim.* (2001) 881.
- Tulkens, F., 'La procedure penale: grandes lignes de comparaison entre systems nationaux', in Delmas-Marty, M. (ed.), *Procespenal et droits de l'homme* (Paris: Presses universitaires de France, 1992).
- Tyler, T.R., *Why People Obey the Law* (New Haven, CT: Yale University Press, 1990). Utz, H., *Die Kommunikation zwischen inhaftiertem Beschuldigten und Verteidiger* (Basel: Helbing and Lichtenhahn, 1984).
- Valkeneer, C. de, 'L'infiltration et la Convention europeenne des droits de l'homme', *Revue de droit criminel* 14 (1993) 313.
- Vallens, J.-L., 'Faillite personnelle et impartialite du juge', (CA Metz, 9 septembre 1997), *Petites Affiches: La hi.* 386 (150) (1997) 21.
- Van Bemmelen, L.J.M., 'De methode koppejan en de Lawless-case', *NJB* (1966) 701.

Van Compernelle, J., 'Impartialite du juge et cumul de fonctions au fond et au provisoire: reflexions sur des arrêts recents', in de Fontbressin, P. et al. (eds.), *Les droits de l'homme au seuil du troisieme millenaire. Melanges en hommage a Pierre Lambert* (Brussels: Bruylant, 2000).

Van Compernelle, J., 'Le droit a un tribunal impartial en droit beige au regard de la jurisprudence de la Cour europeenne des droits de l'homme' in Mahoney, P.,

Matscher, F., Petzold, H., and Wildhaber, L. (eds.), *Protection des droits de l'homme: la perspective europeenne. Melanges a la memoire de Rolv Ryssdal/Protecting Human Rights: The European Perspective. Studies in Memory of Rolv Ryssdal* (Cologne: Carl Heymanns Verlag, 2000).

Van Compernelle, J., 'Evolution et assouplissement de la notion d'impartialite objective', *Rev. trim. dr. h.* 19 (1994) 437.

Van de Kerchove, M., 'La preuve en matiere penale dans la jurisprudence de la Cour et de la Commission europeennes des droits de l'homme', *Rev. Sc. Crim.* (1992) 1.

Van den Wyngaert, O. *Strafrecht en het strafprocesrecht in hoofdlijnen* (Antwerpen: Maklu, 1991).

Van Dijk, P., 'Article 6'1 of the Convention and the concept of "objective impartiality"', in Mahoney, P., Matscher, F., Petzold, H., and Wildhaber, L. (eds.), *Protection des droits de l'homme: la perspective europeenne. Melanges a la memoire de Rolv Ryssdal/ Protecting Human Rights: The European Perspective. Studies in Memory of Rolv Ryssdal* (Cologne: Carl Heymanns Verlag, 2000).

Van Dijk, P., *The Right of the Accused to a Fair Trial under International Law* (Utrecht: SIM Special, 1983).

Van Dijk, P., and van Hoof, G.J.H., *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 3rd edn. (The Hague: Kluwer Law International, 1998).

Van Drooghenbroeck, S., 'Interpretation jurisprudentielle et non-retroactivite de la loi penale', *Rev. trim. dr. h.* 27 (1996) 463.

Veldt, M., *Het EVRJV1 en de onpartijdige strafrechter* (Deventer: Kluwer, 1997).

Velu, J., and Ergec, R., *La Convention europeenne des droits de l'homme* (Brussels: Bruylant, 1990).

Verniory, J.-M., *Les droits de la defense dans les phases preliminaires du proces penal* (2005, forthcoming).

Villiger, M.E., *Handbuch der Europdischen Menschenrechtskonvention (EMRK): unter besonderer Berilcksichtigung der schweizerischen Rechtslage*, 2nd edn. (Zurich: Schukhess, 1999).

Villiger, M.E., 'Geltungsbereich der Garantien der Emrk', *ZBl18* (1991) 81.

Vogler, T., 'Artikel 6', in Golsong, H., Karl, W., Miehsler, H., Petzold, H., Rogge, K.,

Vogler, T., and Wildhaber, L. (eds.), *Internationaler Kommentar zur Europdischen Menschenrechtskonvention* (Cologne: Carl Heymann, 1986).

Vogler, T., 'Das Recht auf unentgeltliche Beziehung eines Dolmetschers (Art. 6 Abs. 3 Buchst.e EMRK) Anmerkung zum Dolmetscherkosten-Urteil des EGMR', *EuGRZ* 6 (1979) 640.

Vogler, T., 'Straf- und Strafverfahrensrechtliche Fragen in der Spruchenpraxis der Europaischen Kommission und des Europaischen Gerichtshofs fur Menschenrechte', *ZstWS9* (1977) 761.

Wagner, B., and Wildhaber, L., 'Der Fall Temeltasch und die auslegenden Erklarungender Schweiz', *EuGRZ* (1993) 145.

Wagner, C., 'L'indemnisation d'une detention provisoire suivie d'un acquittement', *Rev. trim. dr. h.* 20 (1994) 563.

Walischewski, L., *Probleme des Akteneinsichtsrechts der Verteidigung im Ermittlungsverfahren im Lichte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts und des Europdischen Gerichtshofes fur Menschenrechte* (Frankfurt: Peter Lang, 1999).

Walker and Walker, *Law of Evidence in Scotland* (Edinburgh: Hodge, 1964).

Walsh, B., 'Article 6 of the European Convention on Human Rights: The Right to Fair Trial Within a Reasonable Time of any Criminal Charge', in *The Domestic Application of International Human Rights Norms*, Interights, Judicial Colloquy, Ankara, 3—14 Sept. 1990 (Ankara: Ankara University Press, 1990).

Wasek-Wiaderek, M., *The Principle of Equality of Arms' in Criminal procedure under Article 6 of the European Convention on Human Rights and its Function in Criminal Justice of Selected European Countries: A Comparative View* (Leuven: Leuven University Press, 2000).

Weissbrodt, D., *The Right to a Fair Trial: Articles 8, 10 and 11 of the Universal Declaration of Human Rights*

- (The Hague: Kluwer Law, 2001). Whitaker, Q., 'Stop and Search, Arrest and Detention', in Starmer, K., Strange, M., and Whitaker, Q. (eds.), *Criminal Justice, Police Powers and Human Rights* (London: Blackstone, 2001).
- Wildhaber, L., 'Erfahrungen mit der EMRK', *ZSR* 98 II (1979) 365.
- Wildhaber, L., and Breitenmoser, S., *Internationaler Kommentar zur Europäischen Menschenrechtskonvention, Kommentierung des Artikels 8* (Cologne: Heymann, 1992).
- Wils, W.P.J., 'The Principle of Ne Bis in Idem in EC Antitrust Enforcement: A Legal and Economic Analysis', *World Competition* 26(2) (2003) 131.
- Wimmer, A., 'Unschuldsvermutung—Verdacht—Freispruch', *ZStW&Q* (1968) 369.
- Wohlens, W., 'Geldwascherei durch die Annahme von Verteidigerhonoraren—Art. 305<sup>ter</sup> StGB als Gefahr für das Institut der Wahlverteidigung', *ZStR* 120 (2002) 197.
- Wohlens, W., 'Art. 6 Abs. 3 lit.d) EMRK als Grenze der Einführung des Wissens anonymen Strafverursachers', in C. (eds.), *Strafrecht, Strafprozessrecht und Menschenrechte, Festschrift für Stefan Trechsel* (Zurich: Schulthess, 2002).
- Wölfers, B., 'Der Schuldinterlokut in der Schweiz, insbesondere im Kanton Bern', *ZStR* 117 (1999) 215.
- Wyss, P.M., '“Miranda warning” im schweizerischen Verfassungsrecht?', *recht* 2001 132.
- Yemault, D., 'Le fisc, ses amendes et la matiere penale', *Rev. trim. dr. h.* 23 (1995) 427.
- Yemault, D., 'Les pouvoirs d'investigation de l'administration face a la delinquance economique: les locaux professionnels et l'article 8 de la Convention europeenne', *Rev.trim. dr. h.* 17 (1994) 121.
- Yourow, H. C., *The Margin of Appreciation Doctrine in the Dynamics of European Human Rights Jurisprudence* (The Hague: Kluwer Law International, 1996).
- Zanghi, C., 'La nouvelle Cour unique prevue dans le Protocole n. 11 a la Convention Europeenne des Droits de l'Homme: reexamen des arrêts et impartialite des Juges', in Busuttill, S. (ed.), *Mainly Human Rights, Studies in Honour of J. Cremona* (Valletta: Fondation Internationale Make 2000).
- Zweifel, M., 'Das rechtliche Gehör im Steuerhinterziehungsverfahren', *ASA* 60 (1992/93) 453.